საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია (1801–1918)

ნიგნი III

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2019

წინამდებარე წიგნს საფუძვლად დაედო საქართველოს ახალ ისტორიაში (1801-1918) წაკითხული ლექციების კურსი. ავტორმა ლექციების კითხვა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გააგრძელა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. წიგნი განკუთვნილია ისტორიის სპეციალობისა და ზოგადად ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტების, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაში მონაწილეობდნენ: **ირინე ტაბატაძე, კონსტანტინე გურული,** საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორები, ისტორიის დოქტორი **გვანცა ბურდული,** ისტორიის დოქტორი **ლევან ჯიქია** და ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი **ვალერი კეკენაძე**

რედაქტორი: პროფესორი **სერგო ეარდოსანიძე**

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი **ლევან ჯიქია,**
ისტორიის დოქტორი **გვანცა ბურდული**

წიგნში გამოყენებული ფოტოები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში" და საქართველოს ეროვნულ არქივში.

© ვახტანგ გურული, 2019

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი"

ISBN 978-9941-9650-3-6

წინასიტყვა

2018 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა „ქართულმა უნივერსიტეტმა" გამოსცა ჩვენი „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918)" მეორე ნიგნი (წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის" სტამბაში). ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ „საქართველოს ახალი ისტორიის" მესამე წიგნს. მეორე წიგნს წამძღვარებული ჰქონდა წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ზოგადად ეხებოდა XIX საუკუნის 60-90-იან წლებს. მესამე წიგნსაც ახლავს წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც წიგნში განხილული საკითხების შესწავლის მდგომარეობას წარმოაჩენს. ჩვენ კონკრეტულად ვეხებით და ვაფასებთ დოკუმენტური მასალების იმ პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ლიტერატურას, რომლებიც უმთავრესად მივიჩნიეთ, დანარჩენი გამოცემები, რომელთაგან ავიღეთ ზოგიერთი ფაქტობრივი მასალა როგორც პირველ და მეორე წიგნებში, ამჯერადაც მხოლოდ ავტორის სახელითა და გვარითაა მოხსენიებული.

პროფესორი ვახტანგ გურული

30 ივლისი, 2019 წ.

შესავალი

(წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასება)

1. რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფია. საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918 წწ.) იმ პერიოდის შესწავლა, რომელიც მესამე წიგნშია წარმოდგენილი (1897-1907 წწ.), რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას საფუძვლიანად არ შეუსწავლია. ყურადღებას იმსახურებს დოკუმენტებისა და მასალების რამდენიმე პუბლიკაცია. ამ პუბლიკაციებზე დაყრდნობით ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გავაშუქეთ.[1] საყურადღებო მასალას შეიცავს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის უქუეშევრდომილესი მოხსენებები რუსეთის იმპერატორისადმი.[2] ძალზე საინტერესო მასალას შეიცავს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების „მიმოხილვები".[3]

2. საბჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფიის მიზნები. „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918 წწ.)" პირველი და მეორე წიგნების ისტორიოგრაფიულ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ისტორიოგრაფია, პოლიტიკური სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებოდ აყალბებდა საქართველოს ახალ ისტორიას (1801-1918 წწ.). ისტორიული პროცესის ყოვლისმომცველ და ფართომასშტაბიან გაყალბებას ვერ ასცდა მესამე წიგნში წარმოდგენილი პერიოდიც – 1897-1907 წლები. კონკრეტულად, საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა:

1. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის გაყალბებას;

2. ეროვნული მოძრაობისა და მთელი ეროვნულ-პოლიტიკური ძალების სოციალური პროგრესის, სოციალიზმისათვის ბრძოლის შემაფერხებელ, ხალხის ინტერესების სანინააღმდეგო, რეაქციულ მოვლენად გამოცხადებას;

3. ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა, ქართველი ავტოკეფალისტების „ნაციონალისტებად", „სეპარატისტებად" და „პროგრესის მტრებად" გამოცხადებას;

4. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების (სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების,

---

[1] Первая всеобщая перепись населения Российской империи. 1897 г. Издание Центральнаго статистическаго комитета Министерства внутренних дел. Под редакцией Н. А. Тройницкаго. LXIX. Тифлисская губерния. Санкт-Петербург. 1905; Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. Издание Центральнаго статистическаго комитета Министерства внутренних дел. Под редакцией Н. А. Тройницкаго. LXVI. Кутаисская губерния. Санкт-Петербург, 1905; Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. Издание Центральнаго статистическаго комитета Министерства внутренних дел. Под редакцией Н. А. Тройницкаго. LXIV. Карсская область. Тетрадь I. Санкт-Петербург, 1900; Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. Издание Центральнаго статистическаго комитета Министерства внутренних дел. Под редакцией Н. А. Тройницкаго. LXIV. Карсская область. Тетрадь II. Санкт-Петербург, 1904; Законодательные акты переходнаго времени. 1904-1908 гг. Издание 3-е пересмотренное и дополненное по 1 сентября 1908 года. Под редакцией Н. И. Лазаревскаго. С-петербург ,1909; Государственная дума. I созыв. Стенографические отчеты. Сессия I. Том I. С-петербург, 1906; Государственная дума. I созыв. Стенографические отчеты. Сессия I. Том II. С-петербург, 1906; Государственная дума. II созыв. Стенографические отчеты. Сессия вторая. Том I. С-петербург, 1907; Государственная дума. II созыв. Стенографические отчеты. Сессия вторая. Том II. С-петербург , 1907.

[2] Воронцов-Дашков. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова. Тифлис, 1907; Воронцов-Дашков. Всеподданнейший отчет за пятилетие управления Кавказом генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова. Тифлис, 1910; Воронцов-Дашков. Всепод-даннейший отчет за восемь лет управления Кавказом генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова. С-петербург, 1913.

[3] Обзор Тифлисской губернии за 1897 год. Тифлис, 1898; Обзор Тифлисской губернии за 1898 год. Тифлис, 1899; Обзор Тифлисской губернии за 1899 год. Тифлис, 1900; Обзор Тифлисской губернии за 1900 год. Тифлис, 1901; Обзор Тифлисской губернии за 1901 год. Тифлис, 1902; Обзор Тифлисской губернии за 1902 год. Тифлис, 1903; Обзор Тифлисской губернии за 1903 год. Тифлис, 1904; Обзор Тифлисской губернии за 1904 год. Тифлис, 1905; Обзор Тифлисской губернии за 1905 год. Тифлис, 1906; Обзор Тифлисской губернии за 1906 год. Тифлис, 1907; Обзор Тифлисской губернии за 1907 год. Тифлис, 1908; Обзор Кутайской губернии за 1897 год. Кутаис, 1898; Обзор Кутайской губернии за 1898 год. Кутаис, 1899; Обзор Кутайской губернии за 1899 год. Кутаис, 1900; Обзор Кутайской губернии за 1900 год. Кутаис, 1901; Обзор Кутайской губернии за 1901 год. Кутаис, 1902; Обзор Кутайской губернии за 1902 год. Кутаис, 1903; Обзор Кутайской губернии за 1903 год. Кутаис, 1904; Обзор Кутайской губернии за 1904 год. Кутаис, 1905; Обзор Кутайской губернии за 1905 год. Кутаис, 1906; Обзор Кутайской губернии за 1906 год. Кутаис, 1907; Обзор Кутайской губернии за 1907 год. Кутаис, 1908.

სოციალისტ-რევოლუციონერების, ანარქისტებისა და სხვ.) „წერილბურჟუაზიულ", „ნაციონალისტურ" და „ანტისახალხურ" ძალად გამოცხადებას;

5. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ნაწილის, ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკების „ხალხის მტრებად", „ბურჟუაზიის აგენტებად" სახელდებას;

6. ქართველი ბოლშევიკების უძლიერეს და პროგრესისათვის მებრძოლ, ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გამოცხადებას, ქართველი ბოლშევიკი ლიდერების განდიდებას;

7. სოციალიზმისათვის ბრძოლაში ძალმომრეობის, პოლიტიკური ოპონენტების დევნა-შევიწროების, სისხლისღერის გამართლებას;

ყოველივე ზემოთ თქმული საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი იყო თუნდაც პოლიტიკური რეჟიმის აქტიური მხარდაჭერის პირობებში.

პოლიტიკური რეჟიმის მიერ ისტორიული პროცესის გაყალბება სახელმწიფო პოლიტიკის საგნად იქცა.

2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც მოღვაწეობა 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყეს, პროფესიონალი ისტორიკოსები თითქმის არ იყვნენ. 1921 წლიდან საქართველოში ისტორიის წერას შეუდგნენ სათანადო განათლების არმქონე შემთხვევითი ადამიანები, ძირითადად რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, ბოლშევიკური (კომუნისტური) იდეოლოგიის ერთგული მსახურნი.

საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიის გაყალბებას იმთავითვე დიდი ყურადღება დაუთმო, რაც სამეცნიერო-კვლევითი დანესებულებების შექმნაშიც გამოიხატა. 1918 წელს გაიხსნა **სოციალისტური აკადემია**, 1920 წელს – **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის კომისია (პარტისი)**, 1921 წელს – **კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ინსტიტუტი**. 1921 წელს აუცილებელი კადრების მომზადების მიზნით შეიქმნა **წითელი პროფესურის ინსტიტუტი**, რომლის მსმენელებად მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული, ხშირად მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე ადამიანები ირიცხებოდნენ. 1928 წელს დაარსდა **საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი**, რომლის შემადგენლობაში შევიდა ზემოთ ხსენებული **პარტისი**. 1931 წელს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტი და ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი გაერთიანდა ერთ დაწესებულებად, – **საკავშირო კომინისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტად**. საბჭოთა საქართველო იმავე გზით მიდიოდა. 1922 წელს შეიქმნა **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტისი**. პარტისი სცემდა ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს".

3. **წყაროთმცოდნეობითი ბაზა**. საქართველოს პარტისმა შეკრიბა მემუარული მასალა, არქივებში მოიძია დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ახლადშექმნილ რევოლუციის მუზეუმში ინახებოდა. მთელი ეს მუშაობა ისევე ისტორიის გაყალბებას ემსახურებოდა:

1. დღის სინათლე ვერ იხილა რამდენიმე ასეულ ტომად შეკრებილმა იმ მემუარულმა მასალამ, რომელიც ისტორიული პროცესის ობიექტურად ასახვისათვის გამოდგებოდა. ეს ლიტერატურა 70 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ იყო დაცული არქივებში. სამაგიეროდ, დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ისეთი მემუარული დოკუმენტაცია, რომელიც სუბიექტური ხედვით ხასიათდებოდა და ისტორიული პროცესის მხოლოდ გაყალბების საფუძველი ხდებოდა.

2. არქივებში დოკუმენტებისა და მასალების შერჩევა დიდი სიფრთხილით მიმდინარეობდა. პოლიტიკური რეჟიმისათვის მიუღებელი დოკუმენტები და მასალები არ ქვეყნდებოდა, ისინი საიმედოდ ინახებოდა არქივების სპეცფონდებში.

არსებობის 70 წლის განმავლობაში ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ 1897-1907 წლების შესახებ დოკუმენტებისა და მასალების ვერც ერთი სერიოზული პუბლიკაცია ვერ განახორციელა. უამრავ გამოცემას შორის გარკვეული ღირებულება გააჩნია სულ ორიოდე წიგნს.[1] არქივებში დოკუმენტებისა და მასალების შერჩევა ხდებოდა ისე, რომ წარმოჩენილიყო ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის როლი და ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება. სხვა ყველაფერი დავიწყებას უნდა მისცემოდა. გაყალბებულმა წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ შესაძლებელი გახადა ისტორიული პროცესის გამრუდება. პოლიტიკური რეჟიმი სულ უფრო აქტიურად ერეოდა ისტორიკოსთა საქმიანობაში და კიდევ უფრო მეტი სიყალბის დაკანონებას მოითხოვდა.

4. ისტორიოგრაფია. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის შესწავლის პროცესში განსაკუთრებუ-

[1] **1905 год в Тифлисе. Фактические материалы. Тифлис, 1926; Революция 1905-1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1956.**

ლი მნიშვნელობა ენიჭება არჩილ ჯორჯაძისა[1] და ნოე ჟორდანიას[2] პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ამ ორი მოღვაწის წერილები და სტატიები, რომლებიც ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა, გვეხმარება ობიექტურად დავინახოთ და ავხსნათ იმდროინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ ჯორჯაძისა და ნოე ჟორდანიას ნაწერები გარკვეული ტენდენციურობითაც ხასიათდება, თუმცა ეს სულაც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას. საქართველოს ახალი ისტორიის მესამე წიგნში წარმოდგენილი პერიოდის (1897-1907 წწ.) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების გაყალბების საძრახისი საქმე თავს იდეს ფილიპე მახარაძემ[3] და გიორგი ხაჭაპურიძემ[4]. გაყალბების მასშტაბები იმდენად დიდი და ყოვლისმომცველი იყო, რომ ისტორიული ჭეშმარიტება საერთოდ მიიჩქმალა, განაქიქეს, შეურაცხყვეს ქართველი ერის დიდი მოღვაწენი, შექმნეს ცრუგმირების გალერეა.

ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის დანყებული „საგმირო საქმეები" გააგრძელეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე აღზრდილმა მომდევნო თაობების ისტორიკოსებმა: იასონ ხუციშვილმა, იური კაჭარავამ, გრიგოლ ჟვანიამ, ლევან ეგანოვიმ და სხვებმა.[5] ხოლო შემდეგ – მათ მიერ ხელდასხმულმა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა. კონვეიერული წესით იწერებოდა და იცვებოდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, იცემოდა უამრავი წიგნი და თითქოს იმედიც აღარ რჩებოდა, რომ ოდესმე ისტორიული ჭეშმარიტება აღდგებოდა. ეს აზრი განსაკუთრებით განმტკიცდა ისტორიკოსთა დიდი კოლექტივის მიერ დანერილი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომების[6] გამოსვლის შემდეგ.

დღეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაწვრილებით განხილვასა და შეფასებაზე აზრი არ აქვს, ყველაფერი ისედაც ნათელია. ესეც რომ არ იყოს, წარმოუდგენელია რამდენიმე ასეული სტატიისა და წიგნის ცალ-ცალკე განხილვა და შეფასება. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ გამოცემაზე – „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის VI ტომზე. ტომი 1900-1921 წლებს მოიცავს და მისი რედაქტორი აკაკი სურგულაძეა.[7] თუ არ ჩავთვლით თითქმის რვაასგვერდიანი ნაშრომის ზოგიერთ პარაგრაფს, რომელთა ავტორად გრიგოლ მარგიანი გვევლინება, ეს წიგნი ისტორიული პროცესის გაყალბების ნიმუშად უნდა მიეჩნიოთ. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოებანი:

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომი უმეტეს შემთხვევაში ემყარება საბჭოთა ისტორიკოსების მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში შექმნილ წყაროთმცოდნეობით ბაზას. არ მომხდარა არქივებში დაცული იმ დოკუმენტებისა და მასალების მოძიება და ანალიზი, რომლებსაც საგანგებოდ მალავდა პოლიტიკური რეჟიმი. ის მასალაც კი არ შემოსულა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომლის პუბლიკაციასაც საბჭოთა ცენზურა უკვე აღარ კრძალავდა. როგორც ჩანს, ავტორებმა თავი დაიზღვიეს, ზედმეტ გართულებებს მოერიდნენ და უკვე გამოქვეყნებულ, ე. ი. პოლიტიკური რეჟიმისათვის მისაღებ დოკუმენტებსა და მასალებს დაეყრდნენ. ამოქმედდა თვითცენზურის ინსტინქტი, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიას მუდამ ახასიათებდა. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: არქივებში დაცული

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი პირველი. ტფილისი, 1911; თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეორე. ტფილისი, 1911; თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მესამე. ტფილისი, 1911; თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911; თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეხუთე. ტფილისი, 1914; არჩილ ჯორჯაძე. ძველი და ახალი. ტფილისი, 1906; საბუელი [არჩილ ჯორჯაძე]. სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. თბილისი, 1907;

[2] ნოე ჟორდანია. რჩეული ნაწერები. თფილისი, 1911.

[3] იხ.: ფ. მახარაძე. 1905 წელი ამიერკავკასიაში. ტფილისი, 1926 (მეორე გამოცემა: ტფილისი, 1932); **Ф. Махарадзе. Очерки революционного движения в Закавказье. Часть I-II, Тифлис, 1927; Ф. Махарадзе, Г. Хачапуридзе. Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии. Москва, 1932.**

[4] გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს XIX-XX საუკუნეთა ისტორია. თბილისი, 1940; გ.ხაჭაპურიძე. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბილისი, 1941.

[5] ი. ხუციშვილი. 1905-1907 წწ. რევოლუცია საქართველოში. თბილისი, 1955; ი. კაჭარავა. სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, 1959; ი. კაჭარავა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბილისი, 1962; Г. Жвания. В.И. Ленин и Кавказский Союз РСДРП. Тбилиси, 1956; ლ. ეგანოვიმ. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. თბილისი, 1959; ი. მელქაძე. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში. თბილისი, 1960; ი. შორცხოლავა. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში. თბილისი, 1964.

[6] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. სამ ნაწილად. ნაწილი პირველი. თბილისი, 1971; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. თბილისი, 1972.

[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. თბილისი, 1972.

ახალი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ნათელს მოჰფენდა ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების, მათ შორის ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომის ავტორთა, მიერ ისტორიული პროცესის გაყალბების საძრახ საქმეს;

2. ისტორიული პროცესი ძირითადად, მცირე გამონაკლისის გარდა, ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში შემუშავებული სქემების საფუძველზეა გააზრებული;

3. განსაკუთრებით უხეშადაა გაყალბებული: ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და პოლიტიკური აზრის ისტორია; ბ) პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ისტორია; გ) პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა მხოლოდ ბოლშევიკთა მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული; დ) მთლიანადაა გაყალბებული ეროვნული მოძრაობის მიზნები და ამ მიზნებისათვის ბრძოლის ისტორია. აშკარა სიყალბესთან ერთად, იგრძნობა იმ ეპოქის პოლიტიკურ მოღვაწეთა აბუჩად აგდებისა და მათ მიმართ ცინიკური დამოკიდებულების გამომჟღავნების სურვილი.

მონოგრაფიებსა და ნარკვევებში დამკვიდრებულმა სიყალბემ გადაინაცვლა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც. ამ ტენდენციამ თავი იჩინა **ნიკო ბერძენიშვილის, ვარლამ დონდუას, მამია დუმბაძის, იური კაჭარავას, გიორგი მელიქიშვილის, შოთა მესხიასა და პროკოფი რატიანის** ავტორობით 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში[1], რომელიც საშუალო სკოლის VII-X კლასებისათვის იყო განკუთვნილი. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), რომლის ავტორები არიან **ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ დონდუა, გიორგი მელიქიშვილი და შოთა მესხია**, დაწერილია ივანე ჯავახიშვილის სკოლის მიღწევებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე, 1801-1918 წლების ისტორია, არსებითად გაყალბებულია. იგივე ითქმის **პროკოფი რატიანის, აბელ კიკვიძის, იური კაჭარავასა და აკაკი სურგულაძის** ავტორობით 1962 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაზე" (ტ. II)[2]. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა 1960 წელს **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუასა და აკაკი სურგულაძის** „საქართველოს ისტორიასა" (ტ. III)[3] და 1968 წელს გამოცემულ **ლუკა ციხისთავის, ილია მახარაძისა და მიხეილ ცერცვაძის** „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოებში[4]. სამწუხაროა, რომ ნაყალბევი ისტორია რუსულ ენაზეც იბეჭდებოდა. 1968 წელს რუსულად გამოიცა **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუას, აკაკი სურგულაძის, ცეცილია კალანდაძის, მირონ ქორჩაშვილის, მაყვალა ნარიმელაძისა და სანდრო ჩხარტიშვილის** „საქართველოს ისტორია"[5].

საბჭოთა სისტემის რღვევის პერიოდსა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაღვანის კრიტიკული შეფასება. მოძიებული და გამოქვეყნებული იქნა საინტერესო საარქივო მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ემიგრანტული ლიტერატურა, დაიწერა უამრავი სტატია და წიგნი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემული ნაშრომების ნანილი დანერილია ნაჩქარევად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქებულია ზერელედ და, რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, აშკარად იგრძნობა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მანკიერი ტრადიციის გავლენა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მომხდარი ძვრები აისახა საშუალო სკოლისა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზეც. 2000 წელს გამოიცა **მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის** საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო IX კლასისათვის.[6] 2001 წელს ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა გამოვიდა, 2002 წელს – მესამე, ყოველ მომდევნო წელს ახალი გამოცემა გამოდიოდა, ასე რომ, 2005 წელს უკვე მეექვსე გამოცემა დაიბეჭდა. 2002 წელს გამოიცა **მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის** საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო XI კლასისათვის[7]. 2003 წელს ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა გამოვიდა, 2004 წელს – მესამე, 2006 წელს – მეოთხე გამოცემა. აღნიშნული სახელმძღვანელოები 2003 წელს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენ-

[1] **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პრ. რატიანი.** საქართველოს ისტორია. თბილისი, 1958

[2] **პრ. რატიანი, აბ. კიკვიძე, ი. კაჭარავა, აკ. სურგულაძე.** საქართველოს ისტორია. თბილისი, 1962.

[3] **ი. კაჭარავა, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა და აკ. სურგულაძე.** საქართველოს ისტორია. III. თბილისი, 1960.

[4] **ლ. ციხისთავი, ილ. მახარაძე, მ. ცერცვაძე.** საქართველოს ისტორია. თბილისი, 1968.

[5] **Ю. Качарава, Н. Махарадзе, Н. Стуруа, А. Сургуладзе, Ц. Каландадзе, М. Кочиашвили, М. Натмеладзе, С. Чхартишвили.** История Грузии. III. Учебное пособие. Тбилиси, 1968.

[6] იხ.: **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 2000.

[7] იხ.: **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). XI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 2002.

ებზეც დაიბეჭდა.

სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნამ საფუძველი მოუმზადა საუნივერსიტეტო კურსის გამოცემას. 2003 წელს **ვახტანგ გურულის** თანაავტორობითა და რედაქციით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ გამოსცა საქართველოს XX საუკუნის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო[1]. 2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ პროფესორ **ვახტანგ გურულის** თანაავტორობითა და რედაქციით გამოსცა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო[2]. 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ აკადემიკოს **როინ მეტრეველის** თანაავტორობითა და რედაქციით გამოსცა ქართული დიპლომატიის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო[3], რომლის XI თავი XX საუკუნის ისტორიას ეძღვნება.

ახალი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: **გურამ შარაძე**, მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**, **სერგო ვარდოსანიძე**, **დიმიტრი შველიძე**, **მერაბ ეაჩნაძე**, **გელა საითიძე**, **ოთარ ჯანელიძე**, **გვანცა ბურდული**, **ჯემალ კარალიძე**, **ლატავრა ბუკია**, **ბექა კობახიძე**, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ინგლისელი ისტორიკოსი **სტივენ ჯონსი** და სხვები. განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ **გურამ შარაძე**[4], მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**[5], **სერგო ვარდოსანიძე**[6], **ჯემალ კარალიძე**[7], **გვანცა ბურდული**[8].

ნიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ საარქივო დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციები, რომელთა გამოსაცემად მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს: **ა. იოვიძემ**, **ს. მაღლაკელიძემ**, **შ. ჩხეტიამ**, **შ. ცაგარეიშვილმა** და სხვებმა. ამ პუბლიკაციებში პირველად იხილა დღის სინათლე უაღრესად მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა საქართველოსა და რუსეთის არქივებიდან.

[1] იხ.: საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003.

[2] იხ.: საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2004.

[3] იხ.: ქართული დიპლომატიის ისტორია. აკად. როინ მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 2003.

[4] გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე.1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე. ორ წიგნად. თბილისი, 1987.

[5] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი. 2009.

[6] სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე(1917-2017წწ.). თბილისი, 2017.

[7] ჯემალ კარალიძე. აჭარა 1878-1903 წლებში. ბათუმი, 2009.

[8] გვანცა ბურდული. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი). თბილისი, 2012.

პირველი განყოფილება

საქართველო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს

თავი I. საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა


(1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით)

საქართველოს ისტორიული ტერიტორია 1897 წლისათვის რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში თბილისის გუბერნიის, ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქს სახით იყო წარმოდგენილი (1878 წელს შექმნილი დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული – ბათუმის ოლქი – 1883 წელს გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ბათუმის ოლქი 1903 წელს აღადგინეს). სანამ საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევეხოთ რუსეთის იმპერიის ტერიტორიასა და მოსახლეობას.

1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით დგინდება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს იმპერიის მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა: 1858 წელს – 68.000.000 სული, 1897 წელს – 116.000.000 სული, 1914 წელს – 169.000.000 სული (ამ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის პოლონეთის სამეფოსა და ფინეთის დიდი სამთავროს მოსახლეობის რაოდენობა). XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ზრდა ძირითადად მაღალი შობადობის ხარჯზე ხდებოდა, ხოლო 1850-1910 წლებში – სიკვდილიანობის შემცირების ხარჯზე. 1850-1910 წლებში, მართალია, შობადობა ყოველ 1.000 სულზე 52-დან 50 ახალშობილამდე შემცირდა, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობაც ყოველ 1.000 სულზე 39-დან 34 კაცამდე. საერთო ჯამში, 1900-1910 წლებში მოსახლეობა 1,4-ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის ზრდა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობაზეც აისახა. 1858 წელს ქალაქებში რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობის 9,2% ცხოვრობდა, 1897 წელს – 12,5%, 1914 წელს – 14,3%. რეალურად ქალაქის მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ აღწერისას მას არ მიათვალეს დიდი დასახლებების მცხოვრებლები, რომელთაც ქალაქის სტატუსი არ ჰქონდათ: აზოვი (27.500 მცხოვრები), სერგიევ პოსადი (25.000 მცხოვრები), იუზოვკა (29.000 მცხოვრები), კრივოი როგი (18.000 მცხოვრები) და სხვ. 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, იმპერიაში რეგისტრირებული იყო 865 ქალაქი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ეს ციფრი 947-ს აღწევდა. 1863 წლისათვის რუსეთის იმპერიაში 100.000 სულზე მეტი მცხოვრები იყო 3 ქალაქში, 1897 წელს ამ რაოდენობის მოსახლეობა უკვე 17 ქალაქში, ხოლო 1914 წელს 29 ქალაქში იყო აღრიცხული. 1914 წლისათვის რუსეთის იმპერიის 29 ქალაქში 9.400.000 სული ცხოვრობდა. ყველაზე მეტი მცხოვრები 1914 წელს აღრიცხული იყო სანკტ-პეტერბურგსა (2.300.000 სული) და მოსკოვში (1.600.000 სული). 1914 წლისათვის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიაში დაახლოებით 200 სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც 146 ენასა და დიალექტზე საუბრობდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას სლავები შეადგენდნენ, რომლებიც 16 ენასა და დიალექტზე მეტყველებდნენ. 1917 წლამდე ტერმინი „რუსი“ აღმოსავლეთ სლავებს (რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს) გულისხმობდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით, ველიკოროსები (55.400.000 სული) მთელი მოსახლეობის 47,8%-ს შეადგენდნენ, მალოროსები (22.000.000 სული) – 19%-ს, ბელოროსები (5.900.000 სული) – 6,1%-ს. ერთად აღებული ველიკოროსები (რუსები), მალოროსები (უკრაინელები) და ბელოროსები (ბელორუსები) რუსეთის იმპერიის მოსახლეობის უმეტესობას – 83.300.000 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 71,9%-ს – შეადგენდნენ. რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების გარდა, რუსეთის იმპერიაში სხვა სლავებიც ცხოვრობდნენ: სერბები, ბულგარელები და სხვ. სლავების შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქულენოვანი ხალხები – ყაზახები (4.000.000 სული) და თათრები (3.700.000 სული). რუსეთში ძალზე მრავალრიცხოვანი იყო ებრაული დიასპორა – 3.800.000 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 3,3% (კიდევ 2.000.000 ებრაელი პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე



რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიის გუბერნიები. 1914 წ. (წყარო: www.kavkaz-uzel.eublogs83772posts27305).

ცხოვრობდა). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: ლატვიელები (1.400.000 სული), გერმანელები (1.400.000 სული), მოლდაველები (1.200.000 სული), სომხები (1.200.000 სული), მორდველები (1.000.000 სული), ესტონელები (1.000.000 სული). 1897 წლის 28 იანვრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ანკეტაში გრაფა ეროვნება არ ყოფილა, სამაგიეროდ, იყო გრაფა მშობლიური ენა. ამის გამო, ცხადია, ზუსტად არ დგინდება რამდენი ქართველი ცხოვრობდა საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა – თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქში. სხვადასხვა მონაცემის შეჯერების შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დაახლოებით 1.000.000 – 1.200.000 ქართველი ცხოვრობდა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ქართველთა რაოდენობა შეიძლება მეტიც ყოფილიყო.

1897 წელს რუსეთის იმპერიის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა ასეთი იყო: მართლმადიდებლები – 87.100.000 სული (მთელი მოსახლეობის 76%), მუსლიმები – 13.900.000 სული (11,9%), იუდეველები – 3.600.000 სული (3,1%), კათოლიკეები – 1.500.000 სული (1,2%), პროტესტანტები – 2.400.000 სული (2%). გარდა ამისა, რუსეთის იმპერიაში არსებობდა სხვადასხვა სექტა.

§1. თბილისის გუბერნიის ტერიტორია და მოსახლეობა

1. ტერიტორია. მოსახლეობის საერთო რაოდენობა და სქესობრივი თანაფარდობა. 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თბილისის გუბერნიის მოსახლეობა 1.051.032 სულს უდრიდა (575.447 სული მამრობითი სქესისა, 475.585 სული მდედრობითი სქესისა). გუბერნიის ტერიტორია, შიდა წყლების ფართობის ჩაუთვლელად, 39.122 კვადრატულ ვერსს უდრიდა და 9 მაზრასა და 1 ოკრუგს შორის იყო განაწილებული:

1. **თბილისის მაზრა** (ცენტრი ქალაქი თბილისი);
2. **ახალციხის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ახალციხე);
3. **ახალქალაქის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ახალქალაქი);
4. **ბორჩალოს მაზრა** (ცენტრი სოფელი შულავერი);
5. **გორის მაზრა** (ცენტრი ქალაქი გორი);
6. **დუშეთის მაზრა** (ცენტრი ქალაქი დუშეთი);
7. **თიანეთის მაზრა** (ცენტრი სოფელი თიანეთი);
8. **თელავის მაზრა** (ცენტრი ქალაქი თელავი);
9. **სიღნაღის მაზრა** (ცენტრი ქალაქი სიღნაღი);
10. **ზაქათალის ოკრუგი** (ცენტრი ქალაქი ზაქათალა).

ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილი – ისტორიული დვალეთი – 1897 წლისათვის თბილისის გუბერნიის გორის მაზრას აღარ ეკუთვნოდა, იგი თერგის ოლქის ვლადიკავკაზის ოკრუგში შედიოდა.

თბილისის გუბერნიის მოსახლეობის 21,4% (224.796 სული) ქალაქში ცხოვრობდა, 78,6% (826.236 სული) – სოფლად. ქალაქებში მოსახლეობა ასე იყო განაწილებული:

1. **თბილისი** – 159.590 სული;
2. **ახალციხე** – 15.357 სული;
3. **თელავი** – 13.929 სული;
4. **გორი** – 10.269 სული;
5. **ახალქალაქი** – 5.400 სული;
6. **დუშეთი** – 2.560 სული;
7. **სიღნაღი** – 8.994 სული;
8. **ზაქათალა** – 3.390 სული;

ამრიგად, თბილისის გუბერნიის ქალაქებიდან ყველაზე მეტი მოსახლეობა თბილისში ცხოვრობდა (159.590 სული), შემდეგ მოდიოდა ახალციხე (15.357 სული), თელავი (13.929 სული) და გორი (10.269 სული).

მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა. თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა ასეთ სურათს იძლეოდა: გუბერნიაში ყოველ 1.000 მამაკაცზე საშუალოდ 701 ქალი მოდიოდა, მათ შორის:

1. ქალაქ თბილისში: 1.000 მამაკაცზე – 675 ქალი;
2. თბილისის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 761 ქალი;
3. თიანეთის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 1.086 ქალი;
4. ახალქალაქის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 940 ქალი;
5. დუშეთის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 910 ქალი;
6. ახალციხის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 894 ქალი;
7. გორის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 975 ქალი;
8. თელავის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 853 ქალი;
9. ბორჩალოს მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 824 ქალი;

10. სიღნაღის მაზრაში: 1.000 მამაკაცზე – 813 ქალი;

11. ზაქათალის ოკრუგში: 1.000 მამაკაცზე – 871 ქალი.

ამრიგად, თიანეთის მაზრაში ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობას სჭარბობდა (1.000 მამაკაცზე 1.086 ქალი მოდიოდა). ქალების რაოდენობა თითქმის უახლოვდებოდა მამაკაცების რაოდენობას გორისა (1.000 მამაკაცზე 975 ქალი) და დუშეთის (1.000 მამაკაცზე 910 ქალი) მაზრებში.

1897 წლის მონაცემებით, როგორც აღვნიშნეთ, თბილისის გუბერნიის ტერიტორია, შიგა ნყლების ფართობის ჩაუთვლელად, 39.122 კვადრატულ ვერსს უდრიდა, ხოლო მოსახლეობა 1.051.032 სულს შეადგენდა (575.447 სული მამრობითი სქესისა, 475.585 სული მდედრობითი სქესისა). 1 კვადრატულ ვერსზე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 26,86 კაცს უდრიდა. გუბერნიის ტერიტორიაზე დროებით ცხოვრობდა: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 28.662 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 15.427 სული.

თბილისის გუბერნიის 9 მაზრა და 1 ოკრუგი 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ასეა წარმოდგენილი:

1. **თბილისის მაზრა:** ტერიტორია – 3.688,4 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 234.632 სული (137.849 სული მამრობითი სქესისა, 96.783 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 63,71 სული; დროებით მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 7.398 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 10.371 სული.

მაზრის ცენტრის, თბილისის, მოსახლეობა, როგორც აღვნიშნეთ, 159.500 სულს შეადგენდა (95.240 სული მამრობითი სქესისა, 64.350 მდედრობითი სქესისა); ქალაქში დროებით ცხოვრობდა: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 3.548 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი 9.242 სული.

ქალაქ თბილისის მოსახლეობის აღწერასთან ერთად აღიწერა ქალაქის გარეუბნების, მის გარშემო დასახლებებისა და სოფლების მოსახლეობა:

– **ბოტანიკური ბაღის დასახლება** (49.000 სული);

– **ბერძნული გარეუბანი** (1.094 სული);

– **ვერეს შოსეს დასახლება** (7.000 სული);

– **ხარფუხის გარეუბანი** (1.694 სული);

– **ორთაჭალის გარეუბანი** (94 სული);

– **ორთაჭალის ბაღების დასახლება** (111 სული);

– **კაზანისის დასახლება** (100 სული);

– **ფაბრიკის დასახლება** (27 სული);

– **ერევანსკის შოსეს დასახლება** (106 სული);

– **ავლაბრის გარეუბანი** (26.164 სული);

– **რკინიგზის ხაზის გადაღმა დასახლება** (20 სული);

– **ნოეტროიცკის დასახლება** (48 სული);

– **კახეთის შოსეს დასახლება** (63 სული);

– **აეულაბრის წმ. კარაპეტის გარეუბანი** (1.022 სული);

– **ნავთლუღის გარეუბანი** (4.419 სული);

– **რიყის გარეუბანი** (3.093 სული);

– **ჩუღურეთის გარეუბანი** (5.138 სული);

– **დიდუბის გარეუბანი** (3.119 სული);

– **ნაძალადევის გარეუბანი** (3.316 სული);

– **სოფელი მაშუკინი** (259 სული);

– **ნორიოს დასახლება** (1.434 სული).


2. **ახალქალაქის მაზრა:** ტერიტორია – 2.368,6 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 72.709 სული (37.907 სული მამრობითი სქესისა, 34.806 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 30,69 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.001 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 396 სული;

3. **ახალციხის მაზრა:** ტერიტორია – 2.2259,6 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 68.837 სული (36.807 სული მამრობითი სქესისა, 32.030 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 30.46 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 743 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 402 სული;

4. **ბორჩალოს მაზრა:** ტერიტორია – 5.938,5 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 128.587 სული (70.501 სული მამრობითი სქესისა, 58.086 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 21,65 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 7.802 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 3.349 სული;

5. **გორის მაზრა:** ტერიტორია – 6.033,9 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 191.091 სული (102.837 სული მამრობითი სქესისა, 88.254 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 31,67 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.990 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 576 სული;

6. **დუშეთის მაზრა:** ტერიტორია 3.437,9 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 67.719 სული (35.848 სული მამრობითი სქესისა, 31.871



თბილისი გუბერნია. XIX საუკუნის დასასრული (წყარო: Большой энциклопедическiй словарь Брокгауза и Ефрона).

სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 19,69 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 905 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 106 სული;

7. სიღნაღის მაზრა: ტერიტორია – 4.620,0 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 102.313 სული (55.958 სული მამრობითი სქესისა, 46.355 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 22,15 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 5.413 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 88 სული;

8. თელავის მაზრა: ტერიტორია – 2.974,5 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 66.767 სული (35.895 სული მამრობითი სქესისა, 30.872 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 22,44 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 146 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 26 სული;

9. თიანეთის მაზრა: ტერიტორია – 4.256,3 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 34.153 სული (16.431 სული მამრობითი სქესისა, 17.722 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 8,02 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 494 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 12 სული;

10. ზაქათალის ოკრუგი: ტერიტორია – 3.544,3 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 84.224 სული (45.418 სული მამრობითი სქესისა, 38.806 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 23,76 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2.313 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 77 სული.

ამრიგად, თბილისის გუბერნიის მაზრებიდან ყველაზე მეტი ტერიტორია ეკავა გორის მაზრას (6.033,9 კვადრატული ვერსი), შემდეგ მოდიოდა ბორჩალოს მაზრა (5.938,5 კვადრატული ვერსი), სიღნაღის მაზრა (4.620,0 კვადრატული ვერსი). მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველობდა თბილისის მაზრა (234.632 სული), შემდეგ მოდიოდა გორის მაზრა (191.091 სული), ბორჩალოს მაზრა (128.587 სული) და სიღნაღის მაზრა (102.313 სული). 1 კვადრატულ ვერსზე მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე მაღალი იყო თბილისის მაზრაში (63,71 სული), შემდეგ მოდიოდა გორის მაზრა (31,67 სული), ახალქალაქის მაზრა (30,69 სული) და ახალციხის მაზრა (30,46 სული).

2. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ანკეტაში გრაფა ეროვნება არ ყოფილა შეტანილი. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისათვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ანკეტების გრაფიდან – **მშობლიური ენა** – ამოკრეფილი მასალა. ცხადია, ეს მასალა ზუსტ სურათს ვერ იძლევა, შეუძლებელი ხდება ცდომილების დადგენაც.

თბილისის გუბერნიაში ქართული მშობლიურ ენად (დედაენად) მიიჩნია 165.737 სულმა, სომხური ენა – 196.189 სულმა, თათრული ენა – 107.338 სულმა, რუსული ენა – 85.772 სულმა, ოსური ენა – 67.263 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 34.130 სულმა, დანარჩენი ენები – 94.753 სულმა.

თბილისის გუბერნიის მაზრებსა და ზაქათალის ოკრუგში მშობლიურ ენებად მიიჩნიეს:

1. **თბილისის მაზრაში:** ქართული ენა 80.293 სულმა, სომხური ენა – 57.933 სულმა, რუსული ენა – 55.373 სულმა, ოსური ენა – 1.712 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 124 სულმა, თათრული ენა – 13.764 სულმა, სხვა ენები – 25.413 სულმა;

2. **ახალქალაქის მაზრაში:** ქართული ენა 6.448 სულმა, სომხური ენა – 52.530 სულმა, რუსული ენა – 5.453 სულმა, ოსური ენა – 4 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 6 სულმა, თათრული ენა – 6.572 სულმა, სხვა ენები – 1.687 სულმა;

3. **ახალციხის მაზრაში:** ქართული ენა 12.211 სულმა, სომხური ენა – 15.144 სულმა, რუსული ენა – 2.238 სულმა, ოსური ენა – 14 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 6 სულმა, თათრული ენა – 12.370 სულმა, სხვა ენები – 26.854 სულმა;

4. **ბორჩალოს მაზრაში:** ქართული ენა – 7.840 სულმა, სომხური ენა – 47.423 სულმა, რუსული ენა – 9.340 სულმა, ოსური ენა – 628 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 240 სულმა, თათრული ენა – 37.742 სულმა, სხვა ენები – 25.365 სულმა;

5. **გორის მაზრაში:** ქართული ენა – 124.180 სულმა, სომხური ენა – 7.686 სულმა, რუსული ენა – 5.623 სულმა, ოსური ენა – 50.036 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 30 სულმა, თათრული ენა – 432 სულმა, სხვა ენები – 3.104 სულმა;

6. **დუშეთის მაზრაში:** ქართული ენა – 49.690 სულმა, სომხური ენა – 1.680 სულმა, რუსული ენა – 1.035 სულმა, ოსური ენა – 14.523 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 17 სულმა, თათრული ენა – 405 სულმა, სხვა ენები – 369 სულმა;

7. **სიღნაღის მაზრაში:** ქართული ენა – 84.827 სულმა, სომხური ენა – 6.992 სულმა, რუსული ენა – 4.910 სულმა, ოსური ენა – 30 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 279 სულმა, თათრული ენა – 5.272 სულმა, სხვა ენები – 603 სულმა;

8. თელავის მაზრაში: ქართული ენა – 57.357 სულმა, სომხური ენა – 4.754 სულმა, რუსული ენა – 719 სულმა, ოსური ენა – 88 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 1.752 სულმა, თათრული ენა – 1.873 სულმა, სხვა ენები – 224 სულმა;

9. თიანეთის მაზრაში: ქართული ენა – 30.302 სულმა, სომხური ენა – 538 სულმა, რუსული ენა – 0 სულმა, ოსური ენა – 227 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 6 სულმა, თათრული ენა – 3 სულმა, სხვა ენები – 2.438 სულმა;

10. **ზაქათალის ოკრუგში:** ქართული ენა – 12.389 სულმა, სომხური ენა – 2.100 სულმა, რუსული ენა – 2.100 სულმა, ოსური ენა – 6 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები (ძირითადად ლეკური ენა) – 31.670 სულმა, თათრული ენა – 28.950 სულმა, სხვა ენები – 8.675 სულმა.

ამრიგად, თბილისის გუბერნიის მაზრებიდან მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა ქართულ ენას მშობლიურად მიიჩნევდა: გორის მაზრაში (124.180 სული), სიღნაღის მაზრაში (84.827 სული), თელავის მაზრაში (57.357 სული). საინტერესოა, რომ ზაქათალის ოკრუგში (ისტორიულ ჭარ-ბელაქანში) ქართულს მშობლიურ ენად მიიჩნევდა 12.389 სული, ჩრდილო კავკასიურ ენებს (ძირითადად ლეკურ ენას) – 31.670 სული, თათრულ ენას – 28.950 სული.

3. მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით, თბილისის გუბერნიის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა ასეთი იყო:

1. მართლმადიდებლები – 584.821 სული;
2. სტაროობრიადცები – 16.209 სული;
3. სომხურ-გრიგორიანული – 210.181 სული;
4. რომაულ-კათოლიკური – 11.584 სული;
5. პროტესტანტული – 8.822 სული;
6. სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობები – 202 სული;
7. იუდეველები – 9.725 სული;
8. მუსლიმები – 189.028 სული;
9. სხვა არაქრისტიანები – 304 სული.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თბილისის გუბერნიის მოსახლეობის უმრავლესობა (584.821 სული) მართლმადიდებელი იყო, შემდეგ მოდიოდნენ: სომხურ-გრიგორიანული რწმენის მიმდევრები (210.181 სული) და მუსლიმები (189.028 სული).

4. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით, თბილისის გუბერნიაში სოციალური წოდებები ასეთი თანაფარდობით იყო წარმოდგენილი:

1. თავადაზნაურობა – 44.389 სული (4,2%);
2. სასულიერო წოდება – 10.863 სული (1%);
3. საპატიო მოქალაქეები 5.274 სული (0,5%);
4. ვაჭრები – 3.947 სული (0,4%);
5. მეშჩანები – 102.421 სული (9,7%);
6. გლეხები – 865.887 სული (82,4%);
7. სოციალური წოდების უქონელნი – 2.824 სული (0,3%);
8. უცხოელები – 15.427 სული (1,5%).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თბილისის გუბერნიაში ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალურ წოდებას გლეხობა შეადგენდა (865.887 სული, მთელი მოსახლეობის 82,4%); შემდეგ მოდიოდნენ მეშჩანები (102.421 სული, 9,7%).

5. ადგილობრივი და მოსული მოსახლეობის თანაფარდობა. თბილისის გუბერნიაში მოსახლეობა შემოდიოდა, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა გუბერნიებიდან (ძირითადად კავკასიის გუბერნიებიდან), ისე უცხოეთის სახელმწიფოებიდან. გუბერნიის მოსახლეობის 82,9% (870.974 სული) ადგილობრივ მოსახლეობას განეკუთვნებოდა. ქალაქ თბილისში მოსახლეობის 43,7% ადგილობრივი იყო, თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობა გაცილებით დიდი იყო და საშუალოდ 78,1%-ს აღწევდა. თბილისის გუბერნიაში შემოსული მოსახლეობის უმრავლესობა კავკასიის გუბერნიებიდან იყო: ქუთაისის გუბერნიიდან – 20.832 სული, დაღესტნის ოლქიდან – 9.863, ერევნის გუბერნიიდან – 7.614, ელისავეტპოლის გუბერნიიდან 7.184. თბილისის გუბერნიაში შემოსული უცხოეთში დაბადებული 14.869 სულიდან ოსმალეთში დაბადებული იყო 7.283, ირანში – 6.072, გერმანიაში – 460, ავსტრია-უნგრეთში – 339.

6. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები. უცხო სახელმწიფოთა 15.427 ქვეშევრდომი შემდეგი სახელმწიფოების მოქალაქეები იყვნენ:

1. ირანის – 8.142 სული (52,8%);
2. ოსმალეთის – 5.508 სული (35,7%);
3. გერმანიის – 589 სული (3,8%);
4. ავსტრია-უნგრეთის – 291 სული (1,8%);
5. საფრანგეთის – 192 სული (1,2%);
6. იტალიის – 259 სული (1,7%);
7. შვეიცარიის – 180 სული (1,2%);
8. დიდი ბრიტანეთის – 68 სული (0,4%);
9. საბერძნეთის – 55 სული (0,4%);
10. შვედეთის – 20 სული (0,1%);
11. ბელგიის – 20 სული (0,1%);
12. სერბეთის – 21 სული (0,1%);
13. ესპანეთის – 12 სული (0,1%);
14. ცენტრალური ამერიკის ქვეყნების – 11 სული (0,1%);
15. ჩერნოგორიის – 9 სული (0,1%),

16. **დანიის** – 12 სული (0,1%),

17. **ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების** – 11 სული (0,1%),

18. **სხვა სახელმწიფოების** – 27 სული (0,2%).

ამრიგად, თბილისის გუბერნიაში მცხოვრები 15.427 უცხოელიდან ყველაზე მეტი ირანის მოქალაქე იყო (8.142 სული, ყველა უცხოელის 52,8%), შემდეგ მოდიოდა ოსმალეთის მოქალაქე (5.508 სული, ყველა უცხოელის 35,7%), გერმანიის მოქალაქე (589 სული, ყველა უცხოელის 3,8%).

§2. ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია და მოსახლეობა

1. ტერიტორია. მოსახლეობის საერთო რაოდენობა და სქესობრივი თანაფარდობა. 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია, შიგა წყლების ფართობის ჩაუთვლელად, 32.051 კვადრატულ ვერსს უდრიდა, ხოლო მოსახლეობა – 1.058.241 სულს შეადგენდა (549.504 სული მამრობითი სქესისა, 508.737 სული მდედრობითი სქესისა). გუბერნიის ტერიტორია 7 მაზრისა და 3 ოკრუგისაგან შედგებოდა:

1. **ქუთაისის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ქუთაისი);

2. **ზუგდიდის მაზრა** (ცენტრი დაბა ზუგდიდი);

3. **ლეჩხუმის მაზრა** (ცენტრი სოფელი ცაგერი);

4. **ოზურგეთის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ოზურგეთი);

5. **რაჭის მაზრა** (ცენტრი სოფელი ონი);

6. **სენაკის მაზრა** (ცენტრი დაბა ახალსენაკი და ქალაქი ფოთი);

7. **შორაპნის მაზრა** (ცენტრი სოფელი ყვირილა);

8. **ბათუმის ოკრუგი** (ცენტრი ქალაქი ბათუმი);

9. **არტვინის ოკრუგი** (ცენტრი დაბა არტვინი);

10. **სოხუმის ოკრუგი** (ცენტრი ქალაქი სოხუმი).

1903 წლის 17 მარტს ბათუმისა და არტვინის ოკრუგები გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და კვლავ აღდგა დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული **ბათუმის ოლქი**. ოლქს სათავეში ედგა სამხედრო გუბერნატორი. 1903 წელსვე სოხუმის ოკრუგი გამოყვეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან და, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, უშუალოდ კავკასიის მთავარმართებელს დაექვემდებარა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა გუბერნატორის თანამდებობად გადაკეთდა. 1904 წელს სოხუმის ოკრუგის ნაწილი – **გაგრის სექტორი** – შაიი ზღვისპირეთის გუბერნიის სოჭის ოკრუგს შეუერთდა. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ ქალაქი **ფოთი** სენაკის მაზრას დაუქვემდებარეს, თუმცა რეალურად ფოთი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და მას ქალაქის საკრებულო და ქალაქის თავი განაგებდა.

ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის 9,21 % (97.516 სული) ქალქის მოსახლეობაზე მოდიოდა, 90,79% (960.725 სული) – სოფლის მოსახლეობაზე. ქალაქებში მოსახლეობა ასე იყო განაწილებული:

1. **ქუთაისი** –32.476 სული
2. **ბათუმი** – 28.508 სული;
3. **სოხუმი** – 7.998 სული;
4. **ფოთი** – 7.346 სული;
5. **ოზურგეთი** – 4.710 სული.

მაზრებისა და ოკრუგების ცენტრებში მოსახლეობის შედარებით მცირე რაოდენობა ცხოვრობდა:

1. **დაბა არტვინში** – 7.091 სული;
2. **დაბა ზუგდიდში** – 3.407 სული;
3. **სოფელ ყვირილაში** – 2.100 სული;
4. **სოფელ ონში** – 1.255 სული;
5. **დაბა ახალსენაკში** –1.248 სული;
5. **სოფელ ცაგერში** – 687 სული.

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიის ქალაქებიდან ყველაზე მეტი მოსახლეობა ქუთაისში იყო აღრიცხული – 32.476 სული, შემდეგ მოდიოდა ბათუმი (28.508 სული), სოხუმი (7.998 სული) და ფოთი (7.346 სული).

მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა. ქუთაისის გუბერნიაში მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა ასეთ სურათს იძლეოდა:

1. **ქუთაისის მაზრა** – 113.848 სული მამრობითი სქესისა, 107.817 სული მდედრობითი სქესისა;

2. **ლეჩხუმის მაზრა** – 23.522 სული მამრობითი სქესისა, 24.257 სული მდედრობითი სქესისა;

3. **ზუგდიდის მაზრა** –58.043 სული მამრობითი სქესისა, 56.826 სული მდედრობით სქესისა;

4. **ოზურგეთის მაზრა** – 45.428 სული მამრობითი სქესისა, 44.900 სული მდედრობითი სქესისა;

5. **რაჭის მაზრა** – 25.764 სული მამრობითი სქესისა, 34.657 სული მდედრობითი სქესისა;

6. **სენაკის მაზრა** – 58.585 სული მამრობითი სქესისა, 57.200 სული მდედრობითი სქესისა;

7. **შორაპნის მაზრა** – 82.267 სული მამრობითი სქესისა, 74.366 სული მდედრობითი სქესისა;

8. **არტვინის ოკრუგი** – 29.064 სული მამ-


ობითი სქესისა, 27.076 სული მდედრობითი სქესისა;

9. ბათუმის ოკრუგი – 53.159 სული მამრობითი სქესისა, 35.295 მდედრობითი სქესისა;

10. სოხუმის ოკრუგი – 59.836 სული მამრობითი სქესისა, 46.343 სული მდედრობითი სქესისა.

ამრიგად, ქალთა რაოდენობა მამაკაცთა რაოდენობას აჭარბებდა რაჭის მაზრაში (25.764 სული მამრობითი სქესისა, 34.657 სული მდედრობითი სქესისა); მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო ლეჩხუმის მაზრაში (23.522 სული მამრობითი სქესისა, 24.257 სული მდედრობითი სქესისა), ოზურგეთის მაზრაში (45.428 სული მამრობითი სქესისა, 44.900 სული მდედრობითი სქესისა) და სენაკის ოკრუგში (29.064 სული მამრობითი სქესისა, 27.076 სული მდედრობითი სქესისა).

1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით, როგორც აღნიშნულია, ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია, შიგა წყლების ფართობის გარეშე, 32.051 კვადრატულ ვერსს შეადგენდა. ხოლო მოსახლეობა 1.058.241 სულს უდრიდა (549.504 სული მამრობითი სქესისა, 508.737 სული მდედრობითი სქესისა). 1 კვადრატულ ვერსზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 33.02 კაცს უდრიდა. გუბერნიის ტერიტორიაზე დროებით ცხოვრობდა: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 17.829 სული, უცხო სახელმწიფოთა



ქუთაისის გუბერნია. XIX საუკუნის დასასრული (წყარო: Большой энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона. www.cultinfo.ru).

ქვეშევრდომი – 22.809 სული.

1897 წლისათვის ქუთაისის გუბერნიის 7 მაზრა და 3 ოკრუგი, აღწერის მასალების მიხედვით, ასეა წარმოდგენილი:

1. ქუთაისის მაზრა: ტერიტორია – 2.985,9 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 221.665 სული (113.848 სული მამრობითი სქესისა, 107.817 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 74,24 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2.172 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 619 სული;

2. ზუგდიდის მაზრა: ტერიტორია – 2.614,9 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 114.869 სული (58.043 სული მამრობითი სქესისა, 56.826 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 43,93 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.453 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 96 სული;

3. ლეჩხუმის მაზრა: ტერიტორია – 4.078,3 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 47.779 სული (23.522 სული მამრობითი სქესისა, 24.257 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 11.72 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 649 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 10 სული;

4. ოზურგეთის მაზრა: ტერიტორია – 1.985 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 90.326 სული (45.428 სული მამრობითი სქესისა, 44.900 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 45,5 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 857 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 248 სული;

5. რაჭის მაზრა: ტერიტორია 2.494,9 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 60.421 სული (25.764 სული მამრობითი სქესისა, 34.657 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 24,22 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 958 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 8 სული;

6. სენაკის მაზრა: ტერიტორია – 1.520 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 115.785 სული (58.585 სული მამრობითი სქესისა, 57.200 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 76,17 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2.795 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 897 სული;

7. შორაპნის მაზრა: ტერიტორია – 2.687,4 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 156.633 სული (82.267 სული მამრობითი სქესისა, 74.366 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 58,28 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2057 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 266 სული;

8. ართვინის ოკრუგი: ტერიტორია – 3.433,5 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 56.140 სული (29.064 სული მამრობითი სქესისა, 27.078 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 16,35 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.124 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 615 სული;

9. ბათუმის ოკრუგი: ტერიტორია – 2.675,7 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 88.444 სული (53.149 სული მამრობითი სქესისა. 35.295 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 33,05 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2.560 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 10.379 სული;


10. სოხუმის ოკრუგი: ტერიტორია – 7.575,4 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 106.179 სული (58.836 სული მამრობითი სქესისა, 46.343 – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 14,02 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 3.204 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 9.671 სული.

ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა 32.476 სულს უდრიდა (19.464 სული მამრობითი სქესისა, 13.012 – მდედრობითი სქესისა); ქალაქში დროებით ცხოვრობდა: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 408 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 463 სული.

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიის მაზრებიდან და ოკრუგებიდან ყველაზე მეტი ტერიტორია ეკავა სოხუმის ოკრუგს (7.575,4 კვადრატული ვერსი), შემდეგ მოდიოდა ლეჩხუმის მაზრა (4.078,3 კვადრატული ვერსი), ართვინის მაზრა (3.433,5 კვადრატული ვერსი). მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველობდა ქუთაისის მაზრა (221.665 სული), შემდეგ მოდიოდა შორაპნის მაზრა (156.633 სული), სენაკის (115.785 სული) და ზუგდიდის (114.869 სული) მაზრა. 1 კვადრატულ ვერსზე მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე მაღალი იყო ქუთაისის მაზრაში (74,24 სული), შემდეგ მოდიოდა სენაკისა (76,17 სული) და შორაპნის მაზრა (58,28 სული).

2. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ანკეტაში გრაფა „ეროვნება" არ ყოფილა შეტანილი. მის ნაცვლად იყო გრაფა „მშობლიური ენა", რაც თავისთავად ძალზე საინტერესოა, თუმცა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენის საშუალებას არ იძლევა.

ანკეტაში 22 ენა იყო ჩამოთვლილი, 23-ე ნომრად ეწერა – „სხვა ენები". აღსანიშნავია, რომ ამ 22 ენას შორის ცალკე იხსენიება: ქართული, იმერული, მეგრული, სვანური, რაც, ცხადია, პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. ასე რომ, ჩამონათ-



ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგი. XIX საუკუნის დასასრული (წყარო: Большой энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона. www.cultinfo.ru).

ვალში რეალურად 19 ენაა. ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ მშობლიურ ენად მიიჩნია:

1. ქართული ენა – 868.776 სულმა;
2. აფხაზური ენა – 59.469 სულმა;
3. თურქული ენა – 46.665 სულმა;
4. სომხური ენა – 24.043 სულმა;
5. რუსული ენა – 19.273 სულმა;
6. ბერძნული ენა –14.482 სულმა.
7. ებრაული ენა – 7.006 სულმა;
8. ოსური ენა – 4.240 სულმა;
9. უკრაინული ენა – 4.008 სულმა;
10. პოლონური ენა – 1.938 სულმა;
11. ქურთული ენა – 1.824 სულმა;
12. გერმანული ენა – 1.065 სულმა;
13. სპარსული ენა – 1.022 სულმა;
14. თათრული ენა – 750 სულმა;
15. ესტონური ენა – 621 სულმა;
16. ლიტვური ენა – 450 სულმა;
17. რუმინული ენა – 197 სულმა;
18. ბელორუსული ენა –162 სულმა;
19. სატების ენა – 156 სულმა;
20. სხვა ენები – 2.104 სულმა.

ამრიგად, აღწერის მასალებიდან ცხადი ხდება, რომ ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (868.776 სული 1.058.241 მცხოვრებიდან) მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდა.

3. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

1. თავადაზნაურობა – 72.558 სული (6,86%);
2. სასულიერო წოდება 23.270 სული (2,22%);
3. საპატიო მოქალაქენი – 1.950 სული (0,18%);
4. ვაჭრები – 2.457 სული (0,23%);
5. მეშჩანები – 34.650 სული (3,27%);
6. გლეხები – 897.757 სული (84,83%);
7. სხვა სოციალური ფენები – 2.790 (0, 26%);
8. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები – 22.809 სული (2,15%).

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობაში თავადაზნაურობის რაოდენობა 72.558 სულს (მთელი მოსახლეობის 6,86%-ს) უდრიდა, რაც საგრძნობლად აღემატებოდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის რაოდენობას – 44.389 სული (მთელი მოსახლეობის 4,2%). იგივე ითქმის სასულიერო წოდების რაოდენობაზეც. ქუთაისის გუბერნიის სასულიერო წოდება 23.270 სულს (მთელი მოსახლეობის 2,22%-ს) უდრიდა, თბილისის გუბერნიაში კი – 10.863 სულს (მთელი მოსახლეობის 1%-ს); დაახლოებით თანაბარი იყო გლეხთა რაოდენობა: ქუთაისის გუბერნიაში – 897.757 გლეხი (მთელი მოსახლეობის 84,83%) იყო აღრიცხული, თბილისის გუბერნიაში – 865.887 გლეხი (მთელი მოსახლეობის 82,4%).

4. მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

1. მართლმადიდებელი – 900.930 სული (85,14%);
2. მუსლიმი – 117.620 სული (11,12%);
3. სომხურ-გრიგორიანული – 18.980 სული (1,79%);
4. იუდეველი – 8.910 სული (0,84%);
5. სომხურ-კათოლიკური 5.525 სული (0,52%);
6. რომაულ-კათოლიკური – 4.260 სული (0, 40%);
7. პროტესტანტი – 1.722 სული (0,16%);
8. სტაროობრიადცები და სხვა სექტანტები –248 სული (0,02%);
9. სხვა აღმსარებლობისა – 46 სული (0,01 %).

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიაში მართლმადიდებლები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ – 900.930 სული (85,14%), შემდეგ მოდიოდნენ: მუსლიმები – 117.620 სული (11,12%) და სომხურ-გრიგორიანული რწმენის მიმდევრები 18.980 სული (1,79%).


§ 3. ყარსის ოლქის ტერიტორია და მოსახლეობა

1. ტერიტორია. მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივი თანაფარდობა. 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ყარსის ოლქის მოსახლეობა 290.654 სულს უდრიდა (160.751 მამრობითი სქესისა, 130.083 – მდედრობითი სქესისა).

ყარსის ოლქის ტერიტორია, შიდა წყლების ფართობის ჩაუთვლელად, 16.630,7 კვადტარულ ვერსს უდრიდა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, 4 ოკრუგად იყოფოდა:

1. ყარსის ოკრუგი (ცენტრი – ქალაქი ყარსი);
2. არტაანის (არდაგანის) ოკრუგი (ცენტრი – დაბა არტაანი);
3. ყაღიზმანის ოკრუგი (ცენტრი დაბა ყაღიზმანი);
4. ოლთისის ოკრუგი (ცენტრი – დაბა ოლთისი).

ყარსის ოლქის მოსახლეობის 13,2% (37.838 სული) ქალაქის მოსახლეობაზე მოდიოდა, 86,8% სული (2569.073 სული) – სოფლის მოსახლეობაზე. ქალაქის მოსახლეობის 55% (20.805 სული) ქალაქ



ბათუმის ოლქი. XIX საუკუნის დასასრული (წყარო: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. ბათუმი, 2008).

ყარსში ცხოვრობდა. ქალაქ ყარსსა და დაბებში მოსახლეობა ასე იყო განაწილებული:

1. ქალაქი ყარსი –20.805 სული;
2. დაბა არტაანი – 4.142 სული
3. დაბა ყალიზმანი – 10.518 სული;
4. დაბა ოლთისი – 2373 სული.

ყარსის ოლქში მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა ასეთ სურათს იძლეოდა: ყოველ 1.000 მამაკაცზე საშუალოდ 810 ქალი მოდიოდა. ოკრუგების მიხედვით საშუალოდ ასეთი იყო: ყოველ 1.000 მამაკაცზე 777 ქალიდან 883 ქალამდე მოდიოდა.

ოლქში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე 17,48 სულს უდრიდა.

ყარსის ოლქის 4 ოკრუგი, აღწერის მასალების მიხედვით, ასე ნარმოგვიდგება:

1. ყარსის ოკრუგი: ტერიტორია – 5.183, 4 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 134.142 სული (75.452 სული – მამრობითი სქესისა, 58.690 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 25,85 სული. აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 2.041 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა – 12.158 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლეობის 13,5%-მა. ქალაქ ყარსის მოსახლეობა 20.805 სულს უდრიდა (14.374 სული – მამრობითი სქესისა, 6.431 სული – მდედრობითი სქესისა); აღწერის დღეს ქალაქ ყარსში დროებით იმყოფებოდა 514 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 3.557 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა ქალაქის მოსახლეობის 39,9%-მა.

2. არტაანის ოკრუგი: ტერიტორია – 4.960,1 კვადრატული ვერსი; მოსახლეობა – 65.763 სული (34.930 სული მამრობითი სქესისა, 30.833 სული – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 13,26 სული; აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 871 სული. აღინერა უცხო სახელმწიფოთა 2.559 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლეობის 6,2%-მა.

დაბა არტაანის მოსახლეობა 4.142 სულს უდრიდა (2.962 სული მამრობითი სქესისა, 1180 სული – მდედრობითი სქესისა); აღწერის დღეს დაბა არტაანში დროებით იმყოფებოდა 118 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 426 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა მოსახლეობის 43,8%-მა.

3. ყალიზმანის ოკრუგი: ტერიტორია – 3.882,4 კვადრატული ვერსი. მოსახლეობა – 59.230 სული (33.344 სული – მამრობითი სქესისა, 25.886 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე 15,25 სული; აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 689 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 6.004 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლების 11,9%-მა.

დაბა ყალიზმანის მოსახლეობა 10.518 სულს უდრიდა (7421 მამრობითი სქესისა, 3.097 – მდედრობითი სქესისა). აღწერის დაბა ყალიზმანში დროებით იმყოფებოდა – 58 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 1.064 მოქალაქე.

4. ოლთისის ოკრუგი. ტერიტორია – 2.599,8 კვადრატული ვერსი. მოსახლეობა 31.5129 სული (16.845 სული მამრობითი სქესისა, 14.674 სული მდედრობითი სქესისა). მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კილომეტრზე – 12.12 სული. აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 444 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 1896 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლეობის 6,8%-მა.

დაბა ოლთისში მოსახლეობა 2.373 სულს უდრიდა. 1633 სული მამრობითი სქესისა, 740 სული – მდედრობითი სქესისა; აღწერის დღეს დაბა ოლთისში დროებით იმყოფებოდა 89 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 401 მოქალაქე; წერა-კითხვა იცოდა დაბა ოლთისის მოსახლეობის 37,5%-მა.

2. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1887 წლის აღწერის დროს ყარსის ოლქში მშობლიურად მიიჩნიეს შემდეგი ენები:

1. ყარსის ოკრუგში:

– რუსული, უკარინული, ბელორუსული ენები – 20.376 სულმა;
– სომხური – 46.715 სულმა;
– თურქული – 10.609 სულმა;
– ქურთული – 9.165 სულმა;
– ბერძნული – 14.805 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 22.002 სულმა;
– თურქმენული – 2.456 სულმა;
– პოლონური – 2.093 სულმა;
– სხვა ენები – 5.921 სულმა.

ქალაქ ყარსში მშობლიურ ენად მიიჩნიეს შემდეგი ენები:

– რუსული, უკარინული, ბელორუსული 20.376 სულმა;
– სომხური – 46.715 სულმა;
– თურქული – 10.609 სულმა;
– ქურთული – 9.165 სულმა;
– ბერძნული – 14.805 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 22.002 სულმა;
– თურქმენული – 2.456 სულმა;
– პოლონური – 2.093 სულმა;
– სხვა ენები – 5.921 სულმა.

2. არტაანის ოკრუგში:

– რუსული, უკარინული, ბელორუსული –

2.357 სულმა;
– სომხური – 1.918 სულმა;
– თურქული – 28.047 სულმა;
– ქურთული – 12.565 სულმა;
– ბერძნული – 7.839 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 7.874 სულმა;
– თურქმენული – 4.328 სულმა;
– პოლონური – 207 სულმა;
– სხვა ენები – 628 სულმა.

დაბა არტაანში მშობლიურად მიიჩნიეს შემდეგი ენები:
– რუსული, უკარინული, ბელორუსული – 1331 სულმა;
– სომხური – 1.315 სულმა;
– თურქული – 746 სულმა;
– ქურთული – 12 სულმა;
– ბერძნული – 107 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 8 სულმა;
– თურქმენული – 7 სულმა;
– პოლონური – 206 სულმა;
– სხვა ენები – 410 სულმა.

3. ყალიზმანის ოკრუგში:
– რუსული, უკარინული, ბელორუსული – 4085 სულმა;
– სომხური – 21.648 სულმა;
– თურქული – 5.172 სულმა;
– ქურთული – 17.733 სულმა;
– ბერძნული – 7.245 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 2 სულმა;
– თურქმენული – 659 სულმა;
– პოლონური – 895 სულმა;
– სხვა ენები – 1791 სულმა.

დაბა ყალიზმანში მშობლიურ ენად მიიჩნიეს შემდეგი ენები:
– რუსული, უკარინული, ბელორუსული – 2572 სულმა;
– სომხური – 3.013 სულმა;
– თურქული – 2.040 სულმა;
– ქურთული – 184 სულმა;
– ბერძნული – 96 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 0 სულმა;
– თურქმენული – 1 სულმა;
– პოლონური – 844 სულმა;
– სხვა ენები – 864 სულმა.

4. ოლთისის ოკრუგში:
– რუსული, უკარინული, ბელორუსული – 1038 სულმა;
– სომხური – 3.125 სულმა;
– თურქული – 19.719 სულმა;
– ქურთული – 3.505 სულმა;
– ბერძნული – 2.704 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 1 სულმა;
– თურქმენული – 999 სულმა;
– პოლონური – 48 სულმა;
– სხვა ენები – 380 სულმა.

დაბა ოლთისში მშობლიურ ენებად მიიჩნიეს:
– რუსული, უკარინული, ბელორუსული – 799 სულმა;
– სომხური – 12.056 სულმა;
– თურქული – 157 სულმა;
– ქურთული – 7 სულმა;
– ბერძნული – 101 სულმა;
– ყარა-ყალპაკური – 0 სულმა;
– თურქმენული – 0 სულმა;
– პოლონური – 34 სულმა;
– სხვა ენები – 112 სულმა.

მთლიანად ყარსის ოლქის ოთხივე ოკრუგში მშობლიურ ენად მიიჩნიეს:
– სომხური – 73.406 სულმა;
– თურქული – 63.547 სულმა;
– ქურთული – 42.968 სულმა;
– ბერძნული – 32.593 სულმა;
– რუსული, უკრაინული ბელორუსული – 27.856 სულმა.

ამრიგად, ყარსის ოლქში მშობლიურ ენად სომხური მოსახლეობის უმრავლესობამ, 73.406-მა სულმა, ანუ 25,3%-მა, აღიარა; თურქული ენა – 63.547 სულმა, ანუ 21,9%-მა, ქურთული ენა – 42.968 სულმა, ანუ 14,8%-მა, ბერძნული ენა 32.593 სულმა, ანუ 11,2%-მა, რუსული, უკარინული, ბელორუსული ენები – 27.856-მა სულმა, ანუ 9,6%-მა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ყარსის ოლქის 290.654 მცხოვრებიდან მშობლიურ ენად ქართული არ მოუხსენიებია არც ერთს. ჩვენ არ ვიცით, რა იგულისხმება სხვა ენებში, რაც, აღწერის მასალების მიხედვით, მოსახლეობის საკმაოდ დიდ რაოდენობას (8,720 სულს) მოუთითებია. იქნებ ისინი, ვინც მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდნენ, სწორედ ამ 8.720 სულში იგულისხმებიან...

3. მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ყარსის ოლქის რელიგიური შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა:

1. ყარსის ოკრუგი:
– მართლმადიდებლები – 24.798 სული (ქალაქ ყარსში – 6.056 სული);
– სტაროობრიადცები – 11.395 სული (ქალაქ ყარსში – 388 სული);
– რომაულ-კათოლიკური – 2.847 სული (ქალაქ ყარსში – 1719 სული);
– პროტესტანტები – 1.020 სული (ქალაქ ყარსში – 220 სული);
– მუსლიმები – 46.870 სული (ქალაქ ყარსში – 1.729 სული);
– ებრაელები – 811 სული (ქალაქ ყარსში –

437 სული);

– სხვა მიმდინარეობის ქრისტიანები – 46.251 სული (ქალაქ ყარსში – 10.243 სული);

– არაქრისტიანები – 150 სული (ქალაქ ყარსში – 13 სული).

2. არტაანის ოკრუგი.

– მართლმადიდებლები – 9.666 სული (დაბა არტაანში – 1.334 სული);

– სტაროობრიადცები – 669 სული (დაბა არტაანში – 207 სული);

– რომაულ-კათოლიკური – 264 სული (დაბა არტაანში – 263 სული);

– პროტესტანტები – 32 სული (დაბა არტაანში – 32 სული);

– მუსლიმები – 53.093 სული (დაბა არტაანში – 879 სული);

– იუდეველები – 117 სული (დაბა არტაანში – 117 სული);

– სხვა მიმდინარეობის ქრისტიანები – 1.918 სული (დაბა არტაანში – 1.317 სული);

– არაქრისტიანები – 4 სული (დაბა არტაანში – 0 სული).

3. ყაღიზმანის ოკრუგი.

– მართლმადიდებლები – 11.049 სული (დაბა ყაღიზმანში – 2.605 სული);

– სტაროობრიადცები – 309 სული (დაბა ყაღიზმანში – 49 სული);

– რომაულ-კათოლიკური – 1207 სული (დაბა ყაღიზმანში – 1.158 სული);

– პროტესტანტები – 151 სული (დაბა ყაღიზმანში – 149 სული);

– მუსლიმები – 21.388 სული (დაბა ყაღიზმანში – 2.372 სული);

– იუდეველები – 276 სული (დაბა ყაღიზმანში – 0 სული);

– სხვა მიმდინარეობის ქრისტიანები – 21.678 სული (დაბა ყაღიზმანში – 3.914 სული);

– არაქრისტიანები – 0 სული (დაბა ყაღიზმანში – 0 სული).

4. ოლთისის ოკრუგი:

– მართლმადიდებლები – 3.782 სული (დაბა ოლთისში – 841 სული);

– სტაროობრიადცები – 47 სული (დაბა ოლთისში – 33 სული);

– რომაულ-კათოლიკური – 55 სული (დაბა ოლთისში – 36 სული);

– პროტესტანტები – 524 სული (დაბა ოლთისში – 2 სული);

– მუსლიმები – 24.501 სული (დაბა ოლთისში – 405 სული);

– იუდეველები – 0 სული (დაბა ოლთისში – 0 სული);

– სხვა მიმდინარეობის ქრისტიანები – 3.129 სული (დაბა ოლთისში – 1056 სული);

– არაქრისტიანები – 0 სული (დაბა ოლთისში – 0 სული).

ამრიგად, ყარსის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები შეადგენდნენ – 145.782 სული, ანუ მთელი მოსახლეობი 50,2%; შემდეგ მოდიოდნენ: მართლმადიდებლები და სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები (მათ შორის: სომხურ-გრიგორიანული რწმენისა, ლუთერანები, ანგლიკანები და სხვ.) ერთად აღებული – 110.932 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 38, 2%.

4. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა. 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ყარსის ოლქის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო:

1. თავადაზნაურობა – 2.866 სული;
2. სასულიერო პირები – 1.332 სული;
3. ვაჭრები – 241 სული;
4. მეშჩანები – 15.871 სული;
5. გლეხები – 243.839 სული;
6. სხვა წოდებების წარმომადგენლები – 3.886 სული.
7. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები – 22.619 სული.

თავადაზნაურთა უმრავლესობა ყარსის ოკრუგში ცხოვრობდა – 1.231 სული; შემდეგ მოდიოდა: ყაღიზმანის ოკრუგი – 994 სული, არტაანის ოკრუგი – 379 სული; ოლთისის ოკრუგი – 262 სული. თავადაზნაურთა დიდი რაოდენობა, 909 სული, ქალაქ ყარსში ბინადრობდა. გლეხების უმრავლესობა (110.534 სული) ყარსის ოკრუგში ცხოვრობდა, არტაანის ოკრუგში – 60.420 სული ცხოვრობდა, ყაღიზმანის ოკრუგში – 44.767 სული; ოლთისის ოკრუგში – 28.418 სული. სასულიერო პირების უმრავლესობა, 7223 სული, ყარსის ოკრუგში ცხოვრობდა, ყაღიზმანის ოკრუგში – 462 სული, არტაანის ოკრუგში – 88 სული, ოლთისის ოკრუგში – 60 სული; ვაჭრების უმრავლესობაც, 171 სული, ყარსის ოკრუგში ცხოვრობდა, არტაანის ოკრუგში – 32 ვაჭარი, ყაღიზმანის ოკრუგში – 31 ვაჭარი, ოლთისის ოკრუგში – 15 ვაჭარი.

§4. საქართველოს (თბილისის გუბერნიის, ქუთაისის გუბერნიის, ყარსის ოლქის) მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის შედარება აზერბაიჯანის (ბაქოს გუბერნიის, ელისავეტოპოლის გუბერნიის) და სომხეთის (ერევნის გუბერნიის) მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობასთან

1. ბაქოს გუბერნია. ფართობი – 34.410,2 კვადრატული ვერსი, მოსახლეობის რაოდენობა

– 826.716 სული (მამრობითი სქესის – 458.065 სული, მდედრობითი სქესის – 368.651 სული); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 24,03 სული.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის 28 იანვრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ანკეტაში არ ყოფილა გრაფა „ეროვნება". ბაქოს გუბერნიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ანკეტაში არსებული გრაფაში – „მშობლიური ენა" – შეტანილი მონაცემების მიხედვით. ამ მონაცემების თანახმად, ბაქოს გუბერნიაში მშობლიურ ენად მიიჩნია:

1. თათრული (აზერბაიჯანული) – 485.146 სულმა;
2. თათური – 89.519 სულმა;
3. რუსული – 73.632 სულმა;
4. სომხური – 52.233 სულმა;
5. თალიშური – 34.994 სულმა;
6. ებრაული – 8.172 სულმა;
7. სპარსული – 5.973 სულმა;
8. გერმანული – 3.430 სულმა;
9. უკრაინული – 3.372 სულმა.
10. ქართული – 1.678 სულმა (იმხანად დამკვიდრებული ნორმის მიხედვით, გრაფაში „მშობლიური ენა" ასეთი ციფრებია მოყვანილი: ქართული – 1616, იმერული – 23, მეგრული – 39 – ვ. გ.);
11. პოლონური – 1.439 სულმა;
12. თურქული – 1.155 სულმა;
13. ავარიულ-ანდიური – 898 სულმა;
14. ბელორუსული – 677 სულმა;
15. მორდოვული – 531 სულმა;
16.. შვედური – 338 სულმა;
17. ბერძნული – 278 სულმა;
18. ლიტვური – 271 სულმა;
19. ჩეხური – 149 სულმა;
20. ოსური – 113 სულმა;
21. ლატვიური – 86 სულმა;
22. ფრანგული – 76 სულმა;
23. თურქმანული – 74 სულმა;
24. ფინური – 59 სულმა;
25. მოლდოვური – 48 სულმა;
26. დარგოული – 42 სულმა;
27. იტალიური – 34 სულმა;
28. ინგუშური – 27 სულმა;
29. ყუმუხური – 26 სულმა;
30. ინგლისური – 25 სულმა;
31. ჩუვაშური – 24 სულმა;
32. ყაბარდოული – 23 სულმა;
33. ესტონური – 21 სულმა;
34. ჩერქეზული – 18 სულმა;
35. არაბული – 11 სულმა;
36. ჩეჩნური – 10 სულმა;
37. ყალმუხური – 9 სულმა;
38. მონღოლურ-ბურიატული – 9 სულმა;
39. ქურთული – 8 სულმა;
40 ყირგიზული – 6 სულმა;
41. უნგრული – 5 სულმა;
42. აფხაზური – 2 სულმა;
43. იაპონური – 1 სულმა;
44. დანიური – 1 სულმა;
45. ბოშური – 1 სულმა;
46. ბაშკირული – 1 სულმა;
47. მშობლიური ენა ვერ უჩვენა – 46 სულმა.

მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ბაქოს გუბერნიაში შემდეგი აღმსარებლობის ხალხები ცხოვრობდნენ:

1. მუსლიმები – 676.243 სული;
2. მართლმადიდებლები – 56.090 სული;
3. სომხურ-გრიგორიანული – 52.563 სული;
4. სტაროვერები – 21.912 სული;
5. იუდეველები – 12.753 სული;
6. ლუთერანები – 3.780 სული;
7. რომაულ-კათოლიკური – 2.218 სული;
8. ბაპტისტები – 663 სული;
9. სომხურ-კათოლიკური – 205 სული;
10. რეფორმისტები – 190 სული;
11. ანგლიკანები – 7 სული;
12. ბუდისტები და დალაი ლამას მიმდევრები – 5 სული.

2. ელისავეტპოლის გუბერნია. ფართობი – 38.782,5 კვადრატული ვერსი, მოსახლეობის რაოდენობა – 878.415 სული (მამრობითი სქესის – 480.012 სული, მდედრობითი სქესის – 398.403 სული); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 22,65 სული.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ანკეტაში არ ყოფილა გრაფა „ეროვნება". ელისავეტპოლის გუბერნიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ანკეტაში არსებული გრაფაში – „მშობლიური ენა" – შეტანილი მონაცემების მიხედვით. ამ მონაცემების მიხედვით, ელისავეტპოლის გუბერნიაში მშობლიურ ენად მიიჩნია:

1. თათრული (აზერბაიჯანული) – 534.086 სულმა;
2. სომხური – 292.188 სულმა;
3. კურინული – 14.498 სულმა;
4. რუსული – 14.146 სულმა;
5. უდიური – 7.040 სულმა;
6. გერმანული – 3.194 სულმა;
7. ქურთული – 3.042 სულმა;
8. ბელორუსული – 2.870 სულმა;

9. თათური – 1.753 სულმა;

10. ქართული – 1.446 სულმა (იმხანად დამკვიდრებული ნორმის მიხედვით, გრაფაში „მშობლიური ენა" ასეთი ციფრებია მოყვანილი: ქართული –1204, აჭარული – 3, იმერული – 119, მეგრული – 37, ლაზური – 32, სვანური – 1 – ვ.გ.);

11. უკრაინული – 861 სულმა;

12. პოლონური – 616 სულმა;

13. ყაჩი-ყუმუხური და ლეკურის სხვა დიალექტები – 581 სულმა;

14. ბერძნული – 558 სულმა;

15. ავარიულ-ანდიური – 461 სულმა;

16. სპარსული – 338 სულმა;

17. ებრაული – 185 სულმა;

18. ლიტვური – 116 სულმა;

19. მოლდოური – 106 სულმა;

20. ოსური – 96 სულმა;

21. ჩუვაშური – 35 სულმა;

22. ყარაჩაული – 33 სულმა;

23. ლატვიური – 32 სულმა;

24. ჩეხური – 25 სულმა;

25. იტალიური – 22 სულმა;

26. ასირიული – 16 სულმა;

27. ფრანგული – 15 სულმა;

28. ჩეჩნური – 13 სულმა;

29. ინგლისური – 12 სულმა;

30. ჩერქეზული – 10 სულმა;

31. ბაშკირული – 10 სულმა;

32. თურქული – 9 სულმა;

33. დარგოული – 9 სულმა;

34. ბოშური – 8 სულმა;

35. კარელიური – 8 სულმა;

36. ინგუშური – 7 სულმა;

37. ესტონური – 4 სულმა;

38. თურქმენული – 4 სულმა;

39. ყუმუხური – 2 სულმა;

40. ყირგიზული – 2 სულმა;

41. უნგრული – 1 სულმა;

42. მშობლიური ენა ვერ დაასახელა – 1 სულმა.

მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ელისავეტპოლის გუბერნიაში შემდეგი აღმსარებლობის ხალხები ცხოვრობდნენ:

1. მუსლიმები – 552.822 სული;

2. სომხურ-გრიგორიანული – 298.665 სული;

3. მართლმადიდებლები – 10.429 სული;

4. სტაროვერები და სხვა სექტანტები – 9.507 სული;

5. ლუთერანები – 3.221 სული;

6. იუდეველები – 2.030 სული;

7. რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის – 368 სული;

8. ბაპტისტები – 711 სული;

9. სომხურ-კათოლიკური აღმსარებლობის – 105 სული;

10. რეფორმისტები – 15 სული;

11. ანგლიკანები – 11 სული;

12. ბუდისტები და დალაი ლამას მიმდევრები – 2 სული.

3. ერევნის გუბერნია. ფართობი – 23.226,4 კვადრატული ვერსი, მოსახლეობის რაოდენობა – 829.556 სული (მამრობითი სქესის – 441.889 სული, მდედრობითი სქესის – 387.667 სული); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე – 35,71 სული.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ანკეტაში არ ყოფილა გრაფა „ეროვნება". ერევნის გუბერნიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ანკეტაში არსებული გრაფაში – „მშობლიური ენა" – შეტანილი მონაცემების მიხედვით. ამ მონაცემებით, ერევნის გუბერნიაში მშობლიურ ენად მიიჩნია:

1. სომხური – 441.000 სულმა;

2. თათრული (აზერბაიჯანული) – 313.176 სულმ;

3. ქურთული – 49.389 სულმა;

4. რუსული – 13.173 სულმა;

5. უკრაინული – 2.682 სულმა;

6. ასირიული – 2862 სულმა;

7. პოლონური – 1.385 სულმა;

8. ბერძნული – 1.323 სულმა;

9. ებრაული – 850 სულმა;

10. თათური – 709 სულმა;

11. ქართული – 588 სულმა (იმხანად დამკვიდრებული ნორმის მიხედვით, გრაფაში „მშობლიური ენა" ასეთი ციფრებია მოყვანილი: ქართული – 566, , იმერული – 9, მეგრული – 13 – ვ. გ.);

12. ლიტვური – 384 სულმა;

13. იტალიური – 330 სულმა;

14. მორდოური – 302;

15. თურქული – 245 სულმა;

16. სპარსული – 235 სულმა;

17 გერმანული – 230 სულმა;

18. ოსური – 112 სულმა;

19. ლატვიური – 99 სულმა;

20. ესტონური – 91 სულმა;

21. ბელორუსული – 82 სულმა;

22. კიურინული – 41 სულმა;

23. ავარიულ-ანდიური – 53 სულმა;

24. მოლდოური – 29 სულმა;

25. ყირგიზული – 27 სულმა;

26. ჩეხური – 27 სულმა;

27. ქისტური – 20 სული;
28. ბაშკირული – 20 სული;
29. ყაზი-ყუმუხური და ლეკურის სხვა დიალექტები – 14 სულმა;
30. ნოღაური – 12 სულმა;
31. ინგუშური – 12 სულმა;
32. ბოშური – 10 სულმა;
33. სლოვაკური – 9 სულმა;
34. ყუმუხური – 5 სულმა;
35. ინგლისური – 5 სულმა;
36. ფრანგული – 4 სულმა;
37. ჩუვაშური – 3 სულმა;
38. ყარაჩაული – 3 სულმა;
39. სირიულ-ქალდური – 3 სულმა;
40. ჩეჩნური – 3 სულმა;
41. ბულგარელი – 2 სულმა;
42. არაბული – 2 სულმა;
43. უდიური – 1 სულმა;
44. ჩერქეზული – 1 სულმა;
45. თურქმენული – 1 სულმა;
46. ყარაყალპაკური – 1 სულმა;
47. სერბი – 1 სულმა;
48. მშობლიური ენა ვერ დაასახელა – 4 სულმა.

ერევნის გუბერნიაში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ: სომხები, თათრები (აზერბაიჯანელები), ქურთები და რუსები. გუბერნიის მთელი მოსახლეობის ყოველ 100 სულზე საშუალოდ მოდიოდა: სომეხი – 53,16%, თათარი (აზერბაიჯანელი) – 37,75%, ქურთი – 5,95%, რუსი – 1,58%. დანარჩენი ხალხების წარმომადგენლების რაოდენობა ყოველ 100 სულზე 1%-ს ვერ აღწევდა (ასირიელები 0,34%, უკრაინელები 0,32%, პოლონელები 0,16%, ბერძნები 0,15%, თათები 0,8%, ქართველები 0,6%, ქართველები 0,1%, ყველა სხვა ხალხები ერთად აღებული 0,35%).

მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ერევნის გუბერნიაში შემდეგი აღმსარებლობის ხალხები ცხოვრობდნენ:

1. მუსლიმები – 350.099 სული;
2. სომხურ-გრიგორიანული – 244.042 სული;
3. მართლმადიდებლები – 16.398 სული;
4. სომხურ-კათოლიკური – 7.884 სული;
5. სტაროვერები და სხვა სექტანტები – 4.827 სული;
6. რომაულ-კათოლიკური – 2.260 სული;
7. იუდეველები – 1.032 სულ;
8. ლუთერანები – 652 სული;
9. ბაპტისტები – 73 სული;
10. რეფორმისტები – 9 სული;
11. ანგლიკანები – 9 სული;
12. ბუდისტები და დალაი ლამას მიმდევრები – 5 სული.

თავი II. პარტიებად დაშლილი საქართველო და ხსნის გზის ძიება

(XIX საუკუნის დასასრული _ XX საუკუნის დამდეგი)

ერთიანი ქართული ეროვნული მოძრაობის დაშლის შემდეგ, XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დამდეგამდე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარებას პოლიტიკური პარტიები აძლევდნენ ტონს. სამღვდელოების ასპარეზზე გამოსული პოლიტიკური ძალები ორ ნაკადს განასახიერებდნენ: ეროვნულსა და სოციალურს (სოციალისტურს). ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთთან იდეურად მკვეთრად იყო დაპირისპირებული, განსხვავებული იყო XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მონაპოვრის შეფასება, სხვადასხვაგვარი იყო მათი წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ქართველი ერის წინაშე არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზებზე. ეროვნულთან შედარებით, კოსმოპოლიტური ძალები მძლავრობდნენ. არჩილ ჯორჯაძე სასოწარკვეთილი აღნიშნავდა, მეოცე საუკუნე კოსმოპოლიტიზმის საუკუნე იქნებაო! 1907 წელს გამოცემულ ნაშრომში „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“ არჩილ ჯორჯაძე XX საუკუნის დამდეგს (კონკრეტულად, 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 100 წლის „იუბილეს“ დროისათვის) საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ასე ახასიათებს: „დღიდან შეერთებისა რუსეთთან ქართველ ხალხში განუწყვეტელი მოძრაობა იყო ხან პოლიტიკურ, ხან სოციალურ, ხან ეკლესიურის ხასიათისა და განა გასაშტერებელი ამბავი არ არის, რომ მე-XIX საუკუნის მიწურულებში ხალხის ზედა სართულში – ჩვენს „საზოგადოებაში“ ამ განუწყვეტელ მოძრაობის კვალის ნატამალიც აღმოფხვრილი იყო. არავითარი კავშირი წარსულთან, არავითარი ოცნება პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გამო, არავითარი გარკვეული აზრი მიწის საკითხის მოწესრიგების და მატერიალურ მდგომარეობის აღორძინების შესახებ! ყველგან გოდება, უილაჯობა, წარსულის მოიწყება! და ეგ წარსული კი მღელვარე და ტანჯული იყო! ჩვენ აქ ისტორიული, ძველი წარსული კი არა გვაქვს სახეში, არამედ ის, რაც XIX საუკუნეში თავს გადაგვწყდა და რაც ჩვენს ძარღვებსა და ხორცში გადანეული უნდა ყოფილიყო“. არჩილ ჯორჯაძე არ აჭარბებს, იგი ობიექტურად ახასიათებს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში შექმნილ საგანგაშო ვითარებას.

საინტერესოა, როგორ აფასებდნენ ქართული ეროვნული და სოციალისტური მოძრაობის ლიდერები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მონაპოვარს და როგორ ესახებოდათ მათ ქართველი ერის მომავალი.

§1. ნოე ჟორდანია (1869-1953)

ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი ნოე ჟორდანია მერყეობდა ეროვნულსა და კოსმოპოლიტურს შორის. ეს მერყეობა სხვადასხვაგვარად გამოვლინდა სხვადასხვა ეტაპზე: XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, 1907-1914 წლებში, 1914-1917 წლებში და ბოლოს, 1917-1918 წლებში. ამჯერად შევეხოთ ნოე ჟორდანიას იმ ნაწერებს, რომლებიც 1896 წლიდან 1904 წლამდე პერიოდს განეკუთვნება.

1896 წელს ნოე ჟორდანია აქვეყნებს ერცელ ნაშრომს „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო)“. ფორმალურად ნაშრომი რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლისთავს ეძღვნება, თუმცა მასში ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაა დასმული, რომლებიც ქართველი ერის მომავალს ეხებოდა. ნოე ჟორდანია წერს: „რ. ერისთავი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. აღფრთოვანებული დღესასწაული დაიმსახურა არა პირადად რაფიელმა, არამედ იმ აზრებმა, რასაც ის სთესავდა ცხოვრებაში. მარა ეს აზრები, მეტ-ნაკლებობით, შეადგენდნენ კუთვნილებას მთელი გუნდისას; მისი წევრნი სხვა და სხვა ფორმით, სხვა და სხვა სახით, ემსახურებოდენ ერთსა და იმავე იდეას, ადგენ ერთ და იმავე მიმართულებას. რ. ერისთავის იუბილე იყო ამავე დროს იუბილე ამ მიმართულების, ამ აზრების, ამ გუნდის. დღეს ჩვენ ამას ეაფასებთ, პატივს ვცემთ“. ნოე ჟორდანია რომ ამაზე შეჩერებულიყო, მისი პოზიცია სავსებით მისაღები იქნებოდა, მაგრამ სწორედ ამ სიტყვების შემდეგ ნათელი ხდება, თუ რისთვის სჭირდებოდა ავტორს ეს მაღალი შეფასება. ნაშრომში ეკითხულობთ: „ახალი ცხოვრება წარმოშობს ახალ კითხვებს. რა კავშირი აქვს მესამოცე წლებში აღმოცენებულ კითხვებს დღევანდელ კითხვებთან? რა დამოკიდებულება აქვს მაშინდელ მოღვაწეობას დღევანდელ მოღვაწეობასთან, მაშინდელ მიმართულებას დღევანდელ მიმართულებასთან?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე

ნოე ჟორდანია XIX საუკუნის 60-90-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგებს ასე აფასებს: „ჩვენ განვვითარდით და საკმაოთ ვერ განვვითარდით, ერთს კიდეს მოვცილდით, მარა მეორეს ჯერ ვერ მივადექით."აი, ასეთ ვითარებაში სურს აეტორს უპასუხოს კითხვას: „რას მივყავართ წინ? რა გვიჭერს უკან?" ამ კითხვაზე პასუხისას ნათელი ხდება, რომ ნოე ჟორდანია ყველაფერს სოციალისტის პოზიციიდან აფასებს: „ხალხის განვითარება შეიძლება განიხილოს ორი მხრით. განვითარება მთელი ერის, საერთოდ, და განვითარება თვითეული კლასის, კერძოდ, ამათი გამოკვლევა უერთმანეთოდ მოუხერხებელია. ისტორიის ჩარხს კლასთა განხეთქილება ამოძრავებს, თუ ეს უყურადღებოდ დაეტოვეთ, მთელი კითხვა წყვდიადში რჩება და ხალხის ისტორია გადაიქცევა მეფეთა და გმირთა ისტორიად."

ნოე ჟორდანია თანამედროვე ცხოვრების განვითარების საფუძველს ეკონომიკურ პროგრესში ხედავდა. საინტერესოა, როგორ ესახებოდა მას საქართველოს ეკონომიკური განვითარება: „ეკონომიურ ასპარეზზე დღეს მარტონი აღარ ვართ, ჩვენთან ერთად მოქმედებენ სხვადასხვა ტომის ხალხი. ესენი ერთსა და იმავე ალაგას ერთმანეთს ეცილებიან, თვითოეული მიილტვის საკუთარ ინტერესებისაკენ, ხოლო ყველანი ქართველობის ზურგზე გადადიან. მათ შორის ბრძოლაა, თუ რომელი უფრო გაბატონდება ადგილობრივ ხალხზედ. ერი ეკონომიურათ განვითარებული, განვითარებულია კულტურულათაც. ცხადია, ქართველების კულტურული კითხვა ეს მისი ეკონომიური კითხვაა. ამ გზაზე ის გამოვიდა, მარა წინ დაუხვდენ უკვე ამ გზაზე გამოსულნი და უკეთ შეიარაღებულნი. აი, აქ ბრძოლა ატყდა, ბრძოლა სამკვრდო-სასიცოცხლოთ(...). ამ ზოგადი განცხადების შემდეგ ნოე ჟორდანია აზუსტებს, თუ კონკრეტულად ვისთან ატყდა „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა: „ჩვენში მოქმედებენ სამი ხალხისნობის წარმომადგენელნი: სომხები, ევროპიელები და რუსები." ნოე ჟორდანია დაწვრილებით არჩევს თითოეულის ინტერესებს.

ბედუკუღმართობის გამო სამშობლოდან საქართველოში შემოხიზნული სომხების შესახებ იგი წერს: „სომხობის ეროვნული და ალებ-მიცემობითი სარგებლობა მოითხოვდა საქართველოს გაფართოებას და გალონიერებას. მარა როცა დაუძლურება და სიძაბუნე შეეპარებოდა, მაშინ კი სხეაგან უნდა ეძიათ მფარველობა. სომხებს მხოლოდ ორი გზა ქონდათ: ან თვით-არსებობა აეედგინათ, ან უცხო ხალხს შეფარებოდენ. პირველისთვის ღონე არ შესწევდათ, ხოლო მფარველი ასეთ არეულ დროს ძლიერი უნდა გაყავდეს. სანამ საქართველო ამ როლს ასრულებდა, მანამდე სომხებსაც მისი მხარე უნდა დაეჭირათ, ხოლო, როგორც კი ამ როლის აღსრულებას ველარ შეძლებდნენ, სომხებიც უნდა გადადგომოდენ, რადგან სუსტი მფარველი მათ ანგარიშში არ შედიოდა. მეორე მხრით, ქართველ მთავრობას ყოველთვის შეეძლო თავის საზღვრებში უცხო ტომთა მოქმედება აელაგმა, როცა ეს საჭირო იქნებოდა. ასეთ ღონეს დღეს დიდრონი სახელმწიფონიც მიბაძავენ ხოლმე. დღეს რომ ქართველობას საკუთარი პოლიტიკური ძალა ქონდეს, უეჭველათ ასეთ ზომებს იხმარდა სომხობის წინააღმდეგ, რომ მით თვითონ გამაგრებულიყო ეკონომიურ ნიადაგზე. ცხადია, სომხობის ინტერესი იყო ასეთი დაბრკოლება არ გადაალობებოდა საქართველოში". როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია სავსებით ცხადად მიუთითებს საქართველოში მცხოვრები სომხების უარყოფით როლზე ქართველი ერის ეკონომიკურ განვითარებაში და საბოლოოდ – პოლიტიკურ პერსპექტივაში. ნოე ჟორდანია ამითაც არ კმაყოფილდება და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ანალიზს გვთავაზობს: „სომხობის ინტერესი მოითხოვდა, ასეთ დამდაბლებულ მდგომარეობიდან პირველ შემთხვევისთანავე გამოსულიყვნენ. ასეთმა შემთხვევამაც არ დაიგვიანა. ჩვენს გვერდზე ამოიჭიმა ძლიერი სახელმწიფო – რუსეთი. სანამ მისი საზღვრები ჩვენგან შორს იყო, მანამ სომხებიც ძალა-უნებურათ საქართველოთი უნდა დაკმაყოფილებულიყვენ. მარა, როგორც კი საზღვრები მოინია, მოგვიახლოვდა, მისულა-მოსულა ცოტაოდენათ გაადვილდა, მაშინ სომხებს საშუალება მიეცა თავის-თავისათვის უფრო რიგიანათ ეზრუნათ. და აი, საქართველოს დაცემის ისტორიაში ისინი შესანიშნავ როლს თამაშობენ." კონკრეტულად, ნოე ჟორდანიამ აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს სომხების საძრახის როლზე მიანიშნა. ნაშრომის საკმაოდ დიდი ადგილი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ სომხების ანტიქართულ საქმიანობას ეხება: „ცხოვრებამ უფრო მშვიდი, წყნარი მიმდინარეობა მიიღო. ეს კი საუკეთესო სარბიელია ვაჭრობის და ალებ-მიცემობისათვის. სომხებს, ამ ნიადაგზე, როგორც უკვე გავარჯიშებულთ, სანატრელი დრო დაუდგა. ხალხი, ვაჭრობას, ანგარიშს შეუჩვეველი, წარმოადგენდა სასურველ ასპარეზს მათი მოქმედებისას. სხვისი ოფლით გამდიდრება ადვილი ხთება."ვაჭრობის განვითარება ნოე ჟორდანიას ეკონომიური აღმავლობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ამ შემთხვევაში იგი ერთმანეთისაგან არჩევს ევროპულ და სომხურ ვაჭრობას: „ევროპიული ვაჭრობა ნიშნავს წესიერ, კანონიერ



ნოე ჟორდანია

ვაჭრობას. მოტყუება, აქ არ არსებობს." ვაჭრობა, რომელსაც სომხები საქართველოში ეწეოდნენ, ნოე ჟორდანიას აზრით, მთელი ვაჭრობა „ჩარჩობა, მოტყუება, სიყალბე" იყო. სომეხი ვაჭარი „მთელი ერთი საათი სიცრუეს გეფიცება, ოღონდ კი ერთი გროში გამოგტყუოს" ნოე ჟორდანია აგრძელებს: „სომხები ჩვენში გაძლიერებულია იმ მაზრებში, სადაც ხალხი ეკონომიურათ დაქვეითებულია და, მაშასადამე, ადვილი მოსატყუებელიც. მათი ბუდე აღმოსავლეთი საქართველოა. როცა სომეხს ფულის შეძენა სურს, ის მაშინ სოფელში მიდის, გლეხ-კაცს ოჯახში უჯდება და ნებით, თუ უნებლიეთ სარჩოს ხელიდან აცლის." ობიექტური და, რაც მთავარია, ძალზე გაბედულია ნოე ჟორდანიას დასკვნა: „ამ ჟამათ ჩვენში სომხობას და ქართველობას შორის სასტიკი ბრძოლაა. ამაზე ლაპარაკი არ უყვართ, ორ „მეზობელ ხალხს ერთმანეთს ნუ გადაკიდებთო." ძველებურ წესზე დგანან! რომ ეს „გადაკიდება" ჩვენგან იყოს დამოკიდებული, ამ სტრიქონებს სრულებით არ დავწერდი. სამწუხაროთ, ეს „გადაკიდება" შემთხვევითი და ნარმავალი არ არის. მისი ფესვები ღრმათ ჩაჭედილია ცხოვრებაში. ცხოვრების წინ წაწევამ ნარმოშვა ეს ბრძოლა, ეკონომიური წინააღმდეგობა და, ვინც ამბობს ამას, ნუ გავამხელთ, ნუ ვიტყვითო, გამოდის მხოლოთ უვიცობის და შეუგნებლობის მოციქულათ. ჩვენ კი მუდამ იმ აზრის ვართ, რომ თავის თავს სიმართლე ეუთხრათ. გვეყოფა ისიც, რასაც სხვები გვატყუებენ, თავის თავს მაინც ნუღარ მოვატყუებთ."

ამრიგად, ნოე ჟორდანია როგორც ისტორიული ასპექტით, ისე თანამედროვე თვალსაზრისით, სავსებით სწორად აფასებს სომხების უარყოფით როლს საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პროცესში და საკმაოდ რადიკალური პოზიცია უკავია იმ უარყოფითი როლის აღიარებაშიც, რომელსაც სომხები პერსპექტივაში შეასრულებდნენ.

ევროპელების როლის შეფასებას ნოე ჟორდანია ასე იწყებს: „თუ საქართველოს სრული გაევროპიელება სომხობის ინტერესი არ არის, თვითონ ევროპიელთათვის კი ძალიან სასურველია. ესენი ჩვენ პირდაპირ ევროპასთან გვაახლოებენ" ნოე ჟორდანია აღიარებს იმას, რომ ევროპელებსაც საქართველოში გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ, თუმცა, სომხებისაგან განსხვავებით, ევროპელებს საქართველოსათვის ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლოთ: „ჩვენ, ქართველებს, რომლებმაც ერთი ევროპიული ხანა – ფეოდალური, უკვე გაეიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ევროპიელდებით და, მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განივითაროს ძალა, აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა, თვით-მოქმედება, თვით-მოძრაობა, თვით-აზროვნება – აი, რა უნდა ენეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვინევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს – აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამომთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩვენი ჩაყრა, რომ შემდეგ თავისუფლად იპარპაშოს." ამ დასკვნის შემდეგ ნოე ჟორდანია ისევ ევროპელების როლზე ამახვილებს ყურადღებას: „ევროპიელები ჩვენში ასეთ როლს არ თამაშობენ, ისინი ცვლიან ეკონომიურ წყობილებას, ავითარებენ ეროვნულ შრომას, გააქვთ ნაწარმოები მსოფლიოს ბაზარზე და მით გვაკავშირებენ მსოფლიოსთან. მათი ინტერესია საქართველო ერთიანად დასერილი იყოს გზა-ტკეცილებით, რკინის გზებით, ტელეგრაფის მავთულებით; იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზრდილი, განათლებული, მწერლობა აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მათ ენატრებათ ევროპა საქართველოში." როგორც ვხედავთ, **ნოე ჟორდანია საკმაოდ ობიექტურად აფასებს ევროპული კაპიტალის როლს საქართველოში, მაგრამ რატომღაც გვერდს**

უელის საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს: ევროპული კაპიტალის მოძალება საქართველოში, ისევე, როგორც სომხური კაპიტალისა, ხელს უშლიდა ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბებასა და გაძლერებას.

ნოე ჟორდანია მიმოიხილავს რუსების დამკვიდრებას საქართველოში, რუსული კოლონიური მმართველობის დამყარებას, რუსეთის კოლონიურ პოლიტიკის არსს, რის შემდეგაც აკეთებს ასეთ დასკვნას: „ეკონომიურ ასპარეზზე ჩვენში რუსები სუსტია. ისინი მეტოქეობას ვერ უწევენ ვერც სომხებს, ვერც ევროპიელთ და ვერც ქართველთ. ეს ასეც უნდა იყოს. რუსეთი ამ მხრივ ჩვენსაკით ჩამორჩენილია. იქ (რუსეთში – ვ. გ.) არ ტრიალებს იმდენი კაპიტალი, რომ ადგილობრივათ დაბანდება შეუძლებელი იყოს და საქართველოში წამოვიდეს. ევროპიელი ჩვენში მოდის იმიტომ, რომ ევროპაში დიდი ფული ტრიალებს, საქმე კი იმდენი არ არის, ამისათვის ის გადააქვთ ქვეყნის ყოველ კუთხეში და ყოველ ერში. რუსეთს კი ეს არ შეუძლია." ნოე ჟორდანია რუსული კაპიტალის ერთ თავისებურებაზე მიანიშნებს: „რუსები ეტანებიან უფრო მინა-ადგილის შეძენას. ამის მიზეზი ორია: ერთი ის, რომ სურთ თავიანთი ელემენტი მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ; ხოლო მეორე – წმიდა ეკონომიური ხასიათისაა."

სომხური, ევროპული და რუსული კაპიტალის როლის შეფასების შემდეგ ნოე ჟორდანია დაასკვნის: „ჩვენ გავარჩიეთ სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობა და აღმოჩნდა შემდეგი: სომხები ნარმოადგენენ მოვაჭრე, საჩარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა ნარმოებით, საქმეში დაბანდებით, არამედ ვექსილის ქაღალდით (...), მოტყუებით, კანონიერი უკანონობით(...). ევროპიელნი მრენველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ, ქვეყანა ეეროპიულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესულ როლს თამაშობენ. რუსები კი ორიევს შუაშია. ის არც ჩარჩია, არც მრენველი, არც მდიდარია, არც ღარიბი, მიილტვის უფრო უძრავ ქონების შეძენისაკენ, საზოგადოთ მოხელე, ჩინოვნიკია."

ნოე ჟორდანიას ქართველი ერის მომავალი ასე ნარმოუდგენია: „დღეს ჩვენში ეკონომიური ნიადაგი ძლიერ მოძრავია, ის შუდამ დუღილში და რყევაშია. ნივთიერი პირობები ჯერ ვერ ჩაეარდნილან განსაზღერულ კალაპოტში; ამისთვის შეძლების შეძენა და დაკარგვა საშინელ ადვილათ ხდება. ეს, ასე ვთქვათ, შონის ხანაა. გლეხი ფიქრობს მემამულეთ გახდეს, მუშა კი სოვდაგრათ. ერთიდან მეორეში გადასვლა ხშირია. ეს დრო კლასთა ფორმაციის (შედგენის) დროა. მთელი ერი ერთმანეთში ითქვიფება, რომ ბოლოს ისევ დანაწილდეს (...). ჩვენ, როგორც უკან-ჩამორჩენილი, კომიკურ მდგომარეობაში ვართ. ცალი ფეხი დღევანდელ ევროპაში ჩაუდგით, ცალი კი წარსულში გვიდგია. ვსარგებლობთ ყველა იმ იარაღებით, რომელნიც კი დღეს ევროპაშია, ხოლო ცხოვრების პროცესი ისეთია, როგორც გასული საუკუნის ევროპაში იყო. აი, ეს დიდათ საყურადღებო საგანია, მხოლოდ ეს გარემოება აძლევს განსაკუთრებით ელფერს მთელ ჩვენ აწმყოს და მომავალს."

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ასეთი ღრმა და სერიოზული ანალიზი, მასშტაბური აზროვნება, პერსპექტივის ცხადად წარმოდგენა ნოე ჟორდანიას გამოარჩევდა მისი თაობის პოლიტიკოსებისაგან. აღსანიშნავია, რომ ხშირად იგი ისეთ დასკვნებსაც აკეთებს, რომლებიც საერთოდ არ გამომდინარეობდა სოციალისტური მოძღვრებიდან, რაც ინტერნაციონალიზმის პრინციპის უგულებელყოფას და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტის აღიარებას ნიშნავდა.

სტატიაში „პარტიობა" (1898 წ.) ნოე ჟორდანია არაპირდაპირ ეპასუხება ილია ჭავჭავაძეს. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე ერში პოლიტიკური პარტიების გაჩენას დიდ საფრთხედ აღიქვამდა, რაც ნოე ჟორედანიას არასწორად მიაჩნდა. სტატია სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება. ავტორი პირველი სტრიქონიდანვე ცხადად აყალიბებს თავის პოზიციას: „პარტია, დასი – აი, რა აფრთხობს და აშინებს ჩვენს საზოგადოებას! პარტია, დასი – აი, რა ახარებს და ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებას! რა მოჩვენებაა ეს? საიდან წარმოდგება ეს ორნაირი შეხედულება? ნუ თუ ეს დასაჯერებელია? დიახ, ეს დასაჯერებელი გახლავს, ეს სრულ სინამდვილეს შეიცავს, ეს მოვლენა ნათლად აღბეჭდავს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას, მის სულის კვეთებას და მისწრაფებას. მას აშინებს ისეთი პარტიობა, რომელიც რაიმე აზროვნების, იდეის და მიმართულების მატარებელია." ნოე ჟორდანია მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიისადმი საშიში ჩამორჩენილობის დამადასტურებელია: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსათ ისე არ იდევნება ახალი აზრი, როგორც ამ ჩვენ საზოგადოებაში. და რომ მას უფლება ქონდეს, თითოეულ ასეთ მოაზროვნეს ისეთივე კოცონზე გაგზავნიდა, როგორითაც, ოდესმე რომის ღვთის-მეტყველნი მონინააღმდეგეთ ანადგურებდნენ ხოლმე. გასაშტერებელი მოუკარებლობა, გონებრივი თვითმპყრობელობა, თავის-თავის გაკერპება და სხვისი მძულვარება,

აი, ნიშნობლივი თვისება ქართველ საზოგადოებისა. ეს, ასე ვთქვათ, ერთნაირი ჯაჭვია, რომლის თითოეულ რგოლს თითო ასეთი პირი

შეადგენს და ასე გარს შემორტყმული აქვს მთელ ხალხს, მთელ ერს. ჩვენი საზოგადო აზროვნების ალორძინება და განვითარება ამ ჯაჭვის თან-და-თან დამსხვრევას მოითხოვს." აქვე ნოე ჟორდანია მოურიდებლად ამხელს ახალი აზრის მონინააღმდეგეთა უკომპრომისობას: „და როცა ასეთი ალორძინების ნასახს ხედავენ, მის კვალს ამჩნევენ – ატყდება ერთი ვაი უშველებელი: დავილუპეთ, გვაღალატობენ, შორს ჩვენგანო. აი, ამას უწოდებენ პარტიობას, დასობას, რაც ვითომ მომაკვდინებელი ცოდვაა ქართველი კაცისათვის." ავტორის აზრით, პოლიტიკური პარტია ახალი აზრის, ახალი მიმართულების მატარებელია, რაც აშინებს ქართველ საზოგადოებას, თუმცა პარტიას იგი არ უარყოფს, „სამაგიეროთ მათი სანატრელი საგანია მეორენაირი პარტიობა – პარტიობა გამორჩენის, გამდიდრების, განდიდების. საარჩევნო პარტიობა – აი, რას მოყავს ისინი მოძრაობაში. ჯიბის მიმართულება, თავის გამორჩენის ლტოლვილება – აი, რას ეტრფის და შეხარის ჩვენი საზოგადოება".

ნოე ჟორდანიას აზრით, პოლიტიკური პარტიის აღმოცენება, რომელსაც ახალი აზროვნება შემოაქვს, განვითარების აუცილებელი პირობაა, რადგან იგი ძველის ნგრევას უწყობს ხელს. ახალ ხანას ავტორი „მოქალაქეობრივ ხანას" უწოდებს და მწუხარებით აღნიშნავს, რომ მოქალაქეობრივ ხანაში მთელი საქართველო ვერ შევიდა: „და განა ამ გზაზე მთელი საქართველო გამოვიდა? არა, ამ მხრით შეგვიძლია ის გავყოთ სამ ნაწილათ: პირველი – უმცირესი ნაწილი – უკვე შედგა მოქალაქეობის გზაზე; მეორე – უდიდესი ნაწილი – ირყევა, კიდეც დაახწია თავი ძველებურ ცხოვრებას და ვერც დაახწია, ის, ასე ვთქვათ, ახლა იბადება ახალი ცხოვრებისათვის; ხოლო მესამე ნაწილი – კიდევ უფრო დიდი – ჯერ მამა-პაპურ მდგომარეობაშია ჩარჩენილი. პირველი შეიცავს ახალ საქართველოს, მესამე – ძველს, ხოლო მეორე მათი შემაერთებელი გზა და ხიდია." როგორც ეხედავთ, ვითარება პერსპექტივის თაელსაზრისით საკმაოდ საჭიმანო ჩანდა. ამ რთულ ვითარებაში პოლიტიკური პარტიის როლი ნოე ჟორდანიას ასე ესახება: „პარტია, რომელიც იცავს ერის მოწინავე ნაწილის ინტერესებს, იცავს იმავე დროს უკანჩამორჩენილთა ინტერესებს, მარა არა როგორც ძველი ურთიერთობისა და აზროვნების მატარებელს, არამედ როგორც ამის უარის მყოფელს და ახლის შემთვისებელს. მხოლოდ ეს პარტიაა დღეს ჩვენში ერთათ ერთი პროგრესული, ყველა დანარჩენი კონსერვატიულ-რეაქციონულია." ცხადია, ამ პარტიაში ნოე ჟორდანია ქართველ სოციალ-დემოკრატებს – მესამედასელებს – გულისხმობს.

ნოე ჟორდანიას სტატია „პარტიობა", მიმართული ილია ჭავჭავაძის შეხედულების წინააღმდეგ, იმის დამადასტურებელი იყო, რომ ქართველი ერის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში პოლიტიკური პარტიების მოსვლა მის ავტორს სრულიად ბუნებრივ და პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა. ამავე დროს, ნოე ჟორდანია ავითარებდა იმ აზრს, რომ იმხანად ერის პოლიტიკური ცხოვრების გზის გამკვლევი „მესამე დასი" იყო.

მცირე ზომის სტატიას „საზოგადო მოღვაწეობა" (1898 წ.) ნოე ჟორდანია პირდაპირ მკვეთრი, მოურიდებელი შეფასებით იწყებს: „არა მგონია, საზოგადო ასპარეზი ისე დაცლილიყოს სადმე მოღვაწეთაგან, როგორც ეს დღეს ჩვენში არის. არა მგონია, საზოგადო საქმეს ისე ერიდებოდნენ რომელიმე ქვეყანაში, როგორათაც მას დღეს ჩვენში ერიდებიან". ასეთი განცხადება მაშინ, როდესაც თავიანთ მოღვაწეობას აგრძელებდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდათა მთელი პლეადა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. ნოე ჟორდანია აგრძელებს: „ამ საყოველთაო დაცემაში, ამ საყოველთაო დავარდნაში, ჩვენ ვამჩნევთ სხვა-და-სხვა ჯგუფებს, რომელნიც სხვა-და-სხვა ნაირათ ანარმოებენ ამ პროცესს. მართალია, თავ-თავის სოროში მირბიან, მარა მირბიან სხვა-და-სხვა ნაირათ და ეს მათ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს." სტატიის ავტორის აზრით, ასეთი ჯგუფი სულ სამი იყო:

1. „პირველი ჯგუფი, რომელიც ამ „ქვეყნის მარილის" დიდ უმრავლესობას შეიცავს, ყველაფერს, გარდა პირადი საქმისა, გულგრილად უცქერის. მისთვის არ არსებობს რაიმე „კითხვა", მას არ აღელვებს რაიმე საზოგადო საგანი, ის ჩინებულად გრძნობს თავის თავს ყოველნაირ ნყობილებაში, მისთვის სულ ერთია, რანაირიც იქნება ჩვენი ცხოვრება, რა გზით იმოძრაებს ის, რა მხრით ატრიალდება მისი ბორბალი. როგორც კი ამაზე ჩამოუგდებ ლაპარაკს, ის მაშინვე დამუნჯდება და მით გაგრძნობინებს, რომ ეს მას არაფრად ეჭაშნიკება. გადაიტანეთ ბაასი სხვა საგანზე და თქვენ გაგაშტერებს ამ ენა-ჩავარდნილის ენა-ჭარტალობა. ამგვარი ხალხი ყოველგან ბევრია, მარა არსად არავითარ ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობს, არსად არავითარ ნყობილებას არ ცვლის, არავითარ სენს არ უმკლავდება (...). ეს ჯგუფი ერთნაირათ მიწასთან გასწორებულია, იმას ვერც ვერავინ აიყოლიებს და ვერც ვერავინ ჩაიყოლიებს. მისი სატრფიალო საგანია რამე ნაირათ ცხოვრებას შეეწყოს და იქ ერთი თფილი კუნჭული აიჩინოს, სხვა ყველაფერი ფეხებზე კიდია, ამიტომ, მისი დამახასიათებელი სახელი იქნება ჯგუფი „ფეხებზე მკიდია".

საზოგადო მოღვაწეთა ამ ჯგუფში ნოე ჟორდანია გულისხმობს რუსეთის იმპერიის სამსახურში შესულ ქართველებს: კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის ცენტრალური აპარატის, საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო მმართველობების მოხელეებს, რუსეთის ჯარში დანინაურებულ ქართველ სამხედროებს და სხვ. მოღვაწეთა ამ ფენის აბსოლუტური უმრავლესობა თავადაზნაურობიდან იყო გამოსული და ერთგულად ემსახურებოდა იმპერიას.

2. „ძალიან მცირე ჯგუფს შეადგენენ ეგრეთ წოდებულნი „დაღალულნი". ჩვენ ვიშრომეთ, ქვეყანას მხარში ვუდექით, ეხლა კი დავიღალეთ და დასვენება გვეჭირვებაო – ამბობენ ისინი. „დაღალულნი" მოცილდნენ საზოგადო მოღვაწეობას და ამ სიბერის დროს თავ-თავის საქმეებს შეუდგენ. მარა ზოგ მათგანს ეს ერცხვინება, „საქეყნო საქმის" დატოვება ეთაკილება და ამიტომ თავისი კერძო საქმე საზოგადო საქმედ გამოაქვს, აი, მე კიდევ თქვენ გემსახურებითო. და საზოგადოებასაც ეს ჯერა, ჯერა იმიტომ, რომ ამას „დაღალულნი" ღაღადებენ, და ესენი, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ძველი ღვაწლის პროცენტს ღებულობენ."

საზოგადო მოღვაწეთა ამ ჯგუფში ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს და მათ თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ, მოღვაწეთა ამ ჯგუფისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ნოე ჟორდანია იძულებულია აღიაროს, რომ „დაღალულთა" საზოგადოებაზე სერიოზული გაელენა აქვთ.

3. „მესამე ჯგუფს შეიცავენ ისინი, ვისაც პირველი ჯგუფობა რცხვენია და მეორე კი არ ეხერხება. ესენი არ იძახიან, „ფეხებზე მკიდიაო" და არც დაღალული ვართო, ვინაიდან ჯერ საამისო არა გაუკეთებიათ რა. მათ სურთ უნაყოფოდ არ ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე წვლილი შეიტანონ, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ, მარა ყოველივე ეს ცთა ჯერ-ჯერობით ამაოდ რჩება."

საზოგადო მოღვაწეთა ამ ჯგუფში ნოე ჟორდანია XIX საუკუნის ბოლოს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულთ გულისხმობს. ცხადია, თვითონ ნოე ჟორდანიაც ამ ჯგუფს ეკუთვნოდა.

საზოგადო მოღვაწეთა სამი ჯგუფის დახასიათების შემდეგ ნოე ჟორდანია ასეთ დასკვნას აკეთებს: „ამ ნაირათ, საზოგადო მოღვაწეობა სამივე ჯგუფოდან მიტოვებულია, მას სამივე ჯგუფი გაურბის: პირველი – განგებ, მეორე – „დაღლილობით", მესამე კი – უვიცობით, უგზო-უკვლობით. ყველაზე უფრო უწყინარი ელემენტი პირველია, ყველაზე უფრო დამაბრმავებელი – მეორე, ყველაზე უფრო სასაცილო – მესამე. პირველი უნდა შეიბრალო, მეორეს უნდა გამოემშვიდობო, მესამეს კი – ასწავლო." ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და მათი თანამოაზრეების ასე უდიერად მოხსენიება, ცხადია, უმადურება იყო, მაგრამ რასაც ამის შემდეგ ნოე ჟორდანია წერს, ის უკვე უმადურების ჩარჩოშიც აღარ თავსდება: „ამ ორ უკანასკნელთა შორის მჭიდრო კავშირია, მეორეს სხივი ნედება მესამეს და თვალს უყენებს. და სანამდი ეს დაბრმავება გაგრძელდება, მანამდი მისი საკუთარ გზაზე გამოსვლა ოცნებაა." ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და მათი თანამოაზრეები საზოგადოებრივი ასპარეზიდან არ განიდევნებოდნენ, ისე საზოგადო მოღვაწეთა მესამე ჯგუფი, რომელსაც ნოე ჟორდანიაც ეკუთვნოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებას სათაეები ვერ ჩაუდგებოდა.

ამ დროისათვის ნოე ჟორდანია საზოგადოების განვითარების საფუძვლად კლასთა ბრძოლას მიიჩნევდა. ეს ნათლად დადასტურდა სტატიაში „საზოგადო მოღვაწეობა". სტატიის ავტორი კანონზომიერად მიიჩნევს იმას, რომ „ხალხის ერთი ჯგუფის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ინტერესს და ეს გარემოება აიძულებს თვითოეულ მათგანს ერთმანეთს შეებრძოლოს. აი, ამ ჯგუფთა ანუ კლასთა განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური განვითარება (...).წინააღმდეგობა კლასთა შორის იწვევს წინააღმდეგობას ერთა შორისაც, ორი ერის ინტერესი ერთმანეთს ეჯახება და იწყება ნაციონალური ბრძოლა. თანახმათ იმისა, თუ როდის რომელი კლასი უფროსობს, ეს ნაციონალური ბრძოლაც სხვადასხვა ხასიათს და ელფერს ღებულობს." ნოე ჟორდანია წერს, რომ ზემოაღნიშნული მთლიანად ეხება საქართველოსაც: „ორივე ეს პროცესი ნარმოებს დღეს ჩვენში, და მაშასადამე, ორივე ეს მოითხოვს საზოგადო მოღვაწეთა ყურადღებას. ამ ნიადაგზე აღმოცენებული კითხვები არიან ჩვენი არსებობის ძირითადი კითხვები და მათი გადაჭრა უპირველესი მოვალეობაა. და ის, ვინც თვალებზე ხელს იფარებს და ამას განგებ არ ხედავს, არავითარ შემთხვევაში მოღვაწედ არ ჩაითვლება." ამ შემთხვევაში ნოე ჟორდანია საზოგადო მოღვაწეებს ორ ბანაკად ყოფს: „ერთს შეიცავენ ისინი, რომელნიც ახალ მოქალაქეობრივ ცხოვრებას ებრძვიან და ძველი ცხოვრების დამაგრებას მეცადინეობენ; მეორეს კი – ისინი, რომელნიც ახალ ცხოვრებას მზარს უჭერენ და ძველისაგან განთავისუფლებას მეცადინეობენ. პირველის სატრფიალო საგანია წოდებრივი და ფეოდალურ-სოფლური ურთიერთობა; მეორისა – ადამიანური და მოქალაქური განწყობილება. ამ ორ მიმართულებას შორის არა-

ვითარი შემაერთებელი ხიდი არ არის და მათი ერთმანეთთან ბრძოლაც სამკვდრო-სასიცოცხლოა." ამჯერადაც ეჭვს არ იწვევს, რომ „წოდებრივი და ფეოდალურ-სოფლური" ურთიერთობის შენარჩუნების მომხრეთა შორის ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები იგულისხმებიან, ხოლო „ადამიანური და მოქალაქური განწყობილების" მომხრეებად – ქართველი სოციალ-დემოკრატები. საკალამო იყო ის, რომ ნოე ჟორდანიამ საზოგადო მოღვაწეთა ამ ორი ჯგუფის შერიგება გამორიცხა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოაცხადა.

ერცელ სტატიაში „შუათანა თაობა" (1899 წ.) ნოე ჟორდანია მიმოიხილავს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო. ავტორი აღიარებს, რომ „ჩვენი მოქალაქეობრივი განვითარება მთელი თავისი არსებით, უეჭველია, მესამოცე წლებიდან იწყება. ჩვენ პირველად მაშინ გადავიძირეთ ძველი დაობებული იურიდიული ფორმა და შევდექით ახალ გზაზე." ამ ახალ გზას, ამ ახალ ხანას ნოე ჟორდანია ასე ახასიათებს: „აქ ვარჩევთ სამ ხანას, ანუ სამ საფეხურს: 1) ცხოვრების ზედა-პირის შენძრევა – ცვლილება გარეგანი, 2) ცხოვრების შინაგანი დუღილი – ცვლილება ნანილ-ნანილ და დამალული, 3) ცხოვრების დუღილის გარეთ გადმოხეთქა – ცვლილება აშკარა და ერთიანი. პირველი ხანის მებაირახტრეობა ნილათ ხვთა ძველ თაობას, მეორის – მის მომდევნო შუათანა თაობას, ხოლო მესამის ახალ თაობას."თაობებს კი ავტორი ასე გამოსყოფს ერთმანეთისაგან: „ძველი თაობა შეიცავს იმ მოღვაწეებს, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდენ მესამოცე და მესამოცდაათე წლებში, შუათანა თაობა იმათ, რომელნიც მეოთხმოცე წლებში გამოვიდნენ, ხოლო ახალი თაობის მოღვაწენია მეოთხმოცდაათე წლების შემდეგ გამოსულნი."ცხადია, ძველ თაობაში ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელსა და მათ თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს გულისხმობს, ხოლო ახალი თაობის მოღვაწეებში – ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მათ შორის, თავის თავსაც. ნოე ჟორდანიას აზრით, ამ სამ თაობაში „ყველაზე უფრო შესაბრალისი და საცოდავი შუათანა თაობაა". ამ დასკვნას ავტორი ამგვარად ასაბუთებს: „შუათანა თაობამ ყელზე თოკი მოიბა და ძველი თაობის წინ დაიჩოქა. მის სამსახურს მან შეალია მთელი თავისი გონებრივი ძალ-ღონე და მერე წვრილად პრაქტიკულ საქმეებში გაიხლართა და ასე მთელი თაობა დაქუცმაცდა, დაძაბუნდა და წვრილ გროშებზე გადახურდავდა." მეტად საინტერესოა, ვის გულისხმობს ნორ ჟორდანია შუათანა თაობაში, რომელმაც „ძველი თაობის წინაშე დაიჩოქა" და „წვრიმალ პრაქტიკულ საქმეებში გაიხლართა". ჩვენი აზრით, აქ, უპირველეს ყოვლისა, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) უნდა იგულისხმებოდეს. ამ თაობის მიმართ ნოე ჟორდანია ზედმეტად აგრესიულია: „შუათანა თაობა გაკოტრდა მანამდის, სანამდის მომწიფდებოდა, იმას არც ძველი ახალგაზრდული მღელვარება განუცდია და არც ახალი თაობის დამოუკიდებლობა უგემებია. ის მათ შუა დარჩა გახირული, თავისი მდგომარეობითვე დარეტიანებული. მართალია, ის მიეკედლა პირველს, მარა აქედამ არა გამოვიდა რა, გარდა იმისა, რომ თავისი პირადობა დაკარგა, ხოლო სხვისი კი ვერ შეითვისა. გაბორკოტების მიზეზიც შეიძლება ავხსნათ: გიორგი ზდანოვიჩი და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი მოღვაწე ილია ჭავჭავაძეს ზოგიერთ პრინციპულ საკითხში არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ მისი ღვაწლი არ უარუყვიათ და რამდენადაც შესაძლებელი იყო, ილიას გვერდით აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

თუ მთლიანობაში გავიაზრებთ ნოე ჟორდანიას „შუათანა თაობას", აშკარა გახდება, რომ ავტორის მიზანი იყო არამარტო ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის მოღვაწეების განდევნა საზოგადოებრივი ასპარეზიდან, არამედ მათთან დაახლოებული მოღვაწეების შევიწროებაც, ორივეს მიმართ სეპტიკური დამოკიდებულების გამოვლენა.

ნაშრომში „ჩვენი უთანხმოება" (1900 წ.) ნოე ჟორდანია არკვევს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უთანხმოების მიზეზს. საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება ნოე ჟორდანიას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია: „ბევრს გონია, ვითომ შინაური უთანხმოება და ბრძოლა გვასუსტებს. ეგ ერთნაირად უსაფუძვლოა. პირიქით, შინაური უთანხმოება უფრო გვაფხიზლებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ წერტილზე არ არის გაყინული, ის მოძრაობს, ვითარდება და იზრდება." ამის შემდეგ ნოე ჟორდანია ეხება უთანხმოების მიზეზებს და პარალელს აყვლებს XIX საუკუნის 60-იან და 90-იან წლებს შორის: „დღევანდელი უთანხმოება, ისე, როგორც მესამოცე წლების უთანხმოება, არის უთანხმოება ისტორიული. მაშინ საჭირო იყო ყმის თავისუფალ ადამიანად გადაქცევა. დღეს საჭიროა თავისუფალი ადამიანის შეგნებულ მოქალაქეთ გარდაქმნა. აი, განსხვავება ამ ორ ხანას შორის. მაშასადამე, სამოქალაქო კითხვა არის ჩვენი დროის უდიდესი კითხვა და უთანხმოებაც მხოლოთ მის გადაწყვეტაში შეიძლება დაიბადოს." ამ საკითხის გადაწყვეტა კი ნოე ჟორდანიას მხოლოდ სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით წარმოედგინა

და ისიც – კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე.

1900 წელს ნოე ჟორდანია აქვეყნებს მეტად საინტერესო ნაშრომს „პატარა პასუხი დიდ კითხვაზე". ავტორი სტატიას ასე იწყებს: „ერთი შორს მყოფი ქართველი გვეკითხება: წერილი ერები უნდა ცთილობდენ დაიცვან თავისი ხალხობისობა თუ არაო. ეს კითხვა თან ატარებს თავის პასუხს. ეს იმას გავს, ადამიანს რომ ჰკითხო, შენ სიცოცხლეს უნდა ცთილობდე თუ არაო. თავისთავათ ცხადია, რომ რაკი ქვეყანაზე ვინმე იშვა, არის ეს ბუნების გვირგვინი თუ უბრალო ჭია, ის ამით იძულებულია თავის თავი დაიცვას და ხანგრძლივი არსებობა უზრუნველყოს. ეს ბუნების კანონია და ამას მორჩილებს ყოველი. ამ კანონს ვერ გადაუხვევს ვერც ერი. ერი, ისევე როგორც კერძო პირი, უეჭველათ მეცადინეობს გაიზარდოს, გამარგდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერი ალაგი მოიპოვოს. შეიძლება ამ მის მისწრაფებას თვითონ არ გრძნობდეს, ნათლათ წარმოდგენილი არ ქონდეს, არც კი იცოდეს თუ საით, ან როგორ მიდის, მარა მიუხედავათ ყველა ამაებისა, მაინც ამ გზას ადგეს და გადაუხვევლათ მასზე ვიდოდეს. და ეს იმიტომ, რომ მას უამისოთ სიცოცხლე არ ძალუძს, ამ გზის უარყოფა მისი სიკვდილია, სიკვდილი არა მარტო ეროვნული, არამედ ფიზიკურიც." სოციალისტისაგან, რომელიც ერების შერწყმას უნდა ქადაგებდეს, ეს თითქოს მოულოდნელი განცხადება იყო. ცხადია, ნოე ჟორდანია ამ განზოგადებას ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების გააზრების შედეგად აკეთებს, თუმცა ამის თაობაზე დუმს. ნოე ჟორდანია ისევე ქართველთა ისტორიული გამოცდილების განზოგადების შემდეგ უკვე სოციალისტური მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი იდეის (კლასთა ბრძოლის) მოშველიებით შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ასეა თუ ისე, რაკი ერი არსებობს, ის ძალაუნებურათ ეროვნულ ცხოვრებას ეწევა და მას სხვანაირი ცხოვრება არც კი შეუძლია. მის სხეულს ხშირად მოძვრება ესა თუ ის ნაწილი, მარა საკვირველია, რომ ეს ყოველთვის უსარგებლო და გამოუსადეგარი ნანილებია. ეს, ასე ვთქვათ, ხორც-მეტებია, რისი მოშორება კიდევ უფრო გაალნიერებს და გააჯანმრთელებს ორგანიზმს. ისტორიაში არაერთხელ მომხთარა ერის რომელიმე ნოდების გადაგვარება, მარა ეს ყოველთვის ხორც-მეტი წოდება ყოფილა და ერის საზოგადო მსულელობა ოდნავაც ვერ შეუწერებია." ცხადია, ამ „ხორცმეტ წოდებაში" ნოე ჟორდანია თაეადაზნაურობას გულისხმობდა.

რიცხვით მცირე ერების ბედზე მსჯელობის შემდეგ ნოე ჟორდანია სვამს კითხვას: „მეტყვიან: კაცობრიობის ბედნიერება მოითხოვს ყველა იმ ათასნაირი ენის არსებობას, რაც დღეს არის? უმჯობესი არ იქნება ქვეყანაზე ორი-სამი ენა იყოს და მათი საშუალებით წინ წავიდეთ?" ამ საჭირბოროტო კითხვას ნოე ჟორდანია ასე პასუხობს: „ჯერ ერთი, საქმე უმჯობეს უარესობაში კი არ არის, საქმე სინამდვილეშია. ხოლო სინამდვილე გვეუბნება, სხვა-და-სხვა ენები და ერები არსებობს და მათი ამოფხვრა, როგორც ზემოთ ვთქვით, შეუძლებელიაო. მეორეთ, განა ბედნიერება თუ უბედურება მრავალი ენებისაგან მომდინარეობს? შეიძლება ასი მილიონი ხალხი ას ენაზე საუბრობდეს, ხოლო ბედნიერი კი იყოს. სამასი მილიონი ჩინელი ერთ ენაზე ლაპარაკობს, სამი მილიონი შვეიცარიელი – ოთხ ენაზე. ერთი სიტყვით, უბედურება წარმოდგება არა ენების სიმრავლისაგან, არამედ საზოგადო ცხოვრების ცუდათ მოწყობისაგან." ასეთი პასუხიც მოულოდნელი იყო სოციალისტისაგან. კიდევ უფრო არაორდინალურად ჟღერდა შემდეგი დასკვნა: „ერი – ეს ბუნებრივი მოელენაა, მისი ძალათ გადაგვარება და სხვა ერათ გარდაქმნა აღემატება ადამიანთა ძალ-ღონეს; შეიძლება მხოლოდ მისი შეფერხება, შებორკვა და შელახვა, მარა ბოლოს მან მაინც უნდა იპოვოს თავისი ბუნებრივი გზა კვალი და განვითარდეს. ხარისხი მისი განვითარებისა მჭიდროთ შეკავშირებულია ამა თუ იმ ისტორიულ პირობებთან." ამგვარი, საესებით მისაღები და გონივრული, დასკვნა გამოიტანა ნოე ჟორდანიამ ერისა და მისი ენის ფუნქციის, მათი განვითარების ბუნებრივი პირობების შესახებ.

მთლიანობაში აღებული, ნოე ჟორდანიას ნაშრომი საინტერესო მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში. XX საუკუნის დამდეგს იმის ქადაგება, რომ დიდ იმპერიებთან ერთად არსებობას გააგრძელებდნენ რიცხვით მცირე ერები და სახელმწიფოები, იმ ვითარებაში უდაოდ პროგრესული მოვლენა იყო.

§2. არჩილ ჯორჯაძე (1872-1913)

არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის გააზრება შესაძლებელი ხდება 1901-1902 წლებში მის მიერ გაზეთ „ცნობის ფურცლისა" და ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებზე დაყრდნობით. ამ პერიოდისათვის მისი შეხედულებები საქართველოს ხსნის გზის თაობაზე სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგიის შემუშავებას უკავშირდება და რადიკალურ ცვლილებებს არ განიცდის. ამჯერად შევეხებით არჩილ ჯორჯაძის იმ ნაწერებს, რომლებიც 1901-1902 წლებს განეკუთვნება. ამ პერიოდში არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა „საერთო მოქმედების ნიადაგის" პრინციპები, რაც ახალ

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის „ნოდებათა შერიგების" იდეის გაგრძელებას და განვითარებას ნარმოადგენდა. არჩილ ჯორჯაძემ ამ დიდ ეროვნულ პრობლემას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის: „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები", „საერთო მოქმედების ნიადაგი", „მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში", „რა არის ინტელიგენცია?", „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო", „ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელი დედა-აზრი", „ვის უნდა დარჩეს ჩვენი მინა?", „ეროვნულ საკითხის განმარტების გამო", „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე", „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა" და სხვ.

წერილს **„ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები"** (1901 წ.) არჩილ ჯორჯაძე ეროვნული საკითხის მნიშვნელობის გარკვევით იწყებს: „იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირს-შესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და აღსნა ამავე დროს აღსნაა სოციალურ საკითხისა, იმ საკითხისა, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ დაპყო, დაანაწილა ჩვენი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებათ." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე აღიარებს, სოციალური საკითხის გადაჭრა ეროვნულისაკითხის სწორად გაგებასა და სწორად გადაჭრაზეა დამოკიდებულიო. ასეთი დასკვნით სტატიის ავტორი იმთავითვე დაუპირისპირდა სოციალისტური ორიენტაციის ძალებს და პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც სოციალური საკითხის მოგვარებას ეროვნული პრობლემატიკის გადაჭრის წინაპირობად მიიჩნევდნენ.

ეროვნულ და სოციალურ საკითხთან მიმართებაში არჩილ ჯორჯაძე ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას ასე აფასებს: „ერთის მხრით, ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებული, ოცნებობს ნარსულის ცხოვრების შესახებ და თვალებ დახუჭვილს, არა ჰსურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცხოვრებისა, თავს არ იტკივებს ანინდელის ნესყობილების უთანხმოების ასაცილებლად, და ასე კი შეუძლებელია ნორმალური ნარმატება ჩვენი ერისა. მეორეს მხრით კი, ჩვენი ახალ-დაბადებული ევრედ ნოდებული „მესამე დასი" საქართველოს ორ კლასადა ჰყოფს და ამბობს, ამ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს, რის გამოც მათ არაეითარი საერთო ინტერესები არა აქვთო. ეს დასი იმის ცდაშია, იდეოლოგიურად შექმნას განკერძოებული კლასები, და ეს მისი ცდა ეწინააღმდეგება ხშირად ქართველ ერის ნამდვილ ინტერესებს." ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად არ ეთანხმება სოციალ-დემოკრატების უმთავრეს დოგმას – კლასთა ბრძოლის გარდაუვალობის აღიარებას. არჩილ ჯორჯაძის მისწრაფება შექმნილ ვითარებაში ასეთი იყო: „საჭიროა, ამ ორმა მოკამათე მხარემ კარგად გაითვალისნინოს, თუ რა აშორებს მათ ერთმანეთს და რომელ შემთხვევაში შეუძლიანთ ხელი ხელს მისცენ." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა შორის შეთანხმების იმედს არ კარგავდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად საქართველოში საკმაოდ რთული, არაერთგვაროვანი ვითარება შეიქმნა. არჩილ ჯორჯაძე წერს: „ჩვენმა ბურჟუაზიულ-ეროვნულმა ჯგუფმა სახეში უნდა იქონიოს ის გარემოება (ჩვენ ვამბობთ იმ პირთა შესახებ, რომელთა იდეალი ძველი ფეოდალური საქართველოა), რომ საქართველო ადრე თუ გვიან ველარ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ესე იგი შრომის განსაზოგადოებრიეობას და მით შრომის და კაპიტალს შორის ნინააღმდეგობის მოსპობას. ის გარემოება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან მკაფიოდ განკერძოებული კლასები (პროლეტარიატი და ბურჟუაზია), რომ ჩვენი მრეწველობა ჯერ განუვითარებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა, – ყოველი ეს შეუძლებელია ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ საქართველო, ერთხელაც არის, მრენველობის გზას არ დაადგეს. ეს ფაქტები მხოლოდ იმას ჰმოწმობენ, რომ ჩვენ ცოტა გვიან დავადგებით ამ გზას. მიუხედავად ამისა, ჩვენს ცხოვრებაში უკვე ისეთი პირობებია, რომელთა გაელენით ჩვენი ქვეყანა ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს. ქართველი მწარმოებელი, უმეტესს შემთხვევაში მეურნე, დიდი ხანია მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს, და ჩვენის სოფლის ნატურალური წარმოება თანდათან ადგილს უთმობს ფულით ნარმოებულ მეურნეობას. საკმაოა ამ ორი თითქო უმნიშვნელო ფაქტორის არსებობა, რომ შეუმცდარათ ინინასწარმეტყველოს კაცმა ის ეკონომიური პროცესი, რომელსაც დაადგება ესა თუ ის ერი." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძემ საზოგადოებას არსებული სოციალური და ეკონომიკური ვითარების ღრმა და სერიოზული ანალიზი მიაწოდა, ზუსტად ინინასწარმეტყველა ამ ორი სფეროს მხრივ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივა.

არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ძირეული სოციალური და ეკონომიკური ცვლილების მიმართ ქართველი ერი არაერთგვაროვნად რეაგირებდა: „ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალ-



არჩილ ჯორჯაძე

ისტებს, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის პფიქრობენ, მიუხედავად მათის მიმართულებისა (ლიბერალი იქნება, თუ კონსერვატორი), არ შეუძლიანთ უარპყონ ის მოვლენანი, რომელნიც ნინ გადაელობებიან ამ კეთილდღეობის განხორციელების საქმეში, რადგან განვითარება ეროვნულ ცხოვრების ფორმათა ყოველთვის არ არის ხოლმე თავმდები ამ ერის კეთილდღეობისა და წარმატებისა." სხვაგვარად ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები: „მეორეს მხრით, ჩვენს „მარქსისტებს" არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა – ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცაა (არ უნდა დავიინყოთ, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებ მწვავეა), არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენ ერს თანდათან გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ეიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი. როდესაც მონამე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სილრმეში – თუ ჯერ კიდევ სრულად არ არის ღონე-მიხდილი – არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავისი ვინაობის დასაცავად და შესარ-

ჩენად." ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძემ სრულიად გარკვეული აღნიშნა, რომ „სოციალიზმის სამოთხის" მიღწევამდე ქართველი ერის წინაშე იდგა უპირველესი ამოცანა: **ეროვნული საკითხის იმგვარად და იმ დონეზე გადაჭრა, რომ დაუყოვნებლივ შეჩერებულიყო ქართველთა გადაგვარების პროცესი და დანყებულიყო შელახული ეროვნული ღირსების აღდგენა – ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინება-გაძლიერება.** არჩილ ჯორჯაძე წუხდა, რომ ზემოთ ხსენებული ორი თვალსაზრისიდან ამას არცერთი არ ითვალისწინებდა: „ასე რომ, როგორც ჩვენი ბურჟუაზიული ნაციონალისტები სცდებიან ქართველი ერის იდეალების შემუშავებაში, ისე სცდებიან ჩვენი „მარქსისტებიც", იმის გამორკვევაში, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის."

არჩილ ჯორჯაძემ ქართველ საზოგადოებაში ორი მიმდინარეობის შეთანხმება აუცილებლად მიიჩნია, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ეს არცთუ ისე ადვილი საქმე იქნებოდა: „როცა პირველ ჯგუფის პირთ (ნაციონალისტებს – ვ. გ.) ეუბნები, რომ ჩვენს ხალხში უკვე თავი იჩინა ახალმა ეკონომიურმა პროცესმა, რომ იმ პროცესის შეჩერება იმგვარადვე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია კაცმა იძულებულ პყოს მდინარე აღმა იდინოს; როცა ამათ უთითებ იმ ცვლილებაზე, რომელიც ჩვენს მეურნეობაში ხდება, როცა ეუბნები, რომ ქალაქში ქართველი მუშები ჩნდებიან და რომ ჩვენი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზაზეა დამდგარიო, როცა ეუბნები მოვაჭრეთა და მრეწველთა წოდება ჩნდება, როცა ეუბნები, რომ ამ მოვლენათა გავლენით საჭიროა ახალი კრიტერიუმი და ახალი საზოგადოებრივი იდეალის შექმნაო, – აი, სწორედ ამ დროს ამ პირველ ჯგუფის პირნი განგაშს სცემენ და მაღალის ხმით გაიძახიან – არიქათ, მამულს განსაცდელი მოელისო!.. ხოლო, მეორეს მხრით, როცა მიჰმართავ მეორე კატეგორიის პირთ (სოციალ-დემოკრატებს – ვ. გ.) და ეუბნები, რომ საჭიროა დაიცვათ **საერთო ეროვნული ინტერესები** (თუნდა, მაგალითად, სომეხთა ცრუ პატრიოტთა დასის წინააღმდეგ, რომელსაც ჰსურს აღმოფხვრას კავკასიაში ყოველი ნიშან-ნყალი საქართველოს ძველის კულტურისა); როცა ეუბნები, რომ გარედან მტერი მოგვედგომია და ამ დროს შეუძლებელია კლასთა ბრძოლა გაუხადოთ საფუძვლად ჩვენს პრაქტიკულს მოქმედებასაო; როცა ეჭვის თვალით დაპყურებ იმ „სამეცნიერო" და ეკონომიურ კანონებს, რომელნიც შემუშავებულნი არიან გერმანელ ავტორთა დიდტანიან თხზულებებში, – თქვენ სიტყვას განყვეტინებენ, ქედმაღლურად და ზიზღით გნათლავენ „ბურჟუას" სახელით." წარმოდგენილი ანალიზი მთელი სისრულით გვიხატავს იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში არსებობდა.

შექმნილ ვითარებაში არჩილ ჯორჯაძეს მოვლენათა განვითარება ასე წარმოედგინა: „ჩვენ ვამბობდით, რომ კანონიერად განმარტებული ეროვნული საკითხი, საკითხია ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა, თანახმად წინამდებარე დროისა და ადგილისა. და ამისათვის ჩვენებურ დასთა შორის ატეხილ კამათს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც თვალსაჩინოდ განმარტებული იქნება თავისუფლება ადამიანთა ცხოვრებისა, თანახმად დროისა და ადგილისა. როცა ჩვენ ვახსენებთ სიტყვა „თავისუფლებას" და „ადამიანთა თავისუფლების" შესახებ ელაპარაკობთ, სახეში გვაქვს არა მეტაფიზიკური ახსნა ამ მცნებისა, რომელიც, როგორც მოგვითხრობენ ფილოსოფოსნი, ტრიალებს ზესთა-გრძნობათა სფეროში, არამედ სრულიად რეალური, განსაზღვრული, შუათანა ნიჭის ადამიანის გონებისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები ახსნა. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ადამიანისათვის განვითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი; ამიტომ ეროვნება ამჟამად, განსაკუთებით ჩამორჩენილ ერთა შორის, აუცილებელი პირობაა ადამიანთა თავისუფლად განვითარებისათვის და მხოლოდ იმდენად შესაწყნარებელი, რამდენადაც იგი საკმაოდ ემსახურება ამ დანიშნულებას." ასეთი დასკვნით არჩილ ჯორჯაძე კვლავ სოციალისტებს უპირისპირდება და აცხადებს: **ადამიანის ნორმალურად განვითარებისათვის აუცილებელი პირობა ეროვნული თავისუფლებაა, ადამიანი სოციალურად თანასწორთა საზოგადოებაში ეროვნული თავისუფლების გარეშე ნორმალურად ვერ განვითარდება.**

არჩილ ჯორჯაძემ წერილის დასასრულს მიანიშნა ევროპიდან მომდინარე დიდ საფრთხეზე: „მართალია, თანამედროვე ევროპაში აქა იქ აღძრულია ბრძოლა ეროვნულ იდეის წინააღმდეგ და ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეროვნება, რომელმაც უკვე აღასრულა **თავისი ისტორიული მისია**, ახალ პირობებში შეიქმნა იარაღად თავისუფლების დამხობისათვის და არა მის დაცვისათვის. ბრძოლა ეროვნულ პრინციპის წინააღმდეგ იბადება ყოველ ხალხში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ხალხი იმ ზომამდე განვითარდება, რომ ეს ეროვნული პრინციპი ეელარ დააკმაყოფილებს ახლად დაბადებულ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებას და მაშინ ეროვნებაც ხდება ძალად უკუქცევისა. მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ეროვნული პრინციპი გადაიქცეოდეს დაქვეითებულ ერთათვის ამგვარ საშიშ ძალად, უსათუოდ

საჭიროა მათთვის განვლონ ის გზა მატერიალურ და კულტურულ განვითარებისა, რომელიც უკვე გაუვლია თანამედროვე ევროპას (...)"

ევროპაში მიმდინარე პროცესის შეფასების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე მეტად საინტერესო დაკვირვებებს ახდენს საქართველოსა და ქართველი ერის პერსპექტივაზე ამ ვითარებაში: „ჩვენში კი (...) ერთნი, დაძაბუნებულნი და გულგატეხილნი ანინდელ მდგომარეობით, ოცნებითაც კი ვერ ჰბედავენ ჩვენს ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესებას; მეორენი, განსჭვალულნი ცრუ ეროვნულ აზრებით, ძველ ნესყობილების დარღვევაში ჰხედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება; მესამენი კი, გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ ცხოვრებაშიაც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ მცნების გავრცელებას იმ ხალხში, რომლისაგან შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში მარტო ეთნოგრაფიული მოგონება-ღა დარჩეს." ამ მეტად საშიში მდგომარეობიდან გამოსავალს არჩილ ჯორჯაძე შემდეგში ხედავს: „ამჟამად კი ორი რამა გვაქვს საზრუნაო: ა) შესწავლა და განმარტება იმ ცხოვრების ეკონომიურ და სულიერ პროცესისა, რომელიც, თანამედროვე პირობების შეფარდებით ქართულ ეროვნულ ხასიათში გამოისახება და ბ) ამ ეროვნულ ფორმების საშუალებით მომზადდება ქართველ ხალხის შესათვისებლად და შესაფერებლად მსოფლიო კულტურისა." ცხადია, არჩილ ჯორჯაძეს კარგად ესმოდა მის მიერვე დასახული პროგრამის განხორციელების მთელი სირთულე, მაგრამ 1901 წელს იგი ოპტიმიზმით აღსავსეგმგაჰყურებდა ქვეყნის მომავალს.

1901 წელსვე არჩილ ჯორჯაძე აქვეყნებს უმნიშვნელოვანეს სტატიას „საერთო მოქმედების ნიადაგი", რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა სტატიისა „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები" და ამდენად, ცდაა გარსმოჯვარულ პრობლემათა არსში გარკვევისა. XX საუკუნის დამდეგის ქართველ საზოგადოებას ავტორი ასე ახასიათებს: „ჩვენი საზოგადოება ჯგუფებად დაიყო. რასაკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრენველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უარ-ვყოფთ". ამ სამწუხარო მოვლენის გვერდით არჩილ ჯორჯაძე სხვა პროცესსაც ხედავს: „(...) ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამცთუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება". ამ დასკვნით არჩილ ჯორჯაძე გვეუწყება ილია ჭავჭავაძის წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების, „ჩატეხილი ხიდის" აღდგენის დიდი იდეის გამგრძელებლად და განმავითარებლად ახალ ეპოქაში.

არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის იდეა დააკონკრეტა და გამოყო ის საკითხები, რომელთა გარშემო მთელი ქართველი ერის, ყველა წოდებისა და კლასის გაერთიანება შეიძლებოდა: „ჩვენ გვსურს დავასახელოთ სამი უმთავრესი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიანთ. ჩვენ სახეში გვაქვს: ა)ქართული ენის დაცვა, ბ)ქართულ ვაჭრობა-მრენველობის შექმნა და გ)ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა."

გაერთიანების საფუძვლად დასახელებული სამი საკითხის არსს არჩილ ჯორჯაძე დანვრილებით განმარტავს:

1. **ქართული ენის დაცვა:** „ჩვენ აქ ბანალური აზრების განვითარებას არ შეუდგებით იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იდეების გამოთქმისათვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება, ცხოვრება ფერს და სიხარულს კარგავს და რომ ამგვარ საზოგადოებაში მეცნიერებას და ხელოვნებას ადგილი არა აქვთ, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნების მოძრაობას, ხელოვნება კი გრძნობების და საზოგადოთ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უენოთ კი ყველა ეს იხუთება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ დროა რაიმე პრაკტიკული ღონისძიება შევიმუშაოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად, მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი. თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი, ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც „დიალექტურ პროცესს" აქვსა ადგილი და არც „ეკონომიურ მატერიალიზმს".

2. **ქართული ვაჭრობა-მრენველობის შექმნა:** „მეორე საკითხი, არანაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, ქართულ ვაჭრობა-მრენველობის შექმნის, წარმატების საკითხია. ბევრსა ჰქონია ჩვენ-

ში, რომ ახ, სწორედ ეს საკითხია ის, რომელმაც აუცილებლად ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებად უნდა დაპყოს. და ეს დასკვნა უფრო იქედან გამომყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე იჩენს თავს კლასთა ბრძოლა. ჩვენის აზრით კი, კაპიტალის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება ქართველ ვაჭარმრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში – კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის (სომხების – ვ. გ.) ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასათ-ამნყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამაეე ეროვნული აზრით უნდა იყოს განმსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგან ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია, თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვანარმოვებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან უფულოდ ჩვენ ვერ ვახერხებთ ევრავითარს ქართულს საზოგადო საქმეს – თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოება თუ გამომცემელი საზოგადოება. ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავალებული ქართველი მუშა-ხალხი, რომელიც შეპქმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევოლუციისათვის".

3. ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა: „მესამე საკითხი ამაეე ხასიათისაა. ქართული მიწის მფლობელობა ამ ჟამად დიდ განსაცდელშია. ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც მინად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდათან თავის მამულებს ჰკარგავს. ჩვენი ბანკები, მინად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარსებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს. ფული, გამოლებული მამულის გირაოთი და არა მოხმარებული მამულის საჭიროებისათვის სწორედ ის ულმობელი, დამარღვეველი ძალაა, რომელმაც წოდებრივ მინად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მოუღო. მხოლოდ ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში ის მამულები, რომელნიც ჩვენს თავად-აზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დავეხმაროთ თავად-აზნაურობას და რაიმე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ შევინარჩუნოთ მამული და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენი აზრით, ძალიანაც რომ გვდომოდა თავად-აზნაურობის აღდგენა, იგი უკვე ნარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მინათმფლობელობა მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მამულს ფულით ახერიბს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას შეუდგება. და რადგან ჩვენს თავად-აზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებულნი პირნი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ საკითხმა, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და აგვაცილოს ის შეცდომა, რომელშიაც ადვილად გაეებმეითი, თუ ამ მოვლენას დოკტრინის თვალით შევხედავთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვნახოთ, რომ გასაყიდი მამულები ან ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, ან კიდეე ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოთ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქეს გარეშე პირობებთან ეკონომიურ ბრძოლისათვის. ასე რომ, მესამე პრაკტიკული საგანი, ჩვენ ცხოვრებაში ნამოყენებული საგანია, რომლის განმარტებაშიაც ჩვენი შეერთებული ძალაა საჭირო, საგანი ქართულ მიწათმფლობელობის და ქართულ მინად-მოქმედების დაცვისა."

არჩილ ჯორჯაძე კარგად ხედებოდა, რომ ზემოთ ხსენებული სამი კარდინალური საკითხის გადაჭრა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომაა, რომ ავტორი მის მიერ დასმულ სამ საკითხს „საერთო მოქმედების ნიადაგის" გაფართოების მიზნით კიდეე ორს უმატებს: „1) ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია უნდა ენერგიულად ჩაერთოს ქალაქების თვით-მართველობის არჩევნებში." ამ ორ საკითს ავტორი დაწვრილებით განმარტავს:

1. ინტელიგენციის სახალხო კულტურული მოღვაწეობა: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში ზოგიერთი იმ აზრისაა, ვითომც ინტელიგენციას არ ძალუძს „სახალხო მოღვაწეობის" გაძღოლა. ამგვარი უცნაური მოსაზრება დამყარებულია შემცდარ შეხედულებაზე ინტელიგენციის მნიშვნელობის შესახებ ხალხის ცხოვრებაში (...). ქართულ დემოკრატიულ და ეროვნულ წარმატებაში „სახალხო მოღვაწეობას" უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს."

2. ინტელიგენციის მონაწილეობა ქალაქების თვითმმართველობების არჩევნებში: „მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ ამ წერილის სათაურში აღვნიშნეთ, უფრო რთული საკითხია, რადგან

მის განმარტებაში ჩვენ უნებლიედ უნდა შევეხოთ უცხო ტომებსაც, სახელდობრ, სომხებს და შეიძლება იმისთანა რაიმე ვთქვათ, რაც არ მოეწონოთ ჩვენ ლიბერალებსა და დემოკრატებს. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა ქართლ-კახეთის ქალაქების თვით-მართველობებიდან ქართველობა **განდევნილია** და მოქალაქეობრივ საქმეებში არავითარს მონაწილეობას არ ღებულობს. ჩვენ ვამბობთ „განდევნილია", რადგანაც ეჭვს გარეშეა, რომ ქართველების წინაალმდეგ არჩევნების დროს სხვა ტომთა შეთანხმებული ნაციონალური ძალა მოქმედებს ხოლმე. იკითხავთ, რა მიზეზია ქართველების ამგვარი სისუსტისა და რა ღონე უნდა ვიღონოთ ამ ჩვენ მოქალაქობრივ უმოქმედობის მოსასპობად? ან იქნება ჩვენ ნორმალურ მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქალაქში (თბილისში – ვ. გ.) ორმოცი ათასი ქართველია, სიღნაღში, თელავში და გორში ქართველ მკვიდრთა რიცხვი ნახევარზე მეტია და ყველა ამ ქართული ქალაქების მართვაში ქართველები გამორიცხულნი უნდა იყვნენ? რა მიზეზია ჩვენი ამ მოქალაქობრივ ცხოვრებიდან გამორიცხვისა? ჩვეულებრივად ამ კითხვაზე იმას ამბობენ, რომ უპირველესი მიზეზი ამ მოვლენისა ქართველების ეკონომიური დაქვეითებაა, რომ ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა სხვა ტომთა ხელშია და რომ რიცხვი ქართველ მესაკუთრეთა ძალიან მცირედია. ბევრი მართალიც არის ამ მოსაზრებაში. მხოლოდ მასში არ ისახება სრული სიმართლე. რით აიხსნება, რომ ამ ათი-თორმეტი წლის წინად ქალაქის (თბილისის – ვ. გ.) საბჭოში ამორჩეული იქმნა 24 ხმოსანი ქართველი? საიდან გაჩნდა ამოდენა ქართველი ამრჩეველი, რომ 70 ხმოსნიდამ 1/3 ქართველობა ამოირჩია? აშკარაა, აქ ამომრჩეველების მცირედი რიცხვი არაფერშია. ამ პატარა ამრჩეველთა დასმა შესძლო ნაყოფიერი მოქმედება და ჯეროვანი მხნეობის გამოჩენა ქალაქის არჩევნების აგიტაციაში. ყველა ეს იყო შედეგი შეწყობილის და შეთანხმებულის მოქმედებისა." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე არჩევნებში გამარჯვების პირობად წინასაარჩევნო პერიოდში ქართველთა გაერთიანებას და მათში განეულ აქტიურ აგიტაციას მიიჩნევდა.

სტატიაში **„რა არის ინტელიგენცია?" (1901 წ.)** არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით განიხილავს ინტელიგენციის როლს ეროვნულ მოძრაობასა და საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორი აღნიშნავს, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაწყებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებების ეპოქაში ინტელიგენცია ერის ცხოვრებაში მუდამ დიდ როლს ასრულებდა: „ჩვენი ინტელიგენციის პროგრამა იყო, არის და უნდა იყოს ღრმად ეროვნული. ამას მოითხოვდა და მოითხოვს თვით ხალხის ეკონომიური კეთილდღეობაც. დაქვეითებული ეროვნული ცნობიერება ისე ჰლახავს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას, რომ მეორის წარმატება უპირველოდ შეუძლებელია. ჩვენს პირობებში ეროვნება ერთად ერთი იარაღია ქართველ ხალხის ყოველმხრივ წარმატებისათვის და აღორძინებისათვის. მაშასადამე, ჩვენ წინ ეროვნული იდეალები არიან წარმომდგარნი და ჩვენი ინტელიგენციის მოქმედების ნაიდაგი ეროვნული ნაიდაგი უნდა იყოს." ამ ფონზე არჩილ ჯორჯაძეს უკვირდა, თუ რატომ უარყოფდნენ ინტელიგენციის როლს ქართველი ერის ცხოვრებაში: „რით აიხსნება გაუგებარი უარ-ყოფა ქართველ ინტელიგენციისა, უარ-ყოფა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში დროგამოშვებით გაისმის ხოლმე? განა ამგვარი ინტელიგენციის უარყოფა თვით ეროვნულ საქმის უარ-ყოფას არ მოასწავებს? ერთად ერთი, – ან ჩვენს „უარ-მყოფლებს" მართლაც და ეროვნება არა სწამთ, ან კიდევ ისინი ეროვნების საქმეს თავისებურად, ჩვენთვის გაუგებრად ემსახურებიან." ინტელიგენციის როლის უარყოფასთან დაკავშირებით არჩილ ჯორჯაძეს ერთი სერიოზული ეჭვი უჩნდებოდა: „ან იქნება ყველა ეს უბრალო მიბაძვაა, მწიგნობრობაა, ჩვენს ნიადაგზე იმ აზრის განმარტება, ვითომ ჩვენის ინტელიგენციის დაფასებაში საჭიროა წოდებრივ და კლასსიურ პრინციპით ხელმძღვანელობა? თუ მაინც და მაინც გვინდა ევროპას არ ჩამოვრჩეთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ ევროპიულ ცხოვრების პრაქტიკამ გამოარკვია კლასთა ბრძოლის პრინციპის უნაყოფობა და უსაფუძვლობა თანამედროვე რთულ ცხოვრების განსამარტავად და ნუ თუ ჩვენში, ამ იდეოლოგიურ ცდას უნდა შევალიოთ ჩვენი ძალ ღონე?.." ერის ცხოვრებაში ინტელიგენციის, როგორც სხვადასხვა სოციალური ფენის გამაერთიანებლის, როლის აღიარებით არჩილ ჯორჯაძე „საერთო მოქმედების ნიადაგის" მიღწევის რეალურ გზას სახავდა.

არჩილ ჯორჯაძე ეკონომიკის არსებით საკითხებს „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეასთან მიმართებაში იხილავდა. ასეთი პოზიცია ჰქონდა მას სტატიაშიც **„ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო" (1901 წ.)**, ხოლო ამავე წელს გამოქვეყნებულ წერილში **„ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი"** ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში („ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები", „საერთო მოქმედების ნიადაგი", „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო") წამოჭრილი პრობლემების სხვადასხვა კუთხით განხილვას აგრძელებს. სტატიის დასაწყისშივე ავტორი სვამს

კითხვას: „როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების გამოსარკვევი „სახელმძღვანელო" დედა-აზრი? რა უნდა ედვას მას საფუძვლად? ამაზე ერთად ერთი პასუხია: ჩვენ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ყოველი ის, რაც შეადგენს ერის ნორმალურ ცხოვრებას და ურომლისოდაც ამ ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია". ცხადია, პასუხი ერთადერთი იყო, მაგრამ ეს ეხებოდა არჩილ ჯორჯაძეს და მის თანამოაზრეებს. იყუნენ ადამიანები, რომელთათვისაც ეს ერთადერთი პასუხი არ იყო, არადა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ავტორს აუცილებლად მიაჩნდა და თანაც თვლიდა, რომ ქართველების იმ ნაწილს, რომელსაც უპირველეს ამოცანად კაცობრიობის სამსახური მიაჩნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელს არ უშლიდა: „დაუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას და თუ „კაცობრიობა" მართლა გვანუხებს, ვემსახუროთ მას ჩვენი ხალხის საშუალებით." ეს ქართველი სოციალ-დემოკრატების პირდაპირი გამონეცვა იყო, რომლებიც საკაცობრიო იდეალებს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე წინ აყენებდნენ და ეროვნული საკითხის გადაჭრის წინა პირობად რუსეთის იმპერიის მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვებას სახავდნენ. საკითხის ამგვარი დაყენებით არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის პლატფორმას უჭერდა მხარს და მის გზას აგრძელებდა.

მოქმედების სახელმძღვანელო დედააზრს, ანუ ეროვნული პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს, არჩილ ჯორჯაძე ასე წარმოიდგენდა: „ჩვენ აღვნიშნეთ ოთხი უმთავრესი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა და ვსთქვით, რომ მათი ჯეროვანი განმარტება ჩვენი ეროვნული პროგრამის განმარტებად ჩაითვლება; ასე რომ, ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1) საჭიროება ენის დაცვისა, 2) ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება, 3) ქართულ ეკლესიის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4) ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვით-მართველობის საარჩევნოებში და მრენველობა-მეურნეობის კითხვებში". ოთხივე საკითხს არჩილ ჯორჯაძე ცალ-ცალკე დაწერილებით განმარტავს:

1. საჭიროება ენის დაცვისა: „ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ჩვენი სამშობლო ენა, თუ უმისოდაც იოლად ნავალთ? აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რა მიმართულებას უნდა ადგეს ჩვენი ლიტერატურა და საზოგადოთ ხელოვნება? უნდა გავიგოთ და გვესმოდეს ქართულ ეკლესიის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების ნარმატებისათვის. ყველაზე ნათლად და ცხადად კი ის უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ნიშან-წყალი ჩვენი ეროვნების ჩამორჩენაა, რის გამოც უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ურთიერთობა აქვს ქართველ ხალხს სხვა ხალხებთან როგორც საზოგადოებრივ მოედანზე, აგრეთვე ეკონომიურ განწყობილებაში? ყველა ამ კითხვების ჯეროვანი განმარტება შეადგენს დედააზრს ჩვენი მოქმედების გეგმისას. ბევრ ფრაზებს ლაპარაკობენ ჩვენში ქართული ენის შესახებ. ყველანი იმას სჩივიან: ენა გვეკარგება, სკოლებიდან და საზოგადო დაწესებულებებიდან განდევნილიაო იგი; საჭიროა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანზე, იქნებ გეეშველოს რაიმეო და სხვა. საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს. ჩვენც სწორედ ასე გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და საზოგადო დაწესებულებაში რომ არ ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არ ვხმარობთ მას შინ, ოჯახში, გარედ, სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, **სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის აკრძალული?** ქართული ენა იკარგებაო. დიალაც, დაიკარგება. რომელი ენა გაუძლებიათ ამგვარ ძალმომრეობას? რატომ არ ვსარგებლობთ ჩვენ იმ კანონის შეღავათით, რომლის ძალითაც ჩვენ გვაქვს ნება ჩვენი საქმეები ჩვენს კრებაზე ქართულად ვაწარმოოთ? განა თავად-აზნაურობის (წარსულ) საგანგებო კრებაზე წამლად ერთი ქართული სიტყვა წარმოითქვა? ქართული ენა არ ვიცითო. მაშ, რომელი ენა ვიცით? იქნება ჩვენი ორატორების რუსული მჭერმეტყველება მართლა რუსული ენის ცოდნად ჩაითვლება? მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იმ „საგანგებო" კრებაზე დამსწრეთ ქართული უფრო ეხერხებათ. რატომ არ ხმარობენ ისინი ამ ენას? ან იქნება ქართული ენის ხმარება იმ დაწესებულებაში, სადაც კანონი ხელს არ გვიშლის, რაღაც უკანონო „ბუნტად" მიგვაჩნია? რით უნდა დავასაბუთოთ მთავრობის წინაშე თხოვნა სკოლებში ქართული ენის შემოღების შესახებ? განა არ ექნება საბუთი მთავრობას გვითხრას, რომ ქართული ენის შემოღება თქვენი, ქართველების ტანჯვა-ვაებად შეიქმნება, რადგან თქვენს ცხოვრებაში, სოფელში თუ ქალაქში, ოჯახში თუ საზოგადო კრებაზე რუსულსაც კარგად ხმარობთო? და ვაძლევთ რა ამ მოსაზრებას საფუძველს, ჩვენი დაუდევრობით

და უზრუნველობით, ქართული ენის ბედ-იღბალს ჩვენვე ვსწყვეტთ. მხოლოდ ვიდრე ამ კითხვას საბოლოოდ გადავსწყვეტდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის საყურადღებო გარემოება, რომ ხალხის ჯეროვანი განათლება, სასამართლოებში სინდისიერი და საქმეების სამართლიანი წარმოება და ბეერი სხვა ერის ნამდვილი მოთხოვნილებანი არა მშობლიური ენით დაკმაყოფილებულ ვერ იქნებიან. ხალხის დაქვეითება ნივთიერ მოუწყობლობის გარდა, გაუნათლებლობითაც არის გამოწვეული. განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი."

არჩილ ჯორჯაძე იოტის ოდენადაც არ აჭარბებს, მან საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა დიდი ეროვნული პრობლემა: ქართულ ენას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დევნიდა, მაგრამ ოჯახებიდან, სკოლებიდან და სხვა დანესებულებებიდან, სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ იკრძალებოდა, ქართული ენის განდევნა თვით ქართველთა უმეწეობის, უდარდელობისა და დაუდევრობის შედეგიც იყო. სწორედ ამაზე მიუთითებდა არჩილ ჯორჯაძე: „ჩვენი მოწინავე დასი (იგულისხმება ქართველი ინტელიგენციის ელიტა – ე. გ.), შედარებით იოლად მიდის სამშობლო ენის უცოდინარობით, მან ავად თუ კარგად შეითვისა უცხო ენა, რომელიც აძლევს მას საშუალებას თავის-თავის რჩენისას სამსახურით თუ საზოგადო მოღვაწეობით. ხალხის აღზრდა-განათლებაზე, უნდა ვთქვათ, მაინცა და მაინც იგი არ ზრუნავს. და როცა ენის დაკარგვაზე ჩივილს იწყებს, ეგ ჩივილი რაღაც ყალბ პატრიოტობად მიგვაჩნია". ესეც მწარე სიმართლე იყო, რომლის აღიარება, სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის ელიტას არ სურდა.

2. ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნული იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება: „ენასთან ვიწროდაა (მჭიდროდაა – ე. გ.) დაკავშირებული ლიტერატურა და ლიტერატურასთან, საზოგადოდ, ხელოვნება – მხატვრობა, ქანდაკება და მუსიკა. ხელოვნებას მეცნიერებასთან აქვს ის უპირატესობა, რომ იგი უფრო მისაწვდომია ხალხისათვის, რადგან იმის მოქმედების ასპარეზი ადამიანის გრძნობაა. პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა – სიტყვების, ფერადების, მარმარილოს და სხვების საშუალებით ადამიანის გრძნობა-გონებას აღვიძებენ. ამისათვის ნამდვილ ხელოვნებას ყოველთვის აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა (...). ლიტერატურა და ხელოვნება საუკეთესო იარაღია იმ გრძნობათა და აზრთა გაღვიძებისათვის, რაზედაც უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება. ჩვენის აზრით, ეროვნულ პროგრამის გარკვევასთან ერთად უნდა გაირკვეს ჩვენი ხელოვნების მიმართულებაც, ის, თუ რა კითხვები, ერის დამახასიათებელი ნიშნებია წამოყენებული მის წინაშე. ან იქნება ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ მისცემს შინაარსს ჩვენს ლიტერატურას, მხატვრობას, ქანდაკებას და მუსიკას? ჩვენის აზრით კი, უნდა მისცეს, რადგან ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერია, რაც კი საჭიროა ნამდვილ ხელოვნებისათვის". ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე აგრძელებს და ავითარებს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებას მწერლობასა და ხელოვნებაზე.

3. ქართულ ეკლესიის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში („მამულისათვის თავდადება"): „ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან. ჩვენა გვაქვს სახეში ქართული ეკლესია და ეროვნების დაცვაში მისი მნიშვნელობა." ამ დასკნის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ეხება ქართული ეკლესიისათვის მეტად მტკივნეულ თემას, რომელიც იმხანად და მომდევნო ეპოქებშიც გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ საგანგებოდ იყო ინსპირირებული: „თავდაპირველად კი საჭიროა ვიცოდეთ, აქვს ნიადაგი ჩვენს მდგომარეობაში იმას, რასაც ევროპაში „კლერიკალიზმს" და „ანტიკლერიკალიზმს" უწოდებენ? თავისუფალი მოაზროვნენი იქ, ევროპაში, უარყოფენ ეკლესიას და მის დოგმატურ მოძღვრებას, რადგანაც ეკლესიას (კათოლიკეთა) ჰქონდა იქ დიდი პოლიტიკური ძალა, მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მფლობელობისა და იგი ყოველთვის გონების და მსჯელობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. ანტიკლერიკალიზმი ძალაა, რომელიც ებრძვის ეკლესიის მინიერ პრეტენზიებს." ამ ზოგადი განმარტების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: აქვს თუ არა ანტიკლერიკალიზმს საფუძველი საქართველოში? ავტორის ღრმა რწმენით, ასეთი საფუძველი არ არსებობდა: „ჩვენს ეკლესიას უფრო ეროვნული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანული, ვინაიდგან ქრისტეს მიძღვრება არღვევს საზღვრებს ეროვნულ ცხოვრებისას, და ქართული ეკლესია კი ამ საზღვრების დაცვაში იყო. ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკლესიას არა ჰქონდა ამნაირი ხასიათი. ებრაელთა ცხოვრება შესამჩნევ ნიშუშებს წარმოგვიდგენს ამგვარ ზეციერ და მიწიერ ელემენტების ერთი ერთმანეთთან შერევისა და გადაბმისა. იუდაიზმი – შერეული რელიგიურ

აზრისა მამულის სიყვარულში, დაცვაა მამულისა, რჩეულ ხალხისა, ღვთის ხვედრისა. ჩვენი ისტორიული ქრისტიანიზმიც ამ ხასიათისაა (...). ჩვენს დროშიაც ქართულ ეკლესიას შეუძლია პქონდეს იგივე საერო ხასიათი ქართულ ნირვა-ლოცვით, გალობის ისტორიის და ეროვნულ ტრადიციების დაცვით. ამისათვის ქართულ ეკლესიის საკითხის გარკვევასაც უნდა პქონდეს ადგილი ჩვენს მოქმედების გეგმის შემუშავებაში." არჩილ ჯორჯაძის ნაშრომის დაწერის დროს, 1901 წელს, ავტოკეფალისტური მოძრაობა საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან პროცესში იყო, არჩილ ჯორჯაძე კი, ფაქტობრივად, უკვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს თამამად აყენებდა.

4. ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვითმართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში: „მხოლოდ უპირატესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რაზედაც უმთავრესი ყურადღების მიქცევაა საჭირო, საკითხი, რომლის ჯეროვან გარკვევიდამ გამომდინარეობს სხვა კითხვების გარკვევაც, ეროვნულ ნიადაგზე პრაქტიკულ მოქმედების კითხვაა. უწინარეს ყოვლისა, იმის გადაწყვეტა და განმარტებაა საჭირო, არის თუ არა ჩვენში ერთა შორის ბრძოლა? ჩვენი საერთო ინტერესები ენინააღმდეგებიან თუ არა უცხოტომელების ინტერესებს? თუ ეს ბრძოლა მართლა არსებობს, მაშინ ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზედ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში, ვინაიდან ამ მოქმედების ხასიათი სულ სხვა უნდა იყოს. თუ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დროის პირველი კითხვა ერთა შორის ბრძოლის კითხვაა და არა ეკონომიური, წოდებრიეი ან კლასიური ბრძოლა, თუ ჩვენთვის ცხადად გამოირკვა ეროვნული და არა ეკონომიური ხასიათი ჩვენი ბრძოლის ნიადაგისა, მაშინ საჭიროა შევიმუშაოთ ერთ პრინციპზედ დამყარებული რთული ეროვნული პროგრამა, საჭიროა გავიგოთ, ან როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებრივ ასპარეზზედ (თვითმართველობის კითხვაში), ან ძველ ქართულ ნაშთების დაცვის საქმეში და ან სხვა ტომებთან ეკონომიურ ურთიერთობაში. ლოლიკის წინააღმდეგი იქნება, ვცნობთ რა და გამოვაჩენთ ჩვენში ეროვნულ ბრძოლის ნიადაგს, ერთ შემთხვევაში მტერი მოვიგერიოთ ეროვნულის იარაღით, მეორე შემთხვევაში კი ეს იარაღი უარ-ვყოთ." არჩილ ჯორჯაძის მიერ დაყენებული საკითხი უმწვავეს ეროვნულ პრობლემას წარმოადგენდა, რომელსაც არ სცნობდნენ და საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ სოციალ-დემოკრატები.

არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე მწვავე კითხვას სვამს: „ჩვენ ამ წერილში დანერილებით ვერ გამოვარკვევთ ამ საგანს, მხოლოდ მკითხველს დავეკითხებით, რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ბაქოში, მაგალითად, მრეწველები იმერელ მუშებს აღარ იღებენ და, აქ, ტფილისშიაც, ქართველ მუშებს ისტუმრებენ ზოგიერთ ქარხნებიდამ და მათ ადგილებზედ გადმოსულებს აყენებენ? ან რა არის, თუ არა გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების საკითხი, რა არის, თუ არა თავგასული ეროვნული ჯიუტობა (სომეხთა ჯიუტობა – ვ. გ.) ეხლანდელ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის შეუცვლელობისა? ნუ თუ ყოველივე ამაზე ზრუნვა მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეა და არა საერო საქმე? ან იქნება ქართველ მუშების აქაურ ქარხნებიდან გამორიცხვაც ბურჟუაზიულ და არა ქართველ მუშის, ჩვენი საერო საქმე არ იყოს? მაშ, სხვა ერის ბურჟუაზიის გამეფება მუშათა კეთილდღეობის კითხვათ ჩაითველება? თუ ქალაქის არჩევნების წესის შეცვლა იმ რიგად, რომ დამყარდეს თანაბრიეი წარმომადგენლობა, ბურჟუაზიული კითხვაა და არა – საერო, მაშ, აწინდელი საარჩევნო წესი, რომლის საშუალებით ქართველები ყოველთვის დამარცხებული იქნებიან, რადგან ერთ საარჩევნო ნაწილში სხვებს ყოველთვის ექნებათ უპირატესობა, ჩვენი, ქართველების, საერთო კეთილდღეობის წესად ჩაითვლება? თუ ქართულ ნარწერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება და ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება მარტო ბურჟუაზიის საქმეა? რატომ ერთი სინდისიერი „დემოკრატი" არ გამოუჩნდათ სხვა ერებს სიმართლის აღსადგენად და ქართველების სამართლიან წყრომის დასაშოშმინებლად?" ცხადია, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ „ქართულ ნარნერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება, ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება" სომხების საქმე იყო და ეს ანტიქართული პოლიტიკა მთელი ქართველი ერის სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად უნდა აღკვეთილიყო. არჩილ ჯორჯაძე საესებით სამართლიანად მიუთითებს, რომ სომეხი „დემოკრატები" მხარში ედგნენ ყოველგვარი ანტიქართული საქმის წამოწყებას და არც კი ფიქრობდნენ, რომ ქართველთა სამართლიანი ინტერესებისთვის ანგარიში გაეწიათ. ამის საპირისპიროდ ქართველი „დემოკრატები" საერთოდ არაფრად აგდებდნენ ქართველი ერის ინტერესების შელახვას და მხოლოდ „საკაცობრიო იდეალების" გამო წუხდნენ. ნაშრომში ვკითხულობთ: „უცხოელ სიტყვიერებას (საკაცობრიო იდეალებს – ვ. გ.) ნუ გამოუდგებით – იგი ჩვენ არას გვეუბნება, არაფერს გვიხსნის."

ასეთ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ქართველობამ? ნაშრომში ავტორი სრულიად ნათლად გვამცნობს თავის პოზიციას ამ საკითხის მიმართ: „ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებს, ეს წყლული ჩვენი ეროვნების დაჩაგვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ თავს. სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით, თუ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვიზამენ, არას გვიშველიან!“ არჩილ ჯორჯაძის ეს მონოდება მეტად აქტუალური რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მას არათუ მაშინ, დღესაც არ დაუკარგავს სიმწვავე.

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ იდეას უკავშირდება არჩილ ჯორჯაძის წერილი „ვის უნდა დარჩეს ჩვენი მინა?“ (1901 წ.). იმ ქაოტურ ეპოქაში ვის, რომელ სოციალურ ფენას თუ კლასს უნდა დარჩენოდა ქართული მიწა, ძალზე რთული სათქმელი იყო. სწორედ ამ სირთულის აღნიშვნით იწყებს არჩილ ჯორჯაძე ნაშრომს: „ერთ ჩვენ წერილში შევეხეთ ქართულ მინა-ნყლის ბედ-ილბალს და, სხვათა შორის, ის აზრი გამოვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მინა ქართველებს შევარჩინოთ. ამის შესახებ ორნაირი სასყევედური მოგვეიდა. ერთის მხრივ, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი დასკვნა მკაფიოდ გამოსახული არ არის, წერილიდან არა სჩანსო, საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი მიწა გლეხკაცობის ხელში გადაეიდესო; მეორეს მხრით, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობის ინტერესების წინააღმდეგი აზრები გამოვსთქვით და იმის ცდაში ვართ, რომ მას ეხლავე უსათუოდ მინა ჩამოერთვასო“. სწორედ ამ ბუნდოვანების ცხადყოფისათვის არჩილ ჯორჯაძე უბრუნდება მტკივნეულ თემას და მთელი პირდაპირობით აცხადებს: „რათა ამ ორ საყვედურს საფუძველი ავაცალოთ, ჩვენ ვამბობთ – პრინციპიალურად იმ აზრისა ვართ, რომ მიწა, ეს საწარმოო იარაღი, მწარმოებლის, ე.ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ, რადგან ეს პრაქტიკულად არ მოხერხდება ამ ჟამად, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შეიძლება, გლეხკაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და, რასაც იგი ვერ შეისყიდის უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ჩვენს თავად-აზნაურობას შევუნარჩუნოთ. ასე რომ, ჩვენი მიწა გარემოების და დროის მოთხოვნილებით, ქართველობას უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს, განურჩევლად წოდებისა, ვინც კი შეძლებს გასაყიდ მინის შეძენას (...). ქართველი ხალხის ინტერესია – ჰქონდეს მას საცხოვრებელი მიწა-ნყალი. მხოლოდ თუ ჩვენ მინას უცხოელები დაეპატრონებიან, ქართველ გლეხის ხელში იგი ეელარ ჩაეარდება. ასე რომ, ჩვენ წინ ამგვარი დილემაა: ჩვენს აზნაურს მამული ეყიდება, გლეხს იმისი ყიდვა არსებულ პირობებში არ შეუძლია; დავეხმაროთ თუ არა აზნაურს, რომ მან დროებით მაინც არ დაჰკარგოს მამული, თუ გულგრილად უყუროთ ქართულ მინის სხვის ხელში გადასვლას? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საზოგადო ინტერესის მიხედვით, საჭიროა ამ აზნაურს დავეხმაროთ. თავად-აზნაურობის მინის-მფლობელობის დაცვის საჭიროება გამომდინარეობს ჩვენი გლეხკაცობის ინტერესიდან, რადგან ჩვენი აზნაურობის მამულ-დედული გლეხ-კაცობის და ქართველ მრეწველების (განურჩეველად ნოდებისა) შემკვიდრეობაა და რადგან სხვის ხელში გადასვლასთან ამათ ეს შემკვიდრეობა სამუდამოთ დაეკარგებათ.“ მწერლის ამ მოსაზრებას ბევრი საერთო აქვს ილია ჭავჭავაძის პოზიციასთან, რომელიც ბატონყმობის გაუქმების დროს და შემდგომ ათწლეულებში როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ინტერესებს იცავდა.

არჩილ ჯორჯაძე მიმოიხილავს ქართველ გლეხთა ცალკეული კატეგორიის (მინის მფლობელი, დროებითვალდებული, სახელმწიფო და ხიზანი გლეხების) სავალალო სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და შექმნილი ვითარებიდან გამომსავალს ასე ხედავს: „თუ გვსურს ჩვენს ეროვნებას მკვიდრი საფუძველი დაუდოთ, მივაქციოთ უპირატესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მწარმოებელი (გლეხი – ვ. გ.) არ არის დამკვიდრებული იმ მინაზედ, რომელსაც იგი ამუშავებს და რომელიც საქართველოს ტერიტორიას შეიცავს. დავეხმაროთ გლეხ-კაცობას მინის შეძენის საქმეში. რაც მან ვერ შეიძინოს, შეურჩინოთ მიწა დანარჩენ ქართველობას. ამ განზრახვით საჭიროა ჩვენში სპეციალური ბანკის დაარსება“. სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძის პროგრამა ვერ განხორციელდა, ხოლო მომდევნო წლებში აგრარული საკითხის იმგვარად გადაჭრას, როგორადაც ის ხედავდა, მრავალმა ობიექტურმა ფაქტორმა შეუშალა ხელი.

ისევ და ისევ საერთო მოქმედების ნიადაგის იდეას ეხმაურება 1901 წელს შექმნილი არჩილ ჯორჯაძის წერილი „ეროვნული საკითხის განმარტების გამო“. ნაშრომი ასე იწყება: „არსად, არც ერთს საზოგადოებაში არ შეხვდებით იმისთანა ბუნდოვან და გამოურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც ქართველ საზოგადოებაში. ამ საგანზე ჩვენში ლაპარაკობენ – სიტყვით და ბეჭდვით – მხოლოდ ამითი საქმეს არა ეშველარა – ეროვნება იყო და არის ჩვენთვის რაღაც გაუგებარი ამოცანა.“ არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ყალიბდებოდა ერის სოციალური ფენებიც. ამ პროცესის განმსაზღვრელი, აეტო-

რის აზრით, იყო ის, რომ „ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი სცხოვრობდა იმ მინა-წყალზე, რომელზედაც იგი ძველადვე დამყარდა, და ამავე დროს, მას არ დავიწყებია ის ენა, რომელზედაც იგი იმთავითვე ლაპარაკობდა. მაშასადამე, თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად მრავალ გვარ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებათა, შეურყეველად შეურჩენია ორი რამ: მინა და ენა." ავტორის აზრით, მინისა და ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ძალზე ძნელი იყო: „რასაკვირველია, ჩვენს ტერიტორიას ამ ხნის განმავლობაში ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატებოდა მეორე; ჩვენს ენაშიაც ხან ერთი უცხო სიტყვა შემოდიოდა, ხან მეორე. მხოლოდ დღემდე მაინც ქართველ ხალხს აქვს განსაზღვრული ტერიტორია და განკერძოებული ენა და ეს ორი საგანი ჩვენის ცხოვრების არსებით თვისებას შეადგენდა და ეხლაც შეადგენს: მინა და ენა – ორი ძირითადი ფაქტორი ჩვენი ეროვნებისა – მინა და მისი ნაწარმოები ცხოვრების ეკონომიური საფუძველია; ენა და ყოველივე ის, რაც ენის საშუალებით გამოისახება (ლიტერატურა, აზროვნება და სხვ.), ცხოვრების სულიერ ანუ ფსიხიურ საფუძვლად ჩაითვლება." საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა მთელ ამ პროცესებში ენის მნიშვნელობის შესახებ: „შეიგნო რა ქართველმა კაცმა ენის მნიშვნელობა, მან დაიწყო იმის საშუალებით თავისი აზრის და გრძნობის გამოხატვა, აქედან წარმოსდგა კულტურა: კანონმდებლობა, ღვთისმეტყველება, ლიტერატურა და სხვ. (...). როდესაც ჩვენს ტერიტორიას გარეშე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იცოდა, რომ მინა იმის მარჩენალია, რომ ამ მინაზედ სცხოვრობს ერთ ენაზედ მოსაუბრე ერი, რომელსაც ერთი ზნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ლხინი და ჭირი პქონდა. ყოველივე ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც აერთებდა ჩვენს ერს და მეორე ერისაგან არჩევდა მას". არჩილ ჯორჯაძის მიერ შემოტანილი ცნებები და განსაზღვრებები სხვადასხვა ფორმით გადაეცა **მიხეილ (მიხაკო)** წერეთლის ნიგნში „ერი და კაცობრიობა" (1910 წ.) და იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"(1913 წ.). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ ჯორჯაძის, მიხეილ წერეთლისა და იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომებში ხშირ შემთხვევაში ასახვა პპოვა მათზე ადრე მოღვაწე სხვადასხვა ერის გამორჩენილი მეცნიერების მიერ ნამოყენებულმა დებულებებმა.

ნაშრომის დასასრულს არჩილ ჯორჯაძე სვამს იმ დროისათვის მეტად მწვავე, გადაუჭრელ კითხვებს: „ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული საკითხი? რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარ მოვლენისა? – ერთის მხრით, ეროვნულ ერთობისა, – მეორეს მხრით, თანამედროვე ეკონომიურ წინააღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდება ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?" ამ მეტად რთული კითხვების შესახებ ავტორი თავის მოსაზრებებს გვიზიარებს: „ამ კითხვის გამოკვლევისათვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება. ეროვნება ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოსდგება ამგვარი კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავმდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა." პრაქტიკულად, არჩილ ჯორჯაძემ მოგვცა ერის რაობის განმარტება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოყო რამდენიმე ნიშან-თვისება: „მინა" (ტერიტორია); „ენა"; „ცხოვრების სულიერი, ანუ ფსიხიური საფუძველი"; „ზნე-ჩვეულება"; „სარწმუნოება;" „ისტორიული ტრადიცია"; „ნივთიერი და სულიერი კავშირი თავის ხალხთან", როგორც თავმდები სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა". ყოველივე ეს ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში სრულიად ახალი სიტყვა იყო.

§3. ბრძოლა „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეის ნინააღმდეგ

არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეას სოციალისტური ორიენტაციის ძალები დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ. მათ ხელიდან ეცლებოდათ უმთავრესი – კლასთა ბრძოლის პროგრესის აუცილებელ პირობად აღიარება და ამ ბრძოლაში მუშათა კლასის უპირველეს სოციალურ ძალად გამოცხადება. განსაკუთრებით გამოიდეს თავი ნოე ჟორდანიამ, ალექსანდრე წულუკიძემ და იოსებ ჯუღაშვილმა.

1. არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან. 1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელსა" და ჟურნალ „მოამბეში"გამოქვეყნებულმა არჩილ ჯორჯაძის სტატიებმა მყუდროება დაურღვია ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ხოლო მათი ლიდერი ნოე ჟორდანია პოლემიკასაც კი აჩაღებს იწყებს ოპონენტთან. 1901 წელს გაზეთ „ქვალში" ნოე ჟორდანია ბეჭდავს ერცელ, ოთხნაწილიან, წერილს „ჩვენი დღევანდელი პრესა". წერილის პირველ ნაწილში ავტორი გაზეთ „ცნობის ფურცლის" პოზიციას აკრიტიკებს, ეხება კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის სტატიებს. რაც შეეხება ნაშრომის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებს, ისინი მთლიანად არჩილ ჯორჯაძის 1901

წელს გამოქვეყნებული წერილების კრიტიკას ეძღვნება. ნოე ჟორდანია მძიმე მდგომარეობაში იყო: ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს არ შეეძლო ხელაღებით უარეყო არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები ერზე, ეროვნულ მოძრაობაზე, მისი ღრმააზროვანი მიგნებები საერთო მოქმედების ნიადაგზე. ამიტომაა, რომ იგი ხშირად გვერდს უვლის საპოლემიკო საკითხებს და სადაც არ სურს, რომ არჩილ ჯორჯაძის მიერ წამოყენებული დასკვნების სისწორე აღიაროს, იქ მას პლაგიატობაში სდებს ბრალს და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ამტკიცებს, ეს დასკვნა არჩილ ჯორჯაძემ ჩემგან გადაიღოო.

წერილში „ჩვენი დღევანდელი პრესა" ნოე ჟორდანიას მიერ არჩილ ჯორჯაძის მიმართ წაყენებული ბრალდებები მოკლედ ასეთია:

1. „ის (არჩილ ჯორჯაძე – ვ. გ.) ერთობ პირდაპირი და გულახმილი მწერალია. ამბობს მხოლოთ იმას, რასაც ფიქრობს და სრულიად არ მეცადინეობს თავის აზრს რაიმე სისტემატიური გამოხატულება მისცეს. ამიტომ ერთ და იმავე კითხვას მრავალჯერ უბრუნდება და ხშირათ სხვადა-სხვანაირათ წყვეტს. ასე რომ, ჩვენ არ ვიცით მეორე მწერალი, რომელსაც იმდენი ლოღიკური ნახტომები და წინააღმდეგობა ჰქონდეს, რამდენიც ბ. ჯორჯაძეს მოეპოვება."

2. „ასეთი უსისტემო ნაწერების დახასიათება ყოველთვის ძნელია და თუ მაინც არ მოუშვებთ, პირველ ყოვლისა, საჭიროა თვით თქვენ შეიტანოთ სისტემა, მწერლის გაბნეულ-გამობნეული აზრები ერთ ძაფზე აასხათ და მისი ღირსება-ნაკლულებანი ნათელყოთ. სწორედ ასეთ დოსტაქრობას მოითხოვს ბ. ჯორჯაძის წერილები (...)".

3. „ბ. ჯორჯაძე იწუნებს როგორც კონსერვატორთ, ისე დემოკრატთ და თვითონ მეცადინეობს რაღაც შუათანა პარტია შექმნას. ვითომდა, თუკი პირველი და მესამე დასი არსებობს, რატომ მეორე დასი არ უნდა გამოიჩეკოსო და, აი, ბ. ჯორჯაძესაც ამ საქმის მეთაურობა მოუსურვებია. რა სახისაა ეს მის მიერ შეზავებული „კონსერვატიულ-დემოკრატიული" (თუ შეიძლება ასე ითქვას) მიმართულება?"

4. „ეს დასიო („მესამე დასი" – ვ. გ.), ამბობს ის, საქართველოს ყოფს ორ კლასათ, რომელთა შორის ეკონომიური განხეთქილებაა, რის გამოც მათ არავითარი საერთო ინტერესი არა აქვთო (...). რაკი ეს ასეა, ბ. არ. ჯორჯაძესაც საქმე გაუადვილდა, მონახა „საერთო ინტერესები" და გამოაცხადა, აი, თქვენ ბრმები ხართ, ამ აშკარა ფაქტსაც ვერ ხედავთო."

5. „ბ. ჯორჯაძემ ვერ აგვიხსნა, რა არის ეროვნობა, თუმცა ყოველ თავის წერილში ეროვნობაზე ლაპარაკობს".

6. „ავტორი ჩვენში დაბადებულ ეკონომიურ განხეთქილებას აღიარებს როგორც ფაქტს, როგორც მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებულ ნამდვილ ამბავს. მარა მას მოუსურვებია ამ ნამდვილ ამბავს ხელი დააფაროს, მიაფუჩეჩოს და მის ნაცვლათ „საერთო პრაქტიკული ნიადაგი" წამოაყენოს.

7. „ის (არჩილ ჯორჯაძე – ვ. გ.), მისდა სასახელოთ, პირდაპირ ამბობს იმას, რაც ბევრს გულში აქვს და ენით ვერ უთქვამს. ავტორი გადაჭრით გვეუბნება, რომ „მშრომელი ხალხის" ინტერესი მისი კერძო ინტერესიაო, ხოლო ერთი მუჭა ეაჭარ-მრეწველთა ინტერესი საერთოაო!"

8. „ბ. ჯორჯაძე მეცადინეობს გააძლიეროს ეროვნობა, მარა საქმეს ისე აწყობს, რომ აქედან ხალხს გარეთ აგდებს და მის ალაგს აძლევს ერთ მუჭა ბურჟუა-კაპიტალისტებს."

9. „ბ. ჯორჯაძე კაპიტალისტებს უპირისპირებს არა ფეოდალთ, არამედ ხალხს და მათს ხალხზე გაბატონებას უწოდებს ნაციონალურ საქმესო!"

10. „ის (არჩილ ჯორჯაძე – ვ. გ.) თავგამოდებით გვირჩევს, ქართველი კაპიტალისტი ქართველ მუშას არ დაუპირდაპიროთ. ეს ძლიერ კარგი, მაგრამ ეს დაპირდაპირება თუ არ დაპირდაპირება ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული? თუ კი ისინი თვით ცხოვრების პირობებით იძულებულნი არიან ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ – განა ჩვენ რომ ეს არ გამოვამჟღავნოთ, ამით მოისპობა? და თუ ისინი დაპირდაპირებულნი არ არიან, ძალიან ბევრიც რომ ვიძახოთ, – დაუპირდაპიროთო, არავითარი დაპირისპირება არ მოხდება".

11. „ბ. ჯორჯაძემ, „კაპიტალისტების გასამრავლებლათ, ურჩია „მშრომელ ხალხს", რაც მოგვცენ, იმას დასჯერდიო."

12. „თავად-აზნაურობის მამული უთუოდ სხვა წოდების ხელში უნდა გადავიდეს, მამული „მხოლოთ იმათ შერჩებათ", ვინც მას ფულით ახეირებს, ე. ი. ფულიანს, ბურჟუას. მაშასადამე, ქართული თავად-აზნაურობის მამული უნდა გადავიდეს ქართველ ბურჟუის ხელშიო, მართალია, ავტორი გლეხობასაც იხსენებს, მარა მას მამულის შეძენის იმედი სრულიად დაუკარგა, როცა უთხრა, მამული მხოლოთ ფულიანთ შერჩებათო. მაშასადამე, გლეხისათვის მამულის გადაცემა მხოლოთ იმიტომ, რომ მეორე დღეს ფულიანს მიყიდოს (...). ასე უმიწა-წყლოთ გაუშვა ბ. ჯორჯაძემ გლეხობის დიდი უმრავლესობა (...)."

13. „ქართველ ბურჟუაზიის გაძლიერება როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქართველი „მშრომელი ხალხის" ალაგმვა როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში – აი, ბ. ჯორჯაძის „საერთო

ნიადაგი", აი, საითკენ ინოდებს ის ქართველობას!"

14. „ბ. ჯორჯაძის იდეალია ნაციონალიზმი უნაციონო, ეროვნება– უეროვნო!"

15. „ბ. ჯორჯაძის აზრით (...), ქართველი ბურჟუაზიის განვითარება პროგრესულია იმდენათ, რამდენათ ის ბატონდება „მშრომელ ხალხზე" და მის ოფლით ის სუქდება".

16. „ბ. ჯორჯაძე იცავს ბურჟუაზიას, რაც, მისი აზრით, თვით ეროვნობის დაცვაა", მარა ამასთანავე აცხადებს, კლასიურ განხეთქილებას თავი დავანებოთო (...). ბურჟუაზიის გაძლიერება მოითხოვს განხეთქილების უარ-ყოფას."

ნოე ჟორდანიამ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა გადმოცემისას წინასწარგანზრახვით ბევრი რამ გააბუნდოვნა, ბევრ რამეს შინაარსი შეუცვალა და თავის სასარგებლოდ წარმოადგინა. ნოე ჟორდანიამ ზოგიერთი საყურადღებო აზრიც გამოთქვა, მაგრამ ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკაში, ამჯერადაც მისთვის ჭეშმარიტების საზომი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია იყო, რაც ამ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა, ის ნოე ჟორდანიას მოულებლად მიაჩნდა.

1901 წელსვე არჩილ ჯორჯაძემ ნოე ჟორდანიას კრიტიკას უპასუხა ვრცელი ნერილით „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე". ავტორი წერილს ძალზე მოკრძალებულად იწყებს: „დაიბეჭდა „კვალში" ბ. ჟორდანიას პირველი კრიტიკული განხილვა ჩვენი ნერილებისა. ჩვენ დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ იგი, რადგან ნინასწარ მოველოდით დამჯდარ, მშვიდობიან და მიუდგომელ დაფასებას ჩვენ მიერ წამოყენებულ კითხვებისას. ამას იმიტომ კი არ მოველოდით, ვითომ ჩვენ რაიმე დამსახურება მიგვიძღოდა მკითხველის ნინაშე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საერთო მდგომარეობა იმგვარი გვგონია, როდესაც ჩვენ მკითხველს, ვერც ჩვენ თავს ვერ დავაკმაყოფილებთ სიტყვების თამაშობით, ერთგვარ აზრთა კეკლუცობით, რომელსაც არ ძალ-უძს არავითარი საგნის განმარტება. ჩვენ მოლოდინი გაგვიცრუვდა. რადგან ზემოხსენებულ ნერილში ის ვერა ვნახეთ, რასაც ვეძებდით და რაზედაც ჩვენ უფლებაც გვქონდა – ჩვენ ვერ ვიპოვეთ იქ აზრის კრიტიკა და ამ გარემოებამ პოლემიკის სურვილი ერთბაშად მოგვიკლა. მაგრამ ნარსულ კვირას ბ. ჟორდანიამ დაბეჭდა მეორე კრიტიკული განხილვა ჩვენის ნაწარმოებისა (გულისხმობს ნოე ჟორდანიას ნერილის: „ჩვენი დღევანდელი პრესა"– მეორე ნაწილს – ვ. გ.) და აი, ამ განხილვამ ხელმეორედ აღგვიძრა ლაპარაკის სურვილი, რადგან მასში იმგვარი კითხვებია წამოყენებული, რომელთ გადასინჯვა ჩვენ უსარგებლო საქმედ არ მიგვაჩნია". ოპონენტის კრიტიკიდან გამომდინარე, არჩილ ჯორჯაძემ შემდეგ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება:

1. „პირველი საკამათო კითხვა ამნაირია: შეიძლება თუ არა ჩვენ პირობებში, პრაქტიკულ მოქმედებაში ვიხელმძღვანელოთ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპით? თუ შეიძლება, ჩვენს მოკამათე დასთ არა აქვთ საერთო მოქმედების ნიადაგი; თუ არ შეიძლება, ამგვარ ნიადაგის გარკვევაა საჭირო. ჩვენ ვსთქვით და კიდევაც ვამბობთ, რომ ამ პრინციპს პრაქტიკულ მოქმედებაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან ჩვენი ცხოერება გვითითებს „საერთო ინტერესებზე". თუ გვაქვს საერთო ინტერესები, საერთო მოქმედებაც გვესაჭიროება."

2. „ბ. ჟორდანია კი, ერთის მხრით, კლასთა ბრძოლის პრინციპს იცავს, მეორეს მხრით, საერთო ინტერესებზე ლაპარაკობს. ჩვენი აზრით, ეს ორი წინადადება ერთი-ერთმანეთში შეუთანხმებელია. კლასთა ბრძოლის პრინციპი გვასწავლის, რომ ორ მებრძოლ კლასთაგან ერთი, უსათუოდ, ყოველ შემთხვევაში ოპოზიციაში უნდა იყოს. ნიშანდობლივი ხასიათი ოპოზიციისა იმაშია, რომ მას არაეითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ კლასებთან – იგი მუდმივ ბრძოლაშია, მუდმივ შეჯახებაშია და იქ, საცა მებრძოლთა შორის საერთო ინტერესებიც იბადება, იქ წმინდა კლასთა ბრძოლის პრონციპი არ გამოდგება სახელმძღვანელოდ პრაქტიკულ მოქმედებაში. როგორ აკავშირებს ბ. ჟორდანია ამ ორ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ აზრებს, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ აშკარაა, რომ მას ვერ გაუთვალისწინებია ამ კავშირის შეუძლებლობა. და ამ შეუგნებლობით აიხსნება სწორედ ის გარემოებაც, რომ ბ. ჟორდანია თავსაც იწონებს იმით, რომ მან დიდი ხანია, რაც მიაქცია ყურადღება საერთო ინტერესების არსებობაზე ჩვენში."

3. „მან (ნოე ჟორდანიამ – ვ. გ.) გვითხრა, რომ მას უკვე პქონდა ამაზედ (საერთო ინტერესებზე – ვ. გ.) ბაასი და რომ კითხვა ერთხელ და სამუდამოდ გადაუწყვეტია და ამჟამად ლაპარაკიც მეტია ამ საგანზედ. ჩვენ სრულიად უარვყოფთ ამგვარ კითხვების გადაჭრის მონოპოლიას და ამასთან ვამბობთ, რომ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის, თუ რანაირად გადაწყდა ამ კითხვის ბედი ჩვენს ლიტერატურაში. ამისათვის ხელმეორედ ვუბრუნდებით ამ საგანს და ვეკითხებით მკითხველს: თუ ჩვენში არის საერთო მოქმედების ასპარეზი, თუ ეს ასპარეზი ყველასათვის თვალსაჩინოა, სად არის ის პარტია, რომელიც მოქმედებს ამ საერთო ნიადაგზედ? თუ ნიადაგი არის, პარტიაც უნდა იყოს. თუ პარტია არ არის, ორში ერთი – ან ნიადაგი არ არის, ან კიდევ გაურკვეველია. ჩვენში ფეხს იდგამს დას-დასად მოქმედება. საერთო ინტერესები კი მაინც გვაქვს. ან იქნებ ეს ინტერე-

სები იმ თვისების არიან, რომ მათ ჩვენი შეერთება არ ძალ-უძთ? ამ შემთხვევაში, იქნება სხვა რამე უფრო მეტის ყურადღების ღირსია? რაიცა ჩვენ შეგვეხება, ჩვენ დავასახელეთ ხუთი კითხვა, რომელიც ჩვენის აზრით, ქართულ საერთო ინტერესს შეადგენს: ენის დაცვა, მრეწველობის განვითარება, მეურნეობის განმტკიცება, თვით-მართველობაში ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა. ჩვენ გვგონია, რომ ამ კითხვების ჯეროვან განმარტებაზეა აშენებული ჩვენი ეროვნული აღორძინება და ამისათვის ჩვენ ეცდილობდით დაგვეკავშირებია საზოგადოებრივი პროგრამა ჩვენს ეროვნულ პროგრამასთან. ბ. ჟორდანიამ, თავის მხრით, არ გვითხრა, გვეთანხმება ის თუ არა მოქმედების ასპარეზის გათვალისწინებაში, არ გვითხრა, რა ნაკლულევანება აქვს ჩვენს მიერ დასახელებულ კითხვებს. ავტორი მხოლოდ გვიჯავრდება, როგორ თუ დაიწყეთ სამშობლო ენის საჭიროებაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ეს საჭიროება ყველასათვის ცხადია, ყველამ ვიცითო (...)".

4. „რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, რომელნიც ჩვენ „საერთო ინტერესების" საგნად მიგვაჩნია, ბ. ჟორდანია არას გვეუბნება ამის შესახებ. არ გვეუბნება, საჭიროა თუ არა ეროვნულ მრეწველობის და მეურნეობის დაცვა და განვითარება. იმასაც არ გვეუბნება, შეიძლება თუ არა ეროვნული მრეწველობა-განვითარების კითხვა საერთო ინტერესების საგნად ჩაითვალოს. ბ. ჟორდანია ამ კითხვას გვერდს უხვევს და პირდაპირ იმის დამტკიცებას ჰლამობს, რომ ჩვენი ეკონომიური მოძღვრება წმინდა ბურჟუაზიული მოძღვრებაა და მასში ხალხის ინტერესი სრულებით არ არის დაცული."

5. „ბ. ჟორდანია, ვიდრე ჩვენს „ბურჟუაზიულ" შეხედულებების განხილვას შეუდგებოდეს, ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ეროვნება და ამისათვის ჩვენი იდეალი „ნაციონალიზმი უნაციოთ, ეროვნება უეროდ" არისო. ჩვენ არ გამოუუდგებით ბ. ჟორდანიას აზრების დარღვევას. ავტორი ნაძალადევ სილლოგიზმების აშენებას გამოსდგომია და ამ ხელოვნურ იარაღით გამოდის საჯაროდ... საკამათოდ."

6. „ჩვენი ეროვნების სვე-ბედი უნდა დაფუძნდეს მკვიდრ ეკონომიურ საფუძველზე. ამის განსახორციელებლად ერთად-ერთი სახსარია: ქართულ მრეწველობის და მეურნეობის განვითარება. ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, უნდა სხვა რამ გვიჩვენოს – ან ის, რომ ჩვენი ეროვნების დაფუძნება ეკონომიურ ნიადაგზე არ არის საჭირო, ან კიდევ ის, რომ ჩვენს ეროვნებას ხელს შეუწყობს საზოგადო (კავკასიის, რუსეთის) მრეწველობის წარმატება და არა მარტო ქართულ მრეწველობა-მეურნეობის განვითარება. ბ. ჟორდანია ამ ორ კითხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ იმაზე მსჯელობს, რომ ჩვენი ცდა ქართულ მრეწველობა-მეურნეობის გამაგრებისა ბურჟუაზიის გაძლიერებაა და მის ხალხზე გაბატონებას მოასწავებსო."

7. „(...) თქვენ ბურჟუა ყოფილხართ, – გვეუბნებიან. თქვენა გსურთ ქართულ ბურჟუაზიის გაძლიერება. დიაღ, გვსურს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ჩვენი ბურჟუაზია სხვა ტომების ბურჟუაზიას წესიერ მეტოქეობას გაუწევს და არა სხვა მოსაზრებით. სწორედ ამ განზრახვით ვთქვით, რომ „ქართველი კაპიტალისტი ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა (...) ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამჭვალული."

წერილის დასასრულს ნოე ჟორდანიას კრიტიკას არჩილ ჯორჯაძე ასეთ შეფასებას აძლევს: „ბ. ჟორდანიამ ბურჟუად მოგვნათლა, ეს იყო საჭირო მისი „დემოკრატიზმის" განმტკიცებისათვის. მხოლოდ ამ თავის მოუფიქრებელ ცდაში გამოააშკარავა: ა) რომ მას არ ესმის ბურჟუაზიის არსებითი ხასიათი და ბ) რომ თავის „დემოკრატიზმს" უფრო ფრაზეოლოგიასა და ხალხის დასისიანებაზედ აშენებს, ვიდრე ამ ხალხის ნამდვილ, შეურყეველს ინტერესების ნიადაგზე. ჩვენ თამამად და გაბედვით ვამბობთ (და არ გვეშინიან, რომ ჩვენი სიტყვები თავ-მოწონებაში ჩამოგვერთვას), რომ ბ. ჟორდანიას, თუ მართლა აწუხებდა ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ჩვენთვის ხელი უნდა გამოეწოდა და მხარი მოეცა. ხოლო მან ზურგი შეგვიბრუნა... ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამ ზურგის მიქცევით არა დაუშავდება-რა იმას, რასაც ჩვენ „საერთო მოღვაწეობას" ვუწოდებთ. მხოლოდ ამით მაინცა და მაინც არ დაგვეკარგება ნიადაგი ამ მოღვაწეობისათვის. ჩვენი ხალხის და საზოგადოების საღი ნაწილის იმედი უნდა გვქონდეს – იქედან აღმოცენდება ის, რაც არის საჭირო ჩვენის ეროვნულ აღორძინებისათვის. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჩვენის ნაწერებით პასუხის-მგებელნი ვიქნებით გამოფხიზლებული ერის წინაშე". უფრო უკეთეს, უფრო ეფექტურ, უფრო სამართლიან შეფასებას მკითხველი ალბათ ვერ ნარმოიდგენდა.

2. არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა გაზეთ „ივერიასა" და გაზეთ „კვალთან". გაზეთ „ცნობის ფურცელსა" და ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებული არჩილ ჯორჯაძის წერილები კრიტიკულად შეაფასა „ივერიამ" და „კვალმა". მიუხედავად იმისა, რომ „ივერიასა" და „კვალს" შორის ცხარე პოლემიკა

მიმდინარეობდა, ორივე გაზეთი დაპირისპირებული აღმოჩნდა არჩილ ჯორჯაძესთან. კრიტიკას არჩილ ჯორჯაძემ 1901 წელს უპასუხა წერილით „რა მოხდა?" მასში ეკითხულობთ: „როდესაც ამ ნახევარი წლის წინად ჩვენ „საერთო მოღვაწეობის ნიადაგზე" ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ქართული პრესსა დიდი გულმოდგინებით დაუხვდა ამ ჩვენ ლაპარაკს. „კვალს" არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. „ივერია" დამშვიდებულად სდუმდა, არც პოს ამბობდა, არც არას (...). მე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი ჩვენში გამოურკვეველი იყო, რომ გამოურკვეველი იყო განსაკუთრებით ის, თუ ვის, ჩვენი საზოგადოების რომელ ნაწილებს და ჯგუფებს შეეძლოთ ერთმანეთისათვის ხელი გამოეწოდათ და პრაქტიკულ ნიადაგზე საერთოდ ემოღვაწნათ (...). საუბედუროდ, ჩვენს მოქმედებას ერთნაირი აზრი არ ჰქონია და არა აქვს. არის ერთი დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომლისთვისაც პირადი ანგარიშის გარედ არც ერთი აზრი, არც ერთი გრძნობა, არც ერთი ლტოლვილება არ არსებობს. არის ერთი ნაწილი ჩვენი „მოღვაწე-მწერლებისა", რომელთ ფიქრი მხოლოდ ერთ მხარეზეა მიქცეული და ხალხის კეთილ-დღეობაზედ იმდენად ზრუნავენ და ფიქრობენ ისინი, რამდენადაც ეს ზრუნვა ხელსუხლებელს სტოვებს არსებულ ეკონომიურ წყობილებას, რამდენადაც ეს ზრუნვა ემსახურება ვითომდა შესაძლებელ (განურჩევლად ნოდებისა) ეკონომიურ კეთილდღეობას. როდესაც ყველა ეს გამოაშკარავდა ჩვენთვის, ეჭვს გარეშე შეიქნა, რომ მთელი საზოგადოებისა, ანუ მთელი ინტელიგენციის საერთო მოქმედებას აქვს თავისი საზღვარი და აი, ამ საზღვრის გამორკვევა იყო საჭირო." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძეს საკმაოდ რთული საკითხის გადაჭრა დაუსახავს მიზნად. პირველ რიგში, აუცილებელი იყო „ივერიისა" და „კვალის" პოზიციების შეფასება. ცხადია, რომ ეს ორი პოპულარული და გავლენიანი გაზეთი არჩილ ჯორჯაძეს იმთავითვე არ დათანხმებოდა, დაინყებოდა პოლემიკა. არჩილ ჯორჯაძე ყოველივე ამას არ შეუშინდა და საზოგადოების სამსჯავროზე ასეთი მოსაზრება გამოიტანა: „დღემდე ჩვენი საზოგადოება თითქმის ორ ბანაკად იყოფოდა. ერთის მხრით, „მესამე დასელები" (გაზეთ „კვალის" ბანაკი – ვ. გ.), მეორეს მხრით, – დანარჩენი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელთაც „ნაციონალისტებს", ანუ „პატრიოტებს" უწოდებდნენ (გაზეთ „ივერიის" ბანაკი – ვ. გ.). ასე თუ ისე, ამგვარი დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა სინამდვილეს არ იყო მოკლებული, რადგან მართლაც და დიდად განირჩეოდნენ ერთ-ერთმანეთისაგან (...). ამის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ცალცალკე ახასიათებს ორივე ბანაკის შეხედულებებს. ნაშრომში ეკითხულობთ: „კვალს" ხალხის სამსახურის განზრახვა ჰქონდა, რომ იგი მაინც პროგრესიულ საქმეს ემსახურებოდა, რადგან ხალხს კითხვის და დაფიქრების ხალისი დაუბადა". „ივერიის" ბანაკის შეფასება ასეთია: „რას იცავდნენ, რას ჰქადაგებდნენ ჩვენი „ნაციონალისტები"? უწინარეს ყოვლისა, ისტორიის გმირთა პატივისცემას. ამ მხრით ჩვენს ახალს პოეზიას დიდი სამსახური მიუძღვის ამ პატრიოტულ გრძნობების გაღვიძების საქმეში ჩვენს საზოგადოებაში. „ნაციონალისტები" ხალხის კეთილ-დღეობაზედ ზრუნავდნენ, ხოლო, რამდენადაც მტკიცენი და შეურყეველნი იყვნენ პატრიოტულ მოძღვრებაში, იმდენად სუსტნი – ხალხის ინტერესების კითხვის დაცვაში. (...) ისინი ხალხს დაშორებულნი იყვნენ და არც სცდილობდნენ ხალხთან დაახლოებას. საუკეთესო „ნაციონალისტთაგანი" ილია ჭავჭავაძე უტოპიურ საერთო ეკონომიურ ზრუნვაში იყო და ეკონომიურ განმხეთქილების მიზეზს არ ხედავდა საქართველოში არსებულ წყობილებაში." წერილიდან ირკვევა, რომ არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად არ იზიარებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებას: „დიდი შეცდომა იქნება ნოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ ნოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა."

1901 წელს გაზეთ „ივერიის" რედაქცია გახალდა. არჩილ ჯორჯაძე მიიწვიეს, რომ ახალ რედაქციას სიახლე არ შემოეტანია: „მან ვერც ერთი იმგვარი ნიშანი ვერ გვიჩვენა, რომ შეგვეძლოს თქმა: „ივერია" ახალ გზაზე გამოდის და იმ ნაკლის შევსებას შეუდგება, რომელიც ჩვენს ძველებურ „ნაციონალიზმს" ამჩნევიაო. პირიქით, ამ რედაქციამ იმისთანა წერილებს მისცა ადგილი თავის ფურცლებზე, რომ თვალსაჩინოდ დაგვანახა, მისი თვალთახედვის ისარი წარსულისაკენ არის მიმართული და არა მომავლისაკენ."

„კვალისა" და „ივერიის" არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება ასეთი იყო: „კვალს ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიზმის ხასიათი, „ივერია"-ს არანაკლები ცალმხრივი პატრიოტიზმის ღალი ემჩნეოდა." ასეთ ვითარებაში, ავტორის აზრით, აუცილებელი იყო ახლის ძიება: „და აი, თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გასარკვევად მესამე კითხვა: ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო. და აი, სწორედ ამ კითხვის გარკვევამ წარმოშობა ახ-

ალი ჯგუფი, ახალი პარტია (იგულისხმება გაზეთ „ცნობის ფურცლის" გამოცემა 1896 წელს – ვ. გ.), რომელიც ამ უკანასკნელს 5-6 წლის განმავლობაში ნელ-ნელა და თან-და-თან ისახავდა თავის პიროვნებას."

წერილს „რა მოხდა?" ავტორი ასეთი მოსაზრებით ასრულებს: „ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნულ ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია. მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ ნოდებრივი ინტერესების მოსარჩლეობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია. რაკი ერთხელ ამ ნიადაგზე დავდექით, ჩვენ არც მარცხნივ დახვევა გეესაჭიროება, არც მარჯვნივ ამოხვევა. როცა „კვალი" ამბობდა (...), რომ მას ძრიელ მცირე იმედი აქვს, რომ ჩვენი ჯგუფი მარცხნივ დაინევს, კარგად ესმოდა, რასაც ამბობდა. „კვალი" დარწმუნებულია, რომ ჩვენ ეროვნული ნიადაგიდან არ დავინძრეთით და თუ არ არის ამაში დარწმუნებული, მომავალი დაარწმუნებს. ხოლო როდესაც „ივერია" (...) არწმუნებდა თავის მკითხველებს, რომ ჩვენ „ჭუჭყიან დროშის ქვეშ ამოვდექით, ორში ერთია: ან მან კარგად ვერ ასწონა ამ სიტყვების შეურაცხყოფის სიმძიმე, ან კიდევ ბრაზისაგან ღონე მიხდილი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა, ორივე შემთხვევაში ის პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომელიც მსაჯულია ჩვენი ყველასი, ვინც ვართ. მომავალი დაგვანახვებს, საითკენ დაიხრება სამართლის სასწორი". ამ შეფასებაში მკითხველს შეიძლება ზოგიერთი რამ ზედმეტად მკაცრად, გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი განმარტების გაკეთება: 1901 წლისათვის „კვალი" მთლიანად სოციალ-დემოკრატების ხელში იყო. გაზეთმა გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდე (1900 წ.) ის ობიექტურობაც დაკარგა, რაც წინა წლებში ახასიათებდა და სოციალიზმის რუპორად იქცა. 1900 წლისათვის „ივერიის" მიმართულებას არც რედაქციის განახლებამდე და არც განახლების შემდეგ ილია ჭავჭავაძე აღარ განსაზღვრავდა, რის გამოც გაზეთმა ნელ-ნელა დათმო თავისი ძველი პრინციპული პოზიცია.

1901 წელს გამოქვეყნებულ წერილში „განხლებულ „ივერიის" გამო" არჩილ ჯორჯაძე კვლავ დაუბრუნდა გაზეთის მოქმედი რედაქციის პოზიციის შეფასებას. საერთო შეფასება მოკლე, მაგრამ პრინციპული იყო: „როდესაც ამ მოკლე ხანში „ივერია"-მ გამოაცხადა თავისი ახალი პროგრამა და პროგრამას დაუმატა სხვა წერილებიც, რომლითაც სცდილობდა ჩვენი ცხოვრების ანონდანონვასა, აშკარად დაეინახეთ, რომ „ახალ" რედაქციას თანამედროვე ცხოვრების აღღო ვერ აუღია, იგი გადაბირებულ საზომით ჰზომავს საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას და დაძველებულ სამეცნიერო ჰიპოტეზებით ასაბუთებს თავის აზრს. რედაქცია ხმარობს განსაკუთრებულ საზომს, ხოლო ეს საზომი (კრიტერიუმი) დახავსებული და გადაბირებულია და არა ისეთი, როგორიც შეეფერება ჩვენს დროს. და ამით აიხსნება, რომ მიუხედავად თავისი სურვილისა პროგრესული პრინციპის დაცვისა, გაზეთი ძველ არაკს მოგვითხრობს და ძველ წესს ესარჩლება." შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ეხება XVIII საუკუნის ევროპაში ლიბერალიზმის (ბურჟუაზიული ლიბერალიზმის) აღმოცენებას და აგრძელებს მსჯელობას ამ მოვლენის ღირსებებისა და ნაკლოვანი მხარეების ირგვლივ: „ამ მოძღვრების ძალით ყველას ერთნაირი უფლებები ეძლეოდათ, ყველანი თანასწორნი ხდებოდნენ კანონის წინაშე. და აი, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპა პრაქტიკულად ახორციელებდა და პოლიტიკურ დაწესებულებათა საშუალებით აფუძნებდა და ამკვიდრებდა მეთვრამეტე საუკუნის მოძღვრებას. მაგრამ დროთა მსვლელობაში, ცხოვრებამ აღმოაჩინა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის სუსტი მხარე და ნაკლულევანება. საქმე ის არის, რომ ეს მოძღვრება ხელ-უხლებელ სტოვებდა კაცთა შორის უთანხმოების და უთანასწორობის ძირითად მიზეზს. ცხოვრებამ ამ ძირითად მიზეზად ეკონომიური უთანასწორობა აღიარა. ეკონომიური უთანასწორობა არის უმთავრესი მიზეზი კაცის კაცისაგან დამონავებისა. ლიბერალიზმა თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა აღიარა და იმას კი, რაც უშლიდა ამ მოძღვრების განხორციელებას (ეკონომიურ უთანასწორობას), არ უარ ჰყოფდა, არ აუქმებდა. გამოაშკარავდა, რომ დიდ რევოლუციას (საფრანგეთის დიდ რევოლუციას – ვ. გ.) ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა – პოლიტიკური და აქედან წარმოსდგა უკმაყოფილება, ლიბერალიზმის კოტრობა (გაკოტრება – ვ. გ.) და უძლურება. მართლაც, ლიბერალიზმის დროშაზე თავისუფლება ეწერა, ცხოვრებაში კი ამ თავისუფლების განხორციელება შეუძლებელი იყო, სანამ არ მოისპობოდა ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობა და უთანასწორობა." ლიბერალიზმის ასეთი შეფასება ქართულ სინამდვილეში იშვიათი მოვლენა იყო. კიდევ უფრო ფასეული იყო მომდევნო დასკვნა, რომელიც ნათლად გვარწმუნებს ავტორის ღრმად განათლებულობასა და ერუდიციაში: „ამრიგად, ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური ფორმულა, უძლური შეიქმნა მშვიდობის და თანხმობის დასაცველად. ლიბერალიზმი ალარ აკმაყოფილებდა დამწიფებულ თვით-ცნობიერებას. საჭირო იყო სოციალურ კითხვების წამოყ-

ენება და ამ სოციალურ კითხვის საშუალებით ლიბერალიზმის ცალმხრივი ხასიათის შევსება. ასე, რომ ამჟამად პროგრესულ მოძღვრებად ევროპაში ლიბერალიზმი კი არ ითვლება, არამედ ის მოძღვრება, რომელიც სცდილობს სოციალური თანხმობის დაფუძნებას."

არჩილ ჯორჯაძეს გაზეთ „ივერიის" გახახლებული რედაქციის ნაკლად ის მიაჩნდა, რომ XIX საუკუნის მოძღვრება (ლიბერალიზმი) აღიარა სახელმძღვანელოდ: „ივერია"-მ თავის სარედაქციო მეთაურში და ბ. ბ. ურბნელისა (ნიკო ხიზანიშვილის – ვ. გ.) და პლებსის (ნიკო ხიზანიშვილის – ვ. გ.) წერილებში ნარსულ საუკუნის მოძღვრება წამოაყენა სახელმძღვანელოდ და სრულიად უარ-ჰყო კლასებრივი ანუ დასებრივი ცხოვრების მიმართულება. ამ მხრივ ახალი „ივერია" ძველი „ივერიის" გაგრძელებაა და მისი პროგრესიული მიმართულება ძველი ივერიის მიმართულებაა. ახალი რედაქცია, თანახმად გამტკიცებულ ტრადიციებისა, ნოდებათა თანხმობას ჰქადაგებს და ამ თანხმობაზედ აშენებს ჩვენს ეროვნულ კეთილ-დღეობას. ამრიგად, გარეგნულად გახახლებულმა და გაფართოვებულმა „ივერია"-მ ისევ ძველი არაკის მოთხრობას მიჰყო ხელი და ჩვენ ვერ გაგვიგია მისი პრეტენზია – ახალ გზას დავადგებითო." ასეთი იყო „ივერიის" განახლებული რედაქციის პოზიციის არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება. როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე **„საერთო მოქმედების ნიადაგს" არ აიგივებს „ნოდებათა თანხმობასთან". განსხვავება ამ ორ იდეას შორის პრინციპული იყო: „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეა ქართული საზოგადოების კლასებად (დასებად) დაყოფას აღიარებდა, ხოლო „ნოდებათა თანხმობის" იდეა ასეთ დაყოფას უარყოფდა.** ეს ძალზე რთული საკითხი იყო და მის გარკვევას არჩილ ჯორჯაძე სხვა ნაშრომებშიც შეეცადა.

არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა „ივერიასა" და „კვალთან" 1902 წელსაც გაგრძელდა. 1902 წელს ავტორმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი **„ეკონომიური განკურძოება და ეროვნული ერთიანობა".** წერილი პრაქტიკულად გაზეთ „ივერიაში" გამოთქმული სოციალური და ეკონომიკური შეხედულებების კრიტიკას ისახავს მიზნად. არჩილ ჯორჯაძემ წერილის დასაწყისშივე დასვა უმნიშვნელოვანესი საკითხი: **„ჩვენ წინ ორი პრობლემაა: ერთი – ეროვნული, მეორე – ეკონომიური განხეთქილება და წინააღმდეგობა. რანაირად შეიძლება ამ ორი მოვლენის შეთანხმება?"** იგივე კითხვა არჩილ ჯორჯაძემ ასეთი ფორმითაც წარმოადგინა: **„რანაირათ შეიძლება შევათანხმოთ ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?"** ამ საჭირბოროტო საკითხის გადაჭრის გზებზე ავტორი შემდეგი აზრისაა: „ეს კითხვა შეიძლება სამნაირად გადავსწყვიტოთ. პირველი გადაწყვეტილების მოსაზრებით, კლასთა ბრძოლა და ეკონომიური განხეთქილება არ შეესაბამება ეროვნულ თანხმობას და მთლიანობას და ამისათვის უნდა იყოს უარ-ყოფილი. მეორე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნულ თანხმობის პრინციპი არ შეესაბამება ცხოვრებაში არსებულ კლასთა და ნოდებათა შორის განხეთქილებას, და ამისათვის ეროვნულ თანხმობის პრინციპი უნდა იყოს უარ-ყოფილი. მესამე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნული თანხმობა შესაძლებელია მათ შორის, ვინც ეკონომიურად და პოლიტიკურად არიან დაკავშირებულნი, ე. ი. ხალხისა და სხვა წოდებათა და კლასთა იმ წარმომადგენლებისა, რომელთათვისაც ეროვნება ხალხის დაჩაგერის იარაღი კი არ არის, არამედ იმის გაერთიანებისა." არჩილ ჯორჯაძე ზემოხსენებული სამი გზიდან პირველს **„უნიადაგოს"** უწოდებს, მეორეს – **„ეროვნების უარმყოფელს".** ავტორს ერთადერთ სწორ გზად მესამე გზა მიაჩნია: „მესამე მოსაზრების ძალით შეიძლება დაცული იყოს ეროვნული პრინციპის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის საკითხიც."

ეკონომიური უთანასწორობა და ამის საფუძველზე კლასთა დაპირისპირება ყველასათვის საცნაური იყო და მას ვერავინ ვერ უარყოფდა. არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: „თუ ეს ასეა, რანაირად გვსურს დავიცვათ ეროვნული მთლიანობა და ერთობა? თუ ეროვნება კავშირია, ეკონომიური ბრძოლა ხომ განხეთქილებაა, კავშირის განყვეტაა, ერთობის დარღვევაა." ავტორმა თავს იდო ეპასუხა კითხვისათვის: **„რა საფუძველზე შეთანხმდება და შეზავდება ეს წინააღმდეგობა?".**

გასულ საუკუნეებში საქართველოში, ევროპასა და რუსეთში არსებულ სოციალურ დაპირისპირებათა (აჯანყებათა და გლეხთა ომების) შედარება და ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება არჩილ ჯორჯაძეს სწორად არ მიაჩნდა: „ვისაც თავი მოაქვს იმით, რომ ჩვენმა ისტორიამ არ იცის „ჟაკერია" და „გლეხთა ამბოხება", უნდა იცოდეს, რომ ეს „ჯაჭვი" სიმაგრისა და ისტორიულ გარემოებათა ნაყოფია და არა ხალხის კმაყოფილებისა." ავტორი ამტკიცებს, რომ თუ საფრანგეთისა და რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში გლეხთა აჯანყებები და ომები არ იყო, ეს იმის დასტურად არ გამოდგება, რომ საქართველოში ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე დაპირისპირება არ არსებობდა და დაბალი სოციალური ფენები თავისი ეკონომიკური მდგომარეობით კმაყოფილნი იყვნენ. ავტორი საქართველოში არსებულ სოციალურ სტრუქტურას ეხება და ასეთ

დასკვნას გეთაყვაზობს: „ეხლა „ფეოდალიზმი" მოისპო და ამასთან დაიკარგა იურიდიული განსხვავება „დიდებულ" თავადიშვილის და „ცალმოგეი" აზნაურს (ლარიბ აზნაურს – ვ. გ.) შუა. „მოჯალაბეც" (გლეხის კატეგორიაა – ვ. გ.) არაფრით არ განსხვავდება „მებეგრეთაგან" (გლეხის კატეგორიაა – ვ. გ.). თუ მათ შორის არის რაიმე განსხვავება, – ეს განსხვავება ქონებრივია. ერთს მეტი მამული აქვს, მეორეს – ნაკლები, ერთს შეუძენია „ნადელი", მეორეს – არა. და როცა თანამედროვე წოდებათა შორის განწყობილებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, სწორედ ეს გარემოება – ქონებრივი უთანასწორობა – უნდა გექონდეს მხედველობაში. და რაკი ამ საფუძველზე შევდგებით, დავინახავთ, რომ თანამედროვე პირობებში, ნოდების ადგილს თან-და-თან „კლასი" იჭერს. გუშინდელი მებატონე დაქვეითდა. მის ადგილზე აქა-იქ გუშინდელი ყმა აცოცდა. ხოლო რადგანაც საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხკაცობას, ამასთან სიტყვა „წოდება" ჯერ კიდევ არ დაძველებულა, რადგან ყოველი სხვა უპირატესობა (თუნდაც ის, რომ აზნაურობას მეტი უფლებანი აქვს მინიჭებული მოქალაქეობრივ ცხოვრებაში) ამ ქონებრივ უპირატესობაზეა აშენებული." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე არ უარყოფს, რომ „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეის განხორციელებას სერიოზული ნინაალმდეგობა ეღობებოდა: „ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნულ მთლიანობის და ერთობის დამრღვევი ელემენტი თანამედროვე ცხოვრებაში მეტია, ვიდრე ძველს წარსულში. მებატონეს იურიდიული ძალა დაეკარგა, ქონებითაც დაეცა. ხალხს თავისი ინტერესების შეგნება მოემატა და „ბატონის" უღელს გაურბის. შემბოჭველ ჯაჭვის რგოლები აქა-იქ ამოვარდნენ და თვით-მოქმედების მეტი გზა მიეცა." ვითარების რეალური სურათის წარმოდგენის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: „ამ გზით რომ ვიაროთ, დაირღვევა თუ არა ჩვენი ეროვნული სიმრთელე? თუ ძველ დროში ჩვენი „ერთობა", ცოტა არ იყოს, ნაძალადევი იყო, მომავალში რა უნდა ედვას საფუძვლად ამ ერთობას?"

არჩილ ჯორჯაძე ისევ „იერიის" შეხედულებას გულისხმობს, როცა წერს: „ვინც ამბობს, ჩვენში ეკონომიური განკერძოება და წინააღმდეგობა არ არისო, უნდა დაამტკიცოს, რომ ხალხს ცხოვრების სახსარი საკმაო აქვს და კმაყოფილია თავის ბედით. ვინც ამას ვერ დაამტკიცებს, იძულებული იქნება სინამდვილეს ასცილდეს და სამოთხის ნეტარებით სცნოს ჩვენი ხალხის მდგომარეობა. „იერია" სწორედ ამას სჩადის (...). „იერიას" კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. ნინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვას შეპყურებს, სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით" შეივსოს თავისი დანაკლისი. აშკარაა, „იერია"-ს ჰგონია, რომ ჩვენი ხალხი მატერიალურის მხრივ სრულიად დაკმაყოფილებულია და სჯერდება იმით, რაც აქვს". ნათქვამის დასამტკიცებლად არჩილ ჯორჯაძეს 1899 წელს გამოცემული ოფიციალური სტატისტიკური კრებულის მასალები მოაქვს:

1. **თბილისის გუბერნია.** თავადაზნაურობის საკუთრებას შეადგენდა 3.327 მამული. თავადაზნაურთა 10%-ს 2 დესეტინა მინა გააჩნდა, 8%-ს – 3-4 დესეტინა, 9%-ს – 5-8 დესეტინა, 12%-ს – 9-19 დესეტინა, 11%-ს – 20-36 დესეტინა, 12%-ს – 37-72 დესეტინა, 16%-ს – 73-190 დესეტინა, 9%-ს – 191-380 დესეტინა, 13%-ს – 380 დესეტინაზე მეტი. 3.327 მამულიდან 16 მამული 10.000 დესეტინაზე მეტ მინას ფლობდა, ხოლო ამათგან უდიდეს მამულში მინის ოდენობა 69.000 დესეტინას უდრიდა. გარდა ამისა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა კიდევ ფლობდა სახნავ-სათესად გამოუსადეგარ მინას. სულ ვარგისი და უვარგისი მინების რაოდენობა 1.260.406 დესეტინას უდრიდა.

2. **ქუთაისის გუბერნია.** თავადაზნაურობის საკუთრებას შეადგენდა 9.231 მამული, რომლის ფართობი მთელი გუბერნიების ფართობის 42%-ს უდრიდა. 261 მამულის ფართობი 380 დესეტინაზე მეტს შეადგენდა. დიდ მამულებს 9 ისეთი მამული მიეკუთვნებოდა, რომელთა ფართობი 358.000 დესეტინას უდრიდა. 261 მამული, მინის ფართობის მიხედვით, საშუალო და წვრილი მამულების კატეგორიას განეკუთვნებოდა.

საქართველოს გლეხობა 4 კატეგორიად იყოფოდა: **სახაზინო (სახელმწიფო), დროებით ვალდებული, ხიზნები, მინის მესაკუთრენი.** თბილისის გუბერნიაში 309.086 სახაზინო გლეხთა კომლი ცხოვრობდა, მათ საკუთრებაში მხოლოდ 9.757 დესეტინა მინა ჰქონდათ, თანაც ეს მინა უთანასწოროდ იყო განაწილებული: 20 სოფელში თითო კომლი 0-1 დესეტინას ფლობდა, 26 სოფელში – 1-2 დესეტინას, 44 სოფელში – 2-3 დესეტინას. თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებულმა გლეხებმა გამოისყიდეს 25.254 დესეტინა მინა, გამოსასყიდი დარჩა 45.256 დესეტინა, ანუ დროებით ვალდებულებისაგან ვერ განთავისუფლდა ამ კატეგორიის გლეხთა 70%. იმერეთში დროებით ვალდებული 48.262 გლეხის კომლის მხოლოდ ნახევარს ჰქონდა მინა გამოსყიდული. დროებითი ვალდებულებიდან გათავისუფლებული გლეხის კომლი დაახლოებით 4 დესეტინა მინას ფლობდა.

იმერეთში ბევრი იყო მცირემინიანი აზნაური, რომლებიც თავის საკუთრებაში არსებული მინის რაოდენობით ბევრად არ განსხვავდებოდა მესაკუთრე გლეხისაგან. მესაკუთრე გლეხთა 245.308 სულს 24.451 დესეტინა მინა ჰქონდა საკუთრებაში. ყოველი 100 კომლიდან 89 კომლი 0-4 დესეტინა მინას ფლობდა, 11 კომლი – 4-8 დესეტინას.

არჩილ ჯორჯაძე ამ სტატისტიკური მასალების ანალიზის შედეგად დაასკვნიდა: „თავადაზნაურობას, რომელიც რიცხვით ათჯერ მაინც არის ნაკლები გლეხობაზე, ამერეთის (ქართლ-კახეთის – ვ. გ.) მესაკუთრეთა გლეხობაზე შვიდჯერ მეტი აქვს მამული (38 დესეტინა თავადაზნაურობას, 5 დესეტინა – გლეხს), იმერეთის გლეხობაზე – ოთხჯერ მეტი (16 დესეტინა თავადაზნაურობას, 4 დესეტინა – მესაკუთრე გლეხს)." მიუხედავად ასეთი ქონებრივი უთანასწორებისა, არჩილ ჯორჯაძე ოპტიმისტურ დასკვნას აკეთებს:

1. „ამბობენ ხოლმე, რად გინდათ, რომ ამ უთანხმოებას ხაზს უსვამთ. ეს ავნებს ეროვნულ საქმეს. ჩვენ ეროვნების გაერთიანების ზრუნვაში უნდა ვიყვნეთ";

2. „ჩვენ გვგონია, რომ რაც უფრო მეტს დავმალავთ, რაც დასამალი არ არის, ეროვნულ საქმეს სნორედ მეტ ზიანს მოვუტანთ. სინამდვილე კარგად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული – ეს არის ერთადერთი უტყუარი წარმატების გზა;"

3. „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის ყოველგვარი კავშირი განყეტილია, რომ მათ არც ერთი საერთო ინტერესი არა აქვთ. ამაზე უწინაც გვქონდა ლაპარაკი და ახლაც ვამბობთ, რომ ნმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი იმიტომ არ გამოდგება პრაქტიკულ მოქმედებისათვის, რომ ჩვენში ყველა წოდებანი და კლასები ერთნაირად არიან დაინტერესებულნი თვით-მართველობის, ერობის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებით; ერთიანად არიან აგრეთვე დაინტერესებულნი, რომ ქართველ ერის ტერიტორია მასვე დარჩეს და ქართული ენა არ გადაგვარდეს. ყველა ეს სნორედ ის ხიდია, რომელიც ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის არის გადებული, ხოლო ამ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ კითხვების გარედ სწყდება წოდებათა და კლასთა შორის კავშირი;"

4. „რამდენადაც ჩვენი თავადაზნაურობა და ახლად წარმოშობილი ნორჩი ბურჟუაზია ამ საეროვნო ნიადაგზე იდგება, იმდენად იგი დაკავშირებული იქნება მთელ ხალხთან და ხელს შეუწყობს ეროვნულ მთლიანობას. ხოლო ყოველთვის, როდესაც კი თავად-აზნაურობა ან ბურჟუაზია ასცდება ამ ნიადაგს და თავის კერძო ინტერესების ზრუნვაში იქნება, მაშინ იგი ხელს შეუშლის ეროვნულ მთლიანობას";

5. „თუ ევოლუციის ძალით დღეს წოდებათა გაუქმებამდე მივედით, იმავე ევოლუციის ძალით, მომავალში უნდა მივიდეთ ეკონომიურ უთანხმოების მოსპობამდე;"

არჩილ ჯორჯაძის მიერ ნამოყენებული დებულებები ავსებდა და ავითარებდა 1901 წელს შემუშავებულ „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდეის განხორციელების გზებს სახავდა.

არჩილ ჯორჯაძე, ცხადია, აღიარებდა, რომ კლასთა და წოდებათა შორის ხიდი იყო ჩატეხილი, მაგრამ მისი აღდგენაც რეალური ეჩვენებოდა: „ქართველობის" ნორმალურ გაერთიანებას გზაში ელობება ორი მოვლენა: ფეოდალიზმის ნარჩენი, ერის ერთის ნანილის წოდებრივი უპირატესობა და ბერჟუაზიის ფეხზე დადგომა, ერის მეორე ნანილის ქონებრივი უპირატესობა. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო ისტორიულმა გარემოებამ. მემამულეთა უსაქმურობას გვერდში ამოუდგა თვით-მოქმედი გლეხობა (...). გლეხი თან-და-თან წერილ მესაკუთრეთ ხდება და თავად-აზნაურიც იმის საფეხურამდე ჩამოდის. პირველ პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეორე პროცესი (...). ცხოვრების გაკეთილი და მოთხოვნილება ამას გვასწაელის. და როცა ყოველივე ეს დამთავრდება და დაიბადება ნიადაგი ახალ ეკონომიურ ევოლუციისათვის, მაშინ ეროვნულ გაერთიანებისათვის ერთ დაბრკოლებას ავიცილებთ თავიდან და დაგვრჩება მეორე, ამ უამად ჯერ კიდევ სუსტი, ხოლო მომავალში გაძლიერებული და გალონიერებული ბურჟუაზიული ქონებრივი უპირატესობა." ბურჟუაზიული ურთიერთობა, მისი პერსპექტივა საქართველოში არჩილ ჯორჯაძეს ასე წარმოუდგენია: „ბურჟუაზიას ქმნის ვაჭრობა და მრენველობა. ვაჭრობა და მრენველობა საჭიროა როგორც ადგილობრივი ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ისე ერთა შორის კავშირის განმტკიცებისათვის (...). ჩვენი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ნორჩია, მან გუშინ აიდგა ფეხი. ხოლო ეჭვ გარეშეა, რომ იგი გაიზრდება და ამ ზრდაში გამაგრდება. ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ, თუ ჩვენ მხედველობიდან არ დავკარგავთ საბოლოო მიზანს (...). თუ ერი ცოცხალია და დემოკრატიული მიმართულება მტკიცეა, ბურჟუაზიის ძალღონის მოხმარებაც შესაძლებელია ერის და დემოკრატიის სასარგებლოდ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ უმრავლესობაში თვითცნობიერება და თვით-შეგნება იყოს გაღვიძებული (...). თუ გადავწყვიტეთ, რომ ბურჟუაზიულ ხანას ჩვენ ვერ ავცდებით, ამასთანავე სხვა რამეც უნდა გადავწყვიტოთ, სახელდობრ, ის, რომ ჩვენ ვერ

ავსცდებით იმასაც, რაც მოსდევს ხოლმე ბურჟუაზიულ ხანის დამყარებას, ჩვენ არ ავსცდებით შრომის და კაპიტალის უთანხმოებას და ნინაალმდეგობას. გამართლება ამ უთანხმოებისა, მხარის მოცემა ბურჟუაზიისათვის და ზურგის ქცევა ხალხისაკენ – ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობა იქნება, ხოლო ფაქტის აღნიშვნა, არ დამალვა იმისი, რომ ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდება, სურვილი ამ გაძლიერების გამოყენებისა ხალხის საწარგებლოდ – ეს ხალხის ინტერესების დაცვაა და მოსარჩლეობა". გარკვეით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბურჟუაზიის როლის ამგვარი შეფასება ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა „ივერიის" პოზიციას, რომლის აზრითაც, ბურჟუაზია საერთოდ არ განიხილებოდა სერიოზულ სოციალურ ძალად, ენინააღმდეგებოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების (გაზეთ „კვალის") პოზიციასაც, რომელიც ბურჟუაზიას მშრომელი ხალხისა და სოციალიზმის მტრად მიიჩნევდა.

1902 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ლიბერალიზმის გამო" არჩილ ჯორჯაძე კვლავ დაუბრუნდა ამ მიმდინარეობის შეფასების საკითხს: „მიუბრუნდეთ საკამათო საგანს – ლიბერალიზმს. ჩვენი აზრი ამგვარია. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება – თავისუფლების გაფართოება, პიროვნების დაცვა და ნარმატებაა, თვით ამ მოძღვრებაში იმნაირი ნაკლულოვანება და არსებითი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რომ იგი პროგრესულ მოძღვრებად არ ჩაითვლება, ამასთან, ჩვენ არ ვივიწყებთ ლიბერალიზმის დიდ ღირსება-მნიშვნელობასაც და იმასაც ვამბობთ, რომ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს ჯერ კიდევ თვით ევროპაშიაც კი არ დაუკარგავს თავისი ძალა." ავტორი არ ეთანხმება ლიბერალიზმის იმ განმარტებას, რომელსაც „ივერია" სთავაზობდა მკითხველს, კერძოდ, ის, რომ ლიბერალიზმი „აღიარებს ძმობას და ერთობას, ხოლო ამასთან არ აუქმებს იმას, რაც უშლის ძმობას და ერთობას. რასაკვირველია, ეკონომიური თანასწორობა ძმობა და ერთობაა. მაგარი მხოლოდ იმაშია, რომ ლიბერალიზმი კრინტსაც არ იღებს ამ აუცილებელ პირობაზე ერთობისა და ძმობისა – არას ამბობს ქონებრივ უთანასწორობაზე (...)" არჩილ ჯორჯაძე აპირებდა, ეს საკითხი კიდევ უფრო დანვრილებით განეხილა, მაგრამ წერილის გაგრძელება ცენზურამ აკრძალა.

„ივერიაში" გამოქვეყნებული წერილების კრიტიკას მიეძღვნა არჩილ ჯორჯაძის „ძველი წესის" სულთ-ბრძოლა" (1902 წ.). წერილს ავტორი ძველი და ახალი აზროვნების ერთდროულად არსებობის პირობებში შექმნილი ვითარების დახასიათებით იწყებს: „ძლიერ საყურადღებო დრო დაგვიდგა. ჩვენი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან და მიმართულებასთან ერთად, წარსული წესი ჰფიქრობს, ჰმოძრაობს და იღენის. ეს მოვლენა ფრიად საგულისხმოა, რადგან ჩვენი ერის ცხოველ-მყოფელობის მაჩვენებელია. ცოცხალი ერის გული რთული აგებულებისაა. წარსული, აწმყო, მომავლის იმედები – მასში ყველა ისახება. ცხოვრება ბრძოლის ველსა ჰგავს. ერთი რაზმი მეორეს ამცირებს, მეორეზე იმარჯვებს. დამარცხებული რაზმი იერიშის მიტანას ველარ ჰბედავს, იგი მხოლოდ თავის თავს იცავს. ცხოვრებაშიც ასეეა. „ძველი წესის" ბატონობას (აზრთა სამეფოში მაინც) მაშინ ელება ბოლო, როდესაც იგი თავის გამართლებას სცდილობს, როდესაც იგი აღარ მალავს თავის შიშს, რომ ყოველი ახლად წარმოშობილი სამშობლოს დასალუპაედ არის მოვლენილი." როგორც ვხედავთ, „ძველი და ახალი წესის" ერთად არსებობა არჩილ ჯორჯაძეს „ერის ცხოველ-მყოფელობის" დამადასტურებლად მიაჩნდა. შემდეგ ავტორი ტონს ამკაცრებს და აცხადებს, რომ „ძველი წესი" „ახალი წესის" წინააღმდეგ ბრძოლით თავის აღსასრულს აახლოვებს. კიდევ უფრო უკომპრომისოა ავტორი, როდესაც „ძველი წესის" მომხრეებს „რეაქციის" მიმდევრებად ნარმოადგენს: „"რეაქციის" მომხრენი, რაც უფრო გულმოდგინედ, მხნედ და აჩქარებით სცდილობენ თავიანთ თავის, თავიანთ რწმენის და აზრების გამართლებას, იმდენად მეტი შიში და საფრთხე მოელით მათ, რადგან „ძველი წესის" გულმოდგინება და მხნეობა ძალდატანებითი ხასიათისაა, ხოლო აჩქარება ამ წესის სულთ-ბრძოლაა. ვინც მომავალში არასა ხედავს, ან კიდევ ამ მომავლის ძალ-მომრეობით ხასიათს „ძმობაზედ" ამყარებს, ვინც ყოველ ახალ მოვლენას სამარეს უთხრის, ვინც ცოდნას და გონებითს ძალას თავმოყვარეობის საგნად ხდის, მისი დღეგრძელობა საეჭვოა და მისი რახა-რუხი და ფაცა-ფუცი ცარიელი თვალთ-მაქცობაა". როგორც წერილიდან ირკვევა, „ძველი წესის" დამცველებად, მათ შორის, ლიბერალიზმის („ძმობის") მომხრეებად, არჩილ ჯორჯაძე გაზეთ „ივერიის" რედაქციას მიიჩნევდა: „ივერიის" რედაქციაში ყველა ჩვენი „კონსერვატორები" თან-და-თან თავს იყრიან. როგორც წინად, ამის შესახებ ჩვენს სიხარულს ახლაც ვაცხადებთ. ჩვენი „კონსერვატორების" ერთ რედაქციაში შეგროვების დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს; თანამოაზრეებმა (რა ხასიათისაც იყვნენ), ერთი-ერთმანეთს ხელი უნდა გაუწოდონ. მათ დაყოფას და დროებით ერთმანეთთან გადამტერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც საერთო საქმე ირკვევა. ხელოვნურად

გამოწვეული წინააღმდეგობა ბუნებრივ კაუზირს ადგილს უთმობს, ეს ერთი. მეორეს მხრივ, განცალკევებული კონსერვატორების შეერთება იმის მომასწავებელიცაა, რომ ცხოვრებაში ახალმა მოვლენამ იჩინა თავი და რომ არა-კონსერვატორულ ელემენტს ანგარიშის გაწევა უნდა." ამ ზოგადი მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე კონკრეტულად ასახელებს „ივერიის" პუბლიცისტებს: „პლებსს" (ნიკო ხიზანიშვილი), „მ. ტფილისელს" (?), „ურბნელს"(ნიკო ხიზანიშვილს), „ახალ-მოსულს" (ილია ჭავჭავაძეს). დახასიათება საკმაოდ მკაცრია, შეიძლება ითქვას, არაკორექტულიც: „ჩვენებურ „რეაქციას" (თუ ბოლო გაიტანა) თანდა-თან პოლიტიკურ დასების ხასიათი ეძლევა. იგი მეცნიერებას (ბ. პლებსი თავის ორგანებრივი თეორიით), პუბლიცისტიკას (ბ. მ. ტფილისელი), ურბნელი (თავის ძალმომრეობითი ხასიათის „ძმობის" ქადაგებით), ოხუნჯობას (ბ. ახალმოსული) – ყველა ამას ხმარობს „ახლის" დამცირებისათვის და „ძველის" გაღმერთებისათვის..."

პლებსის (ნიკო ხიზანიშვილი), მ. ტფილისელის (?) და ურბნელის (ნიკო ხიზანიშვილის) ნაწერების, მათ მიერ პოლემიკაში გამოყენებული მეთოდების დახასიათების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მეთოდს აფასებს: „არის კიდევ ერთი საშუალება, ერთი იარაღი, რომელიც ხშირად მეცნიერულ გამოკვლევაზედ საშიში და მავნებელია. ეს იარაღი გესლიანი დაცინვაა და ულმობელი ოხუნჯობაა. ჩვენი „კონსერვატორები" ბ. ახალ-მოსულის (ილია ჭავჭავაძის – ე. გ.) მეოხებით ამ იარაღსაც ხმარობენ". ოპონენტებთან ილია ჭავჭავაძის პოლემიკის ფორმა, როგორც ჩანს, არჩილ ჯორჯაძეს ძალზე აღიზიანებდა, რის გამოც მას ზომიერების გრძნობამ უმტყუნა: „სულ სხვა საქმეა, როდესაც მოპირდაპირე პირ-ბადეს იფარებს, თავს იყრუებს, ბაასს საკამათო საგანზე არ ინყებს და მხოლოდ სოფისტიკას და იაფ-ფასიან ოხუნჯობით იოლას მიდის. „დაცინვას", საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეს დაცინვა ხალი და ბუნებრივი უნდა იყოს და დასაცინი საგანი – შეუსაბამო რამ და დასაგმობი. მწერლობაში „დაცინვას" აზრი უნდა ჰქონდეს. დაცინვის გარდა, მწერალს სხვაც რამე უნდა ჰქონდეს სათქმელი. თუ რომელიმე აზრი ანუ ცხოვრების მოვლენა სიცილსა გგვრით, ისე გაიცინეთ და იოხუნჯეთ, რომ ამ თქვენს სიცილში უილაჯობის და სასონარკვეთილების ჩივილი არ ჩანდეს (...)." პოლემიკის მეთოდების დანუნების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე კიდევ უფრო სერიოზულ ბრალდებას უყენებს ილია ჭავჭავაძეს, ინუნებს მის სოციალურ შეხედულებებს: „თუ მართლა ჰგონია ბ. ახალ-მოსულს „რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯა და მუშაობაა", უნდა ესმოდეს ნამდვილი მნიშვნელობა იმისთანა სიტყვებისა, როგორც „ჩემი" და „სხვისი". ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბ. ახალმოსული ამგვარ კითხვებში კარგად არის ჩახედული. მაგრამ ჩახედვა ერთია და ჩახედულისადმი თანაგრძნობა – მეორე. ტიპიური „კონსერვატორი" ბ. ახალ-მოსული ვერ თანაუგრძნობს მაღალ წოდების ქონებრივი უპირატესობის მოსპობას და ამიტომ ისე გვაჩვენებს თავს, ვითომც არ ესმის, რაზეა საუბარი და თავის მახვილ სიტყვას განაგრძობს." თუ არჩილ ჯორჯაძის მიერ ილიას სოციალური პროგრამის კრიტიკას ღრმად ჩაეუკვირდებით, აშკარად დაეინახავთ ერთ არასასურველ ტენდენციას: ილიას სოციალური პროგრამის შეფასებისას ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და ერთმანეთს არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები დაემთხვა!


არჩილ ჯორჯაძემ წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ გამოაელინა თავისი გაღიზიანებული მდგომარეობიდან წარმომდგარი უტაქტობა და არაკორექტულობა: „უსაგნო სიცილი დაბრმავებულ ადამიანსა ჰგავს: კაცს კლდეში გადასჩეხავს. სიცილი, რომელიც კაცს ამ საზღვრამდე მიიყვანს, სიცილი აღარ არის. და ამგვარ სიცილში ჩვენ მხოლოდ „ძველი წესის" სულთა-ბრძოლას ეხედავთ."

გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული წერილების კრიტიკას ეძღვნება 1902 წელს არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები: „ბრაზიანი უძლურება", „უკუღმართობის გამართლება", „დაჟინებული მრავალსიტყვაობა".

1901-1902 წლებში არჩილ ჯორჯაძის პოლემიკამ ნოე ჟორდანიასა და გაზეთ „კვალთან" ცხადი გახადა, რომ ამ ორი გამოჩენილი მოღვაწის შეთანხმება შეუძლებელი იყო. ეს მოულოდნელობას სულაც არ წარმოადგენდა და არც ტრაგედიად შეიძლებოდა შეფასებულიყო. ტრაგედია იყო ის, რომ ვერ მოხერხდა ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს შორის საერთო ენის გამონახვა მაშინ, როდესაც ამ ორ მოღვაწეს, ძველი და ახალი თაობის აღიარებულ წინამძღოლებს, ბევრი რამ საერთო ჰქონდათ. ამ შეუთანხმებლობის ახსნა შეიძლება, ზოგიერთი არჩილ ჯორჯაძეს გაამტყუნებს, ზოგიც – ილია ჭავჭავაძეს. მაგრამ ამ შეუთანხმებლობის გამართლება, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ძიება არაფრის მომტანია. შედეგი იყო საეალალო: ორი გამოკეთილი წინამძღოლის, ერის ინტელექტუალურ-გონიერი ნაწილის მედროშის შეუთანხმებლობამ, ეროვნული მოძრაობის ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლების დაპირისპირებამ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატების გავლენის

გაძლიერება გამოიღო შედეგად. ეს კი არც ილია ჭავჭავაძის სურვილი იყო და არც არჩილ ჯორჯაძისა.

3. ალექსანდრე წულუკიძის (1876-1905) „ოცნება და სინამდვილე" (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო). 1903 ნლიდან აშკარა ხდება ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე წულუკიძის მკვეთრი დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობასთან და კერძოდ, არჩილ ჯორჯაძესთან. თვით არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეის კრიტიკა არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს, მთავარი აქ ის იყო, რომ ალექსანდრე წულუკიძე,



ალექსანდრე წულუკიძე

ნოე ჟორდანიას მსგავსად, არჩილ ჯორჯაძესა და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა საპროგრამო მოთხოვნებს რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმიდან აკრიტიკებდა.

1903 წელს ქუთაისში ცალკე ბროშურად გამოიცა ალექსანდრე წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე" (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო). არჩილ ჯორჯაძის შეხედულებების განხილვის შემდეგ ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

1. „ბ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც ობიექტური ცხოვრების მიმდინარეობას სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას უპირისპირებს – ოცნებაა, რადგან ობიექტური პროცესი სუბიექტის აზრსა და ლტოლვილებას შეიცავს და განსაზღვრავს (...);

2. ინტელიგენცია არ წარმოადგენს ერთ მთლიანს, განუყოფელ ჯგუფს, რადგან თანამედროვე ცხოვრების ინტერესების ნინააღმდეგობა რამდენიმე შეუთანხმებელ იდეოლოგიურ მიმართულებას ბადებს, და ყოველი აზრი, საზოგადოებრივი კითხვის გამოსარკვევად წარმოთქმული, რომელიმე ამ მიმართულების გამოსარჩლება იქნება (...);

3. ბ. არჩილ ჯორჯაძის „დემოკრატიული ინტერესები" – ბურჟუაზიაა; კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება მისთვის საერთო ინტერესს წარმოადგენს, რომელსაც „მშრომელმა ხალხმა" თავის კერძო ინტერესები უნდა უმსხვერპლოს (...), რადგან ეს „ხალხი" უმეტესობას შეადგენს და საერთო ინტერესებს მისი ინტერესები წარმოადგენენ, ამიტომ ბ. არჩილ ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების სახით უმცირესობის, არა მწარმოებელთა ინტერესებს იცავს (...);

4. მოპირდაპირე დასების საერთო მოქმედების ნიადაგი: ა) ქართული ენის დაცვა; ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა, საიმედო ნიადაგი ვერ ყოფილა, როგორც ბ. არჩილ ჯორჯაძეს ეგონა. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება კლასთა ბრძოლის ნიადაგს თვითონვე ქმნის; ქართული ენა, როგორც იარაღი სულიერი ურთიერთობისა და, მაშასადამე, მატერიალური წინააღმდეგობის გამომხატველი, არ არის ის ნიადაგი, რომელზედაც მებრძოლნი თავის საბრძოლველ საგანს დაივიწყებენ, არსებით კითხვას გადააფუჩეჩებენ (...)."

ამრიგად, ალექსანდრე წულუკიძე ვერ ურიგდება „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეას და მას „ოცნებად" თვლის. ავტორის მსოფლმხედველობაში ეს არ არის მთავარი. „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეას ებრძოდა თითქმის მთელი ქართული სოციალ-დემოკრატია (ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ირაკლი წერეთელი, რაჟდენ არსენიძე და სხვ.). მთავარი აქ ისაა, რომ სოციალური და ეროვნული პროგრესის, ანუ სოციალური და ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზად ალექსანდრე წულუკიძემ კლასთა ბრძოლა და რევოლუცია არ გამოაცხადა. იქნებ ავტორი რევოლუციაზე საუბრისაგან თავს იმიტომაც იკავებდა, რომ ნაშრომი ლეგალურად გამოდიოდა, ხოლო ლეგალურად გამოცემულ ნაშრომში არსებული

წყობილების მოსპობაზე საუბარი შეუძლებელი იყო. თუმცა ნაშრომის დასკვნით ნაწილში ალექსანდრე წულუკიძე რაღაცას მიგვანიშნებს, სურს რაღაცას მიახვედროს მკითხველი. აი, ეს ადგილიც: „პროგრამის უმთავრესი მუხლები ავტორს (ე. ი. არჩილ ჯორჯაძეს – ვ. გ.) შეუგნებელი ჰქონია და ამიტომ მისი მსჯელობა ოცნებასა ნარმოადგენს, სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. თანამედროვე ცხოვრების ვითარება მთლად ენინააღმდეგება მის „აზრსა და ლტოლვილებას", ევროპის ნარსული ცხოვრების მაგალითები მოწმობენ მისი „პროგრამის" უვარგისობას და სინამდვილე ისეთ ერთგვარ ელემენტებზე გვითითებს ანმყოში, რომლის „საერთო მოქმედების ნიადაგია" მხოლოდ საფუძლიანი! ყველა მის მომხრეს სამართლიანი იმედი ექნება, რომ მის მოქმედებას მიაშუქებს ის ბედნიერი მნათობი, რომელმაც მაშვრალთ სიყვარულის მოციქულისაკენ გზა გაუნათა!" შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ სიტყვებით ალექსანდრე წულუკიძე რევოლუციაზე მიგვანიშნებს, შეიძლება სანინააღმდეგო აზრიც განვავითაროთ. ამ საკითხში თითქმის გარკვეულობა შეაქვს ავტორის ნაშრომს „ნანყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან 1904 წლის იანვრამდე გაზეთ „კვალში" იბეჭდებოდა გაგრძელებებით, ხოლო 1904 წელს თბილისში ცალკე გამოცემის სახითაც გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე წულუკიძე ახასიათებს ბურჟუაზიული წყობილების ეკონომიკას, დაასკვნის: „ერთი სიტყვით, ხალხის უმრავლესობა დღითი დღე ღარიბდება და ქვეყნის სიმდიდრის განაწილების დროს მისი მონაწილეობა შედარებით მცირდება. ესეც შეუსაბამობაა არსებული კაპიტალისტური წარმოების". ამ დასკვნის შემდეგ ავტორი იმ აზრს ავითარებს, თუ რას იწვევს სიმდიდრის განაწილებაში შეუსაბამობა: „ეს შეუსაბამობა, წინააღმდეგობა ბადებს საზოგადოებრივი ჯგუფების შეტაკებას, ამწვავებს განწყობილებას, აჩენს სასტიკ ბრძოლას (...), ამ ბრძოლის გადამწყვეტი საბოლოო ცნობილად მოხმარებული ძალაა (...)" ნაშრომს ალექსანდრე წულუკიძე ამ სიტყვებით ამთავრებს: „არსებული წინააღმდეგობისაგან გამოსავალ გზას თვით ცხოვრება უთითებს: წარმოების მოუწესრიგებლობა მოწესრიგებას საჭიროებს, საერთო საქმე საერთო პატრონს მოითხოვს..." ცხადია, ამ შემთხვევაში ავტორი საზოგადოებრივი პროგრესის გზად კლასთა ბრძოლას მიიჩნევს, რომელიც, მისი აზრით, მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. მიუხედავად ამისა, ნაშრომში რევოლუციაზე საუბარი მაინც არ არის, თუმცა, ჩვენი აზრით, ლეგალურად გამოცემული ნაშრომის კვალობაზე, ავტორმა მაინც გარკვეით მიანიშნა შეიარაღებული დაპირისპირების გარდაუვალობაზე.

ალექსანდრე წულუკიძე 1903-1904 წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნულ მოძრაობას და კერძოდ, არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" თეორიას. წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების იდეის უარყოფიდან, ბუნებრივია, რომ ავტორი კლასთა ბრძოლის და რევოლუციის აუცილებლობის აღიარებამდე მივიდა. ამასთან, ალექსანდრე წულუკიძე უკიდურეს ეროვნულ ნიჰილიზმამდე არ დაშვებულა, როგორც ეს დაემართა ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელს.

4. ნოე ჟორდანიას „ქართველი ნაციონალისტები". 1904 წელს ნოე ჟორდანიამ ჟენევაში გამოსცა ბროშურა „ქართველი ნაციონალისტები". ამ ნაშრომით ნოე ჟორდანიამ უარყო ყველაფერი, რაც კი დაწერილი ჰქონდა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული საკითხის გადაჭრის შესახებ. ამ თვალსაზრისით უკან დახევა აშკარად თვალშისაცემია.

ნოე ჟორდანია დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის მიხედვით რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის გარდაქმნა როგორც რუს, ისე იმპერიაში მცხოვრებ სხვა ერებს შვებას მოუტანდა. ავტორს იდეალურად რსდმპ ეროვნული პროგრამა მიაჩნდა, რომელიც „ეხება რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ნერილ ერებს და საზღვრავს მათ თავისუფალ განვითარებას (...), რომელიც ანიჭებს განაპირა ქვეყნებს თვითმმართველობას (...), აღიარებს სამშობლო ენაზე განათლების მიღებას, სასამართლოების და სხვა დაწესებულებათა წარმოებას (...), უფლებას აძლევს თვითოეულ ერს თავისი სვე-ბედი, თავისი მომავალი წყობილება თვითონვე გამოარკვიოს და გადაწყვიტოს." ნოე ჟორდანია რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხის გადაჭრას სოციალურ საკითხს უკავშირებს: „ნაციონალური რეფორმა ერთ იმ დემოკრატიულ რეფორმათაგანია, რომელიც აადვილებს სოციალიზმის გამეფებას. ის მხოლოდ მთელი ამ პროცესის ერთი რგოლია და ვინც მარტო ამ ერთ რგოლს აფრინდება და თავის მოქმედების მიზნათ აღიარებს, ის პირდაპირ ენინააღმდეგება სოციალიზმს. ის არის ნაციონალისტი და როგორც ამნაირი ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველი." სწორედ ამ ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლა დაუსახავს მიზანად ნოე ჟორდანიას. ავტორის ღრმა რწმენით, რსდმპ პროგრამის განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსი და იმპერიაში მცხოვრები სხვა ერების მუშათა კლასი ერთი ფრონტით იმოქმედებდა და არარუსი ეროვნების

მუშები ეროვნული ორიენტაციის ორგანიზაციებისა და პარტიების გავლენის ქვეშ არ მოექცეოდნენ. საქართველოში კი მოვლენები სწორედ ნოე ჟორდანიასათვის მიუღებელი სცენარით განვითარდა.

1903 წელს პარიზში არჩილ ჯორჯაძის, გიორგი დეკანოზიშვილის, თედო სახოკიასა და სხვათა მონანილეობით გამოიცა თავისუფალი ქართული ორგანო გაზეთი „საქართველო". როგორც ცნობილია, არჩილ ჯორჯაძისა და მომავალი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მოთხოვნა ასეთი იყო: რუსეთის იმპერიის გარდაქმნა ცალკეული ერების ავტონომიების ფედერაციულ კავშირად. ამის მიღწევის გზად „საქართველოს" არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეის ხორცშესხმა ესახებოდა. ეს კი ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. ამიტომ იყო, რომ ნოე ჟორდანიას ნაშრომი მთლიანად გაზეთ „საქართველოს" წინააღმდეგია მიმართული. გაზეთის ეროვნული პოზიციით გაღიზიანებული ნოე ჟორდანია წერდა: „ამნაირათ, „საქართველოს" ჯგუფი მუშათა მოძრაობის მიერ გამორიყული ჯგუფია. მისი მიზანია თავისი ნაციონალისტური აზრები მუშებში შეიტანოს და მით მუშათა მოძრაობა ვიწრო კალაპოტში მოამწყვდიოს და რომ ეს მოახერხოს, თავის თავს მუშათა მომხრეთ აცხადებს, ვითომ კიდევაც თანაგვიგრძნობს, კიდევაც „დემოკრატობს", ხანდახან „სოციალისტობასაც" წყებულობს, რომ ამით მუშათა წრეებში შესავალი მოიპოვოს და თავისი ძველი აზრები კონტრაბანდათ შეაპაროს."

ნოე ჟორდანია მიმოიხილავს გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ საპროგრამო წერილებს და ასეთ დასკვნას აკეთებს: „გაზეთმა ორნაირი რეფორმა წამოაყენა – ეროვნული და პოლიტიკური, რომელიც, მისი აზრით, დემოკრატიული შინაარსისაა, ე. ი. გაზეთი ნაციონალ-დემოკრატიულ მიმართულებას აღიარებს (...). ის თხოულობს მხოლოთ ეროვნულ თვითმმართველობას და ზოგ დემოკრატიულ რეფორმებს. ეს არის მისი უმთავრესი მიზანი, რაიცა უნდა შესრულდეს კაპიტალისტური წარმოების საზღვრებში, მუშათა და გლეხთა ძარცვა-გლეჯის და გაბატონებულ კლასთა უფროსობის საძირკველზე. მაშასადამე, „საქართველოს" დროშა ერთიანად უარყოფს პროლეტარიატის დროშას, დროშას შრომის ბატონობისას და ბურჟუაზიის მბრძანებლობის დაცემისას. „საქართველოს" სურს მხოლოდ ცოტაოდენი რეფორმა მოახდინოს, ხოლო კაპიტალისტ-მემამულეთა ბატონობას არ შეეხოს." ნოე ჟორდანიასათვის, როგორც სოციალ-დემოკრატისათვის, მიუღებელია გაზეთ „საქართველოს" უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა: საქართველოს ავტონომიური ერთეულის შექმნა და მისი გაერთიანება ავტონომიების ფედერაციულ კავშირად გარდაქმნილ რუსეთის სახელმწიფოში. ამის სანაცვლოდ ნოე ჟორდანია აცხადებს: „ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, ნაციონალური და დემოკრატიული რეფორმები მხოლოთ გზაა, საშუალებაა უმაღლესი და უწმინდესი მიზნის მისაღწევად, მუშა ხალხის სამუდამოდ გასათავისუფლებლად და სოციალიზმის დასამყარებლად." მოკლედ რომ ვთქვათ, ნოე ჟორდანიას აზრით, გაზეთ „საქართველოს" საპროგრამო მოთხოვნა იმიტომ იყო მიუღებელი, რომ იგი ქართველი ერის ინტერესების დაცვას არ უკავშირებდა სოციალიზმის გამარჯვებას, არამედ ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლას იმთავითვე იწყებდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა უმთავრეს დასაყრდენ ძალად მუშათა კლასს აცხადებდა. ცნობილია, რომ მუშათა კლასს, როგორც ორგანიზებულ სოციალურ ძალას, არც გაზეთი „საქართველო" უარყოფდა, თუმცა მიიჩნეოდა, რომ ქართველი ერის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა ყველა სოციალური ფენის გაერთიანების შედეგად უნდა მომხდარიყო. როგორც ვხედავთ, ადგილი ჰქონდა პრინციპულ უთანხმოებას. ცხადია, ამ დაპირისპირებაში ნოე ჟორდანია ისევ გაზეთ „საქართველოს" საპროგრამო მოთხოვნას მიიჩნევს მცდარად: „როგორც აქედან ჩანს, „საქართველოს" „გეგმა" ჯერ ვერც ერთ კლასს და წოდებას ჩვენში ვერ შეუგნია და თავის მოქმედების საგნათ ვერ გაუხდია. და აი, ის იწვევს ახლა ყველა წოდებას და კლასს, აზნაურს, თავადს, ერს, ბერს, ნასწავლს და უსწავლელს შეუერთდენ და ერთი დროშის ქვეშ დადგენ. ამით თურმე მუშებს „საკუთარი აზრი" მიეცემა, ე .ი. აზრი თავად-აზნაურული, ეპისკოპოზურ-ხუცური, და ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური. და როდესაც კავკასიის პროლეტარიატი ამათ კუდათ გადაიქცევა, თავის გზა-კვალს დატოვებს და უბრალო მაჩანჩალათ შეიქნება – მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს „საქართველოს" თანაგრძნობას და ქებათაქებას." აშკარაა, რომ ნოე ჟორდანიას ეშინია საქართველოს მუშათა კლასი გაზეთ „საქართველოს" საპროგრამო მოთხოვნებს არ გამოეხმაუროს და საქართველოს ავტონომიის იდეას არ დაუჭიროს მხარი. კიდევ უფრო აფიქრებს ნოე ჟორდანიას არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეა. მისი აზრით, გაზეთ „საქართველოს" საპროგრამო მოთხოვნები საბოლოოდ „საერთო მოქმედების ნიადაგიდან" გამომდინარეობს. ამ საკითხზე მსჯელობისას ნოე ჟორდანია წერს: „ის (გაზეთი „საქართველო" – ვ. გ.) აქ, რასაკ-

ვირველია, სრულ ლოღიკაშია, მისი მონოდებაა „საერთო მოქმედების ნიადაგი" მოინახოს და თხა და მგელი ერთ ფარგალში მოამწყვდიოს. მოიმადლიერა რა ასე კარგათ ჩვენი „მგლები" (თავადაზნაურობა, ბურჟუაზია – ე. გ.), სტატიის ბოლოს კრაუნიც (მმრომელი ხალხი – ე. გ.) გახსენებია და განუზრახავს ამათი მომადლიერებაც." ავტორის გაცხარება „საერთო მოქმდების ნიადაგის"იდეით გასაგებია. ეს იდეა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას, რომელიც კლასთა ბრძოლას პროგრესის ძირითად პირობად აცხადებდა.

ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ქართველი ნაციონალისტები" იმის დადასტურებას ნარმოადგენდა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი მთლიანად დაეთანხმა რსდმპ ეროვნულ პროგრამას და ქართველი ერის მომავალი ამ პროგრამის ხორცშესხმას დაუკავშირა.

5. იოსებ ჯუღაშვილის (1878-1953) „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი". იოსებ ჯუღაშვილის „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" და ნოე ჟორდანიას „ქართველი ნაციონალისტები" 1904 ნელს დაიბეჭდა. ორივე ნაშრომის მიზანი ერთი და იგივე იყო, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის იმ ნაწილის პოპულარიზაცია, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხებოდა და ქართული ეროვნული მოძრაობის („ნაციონალისტების") პროგრამის კრიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ნოე ჟორდანიამ მიზანს სანახევროდ მიაღწია, მისი ნაშრომი დარჩა პუბლიცისტიკად და პოლიტიკური დოკუმენტის სახე ვერ მიიღო, მან სათქმელი სრულყოფილად, ლოგიკურად ვერ ჩამოაყალიბა. იოსებ ჯუღაშვილმა პუბლიცისტური წერილის დაწერაზე უარი თქვა და თავის ნაშრომს პოლიტიკური დოკუმენტის ფორმა და შინაარსი მისცა.

იოსებ ჯუღაშვილი ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" ორი მიზნის მიღწევას ლამობდა: 1. ქართული ეროვნული მოძრაობის პროგრამის კრიტიკა, ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობის განჭიქება; 2. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ეროვნული პროგრამის კრიტიკა. ნაშრომში ვერ შეხვდებით ერცელ ციტირებებს, ოპონენტებთან გაჭიანურებულ პოლემიკას. ნაშრომი ძირითადად დასკვნებს შეიცავს. მოვიხმობთ რამდენიმე ადგილს ზემოთქმულის დასადასტურებლად.

I. ქართული ეროვნული მოძრაობის პროგრამის კრიტიკა, ეროვნული მოძრაობის განჭიქება. ეროვნული მოძრაობის პროგრამისა და მონაპოვრის კრიტიკაში იოსებ ჯუღაშვილი დიდ შეურიგებლობას იჩენდა:

1. „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთ ნოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი", როცა – „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ – ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა" და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება". ამით მას უნდოდა „საქართველოს" სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი". ეერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ" ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავადაზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების ნინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო, ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას", რომ ძირიანად დაენგრია იგი."

ასე შეაფასა იოსებ ჯუღაშვილმა ანტირუსული ეროვნული მოძრაობა: 1802 ნლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 ნლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1812 ნლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 ნლების აჯანყება იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. ცხადია, ავტორი არაფერს ამტკიცებს, იგი უბრალოდ აბიაბრუებს, აბუჩად იგდებს ქართული ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ეტაპს – ანტირუსული ეროვნული მოძრაობის დასაწყისს საქართველოში. ერთადერთ მცირე გამონაკლისს იოსებ ჯუღაშვილი 1832 ნლის შეთქმულების მიმართ უშვებს და მას „რუსული მმართველობის ნინააღმდეგ" მიმართულ მოძრაობად აფასებს და არაფერს ამბობს შეთქმულთა მისწრაფებაზე მიეღნიათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის;

2. „საქონლის ნარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა სასიკეთილო ლახტი დკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს". ქართველი თავადაზნაურობა ორ ჯგუფად გაიყო. ერთმა მათგანმა უარყო ყოველივე „ნაციომალიზმი" და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მოელო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და სასოფლო-



იოსებ ჯუღაშვილი

სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის „ბუნტოვშჩიკებისაგან" და სხვ. ხოლო მეორემ – უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველ თავადაზნაურობისამ დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაციონალიზმი". ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მათი „პროგრამისა!"), „ნაშთებს ძველი დიდებისას" და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი **ბატონყმურ-მონარქიული** „სურვილები" ამრიგად,

ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ნუთებში კლერიკალური ფორმა მიიღო."

ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპის არც ნიანმძღოლს და არც გამოჩენილ მოღვაწეებს იოსებ ჯუღაშვილი არ ასახელებს, თუმცა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ საუბარია XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე, ილია ჭავჭავაძეზე, ნიკო ნიკოლაძეზე, გიორგი წერეთელზე, სერგეი მესხზე და ეროვნული მოძრაობის სხვა ცნობილ მოღვაწეებზე, გაზეთ „დროებაზე", გაზეთ „ივერიასა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებზე. მთლიანობაში, შეფასება არაობიექტური და ტენდენციურია, ამასთან ერთად, ავტორმა ერთი უხეში ფაქტობრივი შეცდომა დაუშვა: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ნერეთელი, სერგეი მესხი, გაზეთები „დროება" და „ივერია" კლერიკალიზმს არასდროს მიმხრობიან.

3. „თანამედროვე (XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის – ე. გ.) საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენში **ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი.** როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ"კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა და **მოუკიდებელ საქართველოზე.** ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოეკლო ქართული ბაზრისათვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი" ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პარტიოტული" ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე."

ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად იოსებ ჯუღაშვილი მიიჩნევდა 1901-1902 წლებში გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში თავმოყრილ ახალგაზრდა მოღვაწეებს და შემდგომ, 1903 წლიდან, პარიზში გამომავალ თავისუფალ ქართულ ორგანოს გაზეთ „საქართველოს" გარშემო შემოკრებილებს, მომავალ სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ დემოკრატებს, რომელთა აღიარებული ლიდერი 1904 წლისათვის არჩილ ჯორჯაძე იყო.

II. **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ეროვნული პროგრამის კრიტიკა.** იოსებ ჯუღაშვილის ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთ უალტერნატივო გზად რსდმპ ეროვნული პროგრამის განხორციელება მიაჩნდა. სანამ ამ პროგრამის პოპულარიზაციას შეუდგებოდა, ავტორმა დაწვრილებით განიხილა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების უმთავრესი მოთხოვნები ეროვნულ საკითხში და ხელაღებით უარყო ყველაფერი, მათ შორის ისიც, რაც უდაოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგისათვის. კერძოდ, იოსებ ჯუღაშვილს არ მოსწონდა სოციალისტ-ფედერალისტთა საპროგრამო მოთხოვნები, როგორიც იყო:

1. მოქალაქეობრივი თანასწორობა რუსეთის ერებისათვის;

2. ენის თავისუფლება რუსეთის ერებისათვის;

3. თვითმმართველობა რუსეთის ერებისათვის;

4. ეროვნული კულტურის დევნის შეწყვეტა;

5. დაცვა ნაციონალური სულისა და მისი თვისებებისა.

ამ საპროგრამო მოთხოვნების უმთავრეს ნაკლად იოსებ ჯუღაშვილს მიაჩნდა ის, რომ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები „საბოლოოდ დაშორდნენ რევოლუციურ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს და დადგნენ ნაციონალური კედლების გამაგრების პრინციპზე (ოპორტუნიზმი ფედერალისტურ ფორმაში)".

იოსებ ჯუღაშვილის „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" დოგმატური აზროვნების ნიმუშია, რადგან მასში ჭეშმარიტების ერთადერთ საზომად რსდმპ ეროვნული პროგრამაა მიჩნეული.

თავი III. პოლიტიკური და სოციალური ვითარება რუსეთსა და საქართველოში

(XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი)

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს პოლიტიკური და სოციალური ვითარება რუსეთში სერიოზულად დაიძაბა, რაც გავლენას ახდენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე.

§1. რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკა

1. იმპერატორი ნიკოლაი II. 1894 წელს რუსეთის იმპერიის ტახტზე ავიდა ალექსანდრ III-ის 26 წლის ვაჟი ნიკოლაი II (1868–1917). მამისაგან განსხვავებით, მას ბავშვობიდანვე ზრდიდნენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს. მომავალმა იმპერატორმა კარგი განათლება მიიღო, რომელსაც საფუძვლად მართლმადიდებლური მორალი და ზნეობა ედო. გრაფი სერგეი ვიტტე, რომელსაც იმპერატორის თანყვანისმცემლად და მეგობრად ვერ მივიჩნევთ, აღიარებდა, რომ ნიკოლაი II იმ ადამიანებს შორის, რომლებთანაც ვიტტეს ურთიერთობა ჰქონდა, ყველაზე განათლებული იყო. ბავშვობაში მომავალმა იმპერატორმა ხუთი ენა შეისწავლა: მშობლიური რუსულის გარდა, იგი კარგად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და დანიურ ენებს. მისთვის წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში ნიკოლაი II უცხოურ სიტყვებს გახაზავდა ხოლმე და დოკუმენტის ავტორს აიძულებდა, ისინი რუსული შესატყვისით შეეცვალა. პირველად ტახტის მემკვიდრემ გიმნაზიის საგანგებოდ გაფართოებული პროგრამა შეისწავლა, ხოლო შემდეგ – საუნივერსიტეტო პროგრამით – ორი სპეციალობა. ჯერ იგი იურიდიული ფაკულტეტის პროგრამას დაეუფლა, ამ პროგრამაში, გარდა იურიდიული დისციპლინებისა, დამატებით იყო შეტანილი ისტორიისა და ეკონომიკის საუნივერსიტეტო პროგრამათა საგნები. ამას მოჰყვა უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება გენერალური შტაბის აკადემიის პროგრამით. მომავალი იმპერატორის მასწავლებლები იყვნენ: **კონსტანტინ პობედონოსცევი** (იურისპუდენციაში), **ნიკოლაი ბუნგე** (ფინანსებში), **ვასილი კლიუჩევსკი** (რუსეთის ისტორიაში), **ეგორ ზამისლოვსკი** (რუსეთის ისტორიაში), **კომპოზიტორი ცეზარ კიუი**, გენერალი **მიხაილ დრაგომიროვი** და სხვები.

ტახტზე ასვლის დროისათვის ნიკოლაი II-ს იმპერიის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა. მართალია, იგი იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ესწრებოდა მინისტრთა კომიტეტის სხდომებს, მონაწილეობდა კანონპროექტების განხილვაში, იყო ციმბირის რკინიგზის კომიტეტის თავმჯდომარე, 1891–1892 წლებში სათაეში ედგა შიმშილობის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ყოველივე ეს სულაც არ კმაროდა უზარმაზარი იმპერიის წარმატებით მართვისათვის. თვით ტახტზე ასვლაც მოულოდნელად მოხდა, რადგან მამამისი, იმპერატორი ალექსანდრ III, 49 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა. უფრო დიდი გამოცდილება ნიკოლაი II-ს სამხედრო საქმეში ჰქონდა. მან გვარდიაში რამდენჯერმე გაიარა სამწყობრო მომზადების სრული კურსი, იყო ერთ-ერთი გვარდიული პოლკის ჯერ ასეულის, ხოლო შემდეგ ესკადრონის მეთაური. 1887 წელს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის, 1891 წელს – კაპიტნის, 1892 წელს – პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. ნიკოლაი II-მ იმპერატორის გვირგვინი გვარდიის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონემ დაიდგა. იგი თვლიდა, რომ მას უფლება არ ჰქონდა შემდგომი სამხედრო წოდებები მიეღო, რადგან სამხედრო წოდებას რუსეთში თავად იმპერატორი ანიჭებდა. 1915 წელს ნიკოლაი II დიდი ბრიტანეთის არმიის უმაღლესი სამხედრო წოდების – ფელდმარშლობის – მქონე გახდა. ამის შემდეგაც კი იმპერატორი მიიჩნევდა, რომ რუსეთის არმიის გენერლის წოდების მიღების უფლება მას არ ჰქონდა.

გამოცდილების უქონლობის მიუხედავად, ნიკოლაი II-მ სწრაფად შეითვისა სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. იმპერატორს ჰქონდა ერთი დიდი და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო ნაკლი: ვერასდროს შეძლო მეტ-ნაკლებად ქმედითუნარიანი და ღირსეული ადამიანებით დაკომპლექტებული გარემოცვის შექმნა. იმპერატორი დროდადრო მოექცეოდა ხოლმე რომელიმე პოლიტიკური ან სამხედრო მოღვაწის გავლენის ქვეშ და დარწმუნებული იყო, რომ ის სწორ რჩევას აძლევდა. შემდეგ ამ მოღვაწეს სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორებდა, მაგრამ ახალი მრჩეველების შერჩევისას კვლავ ძველ შეცდომებს იმეორებდა.

სხვადასხვა დროს ნიკოლაი II-თან დაახლოებული იყვნენ და იმპერიის მართვა-გამგეობაში დიდ როლს ასრულებდნენ თხუთმეტი დიდი მთავრიდან (რომანოვების სამეფო საგვარეულოდან) ძმა – **მიხაილი** და ბიძა – **პაველი**. გარკვეული ხნის შემდეგ იმპერატორმა ორივე ჩამოიცილა

და უცხოეთში გაგზავნა. მინისტრებიდან მასთან დაახლოებული იყვნენ ისეთი მედროვეები, როგორებიც იყვნენ: **დიმიტრი ტრეპოვი** (1855–1906), **ალექსანდრ ბეზობრაზოვი** (1853–1931), **ვლადიმირ მეშჩერსკი** (1839–1914) და სხვები. ნიკოლაი II-თან დაახლოებული სახელმწიფო მოღვაწეებიდან ბევრი ნიჭიერი ადამიანი იყო. მათ შორის – **სერგეი ვიტტე** (1849–1915), **პიოტრ სტოლიპინი** (1862–1911), **ალექსანდრ კრივოშეინი** (1857–1921).

ნიკოლაი II ღრმადმორწმუნე ქრისტიანი იყო და სწამდა, რომ იმპერატორის გვირგვინი მან ღმერთის ნებით დაიდგა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხშირად იმეორებდა ხოლმე: „ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება," „ყველაფერი ღმერთის ხელშია"

2. საშინაო პოლიტიკური კურსის შემუშავება. საშინაო პოლიტიკაში განმსაზღვრელი იყო სამი მთავარი საკითხი: საერთო-პოლიტიკური კურსი, გლეხთა საკითხი (აგრარული საკითხი) და მუშა-



ნიკოლაი II

თა საკითხი. საერთო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას პირადად ნიკოლაი II ხელმძღვანელობდა. რუსეთის იმპერიაში ტრადიციულად საშინაო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შინაგან საქმეთა მინისტრი. ნიკოლაი II-ს საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება დაუგვიანდა, რაც ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა. ნიკოლაი II-ის ტახტზე ასვლის დროისათვის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო **ივან დურნოვო** (1889–1895), რომელიც იმპერატორმა მალევე დაითხოვა. 1899 წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა **დიმიტრი სიპიაგინი** (1853–1902), რომელმაც სულ 1 წელი და 6 თვე იმუშავა, 1902 წლის 2 აპრილს იგი ტერორისტებმა მოკლეს. 1902 წელს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა **ვიაჩესლავ პლევე** (1846-1904), რომელმაც 2 წელი და 3 თვე იმუშავა და 1904 წლის 15 ივლისს ისიც ტერორისტების მსხვერპლი გახდა. 1904 წელს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნული **პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკი** (1857–1914) 1905 წლის 18 იანვარს გადააყენეს 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" მოვლენებთან დაკავშირებით. შემდეგი მინისტრი **ალექსანდრ ბულიგინი** (1851–1919) – 1905 წლის 20 იანვარს დანიშნა და მხოლოდ იმავე წლის 22 ოქტომბრამდე დაყო თანამდებობაზე. ცხადია, ასეთ ვითარებაში საშინაო-პოლიტიკური კურსის შემუშავება გაჭიანურდა. უზარმაზარი იმპერია, ფაქტობრივად, ნათლად გამოკვეთილი საერთო-პოლიტიკური კურსის გარეშე არსებობდა. რევოლუციონერების მიერ მოკლულმა დიმიტრი სიპიაგინმა ის კი მოასწრო, რომ იმპერატორს წარუდგინა თავისი ნათესავი თავადი **ვლადიმირ მეშჩერსკი**, რომელმაც იმპერიაში განსახორციელებელი რეფორმების საერთო კონცეფცია და კონკრეტული რეფორმის პროექტები შეიმუშავა. ვლადიმირ მეშჩერსკის აზრით, რეფორმების დაწყების წინ მეფეს უნდა გამოეცა მანიფესტი, რომელიც 1902 წლის თებერვლისათვის უკვე მზად ჰქონდა. ნიკოლაი II მანიფესტის ტექსტს გაეცნო, ძირითადად მოიწონა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა თავისი შენიშვნების საფუძველზე ტექსტი გადამუშავებულიყო. 1902 წლის 2 აპრილს, როგორც აღვნიშნეთ, დიმიტრი სიპიაგინი მოკლეს და მისი ადგილი ვიაჩესლავ პლევემ დაიკავა. პლევე ჭკვიანი, ენერგიული და გამოცდილი ადმინისტრატორი იყო, მას შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ვიაჩესლავ პლევე ენერგიულად შეუდგა რეფორმის პროექტზე მუშაობას. ამავე დროს, ახალი მინისტრი აუცილებლად მიიჩნევდა მუშათა და გლეხთა გამოსვლების ჩახშობას და ოპოზიციური ინტელიგენციის დათრგუნვას. იმპერატორმა, ვიაჩესლავ პლევემ და ვლადიმირ მეშჩერსკიმ ერთად შეიმუშავეს მანიფესტის ტექსტი, რომელსაც ნიკოლაი II-მ 1903 წლის 26 თებერვალს მოაწერა ხელი. თვითმპყრობელიაასე მიმართავდა თავის ქვეშევრდომებს: „ჩვენის ნების ყველა აღმსრულებელთ, როგორც მაღალს, ისე დაბალს, ვუბრძანებთ, მტკიცედ ენინააღმდეგონ

საერო ცხოვრების ნესიერი მიმდინარეობის ყოველ ხელის შემშლელს. იმედი გვაქვს, რომ ყველანი საერთოდ და თითოეული ცალკე პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას. ჩვენც, ჩვენი მხრით, შეუდრეკელი სიმტკიცით და გაბედულებით აღვიჭურვებით, რათა დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილოთ უკვე მომწიფებული სახელმწიფო საჭიროებანი." ამის შემდეგ იმპერატორი ჩამოთვლიდა ყველა იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელთა გადაჭრაც აუცილებლად მიაჩნდა:

1. „განვამტკიცოთ საქმე სათანადო მთავრობის მიერ სარწმუნოების შეწყნარებისა, როგორც აღნიშნულია რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებში. ამ კანონებისამებრ მონიწებით უნდა მიჩნეულ იქნას მართლმადიდებელი ეკკლესია პირველ და უმთავრეს ეკკლესიათ, გარნა, ამასთანავე, ნება ეძლევა ყველა ჩვენს ქვეშევრდომს, სხვა სარწმუნოების და აღსარებისას, თავისუფლად სწამდეთ თვისი სარწმენი და თავისუფლად აღასრულებდნენ ღვთის მსახურებას თვისის სარწმუნოების წესისაებრ";

2. „საკეთილოდეე მივიჩნიეთ, განვაგრძოთ მხნედ მიღება იმისთანა ღონისძიებათა, რომელთა წყალობითაც შესაძლო იყოს სოფლად მართლმადიდებელ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის განკარგება, რათა მით უფრო გაძლიერდეს ღვთის მსახურთა მიერ ნაყოფიერი მონაწილეობის მიღება სამწყსოს სასულიერო და საზოგადო ცხოვრებაში";

3. „საკეთილოდეე მივიჩნიეთ იმ სურვილთა აღსასრულებლად, რომელნიც უკვე თვალწინ დავიყენეთ სასოფლო მეურნეობის საქმეში, მივმართოთ სახელმწიფო საკრედიტო დანესებულებათა, განსაკუთრებით სათავად-აზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკების მოქმედებას რუსეთის სასოფლო ცხოვრების უმთავრეს ბურჯთა უაღრესად განმტკიცებისა და კეთილდღეობის გზაზე დაყენებისათვის. ეგ ბურჯებია სოფლად მცხოვრები თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა";

4. „საკეთილოდეე მივიჩნიეთ ჩვენ მიერ განზრახული შრომა სასოფლო კანონმდელობის გადასინჯვისა, როცა ეგ საქმე პირველად განხილულ იქმნება ჩვენ მიერ ნაჩვენები წესით, დავავალოთ ადგილობრივ საგუბერნიო ბჭობათ (საბჭოებს – ვ. გ.), რათა დანარჩენი წერილმანი მათ შეიმუშაონ და შეუფარდონ კანონი ადგილობრივ ვითარებას იმათი მახლობელი მონაწილეობით, ვინც ღირსეულ მოღვაწეთ ითვლება და საზოგადოების ნდობით არის მოსილი";

5. „საკეთილოდ მივიჩნიეთ, რომ ამ შრომას საფუძველად დაედვას ხელ-უხლებლობა სათემო წეს-წყობილებისა საგლეხო მიწათმფლობელობაში, თან ისეთი ღონისძიება უნდა იქნას მონახული, რომ თითოეულ გლეხს შეეძლოს განთავისუფლდეს";

6. „უნდა მიღებული იქნას დაუყოვნებლივ ღონისძიება, რათა მოისპოს გლეხთათვის შემაწუხებელი საურთიერთო თავდებობა";

7. „უნდა გადაკეთდეს საგუბერნიო და სამაზრო მმართველობანი, რათა განკარგებულ იქნას სხვა-და-სხვა ღონისძიება პირდაპირის დაკმაყოფილებისათვის საერო-სათემო ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებათა ადგილობრივ კაცთა შრომით, ისეთ კაცთა, რომელთაც ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ძლიერი და კანონიერი მთავრობა, ჩვენ წინაშე სასტიკად პასუხის მგებელი";

8. „უნდა სასურველად იქმნეს ცნობილი სოფლის ცხოვრების შემდეგში უფრო განკარგებისა და მოწესრიგებისათვის დაახლოვება საზოგადოებრივ მმართველობისა და მოღვაწეობა საეკლესიო სამზრუნველოებისა იქ, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება".

იმპერატორის მანიფესტი ასე მთავრდებოდა: „მოუწოდებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, ხელი მოგვიმართონ და დაგვეხმარონ დასანერგათ ოჯახსა, სკოლასა და საზოგადო ცხოვრებაში ზნეობისა, რომელიც ასე საჭიროა, რათა თვითმპყრობელის ხელმწიფების ფრთეთა ქვეშე განვითარდეს საერთო კეთილდღეობა და რწმენა თითოეულისა, რომ მისი უფლება მტკიცეთ და შეურყეველად დაცული იქნება. ამიტომ ვუბრძანებთ ჩვენს მინისტრებს და ცალკე მხარეთა მთავარ-მართებელთ, ვის უწყებასაც ეს შეეხება, წარმოგვიდგინონ ჩვენ მოსაზრებანი იმ წესის შესახებ, თუ რა ნესით უფრო განხორციელდება ნინასწარ განმარტებულნი ზრახვანი ჩვენნი. უფალი ყოველად მპყრობელი გადმოაელენსმცა კურთხევასა სამეფოსა შრომასა ჩვენსა ზედა და შეგვეწევამცა ჩვენ, რათა სამშობლოს ყველა ერთგულ ძეთა შეერთებით აღვასრულოთ ფიქრი ჩვენი სახელმწიფო ნესიერების გაუმჯობესობისა, დამყარებით ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე წეს-წყობილებისა, აუცილებლად საჭიროსი ჩვენის დიდის სახელმწიფოს წარმატებისათვის".

მანიფესტით დასახული საკითხების გადაჭრის მიზნით ვიაჩესლაე პლეეემ შექმნა რამდენიმე კომისია, რომელთაც უნდა მოემზადებინათ კანონ-პროექტები. პლეევს მკვლელობამდე, 1904 წლის 15 ივლისამდე, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ განიხილა და მოიწონა კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ადგილობრივი მეურნეობის საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ. იმპერატორმა კანონპროექტს ხელი 1904 წლის 22

მარტს მოაწერა. ამ დროისათვის სახელმწიფო საბჭოში განხილვის სტადიაში იყო კანონპროექტი საგუბერნიო საბჭოების შექმნის შესახებ. კანონის ეს პროექტი გუბერნიებში დაიგზავნა ადგილებზე განხილვისათვის. 1904 წლის 6 ივნისს ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა კანონის პროექტს გლეხთა გადასახლებების შესახებ. კანონი გუბერნატორებს უფლებას ანიჭებდა ხელი შეეწყოთ გლეხთა ერთი გუბერნიიდან მეორეში გადასახლებისათვის და, ამავე დროს, დახმარება აღმოეჩინათ ახალ ადგილებზე დასახლებული გლეხებისათვის.

ვიაჩესლავ პლევემ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა – 1904 წლის 15 ივლისს იგი რევოლუციონერებმა მოკლეს. თითქოს გაუგებარია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელობამ ერთნაირად გაახარა როგორც მკვლელობის დამკვეთები, ისე საზოგადოების ლიბერალური ნაწილი. საქმე ის გახლდათ, რომ რევოლუციონერებმა ვიაჩესლავ პლევეს სრულიად უსაფუძვლოდ დასდეს ბრალი რეაქციული საშინაო პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და ანტისემიტიზმში. ეს ცრუ ბრალდება სარწმუნოდ მიიჩნია რუსული საზოგადოების ლიბერალურმა ნაწილმა. პლევეს მკვლელობამ ნიკოლაი II მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, რადგან მომდევნო ორი მინისტრი – პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკი და ალექსანდრ ბულიგინი პლევეს მიერ დაწყებული რეფორმების გამგრძელებლად ვერ გამოდგებოდნენ. ყოველივე ამას იმპერატორიც კარგად გრძნობდა, მაგრამ შესაფერისი კანდიდატის ძიების დროს მან ცუდსა და უარესს შორის უარესი აირჩია და 1905 წლის 22 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრად **პიოტრ დურნოვო** (1842-1915) დანიშნა, რომელიც 6 თვის შემდეგ, 1906 წლის 22 აპრილს გადააყენა.

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუციის წინა ხანებში ნიკოლაი II-მ ვერ შეძლო ჭკვიანი, ენერგიული და ერთგული თანამოაზრეების შემოკრება, რათა იმპერიისათვის საბედისწერო ჟამს სწორი საშინაო კურსი შეემუშავებინა.

გლეხთა (აგრარული) საკითხი. აგრარულმა საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა 1901 წლის მოუსავლიანობისა და 1902 წელს დაწყებული გლეხთა მღელვარებების ფონზე. 1902 წლის აგვისტოს ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ პლევემ ქალაქ კურსკში შეკრიბა კურსკის, პოლტავის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ორიოლისა და ვორონეჟის გუბერნიების გუბერნატორები, თავადაზნაურობის წარმომადგენლები და სასოფლო თემების მამასახლისები. კურსკში სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით ჩავიდა ნიკოლაი II-ც. მან სამი შეხვედრა ჩაატარა თავადაზნაურობის, ერობებისა და გლეხობის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე იმპერატორმა სხვადასხვა საკითხზე ისაუბრა, თუმცა სამივე გამოსვლაში მთავარი ადგილი მოსალოდნელ რეფორმებს დაეთმო. 1903 წლის მარტში გატარდა საგადასახადო რეფორმა, რამაც ოდნავ შეამსუბუქა გლეხთა მდგომარეობა. 1904 წლის აგვისტოში იმპერატორმა სათემო სასამართლოებს გლეხთა ფიზიკური დასჯის უფლება ჩამოართვა. იმავე 1904 წელს გლეხებს ჩამოაჭრეს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწის საკუთრებაში დამტკიცებისათვის გადასახდელი დარჩენილი გამოსასყიდი თანხის ნაწილი. აღსანიშნავია, რომ აგრარული პრობლემის მოგვარებისათვის, ამ პროგრესული ღონისძიებების გარდა, სხვა უმთავრესი საკითხები არ გადაწყვეტილა. ამ საკითხებზე წინადადებების მოსამზადებლად შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სამინისტროებში შეიქმნა რამდენიმე საგანგებო თათბირი და კომისია. სამწუხაროდ, ვერც ნიკოლაი II-მ და ვერც ვიაჩესლავ პლევემ ვერ გააცნობიერეს, რომ სოფლად სოციალური ამბოხის თავიდან აცილებისათვის დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო ძირეული რეფორმები. 1904 წლის 6 ივნისის კანონი, რომელიც მიწის სიმცირით განმეებულ გლეხობას ერთი გუბერნიიდან მეორეში გადასახლების ნებას რთავდა, რუსეთს სოციალურ ამბოხს თავიდან ვერ აცილებდა, რადგან კანონი მხოლოდ გლეხობის ნაწილს ეხებოდა, გარდა ამისა, ახალ ადგილზე დასახლებული გლეხობა მძიმე პირობებში აღმოჩნდა. 1905 წელს რევოლუცია ისე დაიწყო, რომ რუსეთის იმპერიის მთავრობამ აგრარული რეფორმის პროექტიც კი ვერ შეიმუშავა.

მუშათა საკითხი. გადაუდებელი სოციალური და ეკონომიკური რეფორმების დაგვიანების შემთხვევაში მუშები, დამშვიდების ნაცვლად, სოციალისტური პარტიების გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ და სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური ხასიათის საკითხებსაც წამოჭრიდნენ. იმპერიისათვის საშინაო ამ მოვლენის თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებების საგანგებო გეგმა შეიმუშავა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების (ოხრანკის)** განყოფილების უფროსმა, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სერგეი ზუბატოვმა (1864-1917). სერგეი ზუბატოვი რუსეთის პოლიციის გამოჩენილი მოღვაწე, რწმენით მონარქისტი, ჭკვიანი და ენერგიული ადმინისტრატორი იყო. მისი დამსახურება შემდეგში მდგომარეობდა:

1. შეიქმნა პოლიტიკური სამძებროს ახალი სისტემა;

2. ჩამოყალიბდა საიდუმლო აგენტების დახ-

მარებით ფარული მეთვალყურეობის განხორციელების ახალი სამსახური;

3. შეიქმნა ე. წ. „მფრინავი რაზმები“, რომლებიც ოპერატიულად რეაგირებდნენ იმპერიის გუბერნიებში მოქმედი იატაკქვეშა რევოლუციური ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე;

ვიაჩესლავ პლეველ სერგეი ზუბატოვი მოეწონა და იგი პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების უფროსად დანიშნა. ზუბატოვმა პოლიტიკური სამძებროს სისტემის შემდგომი გარდაქმნის დავალება მიიღო. პლეველ, როგორც უნარიანი და გამოცდილი პოლიციელი, გრძნობდა ზუბატოვის მიერ დანყებული რეფორმის მნიშვნელობას იმპერიისათვის. იგი რამდენიმე წლით ადრე მიხვდა, რომ ძველი ადმინისტრაციული და საპოლიციო სისტემა სოფლად ვითარების დაძაბვის შემთხვევაში წესრიგის დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. პლეველ მიაღწია იმას, რომ სოფლად პოლიციის **დარაჯთა (სტრაჟნიკთა)** შტატი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1903 წელს დაწყებული პოლიციის სტრაჟნიკთა რაოდენობრივი ზრდა 5,5 წლის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად პოლიციის ყველა რანგის მოხელე რუსეთის იმპერიაში, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით მცირე იყო. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს ინგლისზე 5-ჯერ, ხოლო საფრანგეთთან შედარებით 9-ჯერ ნაკლები პოლიციელი ჰყავდა. რაოდენობრივად და ორგანიზაციულად განსაკუთრებით სუსტი იყო პოლიტიკური სამძებრო. სერგეი ზუბატოვის მიერ გატარებული რეფორმის მიუხედავად, სამძებროში როგორც რიგითი, ისე ხელმძღვანელი კადრების მუდმივი ნაკლებობა იყო. 1914 წლისათვის ჟანდარმთა კორპუსში 946 უფროსი ოფიცერი, 12.699 უნტეროფიცერი და რიგითი ჟანდარმი ირიცხებოდა. რევოლუციის პირობებში ჟანდარმთა ეს რაოდენობა სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. პოლიციელთა სიმცირე განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში იგრძნობოდა. თუ სოფლად სოციალური ამბოხი დაიწყებოდა, პოლიცია ჯარის დახმარების გარეშე მას ვერ ჩაახშობდა.

სერგეი ზუბატოვის რეფორმების მეორე ნაწილი, რომელმაც „ზუბატოვშჩინის“ სახელი მიიღო, უფრო მნიშვნელოვანი იყო. ზუბატოვს მიზნად ჰქონდა მუშათა მოძრაობისათვის ეკონომიკური ხასიათის მიცემა და მუშების პოლიტიკური მოძრაობისაგან ჩამოშორება. მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნების წამოყენება და პოლიტიკურ ბრძოლაზე უარის თქმა უნდა უზრუნველეყო პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობით შექმნილ მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებს. 1901 წელს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის, დიდ მთავარ **სერგეი რომანოვისა** (1857–1905) და მოსკოვის ობერპოლიცმაისტერ **დიმიტრი ტრეპოვის** (1855–1906) დახმარებით სერგეი ზუბატოვმა შეძლო მოსკოვში **„მექანიკური წარმოების მუშების ურთიერთდამხმარე საზოგადოების“** ჩამოყალიბება, მალე ასეთი ორგანიზაციები შეიქმნა რუსეთის სხვა ქალაქებში, რაოდენობრივად ყველაზე მეტი კი იმპერიის დასავლეთ და სამხრეთ გუბერნიებში იყო. ყველა ეს ორგანიზაცია პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა. ზუბატოვის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ე.წ. **„პატრიოტული მანიფესტაცია“**, რომელიც 1902 წლის 19 თებერვალს მოსკოვში, ალექსანდრ II-ის ძეგლთან, გაიმართა. დაახლოებით 500.000 მუშა ხატებითა და რუსეთის იმპერიის ჰიმნის გალობით ყოველგვარი ექსცესების გარეშე შეიკრიბა. 1901 წელს ზუბატოვმა სამხრეთ რუსეთში პოლიციის მეთვალყურეობით **„ებრაელთა დამოუკიდებელი მუშათა პარტია“** შექმნა. საბოლოოდ ზუბატოვშჩინამ სისტემის სახე მაინც ვერ მიიღო, 1905 წელს დაწყებულმა რევოლუციამ დაადასტურა, რომ სოციალისტურმა პარტიებმა მუშათა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა მაინც შეძლეს.

3. მუშათა და გლეხთა მოძრაობა. 1896–1900 წლებში რუსეთში დაახლოებით მუშათა 800 გაფიცვა იყო აღრიცხული. გაფიცულებმა მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნები წამოაყენეს. 1899–1902 წლები რუსეთში სტუდენტთა მასობრივი მღელვარებით აღინიშნა. მუშებისაგან განსხვავებით, სტუდენტებს პოლიტიკური მოთხოვნებიც ჰქონდათ, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა მუშათა მოძრაობაზე. 1901 წელს პეტერბურგში, მოსკოვში, კიევსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე მუშათა გაფიცვები უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, თუმცა ეკონომიკური მოთხოვნებიც კვლავინდებურად აქტუალური იყო. 1901 წელს მშრომელთა საერთაშორისო დღესთან, 1 მაისთან, დაკავშირებით პეტერბურგში ობუხოვის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. 1902 წელს საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა ხარკოვში, ბაქოში, თბილისში, ვილნოსა და სორმოვოში. მუშათაA გაფიცვები, რომლებიც ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, სტიქიურობით გამოირჩეოდა. 1901-1902 წლებში მუშათა პოლიტიკურ გამოსვლებს ორგანიზებული ხასიათი მისცეს **სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა** (ესერებმა) და **„ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირმა ლიტვაში,**

პოლონეთსა და რუსეთში" (ბუნდმა). სოციალისტები სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ მუშებში პოლიტიკური შეგნების დანერგვას. მხოლოდ ობუხოვის ქარხანაში სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს მუშათა ოცამდე საიდუმლო წრე ჰქონდათ შექმნილი. სოციალისტები აყალიბებდნენ მუშათა ორგანიზაციებს, ეხმარებოდნენ მუშებს ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნების შემუშავებაში, ცდილობდნენ მუშათაA პოლიტიკური შეგნების ამაღლებას. მათი მიზანდასახული მუშაობის შედეგი ცხადად აჩვენა 1903 წელს სამხრეთ რუსეთში დაწყებულმა საყოველთაო გაფიცვამ, რომლის დროსაც მუშებმა პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. მუშათა პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში სოციალ-დემოკრატებსა და ესერებთან ერთად დიდი როლი ითამაშა ბუნდმა. 1903 წელს გაფიცვები და დემონსტრაციები მიმდინარეობდა ბათუმში, თბილისში, ოდესაში, ნიკოლაევში, ეკატერინოსლავსა და ხარკოვში.

1895–1899 წლებში რუსეთში გლეხთა 385 მღელვარება აღინიშნა, ანუ წელინადში საშუალოდ – 77 მღელვარება. 1900–1904 წლებში 1.205 მღელვარება აღირიცხა (წელინადში საშუალოდ 241 მღელვარება). რუსეთისათვის, სადაც 500.000 სოფელზე მეტი იყო, ეს მონაცემი შეიძლება საშიშად არ მოგვეჩვენოს. იმპერატორსა და რუსეთის მთავრობას აფიქრებდა არა გლეხთა მღელვარების რაოდენობა, არამედ – 1902 წელს პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში გლეხთა მოძრაობის არნახული გაქანება. მღელვარება მოედო 165 სოფელს, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 150.000 სული იყო. მემამულეთა სახლ-კარისა და მეურნეობის დარბევაში 5.000 გლეხი მონაწილეობდა. ისინი 104 მამულს დაესხნენ თავს, გაიტაცეს შინაური პირუტყვი, საკვები პროდუქტი და საოჯახო ნივთები. 1902 წელს დაწყებული გლეხთა მღელვარების მიზეზი 1901 წლის მოუსავლიანობა და ამით გამონეული შიმშილობა იყო. აღსანიშნავია, რომ გლეხები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მათი გამოსვლები არ იყო მიმართული მთავრობის წინააღმდეგ და რომ ისინი უზარმაზარი მამულებისა და სურსათის მარაგის მქონე მემამულეებს უსწორებდნენ ანგარიშს. აშკარად დადასტურდა, რომ გლეხობის დიდ ნაწილში მეფე-მამის რწმენა ჯერ კიდევ შეურყეველი იყო. პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში ხელისუფლებამ გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად სერიოზული სამხედრო ძალა (რამდენიმე ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი) გადაისროლა. დამსჯელმა ექსპედიციებმა საქმეს ვერ უშველეს. გლეხთა მღელვარება გავრცელდა კიევის, ჩერნიგოვის, ორიოლისა და პენზის გუბერნიებში.

1904 წელს მუშათა და გლეხთა გამოსვლებმა იკლო, რაც დაკავშირებული იყო მრეწველობაში კრიზისის დასრულებასა და მოსავლიან წელთან, რამაც ხალხის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესა.

4. ხელისუფლება და საზოგადოება 1904 წელს. ლიბერალური მოძრაობის რადიკალიზაცია. ნიკოლაი II-მ დაწყებული რეფორმები ვიაჩესლავ პლევეს მკვლელობის შემდეგაც გააგრძელა. იმპერატორი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო უფრო ლიბერალური საშინაო-პოლიტიკური კურსის შემუშავება. ამის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენდა პლევეს მკვლელობის შემდეგ, 1904 წლის 25 აგვისტოს, შინაგან საქმეთა მინისტრად პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკის დანიშვნა. ლიბერალური შეხედულებებით ცნობილმა ახალმა მინისტრმა დანიშვნისას თავისი სამოქმედო პროგრამის ძირითადი დებულებები ამგვარად ჩამოაყალიბა:

1. რელიგიური შემწყნარებლობა;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების გაფართოება;
3. ცენზურის შერბილება;
4. პოლიტიკურ დანაშაულად მხოლოდ ტერორისტული აქტების მიჩნევა.

პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკის, ვიაჩესლავ პლევესთან შედარებით, გაცილებით ლიბერალური შეხედულებები ჰქონდა. იგი უხეში ძალმომრეობის წინააღმდეგი იყო და, თუ ძალის გამოყენება მაინც აუცილებელი გახდებოდა, „რბილ მეთოდებს" უჭერდა მხარს. სვიატოპოლკ-მირსკიმ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობებიდან დაითხოვა მემარჯვენე შეხედულებებით ცნობილი ალექსანდრ სტიშინსკი (1851–1921), ბორის შტიურმერი (1848–1917) და სხვები. სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების წინაშე გამოსვლისას ახალმა მინისტრმა აუცილებლად მიიჩნია უფრო მეტი ღრმა გამოეცხადებინათ საზოგადოებრივი და წოდებრივი ორგანიზაციებისადმი. ამ თვალსაზრისით სვიატოპოლკ-მირკსიმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და გააუქმა ვიაჩესლავ პლევეს მიერ ერობებისადმი დანესებული შეზღუდვები, შეარბილა ცენზურა. საზოგადოება დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მინისტრის ახალ კურსს, რომელიც „გაზაფხულად" და „ნდობის ერად" მონათლა. გაზეთი „ნოვოე ვრემია" წერდა, რომ ახალი კურსი ბოლო ასი წლის განმავლობაში პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. არალეგალურად გამომავალმა ჟურნალმა „ოსვობოჟდენიემ" სვიატოპოლკ-მირსკის ლიბერალური კურსის მხარდაჭერა ალუთქვა.

„გაზაფხულად" წოდებული პიოტრ სვიატო-

პოლკ-მირსკის ახალი საშინაო კურსი შემთხვევით არ ჩამოყალიბებულა, იგი ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული: ახალი მინისტრის დანიშვნის დრო (1904 წლის 25 აგვისტო) მძიმე იყო რუსეთისათვის. აშკარა გახდა, რომ რუსეთ-იაპონიის ომი (1904–1905 წწ.) მარცხით დასრულდებოდა. რუსეთის არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა მანჯურიაში. 1904 წლის აგვისტოში ლიაოიანთან იაპონელებმა სასტიკად დაამარცხეს რუსეთის არმია, რის შემდეგაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა შორეულ აღმოსავლეთში – პორტ-არტური. ამ რთულ ვითარებაში იმპერატორი ნიკოლაი II დარწმუნდა, რომ ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილი ლიბერალური საზოგადოებრივი აზრის მატარებელი არა მარტო ინტელიგენცია იყო, არამედ – თავადაზნაურობის ის ნაწილიც, რომელსაც იმპერატორი მტრად ვერასგზით ვერ მიიჩნევდა, ამიტომ იმპერატორი თავს მოვალედ თვლიდა, რომ თავადაზნაურობის აზრი გაეთვალისწინებინა. ეს ადამიანები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს განეკუთვნებოდნენ. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი თავადური საგვარეულოების: **დოლგორუკების, ობოლენსკების, ტრუბეცკოების, შახოვსკების, ურუსოვებისა** და სხვათა წარმომადგენლები.

ნიკოლაი მურავიოვმა (1850–1908), რომელიც 1894–1905 წლებში რუსეთის იმპერიის მინისტრი იყო, ვიაჩესლავ პლევეს მკვლელობის შემდეგ იმპერატორს მოახსენა: „საზოგადოების გარეშე სახელმწიფოს მართვა არ შეიძლება“. იგივე სიტყვები ნიკოლაი II-ს დედისა და სერგეი ვიტტესაგანაც ჰქონდა მოსმენილი. პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკი იმპერატორს დაჟინებით ურჩევდა: საზოგადოების ლიბერალურ ნაწილს უნდა დაეუთმოთ და ამ გზით რევოლუციონერებს ჩამოვაშოროთო. სვიატოპოლკ-მირსკი ნიკოლაი II-ს არწმუნებდა, რომ ლიბერალურად განწყობილი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე რევოლუციონერები სერიოზულ ძალას არ წარმოდგენდნენ, ამიტომ მათი დამარცხება არ გაჭირდებოდა.

როგორ რეაგირებდა რუსი ხალხი, უფრო ზუსტად, მისი ლიბერალური ნაწილი, ხელისუფლების დათმობებზე? XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ლიბერალური მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა, ამავე დროს, ხდებოდა მისი რადიკალიზაცია. რადიკალიზაციას ხელს უწყობდა არალეგალური რევოლუციური პარტიების აღმოცენება და რევოლუციონერთა მიერ საზოგადოებაში ფართო პროპაგანდის გაჩაღება. ამ მოვლენამ ნიკოლაი II დააფიქრა, იმპერატორი დარწმუნდა, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ალექსანდრ III-ის რეპრესიული საშინაო-პოლიტიკური კურსის შეცვლა იქნებოდა. აღარ შეიძლებოდა მუშათა და გლეხთა გამოსვლების, რევოლუციონერთა ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რეპრესიული მეთოდებით აღკვეთა. ლიბერალური იდეები, რომლებიც წინათ ერობებში იკიდებდა ფეხს, XX საუკუნის დამდეგს არალეგალურ თუ ნახევრად ლეგალურ ორგანიზაციებშიც დამკვიდრდა. 1899–1905 წლებში მოსკოვში მოქმედებდა ნახევრად ლეგალური წრე „ბესედა“ (საუბარი), რომლის წევრები თავად დოლგორუკის ოჯახში იკრიბებოდნენ. წრე დაახლოებით 60 ადამიანს აერთიანებდა, მათ შორის 9 თავადი, 8 გრაფი და 2 ბარონი იყო. რუსეთის თავადაზნაურობაში კონსტიტუციონალიზმის იდეამ ფართოდ გაიდგა ფესვი. „ბესედას“ წევრები სტატიებს აქვეყნებდნენ ჟურნალ „პრავოში“ (სამართალი) და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ამ წერილებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 1904 წელს თავადმა **ევგენი ტრუბეცკოიმ** (1863–1920) დაბეჭდა სტატია **„ომი და ბიუროკრატია“**. სტატიაში ვკითხულობთ: „ბიუროკრატია უნდა დაექვემდებაროს საზოგადოებრივ კონტროლს, სახელმწიფო მართოს საზოგადოებასთან ერთად და არა – მის წინააღმდეგ.“ „ბესედამ“ დიდი როლი შეასრულა მოსკოვში მოქმედ სალონებში ლიბერალური იდეების გავრცელებაში. საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ თვითმპყრობელობის შეზღუდვა აუცილებელი იყო.

„ბესედას“ წევრთა, ისევე, როგორც თვითმპყრობელობის მონინააღმდეგეთა შორის, მომწიფდა არალეგალური ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელსაც თანამოაზრეები უნდა გაეერთიანებინა. 1902 წლის ივნისიდან **შტუტგარდში**, ხოლო 1904 წლიდან **პარიზში** გამოდიოდა ორკვირეული ჟურნალი „ოსვობოჟდენიე“, რომლის რედაქტორი **პიოტრ სტრუვე** (1870-1944) იყო. სულ ჟურნალის 79 ნომერი გამოიცა. 1903 წელს ჟურნალის ინიციატივით თანამოაზრეები შეიკრიბნენ და დააარსეს ორგანიზაცია **„განთავისუფლების კავშირი“**. ორგანიზაციას „კავშირი“ შეგნებულად უწოდეს, რითაც ხაზი გაუსვეს, რომ ეს არ იყო პოლიტიკური პარტია. „კავშირის“ დამფუძნებელთა აზრით, ორგანიზაციაში სოციალიზმის იდეების მიმდევართა გაერთიანება დაუშვებლად მიიჩნეოდა. „განთავისუფლების კავშირი“ ფართო საზოგადებრივი ორგანიზაცია იყო და მის მიზანს თვითმპყრობელობის შეზღუდვა და პოლიტიკური სისტემის რეფორმა წარმოადგენდა. კავშირის ლოზუნგი იყო **„ძირს თვითმპყრობელობა!“** მისი ერთ-ერთი წევრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციის მიზანი გახლდათ რუსეთში „უახ-

ლესი რეცეპტების მიხედვით ახალი წყობილების დამყარება". დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ჟურნალი „ოსეობოუდენიე" და რედაქციის მიერ მომზადებული „ფურცელი", რომლის 26 ნომერი დაიბეჭდა. 1904 წლის სექტემბერში პარიზში ჩატარდა რუსეთის ოპოზიციური და რევოლუციური პარტიების თათბირი. ორგანიზატორებმა მონვეევა 18 პარტიასა და ორგანიზაციას დაუგზავნეს, თუმცა თათბირზე მხოლოდ 8 გამოცხადდა, კერძოდ, თათბირს დაესწრნენ: „განთავისუფლების კავშირის", „რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის", ასევე პოლონელი, ლატვიელი სოციალისტები, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, პოლონელი და ფინელი ნაციონალისტები. მემარცხენე პარტიებისაგან თათბირს დაესწრნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლები. თათბირმა მიიღო რეზოლუცია „თვითმპყრობელობის მოსპობის შესახებ".რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ თვითმპყრობელობა „თავისუფალ, დემოკრატიულ წყობილებას უნდა შეეცვალა". თათბირმა ასევე დაადასტურა, რომ ყველა ერს ჰქონდა თვითგამორკვევის უფლება. შეკრებას ესწრებოდა ესერთა პარტიის წევრი, პროვოკატორი ევნო აზეფი (1869–1918), რომელმაც თათბირის შესახებ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს აცნობა.

თანდათან შესამჩნევი ხდებოდა ერობების რადიკალიზაცია. ერობებში ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე თავადაზნაურობის წარმომადგენლები იყვნენ არჩეულნი. რუსეთის 33 გუბერნიისა და მათში შემავალი მაზრების 1.100 ხმოსნიდან ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იყო 241(22%). აღსანიშნავია, რომ ამ ხმოსნების უმრავლესობა მსხვილი მემამულე იყო. 241 ხმოსანზე კიდევ უფრო რადიკალური განწყობის იყო ერობების ე. წ. „მესამე ელემენტი": სტატისტიკოსები, აგრონომები, სხვადასხვა რანგის მოხელეები. მათი რიცხვი ძალიან დიდი იყო – 1912 წლის მონაცემებით 85.000 კაცს უდრიდა. ერობების რადიკალიზაცია საკმაოდ ცხადი გახდა 1904 წლის 6–9 ნოემბერს გამართულ რუსეთის იმპერიის ერობათა ყრილობაზე. ყრილობის შემდეგ რუსეთის 23 გუბერნიის თავადაზნაურობის ნინამძღოლებმა პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკის მოხსენება გადასცეს, რომელიც სასურველად მიიჩნევდა ხალხის წარმომადგენლების ყრილობის მოწვევას. თავადაზნაურობის რჩეულები „სახელმწიფოს თვითნებობის აღკვეთას" მოითხოვდნენ.

საზოგადოების რადიკალიზაცია ხელისუფლების არც ერთ რგოლში აღარ ინვევდა ეჭვს. გუბერნატორები, გუბერნიების ვანდარმერიის სამმართველოსა და ოხრანკის უფროსები ხელისუფლებისაგან მითითებებს ელოდნენ, თუმცა ამაოდ. უმოქმედობას იჩენდა შინაგან საქმეთა მინისტრი პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკიც. მინისტრის პოლიტიკის გამო იმპერატორს პრეტესტით მიმართა დიდმა მთავარმა სერგეი რომანოვმა. მოსკოვის ობერპოლიცმაისტერმა დიმიტრი ტრეპოვმა ნიკოლაი II-ს მოახსენა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, თანამდებობიდან გადადგებოდა, ხოლო ანდრეი შირინსკი-შიხმატოვი (1868–1927)•ტვერის გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგა. უთანხმოება იყო საიმპერატორო კარზეც. იმპერატორის დედა, დედოფალი მარია (მარია სოფია ფრედერიკა დაგმარი) იძულებული გახდა, შვილისათვის ეთქვა: თუ პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკის გადააყენებ, სამუდამოდ დატოვებ პეტერბურგს და კოპენჰაგენში გავემგზავრებიო. ნიკოლაი II-მ მინისტრება და დიდი მთავრები მიიწვია და რეფორმების გაგრძელების თაობაზე თავისი გადაწყვეტილება გააცნო. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ოპოზიციის არაკანონიერი მოქმედება უნდა აღკვეთილიყო. 1904 წლის 12 დეკემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც მოსახლეობას ალუთქვა რეფორმების გაგრძელება. იმავდროულად გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება „რუსი ხალხისათვის უცხო" აზრების მატარებელთა დასჯისა და უკანონო შეკრებების აკრძალვის შესახებ. 1904 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებით რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტს (მთავრობას) დაევალა იმ ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფდა კანონის უზენაესობას, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას, თვითმმართველობის უფლებების გაფართოებას, არარუსი ხალხების შევიწროების აკრძალვასა და აგრარული კანონმდებლობის შემუშავებას. ამ პრობლემათა გადაჭრის მიზნით კანონპროექტების შექმნა დაევალა რამდენიმე საგანგებო თათბირს.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ ყველა ეს ღონისძიება დაგვიანებული იყო: რუსეთში რევოლუცია დაიწყო.

§2. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა

1. ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან, ოსმალეთსა და ირანთან. XIX საუკუნის დასასრულისათვის ურთიერთობები ევროპის სახელმწიფოებს შორის თითქოს სტაბილიზაციის ფაზაში შევიდა. 1900 წელს 22 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიას არც ევროპასა და არც აზიაში ომი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, რომ სახელმწიფოთა შორის კონ-

ფლიქტები მწიფდებოდა და, თუ ომის თავიდან აცილება სურდათ, დიპლომატებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები მშვიდობიანი გზით უნდა მოეგვარებინათ.

ბერლინის ტრაქტატის (1878 წ.) დადების შემდეგ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის საკითხი კვლავ კონფლიქტების მიზეზად რჩებოდა. სწორედ ამ სრუტეებით მიდიოდა ევროპაში საექსპორტოდ რუსეთის ხორბალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რაც იმპერიას სოლიდურ სავალუტო შემოსავალს აძლევდა. რუსეთს, დიდი სურვილის მიუხედავად, არ შეეძლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე თავისი კონტროლის დანერგება, რადგან ამას ევროპის არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებდა. ამასთან ერთად, რუსეთი გულგრილად უცქერდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის პოზიციების გაძლეიერებას ოსმალეთში. იმპერიისათვის მიუღებელი იყო ისიც, რომ გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ბულგარეთი, პრაქტიკულად, სატელიტად აქციეს. შექმნილ ვითარებაში რუსეთის იმპერატორი ნიკოლაი II ბერლინის ტრაქტატის პირობების შენარჩუნებაზეც თანახმა იყო. 1897 წლის მაისში რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებს შორის დაიდო შეთანხმება, ორივე სახელმწიფო დაყაბულდა, რომ ბალკანეთში „სტატუს-ქვოს" დაიცავდნენ. გერმანია ამ შეთანხმებას არ შეუერთდა, რადგან მას უკვე ოსმალეთსა და ახლო აღმოსავლეთში შეჭრაზე ჰქონდა კურსი აღებული. 1899 წელს გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II ვიზიტად იმყოფებოდა ოსმალეთში. ამ ვიზიტის შემდეგ გერმანიის სახელმწიფო ბანკმა ოსმალეთთან დადო ხელშეკრულება, რომელიც ბაღდადის რკინიგზის მშენებლობას ითვალისწინებდა. თუ ბაღდადის რკინიგზა აშენდებოდა, გერმანიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთში წინ აღარაფერი დაუდგებოდა.

რუსეთი ცდილობდა მოლაპარაკებოდა გერმანიას. იგი თანახმა იყო ეცნო გერმანიის ინტერესები მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, თუ გერმანია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე რუსეთისათვის სასურველ რეჟიმს დაუჭერდა მხარს. გერმანიის კანცლერმა **ბერნგარდ ფონ ბიულოვმა** (1849–1929) ისეთი პირობები წამოაყენა, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადება შეუძლებელი გახდა. მოლაპარაკების წარუმატებლობის შემდეგ, 1900 წელს, რუსეთმა ოსმალეთთან დადო ხელშეკრულება. მისი ძალით, თუ ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ოსმალეთი რკინიგზის მშენებლობას დაიწყებდა, მხოლოდ ოსმალეთისა და რუსეთის კაპიტალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა თავისი სამხრეთი საზღვრების ახლოს გერმანიის პოზიციების განმტკიცება გამორიცხა. ამის მიუხედავად, გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ოსმალეთზე სულ უფრო ძლიერდებოდა.

1890 წელს რუსეთსა და ირანს შორის დაადებული ხელშეკრულების ძალით, შაჰმა პირობა დადო, რომ ირანში რკინიგზის მშენებლობის კონცესია უცხო სახელმწიფოსათვის არ მიეცა. ეს გერმანიის ინტერესებზე ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა, რადგან გერმანია ბაღდადიდან ჩრდილოეთ ირანისაკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის მშენებლობას აპირებდა. უკმაყოფილო დარჩა დიდი ბრიტანეთიც, რომელიც ირანის შაჰისაგან სპარსეთის ყურიდან თეირანამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის კონცესიის მიღებას ესწრაფოდა. მალე რუსეთმა ირანში მაგისტრალური გზების მშენებლობის კონცესია მიიღო და იმავდროულად ირანთან ვაჭრობა გააფართოვა. 1901 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებით რუსეთის ირანთან ვაჭრობაში განსაკუთრებული შეღავათებით შეეძლო ესარგებლა. რუსეთმა ირანს გრძელვადიანი კრედიტი მისცა, რის სანაცვლოდაც შაჰმა 1890 წლის რუსეთ-ირანის შეთანხმება კიდევ ათი წლით გააგრძელა. უცხო სახელმწიფოთა შორის რუსეთს ირანში ყველაზე დიდი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული. დიდმა ბრიტანეთმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა რუსეთი ირანის გავლენის სფეროებად დაყოფაზე დათანხმებინა.

2. ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია (1899 წ.). რუსეთის იმპერატორი ნიკოლაი II საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. კონფერენციას სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტების გადაჭრის მშვიდობიან გზებზე უნდა ემსჯელა. საერთაშორისო კონფერენცია 1899 წელს გაიხსნა ქალაქ ჰააგაში. კონფერენციას 27 სახელმწიფოს წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის: **დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების,** იაპონიისა და სხვათა წარმომადგენლები. კონფერენციამ კონფლიქტების მოგვარების გზებად დასახა: კეთილი ნება, შუამავლობა, საერთაშორისო სასამართლო, საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია. გერმანიის ინიციატივით ჩაიშალა საერთაშორისო კონფლიქტების დროს არბიტრაჟის აუცილებლად შექმნის კონვენციის მიღება.

3. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში. XIX საუკუნის მინურულიდან ახალ ფაზაში შევიდა დიდი სახელმწიფოების ბრძოლა ჩინეთის ტერიტორიის გადანაწილებისათვის. ჩინეთში განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები ჰქონ-

და დიდ ბრიტანეთს, რომელიც, ფაქტობრივად, ფლობდა ამ ქვეყნის ბაზარს. ინდოჩინეთის ხელში ჩაგდების შემდეგ საფრანგეთი ცდილობდა ჩინეთში ახალი ტერიტორიების დაუფლებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ღია კარის" პრინციპი ნამოაყენა, მას ამ გზით ენად ამერიკული კაპიტალის ჩინეთში შეტანა. ყველაზე აგრესიულად მოქმედებდა იაპონია. პირველ რიგში, იგი კორეისა და მანჯურიის ხელში ჩაგდებას ცდილობდა და აცხადებდა, რომ ჩინეთს კორეაზე არავითარი უფლება არ შეიძლებოდა ჰქონოდა. შექმნილ რთულ ვითარებაში იაპონიამ რუსეთის იმპერიასთან შეთანხმება არჩია, რათა ამ ორ სახელმწიფოს ჩინეთი თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გადაეწანილებინა.

მორეულ აღმოსავლეთში აქტიური პოლიტიკის საწარმოებლად რუსეთი XIX საუკუნის არც 80-იან და არც 90-იან წლებში მზად არ იყო. 1894 წლიდან იგი ჩინეთსა და იაპონიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. ნარმატებით ვითარდებოდა ეაჭრობა ამ ორ სახელმწიფოსთან. ვაჭრობის განვითარებით იაპონია და ჩინეთი თანაბრად იყვნენ დაინტერესებული. შორეულ აღმოსავლეთში თავის მთავარ მონინააღმდეგედ რუსეთი დიდ ბრიტანეთს მიიჩნევდა და სათანადო ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ არანაკლები აგრესიული გეგმით გამოდიოდა იაპონია. XIX საუკუნის 80-იანი წლების დაასანყისში რუსეთის მთავრობა ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალის დაპროექტებას შეუდგა, თუმცა მშენებლობის დაწყება მხოლოდ 1890 წელს გახდა შესაძლებელი. 1892 წელს ფინანსთა მინისტრმა სერგეი ვიტტემ იმპერატორ ალექსანდრ III-ს (1881-1894) მოახსენა, რომ ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი მხოლოდ სტრატეგიული მიზნებით კი არ უნდა გამოყენებინათ, არამედ – ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ვიტტე მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ეკონომიკური ექსპანსია ჩინეთსა და კორეაში, მომგებიანი კონცესიების მიღება და დასავლეთ ევროპასთან სატრანზიტო ვაჭრობის ფართოდ განვითარება. ყოველივე ამის საშუალებას ტრანსციმბირის მაგისტრალი იძლეოდა. ვიტტე ნყნარი ოკეანის სანაპიროზე საზღვაო ციხე-სიმაგრეების აშენებისა და ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის მომხრეც იყო, თუმცა ამ თვალსაზისით 1910 წლამდე სერიოზული სამუშაოები არ ჩატარებულა. მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში ომის შემთხვევაში თავის პოზიციებს ვერ დაიცავდა. 1894 წელს იაპონიამ ჯარები შეიყვანა კორეაში და ომი დაინყო ჩინეთის წინააღმდეგ. 1895 წელს დამარცხებული ჩინეთისაგან იაპონიამ



სერგეი ვიტტე

უზარმაზარი კონტრიბუცია მიიღო, ჩინეთმა უარი თქვა კორეის პროტექტორატზე. რუსეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა იაპონიას ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს უარი ეთქვა ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე. იაპონია იძულებული გახდა, ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, სამაგიეროდ, ჩინეთისაგან დამატებითი კონტრიბუცია მიიღო. სერგეი ვიტტე აგრძელებდა ბრძოლას ჩინეთში ეკონომიკური შეღწევისათვის. 1895 წელს რუსეთმა ჩინეთს დიდი სესხი (150.000.000 მანეთი) მისცა, რათა ამ უკანასკნელს იაპონიის კონტრიბუცია გადაეხადა. 1895 წელს შეიქმნა რუსეთ-ჩინეთის ბანკი. 1896 წელს მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის დელეგაცია. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ დაიდო რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება თავდაცვითი კავშირის შესახებ, რომელიც იაპონიის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთი და ჩინეთი შეთანხმდნენ იმაზე, რომ მანჯურიაში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი) რუსეთი ააშენებდა რკინიგზას, რომელიც ქალაქ ჩიტას უმოკლესი გზით დააკავშირებდა ქალაქ ვლადივოსტოკთან. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის კონცესია რუსეთ-ჩინეთის ბანკმა მიიღო. მშენებლობის მიზნით რუსეთმა შექმნა **აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საზოგადოება**. საზოგადოებამ, გარდა რკინიგზის მშენებლობის უფლებისა, მანჯურიაში, რკინიგზის

ხაზის ორივე მხარეს, ვრცელ ტერიტორიაზე ნიაღისეული სიმდიდრის ძიების, ქვანახშირის მოპოვებისა და სხვა უფლებებიც მიიღო. კონცესიას 80 წლის ვადით უნდა ემოქმედა. 1897 წელს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მშენებლობა დაიწყო, თუმცა რკინიგზის ხაზი მხოლოდ 1901 წელს ამოქმედდა.

მალე სერგეი ვიტტეს ბრალი დასდეს, რომ იაპონიის მიმართ ზედმეტად დამთმობ პოლიტიკას მისდევდა. ვიტტეს მოწინააღმდეგეები შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. 1897 წელს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ესკადრა წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე პორტ-არტურში შევიდა. ჩინეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, რუსეთმა ლიაოდუნის ნახევარკუნძული იჯარით აიღო 25 წლის ვადით. გადაწყდა, ჩიტა-ვლადივოსტოკის რკინიგზასთან პორტ-არტური ახალი სარკინიგზო ხაზით დაეკავშირებინათ.

რუსეთის გააქტიურება შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის გაღიზიანებას იწვევდა. 1902 წელს დადებული დიდი ბრიტანეთ-იაპონიის ხელშეკრულების ძალით, დიდი ბრიტანეთი ვალდებულებას იღებდა, იაპონიის მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტი დაეცვა. ცხადია, რომ ეს ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში აქტიური პოლიტიკის გატარებას აგრძელებდა. 1903 წლის იელისში შეიქმნა **შორეული აღმოსავლეთის სამეფისნაცვლო** ცენტრით პორტ-არტურში. მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალი **ევგენი ალექსეევი** (1843-1917). 1903-1904 წლებში რუსეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და 1904 წლის იანვარში ომიც დაიწყო. რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905) რუსეთისათვის წარუმატებლად წარიმართა და მარცხით დასრულდა. ომმა იმპერიის შიგნით კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა.

§3. პოლიტიკური და სოციალური ვითარება საქართველოში

1. მუშათა მოძრაობა (1899-1904 წწ.). ქართული სოციალ-დემოკრატია იდეური და ორგანიზაციული გაერთიანებიდან კარგა ხნის შემდეგ დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას. ამაში არაბუნებრივი არაფერი ყოფილა. სოციალ-დემოკრატია აღმოცენებისთანავე მუშათა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირს ვერ დაამყარებდა თუნდაც კონსპირაციული მოსაზრებების გამო. კავშირი ნელ-ნელა, მრავალი სირთულის გადალახვის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო.

1894 წლის 19 თებერვალს თბილისში, ცხენის რკინიგზაზე (კონკა) მუშებმა პაველ ბადალოვმა და გიორგი ჩუბინოვმა (ჩუბინაშვილი ან ჩუბინიძე – ვ. გ.), ასევე ყოფილმა კონდუქტორმა სიმონ სიმონიანცმა მოაწყვეს გაფიცვა. მართალია, თბილისის პოლიციმაისტერმა გამოძიებით დაადგინა, რომ ცხენის რკინიგზის კონდუქტორებს ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაცია, ე. წ. „ანონიმური საზოგადოება“, მაგრამ, როგორც ძიების მასალებიდან ჩანს, გაფიცვა წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, მისი ორგანიზატორები მუშები იყვნენ, რომელთაც კავშირი სოციალ-დემოკრატებთან არ ჰქონდათ.

1894 წლის თებერვალში თბილისის ცხენის რკინიგზაზე მომხდარი გაფიცვის შემდეგ ჟანდარმერია მკაცრად ადევნებდა თვალყურს ქალაქში გადმოსახლებულ პოლიტიკურებს: **ვიქტორ კურნატოვსკის, პეტერ-მარიან რიხლოვსკის, ალექსანდრ ლანგე-პოზდეევს, გეორგი ტუმანს, ალექსანდრ ნიკიტინს, ოსიპ კოგანს, ივან ლუზინს** და სხვ. ჟანდარმერიამ სოციალ-დემოკრატების რაიმე ფორმით მონაწილეობა ვერ დაადასტურა თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა გაფიცვებში: ბოზარჯიანცის (1894 წ. 18 ივლისი), ენფინჯიანცის (1897 წ. 28 ივნისი), საფაროვისა და „მირის“ (1897 წ. სექტემბერი) და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა (1898 წ. 14-21 დეკემბერი). ჟანდარმერიამ დაწვრილებით გამოიძია 1899 წლის 21 მარტს თბილისში ცხენის რკინიგზაზე მომხდარი გაფიცვა, მაგრამ სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის კვალს ვერც ამჯერად მიაგნო. გაფიცვა წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა და თვით მუშების მიერ იყო ორგანიზებული.

ცხადია, ამ პერიოდში (1894-1899 წწ.) სოციალ-დემოკრატები თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში არსებულ სოციალ-დემოკრატულ წრეებში, მიმდინარეობდა მუშათა მოწინავე ნაწილის პოლიტიკური შეგნების ამაღლება, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ ვერ გეველინებიან გაფიცვების ორგანიზატორებად. ეს გამოსულები წმინდა მუშურ ხასიათს ატარებდა.

მუშათა მოძრაობასთან სოციალ-დემოკრატების კავშირი, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი როლი უეჭველად დასტურდება 1899 წლის მაისობის დროს. ამ პოლიტიკურ აქციაში, რომელიც 1899 წლის 19 აპრილს გაიმართა თბილისიდან ცოტა მოშორებით, 70 მუშა მონაწ-

ილეობდა. 1900 წლის 23 აპრილს მლაშე ტბების რაიონში (დღევანდელი თბილისის ზღვის ადგილას) მაისობაზე 400 კაცამდე შეიკრიბა. შეკრებილებს თან ჰქონდათ ნითელი დროშა, ასევე კარლ მარქსის, ფერდინანდ ლასალის და ფრიდრიხ ენგელსის პორტრეტები. ტრანსფარანტებზე ქართულად, რუსულად და სომხურად ეწერა: „გაუმარჯოს 8-საათიან სამუშაო დღეს!" მიტინგზე მთავარი აგიტატორის (მომხსენებლის) როლში გამოვიდა **გიორგი ყარაჯული (ყარაჯიანი)**. მიტინგს ესწრებოდნენ: ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებიდან – **სევერიან ჯუღელი**, მუშებიდან – **ზაქარია ჩოდრიშვილი, გიორგი ნინუა** და **გიორგი თხელიძე**. 1901 წლის 22 აპრილს დაახლოებით 2.000 მუშა უკვე არა ქალაქგარეთ, არამედ თბილისში აწყობს პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციას – მაისობას. **ეს იყო სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მოწყობილი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ღონისძიება**. 22 აპრილის დემონსტრაციის საქმე ჟანდარმერიამ დიდი გულმოდგინებით გამოიძია. ძიების მასალებიდან აშკარა ხდება, რომ დემონსტრაციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მას სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ.

ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც მუშათა გაფიცვების ორგანიზებას ცდილობდა, იყო **ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი**. 1900 წლის 1 იანვარს დაიწყო თბილისის ცხენის რკინიგზის (კონკის) მუშების გაფიცვა. რომლის ორგანიზატორი იყო ვლადიმერ კეცხოველი. ამ გაფიცვის შემდეგ იგი იძულებული გახდა, არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების პარალელურად იზრდება სოციალ-დემოკრატების გავლენა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მუშათა კლასში. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ, სათავეში ჩასდგომოდნენ მუშათა მოძრაობას, მიეცათ მისთვის ორგანიზებული ხასიათი. 1900 წლის იელის-აგვისტოში თბილისს გადაუარა გაფიცვების ტალღამ. 20 იელისს გაფიცვა დაიწყო ენგინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, 26 იელისს გაიფიცნენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები, 2 აგვისტოს – კარაპეტოვის მექანიკური ქარხნისა, 9 აგვისტოს კი – საფაროვის ფეხსაცმლის ფაბრიკისა. 4 აგვისტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უკვე ხელთ ჰქონდა სია იმ პირებისა, რომელთაც ბრალი ედებოდათ იარალოვის ქარხანაში აგიტაციასა და გაფიცვის ორგანიზებაში. 10 აგვისტოს კი უკვე დადგენილი იყო ბოზარჯიანცის თამბაქოსა და საფაროვის ფეხსაცმლის ფაბრიკებში გაფიცვის ორგანიზატორთა ვინაობა.



ვლადიმერ კეცხოველი

ბოზარჯიანცის ფაბრიკაში გაფიცვის ორგანიზება ბრალად ედებოდა: ვანო მანჯავიძეს, დაეით არხიმანდრიტოვს, ბაგრატ ვართანოვს, ეგორ გიორგაშვილს, დათა აღდგომელაშვილს, მიხაილ პოპოვს, ბაგრატ მამასახლისოვს, ვანო მამულაშვილს, არტემ ლითანოვს; საფაროვის ფაბრიკაში – მნაცაკან ახნაზაროვს, შაქრო ნასყიდაშვილს, დათიკო ქუთათელაძეს, გიგო აკოპოვს. გაფიცვის ორგანიზატორთაგან ვანო მანჯავიძე და ვანო მამულაშვილი სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

1900 წლის იელისში ჟანდარმერიას შეუტყვია, რომ გამოსვლა მზადდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. 20 იელისს ჟანდარმერიას დადგენილი ჰქონდა გამოსვლის მზადებაში შემჩნეული შვიდი პიროვნება: **სერგო ალილუევი, ლავრენტი სამქუაშვილი, ვასილ ბაჟანოვი, ნიკოლაი ვიბორგინი, ტატარინოვი, მაჩაბელი** და **სამუელ რაბინოვიჩი**. სერგო ალილუევი იმხანად უკვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვა ორგანიზებულად დაიწყო. 1900 წლის 3 აგვისტოს 2265 მუშიდან სამუშაოდ გამოცხადდა 257. გაფიცვა გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც. 6 აგვისტოს დაიწყო გაფიცული მუშების დაპატიმ-

რება, სულ დააპატიმრეს 400 კაცამდე, გაფიცვის ყველაზე აქტიური მონაწილენი. მათ შორის აღმოჩნდნენ სოციალ-დემოკრატი მუშები: რაჟდენ სტურუა, სოლომონ ესაკია, სერგო ალილუევი, ნიკოლაი ერიკოვი, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, მიხეილ გურეშიძე, მარკოზ თხელიძე, მიხეილ ეშაყაიძე და სხვ. 9 აგვისტოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან ჟანდარმერიას აცნობეს, რომ მემანქანეთა თანაშემწეების გაფიცვის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს **ავგუსტ მალინოვსკიმ** და **კალისტრატე გოგუამ**. კალისტრატე გოგუა ქართველი სოციალ-დემოკრატების პირველი თაობის წარმომადგენელი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1901 წლის 22 აპრილს თბილისის ქუჩებში გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. მონაწილენი მალევე დააპატიმრეს. ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ მუშათა გამოსვლის ორგანიზატორები იყვნენ: **არტემ ფირცხალავა, ლევან გოგიბერიძე, ილარიონ კოპალეიშვილი, ფიოდორ შმიკოვი, სარდიონ შენგელია, დავით ხართიშვილი, რომან ალშევსკი და გიორგი ჩხეიძე. ილარიონ კოპალეიშვილი, სარდიონ შენგელია, დავით ხართიშვილი, გიორგი ჩხეიძე** ასევე იყვნენ ქართველ სოციალ-დემოკრატ მუშათა პირველი თაობის წარმომადგენლები. 1901 წლის 22 აგვისტოს თბილისის ქუჩებში კვლავ გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. დააპატიმრეს 36 ადამიანი, მათ შორის სოციალ-დემოკრატები: **სარა ფილკენშტაინი, ნინა ნოსარი, ალექსანდრ შაკოლი, არაქელა ოქუაშვილი**. 1901 წლის 6 აგვისტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს დადგენილი ჰქონდა, რომ რკინიგზის მუშებში აგიტაციას ენეოდნენ სოციალ-დემოკრატები კალისტრატე გოგუა და ლუკა ტერპილო. ჟანდარმერიამ ასევე იცოდა, რომ პროკლამაციების ავტორი იყო სოციალ-დემოკრატი მიხეილ ბოჭორიძე, მასვე ევალებოდა მათი გავრცელება. პროკლამაციების შედგენა და დაბეჭდვა კალისტრატე გოგუასა და დავით ხართიშვილსაც ედებოდათ ბრალად.

დიდი ხნის ძიების შემდეგ, 1901 წლის 3 ოქტომბრისათვის, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს დადგენილი ჰქონდა, რომ 1900-1901 წლებში თბილისის სტამბის მუშების გამოსვლების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები: ნესტორ ცერცვაძე, ელასა მგელაძე, ერასტი ჩანტლაძე, ვლადიმირ როძევიჩ-ბელევიჩი, ნიკოლაი ფლეგენტოვი, რომან ალშევსკი და სხვ.

სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობამ მალე გამოიღო შედეგი. მუშები უკვე აშკარად თანაუგრძნობდნენ თავიანთ ორგანიზატორებს, არ ერიდებოდნენ პოლიციასა და ჯართან შეტაკებასაც კი. 1903 წლის 7 ივნისს გადასახლებაში გაგზავნეს ცნობილი სოციალ-დემოკრატები: **სილიბისტრო ჯიბლაძე და ვასილ (ვასო) ცაბაძე**. ამ დღეს თბილისის რკინიგზის სადგურზე მსჯავრდებულთათვის თანაგრძნობის გამოცხადების მიზნით შეიკრიბნენ თბილისელი მუშები. მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის სადგურზე მისული მუშები დააპატიმრეს, სულ მალე, 1 ივლისს, თბილისის სადგურზე ამჯერად უკვე ციმბირის გადასახლებაში მიმავალი **ვლასა მგელაძის, ერასტი ჩანტლაძის, გიორგი ვარდოიანცისა და გიორგი ყარაჯევისათვის** თანაგრძნობის გამოხატვის მიზნით მოეწყო მუშათა დემონსტრაცია, რომელშიც 1500-2000 კაცი მონაწილეობდა. მუშების ნაწილი შეიარაღებული იყო. სადგურის ბაქანი ჟანდარმებმა და გოროდოვოებმა ძალის გამოყენებით გაწმინდეს. მუშებმა აღმართეს ორი ნოთელი დროშა, დაახლოებით ორმოცდაათჯერ გაისროლეს პაერში და ქვები დაუშინეს პატიმართა ბადრაგს.

1903 წლის 14 ივლისს თბილისში დაიწყო მუშათა გაფიცება. მუშაობა შეწყვიტეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, ასევე თოქმის ყველა დიდი ფაბრიკისა და ქარხნის მუშებმა. ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ ეს გამოსვლა სოციალ-დემოკრატების ორგანიზებული იყო, კერძოდ, იგი რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. კონკრეტული პირებიდან ბრალი ედებოდათ ივან ნოსოვს, სოლომონ ეადაჭკორიასა და პროკოფი ჭელიძეს. ჟანდარმერიას ჰქონდა ცნობები, რომ ყოფილი მუშები, საგარეჯოსა და ხაშმის მცხოვრებლები, სოფლებში დადიოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ გლეხებში, რათა ისინი თბილისში წასულიყვნენ და 1901 წლის 14-15 ივლისს შეერთებოდნენ გაფიცულებს. აგიტაციისათვის დაპატიმრებულთა შორის იყო სოციალ-დემოკრატი მუშა სარდიონ ჭელიძე.

თბილისის გარდა, სოციალ-დემოკრატები მუშათა მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ბათუმშიც. მუშათა პირველი მღელვარება ბათუმში, რომელმაც ჟანდარმერიის ყურადღება მიიპყრო, 1898 წლის აგვისტოში აღინიშნა. კასპია-შაჟი ზღვის ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისა და სავაჭრო კომპანიის (იგივე როტშილდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის) მუშებმა ხელფასთან დაკავშირებით მოთხოვნები წაუყენეს ქარხნის ადმინისტრაციას. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ როტშილდის ქარხანაში მომხდარი ინციდენტი დაწვრილებით გამოიძია. ძიების მასალებიდან დგინდება: 1. მუშათა გამოსვლა წმინდა ეკონომიკურ ნიადაგზე დაიწყო; 2. პოლიტიკური ძალა, მათ შორის სოციალ-დემოკრატე-

ბი, გაფიცვასთან კავშირში არ ყოფილან. 1899 წლის აგვისტოში ქარხნის მუშებმა ისევ წაუყენეს მოთხოვნები ადმინისტრაციას. ამჯერად მუშებმა თხოვნა კავკასიის მთავარმართებელ გრიგორი გოლიცინსაც გადასცეს. გაფიცულების მოთხოვნების შემუშავების მთავარ იყო მუშა ნესტორ ქავთარაძე. ცანდარმერიამ დაადგინა იმ მუშების ვინაობა, რომლებიც მოთხოვნების შემუშავებისას აქტიურობდნენ. ესენი იყვნენ: **პავლე კილასონია, ნესტორ ანთელავა, კონსტანტინე (კოსტა) ოსეფაშვილი, ონისიმე გაბედავა, ტაგუ კილასონია და მიხეილ (მიხო) ჩილაჩავა.** ძიების მასალებიდან ჩანს, რომ გაფიცვა ამჯერადაც ნმინდა ეკონომიკურ ნიადაგზე დაიწყო და სოციალ-დემოკრატები რაიმე როლს არც ამ შემთხვევაში ასრულებდნენ.

1902 წელს ბათუმის მუშათა მოძრაობის დიდი აღმავლობა დაკავშირებულია იოსებ ჯუღაშვილის სახელთან. 1901 წლის დამლევიდან იოსებ ჯუღაშვილი ბათუმშია და კავშირს ამყარებს მონინავე მუშებთან: მ. გაბუნიასთან, ი. დარახველიძესთან, ს. თოდრიასთან, კ. კალანტაროვთან, პ. ლომჯარიასთან, ს. ლომჯარიასთან, პ. ქურიძესა და სხვებთან. სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ბათუმში ფართო მასშტაბებს იძენს. სულ მალე სოციალ-დემოკრატები მუშათა მოძრაობის სათავეში ექცევიან. იოსებ ჯუღაშვილთან ერთად ბათუმში მუშათა გამოსვლების ორგანიზებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ნიკოლოზ (ქარლო) ჩხეიძესა და ისიდორე რამიშვილს.

1901 წლის 26 თებერვალს როტშილდის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ორი კვირის შემდეგ, ე. ი. 12 მარტს, დაითხოვდა 389 მუშას. ამის საპასუხოდ 27 თებერვალს ქარხანაში დაიწყო გაფიცვა. 28 თებერვალს, 1 და 2 მარტს ქარხნის ადმინისტრაციამ სცადა მუშებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. 3 მარტს გაფიცული მუშების ნაწილი შეხვდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილეობის ალმსრულებელს, პოლკოვნიკ ალექსეი სმაგინს, მაგრამ 4 მარტს მუშაობა მაინც არ განახლებულა. ამის საპასუხოდ პოლკოვნიკმა სმაგინმა გაფიცული მუშების მოთავეები დააპატიმრებინა. 8 მარტს ღამით აიყვანეს 30 მუშა, რომლებიც პოლიციის სამმართველოს ყაზარმაში მოათავსეს. 8 მარტს შუადღით ბათუმის პოლიციის სამმართველოსთან თავი მოიყარა დაახლოებით 300 მუშამ და მოითხოვა დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება. უარის შემდეგ 9 მარტს მათ ძალის გამოყენებით სცადეს დაპატიმრებულთა (400 კაცამდე) გათავისუფლება. ჯარსა და პოლიციასთან შეჯახების დროს დაილუპა 13 მუშა, დაიჭრა 19, მათ შორის 3 – სასიკვდილოდ, დაიჭრა 1 დაბალჩინოსანი სამხედრო და 1 პოლიციელი. ხელისუფლებამ ბათუმში სასწრაფოდ გაგზავნა კაზაკთა 2 ასეული და ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი.

ბათუმის მუშათა გამოსვლას 1902 წლის მარტში სოციალ-დემოკრატები ედგნენ სათავეში. ხელმძღვანელ როლს ასრულებდა იოსებ ჯუღაშვილი. როგორც დგინდება, მისი ლიდერობა მარტო მუშათა მოთხოვნების შედგენით არ ამოიწურებოდა. იოსებ ჯუღაშვილი პრაქტიკულადაც ხელმძღვანელობდა მუშათა გამოსვლებს 1902 წლის 8 და 9 მარტს. გამოძიებამ დაადგინა, რომ 9 მარტს დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლების მიზნით ბათუმის პოლიციის სამმართველოსთან მისულ მუშებს იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა და მუშებს პოლიციის სამმართველოს ყაზარმაზე თაედასხმისაკენ მოუწოდებდა.

რეპრესიებმა ვერ შეაფერხა საგაფიცვო მოძრაობა. 1902 წლის 11 მარტს როტშილდის ქარხანაში გაფიცული იყო 900 მუშა, სიდერიდის ქარხანაში – 200. 12 მარტს დაკრძალეს 9 მარტს დაღუპული მუშები. სოციალ-დემოკრატების თაოსნობით ამ დღეს ბათუმში მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც 5.000 კაცი მონაწილეობდა.

1902 წლის მარტის გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაცია ბათუმში მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მუშათა მასებში სოციალ-დემოკრატთა გავლენა სულ უფრო მატულობდა. მარტის ამბების შემდეგ ხელისუფლებამ ბევრი აქტიური მუშა დააპატიმრა, ძლიერი დარტყმა განიცადა რსდმპ ბათუმის ორგანიზაციამ. მიუხედავად ამისა, მუშათა გამოსვლები დიდხანს არ შეწყვეტილა. 1902 წლის 15-17 ოქტომბერს კასპია-შავი ზღვის ამხანაგობის ქარხნის მუშებმა მოთხოვნები წაუყენეს ადმინისტრაციას. 28 ოქტომბერს მუშებმა უარი მიიღეს. 29 ოქტომბერს ქარხანაში გაფიცვა დაიწყო. ადმინისტრაციამ სცადა დაეყოლიებინა მუშები, მაგრამ ამაოდ – 30 ოქტომბერს გაფიცულთა რიცხვი გაიზარდა. გაფიცვასთან დაკავშირებით 31 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და საოლქო სასამართლოს პროკურორი. 1902 წლის 10 და 11 დეკემბერს როტშილდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშებმა მანთაშევის, ხაჩატრიანცისა და სხვ. ქარხნების მუშები აიძულეს მუშაობა შეეწყვიტათ. 1902 წლის აპრილიდან 1903 წლის აპრილამდე ბათუმში 30 გაფიცვა იყო აღრიცხული.

1903 წელი ბათუმში ახალი გაფიცვით დაიწყო. 25 იანვარს ბუნიატ ოლლის თამბაქოს ქარხნის მუშებმა უარი თქვეს მუშაობის დაწყებაზე. 27 იანვარს გაფიცული მუშები გამოიძახეს პოლიციის სამმართველოში, მაგრამ მუშაობის განახლებაზე

ვერ დაიყოლიეს. 1903 წლის 7 მარტს გაფიცება დაიწყეს მანთაშევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშებმა. გაფიცულები დანარჩენ მუშებსაც მოუწოდებდნენ, შეერთებოდნენ მათ. 8 მარტისათვის ხელისუფლებას მზადყოფნაში ჰყავდა პოლიცია და ჯარი. გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობის აღმავლობა. 9 მარტს ბათუმის ცენტრში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას!" პოლიციამ დემონსტრანტების დაპატიმრება ვერ შეძლო. როგორც ჩანს, უანდარმერიას ჰქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი იყო მუშათა გამოსვლების გაძლიერება. 10 მარტს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ბათუმის ოლქში გენერალ-მაიორი მიხაილ დრიაგინი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სთხოვდა ბათუმში კაზაკთა ნაწილის გაგზავნას. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა გაფიცვების აღკვეთის მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, 14 მარტს გაიფიცა მანთაშევის ნავთობგადამამუშავებელი ორი ქარხანა, რომლებშიც 1500 კაცი მუშაობდა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გაფიცვის გამო სამუშაოები შეწყდა ბათუმის პორტში, უმუშევარი დარჩა 800 მუშა. ახლა უკვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ითხოვდა ბათუმში კაზაკთა ასეულის გაგზავნას. 14 მარტს სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ბათუმის ოლქში გენერალ-მაიორი დრიაგინი კვლავ მიმართავდა ამავე თხოვნით ხელისუფლებას. მას შეშფოთების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა: 15 მარტს გაიფიცნენ ხაჩატრიანაცის ქარხნის მუშები. 1903 წლის მარტის მეორე ნახევარსა და აპრილის პირველ ნახევარში ბათუმში მუშათა გაფიცვები არ შენყვეტილა. 14 აპრილს ქალაქის ცენტრში დემონსტრაცია მოაწყო 600-700 მუშამ. დემონსტრანტები კაზაკთა ძალებით დაშალეს. 21 აპრილს ერთმანეთს შეეჯახნენ ბათუმის პორტის დღიური მუშები და კაზაკები.

ბათუმის მუშათა გაფიცვები გრძელდებოდა შემდგომ თვეებშიც. 1903 წლის 17 ივლისს სოციალ-დემოკრატების, კერძოდ, რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო ქალაქის თითქმის ყველა სანარმოს გაფიცვა. 17 ივლისსვე ქალაქში ჯარის ნაწილები შეიყვანეს. პასუხად 18 ივლისს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. 1903 წლის 17-21 ივლისის გაფიცვის საქმის ძიებისას ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაფიცვა პოლიტიკური ხასიათს ატარებდა და გარეშე ძალის მიერ იყო ორგანიზებული. დაადგინეს გაფიცვის ორგანიზატორთა ვინაობაც, მათ შორის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. კერძოდ, ძიება გაფიცვის ორგანიზებას ბრალად სდებდა სოციალ-დემოკრატებს: იროდიონ თხელიძეს, ანთიმოზ რამიშვილს, ივანე ჭანჭალეიშვილს, კონსტანტინე ჭანჭალეიშვილს, იოსებ კაკაბაძეს, დიომიდე მამფორიას, რომან ივანოვს, მიხეილ კალანდაძეს და სხვ.

1899-1903 წლებში მუშათა გაფიცვები აღინიშნა ჭიათურაში, სამტრედიაში, ფოთში.

მუშათა მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1899-1903 წლებში გამოწვეული იყო ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილი ვითარებით, მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ამასთან ერთად, მუშათა მოძრაობისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა, გამოსვლების ორგანიზება, მუშათა ერთი მიზნისათვის დარაზმვა სოციალ-დემოკრატთა უდაო დამსახურებას წარმოადგენს.

2. გლეხთა მოძრაობა (1901-1904 წწ.). სოფლად არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარება გლეხთა მოძრაობის გაძლიერების საფუძველი გახდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავდა ხელისუფლების არასაკმარისი, სანახევრო ღონისძიებები, რომელთა მიზანსაც კრიზისული მდგომარეობის განმუხტვა წარმოადგენდა. იმპერატორ ნიკოლაი II-ის აგრარულმა პოლიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო: მცირემინიანობა, უსამართლო გადასახადები და ადმინისტრაციის თვითნებობა სოფელს დიდი სოციალური ამბოხისაკენ მიაქანებდა. გლეხთა მოძრაობის გააქტიურების საბაბი 1901 წლის მოუსავლიანობა და სოფლად დაწყებული შიმშილობა გახდა.

მასშტაბურობითა და ორგანიზაციულ-პოლიტიკური დონით **გურიის** გლეხთა მოძრაობა გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ 1902 წლის მაისის დამდეგს სოფელ **ნიგოითის** გლეხობა რამდენჯერმე დაუპირისპირდა მემამულეებს. თავადმა მაჭუტაძემ გლეხებს იჯარით აღებულ მინაზე მოყვანილი მოსავლის ნახევარი მოსთხოვა და საძოვარზე დაწესებული გადასახადიც გაუდიდა. საძოვრის თაობაზე გლეხებს მაჭუტაძესთან დაპირისპირება ნინა წლებშიც ჰქონიათ. დაგროვილმა უკმაყოფილებამ 1902 წელს ერთბაშად იფეთქა. გლეხთა გამოსვლები გურიის სხვა სოფლებშიც აღინიშნა. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ აგრარული მოძრაობისათვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ნიგოითის გლეხთა გამოსვლა. სოფელში სოციალ-დემოკრატების ინიციატივით რამდენიმე საიდუმლო შეკრება გაიმართა. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტების მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ დიდი როლი შეასრულა გლეხობის დარაზმვაში.

1902 წლის მაისის დამდეგს გლეხთა შეკრებები დაიწყო სოფელ **მიქელ-გაბრიელში.** შეკრებები სოფლიდან მოშორებით, ტყეში, ტარდებოდა.

პირველ შეკრებაზე დაახლოებით 200 გლეხი გამოცხადდა. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები გლეხობას საკუთარი ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. შეკრებაზე მრავალი საკითხი განიხილეს, ამ პროცესში გლეხებიც აქტიურობდნენ.

1902 წლის 28 მაისს გლეხთა შეკრება გაიმართა სოფელ ჩოჩხათში, ხოლო ივნისის შუა რიცხვებში –სოფლებში: ხვარბეთში, გურიანთაში, დვაბზუში, მამათში, ძიმითსა და სხვ. თითქმის ყველა შეკრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები. გლეხთა შეკრებები, როგორც წესი, სოფლებიდან მოშორებით, ძირითადად ტყეში იმართებოდა და თითქმის მთელი ღამე გრძელდებოდა.

გურიის გლეხთა შეკრებებში მონაწილე სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტებს არ ჰქონიათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა, არც გლეხობისათვის მისანდობელი მასალა იყო წინასწარ მომზადებული. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატების გამოსვლებს გლეხობა დიდი მონონებით ხვდებოდა. ისინი ინტერესით ისმენდნენ ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის კრიტიკას, თუმცა გარკვეული სკეპტიციზმით ხვდებოდნენ პროპაგანდისტების მოწოდებებს მემამულეთა წინააღმდეგ ტერორის შეწყვეტის შესახებ, რადგან სოციალისტები თვლიდნენ, რომ ამ გზით აგრარული საკითხი ვერ გადაიჭრებოდა. მცირემინიანობითა და გადასახადებით განაწყენებული გლეხობა ისევ ესხმოდა თავს მემამულეთა სახლ-კარს და არბევდა მათ. ზოგიერთი მემამულე იძულებული გახდა თავი ოზურგეთისა და ქუთაისისათვის შეეფარებინა. ოზურგეთში მაზრის თავადაზნაურობის საიდუმლო შეკრება ჩატარდა. გადაწყდა, სასწრაფოდ ეთხოვათ დახმარება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. ასევე გადაწყდა, სანამ დახმარებას მიიღებდნენ, თავადაზნაურობას თავად ეზრუნა საკუთარი მამულისა და სახლ-კარის დაცვისათვის. თავადაზნაურობის მიერ საკუთარი ძალებით მამულების დაცვის იდეას განსაკუთრებული გულმოდგინებით უჭერდნენ მხარს კონია ერისთავი, ბედია კობახიძე, ტიტიკო ერისთავი და სხვები.

გურიაში გლეხთა მოძრაობის გაქანებამ ხელისულება შეაშფოთა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორი ალექსი სმაგინს (1857–1928) წინადადება მიეცა გურიის სოფლები შემოევლო და ადგილზე გასცნობოდა ვითარებას. სოფლებში გუბერნატორი გლეხობის შეკრებებს ანყობდა და ყველა შეკრებაზე ასე მიმართავდა ხალხს: „მითხარით, რა გჭირდებათ და მე დაგეკმაყოფილებ თქვენს თხოვნას". სოფელ ჯუმათში ერთ-ერთმა გლეხმა სმაგინს თავიანთი მძიმე მდგომარეობის შესახებ დაურიდებლად მოუთხრო. გუბერნატორი გაცხარდა და გლეხს დაუყვირა: „შენ ტყუი! ეს შენ მოხეტიალეებმა (იგულისხმებოდა პროპაგანდისტები – ვ. გ.) გასწავლეს. მეორედ არ გაბედო ჩემთან ასეთი საუბარი! თორემ ყველას ციმბირში გადაგასახლებთ!" სოფელ ჩოჩხათში გუბერნატორს ასე მიმართეს: „ჩვენთან შიმშილობაა, აღმოგვიჩინეთ დახმარება!" სმაგინი გაცხარდა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა. გლეხები არ შეშინდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა გუბერნატორს განუცხადა: „თუ არ დაგვეხმარებით, ჩვენ ვერ შევძლებთ გადასახადების გადახდას". პასუხად სმაგინმა გლეხს უთხრა: „არა, თქვენ გადასახადები უნდა გადაიხადოთ და შეასრულოთ ყველაფერი, რასაც გიბრძანებენ!" მეორე გლეხმა გენერალს ქალამანი ესროლა სიტყვებით: „თუ ასეა, აი, ეს აიღეთ, მე მეტი არაფერი აღარ დამრჩა!" სამხედრო გუბერნატორი აღშფოთდა და გლეხის დაპატიმრების ბრძანება გასცა. შეკრებილებმა სმაგინს ალყა შემოარტყეს და ხმაური ატეხეს. გუბერნატორი იძულებული გახდა, ბრძანება გაეუქმებინა. გლეხები მას მუშტებს უღერებდნენ და უყვიროდნენ, რომ არ გაებედა ვინმეს დაპატიმრება. მეორე დღეს ალექსეი სმაგინი სოფელ მიქელ-გაბრიელს ეწვია. გუბერნატორთან შესახვედრად ხუთასამდე გლეხი მივიდა. განწყობილება აქაც საბრძოლო იყო. სამხედრო გუბერნატორის მითითების თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვით გამოსული გლეხების გვარებს იწერდნენ, რათა ამ გზით ისინი დაეშინებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მიქელ-გაბრიელის გლეხობამ ასეთი მოთხოვნები წარუდგინა ალექსეი სმაგინს:

1. შეიცვალოს გადასახადის ამოღების სისტემა;
2. მიწის საიჯარო ქირა ისე შემცირდეს, რომ არ აღემატებოდეს მიღებული მოსავლის 1/8 –1/10-ს;
3. გაუქმდეს გადასახადი საძოვარზე;
4. გაუქმდეს აქციზი სპირტსა და არაყზე;
5. არასავალდებულო გახდეს სოფლის მცხოვრებთათვის გზების შეკეთებაში მონაწილეობა და ეკლესიების დაცვა;
6. მინების გადამიჯნვისათვის აუცილებელი თანხა თანაბრად განაწილდეს მოსახლეობაზე;
7. გაუქმდეს დრამის გადასახადი;
8. მოისპოს წოდებრივი პრივილეგიები, რათა კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.

ამ მოთხოვნების გაცნობის შემდეგ გუბერნატორი სასტიკად გაცხარდა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და შეკრებილებს ასე მიმართა: „მე ვიცი, რომ თქვენ გატყუებენ უსაქმურები (იგულისხმება სოციალისტი პროპაგანდისტები – ვ. გ.), რომ-

ლებიც თქვენთან ღამლამობით დადიან და გაუკულმართებულად გიხსნიან მეფის კანონებისა და მთავრობის მოქმედების არსს. თუ თქვენ მათ არ დაუჯერებთ, მაშინ მე ყურადღებით მოვეკიდები თქვენს თხოვნებს და შეძლების ფარგლებში შეგისრულებთ. საბეგრო გადასახადის საკითხი მე არ მეკითხება, ამასთან დაკავშირებით მემამულეებს მოელაპარაკეთ. რაც შეეხება დრამის გადასახადს, თუ დაწყნარდებით და თხოვნით მომმართავთ, გავაუქმებ." სმაგინის წინადადება გლეხებმა არ მიიღეს. გაბრაზებულმა გუბერნატორმა სოფელი დატოვა და ქუთაისში გაემგზავრა. გუბერნატორის საქციელი გლეხებმა თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. სოფელი მიქელ-გაბრიელი გამონაკლისი არ იყო, იგივე განწყობა სუფევდა სხვა სოფლების გლეხობაშიც.

ქუთაისში დაბრუნებულმა ალექსი სმაგინმა კავკასიის მთავარმართებელ გრიგორი გოლიცინს ასეთი კითხვით მიმართა: „როგორ მოვექცე აჯანყებულ გურიას?" თბილისში ძალის დემონსტრირების გადაწყვეტილება მიიღეს და შესაბამისი ბრძანების შემდეგ, 1903 წლის 6 აგვისტოს, ოზურგეთში კაზაკთა ასეულის თანხლებით ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ალექსი კალაჩევი ჩავიდა. 1903 წლის 7 აგვისტოს კალაჩევის განკარგულებით, რკინიგზის სადგურ ნატანებში სოფელ მიქელ-გაბრიელიდან 25 კაცი (21 გლეხი და 4 ინტელიგენტი) დაიბარეს. ნატანებში მხოლოდ 19 მათგანი გამოცხადდა, ყველანი დააპატიმრეს და კაზაკებს გადასცეს. მიქელ-გაბრიელის გლეხობამ სადგურ ნატანებზე თავდასხმა და კაზაკთა ტყვეობიდან თანასოფლელების გათავისუფლება გადაწყვიტა, თუმცა ბოლოს ასეთი რადიკალური ზომისაგან თავი შეიკავეს. 8 აგვისტოს დაპატიმრებულები ნატანებიდან ქუთაისში გაგზავნეს. 8 აგვისტოსვე სოფელ ნიგოითში 20 კაცი დაატუსაღეს და ისინიც ქუთაისის გზას გაუყენეს. დაპატიმრებები მიმდინარეობდა სოფლებში: **სუფსაში, ჩოჩხათში, ამაღლებაში, ხვარბეთში, ხიდისთავსა** და სხვ. ნინათ დაპატიმრებულთა გარდა, რამდენიმე კაცი შეიპყრეს მიქელ-გაბრიელსა და ნიგოითში. სულ გურიაში დააპატიმრეს დაახლოებით 250 კაცი. ქუთაისის, ოზურგეთისა და ბათუმის ციხეები გადაიტვირთა. მოსალოდნელი მღელვარების აღკვეთის მიზნით გურიაში ქვეითი ჯარის ერთი პოლკი გაიგზავნა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა ალექსი სმაგინმა ჩათვალა, რომ მოსახლეობა დააშინა და კვლავ გურიის სოფლების შემოსავლელად გაემგზავრა. ამჯერად გუბერნატორს კაზაკთა ასეული და ჯარისკაცები ახლდნენ. თუ გუბერნატორთან შეხვედრისას ვინმე ხელისუფლებისათვის მიუღებელ მოთხოვნებს წამოაყენებდა, მას მაშინვე აპატიმრებდნენ და ციხეში გზავნიდნენ. გუბერნატორის განკარგულებით, დაიხურა ყველა ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რომლებიც გურიის თითქმის ყოველ სოფელში არსებობდა. ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებაში შემჩნეული მასწავლებლები სამსახურიდან დაითხოვეს. გურიის 7 სასოფლო საზოგადოებას მამასახლისის არჩევის უფლება ჩამოართვეს და სოფლის ადმინისტრაციის სათავეში ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები დააყენეს, რომელთა ხელფასი წელიწადში 450-500 მანეთი უნდა ყოფილიყო. სოფლებში, სადაც გლეხთა მღელვარება დაიწყებოდა, დაუყოვნებლივ იგზავნებოდა 50-60 ჯარისკაცი ოფიცრის მეთაურობით. ეს რაზმი სოფელში ყოფნის პერიოდში გლეხებს უნდა შეენახათ. დრამის გადასახადის დროულად გადახდის მიზნით სოფლებს პოლიციელები (სტრაჟნიკები) შეუსიეს. იმ გლეხებიდან, რომლებიც დრამის გადასახადს არ იხდიდნენ, 4-5 კაცს აპატიმრებდნენ და სოფლის კანცელარიაში ამწყვდევდნენ. ამ გზით აპირებდა ხელისუფლება ურჩი გლეხობისაგან გადასახადის ამოღებას. დატუსაღებული გლეხები ხშირად ოზურგეთში მიჰყავდათ, სადაც გაროზგვის გზით აიძულებდნენ გლეხთა გამოსვლის ორგანიზატორები დაესახელებინათ. 1903 წელს, დაახლოებით 3 თვის განმავლობაში, გურიის თითქმის ყველა სოფელში ჯარი და პოლიცია ჩააყენეს.

1903 წლის გაზაფხულზე შეიქმნა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის კომიტეტი (იგივე რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი)**, რომელიც გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. კომიტეტმა 1903 წლის მაისში ყრილობა (კონფერენცია) მოიწვია. მან შეიმუშავა გლეხთა მოძრაობის პროგრამა და განსაზღვრა მისი შესრულების გზები. გადაწყდა, ყოველ სოფელში შექმნილიყო სოციალ-დემოკრატიული წრე 10 კაცის შემადგენლობით. სოფლის სოციალ-დემოკრატიული წრიდან ერთი ნევრი იგზავნებოდა 4-5 კაცისაგან შემდგარ **სასოფლო საზოგადოების წრეში**. ოზურგეთის მაზრა დაიყო რაიონებად, თითოეულ რაიონში 5-6 სასოფლო საზოგადოება შედიოდა. სოფლებში დამსჯელი ექსპედიციების მოქმედების გამო სოფლის ყრილობების ჩატარება და მასობრივი აგიტაცია დროებით შეაჩერეს. აგიტაცია კონსპირაციულად მაინც მიმდინარეობდა გლეხთა მცირერიცხოვან ჯგუფებში. ასეთი ჯგუფების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ალექსი სმაგინი სწორედ ამ დროს, 1903 წლის აგვისტოში, მეორედ მოგზაურობდა გურიაში.

რადგან სოფლებში სიმშვიდე სუფევდა, გუბერნატორმა გურიის გლეხთა მღელვარება დასრულებულად ჩათვალა. სმაგინი იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მოგზაურობის დასასრულს დაბა ჩოხატაურში გამართულ დიდ ბანკეტზე მთელი არსებით მოიღბინა.

1903 წლის ივლისში სამხრეთ რუსეთსა და კავკასიის დიდ სამრეწველო ცენტრებში დაწყებულ მუშათა გაფიცვებთან დაკავშირებით სოფლებისა და სასოფლო საზოგადოებების სოციალ-დემოკრატიულმა წრეებმა რსდმპ გურიის კომიტეტს სოფლებში მასობრივი დემონსტრაციების დაწყების ნინადადებით მიმართეს. კომიტეტმა მასობრივი დემონსტრაციების ჩატარება ნაადრევად ჩათვალა, რასაც სოციალ-დემოკრატიული წრეების დიდი უკმაყოფილება მოპყვა.

რსდმპ გურიის კომიტეტმა გადაწყვიტა მასობრივი სახალხო გამოსვლები მოეწყო 1903 წლის შემოდგომაზე მოსახლეობის რუსეთის ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ გაწვევის დაწყებამდე სოციალ-დემოკრატებმა სოფლებში დიდი სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს. 1903 წლის 4 ნოემბერს ჩოხატაურში ახალწვეულებმა ისეთი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყვეს, რომ ქუთაისის გუბერნატორს განწყობილება გაუფუჭეს. ამ დემონსტრაციით გურიაში რევოლუციური გამოსვლების ახალი ტალღა დაიწყო. ჩოხატაურში მომხდარი ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს გურიასა და ბათუმში, სადაც ახალწვეულებმა ასევე მოაწყვეს დემონსტრაციები. ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და გურიის ბევრ სოფელში ახალწვეულები დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაამკეტეს.

1904 წლის დასაწყისში რსდმპ გურიის კომიტეტის II კონფერენცია (ყრილობა) შედგა. ყრილობის მთავარ საკითხთა შორის იყო: 1. ადმინისტრაციული დაწესებულებების, სასამართლოსა და პოლიციის, ბოიკოტირება; 2. მემამულეების ნინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. კონფერენციის შემდეგ რსდმპ გურიის კომიტეტმა სააგიტაციო მუშაობა გააგრძელა. სოფლებში გლეხები მასობრივად იკრიბებოდნენ და საპროტესტო დემონსტრაციებს მართავდნენ, რასაც ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები მოპყვა. 1904 წლის 20 აპრილს პრისტაჟი კეშელი პოლიციელების თანხლებით სოფელ ლანჩხუთში თავს დაესხა გზაზე მიმავალ გლეხთა ჯგუფს და ორი მათგანი, კონსტანტინე ჩაჩავა და იოსებ უბრალიძე, მოკლეს. ორივე მოკლულს მთელი გურია კარგად იცნობდა, გლეხებმა რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციის მონაწილეთაგან ზოგიერთი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.

1904 წლის 1 მაისს გურიის სოფლებში დიდი დემონსტრაციები გაიმართა, რომლებშიც შეიარაღებული გლეხები მონაწილეობდნენ. სოფელ სურებიდან და ხიდისთავიდან დაძრული გლეხები უნდა შეერთებულიყვნენ დათქმულ ადგილას, მაგრამ ისინი პოლიციის რაზმმა გაფანტა. ამ შეჯახებისას დაიღუპნენ ხიდისთაველი მჭედელი იესე კალანდაძე და 18 წლის ფოცხიშვილი. მაისის დემონსტრაციებმა წარმატებას ვერ მიაღწია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ გლეხობა ცუდად იყო ორგანიზებული, ხოლო ხელისუფლების აგენტურული ქსელი კარგად მოქმედებდა.

1904 წლის დარჩენილ თვეებში გურიაში გლეხებს სერიოზული გამოსვლები აღარ მოუწყვიათ. აგრარული მოძრაობის ახალი აღმაფლობა 1905 წლის დამდეგიდან დაიწყო.

ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის დაიძაბა ქართლში, გორის მაზრაში. 1903 წლის ზაფხულში მღელვარება მოხდა გორის მაზრის რამდენიმე სოფელში. პოლიციის მიერ ჩატარებული ძიებით დადგინდა, რომ გლეხებს მემამულეების ნინააღმდეგ აგიტატორები ამხედრებდნენ. ამასთან დაკავშირებით თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში მოკვლევა და შემდეგ ძიება დაიწყო. დადგინდა, რომ გორის მაზრის სოფლებში გლეხებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა ძიებისათვის უცნობი ახალგაზრდა კაცი. უცნობმა პროპაგანდისტმა 1903 წლის 25 ივლისს გორის მაზრის სოფელ დირბის გლეხობა შეკრიბა, შეკრებაზე მან სოფლელებს რაღაც დოკუმენტი წაუკითხა. პროპაგანდისტი გლეხებს არწმუნებდა, რომ იგი მათთან პარტიამ(ძიების მასალებში პარტიის ზუსტი დასახელება არ მოიპოვება – ვ. გ.) გაგზავნა, რომლის მიზანი იყო გლეხობის განთავისუფლება და მემამულეებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი მხარდაჭერა. სოფელ დირბის მამასახლისის ცნობით, ამ შეკრების შემდეგ გლეხებმა უარი თქვეს მონასტრისათვის ღალის გადახდაზე. ძიებით დადგინდა, რომ დირბის შემდეგ აგიტატორი სოფლებში: არაგეთში, ბრეთში, სოლალაშენში, გოგეთში, თამარაშენში, ქვათეთრსა და სხვ. იმყოფებოდა. ყველა სოფელში პროპაგანდისტი გლეხობას არწმუნებდა, რომ რუსეთის მთავრობის დადგენილებით, თავადაზნაურობის მიწა უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა გლეხობას. გარდა ამისა, თითქოს იმავე დადგენილებით, გლეხობას სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის აღარავითარი გადასახადი არ უნდა გადაეხადა. მართალია, ძიებამ უტყუარად მიიჩნია პროპაგანდისტის გამოსვლა სოფელ დირბში, მაგრამ არ დადასტურდა, რომ დირბელი

გლეხების უარი მონასტრისათვის ღალის გადახდაზე მისი აგიტაციის შედეგი არ იყო. პროპაგანდისტი დირბში 1903 წლის 27 იელისს ჩავიდა, დირბელებმა კი მონასტრისათვის ღალის გაადახდაზე უარი ჯერ კიდევ 1903 წლის გაზაფხულზე განაცხადეს.

აგრარულმა მოძრაობამ ქართლში, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, მასობრივი ხასიათი 1905 წლის გაზაფხულიდან შეიძინა.

§4. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კაუკასიურ პოლიტიკაში. ვასილი ველიჩკო (XIX საუკუნის 90-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი)

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოსა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები, დაწყებული გენერალ-ლეიტენანტ კარლ ნორინგიდან (1801-1802) გენერალ-ადიუტანტ სერგეი შერემეტიევით (1890-1896) დამთავრებული, ღიად მფარველობდნენ სომხებს. ეს პოლიტიკა გრძელდებოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სომხებს მფარველობდა როგორც სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, ისე საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში. ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) შემდეგ ოსმალეთიდან სომხების გადმოსახლება და მათი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დასახლება, არც ბერლინის კონგრესის (1878 წ.) შემდეგ სომხების მასობრივი ჩასახლება აფხაზეთში. ათწლეულების განმავლობაში კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სომხებს ხელს უწყობდა საქართველოში უძრავ-მოძრავი ქონების შეძენაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ბატონყმობის გაუქმებისა და მომდევნო რეფორმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). ამ პოლიტიკის წყალობით სომხებმა ხელში ჩაიგდეს კავკასიის და, განსაკუთრებით კი საქართველოს, ვაჭრობა-მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სომხური ბურჟუაზია იმდენად გაძლიერდა, რომ სერიოზულ კონკურენციას უწევდა რუსულ და უცხოურ კაპიტალს. სომხებმა მყარად მოიკიდეს ფეხი თბილისის გუბერნიაში, განსაკუთრებით – თბილისში, ქუთაისის გუბერნიაში – აფხაზეთში, ბათუმის ოლქში, ქალაქ ბათუმსა და ყარსის ოლქში. საქალაქო რეფორმის შემდგომ პერიოდში, XIX საუკუნის 70-90-იან წლებში, სომხები გაბატონდნენ ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში, მოგვიანებით კი სერიოზული პოზიციები მოიპოვეს საქართველოს სხვა ქალაქების მართვა-გამგეობაშიც.

სომხებმა რომ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს, ვაჭრობა-მრეწველობის ხელში ჩაგდება მოახერხეს, ამაში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თავდაპირველად საშიშს ვერაფერს ხედავდა. სომხები კავკასიაში ჯერაც რუსეთის დასაყრდენ ძალად განიხილებოდნენ. პეტერბურგში ყურადღებას არ ამახვილებდნენ იმაზე, რომ ვაჭრობა-მრეწველობაში მოპოვებული წარმატებების კვალდაკვალ სომხების ეროვნული ცნობიერება სულ უფრო ძლიერდებოდა და რუსეთის იმპერიის დასაყრდენიდან სომხები უკვე იმპერიისათვის საშიშ ძალად იქცნენ. სეპარატიზმმა სერიოზულად მოიკიდა ფეხი მოსახლეობის ყველა ფენაში. ეს, თავისთავად, მეტად საშიში მოვლენა იყო. ამ საშიშროებას კიდევ უფრო ზრდიდა ოსმალეთის სომხობაში მიმდინარე პროცესი. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების ნაწილი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ საქართველოსა და ნაწილი კი ასევე მიტაცებულ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ისინი XIX საუკუნეში ეკონომიკური თვალსაზრისით სწრაფად დანინაურდნენ, სერიოზული პოზიციები მოიპოვეს ვაჭრობაში, დაეუფლნენ დიდი ოდენობის უძრავ და მოძრავ ქონებას. ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში, ოსმალეთის ხელისუფლებაც ამ პროცესს ხელს არ უშლიდა. ოსმალები მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ, რაც სომხების ეროვნული ცნობიერება განსაკუთრებით გაძლიერდა და დაიწყო „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეის პროპაგანდა, რასაც ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან სომეხთა შევიწროება და დარბევები მოჰყვა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის რუსი პოლიტიკოსებიც გამოფხიზლდნენ და რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრები სომხების ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას, ეროვნული მოძრაობის აღმავლობას და „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეის პროპაგანდას უკვე სერიოზული ყურადღება მიაქციეს. რუსეთისა და ოსმალეთის სომხობაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაწყებული ეროვნული მოძრაობა შეიძლებოდა ერთ მოძრაობად გაერთიანებულიყო და ამ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისათვის სერიოზული საფრთხე შეექმნა, „დიდი სომხეთი“ ხომ რუსეთისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სომხურ და ქართულ ტერიტორიებზე უნდა შექმნილიყო. ისიც არ ნარმოადგენდა დიდ საიდუმლოებას, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთისა და ოსმალეთის მიერ ტერიტორიების დაკარგვას, სამხრეთ კავკასიიდან რუ-



ვასილი ველიჩკო

სეთის, მცირე აზიის ჩრდილოეთ პროვინციებიდან კი ოსმალეთის განდევნას მიესალმებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ. საბოლოოდ, „დიდი სომხეთის" აღდგენის იდეა არარეალური აღმოჩნდა, მაგრამ XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ამ იდეის რეალობა თუ არარეალობა ცხადი და გარკვეული არ იყო. ნათლად ჩანდა ერთი რამ: **„დიდი სომხეთის" აღგენის იდეა რუსეთის იმპერიას კავკასიაში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა, რადგან ამ იდეის განხორციელება სომეხთა ეროვნული მოძრაობის უმთავრეს მიზანს ნარმოადგენდა, ხოლო მისი პროპაგანდა სომხებს რუსეთის იმპერიის მორჩილი ქვეშევრდომობიდან ძლიერ ანტირუსულ ძალად გადააქცევდა.**

აუცილებელი გახდა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში, რაც სომხებისადმი მხარდაჭერის შენყვეტას, მეტიც, ანტისომხური პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. ამგვარი რადიკალური ცვლილება თითქმის ერთსაუკუნოვანი პროსომხური პოლიტიკის შემდეგ ადვილი არ იყო. ახალი პოლიტიკური კურსის ამოქმედებამდე აუცილებელი გახდა ამ ცვლილების გარდუვალობის განმარტება: **კავკასიაში აქამდე რუსეთის იმპერიის დასაყრდენი სომხების ან რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების მონინააღმდეგედ, მტრად გადაქცევის დასაბუთება.** ამ ძალზე ძნელი მისიის განხორციელებაში ლომის ნილი დაიდო ცნობილი პოეტმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, ამ დროისათვის უკვე კარგად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ **ვასილი ველიჩკომ** (1860-1903).

ვასილი ველიჩკო 1860 წელს დაიბადა უკრაინაში, პოლტავის გუბერნიის ქალაქ პრილუკში, მემამულის ოჯახში. 1870 წელს კიევის დანიელის სახელობის პანსიონში შეიყვანეს. 1883 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამართალმცოდნეობის სასნავლებელი, რის შემდეგაც მუშაობდა ჯერ რუსეთის იმპერიის იუსტიციის, ხოლო შემდეგ – სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებში. ახალგაზრდობის წლებიდანვე აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლიბერალურად განწყობილ მწერლებსა და საზოდაგო მოღვაწეებთან, მეგობრობდა ცნობილ რუს ფილოსოფოსსა და ღვთისმეტყველ **ვლადიმირ სოლოვიოვთან** (1853-1900). XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დამდეგს ველიჩკო იყო იმ ლიტერატურული წრის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, რომელშიც შედიოდნენ გამოჩენილი რუსი მწერლები, მხატვრები და მეცნიერები: **ნიკოლაი ლესკოვი, დანიელ მორდოვცევი,** ილია **რეპინი, ნიკოლაი კარამზინი, ალექსანდრ ვესელოვსკი** და **ალექსანდრ ლადიჟენსკი**. ვასილი ველიჩკო თარგმნდა სპარსული, თურქული და ქართული პოეზიიდან, კერძოდ, მას ეკუთვნის **ომარ ხაიამის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა** და **რაფიელ ერისთავის** ლექსთა თარგმანები. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ველიჩკო რუსეთის ლიბერალურ პრესასთან ურთიერთობას წყვეტს. ამ დროიდან მისი მსოფლმხედველობა კარდინალურად იცვლება. ვასილი ველიჩკოს პოლიტიკურმა პლატფორმამ ევოლუციის იგივე გზა გაიარა, რაც გვხვდება იმ ეპოქის ბევრ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწესთან. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი" და მისი რედაქტორი **მიხაილ კატკოვი** (1818-1887) და რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერპროკურორი **კონსტანტინ პობედონოსცევი** (1827-1907), რომლებიც ლიბერალური რეფორმების განხორციელებისა და რუსეთის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციის მომხრეებიდან კონსერვატორ მონარქისტებად და ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების, თვითმპყრობელობის იდეოლოგებად იქცნენ. ვასილი ველიჩკომ სწორედ მიხაილ კატკოვის კონსერვატორულ-მონარქისტული იდეების ძლიერი გავლენა განიცადა.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ვასილი ველიჩკოს ანტისომხური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგის ფუნქცია დააკისრა. 1896 წელს იგი თბილისში გამომავალი ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს, გაზეთ „კავკაზის", რედაქტორად

მიიწვიეს. ველიჩკო თბილისში ჩამოვიდა და 1897 წლიდან რედაქტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ამ თანამდებობაზე იგი 1899 წლამდე მუშაობდა. დაახლოებით იმავდროულად, 1896 წლის 12 დეკემბერს, კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი გრიგორი გოლიცინი (1838-1907), რომელიც ამ თანამდებობაზე 1905 წლის თებერვლამდე დარჩა. გრიგორი გოლიცინის სახელს უკავშირდება ანტისომხური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. ანტისომხურ პოლიტიკას 1897 წლიდან აქტიურად უჭერდა მხარს გაზეთ „კავკაზის" რედაქტორად დანიშნული ვასილი ველიჩკო, რომელმაც ამ საკითხს მრავალი წერილი მიუძღვნა. ეს წერილები 1897 წლიდან იბეჭდებოდა ძირითადად გაზეთ „კავკაზში" რამდენიმე წერილი ველიჩკომ „კავკაზის"რედაქტორობიდან გადადგომის (1899წ.) შემდეგაც გამოაქვეყნა, ხოლო ერთი მათგანი მისი გარდაცვალების(1903 წ.) შემდეგ, 1904 წელს, დაიბეჭდა „რუსსკი ვესტნიკში" 1904 წელს დაიწყო ვასილი ველიჩკოს „პუბლიცისტური თხზულებების სრული კრებულის" გამოცემა, რომლის პირველი ტომი იმავე წელს დაიბეჭდა სათაურით „Кавказ. Русское дело и междуплеменные вопросы"(С.-Петербург, 1904).

თავის ნერილებსა და სტატიებში ველიჩკო სომხებს ნარმოაჩენდა, როგორც **„მავნე"**("вредный") ერს, რომელიც **„კავკასიაში რუსულ საქმეს"** ("русского дела на Кавказе")მტრობდა. ამის საპირისპიროდ ველიჩკო აცხადებდა, რომ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას ხელს უნყობდნენ ქართველები. ქართველებს ველიჩკო მიიჩნევდა კავკასიაში რუსების მთავარ მოკავშირეებად და ამას იმით ხსნიდა, რომ ქართველებსა და რუსებს ერთმანეთთან მართლმადიდებლური რწმენა, ისტორია და ერთი სახელმწიფოებრივი იდეალები აკავშირებდათ. ველიჩკო მიიჩნევდა, რომ ქართველებს რუსებთან დიდი სულიერი ერთობა გააჩნდათ ("Грузия нам духовно близка"), რის გამოც ქართველები რუსების ძმებად უნდა მიეჩნიოთო ("...мы должны смотреть на Грузии как на братьев...").

ვასილი ველიჩკოს კავკასია, კავკასიის ერები და ხალხები, მათი წარსული, თანამედროვე ყოფა და ურთიერთობა ერთადერთი მიზნით აინტერესებდა: რა მდგომარეობაში იყო კავკასიაში „რუსული საქმე"(„Русское дело"), ხომ არ ემუქრებოდა რაიმე საფრთხე რუსეთის ბატონობას და თუ ეს საფრთხე არსებობდა, რომელი ერისაგან მომდინარეობდა იგი. ამავე დროს, ველიჩკო ყურადღებით აკვირდებოდა, თუ რა შეცდომები დაუშვა რუსეთის საიმპერატორო კარმა და კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ამ რეგიონის ათვისების საქმეში, რა შედეგი მოჰყვა ამ შეცდომებს. ამიტომაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვასილი ველიჩკო არც ქართველთმოყვარეა და არც – სომეხთმოძულე. რუსეთის პატრიოტს ერთადერთი საკითხი აინტერესებს: რუსეთმა არ დაკარგოს კავკასია, ხოლო ყველა ხალხი და ერი, რომელიც კავკასიიდან რუსეთის განდევნას ცდილობს, მისთვის მტერია. XIX საუკუნის 90-იან წლებში მან ასეთ მტრად სომხები მიიჩნია, რადგან თელიდა, რომ ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიებში დაწყებული სომეხთა ეროვნული მოძრაობის გაერთიანება და „დიდი სომხეთის" იდეის განხორციელება რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის დაკარგვას ნიშნავდა. ველიჩკოს ნერილებში ხშირად შეეხვედებით ქართველების, როგორც რუსების ერთგული ერის და სომხების, როგორც რუსების მტრების, დაპირისპირებას. ამ დაპირისპირებაში ბევრი წინააღმდეგობა და არამეცნიერული დასკვნაა "გაპარული", მაგრამ სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნისათვის მეზრძოლ ვასილი ველიჩკოს მხოლოდ ამ შედარებიდან მიღებული ეფექტი აინტერესებდა და არა – ისტორიული პროცესის მეცნირული არგუმენტაციით გამყარება. ამაში ადვილად დავრნმუნდებით, თუ ვასილი ველიჩკოს ნიგნიდან „Кавказ. Русское дело и междуплеменные вопросы"(С.-Петербург, 1904) ავტორისეულ განზოგადებებსა და დასკვნებს გაეცნობით.

ვასილი ველიჩკოს ნიგნის შესავალში ვკითხულობთ: **„კავკასია ჩვენთვის არ შეიძლება უცხო იყოს: კავკასიისათვის ძალიან დიდი ძალა დაიხარჯა, იგი მეტად ორგანულადაა დაკავშირებული დიად რუსულ მსოფლიო მისიასთან, რუსულ საქმესთან".** ამასთან ერთად, ველიჩკო აღნიშნავს, რომ მრავალჯერ სცადეს, ხშირად არცთუ ანგარების გარეშე, რუსული საზოგადოების დაბნევა, გარკვეულიყო კავკასიელ ხალხთა შორის არსებულ ურთიერთობებში. გულწრფელ ადამიანებსაც კი შეიძლებოდა ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება გასჩენოდათ. ამ ადამიანების ნანილი მიიჩნევდა, რომ კავკასიაში, კავკასიელ ხალხებში **„ყველაფერი უცხო, თუნდაც ღირსშესანიშნავი, პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს, თუ იგი საკმაოდ სწრაფად და უკვალოდ არ ერწყმის ჩვენს სახალხო-სახელმწიფოებრივ სტიქიას".** ველიჩკო ასეთ შეხედულებას არასწორად, საზიანოდ მიიჩნევს: **„ამ სასტიკ შეხედულებას მე ეუწოდებდი გერმანულს და არა – რუსულს. იგი ეწინააღმდეგება რუსეთის მსოფლიო იდეალებს და არღვევს რუსეთის სულიერების საიმედო საფუძველს და, ამდენად, პოლიტიკურ ძლიერებასაც."** ვასილი ველიჩკოს აფიქრებდა ამ შეხედულების მონინააღმდეგეთა მოსაზრებანი, რომ



ვასილ ველიჩკოს წიგნი „კავკაზ"

რუსეთს კავკასიაში ყოველგვარ რუსულზე უნდა ეთქვა უარი, რაც, მისი აზრით, აუცილებლად დაღუპავდა რუსულ საქმეს კავკასიაში. ველიჩკო თვლიდა, რომ ასეთი შეხედულების მატარებლები **„რუსები არ იყვნენ"** ("не русские люди"). ველიჩკო თვლიდა, რომ ამ ადამიანების პოზიციის გამართლება იმით, რომ რუსები **„დიდ და ძლიერ ხალხს"** წარმოადგენდნენ, არ შეიძლებოდა, დიდმა ხალხმა მით უფრო უნდა შეძლოს ერისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა. ვასილი ველიჩკო აღნიშნავდა, რომ რუსეთის საზოგადოების განათლებული ნაწილისთვისაც კი კავკასია **„მტანჯველი გამოცანაა"** და მისი შეუცნობლობა იმის მაუწყებელი იყო, რომ რუსული საზოგადოება ჯერაც **„სხვისი სიტყვებისა და წარმოდგენების მონობაში"** იმყოფებოდა. წიგნის შესავალ ნაწილს ვასილი ველიჩკო ასე ამთავრებს: **„კავკასია დიდი აკადემიაა, ყოველგვარი ბუნებრივი ლაბორატორიით, რომლებიც დამკვირვებლებსა და მკვლევარებს დამოუკიდებელი დასკვნებისათვის დიდ ასპარეზს აძლევს"**.

წიგნის მეორე თავში – „წარსულის ხასიათი" – ვასილი ველიჩკო აღნიშნავს, რომ კავკასიაში სხვადასხვა ხალხი (ტომი) ცხოვრობს, რომელთაგან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდი ნიჭი(უნარი) ქართველებს აღმოაჩნდათ, თუმცა მათაც ვერ შეძლეს სახელმწიფოს შექმნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ("Из всех этих племен наибольшую государственности проявили Грузины, удалось создать государство в полном смысле этого слова"). ამით ხსნის ველიჩკო იმას, რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის, ქართველების გარდა, კავკასიაში სახელმწიფოებრიობა არც ერთ ხალხს არ ჰქონია.

ვასილი ველიჩკო კავკასიის დაპყრობასა და მის ათვისებას უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ თვალსაზრისით პირველ დიდ მოღვაწედ კავკასიის მთავარმართებელ **ალექსეი ერმოლოვს** მიიჩნევდა (1816-1827). ალექსეი ერმოლოვის დიდ შეცდომად ველიჩკო კავკასიაში გერმანელთა ჩამოსახლებას და მათი კოლონიების შექმნას თვლიდა, ისევე, როგორც კავკასიის მთავარმართებელ **ივან პასკევიჩის** (1827-1831) დიდი შეცდომა, მისი აზრით, ოსმალეთიდან კავკასიაში სომეხთა გადმოსახლება იყო. ველიჩკოს ამგვარი განწყობილების მიზანი ნათელია: გერმანელებმა და სომხებმა კავკასიაში რუსების საარსებო სივრცე შეზღუდეს და ხელი შეუშალეს რუსულ კოლონიზაციას. სამაგიეროდ, ველიჩკო კეთილი სიტყვით იხსენებს კავკასიის მეფისნაცვალ **მიხაილ ვორონცოვს** (1844-1854), რომლის დროსაც რუსული კოლონიზაცია გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა.

ავტორი დიდი მონდომებით ეძიებს საქართველოში ანტირუსული განწყობის ჩასახვის მიზეზებს. მისი აზრით, ქართველებში ამგვარი განწყობილება გადმოსახლებულმა პოლონელებმა გააღვივეს, რაც 1832 წლის შეთქმულების ორგანიზებაში გამომჟღავნდა. ამ მცდარი აზრის დასაბუთებას ველიჩკო არ ცდილობს, რადგან იგი მისთვის უეჭველი ჭეშმარიტებაა.

კავკასიაში ახალი პოლიტიკური კურსის იდეოლოგი დაინტერესებული იყო რუსეთის საიმპერატორო კარისა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ დაშვებული შეცდომების დადგენით და არ მალავდა, რომ პეტერბურგში სხვადასხვა თანამდებობის პირებმა ასეთი შეცდომები მრავლად დაუშვეს. ველიჩკოს აზრით, იყვნენ ისეთი სახელმწიფო მოღვაწეებიც, რომელთაც სწორად ესმოდათ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მიზნები. და რაგინდ მოულოდნელიც უნდა იყოს, ასეთ მოღვაწედ იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ **კირილ იანოვსკის** მიიჩნევდა. ველიჩკო თვლიდა, რომ კირილ იანოვსკი მედგრად იბრძოდა განათლების სფეროში ცრუკლასიკური სისტემის მავნე გავლენის შერბილებისათვის. ცხადია, ველიჩკო არაფერს ამბობს კირილ იანოვსკის ანტიქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, რომელიც მას კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ნიგნიდან განსაკუთრებით საინტერესოა მესამე და მეხუთე თავები, რომლებიც ასეა დასათაურებული: „Братья – грузины" და „Армяне". ველიჩკო წერს, რომ რუსებსა და ქართველებს დიდი სულიერი სიახლოვე აკავშირებდათ. ეს კავშირი განამტკიცეს ქართველებმა რუსული დროშის ქვეშ ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცით. საერთო საქმის, მესამე რომის მსოფლიო მნიშვნელობის იდეის ხორცშესხმის, მართლმადიდებლური კულტურისათვის დაღვრილი რაინდული სისხლის ნაკადებით. სანამ ჩვენ ეს მიზანი გვწამს, ქართველებს უნდა ვუყურებდეთ, როგორც ძმებს („...мы должны смотреть на грузин как на братьев"). მცირე აზიაში რუსეთის ზემოთ ხსენებული მისიის განხორციელებაში, ველიჩკოს აზრით, ქართველებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ. რადიკალურად განსხვავებულია სომხების ველიჩკოსეული დახასიათება: "სომხების შესახებ ძველთაგანვე ცუდი აზრი ჩამოყალიბდა და ეს, თავისთავად ცხადია, საფუძველს მოკლებული არ არის. სხვაგვარად მთელ რიგ ხალხებს და, ისიც სხვადასხვა ეპოქაში, ასეთი აზრი არ შეექმნებოდა." ველიჩკო განსაკუთრებით ცუდადაა განწყობილი სომეხი ერის მმართველი ზედაფენის მიმართ და მას „უსულგულო ნინამძღოლებს" („бездушные вожаки") და „პოლიტიკან მჩაგვრელებს" („политиканствующие угнетатели") უწოდებს.

ვასილი ველიჩკო ამტკიცებდა, რომ ქართველებში ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა სუსტი იყო, ხოლო სომხებში – ძლიერი. როგორც ეხედათ, პოლიტიკური მიზნით ველიჩკომ მთლიანად გააყალბა XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის არსი, რომელიც მკვეთრი ანტირუსული განწყობილებით გამოირჩეოდა და მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას. ველიჩკო განათლებული ადამიანი იყო და კარგად იცოდა, რომ მას ოპონენტები ამ მცდარ დასკვნას არ აპატიებდნენ. ამიტომ იყო, რომ იგი არ უარყოფდა საქართველოში სეპარატიზმის არსებობას, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ქართული სეპარატიზმი კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის შეცდომების შედეგი იყო. დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ველიჩკოს შემდეგ სიტყვებში: „ქართველებს უყვართ დარწმუნებით წარმოთქვან სიტყვა ერთგული ქვეშევრდომი, რაც კავკასიის სიმბოლურ ენაზე ხელმწიფისადმი თავდადების აღიარებას ნიშნავს, მაგრამ მათ კავკასიის ხელისუფლებისადმი მორჩილება არ სურთ"("Грузины любят с убеждением выдвигать слово верноподданный, что означает на кавказском символическом языке исповедание преданности Государю, но нежелание подчиняться кавказским властям"). ქართველებისაგან განსხვავებით, ველიჩკო სომხებს მიიჩნევდა უცხო მხრიდან მოსულებად, რომლებიც განსახიებერდნენ „ბოროტ ძალებს": ("злые силы"). ველიჩკოს აზრით, სომხები დამნაშავენი იყვნენ იმაში, რომ მხარს უჭერდნენ რუსეთში კონსტიტუციური წყობილების შემოღებას, რასაც სახელმწიფოში დიდი ქაოსი მოჰყვებოდა. ავტორი მიუღებლად მიიჩნევდა სომხების მოთხოვნით თბილისის თვითმმართველობაში ლიბერალური რეფორმების გატარებას, რადგან ეს რეფორმები თვითმმართველობაში სომეხთა პოზიციებს გააძლიერებდა. ველიჩკო იმდენად ანტისომხური განწყობისაა, რომ თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება მიუღებლად იმიტომ მიაჩნია, რომ ამით ქართველებზე მეტად სომხები ისარგებლებენო.

ვასილი ველიჩკომ პირველმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის გულგრილობისა და შეცდომების წყალობით სომხურმა პლუტოკრატიამ სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეთა ყველა ფენაში მოიკიდა ფეხი და აქტიურად შეუდგა თავისი შორსმიმავალი გეგმების რეალიზებას. ველიჩკო წერდა: „კავკასიაში სამართლებრივი წესრიგი და ამ გზაზე ყოველი შემდგომი ნაბიჯი მხოლოდ სომხებისათვის არის სასარგებლო, რადგან სომეხი საქმოსნები ("армяне-дельцы") მრავალი საუკუნის განმავლობაში დახელოვნდნენ იმაში, რომ ყოველგვარ კანონსა და ხელისუფლების განკარგულებას გეერდი აუქციონ და სხვათა ნება დაიმონონ. ერთი შეხედვით, ისინი, თავისუფალნი და ხელისუფლების მოყვარულნი, მოუმზადებელი არიან როგორც თავისუფლების, ისე ხელისუფლებისათვის. ყველა სომეხთა კაბალაში აღმოჩნდა, მათ შორის, ადგილობრივ დაწესებულებათა უმრავლესობა, დაწყებული უმაღლესიდან, დამთავრებული უდაბლესით." ველიჩკოს კარგად ესმოდა, რომ სომხები ამგვარადვე მოქმედებდნენ რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა კავკასიაში. სომეხი საქმოსნები მოსყიდვითა და მუქარით რყვნიდნენ კავკასიის რუს მოხელეებს, მათ შორის, პატიოსან ადამიანებსაც, ისეთებს, რომლებიც კავკასიაში სამშობლოსათვის მსახურების კეთილშობილური მიზნით ჩამოვიდნენ. ეს ადამიანები მექრთამეებისა და გამომძალველების წყალობით მთლიანად სომხური „ფულის ტომრების" ("денежных мешков") გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ახალი პოლიტიკური კურსის იდეოლოგი დაინტერესებულა იმით, თუ როგორ აისახა კავკასიის რკინიგზის მშენებლობა ადგილობრივი ხალხების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ველიჩკო



ალექსეი სუვორინი

ამტკიცებს, რომ რკინიგზის მშენებლობით მხოლოდ და მხოლოდ სომხებმა ისარგებლეს, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ბაქო და თბილისი. სომხურმა სამრეწველო ფირმებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს ფოთსა და ბათუმშიც.

ვასილი ველიჩკომ გაბედულად ამხილა სომხები იმაში, რომ ცდილობდნენ დაეწერათ სომხეთის იმგვარი ისტორია, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ჭეშმარიტებასთან: „(...) ნავთობის მრენველთაგან გამოსული სომეხი მეცნიერები ზრუნაენ სომხეთის სრულიად განსაკუთრებული ისტორიის შექმნისათვის, ზრუნაენ ამ პატარა ხალხის და მისი გმირების განდიდებისათვის, დანყებული შემთხვეევითი გენერლებიდან, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ, დამთავრებული არაშემთხვეევითი, ყოველგვარი ჯურის კონტრაბანდისტით, რომლებიც ღირსნი არიან პატივისცემისა, მაგრამ სხვა მხრივ. კერძოდ, სომხები ხელიდან არ უშვებენ შემთხვეევას პარაზიტული საშუალებებით ნინ ნამოსწინონ თავიანთი ისტორიული „დამსახურება“ და დღევანდელი ღირსებები, ამასთან, გზადაგზა ჩრდილი მიაყენონ მეზობელ ხალხებს, რომელთაც უფრო ნათელი, ეჭვშეუტანელი და ღირსეული ისტორია ჰქონდათ. სომხები ქართველებს ისტორულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით ურცხვად ძარცვავენ: ძეგლებიდან შლიან ქართულ წარნერებს, იტაცებენ ძველ, მართლმადიდებლურ სამლოცველოებს, გაუდაბურებულ ეკლესიებს, თხზაენ ისტორიულ უაზრობებს და ძველ სომხურ სამფლობელოებად მიიჩნევენ ისეთ ოლქებს (მხარეებს), სადაც ყოველი ქვა ქართული სამეფოს წარსულზე ღაღადებს. ("Грузии они в области историко археологической науки бессовестнейшим образом: стирают грузинские надписи памятников, захватывают древние православные часовни и опустелые церкви, сочиняют исторические нелепости и указывают как на древние армянские владения на такие области, где каждый камень говорит о прошлом Грузинского царства"). როგრც ეხედავთ, სომეხი ისტორიკოსების „ნაღვანის“ შეფასებისას ვასილი ველიჩკო ობიექტურია, მისი შეხედულება მთლიანად ემთხვეევა ილია ჭავჭავაძის პოზიციას. გასაკვირი არაა, რომ რუსი მნერლისა და საზოგადო მოღვანის ასეთ კატეგორიულ და, რაც მთავარია, მეცნიერულად საესებით სწორ შეფასებას ქართული ეროვნული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა მონონება დაემსახურებინა.

ვასილი ველიჩკოს ნერილების ქართულ თარგმანს ილია ჭავჭავაძე გაზეთ „იეერიაში“ აქვეყნებდა. ილიამ, ცხადია, კარგად უნყოდა, თუ ვის შეკვეთას ასრულებდა "კავკაზის" რედაქტორი, მაგრამ საქართველოს ეაქრობა-მრეწველობასა და თბილისის თვითმმართველობაში სომხების გაბატონების პირობებში ილიას სომეხთა ანტიქართული მოღვანეობის მამხილებელი ნერილების „იეერიაში“ გამოქვეყნება სასურველად მიაჩნდა. ველიჩკოს ნერილების გამოქვეყნების გამო ილიას თავს დაესხნენ არა მარტო სომეხი ნაციონალისტები, არამედ ლიბერალებიც, ასევე ქართველი სოციალ-დემოკრატები. ისინი ილიას ბრალს სდებდნენ არა მარტო მონარქისტულ-კონსერვატორული იდეების, არამედ რასიზმის პროპაგანდაში, არც იმისთვის მიუქცევიათ ყურადღება, რა დიდი იყო ვასილი ველიჩკოს დამსახურება სომეხ მეცნიერთა ნაყალბეევის მხილებაში. ილია ჭავჭავაძეს კი ველიჩკოს ნერილები სწორედ ამ კუთხით აინტერესებდა.

ვასილი ველიჩკოს ანტისომხური ხასიათის ნერილებს ერთნაირად დაუპირისპირდნენ როგორც სომეხი ნაციონალისტები, ისე ლიბერალები. დიდი მოძრაობა დაიწყო სომხურ ემიგრაციაში. 1899 წელს ვასილი ველიჩკო გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორობიდან გადადგა და პეტერბურგში დაბრუნდა. ამ ფაქტმა რუსი მონარქისტებისა და კონსერვატორული ძალების დიდი აღშფოთება გამოიწვია. პერიოდულ გამოცემაში უამრავი გამოხმაურება დაიბეჭდა, განსაკუთრებული პრო-

ტესტი გამოთქვა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა, გამომცემელმა, მწერალმა, თეატრის კრიტიკოსმა და დრამატურგმა **ალექსეი სუვორინმა** (1834-1912). ალექსეი სუვორინი, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებში ოსმალეთში დანყებულ სომეხთა გენოციდს ნაწილობრივ ამართლებდა, წერდა: „რუსეთისათვის უფრო ძვირფასია რუსული ღუმელის ქოთანი, ვიდრე მთელი „სომეხთა საკითხი", რომლისთვისაც ჩვენ ამ ქოთნის შენირვაც კი არ გვსურს(...). რამდენს ხოცავენ და ხოცავენ სომხებს და ვერასგზით ვერ ამოხოცეს (...) ("Для России русский печной горшок дороже, чем весь армянский вопрос, для которого не желаем жертвовать даже этим горшком (...). Сколько режут, режут армян и никак не вырежут(...)". სამაგიეროდ, ვასილი ველიჩკოს თავს დაესხნენ რუსი ლებარალები და სოციალისტური ორიენტაციის ძალები. ველიჩკო ამ თავდასხმებს არ შეუშინდა, მონარქისტულ-კონსერვატორულ ძალებთან გააგრძელა ურთიერთობა, თანამოაზრეებისაგან ჩამოაყალიბა წრე, რომლის საფუძველზეც 1900 წელს შეიქმნა მონარქისტულ-კონსერვატორული ორგანიზაცია „რუსული კრება" ("Русское собрание"). ვასილი ველიჩკო გარდაიცვალა 1903 წლის 31 დეკემბერს (ძვ.სტილით 1904 წლის 13 იანვარს).

ვასილი ველიჩკოს გადადგომა გაზეთ „კავკაზის" რედაქტორობიდან სომეხ ნაციონალისტთა შემოტევის შედეგად არ მომხდარა. ეს იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლების პოლიტიკური მანევრი. ველიჩკომ შეძლო იდეოლოგიურად დაესაბუთებინა ხელისუფლების თითქმის ერთსაუკუნოვანი პროსომხური პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა. მას არც ის გასჭირვებია, რუსული საზოგადოების მონარქისტულ-კონსერვატორული ნაწილი დაერწმუნებინა, რომ სომხები კავკასიაში იმპერიის დასაყრდენი ერიდან იმპერიისათვის საშიშ ძალად იქცნენ. ველიჩკომ თავისი მისია შეასრულა, ამიერიდან სიტყვა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებასა და კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას, პირველ რიგში, მთავარმართებელ გრიგორი გოლიცინს უნდა ეთქვა და თქვა კიდეც. გოლიცინმა თანამედროვეები გააკვირვა შემდეგი გამონათქვამით: „თბილისში ერთადერთი სომეხი იქნება – სომხის ფიტული თბილისის მუზეუმში" ("единственным армянином в Тифлисе будет чучело армянина в Тифлисском музее"). გრიგორი გოლიცინის მოღვაწეობის წლებში დაიხურა რამდენიმე სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შეფერხდა სომხური საქველმოქმედო დაწესებულებების მოღვაწეობა, გამკაცრდა ცენზურა სომხური პერიოდული გამოცემებზე, ზოგიერთი მათგანი საერთოდ დაიხურა. კულმინაციას კი ნარმოადგენდა 1903 წლის 12 ივნისის კანონი, რომლის ძალითაც სომხეთის ეკლესიას (ეჩმიაძინის საპატრიარქოს) ქონება ჩამოერთვა. სომხეთის ეკლესიის მთელი უძრავი ქონება, ასევე მამულებიდან მიღებული შემოსავალი და მთელი კაპიტალი რუსეთის სახელმნიფოს კუთვნილება გახდა. მიღებული შემოსავლებიდან სომხეთის ეკლესიისა და სასულიერო დანესებულებებისათვის სახელმნიფო გამოყოფდა გარკვეულ თანხას, ასევე იძლეოდა თანხებს სახელმნიფო სკოლების დასაარსებლად. 1903 წლის 12 ივნისის კანონის მიზანს სომხეთის ეკლესიის (ეჩმიაძინის საპატრიარქოს) ეკონომიკური ძლიერების შერყევა ნარმოადგენდა. ამ კანონის ძალით, დაიხურა სომხური ეროვნული სკოლები. სომეხმა ნაციონალისტებმა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას ეს აღარ აპატიეს, 1903 წლის 14 ოქტომბერს თბილისის ახლოს, კოჯრის გზაზე სომეხი ტერორისტები თავს დაესხნენ კავკასიის მთავარმართებელ გრიგორი გოლიცინს და მძიმედ დაჭრეს. 1904 წლის 11 აგვისტოს იმპერატორმა გრიგორი გოლიცინი წმ. ვლადიმირის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. მიღებული ჭრილობების მოშუშება გოლიცინს საკმაოდ გაუჭიანურდა. იგი მთავარმართებლად 1905 წლის თებერვლამდე დარჩა. 1905 წლის იანვარში დაწყებულმა რევოლუციამ რუსეთის საშინაო პოლიტიკაში ბევრი რამ შეცვალა, მათ შორის, კავკასიური პოლიტიკაც. სომეხი ნაციონალისტების მიერ დაწყებულ საპროტესტო მოძრაობაში აქტიურად ჩაება ეჩმიაძინის საპატრიარქო და პატრიარქი მკრტიჩ I. ნიკოლაი II-მ შეუძლებლად მიიჩნია ანტისომხური პოლიტიკის გაგრძელება და 1905 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით სომხეთის ეკლესიას ჩამორთმეული ქონება დაუბრუნა. დაინყო სომხური ეროვნული სკოლების გახსნაც.

რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ცვლილება და ანტისომხური პოლიტიკის იდეოლოგიური დასაბუთება უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა. ამ პროცესში უდაოდ დიდი წვლილი შეიტანა გამორჩენილმა მწერალმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, მამაცმა და შეუპოვარმა ადამიანმა ვასილი ველიჩკომ.

თავი IV. საქართველოს საეგზარქოსო 1901–1904 წლებში

§1. საქართველოს საეგზარქოსოსა და ეპარქიების მმართველობა

1.საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობა. 1898 წლის 21 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსად დაინიშნა რუსეთის ეკლესიის უხმინდესი სინოდის ნევრი არქიეპისკოპოსი ფლავიან (გოროდეცკი), რომელიც ამ თანამდებობაზე დარჩა 1901 წლის 10 ნოემბრამდე. 1901 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა არქიეპისკოპ-



ეპისკოპოსები ლეონიდი (ოქროპირიძე) და კირიონი (საძაგლიშვილი)

ოსი **ალექსი (ოპოცკი)**. ალექსი ოპოცკი ეგზარქოსი იყო 1905 წლის 1 ივლისამდე. 1901 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს საეგზარქოსოს პირველი ქორეპისკოპოსი იყო გორის ეპისკოპოსი **კირიონი (საძაგლიშვილი)**, მეორე ქორეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტური იყო.

საეგზარქოსოში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ: საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის გამგედ ვასილი **პეტროპავლოვსკი**, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად – არქიმანდრიტი **გერმოგენი**, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორად – **ლევ რუშინსკი**, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მდივნებად – **სოლომონ ჩიტაძე** და **სოფრომ მგალობლიშვილი**, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად – **ლეოპოლდ ბილფელდი**, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თარჯიმნებად **ვასილ ტაბატაძე** და **დიმიტრი მღებრიშვილი**. თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი იყო დეკანოზი **ესტატე ელიაშვილი**.

2. ქართლისა და კახეთის ეპარქიის მმართველობა. ქართლისა და კახეთის ეპარქიას უშუალოდ განაგებდა **ქორეპისკოპოსი, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი)**. ქართლისა და კახეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი **გერმოგენი**. საბჭოს საპატიო წევრები – **იუსტინ მიცკევიჩი, ვლადიმირ ოსიცკი, ვასილი ველიჩკო**; საბჭოს ნევრები – **კონსტანტინ სტეპანოვიჩი, პიოტრ კონჩუევი, სოლომონ შოშიაშვილი, მარკოზ ტყემალაძე, სერგეი გოროდცოვი**; ეპარქიის სკოლების ზედამხედველი – **ნიკოლოზ ტატიშვილი**; თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იყო არქიმანდრიტი **სტეპანი**; თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების პრორექტორი – **ნიკოლაი დიმიტრიევი**.

ქართლისა და კახეთის ეპარქიაში მოქმედი იყო მამათა 8 და დედათა 2 მონასტერი, მათი წინამძღვრები იყვნენ:

მამათა მონასტრებისა:

1. დავით გარეჯის მონასტრისა –ილუმენი **ბენედიქტე**,

2. თბილისის ფერისცვალების მონასტრისა – არქიმანდრიტი **კესარიოსი**;

3. ხირსის მონასტრისა – არქიმანდრიტი **ლეონტი**;

4. ქვაბთახევის მონასტრისა – არქიმანდრიტი **დოსითეოზი**;

5. ვარძიის მონასტრისა – ილუმენი **სვიმონი**;

6. საფარის მონასტრისა – ილუმენი **ალექსი**;

7. შუამთის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა ვაკანტური იყო;

8. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა ვაკანტური იყო.

დედათა მონასტრებისა:

1. ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრისა – ილუმენი **ა. იუვენალია**;

2. სამთავროს მონასტრისა – ილუმენი **ა. ნინო**.

ქართლისა და კახეთის ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობები ეკავათ მღვდლებს:

1. თბილისის მაზრაში – **სოლომონ შოშიაშვილს, პლატონ ხუროშვილს, იოსებ კოშორიძეს, ირინოდიონ გურგენიძეს, იოანე ჩიტაძეს, სილიბისტრო ხუნდაძეს, მარკოზ ტყემალაძეს**;

2. დუშეთის მაზრაში – **აბრაამ ტარიელაშვილს, იოანე კეზელს, დიმიტრი მეტრეველს, ირინოდიონ სისაურს**;

3. გორის მაზრაში – **დიმიტრი ტატიშვილს, პანტელეიმონ გედევანიშვილს, მანასე კაპანაძეს, გიორგი ედილაშვილს, მიხეილ დევიძეს, დავით კაკაისაძეს, ქრისტეფორე ციცქიშვილს, ზურაბ ჯიოევს, იოანე კაპანაძეს, იოაკიმე გორგაძეს**;

4. სიღნაღის მაზრაში – **კირიონ ღვთისავარიშვილს, სვიმონ ბეგიაშვილს, ისიდორე ვაჩეშვილს, იოსებ შიშნიაშვილს**;

5. თელავის მაზრაში – **მიხეილ ხელაძეს, ნიკოლოზ ხუციშვილს, სამსონ იმნაიშვილს**;

6. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში – **დიმიტრი ხახუტაიშვილს**;

7. ყარსის ოლქში – **იოან ნაზაროვს, ნიკოლაი კომარს**;

8. ფშავსა და ხევსურეთში – **ისიდორე პერტაიას, ვლადიმერ გრძელიძეს, ზურაბ ჯიოევს, იოანე კაპანაძეს, მიხეილ ხელაძეს, ირინოდიონ სისაურს**;

9. კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებაში – **ირინოდიონ ოქროპირიძეს**.

3. იმერეთის ეპარქიის მმართველობა. იმერეთის ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **ლეონიდი (ოქროპირიძე)**, საეპარქიო კანცელარიის მდივანი – **ერასტ თუთბერიძე**, ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი **გაბრიელ ცაგარეიშვილი**. იმერეთის ეპარქიაში მამათა 6 და დედათა 1 მონასტერი შედიოდა, რომელთა წინამძღვრები იყვნენ:

1. გელათის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისა –არქიმანდრიტი **სერაპიონი**;

2. მოწამეთის წმ. დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მონასტრისა – არქიმანდრიტი **ბესარიონი**;

3. ჯრუჭის წმ. გიორგის სახელობის მონასტრისა – არქიმანდრიტი **ნიკიფორე**;

4. ჭელიშის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისა – არქიმანდრიტი დანიელი;

5. ნამარნევის მონასტრისა – არქიმანდრიტი კირილე;

6. კაცხის ამაღლების სახელობის მონასტრისა – ილუმენი გრიგოლი;

კანდელაკს;

2. შორაპნის მაზრაში – დავით ღამბაშიძეს, იაკობ გველესიანს, აბესალომ ტყემალაძეს, ერმალოზ ვეფხვაძეს, გიორგი ტყემალაძეს, მელენტი რიგამაძეს, იასონ აბესაძეს, ლუკა ჭიპაშვილს, ლავრენტი დეკიძეს, სიმონ ჭუმბურიძეს, იოსებ წერეთელს;



იმერელი მღვდელი მეუღლითურთ

7. მღვიმევის მაცხოვრის სახელობის დედათა მონასტრისა – ილუმენია ფეოდოსია;

იმერეთის ეპარქიაში ბლალოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. ქუთაისის მაზრაში – ნესტორ შვანგირაძეს, იოსებ ჭეიშვილს, იუსტინე მამფორიას, ერასტი მაჭარაძეს, ერმალოზ კანდელაკს, ალექსანდრე შანიძეს, მიხეილ მჭედლიძეს, დავით სირმილაძეს, ივლიანე აბესაძეს, ზოსიმე ნემსიწყვერიძეს, ამბროსი

3. რაჭის მაზრაში ალექსი გიორგობიანს, მიხეილ სხირტლაძეს, მათე გორდეზიანს, ნიკიფორე კანდელაკს;

4. ლეჩხუმის მაზრაში – რომან გულბანს, ნიკიფორე ფრუიძეს, ალექსანდრე გერსამიას, ზაქარია მჭედლიძეს, ბესარიონ ნიჟარაძეს;

5. მონამეთის მონასტრის ბლალოჩინი იყო არქიმანდრიტი ბესარიონი;

6. ქალაქ ქუთაისის ბლალოჩინი იყო ნესტორ

ყუბანეიშვილი;

4. სოხუმის ეპარქიის მმართველობა. სოხუმის ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **არსენი** (იზოტოვი), ეპარქიის კანცელარიის მმართველი – **ალექსანდრ ტროიცკი**; სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი **დავით მაჭავარიანი**.

სოხუმის ეპარქიაში 2 მოქმედი მონასტერი იყო:

1. ახალი ათონის მამათა მონასტერი – წინამძღვარი არქიმანდრიტი **იერონი**;

2. დრანდის მამათა მონასტერი – წინამძღვარი იღუმენი **სავა**;

სოხუმის ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. **იასონ ჩაჩანიძეს** (სოფელი ანი), **დავით ხუციშვილს** (სოფელი დრანდა), **დიმიტრი მარღანიას** (დაბა ოჩამჩირე), **იოანე ქავჟარაძეს** (სოფელი ოქუმი), **სამსონ სვანიძეს** (სოფელი რინა), **ავრაამ ივანოვს** (ქალაქი სოხუმი), **ფიოდორ ფილიპოვს** (ქალაქი ანაპა), **ალექსეი ბოგდანოვს** (დაბა ტუაფსე);

2. ახალი ათონის მამათა მონასტრის ბლაღოჩინი იყო არქიმანდრიტი **იერონი**;

3. დრანდის მამათა მონასტრის ბლაღოჩინი იყო იღუმენი **სავა**.

სოხუმის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო დეკანოზი **დავით მაჭავარიანი**, წევრები: **მიხაილ რაძევიჩი, ავრაამ ივანოვი, გეორგ გოლუბცოვი, ალექსანდრ ტროიცკი, პაველ ბარსკი, გეორგ სიდოროვი, სიმონ კლდიაშვილი, ვასილი იასტრებოვი**; ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი – **ვასილი იასტრებოვი**; არქიტექტორი **სიმონ კლდიაშვილი**. ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო არქიმანდრიტი **ბენიამინი**.

5.გურიისა და სამეგრელოს ეპარქია. გურიისა და სამეგრელოს ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)**; ეპარქიის კანცელარიის მმართველი **ლეონტი ჩაჩანიძე**, საეპარქიო ტაძრის (ქ.ფოთში) წინამძღვარი – დეკანოზი **გრიგოლ მაჭარაძე**; ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე – დეკანოზი **გრიგოლ მაჭარაძე**, წევრები: **არქიმანდრიტი გიორგი, ლეონტი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლაძე, თევდორე (თედო) ფორდანია**, მღვდლები: **არსენ თოხაძე, ილარიონ ხახუტაიშვილი, იოანე ეპიტაშვილი, ვარლამ მახარაძე, იაკობ ფანცხავა**; ეპარქიის სასწავლო საბჭოს ოზურგეთის განყოფილების თავმჯდომარე – მღვდელი სოლომონ **ანდღულაძე**; ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე – მღვდელი **იოანე ბობოხიძე**; სენაკის განყოფილების თავმჯდომარე **არისტარხ კალანდარიშვილი**;

გურიისა და სამეგრელოს ეპარქიაში მამათა 6 და დედათა 2 მონასტერი მოქმედებდა:

1. ხობის მამათა მონასტერი, წინამძღვარი – არქიმანდრიტი **სიმეონი**;

2. შემოქმედის მამათა მონასტერი, წიმანძღვარი– არქიმანდრიტი **ნიკოლოზი**;

3. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, წინამძღვარი– არქიმანდრიტი **არსენი**;

5. ჯუმათის მამათა მონასტერი, წინამძღვარი – არქიმანდრიტი **გერასიმე**;

6. მარტვილის მამათა მონასტერი, წინამძღვარი –ეპისკოპოსი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)**;

7. ნახარებავოს მამათა მონასტერი, წინამძღვარი – არქიმანდრიტი **ნიკიფორე**;

8. თეკლათის დედათა მონასტერი, წინამძღვარი – იღუმენია **აფანასია**;

9. ჯიხეთის დედათა მონასტერი, წინამძღვარი – მონაზონი **ელენე**.

გურიისა და სამეგრელოს ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. სენაკის მაზრაში **თევდორე ხოშტარიას, გიორგი ბერიძეს, ანტონ კეკელიას, კაპიტონ განურელიას, სიმონ ქავთარაძეს, კონდრატე ჩაჩიბაიას, ვლადიმერ ელიავას, კლიშენტი ჭანტურიას, არისტარხ კალანდარიშვილს, ანტონ რევიას, კონსტანტინე ბერიძეს**;

2. ზუგდიდის მაზრაში – **მიხეილ მეუნარგიას, ნესტორ ალშიბაიას, ნიკოლოზ თოლორაიას, ევგენი შენგელაიას, ალექსი კვარაცხელიას, ანდრო ვახანიას**;

3. ოზურგეთის მაზრაში – **დიმიტრი ქიქოძეს, ლუკა ხუნდაძეს, ხარიტონ ცინცაძეს, სოლომონ ანდღულაძეს, არსენ თოხაძეს, დიომიდე ჩხაიძეს, ნიკოლოზ რამიშვილს**;

6. საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები და სასულიერო სასწავლებლები. 1901 წლისათვის საქართველოში შემდეგი სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები არსებობდა:

1. **თბილისის სასულიერო სემინარია:** რექტორი არქიმანდრიტი **გერმოგენი**; ინსპექტორი არქიმანდრიტი **სტეპანი**; მასწავლებლები: მღვდელი სტეპანი მურახოვსკი, მღვდელმონაზონი ანატოლი, ვლადიმირ ივანოვი, ივან რუმიანცევი, აფანასი კლენოვი, პაველ ალებოვი, ივან გორტინსკი, ნიკოლოზ მახათაძე, ილია ფერაძე, ნიკოლაი ხმელევსკი, სემიონ ტროიცკი, მიხეილ შარაბიძე, მაქსიმე შარაძე. სემინარიის მოძღვარი იყო მღვდელი იოსებ ლაბაძე, სემინარიის საავადმყოფოს ექიმი – ალექსეი პროზოროვსკი.

2. **ქუთაისის სასულიერო სემინარია:** რექტორი – არქიმანდრიტი **ბენიამინი**, ინსპექტორი მღვდელმონაზონი **ნიკანდრე**; მასწავლებლები: მღვდელი ალექსანდრ ვერბიტსკი, ელადიმირ ტრელინი, ვასილი



ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

ვოპკრესენსკი, დიმიტრი ლებედევი, დიმიტრი ნიკულიჩევი, კონსტანტინ დობროვოლოვსკი, მელიტონ ჩოგოვაძე, კორნელი მალრაძე, რაჟდენ ხუნდაძე, სემინარიის ექიმი – მიხეილ ძნელაძე.

3. **თბილისის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – სამოილ პაშკევიჩი;

4. **გორის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – მიხაილ დობრონრავოვი;

5. **თელავის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – პაველ სოგინი.

6. **ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – ალექსანდრ როჟდესტვენსკი;

7 **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – ვასილი ვასილიევი;

8. **სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი – არქიმანდრიტი გიორგი;

7. ქალთა სასწავლებლები საქართველოში, 1902 წლისათვის საქართველოში ქალთა შემდეგი სასწავლებლები არსებობდა:

1. **თბილისის ქალთა ინსტიტუტი** (დაარსდა 1840 წელს) – ზედამხედველი **ანნა პოპოვა**, ინსპექტორი – პაველ მელლერი;

2. **თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია** (დაარსდა 1865 წელს) – დირექტორი კონსტანტინ შულგინი, ზედამხედველი – მაგდალინა კლაუსი;

3. **თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია** (დაარსდა 1891 წელს) – დირექტორი ფრიდრიხ კრეისბერგი, ზედამხედველი – მარია გორშკოვა;

4. **თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია** (დაარსდა 1894 წელს) – დირექტორი ალექსანდრ ბოგოიაველენსკი, ზედამხედველი – ეილპელმინა სტრუვე;

5. **თბილისის ეპარქიის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1870 წელს), უფროსი – ნადეჟდა ტროფიმოვა, ინსპექტორი – იპოლიტოვი;

6. **ბათუმის ქალთა გიმნაზია** (დაარსდა 1900 წელს) დირექტორი ალექსანდრ სტოიანოვი, ზედამხედველი ნადეჟდა ტიბლენი;

7 **გორის ანასტასიას სახელობის ქალთა პროგიმნაზია** (დაარსდა 1881 წელს) – ზედამხედველი მარიამ მაყაშვილი;

8. **სოხუმის ქალთა პროგიმნაზია** (დაარსდა 1870 წელს) – ზედამხედველი ოლიმპიადა ლუბჩენკო, ინსპექტორი გეორგ სიდოროვი;

9. **ფოთის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1884 წელს) – ზედამხედველი **ანნა** სოკოლოვსკაია;

10. **ბათუმის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1862 წელს) – ზედამხედველი მარია გრიუნერი;

11. **ოზურგეთის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1882 წელს) – ზედამხედველის თანამდებობა – ვაკანტური;

12. **ხონის ქალთა სასწავლებელი** ზედამხედველი **ანასტასია** ვასილიევა;

13. **სიღნაღის ქალთა სასწავლებელი** ზედამხედველი ელიზავეტა ტურსკაია.

1902 წლისათვის წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა შემდეგი საქალაქო სასწავლებლები:

1. **თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი** (გაიხსნა 1854 წელს), გიმნაზიის სტატუსი მიიღო 1883 წელს – ზედამხედველი **ანნა შახოვსკაია**, ინსპექტორი ივან კრუპეინიკოვი;

2. **ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი** (1889 წელს გიმნაზიის სტატუსი მიიღო) – ზედამხედველის თანამდებობა – ვაკანტური, ინსპექტორი ალექსანდრ კოლიაკოვსკი;

3. **თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი** – ზედამხედველი ალექსანდრა ფონ კრატი;

4. **ზაქათალის ქალთა სასწავლებელი** (გაიხსნა 1885 წელს) – ზედამხედველი **ქეთევან ნინამძღვრიშვილი**;

5. **ამიერკავკასიის საბებიო ინსტიტუტი** ზედამხედველი ფიშერი.

§2. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების საკითხი

1900 წლის დასაწყისში საქართველოს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით, კომიტეტის თავმჯდომარემ, ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილმა) 1900 წლის 15 მარტს რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრებს, სინოდის ობერპროკურორს, ობერპროკურორის ამხანაგს (მოადგილეს), რუსეთის სასულიერო აკადემიების რექტორებს და რუს მეცნიერებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების თხოვნით მიმართა: „მომავალ, 1901 წლის 12 სექტემბერს ასი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელი საქართველო ძლევამოსილ და ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთდა. ამ დიდი დღის ღირსეულად აღნიშვნის მიზნით ჩვენ, ქართველები, სხვადასხვა ნოდების წარმომადგენლები, ჩვენი სამთავრობო დაწესებულებები ადგენენ შესაბამის პროექტებს. გვსურს ეს დღე ისე აღვნიშნოთ, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მართლმადიდებელი ეკლესია. საქართველოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსებმა მოხსენებითი ბარათი მიართვეს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარქოს ფლაიანეს და სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების თაობაზე შუამდგომლობის გაწევა სთხოვეს. საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის მიზანი იქნება იმ წერილობითი ძეგლების მეცნიერული დამუშავება, რომლებიც დიდი რაოდენობითაა დაცული სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში, მეცნიერებათა აკადემიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში, საქართველოს საეკლესიო მუზეუმში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში და მონასტრებში. ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია იქერიის ეკლესიის წარსულის შესწავლა, იმ ეკლესიისა, რომელიც XVI საუკუნე იდგა მართლმადიდებლობის სადარაჯოზე; ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ აუცილებელია იმ სხვადასხვა ხასიათის წერილობითი და ნივთიერი ძეგლების მეცნიერული დამუშავება, რომელთაგან ბევრი V-VII საუკუნეებს განეკუთვნება“. ამრიგად, ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის სახელითა და დამაჯერებელი არგუმენტების მოხმობით ითხოვდა შუამდგომლობას, რათა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა დაარსებულიყო.



რუსი ილუმენია იუვენალია

რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1900 წლის 30 აპრილის №2665 ბრძანებით, ეპისკოპოსი კირიონის თხოვნა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების თაობაზე დასკვნისათვის გადაეცა სასულიერო აკადემიის საბჭოს. უწმიდესი სინოდის 1900 წლის 22 მაისის №1 გადაწყვეტილებით, საკითხის განხილვისა და დასკვნის მომზადების მიზნით შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი **ტ. ე. ბარსოვი** (თავმჯდომარე), პროფესორი **ნ. ვ. პოკროვსკი**, დოცენტი **ა. ი. ბრილიანტოვი**. კომისიამ იმუშავა და თავისი მოსაზრება სასულიერო აკადემიის საბჭოს წარუდგინა. საბჭომ საკითხი 1902 წლის 18 მარტს განიხილა და შემდეგი დადგენილება მიიღო:

1. ამჟამად სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში არ არსებობს კათედრა, რომელიც საქართველოს ეკლესიის წარსულს შეისწავლიდა, რის გამოც აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების თაობაზე შუამდგომლობა ყურადღებას იმსახურებს. ასეთი კათედრის დაარსება ხელს შეუწყობდა სამეცნიერო ცოდნის გაფართოებას და მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გაცნობას;

2. საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ხალხის ბედი მჭიდროდ გადაეჯაჭვა სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და ხალხების ისტორიას, მათ შორის, სომხების, სირიელების და, საერთოდ, აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ისტორიას. ამიტომაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსება და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლება გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლებისას სათანადოდ წარმოჩნდება სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და ხალხების ისტორიაც. საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა არ უნდა შეიზღუდოს ტომობრივი სეპარატიზმით, არამედ შეაესოს ის დანაკლისი, რომელიც აკადემიაში აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების ისტორიის სწავლებაში არსებობს;

3. საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლება სასულიერო აკადემიაში არ უნდა იყოს ყველასათვის საუალდებულო, ეს საგანი მხოლოდ მსურველებმა უნდა ისწავლონ;

4. აუცილებელია, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის სანდო და მომზადებული კადრებით დაკომპლექტება. თავისთავად ცხადია, რომ კათედრაზე მომუშავე მასწავლებლისათვის უცხო უნდა იყოს ნაციონალური სეპარატიზმი. უმჯობესია, კათედრაზე სამუშაოდ დაიშვან აკადემიის კურსდამთავრებულები საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლებითა და საჭირო ენების ცოდნით. ასეთი მასწავლებლის მომზადება საგანგებო მუშაობას მოითხოვს, მან კარგად უნდა იცოდეს ქართული, სომხური და სირიული ენები, რომელთა შესწავლა მხოლოდ რუსეთის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შეიძლება. მასწავლებლებმა უნდა იმოგზაურონ ამიერკავკასიაში და საერთოდ, მახლობელ აღმოსავლეთში, გაიუმჯობესონ ენების ცოდნა და შეისწავლონ ქრისტიანი ხალხების წერილობითი ძეგლები და ლიტერატურა.

საკითხის განხილვის შემდეგ სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭომ დაადგინა: საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების საკითხის განხილვისას დაისვა აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანული ეკლესიების ისტორიის შესწავლის საკითხი. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას კომისია: პროფესორი **ნ. ა. სკაბალანოვიჩი** (თავმჯდომარე), **ნ. ვ. პოკროვსკი, ნ. კ. ნიკოლსკი, ი. გ. ტროიცკი, ა. ი. ბრილიანტოვი**. კომისიას თავისი მოსაზრება სასულიერო აკადემიის საბჭოსათვის უნდა წარედგინა.

ახალმა კომისიამ იმუშავა და აკადემიის საბჭოს შემდეგი მოსაზრებები წარუდგინა: სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შეიქმნას

არა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა, არამედ ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიების ისტორიის კათედრა, რომელიც შეისწავლის აღმოსაელეთის მართლმადიდებლური ეკლესიების ისტორიას ეკლესიის განყოფიდან (იგულისხმებოდა ეკლესიის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად განყოფა) მოყოლებული. საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა და სწავლება სწორედ ამ კათედრის ძალებით უნდა მომხდარიყო.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის შექმნის იდეის უარყოფას არ დაეთანხმა პროფესორი ნ. ვ. პოკროვსკი. მან თავისი მოსაზრება შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

1. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების საკითხი მომწიფდა საქართველოში, ადგილობრივ საეკლესიო მოღვაწეთა და მეცნიერთა წრეში; ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის საუკეთესო დროა ამჟამად: საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების პერიოდში;

2. აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ისტორიის საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან ერთად სწავლება გამოიწვევს იმას, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია ვერ წარმოიჩინდება სათანადოდ. გარდა ამისა, პროფესორი ვერ შეძლებს ერთი საგნის ფარგლებში ასწავლოს რამდენიმე ეკლესიის ისტორია და იძულებული გახდება ერთი რომელიმე ეკლესიის ისტორიის სწავლებაზე ალოს აქცენტი და, ცხადია, ეს ეკლესია იქნება საბერძნეთისა;

3. კავკასია, კერძოდ, საქართველო, მდიდარია ისეთი ძეგლებით, რომელთა მსგავსი არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. ეს ძეგლები ბევრია და გაფანტულია მთელ საქართველოში, რომელთა შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიას, არამედ – აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების ისტორიასაც.

სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭო დაეთანხმა კომისიის გადაწყვეტილებას, რის თაობაზეც აცნობა კიდეც რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს. 1902 წლის 3 მაისს უწმინდესი სინოდის უპირველესმა წევრმა, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტმა ანტონიმ (ვადკოვსკიმ) სასულიერო აკადემიის საბჭოს მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნის თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება მოიწონა. ამრიგად, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნის საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

§3. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა

საქართველოში რუსეთის მთავრობისა და რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის საგანმანათლებლო პოლიტიკას განუხრელად ახორციელებდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი და საქართველოს ეგზარქოსი მათდამი დაქვემდებარებული უწყებების მეშვეობით.

1901 წელს დასრულდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილ ივანოვსკის მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე. 1901 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად მიხაილ ზავადსკი დაინიშნა, რომელიც კავკასიაში 1906 წლამდე მოღვაწეობდა. 1902 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა ასე გამოიყურებოდა: მიხაილ ზავადსკი (სასწავლო ოლქის მზრუნველი); ოლქის ინსპექტორები: რუდოლფ შენგერი, ლევ ლაპატინსკი, ალექსანდრ სლოვინსკი; ოლქის კანცელარია: ვიქტორ ანდრეევი (მმართველი), ნიკოლაი ნიკოლაევი, ერასტ სტასი, ვლადიმირ შეშუკოვი, სემიონ ანანიევი, ნიკოლაი კორეუხოვი.

1. მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების ახალი დებულება. 1902 წლის 1 აპრილს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ დაამტკიცა „დებულებანი მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების შესახებ" ამ დოკუმენტის ნაწილი ზოგადი დებულებანი – 15 მუხლისაგან შედგებოდა:

„1. მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლებს მიზნად აქვთ გაავრცელონ ხალხში სარწმუნოება, ზნეობრივი სწავლა-განათლება;

2. საეკლესიო სკოლები განიყოფებიან ორ ჯგუფად: 1) პირველ დაწყებითნი, რომელთაც მიზნად აქვთ პირველდაწყებითი სწავლა მისცენ როგორც ბავშვებს, აგრეთვე მოზრდილებს და 2) ზე საოსტატონი – პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: საეკლესიო-სამრევლო, წერა-კითხვის და საკვირაო სკოლები, მეორეს კი: მეორე კლასიანი და საოსტატო საეკლესიო სკოლები;

3. საეკლესიო სკოლები ინახებიან სრულიად ან ნაწილად: 1) ერობათა, ქალაქთა, საზოგადოებათა, ნოდებათა, ეკლესიათა, სამრევლოთა, მონასტერთა სამრევლო სამზრუნველოთა და ძმობათა, საქველ-მოქმედო დანესებულებათა და კერძო პირთა შენირულების საშუალებით; 2) უწმიდესის სინოდის თანხით; 3) სახელმწიფო ხაზინისგან მოცემული ფულით და 4) იმ თანხით, რომელსაც

იძლევიან იმ ადგილებში, სადაც ჯერეთ ერობა არ არის შემოღებული, საგუბერნიო საკომლო გადასახადიდგან. საკვირაო სკოლები ინახებიან იმ შენირულებით, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის პირველ პარაგრაფში;

4. საეკლესიო სკოლები შეიძლება იყვნენ როგორც სავაჟო, აგრეთვე საქალებო. პირველ დანყებითს სკოლებში ერთად შეუძლიან ისწავლონ ორივე სქესის წარმომადგენლებმა. იმ საკვირაო სკოლებში, რომლებშიც ერთად ორივე სქესის წარმომადგენლები სწავლობენ, მიღებულ უნდა იქნან ბავშვები არა უფროს 12 წლისა;

5. საეკლესიო სკოლებში მიიღებიან ყველა პირნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, წოდების და შეძლების განურჩეველად. წერა-კითხვის და საეკლესიო სამრველო სკოლებში საეპარქიო მღვდელმთავრის ნებართვით მიღებულ იქმნებიან აგრეთვე შვილები სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა და აგრეთვე მკვნარელთა (მწყალობელთა) სკოლებში მიიღებიან არამართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელნი ბავშვები მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოადგენენ მშობლებისგან, ანუ იმ პირთაგან, რომელთა მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, თანხმობას მათის მართლმადიდებელის უწყების სკოლაში შესვლაზედ;

6. პირველ დაწყებითს და მეორე კლასიან სკოლებში დაინიშნებიან მზრუნველად ორივე სქესის წარმომადგენელნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა იმ პირთაგან, რომელთაც ხელი შეუწყეს სკოლის დაარსებას, ან რამე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს მათ. ყოველ საეკლესიო-საოსტატო სკოლას უნდა დაენიშნოს საპატიო მზრუნველნი – მამაკაცი ან ქალი. მათ ირჩევს სკოლის საბჭო. მზრუნველნი დამტკიცებულ იქმნებიან ამ თანამდებობაზე საეპარქიო მღვდელმთავრისაგან;

7. იმ პირთ, რომლებსაც რაიმე სამსახური მიუძღვით სახალხო განათლების გაერცელებაში საეკლესიო სკოლების შემწეობით, უწმიდესის სინოდისაგან შეიძლება ებოძოთ საპატიო მზრუნველის ნოდება მთელი ეპარქიის, მაზრის, ანუ საბალალოჩინო ოლქის საეკლესიო სკოლებისა;

8. დაწერილებითი წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამტკიცებულ იქმნას ორივე სქესის წარმომადგენლები საეკლესიო სკოლების საპატიო მზრუნველად, დადგენილ იქმნებიან უწმიდესის სინოდისაგან;

9. საეკლესიო სკოლებში სწავლის საქმე უნდა მიანდოთ მხოლოდ მართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელ პირთ. საღმრთო სჯულის სწავლება უნდა დაეკისროთ სკოლის გამგე მღვდლებს. წერა-კითხვის, საეკლესიო-სამრველო და საკვირაო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება შეიძლება მღვდლის გარდა მიენდოთ კრებულის დანარჩენ წევრებს მხოლოდ გამგის მეთვალყურეობით, იმ პირობით კი, რომ თვითეულ ამისთანა შემთხვევაში აღებულ იქმნას საჭირო ნებართვა საეპარქიო მღვდელმთავრისაგან;

10. საეკლესიო სკოლებში უნდა იხმარებოდეს სახელმძღვანელოები – საღმრთო სჯულის საგნებისა, მონონებულნი უწმიდესის სინოდისაგან და სხვა საგნებისა, მონონებულნი უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან. საკვირაო სკოლებში კი შეიძლება ხმარებულ იქმნან საერო განათლების სამინისტროსაგან მოწონებული სახელმძღვანელოები;

11. საკვირაო, მეორე კლასიან და საეკლესიო-საოსტატო სკოლებში უნდა დაარსებულ იქმნან საბჭოები სასწავლო და სამეურნეო საკითხთა გადასაწყვეტად. საბჭოები შედგებიან მასწავლებელ ვაჟთა და ქალთაგან. თავმჯდომარედ უნდა იყვენენ სკოლის გამგენი. საკვირაო სკოლების საბჭოების წევრებად შეიძლება მიღებულ იქმნან აგრეთვე სკოლის დამფუძნებელნი და მზრუნველნი. საკვირაო სკოლის საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება დანიშნულ იქნან, სკოლის გამგეთა გარდა, სხვა პირნიც საეპარქიო მღვდელმთავრის დამტკიცებით;

12. ყოველ საოსტატო სკოლასთან დაარსებულ უნდა იქნას საზოგადო საცხოვრებელი იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ სკოლაში ცხოვრებას. საზოგადო საცხოვრებლებში მოსწავლენი იცხოვრებენ საკუთარ ხარჯზე. შესანახი ხარჯის რაოდენობა განსაზღვრულ იქნება სკოლის საბჭოსაგან;

13. შეუძლებელ მონაფეთათვის შეიძლება დაწესებულ იქნას სტიპენდიები კერძო პირთა, საზოგადოებათაგან და დაწესებულებათაგან საეკლესიო-საოსტატო სკოლებში. ზემოხსენებული სტიპენდიების გარდა დაწესებულ იქნება სახელმწიფო სტიპენდიები, რომელთა რიცხვი და როდენობა განისაზღვრება თითო სკოლისთვის უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან;

14. ორივე სქესის პირნი, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო სტიპენდიებით, სწავლის დამთავრების შემდეგ მოვალენი არიან იმსახურონ მასწავლებლებად მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყებაში ხუთი წელინადი. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ხუთი წელინადს არ გადიხდის, ან ხუთი წლის შესრულებამდის სამსახურს თავს დაანებებს, საოსტატო სკოლის ყოფილი მოწაფენი ვალდებულნი არიან, დაუბრუნონ უსარგებლოდ ის ფული, რაც მათზედ დახარჯულია სკოლას. ამ ვალიდგან გამოკლებულ იქნება ნამსახურევი დროს ხვედრი. ამ მუხლს არ ექვემდე-

ბარებიან ის მასწავლებელნი ქალნი, რომლებიც სავალდებულო ხუთის წლის ვადის გადახდამდის გათხოვდებიან;

15. საოსტატო სკოლებში მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მკურნალის მოწმობას წარმოადგენენ იმის შესახებ, რომ არავითარი სხეულის იმისთანა ნაკლი არა აქვთ, რომელიც დაუშლის მათ მომავალ მასწავლებლობის თანამდებობის აღსრულებას."

1902 წლის 1 აპრილის დებულების მიხედვით, მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლები ორ საფეხურად იყოფოდა: 1. **პირველდაწყებითი სკოლები**: ა)წერა-კითხვის სკოლები, ბ)საეკლესიო-სამრეველო სკოლები, გ) საკვირაო სკოლები; 2. **საოსტატო სკოლები**: ა)მეორეკლასიანი სკოლები, ბ)საეკლესიო-საოსტატო სკოლები.

პირველდაწყებითი სკოლების დაარსების ნებართვა სხვადასხვაგვარად გაიცემოდა, განსხვავებული იყო სწავლის ხანგრძლივობა და პროგრამა. **წერა-კითხვის სკოლები** სამრეველოს მღვდლის თანხმობითა და ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით იხსნებოდა ეკლესიებსა და მონასტრებთან როგორც სოფლებში, ისე ქალაქად. ორივე სქესის მონაფეებს ორი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ: საღმრთო სჯულს (ლოცვებს, საღმრთო ისტორიას და მცირე კატეხიზმოს), საეკლესიო-სლავურ წერასა და კითხვას, რუსულ წერასა და კითხვას, ანგარიშს და საეკლესიო გალობას. **საეკლესიო-სამრეველო სკოლები**, რომლებიც, ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ორივე სქესის მოწაფეთათვის იქმნებოდა ეკლესიებსა და მონასტრებთან, ერთ და ორკლასიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთკლასიან სკოლებში სწავლა სამ წელინადს, ორკლასიანში კი ოთხ წელინადს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხუთ წელინადსაც გრძელდებოდა. სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სასწავლო საბჭო. ერთკლასიან სამრეველო სკოლებში ასწავლიდნენ: საღმრთო სჯულს(საღმრთო ისტორიას, ღვთისმსახურების განმარტებას და მცირე კატეხიზმოს), საეკლესიო გალობას, საეკლესიო-სლავურ წერას და კითხვას, რუსულ წერასა და კითხვას, ანგარიშს, ხელსაქმეს (გოგონათა კლასებში). ორკლასიან სკოლებში, ზემოთ ხსენებული საგნების გარდა, ისწავლებოდა: მოკლე საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია, გეოგრაფია, მოკლე ცნობები ფიზიკიდან ბუნების უმთავრესი მოვლენების შესახებ, ხაზვა, ხატვა. **საკვირაო სკოლები** შეიძლებოდა დაარსებულიყო ეკლესიებთან ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით. თუ საკვირაო სკოლა ქარხნებთან გაიხსნებოდა, ნებართვა გუბერნიის ხელისუფლებას უნდა გაეცა. საკვირაო სკოლებში სწავლება ერთკლასიანი სამრეველო სკოლების პროგრამით მიმდინარეობდა. საკვირაო სკოლებში მეცადინეობა კვირა დღეს იმართებოდა, ხოლო საუფლო დღეებში – წირვის დასრულების შემდეგ.

საოსტატო სკოლების ორივე საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამა და მიზანი განსხვავებული იყო. **მეორეკლასიანი სკოლების** მიზანი იყო მასწავლებლების მომზადება წერა-კითხვის სკოლებისათვის. სკოლაში მიიღებოდნენ როგორც ვაჟები, ისე გოგონები 13-16 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ პირველდაწყებითი სკოლა. გოგონათა ჯგუფში იღებდნენ ისეთ მოწაფეებსაც, რომელთაც მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდათ, ასეთ შემთხვევაში მოწაფე მისაღებ გამოცდას აბარებდა. მეორეკლასიან სკოლებში სწავლა სამ წელიწადს გრძელდებოდა და პროგრამა შემდეგ საგნებს მოიცავდა: საღმრთო სჯული, ზოგადი და რუსეთის ისტორია, საეკლესიო გალობა, საეკლესიო-სლავური ენა, რუსული ენა, სამშობლოს ისტორია, გეოგრაფია, მოკლე ცნობები ფიზიკიდან ბუნების მოვლენების შესახებ, გეომეტრიული ხაზვა, ხატვა, დიდაქტიკა, ცნობები ჰიგიენიდან, სუფთა წერა, ხელსაქმე (გოგონების კლასისათვის). მეორეკლასიან სკოლებში ამ საგნებს, ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლებოდა დამატებოდა: საეკლესიო მხატვრობა, მუსიკა, სხვადასხვა ხელობის შესწავლა, სოფლის მეურნეობის შესწავლა.

საეკლესიო-საოსტატო სკოლები დაარსდებოდა მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით და მის მიზანს შეადგენდა მასწავლების მომზადება ყველა დონის საეკლესიო სკოლებისათვის. საოსტატო სკოლაში მიიღებოდნენ 15-17 წლის ვაჟები და გოგონები, რომელთაც დასრულებული ჰქონდათ მეორეკლასიანი სკოლები ან შესწავლილი ჰქონდათ ამ სკოლის პროგრამა. მისაღები გამოცდები ტარდებოდა მეორეკლასიანი სკოლის პროგრამით. სწავლის ხანგრძლივობა სამ წელს შეადგენდა, ამ ხნის განმავლობაში მოწაფეებს უნდა შეესწავლათ: საღმრთო სჯული, საეკლესიო ისტორია (მსოფლიო და რუსეთის ეკლესიის ისტორია), დიდაქტიკა, პედაგოგიკა, საეკლესიო გალობა, მუსიკა, ლოტბარობა, საეკლესიო-სლავური ენა, რუსული ენა, სიტყვიერება, ლიტერატურა, მსოფლიოსა და რუსეთის ისტორია, მსოფლიოსა და რუსეთის გეოგრაფია, არითმეტიკა, მათემატიკა, გეომეტრია, მინის მზომელობა, ცნობები ბუნებაზე (მის უმთავრეს ძალებსა და მოვლენებზე), ხაზვა, ხატვა, ჰიგიენა, ხელსაქმე

(გოგონათა კლასებისათვის). საეკლესიო-საოსტატო სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებს იბარებდა კომისია, რომლის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ეპარქიის მეთვალყურე ან ეპარქიის სასწავლო საბჭოს ნევრი. კომისიას ეპარქიის მღვდელმთავარი ამტკიცებდა.

საეკლესიო-საოსტატო სკოლების მონაფე ვაჟები სწავლის პერიოდში განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან, გარდა სამხედრო ბეგარისა.

2. ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა მოქმედებაში. კავკასიის სასწაელო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი, როგორც აღნიშნეთ, თანამდებობაზე 1901 წლის მაისამდე დარჩა. 1901 წლის 24 მაისს სასწავლო ოლქის მზრუნველად მიხაილ ზავადსკი დაინიშნა. თანამდებობის დატოვებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1897 წელს, იანოვსკიმ რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრ ივან დელიანოვს (1882-1897) მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1. საქართველოში სამრეველო და საკვირაო სკოლები მხოლოდ ადგილობრივი სამღვდელოების ხელში არ უნდა დარჩეს, რადგან ეს სამღვდელოება ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიასთან შერწყმის ნინააღმდეგია; 2. საქართველოს უმაღლეს სასულიერო წოდებას უპირატესად ქართველები შეადგენენ, ქართველია ორი ქორეპისკოპოსი და ორი ეპარქიის მმართველი; 3. ქართველები არიან სკოლების გამგეები, ბლაღოჩინები, მღვდლები და სამრეველო და საკვირაო სკოლების მასწავლებლები. სოფლის სკოლებში რუსი სამღვდელოება საერთოდ არ არის, ქალაქში კი – ძალიან ცოტა; 4. ქართველი სამღვდელოება გაუნათლებელია, მღვდლებს არ შეუძლიათ სალვთო სჯულის სწავლება და რუსული ენაც ცუდად იციან; 5. სოფლის მღვდლებს შორის ისეთებიც არიან, რომელთაც რუსული საერთოდ არ ესმით, რის გამოც რუსულ ენას ქართველი საერო პირები ასწავლიან. ეს მასწავლებლები თვლიან, რომ სამრეველო სკოლის მიზანი სულაც არ არის რუსული ენისა და რუსული კულტურის შესწავლა; 6. სამრეველო და საკვირაო სკოლების ხელმძღვანელობაში ქართველი მღვდლები არიან, ხოლო ახალგაზრდა მასწავლებლებში საქართველოს განთავისუფლების იდეა ძალზე პოპულარულია. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო კირილ იანოვსკი დაასკვნიდა, რომ საკვირაო და სამრეველო სკოლები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებდნენ.

1897 წლის 18 იანვარს საქართველოს ეგზარქოსმა **ელადიმირ ბოგოიავლენსკიმ** რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ **კონსტანტინ პობედონოსცევს** საეგზარქოსოში არ-



ეგზარქოსი ელადიმირი (ბოგოიავლენსკი)

სებული საკვირაო სკოლების შესახებ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. კირილ იანოვსკისა და ელადიმირ ბოგოიავლენსკის მოხსენებები პრაქტიკულად ერთსა და იმავეს ამტკიცებდა, რამაც ძალზე შეაშფოთა ობერპროკურორი. კონსტანტინ პობედონოსცევმა საქართველოს ეგზარქოსს განგებო წერილით მიმართა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა:

1." ქართველ საზოგადოებაში თუ რამდენად ძლიერია ქართულ ენის გავრცელების სურვილი, შემდეგი გარემოება აშკარად გვიმტკიცებს: ქართველთ (ივერიელთ) ტომს ეკუთვნიან ქართლელები, იმერლები, მეგრელები და სვანები. ქართველებისა და იმერლების ენა ძლიერ მიაგავს ერთმანერთს, ხოლო ორ უკანასკნელ ენას არავითარი მგზავსება არა აქვსთ ამათთან. ასე რომ, სვანს და მეგრელს არც ერთმანეთისა ესმურებათ რა. არ ესმურებათ არც იმერულისა და არც ქართულისა. მეგრული და სვანური ენა ქართულ ენას უფრო დაშორებულია, ვიდრე პოლონური და ჩეხური რუსულს."

2." სამღვდელოება და სკოლები რაღას აკეთებენ? აქაოდა, ქართველ ტომთ საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზედ აქვთ შედგენილიო, მეგრელების და სვანების ბავშვებს თავდაპირველად ქართულ ენას ასწავლიან, ხოლო შემდეგ ამისა – რუსულს. ორის წლის განმავლობაში ორის ენის შესწავლა სკოლაში შეუძლებელია და რადგან

სკოლების ზედამხედველნი და მასწავლებელნი ქართველნი არიან, რასაკვირველია, უმთავრესს ყურადღებას ქართულ ენას აქცევენ. რაკი ეს ასეა, აშკარაა, ქრისტიანულ და რუსულ კულტურის გავრცელებისათვის თავდაპირველად, ვიდრე სვანეთსა და სამეგრელოში პირველდაწყებით და სამრევლო სკოლებს გახსნიდნენ, საჭირო იყო სამღვთო წიგნების გადათარგმნა სვანურ და მეგრულ ენაზედ. საჭირო იყო ღვთის-მსახურების შემოღება ამ ენებზე და ამ ენების საშუალებით რუსულ ენის შესწავლა ისე, როგორც საერო სკოლებშია, ხოლო სამრევლო სკოლებში ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ და ადგილობრივი სამღვდელოება სამოსწავლო უწყებას ხელს არ უწყობს მეგრულ და სვანურ ენებზე ლოცვების გამოცემაში. ხალხი, რომელსაც ქართული არ ესმის, ეკლესიაში არ დაიარება, ეს კიდევ ახალი საბუთია სამღვდელოებისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ ქართულ ენის სწავლებაა საჭირო. მეგრულ ენაზედ სამოსწავლო უწყების მოხელეების მიერ გადათარგმნილი ლოცვები და ლიტერატურა ადგილობრივმა სამღვდელოებამ დაიწუნა, რადგან მეცდომებით ყოფილან ნათარგმნი, ხოლო რა შეცდომები შეიპარა თარგმანში, ან როგორ უნდა შესწორებულიყო, არას ამბობენ";

3. „ქართული ენის გავრცელების სურვილი ისეთი ძლიერია, რომ აფხაზებშიაც კი, რომელთაც ქართველებთან არაეითარი კავშირი არა აქვთ რა, არამც თუ ნირვა-ლოცვა ქართულია, სამრევლო და მართლმადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლაშიაც კი აფხაზების შვილებს ქართულ ენას ასწავლიან. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში სოხუმში ახლად განწესებულ ეპისკოპოსისაგან (რუსია) მივიღეთ ცნობა, ლოცვებს აფხაზურად გადაეთარგმნებენ და სკოლებში რუსული ენის სწავლებას ყურადღებას მივაქცევო";

4. „თუ რამდენად მტრულად ეკიდება ქართველი სამღვდელოება რუსულ ენის გავრცელებას, სხვათა შორის, დეკანოზის №-ის სიტყვებიდანაც სჩანს. სოფელ X-ში სამინისტროს სკოლაში მასწავლებლად ყოფნის დროს მღვდელმა მ-მ განაცხადა, რუსულად სამღვთო სჯულს ვერ ვასწავლიო და თავის რაპორტში სთქვა: ამგვარად სწავლება „არაპედაგოგიურია, უნესოა და ბოლოს ცოდვაცააო";

კონსტანტინ პობედონოსცევი საქართველოს ეგზარქოსს ასეევე აუწყებდა: „ბ. მზრუნველის (კირილ იანოვსკის – ე. გ.) აზრით, ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში მოიპოვებიან (რუსი და ქართველი) რიგიანი და რუსეთის ერთგული მღვდელნი, რომელთაც უკეთესად შეუძლიათ სკოლის ხელმძღვანელობა. ამიტომ მღვდელ მ-ს



კონსტანტინ პობედონოსცევი

მაგიერად და ბევრი სხვაც რომ მიეღოთ მხედველობაშიაო, ადგილობრივ სამღვდელოებას დიდის გაფრთხილებით და გამთლიანებით უნდა ეძღვნოდეს სკოლის ხელმძღვანელობის უფლება".

წერილი მთავრდებოდა თხოვნით: „ყოველსაე ამას ვაუწყებ რა თქვენს უსამღვდელოესობას, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს უმორჩილესად გთხოვოთ მონყალეო მეუფეო და მწყემსმთავარო, მაცნობოთ თქვენი აზრი კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ წარმოდგენილი მოსაზრების შესახებ."

განათლების რუსიფიკატორული პოლიტიკა არ შეცვლილა ეგზარქოსების: **ფლავიან გოროდეცკის (1898-1901), ალექსი ოპოცკის (1901-1905), ნიკოლაი ნალიმოვის (1905-1906), ნიკონ სოფრინსკის (1906-1908), ინოკენტი ბელიაევის (1909-1913), ალექსეი მოლჩანოვის (1913-1914), პატრიარქ ოკნოვის (1914-1915) და პლატონ როჟდესტვენსკის** (1915-1917) მმართველობის პერიოდში. ამ პოლიტიკას პეტერბურგიდან კონტროლს უწევდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი **კონსტანტინ პობედონოსცევი**, რომელსაც ეს თანამდებობა დიდხანს, **1880** წლიდან **1905** წლამდე, ეკავა. უწმინდესი სინოდის ობერპროკურორთან შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრები: **ნიკო-**

ლაი ბოგოლეპოვი (1898-1901), პიოტრ ვანოვსკი (1901-1902), გრიგორი ზენგერი (1902-1904), ვლადიმირ გლაზოვი (1904-1905), ივან ტოლსტოი (1905-1906), პიოტრ კაუფმანი (1906-1908), ალექსანდრ შვარცი (1908-1910), ლეე კასსო (1910-1914), პაველ იგნატიევი (1915-1916), ნიკოლაი კულჩიცკი (1916-1917) და კაეკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი მიხაილ ზავადსკი (1901-1906).

XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვან ფიგურად იქცა დეკანოზი იოან (ივან) ეოსტორგოვი (1864-1918), რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში, პრაქტიკულად, ეგზარქოსის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდა. ივან ეოსტორგოვი დევნიდა ქართველ სამღვდელოებას, სასულიერო სემინარიების, სასულიერო სასწავლებლების, სამრევლო და საკვირაო სკოლების ქართველ მასწავლებლებს. უცხოეთში გამომავალმა გაზეთმა „საქართველომ" 1903 წლის მეხუთე ნომერში (1 ივლისი) გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია სათაურით: „ეოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება", რომელიც ეგზარქოს ალექსი ოპოცკისა და დეკანოზ იოან ეოსტორგოვის დასავლეთ საქართველოს ეპარქიებში მოგზაურობას ეხებოდა. სტატიის სათაურს ფრჩხილებში ასეთი მინაწერი აქვს: „ჩვენის კორესპონდენტისაგან". წერილს ავტორის ხელმოწერა არ აქვს. მოვიტანთ ერცელ ამონარიდს გაზეთიდან:

„მათი (ალექსი ოპოცკისა და იოან ეოსტორგოვის – ვ. გ.) მოგზაურობა სრულებით არ გვანდა სულიერის მამების მოგზაურობას, არამედ მტარვალების მოგზაურობას. მათ ამალას შეადგენდენ ჯაშუშები, პოლიციელები და დარაჯები. ოვაციებს და დიდ ამბებს მოელოდნენ ეგზარხოსი და ეოსტორგოვი, მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ – სამეგრელოში საზოგადოება დიდათ უმაყოფილოთ მიეგება სულიერ მგზავრებს. იშვიათი და მეტად სასიამოვნო მოვლენაა მეგრელების საქციელი. მათ კარგათ შეიგნეს, თუ რა მოელოდათ სამეგრელოდან ქართული ენის განდევნით. მათ ესმით, რომ სამეგრელოს სხვა საქართველოსაგან განშორება უბედურება იქმნება ერთისაც და მეორესიც. ტყუილად გაიძახოდა ეოსტორგოვი: მეგრელებო, თქვენ ქართველები არა ხართ, ქართული ენა თქვენი ენა არ არისო! ფოთში მეგრელთა დეპუტაცია შეხვდა ეგზარხოსს და პირდაპირ უთხრა: ჩვენ არც მთავრობის წინააღმდეგ ვამბობთ რასმე, არც რუსულის ენის წინააღმდეგ, მხოლოთ გთხოვთ, რომ ჩვენი სამშობლო ქართული ენა დასტოვოთ ჩვენს ეკლესიებს და სკოლებშიო. სულელმა ეგზარხოსმა შეატყო, რომ საქმე ცუდად იყო და სრულიათ ლაპარაკი აუკრძალა დეპუტაციას. ეგზარხოსს გამოექომაგა ეოსტორგოვი და მეგრელებს უზრდელათ უპასუხა: თქვენი შუამდგომლობა უადგილოა და უსინდისოო! მეგრელებმა თავიანთი თხოვნა კვლავ განიმეორეს, როდესაც ეგზარხოსი ქალაქის თავთან იყო სადილათ. აქ რამდენიმე მწარე სიტყვა მოხვდა ეგზარხოსს და ეოსტორგოვს. აქეე სადილზე იყო ცნობილი მოღალატე, გაიძერა თ. ჟორდანია, რომელიც მზათაა ერთის ჩინისთვის მთელი საქართველო გაყიდოს. ეგზარხოსმა არა ერთხელ დაასახელა მოწმედ ჟორდანია: აი, მეგრელი და თვითონ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო. მაგრამ ჟორდანიას ჯერ კიდეე შერჩენია სირცხვილის ნასახი და ქართველებთან საჯაროთ ვერ უარჰყო მეგრელების ქართველობა. თითქოს ენა ჩაუვარდაო და ეგზარხოსის შეკითხვაზე ხმას ვერ იღებდა. მთელი სამეგრელო შეინძრა ეგზარხოსის და ეოსტორგოვის მოგზაურობის გამო. ყველანი ემზადებოდნენ (განსაკუთრებით ხობში) საჩიელელათ და სათხოვნელათ. ჯაშუშების შემწეობით ეოსტორგოვმა გაიგო ესა და დაუყოვნებლივ შესცვალა მოგზაურობის მარშრუტი და თანაც მეტი პოლიციელები და დარაჯები მოითხოვა. მეგრელებისას არსად არ ჩერდებოდნენ, არც არაფერს ჭამდნენ მათთან. მეგრელები მაინც ყველგან ხვდებოდენ და ემდურებოდენ, სამშობლო ენას ნუ მოგვისპობთ, თანაც ემუქრებოდენ – წინააღმდეგ შემთხვევაში არეულობა მოხდებაო."

გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ სტატიაში კიდევ ერთი ასეთი ამბავია მოთხრობილი: „წარსულ აპრილში (1902 წლის აპრილში – ვ. გ.) გორში შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ეოსტორგოვმა ქართველების შესახებ. სამასწავლებლო სემინარიის დირექტორთან (რუსთან) სადილათ იყვნენ მიწვეულნი ეოსტორგოვი და ორი თუ სამი ქართველი მასწავლებელი. სადილის დროს ეოსტორგოვმა შემდეგი „სადღეგრძელო" დალია: არავინ მეზიზღება ისე, როგორც ქართველები. ქართველები თავიდანვე საზიზღრები იყვნენო. თუმცა საქართველო მღვთისმშობელს შეხვდა წილათ, მაგრამ იმანაც ვერ გაბედა ამ საზიზღარ ხალხში წამოსვლაო და სხვები გამოგზავნაო. სამართლიანად სწყეველიდა ყველა ეგზარხოსი საქართველოს და სწყეველის დღესაც. ქართველები მუდამ მტრები არიან ჩვენი, მათ კი არ შემოუერთებიათ, არამედ სომხებმა შემოგვიერთეს საქართველო. ყველა ქართველი ჩვენ გველატაკობსო(...)"

ცხადია, იოან ეოსტორგოვს, ცნობილ მედროვეს, ასეთი განცხადებების გაკეთების უფლებას აძლევდა რუსეთის საგანმანათლებლო პოლი-

ტიკა, კონკრეტულად, საქართველოს ეგზარქოსი ალექსი ოპოცკი. 1905 წელს, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა, მედროვემ საფრთხე იგრძნო და თბილისიდან გაიპარა, თუმცა შემდეგ საჯაროდ აცხადებდა, ქართველებმა გამხადეს იძულებული, თბილისი დამეტოვებინაო.

• • •

გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ მასალაში, როგორც ვნახეთ, უდიერადაა მოხსენებული ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თევდორე (თედო) ჟორდანია (1854-1916). სტატიაში აღწერილი ამბების დროს თედო ჟორდანია გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭოს მზრუნველი იყო, მოგვიანებით იგი იმერეთის ეპარქიაში გადაიყვანეს. თედო ჟორდანიას ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ **იაკობ ფანცხავამ** (1867-1955) და სხვებმა ბრალი დასდეს რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერაში. ოპონენტების ბრალდებები ასეთი იყო: 1. თედო ჟორდანია მეგრელებს ქართველებად არ მიიჩნევდა; 2. თედო ჟორდანია სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის ნაცვლად მეგრულის სწავლებას უჭერდა მხარს. როგორც ეხედავთ, ბრალდება ძალზე სერიოზული იყო.

თედო ჟორდანიამ პრესაში რამდენჯერმე უპასუხა ოპონენტებს, 1913 წელს კი ქუთაისში დაბეჭდა წიგნი ვრცელი სათაურით: **„ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში. II. ვინ დაიცავა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში?(ანტიკრიტიკა პასუხად ბ. ი. ფანცხავას და მის კამპანიას."** წიგნის შესავალში თედო ჟორდანია წერდა: „ამ წარსულ ათიოდე წლის შიგნით ქართულს პრესაში იმდენი სიცრუე დაიწერა შესახებ ქართულ ენის მდგომარეობისა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, რომ მეტად საჭიროდ მიმაჩნია მტკიცე საბუთებით გაოფანტოს ის ნისლბურუსი, რომელიც ამ საკითხავს განზრახ შემოახვიეს შენ-ჩემობით და შურით დაბნეულმა პირებმა, რომ ტალახი მოსცხონ ნამდვილს მოღვაწეებს, მათზე ჯაერი იყარონ, სამაგიერო გადაუხადონ." მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ორგანიზატორად თედო ჟორდანია იაკობ ფანცხავას მიიჩნევს: „ამ კაცების, ამ ცრუ-კორესპონდენტების მეთაური და სულის ჩამდგმელი გახდა ცნობილი ბ. ი. ფანცხავა, წევრი სამეგრელოს საეპარქიო საბჭოსი (იგულისხმება გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭო – ვ. გ.), უწინ ჩემი ტკბილი მეგობარი, მერე მტრად გადაქცეული. მიზეზი მისი ჩემზე გადაკიდებისა კერძო ხასიათის ანგარიშები იყო ჩვენს შორის და არავითარი კავშირი არ ჰქონია ქართულ ენასთან." სანინააღმდეგოს ამტკიცებდა იაკობ ფანცხავა. 1905 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებულ წერილში იგი აცხადებდა: "ურიცხვი ქალალდები მაქვს შეკრებილი ბ. თ. ჟორდანიასაგან ქართული ენის მოღალატეობის დასამტკიცებელი, თვით მისგანვე ხელმოწერილნი და ნომრიანები." სამი თვის შემდეგ იაკობ ფანცხავამ რამდენიმე დოკუმენტი მართლაც გამოაქვეყნა. თედო ჟორდანიამ ამ დოკუმენტების თაობაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ბ. ფანცხავასაგან გამოქვეყნებული „ჩემგან ხელმოწერილი ნომრიანი ქალალდები" მტკიცე საბუთებია იმისი, თუ როგორ სცდილობდნენ ჩემი ფოთელი მეგობრები (ეპარქიის სასწავლო საბჭო ფოთში მუშაობდა – ვ. გ.)ქართული ენის ხიფათში ჩაგდებას, ოღონდ-კი ამ მსხვერპლის გამეტებით თავისი კერძო გულის ნადილი აესრულებინათ", ანუ თედო ჟორდანიასათვის ეუნოთ.

ზემოთ ხსენებულ წიგნში თედო ჟორდანია ამტკიცებს, რომ იგი თავგამოდებით ებრძოდა ეგზარქოს ალექსი ოპოცკისა და დეკანოზ იოან ვოსტორგოვის საგანმანათლებლო პოლიტიკას და ამის დამადასტურებლად ოფიციალურ დოკუმენტს – თედო ჟორდანიას მიერ შედგენილ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭოს 1902-1903 წლების ანგარიშს – უთითებს. ანგარიშიდან მოტანილი ამონარიდის შემდეგ თედო ჟორდანია წერს: „ვინ გაუბედავდა მაშინ, იმ ბიუროკრატიის ძლიერების დროს მ[ამა] ვოსტორგოვს მისის ძალმომრეობის პოლიტიკის დაწუნებას და სიყვარულის პოლიტიკაზე მითითებას, თუ არა კაცი თავგანწირული, თავზეხელაღებული, უძლიერესის მამულის სიყვარულით აღფრთოვანებული? და ამასთან ვის, – თავის უფროსს და მერე ოფიციალურად!" უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური დოკუმენტიდან თედო ჟორდანიას მიერ მოყვანილი ამონარიდი მისი ოპონენტების საპასუხოდ ნამდვილად ვერ გამოდგებოდა, რადგან იგი რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკას არ ამხელს და ამდენად, არც იაკობ ფანცხავას მიერ ნაყენებულ ბრალდებებს პასუხობს.

თედო ჟორდანია წიგნში შეეხო ეგზარქოსისა და იოან ვოსტორგოვის პატივსაცემად ფოთში გამართულ სადილზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. მოვიტანთ ერცელ ამონარიდს თედო ჟორდანიას წიგნიდან:

„როდესაც ბ.ნიკოლაძემ (ფოთის ქალაქის თავმა ნიკო ნიკოლაძემ – ვ. გ.) სადილი გაუმართა ფოთში ეგზარხოსს და მ[ამა] ვოსტორგოვს, სადაც 120 სხვა სტუმარი იყო მოწვეული, მაშინ იმ სადილზე კამათი გაიმართა მუნჯურ მეთოდზე(

ე.წ. სწავლების მუნჯურ მეთოდზე – ვ. გ.) და მეგრელების ქართველ ერთან ნათესაობაზე. ყველამ ვიცით, რომ ეს მეთოდიც მ[ამა] ეოსტორგოვის სანეტარო საპოლიტიკანო იარაღი იყო, ხოლო მეგრელების ქართველობას სრულიად უარჰყოფდა. შეიქმნა ამაზე დავა. ეგზარხოსმა მიბრძანა, ამ ორ კითხვაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, როგორც სპეციალისტს, პედაგოგს და მოხელეს.

მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი: რადგან ეგზარხოსმა და მ[ამა] ეოსტორგოვმა თავისი აზრი უკვე გამოთქვეს, მე უნდა იმათ საწინააღმდეგოდ მელაპარაკა, ამოდენა ხალხში უნდა შემერცხვინა და სადილი ჩამემწარებინა, უსიამოვნება მიმეყენებინა. რომელი „ჩინოვნიკია", გაბედავდა ამ მდგომარეობაში მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოლაშქრებას და მერე იმ დროს, როცა ბიუროკრატია ფარფაშებდა?

შუა ადგილზე გამოველი, პაექრობა ისე დავაყენე, რომ მსურველთ უნდა კითხვა მიეცათ, ხოლო მე იმ კითხვებზე პასუხი მომეხსენებია. ჯერ მკითხეს მუნჯურ მეთოდზე, რომელსაც მხარს უჭერდა მ[ამა] ეოსტორგოვი. მე უარვყავ ეს მეთოდი და „შედარებითი მეთოდი" ვამჯობინე, ე.ი. რუსულ ენის შესწავლა ქართული ენის დახმარებით. მე მკითხეს: მეგრელები ქართველნი არიან თუ არაო? მეც გადაჭრით აღვიარე, რომ მეგრელები ქართველები არიან და ქართული ესმით მეთქი. მეგონა, კიდევ ბევრს კითხვებს ნამოაყენებენ მეთქი, მაგრამ მეტი კითხვა არავინ დამსწრეთაგანმა არ მომცა. პაექრობა ამით გათავდა."

მომხდარის შესახებ თედო ჟორდანიას განმარტება თითქოს დამაჯერებლად ჩანდა და მისი პოზიციაც სრულიად ნათლად იყო გამოკვეთილი. თუმცა შემდეგ მომხდარმა ერთმა ამბავმა თედო ჟორდანიას ოპონენტების წისქილზე დაასხა წყალი. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭომ თედო ჟორდანიას მოსთხოვა წერილობითი დოკუმენტი შეექმნა საქართველოს ეგზარქოს ალექსი ოპოცკისა და დეკანოზ იოან ეოსტორგოვის ანტიქართული შეხედულებების წინააღმდეგ. თედო ჟორდანია წერს: „(...)დაუინებით მთხოვდნენ, რომ ჩემი სახელით შემეტანა საბჭოში (გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭოში – ვ. გ.) დარღვევა მ[ამა] ეოსტორგოვის აზრისა შესახებ მეგრელების არა-ქართველობისა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ეს კითხვა არც მთავრობას და არც მ[ამა] ეოსტორგოვს არ დაუყენებიათ, მაგრამ ჩვენი „სერთუკიანები" (იგულისხმება თედო ჟორდანიას ოპონენტები – ვ. გ.) ძალად აყენებდნენ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაში მე გამრიონ და მთავრობას მიმცენ, – მე მაინც ასე მესმოდა; ალბათ ეს „ფოთელ ვეშაპებს" (იგუ-



თედორე (თედო) ჟორდანია

ლისხმება თედო ჟორდანიას ოპონენტები – ვ. გ.) ძალიან არგებდა საზოგადოების ფულებზე გაღვიძებულ მადის მოსაკლავად. რაკი დავრწმუნდი, რომ ფოთელ საბჭოს (იგულისხმება ეპარქიის სასწავლო საბჭო – ვ. გ.) „სერთუკიან მწეერების" წყალობით ჩემი პასუხები მაუდს ამოუდეს, არ მოისმინეს, მაშინ შევასრულე ამ სერთუკიანების სურვილი: ვრცელი მოხსენება დავწერე წინააღმდეგ მთავრობის აზრისა, ლექსიკურად და გრამატიკულად დავარღვიე ჩემის უფროსების აზრი იმაზე, რომ მეგრელები ქართველები არიან, ქართული ლაპარაკი ესმით და სამეგრელოს სკოლების „მეორე ტიპობა" უარვყავ; ბოლოს ხელიც მოვანერე და ფოთში ჩავიტანე ჩასაბარებლად." ფოთში ჩასვლის შემდეგ თედო ჟორდანიას მისთვის არასასურველი ამბავი შეუტყვია: „(...) ფოთში ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, რომ ამ ქაღალდს თურმე ჩემდა გასაძევებლად ელოდნენ ვეშაპები (ოპონენტები – ვ. გ.), ამის გამო ქაღალდი არ მივეცი, ბათუ ურიდიას გადავანერინე ტექსტი მოხსენებისა, რომელიც წინასწარ ნაუკითხე საბჭოს თავმჯდომარეს (ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარეს – ვ. გ.) და რამდენიმე მღვდლებს. საღამოს სხდომა იყო და იქ ნავიღე გადანერილი ტექსტი ჩემგან ხელმოუწერელი. ასე განვიზრახე: საბჭო მოისმენდა ამ ტექსტს, თუ მოიწონებდნენ, ყველანი ხელს მოაწერდნენ და მეც მოვაწერდი". საბჭოს სხდომა 1903 წლის 27 მარტს იყო დანიშნული. როგორც

თედო ჟორდანია აღნიშნავს, საქმეში ფოთის ქალაქის თავი და ეპარქიის სასწავლო საბჭოს წევრი ნიკო ნიკოლაძე ჩარეულა: „(...) ბ. ნიკოლაძემ არ ქნა: სანამ შენის სახელით მარტო შენგან ხელმონერილი ქაღალდი არ მოგვივა, მანამდი არ მოგებსნებითო. მე ეუპასუხე: „პასუხს საბჭოს თხოვენ და საბჭომვე უნდა მისცეს პასუხი; თორემ რას ემგვანება საბჭოს მაგიერ ეპარქიის მეთვალყურე (მზრუნველი – ვ. გ.) აძლევდეს პასუხს – ის მომივა, რაც არა-მკითხე მოამბეს მოუვიდა! დააყენეთ კითხვა, ვილაპარაკოთ, ნალაპარაკევის მიხედვით მე დაგნერ პასუხს, ხელს მოვაწერ და თქვენც ყველამ ხელი მოანერეთ, მთავრობას ყველას სახელით გავუგზავნოთ მეთქი." როგორც ირკვევა, ნიკო ნიკოლაძეს თედო ჟორდანიას აზრი არ გაუზიარებია: „ეს ბ. ნიკოლაძემ არ ინება და საბჭოს მწერებიც თავისკენ გადაიბირა. მარტო მღვდელი ი.ბობოხიძე დარჩა ჩემთან და ითხოვდა ჩემთან ერთად, რომ ეს კითხვა საბჭოს იმავე სხდომაზე (27 მარტს) გადაეწყვიტა, ოქმის დანერა ჩემთვის მოენდოთ (რომელიც წინდაწინვე დანერილიც მქონდა) და იმ ოქმზე ყველა მწერებს ხელი მოენერათ და არა მარტო მე. ხმების უმეტესობით გადაწყდა: 16 აპრილამდი ნარმომედგინა საბჭოსთვის ჩემგან ხელმონერილი ოფიციალური პასუხი" თედო ჟორდანია არაფერს წერს იმის თაობაზე, დაეთანხმა თუ არა იგი საბჭოს დადგენილებას, მხოლოდ აღნიშნავს: „სანამ მე უკვე დამზადებულ პასუხს ჩავაბარებდი საბჭოს დასარღვევად მთავრობის აზრისა, ფოთის ეპისკოპოზმა თვითონ გადაწყვიტა ეს კითხვა თანდასწრებით ეგზარხოსისა და მ[ამა] ეოსტორგოვისა. წახდა საქმე" თედო ჟორდანია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „საქმის ნახდენა" პრესამ მას დააბრალა და იძულებული გახადა, კვლავ თავი ემართლებინა: „მაშინ მე გაზეთში გამოვაცხადე იმის სახელი, ვინც იყო ამის მოქმედი და რომ ჩემზე ეჭვის შემოტანა არაეის შესძლებოდა, თვით აფიციალურს ჩემს ანგარიშშიც დავასახელე, ვინც ამის მოქმედი იყო. ეს ანგარიში ფოთის საბჭომაც დაადასტურა და ეპისკოპოსმაც დაადასტურა (...)". მიუხედავად ყოველივე ამისა, ოპონენტები თედო ჟორდანიასადმი ნაყენებულ ბრალდებას საეჭვოდ არ მიიჩნევდნენ და პრესაში მის წინააღმდეგ გამოსვლებსაც განაგრძობდნენ.

არსებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ თედო ჟორდანია, როგორც მოქალაქე და მეცნიერი, არც მეგრელების არაქართველობას ამტკიცებდა და არც სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით შეცვლის მომხრე იყო. პირიქით, იგი, როგორც გურია-სამეგრელოს, ისე იმერეთის ეპარქიაში მოღვაწეობისას სკოლებში ქართული ენის უფლებების დაცვის თავგამოდებული მხარდამჭერი გახლდათ, ამასთან ერთად, ისიც ცხადია, რომ თედო ჟორდანიას ყოველთვის არ პყოფნიდა მოქალაქეობრივი გამბედაობა ღიად და აშკარად დაპირისპირებოდა საქართველოს ეგზარქოსსა და მის გარემოცვას.

* *

უცხოეთში გამომავალი გაზეთი „საქართველო" 1904 წელსაც აგრძელებდა რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის საქართველოში გამტარებლების, ეგზარქოს ალექსი ოპოცკისა და დეკანოზ იოან ეოსტორგოვის მხილებას. გაზეთის 1904 წლის მეათე ნომერში (1 მარტს) გამოქვეყნდა მიმართვა „მეგრელებისადმი" მიმართვის ავტორი არჩილ ჯორჯაძე ან თედო სახოკია უნდა იყოს. მიმართვა გაბედული და მამხილებელი ტონითაა დანერილი და პირდაპირ, მოურიდებლად ამხელს რუსიფიკატორებს „შესრულდა, რაც კაი ხანია მოსალოდნელი იყო. რუსის მთავრობამ განდევნა სამეგრელოდან ქართული ენა. მთავრობის ღირსეულმა წარმომადგენელმა, რუსის სამღვდელოებამ განახორციელა დიდი ხნის განზრახული წადილი სამეგრელოს სამრევლო სკოლებში აღკრძალა ქართული ენა და მის მაგიერ გააბატონა რუსული!" შემდეგ მიმართვის ავტორი საქართველოში რუსული სამღვდელოების მოღვაწეობას ეხება: „რუსის სამღვდელოება, რომელიც თავის სამშობლოში ფეხით თელავს იესოს მოძღვრებას, ყურმოჭრილი მონაა დესპოტიისა და მტარვალობისა, რომელიც გუნდრუკს უკმევს მოწამეთა სისხლით შეღებილ ტახტს რუსეთის იმპერატორისას, რომელსაც ერთი ხმა, კრინტი არ დაუძრავს მეფისა და მის მინისტრების ათასის უსამართლოების წინააღმდეგ, გახრწნილი სამღვდელოება საქართველოში პოლიტიკოსობს, უმაღლეს პოლიტიკას ემსახურება, ქართველების გარუსება სნადია! „ღვთის მსახურნი, ქრისტეს მოძღვარნი ქართული ენის „გასანათლებლად" ვართ მონვეულნიო". თვითონ დაცემულთ, თვითონ უკულტუროთ, თვითონ გაუნათლებელთ უნდათ ჩვენი ამაღლება და განათლება?!" არც ეგზარქოსი ალექსი ოპოცკი და დეკანოზი იოან ეოსტორგოვი დარჩენია უყურედღებოდ ავტორს: „ეოსტორგოვს, ეგზარხოსს ალექსის და მის მსგავსებს, სულით ღატაკებს, შეუძლიათ სადმე სიკეთე შეიძინონ? ზნეობით დაცემულებს შეუძლიათ ვისიმე ზნეობით ამაღლება? ბნელით მოცულებს, ბრმებს, უსინათლოებს შეუძლიათ ვისიმე განათლება? ან ადამიანის დასახიჩრება, ენის მოსპობა, სულის შეხუთვა იქნება განათლება?" მიმართვის ავტორი ძალზე გაულიზიანებია მეგრელების

არაქართველებად მიჩნევას და იმის მტკიცებას, რომ ქართული ენა მეგრელებისთვის მშობლიური არ იყოს: „მეგრელები ქართველები არ არიან, ქართული ენა მეგრელთა ენა არ არისო". მერე ვინ გაპყო ერთი ქართველი ერი? ვინ გათიშა სხვა-დასხვა თემისაგან შემდგარი ერთი ქართველი ერი? განა ერთს ენაზე არ უქადაგებდენ სახარებას მეგრელს, იმერელს, გურულს, ქართლელს, კახელს, მესხს? ერთ ენაზე არ ლოცულობდა მათი ეკლესია? ერთს ენაზე არ სწერდენ მათი მწერლები? ერთის ენით არ უზიარებდენ ერთმანეთს თავიანთ ნუხილს, დარდს, სიხარულს და ბედნიერებას? ერთი არ იყო მათი ნარსული? ერთი არ ყავდათ გმირები? განა რუსთაველი საერთო არ არის მათთვის? განა თამარი, დავით აღმაშენებელი ერთნაირად არ უყვარს ყველას? ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი არ არიან? ერთი არ არის მათთვის ეროვნული თავისუფლება?" მეგრელი რომ ქართველია და ქართული რომ მისთვის მშობლიური ენაა, მიმართვის ავტორის აზრით, კარგად იცის რუსეთის მთავრობამ და რუსმა სამღვდელოებამ, მაგრამ ამ სიცრუეს პოლიტიკური მიზნით ამკვიდრებენ: „მეგრელი ქართველი არ არის, ქართველი სულით და გულით? განა ეს საეჭვოა, ეს სადაოა და ეს არ იცის რუსის მთავრობამ და მისმა სამღვდელოებამ? იცის და ძლიერ კარგადაც იცის, მაგრამ ვითომ თავს იმართლებს და თუ დღეს სამეგრელოში უნდა გახადოს რუსული ენა მეგრელთა „დედა-ენათ", დაავიწყოს სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, ხვალ საქართველოს სხვა ნანილებიდანაც განდევნის ქართულს ენას, სხვა ქართველებზედაც იხმარს უსინიდისო ძალმომრეობას!"

მიმართვა ასე მთავრდება: „ სამეგრელოს ქართველებო! თქვენ მოგმართავთ ყველაზე უწინარეს. თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ, როგორ ღრმად გიყვართ სამშობლო ქართული ენა, არა ერთხელ გამოგიცხადებიათ ნინააღმდეგობა, როდესაც მთავრობას მოუნდომებია ქართული ენის გამოდევნა სამეგრელოს ეკლესიებიდან. დღეს ქართული ენა გამოძევებულია სკოლებიდან. რუსის მთავრობას უნდა ბავშვობიდანვე დაგავიწყოსთ სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, უნდა პატარაობიდანვე ჩამოგაშოროსთ თქვენ ქართველს ერს, უნდა დააუძლუროს ქართველი ერი, გადააგვაროს და გაანადგუროს ჯერ ერთი ნანილი, რომ მერე შეუდგეს დანარჩენ ერის მოსპობასაც. თქვენ არ გაჩუმდებით დღეს და მხნეთ გაუწევთ წინააღმდეგობას მთავრობის ძალ-მომრეობას. ქართული ენა თქვენი სისხლი და ხორცია და არავის არ დაუთმობთ მას! თქვენს შვილებს არ მიაბარებთ იმ სკოლებში, საიდანაც გამოდევნილია ქართული ენა. ის სკოლა ვერ აღზრდის თქვენს შვილებს, რომელმაც დედა-ენა უნდა დაავიწყოს მათ! თქვენ არ მიეკარებით, არ შეხვალთ იმ ეკლესიაში, სადაც რუსულათ სწირავენ და ლოცულობენ. ღვთის ხმა არ ისმის ისეთ ეკლესიაში, არამედ მხოლოდ მონობას გვიქადაგებენ! თქვენ მოითხოვეთ, რომ სამშობლო ქართული ენა იქმნეს გაბატონებული თქვენს სკოლებსა და ეკლესიებში, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში! თქვენი ცხოვრება, განათლება და წარმატება შეუძლებელია უქართულენოდ. თქვენ დაჰგმობთ და დასჯით ყველა მოძმეს, ვინც გიღალატებსთ, შეიქმნება იუდა გამცემელი, მიემხრობა რუსის მთავრობას და არ მოითხოვს ქართულ ენას!"

მიმართვა „მეგრელებისადმი" შესანიშნავად ამხელს რუსეთის მთავრობის, საქართველოს ეგზარქოსისა და მისი გარემოცვის ანტიქართულ პოლიტიკას. ცხადია, სიმართლეს ამ დოზით საქართველოში გამომავალი პრესა თავის მკითხველს ვერ მიაწვდიდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ მეგრელებისადმი მიმართვის მნიშვნელობას.

ანტიქართულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ გარკვეული ცვლილება განიცადა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თუმცა მომდევნო წლებში ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა.

თავი V. საქართველოს ეკონომიკური განვითარება

(XIX საუკუნის დასასრული – 1917 წელი)

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდეც, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

1893-1900 წლებში რუსეთში აღინიშნა სამრეწველო აღმავლობა. 1887-1892 წლებში რუსეთის იმპერიის საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდის ტემპმა 4,9%-ს მიაღწია, 1893 წელს – 8,1%-ს. XIX საუკუნის 90-იან წლებში საერთო ეროვნულ პროდუქციაში ცენტრალური სამრეწველო რეგიონის ხვედრითი წილი 31%-დან 26,5%-მდე დაეცა, თუმცა რეგიონი იმპერიის მასშტაბით პირველ ადგილს მაინც ინარჩუნებდა. 14,4%-დან 17,6%-მდე გაიზარდა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო რეგიონის ხვედრითი წილი. ჩრდილო-დასავლეთ სამრეწველო რეგიონის, ქალაქ პეტერბურგისა და ურალის სამრეწველო რეგიონების ხვედრითი წილი 11%-დან 6,9%-მდე შემცირდა. მკვეთრად ამაღლდა ბაქოს სამრეწველო რაიონის ხვედრითი წილი, რომელიც 1,6%-დან 6,9%-მდე გაიზარდა და ურალის სამრეწველო რეგიონს გაუსწრო. 5 სამრეწველო რეგიონი – ცენტრალური, ჩრდილო-დასავლეთ, ქალაქ პეტერბურგის, ურალისა და ქალაქ ბაქოს სამრეწველო რეგიონები – მთლიანი ეროვნული პროდუქციის 77%-ს იძლეოდა (ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის პოლონეთის სამრეწველო რეგიონი).

1901 წელს რუსეთში დიდი სამრეწველო კრიზისი დაიწყო, რომელიც 1903 წელს დასრულდა. კრიზისს თან მოჰყვა დეპრესია, რომელიც საბოლოოდ 1908 წელს დაიძლია. ახალი სამრეწველო აღმავლობა რუსეთში 1909 წელს დაიწყო და პირველ მსოფლიო ომამდე (1914 წლამდე) გრძელდებოდა. განსაკუთრებით დიდი აღმავლობა 1910-1913 წლებში აღინიშნა.

§1. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში

1. მრეწველობა. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში უკვე დასრულებული იყო კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების სამივე სტადია – მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა, ფაბრიკა. პროდუქციის ღირებულებითა და დასაქმებული მუშების რაოდენობით მრეწველობაში ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება პირველობდა, ხოლო მანუფაქტურა და მარტივი კოოპერაცია დეგრადაციას განიცდიდა. სერიოზული აღმავლობა იყო გადამამუშავებელ წარმოებაში, რომელიც ადგილობრივ ნედლეულს იყენებდა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მომპოვებელი მრეწველობის ისეთი დარგებისთვის, როგორებიც იყო: მანგანუმის, ქვანახშირისა და სპილენძის მოპოვება. ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო სანარმოდ იქცა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები თბილისში და შედარებით მცირე სახელოსნოები და დეპოები საქართველოს სხვადასხვა დაბასა და ქალაქში.

მრეწველობის განვითარებას მოჰყვა ეროვნული ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ქართული ეროვნული ბურჟუაზიისა და რუსეთში კაპიტალიზმის სისუსტით კარგად სარგებლობდნენ უცხო სახელმწიფოების მრეწველები და ნამყვან პოზიციებს იკავებდნენ წარმოებაში. უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მრეწველობის, სრული დაქვემდებარებისაკენ მიისწრაფოდა. XX საუკუნის დამდეგისათვის უცხოურ კაპიტალს ბაქოში ნავთობის მოპოვებაში, გადამუშავებასა და გატანაში გაბატონებული პოზიცია ეკავა. მომდევნო პერიოდში უცხოურმა ფირმებმა ბაქოს ნავთობის ძირითად ბაზრად რუსეთი გაიხადეს, რის შემდეგაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასმა აიწია. ამ პროცესმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოზე: ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული ბათუმში არსებული მძლავრი სანარმოები დაიხურა, ბათუმიდან ქარხნები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქალაქებში გადაიტანეს.

რუსეთისა და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში მოქცეულ საქართველოს ეკონომიკაზე ძლიერად ზემოქმედებდა საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ეკონომიკა სერიოზულად დააზარალა 1901-1903 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა და 1908 წლამდე მიმდინარე დეპრესიამ. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისა და დეპრესიის გავლენა სწრაფად იქნა დაძლეული. 1909 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე საქართველოს ეკონომიკა აღმავლობით ვითარდებოდა.

2. სოფლის მეურნეობა. ბატონყმობის ნაშთების არსებობის მიუხედავად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობები სწრაფად ვითარდებოდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეული თავისებურებანი გააჩნდა. საქართველოს სოფლის მეურნეობა საერთო-სარუსეთო და მსოფლიო სისტემაში იყო ჩართული. ამი-

ტომ იყო, რომ მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა და რუსეთში მიმდინარე კრიზისები სერიოზულ გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობაზე, მისი ცალკეული დარგის განვითარებაზე.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დასავლეთ ევროპის ბაზრებზე მზარდი რაოდენობით შემოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების მარცვლეული, რომელთა თვითღირებულება გაცილებით დაბალი იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პროდუქციასთან შედარებით. ჭარბი წარმოებისა და საკონკურენციო ბრძოლის გამწვავების შედეგი იყო აგრარული კრიზისი და ფასების დაცემა მარცვლეულზე. ევროპელი ფერმერები ამერიკელთა კონკურენციას ვერ უძლებდნენ და მარცვლეულის ნათესთა ფართობს საგრძნობლად ამცირებდნენ. ინგლისელი, დანიელი, ბელგიელი და ჰოლანდიელი მენარმენი მარცვლეულის მოყვანიდან მასობრივად გადადიოდნენ მეცხოველეობასა და სარძეო მეურნეობაზე, რადგან ამ დარგის პროდუქციას ამერიკული კონკურენცია შედარებით ნაკლებად ემუქრებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ადგილობრივ, რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებს ანვდიდა: **სიმინდს, თამბაქოს, აბრეშუმს, ბამბას, ღვინოს, მესაქონლეობისა და მეფრინველეობის პროდუქტს.** აგრარული კრიზისის გამო საქართველოში ძალზე დაეცა მარცვლეულის ფასი. თუ XIX საუკუნის 80-იან წლებში 1 ფუთი სიმინდი 70 კაპიკი ღირდა, მისი ფასი 90-იანი წლების დასასრულისათვის 40 კაპიკამდე შემცირდა. ამის გამო დასავლეთ ევროპაში სიმინდის ექსპორტი საზარალო გახდა. ქართულმა ხორბალმა შინაგანი ბაზარი დაკარგა და მისი ადგილი რუსეთიდან შემოტანილმა დაიკავა.

აგრარულმა კრიზისმა აუცილებელი გახადა მარცვლეულის ნარმოების შემცირება და სოფლის მეურნეობის სხვა, უფრო რენტაბელურ, დარგებზე გადასვლა. ამ პროცესს კი ხელს უშლიდა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა. რუსეთს სურდა საქართველოში სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც რუსეთში საერთოდ არ არსებობდა: **მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მეჩაიეობა** და სხვა. ამ მიზნის მიღწევისათვის რუსეთის მთავრობა ზოგიერთ ქართველ მემამულეს, განსაკუთრებით კი რუს კოლონისტებს, სუბსიდიებსაც კი აძლევდა, რათა დროთა განმავლობაში ამიერკავკასიაში მონეულ პროდუქტს შეეცვალა ფრანგული ღვინო, ამერიკული ბამბა, თურქული თამბაქო, ჩინური ჩაი და სხვა, რომელთა შემოტანაზე რუსეთის მთავრობა დიდი ოდენობის ვალუტას ხარჯავდა. ამავე მიზნით რუსეთის მთავრობა თანდათან ზრდიდა საბაჟო ტარიფს იმპორტულ ღვინოზე, თამბაქოზე, ბამბასა და სხვა საქონელზე, რაც სტიმულს აძლევდა სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების განვითარებას საქართველოში.

მართალია, 1917 წლამდე საქართველო აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, სოფლის მეურნეობა მთელი პროდუქციის 60-65%-ს იძლეოდა, თუმცა სანარმოო პროცესის ტექნიკური აღჭურვილობით მინათმოქმედება მრენველობასთან შედარებით გაცილებით დაბალგანვითარებული იყო. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მრენველობაში გაბატონებული მდგომარეობა მანქანურმა ტექნიკამ მოიპოვა, სოფლის მეურნეობა კი XX საუკუნის 10-იან წლებშიც მანუფაქტურულ სტადიას ვერ გასცდა.

§2. კაპიტალისტური მრენველობის განვითარება და ამქრული წარმოების დეგრადაციის დაჩქარება საქართველოში

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარებამ, ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსებამ დააჩქარა ამქრული წარმოების დეგრადაცია. ამქრების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს მათ მიერ შექმნილი პროდუქცია კონკურენციას ვეღარ უნევდა. არათუ თბილისსა და სხვა ქალაქებში, სოფლებშიც ყოველწლიურად იზრდებოდა მოთხოვნა ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილ პროდუქციაზე. ცნობილი თბილისელი ხელოსნების მიერ დამზადებული საქონელი სწრაფად კარგავდა მყიდველს, ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან: ერთ დროს ხელოსნებმა კონკურენცია ვეღარ გაუწიეს რუსეთსა და უცხო სახელმწიფოებიდან შემოტანილ ტანსაცმელს, საოჯახო ნიეთებს, ავეჯს და სხვ. ერთ-ერთი თანამედროვე 1887 წელს წერდა: „(...)გადმოვა რომელიმე ფრანცუზი ან ანგლიჩანი და დაიელის მთელ საქართველოს, შეისყიდის კაკლის ხეებს და მის კოჟიებს, რომლებსაც მდგომიარე ხეებს აჭრიან და მიაქვთ თავიანთ ქვეყნებში; იქ ხერხავენ მთელ ფიცრებად (ფანერკად), მერე მოაქვთ და ჩვენს ხელოსნებზეე ჰყიდიან ერთი-ორად და სამ ფასადაც (...); რომელო ფიცარიც დღემდე მანეთად ისყიდებოდა, ის ეხლა სამ-ოთხ მანეთად ფასობს, ისიც ჩარჩებთან, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გეხვდებიან ყველას." ხეზე ფასის ანევამ, ცხადია, გააძვირა ხელოსნური ნაწარმიც, რაც ისევ მყიდველის დაკარგვას უწყობდა ხელს. ამქრებს ძალზე უჭირდათ მზა ნაწარმის რეალიზაცია, ისინი, ფაქტობრიუად, ვაჭარ-შემ-



თბილისი. მუნახშირეები

სყიდველების ხელში აღმოჩნდნენ. XIX საუკუნის 80-იან წლებში ამქრებმა რამდენჯერმე სცადეს მზა ნანარმის გამსაღებელი კოოპერატიული მაღაზიების გახსნა, მაგრამ მსხვილმა ვაჭარ-შემსყიდველებმა ეს არ დაუშვეს. ცნობილი ოსტატები იძულებული ხდებოდნენ თითქმის ნიმუშის დარი ნანარმი, მაგალითად, აეეჯი და საოჯახო ნივთები, იაფად მიეყიდათ უცხოელებისათვის (ძირითადად ფრანგებისა და გერმანელებისათვის), რომლებიც შემდეგ მათი გაყიდვით დიდ მოგებას იღებდნენ. იმავე თანამედროვის მემუარში თბილისელ ხელოსანთა ნანარმის შემსყიდველ უცხოელთა შესახებ ვკითხულობთ: „ასე და ამრიგად ითქვამენ სახელსა, იდგამენ სასახლეებს და იძენენ ბაღებს, ჩვენ კი, ქართველებს, რომელთა მამა-პაპის სისხლით მორწყულია ჩვენი დედაქალაქი, ძვირადღა ეისმეს გვაქვს ქოხი, რომ შიგ თავი შევაფაროთ“

ასეთ მძიმე ვითარებაში მყოფი ხელოსნები იძულებული ხდებოდნენ გაეზარდათ სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მნიშვნელოვნად შეეკვეცათ ცხოვრებისათვის აუცილებელი მოთხოვნები. ბევრმა ხელოსანმა სახელოსნოც კი ვეღარ შეინარჩუნა და საცხოვრებელ ბინაში აგრძელებდა მუშაობას. ბევრი ცნობილი ხელოსანი ჯანმრთელობისათვის საშიშ ნესტიან სარდაფებში მუშაობდა. სავალალო იყო ისიც, რომ ხელოსნის მიერ დაქირავებულ მუშებს იმავე სარდაფებში ეძინათ, რომელთა უმეტესობაში ანტისანიტარია იყო გამეფებული.

ამქრული ხელოსნობის დეგრადაციის პროცესი კარგად ჩანს სტატისტიკური მასალიდან. 1900 წლისათვის თბილისში შემდეგი ამქრული სახელოსნოები არსებობდა:

1. **აზიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა** – სახელოსნო 17; პროდუქციის წლიური მოცულობა – 2.000-10.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 51; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 4; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 7;

2. **საბანდაჟო** – სახელოსნო 1; პროდუქციის წლიური მოცულობა – 2.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 2; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

3. **საკასრე** – სახელოსნო 3; პროდუქციის წლიური მოცულობა – 300–6.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

4. **ბრინჯაოს ნაკეთობათა** –სახელოსნო 1; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების

რაოდენობა – 0;

5. ბუკინისტური – სახელოსნო 2; პროდუქციის ნლიური მოცულობა –1.000-4.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 2; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

6. წყალსადენის – სახელოსნო 4; პროდუქციის ნლიური მოცულობა –2.000-30.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 9; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 8;

7. ქალთა სამკაულებისა და ქუდების – სახელოსნო 2; პროდუქციის ნლიური მოცულობა –2.000-3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 5; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი –12; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 35;

8. ოუნუქის ნაკეთობათა – სახელოსნო 2; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 3.000-4.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 6; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 9;

9. ოქრო-ვერცხლის ნივთებისა –სახელოსნო 19; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 1.000-10.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 58; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

10. საკარეტე (საეტლე) სახელოსნო 12; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-20.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა 84; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

11. ქვის სათლელი –სახელოსნო 3; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 10; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 2;

12. ტექსტილის სამღებრო – სახელოსნო 2; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-2.900 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 4; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 6;

13. სამჭედლო – სახელოსნო 11; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-7.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 40; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 6;

14. საზეინკლო – სახელოსნო 11; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 87; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 4; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 15;

15. სადურგლო – სახელოსნო 18; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 1000-8.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 115; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 7; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 31:

16. მეჩექმეთა – სახელოსნო 20; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 2.000-15.050 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 78; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 14; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 67.

17. პურის საცხობი – რაოდენობა – 149 ; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 1.000-25.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 519; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 90; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 204;

1900 წლისათვის თბილისში უკვე აღარ მუშაობდა შემდეგი სახელოსნოები: **სახარაზო, ველოსიპედის, მეკუბოვეთა, ბამბის საპენტი, მეფარდაგეთა, ფერწერისა, მესატვრეთა (მეხანჯლეთა), მექვაბეთა, მეკორსეტეთა, მკალავთა, ხის ავეჯისა, მეთოფეთა, ტანსაცმლის სამკერვალო, მეხელთათმანეთა, სახარატო, სადალაქო, მესაათეთა, მეწინდეთა, მეკრამიტეთა, მეფითილეთა, მექურქეთა.**

1900 წლის მონაცემებით, თბილისში შემდეგი უფრო მსხვილი საწარმეობი მუშაობდა:

1. აგურხანა –საწარმოს რაოდენობა 10; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 1.000-30.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 98; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 15; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 77;

2. ზეთსახდელი – საწარმოს რაოდენობა – 1; პროდუქციის ნლიური მოცულობა –5.005 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 4; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

3. საძეხვე – საწარმოს რაოდენობა – 2 ; პროდუქციის ნლიური მოცულობა – 4.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13;

ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

4. **ასოების (შრიფტის) ჩამომსხმელი**– საწარმოს რაოდენობა – 1 ; პროდუქციის წლიური მოცულობა – 3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 6; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

5. **ტომების წარმოება**– საწარმოს რაოდენობა – 3 ; პროდუქციის წლიური მოცულობა – 5.000-16.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 30; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

6. **ფირფიცრის წარმოება** – საწარმოს რაოდენობა – 3 ; პროდუქციის წლიური მოცულობა – 10.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 17; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

ხელოსნური საწარმო, რომელშიც 5-8 კაცი მუშაობს, უკვე კაპიტალისტური საწარმოა, მაშინაც კი, როდესაც შრომის იარაღები ნაწილობრივ თვით მუშებისაა და არა – სახელოსნოს მეპატრონისა, მაგრამ მუშები დაქირავებული არიან და დღიურ(თვიურ) ხელფასზე იმყოფებიან. 1900 წლისათვის თბილისში 439 სახელოსნო იყო აღრიცხული, რომლებშიც 3-8 მუშა მუშაობდა, მუშების საერთო რაოდენობა 1863 კაცს უდრიდა, წლიური პროდუქციის საერთო რაოდენობა კი – 2.098.000 მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 მუშა წელიწადში 1126 მანეთის პროდუქციას ქმნიდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მუშის დღიური (თვიური) ხელფასი დაბალი იქნებოდა, შესაბამისად, დაბალი იყო მუშის ცხოვრების დონეც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: თბილისში ქალის ტანსაცმლის სახელოსნოში (ივან ველიამინოვის ქუჩა №8), რომელიც გრ. მოსესოვს ეკუთვნოდა, ქარგლები ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1914 წელს ქარგლებმა: ს. გასპაროვმა. მ. გარსევანიშვილმა, რ. გოზალიშვილმა, დ. კოლუაშვილმა, პ. ვართანოვმა, გ. შავნგირაძემ, პ. პეტროსიანცმა, ს. გაბილაიამ – საჩივარი დაწერეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სახელოსნო პატარა და ნესტიანი იყო, რაც აუტანელს ხდიდა იქ მუშაობას. ქარგლები ასევე ჩიოდნენ, რომ მეპატრონე სისტემატურად უგვიანებდათ ხელფასს. ქალის ტანსაცმლის სახელოსნო, რომლის მფლობელი ოფიციალურად ოსტატი იყო, სახელოსნო ამქარს წარმოადგენდა. რეალურად ეს სახელოსნო ამქარი კი არა, კერძო კაპიტალისტური საწარმო გახლდათ, რომლის მფლობელი გრ. მოსესოვი იყო.

1900 წლის მონაცემებით, თბილისში 1873 ნერილი სახელოსნო იყო, თითოეულში საშუალოდ 2,5 კაცი მუშაობდა, ანუ სულ სახელოსნოებში დაახლოებით 5.000 ადამიანი იყო დასაქმებული. 1900 წლის ბოლოს თბილისში ძველ და ახლად გახსნილ საწარმოებში დაახლოებით 7.500 მუშა იყო დასაქმებული, რომელთაგან 627 ახლად გახსნილ საწარმოებში მუშაობდა. 1900 წლისათვის თბილისის კერძო უწყება-დანესებულებებსა და საწარმოებში 15.750 კაცი იყო დასაქმებული, რომელთაგან 5.000 კაცი ოსტატი, ქარგალი და შეგირდი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშების საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები წერილ ხელოსნურ წარმოებაში იყო დასაქმებული და ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამრეწველო პროდუქციის შექმნაში.

§3. მრეწველობის განვითარება

1. ხელოსნობა. მანქანური წარმოების განვითარების პირობებშიც საქართველოში ხელოსნობა არ გამქრალა. ხელოსნური პროდუქცია კვლავ გადიოდა ბაზარზე. მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობდა ისეთ პროდუქციაზე, როგორიც იყო: მოჩუქურთმებული ავეჯი, ხმალი, ხანჯალი, ყანნი, მასრა, ტიკი და სხვ. ფაბრიკულ ნაწარმთან კონკურენციის წყალობით თითქმის მთლიანად მოისპო ზეთის სახდელი, საპნის სახარში, ძაფსაგრეხი, სამკაულების, უნაგირებისა და სანთლის დამამზადებელი სახელოსნოები. სახელოსნოებში დამზადებული ხისა და თიხის ჭურჭელი ქარხნულად შექმნილმა ფაიფურისა და მინის ჭურჭელმა შეცვალა. შემცირდა იმ სახელოსნოების რიცხვი, რომელიც ტყავის გადამუშავებითა და ფეხსაცმლის კერვით იყო დაკავებული. საინტერესოა სტატისტიკური მასალა, რომელიც თბილისის გუბერნიაში ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა რაოდენობის ცვლას ასახავს:

1. **1892** წელი. ოსტატი – 4.358, ქარგალი – 441, შეგირდი – 3.081 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 7.880);

2. **1893** წელი. ოსტატი – 2.010, ქარგალი – 1.942, შეგირდი – 1.218 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 5.170);

3. **1894** წელი. ოსტატი – 2.340, ქარგალი – 1.849, შეგირდი – 1.280 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 5.469);

4. **1903** წელი. ოსტატი – 4.628, ქარგალი – 3.952, შეგირდი – 4.094 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 12.672);

5. 1910 წელი. ოსტატი – 4.662, ქარგალი – 4.360, შეგირდი – 3.325 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 12.347);

6. 1912 წელი. ოსტატი – 2.750, ქარგალი – 3.678, შეგირდი – 2.503 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 8.931);

1896 წელს თბილისის გუბერნიაში სულ 18.976 ხელოსანი (8.384 ოსტატი, 3.965 ქარგალი, 6.627 შეგირდი) იყო. აქედან სოფლებში 8.396 ხელოსანი (4.130 ოსტატი, 865 ქარგალი, 3.403 შეგირდი) მუშაობდა. 1900 წლის აღწერის დროს თბილისში 439 „კაპიტალისტური სახელოსნო" აღრიცხეს, რომლებშიც 1.863 მუშა იყო დასაქმებული (თითოეულ სახელოსნოზე 2-8 მუშა მოდიოდა). ამ სახელოსნოებს 1900 წელს 2.098.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვია. აღწერის მასალებიდან დგინდება, რომ 439 „კაპიტალისტური სახელოსნოდან" 211 სახელოსნო ახლად გახსნილი ყოფილა, რომლებშიც 627 მუშა იყო დასაქმებული.

ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მასალა უზუსტობებისაგან არ რის დაზღვეული. აღწერისას ზოგჯერ სახელოსნოებს მიაკუთვნებდნენ უამრავ სავაჭრო დუქანსა და ფარდულს, ზოგჯერაც ნამდვილ სახელოსნოს არ აღრიცხავდნენ.

1900-1903 წლებში ხელოსნობის ერთგვარი გამოცოცხლება დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ ეკონომიკურ კრიზისთან, რამაც ფაბრიკულ—ქარხნული ნარმოების შემცირება გამოიწვია. 1903 წელთან შედარებით, 1912 წლისათვის თბილისის გუბერნიაში ხელოსანთა რიცხვი 12.672 ხელოსნიდან 8.931 ხელოსნამდე შემცირდა. ეს ტენდენცია გაგრძელდა შემდეგ წლებშიც.

2. წვრილი კაპიტალისტური წარმოება და მანუფაქტურა. XX საუკუნის დამდეგისათვის წვრილ კაპიტალისტურ წარმოებასა და მანუფაქტურას სულ უფრო და უფრო ავიწროებდა საფაბრიკო-საქარხნო ნარმოება. 1902 წელს საქართველოში 1.340 წვრილი კაპიტალისტური სანარმო იყო აღრიცხული, რომლებშიც 7.400 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქციის რაოდენობა 3.800.000 მანეთს უდრიდა. 1913 წელს აღრიცხული იყო 1.200 წვრილი კაპიტალისტური საწარმო 7.500 მუშითა და 3.900.000 მანეთის წლიური პროდუქციით. ასე რომ, წვრილ კაპიტალისტურ სანარმოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში მანუფაქტურული ხასიათის სანარმოებიც არსებობდა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა: ზოგიერთი ლითონდამმუშავებელი, აგურის, კრამიტის, აეჟის, კასრების, ფანერის, ტანსაცმლის, თამბაქოსა და სხვა პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები. მანუფაქტურული სანარმოები მრავლად შემორჩა სამთამადნო მრენველობის რიგ დარგებში. მუშახელის რიცხვის სიდიდით გამოირჩეოდნენ ნავთობის საექსპორტო კასრების დამამზადებელი მანუფაქტურები ბათუმში, აგრეთვე ზოგიერთი საზეინკლო, სადურგლო და ეტლების შემკეთებელი სანარმოები თბილისში.

1902 წლისათვის საქართველოს გადამამუშავებელ მრეწველობაში 45 მანუფაქტურა ითვლებოდა, რომლებშიც 800 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქცია 1.100.000 მანეთს უდრიდა. 1913 წელს აღრიცხულ 40 მანუფაქტურაში 1.000-მდე მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქცია 1.300.000 მანეთს უდრიდა. როგორც ვხედავთ, მანუფაქტურების რაოდენობა ხუთით შემცირდა, მაგრამ მუშების რაოდენობა გაიზარდა (1.000 მუშა), გაიზარდა წლიური პროდუქციის რაოდენობაც (1.300.000 მანეთი).

3. მექანიკური სახელოსნოები და ქარხნები. XIX საუკუნის პირველ სამ მეოთხედში ამიერკავკასიის ქალაქთა შორის ყველაზე სწრაფი ტემპით თბილისი ვითარდებოდა. თბილისი არა მარტო მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ცხოვრების ცენტრსაც წარმოადგენდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის ჯარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა მექანიკური სახელოსნოების დაარსება. XIX საუკუნის დამდეგიდან სამხედრო უწყების შეკვეთით დაარსებული მექანიკური სახელოსნოები სამხედრო შეიარაღების შეკეთებაზე მუშაობდა. თბილისის პირველი კერძო მექანიკური ქარხანა, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-დანადგარებით იყო აღჭურვილი, 1851 წელს გახსნა უცხოელმა **შტუსემ**. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამომსხმელი პირველი ქარხანა. თუჯი და რკინა, რომელთა გადამუშავებას ეს ქარხნები ანარმოებდნენ, რუსეთიდან შემოჰქონდათ. 1860 წელს ინგლისელმა რუქსმა თბილისში მსხვილი მექანიკური ქარხანა გახსნა. რუქსმა 1887 წელს თუჯჩამომსხმელი საამქროც ააშენა, მალე გაიხსნა კიდევ რამდენიმე მექანიკური სახელოსნო. 1869-1882 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის საკვანძო სადგურებზე: თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში – გაიხსნა მექანიკური სახელოსნოები. თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს ჰქონდა რკინისა და თუჯის ჩამოსასხმელი საამქრო. ზემოთ ხსენებული სახელოსნოები მხოლოდ რკინიგზის შეკეთებაზე მუშაობდნენ, მაგრამ შეკეთები იმდენად დიდი იყო, რომ სამუშაოს ვერ აუდიოდნენ. ამის გამო რკინიგზისაგან შეკეთებას ღებუ-

ლობდნენ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ ბაქოს მექანიკური ქარხნები.

ამიერკავკასიის რკინიგზის ამოქმედების შემდეგ მეტად საგრძნობი გახდა თუჯის ნაკეთობათა დეფიციტი. 1881 წელს თბილისში გაიხსნა თუჯსასხმელი ქარხანა, რომელიც მალე რ. ო. რენკელისტის საკუთრებაში გადავიდა. ქარხანას გააჩნდა ძლიერი ლოკომობილი, 1 ბრძმედი, 3 სახარატო დაზგა, 2 ვენტილატორი, 1 ხრახნმჭრელი, 1 სარანდავი და რამდენიმე მექანიკური დაზგა. რენკელისტის ქარხანა პირველ ხანებში უცხოეთიდან შემოტანილი თუჯის გადამუშავებას ეწეოდა, მაგრამ 2 წლის შემდეგ რუსეთის ნედლეულზე გადავიდა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქარხანა წლიურად 10.000–20.000 ფუთი თუჯისა და 5.000–10.000 ფუთი რკინის სხვადასხვა ნაკეთობას უშვებდა და ძირითადად ამიერკავკასიის რკინიგზის შეკვეთებზე მუშაობდა. ამ პერიოდში ქარხნის წლიური პროდუქცია 70.000 – 150.000 მანეთს უდრიდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში კიდევ გაიხსნა 2 მექანიკური და თუჯსასხმელი სარწყავი. ყველაზე მსხვილი კი ამ პერიოდში ისევ რენკელისტის ქარხანა იყო, რომელშიც დაახლოებით 120 მუშა იყო დასაქმებული. მუშათა მესამედი მცირეწლოვანი იყო, ხოლო წმინდა სამუშაო დრო 10,5 საათს უდრიდა. 1900 წლისათვის თბილისში ათიოდე მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხანა მუშაობდა, რომელთაგან მხოლოდ ორი, რენკელისტისა და იარალოვისა, იყო დიდი სიმძლავრისა, დანარჩენი ქარხნები ნორილ საწარმოებს წარმოადგენდნენ, სადაც 5-10 მუშა იყო დასაქმებული.

4. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები. ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და XX საუკუნის დამდეგს დასრულდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალიზმის განვითარებას. სარკინიგზო ქსელის გაფართოებას და გზის ექსპლუატაციის გაძლიერებას მოჰყვა მისი მომსახურე საწარმოების დაარსება და გაფართოება. ამიერკავკასიის რკინიგზა და მასთან დაკავშირებული საწარმოები ტიპურ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში რკინიგზის პირველი სახელოსნო გაიხსნა სადგურ მიხაილოვოში (ხაშურში). 1883 წელს სახელოსნო თბილისში გადმოიტანეს. 1889 წელს კერძო კონცესიონერთა მიერ გაყვანილი ამიერკავკასიის რკინიგზა სახელმწიფომ გამოისყიდა, სახელმწიფოს ხელში გადაეიდა რკინიგზის დამხმარე საწარმოებიც. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებთან ერთად მუშაობდა თბილისის დეპოსთან არსებული სახაზო სახელოსნოები. დეპოები შექმნილი იყო აგრეთვე ხაშურში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ყვირილასა (ზესტაფონსა) და ბორჯომში. რკინიგზის დეპოები და სახელოსნოები ენეოდნენ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის (ორთქლმავლებისა და ვაგონების) შეკეთებას. სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს მხოლოდ ამიერკავკასიის თბილისის მთავარი სახელოსნოები ასრულებდნენ, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს – დეპოები. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოს თავდაპირველად გააჩნდა შემდეგი განყოფილებები: ორთქლმავლის ამწყობი, საქვაბე, სახარატო, ლითონჩამომსხმელი და სამჭედლო სახელოსნოები, ხოლო შემდეგ ამათ მიემატა სავაგონო, სამღებრო და სადურგლო. სულ ამ სანარმოში 8 საამქრო იყო, რომლებშიც 56 სხვადასხვა ხელობის მუშა საქმიანობდა. 1900 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში 260 დაზგა მუშაობდა, 1901 წელს – 272, 1908 წელს – 340, 1913 წელს – 450 დაზგა. 1880 წელს საწარმოში 1.000 მუშა იყო დასაქმებული, 1900 წელს – 2.550, 1904 წელს – 3.000, 1909 წელს – 3.500, 1913 წელს – 3.760 მუშა. 1880 წელს გამომუშავებული იქნა 1.000.000 მანეთის პროდუქცია, 1900 წელს – 2.700.000 მანეთისა, 1904 წელს – 4.200.000 მანეთისა, 1913 წელს – 5.840.000 მანეთისა. როგორც ვხედავთ, მუშათა რიცხვი 1900 წლიდან 1913 წლამდე 35,5%-ით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის წლიური რაოდენობა – 81,5%-ით.

5. ნავთობის საექსპორტო საწარმოები ბათუმში. ბაქოს ნავთობის საექსპორტო ნავსადგური ბათუმი იყო. ამან გამოიწვია ბათუმის დიდ სამრენეელო-სავაჭრო ცენტრად გადაქცევა. ბათუმის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან დაკავშირებამ ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტში უცხოური კაპიტალის წილი გაზარდა. ადგილობრივ და უცხოელ კაპიტალისტებს არასაკმარისად მიაჩნდათ ბაქო-თბილისი-სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობა, რის გამოც მალე დაისვა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანის საკითხი. 1897 წელს დაწყებული სამუშაოები ძირითადად 1900 წლისათვის დასრულდა, ხოლო 1906 წლიდან ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი სრული დატვირთვით ამუშავდა. ნავთობსადენის წლიური გამტარუნარიანობა 60.000.000 ფუთს უდრიდა.

ბაქოს ნავთობის დიდი ნაწილი უცხოეთის სახელმწიფოებში ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი, შედარებით მცირე ნაწილი იგზავნებოდა რუსეთში. 1900-1913 წლებში ბათუმიდან 448.700.000 ფუთი ნავთობი იქნა გატანილი, აქე-

დან გემებზე არსებული ცისტერნებით გაიტანეს 309.079.627 ფუთი (68,9%), თუნუქის ბიდონებით – 139.620.373 ფუთი (31,3%). ყველაზე მეტი ნავთობი ბათუმიდან 1903 წელს გაიტანეს. შემდეგში, განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის წლებში, ნავთობის ექსპორტი შემცირდა.

ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი სანარმოების მშენებლობა XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მრენველობის ამ დარგმა განსაკუთრებით დიდ მასშტაბს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიაღნია. ბათუმში არსებული ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები თუნუქის ბიდონებსა და ხის ყუთებს აკეთებდნენ, საჭირო მასალა რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ბათუმიდან ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები 1896-1899 წლებში დღეში საშუალოდ მოიხმარდნენ: 477 კუბურ საჟენ ფიცარს, 5.539 ფუთ თუნუქს, 3.171 გირვანქა ტყვიას, 15.539 გირვანქა ლურსმანს, 4.576 გირვანქა თუთიას, 2.061 გირვანქა მარილმჟავას და სხვ. ამ მასალას რუსეთიდან და უცხოეთიდან ინერდნენ და იმავე გემებით შემოჰქონდათ, რომლებითაც ნავთობი გაჰქონდათ.

1901 წლისათვის ბათუმში მოქმედებდა ნავთობის ჭურჭლის დამამზადებელი 9 ქარხანა, რომლებსაც თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების საამქროები ჰქონდათ. ეს საწარმოები **როტშილდს, რიპნერს, მანთაშევს, სიდერიდის, ცოვიანოვს, გრამატიკოპულოს, ხაჩატრიანცს, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკს** და სხვა კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. 1903 წლისათვის ბათუმში დარჩა მხოლოდ 5 ქარხანა, რომელთა მონყობილობა და ნედლეულის მარაგი 12.500.000 მანეთად იყო შეფასებული. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება კონცენტრირებული იქნა როტშილდის, მანთაშევისა და ნობელის ფირმათა ხელში. ხაჩატრიანისა და სიდერიდისის ქარხნები მთლიანად ნობელის დაკვეთით მუშაობდა. 1904 წლისათვის ბათუმის მხოლოდ 4 ქარხანაში 4.031 მუშა იყო დასაქმებული: მანთაშევის ქარხანაში – 1.762 (43%), როტშილდის ქარხანაში – 1.500 (37,3%), ხაჩატრიანცის ქარხანაში – 466 (11,5%), სიდერიდისის ქარხანაში – 325 (8%).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო ბაზარზე გატანილი ბაქოს ნავთობის 67% ნობელის, როტშილდისა და მანთაშევის წილად მოდიოდა. ნობელი და როტშილდი ნავთობს უმთავრესად ევროპაში ასაღებდნენ, ხოლო მანთაშევი – აზია-აფრიკის ქვეყნებში.

6. სამთო და მეტალურგიული მრენველობა. 1900-1914 წლებში სნრაფი ტემპით ვითარდებოდა სამთო-მეტალურგიული მრენველობა.

სპილენძის მადნის მოპოვება და გადამუშავება. 1887 წელს დაარსდა ფრანგული საზოგადოება **„ახტალის საბადოთა კომპანია"**. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 4.000.000 ფრანკს შეადგენდა და მისი მიზანი იყო ახტალა-ალავერდ-შამბლულის სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლის საბადოთა შეძენა და ექსპლუტაცია. საზოგადოებამ მიზანს ვერ მიაღნია და 1898 წელს **„ახტალის საბადოთა კომპანიამ"** თავისი უფლება ქვემო ქართლის საბადოებსა და ქარხნებზე გადასცა უფრო მძლავრ ფრანგულ სააქციო საზოგადოებას – **„კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიულ ანონიმურ გაერთიანებას"**. ამ უკანასკნელმა სულ მოკლე დროში მიაღნია სანარმოთა ტექნიკურ გადაიარაღებას და პროდუქციის გადიდებას. ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის ახალი ტექნიკის საფუძველზე რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ 1890 წელს დაიწყო. 1899-1900 წლებში ალავერდის ქარხნებში 3 ახალი შახტური ღუმელი დაიდგა. 1906 წელს ალავერდში ამუშავდა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 150-200 ტონა მადანს ამუშავებდა. 1912 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ელექტროსადნობი საამქრო, რომლის წლიური წარმადობა 600 ტონა ელექტროლიზურ სპილენძს უდრიდა.

1880-1897 წლებში ალავერდის სპილენძის საბადოში 25.300 ფუთი მადანი მოიპოვეს, 1900 წელს – 537.000 ფუთი, 1913 წელს – 4.500.000 ფუთი. გადიდდა სპილენძსადნობი ქარხნის პროდუქცია: 1900 წელს გამოადნეს 322 ტონა სპილენძი, 1913 წელს – 3.793 ტონა.

იზრდებოდა ფრანგული სააქციო საზოგადოების მთელი შემოსავალი და სუფთა მოგება, რაც წლების მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა: 1900 წელს – 408.001 მანეთი, 1901 წელს – 803.000 მანეთი, 1908 წელს 1.334.200 მანეთი, 1910 წელს – 2.400.000 მანეთი, 1913 წელს – 2.867.000 მანეთი. 1900 წლიდან 1913 წლამდე ფრანგული სააქციო საზოგადოების წლიური სუფთა მოგება 80.000 მანეთიდან 270.000 მანეთამდე გაიზარდა.

ტყიბულის ქვანახშირის მრენველობა. XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა ექსპლოატაციას ორი ფირმა ანარმოებდა: **„ნიკოლაი ნოეოსელსკის ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა ამხანაგობა"** და **„ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოება – ნახშირა"**. ნიკოლაი ნოეოსელსკი მწვავედ განიცდიდა კაპიტალის ნაკლებობას და მხოლოდ საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა. 1894 წლამდე მან მხოლოდ 120.000 ფუთი ქვანახშირი მოიპოვა. ვალებში ჩაფლულს საბრუნავი კაპიტალი შემოაკ-

ლდა და თავისი სანარმოები 1895 წელს „ტყიბულის ქვანახშირის მაღაროთა და საბრიკეტო ნარმოების საზოგადოებას“ გადასცა. ამ საზოგადოების აქციონერები ძირითადად უცხოელები იყვნენ. საზოგადოებამ 1896 წელს 1.026.820 ფუთი ქვანახშირი მოიპოვა და 300.940 ფუთი ბრიკეტი დაამზადა. საზოგადოებამ მიზნად დაისახა ისეთი მომზმარებლის გამოძებნა, რომელიც 12.000.000 ფუთ ქვანახშირს შეისყიდდა. მიზანი მიღწეული ვერ იქნა, რის გამოც საზოგადოებამ ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება არარენტაბელურად მიიჩნია, 1899 წელს მუშაობა თითქმის მთლიანად შენყვიტა და 1900 წელს „ტყიბულის ქვანახშირის მაღაროთა და საბრიკეტო ნარმოების საზოგადოების“ მთელი ქონება რუსეთის ხაზინის განკარგულებაში გადაეიდა. ხაზინამ წარმოების ორგანიზება ვერ შეძლო და 1914 წლამდე ტყიბულში ქვანახშირის წარმოება პრაქტიკულად შენყვეტილი იყო. 1914 წელს ტყიბულის ქვანახშირის საბადოები იჯარით^ საზოგადება „ნახშირამ“ აიღო. „ნახშირა“ მოღვაწეობას ჯერ კიდევ 1890 წელს შეუდგა. საზოგადების აქციონერთა სიაში 240 პირი ირიცხებოდა, მათ შორის: ივანე მაგრატიონ-მუხრანსკის შეულლე ქეთევანი, ალექსანდრე, ელენე, მარიამ, ნინო და მიხეილ ისარლიშვილები, ბარბარე თუმანიშვილი, სიმონ რუხაძე, ბესარიონ კანდელაკი, ნეოლინა აგიაშვილი, თინათინ კორინთელი, ხახული ლორთქიფანიძე, ლუკა ხვიჩია, ალექსანდრე მდივანი, ნოე ნიჟარაძე, ეასილ პეტრიაშვილი, სერგო წერეთელი, ოლღა ჩიჯავაძე და სხვები. „ნახშირას“ უცხოურ ფირმებთან კავშირი არ პქონია, საზოგადების ძირითადი კაპიტალი 2 მილიონ მანეთს შეადგენდა, რაც 400 აქციის (თითოეული 500 მანეთის ღირებულების) რეალიზაციის შედეგად შედგა. სანარმოს ოთხი დირექტორი განაგებდა.

1900 წლიდან სააქციო საზოგადოება „ნახშირამ“ ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა. 1900 წელს 700 მუშით 3.875.114 ფუთი ქვანახშირი ამოიღეს, 1913 წელს – 4.192.886 ფუთი. ფირმის სუფთა მოგებამ 1900 წელს 21.300 მანეთი შეადგინა, ხოლო 1913 წელს – 42.623 მანეთი.

ჭიათურის მანგანუმის მრენველობა. მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში 1879-1900 წლებში თანდათან იზრდებოდა და იგი მსოფლიო მნიშვნელობას იძენდა. 1900 წლისათვის ჭიათურის სამრეწველო რაიონში მეტ-ნაკლები სიდიდის 377 სამთო საწარმო მოქმედებდა. ამ საწარმოებში ყველა კატეგორიის 8.000 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო მოპოვებული მადნის მოცულობამ 40.000.000 ფუთს გადააჭარბა. ჭიათურის მანგანუმი დიდი წარმატებით სარგებლობდა სხვადასხვა სახელმნიფოს მეტალურგიულ ქარხნებში, მათ მზარდ მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებდა. 1879-1914 წლებში ჭიათურის წილად მოდიოდა მსოფლიოში მოპოვებული მანგანუმის 36,16 % და მსოფლიო ექსპორტის 43%. ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმის საერთო რაოდენობის 92-94% უცხოეთში გადიოდა, ხოლო დანარჩენს რუსეთში მოიხმარდნენ.

1900 წლიდან ჭიათურის მანგანუმის მრენველობაში კრიზისი დაიწყო. თითქმის სანახევროდ შემცირდა მადნის მოპოვება. 1901 წელს მოპოვებული იქნა 22.900.000 ფუთი მანგანუმი, ანუ 1900 წელთან შედარებით მოპოვება 43,5%-ით შემცირდა. კრიზისი და მისი თანამდევი დეპრესია 1905 წლის დამლევამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ 20.000.000-25.000.000 ფუთ მარგანეცს მოიპოვებდნენ. შემცირდა კაპიტალდაბანდება და ტექნიკური გადაიარაღების პროცესი. ჭიათურის მანგანუმის მრენველობაში ახალი აღმავლობა 1906 წლიდან დაიწყო, თუმცა მომდევნო ორი წლის განმავლობაში კვლავ კრიზისმა იჩინა თავი. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მანგანუმის მოპოვება თანდათან იზრდებოდა: 1906 წელს მოიპოვეს 50.000.000 ფუთი, 1907 წელს – 40.000.000 ფუთი, 1908 წელს – 7.000.000 ფუთი, 1909 წელს – 36.500.000 ფუთი, 1913 წელს – 59.100.000 ფუთი მანგანუმი.

1913 წლის მონაცემებით, ჭიათურის მანგანუმის მრენველობაში 21 მსხვილ მრენველს ჰქონდა კაპიტალი დაბანდებული. ამ მრენველებს 31 სანიმუშოდ გამართული გამამდიდრებელი ფაბრიკა ეკუთვნოდა, მეტ-ნაკლები სიდიდის ფაბრიკაში 22-244 მუშა მუშაობდა, ფაბრიკის ყველა მეპატრონე მრენველი იყო, ზოგიერთი მადნის ექსპორტითაც იყო დაკავებული.

ჭიათურის მალაროებში რელსების საერთო სიგრძემ 1915 წლისათვის 24.520 საჟენს მიაღწია, ხოლო საბადოს ზედაპირზე გაყვანილი გზებისამ – 7.882 საჟენს, საბაგირო გზები 2.555 საჟენზე იყო გაჭიმული.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება შემცირდა. 1915 წელს მოიპოვეს მხოლოდ 15.700.000 ფუთი მადანი, 1914 წელთან შედარებით მოპოვება 61,09%-ით შემცირებულა.

მანგანუმის მრენველობის განვითარების პროცესში ჭიათურაში ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული სამრენველო ბურჟუაზიის მრავალრიცხოვანი ფენა. ამ ფენის ფორმირება ხდებოდა გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის, შეძლებულ გლეხთა, გლეხური წარმოშობის ვაჭართა და გამდიდრებულ ხელოსანთა ბა-

ზაზე. 1900-1921 წლებში მანგანუმის მრეწველთა ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: **ქართველები – 94-95%, ადგილობრივი სომხები, ბერძნები, ებრაელები – 2-3%, უცხოელები – 3%**; 1900-1914 წლებში ქართველ მეწარმეთა საერთო რაოდენობის **58-59% გლეხობიდან** იყო გამოსული, დანარჩენი – **თავადაზნაურობიდან**.

ქარხული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში იმთავითვე მწვავედ მიმდინარეობდა. ქართველი მეწარმეები გაერთიანდნენ და შემოქმედ ორგანიზაცია **„შოროპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობა“**, რომელსაც სათავეში ედგნენ გამოჩენილი მოღვაწეები: **გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ივანე (ციტა) აბაშიძე, ნიკოლოზ ღლონტიერიძე, პეტრე წულუკიძე, სოლომონ წერეთელი** და სხვები.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში XX საუკუნის დამდეგამდე ფრანგი კაპიტალისტები პირველობდნენ, რომელთაც კონკურენციას ვერ უნევდნენ გერმანელი მეწარმეები. მომდევნო წლებში ვითარება შეიცვალა და ჭიათურაში მტკიცედ დამკვიდრდა გერმენული სააქციო გაერთიანება **„ჰელზენკირხენის სამთო, სამრეწველო საზოგადოება“**. ამ საზოგადოებაში შედიოდნენ გერმანიის სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის მაგნატები. ძლიერი პოზიციები გააჩნდა ჭიათურაში მოქმედ მეორე გერმანული ფირმას **„კავკასიის საბადოთა ამხანაგობას“**, რომლის ერთ-ერთი აქციონერი მსოფლიოში ცნობილი გერმანელი კაპიტალისტი **გუსტავ გეორგ ფრიდრიხ კრუპი** (1870-1950) იყო. 1914 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, გერმანული ფირმების მოღვაწეობა ჭიათურაში ალიკვეთა. დაიწყო კონკურენტების ბრძოლა ჭიათურის მანგანუმის ნარმოების ხელში ჩასაგდებად.

7. აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკები. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში გავრცელებულმა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ გამოინვია აბრეშუმსახვევი სარენების ლიკვიდაცია. 60-იანი წლების მინურულიდან მეაბრეშუმეობა კვლავ გამოცოცხლდა. 1869 წელს თბილისელმა მსხვილმა ვაჭარმა, მრეწველმა და მეიჯარე **ი. მირზოევმა** 45.000 მანეთად შეიძინა **ალექსეევის** აბრეშუმსახვევი და სართავი ფაბრიკა, რომლის აშენება ამ უკანასკნელს 500.000 მანეთი დაუჯდა. მირზოევმა ფაბრიკა მხოლოდ რამდენიმე თვე და ისიც ნაწილობრივი დატვირთვით ამუშავა, შემდეგ კი გააჩერა. 1874 წელს ი. მირზოევის ქარხანა 5 წლის იჯარით აიღო **მ. განჯუნცოვმა**, რომელმაც იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ აბრიკას თავი მიანება და საკუთარი სანარმო დააარსა. 1884 წელს ი. მირზოევის ფაბრიკა კელავ არ მუშაობდა, ვიდრე იგი 6 წლით იჯარით არ აიღო მ. განჯუნცოვის მეგვარემ. ამ უკანასკნელმა იტალიასა და საფრანგეთიდან გამოინერა ოსტატები და ფაბრიკამაც მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. მალე ცნობილი გახდა, რომ ადგილობრივი აბრეშუმის ნედლეული ფაბრიკას მხოლოდ 7-8 თვე ყოფნიდა, დანარჩენ თვეებში სანარმო უმოქმედოდ იყო. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ განჯუნცოვმა ვადის ამოწურვის შემდეგ იჯარა აღარ განაახლა. ალექსეევის, მირზოევისა და განჯუნცოვების გამოცდილებამ ცხადი გახადა, რომ აბრეშუმის ადგილობრივ ნედლეულზე დიდი სიმძლავრის ფაბრიკა ვერ იმუშავებდა. უფრო მომგებიანი იყო მონინავე ტექნოლოგიით აღჭურვილი, მაგრამ მცირე სიმძლავრის აბრეშუმსახვევი და სართავი ფაბრიკების დაარსება. მცირე სიმძლავრის ფაბრიკებმა მათ მფლობელებს მნიშვნელოვანი მოგება მისცა. **1888** წლისათვის თბილისის გუბერნიაში მცირე სიმძლავრის 12 აბრეშუმსახვევი და სართავი ფაბრიკა მუშაობდა, რომლებშიც 87 მუშა იყო დასაქმებული.

აბრეშუმის პარკის გადამმუშავებელი ნარმოების განვითარების დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი სტატისტიკური მასალის მიხედვით:

1. **1884 წელი**: თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 8 აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკა, რომლებშიც 30 მუშა იყო დასაქმებული და წელინადში 25.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა; თბილისის გუბერნიაშივე არსებობდა 1 აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა 415 მუშით და წელინადში 1.200.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა. ქუთაისის გუბერნიაში ამ დროისათვის აბრეშუმის გადამმუშავებელი ფაბრიკა არ მუშაობდა;

2. **1898 წელი**: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არც ერთი აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკა არ იყო; თბილისის გუბერნიაში არც აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა არსობდა; ქუთაისის გუბერნიაში მუშაობდა 2 აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, რომლებშიც 125 მუშა იყო დასაქმებული და წელინადში 73.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა;

3. **1908 წელი**: თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 3 აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკა, რომლებშიც 240 მუშა იყო დასაქმებული და წელინადში 276.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა; თბილისის გუბერნიაში არ იყო არც ერთი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა; ქუთაისის გუბერნიაში 1 აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკა მუშაობდა 43 მუშით და წელინადში 3.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა. ქუთაისის გუბერნიაში ასევე მუშაობდა 1 აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა,



თბილისი. გ. მ. მირზოევის ბამბეულის ძაფსახვევი ფაბრიკა

რომელშიც 4 მუშა იყო დაასაქმებული და წელინადში 1.000 მანეთის პროდუქციას ქმნიდა;

4. 1912 წელი: თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 5 აბრეშუმსახვევი, საძახაო და სართაო ფაბრიკა, რომლებშიც 230 მუშა მუშაობდა და წელინადში 81.000 მანეთის პროდუქცია იქმნებოდა; თბილისის გუბერნიაში აბრეშუმსაქსოი ფაბრიკა არ მუშაობდა; აბრეშუმსაქსოი და აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, ისევე, როგორც საძახაო და სართაო, არ მუშაობდა ქუთაისის გუბერნიაში;

5. 1915 წელი: თბილისის გუბერნიაში 3 აბრეშუმსართაო და საძახაო ფაბრიკა ამოქმედდა, რომლებშიც 175 მუშა იყო დასაქმებული და წელინადში 120.000 მანეთის პროდუქციას იქმნებოდა; ქუთაისის გუბერნიაში მუშაობდა 3 აბრეშუმსახვევი, საძახაო და სართაო ფაბრიკა 293 მუშით, ისინი წელინადში 57.000 მანეთის პროდუქციას ქმნიდნენ; თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში აბრეშუმსაქსოი ფაბრიკები არ გახსნილა.

8. ბამბეულის საფეიქრო მრეწველობა. 1870 წელს თბილისელმა მსხვილმა ვაჭარმა გ. მ. მირზოევმა ბამბეულის ძაფსახვევი ფაბრიკა დააარსა, რომელიც უახლესი ტექნიკით იყო აღჭურვილი, მანქანები და ინსტრუმენტები დიდი ბრიტანეთიდან გამოიწერეს, დიდი ბრიტანეთიდანვე ჩამოიყვანეს ოსტატები და ტექნიკური პერსონალი, რომლებიც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდნენ მთელ საწარმოო პროცესს. 1870 წელს ფაბრიკაში დაახლოებით 400 მუშა იყო დასაქმებული, 1871 წელს – 450, 1872 წელს – 500. 1872 წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი გაზრდილა და წლის ბოლოს ფაბრიკას უკვე 800 მუშა ჰყოლია. გ. მ. მირზოევის ფაბრიკა სართაო და საქსოი განყოფილებებისაგან შედგებოდა. ფაბრიკაში ამზადებდნენ: რიფსს, ფლანელს, ტილოს, მიტკალს. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ფაბრიკა ძირითადად ერევნის გუბერნიიდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდა და წელინადში 25.000-30.000 ფუთ ბამბას ამუშავებდა, ამზადებდა დაახლოებით 25.000-30.000 ფუთ მიტკალს (1 ფუთი მიტკალი დაახლოებით 164 კვადრატულ არშინს უდრიდა და 18-20 მანეთი ღირდა). ფაბრიკის წლიური პროდუქცია 500.000 მანეთს უდრიდა. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის ფაბრიკაში 3 დიდი სიმძლავრის ორთქლის მანქანა მუშაობდა, მოქმედებდა 11.000 თითისტარი და 300 საფეიქრო დაზგა. თავდაპირველად მუშები ხელფასს თვიურად იღებდნენ, შემდეგ ისინი სანარდო სისტემაზე გადაიყვანეს, სამუშაო დღე დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდებოდა, შუადღისას მუშები სადილისათვის მცირე ხნით ისვენებდნენ. ფაბრიკის დაარსებიდან მესამე წელს გ. მ. მირზოევმა დიდი ბრიტანელი სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკანვე გაისტუმრა, 1872 წელს ფაბრიკაში სულ ხუთიოდე ინგლისელი მუშაობდა. ინგლისელი სპეციალისტების წასვლა ფაბრიკას დიდად დაეტყო: გახშირდა უბედური შემთხვევები, რომელთა ნაწილი სიკვდილით მთავრდებოდა.

ხმირად ზიანდებოდა ტექნიკა, მანქანა-იარაღებს კი დიდი ბრიტანეთიდან ინერდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გ. მ. მირზოევის ფაბრიკა ნამგებიანი გახდა. 1880 წელს მეპატრონემ ფაბრიკა იჯარით გადასცა ფრანგ ი. რიშარს.

ი. რიშარი უნარიანად გაუძღვა საწარმოს, საფრანგეთიდან შემოიტანა ახალი მანქანა-იარაღები, მოაყვანა გამოცდილი მუშები. რიშარმა მიაღწია იმას, რომ კავკასიის არმიისათვის მიტკლის მინოდების იჯარა მიიღო, რამაც დიდი მოგება მოუტანა. 1886 წელს რიშარსა და მირზოევს შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა იჯარის გაგრძელება აღარ ისურვა და თვითონ მოჰკიდა ხელი წარმოებას. გ. მ. მირზოევი თბილისელ მუშებს ხელფასის ოდენობის შესახებ ვერ შეუთანხმდა, რის გამოც პოლონეთის ქალაქ ლოძიდან გერმანელ ფიქართა 30 ოჯახი (94 სული) ჩამოიყვანა. მირზოევმა ფაბრიკა მომგებიანად მაინც ვერ აქცია, მალე სანარმო რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად (210.000 მანეთად) ი. ა. ჩითახოვმა შეისყიდა.

XX საუკუნის დამდეგიდან თბილისში ბამბის სართავი და საფეიქრო წარმოება კარგა ხნით შეწყდა, რადგან რუსეთიდან შემოტანილი პროდუქციის კონკურენციას ვერ გაუძლო. რამდენიმე წლის შემდეგ ძმებმა მაჰმუდბეგოვებმა თბილისში ბამბა-ქსოვილის ფაბრიკა აამუშავეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მუშაობდა.

9. თამბაქოს ფაბრიკები. თამბაქოს გადამმუშავებელი საწარმოები თბილისში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს ჩნდება. ამ დროიდან როგორც მეთამბაქოეობა, ისე თამბაქოს მრეწველობა სწრაფად ვითარდება. 1873 წლიდან ამირკავკასიაში ამოქმედდა აქციზის იგივე სისტემა, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედებდა და რამაც დიდად შეაფერხა თამბაქოს მრეწველობის განვითარება. დაბეგვრამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თამბაქოს შინამრეწველურ, კუსტარულ საწარმოებს, რომლებიც იმხანად საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო. თამბაქოს გადამმუშავებელმა კაპიტალისტურმა საწარმოებებმა, როგორებიც იყო, მაგალითად, 1852 წელს დაარსებული ა. ენფინჯიანცისა და 1858 წლიდან მოქმედი ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკები, აქციზის შემოღება, ასე თუ ისე, უმტკივნეულოდ გადაიტანეს. ნერილი შინამრეწველური, კუსტარული საწარმოების დახურვის შემდეგ ხსენებულმა თამბაქოს ორმა ფაბრიკამ წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა და დიდი მოგებაც ნახა. 1886 წლისათვის თბილისის გუბერნიაში თამბაქოს გადამმუშავებელი 8 ფაბრიკა მუშაობდა, 7 – თბილისში, 1 – ახალციხეში. თბილისის შვიდიე ფაბრიკაში 619 მუშა იყო დასაქმებული.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ა. ენფინჯიანცისა და ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკები, ფაქტობრივად, მანუფაქტურის ტიპის სანარმოები იყო. მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოდან ამ ფაბრიკებში გაჩნდა მექანიკური დაზგები, რამაც გადატრიალება მოახდინა თამბაქოს წარმოებაში. თამბაქოს ფაბრიკებში სამუშაო დღე 12-14 საათამდე გრძელდებოდა, შენობა, რომელშიც საწარმოო პროცესი მიმდინარეობდა, არ ნიავდებოდა, ორთქლით გაჟღენთილ შენობაში მუშაობა უკიდურესად მძიმდებოდა, ხელფასი გაიცემოდა ყოველკვირეულად და საშუალოდ დღეში 3,5–6 მანეთს უდრიდა. ფართოდ იყო გავრცელებული არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება. 1886 წელს თბილისის გუბერნიაში არსებულ თამბაქოს 7 ფაბრიკაში დასაქმებული 619 მუშიდან 100 არასრულწლოვანი იყო, კერძოდ, ნ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავე 260 კაციდან 50 არასრულწლოვანი მუშაობდა, ხოლო ა. ენფინჯიანცის (შემდეგში საფაროვის) სანარმოში 100 მუშიდან მცირეწლოვანი იყო 15. თამბაქოს ფაბრიკების მოწინავე ტექნიკით აღჭურვის შემდეგ მფლობელისათვის უფრო მომგებიანი გახდა ბავშვთა და ქალთა შრომის გამოყენება.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ა. ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაიდგა მექანიკური დაზგა და ოტტოს სისტემის ძრავი. მალე მექანიკური დაზგებითა და ახალი ძრავებით აღიჭურვა სხვა ფაბრიკებიც. თუ წინათ ხელის დაზგით 1 ფუთი თამბაქოს დაჭრა ფაბრიკის მეპატრონეს 1 მანეთი და 50 კაპიკი უჯდებოდა, მექანიკური დაზგის ამუშავების შემდეგ ეს ხარჯი 45-50 კაპიკამდე შემცირდა. მექანიკურმა დაზგამ და ოტტოს სისტემის ძრავმა შრომის ნაყოფიერება 8-ჯერ გაზარდა, ამიერიდან 8 მუშის საქმეს 1 მუშა აკეთებდა. ასე გადაიქცა თამბაქოს გადამმუშავებელი მანუფაქტურის სისტემის საწარმოები კაპიტალისტურ ფაბრიკებად. ამ პროცესის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ამიერკავკასიის თამბაქოს გადამმუშავებელი ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებელ სტატისტიკურ მასალას:

1. 1891 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე –116; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 3, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 10;

2. 1892 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე –85; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 17;

3. 1893 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 68; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 25;

4. 1894 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 66; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 25;

5. 1895 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 49; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 29;

6. 1896 წელი.ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 37; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 34;

7. 1897 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 32; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 36;

8. 1898 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 31; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 38;

9. 1899 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე –27; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით – 2, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 40;

10. 1900 წელი. ხელის დაზგა ძრავის გარეშე – 23; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 43;

როგორც ვხედავთ, ხელის დაზგების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა. თუ 1891 წელს ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებში 116 ხელის დაზგა იდგა, 1900 წლისათვის მხოლოდ 23 შეშორჩა, ე.ი. შემცირდა დაახლოებით 5,5-ჯერ. სამაგიეროდ, დიდი სისწრაფით მრავლდებოდა ორთქლისა და აირძრავიანი დაზგები: თუ 1891 წელს ორთქლის ან აირძრავიანი მხოლოდ 10 დაზგა იყო, 1900 წელს უკვე ასეთი 43 დაზგა მუშაობდა. ე.ი. მათი რიცხვი 4,3-ჯერ გაიზარდა.

1900 წლამდე პაპიროსის სიგარები მხოლოდ ხელით მზადდებოდა. ამ წელს პირველად ამიერკავკასიაში გაჩნდა სიგარების მკეთებელი პირველი 5 დაზგა, რომელთა რაოდენობა შემდგომ, მათ შორის თბილისში, უფრო გაიზარდა.

თბილისისა და ამიერკავკასიის თამბაქოს სხვა ფაბრიკებში დამზადებულ პროდუქციას XIX საუკუნის 80-იან წლებში დიდ კონკურენციას უწევდა რუსეთიდან, კერძოდ დონის როსტოვიდან, შემოტანილი საქონელი, რომელიც, როგორც სიაფით, ისე ხარისხით აღემატებოდა ადგილობრივ ნაწარმს.

ამიერკავკასიაში თამბაქოს წარმოების ცენტრები იყო: თბილისი, ბაქო, ქუთაისი, ბათუმი. გუბერნიების მიხედვით, 1900 წლისათვის თამბაქოს წარმოება ასეთ სურათს იძლეოდა(ბათუმის თამბაქოს წარმოების სტატისტიკა შესულია ქუთაისის გუბერნიის მონაცემებში):

1. 1891 წელი. თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 7, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 733.400 მანეთი, მუშების რაოდენობა – 839; ქუთაისის გუბერნიაში – ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 380.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 161;

2. 1896 წელი. თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 6, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 1.215.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 1.023; ქუთაისის გუბერნიაში – ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა –144.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 174;

3. 1902 წელი. თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 5, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 2.070.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 612; ქუთაისის გუბერნიაში – ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 345.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 162;

4. 1908 წელი. თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 1.045.600 მანეთი, მუშების რაოდენობა – 444; ქუთაისის გუბერნიაში – ფაბრიკების რაოდენობა – 2, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 92.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 142;

5. 1912 წელი. თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 176.900 მანეთი, მუშების რაოდენობა – 276; ქუთაისის გუბერნიაში – ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 136.500 მანეთი, მუშების რაოდენობა – 294;

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობა არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდეც.

10. ტყავის ქარხნული გადამმუშავებელი საწარმოები. ტყავის ქარხნული გადამუშავება თბილისში 1875 წლიდან დაიწყო, როდესაც გ. ადელხანოვმა ამ ტიპის პირველი საწარმო გახსნა. გ. ადელხანოვის ტყავის გადამმუშავებელ ფაბრიკაში 1884 წელს რეკონსტრუქცია ჩატარდა, რის შემდეგაც როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. ქარხანაში იდგა ორთქლის 3 მანქანა ორთქლისევე 3 ქვაბით, სანავაოდ მაზუთს იყენებდნენ. 1889 წელს ქარხანა ტექნიკურად გადაიარაღდა, ხოლო 1891 წელს ტექნოლოგიურ პროცესში ელექტროდენის გამოყენება დაიწყეს. 1895 წელს გ. ადელხანოვის ტყავის ქარხანასთან ფეხსაცმლის საკერავი მსხვილი სახელოსნო გაიხსნა, რომელშიც თავდაპირველად 60 ოსტატი მუშაობდა. სახელოსნო მანუფაქტურული ტიპისა იყო, შემდგომ იგი ფეხსაცმლის მექანიკურად მკერავ სახელოსნოდ გადაიქცა, რომელშიც 250 მუშა იყო

დასაქმებული. გ. ადელხანოვმა დამზადებული ფეხსაცმლის რეალიზაციის მიზნით თბილისში, ბაქოსა და კავკავში (ვლადიკავკაზში) სანყობები და მაღაზიები გახსნა.

11. აგურის ქარხნები. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში აგურს ანარმოებდა მანუფაქტურული ტიპის ქარხნები. 70-იანი წლების მინურულს თბილისში თავადმა **ხიმშიაშვილმა** აგურის პირველი ქარხანა გახსნა. ქარხანაში შრომის პროცესი მექანიზებული იყო. მას ჰქონდა ჰოფმანის სისტემით აშენებული აგურის გამოსაწვავი ღუმელი. 90-იანი წლებიდან თბილისში აგურის ქარხნების რაოდენობა გაიზარდა. მოვიხმობთ სტატისტიკურ მასალას (ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის მონაცემები შეტანილია ქუთაისის გუბერნიის მონაცემებში):

1. **1902 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 272, წლიური პროდუქცია – 498.000 მანეთისა, დასაქმებული –1.602 კაცი; ქუთაისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 208, წლიური პროდუქცია – 59.000 მანეთისა, მუშები – 378 კაცი;

2. **1912 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 64, წლიური პროდუქცია – 398.000 მანეთისა, მუშები 645 კაცი; ქუთაისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა –152, წლიური პროდუქცია – 103.000 მანეთისა, მუშების რაოდენობა – 595.

12 ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები. ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოების ამოქმედება საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანას უკავშირდება. მსხვილი საწარმოები მუშაობდა ბორჯომში, დიდ მთავარ **მიხაილ რომანოვისა**, ატენსა და ხანდაკში – **ქართველიშვილისა და ზუბალაშვილის**, საჩილაოში **ოქრომჭედლიშვილისა** და სხე. ხე-ტყის დამუშავება ცუდად იყო დაგეგმილი. ამაზე მეტყველეებს ისიც, რომ ბათუმში არსებულ ნავთობის ჭურჭლის მწარმოებელ ქარხნებს საჭირო ხე-ტყე ხერსონიდან, რუმინეთსა და ავსტრიიდან შემოპქონდათ, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტყეებში საუკეთესო ჯიშის ხეები იზრდებოდა. ბაქოს ნავთობის გადამამუშავებელ ქარხნებს საჭირო ხე-ტყე რუსეთიდან შემოპქონდათ, რის გამოც საქართველოში მოქმედი ხე-ტყის ბაზარი შეზღუდული იყო. ხე-ტყის დამამუშავებელი მრენველობის განვითარების სტატისტიკა ამგვარ სურათს იძლევა:

1. **1897 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 81 ქარხანა, რომელთა პროდუქციის წლიური რაოდენობა 417.000 მანეთს შეადგენდა, ქარხნებში 552 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაში ხე-ტყის დამმუშავებელი 23 ქარხანა არსებობდა 316 მუშით, პროდუქციის წლიური რაოდენობა 449.000 მანეთს შეადგენდა;

2. **1902-1903 წლები.** თბილისის გუბერნიაში რეგისტრირებული იყო ხე-ტყის დამმუშავებელი 43 ქარხანა 560.000 მანეთის პროდუქციის წლიური ოდენობით, ქარხნებში 487 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაში ხე-ტყის დამმუშავებელი 32 ქარხანა მუშაობდა 629 მუშით, პროდუქციის წლიური ოდენობა 772.000 მანეთს შეადგენდა:

3. **1908 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 41 ქარხანა 360.000 მანეთის პროდუქციის წლიური ოდენობით, ქარხნებში 665 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაში ხე-ტყის დამმუშავებელი 29 ქარხანა არსებობდა 641 მუშით, პროდუქციის წლიური ოდენობა – 175.000 მანეთი;

4. **1912 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 62 ქარხანა, პროდუქციის წლიური ოდენობა 423.000 მანეთს შეადგენდა, ქარხნებში 398 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაში ხე-ტყის დამმუშავებელი 35 ქარხანა მუშაობდა 1.218 მუშით, პროდუქციის წლიური რაოდენობა 288.000 მანეთს შეადგენდა;

საქართველოში მრეწველობის განვითარება დიდად შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.). ომმა პროდუქციის ნაწილზე მოთხოვნა გაზარდა, ხოლო მეორე ნაწილის ნარმოება ან შემცირდა, ან საერთოდ შეწყდა.

§4. სოფლის მეურნეობა

1.სოციალური ვითარება საქართველოს სოფლებში. XIX საუკუნის დასასრულიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, რაც, ცხადია, დიდად განაპირობებდა სოფლად აგრარული მეურნეობის მდგომარეობას. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გაელენას ახდენდა: **ფისკალური პოლიტიკა, მცირემიწიანობა, სოფლის მოსახლეობის საშოვარზე გასელა, დაქირავებული შრომა სოფლად, მოუსაელიანობა** და სხვა ფაქტორები.

ფისკალური პოლიტიკა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადს და ერობის ფულად მოსაკრებელს, რაც კი ადგილ-მამულის შემოსაელიდან იანგარიშებოდა, იხდიდა მხოლოდ ე.წ. **გამომლებელი წოდება,** ანუ **გლეხობა.** მემამულეები (თავადები და აზნაურები), რომლებიც ფლობდნენ მინის ფონდის უმნიშნელოვანეს ნაწილს, სახელმწიფო გა-



ფოთი. მეგრელი მეურმეები

დასაბადებისაგან თავისუფალი იყო. თავადაზნაურობა ერობის მოსაკრებელს ფრიად უმნიშვნელო რაოდენობით იხდიდა. ეს გადასახადი მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა და გლეხთა საქმეების საგანგიოს შესანახ ხარჯებს ფარავდა. გლეხები, რომელთა სარგებლობაში დაახლოებით 2-ჯერ მეტი მინა იყო, თავადაზნაურობაზე 20-ჯერ მეტ გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ ფულადი გადასახადის სახით. გარდა ამისა, გლეხობას ანვა ერობის ნატურალურ ბეგარათა მთელი სიმძიმე. გლეხობას უნდა გაელო სასოფლო თემის მოსაკრებელიც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში არსებულ ეარგისი მიწების ყოველ 1 დესეტინაზე საერობო მოსაკრებელი 78 კაპიკს შეადგენდა, მაშინ, როდესაც რუსეთის შიდა გუბერნიებში ეს ციფრი 10,5 კაპიკს უდრიდა, ხოლო 90-იან წლებში 13 კაპიკამდე გაიზარდა. იგივე ვითარება იყო მთელ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში). მიუხედავად ამისა, რუსეთის ცენტრალური პრესა ამტკიცებდა, რომ სამხრეთ კავკასიიდან სახელმწიფოს მცირე შემოსავალი ჰქონდა და მოითხოვდა მოსახლეობის უფრო მეტად დაბეგვრას. მართალია, გადასახადი არ გაზრდილა, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა ის, რომ რუსეთის იმპერიის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში ძალაში დატოვა ბეგარა-გამოსაღებთა გაწერის ის წესი, რომელიც XIX საუკუნემდე არსებობდა – კომლობრივი გაწერა. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში შემოიღეს მოსახლეობის სულადობრივი დაბეგვრა, თუმცა გადასახადების კომლებზე განერის წესიც ძალაში დატოვეს. ზემოთ ხსენებული ფისკალური პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა გლეხობას. კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორ ნიკოლაი II-თვის წარდგენილ მოხსენებაში, როდესაც 1905 წლის რევოლუციის ეკონომიკურ მიზეზებს ეხებოდა, იძულებული იყო ელიარებინა, რომ კავკასიის გლეხობისათვის სრულიად შეუძლებელი გახდა მიწათმოქმედების კულტურაში ისეთი სიახლის შეტანა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დანახარჯების გაზრდას გამოიწვევდა. მუშა პირუტყვის სიმცირე, მიწათმოქმედების პრიმიტიული იარაღები, მიწის გაუნოყიერებლობა იწვევდა მოსავლიანობის მუდმივად მზარდ შემცირებას. აი, რა მოჰყვა იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამოსაღებთა ტვირთის მთელ სიმძიმეს კავკასიის გლეხობას აკისრებდა. გლეხური მეურნეობის დაცემამ გაელენა იქონია მემამულეთა შემოსავალზე. ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ სამხრეთ კავკასიის მემამულეები დღემდე თითქმის არ ეწევიან საკუთარ მეურნეობას, გაბატონებულია საზიარო მეურნეობის სისტემა, რომლის პირობად სანახევრო პრინციპია მიჩნეულიო.

1901 წელს გატარებული რეფორმის ძალით, კომლობრივი გამოსაღები და სხვადასხვა სახის ბეგარა მოისპო და მათ ნაცვლად დაწესდა: 1. სახელმწიფო გლეხთა მუდმივ სარგებლობაში არსებულ ხაზინის მიწაზე – ღალის გამოსაღები; 2. ყვე-

ლა სხვა მინაზე – ადგილ-მამულის სახელმწიფო გადასახადი; 3. მემამულეთა (თავადაზნაურთა) და გლეხთა ყველა მინაზე – ერობის მოსაკრებელი. რეფორმას გლეხთა მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. 1907 ნლის ოფიციალური მონაცემებით, გლეხობაზე განერილი გებარა-გადასახადები მხოლოდ 2%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, სხვა სახის გადასახადთა საერთო ჯამი მნიშვნელოვნად გადიდდა. 1909 ნლისათვის ღალის გამოსაღები 2-ჯერ და კიდეც უფრო მეტად გაიზარდა. 1910 ნელს ხელისუფლების ერთ-ერთი ნარმომადგენელი აღიარებდა: „ღალის გამოსაღები ამიერკავკასიაში არის სრული ანაქრონიზმი და ამასთან ერთად, იგი წარმოადგენს აუტანელ ტვირთს (...) გადამხდელთათვის." ამაზე ბევრად უფრო ადრე ღალის გამოსაღების მოსპობის აუცილებლობას ასაბუთებდა კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი. მეფისნაცვლის შეხედულება მხოლოდ გლეხობის აუტანელი მდგომარეობიდან არ გამომდინარეობდა, იგი პოლიტიკური მოსაზრებითა და ხაზინის ინტერესებით იყო განპირობებული. თავის პოზიციას მეფისნაცვალი იურიდიული თვალსაზრისითაც ასაბუთებდა: 1861 ნლის 5 მარტის იმპერატორ ალექსანდრ II-ის ბრძანებულებით, მინაზე საკუთრების უფლება მიენიჭა ყველა კატეგორიის გლეხს, როგორც სახელმწიფო, ასევე სახელმნიფო მინაზე დასახლებულ მონაშენესაც; 1905 ნლის 3 ნოემბრის მანიფესტით, რუსეთის შიდა გუბერნიის ყოფილი სახელმნიფო გლეხები გადაყვანილი იქნენ კერძო მესაკუთრეთა კატეგორიაში და მათი მინები გადასახადების მხრივ გაუთანასწორდა კერძო მფლობელთა მინებს და დაიბეგრნენ ადგილ-მამულის სახელმნიფო გადასახადით. სამხრეთ კავკასიის სახელმნიფო გლეხებზე არც 1861 ნლის 5 მარტისა და არც 1905 ნლის 3 ნოემბრის კანონები არ გავრცელებულა, რის გამოც აქაური გლეხობა 1917 ნლამდე იხდიდა ღალის გამოსაღებს. 1900 ნლის 12 ივნისის კანონით, ამიერკავკასიაში 1901 ნლიდან შემოღებული იქნა ადგილ-მამულის სახელმნიფო გადასახადი. ეს გადასახადი კერძო მფლობელთა მინებზე უნდა განერილიყო ნმინდა შემოსავლის 1,8%-ის მოცულობით. 1908 ნლიდან გადასახადი გაიზარდა და 3,6%-ს გაუტოლდა.

ამრიგად, გლეხთა მოძრაობის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით 1901 ნლიდან სამხრეთ კავკასიაში დაბეგრილი იქნა როგორც გლეხთა, ისე სახელმნიფო და თავადაზნაურთა მიწები, თუმცა გადასახადის დიფერენცირების პრინციპი უზრუნველყოფდა თავადაზნაურობის პრივილეგირებულ



თბილისი. ლეკი მუშები



ორპირი. რაჭელი მუშები ხიდის მშენებლობაზე

მდგომარეობას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობის ფისკალური პოლიტიკა არსებითად არ იცვლებოდა.

გადასახადის დიფერენცირება იმას ნიშნავდა, რომ დადგინდაჩდაბეგვრის **გაწერითი** ფორმა, როდესაც გუბერნიებზე შენერილი გადასახადის საერთო ჯამი ისაზღვრებოდა კანონმდებლობის გზით მინის შემოსავლიანობის მიხედვით. ეს იმას ნიშნავდა, რომ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა მინის შემოსავლიანობის გარკვევა, რაც სახაზინო პალატებს უნდა ენარმოებინათ. შემოსავლიანობის დადგენა **გამოსაღებთა ინსპექტორების** მოვალეობა იყო. კაკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ მინის შემოსავლიანობის დადგენისათვის „არ არსებობდა არავითარი ადგილობრივი გამოკვლევები და შეფასებითი მასალები," რის გამოც გამოსაღებთა ინსპექტორები თვით გადამხდელთა განცხადებებისა და საკუთარი შთაბეჭდილებების მიხედვით განსაზღვრავდნენ მიწის შემოსავლიანობას. საქართველოში მინების შემოსავლიანობა ადგილმდებარეობის, სიმაღლის, დაქანებულობის, სარწყავ-ურწყავის, მოსაყვანი კულტურისა და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. ცხადია, ყოველივე ამას გამოსაღებთა ინსპექტორები ვერ შეძლებდნენ. ეს ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ინსპექტორებზე ზეგავლენა მოეხდინა, ხოლო ამ უკანასკნელებს გლეხთა მიწების შემოსავლიანობა ხელოვნურად გაეზარდათ. შემოსავლიანობის დადგენის პროცესის სირთულის გამო გლეხობას საშუალება არ ჰქონდა, კონტროლი გაეწია გამოსაღებთა ინსპექტორების საქმიანობისათვის. იმავდროულად, ინსპექტორები ხელოვნურად ამცირებდნენ მემამულეთა და სახელმწიფო მიწების შემოსავლიანობას. ეს ტენდენცია თავის დროზე კარგად შეუნიშნავს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. არსებული მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ გლეხთა მიწების შემოსავლიანობა ისე იყო განსაზღვრული, რომ 2 – 2,5-ჯერ სჭარბობდა მემამულეთა მიწების შემოსავლიანობას. ამასთან ერთად, ერთი დესეტინა სახელმწიფო მიწა 3 კაპიკით იბეგრებოდა, მემამულისა – 20,4 კაპიკით, გლეხისა – 45,5 კაპიკით. გასაგებია, თუ რატომ დატოვა თითქმის დაუბეგრავი რუსეთის მთავრობამ სახელმწიფო მინები, მაგრამ სრულიად ალოგიკური იყო ის, რომ გლეხობის მიწები 45,5 კაპიკით იბეგრებოდა, ხოლო მემამულეთა – 20,4 კაპიკით. ასე რომ, გადასახადის მთელი სიმძიმე გლეხობას დაანება მხრებზე. საქართველოს გლეხობა რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობასთან შედარებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხობის სანადელო მიწა 1 დესეტინაზე გადაანგარიშებით რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობის მინებთან შედარებით 3 – 4-ჯერ მეტად იბეგრებოდა.

1904-1909 წლებში, რევოლუციური მოძრაობის გაელენით, გადასახადთა რაოდენობა თანდათან დაუხლოვდა ერთმანეთს: მემამულე 1 დე-

სეტინა მინაზე იხდიდა 21,9 კაპიკს. ხოლო გლეხობა – 27 კაპიკს. ამის მიუხედავად, თავადაზნაურობას არაოფიციალურად მაინც ეძლეოდა პრივილეგია: მემამულეები თავიანთ მიწაზე შენერილ გადასახადს ნლების განმავლობაში არ იხდიდნენ, ხოლო შემდეგ ხელისუფლება ხელმოკლეობის საბაბით მათ გადასახადებს ნანილობრივ ან მთლიანად ჩამოანერდა ხოლმე. 1901 წელს „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ ასი ნლისთავთან დაკავშირებით, იმპერატორის რესკრიპტით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობა, რომელთა მამულები 1900 ნლის კანონით სამი ნლის ვადით (1901-1903 ნნ.) გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყო, კიდევ სამი წლით გათავისუფლდა მინის გადასახადისაგან. გარდა ამისა, თავადაზნაურობას მთლიანად ეპატია 1901 ნლის 1 იანვრამდე მასზე რიცხული სახელმნიფო გადასახადის ნარჩენები.

ღალის გამოსაღების შემდეგ მთავარი გადასახადი იყო **ერობის მოსაკრებელი**, რაც ყოველგვარ მოსაკრებელთა საერთო ჯამის 44%-ს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერობის ყოველგვარ მოსაკრებელთა 66% გლეხთა მინებზე მოდიოდა, ხოლო 34% – მემამულეთა მინებზე. 1901 ნლის რეფორმა ერობის შემოსავალ-გასავალსაც შეეხო. ერობის მოსაკრებელთა მთელი რაოდენობა ერობის განკარგულებაში რჩებოდა, მაშინ, როდესაც ნინათ ერობის მოსაკრებელთა მნიშვნელოვანი ნანილი სახელმნიფო ხაზინაში შედიოდა. ეს იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ერობას შეეძლო მნიშვნელოვანი თანხები დაეხარჯა მოსახლეობის ჯანდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის. იმავე წელს ცხადი გახდა, რომ ერობა მიღებულ შემოსავალს ვერ გამოიყენებდა. 1901 წელსვე ხელისუფლებამ ერობას დიდი ხარჯი დაუწესა, ეს ხარჯი 2-ჯერ აღემატებოდა იმ თანხას, რომელიც ერობას რეფორმამდე შეპქონდა სახელმნიფო ხაზინაში. კერძოდ, 1901 ნლიდან კავკასიაში პოლიციის სტრატნიკთა შესანახავად ერობას ყოველნლიურად უნდა გადაერიცხა 2.500.000 მანეთი, 1901 ნელს კავკასიის ერობის საერთო შემოსავლის (4.670.000 მანეთი) 57% პოლიციის სტრატნიკთა შენახვაზე დაიხარჯა. ერობის საჭიროებებს მოხმარდა შედარებით უმნიშვნელო ნანილი: 4,8% – ადმინისტრაციულ საჭიროებებზე, 39% – ჯანდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისათვის. ამ 39%-დან 20% გზების გაყვანასა და შეკეთებას მოხმარდა, 13% – ჯანდაცვას, 4% – განათლებას. 1903 ნელს კავკასიის ერობათა მთელი შემოსავლის 60,1% თვით ერობის მმართველობის შენახვასა და ადმინისტრაციული ხარჯების (პოლიციის სტრატნიკთა შენახვა, ტუსაღების გადაყვანა და სხვ.) დაფარვას მოხმარდა. და ეს მაშინ, როდესაც ამავე მიზნით 1903 ნელს რუსეთის 34 შიდა გუბერნიაში ერობის მთელი შემოსავლის მხოლოდ 17,1% დაიხარჯა. 1903 ნელს კავკასიის ერობის შემოსავლებიდან სახალხო განათლებას 3,3% მოხმარდა, ხოლო რუსეთის შიდა გუბერნიებში –18,8%; კავკასიაში ჯანდაცვასა და ვეტერინალურ მომსახურებაზე 16,6%, ხოლო რუსეთის შიდა გუბერნიებში 51,8% დაიხარჯა. შემორჩენილი სტატისტიკური მასალით დგინდება, თუ როგორ იზრდებოდა ამიერკავკასიაში ერობის ხარჯები:

1. 1865 ნელი –1.288.300 მანეთი;
2. 1872 ნელი – 1.752.900 მანეთი;
3. 1882 ნელი – 2.300.000 მანეთი;
4. 1992 ნელი – 3.259.000 მანეთი;
5. 1904 ნელი – 4.670.000 მანეთი.
6. 1911 ნელი – 6.500.000 მანეთი.

ამრიგად, ერობის ხარჯები 1865–1911 ნლებში, ე.ი. 46 ნლის განმავლობაში, დაახლოებით 5-ჯერ, ხოლო უკანასკნელი 20 ნლის განმავლობაში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა.

საშოვარზე გასვლა. XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საშოვარზე გასული გლეხობის რაოდენობა. საშოვარზე (ქირაზე) გასვლა ორი სახის იყო: 1. **მინათმოქმედური (სოფლის მეურნეობრივი)** – როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მინათმოქმედი გლეხი სხვა სოფელში მიდის და ისეე მინათმოქმედებით არის დაკავებული; 2. **არამინათმოქმედური (მრეწველური)** – როდესაც გლეხი სოფლიდან მიდის და მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, ძირითადად ქალაქში, საქმიანობს. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება იმ გლეხთა რაოდენობა, რომლებიც მინათმოქმედებას თავს ანებებენ და ქალაქის სამრეწველო საწარმოებში პოულობენ სამუშაოს.

საშოვარზე გასვლის ძირითადი მიზეზი **მცირემინიანობა**, ანუ „მინის ნაკლებობა“ და „სოფლად ზედმეტი მუშახელის“ გაჩენა იყო. საშოვარზე გასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც სახნავ-სათესად ვარგისი მინის სიმცირე იყო და ბუნებრივი პირობები მკაცრი. გლეხი, რომელსაც ოჯახის გამოკვების საშუალება არ გააჩნდა, საშოვარზე გადიოდა. შემდეგში საშოვარზე გასვლა ბარის რაიონებშიც პოპულარული გახდა. 1909 ნელს ქუთაისში ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით გამართული თათბირის მასალებში ეკითხულობთ: „მცირემინიანობისა და გუბერნიის ტერიტორიის დიდი ნანილის მთაგორიანობის გამო, რაც ესოდენ არახელსაყრელია მოწათმოქმედების გან-

ვითარებისათვის, მოსახლეობა განწირულია საშოვარზე გასვლისა და მოხეტიალე ცხოვრებისათვის. სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს და ზემო იმერეთის თითქმის მთელი მოსახლეობა წლის უმეტეს ნაწილს ატარებს არა მხოლოდ თავიანთი სოფლების, არამედ გუბერნიის გარეთაც."

გლეხობის საშოვარზე გასვლა განსაკუთრებით მატულობდა მოუსავლიანობის წლებში. მოუსავლიანობას ინეეედა: გვალეა, ხშირი და ზომაზე მეტი ნვიმა, სეტყვა, კალიისა და მღრღნელების მომრავლება, ფილოქსერა და სხვ. თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიაში მოუსავლიანობა პერიოდულად მეორდებოდა, კერძოდ, მოუსავლიანი იყო: 1889–1893, 1897–1898, 1902 –1903, 1906–1907, 1909–1913 წლები. 1897 წლის მოუსავლიანობამ გაუსაძლისი პირობები შექმნა საქართველოს სოფლებში როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიაში. 1997-1998 წლების ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობა უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. 1897–1898 წლებში მოუსავლიანობა მთელ რუსეთში აღინიშნა, მომდევნო 1899–1900 წლებიც ნაკლებად მოსავლიანი იყო, რაც უარყოფითად აისახა საქართველოზე.

1897 წლის მოუსავლიანობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო კახეთი. მთელ რიგ სოფლებში უკვე ოქტომბერშივე შემოელიათ ხორბალი, სოფლების ნაწილს ხორბალი მხოლოდ იანვრამდე ეყო, მხოლოდ მცირე ნანილს – აპრილამდე. აპრილში უკვე მთელი გლეხობა ყიდულობდა პურს. პურის შესასყიდი თანხის შეგროვების მიზნით მოსახლეობა საოჯახო ნივთებს აგირავებდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრა, სადაც გლეხობამ პურის შესასყიდი ფულის შესაგროვებლად ხარ-კამეჩის გაყიდვა დაიწყო. იმერეთში ძალზე გაძვირდა სიმინდი, აქაც აღინიშნა საოჯახო ნივთებისა და მსხვილფეხა შინაური პირუტყვის გაყიდვის შემთხვევები.

მცირემინიანობა. XX საუკუნის დამდეგიდან მცირემინიანობის გამო მოსახლეობის სოფლებიდან საშოვარზე გასვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1894–1904 წლებში ქალაქებს მასობრივად მიაწყდა სოფლიდან გასული გლეხობა. ეს პროცესი განსაკუთრებით მასობრივი იყო რაჭასა და ლეჩხუმში, ასევე – გურიაში. სოფლიდან გასულების უმრავლესობას პროფესია არ ჰქონდა, ამიტომ უმეტესად შავ მუშებად მუშაობდნენ. გურია-სამეგრელოდან მოსახლეობა ძირითადად ბათუმსა და ფოთში მიდიოდა. გლეხობის ნაწილი თბილისში ეძიებდა სარჩო-საბადებელს. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. 1913 წელს შედგენილ ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მცირემინიანობის გამო სოფლებიდან გასული გლეხობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს ქალაქში მიღებული ხელფასი წარმოადგენდა. იგივე მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაშიც.

მცირემინიანი გლეხების ნაწილი სამუშაოს ისევ სოფლად, ან თავისსავე სოფელში, ან სხვა სოფელში, პოულობდა. სოფლად დაქირავებული შრომა გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ქალაქად. მოვიყვანთ სტატისტიკურ მასალას, რომელიც სოფლად დაქირავებული მუშის ხელფასის საშუალო წლიურ რაოდენობას გვიჩვენებს:

1. **თბილისის გუბერნია.** 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 59 მანეთს იღებდა, ქალი – 57 მანეთს, მოზარდი – 18 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი 72 მანეთს, ქალი – 27 მანეთს, მოზარდი – 25 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 91 მანეთს იღებდა, ქალი – 48 მანეთს, მოზარდი –33 მანეთს;

2. **ქუთაისის გუბერნია.** 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 67 მანეთს იღებდა, ქალი – 25 მანეთს, მოზარდი – 27 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი – 84 მანეთს, ქალი – 34 მანეთს, მოზარდი – 35 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 112 მანეთს იღებდა, მუშა ქალი – 46 მანეთს, მოზარდი –47 მანეთს;

3. **სოხუმის ოკრუგი.** 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 69 მანეთს გამოიმუშავებდა, ქალი – 55 მანეთს, მოზარდი – 37 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი – 94 მანეთს, ქალი – 64 მანეთს, მოზარდი – 48 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცს წლიურად 123 მანეთი ეძლეოდა, ქალს – 88 მანეთი, მოზარდს –71 მანეთი;

4. **ბათუმის ოლქი.** 1900 წლისათვის ბათუმის ოლქის მონაცემები შემონახული არ არის; 1905 წელს ბათუმის ოლქში მუშა მამაკაცი წლიურად 102 მანეთს იღებდა; 1910 წლს მუშა მამაკაცი – 143 მანეთს, ქალი – 40 მანეთს, ხოლო მოზარდი – 35 მანეთს.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სოფლებში სამუდამოდ გაქრა ნატურალური მეურნეობის ეპოქისათვის დამახასიათებელი თვითკმარობა. გლეხობა იძულებული გახდა, შემოსავლის სხვა წყარო ეძებნა. არსებობის წყაროს მოძიების გარეშე კრიზისს თავს ვერც თავადაზნაურობა დააღწევდა.

2. საუკეთესო მინათმოქმედება. XX საუკუნის დამდეგიდან ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დანყებამდე(1914 წ.) საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო მინათმოქმედების უმეტესი დარგების მოსავლიანობის ზრდა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპე-

ციალიზაციის გაღრმავება.

XX საუკუნის დამდეგიდან თანდათან იზრდებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. რუსეთის იმპერიის მანქანათმშენებლობა ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის შინაგან მოთხოვნილებას, რის გამოც თანდათან იზრდებოდა მანქანა-იარაღების იმპორტი. 1900 წელს საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-იარაღების საერთო ნონა 19.170 ფუთს უდრიდა. 1902 წელს – 15.706 ფუთს, 1903 წელს – 39.715 ფუთს. შემოტანილი მანქანა-იარაღების 70% ნერილი ინვენტარი (ნერაქვი, ცული, ბარი, ცელი და სხვ.) იყო, 30% კი – გუთნები და სხვადასხვა სახის მანქანა. მომდევნო წლებში მანქანა-იარაღების იმპორტმა იმატა. 1911 წელს რუსეთიდან და უცხოეთიდან სამხრეთ კავკასიაში რკინიგზით შემოვიდა მანქანა-იარაღები, რომელთა საერთო ნონა 179.900 ფუთს შეადგენდა, 1912 წელს 225.897 ფუთს, 1913 ნელს – 227.584 ფუთს. შემოტანილი მანქანა-იარაღების 40% საქართველოში რჩებოდა. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მონოდებით დიდ მოგებას პოულობდნენ **დრჟევაცსკის, აუფერმანის, ეკსელბირტის, პივოვაროვის, უტცის, კესერის, აკოფოვის, შადინოვის, ჩიჩკინის, ბახტამიანცის** და სხვათა ფირმები. ფირმები ყველაზე მეტ შეკვეთას გუთნებზე ღებულობდნენ. საკმაო რაოდენობით იყიდებოდა აგრეთვე სათესი, სამკელი, სალენი,სათიბი, სანიავებელი და სხვა მანქანები, ვენახის შესაწამლი აპარატები, რძის პროდუქტების დამამზადებელი ინვენტარი და სხვ.

მარცვლეული კულტურები. მარცვლეული კულტურების ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში თანდათან მცირდებოდა, თუმცა 1900–1914 წლებში, წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით, მას კვლავ პირველი ადგილი ეკავა. მოვიყვანთ 1909–1913 წლების სტატისტიკურ მასალას, რომელიც ნათელ წარმოდგენას ქმნის მარცვლეული მეურნეობის მასშტაბსა და საშუალო წლიურ შემოსავალზე:

1. **ხორბალი.** ნათესების საერთო რაოდენობა – 245.000 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 96 ფუთი; მთელი მოსავალი – 11.943.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 10.749.400 მანეთი;

2. **ქერი.** ნათესების საერთო რაოდენობა – 99.300 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 63 ფუთი; მთელი მოსავალი – 6.255.900 ფუთი, მთელი შემოსავალი – 3.440.700 მანეთი;

3. **ჭვავი.** ნათესების საერთო რაოდენობა – 3.600 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 61,7 ფუთი; მთელი მოსავალი – 186.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 111.700 მანეთი;

4. **შვრია.** ნათესების საერთო რაოდენობა – 900 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 44,1 ფუთი; მთელი მოსავალი – 39.700 ფუთი, მთელი შემოსავალი – 31.800 მანეთი;

5. **სიმინდი.** ნათესების საერთო რაოდენობა – 350.600 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 80 ფუთი; მთელი მოსავალი – 28.048.000 ფუთი, მთელი შემოსავალი 11.219.200 მანეთი;

6. **ფუტკი და ლობი.** ნათესების საერთო რაოდენობა – 5.100 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 36.1 ფუთი; მთელი მოსავალი 186.700 ფუთი, მთელი შემოსავალი 93.400 მანეთი;

7. **ლობიო.** ითესებოდა სიმინდთან ერთად, მთელი მოსავალი – 200.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 1.300.000 მანეთი;

სულ საქართველოში 1900-1913 წლებში ნათესებს 708.200 დესეტინა ეკავა. მთელი მოსავალი 48.891.200 ფუთს შეადგენდა, რომლის საერთო ღირებულება 26.436.900 მანეთს უდრიდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოდან მარცვლეული გაცილებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ, ვიდრე შემოჰქონდათ. XX საუკუნის დამდეგიდან ვითარება არსებითად შეიცვალა, რაზეც კარგად მეტყველებს 1909-1913 წლების საშუალო წლიური სტატისტიკა:

1. **ხორბალი.** გაიტანეს 113.073 ფუთი ხორბალი, შემოიტანეს – 74.294 ფუთი;

2. **ჭვავი.** გაიტანეს 2.148 ფუთი, შემოიტანეს – 381.945 ფუთი;

3. **ქერი.** გაიტანეს 26.605 ფუთი, შემოიტანეს – 906.789 ფუთი;

4. **შვრია.** გაიტანეს 16.817 ფუთი, შემოიტანეს – 203.703 ფუთი;

5. **სიმინდი.** გაიტანეს 5.312.890 ფუთი, შემოიტანეს – 887.056 ფუთი;

6. **დანარჩენი მარცვლეული.** გაიტანეს –64.343 ფუთი, შემოიტანეს 67.330 ფუთი;

მარცვლეულის გარდა, საქართველოდან გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ხორბლის, ჭვავის, სიმინდის ფქვილი. 1909–1913 წლებში საქართველოდან გაიტანეს 535.673 ფუთი ყველა სახის ფქვილი, შემოიტანეს – 6.362.186 ფუთი.

მევენახეობა-მეღვინეობა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერათა გავრცელების გამო საგრძნობლად დაზარალდა მევენახეობა-მეღვინეობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იმერეთი. XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ქუთაისის გუბერნიაში ვენახის საერთო ფართობი 30.000 დესეტი-



გორი. ღვინის გამყოდველი

ნას აღწევდა, 1902 წლისათვის კი 12.000–14.000 დესეტინამდე შემცირდა. იმთავითვე დაიწყო ქართული ვაზის გადარჩენისათვის ბრძოლა. ქართულ ვაზს ამერიკულ საძირეზე ამყნიდნენ, რომელსაც სოკო და ფილოქსერა ზიანს ვერ აყენებდა. ფილოქსერით დაავადებული ვენახი მთლიანად ახალი ნამყენით შეიცვალა. 1908 წლისათვის განახლებული ვენახის ფართობი უდრიდა: ქუთაისის მაზრაში – 4.389 დესეტინას, შოროპნის მაზრაში – 6.100 დესეტინას, სენაკის მაზრაში – 250 დესეტინას, ზუგდიდის მაზრაში – 26 დესეტინას, ოზურგეთის მაზრაში – 150 დესეტინას, რაჭის მაზრაში – 50 დესეტინას, ლეჩხუმის მაზრაში 35 დესეტინას. ვენახის განახლება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

1901 წელს კავკასიის საუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სპეციალისტები ასკვნიდნენ, რომ მეღვინეობას „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არავითარი წარმატება არ ჰქონია.“ მეღვინეობამ დიდხანს შეინარჩუნა შინამრეწველური ხასიათი. ამიერკავკასიაში სულ რამდენიმე მეურნეობა იყო, სადაც მეღვინეობას ქარხნული ხასიათი ჰქონდა. ასეთი მამულები იყო: **საუფლისწულო უწყების მამულები** (სოფელ წინანდალში), შერემეტიევის, ჯანდიერის, ფორერის, გუმელის, პლემიანიკოვის(ყოფილი გორჩაკოვის), ანანოვის, ოლდენბურგის, გოლიცინის, ცინცაძის, ტიებოს, სოფელ საქარის სანერგის, ბაგრატიონ-მუხრანსკის და კიდევ ორიოდე მემამულის მეღვინეობის მეურნეობები.

საქართველოს გარდა, მევენახეობა-მეღვინეობა განვითარებული იყო აზერბაიჯანსა და სომხეთში. 1909 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში ღვინის წლიური მოსავლის 65,6% საქართველოზე მოდიოდა, 21,2% – აზერბაიჯანზე, 13,2% – სომხეთზე. 1913 წლისათვის საქართველოს ხვედრითი წილი შემცირდა და მან 59,4% შეადგინა. აზერბაიჯანის წილი იგივე დარჩა – 21,2%, სომხეთისა კი გაიზარდა – 19,4%.

1909 წელს თბილისის გუბერნიაში 3.367.200 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ახალქალაქის მაზრაში – 1500 ვედრო,
2. ახალციხის მაზრაში – 0 ვედრო,
3. დუშეთის მაზრაში –179.800 ვედრო,
4. გორის მაზრაში – 496.300 ვედრო,
5. თბილისის მაზრაში – 285.300 ვედრო,
6. ბორჩალოს მაზრაში – 556.900 ვედრო,
7. სიღნაღის მაზრაში – 797.300 ვედრო,
8. თელავის მაზრაში – 1.030.900 ვედრო,
9. თიანეთის მაზრაში – 69.200 ვედრო;

1912 წელს თბილისის გუბერნიაში 2.394.200 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ახალქალაქის მაზრაში – 100 ვედრო,
2. ახალციხის მაზრაში – 0 ვედრო,
3. დუშეთის მაზრაში – 161.000 ვედრო,

4. გორის მაზრაში – 168.600 ვედრო,
5. თბილისის მაზრაში – 209.200 ვედრო,
6. ბორჩალოს მაზრაში – 330.600 ვედრო,
7. სიღნაღის მაზრაში – 5.130.000 ვედრო,
8. თელავის მაზრაში – 955.600 ვედრო,
9. თიანეთის მაზრაში – 56.100 ვედრო;

1913 წელს თბილისის გუბერნიაში 5.182.600 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ახალქალაქის მაზრაში – 200 ვედრო,
2. ახალციხის მაზრაში – 0 ვედრო,
3. დუშეთის მაზრაში – 152.900 ვედრო,
4. გორის მაზრაში – 337.900 ვედრო,
5. თბილისის მაზრაში – 1.151.700 ვედრო,
6. ბორჩალოს მაზრაში – 506.100 ვედრო,
7. სიღნაღის მაზრაში – 883.300 ვედრო,
8. თელავის მაზრაში – 2.070.500 ვედრო,
9. თიანეთის მაზრაში – 80.000 ვედრო;

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში მეღვინეობის ცენტრი თელავისა და სიღნაღის მაზრები ყოფილა, სადაც 1913 წელს მთელი გუბერნიის პროდუქციის თითქმის 60% მოიწიეს.

ქუთაისის გუბერნიაში ღვინის მოსაელიანობის ზრდისა და კლების სტატისტიკა წლებისა და მაზრების მიხედვით ასეთია:

1909 წელი. ქუთაისის გუბერნიაში 3.079.400 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ქუთაისის მაზრაში – 745.500 ვედრო ღვინო,
2. ლეჩხუმის მაზრაში – 265.300 ვედრო ღვინო,
3. სენაკის მაზრაში – 24.900 ვედრო ღვინო,
4. შოროპანის მაზრაში – 930.700 ვედრო ღვინო,
5. რაჭის მაზრაში – 129.000 ვედრო ღვინო,
6. ზუგდიდის მაზრაში – 14.000 ვედრო ღვინო,
7. ოზურგეთის მაზრაში – 320.000 ვედრო ღვინო,
8. სოხუმის ოკრუგში – 595.000 ვედრო ღვინო,
9. ბათუმის ოლქში – 5.900 ვედრო ღვინო,

1912 წელი. ქუთაისის გუბერნიაში 4.640.400 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ქუთაისის მაზრაში – 1.264.500 ვედრო ღვინო,
2. ლეჩხუმის მაზრაში – 323.100 ვედრო ღვინო,
3. სენაკის მაზრაში – 34.000 ვედრო ღვინო,
4. შოროპანის მაზრაში – 2.162.500 ვედრო ღვინო,
5. რაჭის მაზრაში – 132.300 ვედრო ღვინო,
6. ზუგდიდის მაზრაში – 28.300 ვედრო ღვინო,
7. ოზურგეთის მაზრაში – 170.000 ვედრო ღვინო,
8. სოხუმის ოკრუგში – 518.200 ვედრო ღვინო,
9. ბათუმის ოლქში – 7.500 ვედრო ღვინო,

1913 წელი. ქუთაისის გუბერნიაში 4.880.200 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ქუთაისის მაზრაში – 1.541.900 ვედრო ღვინო,
2. ლეჩხუმის მაზრაში – 361.000 ვედრო ღვინო,
3. სენაკის მაზრაში – 45.000 ვედრო ღვინო,
4. შოროპანის მაზრაში – 2.500.000 ვედრო ღვინო,
5. რაჭის მაზრაში – 90.000 ვედრო ღვინო,
6. ზუგდიდის მაზრაში – 18.200 ვედრო ღვინო,
7. ოზურგეთის მაზრაში – 76.000 ვედრო ღვინო,
8. სოხუმის ოკრუგში – 238.500 ვედრო ღვინო,
9. ბათუმის ოლქში – 7.500 ვედრო ღვინო.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალიდან ჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში მეღვინეობის ცენტრი შოროპანისა და ქუთაისის მაზრები ყოფილა, სადაც 1913 წელს მთელი გუბერნიის პროდუქციის თითქმის 85% მოიწიეს.

1909 – 1913 წლებში საქართველოში დამზადებული ღვინის საერთო ღირებულებამ 12.312.000 მანეთს მიაღწია. აზერბაიჯანში – 6.240.000 მანეთს, სომხეთში – 3.600.000 მანეთს, მთლიანად სამხრეთ კავკასიაში – 22.152.000 მანეთს. სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში ღვინის ხვედრითი წილი იყო: საქართველოში – 14,7%, აზერბაიჯანში – 10,5%, სომხეთში – 6,3%, მთლიანად სამხრეთ კავკასიაში 10,2% შეადგინა.

საინტერესო სურათს იძლევა სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა წლებისა და გატანის მიმართულების ჩვენებით:

1. 1902 წელი. გატანილია 619.500 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 16.000 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 27.500 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 576.000 ვედრო);
2. 1903 წელი. გატანილია 1.073.600 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო

გზით – 17.600 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 62.200 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 993.800 ვედრო);

3. 1904 წელი. გატანილია 989.700 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 15.900 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 40.700 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 933.100 ვედრო);

4. 1906 წელი. გატანილია 1.398.900 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 24.800 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 50.400 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 1.323.700 ვედრო);

5. 1907 წელი. გატანილია 1.608.400 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 16.100 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 74.800 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 1.517.500 ვედრო);

6. 1908 წელი. გატანილია 2.640.500 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 83.000 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 2.557.500 ვედრო);

7. 1909 წელი. გატანილია 2.890.400 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 112.900 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 2.777.500 ვედრო);

8. 1910 წელი. გატანილია 3.190.100 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 222.500 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 2.967.600 ვედრო);

9. 1911 წელი. გატანილია 3.553.800 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 368.600 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 3.185.200 ვედრო);

10. 1912 წელი. გატანილია 3.709.000 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 477.100 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 3.231.900 ვედრო);

11. 1913 წელი. გატანილია 4.605.500 ვედრო ღვინო (მათ შორის: საქართველოს სამხედრო გზით – 0 ვედრო, შავი ზღვის ნავსადგურებიდან – 56.700 ვედრო, ამიერკავკასიის რკინიგზით – 4.548.800 ვედრო);

12. 1914 წელი. სულ გატანილია 3.129.000 ვედრო ღვინო (გატანის მიმართულების შესახებ ცნობები შემონახული არ არის).

მოტანილი სტატისტიკური მასალიდან ნათელი ხდება, რომ ღვინის უდიდესი ნაწილი სამხრეთ კავკასიიდან რკინიგზით, ბაქოს გავლით რუსეთში გადიოდა. უნდა ვიფარაუდოთ, რომ შავი ზღვის ნავსადგურებით გატანილი ღვინის მნიშვნელოვანი ოდენობა ასევე რუსეთისათვის იყო განკუთვნილი.

1914 წელს ღვინოზე აქციზი დაანესეს, რამაც ღვინის ფასი გაზარდა. აქციზის გადასახადი ერთ ვედრო მშრალ და ტკბილ, მაგარ ღვინოზე 1 მანეთსა და 60 კაპიკს უდრიდა, შუშხუნა ღვინოზე – 4 მანეთსა და 80 კაპიკს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ(1914 წ.) დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან ვაზის შესანამლი მასალის შემოტანა შეწყდა, რის გამოც 1915 წელს ვენახი ეელარ შეწამლეს. ამან ხელი შეუწყო ფილოქსერისა და სხვა დაავადებების გავრცელებას, შედეგად ვენახის დიდი ფართობი განადგურდა. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე უარყოფითი გაელენა იქონია მუშახელისა და გამწევი ძალის სიმცირემ, ომის პირობებში სახელმწიფო ორგანოები დარგის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

მესაქონლეობა. XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ბარის რაიონებში შინაური პირუტყვის რაოდენობა თანდათან კლებულობდა, სამაგიეროდ, ეს ციფრი იზრდებოდა მთიან რეგიონებში.

მესაქონლეობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო საკვები ბაზა, რაც საქართველოში ძირითადად თივით განისაზღვრებოდა. მოსახლეობა სათიბების მოვლასა და დაცვას ყველოვან ყურადღებას უთმობდა, თუმცა ხორბლის ნათესებისა და ვენახის ფართობების ზრდა ძირითადად სწორედ სათიბების შემცირების ხარჯზე ხდებოდა. 1909–1913 წლებში საქართველოში სათიბებს 98.648 დესეტინა ეკავა, საიდანაც ყოველწლიურად საშუალოდ 12.500.000 ფუთ თივას ამზადებდნენ. 1917 წლისათვის სათიბების რაოდენობა 73.449 დესეტინამდე იყო შემცირებული.

თივის შემდეგ შინაური პირუტყვის გამოსაკვებად ჩალასა და ბზეს იყენებდნენ, თუმცა მისი რაოდენობა იმდენი არ იყო, რომ შინაურ პირუტყვს გამოსაკვებად მთელი ზამთრის განმავლობაში პყოფნოდა. თივისა და ჩალა-ბზის არასაკმარისი ოდენობის გამო მეცხოველეობას ფართო მასშტაბით მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი მისდევდა, რომელსაც საშუალება ჰქონდა საზაფხულო საძოვრის შემდეგ საზამთრო საძოვარიც გამოეყენებინა. XX საუკუნის დამდეგისათვის საზამთრო საძოვრების ფართობი 1.400.000 დესეტინას უდრიდა.

1909-1913 წლებში საქართველოში ყოველწ-

ლიურად აღირიცხებოდა შინაური პირუტყვი:

1. ცხენი –134.000 სული;

2. ხარი, ძროხა და მათი ნამატი – 1.266.800 სული;

3. კამეჩი – 178.400 სული;

4. ღორი და მისი ნამატი –849.800 სული;

5. ცხვარი – 2.144.900 სული;

6. თხა – 233.400 სული.

1909–1913 წლებში მესაქონლეობის წლიური პროდუქცია 19.000.000 მანეთს აჭარბებდა, პროდუქციის ნახევარზე მეტს მოსახლეობა ყიდდა, ხოლო დანარჩენს სოფელშივე მოიხმარდნენ. მატყლის, ტყავისა და რძის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე გადიოდა. XX საუკუნის დამდეგიდან მესაქონლეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. ამან მოსახლეობას სტიმული მისცა ეზრუნა როგორც შინაური პირუტყვის რაოდენობრივ ზრდაზე, ისე ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე. მართალია, გლეხობაში საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა შინაური პირუტყვის მოვლისა და სენისაგან დაცვის გამოცდილება, მაგრამ სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ეს ცოდნა ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევებით უნდა გამდიდრებულიყო. 1909 წელს სამხრეთ კავკასიის სოფლის მეურნეთა ყრილობაზე აღინიშნა, რომ არ კმაროდა ვეტერინალური დახმარება, და ეს მაშინ, როცა რეგიონში გავრცელებული იყო საქონლის ჭირი, ციმბირის წყლული, წითელი ქარი, ქოთაო, ბღერი, ექინოკოკი, ტრიქინა და სხვ. ეს ავადმყოფობები მესაქონლეობას დიდ ზარალს აყენებდა.

მეთამბაქოეობა. XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში თამბაქოს პლანტაციების ფართობი 4.000 დესეტინას უდრიდა, ხოლო საშუალო წლიური მოსავალი –220.000 ფუთს. 1914 წლისათვის ამ კულტურას 15.800 დესეტინამდე ეჭირა, ხოლო პროდუქცია 800.000 ფუთამდე გაიზარდა.

მეთამბაქოეობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა აფხაზეთში. 1914 წელს სამხრეთ კავკასიაში თამბაქოს პლანტაციებს 16.600 დესეტინა ეკავა, აქედან აფხაზეთში(სოხუმის ოკრუგში) – 13.107 დესეტინა(79%), თბილისის გუბერნიაში – 1.316 დესეტინა (8%), ქუთაისის გუბერნიაში(სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის გარეშე) – 446 დესეტინა (2,7%), ბათუმის ოლქში – 1.014 დესეტინა(6%), აზერბაიჯანში – 693 დესეტინა (4%), სომხეთში – 169 დესეტინა (1%).

1909–1913 წლებში საქართველოში ყოველწლიურად ამზადებდნენ 568.641 ფუთ თამბაქოს, 1914 წელს მოინიეს 802.419 ფუთი; 1915 წელს – 562.922 ფუთი; 1916 წელს –713.400 ფუთი; 1909-1913 წლებში მეთამბაქოეობიდან საშუალო წლიური შემოსავალი 7.782.900 მანეთს უდრიდა. მეთამბაქოეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა შორის პროდუქციის ღირებულებით მეოთხე ადგილი ეკავა.

საქართველოდან თამბაქოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთში გაჰქონდათ. 1902 წელს გაიტანეს 166.860 ფუთი, 1905 წელს – 237.853; 1910 წელს – 458.063; 1913 წელს – 529.491 ფუთი. რუსეთსა და უცხოეთში ძირითადად აფხაზური თამბაქო გადიოდა.

მეჩაიეობა. ჩაის კულტურა საქართველოში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში დაინერგა, მაგრამ ამ დარგმა სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობა XX საუკუნის დამდეგიდან შეიძინა.

მეჩაიეობა აჭარასა და გურიაში განვითარდა. 1900 წლისათვის ჩაის პლანტაციის ფართობი 215 დესეტინას უდრიდა, 1914 წელს – 882 დესეტინას. 1900 წელს საქართველოში 5.846 გირვანქა ჩაი დაამზადეს, 1904 წელს – 137.716, 1914 წელს – 334.254 გირვანქა.

* *

საქართველოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის როლისა და მნიშვნელობის შესახებ 1909-1913 წლებისათვის ნარმოდგენას გვიქმნის შემდეგი სტატისტიკური მასალა:

1. **მემინდვრეობა (ხორბალი, ქერი, ლობიო, სიმინდი და სხვ.).** ნათესების ფართობი –708.000 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია – 48.891.200 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 26.435.900 მანეთი;

2. **სათიბი.** ფართობი –100.547 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 14.896.600 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 1.787.500 მანეთი;

3. **ჩალა-ბზე.** მთლიანი პროდუქცია 59.256.100 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 3.600.000 მანეთი;

4. **მესაქონლეობა.** საძოვრების ფართობი –1.600.000 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 21.000.000 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 18.264.800 მანეთი;

5. **მეფრინველეობა.** მთლიანი პროდუქცია – 897.600 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება –4.309.500 მანეთი;

6. **მეფუტკრეობა.** მთლიანი პროდუქცია – 38.800 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება –246.500 მანეთი;

7. **მეაბრეშუმეობა** – მთლიანი პროდუქცია –

200.000 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება –3.000.000 მანეთი;

8.მევენახეობა-მეღვინეობა. ნარგავების ფართობი – 45.000 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 10.460.000 ფუთი, პროდუქციის საერთო ღირებულება – 12.312.000 მანეთი;

9. მებაღეობა. ნარგავების ფართობი –15.000 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 4.930.000 ფუთი, პროდუქციის საერთო ღირებულება – 3.451.000 მანეთი;

10. მებოსტნეობა. ნარგავების ფართობი – 6.500 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 357.500 ფუთი, პროდუქციის საერთო ღირებულება 1.609.000 მანეთი;

11. მეთამბაქოეობა. ნარგავების ფართობი – 9.650 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია 589.600 ფუთი, პროდუქციის საერთო ღირებულება 7.782.900 მანეთი;

12. მეკარტოფილეობა. ნათესების ფართობი – 6.500 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია – 2.411.500 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 723.600 მანეთი;

13. მებამბეობა. ნათესების ფართობი – 6.000 დესეტინა; მთლიანი პროდუქცია – 100.000 ფუთი; პროდუქციის საერთო ღირებულება – 1.000.000 მანეთი.

14. სხვა დარგების პროდუქციის მთლიანი ღირებულება – 1.283.800 მანეთი.

15. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულება – 85.806.500 მანეთი;

* *

XX საუკუნის დამდეგიდან მთელ მსოფლიოში სწრაფად ვითარდებოდა სავაჭრო-გამსაღებელი, სამომხმარებლო და საკრედიტო-კოოპერატიული გაერთიანებების ქსელი. 1907 წლისათვის გერმანიაში მოქმედებდა 43.000 სხვადასხვა ტიპის კოოპერატიული გაერთიანება. 1908 წლისათვის რუსეთის იმპერიაში დაახლოებით 5.000 კოოპერატული გაერთიანება იყო აღრიცხული, ანუ თითქმის 9-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში. 1910 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა 19 სავაჭრო-მომხმარებელი და 21 სავაჭრო-გამსაღებელი საზოგადოება. საქართველოში ხელსაყრელი პირობები იყო საკრედიტო კოოპერაციის განვითარებისათვის. 1913 წელს სამხრეთ კავკასიაში ითვლებოდა მცირე კრედიტის 335 დაწესებულება, საიდანაც 201 საქართველოში მოქმედებდა. 1914 წელს საქართველოში არსებული 195 საკრედიტო ამხანაგობის ბალანსი 2.200.000 მანეთს უდრიდა, ხოლო ფულის შემნახველ-გამსესხებელი 84 ამხანაგობისა – 1.500.000 მანეთს. 1916 წელს საქართველოში ითვლებოდა მცირე კრედიტის 333 დაწესებულება 120.000 წევრით. მათი წლიური ბალანსი 5.700.000 მანეთს უდრიდა.

თავი VI. პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების აღმოცენება საქართველოში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია 1898-1904 წლებში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა

1. „მესამე დასის" მოღვაწეობის მეორე პერიოდი (1898-1903 წწ.). ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია. 1898 წლიდან ახალი პერიოდი იწყება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ეს განსაკუთრებით საცნაური გახდება, თუ თვალს გავადევნებთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველეობრივ ევოლუციას.

1897 წლის ბოლოს გაზეთი „კვალი" სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდა. მართალია, რედაქტორ-გამომცემლად ფორმალურად კვლავ **ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთლისა** (1849-1932) რჩებოდა, მაგრამ 1898 წლის იანვრიდან 1901 წლის შუა ხანებამდე „კვალი" ნოე ჟორდანიას ფაქტობრივი რედაქტორობით გამოდიოდა. ამ პერიოდიდან მესამედასელები „კვალის" გარშემო იკრიბებიან.

1898 წელს „კვალის" პირველ ოთხ ნომერში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას წერილი **„დღევანდელი კითხვები"**. ეს წერილი თავისი შინაარსით საპროგრამო იყო „მესამე დასისათვის" ავტორი წერილის დასაწყისში აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ყოველი ერის განვითარება, მისი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აუწყობს იგი ფეხს კაპიტალიზმის განვითარებას, ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებით გამოწვეულ ცვლილებებს: „თანამედროვე პირობებში ვერც ერთი ქვეყანა ვერ წაიწევს წინ ისე, რომ დანარჩენი თან არ გაიყოლოს. სხვა-და-სხვა ერთა დღევანდელი ცხოვრება ისეა ერთმეორეზე გადაბმული, რომ ერთის ცვლილება ინვევს მეორის და მესამის ცვლილებას. ერთის განვითარებას უეჭველათ ასეთი თუ ისეთი გავლენა აქვს მეორეზე. ეს გავლენა ორ ნაირია: დამარღვეველი, ძველი სადა ურთიერთობის შემარყეველი, შემქმნელი, ახალი რთული ურთიერთობის ამაღორძინებელი. ასეთი გავლენის მატარებელი ხალხი მონინავე ხალხია, ხოლო ამ გავლენის და მისი შედეგების შემთვისებელი უეჭველათ უკან ჩამორჩენილი ხალხია. ეს ორი კულტურის შეტაკებაა, ეს ორი წყობილების დაპირიპირებაა. ეს ერთნაირი ბრძოლაა, მარა ბრძოლა ახალმოდის, სისხლდაუთხეველათ, თოფუსროლელათ, ხმლის ამოუღებლათ. მისი სარბიელი ეკონომიური სარბიელია, მისი ფარ-ხმალი ქარხანა და მანქანაა, მისი ძლიერება ოქრო-ვერცხლია. ერი, რომელიც პირველად შედგა ამ გზაზე და უმაღლესად განვითარდა, არის დიდი ბრიტანეთი. მას თან გაყვა მთელი ევროპა. ევროპა – ეს ის ვეშაპია, რომელიც ყველა არა ევროპიელ ქვეყანას ემუქრება: მიცანით, თორემ ჩაგყლაპამო. მისი ცოდნა მისი ეკონომიური წყობილების შეთვისებაა, გაევროპიელება მოქალაქეობრივი ცხოვრების დაწყებაა და აი, ასეთი მუქარით შემოიარა მან მთელი ხმელეთი და ბოლოს ამ ჩვენ უბადრუკ სამშობლოშიაც შემოიჭრა" ყოველივე ეს, ნოე ჟორდანიას თვალსაზრისით, პროგრესის საფუძველია. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრება ერთბაშად, უმტკივნეულოდ არ ხდება. მას თან სდევს დიდი სოციალური რყევები. სწორედ ასე მოხდა საქართველოშიც. ნოე ჟორდანია წერს: „მოხთა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ერი, პატრიარქალურ-იდილიურ მდგომარეობაში ჩაბმული, შეკრთა, შეინძრა და თავის გარშემო მიიხედ-მოიხედა. მან შეამჩნია ორი გზა, ორივე ერთი-მეორის მონინააღმდეგე და უარის მყოფელი: გზა უძრაობის, უმოქმედობის, ძველი დახავსებული ცხოვრების, და გზა მოძრაობის, მოქმედების, ახალი დროის შესაფერისი ცხოვრების. პირველი მიექანება უკან, დაღუპვისაკენ, მეორე წინ, ნარმატებისაკენ" ერი, რომელიც პირველ



ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთლისა

გზაზე შედგა, ნოე ჟორდანიას აზრით, „გზას უთმობს სხვა მასზე მოსულ და მის მეტოქე ერის და თვითონ გადაშენების გზაზე დგება", ხოლო ერი, რომელიც მეორე გზას ირჩევს, „თვითონვე, თავის არსებაში ავითარებს ძალას, ენერგიას, შრომას და სხვ. ის ფხიზლობს, ფაცი-ფუცობს და მით თავის მოძრაობის უღელში თვითონვე ებმება" ავტორს სჯერა, რომ „ქართველობა, ახალი ხმით შემკრთალი, ახალი საყვირით გამოღვიძებული, ამ მეორე გზას დაადგა. ის ხელ-აღებით გადაეშვა აბობოქრებულ მორევში, ღონიერათ შეებრძოლა ტალღებს და გასწია იქით, საითკენაც მონინავე კაცობრიობა მიემართება" შეიძლება ნოე ჟორდანიას განცხადება ქართველობის განვითარების გზის არჩევანთან დაკავშირებით ზედმეტად პესიმისტური, საფუძველს მოკლებული, ემოციურიც კი ჩანდეს, მაგრამ იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ „აბობოქრებულ მორევში" გადაშვებული ქართველი ერის „ნაპირზე გასვლა, ნავთ-სადგურამდის მიცურვა – ეს ერთობ გრძელი პროცესია, ეს მთელი ხანაა. ეს ახლანდელი პროცესის ბოლოა და ბრძოლის დასაწყისია"

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრების, როგორც პროგრესის აუცილებელი პირობის, დახასიათების შემდეგ ნოე ჟორდანია ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი როლის შესახებ აღნიშნავს: „ისტორიული მოძრაობის ჩარხს ეკონომიური ურთი-ერთობა ატრიალებდა. ამა თუ იმ ნივთიერ საძირკველის ზედნაშენობას შეადგენს ეს თუ ის პოლიტიკური და იურიდიული წყობილება" გამომდინარე ამ ფუნდამენტური დებულებიდან, ავტორი დაასკვნის: **„ერი, რომელიც ყველაზე უფრო ადრე ეწყობა მოქალაქეობრივ პირობებს, მაგრდება და წელში იმართება, მსოფლიო მეტოქეობაშიაც გამარჯვებული რჩება. მაშასადამე, წარმატება არის წარმატება ეროვნული, მოქალაქეობრივი, აღორძინება არის აღორძინება კულტურული".** ამ დასკვნის შემდეგ წერილში დასმულია ისეთი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა ფაქტობრივად ნიშნავდა პირადად ნოე ჟორდანიასა და „კვალის" გარშემო შემოკრებილი ქართველი სოციალ-დემოკრატების – მესამედასელების – სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებას. ნოე ჟორდანია წერს: „ვინ არის ამ აღორძინების მეთაური? რა ელემენტებისაგან შედგება მოქალაქეობრივი ურთიერთობა? ერის რომელი ნაწილი თამაშობს მონინავე როლს?" ამ კითხვებზე პასუხით ნათელი ხდება ავტორის პოზიცია 1898 წლისათვის, მისი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის ილია ჭავჭავაძისეული პროგრამის, დასავლეთ ევროპული და რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმართ. ნოე ჟორდანიას პასუხი სრულიად გარკვეულია:



ნოე ჟორდანია

1. „რაკი საზოგადოებაში ფული გაბატონდა, ცხადია, ერიც უნდა ყოფილიყო თანახმათ ამ ლითონის ქონებისა. ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა – აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილები. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ კლასს: ბურჟუაზია და მუშა ხალხი. აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელი. ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას. მათ ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის ინტერესებს. მათი განვითარება მოითხოვს მთელი ძველი მობერებული წყობილების დარღვევას და ახლის დამყარებას. რამდენადაც ისინი ანმყოს ნიადაგზე წარსულ ეკონომიურ და იურიდიულ დამოკიდებულებას ებრძვიან – იმდენად ისინი ერთად დგანან, იმდენად მათი ინტერესები ერთია. მეორე მხრით, რამდენადაც ისინი ანმყოს ნიადაგზე მაგრდებიან და მომავალს იმზადებენ – იმდენად ისინი ერთმანეთს ებრძვიან, იმდენად ისინი ერთი მეორის მტრებია";

2. „ბრძოლა ახალი კლასების ძველ წყობილებასთან და ბრძოლა მათი ერთმანეთთან – აი რა შეიცავს თანამედროვე ისტორიის ღერძს. მაშასადამე, დღევანდელი ეროვნული აღორძინება არის

ორ კლასთა აღორძინება, ეს კლასთა განხეთქილება, რაც ავითარებს მათში მეტ შრომასა და ენერგიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღებს, დანყებული პოლიტიკით და გათავებული ხელოვნებით, რომ მითი ასე განახლებულ-გაახალგაზრდავებული ერთმანეთს შეებრძოლონ. მოშალეთ ეს ბრძოლა და მოიშლება ეკონომიური, პოლიტიკური, იურიდიული, ერთი სიტყვით, ყოველ-მხრით წარმატება. აშკარაა, კლასთა ბრძოლა – ეს ისტორიის უდიდესი ჩარხია. ჩვენ ამ გზაზე შევდექით და ჩვენი აქედან გადმოვარდნა, სხვა გზისაკენ გადასვლა, ადამიანის ყოველ ღონეს აღემატება(...);"

3. „სანამ ერი პატრიარქალურ და თავადაზნაურულ წყობილებაშია, მანამ ის, განუვითარებელი ეკონომიურათ, განუვითარებელია ნაციონალურადაც. აქ მეფობს პროვინციალიზმი, სოფლური ნაციონალიზმი. მხოლოდ მისი განათლებული ნაწილი, ანუ ინტელიგენცია, გამოდის სამშობლოს ბედ-იღბლის დამტირებლად და მებრძოლად. მარა მისი დროშა არის მხოლოდ უჯარო სარდალთა დროშა. მისი ლტოლვილება მისი საკუთარი ლტოლვილებაა. ეს რომ შეიქმნეს მთელი ერის, ან ერთი რომელისამე კლასის კუთვნილებათ, საჭიროა, პირველ ყოვლისა, ღრმა ეკონომიური და სოციალური ცვლილება(...);"

4. „ქართველი ახალი ფეხ-ადგმული ბურჟუაზია შეეტაკა უცხო ტომთა ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სომხობას და ორივე მხრით მორთეს ყვირილი: გვიშველეთ, სამშობლო ილუპებაო! აქაც უნდა მოხდეს ის, რაც სხვაგან მომხდარა. ფიქრი იმაზე, რომ სომხის ბურჟუაზია ქართველ ბურჟუაზიის განვითარებას შეაჩერებს და მით მთელი ერის აღორძინებას ერთ ნერტილზე გააყინვებს, ისეთივე ოცნებაა, როგორც ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება და ბოლოსი თავად გადაქცევა. როცა ერი კაპიტალიზმის გზაზე შედგება, მისი იქიდან გადმოგდება, ან და უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია. მან უეჭველად მთელი გზა ბოლომდი უნდა გაიაროს";

5. „ასეთ პირობებში, ასეთ ბრძოლაში და ნგრევა-რყევაში ვითარდება შრომა, მატულობს ენერგია, მრავლდება მოთხოვნილება და გროვდება კაპიტალი. კაპიტალის განვითარება – ეს ბურჟუაზიის ძლევა-მოსილი წინმსვლელობაა. ეს არღვევს ძველ ფეოდალურ და პატრიარქალურ ურთიერთობას, სპობს შთამომავლობით და მამა-პაპურ უპირატესობას, აქრობს ძველებურ იარაღებით წარმოებას, ენინააღმდეგება უცხო ტომთა ბურჟუაზიას და იწყებს ნაციონალურ ბრძოლას. ყველა ეს აუცილებელია მისი ზრდის და წარმატებისათვის. ეს არის იმავე დროს ზრდა და წარმატება მთელი ერისა. ასე მყარდება ბურჟუაზიის ბატონობა, მარა ამასთანავე, მის არსებაში ვითარდება ერთი ისეთი კლასი, რომლის ეკონომიური ინტერესები პირდაპირ ენინააღმდეგება მის ინტერესებს და რომელთა შორის ინყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა";

6. „საითკენაც კი მიეხედავთ, სოფელია ეს თუ ქალაქი, მრენველობა თუ მეურნეობა, ყოველგან ერთ და იმავე ძირითად მიდრეკილებას ვხედავთ: შრომის განვითარებამ ერთი მხრით დააყენა კაპიტალისტ-მრენველი და კაპიტალისტ-მეურნე, ხოლო მეორე მხრით პროლეტარი, მრენველი და პროლეტარი-მეურნე. ეს პროცესი ჯერ კიდევ არსად არ არის დასრულებული, ჩვენ მხოლოდ ახლა შევდექით ამ გზაზე და საშინელი სისწრაფით წინ მივექანებით. რამდენად ჩვენი ნაციონალური შრომა ვითარდება, ძალა და ენერგია მატულობს, იმდენად ჩვენ ამ პროცესს ჩქარა ვაკეთებთ, იმდენად ჩვენ ევროპიელდებით ეკონომიურად, იმდენად ჩვენი გონებრივად გაევროპიელება აუცილებელია. ხოლო ამ გაევროპიელების პირველი მცნებაა შრომის წარმომადგენელთა ერთად დგომა და თავის ინტერესებისათვის საკუთარი ძალ-ღონით ბრძოლა. ჩვენი ნაციონალური ზრდა-ნარმატებაც ერთიანად ამ პროცესში მდგომარეობს, ამას გარეთ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი მოვლენა, ყოველიე ამასთან არის შეკაეშირებული, ყოველიე ამით და ამაში იბადება, ამით და ამაში იხსნება"

ზემოთ მოყვანილი ყოველი დასკვნა, ცალკე აღებული თუ მთლიანობაში, ნოე ჟორდანიასათვის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა: „ეს ის წერტილია, საიდანაც დაინახება უშორესი და ულრმესი მოვლენა, ეს ერთად ერთი მეცნიერული შეხედულებაა და ჩვენც ამით ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ცხოვრების კვლევა-ძიებაში და ყოველ დღიური კითხვების ახსნა-გადაწყვეტაში(...);"

ამრიგად, ნოე ჟორდანიას დასკვნები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ქართველი ერის პროგრესი დაკავშირებულია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებასთან;

2. ფეოდალური წყობილების მოსპობით ბურჟუაზია ასრულებს პროგრესულ როლს;

3. ბურჟუაზიამ ხელი შეუწყო ეროვნულ გრძნობათა გამოღვიძებასა და გაძლიერებას;

4. მართალია, ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთობლივი როლი შეასრულეს ძველი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური წყობილების მსხვრევაში, ერთად იდგნენ ახალი, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, მაგრამ მომავალში მათი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება გარდაუვალია;

5. ახალი კლასების (ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის) ბრძოლა ძველ წყობილებასთან (ფეოდალიზმთან) და თვით ახალი კლასების ბრძოლა ერთმანეთთან ქვეყნის განვითარების ღერძია;

6. საქართველო ვერ ასცდება ბურჟუაზიული განვითარების გზას და აქედან გამომდინარე, ვერ აიცილებს თავიდან კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის;

7 არ არსებობს არავითარი გზა კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილებისა და ეროვნული თანხმობის მიღწევისა.

ნოე ჟორდანიას წერილი „დღევანდელი კითხვები" აშკარად მიგვანიშნებს, რომ მისი ავტორი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე გადავიდა. **ნოე ჟორდანია აშკარად დგება კლასობრივი ბრძოლის, როგორც ერის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის ერთადერთი გზის, აღიარების თვალსაზრისზე. კლასობრივი ბრძოლის, როგორც პროგრესის ერთადერთი გზის გაფეტიშებასთან ერთად ნოე ჟორდანია, გამორიცხავს ეროვნული თანხმობის მიღწევას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, საერთოდ, დაპირისპირებული სოციალური ფენების ინტერესთა შერიგების, სოციალური აფეთქების თავიდან აცილების შესაძლებლობას.** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი მკვეთრად უპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას, თუმცა ეროვნული ნიჰილიზმი წერილებში არ იგრძნობა.

ნოე ჟორდანიას გადასვლა რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე დასტურდება „ცნობის ფურცლის" 1898 წლის მეთოთხმეტე, ოცდამესამე და ოცდამეოთხე ნომრებში გამოქვეყნებულ ნერილში „ინტელიგენცია" ერის ცხოვრებაში ინტელიგენციის როლზე აეტორს ნინათაც არ ჰქონია პოზიტიური შეხედულება. ამჟამად მან უარყოფითი დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი სტატიაში უფრო ერცლად და გამოკვეთილად ჩამოაყალიბა: „ინტელიგენტი დღეს ერთს გააკეთებს, ხვალ – მეორეს, მას გზაი, კვალი, ისტორიული ლოღიკა არ უნერია" ეხება რა ინტელიგენციის როლს ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებაში, ნოე ჟორდანია აღნიშნავს: „ინტელიგენტი გრძნობს, იცის, მარა ეერავითარ ცვლილებას ვერ ახდენს. აშკარაა, ეს უკანასკნელი ნაცარქექია უფროა, ვიდრე ბუმბერაზი. ბუმბერაზობა მხოლოდ ლაპარაკში, ტრაბახობაში ეტყობა". მაგრამ, ავტორის აზრით, ინტელიგენციის ყველაზე დიდი ცოდვა მდგომარეობს შემდეგში:

1. „იმათ გამოეპარათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელზედაც აღმოცენდა ნინააღმდეგობა კლასთა და ერთა შორის. ამ ნაირათ, ინტელიგენცია აბნელებს და ბურუსში ხვევს იმ არსებულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილად არსებობს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ შესულა მთელ თავის ძალაში. ამით ის წინ ეღობება ცხოვრების წინ-მსვლელობას და ამ წინმსვლელობის შეგნებას. ინტელიგენცია თავის უნებურათ რეაქციონურ როლს თამაშობს";

2. „რა მხრითაც უნდა შევხედოთ, ნასწავლი ხალხი იძულებულია, ფულიან ხალხს დაემორჩილოს და ემსახუროს" ინტელიგენციას ნოე ჟორდანიამ ასეთი განაჩენი გამოუტანა: „ის მკვდარია ანმყოსათვის და მკვდარი დარჩება მომავლისათვისაც. და მას აქ ვერ უშველის ვერც დიპლომი და ვერც ინტელიგენტური მედიდურობა..."

საინტერესოა ნოე ჟორდანიას წერილი „საზოგადო მოღვაწეობა", რომელიც „ცვალის" 1898 წლის ოცდამეცხრე და მეორმოცე ნომრებში გამოქვეყნდა. ერის საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელსაც, საბედნიეროდ, ასაზრდოებდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და მათი მრავალი თანამებრძოლი, ნოე ჟორდანია ასეთ დიაგნოზს უსვამს: „არა მგონია, საზოგადო ასპარეზი ისე დაცლილიყოს სადმე მოღვაწეთაგან, როგორც ეს დღეს ჩვენში არის. არა მგონია, საზოგადო საქმეს ისე ერიდებოდნენ რომელიმე ქვეყანაში, როგორათაც მას დღეს ჩვენში ერიდებიან. ამ ნიადაგზე მოქმედებას, საქმიანობას, თავის ძალ-ღონის შენირვას ყველა გაურბის, ყველა უფრთხის, ყველა გან-განზე მიიწევა". ნოე ჟორდანია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის სამ ჯგუფს გამოყოფს:

„პირველი ჯგუფი, რომელიც ამ „ქვეყნის მარილის" დიდ უმრაელესობას შეიცავს, ყველაფერს, გარდა პირადი საქმისა, გულგრილათ უცქერის. მისთვის არ არსებობს რაიმე „კითხვა", მას არ აღელვებს რაიმე საზოგადო საგანი, ის ჩინებულად გრძნობს თავს ყოველნაირ ნყობილებაში".

„მეორე, ძალიან მცირე ჯგუფს, შეადგენენ ეგრეთ წოდებულნი „დაღალულნი". ჩვენ ვიშრომეთ, ქვეყანას მხარში ვუდექით, ახლა კი დავიღალეთ და დასვენება გვეჭირვებაო – ამბობენ ისინი. „დაღალულნი" მოცილდნენ საზოგადო მოღვაწეობას და ამ სიბერის დროს თავ თავის საქმეებს შეუდგნენ. მარა ზოგ მათგანს ეს ერცხვინება, „საქვეყნო საქმის" დატოვება ეთაკილება და ამიტომ თავის კერძო საქმე საზოგადო საქმეთ გამოაქვს – აი, მე კიდევ თქვენ გემსახურებითო. და საზოგადოებასაც ეს ჯერა, ჯერა იმიტომ, რომ ამას „დაღალულნი" ღაღადებენ. და ესენი, მოგეხ-

სენებათ, ჯერ კიდევ ძველი ღვანლის პროცენტებს ღებულობენ. მაგრამ რამდენიც უნდა გვაჯერონ, რამდენიც უნდა ვიჯეროთ, ბოლოს მაინც აშკარა შეიქნება, რომ საზოგადო სარბიელი „დაღალულთაგან“ კაი ხანია დაცლილია".

„მესამე ჯგუფს შეიცავენ ისინი, ვისაც პირველი ჯგუფობა რცხვენია და მეორე კი არ ეხერხება. ესენი არ იძახიან „ფეხებზე მკიდიაო“ და არც დაღალულნი ვართო, ვინაიდან ჯერ საამისო არა გაუკეთებიათ რა. მათ სურთ უნაყოფოდ არ ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე ნელილი შეიტანონ, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ. მარა ყოველივე ეს ცდა ჯერ-ჯერობით ამაოდ რჩება. საზოგადო კითხვებს ირგელივ უტრიალებენ, ხან ერთი მხრიდან შეახტებიან, ხან ვითომ სათავეში მოექცევიან, ხან კი ბოლოში ამოყოფენ თავს. ერთი სიტყვით, ერთ ალაგას ფეხს ვერ იკიდებენ, ერთ მდგომარეობას ვერ ირჩევენ, შესაფერ ძალ-ღონეს ვერ იჩენენ“ საზოგადო მოღვაწეთა სამ ჯგუფს ნოე ჟორდანია ასე აფასებს: „საზოგადო მოღვაწეობა სამივე ჯგუფიდან მიტოვებულია, მას სამივე ჯგუფი გაურბის: პირველი განგებ, მეორე „დაღლილობით, მესამე კი უვიცობით, უგზო-უკვლობით. ყველაზე უფრო უნყინარი ელემენტი პირველია, ყველაზე უფრო დამაბრმავებელი – მეორე, ყველაზე უფრო სასაცილო – მესამე. პირველი უნდა შეიბრალო, მეორეს უნდა გამოემშვიდობო, მესამეს კი – „ასნავლო“.

ცხადია, ნოე ჟორდანია მათში, ვისაც „საქვეყნო საქმის“ დატოვება ეთაკილება და ამიტომ „თავის კერძო საქმე საზოგადო საქმეთ გამოაქვს“, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძესა და საერთოდ "იერიის“ ბანაკს გულისხმობს, ხოლო მესამე ჯგუფში, რომელთაც „სურთ უნაყოფოთ არ ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე წვლილი შეიტანონ, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ“ – ქართველ სოციალ-დემოკრატებს და საერთოდ, „კვალის“ ბანაკს. თუ პირველი ჯგუფის მოღვაწენი ნოე ჟორდანიას უკვე საშიშად არ მიაჩნია, ამას ვერ ვიტყვით მეორე ჯგუფზე (ილია ჭავჭავაძე და „იერიის“ ბანაკი), რომელიც მესამე ჯგუფისათვის (ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრე ქართველი სოციალ-დემოკრატები) საფრთხეს წარმოადგენს. ნოე ჟორდანია წერს: „ამ ორ უკანასკნელთა შორის მჭიდრო კავშირია. მეორეს სხივი ნედება მესამეს და თვალს უყენებს. და სანამდის ეს დაბრმავება გაგრძელდება, მანამდი მისი საკუთარ გზაზე გამოსვლა ოცნებაა“. როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას საზოგადო მოღვაწეთა მესამე ჯგუფის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის აუცილებელ



ფილიპე მახარაძე

პირობად მიაჩნია მეორე ჯგუფის იდეური განადგურება, საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზიდან განდევნა. საზოგადო მოღვაწეთა ამ ორი ჯგუფის – ილია ჭავჭავაძისა („იერიის“ ბანაკისა) და სოციალ-დემოკრატების („კვალის“ ბანაკისა) – შერიგება ნოე ჟორდანიას შეუძლებლად მიაჩნია, რადგან „პირველის სატრფიალო საგანია წოდებრივი და ფეოდალურ-სოფლური ურთიერთობა; მეორისა – ადამიანური და მოქალაქური განწყობილება. ამ ორ მიმართულებას შორის არავითარი შემაერთებელი ხიდი არ არის და მათი ერთმანეთთან ბრძოლაც სამკედრო-სასიცოცხლოა“. ამ შეხედულების ერთგულნი დარჩნენ ნოე ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძესთან, „იერიის“ ბანაკთან იდეურ ბრძოლაში ილიას მკვლელობამდე და ილიას მკვლელობის შემდეგაც.

ამრიგად, უკვე 1898 წელსვე ნოე ჟორდანიამ საკმაოდ გარკვეულად უპასუხა იმ კითხვებს, რომლებიც თვითონვე წამოჭრა 1898 წლის იანვარში გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში „დღევანდელი კითხვები“. ნოე ჟორდანიას დასკვნები რუსული სოციალ-დემოკრატიის ძლიერი იდეური გავლენით იყო გაკეთებული და დიდ საფრთხეს შეიცავდა ეროვნული მოძრაობისათვის. ნოე ჟორდანია დაუფარავად ქადაგებდა კლასობრივი ბრძოლის

გამწვავების, სოციალურ წინააღმდეგობათა გაღრმავების აუცილებლობას, მათ იდეურ განადგურებას, ვინც საქართველოს მომავალს ეროვნულ შერიგებაში, სოციალური კონფლიქტების თავიდან აცილებაში ხედავდა.

ნოე ჟორდანიას შეხედულებას კაპიტალიზმის განვითარების შედეგების შესახებ იცავდა ფილიპე მახარაძე „კვალის" 1898 წლის პირველ, მეორე და მეოთხე ნომრებში გამოქვეყნებულ ერცელ ნერილში „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა" „კვალის" 1898 წლის მესამე ნომერში მ. იესუშვილის ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილიც „ჩვენი ქვეყნის ვითარება" ამ პრობლემას ეხება. ფილიპე მახარაძე წერს: „ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა ნარმოადგენს იმ გვარ საზოგადო აზროვნების მსვლელობას, როდესაც ხალხში მყარდება თვითცნობიერება, შეგნება თავისი მდგომარეობისა და იძრება იმისი განკარგების სურვილი. ამ გვარ შემთხვევაში ადამიანი კრიტიკული თვალით შეჰყურებს თავის ნარსულ და ანინდელ მდგომარეობას, უფრო სიფრთხილით ეპყრობა თავის მოთავეებს და კერძო პირთა ყოველ გვარ მოღვაწეობას" წერილიდან ცხადდება, რომ ამ „მოთავეებში" და „კერძო პირთა" მოღვაწეობაში ფილიპე მახარაძე, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს გულისხმობს. სწორედ მათ მიმართაა ნათქვამი ქვემოთ: „ირღვევა ძველი მიმართულება აზრისა და მოღვაწეობისა და მზადდება ნიადაგი ახლისათვის"

ფილიპე მახარაძე ილია ჭავჭავაძის არც აშკარა კრიტიკას ერიდებოდა. 1898 წელს ფსევდონიმით „მე გახლავარ" გამოვიდა მიხეილ ნაიძის საიუბილეო ბროშურა „თ. ილ. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდები", რომლის საპასუხოდაც 1898 წელსვე „კვალის" ოცდამეთერთმეტე ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის რეცენზია „საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო)". აღშფოთებული იმით, რომ ილია ჭავჭავაძეს ბროშურის ავტორი ქედა-დიდებას ასხამს როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილიპე მახარაძე წერს: „დროა, ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და მართალი სიტყვა ვეუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ. სად არიან მაშინდელი ამბების მცოდნე პირები? დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მათგანი კიდევ ცოცხალია და გადმოცემის ნიჭიც აქვთ. მაშ, რას უყურებენ? ხომ ხედავენ, რომ მე გახლავარები ათასგვარ უვიცობასა და ჭორს თესენ და აერცელებენ საზოგადოებაში" როგორც ვხედავთ, ფილიპე მახარაძე არა მარტო პირადად აფასებდა უარყოფითად ილია ჭავჭავაძის ნააზრევ-ნაღვაწს, არამედ ხმალამოღებული ებრძოდა ყველას, ვინც ილიას მოღვაწეობის პოზიტიურად შეფასებას შეეცდებოდა.

დიდი პოლიტიკური მიზანდასახულობით არ გამოირჩევა, მაგრამ საერთოდ, ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის შეხედულებას ემთხვევა „კვალის" 1898 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნებული ალექსანდრე წულუკიძის ნერილის: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში"– მთავარი იდეა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე დგომის მიუხედავად, არც იმჟამად და არც შემდგომ წლებში ალექსანდრე წულუკიძეს არ ახასიათებდა ის ექსტრემიზმი, რომელიც ჩასახვისთანავე გაჩნდა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში და აშკარად გამოვლინდა ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის ნაწერებში.

1899-1900 წლები საყურადღებოა იმით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ძირითად მიმართულებად იქცა ეროვნული ნიჰილიზმი, ბრძოლა ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის" ბანაკის, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი მასალა მრავლად მოიპოვება გაზეთ „კვალში" გამოქვეყნებულ ნოე ჟორდანიას წერილებში: „ადგილობრივი პრესა გასულ წელს" (1899 წ.), „თავად-აზნაურთა საქმეები" (1899 წ.), „შუათანა თაობა" (1899 წ.), „რომანტიზმი" (1900 წ.), „პრესა" (1900 წ.), „გზა-და-გზა" (1900 წ.), „ინგლის-ტრანსვაალის ომი" (1900 წ.), „ჩვენი უთანხმოება" (1900 წ.).

ნოე ჟორდანიას წერილის „ადგილობრივი პრესა ნასულ წელს" მიზანია, აჩვენოს გაზეთების: „ივერიის", „კავკაზის" და „ნოვოე ობოზრენიეს"– იდეური მიმართულება, შეაფასოს მათი ნაღვაწი. ავტორის დასკვნა „ივერიის" შესახებ ასეთია:

1. „ივერიის" სახელმძღვანელო დედა-აზრია შემდეგი: ჩვენი საჭირბოროტო კითხვა არის კითხვა ეკონომიური, ჩვენი სიმდიდრე და მინა-ადგილი. მინა-ადგილი მის პატრონს, თავად-აზნაურობას, ხელიდან ეცლება და სუსტდება და მით სუსტდება მთელი ერი. მოწინავე წოდების დაცემა – ეს მთელი ქართველობის დაცემაა. აქედან ჩვენი მოვალეობაა ამ წოდების აღდგენა და მასთან ერთად აღდგება მთელი ქართველობაც, და ეს მოხდება, სხვათა შორის, სამეურნეო სწავლა ცოდნით";

2. „ივერია" ხედავს, რომ მოწინავე წოდება – ეს, მისი აზრით, ერთად ერთი ჩვენი მხსნელი – თან-და-თან ძირს ეშვება, ხოლო ახალ ძალებს კი ვერსათ ამჩნევს და გაზეთიც უიმედობას ეძლევა. ის მოთქვამს, გლოვის ზარს რეკს, აწმყოს წყევლის

და ნარსულს, ფეოდალურ ნარსულს უგალობს";

3. „იერია" დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი: არც მის საყვარელ ნოდებას ემეება და არც მისი დიდი იმედი აქვს; არც ახალი კლასები სწამს და არც მათგან რაიმეს გამოელის, არც მომავალზე ხელს იღებს და არც მის საძირკველს ცნობილობს. ერთი სიტყვით, რა ქნას, როგორ იაზროვნოს არ იცის და ისევ უაზრობას და უშინაარსობას არჩევს".

ნოე ჟორდანია პირდაპირ აცხადებს, რომ „იერიის" მიზანია „ძველი დროის დაბრუნება, ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება და მით მთელი ერის გადაშენება". მას შემდეგ, რაც „იერიას" ასეთი მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა, ნოე ჟორდანიამ არც „კავკაზი" დაინდო: „თუ კი დროშა, „იერიის" მიერ აფრიალებული, არის დროშა ფეოდალიზმის, სამაგიეროდ, დროშა, ბ. ველიჩკოს(გულისხმობს „კავკაზის" რედაქტორ ვასილი ველიჩკოს – ვ.გ.) „კავკაზის" მიერ აფრიალებული, არის დროშა ბიუროკრატიზმის" ნოე ჟორდანია „ნოვოე ობოზრენიეს" უმთავრეს ნაკლად მიიჩნევს საჭირბოროტო საკითხებისადმი გულრდის ავლას, საიდანაც, მისი აზრით, ნარმოდგება გაზეთის „საოცარი უფერულობა და, ამ მხრით, ის მეორე „იერია" იქნებოდა, რომ ცოცხალი ამბები, რიგიანი კორესპონდენციები და პოლიტიკური მიმოხილვები არ ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ის არის ამბავის გაზეთი და არა პრინციპის და იდეის". საბოლოოდ ნოე ჟორდანიას დასკვნა ასეთია: „იერია" აღიარებს ფეოდალურ-სოფლურ მიმართულებას, „კავკაზი" – ბიუროკრატულ-ფეოდალურს, ხოლო „ახალი მიმოხილვა" – ლიბერალურ-ბურჟუაზიულს"

„იერიის", „კავკაზის" და „ნოვოე ობოზრენიეს" მიმართულებების შეფასებით ნოე ჟორდანიამ ფაქტობრივად შეაფასა სამი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა საქართველოში, შეაფასა და პრინციპულად დაუპირისპირდა სამივეს, ამით კი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ეროვნული შერიგებისადმი, ერთიანი ეროვნული მოძრაობისადმი.

ნერილში „შუათანა თაობა" ნოე ჟორდანიამ შეაფასა მთელი საზოგადოებრივი მოძრაობა XIX საუკუნის 60-იანი ნლებიდან 90-იან ნლებამდე. ამ ორმოცნლიან მონაკვეთში ნოე ჟორდანია გამოყოფს „სამ ხანას, ანუ სამ საფეხურს: „1. ცხოვრების ზედა-პირის შენძრევა-ცვლილება გარეგანი, 2. ცხოვრების შინაგანი დუღილი-ცვლილება ნანილ-ნანილი და დამალული, 3. ცხოვრების დუღილის გარეთ გადმოხეთქა-ცვლილება აშკარა და ერთიანი". იქვე ნოე ჟორდანია მიუთითებს, რომ „პირველი ხანის მებაირახტრეობა ნილათ ხედა ძველ თაობას, მეორის – მის მომდევნო შუათანა თაობას, ხოლო მესამის – ახალ თაობას" თაობების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსელა კი ნოე ჟორდანიას ასე წარმოუდგენია: „ძველი თაობა შეიცავეს იმ მოღვაწეებს, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდნენ მესამოცე და მესამოცდაათე ნლებში, შუათანა თაობა იმათ, რომელნიც მეოთხმოცე ნლებში გამოვიდნენ, ხოლო ახალი თაობის მოღვაწენი – მეოთხმოცდაათე ნლების შემდეგ გამოსულნი". ნერილიდან ჩანს, რომ პირველ თაობაში ავტორი გულისხმობს ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს, „იერიის" ბანაკს, მეორე თაობაში – ქართველ ნაროდნიკებს, გლეხური სოციალიზმის იდეოლოგებს, მესამეში – სოციალ-დემოკრატებს. ნოე ჟორდანია წინასწარვე აცხადებს, რომ სამ თაობაში „ყველაზე უფრო შესაბრალისი და საცოდავი შუათანა თაობაა" წერილში ვერსად ვხვდებით ნაროდნიკობის სერიოზულ კრიტიკას. ნოე ჟორდანიას ეს საკითხი არც აინტერესებდა. მისთვის შუათანა თაობის (ნაროდნიკების) ყველაზე დიდი ცოდვა ის არის, რომ მისი ნარმომადგენლები „თან-და-თან დაუახლოვდნენ ძველი თაობის ნარმომადგენელთ და ბოლოს მთელი თავისი აკლა-დიდებით გადაბარგდნენ „იერიაში" ასე და ამნაირად, „გლეხური" მიმართულება შუათანა თაობისა თან-და-თან შეიცვალა თავად-აზნაურულ მიმართულებად ძველი თაობისა. შუათანა თაობამ ხელი აიღო თავის თავის დამოუკიდებლობაზე და ძველი თაობის ამალად გადაიქცა" აშკარაა ნოე ჟორდანიას გაღიზიანება შუათანა თაობით, მისი ფერისცვალებით, არა იმდენად საკუთარ იდეალებზე ხელის აღების, არამედ ილია ჭავჭავაძის იდეების შეთვისების გამო. ნოე ჟორდანია წერს: „შუათანა თაობამ ყველზე თოკი მოიბა და ძველი თაობის წინ დაიჩოქა. მის სამსახურს მან შეალია მთელი თავისი გონებრივი ძალ-ღონე და მერე წვრილ პრაქტიკულ საქმეებში გაიხლართა. და ასე მთელი თაობა დაქუცმაცდა, დაძაბუნდა და წვრილ გროშებზე დახურდავდა".

ამრიგად, ნოე ჟორდანიას არც ილია ჭავჭავაძე და „იერიის" ბანაკი მოსწონდა, არც ნიკო ნიკოლაძე და „ნოვოე ობოზრენიეს" მიმართულება, არც ქართველი ნაროდნიკები და მათი დაახლოება ილია ჭავჭავაძესთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნოე ჟორდანია დაუპირისპირდა მთელ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობას.

ილია ჭავჭავაძის, „იერიის" ბანაკის დაუფარავი კრიტიკაა მოცემული ნოე ჟორდანიას ნაშრომებში **„ივანე მაჩაბელი"** და **„საგულისხმო მოვლენა"**. პირველში ნოე ჟორდანია ცდილობს, ივანე მაჩაბლის განდიდებით როგორმე დაამციროს

ილია ჭავჭავაძე, ხოლო მეორეში იმავე მიზნის მიღწევას ცდილობს ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის დაპირისპირებით. აი, რას წერს იგი ივანე მაჩაბლის შესახებ: „ასე გაშინჯეთ, 1895 წ. მაჩაბელი სამეურნეო ბანკის უბრალო წევრათაც კი არ მიიღეს, ისეთ წევრად, როგორათაც ყველა ბაყალი და ყასაბია. რით უნდა აიხსნას ეს, თუ არა იმავე შურის ძიებით! ნუ თუ აქ არ არის რაიმე პარტიობა, რაიმე ზნეობა და რიგიანობა? არა და ათასჯერ არა! აქ არის მხოლოდ ერთი პირის ამოჩემება, მისი მტრობა და დევნა. ეს არის აზიური მტარვალობა, საშუალო საუკუნეების მიუკარებლობა და ინკვიზიტორული მსაჯულობა“ დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ის „ერთი პირი“ ილია ჭავჭავაძეა, ხოლო ივანე მაჩაბლის „მტრობა“ და „დევნა“, ასევე „აზიური მტარვალობა“ და „ინკვიზიტორული მსაჯულობა“ პირადად ილია ჭავჭავაძისა და მის უახლოეს თანამებრძოლებს მიეწერებათ. როცა გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე მრავალი თანამგრძნობი მიეიდა, ნოე ჟორდანიამ დაასკვნა, რომ ხალხმა დაგმო ქართული „ჟურნალ-გაზეთების ერთ ნანილში გამეფებული ზნეობა, ზნეობა შენ-ჩემობის, პირადი ამოჩემობის და უსაბუთო ლანძღვა-გინების. ხალხმა პირველად შეახო ხელი ამ საზიზღარ ხელობას და ის საუკუნოთ დაასამარა“. ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთლის დაკრძალვას არ დასწრებია. ცნობილია ისიც, რომ კარგა ხნის განმავლობაში ორ მოღვაწეს შორის ურთიერთობა ძალზე დაძაბული იყო. ამით გაღიზიანებული ნოე ჟორდანია თვლის, რომ გიორგი წერეთლის დაკრძალვის საბაღხო გლოვას გადაქცევა ილიას გზის, „ივერიის“ მიმართულების დაგმობას ნიშნავდა.

ცალკე უნდა შევეხოთ ნოე ჟორდანიას ნაშრომს „პრესა“ ნერილების სერია ამ სათაურით იბეჭდებოდა „კვალში“ 1900 წელს. იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა სათაურით „ქართული პრესა“. ნაშრომის სათაურის („პრესა“, „ქართული პრესა“) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უნდა მისძღვნოდა მთელ ქართულ პრესას. სინამდვილეში, ნაშრომის ორ მესამედზე მეტი მხოლოდ გაზეთ „ივერიის“ მიმართულების დახასიათებას ეძღვნება. მცირე ადგილი ეთმობა გაზეთ „დროებას“. რაც შეეხება სხვა გამოცემებს, ისინი, სხვათა შორის, აქა-იქ მოიხსენიება. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ 1866 წელს დაფუძნებული „დროება“ (რედაქტორი გიორგი წერეთელი) ნოე ჟორდანიას ძალიან მოსწონს: „კრიტიკა ჩვენი შინაური ცხოვრების და მოღვაწეობის და მითი ძველი ურთიერთობის დარღვევა და ახალის დამყარება – აი „დროების“ გზა და ხიდი, აი მისი მანათობელი ლამპარი. ყოველივე სასიკეთო, ცოცხალი და შინ მიმავალი შემოიკრიბა ამ ლამპრის გარშემო. ამით შემუშავდა პირველი ევროპული გაზეთი ქართულ ენაზე, გაზეთი მხნე და მტკიცე მიმართულების“.

ნოე ჟორდანია „ივერიისა“ და მისი რედაქტორის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და ამას თავიდანვე არ მალავს. იხსენებს რა 1863 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას და შემდეგ მალევე შეწყვეტას, ნოე ჟორდანია წერს: „თ. ი. ჭავჭავაძე, შემდეგ პირველი დამარცხებისა, ხელ-მეორედ გამოვიდა პრესის ასპარეზზე. ის 1863 წ. დამარცხდა, როგორც პროგრესისტი. სამაგიეროდ, 1877 წლიდან ის უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, როგორც კონსერვატორი“. „კონსერვატორ“ ილია ჭავჭავაძის გამარჯვებად ნოე ჟორდანია თელის „ივერიის“ გამოცემას: „დროების“ პირუთვნელმა მიმართულებამ დაპბადა შიში და მოუსვენრობა არა მარტო ძველ თაობაში, არამედ ახალ მოღვაწეთა შორისაც. ეს ორივე უკმაყოფილონი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, შეკავშირდნენ და მათ შეადგინეს ახალი ჯგუფი მოღვაწეებისა, ჯგუფი „დროების“ მოპირდაპირე და მასთან მებრძოლი. ამ ჯგუფის მეთაურად შეიქმნა თ. ილია ჭავჭავაძე, ხოლო მის ორგანოთ – „ივერია“. ცხადია, ასეთი შესაელის შემდეგ ნოე ჟორდანია კარგს ეერაფერს იტყოდა „ივერიის“ მიმართულებაზე, გაზეთის რედაქტორზე.

ილია ჭავჭავაძისა და, კონკრეტულად, „ივერიის“ ტენდენციურ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ, დაუსაბუთებელ კრიტიკას ნოე ჟორდანია ამთავრებს შემდეგი დასკვნებით:

1. „ჩვენ განვიხილეთ ქართული პრესის მთავარი მიმდინარეობა დღიდან მისი დაარსებისა და აღმოვაჩინეთ შემდეგი: პირველ ხანაში ის არის პირდაპირი, უშიშარი და მებრძოლი. მეორე ხანაში ის პკარგავს ყველა ამ თვისებას და ხდება პირმოთნე, მოშიშარი და გულ-ჩაბნეული. პირველი მიმდინარეობა არის ახალგაზრდა, სიცოცხლით და ძალ-ღონით საესე. ამისათვის მისი სიტყვა მჭრელი, რიხიანი და მძლავრია. მეორე არის მიმდინარეობა მოხუცებული, ცოცხალ-მკვდარი და დახავსებული. ამისათვის მისი სიტყვა ჩლუნგი, გაუბედავი და უძლურია. ის ხვდება სულს და გულს, აფიქრებს და ავარჯიშებს ჭკუა-გონებას, აფხიზლებს და ამოძრავებს ადამიანს. ეს კი, პირიქით, აცარიელებს სულს და გულს, აძინებს და აზანტებს ჭკუა-გონებას, ბორკავს და ატყვევებს ადამიანს, პირველს მეთაურობს „დროება“, მეორეს – „ივერია“;

2. „მეფობა „დროებისა“ არის მეფობა პროგრესისა; მეფობა „ივერიისა“ არის მეფობა რეაქციისა“.

3. „დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის" წინამძღოლათ ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების. ქართული სიტყვა სუსტი, აზრი ძველი, ზნეობა მახინჯი, მოქალაქეობა სულ არა – აი, თვისება „გაივერიებული" პრესის";

4. „ივერიას", მართალია, ნიჭიერი პუბლიცისტები არ პყოლია, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისი მიმართულებით „დროებაზე" უფრო რეალურ ნიადაგზე იდგა. მან დაინახა ის, რაც დაინახა „დროებამ" – თავად-აზნაურული მკითხველი საზოგადოება და უცებ მოაბრუნა პრესის ბორბალი. მან თქვა: თუ კი ჩვენი ნიადაგი თავად-აზნაურობაა, აზროვნებაც თავად-აზნაურული უნდა გვქონდესო".

ნოე ჟორდანიას საერთო დასკვნა კი ასეთია: „ქართულმა პრესამ განიცადა შემდეგი ცვლილება: პირველად ეს იყო პროგრესული თავისი მისწრაფებით, კონსერვატიული თავისი ნიადაგით („დროება"); შემდეგ ის გახდა მისწრაფებით კონსერვატიული და კონსერვატიული ნიადაგითაც („ივერია"). აღორძინებას მოპყვა დაცემა, ნინმსელულობას – უკან ჩამორჩენა. და აი ახლა ვდგევართ ჩვენ პრესის მესამე ხანის საზღვართან და რამდენიმეთ კიდევაც ჩავაბიჯეთ ფეხი... ეს ხანა არის ხანა ხელახლათ აღორძინების და განახლებისა" ცხადია, ავტორი „პრესის მესამე ხანის" დასაწყისად თვლის გაზეთ „კვალის" გამოსვლას (1893 წ.), უფრო ზუსტად კი მის გადასვლას სოციალ-დემოკრატების ხელში (1897 წლის დასასრული).

ნოე ჟორდანია „ივერიის" მიმართულების კრიტიკისას, ისევე, როგორც საერთოდ, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე დგას, ე. ი. მისთვის მიუღებელია ყოველგვარი აზრი, ყოველგვარი მიმართულება, რომელიც არ აფუტიშებს კლასთა ბრძოლას, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზას.

ნოე ჟორდანიას „პრესას" მოპყვა ილია ჭავჭავაძის **„უმეცრების ფართი-ფურთი"**, რომელიც **„ახალმოსულის"** ფსევდონიმით იმავე 1900 წელს დაიბეჭდა „ივერიაში". პოლემიკურ წერილს ილია ჭავჭავაძე ასე იწყებს: „უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უტკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო დიდი ჭირია". ცხადია, ილია ჭავჭავაძეს ნოე ჟორდანია პყავს მხედველობაში. ილია წერს: „ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა კი თავი ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რალაც უზომო დიადობით განგებ გაბრუებულია თავისი-თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ ნუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებასა და ნებისმიერ ატრიალოს ცა და ქვეყანა". ილია დარწმუნებული იყო, რომ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა მწერლობასა და მეცნიერებაში ასე დამთავრდებოდა: „ბაქიობა, კვეხნა, თავის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ზემო სართულში ყველაფერი თაეის ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორის მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამის დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უეიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან. ისნაელიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი, ყოვლისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა თუ ჭკუა" ილია ჭავჭავაძემ იცოდა, თუ ვისთან პქონდა საქმე. ამიტომ იყო, რომ დაეჭვებით წერდა: „მე არ ვიცი, ამ ჩემი წერილისაგან ბ-ნი ნოე ჟორდანია ჭკუას მოვა თუ არა. ვაი, თუ მგლის თავზე სახარების კითხვა დამემართოს და გადარეული უფრო გადაირიოს. ესეც-კი შესაძლოა: იქნება, იმის ქედმაღლობის ამბავი რომ ვიცი, მე და ჩემი წერილი ცხვირ-ზეკით აიცდინოს, ვითომდა არა გეკადრულობსო, თავს არ გვიყადრებს" ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძეს თავი „გაუყადრა" და პასუხი „იკადრა" „კვალის" 1900 წლის მარტ-აპრილის ნომრებში დაიბეჭდა მისი **„გზა-და-გზა"**.ავტორი, რა თქმა უნდა, ხედებოდა, რომ სადავო საკითხების ღრმად და საფუძელიანად გარჩევა მას ხელს არ აძლევდა, ამიტომ მოპაექრის დასამარცხებლად სხვა გზა აირჩია. საპასუხო წერილში ეკითხულობთ: „ახლა ყველასათვის აშკარაა, თუ რა ალაპარაკებს ბ. ახალმოსულს. ეს არის არა საგნის გამორკვევა, არა საქმის სიყვარული, აზრთა შეჯახება და მწერლობის გაფაქიზება, არამედ პირადი აშოჩვება, ლანძღვა-გინება და დამცირება. და რომ ეს თავისი სანადელი განახორციელოს, არავითარ საშუალებას არ ერიდება, არავითარ უწესობას გვერდს ვერ უვლის, არავითარი ოინების ჩადენა არ ეზარება" და ამას ეუბნება ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძეს! ჰკადრებს არა ერთხელ, არამედ იმეორებს რამდენჯერმე.

ნოე ჟორდანიას პასუხს მოპყვა ილია ჭავჭავაძის **„ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი"**, **„ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა"**, **„ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი ნაჯეგ-უკუჯეგობანი"**. ერთ-ერთ წერილს ილია ჭავჭავაძე ასე ამთავრებს: „ეერც ეხლა

მიხედებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოველად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითომდა ახალ მოძღვრების მღაღადებელი! განა მართალი არ ეთქვი წინანდელ ფელეტონში, რომ ამისთანა უმეცარი, უნიჭო, უგემური მწერალი, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, და ამასთან ასე თავმონონებული, სხვა არაყინ გამოჩენილა-თქო ჩვენში“

ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკამ ვერ შეაცვლევინა ნოე ჟორდანიას აზრი. იმავე 1900 წლის „კვალის“ ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი უთანხმოება“ ნოე ჟორდანია კვლავ იმეორებს წინა ნლებში გამოთქმულ შეხედულებებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „ჩვენი უთანხმოება არის უთანხმოება ახალი დროის, ნამოყენებული ახალი ცხოვრების განვითარებით და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მისი ცნობით და მის-დროშის ქვემ მუშაობა, მისი გამარჯვება არის გამარჯვება კულტურის უკულტურობაზე, ევროპიელობის აზიელობაზე, ამასთან ერთად მთელი ქართველობია, როგორც ერის და როგორც ხალხის...

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ნოე ჟორდანიას მიერ კლასობრივი ბრძოლის გაფეტიშებას და ბრძოლას ეროვნული მოთრაობის ილია ჭავჭავაძიაეული კონცეფციის წინააღმდეგ თან სდევდა ეროვნული ნიპილიზმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნოე ჟორდანიას „ინგლის-ტრანსვაალის ომი“ საოცარია, რომ ნოე ჟორდანიამ, თვითონ პატარა, დიდი იმპერიისაგან დაპყრობილი ერის შვილმა, ინგლის-ბურების ომში ინგლისელი დამპყრობლების მხარე დაიჭირა: „ატყდა ომი, დიდი ბრიტანეთის ძალა და გაელენა ბენზე ეკიდა, პატარა ხალხმა კინაღამ დაარნმუნა ქვეყანა, რომ დიდი ბრიტანეთის უფროსობა ირღვევაო. და აი, ამას ქვეყანაც ტაშს უკრავდა, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოები გამოჩნდა, რომ ყველა ამათ სულით და გულით სძულთ თავისი მეტოქე დიდი ბრიტანეთი და თუმცა თითოეული მასთანს შებმას ვერ ბედავს, მაგრამ თუ ვინმე სხვა დასცემს, იმათ სიხარულს საზღვარი არ ექნება. ამ ფერხულმა ჩაითრია ქართველებიც და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუდგა ინგლისელების სიძულვილის ქადაგებას. ჩვენ თავიდან არ ვიყავით ამ აზრის და არც ახლა ვართ. კანტის თქმულება, ოლონდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს, თუნდაც ამან ქვეყნის დანგრევა მოითხოვოსო, შემცდარათ მიგვაჩნია, ვინაიდან ვის რათ უნდა ჭეშმარიტება, თუკი ქვეყანა აღარ იქნება, თუკი ბურების გამარჯვება დიდი ბრიტანეთის დაცემას ნიშნავს (და ეს ასე უნდა ყოფილიყო). ნება მომეცით, ამ გამარჯვების მომხრე არ ვიყო და დიდი



ვლადიმერ დარჩიაშვილი

ბრიტანეთის დაუძლურებას არ ვნატრობდე“ ცოტა უფრო ადრე, „კვალის“ 1900 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა აკაკი ჩხენკელის სტატია „ებრაელთა ეროვნული მოძრაობა“. „კვალის“ რედაქციამ წერილს ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენი აზრით, „ებრაელთა საბელმწიფოს“ დაარსება პალესტინაში – ეს მხოლოდ უნიადაგო ოცნებაა და მეტი არაფერი. ეროვნული სახელმწიფოს და სამშობლოს შეძენა არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების და არა უბრალო სურვილი და ხელოვნურად შექმნილი. „სიონიზმი“ – ეს იდეოლოგ-ინტელიგენტთა და გაჭირვებულ ებრაელთა გზიდან დროებითი გადახვევაა, მაგრამ რაც უფრო ადრე შეიგნებენ მიზეზს მათი და მასთან ერთად უმრავლესობის გაჭირვებისას, მით უფრო ადრე დაადგებიან ნამდვილ და უტყუარ გზას“.

1899-1900 წლებში ნოე ჟორდანიასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფორმირებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ალექსანდრე წულუკიძე (1876-1905). საინტერესოა აგრეთვე დიმიტრი თოფურიძისა (1871-1937) და ვლადიმერ დარჩიაშვილის (1872-1916) ნაშრომები.

ალექსანდრე წულუკიძე 1899 წლიდან აქტიუ-

რად თანამშრომლობს გაზეთ „კვალში", რომელშიც აქვეყნებს ნაშრომებს: „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს" (1899 წ.), „საუბარი მკითხველთან" (1899 წ.), „ოცნება და სინამდვილე" (1899 წ.), „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან" (1899 წ.), „ჩვენი უთანხმოება" (1900 წ.) და „ახირებული პრეტენზია" (1900 წ.).

ალექსანდრე წულუკიძის ღია წერილიდან გიორგი წერეთლისადმი აშკარა ხდება, რომ იგი ისევე, როგორც ნოე ჟორდანია, კლასთა ბრძოლას სოციალური პროგრესის და საერთოდ, პროგრესის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, თუმცა, ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძისაგან განსხვავებით, ჯერჯერობით შორს დგას კლასთა ბრძოლის იდეის გაფეტიშებისაგან. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებების აშკარა გავლენითაა დანერილი ალექსანდრე წულუკიძის „საუბარი მკითხველთან". უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი, ისევე, როგორც მისივე „ოცნება და სინამდვილე", თითქმის არ განიცდის რუსული მარქსიზმის გავლენას, რაც ჭარბად იგრძნობა ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის ამავე პერიოდის ნაშრომებში. ხსენებულ ნაშრომებში ეერც ეროვნული ნიჰილიზმის ნიშნებს ვპოულობთ. რაც შეეხება ალექსანდრე წულუკიძის ნაშრომს „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", იგი მთლიანად მარქსისტული პოლიტეკონომიის გავლენითაა დანერილი. მარქსიზმის დაცვას ეძღვნება ალექსანდრე წულუკიძის წერილი „ჩვენი უთანხმოება" და „ახირებული პრეტენზია".

მართალია, დიომიდე თოფურიძე უშუალოდ სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს არ შეხებია, მაგრამ მისი ნაშრომები, რომლებიც გაზეთ „კვალში" 1898 წლიდან იბეჭდებოდა, არ ავლენენ რუსული სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა გაიდეალების მისწრაფებას. იგი ყურადღებას ამახვილებს ევროპაში მიმდინარე პროცესებზე, ევროპის ქვეყნების ცხოვრების ბეერ საინტერესო საკითხზე. მხედველობაში გვაქვს დიომიდე თოფურიძის „ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა დასავლეთ ევროპაში" (1898 წ.), „წერილები შვეიცარიიდან" (1898 წ.), „ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა. ინგლის-ტრანსვაალი" (1900 წ.), „მეცნიერება და მეცნიერები" (1901 წ.). ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ვლადიმერ დარჩიაშვილის სტატიები: „წერილი ბელგიიდან" (1899 წ.), „ბელგიიდან" (1899 წ.), „წერილები საფრანგეთიდან. დღევანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა" (1900 წ.), „წერილი საფრანგეთიდან" (1900 წ.), „მსოფლიო გამოფენა პარიჟში (ერთი თვალის გადავლებით)" (1900 წ.), „მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე (წერილი ბრიუსელიდან)" (1901 წ.) და სხვ. თუ დიომიდე თოფურიძისა და ვლადიმერ დარჩიაშვილის ნერილებს შევადარებთ „კვალში" გამოქვეყნებულ ფილიპე მახარაძის ნაშრომებს: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება" (1898 წ.), „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში" (1900 წ.), „საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში" (1900 წ.) და „საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე" (1901-1902 წწ.) – აშკარა გახდება ორი განსხვავებული შეხედულება პროგრესზე, მისი მიღწეუის გზებზე. დიომიდე თოფურიძე და ვლადიმერ დარჩიაშვილი სოციალური პროგრესის უმთავრეს პირობად სულაც არ სახავენ კლასთა ბრძოლასა და სოციალურ კონფლიქტს, მათთვის სანიმუშოა ეეროპის ქვეყნების იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური სისტემა. რაც შეეხება ფილიპე მახარაძეს, იგი აშკარად იქითკენ იხრება, რომ კლასთა ბრძოლა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა.

1901-1903 წლებში ნოე ჟორდანიას ნაშრომები გაცილებით ნაკლებად ჩნდება გაზეთ „კვალის" ფურცლებზე. ეს ალბათ დაკავშირებული იყო ნოე ჟორდანიას ჯერ დაპატიმრებასთან, ხოლო შემდეგ იძულებით ემიგრაციასთან. 1901 წლიდან საყურადღებოა ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ჩვენი დღევანდელი პრესა". ეს წერილი არჩილ ჯორჯაძესთან პოლემიკას ეძღვნება და მით არის საინტერესო, რომ ნოე ჟორდანიამ მოგვცა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებათა დახასიათება XX საუკუნის დამდეგისათვის. ნოე ჟორდანია წერს: „ჩვენი დღევანდელი პრესის მდგომარეობა ასეთია: „ორ უკვე არსებულ მიმართულებას – კონსერვატიულს („იეერია") და დემოკრატიულს („კვალს") – ემატება მესამე მიმართულება – მიმართულება ბურჟუაზიული („ცნობის ფურცელი"). პირველი ორი ორგანო თავ-თავის მიმართულებას ჯერ-ჯერობით მტკიცედ ადგანან, ხოლო მესამე კი რყეუაშია: აქ ბ. არჩილის ბურჟუაზიულ პროგრამას თან დასდევს კონსერეატიული მიდრეკილება ბ. კ. აბაშიძისა და ზოგი რადიკალურ-ლიბერალური მოსაზრებანი". სოციალ-დემოკრატიის („კვალის") პოზიციას ნოე ჟორდანია ასე განსაზღვრავს: „ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია: ქართული ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ, კულტურის საშუალებით, ქართველი „მშრომელი ხალხის" თანდათან გაცნობიერება, გამძლავრება და თანამედროვე ცხოერების შეგნებულ რაზმად გადაქცეეა – ერთი მხრით, მისი თვით-მოქმედების და, დამოუკიდებელი მოძრაობისათვის ხელის-შეწყობა – მეორე მხრით. აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა"

1902 წელს ნოე ჟორდანიას „კვალში" სოციალ-

დემოკრატიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით საყურადღებო არაფერი გამოუქვეყნებია. რაც შეეხება 1903 წელს, აღსანიშნავია ნოე ჟორდანიას მიერ გ. **მარმალაძის** ფსეუდონიმით გამოქვეყნებული წერილი **„ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები"**. წერილში ნოე ჟორდანია კიდევ ერთხელ დაესხა თავს ინტელიგენციას. აქვე აუცილებელია მოვიხსენიოთ ელადიმერ დარჩიაშვილის წერილი **„ინტელიგენცია"**, გამოქვეყნებული „კვალში" იმავე 1903 წელს ნოე ჟორდანიას წერილის შემდეგ. ელადიმერ დარჩიაშვილი ცდილობს, გაიაზროს ინტელიგენციის როლი კაპიტალიზმის ეპოქაში. ავტორს სწამს, რომ „საზოგადოება დღითი-დღე უფრო მეტსა და მეტს ინტელიგენტურ შრომას თხოულობს" სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარე აფასებს ელადიმერ დარჩიაშვილი ინტელიგენციის როლს ერის ცხოვრებაში.

1904 წელს „კვალის" იმ ხუთ ნომერში, რომლებიც გაზეთის აკრძალვამდე გამოვიდა, ნოე ჟორდანიას არაფერი დაუბეჭდავს.

1901-1903 წლებში გაზეთი „კვალი" და მის გარშემო შემოკრებილი ქართველი სოციალ-დემოკრატები საბოლოოდ გადადიან რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ეს პროცესი 1901 წელს არ დაწყებულა, იგი 1899-1900 წლებში მზადდებოდა, რასაც ადასტურებს ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის ზემოთ განხილული ნაშრომები.

1901 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატიის მეტადორფოზა უფრო გარკვეით გამოიკვეთა. ეს კარგად ჩანს **ალექსანდრე წულუკიძის**, ასევე „ენ ამის", „ყვირილელის", „ლ. ნ."-ს და „რ. ა."-ს ფსეუდონიმებით გამოქვეყნებულ წერილებში.

ალექსანდრე წულუკიძის გადასვლა რუსული მარქსიზმის პოზიციაზე აშკარად იგრძნობა მის ნაშრომებში **„ნაციონალიზმი და სოციალიზმი"**, რომელიც 1901 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლაში" ალექსანდრე წულუკიძის მიერ გაკეთებული დასკვნები ასეთია:

1. „რამდენადაც ნაციონალური ბრძოლა მიმართულია ნინაალმდეგ ნაციონალური შეევნროებისა, ნინააღმდეგ ძალად გაგერმანელებისა, გარუსებისა და სხვ., სოციალიზმი თანაუგრძნობს მას. ნაციონალური თავისუფლება არის ერთი მხარეთაგანი პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ამიტომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში";

2. „უცნაურად უნდა გეეჩვენოს ის მოელენა, რომ ხშირად სოციალისტური პარტია არ თანაუგრძნობს ნაციონალურ ბრძოლას, რომ სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთი მეორის მოქიშპედ გამოდიან? გასაკვირველი არ არის, როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უნევს შემაეწიროებელთა ნაციონალიზმს. მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია აუცილებლად არ უჭერს მხარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენ ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებიც გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვებზედ: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც ნაწილი საერთო დემოკრატიული თავისუფლებისა და, მაშასადამე, მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეიძლება დაემორჩილოს მთელი საერთო-დემოკრატიული თავისუფლება. და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებიან, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულება, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი და რომელსაც არასოდეს არ თანაუგრძნობს ბურჟუაზია";

3. „ნაციონალური იდეა, თავისთავად რომ ავიღოთ, ბურჟუაზიული იდეაა, დემოკრატიზმთან კი მას მხოლოდ დროებითი კავშირი აქვს შეკრული და შეუძლია, ყოველ წუთს გაწყვიტოს ეს კავშირი";

4. „ნაციონალური იდეა ბურჟუაზიისათვის შესანიშნავი იარაღია პროლეტარიატის წინააღმდეგ";

5. „ნაციონალიზმია ეხლა უმთავრესი მტერი ნინმსვლელობისა და ამ მტერთან ბრძოლაც უმთავრესი უნდა იყოს".

ეს დასკვნები იმას ნიშნავდა, რომ ალექსანდრე წულუკიძემ აღიარა რუსული სოციალ-დემოკრატიის პრინციპები და ეროვნულ ნიჰილიზმში ფილიპე მახარაძესაც კი ნინ გაუსწრო.

რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი ალექსანდრე წულუკიძის ნაშრომი **„ბრძოლა – სოციალ-დემოკრატიული"**, რომელიც 1902 წელს ხელმონერის გარეშე დაიბეჭდა „ბრძოლაში" ავტორი წერს: „ქართულ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთი რაზმთაგანია რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა".

კიდევ უფრო ხაზგასმულად წარმოჩნდა რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან ალექსანდრე წულუკიძის იდეური კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის ფურცლებში, რომელიც 1902 წელს მის მიერ არის შედგენილი. რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ იგი ინერებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუ-

ნის დამდეგს გამოქვეყნებული ვლადიმირ ულიანოვის (ლენინის) ნაშრომების ძლიერი გავლენით. რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი ალექსანდრე წულუკიძის **„სხვა-გან და ჩვენში"** (1902 წ.), რომელიც გაზეთ „კვალ-ში" დაიბეჭდა. წერილი ეძღვნება ბურჟუაზიის როლის გარკვევას დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქართველი ერის ცხოვრებაში. ავტორის დასკვნები ასეთია:

1. „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმაპირობებელი, ჩვენში მატერიალურად ხელმოკლე გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხია";

2. „ჩვენში ბურჟუაზიის როლი ეროვნული თვითცნობიერების განსამტკიცებლად სრულიად უმნიშვნელოა";

3. „თუ ევროპაში ბურჟუაზია უდგა მეთაურად ეროვნულ ზრდას, ჩვენში ერის მეორე ნაწილი მეთაურობს".

ალექსანდრე წულუკიძე გამონაკლისი არ ყოფილა. 1901 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატია აშკარად დგება რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ამის დამადასტურებელი მასალა უხვად გვხვდება გაზეთების: „კვალის," „ბრძოლისა" და „პროლეტარატის ბრძოლის" – ფურცლებზე.

1901 წლის იანვარში გაზეთ „კვალში" დაიწყო გამოქვეყნება ერცელი წერილისა „**ისტორიული მეცნიერებიდან**", რომელიც დასრულდა იმავე წლის ივნისში. წერილის ოთხი ნაწილი ავტორის მითითების გარეშე გამოქვეყნდა, მეხუთე ნანილს აქვს ხელმოწერა "Un ami", ხოლო ბოლო, მეშვიდე ნანილს – "Ami". წერილის ავტორის მიზანია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის დაცვა „კრიტიკოსებისაგან". "Un ami" ცდილობს დაიცვას კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სოციალური ფილოსოფია, განსაკუთრებით კი „მარქსისა და ენგელსის აზრები კლასთა ბრძოლაზე, პოლიტიკის მნიშვნელობაზე ამ ბრძოლაში და სახელმწიფო მმართველობის გაბატონებულ კლასების დამოკიდებულებაზე". იხილავს რა კლასთა ბრძოლის შესახებ გიზოს, ტიერის, მინიეს შეხედულებებს, "Un ami" დაასკვნის: „მანიფესტის ავტორისათვის (ე. ი. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსისათვის – ვ. გ.) კლასთა ბრძოლა მწყობრი ისტორიული თეორიის ერთი შემადგენელი ნაწილია, როცა რომ გიზოს, ტიერის, მინიეს და სხვა თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგთ ისტორიულ თეორიაში ჯერ კიდევ თავი და ბოლო ერთმანეთთან ვერ მოუნყვიათ. სწორედ ეს არის მარქსისა და ენგელსის „სოციალური ფილოსოფიის" დიდი უპირატესობა". ეს, არც მეტი, არც ნაკლები, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან დანახული კარლ მარქსია, ან ის უმთავრესია, რაც მარქსიზმში გეორგი პლეხანოვსა და ვლადიმირ ლენინს აინტერესებდათ.

1901 წლიდან რუსული მარქსიზმის გავლენა დაეტყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის ყველაზე უფრო „ეროვნულად" მოაზროვნე **ივანე გომართელს** (1876-1938). მისი წერილი **„ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს"**, რომელიც „კვალში" გამოქვეყნდა 1901 წლის სექტემბერში, ბევრ აქტუალურ საკითხს ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის პოზიციიდან აშუქებს.

„ყვირილელის" ფსევდონიმით 1903 წელს გაზეთ „კვალში" დაბეჭდილი **ირაკლი წერეთლის (1881-1959) „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური"**, ბევრი თვალსაზრისით არის საინტერესო. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა, აგრეთვე არჩილ ჯორჯაძის პოზიცია საქართველოს ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით ირაკლი წერეთელმა ასე დააბასიათა: „ძველი წყობილების დამანგრეველი ძალა, ფული, პირველ ხანებში მაინც, თითქმის სულ უცხო ხალხის, სომხობის ხელში ტრიალებდა, რადგან სომხის ბურჟუაზიამ ისტორიული პირობების გამო ადრე მოიდგა ჩვენში ფეხი. აი აქედან მოეელინათ უბედურება ჩვენს „მამებს" და ამიტომაც უფრო გაშმაგებით მორთეს ყვირილი – „სამშობლო განსაცდელშია, უცხო ხალხმა გაგვანადგურა, ეიხსნათ თავი სომხებიდანო" ეინც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის თავს ქვეყნის მამათ სთვლიდა, ვისაც ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულების დამცველი და მატარებელი მხოლოდ თავისი თავი ეგონა, – მას თავის დამარცხებასთან ერთად ყველა ამაების გაქრობა და მოსპობა ეჩვენება. და სწორედ აქ იბადება ის უარმყოფლობა აწმყოთი, უიმედობა მომავლით და მხოლოდ წარსულის მადლიერად მოგონება, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს მამულიშვილობას" ავითარებს რა იმავე აზრს, ცოტა ქვემოთ ირაკლი წერეთელი აღნიშნავს: „დღეანდელი „მამულიშვილობა" იხედება უკან და არა წინ, მის იდეალი მკვდარია და წარსულს ეკუთვნის. მომავალში მას სიკვდილის გარდა არა ელის რა". ასეთი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის განაჩენი ილია ჭავჭავაძის და, საერთოდ, მათ მიმართ, ვინც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეიდრე XX საუკუნის დამდეგამდე ეწეოდა მამულიშვილის მძიმე უღელს, იყო სამოციანელთა თაობის წარმომადგენელი თუ მომდევნო ეპოქის მოღვაწე – არასოციალ-დემოკრატი. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეჩვენებოდათ, რომ მათთან ყველა ტყუოდა, ყველას გზა მცდარი იყო. ირაკლი წერეთელი წერილს ასეთი დასკვნით

ამთავრებს: „ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს სამი მიმართულება – „მამულიშვილობა", „ეროვნება" და „ხალხის სამსახური" ჩვენ ვნახეთ, რა ნიადაგზეა ისინი ამოსული. სამივე არის კლასობრივი მოძრაობა იმ მხრივ, რომ სამივე გამოხატავს სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფს, კლასების ინტერესებს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მათ ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენი ცხოვრების მატერიალური პირობების და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამო პირველი ორი მოძღვრება აფერხებს პროგრესს, ენინააღმდეგება საზოგადო ინტერესებს, ვერ პოვებს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში მკვიდრ საფუძველს მაშინ, როცა მესამე ერთიანად აშენებულია ერის დიდი უმრავლესობის ინტერესებზე, მოასწავებს ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას და განახლებას, და მაგრად აქვს დღეს ჩვენში გადგმული მზარდი და ცოცხალი ფესვები" როცა „ივერიამ" და „ცნობის ფურცელმა" ირაკლი წერეთლის უსუსური კლასიფიკაცია და დებულებები სწორად არ ჩათვალეს (თავიანთი პოზიცია „ცნობის ფურცელმა" და „ივერიამ" ჯერ კიდევ წერილის ბოლო, მესამე ნაწილის გამოქვეყნებამდე გამოთქვეს – ვ. გ.), ირაკლი წერეთელმა პასუხი არ დააყოვნა და „კვალში" დაბეჭდა წერილი სათაურით: „**აკაკანებული მამულიშვილობა**". მასში, ისევე, როგორც „კვალის" მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ, ამჯერად მხოლოდ „ცნობის ფურცლის" საპასუხო წერილებში: „**თქვა და გაიქცა**" და „**კიდევ „ცნობის ფურცელს**", ირაკლი წერეთელი იცავს თავის შეხედულებას ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის მიმდინარეობებისა და შინაარსის შესახებ, თუმცა რაიმე ახალი არგუმენტი საპასუხო პუბლიკაციებში არ წამოუყენებია.

რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე გადასვლას, რაც გაზეთ „კვალში" 1898-1900 წლებში მზადდებოდა, ხოლო 1901 წლიდან განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, თან სდევდა ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეებზე ხელის ალება.

1903 წლის 22 ივნისს „კვალის" ოცდამეერთე ნომერში, ფსევდონიმით „ლ. ნ.", დაიბეჭდა წერილი „ოპპორტუნიზმი და მისი ქართველი მოტრფიალე". წერილი დაიწერა იმ მიზნით, რომ ჟურნალ „მოამბის" მომომხილველის საწინააღმდეგოდ, ქართველი მკითხველისთვის განემარტა ოპორტუნიზმის (ფაქტობრივად, ედუარდ ბერნშტაინის მოძღვრების) არსი. წერილის ავტორს არ მოსწონს, რომ დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში ოპორტუნიზმს აქვს მეტად „მშვიდობიანი ხასიათი" და „მეტის მეტი შიში ენერგიული ზომებისა". ლ. ნ.-ს ოპორტუნიზმის ათვალწუნების მიზეზი შემდეგია: „ოპპორტუნიზმის აზრით, საბოლოო მიზნის მიღწევა შეიძლება ჩუმი და მშვიდობიანი მოქმედებით კანონიერების ნიადაგზე. კაპიტალისტური წყობილების ძირითადი გადაბრუნება ისეთს შიშს გვრის ოპპორტუნისტს, რომ ის თანახმაა, ხელი აიღოს მთავარ საშუალებაზე, რომლითაც მუშათა პარტია ფიქრობს, მიაღწიოს თავის მიზანს – პროლეტარიატის დიქტატურაზე. პროლეტარიატის დიქტატურა, ოპპორტუნისტის აზრით, არც მისაღწევია და არც სასურველია ჩვენს დროში. არ არის სასურველი იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი ძალიან ცოტათი არის მომზადებული მაგისთანა დიდი როლისათვის: მშრომელთა უმრავლესობა ისე დაბალ საფეხურზე დგას განათლების მხრივ, სოლიდარობა მათ შორის ისე ცოტად არის განვითარებული, რომ ვაი თუ თავი შეირცხვინოს, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დაუდგება, ვაი თუ უცოდინრობით საქმე უკან დაატრიალოს" განსაკუთრებით მიუღებლად ნერილის ავტორს მიაჩნია ის, რომ ოპორტუნიზმის მიხედვით, „პროლეტარიატის დიქტატურა შესაძლებელია მხოლოდ შორეულ მომავალში", ხოლო თანამედროვე ეტაპზე (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი) „მუშათა პარტიის მოთავენი მხოლოდ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ როგორმე გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა ნყნარი და მოფიქრებული მოქმედებით. სრულებით საჭირო არ არის უკიდურესი ზომების ხმარება, საქმე შეიძლება ბურჟუაზიასთან მოლაპარაკებით გაკეთდეს". ლ. ნ.-ს დასკვნა ასეთია: 1. „ოპპორტუნისტი მიზნით სოციალ-დემოკრატია, საშუალებით კი, რომლითაც უნდა ამ მიზანს მიაღწიოს, ნამდვილი ბურჟუა-ლიბერალია"; 2. ოპპორტუნისტებს საზოგადოთ კიდევ ერთი თვისება სჭირთ: მათ ეერ მოურიგებიათ ყოველდღიური პარტიული მოქმედება და პარტიის უმთავრესი მიზანი. მათი ყოველდღიური მოქმედება სრულიად ყლაპავს უმთავრეს მიზანს".

თუ ლ. ნ.-ს წერილებს ღრმად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ოპორტუნიზმის (ფაქტობრივად ედუარდ ბერნშტაინის) კრიტიკა ძირითადად ელადიმირ ლენინის ნაწერების მიხედვითაა მოცემული. ცხადია, რომ ავტორი პირველი წყაროებიდან ედუარდ ბერნშტაინს არ იცნობს.

ლ. ნ.-ს წერილი გაზეთ „კვალის" 1903 წლის ოცდამეერთე ნომერში დაიბეჭდა. ოცდამეორე ნომერში კი ინფორმაციაში „**საზღვარ-გარეთ**" ეკითხულობთ: „საზოგადოდ ოპპორტუნიზმი, როგორც ორაზროვანი, ორჭოფი პოლიტიკა, მაგრამ კრიზისში იქნება, სანამ უარს არ იტყვის შეურიგებლის მორიგებაზე, შეუთანხმებლის შეთანხმებაზე, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატთა პარტიის საერთო სამოქმ-



ივანე გომართელი

ედო ასპარეზის ძებნაზე. ასეთი ასპარეზი არ არსებობს და, მაშასადამე, მისი მოძებნა არ შეიძლება" ინფორმაციის ავტორზე გაზეთში მინიშნება არ არის, მაგრამ ოპორტუნიზმზე მსჯელობა იქ მთლიანად ლ. ნ.-ს წერილს ეყრდნობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ავტორი ლ. ნ.-ც შეიძლება იყოს. როცა ოპორტუნიზმის შესახებ „კვალის" ოცდამორე ნომერში გამოთქმულ აზრს ჟურნალმა „მოამბემ" უპასუხა, ლ. ნ.-მ გაზეთ „კვალის" პოზიციის დასაცავად გამოაქვეყნა ნერილი „კიდევ ოპპურტუნიზმის მოტრფიალეს".

„კვალის" 1903 წლის ოცდამორე ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ოპორტუნიზმის შესახებ გამოთქმულ აზრს, ჟურნალ „მოამბის" გარდა, გაზეთი „ცნობის ფურცელიც" გამოეხმაურა. „კვალის" პოზიცია ამჯერად მომდევნო, ოცდამესამე, ნომერში დაიცვა რაფდენ არსენიძემ (1880-1965) „რ. ა."-ს ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილში „მცირე განმარტება" ლ. ნ.-ს მსგავსად, რაფდენ არსენიძეც ოპორტუნიზმზე აშკარად უარყოფითი შეხედულებისაა. ნერილის დასკვნაში ვკითხულობთ: „ამ ნაირად, პირველნი (ბურჟუაზია) იცავენ თავის კლასიკურ ინტერესებს, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად ენინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და სასარგებლოა მხოლოდ და მხოლოდ მათი კლასისათვის. მშრომელთა კლასი კი იცავს ისეთ ინტერესებს, რომელნიც მთელ კულტურულ წინსვლისათვის საჭიროა, რადგან მტკიცედ დარწმუნებულია, მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას, მიაღწიოს თავის კლასიკურ ინტერესების გახორციელებას ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაგან მთლად განთავისუფლებას" როგორც ეხედავთ, არც რაფდენ არსენიძის თეორიული მომზადების დონე სცილდებოდა რუსული მარქსიზმის ფარგლებს.

კლასობრივი ზავის, კლასთა შეთანხმების იდეის წინააღმდეგია რაფდენ არსენიძის წერილი „თანხმობის" მქადაგებელს" რომელიც „კვალის" 1903 წლის ოცდამეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა. ავტორის აზრით, კლასთა შეთანხმება საერთოდ, და განსაკუთრებით საქართველოში, არ შეიძლება. „ჩვენში ასეთი „თანხმობით მოქმედება" შეუძლებელია" რა თქმა უნდა, კონკრეტულ შემთხვევაში რაფდენ არსენიძე არჩილ ჯორჯაძესაც უტევს. შემდეგ ის მცირე ცვლილებებით იმეორებს ვ. ლენინის მიერ ოპურტუნიზმის შესახებ უკვე მრავალგზის ნათქვამს: „ბურჟუაზიული დემოკრატები" „თანხმობით მოქმედების" სარგებლობას იმ მცირე, უმნიშვნელო რეფორმებით ზომავენ, რომელნიც ასეთ თანხმობას მოჰყვება და მუშათა მდგომარეობასაც გაუმჯობესებს. მაგრამ ვისაც შეგნებული აქვს მუშათა კლასობრივი ინტერესები, მათი როლი მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისა ყოველგვარ მონობისა და დაჩაგრისაგან, ვერასოდეს ვერ დათანხმდება ბურჟუაზიულ ფრაქციებთან კავშირის დადებაზე"

ბრძოლა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების წინააღმდეგ და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებისათვის ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერთი წუთითაც არ ავიწყებს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის „აუცილებლობას" ილიას ოპონენტების მონდომებას ხელი ვერ შეუშალა არჩილ ჯორჯაძესთან გამართულმა ცხარე პოლემიკამ. ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა, სამწუხაროდ, ქართველი სოციალ-დემოკრატების უმთავრეს ამოცანად რჩებოდა. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძესთან დაპირისპირება ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა იმით დაიწყეს, რომ ილიას ჯერ საერთოდ იდეური მიმართულება დაუწუნეს, შემდეგ პოეტური ნიჭიერება, ბოლოს ცილი დასწამეს, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ეგნატე ნინოშვილს ჰონორარს არ აძლევდაო. თითქმის ათწლიანი ბრძოლის მანძილზე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა რა ბრალდება აღარ წაუყენეს ილია ჭავჭავაძეს. ამ ტრადიციას აგრძელებს ივანე გომართლის ნერილი „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია". წერილში ვკითხულობთ: „ისეთი მოღვაწეები, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა, უმთავრესად

წარსულს ეკუთვნიან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც ის, რაც ილ. ჭავჭავაძემა სთქვა და გააკეთა, დღეს სრულებით უმნიშვნელო იყოს, არამედ მხოლოდ ის, რომ უმთავრესი და უმეტესი ძალღონე მან უკვე დახარჯა, უმეტესი ნაწილი თავისი ასპარეზისა მან უკვე განვლო, მხოლოდ უმცირესი დარჩა." აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქვე გომართლის წერილი, მთლიანობაში აღებული, არ გამოირჩევა აგრესიული ტონით, რაც ასე დამახასიათებელი იყო გაზეთ „კვალისათვის".

1898 წლიდან გაზეთ „კვალის" და მის გარშემო შემოკრებილი ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძის, ფილიპე მახარაძის, კარლო ჩხეიძის, ალექსანდრე წულუკიძის, ირაკლი წერეთლის და სხვ.) აშკარა დაპირისპირებამ, ხოლო შემდეგ შეურიგებელმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, არჩილ ჯორჯაძესთან თანდათან გამოიწვია „კვალის" რეპუტაციის შერყევა საზოგადოების თვალში. ეს პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა გამუდმებულმა პოლემიკამ ისეთ პოპულარულ გამოცემებთან, როგორებიც იყო: გაზეთი „იერია", ჟურნალი „მოამბე", გაზეთი „ცნობის ფურცელი" ამას დაემატა 1901 წლიდან ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე აშკარა გადასვლა, რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების პოპულარიზაცია. „კვალის" მესვეურებმა ეს იგრძნეს და მრავალგზის სცადეს თავის მართლება. ერთ-ერთი ასეთი ცდა ეკუთვნის **დ. კოლხიდელს** (დიომიდე თოფურიძეს). 1902 წელს „კვალის" ორმოცდამეოთხე ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი **„კიდევ ერთხელ"**. ნერილში ვკითხულობთ: „როდის, რით ხელ-ჰყო „კვალმა" ერი?! არასოდეს, არაფრით! „კვალს" უყვარს ქართველი ერი ნმინდა, უანგარო სიყვარულით. ის მუდამ მზადაა და თავის დანიშნულებადაც რაცხს, ქართველ ხალხს ემსახუროს". ცხადია, ყოველივე ამაში ძნელი იყო ქართველი საზოგადოების დარწმუნება, თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები და, კერძოდ, დიომიდე თოფურიძე, თავისას არ იშლიდნენ. 1903 წელს „კვალში" გამოქვეყნდა მისი წერილი **„ინსინუაციათა ავტორებს"**. ამჯერად დიომიდე თოფურიძე „ცნობის ფურცლისა" და კონკრეტულად გიორგი ზდანოვიჩის შემოტევისაგან „იცავდა" თავს. გიორგი ზდანოვიჩთან პოლემიკა დიომიდე თოფურიძემ იმავე ხანებში გამოქვეყნებულ მეორე წერილში – **„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"** – განაგრძო. დიომიდე თოფურიძის ასეთი პატრიოტული ტონით გაჟღენთილი წერილები ინერებოდა მაშინ, როცა მის ავტორს, მარქსიზმის დოგმების გარეშე, ერთი შეხედვით პოლიტიკისაგან შორს მდგომ პრობლემებზეც არ შეეძლო მსჯელობა. ამაზე მეტყველებს მისი ნერილები: **„ეკონომიური განვითარება XIX საუკუნეში"** და **„არ ვარგა, მარა მაინც კარგია"**.

ქართულ სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრება განუყოფლად უკავშირდება **იოსებ ჯუღაშვილის** სახელს. რა მსოფლმხედველობაზე იდგა იოსებ ჯუღაშვილი 1894 წლისათვის, როცა იგი გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას, ძნელი დასადგენია. სულ მალე, 1895 წლისათვის, იოსებ ჯუღაშვილი გაზეთ „იერიაში" ხუთ ლექსს აქვეყნებს, რაც საშუალებას გვაძლევს, მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ მისი მსოფლმხედველობა. ამ პერიოდისათვის იგი ალბათ „იერიის" მიმართულებას იზიარებდა, ყოველ შემთხვევაში გაზეთისა და მისი რედაქტორის მიმართ გარკვეული სიმპათია აუცილებლად ექნებოდა. პირველი ლექსი „იერიაში" იოსებ ჯუღაშვილმა 1895 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა, მეხუთე – 1895 წლის 25 დეკემბერს. ამის შემდეგ მას გაზეთში აღარაფერი დაუბეჭდავს. სათანადო მასალის არარსებობის გამო ძნელდება „იერიიდან" იოსებ ჯუღაშვილის ნასვლის მიზეზის დადგენა. ამ მხრივ არაფერს გვეუბნება 1896 წლის 28 ივლისს **„კვალში"** გამოქვეყნებული ლექსი, თუმცა თვით ის ფაქტი, რომ **„იერიიდან"** ნასვლის შემდეგ იოსებ ჯუღაშვილი სწორედ **„იერიასთან"** მკვეთრად დაპირისპირებულ **„კვალში"** აქვეყნებს ლექსს, მთლად უმნიშვნელო არ უნდა იყოს, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ერთი ლექსის გარდა, **„კვალში"** მას აღარაფერი გამოუქვეყნებია.

1896 წლის ივლისის შემდეგ (გაზეთ „კვალში" ლექსის გამოქვეყნების შემდეგ), ვიდრე 1901 წლის სექტემბრამდე (გაზეთ „ბრძოლაში" მოწინავის დაბეჭდვამდე) იოსებ ჯუღაშვილის სახელით არაფერი გამოსულა. თუმცა იოსებ სტალინის თხზულებათა პირველი ტომის ბოლოს დართულ ავტორის ბიოგრაფიულ ქრონიკაში აღნიშნულია, რომ 1898 წელს „ი. ბ. სტალინი ადგენს მარქსისტულ მუშათა წრეებში მეცადინეობის პროგრამას". ეს პროგრამა მის თხზულებათა კრებულში არ შესულა, არც ცალკე გამოცემად დაბეჭდილა. რადგან ცნობა „პროგრამის" შესახებ იოსებ სტალინის ბიოგრაფიულ ქრონიკაში შევიდა, ჩანს, თხზულებათა კრებულის შემდგენლებმა ნაშრომის არსებობის შესახებ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, „პროგრამა" იოსებ სტალინის თხზულებათა კრებულის პირველ ტომში და არც პირველი ტომის მაკეტში არ შეუტანიათ. დღეისათვის ძნელი დასადგენია: იოსებ სტალინის თხზულებათა კრებულის შემდგენლებს

„პროგრამის" ტექსტი ხელთ არ ჰქონდათ, თუ ტექსტს იცნობდნენ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით მისი დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. იოსებ ჯუღაშვილის მიერ შედგენილი „პროგრამა" ჩვენ მიერ მიკვლეული იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. აღმოჩნდა, რომ „პროგრამა" 1898 წელს კი არა, 1899 წელსაა შედგენილი. გარდა ამისა, იგი თავისი შინაარსით სოციალ-დემოკრატიულია და არა მარქსისტული. იოსებ ჯუღაშვილს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეებში მეცადინეობის პროგრამა ხუთ თემად დაუყვია. შესასწავლი ლიტერატურის სიაში ყველაზე ხშირად ფიგურირებენ შემდეგი ავტორები: მიხაილ ტუგან-ბარანოვსკი, პიოტრ სტრუვე, კარლ კაუცკი, შემდეგ მოდიან: კარლ მარქსი, პოლ ლაფარგი, ფრიდრიხ ენგელსი, ვლადიმირ ლენინი, გეორგ პლეხანოვი, ედუარდ ბერნშტაინი და ემილ ვანდერველდე. გარდა ხსენებული ავტორებისა, იოსებ ჯუღაშვილი უთითებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ფართოდ ცნობილი ფილოსოფოსების, ეკონომისტების, იურისტების, ისტორიკოსების ნაშრომებს.

იოსებ ჯუღაშვილის მიერ შედგენილი „პროგრამის" ანალიზი გვარწმუნებს, რომ 1899 წლისათვის მისი ავტორი არ იდგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. იოსებ ჯუღაშვილი სოციალისტი იყო, ამ სიტყვის ფართო გაგებით და არ აფეტიშებდა სოციალ-დემოკრატიის რომელიმე მიმდინარეობას.

1899 წლიდან 1901 წლამდე იოსებ ჯუღაშვილის მსოფლმხედველობაში ცვლილებები ხდება: იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე გადადის. 1901 წელს გაზეთ „ბრძოლისათვის" დანერილ მონინავეში – „რედაქციისაგან", იოსებ ჯუღაშვილმა საუბებით ცხადად მიანიშნა, რომ იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა, იზიარებდა გაზეთ „ისკრის" მიმართულებას. 1901 წელს გაზეთ „ბრძოლის" №2-3-ში ხელმოწერის გარეშე დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომი „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უმახლობლესი ამოცანები". ეს ნაშრომი ბევრი რამითაა საინტერესო არა მარტო ქართული, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაშიც. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანების განსაზღვრას იმხანად ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა, მათ შორის გეორგ პლეხანოვი, ვლადიმირ ლენინი (ულიანოვი), ლევ მარტოვი (ოული ცედერბაუმი), პაველ აქსელროდი, ალექსანდრ სტაროვერი (პოტრესოვი) და სხვ. გაზეთ „ისკრაში" ამ საკითხზე დიდი ინტენსივობით ქვეყნდებოდა მასალები. ამავე საკითხებს მიეძღვნა ვ. ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?", რო-



იოსებ ჯუღაშვილი

მელიც 1902 წელს გამოქვეყნდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1900-1903 წლებში, გარდა იოსებ ჯუღაშვილისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები ასე სრულად, ლოგიკურად და გასაგებად არავის ჩამოუყალიბებია. ვინც ამ საკითხის გაშუქებაში ბედი სცადა. ვერავინ იოსებ ჯუღაშვილს ვერ მიუახლოვდა. ამ უკანასკნელს, რა თქმა უნდა, აღმოჩენები არ გაუკეთებია, მაგრამ მან შეძლო, დახვენილი პროგრამის სახე მიეცა იმ ამოცანებისათვის, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე იდგა. იოსებ ჯუღაშვილმა უკვე 1901 წლის დეკემბრისათვის მოხაზა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა.

იოსებ ჯუღაშვილმა ნაშრომით „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უმახლობლესი ამოცანები" განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსთა შორის.

ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი (1876-1903) მეტნილად ცნობილია, როგორც გამოჩენილი ორგანიზატორი. მართალია, მას სულ რამდენიმე წერილი და სტატია დარჩა, მაგრამ ესეც სავსებით კმარა იმის დასადასტურებლად, რომ ვლადიმერ კეცხოველი ღრმად ერუდირებული და თეორიულად შესანიშნავად მომზადებული სოციალ-დემოკრატი იყო. 1901 წელს გაზეთ „ბრძოლის" პირველ ნომერში ხელმოწერის გარეშე გამოქვეყნებული წერილის – „პოლიტიკური ბრძოლა" – ავ-

ტორი, ჩვენი აზრით, ვლადიმერ კეცხოველი უნდა იყოს. წერილის ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში შექმნილ მდგომარეობას, იქ მიმდინარე იდეურ ბრძოლებს. ვლადიმერ კეცხოველი „ისკრის" მიმართულებიდან გამომდინარე ახასიათებს პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა განლაგებას. რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა ვლადიმერ კეცხოველს საესებით მისაღებად მიაჩნია. რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან არის დაწერილი „ბრძოლის" პირველსავე ნომერში ხელმოწერის გარეშე გამოქვეყნებული ვლადიმერ კეცხოველის წერილი „ასი წლის იუბილეს გამო (წერილი ქართველ მუშებთან)". ეს წერილი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მეასე წლისთავს ეძღვნება. წერილში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზი სწორედ ისეა წარმოდგენილი, როგორც ამას იაზრებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები (გიორგი პლეხანოვი, ვლადიმირ ლენინი), როცა რუსეთის ისტორიის შესაბამისი პერიოდს აანალიზებდნენ. რაც შეეხება ვლადიმერ კეცხოველის კიდევ ერთ ნაშრომს, „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899-1901 წწ.", რომელიც გაზეთ „ბრძოლის" 1901 წლის №2–3-ში დაიბეჭდა, საინტერესოა იმით, რომ მასში პირველადაა განზოგადებული საქართველოში სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით დაწყებული მუშათა მოძრაობის ისტორია. ვლადიმერ კეცხოველის ამ წერილსაც აშკარად აზის რუსული სოციალ-დემოკრატიის ძლიერი იდეური გავლენის დაღი. ზოგადი მიმართულებით წერილი ძალიან ჰგავს გაზეთ „ისკრაში" გამოქვეყნებულ მსგავს წერილებს.

ამრიგად, ვლადიმერ კეცხოველმა თავისი წერილებით მნიშვნელოვანწილად შეუნყო ხელი საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების დამკვიდრებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, თუ როდის შენყვიტა არსებობა „მესამე დასმა". ეს საკმაოდ რთული საკითხია, არადა, მისი გადაჭრის გარეშე შეუძლებელია დასრულებულად ჩაითვალოს „მესამე დასის" ისტორიის შესწავლა.

მართალია, მესამედასელთა შორის 1901 წლიდან განსაკუთრებით ძლიერდება რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენა, მაგრამ საესებით ცხადია, რომ არ მომხდარა „მესამე დასისა" (გაზეთ „კვალის" ბანაკი) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი) შერწყმა – ნოე ჟორდანია და იოსებ ჯუღაშვილი მომართულებები 1901-1903 წლებშიც შეურიგებელნი რჩებიან, ე. ი. „მესამე დასი" ამ წლებში დამოუკიდებელ იდეურ პლატფორმას მაინც ინარჩუნებს.

გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი (იოსებ ჯუღაშვილი, ვლადიმერ კეცხოველი, აბელ ენუქიძე და სხვ.) მომზრე იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიაში გაერთიანებისა, ხოლო გაზეთ „კვალის" ბანაკი (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვ.) ცდილობს, შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი". ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრეები რომ აუცილებლად თელიდნენ საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის"– შენარჩუნებას, ცხადი ხდება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში 1901 წლის ივლისის ბოლოს (27 ივლისამდე) შედგენილი დოკუმენტიდან, რომელიც ასეა დასათაურებული: „სოციალ-დემოკრატიულ წრესთან კავშირში მყოფ პირებზე თვალთვალის მასალების მიმოხილვა". „მიმოხილვაში" აღნიშნულია, რომ „ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბილისში გამომავალი ქართული გაზეთი „კვალი", რომლის წარმომადგენელია ამ გაზეთის რედაქციის გამგე, მისი ფაქტიური რედაქტორი, ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი **ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია**" ნოე ჟორდანიას გარდა, უანდარმერია გამოყოფდა „კვალის" გარშემო შემოკრებილ შემდეგ სოციალ-დემოკრატებს: **ექიმ ალექსანდრ შატილოვს**, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოხელეს, თავად **გრიგოლ წულუკიძეს**, პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფებს **ფილიპე მახარაძესა** და **ვარლამ ჭიჭინაძეს**, გაზეთ „კვალის" რედაქციის მდივან **ირონდიონ ეედოშვილს** (ხოსიტაშვილს), გაზეთ „კვალის" რედაქტორის მოადგილეს **ნიკოლოზ ელიავას**, პროფესიის არმქონე **იასონ მეგრელიძეს**, უკვე პატიმრობაში მყოფ **პაველ კალანდაძეს**, ასევე პატიმრობაში მყოფ **სილიბისტრო ჯიბლაძეს**, მასწავლებელ **სურგულაძეს**, ყოფილ სტუდენტ **აბულაძეს**, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოხელე **იზრაელოვიჩს**, თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ბუღალტერ ნიკოლაძეს, თავად მუხრანსკის მამულის მოურავ **ბილანიშვილს**, საეაჭრო პოლიციის აგენტის თანაშემწე **კლიმიაშვილს**. ეს იყო ბირთვი, რომელიც გაზეთ „ბრძოლის" ბანაკთან კავშირში არ ყოფილა და ნოე ჟორდანიას დაპატიმრების მიუხედავად (1901 წლის 6 ივლისი), კვლავ აგრძელებდა საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის"– შენარჩუნებისათვის ბრძოლას. სოციალ-დემოკრატთა ამ ჯგუფს მხარს

უჭერდნენ ბათუმში მოღვაწე ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე.

ამრიგად, „მესამე დასი", ანუ გაზეთ „კვალის" ბანაკი, არ მონაწილეობს 1900 წლიდან დაწყებულ იმ ფართომასშტაბიან მუშაობაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი", ანუ გაზეთ „ბრძოლის"ირგვლივ შემოკრებილები.

დადგენილია, რომ 1901 წელს „მესამე დასი" კვლავ ცდილობს, კავშირი დაამყაროს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიასთან. კერძოდ, 1901 წლის 14 იანვარს სილიბისტრო ჯიბლაძემ ნიურნბერგში კონსპირაციული წერილი გაუგზავნა ლეოპოლდ კაცს. ეს წერილი ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში და კონსპირაციული მიმოწერის არხიც გადაიკეტა.

ცხადია, ნოე ჟორდანიასა და სილიბისტრო ჯიბლაძის დაპატიმრებამ (1901 წ.) შეასუსტა „მესამე დასის" იდეური და ორგანიზაციული მოღვაწეობა, თუმცა 1901-1903 წლებში „მესამე დასი" კვლავ რჩება დამოუკიდებელ საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად.

თავისთავად ცხადია, რომ „მესამე დასსა" და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს" შორის უთანხმოება, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხით იყო განსაზღვრული. როცა ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ე. ი. წინააღმდეგი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის საერთო -სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებისა, ამით იგი სრულიად გარკვეულ **ანტირუსულ** პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა. როცა იოსებ ჯუღაშვილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებისათვის იბრძოდა, ამით ისიც სრულიად გარკვეული პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა. ასე გრძელდებოდა 1903-1904 წლამდე, სანამ ნოე ჟორდანიამაც საბოლოოდ არ აღიარა პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია.

მაინც როდის შენყვიტა „მესამე დასმა" არსებობა?

ჩვენი აზრით, „მესამე დასი" იდეური და ორგანიზაციული თვალსაზრისით არსებობას წყვეტს მას შემდეგ, რაც მესამედასელებმა მონაწილეობა მიიღეს რსდმპ კავკასიის კავშირის დაარსებაში (1903 წლის მარტი) და რსდმპ II ყრილობის მუშაობაში (1903 წლის იელის-აგვისტო). ამდენად, ისინი შეურიგდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებას. თუმცა გაზეთი „კვალი" 1904 წლის დამდეგამდე აგრძელებს გამოსვლას და ცნებები „მესამე დასი" და „მესამედასელები" კიდევ დიდხანს რჩება ქართულ სინამდვილეში, ოღონდ არა მისი პირვანდელი მნიშვნელობით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ „მესამე დასში" არსებობდა ორი მიმდინარეობა: ლეგალურ-დემოკრატიული (ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და სხვ.) და **არალეგალურ-დემოკრატიული** (მიხა ცხაკაია, ელადიმერ კეცხოველი, იოსებ ჯუღაშვილი და სხვ.). ჩვენი აზრი ამ საკითხზე შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. „ლეგალურობისა" და „რევოლუციურობის" თვალსაზრისით, „მესამე დასი" ორად არ ყოფილა გაყოფილი. ამ მხრივ იგი ერთიანი იყო 1892 წლიდან 1903 წლამდე, ე. ი. არსებობის მთელ მანძილზე;

2. იოსებ ჯუღაშვილი და ვლადიმერ კეცხოველი „მესამე დასში" არასოდეს ყოფილან და არც ამ ორგანიზაციიდან გამოსულან სამოღვაწეო ასპარეზზე;

3. არც ერთი ცნობილი მესამედასელი არ მიმხრობია „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასს" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკს);

4. „მესამე დასი" (გაზეთ „კვალის" ბანაკი) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი) თავიდანვე შეურიგებელი მიმდინარეობანი იყვნენ და ასეთად დარჩნენ ბოლომდე;

5. მესამედასელებს, მომავალ ცნობილ ქართველ ბოლშევიკებს, მიხა ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძეს, არავითარი როლი არ შეუსრულებიათ „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" შექმნასა და მოღვაწეობაში. 1901-1903 წლებში ფილიპე მახარაძე „კვალში" მოღვაწეობს. ამ პერიოდში ნოე ჟორდანიასა და მას შორის რაიმე სერიოზული იდეური უთანხმოება არ მომხდარა;

6. არც ალექსანდრე წულუკიძე ყოფილა „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" აქტიური მონაწილე. მართალია, იგი გაზეთ „ბრძოლაშიც" წერდა, მაგრამ ძირითადად მაინც „კვალის" მოღვაწეა. 1901-1903 წლებში ალექსანდრე წულუკიძესა და ნოე ჟორდანიას შორის რაიმე სერიოზული იდეური უთანხმოება არ ყოფილა.

ამრიგად, 1898-1903 წლები ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრებით აღიბეჭდა. ერთი მხრივ, იდეური ევოლუცია განიცადა „მესამე დასმა". დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების უგულებელყოფის ხარჯზე

„მესამე დასში" გაძლიერდა რუსული სოციალ-დემოკრატიის გაელენა. მეორე მხრივ, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სოციალ-დემოკრატთა ახალი მიმდინარეობა – „რეფორმისტიული სოციალ-დემოკრატთა დასი", რომელმაც „მესამე დასთან" იდეური ბრძოლა გააჩაღა და ამით გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

2. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა (1901-1902 წწ.). თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს ქართული სოციალ-დემოკრატიის ჩასახებისა და განმტკიცების პერიოდის (1892-1904 წწ.) შესწავლისას. „მესამე დასის" შემდეგ სწორედ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო მთელი ქართული სოციალ-დემოკრატიის ტონის მიმცემი.

1900 წლის იელის-აგვისტოში თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში მომხდარმა გაფიცვებმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო დააწრმუნა იმაში, რომ მუშათა მოძრაობას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ. 1900 წელი ემიგრაციაში აღინიშნა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების: გეორგი პლეხანოვის, ულადიმირ ლენინის (ულიანოვის), ლევ მარტოვის (იული ცედერბაუმის), პაველ აქსელროდის, ალექსანდრ სტაროვერის (პოტრესოვის) და სხვათა – დიდი აქტიურობით. გაზეთ „ისკრის" გამოცემის დაწყება (1900 წლის დეკემბერი – 1901 წლის იანვარი) უკვე სერიოზული მონაპოვარი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის გზაზე. ცხადია, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და ცოტა მოგვიანებით საზოგადოებრივი ნესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება (ოხრანკა) თბილისში მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებს ავალებდა, ყოველი ღონე ეხმარათ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღსაკვეთად. სწორედ ამიტომ 1900 წლის დასასრულიდან და 1901 წლის დამდეგიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო დიდ მუშაობას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა გამოსაელენად. 1901 წლის იანვრიდან მარტამდე ჟანდარმერიამ აგენტურული და სხვა მონაცემების საფუძველზე დაადგინა, რომ თბილისში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (წრე). ჟანდარმერიის მონაცემებით, ამ წრეში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო 22 ინტელიგენტი და 7 მუშა. კონკრეტულად, ჟანდარმერიას ცნობები ჰქონდა შემდეგ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებზე: სილიბისტრო ჯიბლაძე, იოსებ ჯუღაშვილი, ნიკოლაი დომოსტროევი, ელადიმირ მეშჩერინი, ვიქტორ კურნატოვსკი, მიხეილ გოგლიძე, პაველ პუშკარევი, აკოფ სტეფანიანც-ზარგარიანცი, გიორგი ყარაჯღევი (ყარაჯიანი), არშაკ კაზარიანცი, ფილიპე მახარაძე, ვასილ ცაბაძე, ნესტორ (ან რაჟდენ) კალაძე, სევერიან ჯუღელი, პოლიევქტ კალანდაძე, ბესარიონ კალანდაძე, პაველ კალანდაძე, ნიკოლაი სოკოლოვსკი, გეორგი მეფურტი, ანნა კრასნოვა, იპოლიტ ფრანცესკი და ბორის პერესი. ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან კავშირში იმყოფებოდნენ: ივან ეგოროვი, ელადიმერ ჯიბლაძე, კუზმა კრილოვი, ალექსეი ნიკონოროვი, გიორგი ჩხეიძე, ფიოდორ შმიკოვი და რომან ოლშევსკი. აგენტურული მონაცემების დაგროვების შემდეგ, 1901 წლის 21-22 და 22-23 მარტს, ღამით, ჟანდარმერიამ დააპატიმრა 15 კაცი: სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლაი დომოსტროევი, ელადიმირ მეშჩერინი, პაველ პუშკარევი, აკოფ სტეფანიანც-ზარგარიანცი, ვიქტორ კურნატოვსკი, ბორის პერესი, ფილიპე მახარაძე, პოლიევქტ კალანდაძე, მიხეილ გოგლიძე, ივან ეგოროვი, ელადიმერ ჯიბლაძე, კუზმა კრილოვი და ალექსეი ნიკონოროვი. 21-22 მარტს ღამით გაჩხრიკეს იოსებ ჯუღაშვილის სამუშაო ოთახი ფიზიკურ ობსერვატორიაში. იოსებ ჯუღაშვილი იქ არ აღმოჩნდა, მაგრამ იმავე ღამეს დაკავეს და გაჩხრიკეს გზაში შინისაკენ მიმავალი. რადგან სამხილი ვერ უპოვეს, იგი არ დაუპატიმრებიათ. ცოტა მოგვიანებით მოპოვებული მასალის საფუძველზე გადაწყდა იოსებ ჯუღაშვილის პასუხისგებაში მიცემა. გადაწყდა ასევე, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცათ ელადიმერ კეცხოველი და გიორგი თელია. თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრობა წაუყენეს ბრალდებად 1901 წლის 6 ივლისს დაპატიმრებულ ნოე ჟორდანიასაც, რომელიც თბილისის საპყრობილეში თავისუფალი ადგილის უქონლობის გამო ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა.

დაპატიმრების მომენტისათვის (1901 წ. 21-23 მარტი), ცხადია, ჟანდარმერიას ყველაფერი არ ეცოდინებოდა სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობის შესახებ, ან იმ ორგანიზაციის შესახებ, რომლის წევრობაც მათ ედებოდათ ბრალად. 1901 წლის 21 მარტისათვის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში უკვე შედგენილი იყო ერცელი დოკუმენტი – **„სოციალ-დემოკრატულ წრეზე თვალთვალის მასალების მიმოხილვა"** და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს 1901 წლის 28 მარტის მოხსენება პოლიციის დეპარტამენტს. ეს დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რა როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიული წრის თითოეული წევრი

ორგანიზაციის საქმიანობაში:

1. გაზეთ „კვალის" რედაქციის თანამშრომელი **სილიბისტრო ჯიბლაძე** სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას ეწეოდა ახალგაზრდებში, ანარმოებდა კონსპირაციულ მიმონერას;

2. ფიზიკური ობსერვატორიის დამკვირვებელი **იოსებ ჯუღაშვილი** სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას ეწეოდა მუშებში;

3. ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი მოსწავლე **ნიკოლაი დომოსტროევი** ხელმძღვანელობდა რკინიგზის მუშების სოციალ-დემოკრატიულ წრეს;

4. ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი მოსწავლე **ვლადიმირ მუშჩერინი** ეხმარებოდა ნიკოლაი დომოსტროევს წრის მეცადინეობაში;

5. ქიმიკოსი ინჟინერი **ვიქტორ კურნატოვსკი** ესწრებოდა როგორც ასოთამწყობთა, ისე რკინიგზის მუშების სოციალ-დემოკრატიული წრეების მეცადინეობებს;

6. პროფესიის არმქონე **მიხეილ გოგლიძეს** კონსპირაციული კავშირი ჰქონდა სხვა ქალაქებთან;

7. ყოფილი სტუდენტი **პაველ პუშკარევი** ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს;

8. პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი **აკოფ სტეპანიანც-ზარგარიანცი** ერთ დროს თავის ბინაზე ინახავდა სტამბის ნაწილს, კონსპირაციული კავშირი ჰქონდა დაუდგენელ პირებთან;

9. კომერციული ბანკის მოხელე **გიორგი ყარაჯეევი (ყარაჯიანი)** ლექციებს კითხულობდა ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეში;

10. №1 ღამის გასათევი სახლის გამგის **არშაკ კაზარიანცის** მოღვაწეობის სფერო დადგენილი არ იყო;

11. პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე **ფილიპე მახარაძე** კავშირში იმყოფებოდა თითქმის ყველა ცნობილ სოციალ-დემოკრატთან;

12. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე **ვასილ ცაბაძე** კავშირში იმყოფებოდა თითქმის ყველა ცნობილ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთან;

13. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე **ნესტორ (ან რაფიელ) კალაძე** ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს;

14. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე **სევერიან ჯუღელი** კავშირში იმყოფებოდა ყველა ცნობილ



სილიბისტრო ჯიბლაძე

ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთან;

15. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტროლის სამსახურის მოხელე **პოლიევქტ კალანდაძე** ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს;

16. პროფესიის არმქონე **ბესარიონ კალანდაძე** ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს;

17. მასწავლებლის წოდების მაძიებელი **პავლე კალანდაძე** კავშირში იმყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან;

18. კერძო მინისმზომელი **ნიკოლაი სოკოლოვსკი** კავშირში იმყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან;

19. ყოფილი სტუდენტი **გეორგი მეფერტი** კავშირში იმყოფებოდა ორ სოციალ-დემოკრატიულ წრესთან;

20. ბებიაქალი **ანნა კრასნოვა** კავშირში იმყოფებოდა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებთან;

21. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს" ყოფილი თანამშრომელი **იპოლიტ ფრანჩესკი** ესწრებოდა კონსპირაციულ შეკრებებს;

22. მასწავლებელი **ბორის პერესი** კავშირში იმყოფებოდა რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებთან.

ჟანდარმერიას დადგენილი ჰქონდა, რომ ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ იოსებ

ჯუღაშვილი, ვასილ ცაბაძე და სევერიან ჯუღელი. იოსებ ჯუღაშვილთან ფიზიკურ ობსერვატორიაში ხშირად მიდიოდა სილიბისტრო ჯიბლაძე. ამ ჯგუფთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გიორგი ყარაჯევს, ფილიპე მახარაძეს, იპოლიტ ფრანჩესკისა და ვიქტორ კურნატოვსკის, საერთოდ, რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს.

ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა თბილისის მუშების კონსპირაციულ შეკრებებში ჟანდარმერიის აგენტურამ დაადგინა, მაგრამ თვით ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების კონსპირაციული შეკრების ადგილს მხოლოდ ერთხელ მიაგნო. 1901 წლის 19 თებერვალს პოლიეკტ კალანდაძის ბინაზე იმყოფებოდა 15 სოციალ-დემოკრატი (11 კაცი და 4 ქალი). აგენტურამ მათი ვინაობის დადგენა ვერ შეძლო.

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრესთან დაკავშირებული იყვნენ: ასოთამწყობები ი. ეგოროვი და რ. ოლშევსკი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების საეგონო საამქროს მუშები: **ვლადიმერ ჯიბლაძე, კუზმა კრილოვი, ალექსეი ნიკონოროვი**; თბილისის რკინიგზის მუშები: **გიორგი ჩხეიძე, ფიოდორ შმიკოვი**, ასევე თადარიგის პორუჩიკი, სახელმწიფო ბანკის მოხელე **ნ. ლინევიჩი**. ყველა ისინი ესწრებოდნენ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების მიერ გამართულ კონსპირაციულ შეკრებებს.

1901 წლის 21-23 მარტს დაპატიმრების შემდეგ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო კვლავ განაგრძობდა აგენტურული მონაცემების შეგროვებას. 1901 წლის ივლისის ბოლოს ჟანდარმერიას ხელთ ჰქონდა დიდი რაოდენობით სამხილი. ამ მასალის საფუძველზე 1901 წლის 27-28 ივლისს ღამით ჟანდარმერიამ დააპატიმრა „**თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის**" წევრები: გლეხი **კალისტრატე გოგუა**, პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ლუკა **ტერპილო**, მემამულე **ირაკლი მამულაიშვილი** და გლეხი **ნიკოლოზ ცაბაძე**. დაიწყო გამოძიება, რომლის დროსაც დაპატიმრებული იქნენ: პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი **ლეონიდ სკვორნიაკოვი**, პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი **ვალენტინ ბატირევი, მარია ბორისოვა, ანატოლი რიაბინინი**, თავად ანდრონიკაშვილის ღვინის სარდაფის ბუღალტერი **მიხეილ ბოჭორიძე, ეგეგნია უსპენსკაია**, გლეხი **ვლასა მგელაძე** და სხვ. თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ეჭვმიტანილნი იყვნენ: **გიორგი თელია, ივან კიასოვი, კლავდია ფრანჩესკი, დავით ხართიშვილი, გიორგი ჩხეიძე**, სოლომონ ვადაჭკორია, დიმიტრი კალანდარიშვილი და მიხეილ კალინინი. 1901 წლის 30 დეკემბერს თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ძიების მასალებში პირველად ჩნდება ძიებაში მყოფი ორგანიზაციის ახალი დასახელება: „**ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქ. თბილისში**". მალე თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით ძიების მასალებში ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის სახით ფიგურირებენ: ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი **ლევ ბეკი, გლაფირა ჟილინა, იპოლიტ ფრანჩესკი, ვიქტორ კურნატოვსკი** და სხვ.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები სოციალისტური იდეების გავრცელების მიზნით აქტიურად მოღვაწეობდნენ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვა სანარმოებში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. იპოლიტ ფრანჩესკი და ვიქტორ კურნატოვსკი პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ თბილისის სტამბის მუშების (ასოთამწყობების) წრეში, ნიკოლაი დომოსტროევი პროპაგანდისტად მუშაობდა რკინიგზის მუშების სოციალ-დემოკრატიულ წრეში. მუშათა ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეში მეცადინეობებს ატარებდა ვლადიმირ მემჩირინი. მუშებს არალეგალური ლიტერატურით ამარაგებდნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე და სხვ. ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები ესწრებოდნენ მუშათა კონსპირაციულ შეკრებებს. ასეთი შეკრებები გაიმართა 1901 წლის 24 თებერვალს ასოთამწყობ ივან ეგოროვის ბინაზე, 25 თებერვალს – რკინიგზის მუშის ალექსეი ნიკონოროვის ბინაზე, 27 თებერვალს – რკინიგზის მუშის ა. ბერეზნიაკის ბინაზე, 10 მარტს – რკინიგზის მუშა გიორგი ჩხეიძის ბინაზე, 11 მარტს – ორთაჭალაში, 17 მარტს – ისევ გიორგი ჩხეიძის ბინაზე, 18 მარტს – მადათოვის კუნძულზე.

ძიების მასალებიდან დგინდება, რომ „**ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე ქ. თბილისში**",სულ მცირე, 1901 წლის იანვრიდან მაინც არსებობდა, თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ იგი 1900 წელსაც შექმნილიყო.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრე, მართალია, ძიების მასალებში ნამდვილად წრის სახელწოდებით იხსენიება, მაგრამ იგი გაცილებით დიდი ორგანიზაცია იყო, ვიდრე ჩვეულებრივი წრე. დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეს თავისუფლად შეეძლო იდეურადაც და ორგანიზაციულადაც ეხელმძღვანელა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეებისათვის მთელი ქალაქის მასშტაბით. თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-

დემოკრატიული ნრე რომ მართლაც რამდენიმე სოციალ-დემოკრატიულ ნრეს ხელმძღვანელობდა, ეს ძიების მასალებიდანაც დასტურდება. იმავე მასალებიდან არ დგინდება, ხელმძღვანელობდა თუ არა თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე ქალაქის ყველა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფსა და ნრეს, ან მათ უმრავლესობას მაინც. ცხადია, ძიების პროცესში სილიბისტრო ჯიბლაძე, იოსებ ჯუღაშვილი, სეეერიან ჯუღელი, ფილიპე მახარაძე, იპოლიტ ფრანჩესკი, გიორგი ყარაჯევი და სხვები შეეცდებოდნენ, ძიებისათვის დაემალათ ყველაფერი, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო საკითხიც – ხელმძღვანელობდა თუ არა თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი თბილისის მასშტაბით. სამაგიეროდ, ამ საკითხზე შეიძლება ვიმსჯელოთ სხვა მასალებით.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრის საქმის მასალებში აღმოჩნდა საიდუმლო სალაროს ანგარიში, შედგენილი რუსულ ენაზე **კონსტანტინე ხომერიკის** მიერ. ამ ორგანიზაციას, საეჭვოა, საკუთარი საიდუმლო სალარო ჰქონოდა. სავარაუდოა, რომ ფულადი სახსრებით ნრეს ის მუშები ამარაგებდნენ, რომელთა შორისაც თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე პროპაგანდას ანარმოებდა. ცხადია, მუშათა ჯგუფებსა და ნრეებში მეცადინეობის ჩატარება არალეგალური ლიტერატურის გარეშე შეუძლებელი იყო. ამგვარ ლიტერატურას იძენდნენ და მუშათა შორის ავრცელებდნენ პროპაგანდისტები (ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები). არალეგალური ლიტერატურის შეძენა და შემოტანა ძალზე ძვირი ჯდებოდა. მაგალითად, მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ნრეებში 1901 ნლის აგვისტოში შეტანილი იქნა 176 მანეთის ლიტერატურა, მაშინ, როცა იმავე თვეში ციხეში მყოფი მუშებისათვის საიდუმლო სალარომ გაიღო 29 მანეთი, მათი ოჯახის ნევრებისათვის – 79 მანეთი, ნვრილმანი ხარჯებისათვის –4 მანეთი. თუ საიდუმლო სალაროს ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე პროპაგანდას ანარმოებდა მუშათა იმ ნრეებში, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო: ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ამწყობ, სახარატო, სავაგონო, სადურგლო, სამჭედლო, საჩამომსხმელო, სამღებრო და საქვაბე საამქროებში; თბილისის რკინიგზის დეპოში; კარაპეტიანის, იარალოვის და რუსაკის ქარხნებში; თბილისის ხელოსნებში. როგორც დავინახეთ, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე პროპაგანდას ენეოდა ქალაქის ყველაზე დიდ საწარმოებში – ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში, ასევე რამდენიმე დიდ ფაბრიკა-ქარხანასა და სანარმოში. დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მასალები მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე ქ. თბილისში" იყო დიდი ინტელექტუალური ძალების მქონე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა თბილისი, ქალაქის ფაბრიკა-ქარხნები და სხვა საწარმოები. ეს ორგანიზაცია თბილისში არსებული მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და ნრეების ოფიციალურად არჩეული ხელმძღვანელი ორგანო არ ყოფილა, მაგრამ კოორდინატორის ფუნქციას იგი აშკარად ასრულებდა. სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ქალაქის მასშტაბით სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის კოორდინირებას მოახდენდა, მაშინ თბილისში არ არსებულა. მიუხედავად ამისა, თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, როგორც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. „ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე ქ. თბილისში" წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს XIX საუკუნის 90-იანი ნლების შუა ხანებიდან თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიდან და ნრეებიდან თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ (კომიტეტისაკენ).

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული ნრე, მართალია, თითქმის მთლიანად ჩაეარდა, მაგრამ მან თავისი მოღვაწეობით იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა.

1901 ნლის მარტისა და ივლისის დაპატიმრებებმა ვერ შეაფერხა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა. ამას კარგად გრძნობდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ხელმძღვანელობა. 1901 ნლის 8 ოქტომბერს თბილისიდან რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკის) უფროს **სერგეი ზუბატოვს** გაუგზავნეს თხოვნა თბილისში ფილერების მფრინავი რაზმისა და განყოფილების უფროსი მოხელის მოელინების შესახებ. საპასუხო წერილში 19 ოქტომბერს ს. ზუბატოვი აღნიშნავდა, რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა თბილისში ენერგიულად მოქმედი რევოლუციური ნრეების არსებობაში, მაგრამ სამხრეთ რუსეთში დიდი სამძებრო სამუშაოების მიმდინარეობის

გამო განყოფილებას თაეისუფალი კადრები არ გააჩნდა. არც თბილისში და არც სანქტ-პეტერბურგში არ შემცდარან: **თბილისში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა აღმავლობის გზაზე იდგა, რისი კანონზომიერი შედეგი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა.**

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა დამოუკიდებლად არც მუშებს შეეძლოთ და არც ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატებს. ამ ორი ძალის ერთობლიე, შეთანხმებულ მოქმედებას უკვე გარკვეული ტრადიცია ჰქონდა. მონინავე მუშებმა და ინტელიგენტებმა ერთად აღნიშნეს მაისობები 1899, 1900 და 1901 წლებში. თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეში ინტელიგენციის გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მუშები. მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებში პროპაგანდისტებად ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები მუშაობდნენ. გარდა იმისა, რომ წრეების მუშაობას იდეურად ხელმძღვანელობდნენ, ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები ამარაგებდნენ წრეებში გაერთიანებულ მუშებს არალეგალური ლიტერატურით, ეხმარებოდნენ მათ პრობლემატიკებისა და მონოდებების შედგენაში, მონაწილეობას იღებდნენ გაფიცული მუშების მოთხოვნათა შემუშავებაში. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციაც ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებისა და მონინავე მუშების ერთობლივი მოქმედებით იქმნებოდა. ხელმძღვანელ როლს, რა თქმა უნდა, ინტელიგენცია ასრულებდა.

თბილისის ინტელიგენტთა სოციალ-დემოკრატიული წრის ჩავარდნის შემდეგ (1901 წლის მარტი-ივლისი) თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები კოორდინატორის გარეშე დარჩნენ, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა. სწორედ ამიტომ დადგა საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საკითხი. მათ შორის, ვინც თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის ინყებდა ბრძოლას, იყვნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, ვასილ (ვასო) ცაბაძე, სეეერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, ზაქარია ჩოდრიშვილი, მოსე შენგელია, პიოტრ სკორობოგატკო,** ალექსეი ნიკონოროვი, ლეონტი ზოლოტარევი, გიორგი ყარაჯღევი (ყარაჯიანი), **ნიკოფორ სემიონოვი** და სხვ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალები, ასევე სხვა დოკუმენტები (კერძოდ, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის მასალები) საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის ისტორიას.

ერთ-ერთი კონსპირაციული შეკრება, რომელიც წინ უძღოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას, ჟანდარმერიამ დააფიქსირა 1901 წლის 27 ოქტომბერს. შეკრებას ესწრებოდნენ: **მოსე შენგელია, პიოტრ სკორობოგატკო,** ალექსეი **ნიკონოროვი, ლეონტი ზოლოტარევი, ნიკიფორ სემიონოვი და სერგეი სტაროსტენკო.** შეკრებას ხელმძღვანელობდა **იოსებ ჯუღაშვილი.** ჟანდარმერიის აგენტურის მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, კონსპირაციული შეკრება ასე წარმართულა: იოსებ ჯუღაშვილმა ისაუბრა მუშათა მოძრაობის ამოცანებზე. მან აღნიშნა, რომ თბილისში რუსი მუშები სულით დაეცნენ, საჭირო იყო მათი განწყობილების აწევა აგიტაციითა და არალეგალური ლიტერატურის გაერცელებით. იოსებ ჯუღაშვილმა მიუთითა ყველა ეროვნების წარმომადგენელთა გაერთიანების აუცილებლობაზე, მანვე დააყენა მუშათა საიდუმლო სალაროს შექმნის საკითხი. ნიკიფორ სემიონოვი, ალექსეი ნიკონოროვი და **სერგეი სტაროსტენკო** არ დაეთანხმნენ იოსებ ჯუღაშვილს. სემენოვმა აღნიშნა, რომ მუშები არ იბრძვიან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამიტომ თვითგანვითარების მიზნით მათ შეუძლიათ გამოიყენონ ლეგალური ლიტერატურა. ნიკონოროვმა და სტაროსტენკომ განაცხადეს, რომ მათ არ სურთ, მონაწილეობა მიიღონ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. **ლეონტი ზოლოტარევმა, პიოტრ სკორობოგადტკომ და მოსე შენგელიამ** მხარი დაუჭირეს იოსებ ჯუღაშვილს. ამ უკანასკნელს დაეთანხმა აგრეთვე შეკრებაზე გეიან მისული იაკობ კოჩეტკოვი. შეხვედრის ბოლოს იოსებ ჯუღაშვილმა განაცხადა, რომ შემდეგ შეკრებაზე შეიმუშავებდნენ ინსტრუქციას.

1901 წლის 4 ნოემბერს იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა მეორე შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ლეონტი **ზოლოტარევი, პიოტრ სკორობოგატკო, მიხეილ გურეშიძე, სერგეი სტაროსტენკო.** იოსებ ჯუღაშვილმა ილაპარაკა იმავე საკითხზე, რომელზეც საუბრობდა 27 ოქტომბერს. მიხეილ გურეშიძემ აღნიშნა, რომ აგიტაციის დაწყებამდე საჭირო იყო მონინავე მუშების მომზადება. იოსებ ჯუღაშვილს ნინა შეკრებაზე დაპირებული ინსტრუქცია არ მიუტანია, რის მიზეზად დროის უქონლობა დაასახელა. მანვე აღნიშნა, რომ მონინაეე მუშათა შორის აგიტაციისათვის სპეციალურად გამოყოფდნენ ინტელიგენტს.

1901 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დამდეგს შეიძლება კიდეე გაიმართა კონ-

სპირაციული შეკრებები, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. **1901 წლის ოქტომბერსა და ნოემბრის დამდეგს მომზადდა ნიადაგი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის. მოსამზადებელი პერიოდის მთელ მუშაობას იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა.**

1901 წლის 11 ნოემბერს, კვირა დღეს, აღლაბარში, ჯუბის ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაზე, შეიკრიბა 25 სოციალ-დემოკრატი, ინტელიგენტები: **იოსებ ჯუღაშვილი, ვასილ ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, გიორგი ყარაჯეული;** მუშები: **ზაქარია ჩოდრიშვილი, პოლიკარპე მაჭარაძე, გიორგი ნინუა, მიხეილ გურეშიძე, პიოტრ სკორობოგატკო, სერგეი სტაროსტენკო, ოვანეს უნანოვი** და სხვ. ამ კონსპირაციულ შეკრებას კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა. კონსპირაციული შეკრების მიზანი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის არჩევა.

კონსპირაციული შეკრება დაიწყო რევოლუციური მოძრაობის ამოცანებზე მსჯელობით. შემდეგ გიორგი ყარაჯეევის წინადადებით არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი შემდეგ შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე – **ვასილ ცაბაძე,** კომიტეტის წევრები: ინტელიგენტები – **იოსებ ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი,** გიორგი ყარაჯეული; მუშები – **ზაქარია ჩოდრიშვილი, გიორგი ჩხეიძე;** კომიტეტის წევრობის კანდიდატები – **კალისტრატე გოგუა, მიხეილ გურეშიძე, პოლიკარპე მაჭარაძე** და **ლუტონე ვადაჭკორია.**

ასე ნარმოგვიდგება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს აგენტურული და ანალიტიკური მასალების მიხედვით. მოგვიანებით, XX საუკუნის 20-30-იან წლებში პოლიტიკური მოსაზრებით თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის ისტორიის გაყალბება დაინყო, კერძოდ, ფილიპე მახარაძემ და მიხა ცხაკაიამ სცადეს დაემტკიცებინათ, რომ მთავარ როლს ასრულებდნენ ორგანიზაციის შექმნის პროცესში. მათ მიიმხრეს ზოგიერთი მუშა, რომელთაც მხარი დაუჭირეს სიყალბეს და დაადასტურეს, რომ ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მემუარები და რამდენიმე სტატია, იმუშავა საგანგებოდ შექმნილმა კომისიამაც. დღეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის მთელ პროცესს იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა, რაც შეეხება ფილიპე მახარაძესა და მიხა ცხაკაიას, მათ ორგანიზაციის შექმნაში არავითარი წვლილი არ მიუძღვით.

1901 წლის 11 ნოემბერს არჩეულ ორგანოს ოფიციალურად ეწოდებოდა „**ცენტრალური კომიტეტი**“, იგივე ორგანო ინოდებოდა „**საორგანიზაციო კომიტეტად**“ და „**კომიტეტად**“ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია სახელნოდება: „**თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი**“

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის (იგივე „ცენტრალური კომიტეტის“, იგივე „საორგანიზაციო კომიტეტის“) ფუნქციები ასე განისაზღვრა:

1. მონინავე მუშების განვითარებაზე ზრუნვა იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ თვითონ, ინტელიგენტებისაგან დამოუკიდებლად, შექმნან სოციალ-დემოკრატიული წრეები;

2. ინტელიგენტების საშუალებით მუშებისათვის არალეგალური ლიტერატურის მინოდება;

3. საიდუმლო სალაროდან სახსრების განანილება;

4. თბილისის ახლოს რომელიმე სოფელში საიდუმლო სტამბის ორგანიზების მიზნით სახსრების გამონახვა.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის არჩევნების გარდა, 1901 წლის 11 ნოემბერს გამართულ კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე) იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე:

1. **სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზნები.** ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების აზრით, მოძრაობის მიზანი იყო რევოლუციის განხორციელება და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება; მუშათა უმრავლესობა კი მოძრაობის მიზნად მიიჩნევდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

2. **პრობლემატიების გამოცემა.** მუშებმა მოითხოვეს განმარტება, თუ რატომ არ იბეჭდებოდა ბოლო დროს პრობლემატიები. ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა აღნიშნეს, რომ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ბეჭდვა, პრობლემატიების გამოშვება განახლდებოდა, როგორც კი საკუთარი სტამბა ამოქმედდებოდა;

3. **რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების გამოუცხადებლობის მიზეზი.** მუშებმა მოითხოვეს განმარტება, თუ რატომ არ ესწრებოდნენ კონსპირაციულ შეკრებას რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები. ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა უპასუხეს, რომ რუსი ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები დაპატიმრებული იყვნენ, მათი შემცველი კანდიდატები კი არ შეურჩევიათ;

4. მუშათა საიდუმლო სალაროს შესახებ. ერთ-ერთმა მუშამ განაცხადა, რომ, გავრცელებული ხმების მიხედვით, საიდუმლო სალაროს ხაზინადარი (ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი) გაიქცა და ფული თან გაიტაცა. ინტელიგენტმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ყოველივე ეს ჭორი იყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1901 წლის 11 ნოემბერს გამართულ კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე) სხვა საკითხებიც იყო განხილული, მაგრამ ჟანდარმერიის აგენტურის მასალებში ისინი არ დაფიქსირებულა. საკმაოდ ვრცელ მემუარულ ლიტერატურასაც არ შემოუნახავს დამატებითი ცნობები.

ამრიგად, 1901 წლის 11 ნოემბერს ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთა და მუშათა სოციალ-დემოკრატთა კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე), რომელსაც თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების და წრეების წარმომადგენლები, სულ 25 კაცი, დაესწრო, არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი (იგივე „ცენტრალური კომიტეტი", იგივე „საორგანიზაციო კომიტეტი"). თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი იყო საერთო-საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანო და ამდენად, იგი როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით უძღვებოდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი ქალაქის მასშტაბით.

1901 წლის 11 ნოემბერს კონსპირაციულ შეკრებაზე (კონფერენციაზე), ბუნებრივია, ყველა საკითხი არ გადაიჭრებოდა. 11 ნოემბრის შემდეგ არჩეული თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რეგულარულად იკრიბებოდა და იხილავდა ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა საკითხს.

1901 წლის 18 ნოემბერს, კვირა დღეს, ავლაბარში, ყუბის ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაში გაიმართა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **ვასილ ცაბაძე, იოსებ ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი და გიორგი ყარაჯღევი.** კომიტეტის სხდომამ განიხილა გაფიცული კონსტანტინ აფანასიევის თხოვნა ფულადი დახმარების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა, რომ კონსტანტინ აფანასიეისათვის დახმარება არ გაეწია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გაფიცულს თვითონ შეეძლო ეშოვა არსებობისათვის საჭირო სახსარი და მეორე, კონსტანტინ აფანასიევი იმუშკრებოდა: თუ დახმარებას არ აღმომიჩენით, კომიტეტს გავცემო.

ამ დროიდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრები (ინტელიგენტები) კონსპირაციულ ბინებში ცხოვრობდნენ.

1901 წლის 25 ნოემბერს, კვირა დღეს ნაძალადევში ახალ კონსპირაციულ ბინაზე (მუშა ნიკოლაი ერმოლაევის სახლში) გაიმართა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომიტეტის თავმჯდომარე **ვასილ ცაბაძე**, კომიტეტის წევრები: **სევერიან ჯუღელი, გიორგი ყარაჯღევი, ზაქარია ჩოდრიშვილი,** ასევე ბინის პატრონი **ნიკოლაი ერმოლაევი** და მუშა **სერგეი სტაროსტენკო**, სულ 9 კაცი. სხდომას არ ესწრებოდა **იოსებ ჯუღაშვილი,** რომელიც კომიტეტის დავალებით ბათუმში იყო მიელინებული. ჟანდარმერიის აგენტურის მიერ შეგროვებული მასალა კომიტეტის სხდომის შესახებ საკმაოდ სრულ ინფორმაციას იძლევა.სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საიდუმლო სტამბის მოწყობის შესახებ. ვასილ ცაბაძის ნინადადებით, საიდუმლო სალაროს ბაზინადარმა ზაქარია ჩოდრიშვილმა კომიტეტს მოახსენა შემდეგი: კომიტეტს უკვე აქვს საბეჭდი მონყობილობა (დაზგა), შრიფტი სამ ენაზე და ქაღალდი. ნინა კვირაში სცადეს დაბეჭდვა, მაგრამ ტექნიკური მიზეზის გამო ბეჭდვა შეფერხდა. გარდა ამისა, დაკაებული იყო ასოთამწყობიც. განზრახული იყო ბეჭდვის დაწყება მომავალ კვირაში. კომიტეტის წევრებმა წამოაყენეს წინადადება, სტამბისათვის დაექირავებინათ ბინა, მაგრამ გიორგი ყარაჯღევმა და ზაქარია ჩოდრიშვილმა განაცხადეს, რომ ბინის დაქირავება მოითხოვდა თვეში დამატებით 5-6 მანეთს, გარდა ამისა, ბინის შერჩევაც არ იყო ადვილი საქმე. საბოლოოდ გადანყდა: ჯერჯერობით ბეჭდვა ეწარმოებინათ იქ, სადაც შეძლებდნენ;

2. საკუთარი არალეგალური ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემის შესახებ. კომიტეტმა დაადგინა: გამოიცეს საკუთარი მფრინავი ფურცლები, რისთვისაც შეიქმნა სარედაქციო კომისია. საიდუმლო სალაროს ხაზინადარმა ზაქარია ჩოდრიშვილმა და კომისიის ბიბლიოთეკარმა პოლიკარპე მაჭარაძემ გამოთქვეს აზრი, რომ სარედაქციო კომისიას და კომიტეტს ცალ-ცალკე ემუშავათ. ამასთან დაკავშირებით გიორგი ყარაჯღევმა განაცხადა, ამ შემთხვევაში კომიტეტს საქმე არაფერი ექნებაო.მანვე აღნიშნა, რომ მფრინავი ფურცლების გამოცემისათვის საჭირო ოთხი თანამშრომელი (თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში) მას უკვე შერჩეული ჰყავდა. ზაქარია ჩოდრიშვილმა განაცხადა, რომ სამი ლეგალურად მოღვაწე მწერალი თანახმა იყო, ეთანამშრომლა კომიტეტთან. საბოლოოდ კომიტეტმა მფრინავი ფურცლების რედაქტორად აირჩია გიორგი ყარა-

ჯევი, რომელმაც ნამოაყენა წინადადება, შეერჩიათ ერთ-ერთი მუშა მწერალი, რომელსაც მუშები მიანდობდნენ მასალას თავიანთი ცხოვრებიდან, ხოლო მწერალი ამ მასალებიდან შეადგენდა ღღიურს. ვასილ ცაბაძემ განაცხადა, რომ მფრინავ ფურცლებთან ერთად საიდუმლო სალაროსათვის სასარგებლოდ გამოშვებული იქნებოდა კარიკატურული გამოცემა მეფის ოჯახის, სამღვდელოების, მოხელეების, ვაჭრებისა და მუშების გამოსახულებებით;

3. მოწინავე მუშების განცხადება არალეგალური ლიტერატურის უკმარისობის შესახებ. ზაქარია ჩოდრიშვილმა განაცხადა, რომ სანყობში ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა: 25 ეგზემპლარი მუშებისათვის და იმდენივე ინტელიგენტებისათვის. კომიტეტმა დაადგინა: მთელი არალეგალური ლიტერატურა გაეცათ დაუყოვნებლივ;

4. საიდუმლო სალაროს მდგომარეობის შესახებ. საიდუმლო სალაროს ხაზინადარმა ზაქარია ჩოდრიშვილმა აღნიშნა, რომ წინა ხაზინადარის დაპატიმრების შემდეგ შემოწმებით დადგინდა ზოგიერთი დარღვევა. ანგარიშის მიხედვით, სალაროში უნდა ყოფილიყო 800 მანეთი, ხელზე გატანილი უნდა ჰქონოდათ 137 მანეთი. სინამდვილეში სალაროში აღმოჩნდა 700 მანეთი. მუშათა შორის ავტორიტეტის შელახვის თავიდან აცილების მიზნით, კომიტეტმა დაადგინა, არ გაეხმაურებინათ მომხდარი ამბავი და 100 მანეთის დანაკლისი შეევსოთ ოთხი თვის მანძილზე – თვეში 25 მანეთის შეტანით. გიორგი ყარაჯევის შეკითხვაზე, თუ სად ინახებოდა საიდუმლო სალარო, ზაქარია ჩოდრიშვილმა უპასუხა, რომ საიდუმლო სალარო ინახებოდა ერთ-ერთ ბანკში. გიორგი ყარაჯევის წინადადებით, კომიტეტმა ვასილ ცაბაძისა და გიორგი ყარაჯევის შემადგენლობით შექმნა კომისია, რომელსაც ყოველთვიურად უნდა შეემოწმებინა სალარო;

5. ინტელიგენციის ნაკლებობის გამო „მუშათა ინტელიგენციის" შექმნის აუცილებლობის შესახებ. ვასილ ცაბაძემ და გიორგი ყარაჯევმა აღნიშნეს, რომ დაპატიმრებების შემდეგ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების რაოდენობა ძალიან შემცირდა. დანაკლისის შევსების მიზნით, კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხარკოვის კომიტეტს, საიდანაც ასეთი პასუხი მოვიდა: ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთა თბილისში გამოგზავნა შეუძლებელი იყო, რადგან ყველა ის, ვინც შეიძლებოდა გამოგზავნილიყო, ცნობილი იყო პოლიციისათვის. ასე რომ, გამოგზავნის შემთხვევაში მათ აუცილებლად აედევნებოდნენ აგენტები. გამომდინარე შექმნილი სიტუაციიდან, კომიტეტმა გადაწყვიტა თბილისის სკოლებისა და სასწავლებლების უფროსკლასელებისაგან მოემზადებინა კადრები. გარდა ამისა, თვით მუშათა შორის ეწარმოებინათ შესაბამისი მუშაობა და შეექმნათ „მუშათა ინტელიგენცია", რის შემდეგაც მუშებს ექნებოდათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინათ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები. მუშათა ინტელიგენციის მომზადების მიზნით მოწინავე მუშებისათვის უნდა შექმნილიყო 3-4-თვიანი კურსები. ვასილ ცაბაძისა და გიორგი ყარაჯევის წინადადება მიღებული იქნა. ამასთან, გიორგი ყარაჯევმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო, მონაწილეობა მიეღო კურსების მუშაობაში. ვასილ ცაბაძემაც აღნიშნა, რომ მას უკვე ჰყავდა სამი სოციალ-დემოკრატიული წრე რეალურ სასწავლებელში, სახელოსნო სასწავლებელში და ერთ-ერთ გიმნაზიაში, ასე რომ, დამატებით მეცადინეობას ველარ ჩაატარებდა. იმავე მიზეზით სეევრიან ჯუღელმა უარი განაცხადა კურსების მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. ვასილ ცაბაძემ და გიორგი ყარაჯევმა ერთმანეთს შორის მოილაპარაკეს და კომიტეტს მოახსენეს, რომ ისინი მონინავე მუშებთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩევდნენ ერთ ინტელიგენტს.

ამრიგად, 1901 წლის 25 ნოემბრის სხდომამ განსაზღვრა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის მიმართულებანი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა 1902 წლის 12 იანვარს ნაძალადევში, ზაქარია ჩოდრიშვილის ბინაზე. ამ სხდომას ესწრებოდნენ: **ვასილ ცაბაძე, სეევრიან ჯუღელი, გიორგი ყარაჯევი, კალისტრატე გოგუა** (იგი კომიტეტის წევრად იოსებ ჯუღაშვილის ნაცვლად აირჩიეს), **ზაქარია ჩოდრიშვილი, სერგეი სტაროსტენკო.** კომიტეტის სხდომამ დაადგინა, ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთ „ბრძოლასთან" ერთად გამოეცათ გაზეთი რუსულ და სომხურ ენებზე. კალისტრატე გოგუამ წამოაყენა წინადადება, პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით, მუშები გაეერთიანებინათ 5-6-კაციან ჯგუფებში. კონსპირაციის მიზნით ჯგუფის თითოეული წევრისათვის უნდა ეწოდებინათ „რიგითი", ხოლო ხელმძღვანელისათვის, რომელსაც მუშები აირჩევდნენ თავიანთ ჯგუფში – „უნტერ-ოფიცერი". ყოველ ჯგუფს ეყოლებოდა წამყვანი, რომელსაც ასევე კონსპირაციის მიზნით ეწოდებოდა „ოფიცერი". კომიტეტთან კავშირი სწორედ ამ ოფიცერს უნდა ჰქონოდა. კალისტრატე გოგუას წინადადება მიღებულ იქნა. ზაქარია ჩოდრიშვილმა კომიტეტს მოახსენა, რომ ბათუმში მიელინებ-

ული იოსებ ჯუღაშვილი ითხოვდა არალეგალური ლიტერატურის მიწოდებას. კომიტეტმა თხოვნა დააკმაყოფილა. გიორგი ყარაჯეევმა კომიტეტის სხდომას მოახსენა, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელი მიწვეულია ქ. კიშინიოვში რსდმპ ორგანიზაციის კრილობაზე (ჩანს, საქმე ეხებოდა რსდმპ კომიტეტის თათბირს. ასეთი თათბირები 1902 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ე. გ.). ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა: კიშინიოვში ყრილობაზე თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები არ გაიგზავნოს. პირიქით, ეთხოვოს კიშინიოვის ყრილობას, ადგილობრივი მუშაობის გასაცნობად თავისი წარმომადგენელი გამოგზავნოს თბილისში. ამავე სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კონსპირაციული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

1902 წლის 24 იანვარს ისევ ნაძალადევში, ზაქარია ჩოდრიშვილის ბინაზე, შედგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის სხდომა. კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე პროკლამაციების გამოშვების შესახებ. გიორგი ყარაჯეევმა პროკლამაციის სომხური ტექსტი გაანადგურა, ხოლო ქართული და რუსული ტექსტების რედაქტირება თავის თავზე აიღო. ზაქარია ჩოდრიშვილმა კომიტეტის სხდომას მოახსენა, რომ ძალზე გაძნელდა კომიტეტის შტემპელის დამზადება, რადგან ეს საქმე ეურავინ აიღო თავის თავზე. ამის გამო კომიტეტის ოვალური შტემპელი სხვა (გამოგონილი) ნარნერით მაინც შეუკვეთეს.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების შექმნა და მათი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. ამ მიზანს ემსახურება 1902 წლის 4 თებერვალს კომიტეტის წევრ კალისტრატე გოგუას ხელმძღვანელობით გამართული მონინავე მუშების თათბირი. სხდომას ესწრებოდნენ: **მოსე შენგელია, პიოტრ სკორობოგატკო, ვაცლავ პულავსკი, პიოტრ მონტინი, სერგეი სტაროსტენკო,** სულ ათ კაცამდე. თათბირმა განიხილა მუშათა ჯგუფებისა და წრეების შექმნის საკითხი. გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ კონსპირაციული მოსაზრებით უმჯობესი იყო, როცა ერთი წრე არ იცნობდა მეორეს. კალისტრატე გოგუამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო მუშათა კლასში რევოლუციური იდეების შეტანა.

1902 წლის 15 თებერვალს შედგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომა. ეს სხდომა საინტერესოა იმით, რომ მისი მასალები წარმოდგენას გვიქმნის კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ მუშათა სოციალ-დემოკრატულ ჯგუფებსა და წრეებზე. სულ 15 თებერვლისათვის კომიტეტის დაქვემდებარებაში იყო მუშათა 6 სოციალ-დემოკრატიული წრე:

1. პიოტრ სკორობოგატკოს წრე (ინტელიგენტი ხელმძღვანელი – იოსებ მეგრელიძე, წევრები: პიოტრ სკორობოგატკო, ლეონტი ზოლოტარევი, ალექსეი ზაკომოლდინი, სერგეი სტაროსტენკო);

2. იაკოე კოჩეტკოვის წრე (ინტელიგენტი ხელმძღვანელი – ანნა კრასნოვა, წევრები: იაკოე კოჩეტკოვი, ფიოდორ შმიკოვი, დიმიტრი რომანოვი, გიორგი ლელაშვილი, ირაკლი ნულაძე, პოლიკარპე მაჭარაძე, ანდრეი კარნიეცკი);

3. გიორგი თხელიძის წრე (ინტელიგენტი ხელმძღვანელი – კალისტრატე გოგუა, წევრები: გიორგი თხელიძე, გიორგი ნინუა, ზაქარია ჩოდრიშვილი, დავით ხართიშვილი);

4. ალექსანდრე მერაბიშვილის წრე (ჟანდარმერიის აგენტურისათვის წრის შემადგენლობა უცნობი დარჩა);

5. გიორგი ვარდოიანცის წრე (წრეში გაერთიანებული იყვნენ სტამბის მუშები. წრის შემადგენლობა ჟანდარმერიის აგენტურისათვის უცნობი დარჩა);

6. საქალაქო წრე (წრის შემადგენლობა ჟანდარმერიის აგენტურისათვის უცნობი დარჩა).

უნდა ვიფარაუდოთ, რომ კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი წრეების რიცხვი ამით არ ამოიწურებოდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1901 წლის 25 ნოემბრისათვის ვასილ ცაბაძე, როგორც ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი, ხელმძღვანელობას უწევდა სამ წრეს: რეალურ სასწავლებელში, საოსტატო სასწავლებელში და ერთ-ერთ გიმნაზიაში. სოციალ-დემოკრატულ წრეს ხელმძღვანელობდა სეეერიან ჯუღელი. ამ წრეების წევრთა ეინაობა დღემდე უცნობი რჩება.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, მუშათა სოციალ-დემოკრატულ წრეს პყავდა ერთი ხელმძღვანელი თვით მსმენელებისაგან (მუშებისაგან) და წრეც მის სახელს ატარებდა. გარდა ამისა, წრეს პყავდა ხელმძღვანელად ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი. მის ფუნქციას არ შეადგენდა ორგანიზაციული საქმიანობა, იგი მხოლოდ მეცადინეობებს ატარებდა. ამ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატის წოდება პროპაგანდისტი იყო. ე. ი. **კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ მუშათა სოციალ-დემოკრატულ წრეს პყავდა თვით მსმენელთაგან არჩეული მუშა ხელმძღვანელი, რომელიც ორგანიზაციულ მხარეს განაგებდა და კომიტეტის მიერ დანიშნული პროპაგანდისტი – ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი, რომელიც**

წარმართავდა ნრის მეცადინეობას.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის საიდუმლო სალაროს განაგებდა **ზაქარია ჩოდრიშვილი.** საიდუმლო სალარო 1901 წლის 11 ნოემბერს არ შეუქმნიათ, კომიტეტის არჩევის მომენტისათვის იგი უკვე არსებობდა (საიდუმლო სალაროს ერთ-ერთი ანგარიში 1901 წლის აგვისტოშია შედგენილი. ასე რომ, კომიტეტმა უკვე შექმნილი საიდუმლო სალარო გადაიბარა). თანხას საიდუმლო სალაროსათვის აგროვებდნენ: **იაკობ კორეტკოვი, დავით ლორთქიფანიძე, ოვანეს უნანოვი, კირილე კახეთელიძე, ათანასე ტორონჯაძე** და **მოსე შენგელია.** მართალია, საიდუმლო სალაროს ხაზინადარი ზაქარია ჩოდრიშვილი იყო, მაგრამ სალაროს ანგარიშები **ვლადიმერ იაშვილს** ეკუთვნის.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა სახსრები გააჩნდა თბილისის კომიტეტს, მოვიყვანთ ასეთ მონაცემებს: 1902 წლის იანვარში საიდუმლო სალაროს შემოსავალი შეადგენდა 379 მანეთს, გასავალი – 179 მანეთს, 1 თებერვლისათვის სულ საიდუმლო სალაროში იყო 1646 მანეთი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, ზემოთ ხსენებულთა გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ: **ვლადიმერ იაშვილი, ამონ ჩხაიძე, დიმიტრი ბილანიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, დავით კაპანაძე, სიმონ ჯუღელი, ლუარსაბ ჯანელიძე, ირონა გოგიჩაიშვილი, კონსტანტინე ლეჟავა, გიორგი კოკოშვილი, კონსტანტინე დოლიძე, გიორგი არობელიძე** და სხვ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას თავიდანვე გარკვეული სირთულეები შეექმნა საიდუმლო სტამბის ორგანიზების საქმეში. თავდაპირველად, 1901 წლის ბოლოსა და 1902 წლის დამდეგს გაზეთი „ბრძოლა", ასევე კომიტეტის ყველა გამოცემა, იბეჭდებოდა ბაქოში, **ვლადიმერ კეცხოველისა** და **აბელ ენუქიძის** მიერ მონყობილ საიდუმლო სტამბაში. ბაქოში არალეგალური გამოცემების ბეჭდვასა და შემდეგ გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ვლადიმერ კეცხოველი, აბელ ენუქიძე, ლავრენტი სამჭკუაშვილი, ივანე (ვანო) სტურუა, ვიქტორ ბაქრაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ევსევი გიორგობიანი, გიორგი სოლორაშვილი, ზინოვი ლავროვი, ნიკოლაი პროსტოსერდოვი.**

თბილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელსაც განაგებდა **პოლიკარპე მაჭარაძე.**

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამართველოსა და პოლიციის დეპარტამენტის მასალებში არაფერია ნათქვამი, თუ რა დამოკიდებულებაში იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. კომიტეტის 1901 წლის 11 ნოემბრისა და 18 ნოემბრის სხდომების მასალებიდან ვერაფერს ვგებულობთ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტისა და რსდმპ დამოკიდებულების შესახებ. 1902 წლის 12 იანვარს კომიტეტის სხდომამ უარი თქვა ქ. კიშინიოვში რსდმპ კომიტეტების (ორგანიზაციების) ყრილობაზე (თათბირზე) წარმომადგენლის გაგზავნაზე. ძნელი დასადგენია, 1902 წლის 12 იანვრისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი იყო თუ არა რსდმპ კომიტეტი. ქ. კიშინიოვში წარმომადგენლის გაგზავნაზე უარის თქმა არ გამოდგება იმის საბუთად, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ჯერ კიდევ არ შედიოდა რსდმპ შემადგენლობაში, თუმცა თვით ფაქტი არ არის უმნიშვნელო. 12 იანვრის სხდომაზე გიორგი ყარაჯეევმა განაცხადა, რომ მიღებული იყო დაშიფრული წერილი, რომელშიც თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას სთხოვდნენ, თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა ქ. კიშინიოვში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობაზე. 1902 წლის იანვარ-თებერვალში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რეგიონალური ყრილობები და თათბირები მართლაც გაიმართა ვორონეჟში, სამარაში, დონის როსტოვში, ელისავეტგრადში და სხვ. ამ ყრილობებსა და თათბირებზე იწვევდნენ ისეთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს (კომიტეტებს), რომლებიც უკვე რსდმპ შემადგენლობაში იყვნენ გაერთიანებულები, ან აპირებდნენ გაერთიანებას. უფრო ადრე, 1901 წლის 25 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომაზე გიორგი ყარაჯეევმა განაცხადა, რომ ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების დაპატიმრების შემდეგ თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა რსდმპ ხარკოვის კომიტეტს პროპაგანდისტთა კადრებით დახმარების თაობაზე. ეს ფაქტიც მეტად საყურადღებოა, მაგრამ არც ის გამოდგა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ პერიოდისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად ითვლებოდა. თუმცა როგორც ხარკოვის, ისე კიშინიოვის მაგალითი ადასტურებს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა რსდმპ კომიტეტებთან.

1901 წელს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომერი. გაზეთი დათარიღებულია ასე: **„სექტემბერი, 1901 წ.".** გაზეთი „ბრძოლა" არ გამოსულა როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატი-

ული მუშათა პარტიის გაზეთი. მას სათაურის ქვეშ აქვს გამოცემის კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერა: „პერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა". 1901 წლის ბოლოს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის" მორიგი (№2-3) ნომერი. გაზეთი ამგვარად არის დათარიღებული: „ნოემბერ-დეკემბერი, 1901 წ.". სათაურის ქვეშ გაზეთის კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერა უცვლელია: „პერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა", ე. ი. 1901 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის გაზეთი „ბრძოლა" ჯერ კიდევ არ იყო რსდმპ ორგანო. 1902 წლის ბოლოს გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის" მეოთხე ნომერი. მას თარიღად უზის „1902 – დეკემბერი". ამჯერად გაზეთის კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერა შეცვლილია: „ორგანო ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირისა". გაზეთს სათაურის ზემოთ დამატებული აქვს ახალი წარწერა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია", ე. ი. 1902 წლის დეკემბრისათვის „ბრძოლა" უკვე რსდმპ გაზეთი გამხდარა. ცნობილია, რომ „ბრძოლა" თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის გაზეთი იყო. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ: 1902 წლის დეკემბრისათვის თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი იყო, ე. ი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რსდმპ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რსდმპ შემადგენლობაში შესულა 1901 წლის დეკემბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე პერიოდში. უფრო ზუსტი თარიღის დადგენა ძნელდება, რადგან 1901 წლის დეკემბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე გაზეთი „ბრძოლა" არ გამოსულა. სამაგიეროდ, თარიღის დაზუსტება შეიძლება სხვა მასალით. 1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში ჟანდარმერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად თითქმის მთლიანად ჩავარდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი, თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში არსებული მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები, დააპატიმრეს ბევრი ცნობილი სოციალ-დემოკრატი მოწინავე მუშა. ჟანდარმერიამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ნივთმტკიცება, მათ შორის კომიტეტის საიდუმლო სალაროს ანგარიში, შედგენილი 1901 წლის დეკემბერში და დამოწმებული კომიტეტის ბეჭდით. საიდუმლო სალაროს ანგარიშიდან დგინდება, რომ კომიტეტის ბეჭედს უკვე 1901 წლის დეკემბერში ჰქონდა წარწერა: „ტ. კ. რ. ს. დ. მ. პ.", ე. ი. „ტფილისის კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა". ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გაზეთ „ბრძოლის" №2-3, რომელსაც გამოსვლის თარიღად 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერი უზის, არა აქვს იმის აღმნიშვნელი წარწერა, რომ გაზეთი რსდმპ ორგანო იყო. ჩანს, თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად გამოცხადდა ან გაზეთის ბეჭდვის პროცესში („ბრძოლა" ბაქოში იბეჭდებოდა), რის გამოც შესაბამისი ცვლილება (გაზეთის სათაურის ზემოთ წარწერის გაკეთება) ვეღარ მოასწრეს, ან მას შემდეგ, რაც „ბრძოლის" №2-3 უკვე დაბეჭდილი იყო, ე. ი. 1901 წლის დეკემბრის ბოლოს. ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ, როგორც წესი, საიდუმლო სალაროს ანგარიში წლის ბოლოს დგებოდა და ანგარიშზე ბეჭედსაც 1901 წლის დეკემბერის ბოლოს დაუსვამდნენ. ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელი მასალა დაცულია ნოე ჟორდანიას მემუარებში. ნოე ჟორდანია იგონებს: „1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თფილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც განგვაცვიფრა იმით, რომ თავზე ეწერა: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია, როდის შეეერთდით, რა პირობით – არაფერი არავინ იცოდა." როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას 1902 წლის იანვარში პროკლამაციის (ფურცლის) საშუალებით შეუტყვია, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რსდმპ კომიტეტად გამოუცხადებიათ.

ამრიგად, 1901 წლის დეკემბრის ბოლოდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტია, ე. ი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რსდმპ შემადგენლობაშია გაერთიანებული.

დღეისათვის ცნობილი მასალის საფუძველზე არ დგინდება, რომელ პარტიულ ფორუმზე გადაწყდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესვლა რსდმპ შემადგენლობაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ისევ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი გამოიტანდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს კომიტეტის გეერდის ავლითაც გაკეთდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ნოე ჟორდანიას მემუარების ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტიც.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღო სამ ძალას: 1. „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატიულ დასს" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკს"), 2. რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს, 3. „მესამე დასს" (გაზეთ „კვალის" ბანაკს). თუ რატომ არ მონაწილეობდნენ თბილისის სოციალ-დემოკრა-

ტიული კომიტეტის შექმნაში რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები, ამაზე პასუხი გაეცა კომიტეტის სხდომაზე 1901 წლის 11 ნოემბერს: რუსეთიდან ჩამოსული თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი დაპატიმრებული იყო. თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნასა და მის მოღვაწეობაში ჩავარდნამდე (1902 წლის თებერვალი-მარტი-აპრილი) არ მონაწილეობდნენ მესამედასელები („კვალელები"). დღეისათვის ცნობილი არ არის სანდო მასალა, რომელიც ადასტურებდეს, რომ „რეეოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი" და „მესამე დასი" შეთანხმებულად მოქმედებდნენ. პირიქით, დიდი რაოდენობით საარქივო დოკუმენტი და მასალა ამტკიცებს, რომ 1901-1902 წლებში „მესამე დასი" ჯერ კიდევ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ცდილობს, შეასრულოს საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუნქცია. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ამრიგად, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და მისი კომიტეტის შექმნა ძირითადად განხორციელდა „რეეოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი) ძალებით. თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს: იოსებ ჯუღაშვილმა, ვასილ ცაბაძემ, გიორგი ყარაჯეევმა, სეევრიან ჯუღელმა, ზაქარია ჩოდრიშვილმა, კალისტრატე გოგუამ და სხვებმა, ასევე ბაქოს არალეგალური სტამბის ორგანიზატორებმა: **ვლადიმერ კეცხოველმა და აბელ ენუქიძემ.**

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე მდგომმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს, არ იყო უმნიშვნელო ფაქტი. **თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თავის მოღვაწეობაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპებით ხელმძღვანელობდა.** ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სოციალ-დემოკრატიის შემდგომი ბედისათვის.

1902 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიის ბევრ დიდ ქალაქში (ეკატერინოსლავში, ელისავეტპოლში, კიევში, კიშინიოვში, მოსკოვში, ოდესაში, სანკტ-პეტერბურგში, პოლტავაში, დონის როსტოვში) ჩავარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ჩავარდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტიც. თბილისში დაპატიმრებები მიმდინარეობდა 1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში. 15-16 თებერვალს ღამით დააპატიმრეს ვასილ ცაბაძე, გიორგი ყარაჯეევი, სიმონ ჯუღელი, სეევრიან ჯუღელი, იასონ მეგრელიძე, კონსტანტინე ლეჟავა, დიმიტრი ბილანიშვილი, დავით კაპანაძე, გიორგი კოკოშვილი. მოგვიანებით დააპატიმრეს: გიორგი არობელიძე, ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხეილ გურეშიძე, კალისტრატე გოგუა, გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, ირაკლი წულაძე, პიოტრ სკორობოგატკო, იაკოვ კორეტსკოი, ანნა კრასნოვა, პოლიკარპე მაჭარაძე, ბართლომე ბიბინეიშვილი, ნიკოლაი ერიკოვი, ოვანეს უნანოვი, ვლადიმერ იაშვილი. დაპატიმრებას გადაურჩნენ: ლუარსაბ ჯანელიძე, ამონ ჩხაიძე, მოსე შენგელია, ლეონტი ზოლატარევი, ფიოდორ შმიკოვი, გიორგი თხელიძე და ეინმე ფარჯანაძე. ჟანდარმერიამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით სამხილი (ნივთმტკიცება): არალეგალური გამოცემები (გაზეთების „ბრძოლის" და „ისკრის" ნომრები და სხვ.), ასაკინძი დაზგა, საიდუმლო სალაროს ანგარიში, კომიტეტის შტემპელი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. 1903 წლის 9 ივლისს უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე მის წევრებს შემდეგი სასჯელი დაედოთ:

1. აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება 3 წლის ვადით: ვასილ ცაბაძეს, გიორგი ყარაჯეევს, ზაქარია ჩოდრიშვილს, გიორგი ჩხეიძეს, კალისტრატე გოგუას, იოსებ ჯუღაშვილს, არაქელა ოქუაშვილს, მიხეილ გურეშიძეს, პოლიკარპე მაჭარაძეს, სეევრიან ჯუღელს, იასონ მეგრელიძეს.

2. არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება 3 წლის ვადით: იაკოვ კორეტკოვს, გიორგი ლეღაშვილს, ნიკოლაი ერიკოვს, ოვანეს უნანოვს (უნანიანცს), კირილე კახეთელიძეს, ვლადიმერ იაშვილს, გიორგი არობელიძეს, ვაცლავ პულავსკის.

3. ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლება 3 წლის ვადით: ანნა კრასნოვას.

4. დანარჩენ ბრალდებულებს დაუწესდათ სხვადასხვა ვადით მეთვალყურეობა, ან დაედოთ შედარებით მცირე სასჯელი.

1902 წლის თებერვალ-მარტ-აპრილის დაპატიმრებებმა მძიმე დარტყმა მიაყენა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელ ორგანოს – კომიტეტს. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია მაინც განაგრძობდა არსებობას.

ამრიგად, 1901-1902 წლებში აღმოცენდა და განმტკიცდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ორგანო – კომიტეტი. ეს მოვლენა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადგილობრივი, ლოკალური ხასიათის მოვლენა. იგი, სულ მცირე, სამი ასპექტით მაინც არის საინტერესო: 1. თბილისის სოციალ-დემოკრა-

ტიული ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის განვითარების მიმართულება; 2. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა და მოღვაწეობა გახდა ტონის მიმცემი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა მთელი კავკასიის მასშტაბით; 3. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა იყო „მესამე დასის" მარცხი და რუსული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის გზაზე.

3. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა (1901-1903 წწ.). ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები, როგორც აღვნიშნეთ, იქმნებოდა 1897 წლიდან. საქალაქო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კი იწყება 1901 წლის ნოემბრიდან, როდესაც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დავალებით ბათუმში სამუშაოდ ჩაიცა იოსებ ჯუღაშვილი. როდის ჩაიდა იოსებ ჯუღაშვილი ბათუმში, ზუსტად დადგენილი არ არის. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალების მიხედვით, იგი ბათუმში უნდა ჩასულიყო 1901 წლის შემოდგომაზე. დოკუმენტურადაა დადგენილი, რომ იოსებ ჯუღაშვილი 1901 წლის 11 და 18 ნოემბერს ესწრებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომებს, 25 ნოემბერს კი იგი კომიტეტის სხდომას აღარ დასწრებია. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ დროს (25 ნოემბერს) იოსებ ჯუღაშვილი უკვე ბათუმში იყო, ე. ი. იგი ბათუმში 1901 წლის 18 – 25 ნოემბრის შუალედში უნდა ჩასულიყო.

იოსებ ჯუღაშვილის გამოჩენის შემდეგ ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა. რსდმპ II ყრილობისადმი ნარდგენილ დოკუმენტში „რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება" აღნიშნულია, რომ ბათუმში „პირველად სოციალ-დემოკრატიული წრე დაარსდა 1901 წელს". იმავე დოკუმენტში ამ წრის დაარსების ისტორია ასეა აღწერილი: „ერთმა პროპაგანდისტმა, სოციალ-დემოკრატმა, ისარგებლა რა თბილისიდან მონინავე მუშების ჩამოსვლით, დააარსა მოწინავე მუშათა წრე, რომელმაც ფერმენტის როლი შეასრულა მუშათა შორის სოციალისტური იდეების გავრცელებაში". ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოში შედგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ივან ლუზინის, გეორგ ფრანცევსკისა და პაველ კალანდაძის დაპატიმრების შემდეგ (1898 წ.) ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მინელდა. მაგრამ კვლავ გამოცოცხლდა და „დიდ ნარმატებას მიაღწია მას შემდეგ, როცა 1901 წლის შემოდგომაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა ქ. ბათუმის ქარხნის მუშებში, პროპაგანდის ნარმოების მიზნით, მიავლინა თავისი ერთ-ერთი წევრი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის (უნდა იყოს მე-5 კლასის – ვ. გ.) ყოფილი მოწაფე. იოსებ ჯუღაშვილის მოღვაწეობისა და თბილისიდან დროდადრო ჩამოსული პროპაგანდისტების წყალობით, მალე ბათუმის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა, რომელთა სათავეში თავიდან თბილისის კომიტეტი იდგა". ცხადია, ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში მითითებული „ერთი პროპაგანდისტი, სოციალ-დემოკრატი" იოსებ ჯუღაშვილი უნდა იყოს, რომელსაც ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო პირდაპირ მიანერს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლებას ბათუმში.

იოსებ ჯუღაშვილის ბათუმში ჩასვლამდე, 1901 წლის ოქტომბრისათვის, ქალაქში მოქმედებდა სოციალ-დემოკრატიული წრე. ამ წრეში პროპაგანდისტებად მუშაობდნენ ქალაქის საავადმყოფოს ფერშალი ჩიჩუა და ჟანდარმერიისათვის დაუდგენელი პირი – ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მოხელე, რომელიც გურიიდან უნდა ყოფილიყო. მუშებიდან სოციალ-დემოკრატიული წრის მსმენელები იყვნენ თავართქილაძის სტამბის ასოთამწყობი სილიბისტრო თოდრია და პასეკის ქარხნის მუშა კონსტანტინე კანდელაკი. უნდა ვიფარაუდოთ, რომ იოსებ ჯუღაშვილი ბათუმში ჩასვლის შემდეგ ამ წრესთან დაამყარებდა კაეშირს.

როგორც ჩანს, ბათუმში განიცდიდნენ არალეგალური ლიტერატურის ნაკლებობას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის სხდომას 1902 წლის 12 იანვარს ზაქარია ჩოდრიშვილმა მოახსენა: იოსებ ჯუღაშვილი ითხოვდა არალეგალური ლიტერატურის გაგზავნას. სხდომამ თხოვნა დააკმაყოფილა.

იოსებ ჯუღაშვილმა ორ-სამ თვეში შეძლო ბათუმის მუშების დარაზმვა. მისი ორგანიზებული იყო 1902 წლის 27 თებერვალს როტშილდის ქარხანაში დაწყებული გაფიცვა, 9 მარტს – მუშების შეჯახება პოლიციასა და ჯართან. ამ შეჯახებაში 13 მუშა დაიღუპა. 9 მარტის ამბებმა, ხოლო შემდეგ, 12 მარტს, დალუპული მუშების დაკრძალვის დროს, მონყობილმა დიდმა პოლიტიკურმა დემონსტრაციამ აშკარა გახადა, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

დაახლებით 1902 წლის მარტის ამბების ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის (იგი 1901 წლის ბო-

ლის დაარსა იოსებ ჯუღაშვილმა) გარდაქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტად. ამას ადასტურებს რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენებაც რსდმპ II ყრილობისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „თავიდან ბათუმში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. 1902 წ. იგი გარდაიქმნა რსდმპ კომიტეტად". რსდმპ ბათუმის კომიტეტის პირველ შემადგენლობაში აირჩიეს 3 ინტელიგენტი და 3 მუშა. დღეისათვის ცნობილი საარქივო დოკუმენტებითა და მასალებით არ დგინდება რსდმპ ბათუმის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა, თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ კომიტეტის ხელმძღვანელი (თავმჯდომარე) იოსებ ჯუღაშვილი იყო.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ინტელიგენტი წევრების მოვალეობას შეადგენდა სარედაქციო სამუშაოები (პროკლამაციების, მონოდებებისა და ფურცლების შედგენა), სოციალ-დემოკრატიული ნრეების სამუშაო გეგმების შედგენა, მეცადინეობების ჩატარება და სხვ.

რსდმპ ბათუმის კომიტეტთან არსებობდა სოფლის მუშების კომისია, რომელიც გურიის გლეხთა მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა (ამ კომისიის საფუძველზე მოგვიანებით შეიქმნა რსდმპ გურიის კომიტეტი).

ისევე, როგორც თბილისში, რსდმპ ბათუმის კომიტეტსაც ჰყავდა პროპაგანდისტები. თითოეულ სოციალ-დემოკრატიულ ნრეზე მიმაგრებული იყო ერთი პროპაგანდისტი, რომელიც წარმართავდა წრის მეცადინეობას. ეს პიროვნება გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა კომიტეტს. 1903 წლის შუა ხანებისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტს ჰყავდა 11 ასეთი პროპაგანდისტი.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სიდიდით ჩამოუვარდებოდა თბილისის ორგანიზაციას, თუმცა მის წევრთა რიცხვი ბათუმშიც საკმაოდ დიდი იყო. ამაზე მეტყველებს კომიტეტის საიდუმლო სალაროს შემოსავალი. 1903 წლის შუა ხანებისათვის საიდუმლო სალაროში ყოველთვიურად შედიოდა 600-700 მანეთი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა.

1903 წლის შუა ხანებისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტის დაქვემდებარებაში იყო დაახლოებით 40 სოციალ-დემოკრატიული წრე. მონინავე მუშებისაგან შემდგარ წრეებში მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში ორჯერ, ხოლო დანარჩენ წრეებში – კვირაში ერთჯერ ან ორ კვირაში ერთჯერ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროპაგანდისტები აგიტაციას ეწეოდნენ გურია-აჭარის სოფლებში. 1900 წელს ძირითადად ეკონომიური ხასიათის აგიტაცია ნარმოებდა, 1901 წლიდან კი იწყება პოლიტიკური მუშაობა. 1903 წლის შუა ხანებისათვის გურიის თითქმის ყველა სოფელში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წრე, ყველა წრეს ჰქონდა საიდუმლო სალარო. რსდმპ ბათუმის კომიტეტი ქალაქსა და მის მახლობელ სოფლებში ავრცელებდა პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას. საერთოდ, გურიის სოფლებში სოციალ-დემოკრატიული იდეების შეტანაში დიდი როლი შეასრულეს ბათუმელმა მუშებმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსული იყო.

თავდაპირველად რსდმპ ბათუმის კომიტეტს საკუთარი სტაბმა არ ჰქონია. პროკლამაციები, ფურცლები და სხვ. იბეჭდებოდა ბაქოსა და თბილისში. 1903 წლის შუა ხანებისათვის ბათუმშიც გაჩნდა სოციალ-დემოკრატთა სტამბა. როდის შეიქმნა იგი, ზუსტად არ დგინდება. 1902 წლის 7 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი წერდა, რომ ბათუმში გავრცელებული პროკლამაციები თვით ბათუმში ლეგალურად არსებულ სტამბებში არ იყო დაბეჭდილი, პროკლამაციები იბეჭდებოდა საიდუმლო სტამბაში ქალაქგარეთ.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობაში 1903 წლის გაზაფხულიდან უხუშად ჩაერია რსდმპ კავკასიის კავშირი: რსდმპ ბათუმის კომიტეტიდან რსდმპ II ყრილობის წინ გამოყვანილ იქნა ერთი წევრი (ინტელიგენტი), რომელიც, როგორც ჩანს, არასასურველი პირი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისათვის, ე.ი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის. მიუხედავად ამისა, რსდმპ ბათუმის კომიტეტი მაინც არ დაემორჩილა კავკასიის კავშირის დიქტატს და რსდმპ II ყრილობის წინ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სოციალ-დემოკრატები II ყრილობის მომწვეეე საორგანიზაციო კომიტეტს სთხოვდნენ, რომ ორგკომს არ ეცნო კავკასიის კავშირი კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლად. უნდა ვიფარაუდოთ, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტის ასეთი პრინციპული პოზიცია ისიდორე რამიშვილისა და კარლო ჩხეიძის დამსახურება იყო, რომლებიც იმ პერიოდში დიდ როლს ასრულებდნენ ბათუმის სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციაში.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბათუმში იოსებ ჯუღაშვილის მოღვაწეობას ეხება. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ იოსებ ჯუღაშვილი ბათუმში 18-25 ნოემბერს შორის უნდა ჩასულიყო. იოსებ სტალინის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იგი ბათუმში 1901 წლის ნოემბრის დამლევს ჩავიდა, რაც დასტურდება კიდეც საარქივო მასა-

ლებით. იმავე ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1902 წლის 5 აპრილს სტალინს აპატიმრებენ, მაგრამ საპყრობილეშიც (ჯერ ბათუმის, შემდეგ კი, 1903 წლის 19 აპრილიდან – ქუთაისის საპყრობილეში, რომელიც ცნობილი იყო თავისი მძიმე რეჟიმით, შემდეგ კვლავ ბათუმის საპყრობილეში) სტალინი კავშირს არ წყვეტს რევოლუციურ მუშაობასთან." იოსებ სტალინის ბიოგრაფიაში მოყვანილ მასალას ეწინააღმდეგება საარქივო დოკუმენტები და მასალები. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსის, როტმისტრ ლაგროვის მიერ 1903 წლის 29 იანვარს პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1903 წლის იანვარში რსდმპ ბათუმის კომიტეტს ხელმძღვანელობდა პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იოსებ ჯუღაშვილი. იოსებ სტალინის ბიოგრაფიის მიხედვით კი, ამ დროს იგი ციხეში უნდა ყოფილიყო და არა პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ. უნდა ვივარაუდოთ, რომ 1902 წლის 5 აპრილიდან (დაპატიმრების შემდეგ) 1903 წლის შემოდგომამდე (გადასახლებაში გაგზავნამდე) იოსებ ჯუღაშვილი რაღაც პერიოდში, კერძოდ, 1903 წლის იანვრისათვის, პატიმრობიდან გათავისუფლებული იყო პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ და მოღვაწეობას აგრძელებდა ბათუმში. რატომ აუარეს ამ ფაქტს გვერდი იოსებ სტალინის ბიოგრაფებმა, ჩვენთვის უცნობია.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა 1901 წელს მიანიშნებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ აღმავლობაზე საქართველოში. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქი – ბათუმი – სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ ცენტრად იქცა.

§2. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მოღვაწეობა (1903 წ.)

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის შექმნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დამკვიდრებაში. **რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნით (1903 წლის მარტი) ფაქტობრივად დაინყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შერწყმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რაც საბოლოოდ დასრულდა და იურიდიულად გაფორმდა რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ. ივლის-აგვისტო). სწორედ ამიტომ რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მოღვაწეობა რსდმპ II ყრილობამდე მრავალმხრივაა საყურადღებო.**

რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს: გეორგი პლეხანოვს, ვლადიმირ ლენინს (ულიანოვს), პაველ აქსელროდს, ლევ მარტოვს (იული ცედერბაუმს), ალექსანდრ პოტრესოვი და სხვ. და სხვებს – მიაჩნდათ, რომ მთელ რუსეთის იმპერიაში (როგორც ევროპოროსიაში, ისე კოლონიურ მხარეებში) არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაც თავისთავად ნიშნავდა ევროპოდერაციული პოლიტიკის გადმოტანას სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ცხადი იყო, რომ **რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს იმდენად ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვის სურვილი კი არ ამოძრავებდათ, არამედ მისწრაფება იმისა, რომ ერთი პარტიული ცენტრის ქვეშ გაეერთიანებინათ ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის ინტელექტუალური პოტენციალი და რევოლუციური მასები, რის გარეშეც, როგორც შემდეგ გაირკვა, მართლაც არ შეეძლო არსებობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.** ამ შემთხვევაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს სულაც არ აინტერესებდათ რამდენად შეესაბამებოდა ამა თუ იმ ერის სოციალ-დემოკრატიის ინტერესები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ინტერესებს, ან ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის შერწყმა რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან რამდენად დაძაბავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას კოლონიურ ქვეყნებში.

რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების ჩანაფიქრის განხორციელება არც ისე რთული იყო უკრაინისა და ბელორუსიის სოციალ-დემოკრატიისათვის, მაგრამ მას ძალზე მტკივნეულად განიცდიდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, სრულიად ებრაელ მუშათა კავშირი (ბუნდი), ლატვიის სოციალ-დემოკრატია. საბოლოოდ, ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიის ლიდერები უარს არ ამბობდნენ საერთო-სარუსეთო პარტიაში გაერთიანებაზე, მაგრამ ითხოვდნენ გარკვეული ავტონომიის შენარჩუნებას და პარტიის აგებას ფედერალურ პრინციპებზე, ე. ი. ითხოვდნენ, ეროვნული სოციალ-დემოკრატია არ გაეთანაბრებინათ ვლადიმირ ლენინის საგუბერნიო და სამხარეო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. ამ მოთხოვნას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა და, უპირველეს ყოვლისა, ვლადიმირ ლენინმა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლა რომ დაიწყო (1900 წ.), „მესამე დასი" წარმოადგენდა საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. „მესამე დასი" და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია არ ჩაბმულან რსდმპ შექმნისათვის დაწყებულ მოძრაობაში. ნოე ჟორდანია წინააღმდეგი იყო არა მარტო მთელი ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან გაერთიანებისა, არამედ მიუღებლად მიაჩნდათ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადება. „მესამე დასისა" და, კერძოდ, ნოე ჟორდანიას პოზიცია ხელს უშლიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, განეხორციელებინათ თავიანთი გეგმა – ცალკეური ერების სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო პარტიაში გაერთიანება.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა გეგმები საქართველოში უშუალოდ რსდმპ II ყრილობის წინ და მის შემდგომ ხანებში ზედმიწევნით კარგად განახორციელა რსდმპ კავკასიის კავშირმა.

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნისა და მოღვაწეობის ისტორიას საბჭოთა ისტორიოგრაფია პოლიტიკური სისტემის მიზნებიდან გამომდინარე აშუქებდა – კავკასიის კავშირის შექმნას დიდმნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენად განიხილავდა. შეიძლებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის ისტორია აღგვედგინა დოკუმენტებისა და მასალების საშუალებით, მაგრამ გამოქვეყნებული დოკუმენტების უმრავლესობაც ტენდენციურადაა შერჩეული და ძირითადად ბოლშევიკების პოზიციის დაცვას ისახავს მიზნად. 1905 წელს ლონდონში რსდმპ III ყრილობას ნარედგინა ოფიციალური დოკუმენტი „მოხსენება სოციალ-დემოკრატიის III ყრილობას კავკასიის კავშირის მოღვაწეობის შესახებ 1903-1905 წწ." ეს დოკუმენტი მხოლოდ ქართველი ბოლშევიკების თვალსაზრისს გამოხატავს და ამდენად, ობიექტური სურათის აღსადგენად არ გამოდგება. ამასთან, მოხსენება მთლიანად არ არის შემონახული, მისი ნაწილი დაკარგულია. ბოლშევიკური თვალსაზრისის დაცვის მიზნითაა განხორციელებული დოკუმენტების პუბლიკაციები, რომლებიც ეხება ვლადიმირ ლენინისა და გაზეთ „ისკრის" რედაქციის მიმოწერას სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან რუსეთში 1900-1903 წლებში, ასეთივე მიკერძოებით ხასიათდება ლენინისა და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი რსდმპ ორგანიზაციების მიმოწერა პარტიულ ორგანიზაციებთან. ტენდენციურია გაზეთ „ისკრაში" 1903-1904 წლებში რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნებული მასალაც. განსხვავებით ზემოთ აღნიშნულისაგან, სანდო დოკუმენტებს წარმოადგენს რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პროექტი და კავკასიის კავშირის III ყრილობის სტენოგრამა. საკითხის გაშუქებაში გარკვეული დახმარების აღმოჩენა შეუძლია ნოე ჟორდანიას მემუარებსაც.

მას შემდეგ, რაც თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კომიტეტები რსდმპ კომიტეტებად გამოცხადდა, ძნელი აღარ იყო რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. ამგვარი კავშირის შექმნას მხარს უჭერდა „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი) და „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი" (სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „პროლეტარიატის" ბანაკი), სოციალ-დემოკრატები: მიხა ცხაკაია, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან ნუნინაძი, პატიმრობაში მყოფი იოსებ ჯუღაშვილი და ელადიმერ კეცხოველი, ასევე რუსეთიდან ხანგრძლივი ვადით თუ დროებით ჩამოსული თანამოაზრეები. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება ხდებოდა გაზეთ „ისკრის" რედაქციაში.

„მესამე დასი" და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია, როგორც ალვნიშნეთ, წინააღმდეგნი იყვნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან შერწყმისა. თბილისის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადების ამბავს რომ იხსენებს, ნოე ჟორდანია წერს: „ცხადი იყო, რომ ჩვენ (თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია – ვ. გ.) მოვხვდით რუსეთის პარტიაში, არა როგორც რაიონული ორგანიზაცია, არამედ როგორც ადგილობრივი ორგანიზაცია. დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურათაც არ მიგვეღო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის მნიშვნელობით და სხვ. საჭიროა ამ უკანასკნელის ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტებში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლიანად ანვათ თავზე მუშებს, რომელნიც „პაალუჩკაზე" (ხელფასის აღების დროს – ვ. გ.) იხდიდნენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შედგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მასა მათ მისდევდა, ფულს შოულობდნენ ინტელიგენტები და მიჰქონდათ ორგანიზაციაში. მუშა არას იხდიდა. ერთი სიტყვით, პარტია იყო სოც[იალ]-დემ[ოკრატი] ინტელიგენ-

ტების იმ მიზნით, რომ მუშა ხალხისათვის მიეცა პოლიტიკური შეგნება ცარიზმთან საბრძოლველად. ეს იყო, მაშასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა. ამ მხრით, რუსების სოც[იალ]-დემ[ოკრატია] აღიარებდა მარქსიზმს, მაგრამ სინამდვილეში პარტიის წყობაში და მუშაობაში ისინი იყვნენ ნაროდნიკები". ეს არ იყო მარტო ნოე ჟორდანიას თვალსაზრისი, ეს იყო „მესამე დასის" პოზიციაც. ცხადია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ქართული სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის – „მესამე დასის"– შერწყმა საფრთხეს უქმნიდა ამ უკანასკნელს. „მესამე დასს" უარი უნდა ეთქვა საკუთარ იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმაზე. ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები დათმობდნენ რასმე. მრავლისმეტყველია ისიც, რომ წმინდა ორგანიზაციული საკითხების გარდა, ნოე ჟორდანიას აფიქრებდა საპროგრამო საკითხებიც, კერძოდ, ის, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამაში „არ იდგა გლეხის საკითხი და არც ნაციონალური". „მესამე დასის" ლიდერი კარგად ხედავდა, რომ ძალთა განლაგება ქართული სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ არ იყო, არც მომავალში შეიცვლებოდა სასიკეთოდ. ამიტომაც მან ჩათრევას ჩაყოლა არჩია: თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის რსდმპ კომიტეტად გამოცხადებას შეეგუა და მოქმედების ახალი ტაქტიკა შეიმუშავა. ნოე ჟორდანიას მემუარებში ვკითხულობთ: „რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახიფათოდ მიმაჩნდა ასე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი მოხდა, საჭირო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება და ცდა ამ მხრით გაგვლენის მოხდენა თვით რუსებზე". გამოსავალი ნოე ჟორდანიამ იმაში დაინახა, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო: „ამ მიზნის მისაღწევად (რუსეთის სოციალ-დემოკრატიაზე ზეგავლენის მოსახდენად – ვ. გ.) საჭირო იყო, პირველყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალური ორგანოს". ცხადია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს შექმნა პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების გეგმებს საერთო-სარუსეთო პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში. ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს გიორგი პლეხანოვმა და ვლადიმირ ლენინმა დაასწრეს – წამოაყენეს რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის იდეა. ამ იდეას მხარი დაუჭირა ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთმა ნაწილმა, კერძოდ, „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირმა". ნოე ჟორდანიას იდეის განხორციელება უპერსპექტივო ჩანდა, ამიტომ მან ჩათრევას ჩაყოლა არჩია და მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის დაარსებაში. იქნებ ნოე ჟორდანიას ეგონა, რომ კავკასიის კავშირის შექმნით ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული. სამწუხაროდ, მომავალმა სხვა აჩვენა: რსდმპ კავკასიის კავშირში გაერთიანება „მესამე დასის" ლიკვიდაციის ტოლფასი აღმოჩნდა. ამ მარცხში ნოე ჟორდანიას ბრალს ვერ დავდებთ. შექმნილ ვითარებაში „მესამე დასის" შენარჩუნება მის ძალებს აღემატებოდა.

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის ინიციატივა ეკუთვნოდათ რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტებს. 1903 წლის იანვარში ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისში და ქართულ და სომხურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს: „ბრძოლასა" და „პროლეტარიატთან" – შექმნეს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა I ყრილობის მომწვევი ბიურო. ყრილობის მომწვევი ბიურო დაუკავშირდა რსდმპ ბათუმის კომიტეტს, რომლისაგანაც ყრილობის მოწვევის თაობაზე თანხმობა მიიღო. ყრილობა დაინიშნა 1903 წლის მარტის შუა ან ოციანი რიცხვებისათვის.

რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა გაიმართა არალეგალურად თბილისში 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში. მას დაესწრო 15 დელეგატი თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტებისაგან, ასევე ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, მიხაილოვოს (ხაშურის) სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისგან, გაზეთების ბრძოლისა" და „პროლეტარიატის" რედაქციებისაგან, აგრეთვე რამდენიმე აქტიური სოციალ-დემოკრატი. რსდმპ ბაქოს კომიტეტის დელეგატი ყრილობის გახსნის დღეს თბილისში ვერ ჩამოვიდა, ყრილობა მის გარეშე შეუდგა მუშაობას. პირველსავე დღეს გადაწყდა, რომ ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით მონაწილეობა მიეღოთ დელეგატების (რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტების) გარდა, გადამწყვეტი ხმა მიეცათ სათათბირო ხმით მოწვეული დელეგატებისათვისაც. დელეგატმა ბაქოდან მხოლოდ ყრილობის ბოლოს წინა სხდომას მიუსწრო. მან ცნო ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არჩევნებში.

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის მუშაობაში შეიმჩნეოდა მთელი რიგი უხეში დარღვევები: 1. რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა შეიკრიბა სამი რეალურად არსებული და აღიარებული კომიტეტის (თბილისის, ბათუმის,

ბაქოს) გაერთიანების მიზნით. ამ კომიტეტებს ყრილობის მომწვევი ბიუროსაგან მინიჭებული ჰქონდათ თითო დელეგატის არჩევის უფლება ერთი გადამწყვეტი ხმით, ე. ი. სულ ყრილობაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 3 დელეგატი 3 გადამწყვეტი ხმით. ბაქოდან დელეგატი ვერ ჩამოვიდა და ამდენად, ყრილობა მუშაობას უნდა შესდგომოდა 2 დელეგატით (2 გადამწყვეტი ხმით). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ყრილობაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა – იგი უნდა გადადებულიყო. ამ სიტუაციაში მიიღეს გადაწყვეტილება, ყრილობაზე სათათბირო ხმით მონვეული 12 დელეგატისათვის მიენიჭებინათ გადამწყვეტი ხმის უფლება. ასე შეგროვდა 14 დელეგატის 14 გადამწყვეტი ხმა. ამრიგად, ფაქტობრივად არსებულ და ოფიციალურად აღიარებულ რსდმპ ორ კომიტეტს (თბილისისას და ბათუმისას) ყრილობაზე ჰქონდა 2 გადამწყვეტი ხმა, ხოლო რამდენიმე სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს (ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, ხაშურის), რომელთა არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა, ყრილობაზე მონვეულ სოციალ-დემოკრატებთან ერთად – 12 ხმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რსდმპ ბაქოს კომიტეტის დელეგატი მეორე დღესვე რომ გამოცხადებულიყო ყრილობაზე, ხმების თანაფარდობას მაინც ვერ შეცვლიდა: რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები სულ აგროვებდნენ 3 ხმას, ხოლო დანარჩენი დელეგატები – 12 ხმას. ასე რომ, თეორიულად დასაშვები იყო შემდეგი: რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტების დელეგატები კავკასიის კავშირის შექმნის წინააღმდეგნიც რომ გამოსულიყვნენ, ეს კავშირი მაინც შეიქმნებოდა 12 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ; 2. დელეგატს რსდმპ ბაქოს კომიტეტიდან ყრილობის მუშაობაში ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია. იგი დაეთანხმა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის უმთავრესი საკითხი იყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება. ყრილობამ მიზანშეწონილად ცნო, გაერთიანების ფორმად მიეღოთ რუსეთში უკვე არსებული, პრაქტიკულად დანერგილი ფორმა – **კომიტეტების კავშირი**. ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა **რსდმპ ჩრდილოეთის კავშირი, რსდმპ ურალის კავშირი, რსდმპ ციმბირის კავშირი**. ამჯერად ვ. ლენინი და გ. პლეხანოვი ახალ ექსპერიმენტს ატარებდნენ: ველიკორუსული რეგიონების გამოცდილება გადაპქონდათ კოლონურ ქვეყნებში.

ყრილობაზე დიდი პოლემიკა გამოიწვია რსდმპ კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდებამ. ლენინის მიერ წამოყენებული პარტიის აგების ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპების ნინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია. იგი მოითხოვდა, რსდმპ კავკასიის კავშირი შექმნილიყო „ფართო დემოკრატიული პრინციპის" საფუძველზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ რსდმპ ადგილობრივ ორგანიზაციებს (კომიტეტებს) უნდა ჰქონოდათ ავტონომია. ყრილობამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით უარყო ნოე ჟორდანიას წინადადება და მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდება, რომელიც ლენინის „დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპების მიხედვით იყო შემუშავებული. ეს წესდება რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა 1903 წლის შემოდგომაზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების (საორგანიზაციო წესდების) მიღება რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმდევართა დიდი გამარჯვება იყო. ეს გამარჯვება განმტკიცდა იმ გადაწყვეტილებით, რომელიც პროგრამასთან დაკავშირებით მიიღო ყრილობამ. გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ ყრილობის მიერ პროგრამის მიღებამდე რსდმპ კავკასიის კავშირი იხელმძღვანელებდა „ისკრისა" და „ზარიას" მიერ შემუშავებული რსდმპ პროგრამის პროექტით.

კავკასიის კავშირის I ყრილობა დაეთანხმა რსდმპ II ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წინადადებას ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ თუ რსდმპ II ყრილობაზე დელეგატებს აირჩევდა რსდმპ კავკასიის კავშირი, მაშინ მას ექნებოდა 2 გადამწყვეტი ხმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დელეგატებს აირჩევდნენ კავშირში შემავალი კომიტეტები, მაშინ თითოეულ კომიტეტს ექნებოდა 2 გადამწყვეტი ხმა. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, რსდმპ II ყრილობის დელეგატები აირჩიეს თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტებმა – თითო დელეგატი ორ-ორი გადამწყვეტი ხმით.

რსდმპ კავკასიის კავშირის I-მა ყრილობამ მიიღო დადგენილება, სოციალ-დემოკრატიული გაზეთები „ბრძოლა" და სომხური „პროლეტარიატი" გაეერთიანებინათ საერთო სახელწოდებით. ქართულ ენაზე გაზეთი გამოდიოდა „პროლეტარიატის ბრძოლის" სახელით, სომხურ ენაზე კი – „პროლეტარიატ კრივ". შემდეგში რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო რუსულ ენაზეც გამოვიდა – გაზეთი «Борьба пролетариата» („პროლეტარიატის ბრძოლა").

რსდმპ კავკასიის კავშირის I-მა ყრილობამ აირჩია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით: **ნოე ჟორდანია, სილი-**

ბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაკაია, დიომიდე თოფურიძე, მიხეილ ბოჭორიძე, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან ენუნიანცი. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: იოსებ ჯუღაშვილი, მიხეილ დავითაშვილი, ნინო (ნინა) ალაჯალოვა, ვ. ბობროვსკი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, სტეპან შაუმიანი, ა. ხუმარიანი, ს. ხანთოიანი, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე.

ყრილობის დადგენილებით, კომიტეტის 9 წევრიდან სამი მაინც თბილისში უნდა ყოფილიყო, როგორც კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოს რედაქციის ბიურო. ბიუროს მოვალეობას შეადგენდა ურთიერთობა კავშირში შემავალ კომიტეტებთან (ორგანიზაციებთან), რსდმპ II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტთან და საერთოდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან.

ნოე ჟორდანიას დამსახურებას წარმოადგენდა ის, რომ კავკასიის კავშირის I-მა ყრილობამ მიიღო დადგენილება, შეემუშავებინათ რსდმპ კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტი და განსახილველად წარედგინათ კავშირის უახლოესი ყრილობისათვის. ნოე ჟორდანია გამოდიოდა იქიდან, რომ საკუთარი პროგრამა ავტონომიის შენარჩუნების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იყო, თუმცა პროგრამისა და წესდების ფორმალური არსებობა კი არ იყო მთავარი, არამედ მათი შინაარსი. თუ კავკასიის კავშირის წესდების არსებობას მაინც შეურიგდნენ, ნოე ჟორდანია და მისი მომხრეები ვერაფრით შეურიგდებოდნენ კავშირის პროგრამის არსებობას. ეს ეწინააღმდეგებოდა მათ გეგმებს. ნოე ჟორდანიას მეორე მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა ის, რომ ყრილობამ კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტის შემუშავება მასვე მიანდო, რის შესახებაც თვითონ იგონებს: „მომანდეს, დამეწერა პარტიული პროგრამის პროექტი როგორც ადგილობრივი, ისე საროსეთო მასშტაბით".

ნოე ჟორდანიამ გადაწყვიტა, ესარგებლა ამ შემთხვევით და სწორედ შეუდგა პროგრამის შემუშავებას: „განჯაში დაბრუნებისას (აქ იმყოფებოდა ნოე ჟორდანია გადასახლებაში – ვ. გ.) შევუდექი ამ მუშაობას და რამდენიმე კვირაში დავამთავრე. პროგრამა იყო გვარიან ვრცელი – დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებად დაყოფილი. ნაციონალურ საკითხში მქონდა ასეთი მუხლი: „ამიერკავკასიის თვითმმართველობა პარლამენტით თფილისში". შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით". ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამა ყოველად მიუღებელი იქნებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის, რადგან იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა გაზეთ „ისკრის" მიმართულებას და პირადად ლენინისა და პლეხანოვის შეხედულებებს.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ისარგებლა იმით, რომ ნოე ჟორდანია ემიგრაციაში წავიდა და პროგრამის პროექტი მის გარეშე განიხილეს. პროექტი არ მიიღეს. სამაგიეროდ, შემუშავდა კავკასიის კავშირის პროგრამის ახალი პროექტი, რომელიც „ისკრისა" და „ზარიას" პროექტების მიხედვით იყო შედგენილი. თუმცა კავკასიის კავშირს ეს პროგრამა არ წარუდგენია რსდმპ II ყრილობაზე – უფრო მეტიც, იგი არც კავკასიის კავშირის მომდევნო ყრილობას დაუმტკიცებია.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ინიციატივით, 1903 წლის მაისის დამდეგს ქუთაისში გაიმართა დასაელეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც კავკასიის კავშირის კომიტეტის ორი წევრიც დაესწრო. კონფერენციაზე გადაწყდა, ქუთაისში შეექმნათ ორი კომიტეტი: ქუთაისის კომიტეტი (ქალაქის მუშათა და ხელოსანთა, ასევე ჭიათურისა და ტყიბულის მუშათა შორის სამუშაოდ) და იმერეთის კომიტეტი (იმერეთის სოფლის მოსახლეობაში სამუშაოდ). კონფერენცია დაეთანხმა იმ აზრს, რომ რსდმპ კომიტეტის გეგრდით შეექმნათ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი გურიის სოფლების მოსახლეობაში სამუშაოდ. ბათუმში რსდმპ გურიის კომიტეტი დაარსდა კონფერენციის დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ. რაც შეეხება ქუთაისისა და იმერეთის კომიტეტებს, ისინი ერთი თვის შემდეგ მთელი რიგი მიზეზების გამო (უმთავრესად კონსპირაციული მოსაზრებით), გაერთიანდნენ ერთ კომიტეტად. ასე შეიქმნა რსდმპ იმერეთის კომიტეტი. ორი თვის შემდეგ, როცა სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა გაძლიერდა და რსდმპ იმერეთის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, იმერეთის კომიტეტს ეწოდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი.

რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტმა (იგივე რსდმპ გურიის კომიტეტი) იმთავითვე ენერგიული მოღვაწეობა გააჩაღა. 1903 წელს შეიმუშავეს რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტის წესდება.

უკვე 1903 წლის შუა ხანებისათვის, რსდმპ II ყრილობის წინ, საქართველოში არსებობდა რსდმპ თბილისის, ბათუმის, გურიის სოფლის მუშათა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები.

რსდმპ კავკასიის კავშირმა რუსული სოციალ-

დემოკრატიის ლიდერების მიერ დაკისრებული მისია წარმატებით შეასრულა – საქართველოში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რამე სერიოზული გართულების გარეშე შეერწყნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

§ 3. ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე

I. ქართული სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეისადმი. რსდმპ II ყრილობის დელეგატთა არჩევნები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა თავიდანვე მზადდებოდა, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ყრილობისათვის მზადების წინა პერიოდში (1900-1903 წწ.) მისმა ორგანიზატორებმა: გეორგი პლეხანოვმა, ლევ მარტოვმა (იული ცედერბაუმმა), ვლადიმირ ლენინმა (ულიანოვმა), ვერა ზასულიჩმა, პაველ აქსელროდმა, ალექსანდრ პოტრესოვმა (სტაროვერმა) და სხვ.– რსდმპ II ყრილობის წინაშე შემდეგი ამოცანები დასახეს: 1. რსდმპ პროგრამისა და წესდების მიღება, 2. რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ორივე საკითხის მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, მისი მომავლისათვის.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობაზე (1898 წლის 1-3 მარტი) ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოდგენილი არ ყოფილა და ამდენად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ გაურკვევიათ თავისი დამოკიდებულება საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეისადმი. ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არც რსდმპ II ყრილობის მონვევის მიზნით შექმნილ საორგანიზაციო ჯგუფში შედიოდნენ.

1901-1903 წლებში რსდმპ შექმნის გზაზე დიდი წარმატება იქნა მოპოვებული. გაზეთი „ისკრა" გულმოდგინებით ამზადებდა ნიადაგს საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის. ამ პროცესში ჩართული იყო საქართველოც. კერძოდ, გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი (იოსებ ჯუღაშვილი და მისი მომდევრები) თითქმის მთლიანად აღიარებდა გაზეთ „ისკრის" პლატფორმას.

რსდმპ II ყრილობის წინა ხანებში (1903 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში) თბილისში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, არჩილ დოლიძე, დავით კაპანაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, სიმონ ჯაფარიძე, ვლადიმერ ბურკაძე, გედეონ ჩიჩუა, სიმონ ტოროშელიძე, გრიგოლ პარკაძე, ნოე რამიშვილი, არშაკ ზურაბოვი და სხვ. ჟანდარმერიას ჰქონდა ცნობები, რომ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას თბილისში ხელმძღვანელობდა სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბათუმელ სოციალ-დემოკრატთა შორისაც. სილიბისტრო ჯიბლაძესთან ერთად რსდმპ თბილისის ორგანიზაციის საქმიანიობაში ნამყვან როლს ასრულებდნენ: არჩილ დოლიძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, სიმონ ჯაფარიძე და ნოე რამიშვილი. მოწინავე მუშებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნებისა და თბილისის დეპოს მუშები: გიორგი მარსაგიშვილი, ივანე დურგლიშვილი, ალექსანდრე საღირიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ესტატე ოკუჯავა, ბიკენტი დავნოსოვი, მიხაილ სერგაჩი, ლეონტი ზოლოტარევი, იგნატ ლუნევსკი, ალფეს ყიფიანი, აბრამ მიქაძე და სხვ. 1903 წლის დამდეგიდან რუსეთიდან საქართველოში ჩამოდის სოციალ-დემოკრატთა ახალი ნაკადი. 1903 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ: კლავდია ფრანჩესკი და კიდევ რამდენიმე იმხანად ნაკლებად ცნობილი სოციალ-დემოკრატი. მათთან მჭიდრო კავშირში იყვნენ ევგენია გოლოვენკო, ლიდია ლოკი, დიმიტრი ბლოკი, ილია ივანოვი და სხვ. 1903 წლის 12 მარტს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში შედგა თბილისში მოღვაწე სოციალ-დემოკრატების სია, რომელთა დაპატიმრება ჟანდარმერიას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ამ სიაში შეიყვანეს ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები: სილიბისტრო ჯიბლაძე, კლავდია ფრანჩესკი, არჩილ დოლიძე, დავით კაპანაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, სიმონ ჯაფარიძე, ვლადიმერ ბურკაძე, გედეონ ჩიჩუა, სიმონ ტოროშელიძე, გ. კაპანაძე, არშაკ ზურაბოვი, ნოე რამიშვილი, პროკოფი ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, ლიდია ბლოკი, ს. მათეშვილი და სხვები, სულ 35 კაცი; მუშა სოციალ-დემოკრატები: გიორგი მარსაგიშვილი, ივანე დურგლიშვილი, ესტატე ოკუჯავა, ლეონტი ზოლოტარევი, მიხაილ სერგაჩი, ალფეს ყიფიანი, აბრამ მიქაძე და სხვები, სულ 18 კაცი. 1903 წლის 24-25 მარტს ღამით ჟანდარმერიამ დააპატიმრა 14 სოციალ-დემოკრატი: სილიბისტრო ჯიბლაძე, არჩილ დოლიძე, სიმონ ჯაფარიძე, პროკოფი ჯუღელი, სევერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, ს. ახმეტელაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, თ. ჩუჩია, ს. მათეშვილი, ი. ბოლქვაძე, მ.

ლიაპინი, ი. იაკიმოვი, იგნატ ლუნევსკი.

1903 წლის გაზაფხულისათვის, როგორც ჩანს, რსდმპ თბილისის კომიტეტს ფაბრიკა-ქარხნებში და სანარმოებში ორგანიზაციების ფართო ქსელი უნდა ჰქონოდა. ამის შესახებ ცნობები ჟანდარმერიას საკმაოზე მეტი გააჩნდა. თბილისში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროს 1903 წლის აპრილის ანგარიში. 1903 წლის აპრილის თვეში სალაროს შემოსავალი შეადგენდა 1.024 მანეთს და 14 კაპიკს, სულ კი მარტის თვის ნაშთთან ერთად სალაროში იყო 2.576 მანეთი და 38 კაპიკი. აპრილის თვის გასავალმა შეადგინა 748 მანეთი და 19 კაპიკი. ეს საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობას 1903 წლის იანვრიდან კვლავ ხელმძღვანელობდა პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იოსებ ჯუღაშვილი. 1903 წლის იანვარში რსდმპ ბათუმის კომიტეტში მოხდა განხეთქილება: იოსებ ჯუღაშვილს ოპოზიციაში ჩაუდგნენ კომიტეტის წევრები. ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისიდან ბათუმში ჩავიდა სილიბისტრო ჯიბლაძე და დაპირისპირებული მხარეები შეარიგა.

1902-1903 წლებში ჟანდარმერია ყოველ ღონეს ხმარობდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის კვალის მიგნების მიზნით, მაგრამ ამაოდ. 1903 წლის 27 აპრილს თბილისიდან მიღებული მითითების თანახმად, ბათუმში გაჩხრიკეს სოციალ-დემოკრატების ალექსანდრ შატილოვისა და ევგენი სოლორაშვილის ბინები, მაგრამ დაპატიმრებისათვის აუცილებელი ნივთმტკიცება ჟანდარმერიამ ვერ იპოვა.

1903 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ბათუმში აქტიურ მუშაობას ეწევიან ისიდორე რამიშვილი და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. მათი როლი განსაკუთრებით გაიზარდა იოსებ ჯუღაშვილის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ. სწორედ ისიდორე რამიშვილისა და კარლო ჩხეიძის დამსახურება იყო ის, რომ 1903 წლის მაისში რსდმპ ბათუმის კომიტეტმა რსდმპ II ყრილობის მომწვეე საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ბათუმის კომიტეტი ამით აცნობებს საორგანიზაციო კომიტეტს, რომ რსდმპ კავკასიის კავშირი შეიქმნა სულ ცოტა ხნის წინ, მას არა აქვს შემუშავებული წესდება, იმყოფება ფორმირების სტადიაში და ამდენად, არა აქვს რწმუნება, ყრილობაზე წარმოადგენდეს კავკასიის მოძრაობას, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტიდან კავკასიის კავშირს მინიჭებული აქვს უფლება, იყოს წარმომადგენელი მორიგ ყრილობაზე. კავშირის კომიტეტი ჯერჯერობით ტექნიკურ სამუშაოს ხელმძღვანელობს და ამდენად იგი, როგორც პარტიულ საქმეში ოფიციალური წარმომადგენელი, არ არსებობს".

რსდმპ II ყრილობის მოწვევის იდეისადმი საქართველოში სამი ძალა გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას: პირველი – „მესამე დასი", ანუ გაზეთ „კავკასის" ბანაკი (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვ.); მეორე – რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები (ვიქტორ კურნატოვსკი, პოლიტ ფრანჩესკი და სხვ.); მესამე – „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი" – „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი", ანუ გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი (იოსებ ჯუღაშვილი, ვლადიმერ კეცხოველი, აბელ ენუქიძე, გიორგი თელია და სხვ.).

„მესამე დასი" და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებისა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თაედაპირველად არ აღმოცენებულან როგორც რსდმპ ორგანიზაციები. მართალია, „მესამე დასი" ვერ ამაღლდა საერთო-ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამდე, მაგრამ ეს ორგანიზაცია 1898-1903 წლებში (რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნამდე) ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მთელი საქართველოს მასშტაბით. ქართული სოციალ-დემოკრატია ვითარდებოდა, როგორც რუსული სოციალ-დემოკრატიისაგან იდეურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი მიმდინარეობა. ეს იყო „მესამე დასის" პრინციპული ხაზი. ნოე ჟორდანიას სურვილი რომ ჰქონოდა, მას ჯერ კიდევ 1893-1897 წლებში შეეძლო, „მესამე დასი" დაეკავშირებინა გეორგი პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფთან და ლენინ-მარტოვის „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან". მისთვის ასევე არ წარმოადგენდა სირთულეს, „მესამე დასი" დაეკავშირებინა გაზეთ „ისკრის" რედაქციასთან და აქტიური მონაწილეობა მიეღო რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის დაწყებულ მუშაობაში. ეს ნაბიჯი ნოე ჟორდანიამ არ გადადგა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, „მესამე დასი" არ იზიარებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (პლეხანოვის, ლენინის, მარტოვისა და სხვ.) თეორიასა და პრაქტიკას, და მეორეც, „მესამე დასს" არ სურდა, ათქვეფილიყო რუსულ სოციალ-დემოკრატიაში, დაეკარგა დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსი. ცხადია, ასეთ ვითარებაში ნოე

ჟორდანია და საერთოდ, „მესამე დასი" მხარს ვერ დაუჭერდა რსდმპ II ყრილობის მონაწილეს, რომლის მიზანი რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება იყო. „მესამე დასის" პოზიცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სწორედ ამიტომ პლეხანოვი, ლენინი, მარტოვი და სხვები არ ცდილან, კავშირი დაემყარებინათ „მესამე დასთან". რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა საქართველოში სხვა ძალებზე აიღეს ორიენტაცია.

რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები (ვიქტორ ჯუნკოვსკი, იპოლიტ ფრანჩესკი და სხვ.) ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანების იდეას. ეს არც იყო მოულოდნელი. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთიდან ჩამოსული და საქართველოში მოღვაწე სოციალ-დემოკრატები ან პლეხანოვის „შრომის გათავისუფლების" ჯგუფის, ან ლენინი–მარტოვის „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლების ბრძოლის კავშირის" პლატფორმას იზიარებდნენ და ამდენად, გაზეთ „ისკრის" მიერ ნამოყენებული იდეები მათთვის სავსებით მისაღები იყო.

„რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი" – „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი", ანუ გაზეთ „ბრძოლის" ბანაკი – თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც გაზეთ „ისკრის" პლატფორმაზე მდგარი მიმდინარეობა და 1901 წლის სექტემბრიდან დაწყებული ვიდრე რსდმპ II ყრილობის მოწვევამდე (1903 წლის იულისი) ამ პლატფორმისათვის არ უღალატია. სწორედ ეს მიმდინარეობა თელიდა აუცილებლად ქართული სოციალ-დემოკრატიის შესვლას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შემადგენლობაში. მანვე შეასრულა გადამწყვეტი როლი ამ იდეის ხორცშესხმაში. ქართული სოციალ-დემოკრატია რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი უნდა გამხდარიყო, ამის შესახებ სავსებით გარკვევით მიუთითა იოსებ ჯუღაშვილმა გაზეთ „ბრძოლის" 1901 წლის პირველი ნომრის მონინავეში – „რედაქციისაგან" და იმავე წელს „ბრძოლის" №2-3 გამოქვეყნებულ წერილში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი ამოცანები". ეხება რა გაზეთ „ბრძოლის" დანიშნულებას, იოსებ ჯუღაშვილი წერს: „გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია". ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი ამოცანები" იოსებ ჯუღაშვილი არც კი გამოყოფს ქართულ სოციალ-დემოკრატიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან. ნაშრომის ერთ-ერთ დასკვნაში ვკითხულობთ: „(...) სოციალ-დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა, ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით".

ზემოთ დასახელებული სამი პოლიტიკური ძალიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „მესამე დასისა" (გაზეთ „კვალის" ბანაკის) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" – „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირის" (გაზეთ „ბრძოლის" ბანაკის) პოზიციას. სწორედ მათ იდეურ დაპირისპირებაში უნდა გარკვეულიყო ქართული სოციალ-დემოკრატიის მომავალი.

„მესამე დასისა" (ნოე ჟორდანია) და „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის" – „ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირის" (იოსებ ჯუღაშვილის) დაპირისპირება 1901-1903 წლებში მარტო სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული წინააღმდეგობებით ვერ აიხსნება. არ შეიძლება მისი დაყვანა არც ისკრელებისა და ანტიისკრელების დაპირისპირებამდე, არც მომავალ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის იმთავითვე (1901-1903 წწ.) არსებულ უთანხმოებამდე. ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს შორის არსებული უთანხმოება ძირითადად განპირობებული იყო ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხით. როცა ნოე ჟორდანია „მესამე დასის", როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, შენარჩუნების იდეას იცავდა და წინააღმდეგი იყო თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რსდმპ ორგანიზაციად გამოცხადებისა, ამით იგი გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციას ემხრობოდა. როცა იოსებ ჯუღაშვილი ქართულ სოციალ-დემოკრატიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და თავგამოდებით იბრძოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანებისათვის, ამით ისიც სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდა. **ნოე ჟორდანია და იოსებ ჯუღაშვილი ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე მხოლოდ რსდმპ II ყრილობის შემდეგ, კერძოდ, 1904**

წელს შეთანხმდნენ. თუ გულდასმით შეეცადარებთ ერთმანეთს იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომს „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" (1904 წ.) და ნოე ჟორდანიას „ქართველი ნაციონალისტები" (1904 წ.), აშკარა გახდება, რომ ნოე ჟორდანიამ იმ პოლიტიკურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი, რომელსაც 1901-1903 წლებში თაეგამოდებით იცავდა იოსებ ჯუღაშვილი. ორივე ქართველი სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან აშკარად გამოკვეთილ პრორუსულ პოლიტიკურ კურსს ალიარებს. ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილის უთანხმოებამ რსდმპ II ყრილობის შემდეგ უკვე სხვა შინაარსი შეიძინა. ეს უთანხმოება მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის არსებული დაპირისპირებით იყო განპირობებული.

1901-1903 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანების მომხრეებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს: 1. გაზეთი „ბრძოლის" გამოცემა; 2. თბილისისა და ბათუმის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამოცხადება რსდმპ ორგანიზაციებად; 3. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. სამივე მოვლენა ამავე დროს „მესამე დასისათვის" ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა. ამ საკითხებზე ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

„მესამე დასს" სხვა აღარა დარჩენოდა რა, საკუთარი იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის მარცხს უნდა შეგუებოდა და შექმნილი ვითარების მიხედვით ემოქმედა. რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას 1903 წლის მარტიდან სათაეში ჩაუდგა რსდმპ კავკასიის კავშირი და მისი ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა". „მესამე დასი" და მისი ორგანო გაზეთი „კვალი" უკვე აღარ განსაზღვრავდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის სახეს. უფრო ზუსტად, გაზეთი „კვალი" ჯერ კიდევ გამოდიოდა, მაგრამ „მესამე დასი" ველარ ასრულებდა საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუნქციას.

როგორც აღვნიშნეთ, რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ყრილობის მოწვევის მიზნით შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტს და საერთოდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, რა თქმა უნდა, სურდათ, ქართული სოციალ-დემოკრატიისაგან ყრილობაზე მათთვის სასურველი დელეგატები მოხვედრილიყვნენ. ცხადია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ამის თაობაზე სათანადო მითითებასაც მიიღებდა. გაზეთ „ისკრის" პლატფორმის ყველაზე აქტიური დამცველები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის ყოველმხრივ მისაღები ორი გამორჩენილი სოციალ-დემოკრატი – იოსებ ჯუღაშვილი და ვლადიმერ კეცხოველი – ყრილობის დელეგატების არჩევნების დროისათვის საპყრობილეში იმყოფებოდა. ეს ძალზე ართულებდა მდგომარეობას. ადვილი არ იყო სასურველი დელეგატების შერჩევა. საქართველოდან რსდმპ II ყრილობის დელეგატების არჩევის უფლება რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტებს მიენიჭათ. რსდმპ თბილისის კომიტეტის მანდატი დიომიდე თოფურიძემ, ხოლო რსდმპ ბათუმის კომიტეტისა – არშაკ ზურაბოვმა მიიღო. ეს იყო სრულიად მოულოდნელი რამ. დიომიდე თოფურიძე, მართალია, მესამედასელი იყო და გაზეთ „კვალშიც" აქტიურად თანამშრომლობდა, მაგრამ იგი ქართული სოციალ-დემოკრატიის ელიტას არ მიეკუთვნებოდა, არც თეორიული და არც პრაქტიკული მოღვაწეობით თავი არასოდეს გამოუჩენია. დიომიდე თოფურიძე არაოფიციალური პარტიული რეიტინგითაპირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდებოდა და ამდენად, მას არ შეეძლო, წარმოეჩინა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სოციალ-დემოკრატია, დაეცვა „მესამე დასის" სტრატეგია და ტაქტიკა. რაც შეეხება არშაკ ზურაბოვს, მას, როგორც სოციალ-დემოკრატს, არავითარი კავშირი არ ჰქონია ბათუმის ორგანიზაციასთან, ბათუმის მუშათა მოძრაობასთან. არშაკ ზურაბოვი იმდენად ჩაუხედავი იყო რსდმპ ბათუმის კომიტეტის საქმიანობაში, რომ ყრილობისადმი წარდგენილი „რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება" ისიდორე რამიშვილმა და კარლო ჩხეიძემ დაწერეს. ცხადია, არშაკ ზურაბოვი ყრილობაზე ქართულ სოციალ-დემოკრატიას ვერ წარმოაჩენდა, მის ინტერესებს ვერ დაიცავდა. სწორედ ასეთი დელეგატი იყო სასურველი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისათვის, უფრო ზუსტად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისათვის. რსდმპ II ყრილობის დელეგატების არჩევნებისას აშკარა გახდა, თუ რა წინდახედულად მოქმედებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, როცა რსდმპ კავკასიის კავშირს ქმნიდნენ. კავკასიის კავშირის კომიტეტი რომ არ არსებულიყო და ყრილობის დელეგატები რსდმპ თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციებში (კომიტეტებში) აერჩიათ, ცხადია, არშაკ ზურაბოვს ბათუმში დელეგატად არავინ აირჩევდა, საეჭვოა, თბილისშიც დელეგატად დიომიდე თოფურიძე გასულიყო. კავკასიის კავშირის კომიტეტმა კი დელეგატები, ფაქტობრივად, დანიშნა, თბილისისა და ბათუმის კომიტეტების აზრი არც კი გაუთვალისწინებია. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სამართლიანად რომ ემოქმედა და ყრილობის დელეგატების შერჩევისას ობიექტურობა გამოეჩინა, II ყრილობის დელეგატის

მანდატი უნდა მიეღოთ ისეთ ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, როგორებიც იყვნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ელადიმერ დარჩიაშვილი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე ნულუკიძე და სხვ.

მართალია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს ზურგს უმაგრებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, გაზეთი „ისკრა", მაგრამ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მაინც მიაღწია იმას, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტი ზოგიერთ დათმობაზე წავიდა. კერძოდ, კავკასიის კავშირის კომიტეტმა ნოე ჟორდანიას დაავალა, დაეწერა **„პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით"**. ეს უკვე აღარ შედიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა გეგმებში. მათ სულაც არ სურდათ, ყრილობაზე ზედმეტი თავსატეხი გასჩენოდათ. საკუთარი პროგრამის პროექტი საშუალებას იძლეოდა, ქართული სოციალ-დემოკრატია ჯეროვნად ნარმდგარიყო ყრილობაზე, თავისი აზრი გამოეთქვა პარტიის პროგრამის შესახებ. ნოე ჟორდანიამ პარტიის პროგრამის პროექტი მართლაც შეადგინა. ეს იყო უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. მისი შინაარსი ჩვენთვის მხოლოდ ნოე ჟორდანიას მემუარებითაა ცნობილი:„პროგრამა იყო გვარიან ვრცელი – დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებათ დაყოფილი. ნაციონალურ საკითხში მქონდა ნამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერკავკასიის თვითმმართველობა პარლამენტით თბილისში". შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით". კავკასიის კავშირის კომიტეტმა ისარგებლა იმით, რომ მალე ნოე ჟორდანია, სასჯელის თავიდან აცილების მიზნით (სამი წლით გადასახლება ვიატკის გუბერნიაში), ემიგრაციაში წავიდა და მის მიერ შემუშავეული პროგრამის პროექტი უარყო. ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტის ნაცვლად მიღებული ახალი ვარიანტი ძირითადად ეთანხმებოდა გაზეთ „ისკრის" მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტს.

შემთხვევის ნყალობით, ნოე ჟორდანიამ მაინც მოახერხა მონანილეობა მიეღო რსდმპ II ყრილობის მუშაობაში. ქართულ სოციალ-დემოკრატიას საშუალება მიეცა, შეძლებისდაგვარად გამოეთქვა თავისი შეხედულება ყრილობის მიერ განხილულ საკითხებზე.

ამრიგად, ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობაზე წარსდგა და მონანილეობა მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამისა და წესდების განხილვასა და დამტკიცებაში.

2. ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა გაიხსნა 1903 წლის 17(30) იელისს. ყრილობა 24 იელისამდე (6 აგვისტომდე) მუშაობდა ბრიუსელში, შემდეგ, ბელგიის პოლიციის მოთხოვნით, დატოვა ბრიუსელი და გადავიდა ლონდონში. ყრილობამ ლონდონში მუშაობა განაახლა 29 იელისს (11 აგვისტოს) და გასტანა 10(23) აგვისტომდე. ყრილობას ესწრებოდა 43 დელეგატი 51 ხმით 26 სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან. აქედან 33 ხმა ეკუთვნოდათ გაზეთ „ისკრის" მიმართულების მომხრეებს (24 ხმა ვლადიმირ ლენინის მიმდევრებს, 9 ხმა – ლეე მარტოვის მიმდევრებს), 8 ხმა – „ისკრის" მიმართულების მოწინააღმდეგეებს (5 ხმა ჰქონდათ ბუნდელებს, 3 ხმა – „ეკონომისტებს"), დანარჩენი 10 ხმა ცენტრისტულ პოზიციაზე მდგარ დელეგატებს ეკუთვნოდათ. ყრილობის დღის წესრიგში იდგა 20 საკითხი, რომელთაგან უმთავრესი იყო: ბუნდის ადგილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, პარტიის პროგრამა, პარტიის ორგანიზაცია, ეროვნული საკითხი, ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევნები, პარტიის საბჭოს არჩევნები.

საქართველოდან (რსდმპ თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციებიდან), როგორც აღვნიშნეთ, ყრილობაზე დელეგატებად იყვნენ დიომიდე თოფურიძე და არშაკ ზურაბოვი. მათ 1903 წლის 23 იელისს ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე სათათბირო ხმით დაემატა ნოე ჟორდანია. ამრიგად, საბოლოოდ ქართული სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სამი დელეგატით: დიომიდე თოფურიძე (პარტიული მეტსახელი „კარსკი"), არშაკ ზურაბოვი (პარტიული მეტსახელი „ბეკოვი") და ნოე ჟორდანია (პარტიული მეტსახელი „კოსტროვი"). დიომიდე თოფურიძესა და არშაკ ზურაბოვს გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ, ნოე ჟორდანიას – სათათბირო.

ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიწევდა შემდეგ ეითარებაში მოხდა. ყრილობის გახსნის მომენტისათვის იგი ემიგრაციაში (შვეიცარიაში) იმყოფებოდა. ენენევაში მან გეორგი პლეხანოვის მეუღლისაგან შეიტყო, რომ ბრიუსელში მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობა, რომელზედაც იგი სათათბირო ხმით მიუწვევიათ დელეგატად. ნოე ჟორდანიას მიწევდის საკითხი ყრილობის მეოთხე სხდომაზე, 1903 წლის 19 იელისს, დააყენეს რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ არჩეულმა დელეგატებმა. ლეე

მარტოვმა (იული ცედერბაუმმა) შეიტანა წინადადება, რომ ნოე ჟორდანიას მიწვევის საკითხი განეხილა საორგანიზაციო კომიტეტს. ვლადიმირ პოპოვმა (როზანოვმა) ყრილობას მოახსენა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს ყრილობის შემადგენლობის დადგენის შემდეგ უფლება არ ჰქონდა, შეეცვალა იგი. ამის საპასუხოდ დიომიდე თოფურიძემ, ითვალისწინებდა რა ნოე ჟორდანიას დიდ დამსახურებას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში, ყრილობაზე განაცხადა: თუ საორგანიზაციო კომიტეტს უფლება არა აქვს, მოახდინოს ყრილობის შემადგენლობის ცვლილება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მან (ყრილობამ – ვ. გ.) დაკარგოს მეხსიერება“. თოფურიძის ასეთი მწვავე გამოსვლის შემდეგ დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ყრილობაზე სათათბირო ხმით ნოე ჟორდანიას მიწვევას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე გამოცხადდა 1903 წლის 23 ივლისს.

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ რსდმპ II ყრილობაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის წინაშე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. ნოე ჟორდანია იგონებს: „გაიხსნა ყრილობა. გამოჩნდა ისეთი ატმოსფერო, რომ თფილისელებმა ვერ გაბედეს თავისი პროგრამის არამც თუ წარდგენა, გამოჩენაც კი“. ნოე ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა კავკასიის კავშირის მიერ შემუშავებული რსდმპ პროგრამის პროექტი, რომელიც ნოე ჟორდანიას პროექტის დანუნების შემდეგ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, ყრილობის მთელ მუშაობაში ქართველმა დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

1903 წლის 17 ივლისს ყრილობის პირველსავე სხდომაზე **დიომიდე თოფურიძე** ლევ მარტოვის წინადადებით არჩეულ იქნა იმ კომისიაში, რომელსაც უნდა დაენიშნა მომხსენებლები განსახილველ საკითხებზე. კომისიაში დიომიდე თოფურიძის გარდა არჩეულ იქნენ: **ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი), ალექსანდრ მარტინოვი (საულ პიკერი), ლევ მარტოვი (იული ცედერბაუმი), პაველ აქსელროდი, მ. ფრანკი (გალბერშტადტი), მიხაილ ლიბერი (გოლდმანი).**

საქართველოს სოციალ-დემოკრატთა პირველი ღირსშესანიშნავი გამოსვლა ყრილობაზე შედგა ბუნდის საკითხთან დაკავშირებით. მომხსენებელი ამ საკითხზე იყო მიხაილ ლიბერი. ბუნდს არ სურდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ჩვეულებრივი ტერიტორიული ორგანიზაციის უფლებით შესვლა და ითხოვდა ავტონომიას პარტიის შიგნით. არ დაეთანხმა რა ლიბერის მოხსენების არსს, დიომიდე თოფურიძემ ყრილობაზე განაცხადა: „ბუნდს სურს იყოს წარმომადგენელი არა მარტო ებრაელი პროლეტარიატის იმ ნაწილისა, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ლაპარაკობს ჟარგონზე, არამედ სურს, იყოს ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ებრაელი პროლეტარიატისა, მთლიანობაში აღებული. ამრიგად, ბუნდის მოღვაწეობის რაიონია ყველგან, სადაც კი ცხოვრობენ მუშები, რომლებიც მიეკუთვნებიან ებრაელ ეროვნებას“. თოფურიძის ასეთი შეხედულება მთლიანად ეთანხმებოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის (პლეხანოვის, ლენინის) შეხედულებას. რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური სალაროდან იყო აღებული თოფურიძის სიტყვები, თქმული ლიბერის პოზიციის შეფასების მიზნით: „ასეთი შეხედულება არის ნაციონალისტური და არა ინტერნაციონალისტური“. თოფურიძემ, როცა მის შენიშვნაზე ლიბერის დასაბუთებული პასუხი მოისმინა, ორგზის აიღო სიტყვა და კვლავ გაიმეორა პირველ გამოსვლაში ბუნდის მიმართ ნაყენებული ბრალდება – ნაციონალიზმისადმი მხარდაჭერა. განსაკუთრებით დიდი სამსახური რუსული სოციალ-დემოკრატიის მესვეურთ თოფურიძემ გაუწია თავისი გამოსვლის ბოლოს გაკეთებული დასკვნით: „მე მაკვირვებს ბუნდის მოთხოვნა – შეადგენდეს სახელმწიფოს სახელმწიფოში. ხომ არ ვთხოულობთ ჩვენ, ქართველები, სომხები და ა. შ. განსაკუთრებულ ქართულ, სომხურ და სხვ. ორგანიზაციებს. ეს ჩვენ ხელს არ გვიშლის, ვიმუშაოთ რსდმპ რიგებში, ვიმუშაოთ წარმატებით“. თოფურიძემ თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „ყოველნაირი ნაციონალისტური ცრურწმენა ჩვენთან, კავკასიაში, ძირშივე აღმოიფხვრება“. აღსანიშნავია, რომ ამ სხდომას ნოე ჟორდანია არ ესწრებოდა. რაც შეეხება არშაკ ზურაბოვს და ბოგდან კნუნიანცს (დელეგატს ბაქოს ორგანიზაციიდან), მათაც მიუღებლად მიიჩნიეს და რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან გააკრიტიკეს ლიბერის მოხსენებაში წარმოდგენილი დასკვნები. ბუნდელებმა ზურაბოვს მიუთითეს, რომ მან თბილისში სომეხი ეროვნების სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად შექმნა „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“, რომელიც ბუნდის ტიპის ორგანიზაციას წარმოადგენდა. ზურაბოვმა თავის დახსნის მიზნით, ყრილობა მოატყუა, როცა განაცხადა: „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი არც არსებულა და არც არსებობს“. ცხარე პოლემიკის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში“, რომელშიც აღნიშნულია: „რსდმპ II ყრილობა გამოთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ებრაელ და რუს პროლეტარიატს შორის ორგანიზაციული ურთიერთობის

ფედერაციის საწყისებზე გარდაქმნა არსებითი დაბრკოლება იქნებოდა სხვადასხვა რასის შეგნებულ პროლეტართა უფრო სრული ორგანიზაციული დაახლოებისათვის და აუცილებლად უდიდეს ზიანს მიაყენებდა საერთოდ მთელი რუსეთის და, კერძოდ, ებრაელი პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ, გადაჭრით უარყოფს რა, როგორც პრინციპულად უდავოდ შეუწყნარებელს, ფედერაციული ურთიერთობის ყოველგვარ შესაძლებლობას რსდმპ და ბუნდს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს შორის". **ასეთი რეზოლუციის მიღება რუსული სოციალ-დემოკრატიის სრულ გამარჯვებას ნიშნავდა. ამავე დროს ეს იყო „მესამე დასის" მიმართულების დამარცხება.** რუსული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებას, სამწუხაროდ, რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატებმაც და კერძოდ, დიომიდე თოფურიძემაც შეუწყვეს ხელი.

მნიშვნელოვანია დიომიდე თოფურიძის გამოსვლა ყრილობის მეცხრე სხდომაზე, როცა პარტიის პროგრამის შესახებ დისკუსია მიმდინარეობდა. იგი თავის გამოსვლაში ორ საკითხს შეეხო: 1. სტიქიურობისა და შეგნებულობის შესახებ მუშათა მოძრაობაში; 2. პარტიის დამოკიდებულება მუშათა კლასთან. პირველ საკითხში თოფურიძემ მთლიანად დაუჭირა მხარი იმ დასკვნას, რომელიც ლენინს ჰქონდა მოცემული ნაშრომში „რა ვაკეთოთ?" (1902 წ.) და რომელსაც იგი თავგამოდებით იცავდა ყრილობაზე. თოფურიძემ აღნიშნა, რომ მუშათა კლასი თავისთავად, სტიქიურად ვერასოდეს ვერ მივა მეცნიერული სოციალიზმის შეთვისებამდე, რომ მეცნიერულ სოციალიზმს მუშათა კლასი ეზიარება ინტელიგენციის მეშვეობით. თოფურიძე არ დაეთანხმა ვ. აკიმოვს (მახნოვეცს), რომლის აზრითაც პარტია არ უნდა დაეყენებინათ მუშათა კლასზე მაღლა. თოფურიძემ განაცხადა: „საკითხის ასე დაყენება მე მეჩვენება არასწორად და უადგილოდ. მუშათა კლასიდან გამოიყოფა მებრძოლი, შეგნებული ნაწილი – პარტია, რომელიც ნარმოადგენს სოციალისტური იდეალების მატარებელს და მეგზურს, და როგორც ასეთი, პარტია არ შეიძლება არ იდგეს „მუშათა კლასზე" მაღლა იმდენად, რამდენადაც შეგნებული ნაწილი ითვლება შეუგნებელი ნაწილის ხელმძღვანელად". ეს დასკვნაც ლენინის ერთ-ერთი ძირითადი დებულება გახლდათ.

ყრილობაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციის დაცვისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა გაზეთ „ისკრის" როლის შეფასების საკითხი. „ისკრა" ხომ პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებს იცავდა, თუმცა ეს პრინციპები ხშირად მიუღებელი იყო არარუსი ერების სოციალ-დემოკრატიისათვის. დელეგატებმა „იუჟნაი რაბოჩის" ჯგუფიდან, ასევე დელეგატებმა სხვა ორგანიზაციებიდან, მათ შორის დიომიდე თოფურიძემ, ბოგდან კნუნიანცმა და არშაკ ზურაბოვმა ყრილობაზე შეიტანეს რეზოლუციის პროექტები, რომელიც აღიარებდა:

„ა) „ისკრის" დამსახურებას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეური გაერთიანებისათვის, მისი პრინციპების განვითარებისა და დაცვის საქმეში და ამ პრინციპების ნიადაგზე ჩვენს პარტიაში ყოველგვარ ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან; აგრეთვე იმ მიმდინარეობებთან ბრძოლის საქმეში, რომლებიც ესწრაფვიან, ააცდინონ მუშათა კლასის მოძრაობა ერთადერთ სწორ გზას.

ბ) „ისკრის" როლს პრაქტიკული პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში.

გ) „ისკრის" ხელმძღვანელ როლს გამაერთიანებელ მუშაობაში. რსდმპ II ყრილობა აცხადებს „ისკრას" თავის ცენტრალურ ორგანოდ".

ამ რეზოლუციამ, რომლის მიღებაც რუსული სოციალ-დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებას ნიშნავდა, მიიღო 36 ხმა, ნინააღმდეგი აღმოჩნდა 2, თავი შეიკავა 9 დელეგატმა.

ნოე ჟორდანია, მართალია, ყრილობის მუშაობაში მეთორმეტე სხდომიდან (1903 წლის 23 ივლისიდან) მონაწილეობდა, მაგრამ პირველად ყრილობაზე მხოლოდ მეთექვსმეტე სხდომაზე გამოვიდა. იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის, კონკრეტულად კი, მისი საერთო პოლიტიკური ნაწილის შესახებ. პროგრამის ამ ნაწილის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიისათვის საოლქო თვითმართველობის უფლების მინიჭების საკითხმა. ლევ მარტოვმა თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „თემების თვითნებურ კავშირს ჩვენ ვერ დავიცავთ. მაგრამ რუსეთი უზარმაზარი სიერცეა და ჩვენ ცენტრალიზებული მართვის გამოცდილება გვაძლევს საბაბს იმისათვის, რომ აუცილებლად და მიზანშეწონილად მივიჩნიოთ საოლქო თვითმმართველობის არსებობა ისეთი მსხვილი ერთეულებისათვის, როგორიცაა ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია". გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, მარტოვი საჭიროდ თვლიდა პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფი ჩამოეყალიბებინათ შემდეგი რედაქციით: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ განაპირა მხარეებისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან საკუთრივ რუსული ტერიტორიისაგან". ეს ის პოზიცია იყო, რომელიც ნანილობრივ ეხმიანებოდა „მესამე დასის" მიმართულებას, კერძოდ,

ნოე ჟორდანიას შეხედულებებს. მარტოვი აშკარად დაუპირისპირდა როგორც პლეხანოვს, ისე ლენინს, რამაც ამ უკანასკნელების უკმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, მან უყოყმანოდ დაუჭირა მხარი მარტოვის ფორმულირებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნის პარტიის პროგრამაში შეტანას „ექნება ფართო სააგიტაციო მნიშვნელობა და პარტიაში მოიზიდავს ახალ ძალებს. ზოგიერთ ადგილას, მათ შორის ჩვენთან, კავკასიაში, საოლქო თვითმმართველობის იდეა ძალზე პოპულარულია“. ნოე ჟორდანიას კვალდაკვალ მარტოვის წინადადებას მხარი დაუჭირეს თოფურიძემ და კნუნიანცმა. თავის გამოსვლაში ბოგდან კნუნიანცმა აღნიშნა: საოლქო თვითმმართველობის შემოღება „მოგვცემს იარაღს ისეთი ნაციონალისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც, მაგალითად, ცოტა ხნის წინ იყო „საქართველო“ (იგულისხმებოდა არჩილ ჯორჯაძის რედაქტორობით პარიზში გამომავალი გაზეთი „საქართველო“– ვ.გ.). იგი საქართველოს ავტონომიას ითხოვდა ეროვნული კულტურის განვითარების მიზნით. მათ სურთ ყველა საზოგადოებრივი კლასის ეროვნული დროშის ქვეშ ორგანიზება. ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე მითითება, რომ ეროვნული კულტურის უზრუნველყოფა არ ეწინააღმდეგება მთელი რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს“. როგორც ვხედავთ, კნუნიანცი სოციალ-დემოკრატიის ამოცანად თელიდა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, მიაჩნდა რა ეს შეხედულებები მუშათა კლასისათვის საზიანოდ. საბოლოოდ, ლევ მარტოვის მიერ შემოთავაზებული პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფის რედაქციამ ლ. ტროცკის, გ. პლეხანოვის, ვ. მედემის (გრინბერგის) და სხვათა შესწორებათა გათვალისწინებით, ასეთი სახე მიიღო: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ტერიტორიისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან რუსულისაგან“. კენჭისყრის დროს პარტიის პროგრამის მესამე პარაგრაფის ზემოთ მოყვანილმა რედაქციამ მიიღო 29 ხმა, წინააღმდეგი იყო სულ რამდენიმე დელეგატი იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პლეხანოვმა და ლენინმა სერიოზული მარცხი განიცადეს, რაშიც ქართული სოციალ-დემოკრატების ნოე ჟორდანიასა და დიომიდე თოფურიძის წვლილიც იყო.

ეროვნული სოციალ-დემოკრატიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის პროგრამის პროექტის მეხუთე პარაგრაფის განხილვას. ეს პარაგრაფი პროექტში ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: „სინდისის, სიტყვის, პრესის, კრების, გაფიცვების და კავშირების შეუზღუდავი თავისუფლება“. მიხაილ ლიბერმა შეიტანა წინადადება, სიტყვა „პრესის“ შემდეგ დაემატებინათ სიტყვები „და ენების“. ამ წინადადებას დელეგატების ნაწილის სიცილი მოჰყვა. ლიბერმა განაგრძო: „თუმცა ამან (მ. ლიბერის წინადადებამ – ვ. გ.) მხიარული განწყობილება შექმნა, მაგრამ მე იგი პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. კომისიაში ამხ. ლენინმა წინადადება შემოიტანა, „ენებზე“ მითითება მეექვსე პუნქტში გადაგვეტანა. ასეთი გადატანა უადგილოდ გვეჩვენება, რადგან იდეენება არა მოქალაქე ენის გამოყენებისათვის, არამედ იდეენება თვით უფლება ენის გამოყენებისა, თითოეული მოქალაქის უფლება, ყოველ დანესებულებაში ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენისაგან განსხვავებით, შეეინროვებულია. მაგალითად, პოლონელები გერმანიაში სარგებლობენ სამოქალაქო თანასწორუფლებიანობით, მაგრამ ამავე დროს მათი ენა იდევნება“. ლევ მარტოვის აზრით, „ენების თავისუფლება“ ბუნდოვანი ცნება იყო, ხოლო რაც შეეხება „ყველა მოქალაქის თანასწორობას, ეს გულისხმობდა რომელიც გნებავს ენაზე თავისუფალი ლაპარაკის უფლებას“. მარტოვს არ დაეთანხმა დ. თოფურიძე. მან აღნიშნა: „მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება ძალზე აუცილებელია. ეს მნიშვნელოვანი უფლებაა და არა წვრილმანი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალწარმოებაში და ადგილობრივ დანესებულებებში“. ლიბერის შესწორება რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების მომხრეების მიერ დიდი უმრავლესობით იქნა უარყოფილი. საბოლოოდ მეხუთე პარაგრაფი ასეთი რედაქციით შევიდა პარტიის პროგრამაში: „სინდისის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდავი თავისუფლება“. **ამრიგად, ენების საკითხმა პარტიის პროგრამის მეხუთე პარაგრაფში ასახვა ვერ ჰპოვა, რაც რუსეთის იმპერიაში შემავალი რიცხვით მცირე ერების უფლებათა შელახვას მოასწავებდა.**

ენების საკითხი კვლავ დადგა ყრილობის მეთექვსმეტე სხდომაზე, როცა იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფის შესახებ. პროექტი ამ პარაგრაფის ასეთ ფორმულირებას იძლეოდა: „ნოდებათა მოსპობა და ყოველი მოქალაქის სრული თანასწორობა, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა“. მიხაილ ლიბერმა მიუღებლად მიიჩნია სიტყვა „ენისა“ ყოფილიყო ამ პარაგრაფში და მოითხოვა ენის შესახებ ცალკე პარაგრაფის გამოყოფა. ლიბერს მხარი დაუჭირეს ვ.მედემმა და სხვებმა. ლევ მარტოვი, ფაქტობრივად, ვ. მედემის

შესწორების წინააღმდეგ ვაჟიდა. მ. ლიბერის წინადადების დაცვის მიზნით ი. ლეჟავა (მოშინსკი) ყრილობაზე განაცხადა: „მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ჩვენს პროგრამაში დავსვით საკითხი ენის შესახებ, მოვიშორეთ ყოველგვარი ვარაუდი რუსიფიკატორობაზე, რაშიც შეიძლებოდა სოციალდემოკრატები ეჭვმიტანილნი ყოფილიყვნენ". ლიბერის შესწორებამ მიიღო 17 ხმა, წინააღმდეგი იყო 23. შემდეგ კენჭი უყარეს ლ. ლენსკის (ვილენსკის) შესწორებას. ლენსკი ყრილობას მეშვიდე პარაგრაფის ასეთ რედაქციას სთავაზობდა: „უფლება ყოველი მოქალაქისა, თავის ენაზე მისცეს ახსნა-განმარტება ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებაში, სკოლებში(...)" ლ. ლენსკის შესწორება უარყვეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ე. ეგოროვმა (ლეონიმა) ასეთი შესწორება წარმოადგინა: „ყველა ენის თანასწორობა, რომელიც არ გამორიცხავს სახელმწიფო ენის არსებობას". ე. ეგოროვის შესწორებამ მიიღო 22 ხმა, წინააღმდეგი იყო 24. სულ ბოლოს კენჭი უყარეს ნოე ჟორდანიას წინადადებას, იგი ასეთ შესწორებას სთავაზობდა ყრილობას: „ენების თანასწორობა ყველა სკოლაში, დაწესებულებასა და კრებებზე". ნოე ჟორდანიას შესწორებამ მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგი იყო 23. ამრიგად, საბოლოოდ ნოე ჟორდანიას შესწორება იქნა მიღებული. აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანიას შესწორების წინააღმდეგ ხმა მისცეს გეორგი პლეხანოვმა, ვლადიმირ ლენინმა (ულიანოვმა), ლევ მარტოვმა (ცედერბაუმმა), როზალია ზემლიაჩკამ (ზალკინდმა), ნიკოლაი სოროკინმა (ბაუმანმა), მარტინ ლიადოვმა (მანდელშტამმა). ყრილობის შემდეგ, მეცხრამეტე, სხდომაზე კენჭი უყარეს მთლიანად პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფს. ნოე ჟორდანიას შესწორებამ საბოლოოდ 24 ხმა მიიღო, წინააღმდეგ გამოვიდა 24. დაისვა საკითხი: რა მოემოქმედათ? ლენინმა წინადადება შეიტანა, მეშვიდე პარაგრაფი მთლიანად გადაეცათ კომისიისათვის და თუ კომისია კვლავ ვერ დააკმაყოფილებდა ორიენე მხარეს, საკითხი გადაედოთ მომავალი ყრილობისათვის. მ. ლიბერი წინააღმდეგი იყო მეშვიდე პარაგრაფის კომისიისათვის გადაცემისა და თქვიდა, რომ, რადგან პარაგრაფის ცალკეული ნაწილები უკვე მიღებული იყო, მიღებულად ჩაეთვალათ მთელი პარაგრაფი. გიორგი პლეხანოვმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ პარაგრაფის ცალკეული ნაწილებისათვის კენჭისყრის შემდეგ აუცილებელია მთელი პარაგრაფისათვის კენჭისყრა. დიომიდე თოფურიძემ მიუღებლად ჩათვალა პარაგრაფის კომისიისათვის გადაცემა და მოითხოვა მისი მთლიანად ამოღება პროგრამის პროექტიდან. თოფურიძის ასეთი პოზიცია საბოლოოდ მაინც ლენინისათვის მხარის დაჭერას ნიშნავდა. პლეხანოვმა მოითხოვა, მეშვიდე პარაგრაფი დაეტოვებინათ პარტიის პროგრამაში, ხოლო ენის საკითხის გადაწყვეტა გადაედოთ შემდეგ ყრილობამდე. პლეხანოვმა აღნიშნა: „ეს საკითხი ჯერ არასაკმარისადაა მომწიფებული და საჭიროებს გამორკვევას პარტიულ პრესაში". ამრიგად, გეორგი პლეხანოვმაც ფაქტობრივად ლენინს დაუჭირა მხარი. გეორგი პლეხანოვის გამოსვლის საპასუხოდ დიომიდე თოფურიძემ განაცხადა, რომ იგი „შეურაცხმყოფლად თელის თვით ნინადადებას, რომ ისეთი მწვავე საკითხი, როგორიცაა საკითხი ენის შესახებ, ითვლება მოუმწიფებლად და შეუძლებელია მისი განმარტება ყრილობაზე". ვ. მედემმა და ვ. პოპოვმა მოითხოვეს ხელახალი კენჭისყრა. ნოე ჟორდანიას შესწორებით მთლიანად მეშვიდე პარაგრაფმა ხელახალი კენჭისყრის დროს მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგი იყო 25. მეშვიდე პარაგრაფი პროგრამის პროექტის შემუშავებელ კომისიას დაუბრუნდა, რასაც მხარი დაუჭირეს თოფურიძემ, ზურაბოვმა და კნუნიანცმა. საბოლოოდ მეშვიდე პარაგრაფი პარტიის პროგრამაში ამ სახით შევიდა: „წოდებათა მოსპობა და ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა". ამრიგად, გეორგი პლეხანოვმა, ვლადიმირ ლენინმა და მათმა მომხრეებმა მიაღწიეს იმას, რომ რსდმპ პროგრამის მეშვიდე პარაგრაფიდან ამოიღეს საკითხი ენის შესახებ.

საინტერესოა ნოე ჟორდანიას გამოსვლები აგრარულ საკითხთან დაკავშირებით. 31 ივლისს, ყრილობის მეცხრამეტე სხდომაზე, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „მე სრულიად ვეთანხმები აგრარული პროგრამის პროექტის ძირითად ნაწილებს. ჩვენთვის უდავოდ აუცილებელია ბატონყმური წყობილების გადმონაშთების მოსპობა, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი. ასე რომ, მე ამაზე კამათი არ მომიწევს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გლეხურმა ცხოვრებამ წამოსწია საკითხები, რომელიც ეხება არა მარტო ძველ წყობილებას, არამედ ახალსაც. ჩვენთან გლეხთა მოძრაობა დაიწყო არა იქ, სადაც ძლიერია ბატონყმობის გადმონაშთები, არამედ იქ, სადაც ისინი ძალიან სუსტია, მაგალითად, გურიაში. ცხადია, იგი შედგება არა მარტო ძველი ცხოვრებისა, არამედ ახლისაც. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოდერნიზებული გლეხები არიან, რომლებიც დგანან გლეხობის სათავეში და უბიძგებენ მათ ახალი გზისაკენ. მაშასადამე, უთხრა მათ, რომ რევოლუციამ უნდა აღმოფხვრას მხოლოდ გადმონაშთი, – ეს ნიშნავს, არაფერი უთხრა მათ. ისინი მოითხოვენ უფრო დიდს, ვიდრე ესაა და ალბათ რევოლუციის დროს

მიიტაცებენ მინას. როგორ მოიქცეთ ჩვენ ასეთ შემთხვევაში? ორიდან ერთი: ჩვენ ისინი ან უნდა დავაწყნაროთ, ან გამოვაცხადოთ: ჩემი ქოხი სულ განაპირაა. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვითამაშებთ რეაქციონერის როლს, მეორე შემთხვევაში – უბრალო მაყურებლის როლს, რევოლუცია კი მოხდა ჩვენი გვერდის ახლით".

მეორე გამოსელისას ნოე ჟორდანიამ მხარი დაუჭირა გეორგი პლეხანოვს, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეტად მნიშვნელოვან საკითხს: „გლეხთა მოძრაობა არა ძველი წყობილების გადმონაშთია, არამედ შედეგია ახალი სიოს ქროლვისა". ლენინი, რომლის ინიციატივითაც იყო შედგენილი პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილი, არ დაეთანხმა ნოე ჟორდანიას: „... უსუსურია ამბ. კოსტროვის სანინაალმდეგო აზრი. ჩვენ გეუბნებიან, რომ გლეხობა არ დაკმაყოფილდება ჩვენი პროგრამით, რომ იგი ნავა წინ. მაგრამ ჩვენ ამის არ გეშინია, ამისათვის ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური პროგრამა. სწორედ ამიტომ ჩვენ არ გეშინია მინის განაწილებისა, ასე რომ აშინებს ამხანაგებს მახოსა და კოსტროვს". თავისი პოზიცია აგრარულ საკითხში ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო დააკონკრეტა ვ. გორინის (გალკინის) გამოსელის საპასუხოდ ნარმოთქმულ სიტყვაში. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „ჩვენთან გლეხთა მოძრაობის სათავეში დგას ქვეყნის ყველაზე უფრო კულტურული ნაწილი, სახელდობრ, დასავლეთ საქართველო და კერძოდ, გურია. აქ არ არის საკითხი ჩამონაჭრების შესახებ, აქ სუსტია ბატონყმური გადმონაშთები, ეს მოძრაობა, გაფიცვების გამო ბათუმიდან გადმოსახლებული მუშების წყალობით, უახლესი იდეების ნიადაგზე აღმოცენდა. მოძრაობის სათაეში იდგნენ ჩვენი ამხანაგები. მათ დაიწყეს პროპაგანდა არა მარტო ბატონყმური გადმონაშთების მოსპობისათვის, არამედ მინის სოციალიზაციისათვის. მე ვიცი, მაგალითად, შემთხვევა, როცა ერთ თავყრილობაზე ერთმა უბრალო გლეხმა ნარმოთქვა სიტყვა მინაზე კერძო საკუთრების მოსპობისა და მისი სოციალიზაციის შესახებ. ერთი სიტყვით, ჩვენთან ბატონყმური ნყობილების ყველა გადმონაშთის მოსპობის პროპაგანდასთან ერთად, მიმდინარეობს სოციალიზაციის პროპაგანდა".

რსდმპ პროგრამის აგრარული ნაწილი საბოლოოდ ყრილობამ მაინც რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმიდან გამოშდინარე მიიღო, რაც გამოიხატა ბატონყმური გადმონაშთების მოსპობის მოთხოვნაში.

როგორც ვხედავთ, რსდმპ აგრარული პროგრამა არ ითვალისწინებდა მემამულური მინათმფლობელობის გაუქმებას. მემამულური მიწათმფლობელობა კი აგრარული საკითხის გადაჭრის ქვაკუთხედი იყო. ასევე არ გამოხატავდა პარტია თავის პოზიციას რუსეთის მინის საკარგულების რაოდენობით მფლობელობის მეორე ფორმის – სახელმწიფო მინისადმი. ლენინი და მისი მიმდევრები ამას ტაქტიკური მოსაზრებით აკეთებდნენ. მემამულური მინათმფლობელობის ლიკვიდაცია და მისი გლეხობისათვის გადაცემა, ასევე სახელმწიფო მიწების გლეხობისათვის გადაცემა ძლიერ დააჩქარებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას. სოფლად შეიქმნებოდა ფერმერთა ძლიერი სოციალური ფენა. ეს მოელენა სასიკეთილო საფრთხეს უქმნიდა ლენინის მისწრაფებას – უმოკლეს ვადაში პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას.

3. რსდმპ პროგრამა. მძაფრი პოლემიკის შემდეგ ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა. ქვემოთ მოგეყავს პროგრამის ტექსტი მთლიანად.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, მიღებული რსდმპ მეორე ყრილობაზე (1903 წ.)

გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ხალხს შორის, რომ პროლეტარიატის დიადი განმანთავისუფლებელი მოძრაობა უნდა გამხდარიყო და უკვე დიდი ხანია გახდა საერთაშორისო მოძრაობა.

თავს თვლის რა პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმად, რუსეთის სოციალ-დემოკრატია იმავე საბოლოო მიზანს ისახავს, რომელსაც ესწრაფვიან ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები.

ეს საბოლოო მიზანი განისაზღვრება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ხასიათით და მისი განვითარების მსვლელობით.

ასეთი საზოგადოების მთავარ თავისებურებას შეადგენს საქონელწარმოება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე, როცა წარმოების საშუალებათა და საქონელმოქცევის მეტად მნიშვნელოვანი, საგრძნობი ნაწილი ეკუთვნის მცირერიცხოვან პირთა კლასს, მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შედგება პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარებისაგან, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობით იძულებული არიან მუდმივად ან პერიოდულად გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა, ე. ი. მიექირაონ კაპიტალისტებს და თავიანთი შრომით შექმნან საზოგადოების მაღალი კლასების შემოსავალი.

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ბატონობის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმის მიხედვით, რამდენადაც ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, ადიდებს რა მსხვილ სანარმობათა სამეურნეო მნიშვნელობას, ინვევს წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა განდევნას, მათს ნანილს ხდის პროლეტარებად, ხოლო დანარჩენთა როლს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ზღუდავს და ალაგ-ალაგ აყენებს მათ კაპიტალისაგან მეტნაკლებად სრულ, მეტნაკლებად აშკარა, მეტნაკლებად მძიმე დამოკიდებულებაში.

გარდა ამისა, იგივე ტექნიკური პროგრესი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს, სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით გამოიყენონ ქალისა და ბავშვის შრომა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში. ხოლო რადგან, მეორე მხრივ, ეს ინვევს მენარმეთა მხრივ მუშათა ცოცხალი შრომის მოთხოვნილების შედარებითს შემცირებას, ამიტომ მოთხოვნილება მუშახელ ზე აუცილებლად ჩამორჩება მის მიწოდებას, რის გამო იზრდება დაქირავებული შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან და მატულობს მისი ექსპლოატაციის დონე.

საქმის ასეთი ვითარება ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით და მათი ურთიერთმეტოქეობის მუდმივი გამწვავება მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო აძნელებენ საქონლის გასაღებას, რომელიც მუდამ მზარდი რაოდენობით მზადდება. ჭარბი წარმოება, რაც თავს იჩენს მეტნაკლებად მწვავე სამრეწველო კრიზისებში, რომლებსაც თან სდევს მრეწველობის შეჩერების მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, ნარმოადგენს მნარმოებლური ძალების განვითარების აუცილებელ შედეგს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. კრიზისები და მრეწველობის შეჩერების პერიოდები, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად აჩანაგებენ წვრილ მწარმოებლებს, კიდევ უფრო ადიდებენ დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, კიდევ უფრო აჩქარებენ მუშათა კლასის მდგომარეობის შეფარდებითს, ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაუარესებასაც.

ამრიგად, ტექნიკის გაუმჯობესება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას ნიშნავს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აპირობებს საზოგადოებრივი უთანასწორობის გაძლიერებას, მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას და არსებობის უზრუნველყოფის შემცირებას, უმუშევრობისა და მშრომელთა მასების სულ უფრო და უფრო ფართო ფენების სხვადასხვაგვარი გაჭირვების ზრდას.

მაგრამ რაც უფრო იზრდება და ვითარდება ყველა ეს წინააღმდეგობა, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებას მოსდგამს, იმდენადვე იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილებაც არსებული ვითარებით, იზრდება პროლეტარების რიცხვი და დარაზმულობა და მწვავდება მათი ბრძოლა თავიანთ ექსპლოატატორებთან. ამაზე დროს ტექნიკის გაუმჯობესება, რომელიც ახდენს წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კონცენტრაციას და შრომის პროცესის განსაზოგადოებას კაპიტალისტურ საწარმოებში, სულ უფრო და უფრო სწრაფად ქმნის კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების სოციალისტურით შეცვლის მატერიალურ შესაძლებლობას, ე. ი. იმ სოციალური რევოლუციის მატერიალურ შესაძლებლობას, რომელიც ნარმოადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებული გამომხატველის, მთელი მუშაობის საბოლოო მიზანს.

შეცვლის რა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კერძო საკუთრებას საზოგადოებრივით და შექმნის რა საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესის გეგმაშეზომილ ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად, პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და ამით გაათავისუფლებს მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რადგან ბოლოს მოუღებს საზოგადოების ერთი ნაწილის ყოველგვარ ექსპლოატაციას მეორე ნაწილის მიერ.

ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, რომელიც საშუალებას მისცემს მას, შემუსროს ექსპლოატატორების ყოველგვარი წინააღმდეგობა. ამოცანად ისახავს რა იმას, რომ პროლეტარიატმა შეძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია რაზმავს მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ხელმძღვანელობას უნევს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, ააშკარავებს მის წინაშე ექსპლოატატორების ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას ექსპლუატირებულთა ინტერესებისადმი და ურკვევს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს. ამასთანავე, ის მთელი დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე

ააშკარავებს მისი მდგომარეობის უიმედობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას კაპიტალის უღლისაგან მისი განთავისუფლების ინტერესებისათვის. მუშათა კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია, თავის რიგებში მოუწოდებს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის ყველა ფენას, რამდენადაც ისინი პროლეტარიატის თვალსაზრისზე დგებიან.

თავისი საერთო საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, მიზნისა, რომელიც განპირობებულია კაპიტალისტური წარმოების წესის ბატონობით მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები იძულებული არიან, არაერთნაირი უახლოესი ამოცანები დაისახონ როგორც იმიტომ, რომ ეს წესი ყველგან თანაბრად განვითარებული არ არის, ისე იმიტომაც, რომ მისი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობს.

რუსეთში, სადაც კაპიტალიზმი უკვე წარმოების გაბატონებული წესი გახდა, ჯერ კიდევ დარჩენილია მეტად მრავალრიცხოვანი ნაშთები ჩვენი ძველი კაპიტალიზმამდელი წყობისა, რომელიც ემყარებოდა მშრომელი მასების დამონებას მემამულეებისა, სახელმწიფოსა ან სახელმწიფოს მეთაურისადმი. ეს ნაშთები, მეტისმეტად აბრკოლებს რა ეკონომიკურ პროგრესს, შეუძლებელს ხდის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველმხრივ განვითარებას, ხელს უწყობს სახელმწიფოსა და მქონებელი კლასების მიერ მრავალმილიონიანი გლეხობის ექსპლოატაციის ყველაზე ბარბაროსული ფორმების შენარჩუნება-გაძლიერებას და სიბნელესა და უუფლებობაში ამყოფებს ხალხს.

ყველა ამ ნაშთიდან ყველაზე მნიშვნელოვანს და მთელი ამ ბარბაროსობის ყველაზე მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენს მეფის თვითმპყრობელობა. თვით თავისი ბუნებით იგი ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობისადმი მტრულად არის განწყობილი და არ შეიძლება პროლეტარიატის ყოველი განმათავისუფლებელი მისწრაფების უბოროტესი მოწინააღმდეგე არ იყოს.

ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით, რომლის კონსტიტუციაც უზრუნველყოფდა:

1. ხალხის თვითმპყრობელობას, ე. ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების თავმოყრას საკანონმდებლო კრების ხელში, რომლის შემადგენლობაში შევლენ ხალხის წარმომადგენლები და რომელსაც ექნება ერთი პალატა.

2. საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას როგორც საკანონმდებლო კრების, ისე თვითმმართველობის ყველა ადგილობრივი ორგანოს არჩევნების დროს ყველა მოქალაქე მამაკაცისა და ქალისათვის, რომელთაც ოცი წელი შეუსრულდათ; ფარულ კენჭისყრას არჩევნების დროს; თვითეული ამომრჩევლის უფლებას – არჩეულ იქნას ყველა წარმომადგენლობითს დაწესებულებაში; ორწლიან პარლამენტს; ჯამაგირს ხალხის წარმომადგენლებისათვის.

3. ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით.

4. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობას.

5. სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდველ თავისუფლებას.

6. მიმოსვლისა და სარეწების თავისუფლებას.

7. წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა.

8. მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თვითეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად.

9. სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას.

10. თვითეული პირის იმ უფლებას, რომ ჩვეულებრივი წესით აღძრას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე ყოველი მოხელის საქმე.

11. მოსამართლეთა არჩევას ხალხის მიერ.

12. მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

13. ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან და სკოლისას – ეკლესიისაგან.

14. უფასო და სავალდებულო ზოგად და პროფესიულ განათლებას ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე; ღარიბი ბავშვების მომარაგებას საკვებით, ტანსაცმლითა და სასწავლო ხელსაწყოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი მეურნეობის დემოკრატიზაციის ძირითად პირობას,

რსდმპ პარტია მოითხოვს: ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას და პროგრესული გადასახადის შემოღებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.

ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარებისაგან მუშათა კლასის დაცვის, აგრეთვე მისი განმანათავისუფლებელი ბრძოლის უნარის განვითარების ინტერესებისათვის, პარტია მოითხოვს:

1. სამუშაო დღის განსაზღვრას დღე-ღამეში 8 საათით ყველა დაქირავებული მუშისათვის.

2. ყოველკვირეული დასვენების დაწესებას კანონით, რაც განუწყვეტლივ უნდა გრძელდებოდეს არა ნაკლებ 42 საათისა, ორივე სქესის დაქირავებული მუშებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

3. ზედმეტი მუშაობის საკვებით აკრძალვას.

4. ღამით შრომის (საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე) აკრძალვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, სადაც ის აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებებით, რომლებიც მოინონეს მუშათა ორგანიზაციებმა.

5. მეწარმეებისათვის სასკოლო ასაკის (16 წლამდე) ბავშვთა შრომის გამოყენების აკრძალვას და მოზარდთა (16-18 წელი) სამუშაო დროის განსაზღვრას ექვსი საათით.

6. ქალთა შრომის აკრძალვას იმ დარგებში, სადაც ის ენებს ქალის ორგანიზმს; ქალთა განთავისუფლებას სამუშაოდან მშობიარობამდე ოთხი კვირისა და მის შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში ისე, რომ მათ ჩეეულებრივი ოდენობით შეენახოთ მთელი ამ დროის ხელფასი.

7. ბაგების მოწყობას ძუძუთა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ყველა იმ ქარხანასა, ფაბრიკასა და სხვა საწარმოსთან, სადაც ქალები მუშაობენ; ბავშვის ძუძუსმაწოვებელ ქალთა განთავისუფლებას მუშაობიდან ყოველ სამ საათში მაინც არა ნაკლებ ნახევარი საათისა.

8. მუშათა სახელმწიფო დაზღვევას მოხუცებულობის და შრომის უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევისათვის სპეციალური ფონდის ხარჯზე, რომელიც შეიქმნება კაპიტალისტებზე განსაკუთრებული გადასახადის დაწესების გზით.

9. ხელფასის საქონლით გაცემის აკრძალვას; ყოველკვირეული ვადის დაწესებას ანგარიშის გასასწორებლად ფულით დაქირავების შესახებ დადებული უკლებლივ ყველა ხელშეკრულების მიხედვით და ხელფასის გაცემას სამუშაო დროს.

10. მეწარმეებისათვის იმის აკრძალვას, რომ მოახდინონ ფულადი დაქვითვები ხელფასიდან, რა საბაბითაც და დანიშნულებითაც უნდა ხდებოდეს ეს (ჯარიმები, წუნდება და სხვ.).

11. საფაბრიკო ინსპექტორების საქმეთა რაოდენობის დანიშვნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობის გავრცელებას დაქირავებული შრომის გამომყენებელ ყველა საწარმოზე, მათ შორის სახაზინო საწარმოებზეც (შინამოსამსახურეთა შრომაც ამ ზედამხედველობის სფეროში შედის); ინსპექტორ ქალთა დანიშვნას იმ დარგებში, სადაც გამოყენებულია ქალთა შრომა; მუშათა მიერ არჩეულ და სახელმწიფო ანაზღაურებით მომუშავე წარმომადგენელთა მონაწილეობას საფაბრიკო კანონების შესრულებაზე, აგრეთვე შეფასებათა შედგენასა, მასალების მიღებასა და წუნდებაზე და მუშაობის შედეგებზე ზედამხედველობაში.

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ზედამხედველობას, მუშათა მიერ არჩეული პირების მონაწილეობით, იმ საცხოვრებელი სადგომების სანიტარულ მდგომარეობაზე, რომელთაც მეწარმენი მუშებს გამოუყოფენ, ისევე როგორც ამ სადგომების შინაგანაწესსა და მათი გაქირავების პირობებზე, – იმ მიზნით, რომ დაქირავებული მუშები დაცემულ იქნან მეწარმეთა ჩარეულისაგან მათი როგორც კერძო პირებისა და მოქალაქეების ცხოვრებასა და საქმიანობაში.

13. წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობის დაწესებას ყველა იმ საწარმოში, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას, ისე, რომ მთელი საექიმო-სანიტარული ორგანიზაცია სავსებით დამოუკიდებელი იყოს მეწარმეებისაგან; უფასო სამედიცინო დახმარებას მუშებისათვის მეწარმეთა ხარჯზე ხელფასის შენარჩუნებით ავადმყოფობის დროს.

14. დამქირავებელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას შრომის დაცვის კანონთა დარღვევისათვის.

15. სასარეწე სასამართლოების დაწესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომლებშიც თანაბარი რაოდენობით შევლენ მუშათა და მეწარმეთა წარმომადგენლები.

16. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის იმ მოვალეობის დაკისრებას, რომ დააარსონ ადგილობრივი და მოსული მუშების დაქირავების საშუამავლო კანტორები (შრომის ბირჟები) წარმოების ყველა დარგში ისე, რომ მათ მართვა-გამგეობაში მონაწილეობდნენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ხოლო იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნას ბატონყმური ნაშთები, რომლებიც მძიმე უღლად აწევთ უშუალოდ გლეხებს და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის პარტია უწინარეს ყოელისა მოითხოვს:

1. გამოსაყიდი და საღალო გადასახადების, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას, რაც ამჟამად ტვირთად აწევება გლეხობას, როგორც მობეგრე წოდებას.

2. ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ავიწროებენ გლეხს მისი მიწის განმკარგულებლობის მხრივ.

3. გლეხებისათვის იმ ფულადი თანხების დაბრუნებას, რომლებიც მათგან წაიღეს გამოსაყიდ და საღალო გადასახდელთა ფორმით; ამ მიზნით, სამონასტრო და საეკლესიო ქონების, აგრეთვე საუფლისწულო, საკაბინეტო და სამეფო გვარეულობის პირთა კუთვნილი მამულების კონფისკაციას, ასევე იმ მინათმფლობელ-თავადაზნაურთა მიწების დაბეგვრას განსაკუთრებული გადასახადით, რომლებმაც გამოსაყიდი სესხით ისარგებლეს; ამ გზით მიღებული თანხების გადაცემას განსაკუთრებულ სახალხო ფონდში სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და საკეთილმოქმედო საჭიროებათა დასაკმაყოფილებად.

4. გლეხთა კომიტეტების დაარსებას: ა) სოფლის საზოგადოებებისათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან, – იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, – სახელმწიფოს მიერ გამოყიდვით მსხვილი თავადაზნაურული მინათმფლობელობის ხარჯზე), რომლებიც გლეხებს ბატონყმობის მოსპობის დროს ჩამოაჭრეს და მემამულეთა ხელში დამონების იარაღს წარმოადგენს; ბ) კავკასიაში გლეხთა საკუთრებაში იმ მიწების გადასაცემად, რომლებითაც ისინი სარგებლობენ როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვ.; გ) ბატონყმური ურთიერთობის იმ ნაშთების მოსასპობად, რომლებიც დარჩენილია ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში.

5. სასამართლოებისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ შეამცირონ უზომოდ მაღალი საიჯარო გადასახადები და გაუქმებულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ.

ესწრაფვის რა თავისი უახლოესი მიზნების მიღწევას, რსდმპ პარტია მხარს უჭერს ყოველგვარ ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც კი მიმართულია რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს გადაჭრით უარყოფს ყველა იმ რეფორმატორულ პროექტს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი კლასებისადმი პოლიციურ-მოხელური მეურვეობის რაიმე გაფართოებასთან ან განმტკიცებასთან.

თავის მხრივ რსდმპ მტკიცედ დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნათა სრული, თანამიმდევრული და მტკიცე განხორციელება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით.

4. ქართული სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა რსდმპ წესდების შემუშავებაში. ნოე ჟორდანიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო ყრილობაზე გამართულ პოლემიკაში. წესდების პირველი პარაგრაფი ყრილობაზე წარმოდგენილ იქნა ლეე მარტოვისა და ვლადიმირ ლენინის მიერ შემუშავებული რედაქციებით. მარტოვის ფორმულირება ასეთი იყო: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც ღებულობს მის პროგრამას, მხარს უჭერს პარტიას მატერიალური სახსრებით და რეგულარული პირადი დახმარებით მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით". ლენინის აზრით, პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი ასეთი რედაქციით უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში". ნოე ჟორდანიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: „წესდება არსებობს ცხოვრებისათვის და არა ცხოვრება წესდებისათვის. ენახოთ, წესდების პროექტი ლენინისა რამდენად ეთანხმება სინამდვილეს. ჩვენთან არსებობს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, რომლებიც შედგებიან რამდენიმე მოწინავე რევოლუციონერისაგან. ეს კომიტეტები დგანან ადგილობრივი მუშათა მოძრაობის სათავეში. ამ კომიტეტების, ამ მეთაურთა უკან დგას მებრძოლთა მთელი მასა, მუშა-რევოლუციონერები, რომლებიც წარმოადგენენ პროკლამაციების გამავრცელებლებს, აგროვებენ ფულს, აწყობენ მანიფესტაციებს ქუჩაში, მიდიან ციხეებსა და გადასახლებებში, მაგრამ ისინი არ შედიან კომიტეტებში ან სხვა რომელიმე ორგანიზაციებში. ნუთუ ეს მებრძოლები, ეს ჩვენი ჯარისკაცები პარტიის წევრები არ არიან? ნუთუ ჩვენ ისინი უნდა გამოვთიშოთ პარტიიდან? ვინღა რჩება პარტიაში? მარტო გენერლები არმიის გარეშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელ რუსეთში მოვახდინოთ ჩვენი საქმის დეზორგანიზაცია, ეს ნიშნავს, რომ პარტიის წინააღმდეგ ავაჯანყოთ ჩვენივე ამხანაგები... ჩვენი პარტია მასების პარტიაა. მასა კი არ შეიძლება ჩავრიოთ ორგანიზაციაში. ეს წარმოუდგენელია რუსეთის დღევანდელი

წყობილების პირობებში. მაშასადამე, ჩვენი პარტია უნდა შედგებოდეს ორგანიზაციებიდან, რომლებიც ნარმოადგენენ პარტიის მოტორებს მებრძოლთა მასიდან, რომლებიც დგანან ორგანიზაციის გარეთ, მაგრამ რჩებიან პარტიის ნევრებად. ამიტომ ლენინის პროექტის მიღება ნიშნავს მთელი პარტიის დეზორგანიზებას. მე გთავაზობთ, უარვყოთ იგი". ნოე ჟორდანიამ ყრილობას წარუდგინა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის საკუთარი ფორმულირება: „რსდმპ ნევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას, პარტიას უჭერს მხარს პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ან ეხმარება პარტიას ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობით". ეს ფორმულირება ყრილობამ უარყო. პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინისეული ფორმულირების წინააღმდეგ ნოე ჟორდანიას გამოსვლის მსგავსი დასაბუთებული გამოსვლა, თუ არ ჩავთვლით ლეგ ტროცკის უაღრესად საინტერესო სიტყვას, ყრილობაზე არ ყოფილა. საბოლოოდ, კენჭისყრის დროს ლენინის ფორმულირებამ მიიღო 23 ხმა, წინააღმდეგი იყო 28. მარტოვის ფორმულირებამ მიიღო 28 ხმა, წინააღმდეგი იყო 22. არშაკ ზურაბოვმა ხმა მისცა ლენინს, დიომიდე თოფურიძემ – მარტოვს.

ნოე ჟორდანიამ თავისი აზრი გამოთქვა ყრილობაზე პარტიაში შექმნილი ორცენტრიანობის (ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოს – „ისკრის" რედაქცია) და მათ შორის უთანხმოების მოგვარების მიზნით შექმნილი ორგანოს – პარტიის საბჭოს შესახებ. როგორც ყრილობის შემდგომმა მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, უაღრესად სწორი იყო ნოე ჟორდანიას წინადადება, აერჩიათ პარტიის ერთი ცენტრი: „მე მინდა, ამხანაგების ყურადღება გავამახვილოთ ერთ კურიოზულ მოვლენაზე: ჩვენ ყველა თავს ვიდებთ ერთი მუდმივი ცენტრისათვის, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენ მაინც არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს ერთი ცენტრი – ესაა საბჭო, მაგრამ იგი არ არის მუდმივი, იგი შემთხვევითი ხასიათისაა. რჩება ორი მუდმივი ცენტრალური ორგანო, რომლებიც შეიძლება ერთმანეთში ნაკინკლაედნენ, სხვადასხვა მხარეს გაიწიონ. მაშინ ჩვენ მივიღებთ პარტიას არა ერთი დირექციით, არამედ ორით. ორიდან ერთია: ან ჩვენ გვჭირდება ერთი მუდმივი ცენტრი, როგორიც უნდა იყოს საბჭო, ან ჩვენ არ გვჭირდება ასეთი ცენტრი და მაშინ საბჭო ზედმეტი ხდება. მე პირველ დებულებაზე ვდაგავარ და გთავაზობთ შესწორებას მეოთხე პუნქტისათვის: „პარტიის საბჭო ითვლება მუდმივ უმაღლეს დანესებულებად".

საინტერესოა ნოე ჟორდანიას გამოსვლა პარტიის წესდების პროექტის ერთ-ერთ საკითხზე – რაიონული და ეროვნული ორგანიზაციის შესახებ. ნოე ჟორდანიამ ყრილობაზე განაცხადა: „რაიონული და ეროვნული ორგანიზაციების საკითხზე მე უნდა ვთქვა შემდეგი: რაიონული ორგანიზაციების არსებობა აუცილებელია ჩვენი პარტიის განვითარებისათვის. რუსეთი ხომ დიდია, მასში შედიან ერცელი განაპირა მხარეები, რომლებიც თავიანთი მოსახლეობითა და კულტურის ნიშნებით მკვეთრად განსხვავდებიან რუსეთის ცენტრისაგან. ჩვენს ცენტრალური კომიტეტს ფიზიკურად არ შეუძლია იყოს ყველგან, მას უფრო გაუადვილდება საქმის დაჭერა კომიტეტების კავშირთან, ვიდრე მრავალრიცხოვან კომიტეტებთან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ენებზე. ასეთი კავშირის შექმნა უკვე წამოაყენა ცხოვრებამ, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი უკვე აღმოცენდნენ იმპერიის სხვადასხვა ადგილას. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ კავშირები არსებობდნენ ყველგან. არა, მე მომხრე ვარ მხოლოდ იმისა, რომ კავშირები არსებობდნენ მხოლოდ იმ ადგილებში, რომლებიც მოსახლეობის შემადგენლობით და ეროვნული თავისებურებებით განსხვავდებიან საუთრივ რუსული ტერიტორიისაგან. ასეთები არიან განაპირა მხარეები. ჩვენ კავკასიაში გვაქვს კომიტეტების კავშირი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კაეკასიის კავშირი". მის გამგებლობაში შედის არა მარტო ადგილობრივი მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა, არამედ ლიტერატურის შექმნა ქართულ, სომხურ და შეიძლება თათრულ ენაზე. ვინ გააკეთებს ამას ჩვენთვის, თუ კავშირი მოვსპეთ? ცენტრალური კომიტეტი? მაგრამ იგი ხომ უძლურია, მის ნევრებს არ ეცოდინებათ არც ჩვენი ენები, არც ჩვენი ლიტერატურა და არც ადგილობრივი მოთხოვნილებანი. ამის გაკეთება ცალცალკე არ შეუძლიათ არც ჩვენს ადგილობრივ კომიტეტებს: პირველი. ეს იქნება მატერიალური და ლიტერატურული რესურსების დაქუცმაცება; მეორე. ერთს არ ეცოდინება, რას აკეთებს მეორე, და ვიღებთ ლიტერატურულ ქაოსს. ჩვენ კი ეს არ გვსურს. როგორც რუს სოციალ-დემოკრატებს ამჟამად აქვთ თავიანთი ცენტრალური ორგანო, ჩვენც ასევე გვსურს, რომ ქართველ და სომეხ სოციალ-დემოკრატებსაც ჰქონდეთ თავიანთი ცენტრალური ორგანოები: ასეთები უკვე გვაქვს და ისინი კავშირის ხელში არიან. ამ კავშირის არცნობა გარდაუვალად მიგვიყვანს ჩვენი ძალების დასუსტებასთან და ჩვენი მოძრაობის დეზორგანიზაციასთან". დელეგატების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში ისეთი ორგანოს შენარჩუნებას, როგორიც იყო, მაგალითად, რსდმპ კავკასიის კავშირი. ნოე

ურდანიას დაეთანხმა დიომიდე თოფურიძემ. იმ დელეგატების საპასუხოდ, რომლებიც მოითხოვდნენ განაპირა (ეროვნული) მხარეების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ცენტრალური რუსეთის (ველიკოროსიის) ორგანიზაციების რანგში ჩაყენებას, ნოე ჟორდანიამ მეორედ გამოსვლისას განაცხადა: „ამხ. ეგოროვი კაუკასიის კავშირის დაცვაში ხედავს ბუნდიზმის ახალ სახეობას. ცხადია, იგი არ იცნობს არც ჩვენ მხარეს და არც ჩვენ კომიტეტებს. პირველი. ჩვენ გეაქვს არა ნაციონალური, არამედ საერთო-კავკასიური ორგანიზაცია, სადაც შედიან ქართველები, სომხები და კავკასიის სხვა ერები. ამით ჩვენ ძირუულად განვსხვავდებით ბუნდისაგან, რომელიც განაგებს მხოლოდ ებრაელ პროლეტარიატს, ხოლო დანარჩენები არც კი უნდა იცოდეს. მეორე. ჩვენ გეკავია საესებით გარკვეული ტერიტორია, რომელიც საყოფაცხოვრებო თავისებურებებით მკვეთრად განსხვავდება რუსეთისაგან და მოითხოვს განსაკუთრებულ მოღვაწეობას. თუ ეგოროვი და სხვა რუსი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ისინი უკეთ იმოქმედებენ ჩვენთან, ვიდრე ჩვენი კავკასიელი ამხანაგები, – მობრძანდით, კარი ღიაა, ჩვენ მიეცემთ მას ასპარეზს“. ნოე ჟორდანიას გამოსვლას თითქმის ეროვნული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მისმა მეორე სიტყვამ ნათელი გახადა, რომ იგი სულაც არ გამოდიოდა ეროვნული პოზიციდან, მისი მოთხოვნა – რსდმპ კავკასიის კავშირის შენარჩუნება – სულაც არ უქმნიდა საფრთხეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, არავითარ განსაკუთრებულ უფლებას არ აძლევდა დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არც რსდმპ კავკასიის კავშირს და არც მასში შემავალ ორგანიზაციებს. პირიქით, რსდმპ კავკასიის კავშირი ზღუდავდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუნქციებს სწორედ ეროვნულ თავისებურებათა მიხედვით განვითარების თვალსაზრისით, საერთოდ შლიდა ადამიანთა ცნობიერებიდან ცნებას „საქართველოს სოციალ-დემოკრატია“ და მის ნაცვლად ამკვიდრებდა ცნებას „კავკასიის სოციალ-დემოკრატია“. ამის დამადასტურებელი მაგალითები ნოე ჟორდანიას მრავალი ჰქონდა. ქართველი დელეგატები რუს სოციალ-დემოკრატებს იმიტომ შეეწინააღმდეგნენ, რომ რუსები ერთი ხელის დაკვრით ცდილობდნენ, მოესპოთ ეროვნული სოციალ-დემოკრატიის (მათ შორის ქართული სოციალ-დემოკრატიის) ცნება და ეროვნული ორგანიზაციები გაეთანაბრებინათ ველიკოროსიის რეგიონალურ (საგუბერნიო, საქალაქო) ორგანიზაციებთან, ხოლო ნოე ჟორდანია რუს სოციალ-დემოკრატებს ამ განზრახვის განხორციელების გზაზე სთავაზობდა შუალედურ რგოლს – რსდმპ კავკასიის კავშირს. აღსანიშნავია ის, რომ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ნოე ჟორდანიას მეორე გამოსვლა სწორედ ასე გაიგეს – რსდმპ კავკასიის კავშირი ბუნდიზაციის საფრთხეს სულაც არ ქმნიდა. ამის შედეგი იყო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია „რაიონული ორგანიზაციების შესახებ“. რეზოლუციაში ეკითხულობთ: „ყრილობა დასაშვებად თვლის რაიონული ორგანიზაციების დაარსებას კომიტეტების სახით რუსეთის იმ ოლქებში, რომლებიც განირჩევიან დიდი თავისებურებით ენის, მოსახლეობის შემადგენლობისა და სხვა მხრივ. ასეთი ორგანიზაციების წესდების დამტკიცება ევალება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“. „რაიონული ორგანიზაციების შესახებ“ რეზოლუციის პროექტი ყრილობაზე დიომიდე თოფურიძემ შეიტანა. ამავე საკითხზე, გარდა თოფურიძისა, კიდევ ოთხმა დელეგატმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი. ყველა ისინი უარყოფილი იქნა. რაც შეეხება თოფურიძის პროექტს, მან მიიღო 28 ხმა, წინააღმდეგი იყო 2, თავი შეიკავა 7-მა. ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის არსებობა დაკანონებულ იქნა რსდმპ II ყრილობის მიერ.

რაიონული ორგანიზაციების თაობაზე რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობა შეუდგა პარტიის ცალკეული ორგანიზაციის შესახებ საკითხის განხილვას. ლევ ბელოვის (ცეიტლინის) აზრით, საჭირო იყო პარტიის ყველა ორგანიზაციის (მათ შორის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი და „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ“) შესახებ მიღებული ყოფილიყო საგანგებო რეზოლუცია. ლიდია მახნოვეცმა (ბრუევრმა) საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ საჭირო იყო ზოგადი ხასიათის რეზოლუციის მიღება, რადგან არსებობდა ბევრი ისეთი ორგანიზაცია, რომელთა შესახებ ყრილობას ცნობები არ ჰქონდა, ამიტომ აუცილებელი იყო, ყრილობას გამოეხატა ზოგადი დამოკიდებულება ისეთი ორგანიზაციების მიმართ, რომელნიც არ შედიოდნენ პარტიაში. დიომიდე თოფურიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, შეედგინათ სია იმ ორგანიზაციებისა, რომელნიც უნდა დაემტკიცებინათ ან დაეშალათ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიამ და მოითხოვა, სიაში შეეტანათ სომხურ და ქართულ ენებზე გამომავალი „პროლეტარიატის ბრძოლა“. ნოე ჟორდანიას წინადადება მიუღებლად მიიჩნია ვ. გორინმა. მან აღნიშნა, რომ დასამტკიცებელი ორგანიზაციების სიაში არ შეეტანათ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქცია, ვინაიდან ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას“ გამოსცემდა რსდმპ კავკასიის კავშირი და ამდენად, მისი გამომ-

ცემლები არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ცალკე ორგანიზაციად. მარტოვმა მოითხოვა, „კავკასიის საქმეში“ გარკვეულიყო ცენტრალური კომიტეტი, რადგან პირადად მას კავკასიელი დელეგატების გამოსვლიდან ვერ დაუდგენია, კავკასიაში სამი ორგანიზაცია არსებობდა, თუ საერთოდ არ იყო ორგანიზაცია. მეორე გამოსვლისას კი მარტოვმა მოითხოვა კავკასიის შესახებ ცალკე რეზოლუციის მიღება. გორინმანამოაყენა წინადადება, დასამკვიცებელი სიიდან ამოეღოთ კავკასიის ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიამ ყრილობას განუმარტა: „აქ საუბარია არა კავკასიის კომიტეტზე, არამედ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციაზე, რომელიც აუცილებელია, შეტანილ იქნას სიაში“.

საკმაოდ ცხარე დისკუსიის შემდეგ შეიმუშავებულ იქნა რეზოლუციის პროექტი შემდეგ ორგანიზაციათა შესახებ: 1. „ბორბას“ ჯგუფი; 2. „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ“; 3. კუკლინის საგამომცემლო ჯგუფი; 4.“ოუჟნაი რაბოჩის“ ჯგუფი; 5. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“ვოლია“ ამრიგად, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ სიაში ვერ მოხვდა. დიომიდე თოფურიძემ მოითხოვა, „პროლეტარიატის ბრძოლა“ შეეტანათ სიაში, ბოგდან კნუნიანცმა კი პირიქით, მხარი დაუჭირა „პროლეტარიატის ბრძოლის“ სიიდან ამოღებას, რასაც მაშინვე მოჰყვა თოფურიძის პროტესტი. ყრილობამ მხარი დაუჭირა კნუნიანცის წინადადებას. თოფურიძემ მოითხოვა, კენჭი ეყაროთ მისი წინადადებისათვის „პროლეტარიატის ბრძოლის“ რსდმპ კავკასიის კავშირის პარტიულ ორგანოდ ცნობის შესახებ. ლენინმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, უარი განაცხადა თოფურიძის წინადადებისათვის კენჭის ყრაზე იმ მოტივით, რომ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ უკვე ამოღებული იყო სიიდან. ყრილობას რეზოლუცია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ არ მიუღია, თუმცა განხილულ საკითხზე რამდენიმე ცალკე რეზოლუცია მიიღო. მიუხედავად ამისა, ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებამდე იყო ცდები, შეერბილებინათ, უფრო ზუსტად, არასწორად ნარმოედგინათ ლენინის პოზიცია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ პარტიულ ორგანოდ ცნობასთან დაკავშირებით. უალრესად სანდო და არაორაზროვანი დოკუმენტების (ყრილობის ოქმების) სანინააღმდეგოდ, ქართული ისტორიოგრაფია დაუნებით ამტკიცებდა: „რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ პარტიის II ყრილობაზე არ გაუუქმებიათ“. ამის დამამტკიცებლად კი მოჰყავდათ ფაქტი იმის შესახებ, რომ „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1905 წლის ოქტომბრამდე გამოდიოდა, თუმცა დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ერთია ფაქტი იმის შესახებ, ცნო თუ არა რსდმპ II ყრილობამ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ პარტიულ ორგანოდ და მეორე – როდის შენყვიტა გაზეთმა არსებობა.

რსდმპ II ყრილობაზე **ვლადიმირ ლენინისა** და **ლეე მარტოვის** მომხრეთა შორის არსებული იდეური და ორგანიზაციული ხასიათის წინააღმდეგობა დამთავრდა იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო მარტოვის მომხრე 15 დელეგატმა (19 ხმა). მათ მხარი დაუჭირეს ყრილობაზე სათათბირო ხმის უფლების მონვეულმა დელეგატებმა: **ვერა ზასულიჩმა, პაველ აქსელროდმა, ალექსანდრ პოტრესოვმა (სტაროვერმა), ევგენი შტაინმა (ალექსანდროვმა), როზალია გალბერშტადტმა (ფიშერმა), ბორის გინზბურგმა (ოლცოვმა) და ნოე ჟორდანიამ (კოსტროვმა).**

რსდმპ II ყრილობის მუშაობის დღეებში აშკარა გახდა, რომ ნოე ჟორდანია ვლადიმირ ლენინსა და მისი მიმდევრებს (ბოლშევიკებს) ვერ შეურიგდებოდა. ქართველი სოციალ-დემოკრატი ყველაფერში არც ლეე მარტოვსა და მის თანამოაზრეებს (მენშევიკებს) ეთანხმებოდა, მაგრამ როცა დგებოდა საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობიდან რომელიმეს არჩევისა, ნოე ჟორდანია, სავსებით სწორად, მომავალ მენშევიკების მხარეზე დგებოდა. ამასთან, ყრილობაზე და შემდეგაც ნოე ჟორდანია ამხელდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ვულგარიზაციულ შეხედულებებს.


§ 4. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობის შემდეგ (1903-1904 წწ.)

რსდმპ II ყრილობის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მძიმე ვითარება შეიქმნა. პარტია პრაქტიკულად ორად იყო გაყოფილი, მიმდინარეობდა მწვავე ფრაქციული ბრძოლები.

1. ვითარება ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რსდმპ II ყრილობის შემდეგ. ქართული სოციალ-დემოკრატიის ბედისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ შეხვდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, გაიზიარებდნენ თუ არა იმ იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმას, რომელიც მართებულად ცნო ყრილობამ. ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ რსდმპ II ყრილობა ფაქტობრივად განხეთქილებით დამთავრდა – მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ ყრილობის შემდგომ პერიოდზე.

პრაქტიკულად, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ცუდსა (მენშევიკებსა) და უარესს(ბოლშევიკებს) შორის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებას ეროვნული მოძრაობისადმი, მიღწეულის შეფასებასა და მომავალის პერსპექტივის განსაზღვრას.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ძველი ხელმძღვანელი ბირთვი დაიშალა – „მესამე დასმა“, როგორც საერთო-ქართულმა ორგანიზაციამ, არსებობა შეწყვიტა. 1904 წლის მეხუთე ნომრით დასრულდა გაზეთ „კვალის“ გამოცემა, იგი ხელისუფლებამ აკრძალა. რსდმპ II ყრილობის შემდეგ **ნოე ჟორდანია** საქართველოში აღარ დაბრუნებულა. იგი თბილისში მხოლოდ 1905 წლის თებერვალში ჩამოვიდა. **ვლადიმერ დარჩიაშვილიც** ემიგრაციაში იმყოფებოდა. 1903 წლის 26 იელისს თბილისიდან გადასახლების ადგილებში (აღმოსავლეთ ციმბირში) გაგზავნეს **სილიბისტრო ჯიბლაძე** და **ვასილ ცაბაძე**. 1903 წლის 9 ივლისს აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მიესაჯა **სევერიან ჯუღელს**. 19 ივლისს არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლების განაჩენი გამოუტანეს **ვლადიმერ ჯიბლაძეს**. 1903 წლის 19 ივლისს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ **ფილიპე მახარაძეს, ბართლომე (ბარონ) ბიბინეიშვილს, პოლიევქტ კალანდაძეს, რაფიელ კალაძეს, ნესტორ კალაძეს, კონსტანტინე ხომერიკს, პავლე კალანდაძეს, მიხეილ გოგლიძეს, იოსებ კაკაბაძეს, გრიგოლ წულუკიძეს**, ასევე **კუზმა კრილოვს, ფიოდორ შმიკოვს, სერგეი ალილუევს, ვაცლავ პულავსკის**. 1902 წლის 28 სექტემბერს დაპატიმრებული **ვლადიმერ კეცხოველი** 1903 წლის 17 აგვისტოს მეტეხის საპყრობილეში მოკლეს. 1903 წლის 9 ივლისს უმაღლესი ბრძანებულებით **იოსებ ჯუღაშვილი** გადასახლებაში გაგზავნეს. იგი გადასახლების ადგილზე ჩავიდა 27 ნოემბერს, საიდანაც 1904 წლის 5 იანვარს გაიქცა. ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან რსდმპ II ყრილობის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობას აგრძელებდნენ **ისიდორე რამიშვილი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, დიომიდე თოფურიძე, მიხა ცხაკაია** და იმისდაგვარად უკვე კიდევ ნაკლებად ცნობილი რამდენიმე სოციალ-დემოკრატი: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ელიავა, არჩილ ჯაფარიძე, შალვა შარაშიძე და სხვ. სამაგიეროდ, საქართველოში და, კერძოდ, თბილისში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სომეხი სოციალ-დემოკრატები **არშაკ ზურაბოვი და ბოგდან კნუნიანცი**, რომელთაც 1904 წლის აპრილიდან დაემატა გერმანიიდან დაბრუნებული **სტეფანე შაუმიანი**. სამივე სომეხი სოციალ-დემოკრატი მიხა ცხაკაიასთან, აგრეთვე



ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე

რუსეთიდან ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებთან (დიმიტრი პოსტოლოვსკი და სხვ.) ერთად უსიტყვოდ უჭერდა მხარს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ პერიოდში დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან აკაკი ჩხენკელი, ეგნატე გეგეჭკორი და ნოე ხომერიკი. რაც შეეხება ირაკლი წერეთელს, იგი 1904 წლის თებერვლამდე კვლავ აგრძელებდა გაზეთ „კვალის“ გამოცემას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატული მოძრაობის სათავეში რსდმპ კავკასიის კავშირი აღმოჩნდა. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ პოზიციები დათმო.

მაინც როგორ შეხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რსდმპ II ყრილობის შედეგებს? რსდმპ II ყრილობა არალეგალურად ჩატარდა. ყრილობის ოქმების სრული ტექსტი მხოლოდ 1904 წელს გამოიცა ჟენევაში. ყრილობის მსვლელობა სოციალ-დემოკრატიული პრესით არ შუქდებოდა. ასე რომ, საქართველოში ინფორმაცია შეიძლებოდა გაევრცელებინათ მხოლოდ ყრილობის დელეგატებს – ნოე ჟორდანიას, დიომიდე თოფურიძეს, არშაკ ზურაბოვს და ბოგდან კნუნიანცს. როგორც აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანია ყრილობის შემდეგ საქართველოში

არ დაბრუნებულა. ამან საშუალება მისცა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის დაემალა ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი, განსაკუთრებით კი ის დარღვევები, რომელთა მეოხებით ვლადიმირ ლენინმა შეძლო ყრილობაზე გამარჯვება მოეპოვებინა ცენტრალური ორგანოების არჩევნებისას. რსდმპ კავკასიის კავშირის პოზიციას მხარი დაუჭირეს არშაკ ზურაბოვმა და ბოგდან კნუნიანცმა. ასე რომ, რსდმპ II ყრილობის შედეგები საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მსჯელობის საგნად არ ქცეულა. ნოე ჟორდანია იგონებს: „ყრილობა დასრულდა. მე, როგორც ემიგრანტი, დავბრუნდი ჟენევაში, დელეგატები დაბრუნდნენ სამშობლოში. სომხები (არშაკ ზურაბოვი და ბოგდან კნუნიანცი – ვ. გ.) მიემხრნენ ლენინს, თოფურიძე ყოყმანობდა. ერთი თუ ორი თვის შემდეგ გავიგე თფილისიდან, რომ დელეგატებს დაუმალავთ განხეთქილება ორგანიზაციებისათვის. მოხსენება გაუკეთებიათ მხოლოდ საკ. კომიტეტისათვის (რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი – ვ. გ.), რომელიც მთლად მიმხრობია ლენინს და მის ცეკას. გადაუწყვეტიათ, განხეთქილება დამალონ და ორგანიზაციული ნესით მუშათა მასა გადაიყვანონ ლენინის დროშის ხაზზე. გავიგე თუ არა ეს, მე დავსწერე ვრცელი წერილი ლონდონის ყრილობის და იქ მომხდარი ამბების შესახებ და გადავუგზავნე თფილისის კომიტეტს. შემდეგ გავიგე, რომ ეს წერილი მიეცო საკ. კომიტეტს და დაემალა. ასე რომ, მუშათა ორგანიზაციები დარჩა სიყრუეში" რსდმპ კავკასიის კომიტეტმა არა მარტო ნოე ჟორდანიას წერილი დაუმალა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, არამედ 1903 წლის ოქტომბერში დიომიდე თოფურიძე „დეზორგანიზატორული საქმიანობის" გამო (ე. ი. რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების გახმაურების გამო – ვ. გ.) ჩამოაშორა პარტიულ მუშაობას და მისი საკითხი დააყენა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილება მოიწონეს ვლადიმირ ლენინმა და გეორგი პლეხანოვმა.

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წყალობით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს ობიექტური ინფორმაცია რსდმპ II ყრილობის შესახებ. ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ფრაქციული ბრძოლის ხასიათზე.

ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია 1903-1904 წლებში. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნითა (1903 წლის მარტი) და რსდმპ II ყრილობით (1903 წლის ივლის-აგვისტო) ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო – **ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ შემადგენელი ნაწილი გახდა.** თუ კავკასიის კავშირის შექმნით ქართული სოციალ-დემოკრატია ფაქტობრივად, რსდმპ შემადგენლობაში აღმოჩნდა, რსდმპ II ყრილობაზე გაერთიანება იურიდიულადაც გაფორმდა. გაერთიანების პროცესს თან სდევდა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუცია.

ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, რსდმპ II ყრილობის წინა პერიოდში (1901-1903 წწ.) ძლიერდება. ყრილობის შემდეგ უფრო აშკარა ხდება ევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეების უგულებელყოფა და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავლენის გაძლიერება.

ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობის ევოლუცია აშკარა გახდა უკვე რსდმპ II ყრილობის შემდგომ თვეებში. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი არ ჩარეულა 1901-1903 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით მიმდინარე იდეურ ბრძოლაში. თავისი პოზიცია მან პირველად რსდმპ II ყრილობაზე წარმოადგინა, რაც ლევ მარტოვის მიმდინარეობის მხარდაჭერაში გამოიხატა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნოე ჟორდანია მენშევიკურ მიმდინარეობას მიემხრო. ყრილობის შემდეგ იგი გარკვევით დგება მენშევიზმის პლატფორმაზე და იწყებს უკომპრომისო ბრძოლას ვლადიმერ ლენინისა და მის მიმდევრების (ბოლშევიკების) წინააღმდეგ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა, რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი და პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების დროს დაშვებული დარღვევები დაემალა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის. არშაკ ზურაბოვი და ბოგდან კნუნიანცი დაჰყვნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის ნებას. რაც შეეხება დიომიდე თოფურიძეს, იგი შეეცადა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ეცნობებინა ყრილობაზე მომხდარი განხეთქილებისა და დარღვევების შესახებ, რისთვის კავკასიის კავშირის კომიტეტმა იგი პარტიულ მუშაობას ჩამოაცილა. შექმნილი ვითარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილი გახდა ნოე ჟორდანიასათვის, რომელიც მაშინ ჟენევაში იმყოფებოდა. იგი სასწრაფოდ წერს უაღრესად საინტერესო ნაშრომს **„წერილი კავკასიის კომიტეტებს"** (იგულისხმება რსდმპ კავკასიის კომიტეტები – ვ. გ.) და უგზავნის მას თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. როგორც ნოე ჟორდანია მემუარებში აღნიშნავს,

ნერილი მას ყრილობის დამთავრებიდან ერთი თუ ორი თვის შემდეგ, ე. ი. 1903 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში დაუწერია. ნოე ჟორდანია წერილის დაწერის თარიღს ზუსტად ვერ იხსენებს. თვით წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი 1904 წლის 15 მაისის შემდეგაა დასრულებული. ნოე ჟორდანიას წერილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დამალა, სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტებს არ გააცნო. წერილი არც იმხანად და არც შემდგომ არ გამოქვეყნებულა. წერილის ქართული ვარიანტი დღეს მიკვლეული არ არის. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცული იყო წერილის რუსული თარგმანი, რომლის ფოტოპირი ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. წერილი დიდი მოცულობის არ არის. ავტორი ხელს ანერს ფსევდონიმით „**მიხაელიდისი**“ ნოე ჟორდანიას ამ წერილს დღემდე არ რგებია მკლევართა სათანადო ყურადღება.

ნოე ჟორდანიას „**წერილი კავკასიის კომიტეტებს**“ დაიწერა თანადროულად ლევ მარტოვის ცნობილი წერილისა „**ჩვენი ყრილობა**“, აგრეთვე პაველ აქსელროდის ცნობილი წერილებისა: „**რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება და მისი ამოცანები**“, და „**ჩვენი ორგანიზაციული უთანხმოების წყაროებისა და მნიშვნელობის საკითხისათვის**“. ნოე ჟორდანიას, პაველ აქსელროდის და ლევ მარტოვის ნაშრომებით დაინყო ბოლშევიზმის თეორიისა და პრაქტიკის კრიტიკა. სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას ნაშრომი არც იმხანად და არც შემდეგ არ გამოქვეყნებულა და ამდენად, შესაბამისად ვერ დაფასდა. მთავარი მაინც ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ლევ მარტოვსა და პაველ აქსელროდს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მომხდარი განხეთქილება მაინც ჩვეულებრივ განხეთქილებად მიაჩნდათ, ე. ი. შერიგება-შეთანხმების იმედი პქონდათ. **ნოე ჟორდანიას კი უკვე 1904 წელს შეუძლებლად მიაჩნდა მენშევიზმისა და ბოლშევიზმის შერიგება, ხოლო ვლადიმერ ლენინის შეხედულებებს (ბოლშევიზმს) რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის დამლუპველად მიიჩნევდა.** ამ დასკვნით ნოე ჟორდანიამ დაადასტურა, რომ იგი სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი თეორეტიკოსი იყო. მან მოგვცა ლენინიზმის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების ღრმად დასაბუთებული, მეცნიერული კრიტიკა. ნოე ჟორდანია სათანადო ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მეტად შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებდა:

1. ლენინიზმი, ე. ი. ბოლშევიზმი, არ იყო სოციალისტური იდეოლოგია;

2. ლენინიზმი (ბოლშევიზმი) არ იყო პროლეტარიატის გათავისუფლების იდეოლოგია;

3. ლენინიზმი (ბოლშევიზმი) იყო ტოტალიტარული, ანტიხალხური, ანტიპროლეტარული იდეოლოგია;

4. ლენინიზმის (ბოლშევიზმის) ორგანიზაციული პრინციპები ითვალისწინებდა არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნას, არამედ შეთქმულთა ვიწრო ორგანიზაციის, სექტის ჩამოყალიბას, სადაც უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ ხელმძღვანელის (შეფის) ბრძანება;

5. რსდმპ II ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში, ვლადიმერ ლენინის მოღვაწეობის წყალობით, პარტია ძლიერ დაქვეითდა თეორიული, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით.

ასეთ შეფასებას აძლევდა ნოე ჟორდანია ლენინიზმს (ბოლშევიზმს) ჯერ კიდევ 1904 წლის მაისში. მსოფლიოში ცნობილი სოეტოლოგები მსგავს დასკვნამდე მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მივიდნენ.

ყრილობის შემდეგ ემიგრაციაში ყოფნისას ნოე ჟორდანია თანამშრომლობდა არჩილ ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეებთან. გაზეთ „**საქართველოში**“, რომელსაც 1903 წლიდან საზღვარგარეთ ქართულ და ფრანგულ ენებზე სცემდა არჩილ ჯორჯაძე, ნოე ჟორდანია რამდენიმე წერილსაც კი ათავსებს, მაგრამ მან ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან საერთო ენა ვერ გამონახა. პროტესტის ნიშნად ნოე ჟორდანიამ დატოვა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენცია (კონგრესი), რომელიც 1904 წლის აპრილში შედგა ჟენევაში. კონფერენცია ნოე ჟორდანიამ, რა თქმა უნდა, იდეური მოსაზრებით დატოვა. მის მემუარებში ვკითხულობთ: „კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოც.-ფედერალისტური პარტია, რომლის ძირითად დოკტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლიუციური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი“ ყველა კლასის და წოდების შორის და სხვ. აი ეს „საერთო ნიადაგი“ გახდა ჩვენთვის ყოველად მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილია ჭავჭავაძის ძველი დებულების – ყველა ერთ ტაფაში ვიწეიოთ, ყველა შევერთდეთ ეროვნების დაცვაშიო, რის წინააღმდეგ მეოთხმოცე წლებში ილაშქრებდნენ ქართველი ნაროდნიკები. თუ ეს მიუღებელი იყო იმ ძველ დროს, გაცილებით უფრო მიუღებელი იყო ამ მოძრაობის ხანაში“. „საერთო ნიადაგის“ იდეას ნოე ჟორდანია არც წინათ იზიარებდა, ამიტომაც 1904 წელს მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს არ იყო მოულოდნელი. ახალი ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობაში

სხვა რამ იყო. იგი სვამს კითხვას, თუ რატომ იყო მიუღებელი ახალ ეპოქაში „საერთო ნიადაგის" იდეა: „იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობა გადავაბით გლეხთა მოძრაობას. პირველი თუ დაპირისპირებული იყო უმთავრესად არაქართული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების, ქართველი მემამულეების წინააღმდეგ და აქ ამ ორ წოდებათა შორის საერთო ენა შეუძლებელი იყო". **ნოე ჟორდანიას ეს მოსაზრება რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური სალაროდან იყო აღებული და უკვე ამკარად ნარმოაჩენდა მისი ავტორის მსოფლმხედველობაში ეროვნული ნიჰილიზმის ნიშნებს.** აქვე ნოე ჟორდანია ნმინდა ფრაქციული მოსაზრებით ერთ მეტად საინტერესო აზრს ავითარებს. მას შემდეგ, რაც დაასკვნის, რომ საქართველოში მემამულეთა და გლეხთა შერიგება, მათ შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო, იგი აგრძელებს: „ჩვენ მიერ ასეთი ენის ძიება დაბოლოვდებოდა ერთი შედეგითი— გლეხობა ჩამოგვშორდებოდა, გლეხთა საკითხი მოიხსნებოდა და ჩავარდებოდით რუსის სოც.-დემ. მდგომარეობაში. გლეხობის ჩამოშორება გასტეხდა მცირე რიცხოვან, მაგრამ მეტად აქტიურ მუშათა კლასს და გზას გაუხსნიდა ბოლშევიკების გეგემონიას. ქართული მარქსისტული სოციალიზმი სამუდამოდ დაიმარხებოდა". ეს იყო მოვლენათა შესაძლო განვითარების მენშევიკური პროგნოზი.

ამრიგად, ნოე ჟორდანიასათვის არჩილ ჯორჯაძის მიერ ნამოყენებული „საერთო ნიადაგის" იდეა მიუღებელი იყო როგორც ზოგადად რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან, ისე მისი მენშევიკური მიმდინარეობის თვალსაზრისით.

ნოე ჟორდანიას იდეური ევოლუცია მთელი სისრულით გამოვლინდა 1904 წელს ჟენევაში დანერილ ნაშრომში **„ქართველი ნაციონალისტები"**. ეს ნაშრომი ავტორმა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებისა და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საპროგრამო დებულებების კრიტიკას მიუძღვნა, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციიდან შეაფასა გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული დიდძალი მასალა. ნოე ჟორდანიას აზრით, სოციალისტ-ფედერალისტებს სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდათ: „საქართველოს" ჯგუფი მუშათა მოძრაობის მიერ გამორიყული ჯგუფია. მისი მიზანია, თავისი ნაციონალისტური აზრები მუშებში შეიტანოს და მით მუშათა მოძრაობა ვინრო კალაპოტში მოამწყვდიოს, და რომ ეს მოახერხოს, თავის თავს მუშათა მომხრეთ აცხადებს, ვითომ კიდევაც თანაგვიგრძნობს, კიდევაც „დემოკრატობს", ხან და ხან „სოციალისტობასაც" წყებულობს, რომ ამით მუშათა ნრეებში შესაფალი მოიპოვოს და თავისი ძველი აზრები კონდრაბანდათ შეაპაროს". ნოე ჟორდანია სოციალისტ-ფედერალისტებს დიდ ცოდვად უთვლის იმას, რომ ისინი არ აყენებენ ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობის საკითხს: „ის (გაზეთი „საქართველო" – ვ. გ.) თხოულობს მხოლოდ ეროვნული თვითმმართველობას და ზოგ დემოკრატიულ რეფორმებს. ეს არის მისი უმთავრესი მიზანი, რაიცა უნდა შესრულდეს კაპიტალისტური წარმოების საზღვრებში მუშათა და გლეხთა ცარცვა-გლეჯის და გაბატონებულ კლასთა უფროსობის საძირკველზე". როგორც ეხედავთ, ნოე ჟორდანიასათვის მიუღებელია სოციალისტ-ფედერალისტთა როგორც ეროვნული, ისე სოციალური პროგრამა. მისთვის ერთადერთი ჭეშმარიტება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო მოთხოვნები იყო. მას ღრმად სწამდა, რომ რუსეთის „გადასხვაფერება" სწორედ ამ პროგრამის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ნაშრომში ვკითხულობთ: „თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის ამგვარი ძირითადი გადასხვაფერება და მისი ჩვენი პროგრამის თანახმად მოწყობა დიდ ძალას, დიდ ორგანიზაციას მოითხოვს. ამ ძალის მთავარი მატარებელია რუსის პროლეტარიატი, როგორც სიმრავლით, ისე თავისი ბინადრობით. მთაერობის უმთავრესი ძალა სატახტო ქალაქებშია, მისი შეიარაღება იქ უნდა მოხდეს. მაშასადამე, რუსეთის რევოლუციის მეთაური, თვითმპყრობელობის სამარის ამომთხრელი, პირველ ყოვლისა, რუსის მუშა ხალხია. მარა, რომ თვითმპყრობელობის რეჟიმი ყველგან, სახელმნიფოს ყველა კუთხეში ძირიანად ამოვარდეს – საჭიროა ყველა იმ კუთხეთა პროლეტარიატის აჯანყება და ადგილობრივ მტრებთან შებრძოლება. ცხადია, თვითმპყრობელობის დაცემაში დაინტერესებულია არა მარტო რუსის, არამედ ქართველის, სომხის, ურიის, პოლონელი და სხვა ერთა პროლეტარიატი. არც ერთ მათგანს ცალ-ცალკე არ ძალუძს რუსეთის წყობილების დანგრევა, შეცვლა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. ისინი ძალაუნებურად შეკავშირებულია რუსეთთან და მხოლოდ საერთო ძალ-ღონით საერთო პროგრამის განხორციელება შეეძლებათ. ამიტომ ყველა ერის და კუთხის მუშათა მოძრაობის შეერთება, შეკავშირება და რუსის პროლეტარიატის მუთაურობით მტერზე იერიშით მისვლა ერთად ერთი თავდებია გამარჯვებისა. კავკასიის პროლეტარიატი კარგა ხანია ამ გზას დაადგა. ის კარგა ხანია, შეუერთდა თავის მოძმე რუსის პროლეტარიატს და მასთან ერთად ლამობს თვითმპყრობელობის დამხობას და მის ნანგრევებზე ახალი წყობილების აგებას". ამ ამონანერში

მოკლედ, მაგრამ სრულიად გასაგებად, მთელი სიცხადით არის გადმოცემული ნოე ჟორდანიას მრწამსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სოციალური და ეროვნული პროგრამა, ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტრატეგია, ტაქტიკა. 1903 წლისათვის, კონკრეტულად რსდმპ II ყრილობაზე, ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ მერყეობდა, აქა-იქ მის გამოსვლებში გაიელვებდა როგორც ქართველი ერის დიდი სატკივარი, ისე დასაველეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები. **1904 წლისათვის ნოე ჟორდანია მტკიცედ დადგა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე. მისთვის მიუღებელი გახდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ნებისმიერი მიმდინარეობის საპროგრამო მოთხოვნები. ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობაში სოციალურმა თითქმის მთლიანად დათრგუნა ეროვნული და „მესამე დასის" უპირველესი იდეოლოგი, ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერი ეროვნული ნიჰილიზმის აპოლოგეტად მოგვევლინა.**

იოსებ ჯუღაშვილის მსოფლმხედველობას რსდმპ II ყრილობის შემდგომ ხანებში (1903-1904 წწ.) თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. იგი მტკიცედ იდგა იმ პლატფორმაზე, რომელსაც თავგამოდებით იცავდა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში: **„რედაქციისაგან"** (1901 წ.) და **„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი ამოცანები"** (1901 წ.). 1904 წელს იოსებ ჯუღაშვილი გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" აქვეყნებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაშრომს **„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?"** იმავე წელს წერს ორ წერილს, რომელიც იმხანად არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ: უკვე 1901 წელს დაბეჭდილი ნაშრომებიდან აშკარა გახდა, რომ იოსებ ჯუღაშვილი არაორდინალურად მოაზროვნე, სრულიად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ეს კიდევ უფრო ცხადად გამოვლინდა შემდგომ წლებში. თუ 1901 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უმახლობელესი ამოცანები" იოსებ ჯუღაშვილმა ელადიმერ ლენინზე გაცილებით ადრე ზუსტად და გასაგებად ჩამოაყალიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამოცანები, 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" – მან პარტიის ეროვნული პროგრამის პირველი მონახაზი მოგვცა. ორივე ნაშრომით იოსებ ჯუღაშვილმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თეორეტიკოსობაზე განაცხადა სერიოზული პრეტენზია.

იოსებ ჯუღაშვილის არჩევანმა – ჩამდგარიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სამსახურში – განსაზღვრა არა მარტო მისი პირადი ცხოვრება, არამედ უდიდესი გავლენა იქონია რუსეთისა და საქართველოს ახალი ისტორიის დიდ ეპოქაზე. როცა იოსებ ჯუღაშვილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე დადგა, იგი კარგად იცნობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს, საერთაშორისო და რუსულ ანარქიზმს, ევროპულ სოციალ-დემოკრატიას, რუსულ სოციალ-დემოკრატიას, ქართულ სოციალ-დემოკრატიას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ განაპირობა იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი? ჩვენი აზრით, ეს არჩევანი შემდეგი მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული:

1. იოსებ ჯუღაშვილმა სწორად განჭვრიტა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სერიოზული კრიზისის სტადიაში შევიდა. ეს მოძრაობა უკვე იმაზე მეტს ვეღარ მიაღწევდა, რასაც მიაღწია წინა ათწლეულებში. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის ქართული ეროვნული მოძრაობა ცალკეულ მიმდინარეობებად დაიშალა. ილია ჭავჭავაძის იდეების საფუძველზე ეროვნული მოძრაობის გამთლიანება უპერსპექტივოდ მოჩანდა;

2. იოსებ ჯუღაშვილმა ზუსტად გააანალიზა რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარება. რუსეთის დეცენტრალიზაცია, ქვეყნის ფედერალიზაცია და ავტონომიზაცია სასიკეთილო საფრთხეს უქმნიდა უზარმაზარ იმპერიას. ამიტომ ვლადიმირ ლენინი და ბოლშევიკები იმპერიის ნგრევას არ დაუშვებდნენ. ქართველ ხალხს, სურდა თუ არ სურდა, იმპერიის შემადგენლობაში უნდა ეცხოვრა და თავისი უახლოესი მომავალიც ამ რეალობიდან გამომდინარე განესაზღვრა;

3. იოსებ ჯუღაშვილი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ევროპეიზაცია შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებოდა თვითმყოფად, მხოლოდ რუსულ სახელმწიფოდ. რუსეთისათვის მიუღებელი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განახლების ნებისმიერი თეორია, მათ შორის ევროპაში ძალზე პოპულარული სოციალისტური დოქტრინა. რუსეთს განახლების საკუთარი, ორიგინალური გზა უნდა ეპოვა.

ამ დასკვნებამდე მივიდა იოსებ ჯუღაშვილი 1901-1904 წლებში, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი პოლიტიკური არჩევანი.

ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანია, ალექსანდრე წულუკიძე, ირაკლი წერეთელი) ნაწერებში 1903-1904 წლებში ძლი-

ერდება ეროვნული ნიჰილიზმი. იგივე მოვლენა შეიმჩნევა იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი დაუნდობლად აკრიტიკებს „ფეოდალურ მონარქიულ ნაციონალიზმს“, ქართველი ნაციონალისტების „ბატონყმურ-მონარქიულ სურვილებს“, „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს“ და ა. შ. არც სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნულ პროგრამას ინდობს და მასაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. **ამასთან, იოსებ ჯუღაშვილი სიტყვასაც არ ძრავს პირადად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, თავს იკავებს ილიას უდიერად მოხსენიებისაგან, თუმცა, ცხადი იყო, რომ იგი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას არ იზიარებდა.** ამითაც განსხვავდებოდა იოსებ ჯუღაშვილი სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან.

იოსებ ჯუღაშვილის მიერ 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქუთაისში დანერილი ორი ნერილიდან აშკარა ხდება, რომ იგი ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის თავგამოდებული დამცველი იყო. მეორე ნერილიდან ჩანს, რომ 1904 წელს ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს შორის მიმონერაც გამართულა. მართალია, წერილში იოსებ ჯუღაშვილი არ იძლევა ნოე ჟორდანიას შეხედულებების შეფასებას, მაგრამ ნერილის ტონი და ნოე ჟორდანიას უდიერად მოხსენიება არავითარ ეჭვს არტოვებს მისი ავტორის შეხედულებების გარკვევის თვალსაზრისით. ნერილში ვკითხულობთ: „კოსტრომა (ნოე ჟორდანიამ ვ.გ.) გამოგვიგზავნა კიდევ ერთი ნერილი, სადაც ლაპარაკობს სულსა და მატერიაზე (მგონია, ლაპარაკია ჩითის მატერიაზე). ამ ვირს კიდევ არ ესმის, რომ მის წინაშე გაზეთ „კვალის“ აუდიტორია როდია. რა ესაქმება მას ორგანიზაციულ საკითხებთან?“

იოსებ ჯუღაშვილის სახით, 1903-1904 წლებში საქართველოში ბოლშევიზმს ძლიერი დამცველი გამოუჩნდა, ხოლო ქართველ ბოლშევიკებს – იდეური ბელადი.

ამრიგად, 1903-1904 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ევოლუცია დამთავრდა რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმაზე გადასვლით. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეები თითქმის დავიწყებას მიეცა. ამიერიდან ქართული სოციალ-დემოკრატია რუსული სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებით ცხოვრობდა.

2. ***საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 1903-1904 წლებში.*** რსდმპ II ყრილობის შემდეგ, ბუნებრივია, ყანდარმერია და ოხრანკა ახალი ძალით ამოქმედდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. მართალია, დიდი დაპატიმრებები უშუალოდ ყრილობის შემდგომ ხანებში საქართველოში არ აღნიშნულა, მაგრამ ჟანდარმერია და ოხრანკა გამალებით აგროვებდა ცნობებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ცალკეული სოციალ-დემოკრატების შესახებ. უკვე 1903 წლის აგვისტოში თბილისის ოხრანკის განყოფილებას ჰქონდა აგენტურული მასალა ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში აქტიურად მოქმედი სოციალ-დემოკრატების შესახებ. **სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის უმთავრეს საყრდენად კვლავ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები რჩებოდა.** 1903 წლის 17 აგვისტოს თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე მუშების ვინაობას. ესენი იყვნენ: **ივანე კომახიძე, გერასიმე კაჭახიძე, შაქრო (ზაქარია) ინაშვილი, დავით კერესელიძე, ბაბილონ ლეკვეიშვილი, გრიგოლ ჯარდანაშვილი, სიმონ ჩიკოშაშვილი, პაველ მიატელოვი, დავით სუხიშვილი, პარნო სართანია, გიორგი ნიკოლაიშვილი, გიორგი ზუბაშვილი, სტანისლავ ლენჩიცკი, ანდრია ჭიაბრიშვილი, მელქისედეკ ფრანგიშვილი, გიორგი თელია, მაქსიმე ლეფავა** და სხვ.

1903 წლის აგვისტოსათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ამაზე მეტყველებს თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროს აგვისტოს თვის ანგარიში. აგვისტოს თვეში საიდუმლო სალაროში ფული შეიტანა 27 ორგანიზაციამ (ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, სახელოსნო და ა. შ.), სალაროს საერთო შემოსავალმა ამ პერიოდში 2769 მანეთი და 99 კაპიკი შეადგინა. აგვისტოში საიდუმლო სალაროდან გაიცა: პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისათვის 700 მანეთი და 75 კაპიკი, გადასახლებულთათვის – 250 მანეთი, არალეგალური ლიტერატურის შესაძენად – 105 მანეთი, წერილმანი ხარჯებისათვის – 4 მანეთი და 20 კაპიკი, სულ – 1059 მანეთი და 95 კაპიკი. 1903 წლის სექტემბერში რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროში ფული შეიტანა ოცმა ორგანიზაციამ, სულ სალაროში შეტანილი იქნა 482 მანეთი და 3 კაპიკი. 1 სექტემბრისათვის სალაროს ნაშთი 2552 მანეთსა და 92 კაპიკს შეადგენდა. სექტემბრის თვეში საიდუმლო სალაროდან დაიხარჯა: პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისათვის – 682 მანეთი და 50 კაპიკი, გადასახლებულთათვის – 250 მანეთი, არალეგალური ლიტერატურის შესაძენად – 226 მანეთი და 32 კაპიკი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხარჯების დასაფარავად – 50 მანეთი, წვრილმანი

ხარჯებისათვის – 6 მანეთი და 95 კაპიკი.

ჟანდარმერია და ოხრანკა დიდ სამძებრო სამუშაოებს ატარებდა ბათუმში. სწორედ ამის შედეგი იყო ბათუმის არალეგალური სტამბის ჩავარდნა. სტამბის საქმესთან დაკავშირებით 1903 წლის 1 სექტემბერს დააპატიმრეს **გიორგი თელია, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** და **ვასილ თიბილაშვილი**.

კარლო ჩხეიძისა და გიორგი თელიას დაპატიმრება დიდი დანაკლისი იყო, მით უფრო, რომ უკვე დაპატიმრებული იყვნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები თბილისიც და ბათუმიც, ემიგრაციაში იმყოფებოდა ნოე ჟორდანია. სამაგიეროდ, 1903 წლის მეორე ნახევარში დიდ აქტიურობას იჩენს **ირაკლი წერეთელი**, რომელიც პარალელურად გაზეთ „კვალსაც“ ხელმძღვანელობდა.

ბათუმში საიდუმლო სტამბის ჩავარდნის შემდეგ ახალი ძალით იშლება სამძებრო სამუშაოები თბილისში. 1903 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ერთ-ერთ სანყობში ოხრანკამ იპოვა: 1. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ 1903 წლის მესამე ნომერი; 2. ბროშურა „როგორ ზრუნავს მინისტრი ხალხისათვის“ (სომხურ ენაზე); 3. ბროშურა „რა უნდა იცოდეს და ესმოდეს ყოველ მუშას“ (სომხურ ენაზე); 4. რსდმპ კავკასიის კავშირის გამოცემები (ხუთი დასახელების), დაბეჭდილი ჟენევაში და სხვ.

1903 წლის ნოემბრის ბოლოსათვის თბილისის ოხრანკის განყოფილებას უკვე ხელთ ჰქონდა უამრავი მასალა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის შესახებ. ამ მასალების საფუძველზე შედგა ვრცელი მოხსენება, რომელიც 1903 წლის 30 ნოემბერს გაიგზავნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში. ეს მოხსენება უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ისტორიისათვის.

1903 წლის 30 ნოემბრისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტის მოღვაწეობის არეალში შედიოდა: 1. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები, 2. ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ თბილისის დეპო, 3. თბილისის სტამბები, 4. ადელხანოვის ტყავის ფაბრიკა, 5. სხვადასხვა ქარხანა. თბილისის საერთო-საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია **ოთხ რაიონულ ორგანიზაციად** იყო დაყოფილი. თითოეულ რაიონში არსებობდა მუშათა რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. თითოეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შედგებოდა წრეებისაგან. რომლებშიც 6-10 კაცი იყო გაერთიანებული. სოციალ-დემოკრატიული წრის სათავეში იდგა მუშა, რომელსაც **„ოფიცერს“** უწოდებდნენ. „ოფიცერს“ კაუშირი ჰქონდა **პროპაგანდისტთან**,



ირაკლი წერეთელი

რომელიც, ჩვეულებრივ, ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი იყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ: ვლადიმერ სანაძე, პაველ დანილინი, ისაკ ცინელაძე, ივანე ავსაჯანიშვილი, გერასიმ შეეჩუკი, ალფეს ყიფიანი, ვიქტორ სტოლიაროვი, სტეფან ზახაროვი, კონსტანტინე ვაშაკიძე, დავით კერესელიძე, ზაქარია ინაშვილი, მიხეილ ოზალაშვილი, თევდორე კალაძე, დიმიტრი გოგინაშვილი, ასატურ გრიკუროვი, მიხეილ ბახტაძე, გიორგი ხეთაგური, ივანე როსტიაშვილი, ვლადიმერ თურქესტანიშვილი და სხვ. ოხრანკას დადგენილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატი მუშების კონსპირაციული შეკრების ადგილები. ასეთი შეკრებები შედგა: 1903 წლის 8 სექტემბერს დიდუბეში, მიხეილ ბახტაძის ბინაში, 24 სექტემბერს – ნაძალადევის ბიბლიოთეკაში, 9 ოქტომბერს – ვლადიმერ სანაძის ბინაში და სხვ.

თბილისის სტამბების მუშებიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ: **ალექსანდრე (სანდრო) იაშვილი** (კულტიბერგის სტამბა), **ვიქტორ წულაძე** (შარაძის სტამბა), **მაკარ გოგუაძე** („ცნობის ფურცლის“ სტამბა),

პლატონ ხუციშვილი (ხელაძის სტამბა), **ვასილ ხუციშვილი** (ლიბერმანის სტამბა), **ილია დარჩია** (თავართქილაძის სტამბა), **სოლომონ ვადაჭკორია** (დიასამიძის სტამბა), **ივანე ბოლქვაძე** (ქართული საგამომცემლო ამხანაგობის სტამბა), **ლავრენტი ხელაძე** (ჩარკვიანის სტამბა), **თეოფილე ბაბილოძე** (კულტიბერგის სტამბა), **ალექსანდრე როხვაძე** (გადავიდა ქუთაისში კილაძის სტამბაში), **ივანე ბიბილური** (ხელაძის სტამბა), **დიმიტრი ჯაში** (დიასამიძის სტამბა), **იუსტინე ვადაჭკორია, იოსებ ბაბილოძე, ვასილ ბოლქვაძე, გაბრიელ ურუშაძე, მიხეილ ცერცვაძე, ერასტი ტოროტაძე** და სხვ. სტამბის მუშებმა კონსპირაციული კრებები მოაწყვეს: 1903 წლის 24 აგვისტოს გადასახლებაში მყოფი ვ. ურუშაძის ბინაში, 25 სექტემბერს – ი. ბიბილურის ბინაში, 28 სექტემბერს – ვ. წულაძის ბინაში, 12 ოქტომბერს – ვ. ნულაძის ბინაში, 9 ნოემბერს – თხინვალის ქუჩაზე და სხვ.

ადელხანოვის ტყავის ფაბრიკიდან, ასევე ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ მუშები: იგორ ნოზაძე, არტემ დონდიევი, ილია კეშიშევი, სიმონ ბარათაშვილი, ტატოს ბატანოვი, იოსებ ველაშაკი, მოვსეს ვარტაზაროვი, ვასილ ბაჟანოვი, მიხეილ კიკნაძე და სხვ. ოხრანკამ დაადგინა, რომ ადელხანოვის ტყავის ფაბრიკისა და ასევე ქალაქის სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმა 1903 წლის სექტემბერ-ნოემბერში რამდენჯერმე მოაწყვეს კონსპირაციული შეკრება.

ოხრანკას დადგენილი ჰქონდა აქტიურად მოღვაწე ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატების ვინაობა. მათ შორის იყვნენ: **ირაკლი წერეთელი, რაჟდენ არსენიძე, ნოე თოთიბაძე, ოლღა გაბუნია, არჩილ დოლიძე, ბესარიონ ქალანდაძე, შიო დავითაშვილი,** მსახიობი **გამყრელიძე** და სხვ. ოხრანკის მონაცემებით, ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებიდან პროპაგანდისტებად მუშაობდნენ: **ნიკოლოზ აგლაძე, იროდიონ ევდოშვილი, რაჟდენ ქალაძე, კაპიტონ გოგოლაძე, მიხეილ გობრონიძე, ილია ზურაბიშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ვიქტალი ბლოკი.** ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატებიდან ყველაზე აქტიურად მუშაობდნენ ირაკლი წერეთელი და არჩილ დოლიძე, ასევე მათთან კავშირში მყოფი **ვიქტორ ნანეიშვილი და არშაკ ზურაბოვი.** რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატებიდან აქტიურ მოღვაწეობაში შემჩნეული იყვნენ: **ვიქტალი ბლოკი, ალექსანდრ ლანგე-პოზდეევი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, ლევ როზენფელდი (კამენევი)** და სხვ.

ოხრანკამ ვერ დაადგინა ზოგიერი სოციალ-დემოკრატის ვინაობა. ცნობილი იყო მხოლოდ მათი პარტიული მეტსახელები: **„იაშჩიკი", „მალჩიკ", „არაბკა", „ხუდოჟნიკ", „ტიურკი", „აეჩალსკი", „ბრიუნეტი", „პერენოსნაია", „ვიალი"** და **„ვორკუნ".**

სულ 1903 წლის 30 ნოემბრისათვის თბილისის ოხრანკის განყოფილებას ცნობები ჰქონდა 126 სოციალ-დემოკრატზე. აქედან თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსი აუცილებლად თვლიდა 19 კაცის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას. ესენი იყვნენ: რაჟდენ არსენიძე, ირაკლი წერეთელი, არჩილ დოლიძე, ვიტალი ბლოკი, ვიქტორ ნანეიშვილი, ს. ახმეტელაშვილი, პაველ დანილინი, ისაკ ცინელაძე, ვლადიმერ სანაძე, ი. ავასაჯანიშვილი, გერასიმე შეერუკი, ალფეს ყიფიანი, ასატურ გრიკუროვი, ნიკიფორე სემიონოვი, ალექსანდრე იაშვილი, ვიქტორ წულაძე, დავით კაპანაძე, იგორ ნოზაძე, არტემ დონდიევი. დანარჩენი 42 კაცის საქმე უნდა გადაწყვეტილიყო ჩხრეკის შედეგების მიხედვით. დასაპატიმრებელთა შორის იყვნენ: შიო დავითაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, რაჟდენ კალაძე, ალექსანდრე წულუკიძე, არშაკ ზურაბოვი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, ალექსანდრ ლანგე-პოზდეევი, ლეე როზენფელდი (კამენევი), ალექსანდრ კალიუჟნი, ზაქარია ჩოდრიშვილი.

როგორც ვხედავთ, ოხრანკას საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის შესახებ. ოხრანკის მონაცემებზე დაყრდნობით, 1904 წლის 5-6 იანვარს ღამით განხორციელდა თბილისის ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრება. 5-6 იანვარს ღამით დააპატიმრეს: **ირაკლი წერეთელი, ვიქტორ ნანეიშვილი, არჩილ დოლიძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ხუდადოვი, ალექსანდრ ლანგე-პოზდეევი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, დავით კაპანაძე, მარია ბორისოვა, ზაქარია იაშვილი, გალაქტიონ შავდია, არშაკ ზურაბოვი, ნოე თოთიბაძე, ვიტალი ბლოკი, პაველ დანილინი, ნიკიფორ სემიონოვი, ალექსანდრე იაშვილი, რაფიელ რამიშვილი, იოსებ ირემაშვილი** და მრავალი სხვ. დაპატიმრებები გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც. ჟანდარმერიამ და ოხრანკამ ხელთ იგდო დიდი რაოდენობით ნივთმტკიცება: რსდმპ თბილისის კომიტეტის საიდუმლო სალაროს 1903 წლის სექტემბრის ანგარიში, პროკლამაციებისა და მოწოდებების ტექსტები, გაზეთ „ისკრის" რამდენიმე ნომერი, არალეგალურად გამოცემული ბროშურები (ქართულ და რუსულ ენებზე), „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის" ერთი ნომერი და მრავალი სხვა.

1904 წლის იანვარში განხორციელებული დიდი დაპატიმრებების შემდეგ რსდმპ თბილისის კომიტეტის მოქმედება ფაქტობრივად შეწერდა. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მუშაობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის

ხელმძღვანელობით. რსდმპ თბილისის ახლად არჩეულმა კომიტეტმა თავისი საქმიანობა დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო აგიტაციით. სააგიტაციო ლონისძიებებს საერთო ჯამში დაესწრო 1500 მუშა. სააგიტაციო მუშაობის წარმატების შემდეგ გადაწყდა სამობაოდ დემონსტრაციის მოწყობა, მაგრამ მისი ორგანიზება შეუძლებელი აღმოჩნდა – მონინავე მუშებმა უარი თქვეს დემონსტრაციაში მონაწილეობაზე.

რეპრესიებმა შეანელა არალეგალური გამოცემების ბეჭდვა. სულ 1904 წლის იანვრიდან მაისის დამდეგამდე რსდმპ თბილისის კომიტეტმა გამოუშვა 10 თუ 14 პროკლამაცია. ქართულ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაციების ტირაჟი შეადგენდა 2.000 ეგზემპლარს, რუსული და სომხური ენებისა – 1.500 ეგზემპლარს. არალეგალური გამოცემების ბეჭდვა შეჩერდა იმის გამო, რომ ამ პერიოდში რსდმპ თბილისის კომიტეტს არ ჰქონდა საკუთარი სტამბა.

1904 წლისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტი განიცდიდა მონინავე მუშების ნაკლებობას. შეგნებული მუშების მცირე ფენა იკარგებოდა მუშათა მასაში, რაც, რა თქმა უნდა, აძნელებდა სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას.

რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, როგორც ნესი, 1904 წლის იანვრამდე მოქმედებდა ყველა პარტიული თანამდებობის არჩევის წესი. შემდეგში თბილისის კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა არჩევნების შეცვლა დანიშვნით. თბილისის კომიტეტმა გააუქმა პარტიულ თანამდებობებზე არჩევნების ჩატარება თბილისის ოთხივე რაიონში. ამ ცვლილების გატარება ადვილი არ გამოდგა. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის თბილისის ოთხი რაიონიდან მესამე რაიონში არჩევნები გაუქმდა ფორმალურად, მეორესა და მეოთხეში – ფაქტობრივად, პირველ რაიონში პარტიული ორგანოების არჩევნები კვლავ ტარდებოდა.

1904 წლის მაისის დამდეგისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში უკვე მოქმედებდა მონინავე მუშების 6 წრე, რომლებშიც გაერთიანებული იყო დაახლოებით 70 კაცი. ამავე პერიოდისათვის თბილისის მუშათა კლასი, მთლიანობაში, თავისი პოლიტიკური შეგნებით, არაერთგვაროვანი იყო. 1900 წლამდე, როცა თბილისელი მუშები ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ზოგიერთ წარმატებას აღწევდნენ, მუშათა საერთო განწყობილება ოპტიმისტური, საბრძოლო იყო. 1900 წლის მოვლენების შემდეგ, როცა თბილისიდან გაასახლეს გაფიცების მონაწილე 800 მუშა, მუშებში საბრძოლო განწყობამ იკლო. ამავე დროს რუსი ეროვნების მუშები თავს იკავებდნენ გაფიცებში მონაწილეობისაგან, ხოლო ხშირად ხელს უშლიდნენ ქართველ მუშებს გამოსვლების ორგანიზებაში. პროვოკატორთა უმრავლესობაც რუსი მუშებიდან იყო. ყოველივე ამის შედეგად თბილისის მუშათა კლასის საერთო პოლიტიკური შეგნების დონე და ორგანიზების უნარი 1903-1904 წლებისათვის გაცილებით ნაკლები იყო წინა წლებთან შედარებით.

1904 წლის იანვრის დაპატიმრებებმა, როგორც აღვნიშნეთ, დაასუსტა რსდმპ თბილისის ორგანიზაცია, თუმცა მისი მუშაობა დიდხანს არ შეფერხებულა. 1904 წლის ოქტომბრის დამდეგისათვის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და თბილისის ოხრანკის განყოფილებას კვლავ ჰქონდათ ცნობები იმის შესახებ, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტი აქტიურად მუშაობდა ქალაქში. 1904 წლის 3 ოქტომბერს ღამით დააპატიმრეს თბილისში მოღვაწე სოციალ-დემოკრატები: ივანე ბოლქვაძე, აბრამ მიქაძე, სპირიდონ ჟღენტი, ოლგა რუბცოვა, ეკატერინა ხოჯაშვილი, სტეფანე ფარქოსაძე, ივანე ქორიძე, პეტრე ლომაძე, დვოსია ასი, სულ 9 კაცი. თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსის აზრით, უნდა გაეჩხრიკათ და ჩხრეკის შედეგების მიხედვით გადაეწყვიტათ ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალ-დემოკრატების დაპატიმრების საკითხი: მიხა ცხაკაიას, ფიოდორ შტამბურგის, ეკატინი ჩხარტიშვილის, გერასიმე ლომჯარიას და სხვების, სულ 14 კაცისა. მიუხედავად ამ დაპატიმრებებისა, 1904 წლის ნოემბრისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტი აგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას. სამძებრო სამუშაოებს აძლიერებდა ოხრანკა და ჟანდარმერია. 1904 წლის 30 ნოემბერს თბილისში ტატო კაკალაშვილის ბინიდან ჟანდარმერიამ ამოიღო: 1. 14 ათასი ეგზემპლარი ბროშურა და პროკლამაცია ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; 2. 4,5 ფუთი შრიფტი; 3. 0,5 ფუთი თეთრი ქაღალდი; 4. ნითელი დროშები და ტრანსფარანტები; 5. რსდმპ თბილისის კომიტეტის სამი ბეჭედი; 6 საიდუმლო სალაროს დოკუმენტები; 7. სხვადასხვა ხელნაწერი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

მიუხედავად დიდი რეპრესიებისა, 1904 წლის ბოლოსათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაცია უწყვეტად ფუნქციონირებდა და სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ქალაქის მასშტაბით.

1903 წელს განხორციელებული რეპრესიების შემდეგ კვლავ გაიმართა წელში რსდმპ ბათუმის ორგანიზაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წლის მეორე ნახევარსა და 1904 წელს ბათუმში, თბილისისაგან განსხვავებით, შეიმჩნევა მუშათა მოძრაობის სერიოზული აღმავლობა. ეს

სოციალ-დემოკრატების დამსახურება იყო. 1904 წლის დამდეგიდან ბათუმის ქარხნებსა და სანარმოებში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები: **ალექსანდრე ჩხენკელი, გიორგი ფილია, ალისტრო ბერძენიშვილი, მიხაკო ლომთათიძე, გიორგი ჭკუასელი, ბესარიონ კაშია, ანტონ კალანდაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, პაველ გაბუნია, სერაპიონ ბერძიე** და სხვ.

1903 წელს საიდუმლო სტამბის ჩავარდნის შემდეგ მალე ბათუმში მოქმედებას იწყებს ახალი სტამბა. 1904 წლის აპრილში ეს სტამბაც ჩავარდა. სტამბის ორგანიზებასა და არალეგალური პროდუქციის ბეჭდვაში მონაწილეობდნენ: გიორგი შალიკაძე და ისიდორე თალაკვაძე. საიდუმლო სტამბის ძიების მასალებიდან ჩანს, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრი, პოლიციის განსხვავებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი **ნოე რამიშვილი.**

რსდმპ ბათუმის კომიტეტი 1904 წლისათვის განიცდიდა მონინავე მუშების ნაკლებობას. სულ 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ბათუმის ქარხნებში მომუშავე 4 ათასი მუშიდან მეტნაკლებად ორგანიზებული იყო 2 ათასი მუშა. აქედან დაახლოებით 200 მუშას შეეძლო სეროზული კლასობრივი ბრძოლის მონაწილე ყოფილიყო. რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოღვაწეობას ართულებდა ისიც, რომ ძალზე ჭრელი იყო მუშათა კლასის ეროვნული შემადგენლობა. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებსა და სანარმოებში დასაქმებული მუშებიდან ქართველთა რაოდენობა უდრიდა 2000 კაცს, სომეხთა – 1500 კაცს, რუსებისა – 500 კაცს.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების შემდეგ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დიდი ადგილი დაუთმო ომის სანინააღმდეგო აგიტაციას. ერთი თვის მანძილზე გაიმართა 48 სააგიტაციო ღონისძიება, რომელშიც 1600 კაცმა მიიღო მონაწილეობა. 1904 წელს საპირველმაისოდ გაიმართა 30 სააგიტაციო ღონისძიება, რომელშიც დაახლოებით 1000 კაცი მონაწილეობდა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი, სტამბის ორჯერ ჩავარდნის მიუხედავად, ახერხებდა არალეგალური გამოცემების ბეჭდვას. 1903 წლის ოქტომბრიდან 1904 წლის მაისის დამდეგამდე კომიტეტმა გამოსცა დაახლოებით 25 პროკლამაცია.

რეპრესიების მიუხედავად, რსდმპ ბათუმის კომიტეტი ინარჩუნებდა ბრძოლის უნარს. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის კომიტეტი მოქმედებდა ექვსი ნევრის (სამი მუშა, სამი ინტელიგენტი) შემადგენლობით.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი, ბათუმის გარდა, პროპაგანდას ეწეოდა აჭარის სოფლებში. 1904 წლის 4 ივნისს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა ზემო და ქვემო აჭარაში მკვეთრად გაძლიერდა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა გაფიცვას, რომელიც მიმდინარეობდა ბათუმში ქარხნებში 1904 წლის აგვისტოში. აგვისტოს გაფიცვების ორგანიზებასა და ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ სოციალ-დემოკრატებს: **ივანე შევარდნაძეს, სელივან იეანიძეს, პარნო ნინუას, ანდრო ზარქუას, ანტონ რურუას, მიხეილ ცერაძეს, დავით ვაჩეიშვილს, ვლადიმერ ჯიბუტს, ბებურ სიმონიშვილს, ალექსი კუპრეიშვილს, სილიბისტრო გაგუას.**

მართალია, 1903 წლის გაზაფხულზე რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი (გურიის კომიტეტი) შეიქმნა, მაგრამ იგი მალე შეერწყა რსდმპ ბათუმის კომიტეტს. როდის მოხდა ეს შერწყმა, ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ 1904 წლის მაისის დამდეგისათვის რსდმპ გურიის კომიტეტი უკვე დამოუკიდებლად აღარ ფუნქციონირებდა. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული მუშაობა გურიაში არ შეფერხებულა. 1904 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე ჟანდარმერიამ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კერები აღმოაჩინა დვაბზუს, ლიხაურის, შემოქმედის, გურიანთის, ბაზეის, ხვარბეთის, მიქელ-გაბრიელის, ლანჩხუთის, ძიმითის, ჯუმრუყეთის, ჩიბათის, ჩოხატაურის სასოფლო საზოგადოებებში. 1904 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ზემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საზოგადოებებში იყო გლეხთა გამოსვლებიც.

შედარებით სუსტი იყო გლეხთა მოძრაობა იმერეთსა და სამეგრელოში. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. 1903-1904 წლებში ქუთაისში სამრეწველო პროლეტარიატი ფაქტობრივად არ არსებობდა. სულ 60 კაცი მუშაობდა თამბაქოს ფაბრიკაში. ამას ემატებოდნენ ხელოსნები (თერძები და სხვ.) და სხვადასხვა სახელოსნოს მუშები. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული იყო, პროპაგანდისტთა კადრები ქალაქის მოსწავლეთა რიგებიდან მოემზადებინა. მოსწავლეთა მასა აშკარად ამჟღავნებდა დაინტერესებას სოციალ-დემოკრატიული იდეებით. 1904 წლის მაისის დამდეგისათვის ქუთაისში არსებობდა 10 სოციალ-დემოკრატიული წრე.

ამრიგად, 1903-1904 წლებში საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, მიუხედავად მრავალგზისი რეპრესიისა, აღმავლობას განიცდიდა. 1904 წლის ბოლოსათვის სოციალ-დე-

მოკრატია წარმოადგენდა ქვეყანაში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას.

4. ფრაქციული ბრძოლები ქართულ სოციალ-დემოკრატიაში 1903-1904 წლებში. ფრაქციული ბრძოლები, ანუ ბრძოლები მენშევიკურ და ბოლშევიკურ მიმდინარეობებს შორის, 1903-1904 წლებში საქართველოში არ გამწვავებულა და, ფაქტობრივად, რსდმპ III ყრილობის მონაწილეს გარშემო პოლემიკით შემოიფარგლა. მენშევიზმისა და ბოლშევიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის დაპირისპირება, დისკუსია ამ საკითხებზე არც პარტიულ პრესაში და არც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არ ნარმოშობილა. ფრაქციული ბრძოლის საკითხებს არ შეხებიან თავიანთ ნაშრომებში ისეთი ცნობილი სოციალ-დემოკრატები, როგორებიც იყვნენ: იოსებ ჯუღაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე, ირაკლი ნერეთელი. ცნობილია, რომ ფრაქციული ბრძოლებისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი – **„პანია შენიშვნა დიდ კითხვაზე"**, ალექსანდრე წულუკიძემ 1905 წლის 20 თებერვალს გამოაქვეყნა ჟურნალ „მოგზაურში", ხოლო იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომი: **„გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე"**– 1905 წლის მაისში გამოიცა ბროშურის სახით. საერთოდ, პარტიულ პრესაშიც და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებშიც ფრაქციული ბრძოლები მწვავე დისკუსიის საგნად იქცა 1905 წლის იანვარ-თებერვლიდან. რა იყო ამის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბოლშევიკებმა, რომელთაც ვლადიმირ ლენინის მეთაურობით მრავალი დარღვევის წყალობით რსდმპ II ყრილობაზე გამარჯვება მოიპოვეს, გადაწყვიტეს, პარტიული მასებისათვის დაემალათ ყრილობაზე მომხდარი განხეთქილება, არ ექციათ იგი დისკუსიის საგნად. ლენინს მხარს უჭერდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტი და პარტიის საბჭო პლეხანოვის თაოსნობით. პარტიაში მომხდარი განხეთქილების დაფარება მოულებლად მიიჩნიეს გაზეთ „ისკრის" რედაქციის წევრებმა (რედაქტორებმა) ლეე მარტოვმა და პაველ აქსელროდმა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლეე მარტოვმა და პაველ აქსელროდმა კიდეც გამოაქვეყნეს პარტიული განხეთქილებისადმი მიძღვნილი ნაშრომები „ისკრაში", მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ნაშრომები არც განხილული საკითხების სილრმით და არც გულახდილობით არ გამოდგებოდა განხეთქილების არსში გასარკვევად და მეორე, „ისკრა" როგორც მთელ რუსეთში, ისე საქართველოშიც კონსპირაციულად ერცელდებოდა, რაც ლენინის პოზიციაზე მდგარ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს საშუალებას აძლევდა, მისთვის არასასურველი „ისკრის" ნომრები საერთოდ დაემალა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის, პარტიული მასებისათვის. სწორედ ლენინის მითითებით მოქმედებდა კავკასიის კავშირის კომიტეტი, როცა ყოველ ღონეს ხმარობდა პარტიული განხეთქილების მისაჩქმალავად. ამ თვალსაზრისით კავკასიის კავშირის კომიტეტს დიდი სამსახური გაუწიეს რსდმპ II ყრილობის დელეგატებმა ბოგდან კნუნიანცმა და არშაკ ზურაბოვმა, რომელთაც პარტიულ მასებს დაუმალეს ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი. რაც შეეხება კიდევ ერთი დელეგატის – დიომიდე თოფურიძის – ცდას, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ეთქვა სიმართლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის კავშირის კომიტეტმა მკაცრი პარტიული სანქციებით უპასუხა, რაც მოიწონეს ლენინმა და პლეხანოვმა. ჟენევაში მყოფი ნოე ჟორდანია შეეცადა, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ჩაეყენებინა მომხდარი განხეთქილების კურსში, მაგრამ მისი **„წერილი კავკასიის კომიტეტებს"**, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის კავშირის კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს დაუმალა. რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილება რომ ფაქტობრივად უცნობი დარჩა პარტიული მასებისათვის, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ნოე ჟორდანია 1905 წლის დამდეგამდე საქართველოში არ დაბრუნებულა, ხოლო რსდმპ II ყრილობის შემდეგ ხანებში ზედიზედ დააპატიმრეს კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ირაკლი ნერეთელი... გადასახლებაში იმყოფებოდნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ვასილ ცაბაძე და სხვა ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები. რა თქმა უნდა, აპატიმრებდნენ ბოლშევიკებსაც, მაგრამ რსდმპ II ყრილობის შემდგომ პერიოდში (1903-1904 წწ.) თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ლენინის პლატფორმაზე მდგარი სოციალ-დემოკრატები: ბოგდან კნუნიანცი, არშაკ ზურაბოვი, სტეფან შაუმიანი, მიხა ცხაკაია, რუსეთიდან სპეციალური მისიით ჩამოსული ლენინის მომხრეები: ვლადიმირ ბობროვსკი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, ლეე კამენევი (როზენფელდი) და სხვები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ლენინის მითითება – ყოველგვარი საშუალებით დაემალათ რსდმპ ორგანიზაციებისათვის II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი – კავკასიის კავშირის კომიტეტმა ძირითადად წარმატებით შეასრულა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მაინც შეუძლებელი იყო პარტიული განხეთქილების სავსებით დამალვა. ამ განხეთქილების შესახებ იცოდნენ რსდმპ II ყრილობის დელეგატებმა კავკასიიდან, კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრებმა, ცალკეულმა სოციალ-დემოკრატმა და ა. შ. ამრიგად, ფრაქციული უთანხმოება საქართ-

ველოში პრაქტიკულად არ სცილდებოდა პარტიულ ელიტას. იყო თუ არა ფრაქციული უთანხმოების ნიადაგზე პოლემიკა რსდმპ თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებში, სანდო დოკუმენტური მასალით არ დასტურდება. სამაგიეროდ, დადგენილია, რომ ფრაქციული უთანხმოება, ცხარე პოლემიკა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში, კავკასიის კავშირის II და III ყრილობაზე იყო, თუმცა, ვიმეორებთ, ეს პოლემიკა პარტიულ ელიტას არ გასცილებია და ფართო პარტიულ დისკუსიაში 1903-1904 წლებში არ გადაზრდილა.

რსდმპ კავკასიის კავშირმა თავისი მორიგი, II ყრილობა ჩაატარა 1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში თბილისში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კავკასიის კავშირის კომიტეტის, თბილისის, ბათუმის, ბაქოს, გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების დელეგატები. ყრილობის მთავარი საკითხი იყო რსდმპ II ყრილობის შედეგების განხილვა და აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის დასახვა.

რსდმპ კავკასიის კავშირის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყრილობაზე მოეწვიათ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, მაგრამ ლენინის მიერ შერჩეული ნარმომადგენელი თბილისში ვერ ჩამოვიდა. კავკასიის კავშირის II ყრილობას უნდა მოესმინა რსდმპ II ყრილობის დელეგატთა ანგარიშები. თავის გამოსვლაში დიომიდე თოფურიძემ სცადა, დელეგატებისათვის ეუწყებინა სიმართლე პარტიული ყრილობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ II ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური ორგანოები უკანონოა და მოითხოვა კავკასიის კავშირის ყრილობას ბოიკოტი გამოეცხადებინა რსდმპ ცენტრალური ორგანოებისათვის. ყრილობის ბოლშევიკმა დელეგატებმა დაგმეს დიომიდე თოფურიძის გამოსვლა. მენშევიკებთან ცხარე პოლემიკაში ყრილობის ბოლშევიკურმა უმრავლესობამ მოახერხა სასურველი რეზოლუციის მიღება. რეზოლუცია ინონებდა ლენინისა და მისი მომხრეების პოზიციას რსდმპ II ყრილობაზე, გმობდა მენშევიკების პლატფორმას.

რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობამ განიხილა კავკასიის კავშირის წესდების პროექტი, რომელიც ლენინის მიერ ჩამოყალიბებულ რსდმპ წესდების პროექტს ემყარებოდა. კერძოდ, წესდებაში ნათქვამი იყო:

„1. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების კავშირი, როგორც რაიონული ორგანიზაცია რსდმპ განუყოფელ ნანილს შეადგენს;

2. კავშირი მთლიანად იღებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, რომლებიც შემუშავებულია პარტიის II ყრილობაზე და თავის საქმიანობაში ემორჩილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს".

რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პირველი და მეორე პარაგრაფი მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისათვის ორი მიზეზის გამო: პირველი. წესდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, უფრო მეტიც, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირს – კავკასიის კავშირს – აყენებდა ველიკოროსიის სამხარეო (საოლქო) ორგანიზაციების რანგში და არ აძლევდა მას შეზღუდულ ავტონომიასაც კი; მეორე. წესდება, ფაქტობრივად, კრძალავდა პოლემიკას პარტიული განხეთქილების შესახებ და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს აიძულებდა, სურდათ თუ არ სურდათ, უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებებს, ეცნოთ ლენინის მომხრეთა მრავალი დარლეევის წყალობით მოპოვებული გამარჯვება.

სამწუხაროდ, რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობის ბოლშევიკურმა უმრავლესობამ წესდების საკითხშიაც გაიმარჯვა, ისევე, როგორც გაიმარჯვეს კაეკასიის კავშირის კომიტეტის არჩევნებში – კომიტეტის წევრთა უმრავლესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ.

ჭეშმარიტებას არ შეეფერება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობის შემდეგ „დეზორგანიზატორული საქმიანობა ქართველმა მენშევიკებმა მალე ადგილობრივ ორგანიზაციებში გადაიტანეს და ცდილობდნენ, ბოლშევიკებზე საზიზღარი ცილისწამებით გათიშვა გამოეწვიათ". სინამდვილეში ფრაქციული ბრძოლები, დისკუსია პარტიული უთანხმოების საკითხებზე ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არ გადაუტანიათ. ფრაქციული ბრძოლებმა ახალი ძალით იფეთქა რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობაზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობა გაიმართა თბილისში 1904 წლის მაისის პირველ რიცხვებში. ყრილობას დაესწრნენ: რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ნევრები, დელეგატები თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებიდან, ასევე 5 დელეგატი სათათბირო ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ კაეკასიის კავშირს. რსდმპ ბაქოს ორგანიზაცია ყრილობაზე წარმოდგენილი არ ყოფილა. ყრილობის დღის წესრიგში იდგა თორმეტი საკითხი: 1. ადგილობრივი კომიტეტების მოხსენებები; 2. რს-

დმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოხსენება; 3. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და მასთან დაკავშირებული დებატები; 4. მომავალი დემონსტრაციების ხასიათის შესახებ; 5. ხიდისთავის(გურია) დემონსტრაციის შესახებ; 6. აგიტაციისა და პროპაგანდის შესახებ მუშებში, გლეხებში, ჯარსა და მოსწავლეებში; 7. შეიარაღების შესახებ; 8. ლიტერატურის შესახებ; 9. პროფესიონალი რევოლუციონერების შესახებ; 10. კავკასიის კავშირის წესდების გადასინჯვა; 11. რეზოლუციები; 12. ბიუჯეტი.

ფრაქციული ბრძოლები გაიმართა ყრილობაზე განხილული თითქმის ყველა საკითხის ირგვლივ, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე დისკუსია მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამოიწვია ორმა საკითხმა: რსდმპ კავკასიის კავშირის მოხსენებამ და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებამ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოხსენებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი შედიოდა. ცალკე იყო გამოყოფილი **„უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი“**, რომელსაც მოხსენების უდიდესი ნაწილი ეკავა. ბუნებრივია, ახალს რსდმპ II ყრილობისა და იქ მომხდარი განხეთქილების შესახებ ვერაფინ იტყოდა – ფაქტები ძირითადად უკვე ცნობილი იყო. გამართული პოლემიკის დროს გაირკვა, რომ მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის ურთიერთობა საქართველოში უკიდურესად დაძაბული იყო, არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას. სწორედ ამას გამოხატავდა ფრაქციული ბრძოლების მწვავე ხასიათი საქართველოში 1905 წელს.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ხაზი გაესვა იმას, რომ, ფრაქციული დაპირისპირების მიუხედავად, მენშევიკები და ბოლშევიკები რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებში მაინც ახერხებდნენ ერთად მუშაობას, რუსეთის მთელ რიგ რაიონებში კი ეს არ ხერხდებოდა. ეს განცხადება ჭეშმარიტებას შეეფერებოდა. **1904 წლის მაისისათვის საქართველოს ყველა კომიტეტში მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად მუშაობდნენ.** განხეთქილების გზას პირველად ბოლშევიკები დაადგნენ. მათ 1904 წლის ნოემბერში ლენინის მითითებით მოიწვიეს რსდმპ კავკასიის კავშირში შემავალი კომიტეტების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მხოლოდ ბოლშევიკებმა მიიღეს.

1904 წლის ბოლომდე საქართველოში მენშევიკები და ბოლშევიკები ვერ შეთანხმდნენ ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო რსდმპ III ყრილობის მონუეასთან დაკავშირებულმა დისკუსიამ.

ფრაქციულმა დაპირისპირებამ, რომელიც რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შედეგად დაიწყო, გარკვეულწილად დაასუსტა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. კარსმომდგარი რევოლუციის წინა ხანებში დიდი ენერგია სწორედ შიდაპარტიულმა ბრძოლებმა შეიწირა.

§ 5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, მართალია, 1904 წელს შეიქმნა, მაგრამ პარტიის შექმნის პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო.

1. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნის წინა პერიოდი (1901-1903 წწ). XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებისათვის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა **ახალგაზრდა** ივერიელთა ეროვნულ-რადიკალური ჯგუფი, რომლის წევრებიც გაზეთ „ივერიაში“ ,ხოლო შემდეგ ჟურნალ „მოამბეში“ მოღვაწეობდნენ და ჟურნალ „მოამბის“ **ბურჟუაზიულ-ეროვნული ჯგუფი**, რომლის წევრებიც ჯერ ჟურნალ „მოამბის“, ხოლო შემდეგ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი. 1901 წელს ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს შეერწყა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, რომლის აღიარებული ლიდერი გიორგი ლასხიშვილი (1866-1931) იყო. 1901 წელსვე „ცნობის ფურცელში“ მოღვაწეობას იწყებს **არჩილ ჯორჯაძე** (1872-1913), რომელიც მალე ჯგუფის მთავარი იდეოლოგი ხდება. 1901-1902 წლებში გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებში არჩილ ჯორჯაძემ გაანაზოგადა ქართული ეროვნული მოძრაობის მოწაპოვარი, ეროვნული მოძრაობის ძველი და ახალი თაობების შეხედულებები და საფუძველი ჩაუყარა **„საერთო მოქმედების ნიადაგის“** თეორიას.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაარსების იდეა XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს გაჩნდა „ცნობის ფურცელში“. პოლიტიკური პარტიის დაარსების თაობაზე აზრი ორად გაიყო: 1. ძველი თაობის წარმომადგენლები, ყოფილი ხალხოსნები (გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე ნანეიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ.) მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ არა დამოუკიდებელი პარტიის შექმნას, არამედ „ქართველ ავტონომისტთა ჯგუფად“გაერთიანებას, რომელიც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა(ესერთა) პარტიაში შევიდოდა; 2. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები (გიორგი ლასხიშვილი, ივანე (კიტა) აბაშიძე, ელადიმერ ლორთქიფანიძე და

სხვ.) წინაალმდეგი იყვნენ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან გაერთიანებისა და დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკური პარტიის შექმნას უჭერდნენ მხარს. „ცნობის ფურცლის" ჯგუფში არჩილ ჯორჯაძის გამოჩენამ(1901 წ.) ახალგაზრდა თაობის მომხრეები გააძლიერა და პოპულარული გახადა ქართული დამოუკიდებელი პარტიის შექმნის იდეა. მალე გამოიკვეთა მომავალი პოლიტიკური პარტიის მთავარი საპროგრამო მოთხოვნა: საქართველოს ავტონომია რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში.

1901 წლის შემოდგომაზე გამართულ ერთ-ერთ კრებაზე აირჩიეს „მთავარი კომიტეტი" 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტში შევიდნენ: **არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ანდრია დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე.** კომიტეტი პარტიის შექმნისათვის დანყებულ მუშაობას უნდა გასძღოლოდა. 1901 წელსვე მონვეული იქნა „სარეგისტრაციო კონფერენცია", რომელსაც ახალი პარტიისათვის პროპაგანდისტული მუშაობა დაევალა. უმუალოდ პარტიის შექმნა „ცნობის ფურცლის" რედაქციას შესაძლებლად ერთი-ორი წლის შემდეგ ეჩვენებოდა, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა მომავალი პარტიის პროგრამა, გამოიკვეთებოდა ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმა.

1903 წლის 1 მაისს პარიზში გამოვიდა ახალი ქართული ეროვნულ-რადიკალური გაზეთი „საქართველო", რომელიც თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ამბობდა სათქმელს. გაზეთი უპირველესად ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის დასაბუთებას შეუდგა. გაზეთის რედაქციის აზრით, „ეროვნული ვინაობის"აღდგენისათვის ბრძოლის სამი გზა არსებობდა:

1. საქართველოში ერობების, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული დანესებულებების შემოღება;

2. რუსეთის ოპოზიციურ-რევოლუციურ ძალებთან გაერთიანება, თვითმპყრობელობის დამხობა და რუსეთში კონსტიტუციური წყობილების დამყარება. (ამ მუხლმა „ცნობის ფურცლის" რედაქციაში გაურკვევლობა წარმოიშვა: მისცემდა კი რუსეთის კონსტიტუციური წყობილება სასურველ თავისუფლებას საქართველოს, თუ „უმცირესობა აუცილებლად დაიჩაგრებოდა უმრავლესობისაგან");

3. საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში.

პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის დანყებული მოძრაობა გრძელდებოდა და მას უკვე გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ხელმძღვანელობდა.



დგანან: ალექსანდრე გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩურქუზიშვილი.
სხედან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო ნერეთელი.

2. 1904 წლის ჟენევის კონფერენცია. გაზეთ „საქართველოს" რედაქციამ გადანყვიტა, გამოერკეია: 1. რას ფიქრობდნენ ქართული რევოლუციური ფრაქციები ეროვნულ საკითხზე? 2. შესაძლებელი იყო თუ არა ამ ფრაქციების გაერთიანება ეროვნულ ნიადაგზე, ანუ, უჭერდნენ თუ არა ისინი მხარს საქართველოს ავტონომიის იდეას? იმავდროულად, ქართული რევოლუციური ფრაქციების „კონგრესის" მონვევის იდეა უცხოეთის რამდენიმე ქალაქში არსებულ ქართველთა წრეებშიც გაჩნდა.

1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში მუშაობა დაიწყო უცხოეთში არსებული ქართული რევოლუციური და ეროვნული ფრაქციების წარმომადგენელთა კონფერენციამ, ანუ, როგორც იმხანად უწოდებდნენ, **„ქართველ რევოლუციონერთა პირველმა კონფერენციამ".** კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: გაზეთ „საქართველოს" გარშემო შემოკრებილი ქართველი ავტონომისტები (მომავალი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები), ქართველი ანარქისტები და ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლებსაც, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელ ფრაქციას, არამედ როგორც ქართველი ავტონომისტების მემარჯვენე ფრთას. კონფერენციაზე გამოცხადდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, მაგრამ მათ მეორე დღესვე

დატოვეს სხდომა.

1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში კონფერენციაზე სულ 26 კაცი გამოცხადდა. კონფერენციიდან 5 ქართველი სოციალ-დემოკრატის წასვლის შემდეგ სხდომებში 21 კაცი მონაწილეობდა. 1904 წელს პარიზში გამოცემულ კონფერენციის ოქმებში დელეგატები ფსევდონიმებით იხსენიებიან, რომელთა უმრავლესობის ნამდვილი ვინაობა უცნობია. ეს ფსევდონიმებია:

1. დევიანი,
2. მორბელაძე,
3. ფალიანი,
4. ეფრემიძე,
5. X,
6. მანაველი,
7 ორგეიანი,
8. თერგელი,
9. ვერმიცანიძე,
10. მთიელი,
11. რაშაძე,
12. ანვინი,
13. Z.
14. საბა,
15. ლიახველი,
16. ცანგალა,
17 ცხრარჯულაძე,
18. ნეიძე,
19. ქართლელი,
20. საბუელი,
21. ოქმებში არ იხსენიება,
22. ოქმებში არ იხსენიება
23. ოქმებში არ იხსენიება
24. ოქმებში არ იხსენიება
25. ოქმებში არ იხსენიება
26. ოქმებში არ იხსენიება.

ფსევდონიმებით მოხსენიებულ დელეგატთაგან დანამდვილებით მხოლოდ ხუთის ვინაობაა ცნობილი: 1. დევიანი – **ნოე ჟორდანია**, 2. საბუელი –**არჩილ ჯორჯაძე**, 3. მანაველი – **ვარლამ ჩერქეზიშვილი**, 4. ორგენიანი – **კომანდო გოგელია**, 5. ვერმიცანიძე ალექსანდრე (სანდრო) გაბუნია. „ქართლელის" ფსევდონიმით კონფერენციის მუშაობაში მონაწილე დელეგატი შეიძლება **გიორგი დეკანოზიშვილი** ყოფილიყო, „თერგელის" ფსევდონიმით – მიხეილ (მიხაკო) ნერეთელი, ფსევდონიმით „Z" – **ელადიმერ დარჩიაშვილი**. გამოთქმულია ვარაუდი, რომ კონფერენციის მუშაობაში ასევე უნდა მიეღოთ მონაწილეობა: თეედორე(თედო) სახოკიას, ანდრია დეკანოზიშვილს, რევაზ გაბაშვილს, პეტრე ყიფიანს და კიდევ რამდენიმე კაცს.

არჩილ ჯორჯაძემ (საბუელმა) კონფერენციის დელეგატებს შესთავაზა შემდეგი საკითხების



გიორგი დეკანოზიშვილი

განხილვა, ანუ, მისი აზრით, კონფერენციას შემდეგი დღის წესრიგით უნდა ემუშავა:

1. სეპარატიზმი;
2. ავტონომია და ფედერაცია;
3. გლეხთა კითხვა;
4. მუშათა კითხვა;
5. სარეოლუციო ტაქტიკა;
6. ჩვენი განწყობილება სხვა პარტიებთან;
7. სოციალ-დემოკრატიული პარტია;
8. ორგანო „საქართველო"

კონფერენციის პირველ სხდომაზე ნაიკითხეს ვინმე **„ტეზრელის"** მიერ გაგზავნილი მოხსენება. წერილის ავტორი რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მომხრე იყო (რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის მომხრეებს კონფერენციაზე სეპარატისტებს უწოდებდნენ). სეპარატიზმის შესახებ საკითხის განხილვისას აზრი გამოთქვა რამდენიმე დელეგატმა.

არჩილ ჯორჯაძე დამოუკიდებლობის იდეის მოწინააღმდეგე არ იყო, მაგრამ იმ ეტაპზე საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის მოთხოვნას არ უჭერდა მხარს და უფრო რეალისტურად რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის (ფედერაციული ერთეულის) შექმნა მიაჩნდა.

რაშაძემ თავდაპირველად ტეზრელის მოსაზრებას დაუჭირა მხარი,მაგრამ შემდეგ თავისი

პოზიცია შეცვალა და განაცხადა: მე სეპარატისტი არა ვარო.

ანარქისტმა **ვერმიცანიძემ** კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება სათაურით „ეროვნული კითხვა" და მხარი დაუჭირა ავტონომიის (ფედერაციის) მოთხოვნას. მომხსენებლის აზრით, რუსეთის სახელმწიფოში დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების შემდეგ შეიძლებოდა საქართველოს ავტონომიური (ფედერაციული) ერთეულის შექმნა.

საბოლოოდ ჟენევის კონფერენციამ უარყო სეპარატიზმის, ანუ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის, იდეა და მხარი დაუჭირა რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში საქართველოს ავტონომიის, ფედერაციული ერთეულის შექმნას.

აგრარული საკითხის განხილვის შემდეგ ჟენევის კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობამ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის მოთხოვნას(მიწის სოციალიზაცია) დაუჭირა მხარი: მიწაზე კერძო საკუთრება უქმდებოდა, მინა უნდა გადასცემოდა დემოკრატიულ პრინციპზე ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ კავშირებსა და თემებს.

მუშათა საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციამ ანარქისტულ-ფედერალისტური შეხედულება გაიზიარა. მიღებული რეზოლუცია აღიარებდა, რომ რევოლუციური მოძრაობის მიზანს მუშათა კლასის განთავისუფლება წარმოადგენდა. სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი მუშები ფედერაციულ გაერთიანებებში უნდა შეკავშირებულიყვნენ და ავტონომისტურ-რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ებრძოლათ მიზნის მისაღწევად.

რევოლუციური ტაქტიკის განხილვისას კონფერენცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ როგორც ეროვნული, ისე სოციალური თავისუფლების მოპოვება მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის გზით შეიძლებოდა. რევოლუციური ტაქტიკის შესახებ რეზოლუცია კონფერენციას არჩილ ჯორჯაძემ და მიხეილ(მიხაკო) წერეთელმა წარუდგინეს. რეზოლუცია ბრძოლას უცხადებდა არა მარტო რუსეთში არსებულ თვითმპყრობელურ რეჟიმს, არამედ რუსეთის „ცენტრალისტურ რესპუბლიკასაც", რომელიც თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დამყარდებოდა. ამასთან ერთად, დელეგატებმა უარყვეს ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა და მხარი დაუჭირეს „ჯგუფობრივ ტერორს".

კონფერენციის გადაწყვეტილებით, გაზეთ „საქართველოს" ეწოდა „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო".

ჟენევის კონფერენციამ მუშაობა 1904 წლის 7 აპრილს დაასრულა. იგი ისტორიაში I კონფერენციის სახელწოდებითაც იხსენიება.


ჟენევის კონფერენციის უმთავრესი შედეგი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნა იყო. იმხანად პარტიაში გაერთიანდნენ ავტონომისტები, ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ლიბერალური მიმართულების ეროვნულ-დემოკრატები. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია იყო ბლოკისტური ტიპის პარტია.

3. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის მიღება. 1904 წლის ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებით, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის შემუშავება გრიგოლ **რცხილაძეს** დაევალა. პროგრამის პროექტის საკუთარი ვარიანტი შეიმუშავეს ანარქისტებმაც.

1906 წლის 29 ივნისს ხაშურის მახლობლად, სოფელ **ბეკაძეში**, გაიხსნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის II კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში 28 ორგანიზაციის 30 დელეგატი მონაწილეობდა. კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით ესწრებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, პეტრე ყიფიანი** და სხვები, სათათბირო ხმით – ანარქისტები **კომანდო გეგელია** და **მიხეილ (მიხაკო) წერეთელი**. 5 ივლისს კონფერენციამ შიო ჩატაძის მკვლელობის გამო მუშაობა შეწყვიტა, მუშაობა განახლდა რამდენიმე დღის შემდეგ სოფელ რეხაში.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის პროექტი, როგორც აღვნიშნეთ, ორ ვარიანტად იყო შედგენილი. მეორე კონფერენციამ პარტიის პროგრამა ვერ მიიღო და დაადგინა: ორივე პროექტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის პროექტი მესამე კონფერენციაზე გაეტანათ დასამტკიცებლად.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის პროექტი 1906-1907 წლებში ორ ვარიანტად იქნა შემუშავებული. პირველი ვარიანტი მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიმუშავეს და იგი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა შეხედულებას გამოხატავდა. მეორე ვარიანტის ავტორი არჩილ ჯორჯაძე იყო. ამ პერიოდში არჩილ ჯორჯაძე ანარქიზმის სერიოზულ გავლენას განიცდიდა, რაც აისახა კიდეც პროგრამაში. 1907 წლის 2-7 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის III კონფერენცია, რომელსაც 19 დელეგატი ესწრებოდა.



ანდრია დეკანოზიშვილი

პროგრამის პროექტის II ვარიანტის ავტორი არჩილ ჯორჯაძე კონფერენციას არ ესწრებოდა, იგი კონფერენციას სთხოვდა, პარტიის პროგრამის მისეული პროექტი არ განეხილათ. უნდა აღინიშნოს, რომ III კონფერენციაზე პარტიის პროგრამის ორივე პროექტის საფუძველზე ერთის შემუშავების საკითხი აღარც დამდგარა, რადგან ფედერალისტები ანარქისტებთან კავშირის გაწყვეტის, ე.ი. ბლოკისტური პარტიის დაშლის, აუცილებლობის აღიარებამდე მივიდნენ. ამიტომ იყო, რომ კონფერენციამ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტების (გრიგოლ რცხილაძის) მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი განიხილა.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის III კონფერენციამ დაამტკიცა პროგრამა, რომლის სრულ ტექსტს ქვემოთ გთავაზობთ.

სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის პროგრამა

ძირითადი პრინციპები

1. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მიზანია განთავისუფლება მშრომელი ხალხისა ქონებრივი, პოლიტიკურის და ეროვნულის მონობისაგან.

2. მშრომელ ხალხის სრული განთავისუფლება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა მშრომელი ხალხი დაანგრევს თანამედროვე ბურჟუაზიულ და ჯერ კიდევ სანახევროდ ფეოდალურ საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივს წესებს და დაამყარებს სოციალიზმს.

3. სოციალიზმი იგულისხმებს სანარმოო იარაღების – ქარხნების, ფაბრიკების, მიწის და სხვა სიმდიდრის გასაზოგადოებას და გაუქმებას ამ სიმდიდრის დანანილებისას კერძო საკუთრებად; სოციალიზმი არის საზოგადოებრივი მონყობა შრომისა და მეურნეობისა.

4. სოციალისტური წესწყობილება აუცილებელი საჭიროებაა განსაკუთრებით მშრომელი ხალხისთვის, რომელიც კერძო საკუთრების საძირკველზე დამყარებულ წესწყობილების მოხებით იჩაგრება გაბატონებული კლასებისაგან. მაგრამ სოციალისტური წესწყობილება სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის, ვინაიდან სოციალიზმი ნარმოშობით კლასიკურია, იდეალი კი, რომელსაც ახორციელებს, ანტიკლასიურია.

5. სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა, რომ მშრომელმა ხალხმა ჩამოართვას გაბატონებულ კლასებს წარმოების იარაღები და აქციოს ეს იარაღები მთელის ხალხის საერთო საკუთრებათ. ეს სამართლიანი არის, რადგან სიმდიდრე ან ბუნების უსასყიდლო საჩუქარია, ან შრომის ნაყოფი; გაბატონებული კლასები კი არა შრომობენ, მაგრამ მაინც მთელი სიმდიდრე ხელში აქვთ ჩაგდებული. საწარმოო იარაღების ჩამორთმეეა აუცილებლად უნდა მოხდეს რევოლუციონურის გზით, ე. ი. ძალით, რადგან საწარმოო იარაღების ეხლანდელი პატრონები თავიანთ ნებით არასოდეს ხელს არ აიღებენ კლასურ ბატონობაზე.

6. სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა აგრეთვე მშრომელ ხალხის ყველა წრეების სოლიდარობა (ერთობა) შრომისა და თანასწორობის ნიადაგზე და მისი მოწყობა ერთის მხრივ, პოლიტიკურ პარტიებად, ხოლო მეორეს მხრით პროფესიონალურ კავშირებად და მომხმარებელ კოოპერაციებად (ამხანაგობებად).

7. უმცირესი სოციალური წრე იქნება კომუნა (სოფელი, ანუ ქალაქი), უდიდესი – კონფედერაცია. თითეული სოციალური წრე ავტონომიურად იმოქმედებს იმ სამეურნეო საქმეების ასასრულებლად, რომელიც თვით ამ სოციალურ წრის (კომუნის) წევრების შრომით გაკეთდება. ერთისა და იმავე რიგის სოციალური წრეები ან კომუნები შეადგენენ ფედერაციას (კავშირს), რათა შეერთებულის ძალღონით დაიკმაყოფილონ ისეთი საერთო საჭიროება, რომელსაც კერძოთ თითეული სოციალური წრე (კომუნა) ვერ უძღვება. ყველგან და ყველა კომუნებში შესაძლებელია, არ მოხდეს ინტეგრაცია (შეერთება) წარმოებისა, ამ შემთხვევაში მიმოცვლა დამყარებული იქნება არა მოგებაზე და მოხდება არა ფულის საშუალებით, არამედ დამყარებული იქნება კომუნათა, ფედერაციათა თუ კონფედერაციათა რეალურ საჭიროებებზე და მოხდება ნანარმოებთა პირდაპირის მიმოცვლით. თითეული სოციალური წრე თავის სამეურნეო საქმეებთან ერთად ავტონომიურად იმოქმედებს თავის წრის ფარგლებში საერთო კულტურულ საქმეთა გასაძღოლად.

8. სოციალური რევოლუცია ხანგრძლივი პროცესია და გასაზოგადოება შრომისა და მეურნეობისა ყოველგან და წარმოების ყოველ დარგის შესახებ შესაძლებელია, ერთად არ მოხდეს. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შეხედულებით, სოციალიზაციის პრინციპი შეიძლება განხორციელდეს ნანილობით. ასეთი კერძოობითი სოციალიზაცია სავსებით ვერ დაამხობს ეხლანდელს ბურჟუაზიულ ურთიერთობის წესებს, მაგრამ თვალსაჩინოდ მაინც არყევს იმის სიმაგრეს და აადვილებს სოციალურ რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებას, ე. ი. მიწის და კაპიტალის ექსპროპრიაციას და ჰქმნის საჭირო პირობებს სოციალისტურ წარმოების დამყარებისათვის.

9. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, ვიდრე წარმოებასა და სიმდიდრის განანილებაში ბურჟუაზიული წესები მეფობენ, მშრომელ ხალხის კლასურ ინტერესების ნიადაგ ზე სდგას.

10. სოციალიზმის სრულ განხორციელების მოსამზადებლად საჭიროა თვითმპყრობელობის მოსპობა და განხორციელება დეცენტრალიზაციის, ავტონომიის და ფედერაციის პრინციპებისა.

11. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია თავის იდეალებისათვის ბრძოლის იარაღად სთვლის: პარტიულ პრინციპების (აზრების) პროპაგანდას (ქადაგებას), კავშირების დაარსებას, ლეგალურს და არა ლეგალურს პოლიტიკურს მოღვაწეობას და ყოველგვარ სარევოლუციო მოქმედებას.

12. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგია და მოითხოვს, ყოველ ერს მიეცეს ნება, თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა. სრული მოსპობა კი ეროვნულის უთანასწორობისა მოხდება მაშინ, როდესაც დამყარდება სოციალიზმი.

მახლობელ დროისათვის სოციალისტ-ფედერალისტების პირდაპირი მიზანი შემდეგია:

პოლიტიკური პროგრამა

13. სრული თავისუფლება სიტყვისა, წერისა, სინდისისა, კრებისა, კავშირისა და ყრილობისა, მიმოსვლისა (პასპორტების გაუქმება) და გაფიცვისა; ხელშეუხებლობა პიროვნებისა, ბინისა და მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვა; სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლი-

ტიკო უფლებისა ყველასთვის განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა; გაუქმება ნოდებისა.

14. შემოღება დემოკრატიულ წარმომადგენლობითი მართველობისა, რომელიც დამყარებული იქნება იყოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებაზე. პროპორციონალური წარმომადგენლობა, შემოღება პარლამენტარიზმისა (პასუხის მგებელი სამინისტრო, რომელიც შესდგება პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელთაგან), დამყარება რესპუბლიკისა. პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა (რეფერენდუმი) და ხალხის საკანონმდებლო ინიციატივა.

15. ა) ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერაციული მონყობა.

ბ) ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს ან ავტონომიებს უფლება აქვთ, შეადგინონ დროებითი და სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძლოლად.

გ) სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

16. დემოკრატიზაცია ადგილობრივ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივი საერობო და სამუნიციპო (სოფლებისა და ქალაქების) თვითმმართველობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევა ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დანესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენებისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ, განმანათლებელ საჭიროებისთვის გადადება საერთო შემოსავლიდან, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში.

17. სხვა რეფორმების განხორციელებასთან ერთად უნდა შეიცვალოს ადგილობრივი მმართველობის წესებიც. საადმინისტრაციო მმართველობის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქნეს თვითმმართველობა; თვითმმართველობას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა ადგილობრივი საქმე, გარდა იმ საქმეებისა, რომელსაც მთელ სახელმწიფოსათვის საერთო მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ თვითმმართველობის მოქმედება მიმართული უნდა იყოს მცხოვრებთა კულტურულ განვითარებისაკენ და საზოგადო სამსახურის საქმეების მუნიციპალიზაციისაკენ.

18. გასამართლება ყველა მოხელისა უკანონო მოქმედებისათვის საზოგადო წესით; ინიციატივა მოხელის სამართალში მიცემისა ყველა მოქალაქესათვის; გადაყენება მოხელეებისა სასამართლოს დადგენილებით.

19. სწავლება ყველასთვის უფასო საყოველთაო, სავალდებულო, საერო, საერთო 16 წლამდის; საავალდებულო საყოველთაო პროფესიონალური განათლება ყველა მოზარდისათვის; ყველამ აუცილებლად ბავშვობაშივე უნდა შეისწავლოს ერთი რომელიმე ხელობა. სკოლების საქმეს ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა აწარმოებდეს.

20. განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან.

21. გაუქმება მუდმივი ჯარებისა და დაწესება სახალხო, ანუს აერო ლაშქრისა (მილიცია).

ეკონომიკური (ქონებრივი) პროგრამა

22. ძირითადი რეორგანიზაცია ფინანსების საქმისა:

ა) მოსპობა არა პირდაპირის გადასახადებისა, განსაკუთრებით იმ გადასახადებისა, რომელნიც უმთავრესად მშრომელ ხალხს აწვება კისერზე, მოსპობა მფარველობითი ბაჟებისა.

ბ) შემოღება პროგრესიულ გადასახადებისა შემოსავალზე, გაძლიერება გადასახადებისა მემკვიდრეობაზე და საჩუქრებზე, გარდა იმ შეწირულებისა, რომელიც საზოგადო კულტურულ საქმეებს უნდა მოხმარდეს.

გ) გაუქმება მემკვიდრეობისა არა პირდაპირ შთამომაელობის შტოზე და ანდერძით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მემკვიდრეობა კულტურულ საქმეების მოსახმარებლად გადადის, შეზღუდვა კანონით რაოდენობის მხრივ, მემკვიდრეობისა, გადაცემა სახელმწიფოს ან ტერიტორიალურ ერთეულის ხელში იმ ქონებისა, რომელიც, ამ მუხლის თანახმად, მემკვიდრეობით კერძო პირების ხელში ეელარ გადავა.

დ) გაფართოება ტერიტორიალურ ერთეულების საზოგადო საკუთრებისა.

ე) დაწესება ყველა მშრომელის დაზღვევისა უსაქმოთ დარჩენისაგან, შრომის უნარის დაკარგვისაგან (ავადმყოფობა, უცაბედი უბედურება და სიბერე) და სიკვდილისაგან (ობლების და ქვრივად დარჩენილ ცოლის სასარგებლოდ).

23. გაუმჯობესება მუშათა მდგომარეობისა და განვითარება მუშათა კანონმდებლობისა.

ა) მონყობა შრომის და მოხმარების სტატისტიკისა საზოგადო ხარჯით.

ბ) ქონებრივ დახმარების აღმოჩენა სახელმწიფოსაგან კოოპერატიულ ამხანაგობათათვის, განსაკუთრებით პირველად დაარსების დროს და ეკონომიურ კრიზისების ხანაში.

გ) დანესებად მაქსიმუმად დღეში რვა საათის მუშაობისა; დანესება უფრო ნაკლების მუშაობისა წარმოების ისეთ დარგებში, სადაც, მეცნიერულ ჰიგიენის თანახმად, რვა საათის მუშაობაც საზიანოა ჯანსაღობისათვის. აკრძალვა ბავშვების მუშაობისა 16 ნლამდე და დანესება მსუბუქ მუშაობისა მცირენლოვანთათვის 16-იდან 20 წლამდე, სრულიად აკრძალვა მცირენლოვანებისა და ქალების მუშაობისა ნარმოების განსაზღვრულ დარგებში, განთავისუფლება ქალებისა მშობიარობის წინ სამის კვირით და შემდეგ ექვსის კვირით; ამ ხანის განმავლობაში მათ ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს. ძუძუმწოვარ ბავშვის მოსავლელად და ფაბრიკებთან და ქარხნებთან ბავშვების თავშესაფარი უნდა იყოს მონყობილი; გაუმჯობესება შრომის მფარველ კანონების ასრულებისა თვით მუშებისაგან არჩეულ შრომის ინსპექტორების მიერ. გავრცელება შრომის მფარველ კანონებისა მეურნეობის ყოველ დარგზე, სხვათა შორის სასოფლო მეურნეობაზე და წვრილ სახელოსნოებზე. გადაცემა მშრომელ ხალხის პროფესიონალურ კავშირების ხელში მინაურ საადმინისტრაციო საქმეებისა ქარხნებში, ფაბრიკებსა და სხვა დანესებულებაში, სადაც კი მომუშავენი ერთს პროფესიონალურს ორგანიზაციას შეადგენენ.

დ) სამუშაო ფასის მინიმუმის განსაზღვრა ყოველ წლობით მუშათა სასტატისტიკო კომისიის მიერ, რომელიც იხელმძღვანელებს სანოვაგეზე არსებულ ფასებით.

ე) ყოველ მუშას წლის განმავლობაში ერთის თვის თავისუფლება უნდა მიეცეს; კვირაში კი 48 საათი.

***შენიშვნა:** თავისუფლების დროს მუშას ჯამაგირი ენახება.*

ვ) გაფიცვის დროს მუშებს ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს.

ზ) საწარმოო დანესებულებების პატრონებმა მუშებს წინ და წინ უნდა შეატყობინონ, თუ უნდათ მათი (მუშების) დათხოვნა, ამ შემთხვევაში მუშებს სამი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს.

თ) დაარსება შრომის ბიუროებისა.

ი) თანასწორი შრომის ფასი თანასწორ მუშაობაში სქესის განურჩევლად.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტია თავის აგრარულ (საადგილმამულო) პროგრამას საფუძვლად უდებს პრინციპებს მინის კერძო საკუთრების გაუქმებისას, რათა იგი ხალხის საერთო სიმდიდრედ იქცეს;

ა) სახელმნიფოს, ეკლესიას, მონასტრებს, კაბინეტს, უფლის წულებს და მსხვილ მემამულეებს მინა რევოლუციონურის გზით გამოუსყიდველად უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წვრილ და მსხვილ ტერიტორიალურ ერთეულებს.

***შენიშვნა:** ქალაქის სამზღვრებში მდებარე მინა უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს და გადაეცეს საქალაქო მუნიციპალიტეტებს.*

ბ) სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ყოელის უნინარეს იმის ცდაში იქნება, რომ ამ მინების დამუშავება კოლექტიურის (შეერთებულის) შრომით სწარმოებდეს და რომ ნაყოფი ამ საერთო შრომისა შრომის მიხედვით განაწილდეს.

გ) სადაც კოლექტიურ შრომის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდება, მინებს აღიარებს სახალხო ფონდად; მინის ნაჭერ-ნაჭერ გადაცემა დასამუშავებლად, იმ პირობით კი, რომ არავის იმაზედ მეტი მინა არ მიეზომოს, რის დამუშავებასაც თავის საკუთარის ძალღონით გაუძღვება.

დ) იმ წვრილ მესაკუთრეებს, რომელნიც თვით ან თავის ოჯახის შემწეობით ამუშავებენ თავის მინას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევათ ეს მინა საერთო მფლობელობაში გადასაცემად, თუ ეს მესაკუთრენი თანხმობას განაცხადებენ ამაზე. ყოველ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია.

წვრილ მესაკუთრეებს ჩამოერთმევათ მინა ძალით იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავის მინებს თავისივე ხელით არ ამუშავებენ.

საშუალო რაოდენობის მამულის პატრონებსაც უნდა ჩამოერთვას მინა – გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ისინი თავის საკუთარის შრომით ამუშავებენ. ეს უკანასკნელი ნაწილი მინისა მხოლოდ ისეთს შემთხვევაში შეიძლება ჩამოერთვას მათ, რომელ შემთხვევაშიც წვრილ მესაკუთრეებს და გამოერთმევათ მინა საერთო მფლობელობისთვის.

ე) ქალაქში რენტა უნდა იკრიფებოდეს განსაკუთრებულის გადასახადის დანესებით საერთო საჭიროებისათვის მოსახმარებლად.

სოფელში შემოღებულ უნდა იქმნას გამათანასწორებელი გადასახადი.

როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ნაწილი ახლობელ პროგრამისა მხოლოდ მაშინ დადგება უზრუნველყოფილ განხორციელების გზაზე, როდესაც ეხლანდელი სარევოლუციო მოძრაობა საბოლოოდ გაიმარჯვებს ძველ რეჟიმზე და როდესაც რევოლუციონურად მოწვეული დამფუძნებელი კრება სრულიად დაშლის თვითმპყრობელობის და ცენტრალიზმის ორგანიზაციებს. ამიტომ ჩვენი პირველი დევიზია: რევოლუციონური ბრძოლა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების და ადგილობრივ დამფუძნებ-



შიო არაგვისპირელი

ელ. კრებათა მოსაწვევად.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის III კონფერენციას „დამფუძნებელი" ეწოდა, რადგან ამ დროისათვის დაიშალა ბლოკისტური პარტია და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სოციალისტ-ფედერალისტური პარტია.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. 1905-1906 წლებამდე მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: **არჩილ ჯორჯაძე** (თავმჯდომარე), **გიორგი დეკანოზიშვილი** (თავმჯდომარის მოადგილე), **გრიგოლ რცხილაძე** (თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დეკანოზიშვილის უცხოეთში წასვლის შემდეგ), **მიხეილ ადამაშვილი** (ჯავახიშვილი), **ალექსანდრე ყანჩელი, იოსებ ბარათაშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, იაკობ ღულაძე, სამსონ ფირცხალავა, შიო დედაბრიშვილი** (არაგვისპირელი), **ესტატე ავალიშვილი.** შემდეგში სამხედრო ორგანიზაციის საქმეზე უთანხმოებასთან დაკავშირებით მთავარი კომიტეტიდან გამოვიდნენ: ჯერ იოსებ ბარათაშვილი, შიო დედაბრიშვილი, მიხეილ ადამაშვილი, ალექსანდრე ყანჩელი, შემდეგ – იაკობ ღულაძე, ქაიხოსრო ქავთარაძე და ბოლოს – არჩილ ჯორჯაძე. 1907 წლის თებერვლისათვის მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: **გიორგი ზდანოვიჩი** (თავმჯდომარე), **გრიგოლ რცხილაძე** (თავმჯდომარის მოადგილე), **სამსონ ფირცხალავა** (თავმჯდომარის მოადგილე), **ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე მდივანი, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი, ივანე (კიტა) აბაშიძე, ესტატე ავალიშვილი, ივანე მჭედლიშვილი.** მთავარი კომიტეტის მდივნები იყვნენ **პეტრე სურგულაძე** და **ვასილ რცხილაძე.** მოგვიანებით მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ გიორგი ზდანოვიჩის ნაცვლად **ალექსანდრე ჯაბადარი** აირჩიეს, ხოლო ნელრად – **იაკობ ღულაძე** (კიტა აბაშიძის ნაცვლად).

§6. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის ორგანიზაციების შექმნა საქართველოში

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ქალაქებში: პეტერბურგში, პენზაში, პოლტავაში, ეორონეჟში, ხარკოვში, ოდესაში არსებობდა ნაროდნიკული ჯგუფები და წრეები. 1900 წელს ამ ჯგუფების ნაწილი გაერთიანდა **„სამხრეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიად"**, ხოლო 1902 წელს შეიქმნა „ესერთა კავშირი". 1901 წლის ბოლოს „სამხრეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია" და „ესერთა კავშირი" გაერთიანდა და 1902 წლის იანვარში ჩამოყალიბდა **„რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია.** 1902 წლის აპრილში რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ სიპიაგინის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ესერებს საკმაოდ ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია გააჩნდათ.

1906 წელს რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პირველმა ყრილობამ დაამტკიცა პარტიის პროგრამა, რომლის ძირითადი ნაწილი ვიქტორ ჩერნოვის (1873-1952) მიერ იყო დაწერილი. ქვემოთ ვაქვეყნებთ პროგრამის სრულ ტექსტს.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამა

თანამედროვე რუსეთი კულტურულ და სოციალურ ურთიერთობაში სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირში შედის განათლებულ ქვეყნის მოწინავე მხარეებთან და იცავს ამავე დროს განსაკუთრებათა რიგს, რომელიც გამოწვეულია მის ნაწილ ისტორიის, მის ადგილობრივ პირობათა და საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებით.

განათლებულ ქვეყნის ყველა მოწინავე მხარეებში მცხოვრებთა და მათ მოთხოვნილებების ზრდასთან პარალელურად იზრდება ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, მის ბუნებრივ ძალებით მართვის საშუალებათა გაუმჯობესება და ადამიანის



მიხეილ ჯავახიშვილი

შრომის შემოქმედებით ძალის გაფართოება ყველა იმ გარემოცულობაში, სადაც ის იქნება ხმარებული. ეს ზრდა არის სოციალური პროგრესისა და ბრძოლისათვის აუცილებელი საჭირო პირობა, რომ ადამიანის ინდივიდუალობა სრულად და პარმონიულად განვითარდეს.

მაგრამ ეს ზრდა ადამიანის ბატონობისა ბუნებაზე ხდება თანამედროვე საზოგადოებაში დაწაწაწუსულ სამეურნეო ერთეულობის ბურჟუაზიულ კონკურენციის, საწარმოოო საშუალებათა კერძო საკუთრების პირობებში, რომლებსაც დამოუკიდებელ მწარმოებელთა წინასწარი ექსპროპრიაცია ჰქმნის კაპიტალათ ან არაპირდაპირ უმორჩილებს კაპიტალს. თანამედროვე საზოგადოების საფუძველთა განვითარების მიხედვით, ის უფრო მკაცრად იყოფა გაყვლეფილ მშრომელთა კლასად, რომელიც იღებს თავის შრომით შექმნილ სიმდიდრეთა სულ მცირე და მცირე ნაწილს

და გამყვლეფელთა კლასებად, რომელნიც ისაკუთრებენ ბუნების ნაყოფს და წარმოების საზოგადო საშუალებებს.

რამდენადაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა ეიწრო ჩარჩოებში ვითარდება, თუმცა ცალმხრივ და არა სრულად, კოლექტიურ შრომის ფორმები და წარმოება მსხვილ საზოგადოებრივ მნიშვნელობებით, იმდენად თანამედროვე სამეურნეო განვითარება ააშკარავებს თავის დადებითი შემოქმედების მხარეებს; ის ამზადებს ზოგიერთ მატერიალურ ელემენტებს უმაღლეს სოციალისტურ წყობილებისათვის და აერთებს დაქირავებულ მუშათა სამრენველო არმიას კომპაქტიურ სოციალისტურ ძალად.

რამდენადაც კი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ფორმები ავიწროებენ, საზღვრავენ შრომის კოლექტიურ ფორმათა და საზოგადო სანარმოოო ძალების განვითარებას, იმდენად თანამედროვე სამეურნეო განვითარება იჩენს უარყოფითს და დამანგრეველ მხარეებს: საქონლის წარმოებისა და კონკურენციის ანარქიას, მასში სამეურნეო ძალთა უნაყოფო გაფლანგვას; კრიზისებს, რომლებიც შეარყევს ხალხის მეურნეობას თვით მის საფუძველთა ფარგალში; მუშათა მასების გაყვლეფის, დამოკიდებულების და უკმაყოფილების ზრდას; ფულის ბატონობას, რომელიც ხრწნის ყველა ზნეობრივ სიმაგრეებს; ანგარებიან ბრძოლას ერთმანეთის წინააღმდეგ არსებობისა და პრივილეგიურ მდგომარეობისათვის.

თანამედროვე სამეურნეო განვითარების ურთიერთურთ დამოკიდებულება ამ დადებითი და უარყოფითი მხარეებს შორის სხვადასხვა, როგორც წარმოების სხვადასხვა დარგებისათვის, ასე სხვადასხვა ქვეყნებისათვის. შედარებით ინდუსტრიის უმაღლეს დარგებში და კლასიკურ კაპიტალიზმის ქვეყნებში ის ხდება სულ ნაკლებ და ნაკლებ ხელსაყრელი მრენველობის სხვა დარგებში, განსაკუთრებით კი მინის დამუშავებაში და თელ ქვეყნებში, რომლებიც უფრო სუსტია საერთაშორისო ეკონომიურ ბრძოლაში.

მაგრამ ამ განსხვავებათა დამოუკიდებლად, შეუფერებლობა და წინააღმდეგობა თანამედროვე სამეურნეო განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეებს შორის წარმოადგენს თავისთავად საერთო ფაქტს, გატენილს ეებერთელა ისტორიული შედეგებით.

სოციალურ მანძილის გაღრმავებასთან გამყვლეფელთა და გაყვლეფილთა შორის, წინააღმდეგობის გამწვავებასთან, შრომის ნაყოფიერებასთან და უმნიშვნელო ნაწილს შორის, რომელიც მშრომელთ ხვდება მათი ნანარმოებიდან. ექსპლოატაციის ნორმის გაფართოებასთან ერთად იზრდება გაყვლეფილთა უკმაყოფილება თავის მდგომარეობის წინააღმდეგ თანამედროვე საზოგადოებაში.

კლასობრივ ურთიერთობათა გამწვავების სტიქიურ პროცესის ნიადაგზე სულ უფრო ვითარდება შეგნებული და მწყობრი ჩარევა შემთხვევათა მსვლელობაში მოწყობილ კოლექტიურ ძალებისა; ამა თუ იმ საზოგადო იდეალის საბოლოო მიზნისათვის, სისტემატურად შემუშავებული ტაქტიკით მიზანთან შეთანხმებულად მიმართუ-

ლი ბრძოლა იპყრობს ერთდროულად ყველა მხარეებს საზოგადო ცხოერებისას – პოლიტიკურს და სულიერს.

გამყვლეფელთა კლასები მიისწრაფიან იმისკენ, რომ სამარადისოდ განამტკიცონ მათი არსებობის საფუძველი – ექსპლოატაცია რენტით, კაპიტალის შოგებით, ექსპლოატაციის ყველა ფორმებით და მშრომელ მასის საბეგრო შეიწროებით. სინდიკატების, კარტელების და ტრესტების საშუალებით ისინი ცდილობენ, თავიანთ ეგოისტურ შეხედულებებით დაისაკუთრონ საქონლის წარმოებისა და გასაღების პირობები. ისინი ცდილობენ, შეუთანხმონ თავიანთ კლასობრივ ინტერესს თანამედროვე სახელმწიფოს ყველა დაწესებულებანი და გარდაქმნან ის (სახელმწიფო) თავის ბატონობის სრულ იარაღად და გაყვლეფილთა დასამონაებლად. შემდეგ ისინი ცდილობენ, დაიმორჩილონ ზნეობრივად და მატერიალურად ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ორატორთა ტრიბუნა, რომ მშრომელი მასები ყავდნენ არა თუ მარტო ეკონომიურ, არამედ გონებრივ მონობაშიაც.

არა აქვთ რა სხვა წყაროები, ან ამოაშრეს ისინი ბრძოლაში, ისინი უკაუშირდებიან დრომოქმულ წარსულ, რეაქციონულ ძალებს; ალვიეებენ ტომებრივ და სარწმუნოებრივ მძულვარებას და სწამლაენ ხალხის შეგნებას შოვინიზმითა და ნაციონალიზმით და მონარქიულ, დახაესებულ თავადაზნაურულ და საეკლესიო-კლერიკალურ დადგენილებების ნაშთებთან მიდიან კომპრომისზე.

აქრობს რა მთელ თავის ყოფილ პროგრესიულ შინაარსს, ბურჟუაზიულ წყობილებას მიპყავს გონებრივ გადაგვარებისაკენ მასში გაბატონებული კლასები; ის სულ უფრო ძლიერად იბერტყავს ერის გონებრივ და ზნეობრივ ყვავილს და აიძულებს მას, მიემხროს ბურჟუაზიის მონინააღმდეგე შეევიწროებულთა და გაყვლეფილთა ბანაკს.

გაყვლეფილთა კლასები ბუნებრივად ცდილობენ, დაიცვან თავი იმ შევიწროებისაგან, რომელიც მათ ანევს ზურგზე, და, მათ შეგნების ზრდისადაგვარად, სულ უფრო აერთებენ ამ ბრძოლას და უმარჯვებენ მას ბურჟუაზიულ ექსპლოატაციის თვით საფუძვლებს. ეს საერთაშორისო თავის არსებობით, მოძრაობა სულ უფრო და უფრო ისაზღვრება, როგორც მოძრაობა უდიდეს უმრავლესობის სასარგებლოთ, და ამაში არის წინდი მისი გამარჯვებისა.

ამ მოძრაობის შეგნებული გამომხატველი, მეცნიერული განმათებელი და გამომჟღავნებელი არის საერთაშორისო რევოლუციონური სოციალიზმი; ისახავს რა თავის მიზნად მუსათა კლასის გონებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ემანსიპაციას (გათავისუფლებას), ის გამოდის, უწინარეს ყოლისა, როგორც ინიციატორული რევოლუციონური უმცირესობა, როგორც მშრომელ ძალების მებრძოლი ავანგარდი, და ამავე დროს განუწყვეტლივ ცდილობს ამ მასების შეერთებას და მათ თავის ფარგლებში სრულ მოქცევას. მისი ძირითადი პრაქტიკული მიზანია, რომ მშრომელ და გაყვლეფილ მცხოერებთა ყველა ნაწეერებმა იცნონ თავისთაი ერთ მუშათა კლასად, დაინახონ თავის კლასობრივ ერთიანობაში მისი განთავისუფლების წინდი, და მწყობრ მონყობილ ბრძოლის გზით მოახდინონ სოციალურ-რევოლუციური ცელილება, რომლის პროგრამა არის: განთავისუფლება ყველა საზოგადო დაწესებულებათა გამყვლეფელ კლასების ბატონობისაგან; ბუნების ძალებისა და წარმოების საზოგადო საშუალებათა კერძო საკუთრებასთან ერთად, თვით საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, თანამედროვე კლასობრივ ძალდამტანებელ-რეპრესიული ხასიათის საზოგადო დაწესებულებათა მოსპობა; მათის ნორმალურ და კულტურულ ფუნქციების დაცვით და განვითარებით, ე. ი. საერთო შრომის მწყობრი მონყობა საერთო სასარგებლოდ.

მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელება მისცემს განუწყვეტელ, თავისუფალ და დაოუკიდებელ განვითარების საშუალებას კაცობრიობის ყველა მატერიალურ და სულიერ ძალებს; მხოლოდ ის გარდაქმნის საზოგადო სიმდიდრის წარმატებას მუშათა კლასის დამოკიდებულების და შეევიწროების წყაროსაგან მის კეთილმდგომარეობის და პიროვნების ყოველმხრივ-ჰარმონიულ განვითარების წყაროდ; მხოლოდ ის მოსპობს კაცობრიობის გადაგვარებას ერთის მხრივ ცუდაობისა და მაძლრობისაგან, მეორეს მხრივ უზომო შრომისა და ნახევრად მშიერ არსებობისაგან; მხოლოდ თავისუფალ სოციალისტურ, ერთად ცხოერების განხორციელების დროს, კაცობრიობა შეუდრეკლად განვითარდება ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ ურთიერთობაში, სულ უფრო სრულად განახორციელებს რა ჭეშმარიტებას, სამართლიანობას და სოლიდარობას თავის საზოგადო ცხოერების ფორმებში. და ამ აზრით რევოლუციონურ სოციალიზმის საქმე არის მთელი კაცობრიობის განთავისუფლების საქმე. მას მიეყევართ ხალხთა შორის ერთმანეთში ბრძოლის ყველა ფორმების, ძალებისა და ადამიანობისა ადამიანისაგან ექსპლუატაციის ყველა ფორმათა გაუქმების, თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისაკენ ყველასი, განურჩეველად სქესისა, ტომისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია რუსეთში უცქერის თავის საქმეს, როგორც შრომის მსოფლიო ბრძოლის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, მიმართულს ექსპლოატაციის, ადამიანის პიროვნების შემაფერხებელ საზოგადო ფორმათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლის მის განვითარებას და ატარებს მას ბრძოლის საზოგადო ინტერესების მიხედვით იმ ფორმებში, რომლებიც შეესაბამება რუსეთის ნამდვილ კონკრეტულ პირობებს.

პატრიარქალურ სათავადაზნაურო მოხელეობრივ თვითმპყრობელობის და უახლეს ბურჟუაზიულ ექსპლუატაციის ფორმების ურთიერთერთობის შეთანხმება ამწვავებს სოციალური კითხვის დაყენებას რუსეთში. კაპიტალიზმის განვითარება მასში აშკარავდება უფრო, ვიდრე სადმე და უფარდდება საზოგადო მანარმოებელ ძალთა ზრდის შემოქმედებითს, მოწყობილ გავლენას. ბიუროკრატიულ სახელმწიფოს კოლოსალურად განვითარებული მექანიზმი – გლეხთა განთავისუფლების პირობებთან და ჩარჩოების განვითარებასთან შეკავშირებული ყველა მისი ფორმით და მისნრაფებებით – სულ უფრო და უფრო დამბლას სცემს სოფლის მწარმოებელ ძალებს. მშრომელი გლეხობა იძულებულია, უფრო და უფრო მიპმართოს მიმშვილ ხელობას და დაქირავებულ შრომას და იღებს ისეთ ფასს თავის ყოველგვარ ნამუშევარში, რომელიც ძლივსლა შეედარება პროლეტარის ღატაკურ სამუშაო ქირას. თვით ამით ვინროვდება და ზიანდება შინაური ბაზარი მრეწველობისა, რომელიც იტანჯება გარეშე ბაზრების სიმცირით. პროგრესიულად იზრდება ზედმეტ მცხოვრებთა რიცხვი და კაპიტალისტურად მეტი რეზერვი მუშათა არმიისა, რომელიც თავის კონკურენციით ძირსა სცემს ქალაქის პროლეტარიატის ცხოვრებას. მუშათა მოძრაობა იძულებულია განვითარდეს თვითმპყრობელობის რეჟიმის პირობებში, დაყრდნობილს პოლიციურ ოპეკაზე და პირადულ და საზოგადო ინიციატივის გაქრობაზე. უფრო რეაქციონური, ვიდრე როდესმე, მსხვილ მრეწველთა და ვაჭრების კლასი სულ უფრო ძლიერად საჭიროებს ასეთ დახმარებას პროლეტარიატის წინააღმდეგ. მქონებელი თავად-აზნაურობა და სოფლის ჩარჩობაც, ორივე ძლიერად საჭიროებს ასეთ დახმარებას სოფლის მშრომელ მუშების წინააღმდეგ: თვითმპყრობელობა თავისთავის დასაცავად მიმართავს საიმპერატორო რუსეთის მიერ დამორჩილებულ ეროვნებათა გაძლიერებულ შევიწროებას, ის დამბლას სცემს მათ სულიერ აღორძინებასა და საზოგადო განვითარებას, სთესავს ეროვნულ-ტომობრივ და სარწმუნოებრივ განხეთქილებას და უბნელებს ამით მუშათა მასებს სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესების განვითარების შეგნებას. თვითმპყრობელობის არსებობა ხდება შეურიგებელ პროგრესიულ გამწვავებულ წინააღმდეგობად ქვეყნის ყველა სამეურნეო, საზოგადო პოლიტიკურ და კულტურულ ზრდასთან. არის რა საიმედო მოკავშირე და ბურჯი უფრო გამყვლეფ და პარაზიტულ კლასებისა რუსეთში, რუსეთის თვითმპყრობელობა ხდება მის საზღვრებს გარეთაც ერთ უმთავრეს რეაქციის ზღუდედ და სხვა ქვეყნების მუშათა პარტიების განმთავისუფლებელ ბრძოლის საქმის უძლიერეს საფრთხედ. მისი დამხობა არის არა თუ მარტო უმახლობელესი და გადაუდები მიზანი სოციალისტ-რევოლუციონერებისა, როგორც პირველი საჭირო პირობა რუსეთში სოციალურ კითხვის გადასაჭრელად, არამედ უმნვერვალესად საპატიო ფაქტორი საერთაშორისო პროგრესისათვისაც.

თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე, მიუხედავად ლიბერალურ-დემოკრატიულ ოპოზიციის არსებობისა, რომელსაც უმეტესად შეადგენს კლასობრივ ურთიერთობაში საშუალო ელემენტები განათლებულ საზოგადოებებისა, აწევა ზურგზე პროლეტარიატს, მშრომელ გლეხობას და რევოლუციონურ-სოციალისტურ ინტელიგენციას. სოციალისტურ პარტიის აუცილებელი მიზანია, რადგან მის ხელში გადადის ამ ბრძოლის ხელმძღვანელი როლი, რომ გააფართოვოს და გააღრმავოს რევოლუციონურ მომენტში ის სოციალური და ქონებრივი ცელილებებით, რომელიც არის შეკავშირებული თვითმპყრობელობის განადგურება.

მისი პროგრამის სრული განხორციელება, ე. ი. კაპიტალისტურ საუთრების ექსპროპრიაცია და წარმოების მთელი საზოგადო წყობილების რეორგანიზაცია სოციალისტურ საფუძველზე – გულისხმობს მუშათა კლასის სრულ გამარჯვებას, რომელიც იქნება შეერთებული რევოლუციონურ პარტიაში და თუ საჭიროება მოითხოვს, გამოაცხადებს მის დროებითი რევოლუციონურ დიქტატურას.

მანამდის კი, სანამ რევოლუციონურ უმცირესობის სახით შეკავშირებული მუშათა კლასი შეიძლებს მხოლოდ ნაწილებითი გავლენა იქონიოს საზოგადო წყობილების ცვლილებასა და კანონმდებლობითი მსვლელობაზე, – პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა ეცდება, რომ ნაწილობითი მოპოვების პოლიტიკამ არ დაუბნელოს მუშათა კლასს მისი საბოლოო, ძირითადი მიზანი, რომ მისი რევოლუციონური ბრძოლით მან მოიპოვოს ამ პერიოდშიც მხოლოდ ისეთი ცვლილებანი, რომელიც განავითარებს და გაამაგრებს

მის ერთობას და ნიჭს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, დაეხმარება მის გონებრივ განვითარებას და კულტურულ მოთხოვნილებათა აღორძინებას, გაამაგრებს რა მის ბრძოლის პოზიციებს და აშორებს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც უდგას მას ორგანიზაციის გზაზე.

რამდენადაც რუსეთის განახლების პროცესის მსვლელობა დამოკიდებული იქნება არა სოციალისტურ ძალების ხელმძღვანელობაზე, იმდენად პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა, გამოდის რა ზემოთ განვითარებულ შეხედულობიდან, ეცდება დაიცვას, მხარი მისცეს ან გამოგლიჯოს თავის რევოლუციონური ბრძოლით შემდეგი რეფორმები:

ა. პოლიტიკურ და უფლებრივ სფეროში

დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართე ავტონომიით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; რაც შეიძლება ფედერატიულ საფუძვლის უფრო ფართე შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში; მათ უნდა მიენიჭოს ნამდვილი უფლებები თვითგამორკვევისთვის; პირდაპირი, დაფარული, თანასწორი, საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქესათვის არა უმცირეს ოცი ნლისა, – პროპორციონალური წარმომადგენლობა; პირდაპირი კანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივა); ამორჩევა, გამოცვლა და პასუხისმგებლობა ყოველ დროს ყველა მოხელე პირთა; სრული თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, მუშათა გაფიცვებისა და კავშირისა; სრული და საყოველთაო მოქალაქებრივი თავისუფლება, ხელშეუხებლობა ბინისა და პიროვნებისა; სრული განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სარწმუნოების კერძო საქმედ აღიარება თვითეულ მოქალაქისათვის; შემოღება საყოველთაო საეალდებულო, საერთო განათლების მიღებისა სახელმწიფო ხარჯზე; ენების თანასწორობა; სასამართლოს წარმოება უფასო; მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის შეიარაღება.

ბ.სახალხო მეურნეობის სფეროში:

1. მუშათა კანონმდებლობის კითხვებში პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა თავის მიზნად ისახავს: დაიცვას მუშათა კლასის სულიერი და ფიზიკური ძალები და გააღიდოს მისი ნიჭი განმათავისუფლებელ ბრძოლაში, საერთო ინტერესებს უნდა დაემორჩილოს ყველა ვიწრო-პრაქტიკული, დამოუკიდებელი, ადგილობრივი და პროფესიონალური ინტერესები მუშათა კერძო ნაწილებისა; ამისათვის პარტია ეცდება, მოიპოვოს: რაც შეიძლება მეტი შემცირება სამუშაო დროისა შრომის ზედმეტ ღირებულების ფარგალში დაადგინოს სამუშაო დროს კანონმდებლობითი მაქსიმუმი იმ ნორმებისა და მიხედვით, რომლებსაც გეიჩვენებს მეცნიერული ჰიგიენა (უმახლობლეს დროში რვა საათის სამუშაო დღის ნორმა წარმოების დარგებთა უმრავლესობისათვის და შედარებით უფრო მცირე ნორმა ჯანმრთელობისათვის, და შედარებით უფრო მცირე ნორმა ჯანმრთელობისათვის უფრო საშიშ მაენებელ დარგებში). მინიმალური სამუშაო ქირის დადგენა თვითმმართველობის ორგანოთა და მუშათა პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით. სახელმწიფო დაზღვევა უბედურ შემთხვევებსა და უმუშევრობისაგან, ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დროს და სხვა სახელმწიფოსა და მწარმოებლების ხარჯით დაზღვეულთა თვითმმართველობის ნიადაგზე, შრომის კანონმდებლობითი დაცვა წარმოება-ვაჭრობის ყველა დარგებში, მეცნიერულ ჰიგიენის თანახმად, რომელსაც თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს მუშების მიერ ამორჩეულ საფაბრიკო ინსპექცია (შრომის ნორმალურად და ბინების ჰიგიენურად მოწყობას, მცირენლოვანთა, 16 ნლამდე, არასრულწლოვანთა მუშაობის განსაზღვრას, ქალებისა და ბავშვების შრომის აკრძალვას წარმოების ცნობილ დარგებსა და ცნობილ პერიოდში, საკმარის, განუწყვეტელ, ყოველკვირეულ დასვენებასა და სხვ.). მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების მოწყობას და მათ მიერ მონაწილეობის მიღების პროგრესიულად გაფართოება შინაგან წესრიგის დადგენაში, სამრეწველო დანესებულებებში.

2. აგრარულ პოლიტიკისა და საადგილმამულო ურთიერთობის კითხვებში სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია ისახავს თავის მიზნად გამოიყენოს სოციალიზმის სასარგებლოდ და ბურჟუაზიულ საკუთრების საფუძველთა წინააღმდეგ როგორც სათემო, ისე საზოგადოდ მშრომელთა შეხედულებანი, რუსის გლეხობის ცხოვრების ფორმები და ტრადიციები, განსაკუთრებით კი შეხედულება მიწაზე, რომელიც, მშრომელთა აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მათ. ამისათვის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მოითხოვს ყველა კერძო მფლობელთა მიწების სოციალიზაციას, ე. ი. კერძო პირების საკუთრების სფეროდან მათ აღმოხოცვას და გადასვლას საზოგადო მფლობელობაში და დემოკრატიულად მოწყობილ თემების ტერიტორიულ კავშირების განკარგულებაში თანასწორად სარგებლობის საფუძვლებზე, იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობა ეს უმთავრესი და ძირითადი მოთხოვნილება აგრარულ პროგრამა-მინიმუმისა არ იქნება ერთბაშად დაკმაყოფილებული, როგორც რევოლუციონური

ზომა, სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია შემდეგ აგრარულ პოლიტიკაში შეათანხმებს ამ პროგრამის მოთხოვილებას; იმ გარემოებას, რომელიც შესძლებს მის სრულად განხორციელებას; ნამოაყენებს რა მასზე შესაძლებელ გადასასვლელ ზომებს, როგორც, მაგალითად, თემებისა და მათი ტერიტორიალურ კავშირების უფლებების გაფართოებას კურძო მფლობელთა მინების ექსპროპორციით; სამონასტრო, საუფლისნულო, საკაბინეტო და სხვ. მიწების კონფისკაციას და მათ გადაქცევას სახელმწიფო ქონებად; იმავე საქმისთვის, რომელიც თემებს უზრუნველყოფს საკმარისი მინით, და აგრეთვე გადასახლების და დასახლების საჭიროებას. მინით სარგებლობის ქირის განსაზღვრას მეურნეობის წმინდა შემოსავლის სიდიდით (რომლის საერთო შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს წარმოების ხარჯი და შრომის ნორმალური ჯილდო); დაჯილდოებას მინაზე დახარჯულ გაუმჯობესებათა ერთის ხელიდან მინის სარგებლობის მეორე ხელში გადასვლის დროს; რენტის გადაქცევას სპეციალურ გადასახადების გზით თემებისა და თვითმმართველობის ორგანოთა შემოსავალ წყაროდ.

3. ფინანსურ პოლიტიკის კითხვებში პარტია ეცდება პროგრესიულ გადასახადების შემოღებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე, მხოლოდ წერილი შემოსავალი სრულად განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადებიდან განსაზღვრულ ნორმის ქვეით; არაპირდაპირ გადასახადების გაუქმებას (ფუფუნების საგნების გარდა), დამცველ სადამჯო ბაჟების და საზოგადოდ ყველა გადასახადების, რომლებიც აწევს შრომას.

4. მუნიციპალურ და საერობო სამეურნეო კითხვებში პარტია ეცდება ყოველგვარ საზოგადო საჭირო საქმეთა განვითარებას (უფასო საექიმო დახმარება, საერობო-აგრონომიული ორგანიზაცია – კომუნალიზაცია წყლით სარგებლობისა, განათებისა, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა და სხვ.); პარტია ეცდება, მიენიჭოს სამოქალაქო და სასოფლო თემებს უფართესი უფლებები უძრავ ქონებათა ხარჯდადებისა და მათი ძალდატანებულ ჩამოშორების კითხვაში განსაკუთრებით კი მუშათა კლასის ბინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; ეცდება გაატაროს კომუნალური, საერობო და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციის განვითარებას სასტიკ დემოკრატიულ ნიადაგზე.

5. რაც შეეხება სხვადასხვა ზომების მიღებას, რომლებსაც მიზნად ექნება ამა თუ იმ სახალხო მეურნეობის ნაციონალიზაცია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საზღვრებში, პარტიას სოციალისტ-რევოლუციონერებისა შეუძლია, მიეგებოს მათ მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაცია და საზოგადო ძალთა განწყობილება, აგრეთვე თვით ხასიათიც, რომელიც შეეფერება საშუალებებს, მისცემს საკმარის გარანტიებს, რომ ასეთი გზა მმართველ ბიუროკრატიისაგან მუშათა კლასის დამოკიდებულებას არ გაადიდებს. საზოგადოდ პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა იცავს მუშათა კლასს სახელმწიფო „სოციალიზმიდან", რომელიც ერთის მხრით არის ერთგვარი საშუალება მუშათა კლასის დასაძინებლად, მეორეთ კი – თავისებური სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელიც მისი ფისკალური და პოლიტიკური მიზნისათვის უყრის თავს სხვადასხვა წარმოება-ვაჭრობის დარგებს მმართველ ბიუროკრატიის ხელში.

პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა, იწყებს რა დამოუკიდებელ რევოლუციონურ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან, წეუს აგიტაციას საერობო კრების (დამფუძნებელი კრების) მოსაწვევად, რომელიც იქნება თავისუფლად ამორჩეული მთელი ხალხის მიერ განურჩეველად სქესისა, წოდებათა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თვითმპყრობელობის რეჟიმის ლიკვიდაციისათვის და ყველა თანამედროვე წესების შესაცვლელად. ამ შეცვლის პროგრამას ის გაატარებს როგორც დამფუძნებელ კრებაში, ისე დამოუკიდებლად რევოლუციონურ პერიოდში.

რუსეთის სოციასლისტ-რევოლუციონერთა პარტიას ორგანიზაციები მთელს რუსეთის იმპერიაში გააჩნდა. 1901 წელს ესერთა ორგანიზაცია შეიქმნა თბილისში, შემდეგ – საქართველოს სხვა ქალაქებში. ქართველ ესერებს 1901-1917 წლებში არც დამოუკიდებელი პარტია და, აქედან გამომდინარე, არც პროგრამა არ ჰქონიათ. ისინი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში შედიოდნენ და მისი პროგრამის განხორციელებისათვის იბრძოდნენ. 1918 წლის ივნისში ქუთაისში გამართულ I დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა „საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია". პარტიის ხელმძღვანელ ბირთეს შეადგენდა: ლეო შენგელია (პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), იოსებ გობეჩია (თავმჯდომარის მოადგილე), ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი, გრიგოლ ნათაძე და სხვები.

§7. ქართველი ნაციონალ-დემოკრატები

1901 წელს საქართველოში დიდი ზარზეიმით აღნიშნა რუსეთთან „შეერთების" ასი წლისთავი. დაიწერა მრავალი სტატია, გამოიცა კრებულები და ნიგნები. ერთ-ერთ ასეთ გამოცემას წარ-

მოადგენდა „Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России. Материалы собрал Е.С. Сталинский" (Тифлис, 1901). გაიმართა მრავალი საიუბილეო ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების დაწყების წინ სცენაზე ავიდა ქართველი თავადაზნაურობის გულისამრევი „უქვეშევრდომილესი" განწყობილებით გალიზიანებული ქართველი პატრიოტი და განაცხადა: „ადამიანი რომ ნულის ტოლი გახდეს, მან ფეხებამდე უნდა დახაროს თავი!" ამ სიტყვების თქმისთანავე თვითონ მიიტანა თავი ფეხებთან და სცენა დატოვა.

იუბილესადმი უარყოფითად განწყობილი ეროვნულ-პოლიტიკური ძალების სულისკვეთება შესანიშნავად გამოხატა არჩილ ჯორჯაძემ. 1907 წელს გამოცემულ ნაშრომში „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში" არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოში ღირსების შემლახავი ამბავი მოხდა. ქართველმა თავად-აზნაურობამ დღესასწაული გააჩაღა საქართველოს ასის წლის დამონების გამო. დიდის ამბით და ზეიმით გამართეს „იუბილეი" და მონურ გრძნობებით აღსავსე სიტყვებში ამცნეს რუსეთის თვითმპყრობელს, რომ საქართველო ბედნიერია, ქართველი ხალხი ყოველის მხრით კმაყოფილია და რომ ერთგულების ნიშნად ქართველი თავადაზნაურობა მზარ არის თავი შესწიროს რუსეთის ტახტის და სამეფოს დღეგრძელობასაო. ეს იყო საზიზარი მეუღლისი ქართველი ხალხის და ქართულ ეროვნების შემლახველი, ეს იყო ხანა მტარვალის წინაშე ლაქუცობისა, ეს იყო მემკვიდრეობითის „ღალატის" გამომჟღავნება, იმ ღალატისა, რომელიც თითქოს თან შეზრდილი აქვთ ჩვენებურ „დიდებულებს" და „ბობოლა თავადებს". ცხადია, არჩილ ჯორჯაძის გარდა, იმავეს გრძნობდა და ფიქრობდა ბევრი ქართველი, რაც სხვადასხვა გზით დადასტურდა კიდეც.

1901 წელს, იუბილეს დღეებში, თბილისში ჰექტოგრაფიული წესით ხელისუფლებისაგან ფარულად დაიბეჭდა პროკლამაცია, რომელიც მალე მთელ საქართველოში გავრცელდა. პროკლამაცია დაიბეჭდა „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების" კომიტეტის სახელით. პირველს მალე კიდევ მოჰყვა სამი პროკლამაცია. მათში გამოთქმული იყო პროტესტი იუბილესა და მისი ორგანიზატორების მიმართ, კიდევ უფრო მეტი: პროტესტი რუსეთის იმპერიის მთავრობასა და მის პოლიტიკას სწვდებოდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად პროტესტისა, პროკლამაციების შინაარსი ზომიერი იყო. პროკლამაციის შემდგენლები ჩიოდნენ ქართველი ერის უმწეო მდგომარეობაზე, ერის ზნეობრივ დაცემაზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროკლამაციებში მინიშნებაც კი არ იყო იმაზე, თუ ვინ იყვნენ ეს „ნაციონალ-დემოკრატები", როგორი იყო მათი პროგრამა, რომელ სოციალურ ძალაზე ამყარებდნენ იმედს.

1901 წელსვე, პროკლამაციების გამოცემიდან მალე, თბილისში ნაციონალ-დემოკრატების კრება გაიმართა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კრებას დაახლოებით 45 კაცი, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დაესწრო. კრების მონაწილეთა შორის არამარქსისტული მიმართულების სოციალისტებიც ერივნენ. კრების უმრავლესობას ნაციონალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სოციალიზმი უცხო სახელმწიფოებისათვის იყო მისაღები,ხოლო საქართველოში მისი გავრცელებას ნაადრევად თვლიდნენ. ნაციონალ-დემოკრატები, მართალია, აღარებდნენ, რომ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო ფართო ეკონომიკური რეფორმების გატარება, მაგრამ მათი უმთავრესი საზრუნავი ეროვნული საკითხის გადაჭრა იყო.

ნაციონალ-დემოკრატების კრებას რადიკალური, რევოლუციური გადაწყვეტილებები არ მიუღია. კრებამ დაადგინა: მუდმივი პროტესტი გამოუცხადონ ხელისუფლებას, ხოლო პროტესტი პროკლამაციებსა და სხვა არალეგალურ გამოცემებში უნდა გამოხატულიყო.

კრებამ აირჩია კომიტეტი. კომიტეტი სცემდა პროკლამაციებს და იმავდროულად ემზადებოდა არალეგალური ორგანოს დაარსებისათვის. კომიტეტმა თავისი წარმომადგენლები დაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა ხალხის განწყობილება და მოთხოვნები შეესწავლათ. სწორედ ამ მოთხოვნების ასახვას აპირებდა კომიტეტი იმ არალეგალურ გამოცემაში, რომლის დაარსებისათვის მიმდინარეობდა მუშაობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მივლინებულმა კომიტეტის წარმომადგენლებმა გაარკვიეს: გარდა ინტელიგენციისა და მუშათა წრეებისა, საზოგადოების არც ერთ ჯგუფს განსაზღვრული არ ჰქონდა თავისი მოთხოვნები, არც ბრძოლის ფორმებზე ჰქონდათ წარმოდგენა.

"ნაციონალ-დემოკრატების" კომიტეტისა და თბილისში ჩატარებული ნაციონალ-დემოკრატების კრების შესახებ არსებული დოკუმენტური მასალისა და მემუარული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1901 წელს ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაციები ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელმაც 1903 წელს პარიზში ქართულ ენაზე გაზეთი „საქართველო" გამოსცა, ხოლო შემდეგ, 1904 წელს, ჟენევაში კონფერენციაც მოიწვია.

მეორე განყოფილება

საქართველო 1905–1907 წლებში

თავი I. 1905 წლის რევოლუცია საქართველოში

§1. რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩო. რევოლუციის ხასიათის განმარტებისათვის

1. ქრონოლოგიური ჩარჩო. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებამდე და მის შემდეგაც კარგა ხანს ბოლშევიკების პოლიტიკური ელიტა და მის კვალობაზე საბჭოთა ისტორიოგრაფია მიიჩნევდა, რომ რევოლუცია დაიწყო 1905 წლის იანვარში (9 იანვრის „სისხლიანი კვირით") და დასრულდა 1905 წლის დეკემბერში (მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით). ტერმინს „1905 წლის რევოლუცია" XX საუკუნის 20-30-იან წლებში პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა შორის არანაირი ეჭვი არ აღუძრავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1905 წლის რევოლუციის ნაცელად თანდათან ფეხი მოიკიდა ცნებამ „1905-1907 წლების რევოლუცია". უცილობელ ჭეშმარიტებად იქნა მიჩნეული, რომ რევოლუცია დაიწყო 1905 წლის იანვარში, კონკრეტულად, 9 იანვრის „სისხლიანი კვირით"(ეს დებულება დღესაც არანაირ ეჭვს არ ინვევს) და დასრულდა 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორ ნიკოლაი II-ის მიერ რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნით. ასე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, „გახანგრძლივდა" რევოლუცია ნელინად-ნახევრით. ჩვენი აზრით, რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა უნდა იწოდებოდეს **„1905 წლის რევოლუციად"** და არა – **„1905-1907 წლების რევოლუციად"**. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგს:

1. რევოლუციის ყველა ძირითადი მოვლენა დაიწყო, განვითარდა და დასრულდა 1905 წლის იანვრიდან დეკემბრამდე. ამ პერიოდში რევოლუციამ გაიარა სამი ეტაპი: დასაწყისი, კულმინაცია და მარცხი. 1905 წლის დეკემბრისა და 1906 წლის იანვარში რევოლუციის უმთავრესი ცენტრები, როგორც საკუთრივ რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში, განადგურებული იქნა;

2. 1906-1907 წლებში ახალი რევოლუციური აღმავლობა (საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები, შეიარაღებული აჯანყებები) არ დაწყებულა. რევოლუციის ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა ძალებმა(პოლიტიკურმა პარტიებმა, ლიდერებმა) ხალხის ნდობის რესურსი ამოწურეს, მოსახლეობაში გავლენა დაკარგეს და, ამდენად, ახალი რევოლუციური აღმავლობის დაწყება აღარ შეეძლოთ;

3. ცალკეული მემარცხენე და ექსტრემისტული ულტრა ჯგუფი სოციალ-დემოკრატებიდან, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან და ანარქისტებიდან კვლავ ცდილობდნენ რევოლუციური ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ ამაოდ: დამარცხებით გამონვეული ფსიქოლოგიური შოკი იმდენად ძლიერი იყო, რომ მემარცხენე და ექსტრემისტულ მოწოდებებს, რომელთაც წარმატებით იყენებდნენ 1905 წლის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მასაზე გავლენა აღარ ჰქონდა;

4. რუსეთის იმპერიის ყველა სოციალური ფენა გარკვეულწილად დამშვიდდა და იმედისმომცემი მოლოდინით აღავსო იმპერიაში დანყებულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა(სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაციამ, სახელმწიფო სათათბიროს მონვევამ და სხე.), რამაც საფუძველი დაუდო თვითმპყრობელობის პოლიტიკური სისტემის დეწმოკრატიულ პოლიტიკურ სისტემად – კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნას;

5. 1906-1907 წლები რევოლუციის პერიოდად არ შეიძლება განვიხილოთ. ესაა პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიაში აბსოლუტურმა მონარქიამ მონარქიამ რეფორმების გზით, მშვიდობიანად დაუთმო ადგილი კონსტიტუციურ მონარქიას.

2. რევოლუციის ხასიათის შეფასებისათვის. რა არის რევოლუცია? – ამ კითხვაზე ჯერჯერობით ერთი, უნიფიცირებული, პასუხი არ არსებობს და ეს ალბათ სავსებით ბუნებრივია. რევოლუცია ხდება ერთ კონკრეტულ სახელმწიფოში და, ცხადია, მეორე სახელმწიფოში რევოლუცია იმავე გზით ვერ განვითარდება, უფრო მეტიც, შეიძლება სრულიად განსხვავებული გზით წავიდეს. ამასთან ერთად, არ შეიძლება, რომ ყველა რევოლუციას არ ჰქონდეს ერთი და იგივე მახასიათებელი(ნიშანი). თითქმის ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დამკვიდრდა შეხედულება: რევოლუციის მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა. 1905 წლის რევოლუციის წინარე რევოლუციებს (ინგლისის რევოლუციას, საფრანგეთის დიდ რევოლუციას, 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციას) და შემდგომ, 1917 წლის თებერვალ-მარტის, რუსეთის რევოლუციის ისტორიას თუ გავაანალიზებთ, შეიძლება დავასკვნათ: რევოლუციის მიზანი პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა კი არ არის, არამედ უკვე გადანაწილებული ქონების ხელახლა გადანაწილება. პოლიტიკური ძალაუფლება გამარ-

ჯვებული სოციალური ძალის ხელში მხოლოდ იარალია(საშუალებაა) ქონების გადანაწილებისათვის. ქონების გადანაწილება იყო ინგლისის რევოლუციის, საფრანგეთის დიდი რევოლუციის , საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის, რუსეთის 1905 წლის რევოლუციის, რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მიზანი. აქვე დავძენთ: მხოლოდ და მხოლოდ ქონების გადანაწილება იყო 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების მიზანი.

თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ 1905 წლის რევოლუციას, მისი მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ უკვე გადანაწილებული ქონების ხელახლა გადანაწილება იყო. ამისათვის კი პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და ძველი პოლიტიკური სისტემის(თვითმპყრობელობის) ლიკვიდაცია იყო აუცილებელი. რუსეთის იმპერატორი და ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ნაწილი ყოველივე ამას კარგად ხედებოდა, რის გამოც სწორი სტრატეგია და ტაქტიკა აირჩია: პოლიტიკური სისტემის რეფორმა მოახდინა, ხელისუფლება არ დათმო და ქონების გადანაწილებაც არ დაუშვა. სწორედ ამან განაპირობა რევოლუციის გაგრძელების უპერსპექტივობა და საბოლოოდ, მისი მარცხი.

1905 წლის რევოლუცია არ ჰგავდა წინა რევოლუციებს და, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, დაისვას კითხვა: რა მოვლენა მოხდა რუსეთში 1905 წელს? იყო ეს რევოლუცია თუ სხვა რამ? ჩვენი აზრით, 1905 წელს რუსეთში განვითარებულ მოვლენებს უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ვუწოდოთ არა რევოლუცია, არამედ **„Русский бунт"** - (რუსული ამბოხება). რუსულ ენაში არის მეორე ტერმინიც, **„Смута"** (არეულობა, შფოთი, ამბოხი), **„Смутное время"** (შფოთიანი დრო, არეული დრო). რევოლუციის დაბალი და საშუალო დონის **„ბელადი"** (სოფლებში, მაზრებში, გუბერნიებში, ფაბრიკა-ქარხნებში, დაბებსა და ქალაქებში გაფიცვებისა და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი), ანუ ადამიანი, რომელსაც უშუალოდ მასასთან ჰქონდა ურთიერთობა, იყო ჩვეულებრივი **„Смутьян"**-ი (შფოთისთავი), რომელსაც, მართალია, საკაცობრიო იდეალები არ ქნუხებდა, მაგრამ კარგად შეეძლო შფოთის ატეხა, არეულობის მოწყობა (**"Смутьянитъ"**).ეს ეხება როგორც საკუთრივ რუსეთს, ისე იმპერიის განაპირა მხარეებს, მათ შორის საქართველოსაც. **„შფოთისთავებმა"** მოძრაობაში მოიყვანეს მასა, მაგრამ შემდეგ რა უნდა მოემოქმედათ, ალარ იცოდნენ. ასეთ ვითარებაში იარაღასხმული მასის მართვა ვერც პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლეს და სტიქიურად დაწყებული მოძრაობა სტიქიურადვე გაგრძელდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ 1905 წლის რევოლუცია თავიდან ბოლომდე სტიქიური მოვლენა იყო. რევოლუციის მონაწილე ყველაზე დიდი სოციალური ფენა –თავისი კონსერვატორული ბუნებით ცნობილი გლეხობა– სწორედ სტიქიურად ჩაება მოძრაობაში და სტიქიურადვე დაასრულა იგი. გლეხობის ერთადერთი საყოველთაოდ ცნობილი მოთხოვნა მინის ხელში ჩაგდება იყო, რაც შემამუღარი და სახელმწიფო მინისმფლობელობის ნანილობრივი ან მთლიანი ლიკვიდაციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. გლეხობის ამ რადიკალურმა მოთხოვნამ რუსეთის იმპერიის თავადაზნაურობა არსებული ხელისუფლების ერთგულ და საიმედო მოკავშირედ აქცია. რაოდენობით მეორე სოციალური ფენა – მუშები – ასევე სტიქიურად ჩაებნენ რევოლუციაში და მათი მოთხოვნებიც სტიქიურად ყალიბდებოდა, რაც, საბოლოოდ ბურჟუაზიის ქონების ხელყოფას ისახავდა მიზნად. მესამე სოციალურ ძალას – ბურჟუაზიას –გლეხებისა და მუშებისაგან განსხვავებით, გარკვეული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდა, მაგრამ მისი განხორციელების უნარი არ აღმოაჩნდა. უფრო ზუსტად, ბურჟუაზიას გლეხებსა და მუშებთან ბლოკის შეკვრა აშკარად შეეშინდა და, როდესაც ხელისუფლებამ პოლიტიკური სისტემის რეფორმა დაიწყო, მაშინვე მის ბანაკში გადავიდა. ეს არც იყო მოულოდნელი: **არც რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკური სისტემა და არც კონსტიტუციური მონარქია ქონების გადანაწილების საკითხს არ აყენებდა, გლეხები და მუშები კი სწორედ ამით იყვნენ დაინტერესებულნი.** საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ: **რევოლუციის მონაწილე სამ ძალას (გლეხობას, მუშებს, ბურჟუაზიას) საერთო, შეთანხმებული პროგრამა არ ჰქონია და ერთმანეთს მოკავშირეებად არც განიხილავდნენ.** ამით იყო განპირობებული ის, რომ რევოლუციას ერთი ხელმძღვანელი(მაკოორდინირებელი ცენტრი) არ პყავდა და არც ერთი, ყველასთვის რამდენადმე მაინც მისაღები, პროგრამა ყოფილა შემუშავებული. რევოლუციის მონაწილე სამი სოციალური ძალის შეუთანხმებლობის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები კიდევ უფრო საცნაური გახდა, როდესაც არათუ გავლენიანი პოლიტიკური პარტიები (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, 17 ოქტომბრის კავშირი), არამედ თვით სოციალისტური ორიენტაციის პარტიებიც კი ვერ შეთანხმდნენ და ერთიანი მოთხოვნები ვერ შეიმუშავეს. სტიქიურად დაწყებული რევოლუცია სტიქიურადვე განვითარდა: ყველა დიდ ქალაქსა და სამრეწველო

ცენტრს, ყველა გუბერნიას, იმპერიის განაპირა მხარეებს თავისი პოლიტიკური ლიდერები ჰყავდათ და თავისი პროგრამა ჰქონდათ. მთელი 1905 წელი ისე გავიდა, რომ დაინტერესებულმა სოციალურმა ძალებმა საერთო-რუსული ყრილობა (კონგრესი) ვერ მოინვიეს. გლეხთა მოძრაობამ საერთო-სარუსეთო პროგრამა ვერ შეიმუშავა, მაშინ, როდესაც ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი აგრარული პროგრამა ჰქონდა. ასეთმა ვითარებამ გლეხობა დააბნია, სტიქიურობა კიდევ უფრო გააძლიერა. უზარმაზარ იმპერიაში რა ხდებოდა, არავინ იცოდა. ცხადი იყო ერთი რამ: „რუსული ბუნტი" თანდათან ძალას იკრებდა, „შფოთიანი დრო" დგებოდა.

თუ 1905 წლის მოვლენებს მაინც რევოლუციას ვუწოდებთ, მხოლოდ იმ გაგებით, რომ ყველა ქვეყანამ რევოლუციის თავისი ტიპი წარმოშვა: საფრანგეთის დიდი რევოლუცია არ ჰგავდა ინგლისის რევოლუციას. არც რუსეთის რევოლუცია ჰგავდა ევროპის ქვეყნების რევოლუციებს. იგი წმინდა წყლის რუსული მოვლენა იყო.

§2. რევოლუციის მიზეზები

1905 წლის რევოლუცია, ერთი შეხედვით, მოულოდნელად დაიწყო, თუმცა ეს ასე არ იყო. ბატონყმობის გაუქმებამ (1861 წ.) და XIX საუკუნის 60-70-იანი წლების სხვა რეფორმებმა განმუხტა სოციალური დაძაბულობა რუსეთში და, მიუხედავად ექსტრემისტულ-ტერორისტული ძალების სერიოზული მცდელობისა, დიდი სოციალური კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული. სოციალური საკითხი რუსეთში კვლავ მწვავედ დადგა ბატონყმობის გაუქმებიდან 30 წლის შემდეგ, რევოლუციის თავიდან აცილება მხოლოდ ახალი ძირეული რეფორმებით იყო შესაძლებელი. პირველ რიგში, ეს სოფლად შექმნილ მძიმე სოციალურ ვითარებას ეხებოდა. მცირემიწიანობა და სხვადასხვა სახის გადასახადები გლეხობას ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდა. არანაკლებ დაძაბული იყო ვითარება ქალაქად. მუშათა მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, მუშათა კანონმდებლობის მოუწესრიგებლობა სოციალური აფეთქების საშიშროებას ქმნიდა. დაუყოვნებლივ გარდაქმნას საჭიროებდა ადგილობრივი (საგუბერნიო, საქალაქო, სამაზრო, სასოფლო) მმართველობა და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა. პოლიტიკური სისტემის შეცვლის აუცილებლობას თვით გაბატონებული წოდების – თავადაზნაურობისა – და რუსული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად აცნობიერებდა. რაც შეეხება ბურჟუაზიას, პოლიტიკური სისტემის ცვლილება მის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენდა. ამის გარეშე ბურჟუაზია ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა თავისთავად ბადებდა წინააღმდეგობას იმპერიის განაპირა (კოლონიურ) მხარეებში. არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს არ ესმოდა რუსეთის უკანასკნელ იმპერატორ ნიკოლაი II-ს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო რეფორმები ან საერთოდ არ გატარებულა, ხოლო რომლის გატარებაც გადაწყდა, დაგვიანებული აღმოჩნდა და, ამასთან ერთად, მიმდინარეობდა გაუბედავად, ზედმეტი სიფრთხილით და ნელი ტემპით. და ეს მაშინ, როდესაც აუცილებელი იყო გაბედული და სწრაფი მოქმედება. ყოველივე ამას დაემატა ის, რომ კარსმომდგარი რევოლუციის პირობებში, 1904 წლის იანვარში, რუსეთის იმპერია იაპონიასთან ომში ჩაება. მარცხიანმა ომმა უკიდურესად დაძაბა პოლიტიკური და სოციალური ვითარება ქვეყანაში, გააუარესა დაბალი ფენების ეკონომიკური მდგომარეობა, დასცა ხელისუფლების ავტორიტეტი. ყოველივე ამით კარგად ისარგებლეს სოციალისტური ორიენტაციის პარტიებმა და ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხილებით ხელი შეუწყვეს რევოლუციის დაწყებას. რომ არა რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.), ხელისუფლებას მცირე შესაძლებლობა მაინც რჩებოდა, რომ დაწყებული სოციალური რეფორმები ბოლომდე მიეყვანა და თავიდან აეცილებინა რევოლუცია. მარცხიანმა ომმა ეს შანსიც მოსპო. ყოველივე ეს სრულიად ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ **იმპერატორმა ნიკოლაი II-მ და მისმა გარემოცვამ XIX საუკუნის მინურულსა და XX საუკუნის დამდეგს სერიოზული შეცდომები დაუშვეს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას. და, როცა არასწორი პოლიტიკის შედეგები აშკარა გახდა, მაშინაც კი ვერაფერი მოიმოქმედეს კრიზისული ვითარების განმუხტვისათვის.** ცხადია, იმპერატორსა და მის მინისტრებს რაღაც გათვლები ჰქონდათ, მაგრამ მათ ვერ წარმოედგინათ ის, რომ რუსეთს დიდი სოციალური კატასტროფა უახლოვდებოდა.

ცხადია, საქართველოში რევოლუციის დაწყება იმავე მიზეზებმა განაპირობა, რამაც რუსეთში. მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებით უკმაყოფილებას საქართველოში კიდევ უფრო აძლიერებდა მეტროპოლიის ეროვნული და საეკლესიო პოლიტიკა. უმთავრესი მიზეზი კი მაინც რუსეთის იმპერიის მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა იყო, ამ პოლიტიკამ აამოძრავა საქართველოს გლეხობა, მუშები, წვრილი მეწარმეები, კერძო და სახელმწიფო დანესებულებათა დაბალი და საშუალო დონის მოხელეები და სხვ.

1. კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი რევოლუციის მიზეზების შესახებ. სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოში რევოლუციის დაწყების უმთავრეს მიზეზად კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915) აგრარულ საკითხს ასახელებდა და ამაში იგი არც ცდებოდა: 1907 წელს იმპერატორ ნიკოლაი II-თვის წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში: „Всеподданейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова" მეფისნაცვალი ამ საკითხსაც შეეხო. ამ ვრცელი დოკუმენტის (164 გვერდი) შედგენა მეფისნაცვალს 1907 წლის 10 თებერვალს დაუსრულებია, იგი იმავე წელს თბილისში ცალკე გამოცემადაც დაბეჭდილა. საესებით ცხადია, რომ კავკასიის მეფისნაცვალი საქართველოს გლეხობის რევოლუციაში ჩაბმის მიზეზად აგრარული საკითხის მოუგვარებლობას თვლიდა, მაგრამ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელე და რუსეთის პოლიტიკური ელიტის ერთერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ცდილობდა, ერთი მხრივ, იმპერატორისათვის ეჩვენებინა შექმნილი უმძიმესი ვითარების რეალური სურათი და, მეორე მხრივ, არ გაეღიზიანებინა იმით, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში არასწორი აგრარული პოლიტიკა ტარდებოდა. ამასთან ერთად, მეფისნაცვალს ყურადღება გადაპქონდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ აგრარულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით განახორციელა. პრობლემის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კავკასიის მეფისნაცვალი მას რამდენიმე საკითხად ყოფს:

დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობა. უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხების დიდი ნაწილი, რომელთაც მემამულისაგან მინის ნაკვეთი ვერ გამოისყიდეს, დღემდე დროებით ვალდებულებად რჩებიან. დროებით ვალდებული გლეხის მემამულისადმი ვალდებულება განისაზღვრება ნატურით – მოსავლისაგან გაღებული წილით. ასეთი მდგომარეობა მემამულეებსა და გლეხებს შორის მუდმივი უკმაყოფილების მიზეზი იყო, რადგან მემამულეები ცდილობდნენ გაეზარდათ ნატურით მიღებული გადასახადის რაოდენობა, ხოლო გლეხები ცდილობდნენ შეემცირებინათ იგი. მდგომარეობა განსაკუთრებით იძაბებოდა იქ, სადაც მამულის მფლობელი რამდენიმე პირი იყო და მათ თავისთავად, ერთმანეთში დავა ჰქონდათ დროებით ვალდებული გლეხისაგან მიღებული ნატურით გადასახადის წილისათვის. ეითარებას ძაბავდა ისიც, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა კომლები დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტულნი, რაც ართულებდა ნატურით გადასახადის დროულად ჩაბარებას. გლეხების დიდი ნაწილი მემამულეს გადასახადს ხორბლითა და თივით უხდიდა, დაგეიანების გამო პური მინდორშივე ნესტიანდებოდა და ლპებოდა, ფუჭდებოდა თივაც. გლეხები ცდილობდნენ, ხორბალი და თივა ფარულად ნაეღოთ, რაც ხშირად გლეხებსა და მემამულეებს შორის შეჯახებითა და თოფ-იარაღის გამოყენებით მთავრდებოდა.

მეფისნაცვალი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობას ძალზე ამძიმებდა მცირემიწიანობა. თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებული გლეხის კომლს სარგებლობაში დაახლოებით 5 დესეტინა ურწყავი და 2,5 დესეტინა სარწყავი მინა ერგო, ქუთაისის გუბერნიაში ორივე სახის მინა – მხოლოდ 1,5 დესეტინის ფარგლებში. ბატონყმობის გაუქმების დროისათვის, ანუ XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის, დროებით ვალდებული გლეხის კომლს 1 დესეტინა მიწიდან ნატურით გადასახადი ფულზე გადაყვანით 9 მანეთი უნდა გადაეხადა, რაც სამჯერ მეტი იყო ევროპული რუსეთის გუბერნიებთან შედარებით.

მეფისნაცვალი აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთქმულის გამო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა გაუარესდა: თბილისის გუბერნიაში გლეხი მემამულეს ნატურის სახით მიღებული მოსავლის 1/4 ნაწილს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1/3 ნაწილს უხდიდა. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვის 1865 წლის 1 ივნისის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნულია: ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხის კომლი მემამულეს ნატურით 1 დესეტინა მიწიდან გაცილებით ნაკლებ გადასახადს უხდიდა (მოსავლის 1/5 ან 1/10 და ზოგჯერ 1/20 ნაწილს). ეს ეხებოდა როგორც ხორბალს, ისე თივას, ღვინოს და სხვ. ამასთან ერთად, მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ ბატონყმობის გაუქმების დროს მცირემიწიან მემამულეებს(თბილისის გუბერნიაში ასეთად ითვლებოდა მემამულე, რომელიც 30 დესეტინა მინაზე ნაკლებს ფლობდა, რაც ქუთაისის გუბერნიაში 30 ქცევას, ანუ 11,25 დესეტინას უდრიდა) უფლება მიეცათ საერთოდ არ გამოეყოთ გლეხებისათვის მინა, უარი ეთქვათ იმ მინაზეც კი, რომელიც გლეხს ბატონყმობის გაუქმებამდე მემამულის მიერ ჰქონდა გამოყოფილი. ამის გამო საქართველოში ბევრი გლეხი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საერთოდ უმინოდ დარჩა.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი ყურადღების

გარეშე არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში მოსაელიანობამ მნიშვნელოვნად იკლო. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში 1 დესეტინა მიწაზე 180-200 ფუთი სიმინდის მარცვალი მოდიოდა, საიდანაც დროებით ვალდებული გლეხი მემამულეს ნატურის სახით 1/4 ნაწილს აძლევდა და, ამდენად, გლეხის კომლს 135-140 ფუთი სიმინდის მარცვალი რჩებოდა. 1905-1906 წლებისათვის სიმინდის მოსაელიანობა 60-80 ფუთამდე იყო შემცირებული, ხოლო ნატურით გადასახადის ნორმა (1/4) არ შეცვლილა, ანუ გლეხის კომლს 45-60 ფუთი სიმინდის მარცვალიღა რჩებოდა. მოსაელიანობის შემცირება ბევრად იყო განპირობებული მიწის დამუშავების პრიმიტიული ტექნიკით.

მეფისნაცვალი უარყოფით მოვლენად მიიჩნევს იმას, რომ საქართველოში ძალზე გაჭიანურდა დროებით ვალდებული გლეხების მესაკუთრე გლეხად გადაქცევა, რაც იმან გამოიწვია, რომ დროებით ვალდებული გლეხის მიერ მიწის გამოსყიდვა ნებაყოფლობითი პროცესი იყო, ანუ მემამულის კეთილ ნებასა და გლეხისა და მემამულის შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. ასეთმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ თბილისის გუბერნიის მემამულეებს საერთოდ არ ჰქონდათ დროებით ვალდებული გლეხებისათვის მიწის გადაცემის მისწრაფება, ხოლო გლეხების უმრავლესობას მიწის გამოსასყიდი თანხა არ გააჩნდა. გლეხების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტმა, რომლის ძალითაც, 1907 წლის 1 იანვრიდან დროებით ვალდებული გლეხი გამოასყიდისაგან საერთოდ თავისუფლდებოდა. 1907 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში დროებით ვალდებულ გლეხებს სარგებლობაში ჰქონდათ, ანუ ჯერ კიდევ არ გამოესყიდათ, 120.000 დესეტინა მიწა.

ამრიგად, კავკასიის მეფისნაცვლის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ დროებით ვალდებული გლეხების რევოლუციაში ჩაბმა სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო.

ხიზნების მდგომარეობა. კავკასიის მეფისნაცვალი აღნიშნავს, რომ ხიზნობა საქართველოში განსაკუთრებულმა სოციალ-ეკონომიკურმა პირობებმა ნარმოშვა და იგი დიდი ხნიდან ილებდა სათავეს. მიუხედავად ამისა, ხიზნების საკითხი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გამწვავდა, რადგან მემამულეებმა ხიზნებს მიწა არ გამოუყვეს. ხიზნების საკითხი ვერც 1891 წლის კანონმა გადაჭრა. ხიზნების მდგომარეობა დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მემამულეს შეეძლო



ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი

ხიზანი საერთოდ გაეძევებინა თავისი მამულიდან. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის დასკვნით, ხიზნის მდგომარეობა ბევრად არაფრით განსხვავდებოდა ყმის მდგომარეობისაგან.

ამრიგად, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან დასტურდება, რომ ხიზნების აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში სრულიადაც არ იყო მოულოდნელი და იგი მათი აუტანელი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით იყო განპირობებული.

რევოლუციის გამომწვევი სხვა მიზეზები. კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თბილისში 1905 წლის 5 მაისს ჩამოვიდა და მის თვალწინ გაიარა მთელმა რევოლუციამ. რევოლუციის გამომწვევი ზემოთ ხსენებული მიზეზის (აგრარული საკითხის) გარდა, კავკასიის მეფისნაცვალი სხვა მიზეზებზეც საუბრობს, თუმცა ამ შემთხვევაში მსჯელობა არა სილრმისეული, არამედ ზერელეა:

1. უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ვკითხულობთ: „ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობის საკრებულოებმა პეტიცია შეადგინეს საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით, ადგილობრივი თავადაზნაურობა დაკავებული იყო იმით, რომ იმპერიისაგან სრულიად დამოუკიდებელი მმართველობა მიეღო“. ცხადია, ამ მოვლენის რევოლუციის გამომწვევ მიზეზად წარმოდგენა არასერიოზულია.

2. მეფისნაცვალი წერს: „ქართული სეპარატიზმი ყველაზე ნათლად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაში გამომჟღავნდა." სინამდვილეში, ავტოკეფალისტურ მოძრაობას სეპარატიზმთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, იგი არ წარმოადგენდა პოლიტიკურ მოძრაობას.

3. კაეკასიის მეფისნაცვალს საქართველოში დანყებული გლეხთა ძლიერი მოძრაობის ერთერთ მიზეზად საეკლესიო გადასახადი მიაჩნდა: „1902 წლის ზაფხულიდან სოფლის მოსახლეობაში დაინყო მოძრაობა სამღვდელოებისათვის დანესებული „დრამის" გადასახადის (კომლზე 2 მანეთის) გაუქმების მოთხოვნით. თავდაპირველად გადასახადის გადახდაზე უარი თქვა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის (ყოფილი გურიის) რამდენიმე სასოფლო საზოგადოებამ, 1905 წელს კი ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თითქმის ყველა სოფლის გლეხობამ. გადასახადის გაუქმების მოთხოვნა მოტივირებული იყო იმით, რომ სამღვდელოება სახელმწიფო ბაზინიდან საკმაო ჯამაგირს იღებდა, ამასთან ერთად, მრევლისაგან სხვადასხვა მსახურებისათვის ჯილდოსაც ითხოვდა. გარდა ამ მოთხოვნებისა, გლეხებმა უარი თქვეს ეკლესიების სადარაჯოდ გასვლაზე და მოითხოვეს ეკლესიის მიმართ არსებული ვალდებულებები თავადაზნაურობასაც შეესრულებინა. გლეხობამ მოითხოვა მღედლებს უარი ეთქვათ ზოგიერთ მოთხოვნაზე, რომლებსაც ისინი არაპირდაპირი გზით გლეხობას აკისრებდნენ."

4. კაეკასიის მეფისნაცვალი შეეხო გლეხობაში სოციალ-დემოკრატიის პოპულარობის საკითხს და იგი ასე ახსნა: „ქართველთა შორის სოციალ-დემოკრატიის იდეების გრანდიოზული ნარმატება შეიძლება აიხსნას (...) იმით, რომ პროპაგანდისტების დიდი უმრავლესობა გლეხობის ნრიდან იყო გამოსული." მეფისნაცვალი ამჯერადაც გვერდს უვლის იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატების პოპულარობა სოფლად ხელისუფლების არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ განაპირობა და არავითარი მნიშვნელობა არ პქონდა იმას, თუ ვინ იყო პროპაგანდისტი – გლეხობისა თუ მუშათა ნრიდან გამოსული.

ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა კაეკასიის მეფისნაცვალმა ობიექტური მიზეზებით კი არ ახსნა, არამედ ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელ ვლადიმირ სტაროსელსკის პოლიტიკით, რაც იმაში გამოიხატა, რომ გუბერნატორმა რეპრესიული ღონისძიებების გატარება არ ისურვა, რამაც წაახალისა მოსახლეობა.

აღსანიშნავია, რომ კაეკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის „უქვეშევერდომილეს" მოხსენებაში, რომელიც ნიკოლაი II-თვის უნდა მიერთმიათ, სიმართლე ბოლომდე ვერ ითქმებოდა. ამიტომაა, რომ რევოლუციის მიზეზების ახსნისას მეფისნაცვალი ზოგჯერ საკმაოდ ობიექტურია, ზოგჯერ კი აშკარად მალავს სიმართლეს.

2. ვლადიმირ სტაროსელსკი რევოლუციის მიზეზების შესახებ. ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნამდე, 1905 წლის 25 მაისს, რუსეთის იმპერიის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფროსმა აგრონომმა კაეკასიაში ვლადიმირ სტაროსელსკიმ დანერა გამოკვლევა ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელიც კაეკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისათვის წარსადგენად იყო გამიზნული. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აგრარულ საკითხს, როგორც რევოლუციის გამომწვევ მიზეზს, შეეხო კაეკასიის მეფისნაცვალიც 1907 წელს ნიკოლაი II-თვის წარდგენილ უქვეშევერდომილეს მოხსენებაში. ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენება საყურადღებოა, მაგრამ იგი მაინც პოლიტიკური დოკუმენტია, რის გამოც მსჯელობისა და დასკვნების გამოტანისას ავტორი შეზღუდულია. ვლადიმირ სტაროსელსკის ნაშრომი, პრაქტიკულად, მეცნიერული გამოკვლევაა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი კაეკასიის მეფისნაცვლისათვის უნდა წარედგინა, შეიცავს ბევრ ისეთ დასკვნას, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საკუთარ შეცდომებზე მიანიშნებდა.

ვლადიმირ სტაროსელსკის ნაშრომი, მართალია, ქუთაისის გუბერნიის (იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის) მაგალითზეა დაწერილი, მხოლოდ ამ გუბერნიის მასალებია მოძიებული და განზოგადებული, მაგრამ დღეს ჩვენ საესებით გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგივე ვითარება იყო თბილისის გუბერნიაშიც (ქართლსა და კახეთში), უფრო მეტიც, სტაროსელსკის, როგორც განათლებულ და საქმეში ღრმად ჩახედულ ადამიანს, ისეთი დასკვნები გამოაქვს, რომლებიც არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიას ეხება. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი და ბატონყმობის გაუქმების შესახებ კანონები განმსჭვალული იყო შემდეგი მისწრაფებით:

1. რაც შეიძლება უნდა შემცირებულიყო ადმინისტრაციის გაულენა ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხობაზე და გაუქმებულიყო ყველა ზედმეტი ინსტანცია;

2. სასოფლო მმართველობასა და სოფლის

კანცელარიებთან მიმართებაში ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხობას უნდა მისცემოდა რაც შეიძლება მეტი თავისუფლება;

3. სასოფლო მმართველობა და მისი მოხელეები კანონის ფარგლებში პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყვნენ გლეხობის წინაშე, გლეხობას უფლება უნდა ჰქონოდა, თავისი წარმომადგენლების საშუალებით საჩივარი შეეტანა როგორც სასოფლო მმართველობის, ისე პოლიციის წინააღმდეგ;

4. სოფლის სასამართლო დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო როგორც სოფლის ადმინისტრაციის, ისე პოლიციისაგან. სოფელში, გარდა სასამართლოსა, არანაირი სასამართლო ინსტანცია არ უნდა შემოელოთ;

ყოველივე ზემოთქმულს სტაროსელსკი უაღრესად პროგრესულად მიიჩნევდა, მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ ეს პრინციპები ცხოვრებაში არ გატარებულა. საბოლოოდ, შეიქმნა მდგომარეობა, რომელსაც ავტორი ასე ახასიათებს:

1. ნაცვლად გლეხთა თავისუფალი თვითმმართველობისა, მივიღეთ ადმინისტრაციის ყოველმხრივი კონტროლი, ადმინისტრაცია თავისი შეხედულებისამებრ განაგებს გლეხობის საქმეს;

2. ნაცვლად გლეხობის დამოუკიდებლობისა, მივიღეთ გლეხობაზე სოფლის კანცელარიის განუსაზღვრელი ბატონობა, სასოფლო მმართველობის, კერძოდ, მამასახლისისა და მწერლის სრული უპასუხისმგებლობა გლეხობის წინაშე;

3. სოფლის თვითმმართველობის ნაცვლად ჩამოყალიბდა ფისკალურ-პოლიციური სისტემა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს გლეხობის ინტერესებთან.

ვლადიმირ სტაროსელსკის აზრით, ზემოთ ხსენებულმა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ ჩამოყალიბდა ორი ტენდენცია: 1)სოფლის თვითმმართველობის უფლებები ნულს გაუტოლდა, 2) სასოფლო მმართველობა – ფისკალურ-პოლიციურ კანცელარიად გადაიქცა.

ამ ღრმა და საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ მიმოვიხილავთ იმ ფაქტობრივ მასალას, რომელიც ვლადიმირ სტაროსელსკის ნაშრომშია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალას ეყრდნობა.

1893 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში 9.240 მამული იყო აღრიცხული, რომელთა საერთო ფართობი 815.321 დესეტინას უდრიდა, ანუ მთელი გუბერნიის (ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის გამოკლებით) ფართობის 42%-ს შეადგენდა. გუბერნიაში, მაზრების მიხედვით, ასეთი ვითარება იყო:

1. **ქუთაისის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 1833, მათ შორის: 0 –2 დესეტინა ფართობით –94 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –282 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით – 496 მამული; 8 – 19 დესეტინა ფართობით – 546 მამული, 19–36 დესეტინა ფართობით – 221 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით – 68 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით –70 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით –10 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 46 მამული;

2. **შოროპნის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 1997, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით –166 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით – 469 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით – 536 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 466 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით – 192 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით – 66 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით – 52 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით – 11 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 39 მამული;

3. **რაჭის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 1009, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით –26 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –199 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით – 496 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 116 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით – 37 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით – 9 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით –7 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით – 1 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 18 მამული;

4. **ლეჩხუმის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 649, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით –38 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –112 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით –201 მამული; 8–19 დესეტინა ფართობით – 172 მამული, 19–36 დესეტინა ფართობით –35 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით –25 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით –27 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით –13 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 26 მამული;

5. **სვანეთის საპრისტაო** – მამულების რაოდენობა – 84, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით – 9 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –24 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით – 31 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 14 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით –2 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით – 0 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით – 0 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით –0 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 4 მამული;

6. **ოზურგეთის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 869, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართო-

ბით –36 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –116 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით –176 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 156 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით –97 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით – 65 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით –94 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით – 47 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 82 მამული;

7. **სენაკის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 1625, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით –101 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –243 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით –402 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 482 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით –157 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით –120 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით – 64 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით –29 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 27 მამული;

8. **ზუგდიდის მაზრა** – მამულების რაოდენობა – 1174, მათ შორის: 0-2 დესეტინა ფართობით –70 მამული; 2-4 დესეტინა ფართობით –135 მამული; 4-8 დესეტინა ფართობით –319 მამული; 8-19 დესეტინა ფართობით – 141 მამული, 19-36 დესეტინა ფართობით –261 მამული, 36-72 დესეტინა ფართობით –143 მამული, 72-190 დესეტინა ფართობით –61 მამული, 190-380 დესეტინა ფართობით –25 მამული, 380 დესეტინაზე მეტი ფართობით – 19 მამული.

ზემოთ მოხმობილი სტატისტიკური მასალიდან ცხადი ხდება, რომ თავადაზნაურთა მამულების 52,8% მცირემინიანი იყო (8 დესეტინაზე ნაკლები ფართობით), ხოლო 2,7% – მინის დიდ რაოდენობას ფლობდა (380 დესეტინაზე მეტს).

ქუთაისის გუბერნიის 9 ყველაზე დიდი მამული, რომელთა ფართობი 6.000 დესეტინაზე მეტს შეადგენდა, მდებარეობდა: სენაკის მაზრაში – 1 (14.625 დესეტინა); ლეჩხუმის მაზრაში –2 (ერთის ფართობი 29.000 დესეტინას შეადგენდა, მეორისა –85.030 დესეტინას), ოზურგეთის მაზრაში – 4 (სამი მამულიდან თითოეული 7.000 დესეტინა ფართობით, ერთი–9.037 დესეტინა ფართობით); ზუგდიდის მაზრაში –2 (ერთის ფართობი 187,500 დესეტინას შეადგენდა, მეორისა – 9.988 დესეტინას). ამ ცხრა დიდი მამულის საერთო ფართობი 358,000 დესეტინა იყო, ანუ გუბერნიის მთელი ფართობის 44%-ს უდრიდა.

ვლადიმირ სტაროსელსკი განსხვავებას თავადაზნაურობასა და გლეხთა საკუთრებაში არსებულ მინის ფართობს შორის ქუთაისის გუბერნიის შოროპნის მაზრის მაგალითზე წარმოაჩენს. 1899 წელს შოროპნის მაზრაში 1897 მამული იყო აღრიცხული, რომელთა საერთო ფართობი 66.216 დესეტინას უდრიდა, ანუ მთელი მაზრის 82%, 1897 მამულიდან 82% 20 დესეტინაზე ნაკლებ მიწას ფლობდა, 2% –380 და მეტ დესეტინას. შოროპნის მაზრაში 20.638 გლეხის კომლი 42.183 დესეტინა მიწას ფლობდა. გარდა ამისა, გლეხებს იჯარით ჰქონდათ აღებული 18.000 დესეტინა სახელმწიფოსა და 10.435 დესეტინა თავადაზნაურობის მინა. ასე რომ, გლეხები ფლობდნენ მინის ორ კატეგორიას – მემამულისაგან გამოსყიდულ (საკუთრებაში არსებულ) მიწას და სახელმწიფოსა და მემამულისაგან იჯარით აღებულს. შოროპნის მაზრაში გლეხის 1 კომლი საშუალოდ ფლობდა 3,4 დესეტინა გამოსყიდულ (საკუთრებაში არსებულ) და იჯარით აღებულ მიწას. იმავდროულად მაზრის გლეხობის ნაწილი კიდევ უფრო მცირე მიწას ფლობდა: 0,5 დესეტინამდე (743 კომლი, ანუ 3,6%), 0,5-1 დესეტინას (1.642 კომლი, ანუ 8%), 1-1,5 დესეტინას (2.556 კომლი, ანუ 12,5%), 1,5-2 დესეტინას (2.700 კომლი,ანუ 13,2%), 2-3 დესეტინას (4.395 კომლი, ანუ 21,5%), 3-4 დესეტინას 3,15 კომლი, ანუ 14,7%), 4-5 დესეტინას (1852 კომლი, ანუ 9%), 5 დესეტინასა და მეტს (3.581 კომლი, ანუ 17%). გლეხთა კომლებიდან 743, ანუ 3,6% ფლობდა მხოლოდ 0,5 დესეტინას, ხოლო 1642 კომლი, ანუ 8% კი 0,5-1 დესეტინა მინას. შოროპნის მაზრაში სრულიად უმინო იყო 154 კომლი, ანუ მთელი კომლების 0,8%.

ვლადიმირ სტაროსელსკი საგანგებოდ ჩერდება დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობაზე. 1905 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიაში 24.579 დროებით ვალდებულ გლეხთა კომლი იყო აღრიცხული, რაც ყმობიდან განთავისუფლებული საბატონო გლეხების 50% შეადგენდა. გუბერნიაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა დროებით ვალდებული გლეხების მიერ მინის გამოსყიდვა: 1892-1897 წლებში მინის გამოსყიდვა საშუალოდ 1.100 კომლმა მოახერხა, შემდეგი 5 წლის განმავლობაში – 558 კომლმა.

ვლადიმირ სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნიაში მინათმფლობელობის მდგომარეობის მიმოხილვას შოროპნის მაზრის მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი დასკვნებით ამთავრებს:

1. ყველა კატეგორიის გლეხთა კომლების 82,5% და თავადაზნაურობის 25-30% მინის საშინელ ნაკლებობას განიცდიდა;

2. შექმნილი მდგომარეობის გამო თავადაზნაურობამ მცირემინიან გლეხთა ექსპლუატაცია გააძლიერა, რამაც უკიდურესად დაბაბა ვითარება;

3. გლეხთა კომლების 82% ნახევრად ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამრიგად, ვლადიმირ სტაროსელსკიმ გლეხთა მდგომარეობის ობიექტური სურათი წარმოაჩინა.

ამ ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ მოუკერძოებელი ადამიანი ერთადერთ დასკვნას გამოიტანდა: გლეხთა რევოლუციური გამოსვლები გამოწვეული იყო მათი უკიდურესად მძიმე მდგომარეობით და სრულიად ბუნებრივად უნდა მიჩნეულიყო.

3. გენერალი ფიოდორ გერშელმანი რევოლუციის მიზეზების შესახებ. 1898-1901 წლებში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი (1901 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი, 1908 წლიდან კავალერიის გენერალი) **ფიოდორ გერშელმანი** (1853-1927), რომელიც 1912 წლიდან იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო საბჭოს, ხოლო 1916 წლიდან უმაღლესი სამხედრო სასამართლოს წევრი, ცხადია, საკმაოდ განათლებულ ადამიანად მიაჩნდათ. 1908 წელს სანკტ-პეტერბურგში ფიოდორ გერშელმანმა გამოსცა ნიგნი **„Причины неурядиц на Кавказе"** ავტორი საქართველოში **„უწესრიგობის"** (ე.ი. რევოლუციის) მიზეზებს არაობიექტურად წარმოაჩენს. რევოლუციურ მოძრაობაში ქართველთა ჩაბმის მიზეზი გენერალს ასე აქვს განმარტებული: „ქართველებს ფაქიზი დამოკიდებულება აქვთ სამშობლოსადმი. საქართველოს მაღალი საზოგადოება ტრადიციულად ერთგულია რუსეთისა, თუმცა ბოლო დროს გამომჟღავნდა მთავრობისადმი მისი უკმაყოფილება და ხელისუფლებისადმი უნდობლობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული. ქართველი ხალხი სიამოვნებით უახლოვდება რუსებს. მასა რუსეთის მეფისადმი სრულ ნდობას ამჟღავნებს, ამ ნდობაში აშკარად გამოსჭვივის პატრიარქალური ნიშნები. ქართველი ხასიათით ნერვიული, მგრძნობიარე, პატივმოყვარე და დიდად თავმოყვარეა, თუმცა ამას ყოველთვის სწორი გამოვლინება არ აქვს. უმაღლესი საზოგადოება ინახავს და იცავს ბევრ კეთილშობილურ ტრადიციას, საზოგადოებას გააჩნია ბევრი ღირსება, რომელთაც თვალისჩინივით უფრთხილდება, რაც სიმპათიას იმსახურებს, მაგრამ, ამავე დროს, ქართველებს არ ჰყოფნით გამძლეობა, შორსმჭვრეტელობა, პრინციპულობა, ისინი მიდრეკილნი არიან თვითნებობისაკენ, ზერელედ ეკიდებიან საქმეს, უპირატესობას ანიჭებენ გარეგნული ბრწყინვალების გარეშე დროსტარებას, რაშიც ხარჯავენ ჯერ კიდევ შემორჩენილ ქონებას». ფიოდორ გერშელმანი აღნიშნავს, რომ ასეთმა საზოგადოებამ ალღო ვერ აუღო ახალ სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას და გამოსავალი ხელისუფლებასთან მუდმივ კონფლიქტსა და დაპირისპირებაში დაინახა, რაც თვალნათლივ გამომჟღავნდა რევოლუციის წლებში.

ფიოდორ გერშელმანის მსჯელობა, ერთი შეხედვით, თითქოს ღრმა და საფუძვლიანი, საბოლოოდ მაინც ზერელე და დაუსაბუთებელია. გენერალი რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკას კი არ აკრიტიკებს, რევოლუციაში ქართველების ჩაბმას ჩვენი ეროვნული ხასიათით ხსნის. ქართველთა ეროვნული ხასიათი, თუნდაც იმგვარად წარმოდგენილი, როგორც ამას ფიოდორ გერშელმანი ხედავდა, არ შეიძლებოდა დიდი სოციალური მოძრაობის – რევოლუციის მიზეზი გამხდარიყო.

ფიოდორ გერშელმანმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში) რევოლუციურმა მოძრაობამ უფრო დიდი გაქანება მიიღო, ვიდრე თბილისის გუბერნიაში (ქართლში, კახეთში). გენერალი ამას იმით ხსნის, რომ იმერლები, გურულები და მეგრელები გაცილებით უფრო ტემპერამენტიანები არიან, ვიდრე კახელები და ქართლელები. გენერალს უნდა სცოდნოდა, რომ ტემპერამენტი აქ არაფერ შუაში იყო. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართლსა და კახეთში გლეხობამ გაცილებით მეტი და უფრო მოსავლიანი მიწა მიიღო, ვიდრე იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, სადაც გლეხებს არა მარტო მცირე მიწა ერგოთ, არამედ, რაც მიიღეს, იმის დიდი ნაწილი მოუსავლიანი იყო. მცირემიწიანობამ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გლეხობას უფრო რადიკალური მოქმედებისაკენ უბიძგა, ვიდრე ქართლისა და კახეთისას.

4. რუსი მოხელე რევოლუციის მიზეზების შესახებ. კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის ყოფილი მოხელე, რომელმაც საზოგადოებას თავისი ვინაობა დაუმალა და მკითხველს ინიციალებით „Н. М." წარუდგა, 1906 წელს კიევში გამოცემულ ნაშრომში: **„Грузино-Армянские претензии и Закавказская революция"** საქართველოში რევოლუციური მოძრაობის უმთავრეს მიზეზად ქართველების ნაციონალიზმს მიიჩნევს. რუსი მოხელე დიდ უბედურებად თვლის ეროვნულ თვითგამორკვევას, სოციალიზმს, კომუნიზმს, ანარქიზმს. ამასთან ერთად, იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა კავშირში იყო ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ქართველების ეროვნული თვითგამორკვევა და, მეორე მხრივ, სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი. რუსი მოხელე ქართველების რუსეთისაგან განდგომას მიუღებლად მიიჩნევს, რადგან 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მუდმივ მფარველობაში შეეიდა და რუსეთმა ქართველობა იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. ნიგნის ავტორი მიიჩნევს, რომ კავკასიის მოსახლეობა („ტუზემცები"), მათ შორის ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები,

რუსების მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ და, ამდენად, იმპერიის დამანგრეველ რევოლუციაში არ უნდა ჩაბმულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ რუსი მოხელე, ილარიონ ეორონცოვ-დაშკოვის და ფიოდორ გერშელმანის მსგავსად, მთავარ ოპოზიციურ ძალად ქართველ თაეადაზნაურობას მიიჩნევს და არაფერს ამბობს რევოლუციის მონაწილე ორ უმთავრეს სოციალურ ძალაზე, გლეხობასა და მუშებზე. ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: **ქართველებს რუსეთის ხელისუფლებისაგან ყველაფერი ჰქონდათ ბოძებული, მაგრამ ყოველივე ეს დაივიწყეს და ნაციონალისტური გრძნობებით შეპყრობილებმა გადაწყვიტეს რევოლუციით ესარგებლათ და რუსეთის მთავრობისაგან მაქსიმალური დათმობები(ავტონომიური მმართველობა, ეკლესიის ავტოკეფალია) მიეღოთ.**



გეორგი გაპონი

§3. რევოლუციის პირველი ეტაპი (1905 წლის იანვარი–აპრილი)

1. ვითარება რუსეთში. 1904 წლის ბოლოდან პეტერბურგში მუშათა მოძრაობის რადიკალიზაცია შეინიშნებოდა. ამ დროიდან დედაქალაქში მოქმედებდა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ნებართვითა და ნაწილობრივ პოლიციის სახსრებით მოქმედი მუშათა ორგანიზაცია „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრება". ეს ორგანიზაცია სოციალისტური ორიენტაციის პარტიების გავლენას არ განიცდიდა, იგი თავისი ხასიათით მონარქისტული და ეკლესიური იყო და მხოლოდ ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებდა. „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრების" სათაურში ედგა უდაოდ დიდი ნიჭით დაჯილდოვებული მქადაგებელი, მაგრამ, ამავე დროს, დიდი დემაგოგი, ეშმაკი და პატივმოყვარე ახალგაზრდა მღვდელი **გეორგი გაპონი (1870-1906)**. გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული გეორგი გაპონმა და პოლიციამ ორგანიზაციის რადიკალიზაციას ხელი ვერ შეუშალეს. მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ ექცეოდა. „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრების" ხელმძღვანელობაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის წევრი, პუტილოვის ქარხნის ინჟინერი **პიოტრ (პინხას) რუტენბერგი (1878-1942)**. სწორედ პიოტრ რუტენბერგის ინიციატივით 1904 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო პუტილოვის ქარხნის მუშების გაფიცვა. 1905 წლის 5 იანვარს გაფიცვის ორგანიზატორების (პიოტრ რუტენბერგისა და სხვების) წინადადებით გადაწყდა, 9 იანვარს, კვირას, პეტერბურგის მუშებს დიდი მშვიდობიანი მსვლელობა მოეწყოთ და ნიკოლაი II-თვის პეტიცია მიერთმიათ.

პეტიციის პირველ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ მუშები და მათი ცოლ-შვილი გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრობდნენ და მეფისაგან **„სიმართლესა და დაცვას ელოდნენ"** შემდეგ მოდიოდა პოლიტიკური მოთხოვნები. მუშები მეფეს მიმართავდნენ: „უბრძანე, დაუყოვნებლივ მოიწვიონ რუსეთის ნარმომადგენლები (...), უბრძანე, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები იყოს საყოველთაო, ფარული, თანასწორი ხმის მიცემის უფლებით." მუშები ითხოვდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, პოლიტპატიმართა ამნისტიას, არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას, გადასახადების დანესებას შემოსავლის მიხედვით, გლეხობისათვის მინის გადაცემას, იაპონიასთან ომის შეწყვეტას, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. პეტიცია მთავრდებოდა სიტყვებით: **„უბრძანე და დაიფიცე, რომ შეასრულებ..."**

ეჭვს არ იწვევს, რომ პეტიციაში პოლიტიკური მოთხოვნები პიოტრ რუტენბერგის მიერ იყო შეტანილი და სოციალისტ-რევოლუციონერთა პოზიციას გამოხატავდა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის გეორგი გაპონი მუშებზე გავლენას ვეღარ ახდენდა. პოლიციის დეპარტამენტმა



პიოტრ (პინხას) რუტენბერგი

პეტიციის შინაარსი მხოლოდ 1905 წლის 7 იანვარს შეიტყო, რამაც როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ისე რუსეთის მთავრობასა და საიმპერატორო კარზე დიდი დაბნეულობა გამოიწვია. დადასტურებულია, რომ იმპერატორი ნიკოლაი II და მისი მთავრობა მუშათა მსვლელობის დარბევას არ აპირებდნენ. თუმცა ისიც არ უწყოდნენ, რა ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ მოვლენათა არასასურველი გზით განვითარების თავიდან ასაცილებლად. ასეთ ვითარებაში ინიციატივა ხელში აიღო დიდმა მთავარმა, პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიის მთავარსარდალმა **ვლადიმირ ალექსანდრეს ძე რომანოვმა (1847-1909)**. 1905 წლის 8-9 იანვარს ღამით ვალდიმირ რომანოვმა პირველი გვარდიული კორპუსის სარდალ ს. ი. ვასილჩიკოვს უბრძანა, არ დაეშვა მუშათა მსვლელობის ზამთრის სასახლესთან გამოჩენა. გვარდიულმა ნაწილებმა გადაკეტეს მუშათა რაიონებიდან ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალი გზები. წინასწარ ნიკოლაი II დაარწმუნეს, რომ პეტერბურგი დატოვებინა, რადგან რეპრესიების მომხრე პოლიტიკოსები და სამხედროები იმპერატორისაგან ნინაალმდეგობას ელოდნენ, ისინი საუსებით სწორად ფიქრობდნენ, რომ ნიკოლაი II მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევას და მასობრივ ხოცვა-ულეტას არ დაუშვებდა.

1905 წლის 9 იანვარს დაახლოებით 300.000 მუშა, მათთან ერთად ქალები და ბავშვები, გალობით, ხატებითა და საეკლესიო დროშებით ზამთრის სასახლისაკენ დაიძრნენ. რამდენიმე ადგილას მუშებმა გვარდიის მიერ მონყობილი კორდონების გარღვევა სცადეს, გაფრთხილების შემდეგ ჯარმა ცეცხლი გახსნა. ოფიციალური მონაცემებით, მოკლეს 130, დაიჭრა რამდენიმე ასეული კაცი. გაზეთების ცნობით, მოკლულთა რიცხვი 1000-1200 კაცს აღწევდა. არც ოფიციალური და არც პრესის მონაცემები ზუსტი არ უნდა იყოს. ვარაუდობენ, რომ სულ მოკლეს და დაჭრეს დაახლოებით 500 ადამიანი, მათ შორის იყვნენ ბავშვები და ქალები.

მღელვარება გაპონმა, ცხადია, არაფერი უნყოდა იმის თაობაზე, რომ ჯარი დემონსტრანტებს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ცეცხლს გაუხსნიდა. ეს გადაწყვეტილება სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. მოუხედავად ამისა, გავრცელდა ხმები, რომ პროვოკატორის როლი სწორედ გაპონმა შეასრულა. 9 იანვრის შემდეგ გეორგი გაპონმა და პიოტრ რუტენბერგმა რუსეთი დატოვეს. უცხოეთში მყოფი გაპონი მუშებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში და კვლავ დაუკავშირდა პოლიციის დეპარტამენტს. გაპონი შეხვდა პეტერბურგის ოხრანკის უფროსს და მონმეების თანდასწრებით განაცხადა: პიოტრ რუტენბერგი 9 იანვარს ტერორისტთა ჯგუფთან ერთად იმპერატორის მოკვლას გეგმავდაო. კითხვაზე, თუ ამის შესახებ რატომ არ აცნობა პოლიციას, გაპონმა უპასუხა, ტერორისტული აქტის მზადების შესახებ გეიან შეეტყვეო. თავის დროზე პიოტრ რუტენბეგრგის მიერ მეფის მკვლელობის მომზადება გეორგი გაპონის ცილისწამებად იყო მიჩნეული. მოგვიანებით გამოითქვა აზრი, რომ ნიკოლაი II-ის მკვლელობას ესერთა პარტიის დავალებით პიოტრ რუტენბერგი ნამდვილად ამზადებდა. ესერებმა გაპონს ოხრანკაში მიცემული ჩვენება არ აპატიეს. 1906 წლის მარტში პიოტრ რუტენბერგმა გეორგი გაპონი მოაკვლევინა.

9 იანვრის სისხლისღვრას მთელ რუსეთში მოჰყვა დიდი გამოხმაურება. 1905 წლის იანვარში გაფიცული იყო 440.000 მუშა, თებერვალში დააახლოებით 300.000. რევოლუციის პირველ ეტაპზე საგაფიცეო მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო პეტერბურგში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. რევოლუციის

პირველ ეტაპზე მუშები ძირითადად ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს აყენებდნენ (სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მომატება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება). შემდეგში სოციალისტური პარტიების გავლენით მუშებმა პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებაც დაიწყეს.

1905 წლის მარტიდან საგაფიცვო მოძრაობა მინელდა. მარტში სულ 70.000 მუშა იყო გაფიცული, რაც 4-ჯერ ნაკლები იყო თებერვალთან შედარებით.

2. ვითარება საქართველოში. ცნობები პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვარს განვითარებული მოვლენების შესახებ თბილისში ჯერ ოფიციალური, ხოლო შემდეგ არაოფიციალური გზითაც მიიღეს. პოლიტიკური პარტიები, პირველ რიგში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისისა და ბათუმის კომიტეტები, ცდილობდნენ 9 იანვრის სისხლისღერა რევოლუციური გამოსვლების პროვოცირებისათვის გამოეყენებინათ. სტიქიური გამოსვლები თბილისში ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე დაიწყო. ამის მიზეზი ის დაძაბული სოციალური ფონი გახდა, რომელიც ჯერ კიდევ 1904 წლის ბოლოს იგრძნობოდა. ქვემოთ მოვიხმობთ ამ გამოსვლების შესახებ სხვადასხვა წყაროდან ამოკრეფილ მასალას:

1905 წლის 12 იანვარს, დაახლოებით დილის 6 საათზე, თავს დაესხნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების საავაგონო საამქროს ბრიგადირ **სამსონ გამყრელიძეს**. თავდამსხმელმა მსხვერპლს ორი ტყვია ესროლა, პირველი გასროლით გამყრელიძე დაიჭრა, მეორე – მიზანს აცდა. თავდამსხმელის ვინაობა ვერ დაადგინეს; 13 იანვარს, დაახლოებით საღამოს 5 საათზე, რკინიგზის სადგურ „თბილისში" ესროლეს გზის ოსტატს, ინჟინერ-ტექნოლოგ **ა. ი. ბერეზოვსკის**, რომელიც ხელში დაიჭრა. თავდამსხმელებმა მიმალვა შეძლეს; 19 იანვარს, დღის 1 საათზე, იარალოვის ქარხნის სიახლოვეს, ყვირილას ქუჩაზე, თავს დაესხნენ ნავთობსადენის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლის თანაშემწეს, ინჟინერ **მ. ა. ოგანეზოვს**, რომელიც თბილისის სადგურისაკენ მიდიოდა. თავდამსხმელებმა ინჟინერი სპეციალურად მომზადებული იარაღით, ხეზე დამაგრებული ლურსმნებით დაჭრეს, რასაც ძლიერი სისხლდენა მოპყვა. შემთხვევით ადგილზე შეიპყრეს ერთი თავდამსხმელი – მუშა ილია ჭანიშვილი. თავდამსხმელმა განაცხა, რომ იგი სამი დღის განმავლობაში უთვალთვალებდა ოგანეზოვს, რათა შური ეძია მასზე; 20 იანვარს დილით მუშათა ჯგუფი თბილისის გარეუბანში თავს დაესხა აეჭალის ცხენის რკინიგზის (კონკის) ვაგონს, მგზავრები ვაგონიდან გადმოსხეს, ხოლო ვაგონი დაამტვრიეს. შემთხვევის ადგილზე მივიდა ჯარისკაცთა პატრული (6 ჯარისკაცი), რომლებიც მუშებმა ალყაში მოაქციეს. შეტაბისას ერთი ჯარისკაცი კეფასა და ხელში დაიჭრა. ჯარისკაცების დასახმარებლად მისულმა ოცეულმა მუშები გაფანტა, დააკავეს 6 მუშა.

მომდევნო დღეებში მუშათა გამოსვლები უფრო ორგანიზებულ და მასობრივ ხასიათს იძენს. 1905 წლის 23 იანვარის დილიდან გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტის, სალდათის ბაზრისა და ერევანსკის (თავისუფლების) მოედნის მიმართულებით მუშათა ჯგუფები დაიძრნენ. დაახლოებით დღის 12 საათისთვის სახაზინო (რუსთაველის) თეატრის გვერდით არსებული ჩიხიდან გოლოვინის პროსპექტზე მუშათა დიდი ჯგუფი გამოიჭრა, რომელსაც დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ახლომახლო მყოფი მუშები. გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიც დაახლოებით 300 კაცი მონაწილეობდა. მანიფესტანტებმა ნითელი დროშა აღმართეს, პროკლამაციები მიმოაბნიეს და დროშის წართმევის მიზნით მათკენ დაძრულ პოლიციელებს რევოლვერებიდან ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციელს, რომელმაც მანიფესტანტებს დროშა გამოსტაცა, ორი მძიმე ჭრილობა მიაყენეს. დაიჭრა მეორე პოლიციელიც, რომელმაც მანიფესტანტებისათვის დროშის წართმევა სცადა. მესამე პოლიციელი, რომელმაც მუშებს დროშა წაართვა, ხანჯლით დაჭრეს. საბოლოოდ, პოლიციამ მანიფესტანტები გაფანტა, 30 კაცი დააპატიმრეს. შემთხვევის ადგილზე 2 ტომარა პროკლამაცია აიკრიფა. კაზაკების გამოჩენის შემდეგ მანიფესტანტებმა ბარიატინსკის (ჭანტურიას) ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სახლის ეზოს შეაფარეს თავი და შესასვლელი კარი ჩაკეტეს. გოლოვინის პროსპექტზე მანიფესტაციის დაშლის შემდეგ მუშებმა სალდათის ბაზართან (დღევანდელი კოლმეურნეობის მოედანზე – ვ. გ.) სცადეს შეკრება, მაგრამ პოლიციამ და კაზაკებმა ისინი გაფანტეს. არასრული ცნობით, 23 იანვარს 10 მუშა დაიჭრა, მათ შორის ერთი – მძიმედ. ყველანი საავადმყოფოში მოათავსეს. კიდევ რამდენიმე მუშამ სხეულის მცირე დაზიანება მიიღო.

1905 წლის იანვრის ბოლოს თბილისში გახშირდა ტერორისტული აქტები: 24 იანვარს, დღის 12 საათზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ „თბილისის" მიდამოებში თავს დაესხნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშაშინინს, რომელიც დაიჭრა რევოლვერის ტყვიით. თავდამსხმელი მიიმალა; 27 იანვარს ლუნიბის ქუჩაზე მდებარე სტამბის მმართველ **ი. გაიდუკოვს** თავდამსხმელმა სამჯერ ესროლა, მაგრამ

სამივეჯერ რევოლუერიდან ტყვია არ გავარდა, თავდამსხმელი დააკავეს; 30 იანვარს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მჭედელ ვოლპელმ ვეიბლეს დიდებაში დუქანში შესვლისას უცნობმა ესროლა, თავდამსხმელი მიიმალა.

თბილისის გარდა, მუშათა გამოსვლები და გაფიცვები **ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში**, ასევე ამიერკავკასიის რკინიგზის თითქმის ყველა სადგურში დაიწყო: 1905 წლის 19 იანვარს ქუთაისის ბულვარიდან დაახლოებით 100 ახალგაზრდა „მარსელიოზას" სიმღერით გიმნაზიისაკენ გაემართა, შემდეგ კი ისევ „მარსელიოზას" სიმღერით ქალაქის სათათბიროს შენობას მიადგა, სადაც მათ პოლიციის კორდონმა გადაუღობა გზა. მანიფესტანტები ქალაქის სათათბიროს წინ აღარ შეჩერებულან, მწვანე ბაზრისაკენ გაემართნენ, გადავიდნენ რიონის მარცხენა ნაპირზე და დაიშალნენ. მანიფესტაციის მონაწილეთაგან 7 პოლიციამ დაიკავა. მეორე დღეს ახალგაზრდებმა კვლავ სცადეს მანიფესტაციის მოწყობა, მაგრამ პოლიციამ ამის საშუალება არ მისცა, დააკავეს 40 კაცი; 21 იანვარს გაიფიცა სამტრედიის რკინიგზის სადგურისა და დეპოს დაახლოებით 200 მუშა. მალე გაფიცულებს სხვებიც შეუერთდნენ და რკინიგზის სადგურთან 3.000-მდე ადამიანმა მოიყარა თავი. სამტრედიის სადგურში მატარებლების მოძრაობას არეგულირებდა რევიზორი სკალკოვსკი, რომელიც სამტრედიის რკინიგზის სადგურის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა. სკალკოვსკის ეხმარებოდნენ პოლიციელები და ჟანდარმები. საღამოს 8 საათზე სამტრედიაში შევიდა კურინის პოლკის 1 ასეული, რომელიც რკინიგზის სადგურის დაცვას შეუდგა. მუშები დარწმუნდნენ, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობას ვერ შეაფერხებდნენ. გაფიცულებმა სამტრედიიდან დასავლეთით 3 ვერსის მოშორებით რკინიგზის ხაზი დააზიანეს, რის შედეგადაც სამხედრო ეშელონს ავარია მოუხდა. ავარიის შემდეგ სარკინიგზო მიმოსვლა სამტრედიასა და ლოპიტნარს შორის შეწყდა. 23 იანვარს კურინის პოლკმა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეძლო. სამტრედიაში დაწყებულ გაფიცვასა და რკინიგზის ხაზის დაზიანებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დაბების: **სამტრედიისა და ახალი სენაკის**, სოფლების: **კულაშის, დიდი ჯიხაიშის, ენრის, ჭოგნარის, აბაშის, მარნის** და **ტობანიერის** მცხოვრებლები; 24 იანვარს, დილის 7 საათზე, გაფიცული მუშების მუქარის შემდეგ, მუშაობა შეწყვიტეს ბათუმის დეპოს მოხელეებმა და მუშებმა.

1905 წლის 25 იანვარს გაფიცვა დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში; გაიფიცნენ რკინიგზის სადგურ **ყვირილისა (ზესტაფონისა)** და შოროპნის რკინიგზის სარემონტო სამუშაოების მუშები; გაიფიცა ბათუმის ყველა ფაბრიკა და ქარხანა; **ქუთაისის** ქუჩებში მომხდარი არეულობა პოლიციის ძალებით იქნა ლიკვიდირებული; 26 იანვარს გაფიცვა დაიწყეს **ჭიათურის** მანგანუმის მომპოვებელი ფირმების მუშებმა; 28 იანვარს მანიფესტაციის მოწყობა სცადეს დაბა ყვირილის მუშებმა, პოლიციასთან შეტაკებისას ერთი მუშა მძიმედ დაიჭრა, რის შემდეგაც მანიფესტანტები დაიმალნენ; სამუშაო მიატოვეს ბათუმის ყველა კერძო სასტუმროს მოსამსახურეებმა; 29 იანვარს რკინიგზის სადგურ ლანჩხუთის ახლოს, რკინიგზის ხიდთან, დააზიანეს სარკინიგზო ხაზი; 2 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს აცნობა, რომ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში მთელი ძალაუფლება რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა; 4 თებერვალს ქუთაისის გუბერნატორმა კაუკასიის მთავარმართებლის კანცელარიის უფროსს შეატყობინა, რომ სენაკის მაზრის სოფლებში: **მარანში, ბულეისკარში, ნასაკოვოში, ქვათანში, სუჯუნაში, თეკლათში, ლეხაინდრაოში, მარტვილში, ნაგვაზაოში** – გლეხთა რევოლუციური გამოსვლები დაიწყო. სოფლების ყრილობებზე მიიღეს შემდეგი შინაარსის დადგენილებები: 1. გლეხთა შორის სრული ერთობა უნდა არსებულიყო, სიკვდილით დასჯის მუქარის პირობებშიც კი არ უნდა გაეცათ აჯანყების ხელმძღვანელები და რევოლუციური კომიტეტების წევრები; 2. უქმე დღეებში სამუშაოდ არ უნდა გასულიყვნენ; 3. არ ემუშაავათ იმ მემამულეებთან, რომლებიც გლეხთა მოძრაობას არ მიემხრნენ; 4. სამღვდელოებისათვის არ გადაეხადათ დრამის გადასახადი, მიცვალებულის დასაფლავებისათვის დაწესებული გადასახადი და ჯვრისწერის გადასახადი არ უნდა ყოფილიყო 3 მანეთზე მეტი; 5. არ შეესრულებინათ ჯვრისწერისა და დაკრძალვის დროს ტრადიციული რიტუალები, რადგან ისინი გლეხობას ძვირი უჯდებოდა; 6. არ ეცნოთ სასოფლო თემებში უკვე ჩატარებული არჩევნების შედეგები და აღმინისტრაციაში არჩეული თანამდებობის პირები; 7. სასტიკი ღონისძიებებით აღეკვეთათ საქონლის ქურდობა და არ მორიდებოდნენ ქურდის მოკვლასაც კი; 8. არ გადაეხადათ სახელმწიფო გადასახადები; 9. ვაჭრობისათვის აუცილებელი პატენტის მიღებაზე უარი ეთქვათ და შემოელოთ ღია და თავისუფალი ვაჭრობა. 6 თებერვალს ზუგდიდის მაზრის პოლიციის პრისტავმა ზუგდიდის მაზრის უფროსს აცნობა, რომ გამოსვლები დაიწყეს და რევოლუციური მოთხოვნები წამოაყენეს სოფელ კახათის

გლეხებმა.

3. თბილისის სათათბირო რევოლუციის პირველ ეტაპზე. თბილისში დაწყებული სტიქიური გამოსვლები და მუშათა გაფიცვები სულ უფრო ძლიერდებოდა, რაც ქალაქის ხელისუფლების შეშფოთებას ინვევდა. ქალაქის თავი და სათათბირო ცდილობდნენ წესრიგის აღდგენას. 1905 წლის 29 იანვარს გაიმართა თბილისის სათათბიროს სხდომა, რომელსაც ქალაქის თავი **ქრისტეფორე ვერმიშევი** თავმჯდომარეობდა. სხდომის გახსნის შემდეგ მან ნაკითხა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლის (გრიგორი გოლიცინი თბილისიდან უკვე წასული იყო, ხოლო მეფისნაცვლად დანიშნული ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ თბილისში არ ჩამოსულიყო – ვ. გ.) გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ შალაშის** 1905 წლის 29 იანვრის ნერილი თბილისის გუბერნატორისადმი და თბილისის გუბერნატორისაგან მოსაზრება, ჩამოყალიბებული იმავე დღეს, 29 იანვარს, მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლისადმი გაგზავნილ წერილში. სათათბიროს აზრით, მუშათა გამოსვლების შეწყვეტისათვის ქალაქის ხელისუფლებას ორი საშუალება გააჩნდა: 1. სათათბიროში მუშათა მოთხოვნების განხილვა; 2. მუშათა მოთხოვნების შესახებ პრესაში თავისუფალი მსჯელობის დაწყება. სათათბირომ დაადგინა, რომ მუშათა მოთხოვნების განხილვაში ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობა არავითარ შედეგს არ გამოიღებდა. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სათათბიროს სხდომა დაიხურა და მუშაობა დახურულ რეჟიმში გაგრძელდა. ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევს დაევალა სათათბიროს მიერ მიღებული დადგენილებების შესახებ კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლისათვის ეცნობებინა.

1905 წლის 31 იანვარს ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევის თავმჯდომარეობით თბილისის სათათბიროს კიდევ ერთი სხდომა გაიმართა. იხილებოდა საკითხი 1905 წლის 29 იანვარს სათათბიროს სხდომის დახურვასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სათათბიროს შეკითხვით ხმოსანმა **ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა** მიმართა. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა სათათბიროს სხდომაზე განაცხადა: 1905 წლის 29 იანვრის სათათბიროს სხდომას რამდენიმე ხმოსანი არ ესწრებოდა, რის გამოც აუცილებელია, გაირკვეს საკითხი, რამ გამოიწვია სათათბიროს საგანგებო სხდომის მოწვევა; ეცნობა თუ არა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს სათათბიროს მიერ 29 იანვარს მიღებული დადგენილების თაობაზე. ქრისტეფორე ვერმიშევმა სათათბიროს გააცნო ყველა დოკუმენტი, რომლებიც 29 იანვრის სხდომას უკავშირდებოდა. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ 29 იანვარს მიღებული დადგენილების შესახებ იმავე დღეს აცნობა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს. სათათბიროს დადგენილებას რომ გაეცნო, მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს განუცხადებია: არა მაქვს იმის უფლებამოსილება, რომ თბილისის სათათბიროს მუშათა მდგომარეობის საჯარო განხილვა დაეკალდებულო, მაგრამ თუ სათათბირო საგანგებო მოხსენებით მომმართავს და საჯარო განხილვის აუცილებლობას მოითხოვს, მე მაშინვე ვაცნობებ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრსო. მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციის გაცნობის შემდეგ სათათბირომ დაუყოვნებლივ შეადგინა მოხსენებითი ბარათი და მუშათა მდგომარეობის საჯარო განხილვის ნებართვა მოითხოვა. ქალაქის თავმა ქრისტეფორე ვერმიშევმა მოხსენებითი ბარათის ნაკითხვის შემდეგ განაცხადა: ვიმედოვნებ, სათათბირო საჯარო განხილვის უფლებას მიიღებსო.

ხმოსანმა ლულაძემ წინადადება შეიტანა, თხოვნით მიემართათ სასწავლო დანესებულებების დირექტორებისათვის, რათა მათ თბილისის სათათბიროსათვის მონაფეების მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესახებ ეცნობებინათ. ლულაძის წინადადებას მხარი არლუთინსკი-დოლგორუკოვმა დაუჭირა.

ხმოსანი ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი კვლავ მუშათა საკითხს დაუბრუნდა და განაცხადა: „მუშათა მოძრაობა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მიზეზებითაც არის განპირობებული. მაგრამ თუ პოლიტიკურ მიზეზებთან მიმართებაში ქალაქი უძლურია, ეკონომიურ მიზეზებთან მიმართებაში ქალაქს ბევრის გაკეთება შეუძლია."

ხმოსანმა არშაკ ბაბოვმა დასვა შეკითხვა, თუ რატომ არ შეიტანეს განსახილველი საკითხების სიაში ხმოსანთა მოთხოვნა მეეზოვეებისათვის საპოლიციო ვალდებულების ჩამორთმევის შესახებ(არავისათვის დამალული არ იყო, რომ მეეზოვეები აგენტების როლს ასრულებდნენ, ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების შესახებ ცნობებს აწვდიდნენ პოლიციას და ჟანდარმერიას, გარდა ამისა, ხელისუფლება ხელკეტებით შეიარაღებულ მეეზოვეებს მიტინგებისა და დემონსტრაციების დასარბევად იყენებდა. ამიტომ იყო, რომ დაიწყო თუ არა რევოლუცია, თბილისში ტერორისტებმა რამდენიმე ათეული მეეზოვე მოკლეს – ვ.გ.). ბაბოვის შეკითხვის პასუხად ქრისტეფორე ვერმიშევმა განაცხადა, რომ მეეზოვეთა საკითხი სათათბიროს მორიგ სხ-

დომაზე განიხილებოდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ თბილისის სათათბირო იძულებული გახდა, ბევრი ისეთი საკითხი განეხილა, რომლის გადაჭრაც, ქალაქის ხელისუფლების აზრით, ხალხს დაამშვიდებდა. 1905 წლის 7 თებერვალს ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევის თავმჯდომარეობით მიმდინარე სათათბიროს სხდომაზე ცხარე კამათი გამოინვია საკითხმა მეეზოვეებისათვის საპოლიციო მოვალეობის ჩამორთმევის თაობაზე. სათათბიროში გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ხმოსნები: **არლუთინსკი-დოლგორუკოვი, ბაბოვი, სვეშნიკოვი, კიუჩარიანცი, ხუდადოვი, ბარათაშვილი, ბაღდასაროვი, ხატისოვი** და ქალაქის თავი **ქრისტეფორე ვერმიშევი**. სათათბიროს 62 ხმოსნის წინადადებით აღიძრა შუამდგომლობა მეეზოვეებისათვის საპოლიციო ფუნქციის ჩამორთმევის შესახებ.

იმავე სხდომაზე მუშათა მდგომარეობის საკითხის განხილვა კვლავ დახურულად მიმდინარეობდა. ცხარე კამათის შემდეგ 62 ხმოსნის წინადადებით მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება: 1. თბილისელ მუშათა მდგომარეობის შესწავლის მიზნით შეიქმნას საგანგებო კომისია; 2. აღიძრას შუამდგომლობა მუშებისათვის კავშირების შექმნისა და კრებების გამართვის, თავიანთი მდგომარეობის საჯაროდ განხილვისა და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებისათვის მოთხოვნების წაყენების უფლებების მინიჭების შესახებ; 3. აღიძრას შუამდგომლობა გაფიცვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვის თაობაზე; 4. აღიძრას შუამდგომლობა 1905 წლის 23 იანვარს თბილისში მომხდარი არეულობის გამოძიების შესახებ.

1905 წლის 16 თებერვალს თბილისის სათათბირომ ქალაქში წესრიგის დაცვის მიზნით შემოღებული გაძლიერებული ზომების გაუქმების შესახებ შუამდგომლობა აღძრა.

1905 წლის 10 მარტს გაიმართა თბილისის სათათბიროს საგანგებო სხდომა, რომელსაც უნდა აერჩია პეტერბურგში რუსეთის ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგაციის წევრები. სათათბიროს შენობაში იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ დარბაზში ხმოსნებსაც აღარ დარჩათ ადგილი. დეპუტაციის წევრებად აირჩიეს: **არლუთინსკი-დოლგორუკოვი** (სომეხი), **ოსტროგორსკი** (რუსი), **მიქელაძე** (ქართველი), **ახუნდოვი** (აზერბაიჯანელი).

1905 წლის 14 მარტს თბილისის ქალაქის თავმა ქრისტეფორე ვერმიშევმა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. რუსეთის იმპერატორის 1905 წლის 18 თებერვლის უმაღლესი რესკრიპტის ძალით, იმპერიის მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ იმ საკანონმდებლო მუშაობაში, რომლის მიზანსაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენდა; 2. 10 მარტს თავის სხდომაზე თბილისის სათათბირომ განსაზღვრა ის საკითხები, რომელთაც უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ქალაქის, ისე საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის; 3. თბილისის სათათბიროს მიაჩნდა, რომ იმპერატორის მიერ მოსახლეობისათვის ასეთი დიდი ნდობის გამოჩენა დააჩქარებდა წესრიგის აღდგენას; 4. თბილისის სათათბიროს მიაჩნდა, რომ რუსეთისა და კავკასიისათვის ამ ძნელბედობის ჟამს იმპერიის უმაღლეს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნები; 5. მოვლენათა სწრაფი განვითარება ითხოვდა ასევე სწრაფ და რადიკალურ ღონისძიებებს, გადამჭრელ მოქმედებებს.

დასასრულ, თბილისის ქალაქის თავი შინაგან საქმეთა მინისტრს სწერდა: რუსეთის იმპერიის განსაკუთრებული თათბირის სასწრაფოდ მოწვევის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ გადაენყვიტე თხოვნით მოგმართოთ, რომ განსაკუთრებულმა თათბირმა თბილისის სათათბიროს მიერ აღძრული საკითხები გადაჭრას.

1905 წლის 14 მარტსვე ქრისტეფორე ვერმიშევის თავმჯდომარეობით გაიმართა თბილისის სათათბიროს სხდომა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პეტერბურგში საგანგებო თათბირისადმი წარსადგენი დოკუმენტის ტექსტი. სათათბირომ დაადგინა: 1. დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს სათათბიროს ყველა ხმოსანმა; 2. თბილისის სათათბირო შეუერთდეს რუსეთის ერობებისა და ქალაქების მიერ შემუშავებულ მოთხოვნას, რომლის არსი ისაა, რომ შეიქმნას მუდმივი სახალხო წარმომადგენლობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთი შტო; 3. რუსეთის სახალხო წარმომადგენლობაში აუცილებლად უნდა შეეიდნენ კავკასიის მოსახლეობიდან არჩეულებიც; 4. გადაუდებლად იქნას მიჩნეული თბილისში ამიერკავკასიის ქალაქების წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა.

თბილისის სათათბირო მომდევნო ხანებშიც აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში და ყოველნაირად ცდილობდა ქალაქში მოვლენათა ესკალაცია არ დაეშვა, თუმცა ამ თვალსაზრისით მას ვითარების კარდინალურად შეცვლა არ შეეძლო.

3. ხელისუფლების ღონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით. 1905 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარ-

ების შტაბმა 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ვლადიმირ (კარლ იოჰან ვოლდემარ) ალფტანს (1860-1940), რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის სარკინიგზო ხაზების დაცვის უფროსად, აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა დამატებითი ჯარები, რათა ჩაეხშო რევოლუციური გამოსვლები სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. ალფტანს მიუთითეს ის პუნქტები, სადაც ჯარი უნდა ჩაეყენებინა: ქალაქი ფოთი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეული; ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 0,5 ასეული; დაბა ოზურგეთი – არტაანის 260-ე ქვეითთა პოლკის 2 ასეული; დაბა ხონი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეულის საყარაულო სამსახურის რაზმი; დაბა ახალი სენაკი – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; დაბა ყვირილა (ზესტაფონი) – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; სოფელი ჩოხატაური – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული; სოფელი ლანჩხუთი – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული;

1905 წლის 12 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ განკარგულება გაუგზავნა გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯარების ყველა სახეობისაგან ჩამოყალიბდა რიონის რაზმი, რომელსაც მისი მეთაურობით ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობა უნდა ჩაეხშო. განკარგულების შინაარსი ასეთია: ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ნინაალმდეგ საბრძოლველად აუცილებელი გახდა რიონის საგანგებო რაზმის ფორმირება და მისი რკინიგზის სადგურ ნატანებში (სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზი) გადასროლა. რიონის რაზმის შემადგენლობაში უნდა შესულიყო:

ქვეითი ჯარი:

1.ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ბატალიონი, ბატალიონის თითოეულ ასეულში 56 ჯარისკაცის, ოფიცერთა, უნტეროფიცერთა, არასამწყობრო მომზადების რიგითთა და სამედიცინო სამსახურის რიგითთა ნესდებით განსაზღვრული რაოდენობით;

2. ელისავეტპოლის ქვეითთა 156-ე პოლკის 2 ბატალიონი, რომლებიც იმჟამად ბათუმში იმყოფებოდნენ და იცავდნენ რკინიგზის ხაზს, 1 შტაბს-ოფიცრის, 22 უფროსი ოფიცრის, 1 ექიმის, 829 რიგითის შემადგენლობით. 155-ე და 156-ე პოლკების 4 ბატალიონი შეადგენდა ნაკრებ



ვლადიმირ ალფტანი

რაზმს 155-ე პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი;

3.ყუბის პლასტუნთა მე-2 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 14 რიგითისა და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითებისა და 1 ექიმის შემადგენლობით;

4. ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 11 რიგითის და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითების, სამედიცინო სამსახურის რიგითთა და 1 ექიმის შემადგენლობით.

კავალერია:

5.შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 4 ასეული (რომელთაგან იმჟამად ერთი ბათუმში, მეორე კი ოზურგეთში იმყოფებოდა), ოთხივე ასეულში შედიოდა 443 კაზაკი, თითოეულ ასეულში იყო 2 ოფიცერი;

6. ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 2 ასეული (რომელებიც იმჟამად იმყოფებოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფლებში ჩოხატაურსა და

ლანჩხუთში) 156 კაზაკისა და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით.

ეს 4 ასეული შეადგენდა ნაკრებ რაზმს შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელსაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი.

არტილერია:

7. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეა(4 ქვემეხი 2 ყუთი ყუმბარით) მე-7 სამთო ბატარეის ბრიგადით (2 ქვემეხი 6 ყუთი ყუმბარით), წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, სამწყობრო და არასამწყობრო მომზადების რიგითების შემადგენლობით.

განკარგულებაში მითითებული იყო, თუ რომელი ოფიცრები იგზავნებოდნენ რიონის რაზმის მეთაურის განკარგულებაში, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რა რეზერვი, რა რაოდენობის ტრანსპორტი ექნებოდა რაზმს, როგორ მოამარაგებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სურსათით და ცხენებს – ფურაჟით და სხვ.

1905 წლის 17 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილ გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის გურიაში მთავარმართებლის საბჭოს წევრ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მივლინებასთან დაკავშირებით დამსჯელი ექსპედიციის შეჩერების განკარგულება გაუგზავნა. 18 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ მიიღო დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ: ქალაქის თავები, თავადაზნაურობის წინამძღოლები და ქართული პრესის წარმომადგენლები. განიხილეს გურიაში შექმნილი ვითარება. იაკოვ მალამა დეპუტაციას დაჰპირდა, რომ ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით გურიაში გაემგზავრებოდა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი.

პეტერბურგში სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით. 1905 წლის 21 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი II-მ მოიწონა მინისტრთა კომიტეტის წინადადებები, რომლებიც კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო უფლებებს ანიჭებდა. იმპერატორის დასტურის შემდეგ 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის მაზრებში, აგრეთვე ბათუმის ოლქის კონტრაქტის უბანში. ამ ტერიტორიაზე გაერცელდეს სამხედრო მდგომარეობით გათვალისწინებული წესები;

2. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს იმ მაზრებში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, მიენიჭოს სამხედრო მეთაურის უფლებები, ასევე – საგანგებო უფლებები სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რათა აღდგენილ იქნას სახელმწიფო წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე;

3. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება მიეცეს თავისი უფლებამოსილება გადასცეს ამისათვის დანიშნულ სამოქალაქო პირს ისე, რომ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს მისი განკარგულებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის აღდგენას;

კავკასია (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია) ერთიანი რეგიონი იყო, რომელსაც კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი პირი (მთავარმართებელი, მეფისნაცვალი) განაგებდა. კავკასიაში განლაგებულ რუსეთის იმპერიის რეგულარულ არმიას (კავკასიის კორპუსს, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს) ერთი მთავარსარდალი (კავკასიის მთავარმართებელი, კავკასიის მეფისნაცვალი) ჰყავდა. რაც შეეხება ძალოვან სტრუქტურებს, აქ ვითარება სხვაგვარი იყო: კავკასიაში უანდარმერიისა და პოლიციის ორგანოები გუბერნიებისა და ოლქების მიხედვით იქმნებოდა, რეგიონში არ არსებობდა უანდარმერიისა და პოლიციის ერთიანი ორგანო, რომელსაც სათავეში ერთი პირი ეყოლებოდა. არსებული კანონის თანახმად, პოლიტიკურ საქმეთა გამოძიების ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებულ უანდარმთა კორპუსს. უანდარმთა კორპუსს ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი – შეფი. უანდარმთა შეფი თავის ფუნქციას შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული პოლიციის დეპარტამენტის მეშვეობით ასრულებდა. პოლიციის დეპარტამენტის მოვალეობას შეადგენდა წინასწარ აღეკვეთა და თაეიდან აეცილებინა სახელმწიფო დანაშაულებანი, დაეცვა საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. პოლიციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა მინისტრის ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, იგი პოლიტიკური ხასიათის საქმეთა ძიებას სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების მეშვეობით ახორციელებდა. ადგილებზე პოლიტიკური ხასიათის

საქმეთა ძიებას საგუბერნიო და საოლქო ჟანდარმერიისა და სარკინიგზო ჟანდარმერიის სამმართველოები ანარმოებდნენ.

1905 წლის რევოლუციის დაწყების შემდეგ, როცა სახელმწიფო დანაშაულებებმა, მათ შორის პოლიტიკურმა დანაშაულებებმა, წარმოუდგენლად ფართო მასშტაბები მიიღო, პეტერბურგში კავკასიის საპოლიციო ორგანოთა გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღეს. 1905 წლის 22 მაისის იმპერატორის ბრძანების თანახმად, დაწესდა **კავკასიის პოლიციის გამგის (Заведывающий полицией на Кавказе)** თანამდებობა. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა დებულება, რომლის მიხედვით, კავკასიის პოლიციის გამგის მოვალეობა შეითავსა საპოლიციო ნაწილში კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწემ (მოადგილემ). მას უნდა უზრუნველეყო სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა სამეფისნაცვლოს ფარგლებში. კავკასიის პოლიციის უფროსი რეგიონში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისას ემორჩილებოდა მეფისნაცვალს, ხოლო საერთოდ – შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმთა კორპუსის შეფს. კავკასიის პოლიციის გამგე ხელმძღვანელობდა სამეფისნაცვლოს ტერიტორიაზე არსებული ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოების (თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ელისავეტოპოლის, ერევნის გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების) მუშაობას. კავკასიის პოლიციის გამგის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებდა კავკასიის მეფისნაცვალი, უმნიშვნელოვანესი საკითხები წინასწარ თანხმდებოდა ჟანდარმთა კორპუსის ხელმძღვანელობასთან. კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობაზე დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე (მოადგილე) საპოლიციო ნაწილში გენერალ-მაიორი **ევგენი შირინკინი** (1843-1914).

1905 წლის ბოლოსათვის გაირკვა, რომ კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციული ორგანოები, მათ შორის პოლიცია, რომლებიც წინათ სამოქალაქო ნაწილში მეფისნაცვლის თანაშემწეს (მოადგილეს) ემორჩილებოდნენ, თავს მოვალედ არ თვლიდნენ კავკასიის პოლიციის გამგის განკარგულებები შეესრულებინათ. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობა ზედმეტ რგოლს წარმოადგენდა, რის გამოც 1906 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით იმპერატორმა ეს თანამდებობა გააუქმა, ხოლო კავკასიის პოლიციის გამგის უფლება-მოვალეობანი შინაგან საქმეთა სამინისტროს **სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის (ოხრანკის)** კავკასიის განყოფილებას დაეკისრა. კავკასიის ოხრანკა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ **მაქსიმილიან ტრუსევიჩის** (1863-1921) ცირკულიარის საფუძველზე დაარსდა, რომელსაც ჟანდარმთა შეფი ფიოდორ ტაუბეც (1857-1911) ეთანხმებოდა (ოხრანკა კავკასიაში არა იმპერატორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, არამედ საგანგებო ინსტრუქციის ძალით 1902 წლის აგვისტოდან არსებობდა). შინაგან საქმეთა მინისტრის 1906 წლის 14 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, კავკასიის ოხრანკის გარდა, ოხრანკა უნდა შექმნილიყო გუბერნიებშიც. კავკასიის ოხრანკის ცენტრალური აპარატი თბილისში იყო განლაგებული. კავკასიის ოხრანკის დაარსების შემდეგ პოლიტიკურ საქმეთა ძიების უფლება სამეფისნაცვლოს საგანგებო განყოფილებას ჩამოერთვა და ამ უკანასკნელს გადაეცა. საგანგებო განყოფილების კომპეტენციაში დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო საქმეები.

1908 წლის 10 მარტის №20, 22 ოქტომბრის №883 და 14 დეკემბრის №962 ცირკულიარებით კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა დაადასტურა, რომ კავკასიის ოხრანკის მოქმედებას საფუძვლად ედო საერთო-საიმპერიო დებულება და ინსტრუქცია. 1908 წლის 10 მარტის №20 ცირკულარით მეფისნაცვალმა დაადასტურა, რომ სამეფისნაცვლოს საგანგებო განყოფილებას პოლიტიკურ საქმეთა ძიების უფლება ჩამოერთვა. იმავდროულად ცირკულარი არასასურველად თვლიდა, პოლიციას ეკალე ეწარმოებინა გამომძიება ისე, რომ გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოებისათვის წინასწარ არ შეეტყობინებინა. კავკასიის ოხრანკის დებულება პეტერბურგში 1907 წლის 24 დეკემბერს დაამტკიცეს. დებულება პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ მაქსიმილიან ტრუსევიჩის უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა.

პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაუქმებულიყო კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობა და კელაე აღმდგარიყო მეფისნაცვლის თანამდებობა. 1905 გადაწყვეტილება მიღებული იყო, მაგრამ მეფისნაცვლის დანიშვნა დაგვიანდა. კავკასიის მთავარმართებელმა გრიგორი გოლიცინმა თბილისი ისე დატოვა, რომ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის ახალი უმაღლესი პირი თბილისში არ ჩამოსულა. ეს, ცხადია, არ თულებდა რევოლუციური მოძრაობის ნინააღმდეგ მოქმედების კოორდინირებას. 1905 წლის 26 თებერვალს კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა. 27 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტი **იაკო მალამა** სამხედრო ნაწილში მეფისნაცვლის მოადგილედ განანესეს.

2 აპრილს **ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი** სამოქალაქო ნანილში მეფისნაცვლის მოადგილედ დანიშნა. კავკასიის სამეფისნაცვლოს ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-მაიორი **ევგენი შირინკინი**. თავდაპირველად კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **ნიკოლაი ჯუნკოვსკი** (ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი), **ვლადიმირ ზავადსკი** (იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი), **იაკოვ მედვედევი** (მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს ნარმომადგენელი), **იუსტინ მიცკევიჩი, ნიკოლაი პეტერსონი** (კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი), **ნიკოლაი პრიბილი, ვასილი უსტრუგოვი** (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი). გენერალ-ლეიტენანტი იაკოვ მალამა მოგვიანებით გენერალ-ლეიტენანტმა **ნიკოლაი შატილოვმა** (1849-1919) შეცვალა. 1906 წლის 5 აპრილს ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის ნაცვლად კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილედ სამოქალაქო ნანილში **იუსტინ მიცკევიჩი** (1841-1918) დაინიშნა.

1905 წლის 4 მარტს გენერალ-ლეიტენენტმა იაკოვ მალამამ ბრძანება გასცა ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ქალაქ ბაქოდან ჯარების გადასროლის შესახებ. თბილისის ვიცე-გუბერნატორმა **ვლადიმირ ალიშევსკიმ** კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს დუშეთისა და გორის მაზრებში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარების გაგზავნა სთხოვა. 5 მარტს კავკასიის მეფისნაცვლად ახლად დანიშნულმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტს, რათა სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებულიყო, კერძოდ, ქალაქებში: **ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და ბათუმის** ოლქის მთელ ტერიტორიაზე.

1905 წლის აპრილის დამდეგს გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ პეტერბურგში მყოფ კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს საგანგებო დეპეშით აცნობა, რომ გლეხთა რევოლუციური გამოსვლები განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისის გუბერნიის **გორის, დუშეთის, თბილისის, თელავისა და სიღნაღის** მაზრებში. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ გლეხები ფიცს სდებდნენ, ერთმანეთს არ უღალატებდნენ, მემამულეებს აიძულებდნენ, თავიანთი მამულები მიეტოვებინათ, უნებართვოდ ჩეხდნენ ტყეს, იტაცებდნენ მემამულეთა მინებს. გენერალი იაკოვ მალამა აუცილებლად მიიჩნევდა ზემოთ ხსენებულ მაზრებში ჯარის დამატებითი ნანილების გაგზავნას.

1905 წლის 23 აპრილს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პეტერბურგში ჩასული თბილისის სათათბიროს დეპუტაცია შეხვდა კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. თბილისში დაბრუნებულმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მეფისნაცვალს განზრახული აქვს, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რაც იგეგმებოდა 5 მაისს, მოინვიოს თავადაზნაურობისა და გლეხთა წარმომადგენლები და მათთან ერთად განიხილოს სამეფისნაცვლოში შექმნილი მდგომარეობა.

1905 წლის იანვარ-აპრილში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა აღმავლობის გზით მიდიოდა. სოფლად გაგზავნილი ჯარი და პოლიცია უძლური აღმოჩნდა და სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს. აღმავლობას განიცდიდა მუშათა მოძრაობა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულსა და სხვა ქალაქებსა და დაბებში. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ საეროშ და სასულიერო სასწავლებლების სტუდენტები.

§4. რევოლუციის მეორე ეტაპი (1905 წლის მაისი – სექტემბერი)

1. ვითარება რუსეთში. მუშათა გაფიცვების ახალი ტალღა 1905 წელს, 1 მაისს (მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს) დაიწყო. ამ დროიდან გაფიცვებს სათავეში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კომიტეტები უდგანან. 1905 წლის მაისში გაფიცული იყო 220.000 მუშა, ივნისში – 155.000, აგვისტოში – 104.000. განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო რაიონის მუშების გაფიცვა, რომელშიც 70.000 კაცი მონაწილეობდა. გაფიცვა 72 დღე გრძელდებოდა. ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო რაიონში მიმდინარე გაფიცვის დროს შეიქმნა ახალი ტიპის რევოლუციური ორგანიზაცია – ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა დეპუტატების საბჭო. საბჭოში თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილ მუშათა დეპუტატების საბჭოებს. სულ 1905 წლის მაისიდან სექტემბრამდე რუსეთში 670.000 მუშა იყო გაფიცული. 1905 წლის აგვისტოდან გაფიცვებმა იკლო. სექტემბერში სულ 37.000 მუშა იყო გაფიცული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეზღვაურთა მღელვარება ჯაჭვნოსან „პოტიომკინზე" და ჯარისკაცთა მღელვარება ზოგიერთ სამხედრო

ნანილში. სამხედრო ფლოტსა და ჯარში საპროტესტო გამოსვლებს მასობრივი ხასიათი არ მიუღია.

აღმავლობის გზით მიდიოდა გლეხთა მოძრაობა. 1905 წლის მაისში გლეხთა 299 მღელვარება აღინიშნა, ივნისში – 492, ივლისში – 248. გლეხთა მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო საქართველოში, უკრაინაში, ბალტიისპირეთსა და რუსეთის შაემინანიადაგიან გუბერნიებში.

2. ვითარება საქართველოში. 1905 წლის 5 მაისს თბილისში ჩამოვიდა კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნული კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915). თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის ჩამოსვლას 9 მაისს მოჰყვა პატრიოტული მანიფესტაცია, მანიფესტანტთა უმრავლესობას შეადგენდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები, ინჟინრები და სხვადასხვა დონის მოხელეები. მანიფესტაციას შეუერთდნენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნისა და დანესებულების რუსი მუშები. ლოცვის დასრულების შემდეგ მანიფესტანტები ვერის ხიდის გაყოლით გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციისაკენ გაემართნენ და მეფისნაცვალს **ნიკოლაი** II-თვის გადასაცემი თხოვნა მიართვეს. მუშები იმპერატორს უსურვებდნენ მალე მოეპოვებინა გამარჯვება იაპონიასთან ომში და საბოლოოდ გაენადგურებინა რევოლუცია. ისინი წერდნენ: „ჩვენ მუშაობა გვინდა, სამშობლოს მოღალატეებთან არ გვსურს რაიმე გექონდეს საერთო; შენ, ჩვენო დიდო თვითმპყრობელო, გაგვახარე თქვენი ნაცვლის (მეფისნაცვლის – ვ. გ.) გამოგზავნით; ღრმად გვწამს, რომ თქვენი ერთგული მსახურის მეშვეობით ჩვენი მხარე დანყნარდება.

კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი ცდილობდა საზოგადოება გარკვეული დათმობებით მიემხრო. 1905 წლის 25 მაისს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მეფისნაცვალმა პატიმრობიდან გაათავისუფლა რევოლუციურ მოძრაობაში მონანილეობისათვის სამეგრელოში დაკავებული 114 გლეხი. რევოლუციური მუხტი სულ უფრო ძლიერდებოდა, რის გამოც ხელისუფლების მხრიდან ცალკეული დათმობა შედეგს არ იძლეოდა. 16 მაისს კავკასიის მეფისნაცვალს თბილისის გუბერნატორმა აცნობა, რომ ახალციხის მაზრაში გლეხთა მოძრაობა გააქტიურდა. მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხების მიერ მემამულის მინების მიტაცებამ და ტყის ჭრამ. ამჯერად წესრიგის ასე თუ ისე აღდგენა მოხერხდა ჯარისა და პოლიციის გამოყენებით. 22 ივნისს გორიდან 259-ე ქვეითთა სარეზერვო პოლკის მეთაური კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს ქალაქში მიმდინარე გაფიცვის აღსაკვეთად ჯარის მიშველებას სთხოვდა. 24 ივნისს თბილისში მოვიდა ცნობა, რომ სამტრედიაში რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა დაწყებულიყო. კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო იმავე დღის მეორე ცნობა, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას ეხებოდა. კავკასიის მეფისნაცვალი თავის მხრივ ყოველდღიურად აცნობებდა პეტერბურგს აქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. 1905 წლის 27 ივნისს იმპერატორმა **ნიკოლაი** II-მ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. ქალაქ თბილისსა და თბილისის მაზრაში გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა; 2. კავკასიის მეფისნაცვალს თბილისსა და თბილისის მაზრაში სამხედრო მეთაურის უფლებამოსილება მიენიჭოს; 3. კავკასიის მეფისნაცვალს მიეცეს უფლება თავისი უფლებამოსილება გადასცეს ამისათვის საგანგებოდ დანიშნულ პირს იმის გათვალისწინებით, რომ მეფისნაცვალს მისი განკარგულებების გაუქმება შეეძლება. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება რევოლუციასთან ბრძოლას საგანგებო ღონისძიებებით აპირებდა.

რევოლუციური მოძრაობა კი კვლავ აღმავლობის გზით მიდიოდა, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა წყაროდან ამოკრეფილი შემდეგი მასალა: 1905 წლის 1 ივლისს ქუთაისის გუბერნიის შოროპნის მაზრის ჩხარის საპოლიციო უბნის სოფლებში: **საზანოში, მუხურასა და ხრეითში,** კაზაკებმა დამსჯელი ღონისძიებები გაატარეს. გლეხები გაძარცვეს, მათი სახლების ნაწილი გადანვეს, ქალები გააუპატიურეს, რის შემდეგაც მოსახლეობამ ტყეს შეაფარა თავი; 2 ივლისს თბილისის გუბერნატორმა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას მოახსენა, რომ თბილისში რკინიგზის მუშების გაფიცვა მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა ტერორი და ძალმომრეობა; 23–25 ივნისს ქალაქის სხვადასხვა ადგილას 5 ბომბი ისროლეს, რომელთაგან 3 აფეთქდა, აფეთქების შედეგად დაილუპა 2 კაზაკი, 1 პოლიციელი, 1 მეეზოვე და 2 შემთხვევითი გამვლელი, დაიჭრნენ ქალაქის მეექვსე უბნის პრისტავი, მისი თანაშემწე, უბნის ზედამხედველი, 2 მეეზოვე და 13 შემთხვევითი გამვლელი; 2 ივლისს თბილისში, ოლგას (დღევანდელი მერაბ კოსტავას) ქუჩაზე, პატრულმა დააკავა სომეხი ეროვნების ახალგაზრდა კაცი, რომელსაც კალათაში აღმოაჩნდა 4 რევოლვერი და 4.000 ვაზნა; 4 ივლისს თბილისში, ნიკოლაის (შემდეგში ვერის) ხიდზე, პატრულმა დააკავა ფაეტონში მჯდომი ორი კაცი, რომელთაც 52 რევოლვერი და 4.500 ვაზნა აღმოაჩნდათ. იმავე დღეს გამოქვეყნდა ცნობა, რომ თბილისის

გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ (მოადგილედ) დანიშნულმა კავალერიის გენერალმა **ზაქარია ქავქავაძემ** (1825-1905) გუბერნიის სოფლების შემოვლა დაიწყო, რათა გლეხთა მოთხოვნებს გასცნობოდა; 5 ივლისს გორის სამხედრო გარნიზონის უფროსი კაკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს ცხინვალში ჯარების გაგზავნას სთხოვდა, რადგან ადგილობრივი პოლიცია გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს ვერ უმკლავდებოდა; 8 ივლისს თბილისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას მოახსენებდა, რომ რევოლუციური გამოსვლები მატულობდა გორის, **თელავის, ახალციხის, თბილისის, ბორჩალოს, ახალქალაქისა და თიანეთის** მაზრებში; 10 ივლისს კავკასიის მეფისნაცვალმა კავალერიის გენერალი **ივანე ამილახვარი** (1829-1905) თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხთა მოძრაობის დასაშშვიდებლად გაგზავნა.

ამ პერიოდში თბილისში რამდენიმე ტერორისტული აქტი განახორციელეს. 1905 წლის 12 ივლისს, დღის 11 საათსა და 30 წუთზე, თბილისის პოლიციმაისტერი კოვალიოვი მეფისნაცვლისათვის მოხსენების ნარსადგენად მიემართებოდა. ოლღას ქუჩაზე პოლიციმაისტერის ეტლს ბომბი ესროლეს, პოლიციმაისტერი ფეხში მსუბუქად დაიჭრა. ტერორისტმა **ხერხეულიძემ** გაქცევა სცადა, მაგრამ იქვე მდებარე ბალის ტერიტორიაზე დააკავეს, პოლიციელმა და სამხედრო პატრულმა იგი ისე სასტიკად სცემეს, რომ მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაჭრილი პოლიციმაისტერი კოვალიოვი გამოჯანმრთელდა და სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, პოლიციმაისტერად კი ჟანდარმერიის რიტმისტრი **ვლადიმირ ალიშევსკი** (ცისსი) დანიშნეს. 14 ივლისს სოლოლაკის ალმართზე ტერორისტმა მოკლა პოლიციის აგენტობაში შემჩნეული ვინმე **თუთრაძე**. ტერორისტი მიიმალა.

3. თბილისის სათათბირო რევოლუციის მეორე ეტაპზე. რევოლუციამ ქართველი საზოგადოების ყველა ფენის ცნობიერება შეცვალა: თავადაზნაურობა შეშინდა, რადგან მინის დაკარგვის საფრთხე იგრძნო; შეშინდა ბურჟუაზიაც, რადგან მუშათა მოთხოვნები სულ უფრო რადიკალური ხდებოდა; ინტელიგენციასა და მოსწაელე-ახალგაზრდობაში სერიოზულად მოიკიდა ფეხი თავისუფლების იდეამ და პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციის სურვილმა. ამ ფონზე ყველაზე პოპულარული იყო თავისუფლების იდეა, ბევრისათვის არაკონკრეტული და მხოლოდ ზოგადად არსებული, ზოგისათვის – სრულიად არაეფემერული და პრაქტიკულად განსახორციელებელი. თავისუფლების იდეამ საზოგადოებაში ისე მოიკიდა ფეხი, რომ ადამიანების დიდმა ნაწილმა ძალმომრეობა და პოლიტიკური ტერორი თავისუფლების მიღწევის გზად მიიჩნია. ყოველივე ეს შეეხო თბილისის საკრებულოს და მისი ხმოსნების უმრავლესობას. სათათბირო ხშირად რადიკალურ პოზიციას იჭერდა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განხილვისას. ასევე მოიქცა იგი ზოგიერთ მნვავე პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სათათბიროში შესული შეკითხვები.

1905 წლის 2 ივნისს გაიმართა თბილისის სათათბიროს სხდომა. ხმოსანმა **ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა** ასეთი შეკითხვით მიმართა სათათბიროს: „31 მაისს თბილისში მოხდა მოვლენა, რომელმაც ქალაქის მთელი მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია. მსგავსი მოვლენა არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ბნელ ხანაშიც კი. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ საუბარი ეხება იმ ქართველ სამღვდელოთა გაუგონარ შეურაცხყოფას, რომლებიც მართლმადიდებელი სემინარიის შენობაში იყვნენ შეკრებილი. სამი დღე ყრილობა მშვიდად მსჯელობდა საქართველოს ეკლესიის საჭიროებათა შესახებ. მესამე დღეს, საღამოს, ყრილობის მუშაობა ეელური მეთოდებით მოულოდნელად შენყდა. კაზათა ოცეული სემინარიის შენობაში შეიჭრა და დაიწყო ქართველი სამღვდელოების არაადამიანური ცემა მათრახებით (...). ჯერჯერობით დადგენილია, რომ ეკლესიის დაახლოებით 60-მა მსახურმა, ზოგმა სახეზე, ზოგმა სხეულზე, მიიღო დაზიანებები, რომლებიც ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისათვის დაუშვებელია. რადგან თბილისის საზოგადოებრივ მმართველობას არ შეუძლია დუმილით უპასუხოს ამ მოვლენას, შემომაქვს წინადადება: 1. გამოეცხადოს ყრილობას ღრმა მწუხარება; 2. ძალმომრეობის მიმართ გამოეხატოთ უკიდურესი აღშფოთება; 3. აღიძრას შუამდგომლობა ამ მხეცური ანგარიშსწორების უმკაცრესად გამოძიების თაობაზე და დადგინდეს მისი ავტორები; 4. ღრმა მწუხარების ნიშნად სათათბიროს დღევანდელი სხდომა დაიხუროს“

ხმოსანმა **არშაკ ბაბოვმა** მთლიანად დაუჭირა მხარი არლუთინსკის წინადადებას. ხმოსანმა **ხრამელოვმა** განაცხადა, რომ სულის სიღრმემდეა შეძრული მოვლენის გამო, რომელიც მოხდა იმ ტაძრის კარიბჭესთან (იგულისხმებოდა სემინარიის შენობა – ვ. გ.), სადაც ქართველ ღვთისმსახურებს ზრდიან. ხმოსანმა **ალექსანდრე ხატისოვმა** აღნიშნა, რომ ქართველი სამღვდელოების მწუხარება მთელი კავკასიის მხარის მწუხარება იყო. ხმოსანმა **კიურჩარიანცმა** განაცხადა: იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ ყოველივე ეს ხელისუფლების ნებართვის გარეშე მოხდაო. ხმო-

სანმა **ნიკოლოზ ხუდადოვმა** აღნიშნა, რომ ქალაქში არსებული სამხედრო მდგომარეობა ძალზე ძაბავდა ვითარებას, რის გამოც აუცილებელი იყო კაზაკების ქალაქიდან გაყვანა და ქალაქის ქუჩების პატრულირების შეწყვეტა. ქალაქიდან კაზაკების გაყვანის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ხმოსანმა **არშაკ ბაბოვმა**. საკითხის განხილვის შემდეგ თბილისის სათათბირომ დაადგინა: 1. სათათბირო მომხდარი ძალმომრეობის გამო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ქართველ სამღვდელოებას; 2. სათათბირო გამოთქვამს აღშფოთებას საქართველოს ეკლესიის შეურაცხყოფის გამო; 3. ქართველი სამღვდელოების ყრილობას თბილისის სათათბიროსა და საზოგადოებრივი მმართველობის საბელით გაეგზავნოს ადრესი, რომელშიც დაგმობილი იქნება ეს უმაგალითო ძალმომრეობა; 4. ყველა ქართულ, რუსულ და უცხოენოვან გაზეთს ეცნობოს, რომ თბილისის სათათბირო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ძალმომრეობის გამო, იმ ძალმომრეობისა, რომელმაც შეძრა მთელი ცივილიზებული სამყარო; 5. დადგენილი წესით აღიძრას შუამდგომლობა თბილისში კაზაკებისა და პოლიციის თვითნებობის შეწყვეტის შესახებ, რადგან საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დამყარება მხოლოდ გადაუდებელი რეფორმების გატარებით იქნება შესაძლებელი; 6. კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას ეთხოვოს მიიბდარის უმკაცრესი გამოძიება, რომელშიც ჩართული იქნებიან ქალაქის მოსახლეობის ნარმომადგენლები; გამოძიებამ გაარკვიოს, თუ რა მიზეზებმა განაპირობა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართველი სამღვდელოების დარბევა; 7. ღრმა მწუხარების გამო, რომელსაც იზიარებს თბილისის მთელი მოსახლეობა, მიუხედავად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, სათათბიროს დღევანდელი სხდომა დაიხუროს." თბილისის სათათბიროს დადგენილება ხელისუფლების მიმართ ამკარა პროტესტს წარმოადგენდა.

4. ხოცვა-ჟლეტა თბილისის სათათბიროში 1905 წლის 29 აგვისტოს. 1905 წლის აგვისტო ძალზე დაძაბული გამოდგა თბილისისათვის. დაძაბულობა 1905 წლის იელისის ბოლოდან დღითიდღე მატულობდა. მიუხედავად ამისა, 1905 წლის 3 იელისს კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლესთან ერთად კისლოვოდსკში გაემგზავრა დასასვენებლად.

1905 წლის 6 აგვისტოს ნიკოლაი II-მ ხელი მოანერა მანიფესტს რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს შემოღების შესახებ. ხალხმა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ეს გადაწყვეტილება მადლიერებით კი არ მიიღო, არამედ ხელისუფლების მარცხად მიიჩნია და უფრო მეტის მიღწევას შეეცადა.



ქრისტეფორე ვერმიშევი

1905 წლის 22 აგვისტოს დანიშნული იყო თბილისის სათათბიროს საგანგებო სხდომა. სათათბიროს თბილისის მაზრის ერობის თათბირი-სათვის 6 წარმომადგენელი უნდა აერჩია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროისათვის თბილისში სამხედრო მდგომარეობა იყო შემოღებული. სამხედრო მდგომარეობის შემოღებისთანავე მთელი ძალაუფლება თბილისის გენერალ-გუბერნატორს გადაეცა. 1905 წლის იელისში გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ელადიმირ იაცკევიჩმა** (1839-1919) გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც აიკრძალა ყოველგვარი საჯარო შეკრება. ამიტომ იყო, რომ თბილისის სათათბიროს სხდომა საზოგადოებისათვის დახურული უნდა ყოფილიყო, სათათბიროს ხმოსნების გარდა, სხდომას საზოგადოების წარმომადგენლები ვერ დაესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, 22 აგვისტოს თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, დაახლოებით 2.000 კაცი, სათათბიროში გამოცხადდნენ და სხდომაზე დასწრება მოითხოვეს. თბილისის ქალაქის თავმა **ქრისტეფორე ვერმიშევმა** (1863-1933) შეკრებილებს განუცხადა, რომ სხდომაზე დასწრების ნებართვის გაცემა მას არ შეეძლო, რადგან ასეთი ნებართვა თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებას ეწინააღმდეგებოდა. ქალაქის თავის განმარტებამ შეკრებილები არ დააკმაყოფილა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ სხდომაზე დასწრებას. თბილისის სათათბირო იძულებული გახდა ქალაქის თავის მეშვეობით გენერალ-გუბერნატო-



თბილისის საქალაქო სათათბირო

რისათვის სათათბიროს სხდომაზე საზოგადოების წარმომადგენლების დაშვების ნებართვა ეთხოვა. 22 აგვისტოს თბილისის სათათბიროს სხდომის ჩატარება ვერ მოხერხდა, რადგან სათათბიროს დარბაზში თბილისის საზოგადოების წარმომადგენლების მიტინგი მიმდინარეობდა. ქრისტეფორე ვერმიშევი და სათათბიროს ხმოსნები ფიქრობდნენ, რომ სხდომას მიტინგის დასრულების შემდეგ ჩაატარებდნენ. სხდომის გამართვა არ მოხერხდა, რადგან მიტინგი გვიანობამდე, ღამის პირველ საათამდე, გრძელდებოდა. ცხარე დისკუსიის პირობებში მიმდინარეობდა ერობის შემოღების თაობაზე საკითხის განხილვა. სათათბიროს ხმოსნები ღამის 12 საათსა და 30 წუთზე დაიშალნენ. მიტინგმა ერობის შემოღებასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო, სათათბიროს ხმოსნებს გაკიცხვა გამოუცხადა და დაიშალა. ქრისტეფორე ვერშიშევმა გენერალ-გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა მეორე დღეს, 23 აგვისტოს, აღძრა. გენერალ-გუბერნატორმა ქალაქის თავს განუცხადა, რომ სათათბიროს მიერ ღია სხდომის ჩატარების თაობაზე ნებართვის თხოვნას ერთგვარი ულტიმატუმის ფორმა ჰქონდა. ვერშიშევი გენერალ-გუბერნატორს არწმუნებდა, რომ ეს ულტიმატუმი კი არ იყო, არამედ თხოვნა. ბოლოს ელადიმირ იაცკევიჩი სათათბიროს თხოვნას დაეთანხმა და თან დასძინა: სათათბიროს დარბაზში მყოფმა თბილისის საზოგადოების წარმომადგენლებმა სხდომის მიმდინარეობისას წესრიგი არ უნდა დაარღვიონო.

თბილისის სათათბიროს მორიგი სხდომა 1905 წლის 25 აგვისტოს საღამოსათვის დაინიშნა. სხდომის დღის წესრიგი იგივე იყო – თბილისის მაზრის ერობის თათბირისათვის 6 ნარმომადგენლის არჩევა. სათათბიროს სხდომის დაწყებამდე თბილისის საზოგადოების წარმომადგენლებმა დაიკავეს არა მარტო სხდომის დარბაზის ლოჟები, არამედ თავად დარბაზიც. ხმოსნებისათვის დარბაზში ადგილი აღარ დარჩა. **ქრისტეფორე ვერმიშევმა** და რამდენიმე ხმოსანმა დარბაზში შეაღწიეს და როცა ხმაური შეწყდა, ქალაქის თავმა ასე მიმართა შეკრებილებს: სამხედრო მდგომარეობის გამო თბილისში საჯარო შეკრებები აკრძალულია, ამიტომ სათათბიროს სხდომა დახურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე გენერალ-გუბერნატორისაგან სხდომაზე ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლების დასწრების უფლება მივიღე იმ პირობით, თუ დამსწრენი წესრიგს არ დაარღვევენ და სათათბიროს მუშაობას ხელს არ შეუშლიანო. ამის შემდეგ ვერმიშევმა შეკრებილებს მოუწოდა დარბაზი დაეტოვებინათ და ხმოსნებისათვის სხდომის დაწყების საშუალება მიეცათ. შეკრებილები ამ მოწოდებას არ დაემორჩილენ, მაშინ ქალაქის თავმა ასეთი განცხადება გააკეთა: სათათბიროს სხდომა მანამ არ დაიწყება, სანამ ხმოსნებისათვის განკუთვნილი ადგილები არ განთავისუფლდებაო.

ამის სანაცვლოდ შეკრებილებმა ხმაური ატეხეს და განაცხადეს: არ დავიშლებით, რადგან გვსურს მონაწილეობა მივიღოთ სათათბიროს სხდომასა და საკითხების განხილვაშიო. ქალაქის თავი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: შეკრებილების მოთხოვნის შესრულების უფლება მას არ ჰქონდა, არადა, ცხადი იყო, რომ სათათბიროს სხდომა კვლავ ჩაიშლებოდა. ერობათა შემოღების საკითხის განხილვა საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით იმას ნიშნავდა, რომ სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა არ ექნებოდა. არც საზოგადოებისათვის მიმართვა და შექმნილი ვითარების განმარტებას ჰქონდა აზრი, რადგან ქრისტეფორე ვერმიშევს უკვე აღარ უსმენდნენ და მის ყოველ სიტყვას ხაურით ახშობდნენ. ქალაქის თავმა წუთიერი სიჩუმით ისარგებლა და კვლავ სცადა ზეგაელენა მოეხდინა შეკრებილებზე. მან ასეთი სიტყვებით მიმართა უკვე ძალზე აგრესიულად განწყობილ ადამიანებს: თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებთ, მომეცით საშუალება დარბაზი დავტოვო, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემი ნასულის შემდეგ აქ წესრიგს სამხედრო ადმინისტრაცია დაამყარებს, გამიგეთ, მე უფლება არა მაქვს კრების თავისუფლება შემოვიღო! ვერმიშეევის სიტყვებმა დამშვიდების ნაცვლად ხალხი კიდევ უფრო ააღელვა და დარბაზში შეძახილები გაისმა: მოითხოვეთ კრების თავისუფლება! დაბნეულმა ვერმიშევმა კითხვით მიმართა შეკრებილთ: „როგორ?" ამ კითხვის საპასუხოდ დარბაზიდან გაისმა: „ისე, როგორც ითხოვენ მთელს რუსეთში!"

ქალაქის თავმა და ხმოსნებმა უკვე აღარ იცოდნენ რა ელონათ. სწორედ ამ დროს ქალაქის გამგეობის თანამშრომელმა ქრისტეფორე ვერმიშევთან მიახლება მოახერხა და აცნობა, რომ მეფისნაცვლის სახელით მას ტელეფონთან სთხოვდნენ. ნათქვამი ვერმიშევმა მაშინვე შეკრებილებს გადასცა, იმ იმედით, რომ ისინი დათმობაზე წაიყოდნენ. შედეგი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. დარბაზში გაისმა შეძახილები: „არ გაუშვათ, ის ჩვენ გვატყუებს!" სათათბიროს დარბაზში შეკრებილები სულ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ხოსან გ. გ. შახბუდაღოვის დახმარებით ვერმიშევმა სხდომის დარბაზიდან გასვლა მოახერხა. დარბაზის ფოიეში მას ხმოსნები ელოდნენ. გაირკვა, რომ ტელეფონით ქალაქის თავთან დაკავშირება კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ მოადგილეს პოლიციის დარგში გენერალ **ევგენი შირინკინს** სურდა. გენერალმა ქალაქის თავს აცნობა, რომ ბაქოში გამოსვლები შეწყდა, სიმშვიდემ დაისადგურა და სთხოვა ამის შესახებ სათათბიროში შეკრებილთათვის ეცნობებინა. თითქოს სხვათა შორის გენერალმა შირინკინმა ქრისტეფორე ვერმიშევს ჰკითხა: „აბა, როგორ არის საქმე, დაიწყო თქვენთან სხდომა?" როცა ქალაქის თავისაგან დადებითი პასუხი მიიღო, შირინკინმა ვერმიშევს თავშეკავებული სიცილით უთხრა: „ძალიან კარგი, გისურვებთ წარმატებას!"

გენერალ ევგენი შირინკინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ქრისტეფორე ვერმიშევმა გადაწყვიტა სათათბიროს დარბაზის გაელით ქალაქის გამგეობის დარბაზისაკენ წასულიყო. ვერმიშევი იმ ხმოსნებმა შეაჩერეს, რომლებიც დარბაზში შეკრებილთა და ქალაქის თავის საუბარს ესწრებოდნენ და ცხადად იგრძნეს აღელვებული მასის უარყოფითი დამოკიდებულება ვერმიშევისადმი. ხმოსანთა შორის განსაკუთრებით გ. გ. შახბუდაღოვი აქტიურობდა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა დარბაზში ვერმიშევის ხელმეორედ გამოჩენას. შახბუდაღოვმა ქალაქის თავს განუცხადა: „მე არასგზით არ შეგიშვებთ თქვენ დარბაზში, თქვენ იქ გცემენ. მე მოვისმინე, თუ როგორი მუქარა გაისმოდა თქვენი მისამართით დარბაზიდან თქვენი გასელის შემდეგ." ამის გამგონე ქალაქის თავი შეშინდა და დარბაზში შესვლა გადაიფიქრა. ამ დროისათვის ვერმიშევი და სათათბიროს ხმოსნების უმრავლესობა ქალაქის გამგეობის დარბაზში იყვნენ შეკრებილნი. ქალაქის სათათბიროს ხმოსნების უმრავლესობა და, როგორც ჩანს, ქალაქის თავიც კვლავ იმ აზრისანი იყვნენ, რომ შეკრებილები როგორმე დაეთანხმებინათ, დარბაზი მშვიდობიანად დაეტოვებინათ და უარი ეთქვათ ერობის შემოღების თაობაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე. სანამ შეკრებილთ ამ მოთხოვნას გააცნობდნენ, დარბაზში შეჭრილმა თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა **ნიკო ელიავას** (1876-1937) თავმჯდომარეობით სხდომა გახსნეს და ერობის შესახებ საკითხის განხილვას შეუდგნენ. მიუხედავად ამისა, სათათბიროს ხმოსნებმა დარბაზში შეკრებილთ თავიანთი წინადადება გააცნეს, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ნიკო ელიავა ქრისტეფორე ვერმიშევთან მოსალაპარაკებლად გავიდა. ელიავამ ვერმიშევს განუცხადა, რომ შეკრებილები თანახმანი არიან, მიიღონ მისი წინადადება, მაგრამ ითხოვენ, რომ სხდომათა დარბაზში ხმოსნებისათვის სავარძლების მხოლოდ ორი რიგი გამოეყოთ, დანარჩენ სავარძლებს და ლოჟებს თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლები დაიკავებდნენ. ქრისტეფორე ვერმიშევმა ნიკო ელიავას უპასუხა, რომ ასეთი პირობა სათათბიროზე ძალმომრეობის მცდელობას ნიშნავდა. ქალაქის თავმა ელიავას დამატებით განუცხადა: დარბაზში შეკრებილი

თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლები კი არ უნდა წყვეტდნენ, თუ რამდენი ადგილი იქნებოდა გამოყოფილი ხმოსნებისათვის, არამედ სათათბიროს თავმჯდომარე უნდა წყვეტდეს, თუ რამდენ გარეშე პირს დაუშვებს სათათბიროს სხდომაზე. დარბაზში შეკრებილთა ნინადადება მიუღებელი იყო შემდეგი მიზეზების გამო: 1. სათათბიროს თბილისის მაზრის ერობის კრებისათვის 6 წარმომადგენელი უნდა აერჩია, არჩევნებს კი კანონიერი ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ მასში ხმოსნები მიიღებდნენ მონაწილეობას. ქალაქის მოსახლეობის ნარმომადგენლების მიერ ჩატარებული არჩევნები, ცხადია, უკანონო იქნებოდა; 2. სათათბიროს დარბაზში შექმნილი ვითარების პირობებში ხმოსნებისათვის არჩევნების ჩატარების საშუალება კიდეც რომ მიეცათ, არჩევნები დადგენილი წესით მაინც ვერ ჩატარდებოდა და ამ შემთხვევაშიც მისი შედეგები კანონიერად ვერ იქნებოდა ცნობილი; 3. სათათბიროს ხმოსნებსა და თბილისის მოსახლეობის ნარმომადგენლებს არჩევნები ერთობლივად რომ ჩაეტარებინათ, ამ შემთხვევაში თბილისის სათათბირო რაღაც სახალხო კრების მსგავს ორგანოს დაემსგავსებოდა და ცხადია, არჩევნებს კანონიერი ძალა ამ შემთხვევაშიც არ ექნებოდა. მიუხედავად ამ არგუმენტებისა, დარბაზში შეკრებილები პოზიციას არ იცვლიდნენ, მათ თავმჯდომარე აირჩიეს და სხდომაც დაიწყეს. ამ უკანონო სხდომის დაწყების შემდეგ სათათბიროს ხმოსნების უმრავლესობა კვლავ ქალაქის გამგეობის დარბაზში დარჩა, მათთან იმყოფებოდა ქალაქის თავიც.

სათათბიროს დარბაზში **ნიკო ელიავას** თავმჯდომარეობით თბილისის მოსახლეობის წარმოამდგენლების სხდომა ღამის პირველ საათამდე გრძელდებოდა. დარბაზში შეკრებილები ძალზე აგრესიულად იყვნენ განწყობილნი სათათბიროს ხმოსნებისადმი და საერთოდ ქალაქის თვითმმართველობისადმი. სხდომის დასასრულს მიიღეს დადგენილება, რომელიც კიცხავდა სათათბიროს ბურჟუა ხმოსნებს და ქალაქის თავს. მართალია, სხდომა დამთავრდა, მაგრამ მისი მონაწილეები კვლავ სათათბიროს დარბაზში რჩებოდნენ. ამ დროისათვის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობაში იმყოფებოდნენ ქალაქის თავი ქრისტეფორე ვერმიშევი და რამდენიმე ხმოსანი, მათ შორის **ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი**. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებდა და დარბაზში შეკრებილები არ დაიშლებოდნენ. საბედნიეროდ, 25 აგვისტოს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ეს გარკვეულწილად განაპირობა იმან, რომ თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ილადიმირ იაკუბოვიჩმა ძალის გამოყენებაზე უარი თქვა და ბოლოს და ბოლოს ნაშუაღამევს თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა სათათბიროს დარბაზი დატოვეს.

1905 წლის 25 აგვისტოს, როგორც ზემოთ დავინახეთ, თბილისის სათათბიროს სხდომის ჩატარება ვერ მოხერხდა. სათათბიროს მორიგი სხდომა 26 აგვისტოსათვის დაინიშნა. ამჯერად თბილისის გენერალ-გუბერნატორმა გამონაკლისი აღარ დაუშვა და სათათბიროს სხდომა თბილისის მოსახლეობის ნარმომადგენლებისათვის დაიხურა. სხდომას მხოლოდ ხმოსნები დაესწრებოდნენ. 26 აგვისტოს საღამოს 8 საათისათვის ხმოსნებმა შეკრება დაიწყეს. იმავდროულად სათათბიროს შენობაში უნებართვოდ შევიდნენ, დერეფნები და რამდენიმე ოთახი დაიკავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც 25 აგვისტოსაც იმყოფებოდნენ სათათბიროს დარბაზში. ქალაქის თავმა **ქრისტეფორე ვერმიშევმა** რამდენჯერმე მიმართა შეკრებილთ და განუმარტა, რომ სათათბიროს სხდომა დახურული იყო და მას, ხმოსნების გარდა, ვერავინ დაესწრებოდა, ამიტომ ქალაქის თავმა მოწოდებით მიმართა სათათბიროს შენობაში უკანონოდ შეჭრილთ, რომ შენობა დაეტოვებინათ. ამის საპასუხოდ მათ ძალის გამოყენებით დაიკავეს ქალაქის გამგეობის დარბაზი. დარბაზში შეკრებილებმა ქალაქის თავს სიტყვა-სიტყვით გაუმეორეს ის მოთხოვნები, რომლებიც მათ 25 აგვისტოს ნამოაყენეს. აშკარა იყო, რომ გარკვეული ჯგუფი თბილისის სათათბიროს ხმოსნებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ სათათბიროს სხდომა მეორედაც უნდა ჩაეშალათ. გამგეობის დარბაზში შეკრებილებს განუწყვეტლივ მიმართავდნენ ორატორები, რომლებიც თავიანთ აზრს აყალიბებდნენ ერობის შესახებ და ამასთან ერთად ქალაქის ხმოსნებს ბურჟუაზიულ მისწრაფებებში სდებდნენ ბრალს. გაისმა მოწოდებები, რომ ქალაქის სათათბირო ღარიბი მოსახლეობის ინტერესებს უგულებელყოფდა, მხოლოდ მდიდრების ინტერესებს იცავდა და ამასთან ერთად, უკანონოდ ითვისებდა ქალაქის შემოსავლის ნანილს. გამგეობის დარბაზში მყოფი ქალაქის თავი და ხმოსნები ცდილობდნენ საპასუხო სიტყვით გამოსულიყვნენ და შეკრებილთათვის ახსნა-განმარტება მიეცათ. პოლემიკისას აშკარა გახდა: ნამოჭრილი საკითხები გამგეობის დარბაზში შეკრებილებს მხოლოდ იმ გაგებით აინტერესებდათ, რომ ხმოსნები დაეშინებინათ და სათათბიროს სხდომაზე დასწრების უფლება მიეღოთ. შეკრებილებს რამდენჯერმე მიმართეს ხმოსნებმა: **ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა, ნ. ვ. ხუდადოვმა, ს. ა. ჭრელაშვილმა, ვ. მ. მიქელაძემ** და სხვებმა, მაგრამ უშედეგოდ.



ტფილისის ქალაქის მოხელის თავი, პასუხს ითხოვდა ამ ხმაურობის გამო.

ვასილ ჩერქეზიშვილი

უფრო მეტიც, ხმოსნებს ძალზე უხეში ფორმით შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ვერც ქალაქის თავი და ვერც სათათბიროს ხმოსნები გამგეობის დარბაზში შეკრებილებს აზრს ვერ შეაცვლევინებდნენ და ვერც სათათბიროს სხდომას ჩაატარებდნენ. შექმნილ ვითარებაში ქალაქის თავმა ქრისტეფორე ვერმიშევმა ხმოსნებთან თათბირის შემდეგ თბილისის მოსახლეობის ნარმომადგენლებს უფლება მისცა თავიანთი აზრი გამოეთქვათ კავკასიაში ერობის შემოღების თაობაზე. ქალაქის თავი ეარაუდობდა, რომ როგორც კი შეკრებილები თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ და სხდომაც დასრულდებოდა, მაშინვე სათათბიროს დარბაზში ოფიციალური დახურული სხდომა დაინყებოდა, რომელიც დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავდა, პირველ რიგში, თბილისის მაზრის ერობის კრებისათვის წარმომადგენლებს აირჩევდა. თბილისის მაზრის ერობის კრება, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის (მარშლის) გადაწყვეტილებით, 1905 წლის 29 აგვისტოსათვის იყო დანიშნული. ქალაქის თავის ეარაუდი არ გამართლდა: ქალაქის გამგეობაში შეკრებილებმა განაცხადეს, რომ დარბაზში ცოტა ხალხი იყო დარჩენილი, მათ კი სურდათ, რომ კრება უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილიყო და საკითხის განხილვაში რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მიეღო მონაწილეობა. ამასთან ერთად, ერთერთმა ორატორმა, რომელიც აშკარად ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა, პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ სათათბიროში აგიტაციის მიზნით მოვედით, რათა ცხადი გავხადოთ სათათბიროს ბურჟუაზიული ფიზიონომია. მოვახდინოთ მოსახლეობის თვალში სათათბიროს დისკრედიტაცია და წინ აღვუდგეთ კავკასიაში ერობის შემოღებას". ამ განცხადების შემდეგ შეკრებილები დაიშალნენ და თან გაყვიროდნენ: „ძირს სათათბირო, ძირს ხმოსნები, ძირს ქალაქის თავი!" შეკრებილების უკანასკნელმა ჯგუფმა ქალაქის გამგეობა ღამის 12 საათზე დატოვა.

1905 წლის 27 აგვისტოს თბილისის მოსახლეობის ნარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ ქალაქის გამგეობაში. შეკრებილებს გამგეობის წევრმა ვასილ ჩერქეზიშვილმა (1858-1910) განუცხადა, რომ იმ დღეს გამგეობაში არანაირი სხდომის ჩატარება არ იყო დაგეგმილი. ამის სანაცვლოდ შეკრებილებმა გამგეობის დარბაზი დაიკავეს, თავმჯდომარე აირჩიეს და სხდომაც დაიწყო. ვასილ ჩერქეზიშვილის მცდელობას, შეენყვიტათ უკანონო სხდომა, მისმა მონანილეებმა ასე უპასუხეს: გამგეობას უფლება არა აქვს წინ ალუდგეს საზოგადოების სურვილს და თუ ეს მაინც მოხდება, მაშინ გამგეობა პასუხს აგებს ხალხის წინაშე. ვასილ ჩერქეზიშვილმა შეკრებილებს განუცხადა: „ჩვენ არავითარ ღონისძიებას არ მიემართავთ, ღონისძიებას მიმართავს ადმინისტრაცია". ამ განცხადებამ შეკრებილები ძალზე აღელვა, გაისმა შეძახილები: „ჩვენ პოლიციის არ გვეშინია!" გამგეობის დარბაზში თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლების სხდომა ღამის 12 საათამდე გრძელდებოდა.

ამრიგად, თბილისის სათათბიროს სხდომა სამგზის ჩაიშალა: 1905 წლის 22, 25 და 27 აგვისტოს.

თბილისის სათათბიროს კიდევ ერთი სხდომა 1905 წლის 29 აგვისტოს, სალამოს 8 საათისათვის, დაინიშნა. 29 აგვისტოს კვირა დღე იყო და, როგორც წესი, უქმე დღეს სათათბიროში არანაირი ოფიციალური სხდომა არ ინიშნებოდა. ამ მიზეზით დილიდან ქალაქის თავი ქრისტეფორე ვერმიშევი სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა. სათათბიროს სხდომის გახსნამდე ადამიანების დიდი ნაკადი, ძირითადად მუშები, თბილისის სათათბიროს შენობაში შეიჭრნენ. შეკრებილები არ მალავდნენ, რომ სურდათ გაელენა მოეხდინათ თბილისის მაზრის ერობის კრებისათვის წარმომადგენლების არჩევნებზე. იმ დღეს ბევრი რამ უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს: თბილისის ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევის სამსახურში გამოუცხადებლობა, ხალხის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე სათათბიროს დარბაზში შეშვება, ხელისუფლების სრული უმოქმედობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ თბილისის თვითმმართვ-

ელობის შენობის ყველა კარი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დღე იყო, რალაცატომ ღია აღმოჩნდა. პოლიციას შენობის დაცვა არც უცდია. შენობაში შეჭრილებს მხოლოდ სათათბიროს სხდომათა დარბაზის კარები დახვდათ დაკეტილი.

თბილისის სათათბიროში განვითარებული მოვლენების შესახებ 29 აგვისტოს საღამოს 8 საათზე ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევს გამგეობის დარაჯმა აცნობა. იმავდროულად თბილისის მე-4 უბნის პრისტავი ვერმიშევს შინ ეახლა და ჰკითხა, თუ რის გაკეთებას აპირებდა იგი. ქალაქის თავმა სრული უუნარობა გამოამჟღავნა და კრიტიკულ მომენტში პრისტავს ვერანაირი მითითება ვერ მისცა. რამდენიმე წუთში ვერმიშევს ტელეფონით თბილისის გენერალ-გუბერნატორი დაუკავშირდა და მოსთხოვა, რომ სათათბიროს დარბაზი იქ შეჭრილი ხალხისაგან დაუყონებლივ გაეთავისუფლებინა. ამ მოთხოვნამ ისედაც დაბნეული და მოქმედების უნარმოკლებული ქალაქის თავი კიდევ უფრო დააბნია. მართალია, ვერმიშევი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ის კი განსაზღვრა, რომ გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნის შესრულება მას შეიძლება ძვირად დასჯდომოდა. ამიტომ იყო, რომ ქალაქის თავმა ვლადიმირ იაკუბოვიჩის მოთხოვნის შესრულებაზე უარი უთხრა. გაბრაზებულმა გენერალ-გუბერნატორმა ვერმიშევს განუცხადა: „თქვენ ხომ იცით, რომ ამის გამო პასუხს აგებთ!“ „ – დიახ, მე ვიცი რა პასუხისმგებლობაც მეკისრება...“ – იყო ვერმიშევის პასუხი. ვლადიმირ იაკუბოვიჩმა ქალაქის თავს სიტყვის დასრულება არ დააცადა, ისე შეწყვიტა საუბარი. მოგვიანებით ვერმიშევი თავს იმართლებდა: ეჭვიც არ გამჩენია იმის თაობაზე, რომ თბილისის გენერალ-გუბერნატორი სათათბიროს დარბაზში შეკრებილთ ძალის გამოყენებით დაშლიდაო. ისევე თავის მართლების მიზნით იგი აღნიშნავდა: ეფიქრობდი, რომ სათათბიროს დარბაზში უკანონოდ შეჭრილების წინააღმდეგ, სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად, საქმე აღიძვრებოდაო. ამით დაიმედებულ ვერმიშევს სათათბიროს სხდომათა დარბაზში გამოცხადებაც კი არ უფიქრია. გავიდა გარკვეული ხანი და თბილისის თვითმმართველობიდან ვერმიშევის ბინაზე კვლავ გამოცხადდა გამგეობის დარაჯი ახალგაზრდა კაცის თანხლებით. მათ ვერმიშევს სათათბირო დარბაზის გასაღები მოსთხოვეს. ქალაქის თავმა მოსულებს განუცხადა: გასაღებები დარაჯებს აბარიათ, რადგან დღეს უკვე დღეა და არანაირი ოფიციალური სხდომა დანიშნული არ გვაქვს, ჩემი სახელით სათათბიროს შენობაში შეჭრილ ხალხს განუცხადეთ, რომ შენობა დაუყონებლივ დატოვონო. სათათბიროს დარაჯსა და მასთან ერთად მისულ ახალგაზრდა კაცს ვერმიშევმა სთხოვა შეკრებილთათვის გადაეცათ: დღეს დაიშალეთ, ხვალ მე თვითონ ვთხოვ გენერალ-გუბერნატორს, რათა, სამხედრო მდგომარეობის მიუხედავად, სათათბიროს საჯარო სხდომის ჩატარების უფლება მომცესო. ამის საპასუხოდ ახალგაზრდა კაცმა ვერმიშევს განუცხადა: სათათბიროს შენობაში შეკრებილთ სურთ ბაქოში მომხდარი სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის საკითხი დღესვე განიხილონო. ახალგაზრდა ქალაქის თავს არწმუნებდა, რომ ამ საკითხის განხილვის გარეშე შეკრებილები არ დაიშლებიან და არც პოლიციის მხრიდან მუქარას შეუშინდებიანო. ცხადია, ასეთი განცხადებისათვის ვერმიშევს პასუხი უნდა გაეცა და გასცა კიდეც. ქალაქის თავი შეკრებილებს ძალის გამოყენებით დაემუქრა, რაც ახალგაზრდა კაცმა დაუყონებლივ აცნობა სათათბიროში შეჭრილთ. მოგვიანებით ქრისტეფორე ვერმიშევი თავს იმართლებდა: ძალის გამოყენების მუქარით მხოლოდ ხალხის დაშინებას ვცდილობდიო. ვერმიშევის მუქარამ შეკრებილები ძალზე აღელვა. ამას მოჰყვა ის, რომ სათათბიროში შეჭრილებმა სხდომათა დარბაზის კარები გატეხეს, დარბაზი დაიკავეს და სხდომა დაიწყეს. პირველად ბაქოში მომხდარი თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტის საკითხის განხილვა დაიწყეს. ორატორს გამოსვლა არც კი დაემთავრებინა, რომ სხდომათა დარბაზში გამოცხადდა თბილისის პოლიციმაისტერი და იქ შეკრებილებს თბილისის გენერალ-გუბერნატორის ვლადიმირ იაკუბოვიჩის სახელით დაშლისაკენ მოუწოდა. შეკრებილთა ნაწილმა დარბაზი მართლაც დატოვა, ნაწილი დარბაზში დარჩა, გაისმა შეძახილები: „ძირს პოლიცია! გაუმარჯოს კრების თავისუფლებას!“

თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ვლადიმირ იაკუბოვიჩმა ჯერ პოლიციას, შემდეგ კი სამხედრო ნაწილს უბრძანა, სათათბიროს სხდომათა დარბაზი უცხო პირებისაგან გაეთავისუფლებინათ. დარბაზში შესულ კაზაკებს მუშებს შორის მყოფმა ტერორისტებმა რევოლვერებიდან ესროლეს. ცეცხლი გახსნეს კაზაკებმაც. სროლის დროს დარბაზში შეკრებილთაგან 23 კაცი მოკლეს, 50-ზე მეტი დაჭრეს, დაჭრილთაგან 13 თუ 14 მალეევე გარდაიცვალა, დაიჭრა 1 კაზაკი და 1 პოლიციელი. 29 აგვისტოს მიხეილის საავადმყოფოს, სადაც მოკლულთა გვამები და დაჭრილები გადაიყვანეს, უამრავი ხალხი მიაწყდა. ოფიციალური მონაცემებით, ქალაქის სათათბიროს შენობაში სროლისას 39 კაცი მოკლეს, დაიჭრა დაახლოებით 70. დაჭრილთა რიცხვში არ გაუთვალისწინებიათ ისინი, ვინც გაქცევით უშველა თავს და ჭრილობებს კერძო ექიმებთან ან შინ უმკურნალა. ოფი-

ციალური ცნობით, ქალაქის სათათბიროს შენობაში სროლის დროს დაიღუპნენ:

1. ალექსი თაქთაქიშვილი,
2. ივანე გელაძე,
3. მიხეილ ლიპარტელიანი,
4. სარქის ისაევი,
5. ბარბარე ვართანოვა,
6. ანტონ ტყეშელაშვილი,
7. თამარ შახნაზაროვა,
8. ევა ფისკოვა,
9. დორა კუბლანოვა,
10. ევგენია კაირანსკაია,
11. ალექსანდრ ზბუტოვიჩი,
12. იესე კოკიაშვილი,
13. ვასილ (ვასო) ჩიკვაიძე,
14. ნიკოლოზ ჩიკვაიძე,
15. კონსტანტინე გეგაზოვი,
16. ჭახხონელიძე (ჭახხნელიძე),
17. კირილე კახეთელიძე,
18. არისტან კრზნიკიანცი,
19. ივანე მირზოევი,
20. ალექსანდრე ყორლანოვი,
21. პაველ თორმალიძე,
22. ხარიტონ დარახველიძე,
23. დარჩო ზუბიაშვილი,
24. ნიკოლაი ვასილიევი,
25. სანდრო ბიბილაშვილი,
26. ლობჟანიძე,
27. ავაკიმ ტერ-გრიკუროვი,
28. ოგანეზ აკოპოვი,
29. პანტელეიმონ თალაკვაძე,
30. ანტონ სოლოგრაჟევსკი,
31. სემიონ დურგლიანცი,
32. პიოტრ კონცევიჩი,
33. ერვანდ ბაიანდუროვი,
34. სოლომონ ენუქიძე,
35. სახელი და გვარი ვერ დადგინდა,
36. სახელი და გვარი ვერ დადგინდა,
37. სახელი და გვარი ვერ დადგინდა.

ოფიციალურ ცნობაში, რომელიც გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ 29 აგვისტოს მოკლეს 39 და დაჭრეს დაახლოებით 70 კაცი. იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ მოკლულთა სიაში 34 კაცია დასახელებული და იქვე მითითებულია, რომ 3 მოკლულის ვინაობა ვერ დადგინდა. 1905 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმირ იაცკევიჩის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 29 აგვისტოს მოკლეს 29 და დაჭრეს 50 კაცი.

1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროს შენობაში მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. 31 აგვისტოს გაიმართა თბილისის სათათბიროს სხდომა, რომელმაც მომხდარი ტრაგედიის შესახებ იმსჯელა. სათათბიროს 32 ხმოსნის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სათათბიროს სხდომათა დარბაზში შეკრებილთ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნები ამოძრავებდათ და ამდენად, ძალის გამოყენება სრულიად უადგილო იყო. რეზოლუციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ არც დარბაზში შეკრებილთა მხრიდან დამიზნების გარეშე რევოლვერებიდან განხორციელებული გასროლა იძლეოდა იმის საფუძველს, რომ კაზაკებს ცეცხლი გაეხსნათ. თბილისის გენერალ-გუბერნატორს ყველა საშუალება ჰქონდა იმისათვის, რომ დაეკავებინა და გაეჩხრიკა დარბაზში მყოფნი, დაედგინა მათი ვინაობა. ამის სანაცვლოდ, კაზაკებმა ცეცხლის გახსნის ბრძანება მიიღეს. კაზაკებმა ცეცხლი გაუხსნეს არა მარტო დარბაზსა და დერეფნებში, არამედ ქუჩაში მყოფთაც. უფრო მეტიც, კაზაკები გაქცეულებსაც დაედევნენ, ესროდნენ და ხმლით ჩეხდნენ. სათათბიროს შენობიდან გაქცეულებმა თავი ლომბარდის შენობას შეაფარეს, მაგრამ კაზაკებმა მათაც ესროლეს. კაზაკებმა ადამიანები სათათბიროს შენობიდან მოშორებით, ქუჩაშიც აჩეხეს. 32 ხმოსანი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ 29 აგვისტოს სათათბიროს შენობაში, ლომბარდსა და მის მახლობელ ქუჩებში ასზე მეტი ადამიანი მოკლეს. 32 ხმოსანი ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას სისხლიან და არაადამიანურ ანგარიშსწორებად აფასებდა და გმობდა მას. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ხალხს უნდა მიეცეს უფლება შეიკრიბოს და იმსჯელოს მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, ცხადია, ხელისუფლებას არ გამოუძიებია, მალე თბილისში კიდევ უფრო დიდი სისხლი დაიღვარა.

1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტს, ისე თბილისის ქალაქის თავ ქრისტეფორე ვერმიშევს და თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმირ იაცკევიჩს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს 1905 წლის 6 აგვისტოს მანიფესტით ესარგებლათ, ხალხი დაერწმუნებინათ იმაში, რომ იმპერატორის მიერ ნაბოძები სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა სრულებითაც არ იყო საკმარისი და აუცილებელი იყო ბრძოლის გაგრძელება. თბილისის ქალაქის თავმა ქრისტეფორე ვერმიშევმა სრული უუნარობა

გამოიჩინა და ნაცვლად იმისა, რომ მუდმივ კონტაქტში ყოფილიყო თბილისის გენერალ-გუბერნატორთან, 29 აგვისტოს შინ ჩაიკეტა და თბილისის თვითმმართველობაში, კონკრეტულად, სათათბიროს სხდომათა დარბაზში, არც კი გამოცხადებულა, არც გენერალ-გუბერნატორთან შეხვედრა უცდია. ვლადიმერ იაცკევიჩმა თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და ქალაქის თავს თვითმმართველობაში შეკრებილთა მშვიდობიანად დაშლა შესთავაზა. ქრისტეფორე ურუმიშვილის პასუხი იმდენად არაადეკვატური იყო, რომ გენერალ-გუბერნატორმა დამოუკიდებელი მოქმედების გადაწყვეტილება მიიღო. ვლადიმერ იაცკევიჩს შეეძლო კაზაკები და პოლიცია არ გამოეყენებინა. როგორც წინა დღეებში, სათათბიროს დარბაზში შეკრებილები 29 აგვისტოსაც მშვიდობიანად დაიშლებოდნენ. სათათბიროში შეჭრის ორგანიზატორთა იდენტიფიკაცია და მათი სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად დასჯა სავსებით შესაძლებელი იყო. მოუხედავად ამისა, თბილისის გენერალ-გუბერნატორმა მოულენათა ესკალაციის შიშით ქალაქის მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილის სანაცვლოდ დასჯა გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კიდეც.

5. რევოლუციური მოძრაობა 1905 წლის სექტემბერში. 1905 წლის სექტემბერი მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით აღინიშნა. 1 სექტემბერს თბილისში საყოველთაო გაფიცება დაიწყო, მუშაობა შეწყვიტა ყველა მალაზიამ, რესტორანმა, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებამ, სახელოსნომ, სურსათით მოვაჭრე დუქნებმა, ტრამვაიმ. გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და თბილისის დეპოს მუშები, მუშაობა შეწყვიტა ქალაქის ყველა ფაბრიკამ და ქარხანამ. მართალია, საყოველთაო გაფიცება 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მიმართ პროტესტის ნიშნად დაიწყო, მაგრამ გაფიცულებმა მალე სერიოზული პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. 2 სექტემბერს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მიმართვა, რომელიც მოსახლეობას სიმშვიდის დაცვისაკენ მოუწოდებდა. საყოველთაო გაფიცვის პარალელურად თბილისში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა: 2 სექტემბერს მოკლეს ქალაქის პირველი უბნის პოლიციელი მიხაილ იაგუნოვი; 2 სექტემბერსვე, საღამოს 9 საათზე, ტერორისტებმა ააფეთქეს ტრამვაის ვაგონი, რის გამოც მახლობელ სახლებში ჩაიშხვრა მინები, არავინ დაშავებულა; 6 სექტემბერს ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე მოკლეს ქალაქის მე-2 უბნის პოლიციელი ივან მიროშნიკოვი; 13 სექტემბერს ტერორისტმა რევოლვერიდან 3 გასროლით დაჭრა სარაჯიშვილის ქარხნის მმართველი ი. ი. გაერილოვი; 15 სექტემბერს ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილეს სამოქალაქო ნაწილში ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მოახსენებდა, რომ რკინიგზის სადგურ აბაშაში რევოლუციონერთა შეიარაღებულ რაზმს შეტაკება მოუხდა საფოსტო მატარებლის გამცილებელ რაზმთან; 17 სექტემბერს თბილისის სათათბირომ სამხედრო მდგომარეობის გაუქმების თაობაზე შუამდგომლობა აღძრა; 25 სექტემბერს თბილისის სხვადასხვა უბანში ტერორისტებმა 9 ბომბი ააფეთქეს, პირველი ბომბი სალამოს 7 საათსა და 20 წუთზე ორთაჭალაში, პოლტავის კაზაკთა პოლკის ასეულის ყაზარმასთან, აფეთქდა, აფეთქების შედეგად დაიჭრა 1 კაზაკი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის 3 ჯარისკაცი და რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი. აფეთქების შემდეგ კაზაკებმა სასაწრაფოდ დაიწყეს ტერორისტების ძებნა, გაჩხრიკეს ორთაჭალის დუქნები და სახლების სარდაფები, ჩხრეკისას კონდახებით სასტიკად სცემეს მედუქნეები: სისაკ სააკოვი, მიხაილ ფარაჯანოვი, სისაკ მინასოვი და სარქის ხარაზოვი. ამის საპასუხოდ ტერორისტებმა მეორე ბომბის აფეთქება სცადეს, მაგრამ ბომბი არ ამოქმედდა. ბომბის მსროლელი ივაქ არუშანოვი და მისი რამდენიმე თანამზრახველი შემთხვევის ადგილზე დაიკავეს. ცოტა ხნის შემდეგ ტერორისტებმა 4 ბომბი ააფეთქეს ბროსეს ქუჩაზე, სადაც ერთ-ერთ შენობაში პოლტავის კაზაკთა პოლკის ასეული იყო დაბინავებული. პირველი ბომბი ყაზარმის ეზოში აფეთქდა, მეორე ტერორისტმა ყაზარმის ფანჯარაში შეაგდო, რამდენიმე წუთში კიდევ რამდენიმე ბომბის აფეთქება შეძლეს. აფეთქების შედეგად 4 კაზაკი დაიჭრა, რომელთაგან ერთი – კუზმა დანილოვი – მალე გარდაიცვალა, ხოლო მეორე უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში. კაზაკებმა ცეცხლი გაუხსნეს ტერორისტებს, რომლებიც ფაეტონით აპირებდნენ მიმალვას. ცეცხლი გახსნეს ტერორისტებმაც. სროლის შედეგად მოკლეს 1 ტერორისტი, რომელსაც ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი უპოვეს. ორმა ტერორისტმა მიმალვა მოახერხა. სროლისას 1 კაზაკი დაიჭრა; 28 სექტემბერს დიდუბეში, ბათუმის ქუჩაზე, სალამოს შვიდის ნახევარზე რევოლვერიდან გასროლით დაჭრეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ოსტატი ნიკოლაი დავიდოვი. ტერორისტებმა მიმალვა შეძლეს; 30 სექტემბერს აეჭალაში, კონკის ვაგონში, ტერორისტმა რევოლვერიდან გასრო-

ლით მოკლა თავადი დ. ამილახვარი.

თბილისის გარდა, რევოლუციური გამოსვლები საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარეობდა: 1905 წლის 2 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლაევი კავკასიის პოლიციის უფროსს, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინს მოახსენებდა, რომ 30 აგვისტოს დაბა ახალ სენაკში პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც დაახლოებით 1.000 კაცი მონაწილეობდა; 3 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი იუწყებოდა, რომ ქალაქ სოხუმში კვლავ გრძელდებოდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა; 3 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა კვლავ საგანგაშო ცნობა გაგზავნა თბილისში: შორაპნის მაზრაში გლეხებსა და მემამულეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირებები ხდებოდა. 5 სექტემბერს თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში საგანგებო უფლებებით მიელინებული პოლკოვნიკი ვლადიმირ ალფტანი კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ მან გორის მაზრის თავადაზნაურობას „შაავი რაზმის" შექმნის უფლება მისცა, რათა დროულად გასწორებოდნენ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს. ალფტანის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის 1 აგვისტოდან დაწყებული, გლეხებმა დაარბიეს თავადაზნაურთა მამულები სოფლებში: ხოლქ, ფლავი, ერედვი, მეჯვრისხევი, აბანო, ხურვალეთი, ყინწვისი და სხვ. ამასთან ერთად, გახშირდა გლეხთა შეიარაღებული რაზმების მიერ გზებზე ძარცვა-რბევის ფაქტები და მკვლელობი: ცხინვალში მოკლეს თავადი აპოლონ მაჩაბელი, ხოვლეში – მიხეილ გოგიჩაიშვილი, მიხაილოვოში (ხაშურში) – სტრაჭინკი ტკაჩენკო, სოფელ ქვემო ჭალაში – მამასახლისი ილია ტოგონიძე, ხოლო ამავე სოფლის მახლობლად თავს დაესხნენ ზაქარია და ანდრია ყაზბეგებს; სოფელ რუისის ახლოს დაჭრეს სოსო ბერუაშვილი, ცხინვალის ახლოს დაჭრეს შტაბს-კაპიტანი ხეთაგური; გორში მოკლეს პაველ ალიხანოვი, ხურვალეთში – მიხეილ მუკნიაშვილი, გორში – თავადი კონსტანტინე ერისთავი,სოფელ კარალეთთან ახლოს – გორელი ისაკ სისაური, ცხინვალში – სტრაჟნიკი ლიტვინენკო, ცხინვალის ახლოს – თავადი ჩერქეზიშვილი; სოფელ ქვეშში – თავადი ნიკოლოზ ერისთავი, გორში დახოცეს პრისტავი ავალიშვილი და თავადი ციციშვილი და სხვ. 1905 წლის 24 სექტემბერს გორისა და დუშეთის მაზრებში საგანგებო უფლებებით მიელინებულმა პოლკოვნიკმა ალფტანმა ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეულის (45 კაზაკის) ძალებით ეგზეკუციები ჩააყენა სოფლებში: ქვემო ნიჩბისსა და სასხარში. 25 სექტემბერს ეგზეკუცია (ეისკის კაზაკთა პოლკის 45 ჯარისკაცი) გაგზავნა სოფელ ხოვლეში. იმავე 25 სექტემბერს ეგზეკუციები გაიგზავნა სოფლებში ახლაქალაქსა და ხიდისთავში.


რევოლუციური გამოსვლები სულ უფრო ძლიერდებოდა სანავსადგურო ქალაქებში, ბათუმსა და ფოთში. 1905 წლის შემოდგომაზე ბათუმის ქარხნებში პოლიციამ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინა მუშათა მიერ მოწყობილი იარაღის საიდუმლო საცავები. 1905 წლის სექტემბრის დამდეგიდან გაფიცვები მიმდინარეობდა ფოთში. 23 სექტემბერს, სალამოს 7 საათზე, ფოთში ტერორისტებმა დაჭრეს პრისტავი საყვარელიძე და უბნის ზედამხედველი ფხაკაძე, შემდეგ კი მიმალვა მოახერხეს.

§5. რევოლუციის მესამე ეტაპი. რევოლუციის დამარცხება (1905 წლის ოქტომბერი – დეკემბერი)

1. ვითარება რუსეთში. 1905 წლის ოქტომბერში რუსეთში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო. რევოლუციურ მოძრაობაში 1905 წლის შემოდგომაზე აქტიურად ჩაებნენ რკინიგზელები. 7 ოქტომბერს გაიფიცნენ მოსკოვ-ყაზანისა და იაროსლავის რკინიგზის მუშები, რომელთაც მალე რამდენიმე სხვა რკინიგზა შეუერთდა. 12 ოქტომბერს სულ 14 რკინიგზის 700.000 მუშა იყო გაფიცული. ეს იმას ნიშნავდა, რომ რკინიგზელთა გაფიცვამ საერთო-სარუსეთო ხასიათი მიიღო. რკინიგზელების კვალდაკვალ გაფიცვაში ჩაებნენ ფაბრიკების, ქარხნების, შახტებისა და სტამბების მუშა-მოსამსახურეები. გაფიცვა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან განაპირა მხარეებს, მათ შორის ციმბირსაც, მოედო.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც მოსახლეობას სახელმწიფო სათათბიროს მოწვევასა და დემოკრატიული უფლებების ბოძებას ჰპირდებოდა, გაფიცვები დაცხრა. 18 ოქტომბერს მოსკოვის საგაფიცვო კომიტეტმა მუშებს გაფიცვის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. მალე ეს იდეა გაიზიარეს სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირის ცენტრალურმა ბიურომ და პეტერბურგის მუშათა დეპუტატთა საბჭომ.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის მიუხედავად, აღმავლობით მიდიოდა გლეხთა მოძრაობა, შეიმჩნეოდა მისი რადიკალიზაცია. 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მასობრივი ხასიათი მიიღო მემამულეთა სახლ-კარის გადაწვამ, მემამულეთა სიცოცხლის ხელყოფამ.



თბილისი. გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი

იმატა რევოლუციურმა გამოსვლებმა არმიაში. 1905 წლის შემოდგომაზე ჯარისკაცთა 195 მღელვარება აღინიშნა.

6. ვითარება საქართველოში. 1905 წლის ოქტომბერში გაგრძელდა აგვისტო-სექტემბერში დაწყებული რევოლუციური გამოსვლები. პოლკოვნიკმა ელადიმირ ალფტანმა მორიგი სადამსჯელო კამპანია წამოიწყო გორის მაზრაში: 5 ოქტომბერს – **ძეგვში**, 11 ოქტომბერს – **მეტეხსა** და **ფლავში**, 14 ოქტომბერს – **დირბსა** და **ზემო სანდაგში** – გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიციები. 8 ოქტომბერს კავკასიის პოლიციის გამგემ გენერალ-მაიორმა ეგვენი შირინკინმა კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად აუცილებელი იყო საგანგებო ღონისძიებების გატარება.

7. 1905 წლის ოქტომბერი თბილისში. ოქტომბრის პირველი რიცხვებიდანვე დაძაბულობა იგრძნობოდა თბილისში.

ტერორისტული აქტები. 1905 წლის ოქტომბერი თბილისში ტერორისტული აქტებით აღინიშნა: 2 ოქტომბერს ტერორისტმა სასიკვდილოდ დაჭრა ქალაქის მე-6 უბნის პოლიციელი **მარკ ზაურიევი**; 7 ოქტომბერს სადოვაიას (დღევანდელი კარგარეთელის) ქუჩაზე ტერორისტმა ბომბი ესროლა პოლიციის ზედამხედველ **სანაძეს**, რომელიც სიკვდილს გადაურჩა. ბომბის აფეთქებისაგან დაშავდა 2 ქალი, ტერორისტი მიიმალა; 7 ოქტომბერს ბელინსკის ქუჩაზე ტერორისტმა მოკლა ვერის სასწავლებლის ინსპექტორი **პროკოფიევი**. ტერორისტი, რომელიც ვერის სასწავლებლიდან გარიცხული მოსწავლე აღმოჩნდა, მეორე დღეს დააკავეს; 14 ოქტომბერს ტერორისტმა დაჭრა ორთქლმავლის მემანქანე **პეტროვი**, 14 ოქტომბერს ვერის უბანში მოკლეს სამძებრო პოლიციის აგენტი, 14 ოქტომბერსვე ველიამინოვის ქუჩაზე ტერორისტმა ბომბი ააფეთქა, რის შედეგადაც დაიღუპა პოლიციელი, დაიჭრა 2 ქალი; 15 ოქტომბერს ავჭალის ქუჩაზე ტერორისტმა მოკლა ჟანდარმი **პეჩერსკი**, ხოლო ვაგზლის ქუჩაზე ზედამხედველი **ზბოროვსკი**; 15 ოქტომბერსვე ბაქო–თბილისის რკინიგზის ხაზზე, სადგურებს კარაკლისსა და შაგალს შორის ტერორისტებმა რკინიგზის რელსები აყარეს, რის შედეგადაც ავარია განიცადა მატარებელმა, რომლითაც თბილისში კაზაკები მოჰყავდათ. ავარიის შედეგად 5 კაზაკი დაიღუპა.

1905 წლის 17 ოქტომბერს მეტეხის ციხის ეზოში ჩამოახრჩეს **ავაქ არუშანოვი**, რომელმაც 25 სექტემბერს ორთაჭალაში ბომბი ესროლა კაზაკების ყაზარმას.

1905 წლის 18-19 ოქტომბრის მიტინგები.

18 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, თბილისში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ 17 ოქტომბერს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს. გაზეთ „ეროვნების“ რედაქციის წინ შეკრებილმა ხალხმა მაშინვე სახელდახელო მიტინგი გამართა, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე სიტყვები წარმოთქვეს. „ეროვნების“ რედაქციის წინ შეკრებილ ხალხს მალე თბილისის სხვადასხვა უბნიდან დაძრული ადამიანებიც შეუერთდნენ და რამდენმე ათასი კაცი გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე მდებარე სახაზინო თეატრისაკენ (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) დაიძრა. დემონსტრანტების მოთხოვნით, თეატრთან ორკესტრი მიიყვანეს, რომელმაც რამდენჯერმე შეასრულა „მარსელიოზა“ მიტინგი სახაზინო თეატრის ნინაც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგში რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა, იგი მშვიდობიანად მიმდინარეობდა. სამხედრო პატრული მომიტინგეებს დაუფარავი თანაგრძნობით შეხვდა, სამოქალაქო და სამხედრო პირები ერთმანეთს 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემას ულოცავდნენ. დღის მეორე ნახევარში სოციალ-დემოკრატების აგიტაციის შედეგად მიტინგმა აშკარად აგრესიული ხასიათი მიიღო: გამოჩნდა სახელდახელოდ დამზადებული ნითელი დროშები, გაისმა აშკარად რადიკალური მონოდებები, რის შემდეგაც რამდენიმე ათასი კაცი ნაძალადევისაკენ გაემართა. ხალხს წინ მიუძღოდა თბილისის უაუთა მეორე გიმნაზიის ორკესტრი, რომელიც „მარსელიოზას“ ასრულებდა. დიდუბეში, მოედანზე, მუშათა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა, რომელზეც რადიკალური რევოლუციური მოწოდებები გაისმოდა, ორატორები ითხოვდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას და პროლეტარიატს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. დიდუბის შემდეგ მიტინგი ნაძალადევშიც შედგა, სადაც იგივე მოთხოვნები წამოაყენეს. 18 ოქტომბერსვე, საღამოს, გოლოვინის პროსპექტზე სამხედრო დიდების ტაძრის წინ დიდი მიტინგი ჩატარდა. მიტინგი მიმდინარეობდა ერევანსკის მოედანზეც. ორივეზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საპროგრამო მოთხოვნების პროპაგანდას ეწეოდნენ. ორატორები ხალხს არსებული წყობილების შეცვლისაკენ მოუწოდებდნენ. 18 ოქტომბერს არც ერთ მიტინგზე შეკრებილებს ძალის დემონსტრირება არ მოუხდენიათ, არც პოლიცია და ჯარი ჩარეულა მიტინგის მსვლელობაში.

1905 წლის 19 ოქტომბერს, დილით, თბილისის სხვადასხვა უბნიდან წითელი დროშებით ადამიანები ნაძალადევისაკენ დაიძრნენ, სადაც 10 საათზე მიტინგი უნდა გამართულიყო. მიტინგი რკინიგზის სასადილოს შენობის წინ დაინყო. ნაძალადევიდან მომიტინგეები გოლოვინის პროსპექტისაკენ დაიძრნენ, სადაც მიტინგი გაგრძელდა. მიტინგზე გადაწყდა: კაუკასიის მეფისნაცვალთან დეპუტაცია გაეგზავნათ და ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისათვის ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლება და სამხედრო მდგომარეობის გაუქმება მოეთხოვათ. აირჩიეს დეპუტაცია. მეფისნაცვალმა დეპუტაცია მიიღო, მოუსმინა მას, რის შემდეგაც განაცხადა: უკვე გაცემულია განკარგულება პოლიტიკური დანაშაულისათვის ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებო. რაც შეეხება პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულთ, რომელთა საქმე ძიებაშია, მათი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოსო. მეფისნაცვალმა ასევე განაცხადა, რომ სამხედრო მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ გაუქმდებოდა, რაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდებოდა. აღდგებოდა სარკინიგზო მიმოსვლა და გაიღებოდა მაღაზიები და დუქნები. ვორონცოვ-დაშკოვის პასუხი დეპუტაციამ შეკრებილებს გააცნო. ამის შემდეგ მიტინგი გაგრძელდა და მხოლოდ გვიან საღამოს დაიშალა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მეორე დღეს, 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ნაძალადევში კვლავ დაიწყებოდა მიტინგი. 19 ოქტომბერს, საღამოს, მომიტინგეებს შორის გავრცელდა რსდმპ კაუკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. იმავე დღეს რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თბილისის კომიტეტის, „დაშნაკცუტუნის“ თბილისის კომიტეტის და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით გავრცელდა პროკლამაცია სათაურით: „კაუკასიის ყველა მოქალაქეს!“. პროკლამაცია შეიცავდა შემდეგ მოთხოვნებს: 1. პოლიტიკურ პატიმართა სრული და დაუყოვნებელი ამნისტია; 2. რეგულარული არმიის დაუყოვნებლივ შეცვლა სახალხო მილიციით; 3. სამხედრო მდგომარეობის, ეგზეკუციებისა და სხვა საგანგებო ღონისძიებების ყველგან დაუყოვნებლივ გაუქმება; 4. რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება. ამ მოთხოვნათა მიღწევის ერთადერთ გზად რევოლუციონერები შეიარაღებულ აჯანყებას სახავდნენ.

თბილისის სათათბიროს 1905 წლის 19 ოქტომბრის სხდომა. თბილისის სათათბიროს სხდომა ქალაქის თავის მოადგილე ვასილ ჩერქეზიშვილის



თბილისი. ალექსანდრ ნეველის სახელობის სამხედრო დიდების ტაძარი (სობორო)

თავმჯდომარეობით გაიმართა. სხდომას უნდა განეხილა თბილისის გუბერნატორის წარდგინება პირადი თხოვნის საფუძველზე სათათბიროს ზოგიერთი ხმოსნისათვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ვასილ **ჩერქეზიშვილმა** დამსწრეთ გააცნო გუბერნატორის 1905 წლის 17 ოქტომბრის №2538 წარდგინება. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ გუბერნატორი პირადად ესაუბრა კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ **ვიქტორ ფილიპის (ფილიპევს)** (1844-1906), რომელსაც განუცხადებია შემდეგი: 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო სამოქალაქო მდგომარეობის გაუქმება, რასაც ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება მოჰყვებაო. თბილისის თვითმმართველობის გამგეობის მდივანმა **სტეფანე ჭრელაშვილმა** სხდომას მოახსენა: 19 ოქტომბერს დილით გამგეობაში მისულმა **ხმოსანმა ჩოლოყაშვილმა** განაცხადა, რომ სათათბიროს სხდომების განახლება არ უნდა ეჩქარათ, მანამ სამხედრო მდგომარეობა არ გაუქმდებოდა, ხოლო სამხედრო მდგომარეობის გაუქმებამდე ხმოსნების სათათბიროში გამოცხადება საჭირო არ იყო. **ხმოსანმა ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა** აღნიშნა, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი იმაზე მეტ უფლებებს ანიჭებდა სათათბიროს, ვიდრე ხმოსნები ითხოვდნენ, რის გამოც არავითარი დარღვევა არ იქნებოდა იმაში, რომ სათათბიროს მუშაობა განეახლებინა. მეტად საყურადღებო იყო არლუთინსკი-დოლგორუკოვის შემდეგი განცხადება: თბილისის სათათბიროს დღევანდელი შემადგენლობა, არჩეული მოქმედი საქალაქო დებულების საფუძველზე, არის არა ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი, არამედ მისი ერთი მცირე ნანილისა, რაშიც ჩვენ კი არა ვართ დამნაშავე, არამედ – მოქმედი საქალაქო დებულებაო. გამოსვლის დასასრულს არლუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: ხმოსნებმა უკან უნდა ნაილონ თავიანთი განცხადება გადადგომის შესახებ, ხოლო სათათბირომ ძველი შემადგენლობით გააგრძელოს მუშაობა. ხმოსანმა ე. მიქელაძემ მხარი დაუჭირა არლუთინსკი-დოლგორუკოვის ნინადადებას. ხმოსანმა ვართანოვმა აღნიშნა, რომ სათათბიროს მუშაობა ვერ განახლდება მანამ, სანამ 29 აგვისტოს ხოცეა-ქლეტის მონაწილეები სამართალში არ მიეცემიანო. მანვე 29 აგვისტოს მოვლენების გამოძიების დანყება მოითხოვა. ჩატარებული კენჭისყრისას გაირკვა, რომ ყველა ხმოსანი, რომელიც გადადგომას ითხოვდა, თანახმა იყო თავისი მოვალეობის შესრულება გაეგრძელებინა, ხოლო სათათბიროს სხდომები განახლებულიყო.

მეორე საკითხად სათათბირომ განიხილა

უახლოესი სხდომების დღის ნესრიგი. ხმოსანმა **ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა** ასეთი რამ განაცხადა: სათათბიროს სხდომები არაფრით არ შეიძლება განახლდეს იმ დარბაზში, სადაც ჩვენი უდანაშაულო მოქალაქეების სისხლი დაიღვარა, სხდომები არ შეიძლება განახლდეს მანამ, სანამ სათათბირო საჯაროდ არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას 1905 წლის 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტისადმი. ხმოსნის აზრით, სათათბიროს მის ხელთ არსებული ყოველგვარი საშუალება უნდა ეხმარა, რათა მომხდარი უბედურების ყოველი დეტალი დაწვრილებით ყოფილიყო გამოძიებული, ხოლო დამნაშავეები – სასამართლო პასუხისგებაში მიცემული. ხმოსანმა **ტიგრანოვმა** საჭიროდ ჩათვალა, 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტაში დამნაშავეები სასამართლო პასუხისგებაში მიცემულიყვნენ. მანვე აღნიშნა რომ 29 აგვისტოს მოვლენები სტიქიურად განვითარდა, ამიტომ დანაშაულის ყველა დეტალის დადგენა გაჭირდებოდა. ხმოსანმა **ამირხანოვმა** საკითხი ასე დასვა: 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემით მოგვრილი სიხარული რატომ უნდა გავაუფერულოთ 29 აგვისტოს ამბების გახსენებითო. ამ განცხადებით ამირხანოვმა პრაქტიკულად ეჭვქვეშ დააყენა 29 აგვისტოს ტრაგედიის გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობა. ამირხანოვის გამოსვლით გაღიზიანებულმა ხმოსანმა **ვ. მიქელაძემ** აღნიშნა: ამ სამარცხვინო მოვლენას თბილისის ისტორიიდან ვერავინ ამოშლის. ამ შაებნელ დღეს (29 აგვისტოს – ვ. გ.) თბილისის სათათბირომ მუშაობა შეწყვიტა არა იმიტომ, რომ იგი ძველი რეგლამენტით ვერ იმუშავებდა, არამედ იმიტომ, რომ უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტის მიმართ თავისი საპროტესტო განწყობილება გამოხატა. ამჟამად ჩვენ ვზეიმობთ ახალი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებას, მაგრამ არ გეტყვებს ამ საშინელი მოვლენით მიყენებული მტანჯველი განცდა, რის გამოც ყოელად შეუძლებელია სათათბირომ 29 აგვისტოს ტრაგედიის იგნორირება მოახდინოს, სათათბირომ აუცილებლად უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება და მთელი პრინციპულობით მოითხოვოს დამნაშავეთა დასჯა. ხმოსანმა **სვეშნიკოვმა** მხარი დაუჭირა 29 აგვისტოს ტრაგედიის გამოძიებას, რისი აუცილებლობაც, დამნაშავეთა დასჯის გარდა, სხვა მიზეზითაც დაასაბუთა: 29 აგვისტოს შემდეგ თბილისში უგზოუკლოდ დაიკარგა რამდენიმე ადამიანი, ვერც მოკლულთა და ვერც დაჭრილთა შორის ისინი ვერ იპოვეს. ხმოსანმა დასვა კითხვა: იცით, რას ნიშნავს გამოთქმა „ნაქცეულს არ სცემენ"? უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც პოლიტიკური მკვლელობა ჩაიდინეს! ნაქცეულებად საბრალო დახოცილები უნდა ჩაითვალონ და არა 1905 წლის 29 აგვისტოს შემოქმედი გენერალი იაცკევიჩი.

თბილისის სათათბიროს სხდომაზე სხვა საკითხებიც განიხილეს. ხმოსანმა **ალექსანდრე ხატისოვმა** აუცილებლად მიიჩნია 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტის შემდეგ თანამდებობიდან თავისი ნებით გადამდგარ ქრისტეფორე ვერმიშევის ქალაქის თავის თანამდებობაზე დაბრუნება. ხატისოვმა ნინადადება შეიტანა, სათათბიროს თხოვნით მიემართა ვერმიშევისათვის, რათა ეს უკანასკნელი თავის მოადგილეებთან ერთად თანამდებობაზე დაბრუნებულიყო და მუშაობა გაეგრძელებინა. ხატისოვი მიიჩნევდა, რომ უნდა გამოეკვლიათ, რამ აიძულა ვერმიშევი თანამდებობა დაეტოვებინა. ხმოსანი **ბალდასაროვი** მიიჩნევდა, რომ თანამდებობიდან გადადგომით ვერმიშევმა 29 აგვისტოს ტრაგედიის მიმართ პროტესტი გამოხატა და ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, როგორ შეეგებებით ჩვენ მის გადაწყვეტილებასო. ხმოსანი **ვ. მიქელაძე** არ დაეთანხმა ხატისოვის გამოსვლას და განაცხადა: ქრისტეფორე ვერმიშევისათვის უკეთესია, ალექსანდრე ხატისოვის მიერ დასმული საკითხი არ განეიხილოთ, რადგან ვერმიშევის შესახებ საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრება არსებობსო. ვ. მიქელაძემ თავისი მოსაზრება იმითაც დაასაბუთა, რომ ვერმიშევის გადადგომის თხოვნა უკვე დაკმაყოფილებული იყო, სათანადო ბრძანებაც არსებობდა, რომელიც ოფიციალურადაც გამოქვეყნდაო. ვ. **მიქელაძემ** დასკვნა: ქრისტეფორე ვერმიშევი ქალაქის თავად მხოლოდ ახალ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეიძლება დაბრუნდესო. ვ. მიქელაძის გამოსვლით გაღიზიანებულმა ა. ხატისოვმა უკან არ დაიხია და ხმოსნებს ასე მიმართა: „29 აგვისტოს ტრაგედიის დროს მე თბილისში არ ვიმყოფებოდი, მაგრამ ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ვერმიშევის რეპუტაციას იმ ადამიანებმა მოსცხეს ჩირქი, ვისაც თავისი დანაშაულის ქალაქის თავისათვის გადაბრალება სურდა. ამაში მე და ჩემი ამხანაგები დარწმუნებული ვართ, რომელთაგან ერთ-ერთმა, ხმოსანმა ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა, მე რწმუნება მომცა განმეცხადებინა, რომ იგი ქრისტეფორე ავაკუმის ძეს 29 აგვისტოს მოვლენებში სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევს. ამის შემდეგ დუმილით როგორ უნდა აუარო გვერდი ამ აღმაშფოთებელ უსამართლობას, ჩადენილს საზოგადო მოღვაწის მიმართ, რომლის რეპუტაციას საზოგადოების თვალში ჩირქი მოეცხო. სათათბიროს ვალია, ადამიანს საშუალება მისცეს თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე იმ ბრალდებების გამო, რომლებიც მას წაუყენეს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთ მცდელობებს ად-



თბილისი. სახაზინო (რუსთაველის) თეატრი. 1905 წლის 22 ოქტომბერი

გილობრიე პრესაში ცენზურა მკაცრად ებრძვის. ამაში მე პირადად დავრწმუნდი, როცა ცენზურამ ჩემი სტატია აკრძალა, რომელშიც გადმოცემული იყო ქრისტეფორე ავაკუმის ძის დამოკიდებულება 29 აგვისტოს მოვლენებისადმი. არ შეიძლება ამ საკითხში ჩვენსა და ცენზურას შორის თანხმობა ჩამოვარდეს." თავის პოზიციაზე დარჩა ხმოსანი ე. მიქელაძეც, რომელმაც განაცხადა: შემოთავაზებული გზით ქრისტეფორე ვერმიშევის რეაბილიტაცია ჯერჯერობით შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რაც გამართლებას საჭიროებდესო. ე. მიქელაძემ აღნიშნა, რომ ვერმიშევის გადადგომამ მნვავე დისკუსია გამოიწვია, თუ ამ შემთხვევაში მისი თანამდებობაზე დაბრუნების გადაწყვეტილებას მივიღებთ, ისეთ ბრალდებებს ნაუყენებენ, რომ თვით ვერმიშევი აღარ ისურვებს თანამდებობაზე დაბრუნებასო.

ქრისტეფორე ვერმიშევის ქალაქის თავის თანამდებობაზე დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ქართველ და სომეხ ხმოსანთა დაპირისპირების მიზეზი გახდა იმიტომ, რომ ვერმიშევის გადადგომის შემთხვევაში ქალაქის თავის თანამდებობას ქართველი ვასილ ჩურქენიშვილი დაიკავებდა, რისი დაშვებაც სომეხ ხმოსნებს არ უნდოდათ და ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ძველი ქალაქის თავი დაებრუნებინათ.

საკითხის განხილვა დასრულდა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის გამოსვლით. მან წინადადება შეიტანა, სანამ თბილისის სათათბირო ქრისტეფორე ვერმიშევის ქალაქის თავის თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ იმსჯელებდა, საკითხი ხმოსნების კერძო თათბირზე განხილულიყო, რომელსაც ვერმიშევიც დაესწრებოდა. თათბირის შედეგების მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, დადგებოდა თუ არა დღის წესრიგში ქალაქის თავის თანამდებობაზე დაბრუნების საკითხი. ხმოსნების უმრავლესობა ამ წინადადებას დაეთანხმა.

სათათბიროს მუშაობის გაგრძელების საკითხის განხილვისას ხმოსანმა ბარათაშვილმა განაცხადა: შექმნილ ვითარებაში (იგულისხმებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემა – ვ. გ.) სათათბიროს მუშაობის განახლება საჭირო აღარ არის, რუსეთის იმპერიის მოსახლეობამ თავისუფლება მოიპოვა. ამიერიდან ჩვენ სათათბიროში კი არა, ქუჩაში, ხალხმრავალ მიტინგებზე უნდა ვიმუშაოთ და არ ვეცადოთ აღვადგინოთ ისეთი ბიურუკრატიული დანესებულება, როგორიც სათათბიროაო. მიუხედავად ასეთი რადიკალური განცხადებისა, ხმოსნების უმრავლესობამ შემდეგ დადგენილებას დაუჭირა მხარი: 1. ქალაქ თბილი-

სის სათათბიროს მუშაობა განახლდეს; 2. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის დიდი მნიშვნელობის აღსანიშნავად თბილისში დაარსდეს თავისუფალი სახალხო უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური მუზეუმი; 3. ქალაქში ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა მოსახლეობას ეცნობოს სახელმწიფო სათათბიროს ნინაშე მდგარი ამოცანები, მიტინგების ჩასატარებლად გამოიყოს სათანადო შენობები.

1905 წლის 21 ოქტომბრის დემონსტრაცია თბილისში. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების და რკინიგზის სადგურ თბილისის დეპოს რამდენიმე ათასი მუშა, ძირითადად რუსები, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე სამხედრო დიდების ტაძრისაკენ გაემართა. მუშებს გადაწყვეტილი ჰქონდათ იმპერატორ ნიკოლაი II-ის ტახტზე ასვლის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ნირვას დასწრებოდნენ. გზადაგზა მუშების მსვლელობას უამრავი ადამიანი შეურთდა. დემონსტრანტები რუსეთის იმპერიის დროშითა და სახელმწიფო ჰიმნის გალობით მიუახლოვდნენ ტაძარს. კოლონის წინ მიმავალთ ნიკოლაი II-ის სურათი მიჰქონდათ წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ წირვის დასრულების შემდეგ მუშების დეპუტაცია კავკასიის მეფისნაცვალმა **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა** მიიღო. ამის შემდეგ დემონსტრანტები გოლოვინის პროსპექტიდან ვერის დაღმართისაკენ გაემართნენ. დემონსტრანტების რაოდენობა ყოველ წუთს იზრდებოდა. ხელისუფლება შიშობდა, რომ ხალხის უზარმაზარი მასა სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-რევოლუციონერებს, ასევე სხვა მემარცხენე პარტიებს თავიანთი მიზნებისათვის არ გამოეყენებინათ. ამიტომ იყო, რომ დემოსტრანტებს წინ მიუძღოდა დრაგუნთა ოცეული, ხოლო უკან მიჰყვებოდა ქვეითი ჯარის ოცეული. რამდენჯერმე შესრულდა რუსეთის იმპერიის ჰიმნი. ტროტუარებზე მდგარი მოსახლეობა, მეტწილად რუსები, ასევე სახლების აივნებსა და სახურავებზე მყოფი მოქალაქეები აღტაცებით ესალმებოდნენ დემონსტრანტებს. განსაკუთრებით მხურვალე მხარდაჭერა გამოუცხადეს დემონსტრანტებს „არტისტული საზოგადოების“, სახაზინო თეატრისა და კადეტთა კორპუსის აივნებზე გამოსულმა ადამიანებმა. მართალია, დემონსტრაცია მუშებმა დაიწყეს, მაგრამ მალე მათ თბილისის ინტელიგენციაც შეუერთდა, მაგალითად, კადეტები და მათი მასწავლებლები შენობიდან გამოვიდნენ, მათი ნაწილი დემონსტრანტებს შორის აღმოჩნდა. მიხაილ ვორონცოვის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე დემონსტრანტებს იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებიც მიემატნენ. მიხაილ ვორონცოვის პროსპექტი რომ გაიარეს და მისივე სახელობის ხიდს მიუახლოვდნენ, დემონსტრანტების რაოდენობა 5.000-6.000 კაცს აღწევდა. ხალხის მასამ ხიდი გადაიარა და სალამოს 7 საათისათვის კვლავ გოლოვინის პროსპექტზე, მეფისნაცვლის სასახლესთან შეჩერდა. ამ დროისათვის მათი რაოდენობა 7.000 კაცს აღწევდა. დემონსტრანტებს სასახლის აივნიდან მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მიესალმა.

21 ოქტომბერს თბილისის ქუჩებში გამოაკრეს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მოწოდება, რომელიც ხალხს აუწყებდა იმპერატორის მიერ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ გამოცემულ ბრძანებაზე და განუმარტავდა მის მნიშვნელობას.

1905 წლის 22 ოქტომბრის დემონსტრაცია თბილისში. 21 ოქტომბრის დემონსტრაციით წახალისებულმა მუშებმა გადაწყვიტეს მსვლელობა 22 ოქტომბერსაც მოეწყოთ. საქართველოს ეგზარქოსის მიერ გადახდილი პარაკლისის შემდეგ მუშები, ძირითადად რუსი ეროვნებისა, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე მეფისნაცვლის სასახლისაკენ გაემართნენ. მუშათა დემონსტრაციას ამჯერადაც შეუერთდნენ ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, გიმნაზიელები და სხვადასხვა სასწავლებლის მონაფეები. სულ ცოტა ხანში დემონსტრანტების რაოდენობამ წინა დღისას ბევრად გადააჭარბა. 20.000 ადამიანი რუსეთის იმპერიის ჰიმნის გალობით სამხედრო დიდების ტაძარს მიუახლოვდა.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით აღტაცებული თბილისის მოსახლეობა თითქმის ყოველდღიურად მართავდა მიტინგებსა და დემონსტრაციებს. განსაკუთრებით აქტიურობდა ინტელიგენცია. როგორც მუშები, ისე ინტელიგენტები 17 ოქტომბრის მანიფესტს რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის დაასაბუთებისად მიიჩნევდნენ და დიდ იმედებს ამყარებდნენ სახელმწიფო სათათბიროზე. 17 ოქტომბრის მანიფესტს აშკარა პროტესტით შეხვდნენ რუსეთის კონსერვატორულ-მონარქისტული ძალები. 1905 წელს მონარქისტული ორგანიზაციები („რუსი ხალხის კავშირი“, „მიქაელ მთავარანგელოზის კავშირი“, „რუსული მონარქისტული პარტია“, „თავადაზნაურობის გაერთიანებული საბჭო“, „რუსული კრება“, „თეთრი ორთავიანი არწივი“ და სხვ.) გაერთიანდნენ ორგანიზაციაში, რომელსაც **„შავი რაზმი“ („ჩორნაია სოტნია“)** ეწოდა. შავრაზმეული მოძრაობის ლიდერები იყვნენ **ალექსანდრ დუბროვინი, ვლადიმირ პურიშკევიჩი, ნიკოლაი მარკოვი, მიხაილ შახოვსკი** და სხვ. ორგანიზაციის წევრები არ ყოფილან, მაგრამ კონსერვატორულ-

მონარქისტულ ძალებს თანაუგრძნობდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: დიდი მეცნიერი დიმიტრი მენდელეევი, გამოჩენილი მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი, ცნობილი ფილოსოფოსი ვასილი როზანოვი და სხვ. „შავი რაზმის" დაფუძნებლები და წევრები, ასევე მათი თანამგრძნობები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა და პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაცია რუსეთს დიდ უბედურებას მოუტანდა. შავრაზმელურ-მონარქისტული განწყობილება ძალზე ძლიერი იყო საქართველოს რუსულ მოსახლეობაში, განსაკუთრებით თბილისში. თბილისის „შავი რაზმი" სოციალური შემადგენლობით ძალზე ჭრელი იყო, მასში შედიოდნენ მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეები, ინტელიგენტები, სამხედროები, სამღვდელოება და სხვ. ისინი დაუფარავი პროტესტით შეხვდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს და, ცხადია, არ იზიარებდნენ იმ საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანებას, რომელმაც თბილისი მოიცვა. შავრაზმელები პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავდნენ.

დემონსტრანტების კოლონა, დარწმუნებული იმაში, რომ მას საფრთხე არსაიდან ელოდა, მშვიდად მიემართებოდა სამხედრო დიდების ტაძრისაკენ. გოლოვინის პროსპექტის ორივე მხარეს, ტროტუარებზე, უამრავი ხალხი იდგა და მშვიდად ადევნებდა თვალყურს მსვლელობას. თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ეზოში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მოეყარათ თავი, ალექსანდრეს ბაღიც გადაჭედილი იყო ხალხით. მოულოდნელად პროსპექტის ორივე მხარეს მდებარე შენობების ფანჯრებიდან კოლონას სროლა აუტეხეს. დემონსტრანტებს ცეცხლი შენობებში წინასწარ ჩასაფრებულმა კონსერვატორულ-მონარქისტულმა რუსთა „პატრიოტული პარტიის" მიერ ორგანიზებულმა შავრაზმელებმა გაუხსნეს. რამდენიმე კაცი პირველ წუთებშივე მოკლეს. შავრაზმელებმა სროლა გააგრძელეს, რასაც კვლავ მსხვერპლი მოჰყვა. ამ საყოველთაო დაბნეულობისა და არეულობის ვითარებაში იმ შენობის ფანჯრიდან, რომელშიც გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის" რედაქცია იყო მოთავსებული, ამჯერად შავრაზმელებმა დემონსტრანტებს ბომბი ესროლეს. რამდენიმე წუთის შემდეგ შავრაზმელებმა კიდევ უფრო დიდი სიმძლავრის ბომბი ისროლეს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ეზოდან, ასევე – ერთ-ერთი სახლის სახურავიდან. შეშინებულმა ხალხმა თავს გაქცევით უშველა, მათი უმეტესობა გოლოვინის პროსპექტით ვერის დაღმართისაკენ დაეშვა. მეორე ნაწილმა ბარიატინსკის (დღევანდელი გიორგი ჭანტურიას) ქუჩის გავლით სცადა გაქცევა. დემონსტრანტების შედარებით მცირე ნაწილი სამხედრო დიდების ტაძრის წინ დარჩა და მიტინგის მოწყობა მოინდომა, ამ დროისათვის გოლოვინის პროსპექტის ორივე მხარეს უკვე ქვეითი ჯარის ორი ასეული განლაგებულიყო. ჯარისკაცები დამიზნებით ისროდნენ მახლობელი სახლების ფანჯრებისაკენ, საიდანაც დემონსტრანტებს შავრაზმელებმა ტყვიები დაუშინეს და ბომბები ესროლეს. მალე ქვეითი ჯარის ორ ასეულს ცხენოსანი კაზაკები მიემატნენ და მათაც სროლა ატეხეს. შენობებში ჩასაფრებულმა შავრაზმელებმა ჯარს სროლითვე უპასუხეს. შეწყდა თუ არა ორმხრივი სროლები, სამხედრო დიდების ტაძრის წინ შეკრებილი დემონსტრანტები მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ გაემართნენ და საბოლოოდ ნაძალადევში მოიყარეს თავი. გოლოვინის პროსპექტზე დარჩენილმა ქვეითი ჯარის ორმა ასეულმა და ცხენოსანმა კაზაკებმა პოლიციასთან ერთად იმ სახლების გაჩხრეკა დაიწყეს, საიდანაც შავრაზმელმა მონარქისტებმა ცეცხლი გახსნეს. კერძოდ, გაჩხრეკილ იქნა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიისა და სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობები. შემდეგ გაჩხრიკეს სასტუმრო „მუხრანის" შენობა. ჯარმა და პოლიციამ ჯერ სროლა აუტეხა, ხოლო შემდეგ გაჩხრიკა რამდენიმე სახლი ავლაბარში.

შუადღისას გოლოვინის პროსპექტზე ახალი უბედურება დატრიალდა. პროსპექტის ბოლო ნაწილში შეიკრიბნენ შავრაზმელები და „ურას" შეძახილებით მეფისნაცვლის სასახლისაკენ გაემართნენ. თბილისის ვაჟთა გიმნაზიასთან ქვეითი ჯარის ასეულებმა და ცხენოსანმა კაზაკებმა საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. ტროტუარზე მდგარმა თბილისელებმა შავრაზმელების მხრიდან მოსალოდნელი დარბევის თაობაზე აცილების მიზნით ახლომდებარე სახლების სადარბაზოებსა და ეზოებს შეაფარეს თავი. ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობას რომ გაუსწორდნენ, შავრაზმელებმა გიმნაზიის ეზოს ჭიშკართან მდგარ მოქალაქეებსა და გიმნაზიელებს მოსთხოვეს ქუდები მოეხადათ და მათ მსვლელობას შეერთებოდნენ. თბილისელებმა მოთხოვნა არ შეასრულეს, განსაკუთრებით გიმნაზიელები აქტიურობდნენ. ამის საპასუხოდ დამრბევებმა გიმნაზისტები სასტიკად სცემეს, ხოლო შემდეგ გიმნაზიის ეზოში შეიჭრნენ. გიმნაზიელები რუსებს ქვების სროლით შეხვდნენ. იქვე მდებარე მანთაშევის სახლის ფანჯრებიდან შავრაზმელებს რევოლვერებიდან ცეცხლი გაუხსნეს სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების და დაშნაკელების მიერ ორგანიზებულმა რაზმებმა. ამის საპასუხოდ შავრაზმელები მანთაშევის სახლში შეიჭრნენ და

იქ თავშეფარებულთ დაუწყეს ცემა. მანთაშვეის სახლში მყოფებმა დამრბევებს განუცხადეს, რომ მათთვის უცნობი იყო, თუ ვინ ისროდა სახლის ზედა სართულების ფანჯრებიდან. მას შემდეგ, რაც რუსმა შავრაზმელებმა გაფრთხილება ყურად არ იღეს, ჯარმა ცეცხლის გახსნის ბრძანება მიიღო, თუმცა დამრბევები ამანაც არ შეაშინა. პირიქით, მათ საბრძოლო პოზიციები დაიკავეს და ორმხრივი სროლა თითქმის 2 საათს გაგრძელდა. ქვეითი ჯარის ორი ასეული და ცხენოსანი კაზაკები არა მარტო მახლობელ სახლებში გამაგრებულ შავრაზმელებს ესროდნენ, არამედ ტროტუარზე მოთარეშე დამრბევებსაც. შავრაზმელები სასტიკად უსწორდებოდნენ ჯერ კიდევ ქუჩაში მყოფთ. საყოველთაო დაბნეულობისა და არეულობის ვითარებაში შავრაზმელებთან ერთად ჯარისკაცებმა რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრებიც მოკლეს. სროლის შედეგად ფანჯრები ჩაიმსხვრა ზუბალოვისა და მანთაშვეის სახლებში, იმ შენობაში, სადაც გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის" რედაქცია და „არტისტული საზოგადოება" იყო მოთავსებული. მანთაშვეის სახლში შეჭრილმა შავრაზმელებმა და შემდეგ კაზაკებმა მთლიანად დაარბიეს შენობის სამივე სართული, დაამსხვრიეს ყველაფერი, რისი დამსხვრევაც შეიძლებოდა, ჩხრეკის დროს გაიტაცეს ძვირფასი ნივთები. შენობაში სისხლის გუბეები იდგა. დამრბევების დევნაში გართული რუსი ჯარისკაცები შეიჭრნენ გაზეთების „ვოზროჟდენიესა" და „ტიფლისკი ლისტოკის" რედაქციებში, გაჩხრიკეს და გაძარცვეს ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაც.

22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე შავრაზმელებმა და ჯარისკაცებმა სროლისას მოკლეს 41 ადამიანი (რამდენიმე მოკლულს ჭრილობა ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული, რაც შავრაზმელთა ხელნერის დამადასტურებელი იყო), მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა კიდევ 6 კაცი, დაიჭრა 66. სროლისა და ჩხრეკა-დარბევის დასრულების შემდეგ დაპატიმრებულები თბილისის კომენდატურაში გადაიყვანეს, კომენდატურაში გადაიტანეს დალუპულთა გვამებიც.

22 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, რუსმა შავრაზმელებმა გოლოვინის პროსპექტზე მეორე მსვლელობა დაიწყეს. ისინი მეფისნაცვლის სასახლისაკენ გაემართნენ. ამ დროისათვის პროსპექტზე, ქვეითი ჯარისა და ცხენოსანი კაზაკების გარდა, არავინ იმყოფებოდა.

22 ოქტომბერს ღამით მიხეილის საავადმყოფოში თბილისის კომენდანტურიდან 38 გვამი გადაიტანეს, იქვე მიიყვანეს 66 დაჭრილი, რომელთაგან 44-ს მძიმე ჭრილობები ჰქონდა მიყენებული, 22 კაცს – შედარებით მსუბუქი. 44 დაჭრილიდან მოგვიანებით 2 კიდევ გარდაიცვალა.

ოფიციალური ცნობით, თბილისის მიხაილის საავადმყოფოში გადასვენებული გვამების იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ დალუპულები იყვნენ:

1. ილია ბართლომეს ძე ქართველიშვილი;
2. გიორგი ალექსანდრეს ძე ეაჩნაძე (სტუდენტი);
3. ეკატერინე ვაჩნაძე (გიორგი ვაჩნაძის მეუღლე);
4. დავით მიხეილის ძე აღსაბაძე;
5. გიორგი სტეფანეს ძე მირიანაშვილი;
6. გ. ო. კოზლიტინი;
7. მ. მ. გოლუმბიევსკი;
8. პ. ი. სოროჟენკო;
9. ლ. ს. ბებურიშვილი;
10. ი. ი. თუმანოვი (თუმანიშვილი);
11. ი. შახბაზოვი;
12. ე. ტ. ჩინჩალაძე;
13. მ. ტერ-ოზაროვი;
14. ტ. პ. ხრუსტალევი;
15. ტ. ჯაჯანაშვილი;
16. პ. პ. შაპოვალოვი;
17. ი. ა. შონია;
18. მ. ა. ვოდოპიანოვა;
19. მ. კუხარევი;
20. ს. ი. ჭანუყვაძე;
21. ი. ი. ფალავანდიშვილი;
22. ს. ა. კანდახაზოვი;
23. მ. ა. ესიუკოვი;
24. მარია ამოევა;
25. გ. გ. ზინკოვი;
26. კ. ამირეჯიბი;
27. აზარაპეტოვი (გიმნაზიელი);
28. ოგანოვი (გიმნაზიელი);
29. ოლიმპოვსკი;
30. შახალოვა;
31. მელნიკოვი;
32. ფიოდოროვა;
33. ბუდაგოვა;
34. კუხიევი;
35. ბელიანი;
36. გულაბაშვილი;
37. ფიოდოროვი;
38. მიხაილ ცირიულნიკოვი.

მოკლულთა ვინაობის დადგენის შემდეგ გაირკვა დაჭრილთა ვინაობაც:

1. ვლადიმერ აზარაპეტოვი (გიმნაზიელი);
2. ვლადიმერ არეშიშვილი (გიმნაზიელი);
3. მელიქ-ნუბაროვი (გიმნაზიელი);
4. ვალერიან რუსსო (გიმნაზიელი);
5. ბუდნიკი (გიმნაზიელი);

6. ოვაკიმ ნაზარბეკოვი (გიმნაზიელი);
7. ბუგდან ოგანოვი (გიმნაზიელი);
8. ჯავრიშვილი (გიმნაზიელი);
9. კონსტანტინ ყორლანოვი (რეალური სასწავლებლის მოწაფე);
10. ოგანეზ შაიტანიანცი (სომხური სასულიერო სემინარიის მოწაფე);
11. ალექსანდრ შიხანოვი (კომერციული სასწავლებლის მოწაფე);
12. ვერა აკინფოვა (მასწავლებელი);
13. გიორგი ზონი;
14. გორეცელოვი;
15. გ. გულაბაშვილი;
16. ივ. დურგზაშვილი;
17. ენრიხ ელმუტი;
18. ედუარდ ევტეევი;
19. ალ. ისაკაძე;
20. გაბრიელ კარელინი;
21. ლევან კენჭიშვილი;
22. მარია კუბიცკაია;
23. სიკო მელაძე;
24. ამაიკ ნალბანდიანი;
25. გიორგი ნუკრაძე;
26. ნიკოლოზ ნერსესოვი;
27. არტაშეს ოგანეზოვი;
28. ანდრეი სოტნიკოვი;
29. ნიკოლაი სლავინი (მსახიობი);
30. ვასილი სერებრიაკოვი;
31. ივანე სულხანოვი (სულხანიშვილი);
32. თომა ხანგულოვი;
33. პელაგია ხოვლუკი;
34. ნასტასია შენპიკოვა;
35. მინას ბუდალოვი;
36. გრიგოლ აბაშვილი;
37. ალექსანდრე აბაშვილი;
38. იოსებ აბაშვილი;
39. ნაზარ პისკოსი;
40. პილოუკი (ქაზაკი);
41. პროხორ პოპოვი (პოლიციელი);
42. ივ. სტუიკოვი (პოლიციელი);
43. ვლადიმირ სინიცინი (უბნის ზედამხედველი);

დანარჩენი დაჭრილების ვინაობა ოფიციალურ დოკუმენტში დასახელებული არ არის. გაზეთი „კავკაზი" იუწყებოდა: გარდა მიხაილის საავადმყოფოსა, 2 დაჭრილი რკინიგზის საავადმყოფოში მიიყვანეს; 3 დაჭრილი (1 ჯარისკაცი, 1 გიმნაზიელი, 1 დაუდგენელი სოციალური წოდებისა) მოათავსეს სამხედრო ჰოსპიტალში; კადეტთა კორპუსში ალმოუჩინეს დახმარება 3 კაცს (1 კადეტს, კადეტთა კორპუსის 1 მასწავლებელს და შტაბს-კაპიტან პროზოროვსკის).

დღემდე საპოლემიკოა, თუ ვინ ატეხა სროლა გოლოვინის პროსპექტზე. დადგენილია მხოლოდ ის, რომ პოლიციასა და ჯარს სროლა არ დაუწყია. ასევე დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით აღტაცებულ დემონსტრანტებს ცეცხლი მანიფესტით გაღიზიანებულმა რუსმა შავრაზმელებმა გაუხსნეს. როგორც ჩანს, თბილისში მოქმედმა რევოლუციურმა პარტიებმა (სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა, დაშნაკელებმა) იცოდნენ, რომ რუსი მონარქისტები მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისათვის ემზადებოდნენ. სათანადოდ მოემზადნენ რევოლუციონერებიც. მათი რაზმები გოლოვინის პროსპექტზე რამდენიმე შენობაში განლაგდნენ, საიდანაც ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრაციის დარბევის მონაწილე მონარქისტებს. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ ფაქტს საგულდაგულოდ ჩქმალავდა და ამტკიცებდა, რომ გოლოვინის პროსპექტზე მხოლოდ მონარქისტები ისროდნენო. თუ ეს ვერსია სწორია, მაშინ მისმა შემთხზველებმა უნდა უპასუხონ სრულიად მარტივ კითხვას: რატომ შეიჭრნენ შავრაზმელები ზოგიერთ შენობაში, თუკი იქ მათი თანამებრძოლები იყვნენ განლაგებულნი და დემონსტრანტებს ესროდნენ? ამ შენობებში მონარქისტები იმიტომ შეიჭრნენ, რომ იქ რევოლუციონერთა რაზმები იყვნენ და დამრბევებს ესროდნენ. ამავე მიზეზით მათ აიკლეს შენობები და სასტიკად გაუსწორდნენ იქ თავშეფარებულ მშვიდობიან მოსახლეობას. ოფიციალური გაზეთი „კავკაზი", რომლის რედაქტორმაც და თანამშრომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ შენობებიდან ისროდნენ როგორც მონარქისტები, ისე რევოლუციონერები, ცდილობდა რუსი შავრაზმელებისათვის პასუხისმგებლობა აეცილებინა და ხოცვა-ჟლეტა რევოლუციონერი ტერორისტებისათვის გადაებრალებინა. სიმართლე კი ერთია: ხოცვა-ჟლეტა გოლოვინის პროსპექტზე დაგეგმეს და განახორციელეს რუსმა მონარქისტებმა, თუმცა მოსახლეობის დარბევამ რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო, რევოლუციონერთა ბრალიც იყო. შენობებში თავშეფარებული ადამიანები შავრაზმელებმა სწორედ რევოლუციონერი ტერორისტების ძებნისას დახოცეს.

1905 წლის 22 ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტამ თბილისში საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ხელისუფლებას საპროტესტო გამოსვლების ეშინოდა. 22 ოქტომბერსვე ქალაქის ქუჩებში გამოაყრეს ბრძანება, რომელიც მიტინგებსა და მანიფესტაციებს კრძალავდა. ხელისუფლების შიში უსაფუძვლო გამოდგა. 24 ოქტომბერს რსდმპ თბილისის კომიტეტმა უარი თქვა საპროტესტო გამოსვლებზე და, პირიქით, მიმდინარე გაფიცვის შეწყვეტას

დაუჭირა მხარი. 25 ოქტომბერს ქალაქში გაიხსნა ყველა მაღაზია და დუქანი, გარდა გოლოვინის პროსპექტისა, აღდგა ტრამვაის მოძრაობა, გამოვიდა გაზეთები: „ტიფლისსკი ლისტოკი“ და „ნოვოე ობოზრენიე“. ვითარებას ამძიმებდა ის, რომ გავრცელდა ხმები თბილისში სომეხ-თათართა მოსალოდნელი შეჯახების შესახებ. 25 ოქტომბერსვე თბილისის გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმირ იაცკევიჩმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც მითითებული იყო ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა მიტინგების გამართვა. 25 ოქტომბერს თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგა თბილისის პოლიციმაისტერი ვლადიმირ ალიშევსკი (ცისსი), ამ თანამდებობაზე დაინიშნა ახალციხის მაზრის ყოფილი უფროსი, კაპიტანი პედგურსკი. 26 ოქტომბერს დაკრძალეს 22 ოქტომბერს შავრაზმელთა მიერ მოკლული გიორგი ვაჩნაძე და მისი მეუღლე ეკატერინე, თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მოსწავლე მიხაილ ცირიულნიკოვი, რომელიც კაზაკებმა გიმნაზიის დერეფანში მოკლეს და გიმნაზიის პედაგოგი მ. ა. ვოდოპიანოვა და სხვები.

26 ოქტომბერს გაფიცვა შეწყდა და მოძრაობა აღდგა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

თბილისის სათათბიროს 1905 წლის 31 ოქტომბრის სხდომა. 31 ოქტომბერს, ორშაბათს, შედგა 1905 წლის 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტის შემდეგ თბილისის სათათბიროს პირველი სხდომა. სხდომას 42 ხმოსანი დაესწრო. სათათბიროს დარბაზის ლოჟები თბილისელებით იყო სავსე, თბილისელების ნაწილი დარბაზშიც იმყოფებოდა. სათათბიროს სხდომა უფრო მიტინგს ჰგავდა.

თბილისის სათათბირომ ქალაქის თავად ერთხმად აირჩია ვასილ ჩერქეზიშვილი (1858-1910). ახალმა ქალაქის თავმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ასე დაიწყო: „დღეს ქალაქის სათათბირო ამ კედლებში 29 აგვისტოს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ მორიგი სხდომის ჩასატარებლად პირველად შეიკრიბა. მართალია, სათათბიროს სხდომების განახლება ხმოსნებმა იმიტომ მოითხოვეს, რათა სასამართლო პასუხისგებაში მიეცნენ ისინი, ვინც უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაღვარა. მართალია, ეს ადამიანები დღემდე სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან და თავისუფლად დასეირნობენ, მაგრამ მართალია ისიც, რომ მათ უკვე გამოუტანეს იმაზე საშინელი განაჩენი, ვიდრე ამას სასამართლო ფორმალურად გააკეთებდა. მე ვსაუბრობ საზოგადოების მსჯავრის შესახებ. საზოგადოებრივი აზრის სასამართლომ ამ აღმაშფოთებელ ხოცვა-ჟლეტაში დამნაშავეები სამარცხვინო ბოძზე გააკრა და ისინი როგორც თანამედროვეთა, ისე მომავალი თაობების თვალში შეჩვენებულნი იქნებიან. დაე, ეს შეჩვენება მუდამ თან სდევდეთ მათ!“

ხმოსანმა ვ. მიქელაძემ მოკლედ გაიხსენა 1905 წლის 29 აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები და იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან ადამიანები კანონით გარანტირებული თავისუფლებით ისარგებლებდნენ. ხმოსანმა ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა დაგმო 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტა და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა. ხმოსანმა ნიკოლოზ ხუდადოვმა არ გაიზიარა ხმოსან ვ. მიქელაძის ოპტიმიზმი და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაენყოთ მზადება თბილისის სათათბიროს ახალი არჩევნებისათვის. გადაწყდა, ეს საკითხი სათათბიროს საგანგებო სხდომაზე განეხილათ.

სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა თბილისში (1905 წლის 22-29 ნოემბერი). ხელისუფლება იძულებული გახდა, დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ზოგიერთი რამ დაეთმო. 1 ნოემბერს პოლკოვნიკ ვლადიმირ ალიხანის მიერ გორისა და დუშეთის მაზრებში დაპატიმრებული რევოლუციური გამოსვლების მონაწილენი გაათავისუფლეს, მაზრებში დააბრუნეს ადრე ადმინისტრაციული წესით გასახლებული პირები. 2 ნოემბერს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგმა (მოადგილემ) დაკითხვაზე დაიბარა 1905 წლის 22 ოქტომბრის მოვლენათა თვითმხილველნი. 6 ნოემბერს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ 22 ოქტომბერს თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის დარბევისას შენობისათვის მიყენებულმა ზარალმა 18.000 მანეთს გადააჭარბა, აუცილებელი გახდა შენობის კაპიტალური შეკეთება, რადგან იატაკი და კედლები საფუძვლიანად იყო დაზიანებული. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გიმნაზიის შეკეთების ხარჯებს ხელისუფლება გაიღებდა. 8 ნოემბერს გამოქვეყნდა ცნობა, რომ 22 ოქტომბერს, გოლოვინის პროსპექტზე დაწყებული სროლის შემდეგ, უბნის ზედამხედველმა ტუშევსკიმ ავლაბარში განლაგებული ქვეითი ჯარის ასეული თვითნებურად აიძულა ცეცხლი გაეხსნა სახლებისათვის, რისთვისაც იგი თანამდებობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს (როგორც ჩანს, ტიუშევსკი შავრაზმელებთან იყო კავშირში, ამიტომ იგი სასწრაფოდ მიიმალა). ამ და სხვა ღონისძიებებმა შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც ხელისუფლება საგანგებო ღონისძიებების გატარებას შეუდგა: 1 ნოემბერს გამოქვეყნდა ცნობა, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერიის ჯარების მთავარ შტაბს, რათა ამიერკავკასიის რკინიგზა სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასულიყო; 5 ნოემბერს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის, კავკასიის მეფისნაცვალ ილ-

არიონ ეორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს პოლიტიკურ შეკრებებსა და მიტინგებში მონაწილეობა აეკრძალათ, ასევე აეკრძალათ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კავშირებში გაწევრიანება. გატარდა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად მოსახლეობის დაშინებას ისახავდა. 11 ნოემბერს გამოქვეყნდა ცნობა, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა მადლობა გამოუცხადა იმ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე გამართულ შეჯახებაში მონაწილეობდნენ.

1905 წლის ნოემბრის დამდეგიდან თბილისში კვლავ განახლდა ტერორისტული აქტები, გაიმართა რამდენიმე მიტინგი. გავრცელდა ხმები, რომ ქალაქში ახალი სისხლისღვრა მზადდებოდა, ამის საპასუხოდ 12 ნოემბერს პრესაში გამოქვეყნდა თბილისის გუბერნატორ, გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ალექსანდრ-ერნესტ რაუშ ფონ ტრაუბენბერგის (1855-1923) 8 ნოემბრის ბრძანება, რომელიც მოსახლეობას არწმუნებდა, რომ არავითარი საშიშროება ქალაქს არ ელოდა და მცხოვრებთ სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა. თუმცა იმავე დღეს მომხდარმა მკვლელობამ მოსალოდნელი სისხლისღვრის შესახებ ეჭვები გააძლიერა. 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მე-7 უბანში, უცნობმა პირმა მსროლელთა ბატალიონის მე-2 ასეულის ეფრეიტორი იაკობ ხლინინი მოკლა. იმავე ასეულის ჯარისკაცებმა მახლობლად მდებარე დუქანი დაარბიეს. უნესრიგობა სასწრაფოდ იქნა აღკვეთილი. ქალაქში სიმშვიდის დაცვის აუცილებლობაზე იმსჯელა 1905 წლის 12 ნოემბერს გამართულმა თბილისის სათათბიროს სხდომამ. ხმოსნების აზრით, აუცილებელი იყო პოლიციის გაუქმება და მისი ფუნქციების სახალხო მილიციისათვის გადაცემა. სხდომა, რომელიც 4 საათი გაგრძელდა, დადგენილების მიღების გარეშე დასრულდა.

მართალია, 1905 წლის ნოემბერის პირველ ნახევარში თბილისში დიდი გამოსვლები არ ყოფილა, მაგრამ მოულოდნელად ვითარება უკიდურესად დაძაბა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტამ. 22 ნოემბერს, დაახლოებით საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, თბილისში, ხარფუხსა და აგლაბარში, რომლებიც ძირითადად სომხებითა და აზერბაიჯანელებით (თათრებით) იყო დასახლებული, სროლა დაიწყო, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა. ერთმანეთს თათრები და სომხები ესროდნენ, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. 23 ნოემბერს დილით სროლა კვლავ გაგრძელდა, ამჯერად შეჯახება ქალაქის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 უბნებში მიმდინარეობდა. შუადღის 2 საათისათვის სროლა შეწყდა. დაახლოებით



ისიდორე რამიშვილი

2 საათზე გოლოვინის პროსპექტზე კურცის იარაღის მაღაზიასა და ნიკოლაის ხიდთან მდებარე ტერ-სააკოვის იარაღის მაღაზიასთან შეკრებილმა ხალხმა მაღაზიების კარები შეამტვრია, იარაღი და ტყვიები გაიტაცა.

23 ნოემბერს, როგორც კი ხარფუხსა და აგლაბარში სროლა შეწყდა, სომხებსა და თათრებთან მოსალაპარაკებლად გაემართა საგანგებოდ შექმნილი დეპუტაცია ქალაქის თავ ვასილ ჩერქეზიშვილის, სამღვდელოების, საპატრო მოქალაქეების, სომეხთა და თათართა წარმომადგენლობის შემადგენლობით. თათრები სომხებს ადანაშაულებდნენ, სომხები კი – თათრებს. შერიგებას პირი არ უჩანდა.

23 ნოემბერს, დაახლოებით დღის 3 საათზე, რსდმპ თბილისის კომიტეტის ინიციატივით ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს და ნაძალადევიდან ავჭალის ქუჩის გაყოლით ხარფუხისაკენ დაიძრნენ. მუშების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა მენშევიკმა სოციალ-დემოკრატმა ისიდორე რამიშვილმა (1859-1937), რომელიც რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ შერჩეულ კიდევ სამ ნარმომადგენელთან ერთად ოფიციალურად მიიწვია თავისთან კავკასიის მეფისნაცვალმა. ისიდორე რამიშვილმა მეფისნაცვალს 500 შაშხანა და 10.000 ვაზნა მოსთხოვა და პი-

რობა დადო, რომ სომეხ-თათართა სისხლისღვრას ქალაქს თავიდან აცილებდა. შეხვედრის შემდეგ ისიდორე რამიშვილი, ქალაქის თავი ვასილ ჩერქეზიშვილი და რუსი პოლკოვნიკი თბილისის არსენალში მივიდნენ და იარაღი ჩაიბარეს, რომელიც შემდეგ მუშათა რაზმებს დაურიგეს (შემდეგ ამ იარაღის ნაწილი, ისიდორე რამიშვილის მცდელობის მიუხედავად, მუშებმა არსენალში აღარ დააბრუნეს, იარაღის ნაწილი 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს გამოიყენეს, ნაწილი აჯანყების დამარცხების შემდეგ ტერორისტების ხელში აღმოჩნდა, ჟანდარმერიას და პოლიციას ეს იარაღი 1914 წელსაც კი არ ჰქონდა მთლიანად ამოღებული). მიხაილ ვორონცოვის ძეგლთან მისული მუშები გენერალმა რილსკიმ შეაჩერა, მაგრამ სალდათის ბაზრის გავლით მათ მაინდანზე მისვლა შეძლეს. მაინდანსა და მის გარშემო უფრო მრავლად თათრებს მოეყარათ თავი. ისიდორე რამიშვილმა იმ დღეს ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება მართლაც შეძლო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ სომეხ-თათართა შერიგება შესაძლებელი იყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

23 ნოემბერს თბილისის მიხაილის საავადმყოფოში აელაბრიდან და ხარფუხიდან 13 გვამი გადაიტანეს, მოკლულთა შორის 11 თათარი და 1 სომეხი მამაკაცი და 1 სომეხი ქალი იყო. საავადმყოფოში ასევე მიიყვანეს მსუბუქად დაჭრილი 12 ადამიანი (3 სომეხი, 5 თათარი და 4 ქართველი). შედარებით უფრო მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში მოგვიანებით გადაიყვანეს 23 კაცი (14 თათარი, 5 სომეხი, 3 ქართველი და 1 გერმანელი).

1905 წლის 24-26 ნოემბერს თბილისში შედარებით სიმშვიდე სუფევდა, ამ დღეებში არ გამოსულა გაზეთები, ყველა ტიპის სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო. როგორც სულ მალე გაირკვა, სომხები და თათრები ახალი შეჯახებისათვის ემზადებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სომხები როგორც შეიარაღების, ისე საბრძოლო რაზმების რაოდენობის მხრივ თათრებზე უკეთ იყვნენ ორგანიზებულნი. ამით იყო განპირობებული ის, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებაში უფრო მეტი თათარი დაიღუპა.

27 ნოემბერს, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, მაიდანში კვლავ დაიწყო სროლა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. ცალკეული სროლები შემდეგაც ისმოდა, საღამოს 9 საათზე კი შეტაკება ახალი ძალით განახლდა. სომხები და თათრები არა მარტო სახლების ფანჯრებიდან, არამედ საგანგებოდ აგებული ბარიკადებიდანაც ესროდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით აქტიურობდა მაუზერებით შეიარაღებული დაშნაკციუტუნის საბრძოლო რაზმი. სოლოლაკში დიდი ზარალი განიცადა ისიდორე რამიშვილის მიერ ორგანიზებულმა მუშათა რაზმმა. იმ დღეს მოკლეს ქართველი სოციალ-დემოკრატი რაჟდენ სტურუა, რომელიც ისიდორე რამიშვილთან ერთად ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტას ცდილობდა. იმ საღამოს აგრეთვე დაჭრეს სოციალ-დემოკრატი მუშები ივან ბეკეტოვი და თეოფილე გაბინაძე.

28 ნოემბერს დილით დაწყებული სროლა საღამომდე გაგრძელდა. იმ დღეს ხარფუხში დაახლოებით 70 თათარი დაჭრეს. დალუპული თათრების შესახებ ცნობა არ არის, რადგან ოჯახის წევრები და ნათესავები მათი გვამების საავადმყოფოში გადატანის ნებას არ იძლეოდნენ.

29 ნოემბერს მაიდანში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც თითქმის მთელი კვარტალი გაანადგურა. მიმდინარე სროლების გამო სახანძრო რაზმი რაიონში ვერ შევიდა. 12 საათზე თბილისის რკინიგზის სადგურიდან ტრამვაით მიმავალ 10 თათარს ნეკრასოვის ქუჩაზე თავს დაესხნენ სომხები და ცეცხლი გაუხსნეს. თათრებმა გაქცევით უშველეს თავს. შეტაკებისას 2 თათარი დაიღუპა, რომელთა გვამები სომხებმა მტკვარში გადაყარეს. ირანის ქვეშევრდომი ნალი სადი ოღლი დაიჭრა და თავის გადარჩენის მიზნით თვითონ გადახტა მტკვარში, რომელიც დახრჩობისაგან ერთმა მალაკანმა იხსნა და მიხაილის საავადმყოფოშიც მიიყვანა.

1905 წლის 30-31 ნოემბერს თბილისში სომეხ-თათართა შეტაკება აღარ მომხდარა.

7. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. საგაფიცეო მოძრაობის დროებით შენელების შემდეგ ახალი აღმავლობა დაიწყო. დეკემბერში გაიფიცნენ მოსკოვის სარკინიგზო კვანძის მუშები და მოსამსახურეები. მალე გაფიცა რუსეთის იმპერიის 33 ქალაქს მოედო. გაფიცება მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. 1905 წლის 10-17 დეკემბერს მუშების შეიარაღებულმა რაზმებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ჯარსა და პოლიციას. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა მოსკოვის ერთ-ერთ უბან პრესნიაზე. ხელისუფლებამ მოსკოვში სასწრაფოდ შეიყვანა სემიონოვის გვარდიული პოლკი. ბრძოლებში დაახლოებით 1.000 მუშა დაიღუპა. მუშებსა და ჯარს შორის შეჯახებები მოხდა იმპერიის სხვა ქალაქებშიც: სორმოვოში, ნიჟნი ნოვგოროდში, ხარკოვში, დონის როსტოვში, ეკატერინოსლავში, თბილისში და სხვ.

8. ვითარება საქართველოში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წინა პერიოდი დაძაბული გამოდგა საქართველოში. არ წყდებოდა გაფიცვები, მოიშალა ქალაქის სურსათით მომარაგება, გაძვირდა პროდუქტი, შეშა და ნავთი, მაღაზიები და დუქნები უმეტესწილად დაკეტილი იყო. დაიხ-

ურა ყველა თეატრი და კინოდარბაზი. თბილისი ელექტროენერგიით დიდი შეფერხებებით მარაგდებოდა, რის გამოც ღამით ქალაქის ცენტრიც კი ხშირად ჩაბნელებული იყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო თბილისი ფოსტა-ტელეგრაფის მუშებისა და მოხელეების გაფიცვამ. თბილისში დეპეშები და ნერილები აღარ მოდიოდა. 1905 წლის 12 დეკემბრისათვის ვლადიკავკაზში დაგროვილი იყო მარტო პეტერბურგიდან და მოსკოვიდან გამოგზავნილი 743 დეპეშა, რომელსაც გაფიცვის გამო თბილისი ვერ ღებულობდა. 13 დეკემბერს სატელეფონო-სატელეგრაფო ოლქის უფროსის ბრძანებით გაფიცვაში მონაწილეობისათვის ასზე მეტი ადამიანი სამსახურიდან დაითხოვეს. შექმნილი ვითარების გამო ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1905 წლის 16 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტმა **იაკოე მალამ** გამოსცა ბრძანება, რომელიც ნაწილობრივ ზღუდავდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაბოძებ სამოქალაქო უფლებებს. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, თბილისის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე თავისუფალი შესვლა ნებადართული მხოლოდ სამხედროებისათვის იყო. დანარჩენ ადამიანებს, მათ შორის რკინიგზის სადგურის მომსახურე პერსონალს, შესვლა მხოლოდ საგანგებო საშვებით შეეძლოთ. 17 დეკემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ვლადიმერ იაკუბოვიჩმა** გამოსცა ბრძანება, რომელიც მაღაზიებისა და დუქნების მფლობელებს ავალდებულებდა დღის 12 საათისათვის ვაჭრობა განეახლებინათ. მიუხედავად ბრძანებისა, სულ რამდენიმე მაღაზია და დუქანი გააღეს.

1905 წლის 18 დეკემბრის სისხლიანი ანგარიშწორება ნაძალადევში. 18 დეკემბერს, დილით ადრე, თბილისის რკინიგზის სადგურში დეპოდან გამომავალ რკინიგზის ხაზების მახლობლად უცნობი პირები (დაახლოებით 30 კაცი) მოულოდნელად თავს დაესხნენ და შეიპყრეს 3 რუსი ეროვნების მუშა, რომლებიც ის-ის იყო, შეუდგნენ მუშაობას. შეპყრობილები მაშინვე ნაძალადევში გადაიყვანეს. ჟანდარმერიისათვის ცნობილი იყო, რომ ნაძალადევში ინახებოდა დიდი რაოდენობით ბომბები და ცეცხლსასროლი იარაღი. ხელისუფლებამ გადაწყვიტა იარაღის ამოღების მიზნით ჩხრეკა ჩაეტარებინა. 18 დეკემბრის დილითვე ნაძალადევს ალყა შემოარტყა ჯარმა. ქვეითი ჯარის ოცეულს, რომელიც პოზიციას იკავებდა ეკლესიის გვერდით, ხევის ნაპირას, მოულოდნელად გორაკების მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს, ცეცხლითვე უპასუხეს სამხედროებმაც. თითქმის იმავდროულად შეუტიეს ქვეითი ჯარის მეორე ოცეულსაც, რომელიც შეიარაღებული ადამიანების დაკავებას ცდილობდა. ამის შემდეგ ალყაზე მდგარმა ჯარმა ერთდროულად გახსნა ცეცხლი, რის შემდეგაც ნაძალადევში მყოფი მუშათა შეიარაღებული რაზმები მიმოიფანტნენ და თავი მახლობელ სახლებს შეაფარეს. პოლიციის ცნობით, ნაშუადღევის 3 საათისათვის ნაძალადევში მოკლული იყო 9 ადამიანი, დაიჭრა 3.

ვითარება თბილისში 1905 წლის 18 დეკემბრის შემდეგ. ნაძალადევში მომხდარ შეჯახებას რამდენიმე ტერორისტული აქტი მოჰყვა: 1905 წლის 19 დეკემბერს სასამართლოს ქუჩაზე ტერორისტები თავს დაესხნენ თბილისის პოლიცმაისტერ როტმისტრ **მარტინოვს**, რომელსაც 4 ტყვია ესროლეს, მარტინოვი გადარჩა; 20 დეკემბერს ტერორისტმა მძიმედ დაჭრა თბილისის მე-9 უბნის პრისტავი **სნიტკო**; 20 დეკემბერს მოკლეს ჟანდარმერიის ოფიცერი **ბობრუსოვი**; 20 დეკემბერს გოლოვინის პროსპექტზე, კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების მაღაზიაში ტერორისტმა ბომბი შეაგდო, დაიჭრა 7 ადამიანი, მათ შორის თბილისის „შავი რაზმის" აქტიური წევრი გლოვაჩევსკი; 22 დეკემბერს სალდათის ბაზარში 2 ბომბის აფეთქების შედეგად 3 სამხედრო დაიღუპა. იმ სახლს, საიდანაც ბომბები ისროლეს, ჯარმა ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 33 კაცი დაიღუპა, 30 დაიჭრა; 23 დეკემბერს ყიფიანის ქუჩაზე ტერორისტმა რევოლვერიდან გასროლით მოკლა მსროლელთა 33-ე პოლკის პორუჩიკი **იასონ ძირკველიშვილი**; 10 ნუთის შემდეგ თხინვალას ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის სადარბაზოდან უცნობმა ახალგაზრდა მამაკაცმა ესროლა და მძიმედ დაჭრა ქალაქის მეორე უბნის პოლიციელი **აფანასი გელიუსი**. სროლის ხმაზე კაზაკებმა მოირბინეს და ცეცხლი გაუხსნეს იმ სახლს, საიდანაც ტერორისტმა ისროლა. სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. სროლისას დაიღუპა ტერორისტი, რომლის ვინაობაც დადგინდა, იგი აღმოჩნდა **ვასილ ხუციშვილი**; 23 დეკემბერს დიდუბეში, შერემეტიევისა და ელისაბედის ქუჩის გადაკვეთაზე მდგარი 2 სახლიდან, ჯარს ცეცხლი გაუხსნეს, ხოლო შემდეგ ბომბი ისროლეს, დაიჭრა 2 სამხედრო. ჯარმა სახლებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა, რასაც ხანძარი მოჰყვა. ხანძრის დროს ერთ-ერთ სახლში შენახული 2 ბომბი აფეთქდა. დაიღუპა ბომბის 4 მსროლელი. გარდა ამისა, კიდევ დაიღუპა 2 შემთხვევითი გამვლელი (დავიდოვი და მისი უცნობი მეგობარი), 8 წლის **ანნა ბონდარენკო**, დაიჭრნენ ანა ბონდარენკოს მამა, დედა და 3 მცირეწლოვანი და-ძმა.

1905 წლის 23 დეკემბერს თბილისის მიხაილის საავადმყოფოში 20-23 დეკემბერს დალუპულთა გე-

ამები გადაიტანეს, დადგინდა მათი ვინაობა:

1. ე. ხელიძე;
2. ვ. ტაბიძე;
3. ვასილი ხუციშვილი;
4. ივანე ჩიკვილაძე;
5. ვილჰელმ ოუნგი;
6. ადოლფ პეიდმანი;
7. გაბრიელ მაღრაძე;
8. ალექსანდრა ალაბაბოვა;
9. კონსტანტინ გენჯანიანცი;
10. აკოფ ფრანგიანცი;
11. ზაქარია სარაჯიევი (სარაჯიშვილი);
12. ილია კოდინი;
13. ზურაბ ზანტუკიანცი;
14. სერგო ბურჭულაძე;
15. კარლ ალბინი;
16. ტარასი ცინცაძე;
17. ვიქტორ ახობაძე;
18. გიორგი დანგიყელაშვილი;
19. ლეჟავა.

საავადმყოფოში მიყვანილი დაჭრილებიდან ბევრი ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ მათი სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. დადგინდა დალუპულთა ვინაობა:

1. პალიევი;
2. ანაი ქიარიმ ოღლი;
3. არტაშეს სააკოვი;
4. თანდილა ტატულაშვილი;
5. გაბო მაჭარაძე;
6. გიორგი დათიკაშვილი;
7. იაკობ კელტავა (ასეა დოკუმენტში).

რამდენიმე გვამი ვერავინ ამოიცნო და ამდენად, მათი ვინაობაც ვერ დადგინდა.

საავადმყოფოში მიიყვანეს დაჭრილები:

1. მურად გასპაროვი;
2. ელენა ივანოვა;
3. ვაგან ატამოვი;
4. იულია გედელმანი;
5. იაკობ მნაცაკანოვი;
6. მარტიროს მატინოვი;
7. იულია სიხარულიძე;
8. ისაკ სემიონოვი;
9. ბაბილო კაკალაშვილი;
10. იოსებ ქვლივიძე;
11. ლევან კერვალიძე;
12. მიხაილ ზახაროვი;
13. ტიგრან მიჩიკიანცი (მალალიანცი);
14. კორპ მელიქიანცი;
15. ნესტორ გვაზავა;
16. სოლომონ სარქისოვი;
17. ვასილი ალელოვი;
18. მანუკ ბარსეგოვი;
19. სარქის ბაღდასაროვი;
20. ისაკ არუთინოვი;
21. გაბო მაჩაიძე;
22. ფარსადან მაჭარაძე;
23. კარაპეტ ხარაზოვი;
24. პროკოფი ბურალისი;
25. კუზნეცოვი (კაზაკი).

ჯარი და პოლიცია კვლავ აგრძელებდა ჩხრეკებს ქალაქში. ფილიპ პაულუჩის ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში, 6 ბომბი აღმოაჩინეს, სახლის მცხოვრებთაგან დააპატიმრეს: **ვ. შახნაზაროვი, სტეფანე ნაირამოვი, ა. იარაკოვი, ა. სარუხანოვი.**

1906 წლის იანვრის დამდეგიდან თბილისში გაფიცვებმა იკლო. გაფიცვების განახლების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ რამდენიმე საგანგებო ღონისძიება გაატარა. ქალქში შემოყვანილი იქნა კაზაკთა ჯარის დამატებითი ასეულები. თბილისის სადგურზე, დიდ ქარხნებთან, ბაზრებში, ხიდებთან, სახელმწიფო დანესებულებებთან მუდმივად მორიგეობდა პოლიცია და ჯარი. ჯარი მუდმივად იდგა ნაძალადევში.

თავი II. ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1906 წლებში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის სანყის ეტაპზე



პიოტრ სტრუვე

1905 წელს რევოლუცია ისე დაინყო, რომ ღრმა იატაკქვეშეთში მყოფი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დაკავებული იყო ბოლშევიკურ და მენშევიკურ ფრაქციათა შორის ორგანიზაციულ და იდეურ ნიადაგზე აღმოცენებული შიდაპარტიული უთანხმოების გარკვევით. ისევე, როგორც რუსეთის სხვა პოლიტიკური პარტიებისათვის, სოციალ-დემოკრატიისათვისაც სრულიად მოულოდნელი იყო რევოლუციის დანყება. უფრო მეტიც, **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 1905 წლის 9 იანვრის შემდეგაც რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა რევოლუციის მსვლელობაზე, რევოლუციურ ბრძოლებს ვერ აძლევდა მისთვის სასურველ მიმართულებას.** მოგვიანებით აღმოცენებული საგაფიცო კომიტეტები და ბიუროები, ასევე მუშათა, ჯარისკაცთა, მეზღვაურთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა მცდელობის მიუხედავად, მაინც ზეპარტიულ ორგანოებად რჩებოდნენ, მთლიანობაში აღებული, გამოხატავდნენ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის ინტერესებს, არამედ რევოლუციაში მონაწილე მასების, ცალკეული სოციალური ჯგუფების მისწრაფებებს. რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე გამორიცხავდა ორგანიზებული რევოლუციური ძალის არსებობას ქვეყანაში, ზრდილა სტიქიურობის ხვედრით წილს. სწორედ ამიტომ **პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები თითქმის ვერსად ვერ გამოვიდნენ რევოლუციური ბრძოლების ხელმძღვანელის როლში.** რუსეთის რევოლუციამ წინ წამოსწია სრულიად შემთხვევითი პიროვნებები: 9 იანვრის მსვლელობის ორგანიზატორი, მღვდელი **გეორგი გაპონი** (1870-1906); პოლიტიკაში სრულიად გაუთვითცნობიერებელი, სანქტ-პეტერბურგის მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე **გეორგი ხრუსტალევ-ნოსარი** (1877-1919) და სევასტოპოლში მეზღვაურების აჯანყების მოთავე, ლეიტენანტი **პიოტრ შმიდტი** (1867-1906). მარტო ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, თუ რა ზუსტ შეფასებას აძლევდა **პიოტრ სტრუვე** (1870-1944) რუსეთში შექმნილ ვითარებას, როცა 1905 წლის 7 იანვარს, რევოლუციის დანყებამდე ორი დღით ადრე, საზღვარგარეთ გამომავალ „ოსვობოჟდენიეში" წერდა: „რევოლუციური ხალხი რუსეთში ჯერ კიდევ არ არის". **1905 წელს რუსეთში რევოლუცია დაინყო და განვითარდა როგორც უდიდესი მასშტაბის, მაგრამ სტიქიური მოძრაობა. რუსეთში არ აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც შეძლებდა ამ მოძრაობის კოორდინირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, მისცემდა მას შეტ-ნაკლებად ორგანიზებულ ხასიათს.** ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ლიდერები კი იმ როლსაც ვერ თამაშობდნენ რევოლუციაში, რა როლიც შეასრულეს გეორგი გაპონმა, გეორგი ხრუსტალევ-ნოსარმა და პიოტრ შმიდტმა. რუსეთის რევოლუცია რომ ასე წარიმართებოდა, მასში რომ დამანგრეველი ფაქტორი უფრო ძლიერი იქნებოდა, ეიდრე აღმშენებლობითი და, რაც მთავარია, მისი მარცხი რომ გარდაუვალი იყო, პიოტრ სტრუვეს გარდა წინასწარ განჭვრიტეს მიხაილ ტუგან-ბარანოვსკიმ (1865-1919), პაველ მილიუკოვმა (1859-1943) და სხვებმა. **1905 წლამდე რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთადერთი ორგანიზებული ძალა იყო ბურჟუაზია და არა მუშათა კლასი, ან მუშათა კლასი და გლეხობა ერთად აღებული.** რუსეთის ბურჟუაზიის ნანილი ცდილობდა, ჯერ კიდევ რევოლუციის დანყების წინ გამოენახა საერთო ენა სოციალისტურ პარტიებთან და მუშათა კლასთან, რადგან ხედავდა სოციალისტების გაელენის ზრდას მუშებში და საერთოდ სოციალისტური პარტიების (სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების) მზარდ როლს



მიხაილ ტუგან-ბარანოვსკი

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამგვარი კაეშანი იქნებოდა იმის წინაპირობა, რომ რუსეთი თავიდან აიცილებდა დიდ სოციალურ კონფლიქტებს, რევოლუციას, დასაბამი მიეცემოდა ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სისტემების ევოლუციურ გარდაქმნას. სოციალისტურმა პარტიებმა ბურჟუაზიასთან კომპრომისის ტაქტიკა უარყვეს. შედეგი არ გამოიღო ლონდონში ვლადიმერ ლენინთან სპეციალური მისიით პაველ მილიუკოვის ჩასვლამაც. **სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები გიორგი პლეხნოვისა და ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით, ერთგულნი დარჩნენ პროლეტარული რევოლუციის იდეისა, იმ რევოლუციისა, რომლისთვისაც რუსეთი მზად არ იყო.** ცარიზმის მოსპობა ცალ-ცალკე არც რუსეთის ბურჟუაზიას და არც მუშათა კლასს არ შეეძლო, მათი შეკავშირება კი არ მოხერხდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო რევოლუცია რუსეთში.

რევოლუციის დასაწყისისათვის ქართული სოციალ-დემოკრატიაც ფრაქციულ ბრძოლებში იყო გართული. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში გაცილებით ძლიერი იყო მენშევიკური მიმდინარეობა, რომელსაც ჰყავდა ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: **ნოე ჟორდანია (1869-1953), სილიბისტრო ჯიბლაძე (1859-1922), ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926), ისიდორე რამიშვილი (1859-1937), ვლადიმერ დარჩიაშვილი (1872-1916), ირაკლი ნერეთელი (1881-1959), აკაკი ჩხენკელი (1874-1959), ნოე რამიშვილი (1881-1930), ევგენი გეგეჭკორი (1881-1954)** და სხვები. ბოლშევიკური მიმდინარეობის ინტელექტუალური და ორგანიზაციული შესაძლებლობები გაცილებით სუსტი იყო. იგი თითქმის იოსებ ჯუღაშვილის (1879-1953) პიროვნებით ამოინურებოდა. სერიოზულ ძალას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამორჩენილი წარმომადგენელი **ფილიპე მახარაძე (1868-1941),** მაგრამ წინააღმდეგობამ მასსა და იოსებ სტალინს შორის, რამაც იმხანად უკვე მნეველ ხასიათი მიიღო, დაასუსტა ბოლშევიკური ფრაქციის ძალები საქართველოში. არაქართველი ეროვნების სოციალ-დემოკრატები (სტეფანე შაუმიანი, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან კნუნიანცი და სხვ.) ბევრს ვერაფერს მატებდნენ ბოლშევიკური ფრაქციის ძლიერებას. დანარჩენი ბოლშევიკები, ძირითადად დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე მუშები, ასევე სხვა სოციალური ფენიდან გამოსული პარტიული მუშაკები, რუსეთიდან საგანგებო მისიით ჩამოსული ბოლშევიკი რევოლუციონერებიც კი არ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია ფრაქციული ბრძოლების სიმწვავეზე. შიდაპარტიული ბრძოლები საქართველოში ძალზე მძაფრად მიმდინარეობდა.

რევოლუციის დასაწყისისათვის საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა მენშევიკური ფრაქციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიზმის გავლენა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, თბილისის რკინიგზის დეპოსა და საერთოდ რკინიგზის მუშებში, ასევე ბათუმის მუშებში. მენშევიკების გავლენა ძლიერი იყო გურია-იმერეთის გლეხობაში, სახელმწიფო და კერძო დანესებულებების მოხელეთა შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში, წვრილ ვაჭარ-ბა და ხელოსანებში. მენშევიზმი ძლიერი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ ინტელიგენციაში (მასწავლებლებში, ექიმებში, ინჟინრებში და სხვ.). ბოლშევიზმის პოზიციაზე იდგა რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელიც ცდილობდა თბილისის მუშათა კლასში გავლენის მოპოვებას. კავკასიის კავშირის პოზიცია იმდენად გამთიშველი იყო, რომ რევოლუციის დაწყებისთანავე, 1905 წლის იანვარში, ჯერ კიდევ თბილისში ნოე ჟორდანიას დაბრუნებამდე, ქართველმა მენშევიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიის კავშირიდან გამოსვლის შესახებ. ამის შემდეგ ფრაქციული ბრძოლები ახალ, უფრო მწვავე ფაზაში შევიდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალი პირობების შესაბამისად გარდაქმნა ნოე ჟორდანიას სახელს უკავშირდება. ნოე ჟორდანია ჟენევიდან პეტერბურგისა და ბაქოს გავლით 1905 წლის თებერვალში თბილისში დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე იგი ხდება რსდმპ თბილისის კომიტეტის ნერვი მენშევიკური ფრაქციიდან. 1905 წლის აპრილიდან მისი რედაქტორობით გამოსვლას იწყებს მენშევიკური მიმართულების გაზეთი „სოციალ-დემოკრატი". ნოე ჟორდანიას საქართველოში დაბრუნების მომენტისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში სრული ორგანიზაციული და იდეური დაბნეულობა სუფევდა. 1905 წლის 16 იანვრიდან ფილიპე მახარაძის ფაქტობრივი რედაქტორობითა და იდეური ხელმძღვანელობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „მოგზაური" 1904 წელს დახურული „კვალის" მემკვიდრედ იყო გამოცხადებული. სინამდვილეში, „მოგზაური" ვერ ახერხებდა „კვალის" ტრადიციების შენარჩუნებას. დამკვიდრებული შეხედულების ნინააღმდეგ უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის დასაწყისისათვის, რსდმპ III ყრილობამდე (1905 აპრილი) მაინც, ჟურნალი „მოგზაური" არ იდგა ბოლშევიზმის პლატფორმაზე. „მოგზაურში" ქვეყნდებოდა როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური მიმართულების ნერილები და სტატიები. ჟურნალთან თბილისში დაბრუნების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა ნოე ჟორდანია. 1905 წლის 6 მარტს „მოგზაურში" ხელმოწერით „ჯ. ქ." დაიბეჭდა ნერილი „კლასობრივი ნინააღმდეგობა ჩვენში და უცხოეთში". ნერილის ავტორი რსდმპ III ყრილობამდე კარგა ხნით ადრე ავითარებს ბოლშევიკურ შეხედულებას რევოლუციის მიზეზების, მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების შესახებ. უფრო ადრე, 1905 წლის 20 თებერვალს, „მოგზაურში" დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას თეორიული წერილი „რა არის პარტია". ავტორი იცავდა პარტიაზე მენშევიკურ შეხედულებას. ნოე ჟორდანიას ნინააღმდეგ ჟურნალის იმავე ნომერში მოთავსებული იქნა ალექსანდრე ნულუკიძის წერილი „ვანია შენიშენა დიდ კითხვაზე", რომელიც ბოლშევიკური პოზიციიდან იყო დანერილი. მიმდინარე მომენტის მენშევიკური შეფასება მოცემული იყო 1905 წლის თებერვალ-მარტში ნოე ჟორდანიას მიერ „მოგზაურში" დაბეჭდილ ორ „შინაურ მიმოხილვაში". რუსეთში დანყებულ რევოლუციას ეხმიანებოდა 1905 წლის აპრილ-ივნისში „მოგზაურში" გამოქვეყნებული ნოე ჟორდანიას ნაშრომი „საფრანგეთის ისტორიდან", რომელიც 1906 წელს ცალკე გამოცემადაც გამოვიდა.

გამოკვეთილად ბოლშევიკურ პლატფორმაზე იდგა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", რომლის იდეური ხელმძღვანელი იოსებ ჯუღაშვილი იყო. ნოე ჟორდანიასაგან განსხვავებით, იგი რევოლუციის დაწყების შემდეგ დიდ აქტიურობას იჩენდა. ცნობილია, რომ მან შეადგინა რამდენიმე პროკლამაცია. იოსებ სტალინი ნაყოფიერ თეორიულ მოღვაწეობას იწყებს რსდმპ III ყრილობის შემდეგ.

რევოლუციის დაწყების მომენტისათვის თბილისში შექმნილ ვითარებას ნოე ჟორდანია ასე ახასიათებს: „მუშათა მასებში რევოლუციური სული ღვიოდა, ორგანიზაციებსა და კომიტეტში მიმქმა-მოთქმა და ჯახი პარტიულ საკითხებზე, თუმცა არავინ იცოდა დავის შინაარსი". ცხადია, ნოე ჟორდანია ფართო პარტიულ მასებს გულისხმობდა, რომელთათვისაც მართლაც გაურკვეველი იყო ფრაქციული ბრძოლების არსი, ისევე როგორც დანყებული რევოლუციის ბევრი სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხი. სწორედ ამ საკითხების გარკვევას ისახავდა მიზნად გაზეთი „სოციალ-დემოკრატი". გარდა „სოციალ-დემოკრატისა", ქართველი მენშევიკები რევოლუციის წლებში სცემდნენ გაზეთებს: „სხივი" (1905 წ.), „გზა" (1906 წ.), „გრიგალი" (1906 წ.), „ლამპარი" (1906 წ.), „სიმართლე" (1906 წ.), „შიკრიკი" (1906 წ.), „წინ" (1906 წ.), „გზა" (1907 წ.), „დილა" (1907 წ.), „ლახვარი" (1907 წ.), „საყვირი" (1907 წ.), „სინათლე" (1907 წ.) და სხვ. პარალელურად გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა" (1905 წ.), «Кавказский рабочий листок» (1905 წ.), „ახალი ცხოვრება" (1906 წ.), „ჩვენი ცხოვრება" (1907 წ.) და სხვ. გამოდიოდა გაერთიანებული (ბოლშევიკურ-მენშევიკური) გამოცემებიც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, გაზეთები „განთიადი" (1906 წ.) და „ელვა" (1906 წ.).

ნოე ჟორდანიას დაბრუნება თბილისში, მისი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრად გახდომა და გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" დაარსება კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველ მენშევიკთა პოზიციებს. ასეთ ვითარებაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელიც ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა, დასწრება არჩია. რსდმპ თბილისის კომიტეტმა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისაგან მიიღო მონერილობა, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის კომიტეტის ძველი, წინათ არჩეული შემადგენლობის გადადგომას და მის ადგილზე ახალი კომიტეტის დანიშვნას. საკითხი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გადაწყდა მისი განხილვა რსდმპ თბილისის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე. თბილისის კომიტეტის წევრთა თანდასწრებით ნოე ჟორდანიამ შეძლო კრების უმრავლესობის მიმხრობა –

კავკასიის კავშირის კომიტეტის მოთხოვნა ერთხმად იქნა უარყოფილი. თბილისის კომიტეტმა ძველი, ფაქტობრივად, მენშევიკური შემადგენლობით განაგრძო მუშაობა. მიუხედავად ამისა, კავკასიის კავშირის კომიტეტმა მაინც დანიშნა თბილისის კომიტეტის ახალი, ბოლშევიკური შემადგენლობა, რასაც მხარი არ დაუჭირეს თბილისის რაიონულმა ორგანიზაციებმა. განხეთქილება თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ფორმალურადაც დასრულდა. მალე ნოე ჟორდანია ბათუმს გაემგზავრა, სადაც ორი კვირა დაყო. ბათუმში ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის შედეგი ის იყო, რომ ქალაქის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ უარყო ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები და მენშევიზმის პლატფორმაზე დადგა.

ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლით ნოე ჟორდანია, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში ექსტრემიზმის დაძლევას. ბოლშევიზმთან ბრძოლაში ნოე ჟორდანია არ გვევლინება რუსული მენშევიზმის დოგმების უბრალო მიმდევრად. მას ღრმად სწამდა, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას ბრძოლის თავისი გზა ჰქონდა, რომელიც სულაც არ ამოინურებოდა რუსული მენშევიზმის ქართულ სინამდვილეში გადმონერგვით. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები განსხვავდებოდა რუსულისაგან, რაც განაპირობებდა იმას, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შეემუშავებინა. ყოველივე ეს კარგად ჩანს 1905 წლის გაზაფხულზე ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მიერ გაზეთ „სოციალ-დემოკრატიაში" გამოქვეყნებული წერილებიდან. ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ რევოლუციის დასაწყისისათვის „საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი დებულება: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა". ფორმალურად ამასვე აღიარებდნენ რუსი მენშევიკები (გეორგი პლეხანოვი) და ბოლშევიკები (ვლადიმირ ლენინი). მაშ, რაში მდგომარეობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმის თავისებურება? ნოე ჟორდანია აღნიშნავს: „ჩვენ გამოვეყავით როგორც რუსულს, ისე ევროპულ სოციალიზმს. რუსების ლოზუნგი და პრაქტიკა იყო: „მუშათა განთავისუფლება თავდადებულ ინტელიგენციის საქმეა", ლოზუნგი წმინდა ნაროდნიკული, და ახლა ს[ოციალ]-დ[ემოკრატიის] მიერ მითვისებული. ორივე შემთხვევაში, ეეროპასა და რუსეთში, მუშათა მასათ გულისხმობდენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანეს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას (გლეხი, ხელოსანი და სხვ.). ჩვენ კი გადავაბით მუშას გლეხი და მათგან შევქმენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეახლებინა ერის მობერებული, დრომოჭმული სოციალ-პოლიტიკური შენობა". რაც შეეხება ქართველ ბოლშევიკებს და, უპირველეს ყოვლისა, იოსებ სტალინს, ისინი აშკარად დოგმატიზმისაკენ იხრებოდნენ – ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებდნენ და განუხრელად იცავდნენ რუსი ბოლშევიკების, პირველი რიგში, ვლადიმერ ლენინის შეხედულებებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა რსდმპ III ყრილობის შემდეგ, როცა ქართული ბოლშევიკური პრესა და პირადად იოსებ სტალინი მთლიანად დოგმატურ პოზიციაზე დადგნენ. ეს მთელი სიცხადით დადასტურდა იოსებ სტალინის შრომებში: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" (1905 წ. მაისი), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა" (1905 წ. ივლისი), „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" (1905 წ. აგვისტო) და სხვ.

მას შემდეგ, რაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა რსდმპ თბილისის კომიტეტის ძველი, ძირითადად მენშევიკური, შემადგენლობის გვერდით დანიშნა კომიტეტის ახალი, ბოლშევიკური შემადგენლობა, ვითარება ძალზე დაიძაბა. 1905 წლის 12 თებერვალს მუშა სოლომონ ქორიძის ბინაში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენელთა (მენშევიკთა და ბოლშევიკთა) კრება. კრებამ განიხილა საკითხი ბოლშევიკების მიერ იმ ტექნიკის მიტაცების შესახებ, რომელიც განხეთქილებამდე თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდა. კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, განხეთქილება სულ უფრო ღრმავდებოდა.

დაწყებული რევოლუცია აუცილებელს ხდიდა, განსაზღვრულიყო მოქმედების სტრატეგიული ხაზი და შეემუშავებინათ ერთიანი ტაქტიკა საქართველოს და მთელი კავკასიის მასშტაბით. ამ მიზნით რსდმპ თბილისის მენშევიკური კომიტეტის ინიციატივით მოინვიეს კავკასიის ყველა მთავარი და გაელენიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენცია გაიმართა მცხეთაში 1905 წლის 14-15 აპრილს. მის მუშაობას ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანია. კონფერენციამ იმსჯელა იმ პრაქტიკული საკითხების შესახებ, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა რევოლუციამ, მაგალითად, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონფერენციაზე ერთიანი ცენტრის შექმნის საკითხის დაყენება ფაქტობრივად ნიშნავდა

ბოიკოტს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიმართ, რომელიც სულ უფრო კარგავდა ავტორიტეტს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა შორის. მცხეთის კონფერენციაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის ბიურო, რომელმაც გააერთიანა მენშევიკურ პლატფორმაზე მდგარი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამრიგად, 1905 წლის აპრილიდან პარალელურად არსებობდა ორი სამხარეო ორგანო: ბოლშევიკური – **რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი** და მენშევიკური – **რსდმპ კავკასიის ბიურო.**

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონფერენციის მუშაობის პერიოდისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ცარიზმთან შეიარაღებული შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა. ეს რომ გაითვალისწინა, კონფერენციამ შექმნა **სამხედრო-ტექნიკური კომისია,** რომელსაც უნდა გამოეხახა საშუალებანი პროლეტარული რაზმეულების შესაიარაღებლად. თავის მხრივ, რსდმპ თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა შექმნა **სამხედრო-ტექნიკური კომისია** და მის თავმჯდომარედ დაამტკიცა ნოე რამიშვილი. 1905 წლის 26 აპრილს **რსდმპ** თბილისის სამხედრო საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მონაწილეობით განხილული იქნა საკითხი თბილისის შემოგარენში ასაფეთქებელი ნივთიერებისა და ყუმბარების დამამზადებელი ლაბორატორიის მოწყობის შესახებ. მალე ასეთი ლაბორატორია ამოქმედდა კიდეც.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მცხეთის კონფერენციის შემდეგ 1905 წლის 5 მაისს თბილისში მუშა კალისტრატე დოლიძის ბინაში ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით შედგა ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყველა პროპაგანდისტის კრება. კრებაზე ნოე რამიშვილმა წაიკითხა რეფერატი „მოქმედების ახლად შემუშავებული სისტემა". საქმე ისაა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი მენშევიკები რუსული მენშევიზმის ტაქტიკას დოგმად არ თვლიდნენ, ქართული სოციალ-დემოკრატია თვითონ განსაზღვრავდა ბრძოლის ტაქტიკურ მიმართულებას. ამ მხრივ 1905 წლის გაზაფხულზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი. ტაქტიკის საკითხებიდან ძალზე საინტერესოა ქართველი მენშევიკების დამოკიდებულება წვრილ ბურჟუაზიასთან და ტერორის საკითხი. ნოე ჟორდანიას წინადადებით, რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში ცალკე ორგანიზაციად გაერთიანდა წვრილი ბურჟუაზია (ზოგიერთი ცნობით, რსდმპ თბილისის კომიტეტთან არსებობდა წვრილი ბურჟუაზიის კომისია). ამ ორგანიზაციას (კომისიას) ხელმძღვანელობდა ზაქარია ჩიჩუა. თბილისის წვრილი ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ აქტიური როლი ითამაშა მრავალი დემონსტრაციისა და გაფიცვის მოწყობაში. ფაქტობრივად, რევოლუციურ ბრძოლაში თბილისის მუშათა კლასი და წვრილი ბურჟუაზია ერთი ფრონტით გამოდიოდა, რაც წარმატების საწინდარი იყო.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს განსხვავებული პოზიცია ეკავათ ტერორის საკითხშიც. ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების მსგავსად, ქართველებიც „უარვყოფდით ტერორს, როგორც საშუალებას თვითმპყრობელობის ჩამოგდების, როგორც ამას ფიქრობდნენ ნაროდნიკები, მაგრამ უარს არ ვყოფდით მას, როგორც იარაღს თავის დაცვისას". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ბოლშევიკები და მენშევიკები ტერორის საკითხშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. **ქართველი ბოლშევიკები ტერორს ტოტალიტარულ ხასიათს აძლევდნენ და ერთნაირი სიძლიერით იყენებდნენ მას როგორც ჟანდარმერიის, ოხრანკისა და დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ, ისე პოლიტიკურ და იდეურ მონინააღმდეგეთა მიმართ.** ქართველი მენშევიკებისათვის ეს აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ისინი მუდამ შეურიგებლად იბრძოდნენ არა მარტო ტერორის, არამედ ყოველგვარი ექსტრემიზმის წინააღმდეგ. ასე იყო 1905 წელსაც, როცა ქართველი მენშევიკები ტერორს მიმართავდნენ, „როგორც იარაღს თავის დაცვისას". მენშევიკების მიერ ჟანდარმერიის, ოხრანკისა და პოლიციის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა თავისი შედეგები გამოიღო. ნოე ჟორდანია აღნიშნავს: „მთელი აპარატი მოეშალა მთავრობას, შიში და ძრწოლა გამეფდა „ოხრანკაში", ყველა მათგანი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. დამკვიდრდა ფაქტიური თავისუფლება მიტინგის, გაფიცვის და დემონსტრაციის". ამ პერიოდიდან (1905 წლის ზაფხული) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოში ფაქტობრივად ლეგალურად მოქმედებენ.

ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ელადიმერ ლენინისაგან რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საშუალებით ყოველგვარ დახმარებას იღებდნენ, ძირითადად ქართველი მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკით იყვნენ დაკავებულნი. უკვე 1905 წლის თებერვალ-მარტიდან ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს აშკარად დაუპირისპირდნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე.** თბილისში ბოლშევიკებმა ბრძოლა წააგეს, დამარცხდნენ ბათუმშიც, თუმცა იარაღი არ დაუყრიათ და მთელი ძალით გააჩაღეს მუშაობა

რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის. როგორც ცნობილია, რსდმპ III ყრილობის მოწვევას პარტიის წესდების დარღვევით ესწრაფოდნენ ბოლშევიკები ელადიმირ ლენინის მეთაურობით. მენშევიკებმა და მათმა ლიდერმა გეორგი პლეხანოვმა უარი განაცხადეს ყრილობის მოწვევაზე და მის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღეს. რუსი მენშევიკების ტაქტიკას მხარი დაუჭირეს ქართველმა მენშევიკებმაც. საქართველოში რსდმპ III ყრილობის დელეგატების არჩევას და საერთოდ მთელ წინა საყრილობო მუშაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ყრილობისათვის მზადების მომენტში კიდევ უფრო გაღრმავდა განხეთქილება მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის.

რსდმპ III ყრილობა მიმდინარეობდა 1905 წლის 12-27 აპრილს (25 აპრილს - 10 მაისს) ლონდონში. ყრილობას ესწრებოდა 23 დელეგატი 46 ხმით. მეცხრამეტე სხდომიდან ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა კიდევ ერთი დელეგატი – პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე (გოლუბინი). 24 დელეგატი არჩეული იყო რსდმპ 20 ადგილობრივი კომიტეტიდან, ასევე პარტიის საბჭოდან, ცენტრალური კომიტეტიდან და რსდმპ კავკასიის კავშირიდან. სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდა 14 დელეგატი. ყრილობის დღის წესრიგში იყო: **ტაქტიკური** საკითხები (შეიარაღებული აჯანყება, დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკასთან გადატრიალების წინ და გადატრიალების მომენტში, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულება), საორგანიზაციო საკითხები (მუშებისა და ინტელიგენციის დამოკიდებულება პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის წესდება), **ურთიერთობა სხვა პარტიებთან და მიმდინარეობებთან** (რსდმპ გამოთიშულ ნაწილთან, ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, ლიბერალებთან, სოციალისტ-რევოლუციონერებთან), **არჩევნები** და სხვ.

რსდმპ III ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ორი ქართველი დელეგატი – **მიხა ცხაკაია** (ბარსოვი) და **პროკოფი ჯაფარიძე** (გოლუბინი). მიხა ცხაკაია დელეგატად არჩეული იყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტიდან ორი გადამწყვეტი ხმით, ხოლო პროკოფი ჯაფარიძე – რსდმპ კავკასიის კავშირიდან ერთი გადამწყვეტი ხმით. კავკასიის კავშირიდან ყრილობის დელეგატებად არჩეულნი იყვნენ: **მ. ლემანი** (ნევსკი) ორი გადამწყვეტი ხმით, **რობკინი** (ლეტუჩი) ერთი გადამწყვეტი ხმით და **პროკოფი ჯაფარიძე** (გოლუბინი) ერთი გადამწყვეტი ხმით. პროკოფი ჯაფარიძის ხმით მეცხრამეტე სხდომამდე სარგებლობდა დელეგატი რობკინი (ლეტუჩი). ამრიგად, ყრილობაზე ორ ქართველ დელეგატს ჰქონდა 3 გადამწყვეტი ხმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკოფი ჯაფარიძე ყრილობის 26 სხდომიდან 18 სხდომას არ დასწრებია. საერთოდ კი, იგი ყრილობაზე ბაქოს კომიტეტს წარმოადგენდა და ამდენად, რსდმპ III ყრილობაზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რსდმპ არც ერთ კომიტეტს წარმომადგენელი ქართველი დელეგატი არ ჰყოლია არც გადამწყვეტი და არც სათათბირო ხმით.

ყრილობის პირველსავე სხდომაზე მოისმინეს ორი მოხსენება: ყრილობის მოწვევის მიზნით, უმრავლესობის ბიუროს საორგანიზაციო კომიტეტისა და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის შესახებ. პირველ საკითხზე მომხსენებელი იყო **ალექსანდრ ბოგდანოვი** (მაქსიმოვი), ხოლო მეორეზე – **ლევ კრასინი** (ზიმინი). ლევ კრასინმა სხვა საკითხებთან ერთად ყრილობას მოახსენა, რომ წინა დღით, საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომაზე, განიხილეს საკითხი ყრილობაზე რსდმპ კავკასიის კავშირის წარმომადგენლობის შესახებ და მიიღეს შემდეგი დადგენილება:

„საორგანიზაციო კომიტეტმა, განიხილა რა საკითხი კავკასიის დელეგაციის შესახებ ლიტერატურის მონაცემებისა და მოწმეთა, კავკასიელი ამხანაგების, ჩვენების საფუძველზე, ერთხმად მიიღო შემდეგ გადაწყვეტილებამდე:

1. აუცილებელი და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებით ყრილობაზე გადამწყვეტ ხმებში უნდა ჩაითვალოს კავკასიის დელეგაციის 8 ხმა, რადგანაც ჯერ კიდევ 1903 წლის შემოდგომაზე ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული კავკასიის საკავშირო კომიტეტის წესდებით კავკასიის საკავშირო კომიტეტს, როგორც საკავშირო კომიტეტს, ყრილობაზე მიეცა 8 გადამწყვეტი ხმა;

2. რაც შეეხება ამის საწინააღმდეგოდ ამხ. გლებოვის[1] მიერ პარტიის საბჭოში გაკეთებულ განცხადებას და პარტიის საბჭოს 1904 წლის მაისის გადაწყვეტილებას – დროებით, საკითხის გამორკვევამდე კავკასიის ოთხი კომიტეტის (ბაქოს, ბათუმის, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს) ხმების გადამწყვეტ ხმებად ჩათვლის შესახებ – საორგანიზაციო კომიტეტს არ შეუძლია, გლებოვის ეს განცხადება და პარტიის საბჭოს გადაწყვეტილება ჩათვალოს დაბრკოლებად პირველ პუნქტში გაკეთებული დასკვნისათვის, რადგან ამხ. გლებოვი აშკარად საქმეში ჩაუხედავი აღმოჩნდა და ამიტომაც პარტიის საბჭო შეცდომაში შეიყვანა;

[1] ვ. პ. ნოსკოვი (გლებოვი) რსდმპ II ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. მენშევიკი, გამოდიოდა რსდმპ III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.



ლევ კამენევი

3. უეჭველად ჩაითვალოს ის, რომ ამჟამად სახეზეა სამი დელეგატი კავკასიის კავშირიდან ექვსი გადამწყვეტი ხმით. საორგანიზაციო კომიტეტი ადასტურებს, რომ კავკასიის საკავშირო კომიტეტის ნევრი ამხ. ბარსოვი გადამწყვეტი ხმის მქონე მეოთხე დელეგატის შესახებ აცხადებს შემდეგს: კავკასიის საკავშირო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა, ბათუმის კომიტეტისათვის მიეცა მეოთხე დელეგატის დამტკიცების უფლება. როცა ბათუმის კომიტეტისაგან გაურკვეველი და მიკიბულ-მოკიბული პასუხი მიიღო, საკავშირო კომიტეტმა თავის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ბარსოვი, გაითქვა სურვილი, ყრილობაზე ბათუმიდან სპეციალური დელეგატის არყოფნის შემთხვევაში, მეოთხე დელეგატის გადამწყვეტი ხმა გადაეცა ამხ. გრადოვისათვის;[1]

4. ადასტურებს რა ამას, საორგანიზაციო კომიტეტი კავკასიის საკავშირო კომიტეტიდან მეოთხე დელეგატის საკითხს გადასაწყვეტად გადასცემს თვით ყრილობას".

ყრილობამ, ვლადიმირ ლენინის ინიციატივით, საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყრილობა საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშს განიხილავს მხოლოდ ყრილობის კანონიერების თვალსაზრისით. **ლენინის ტაქტიკური სვლა რომ არა, აუცილებლად გამომჟღავნდებოდა ის დარღვევები, რომლებიც თან ახლდა რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ დელეგატების არჩევნებს.**

რსდმპ კავკასიის კავშირიდან დელეგატების არჩევის კანონიერების საკითხი კიდევ ერთხელ დადგა ყრილობაზე, როცა ყრილობის სამანდატო კომისიამ შეამონმა დელეგატთა მანდატები კავკასიის კავშირიდან. სამანდატო კომისია, როგორც ჩანს, მთლიანად ეყრდნობოდა მიხა ცხაკაიას ინფორმაციას. ეს, როგორც ვნახეთ, გამოჩნდა ჯერ კიდევ საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების დროს. ამჟამადაც სამანდატო კომისიამ კანონიერად ცნო რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ დელეგატთა არჩევნები და კავშირს მიენიჭა 8 გადამწყვეტი ხმა. რაც შეეხება მეოთხე დელეგატის ადგილსა და 2 გადამწყვეტ ხმას, მიხა ცხაკაიას მოთხოვნის შესაბამისად, ისინი გადაეცა **ლევ კამენევს (როზენფელდს)**. სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა დელეგატი **რიბკინი (ლეტუჩი)** კავკასიის კავშირიდან, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა: „მე არ მესმის, ჩემი განცხადების მიუხედავად, სამანდატო კომისიამ რატომ არ გამომიძახა მოწმედ. ამხ. ნევსკის ბაქოში ყოფნისას არ უთქვამს, რომ საკავშირო კომიტეტი მოითხოვდა 8 გადამწყვეტ ხმას. არ ვიცი, რას ეყრდნობა ამხ. ბარსოვის მტკიცება. მე წინააღმდეგი ვარ სამანდატო კომისიის წინადადებისა და ვფიქრობ, რომ ბათუმში სხვა ხალხი იქნებოდა არჩეული, მაგრამ ამხ. გრადოვს ბათუმში არ უმუშავია და პერიფერიას არ იცნობს" ამის საპასუხოდ მიხა ცხაკაიამ ლევ კამენევს ბრწყინვალე დახასიათება მისცა და მოითხოვა მისთვის გადამწყვეტი ხმის მიცემა. ვლადიმირ ლენინმა სცადა ვითარების განმუხტვა და განაცხადა, რომ ბათუმის კომიტეტს ჯერ საბოლოოდ უარი არ უთქვამს დელეგატის გამოგზავნაზე და თუ დელეგატი ბათუმიდან ჩამოვა, ის მიიღებს გადამწყვეტ ხმას, ლევ კამენევი კი დარჩება დელეგატად სათათბირო ხმით. დელეგატის ჩამოსვლა ბათუმიდან ნაკლებად სავარაუდო იყო, რაც აღიარა თვით მიხა ცხაკაიამ. ეს კარგად იცოდა ვლადიმირ ლენინმაც, ამიტომ საკითხის გადაჭრის ის გზა, რომელიც მან დასახა, ფაქტობრივად სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებას ტოვებდა ძალაში. ყრილობა საბოლოოდ ლენინის ნინადადებას დაეთანხმა. ასე მიიჩქმალა მეორედაც ყრილობაზე ის დარღვევები, რომლებიც თან ახლდა დელეგატების არჩევნებს კავკასიაში.

დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხზე – გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ – ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდნენ ვლადიმირ

[1] **ლ. ბ. როზენფელდი (კამენევი, გრადოვი)** – რსდმპ III ყრილობის დელეგატი რსდმპ კავკასიის კავშირიდან, ბოლშევიკი.

ლენინი და მიხა ცხაკაია. ლენინმა მოხსენების დასასრულში აღნიშნა, რომ „გლეხთა მოძრაობისადმი მხარდაჭერის საკითხი ორად იყოფა: 1. თეორიული საფუძვლები და 2. პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. უკანასკნელ საკითხზე პასუხს გასცემს მეორე მომხსენებელი ამხ. ბარსოვი, რომელიც კარგად იცნობს გლეხთა ყველაზე უფრო მონინაე მოძრაობას მოძრაობას გურიაში" ამრიგად, საკითხის თეორიული მხარის წარმოდგენა ლენინმა თვითონ იკისრა. მოხსენებაში ძირითადად გამეორებული იყო მის მიერვე წინა ხანებში შემუშავებული შეხედულება აგრარული მოძრაობისა და ამ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ. ცხაკაიამ ლენინზე გაცილებით მეტი ილაპარაკა, მოიყვანა უამრავი მაგალითი საქართველოს (განსაკუთრებით გურიის) ცხოვრებიდან, შეეცადა ეჩვენებინა, რომ გლეხთა მოძრაობა უკვე მიდიოდა იმ გზით, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო წინა გამომსვლელის მოხსენებაში. ცხაკაიას სერიოზული ოპონენტი არ ჰყავდა. ყრილობაზე არ იყო დელეგატი, რომელიც იცნობდა გლეხთა მოძრაობას საქართველოში და, კერძოდ, გურიაში. ამით ისარგებლა მომხსენებელმა და ყრილობას სწორედ ისეთი სურათი დაუხატა, რომელიც ხელს აძლევდა ლენინს, რომ ყრილობას მისთვის სასურველი რეზოლუცია მიეღო.

ყრილობის მეთვრამეტე სხდომაზე (22 აპრილი) ნაკითხეს 1905 წლის 7 აპრილით დათარიღებული მოხსენება „**თბილისის კომიტეტის წერილი III ყრილობის თაქვდომარის სახელზე**" წერილი, როგორც ჩანს, შედგენილი იყო თბილისელი მენშევიკების მიერ და ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ლენინს, რსდმპ კაკასიის კავშირს და საერთოდ მთელ ყრილობას. წერილში მითითებული იყო: 1. რსდმპ III ყრილობის არაკანონიერებაზე, 2. დელეგატების არჩევნების დროს დაშვებულ უხეშ დარღვევებზე, 3. ყრილობის ჩატარების ფაქტით პარტიაში იმხანად არსებული უმრავლესობის (მენშევიკების) აზრის უგულებელყოფაზე, 4. ყრილობის ჩატარებისათვის შესაფერისი დროის ცუდად შერჩევაზე და სხვ. ყრილობის დადგენილებით, წერილი შეიტანეს ყრილობის ოქმებში. აღნიშნული წერილის შესახებ, ჩანს, წინასწარ იცოდნენ მიხა ცხაკაიამ და მისმა თანამოაზრეებმა. სწორედ მათი ძალისხმევით შედგა ყრილობაზე ნაკითხულის საპასუხო წერილი, რომელიც ასევე გააცნეს ყრილობას რსდმპ თბილისის კომიტეტის ოფიციალური წერილის შემდეგ. თბილისელი ბოლშევიკების წერილი, რომელიც დათარიღებული იყო 1905 წლის 19 მარტით, ნაწილობრივ აქარწყლებდა წინა წერილით შექმნილ შთაბეჭდილებას და ამდენად, ამაგრებდა ელადიმირ ლენინის პოზიციას. კერძოდ, წერილში უარყოფითად იყო დახასიათებული თბილისელი მენშევიკების მოღვაწეობა. მათ ბრალი ედებოდათ პარტიული მუშაობის ჩაშლაში, სხვადასხვა ხასიათის დემაგოგიურ ქმედებაში და ა. შ. ლევ კრასინმა, როგორც ჩანს, წერილის ობიექტურობაში დაეჭვებულმა, მოითხოვა, წერილი არ შეეტანათ ყრილობის ოქმებში. **მ. მანდელშტამმა (ლიადოვმა)** მხარი დაუჭირა წერილის ოქმებში შეტანას. იმავეს ითხოვდა ცხაკაია. ასეთ ვითარებაში ლენინმა წინადადება შეიტანა, რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატებს გამოეთქვათ აზრი წერილის ობიექტურობის შესახებ. დელეგატებმა რსდმპ კავკასიის კავშირიდან, რომლებიც ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდნენ, რაღა თქმა უნდა დაადასტურეს წერილის ობიექტურობა. ამრიგად, თბილისელი ბოლშევიკების წერილი, ლენინის მოქნილი პოზიციის შედეგად, შეიტანეს ყრილობის ოქმებში.

ქართველი დელეგატებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საკითხი ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომლის განხილვა დაიწყო ყრილობის ოცდამეერთე სხდომაზე (23 აპრილს). რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე ყრილობას წარუდგინა **ვაცლავ ვოროვსკიმ (ორლოვსკიმ)**. რეზოლუცია აუცილებლად თვლიდა რუსეთის იმპერიაში არსებული ყველა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ორგანიზაციის) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებას. **პროკოფი ჯაფარიძემ (გოლუბინმა)** რეზოლუციის პროექტის განხილვისას განაცხადა: „ეროვნული ორგანიზაციები ჩვენთან სხვადასხვაგვარია. მაგალითად, კავკასიაში არის პარტიები „დროშაკისტებისა" და „საქართველო". სხვა საქმეა „გნჩაკისტების" პარტია, რომელმაც მიიღო ჩვენი პროგრამა და თავის მუშაობას ათანხმებს ჩვენთან. „საქართველოელები", სარგებლობენ რა კავკასიაში საერთო გამოცვიძებითა და რევოლუციური განწყობილებით, გამოდიან არენაზე და ცდილობენ გლეხთა მოძრაობის თავიანთ ხელში ჩაგდებას. მათ უნდა ებრძოლო, შეთანხმებაზე კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ლაპარაკიც არ შეიძლება". ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „III ყრილობა, ადასტურებს რა II ყრილობის დამოკიდებულებას ფედერალიზმის საკითხისადმი, აკალებს როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე ადგილობრივ კომიტეტებს, ყოველ ღონე იხმარონ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის იმ მიზნით, რომ

მოხდეს ადგილობრივი მუშაობის შეთანაწყობა და ამრიგად მომზადდეს ნიადაგი ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა ერთ რსდმპ პარტიად".

ყრილობის ოცდამეხუთე სხდომაზე (26 აპრილს) მიხა ცხაკაიამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი კავკასიის ამბების გამო, რომელიც ყრილობამ დამტკიცა. თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა დელეგატმა. რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო" მაღალ შეფასებას აძლევდა რევოლუციურ მოძრაობას კავკასიაში, ასევე კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობას. რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„ღიებს რა მხედველობაში:

1. რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2. რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე მივიდა თვითმპყრობელობის ნინაალმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე;

3. რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას;

4. რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქნური მოსახლეობის სხვადასხვაგვაროვანი შემადგენლობა აადვილებს, უაღრესად მავნე შედეგი ეჭნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში".

ქართველი დელეგატები ყრილობაზე კიდევ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით გამოვიდნენ, მაგრამ ამ გამოსვლებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ისტორიისათვის.

რსდმპ III ყრილობის შემდეგ ქართველი ბოლშევიკები შეუდგნენ ყრილობის გადაწყვეტილებების პროპაგანდას. ქართველი მენშევიკები, რომლებიც კანონიერად არ თელიდნენ რსდმპ III ყრილობის მონვეების ფაქტსაც კი, პროპაგანდას უნევდნენ მენშევიკების ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ყრილობის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა ფრაქციული ბრძოლა, რაც უმთავრესად ნოე ჟორდანიასა და იოსებ სტალინის ცხარე პოლემიკით გამოიხატა. მენშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკას ეძღვნება რსდმპ III ყრილობის შემდეგ გამოქვეყნებული იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" (1905 წ. მაისი), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა" (1905 წ. ივლისი), „პასუხად სოციალ-დემოკრატს" (1905 წ. აგვისტო), ასევე გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" დაბეჭდილი სტატია „მესამე კრება კაუკასიელ „მეუმცირესეთა" სამსჯავროს წინაშე". მენშევიზმის პლატფორმის დაცვას მიეძღვნა ნოე ჟორდანიას „პასუხი კაუშირის კომიტეტს", რომელიც 1905 წლის 1 ივლისს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" მესამე ნომრის დამატების სახით დაიბეჭდა. იოსებ სტალინისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის მნიშვნელობა სცილდებოდა საქართველოსა და კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ფარგლებს, იგი საერთო-სარუსეთო მნიშვნელობას იძენდა. აშკარა იყო, რომ ორივე მოღვაწე განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში.

რევოლუციაში ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა საკუთარი პროგრამით გამოდიოდა. უფრო მეტიც, ბოლშევიკების ლონდონის ყრილობისა და მენშევიკების ჟენევის კონფერენციის შემდეგ ფაქტობრივად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ორი სტრატეგიული ხაზი დაისახა, გამომუშავებულ იქნა შესაბამისი ტაქტიკაც. ასეთ ვითარებაში რევოლუციაში მონაწილე სოციალურ ძალებს უჭირდათ საკუთარი პოზიციის განსაზღვრა. რალა თქმა უნდა, ყოველი პოლიტიკური პარტია ცდილობდა მასებზე გავლენის მოპოვებას. ამ მხრივ ქართველ სოციალ-დემოკრატებს დიდი დახმარება გაუწია ნოე ჟორდანიას ნაშრომმა „სოციალ-დემოკრატია და სოციალისტ-რევოლუციონერები", რომელიც 1907 წელს გამოიცა ქუთაისში, მანამდე კი ცალკეული ნაწილების სახით გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. ნაშრომში პოპულარული ენით დახასიათებული იყო სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმის არსი, დამოკიდებულება სხვა სოციალისტურ მიმდინარეობებთან. ნოე ჟორდანია დიდ ადგილს უთმობდა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის კრიტიკას. 1907 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ანარქიზმი", რომელშიც ღრმად და საფუძვლიანად არის დახასიათებული ანარქიზმი, მოცემულია ამ მიმდინარეობის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკა. **რევოლუციაში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა პროგრამების კრიტიკა დიდად უწყობდა ხელს მასებში სოციალ-დემოკრატების გავლენის განმტკიცებას.**

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის აღმავლობის პერიოდში

ბოლშევიკების ლონდონის ყრილობისა (1905 წლის აპრილი) და მენშევიკების ჟენევის კონფერ-

ენციის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ტაქტიკური ხაზი. ორად გაიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. მთავარი წინააღმდეგობა ორ ტაქტიკურ ხაზს შორის მოკლედ ასე გამოიხატებოდა: **მენშევიკები ელოდნენ მომენტს, როცა რევოლუციურ მასებში შეიარაღებული აჯანყების იდეა მომწიფდებოდა და აჯანყება დაიწყებოდა. ისინი მხოლოდ ამის შემდეგ თვლიდნენ შესაძლებლად, ხალხის მასების სათავეში ჩადგომას. ე. ი. მენშევიკები არ აპირებდნენ შეიარაღებული აჯანყების დაგეგმვას პარტიულ ზედა ფენებში, არამედ ელოდნენ ინიციატივას მასებიდან, მასების შეგნებაში აჯანყების იდეის მომწიფებას. ბოლშევიკები კი გამუდმებული აგიტაციითა და სხვა საშუალებებით ცდილობდნენ რევოლუციური მასების შეგნებაში შეიარაღებული აჯანყების იდეის დანერგვას, აჯანყების დაგეგმვას პარტიის ზედა ფენებში და მასების მობილიზებას ამ გეგმის განსახორციელებლად.** როგორც ვხედავთ, მენშევიკები გამოდიოდნენ იქედან, რომ სოციალ-დემოკრატია უნდა ეყრდნობოდეს მოვლენათა განვითარების რეალურ სურათს და მისი გათვალისწინებით ცდილობდეს პარტიის მიზნების განხორციელებას. ბოლშევიკები კი ხელაღებით დაადგნენ პროცესის ხელოვნურად დაჩქარების, ფორსირების ტაქტიკას პარტიის მიზნებიდან გამომდინარე. **ბოლშევიკები მოვლენათა განვითარებას გეგმავდნენ პარტიულ ზედა ფენებში და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევალურ ვითარებას, სხვადასხვა სოციალური ფენების მზადყოფნას, რთულ სოციალურ კონფლიქტებში მათი ორიენტირების უნარს.** ტაქტიკის საკითხებში იყო მეორე მნიშვნელოვანი ნინააღმდეგობაც. დაწყებული რევოლუციის პირობებში, შეიარაღებულ აჯანყებასთან ერთად, მენშევიკები ცნობდნენ ბრძოლის პარლამენტურ გზასაც, ბოლშევიკებს მიუღებლად მიაჩნდათ სოციალ-დემოკრატიის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება პარლამენტის საშუალებით.

ცნობილია, რომ 1905 წლის გაზაფხულ-ზაფხულის საგაფიცო მოძრაობამ, მიტინგებმა და დემონსტრაციებმა, რევოლუციურმა გამოსვლებმა არმიასა და ფლოტში რუსეთის მმართველი წრეები და პირველ რიგში, იმპერატორი ნიკოლაი II იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქვეყანაში პარლამენტარული წყობილების შემოღება აუცილებელი იყო. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით 1905 წლის აგვისტოში გადაიდგა. 6 აგვისტოს ნიკოლოზ II-მ ხელი მოანერა „უმაღლეს მანიფესტს", რომლითაც მან რუსეთის ხალხს სათათბირო უბოძა. ეს მანიფესტი ცნობილია, როგორც მანიფესტი ა. გ. ბულიგინის სათათბიროს შესახებ. პირველი პუმანური, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან გადადგმული იყო. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მხარდაჭერას ჰპოვებდა პარლამენტარიზმის იდეა საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა შორის.

1905 წლის 6 აგვისტოს „უმაღლესი მანიფესტისადმი" საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ იყო. ბოლშევიკებმა ვლადიმირ ლენინის მეთაურობით „უმაღლეს მანიფესტს" ბოიკოტი გამოუცხადეს. იგივე მოიმოქმედეს ქართველმა ბოლშევიკებმაც. ჟურნალ „მოგზაურში" დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი „ა. გ. ბულიგინის პროექტი", რომელშიც ავტორი სათათბიროს მიმართ ბოიკოტის ტაქტიკას იცავდა. ქართველმა მენშევიკებმა კი, რუსი მენშევიკების მსგავსად, მხარი დაუჭირეს სათათბიროს მოწვევის იდეას. **ნოე ჟორდანია** იგონებს: „მთავრობამ გამოსცა ბრძანება შესახებ სათათბირო დუმის მოწვევის (ბულიგინის დუმა). ჩვენმა ორგანიზაციებმა დაადგინეს მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რის დასაცავად დაიბეჭდა წერილები „სოციალ-დემოკრატში". ეს იყო გაგრძელება „კვალის" ტაქტიკის, ვიყოთ ყველგან, სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა". როგორც ნოე ჟორდანიას სიტყვებიდან ჩანს, ქართველმა მენშევიკებმა სწორად აღიქვეს 1905 წლის 6 აგვისტოს „უმაღლესი მანიფესტის" დიდი მნიშვნელობა – დასახეს იგი რუსეთში პარლამენტარიზმის დამკვიდრების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად. 1905 წლის 6 აგვისტოს მანიფესტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, სოციალისტური პარტიების პროტესტი შეიძლებოდა ხალხსა და ხელისუფლებას შორის ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფრონტაციაში გადაზრდილიყო. ამის ნიშნები აშკარად გამოჩნდა მთელ რუსეთში 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს. უაღრესად რთულ სიტუაციაში ისევ იმპერატორმა ნიკოლაი II-მ და რუსეთის მმართველმა წრეებმა გამოიჩინეს პოლიტიკური სიბრძნე. 1905 წლის 17 ოქტომბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა ახალ „უმაღლეს მანიფესტს", რომელიც უფრო აფართოებდა 6 აგვისტოს მანიფესტით ბოძებულ უფლებებს. 17 ოქტომბრის მანიფესტის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 1. რუსეთის მოსახლეობას ებოძა სამოქალაქო უფლებები: პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება; 2. უნდა განხორციელებულიყო 6 აგვისტოს მანიფესტით გათვალისწინებული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ამასთან, მას-

ში მონაწილეობა უნდა მიეღო მოსახლეობის იმ ფენებსაც, რომელნიც ადრე მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებას; 3. არც ერთი კანონი ქვეყანაში არ დამტკიცებოდა, თუ იგი მონონებული არ იქნებოდა სახელმწიფო სათათბიროს მიერ.

ბოლშევიკები ულადიმირ ლენინის მეთაურობით სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ბოიკოტის ტაქტიკას დაადგნენ. ქართველმა ბოლშევიკებმაც იგივე მოიმოქმედეს. ტაქტიკა არ შეუცვლიათ არც ქართველ მენშევიკებს – ისინი კვლავ მხარს უჭერდნენ სახელმწიფო სათათბიროს მონვევის იდეას.

1905 წლის ზაფხულსა და შემოდგომის რევოლუციურმა ბრძოლებმა ნათელი გახადა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპულარობა საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობაში, საერთოდ, საზოგადოების ყველა ფენაში. მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში ქართველი მენშევიკების იდეური და უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. გლეხთა მოძრაობას დასავლეთ საქართველოში (გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში) ასევე მენშევიკები ედგნენ სათავეში. საერთო სახალხო მოძრაობის დიდი აღმავლობის პერიოდში (1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში) დიდ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი მენშევიკები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არჩილ ჯაფარიძე, სეფერიან ჯუღელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გრიგოლ ურატაძე და სხვ. მათ გარშემო დარაზმული იყვნენ მენშევიკი მუშები ძირითადად ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებიდან. ქართველი ბოლშევიკებიდან აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწეოდნენ: იოსებ ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, ვიქტორ ნანეიშვილი, ასევე სტეფანე შაუმიანი. მათ მხარს უჭერდნენ გაცილებით ნაკლები რაოდენობის, მაგრამ დიდი გამოცდილების მქონე, კარგად ორგანიზებული ბოლშევიკი მუშები. თუ ამ პერიოდში ქართველმა ბოლშევიკებმა რაიმე წარმატებას მიაღწიეს, ეს ძირითადად იოსებ სტალინის დამსახურება იყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში შექმნილი, ბოლშევიკთათვის აშკარად არახელსაყრელი ძალთა თანაფარდობის მიუხედავად, იოსებ სტალინი ცდილობდა, განუხრელად გაეტარებინა ბოლშევიზმის სტრატეგია და ტაქტიკა, ყველგან შეურიგებლად ებრძოდა ქართველ მენშევიკებს, იქნებოდა ეს პარტიული დისკუსიები, მიტინგები თუ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია.

მოვლენათა მსვლელობამ ნათელი გახადა, რომ სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკას ბოლშევიკები საქართველოში ვერ გაატარებდნენ. ასეთ ვითარებაში რსდმპ კავკასიის კავშირმა სცადა ბოლშევიკთა ძალების ორგანიზება მთელი კავკასიის მასშტაბით. გადაწყდა კავკასიის კავშირის IV ყრილობის მოწვევა. კავკასიის კავშირის ყრილობის მოწვევა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, 1905 წლის ნოემბრის ბოლოს მოიწვიეს კავკასიის კავშირის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 24 დელეგატი (14 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 10 – სათათბირო ხმით). კონფერენციას ესწრებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი. დელეგატები შემდეგ ბოლშევიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ: რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტიდან – 1 დელეგატი, ბაქოს კომიტეტიდან რაიონებთან ერთად – 5, თბილისის კომიტეტიდან – 2, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტიდან – 3, ბათუმის კომიტეტიდან – 1. თითო დელეგატით იყვნენ წარმოდგენილნი გურია და ქ. გროზნო. რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ამიერკავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების ანგარიშები; კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების ფორმები; რსდმპ გაერთიანება; კავკასიის წარმომადგენლობა რსდმპ IV ყრილობაზე; გამომცემლობა; რსდმპ კავკასიის კავშირის მუშაობის გაფართოება; შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება; ეროვნული საკითხი; მუშათა დეპუტატების საბჭო; პროფესიული კავშირები და სხვ. ყველა განხილულ საკითხზე კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები, რომლებიც შემდეგ გაზეთში „Кавказский рабочий листок" დაიბეჭდა. ორ საკითხზე – შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისა და ჯარისკაცთა შორის მუშაობის შესახებ – რეზოლუციები კონსპირაციული მოსაზრებით არ დაბეჭდილა. კონფერენციამ რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდ დაამტკიცა გაზეთი „Кавказский рабочий листок" და კავშირის კომიტეტს დაავალა, რომ ეს გაზეთი გამოეცა სომხურ და ქართულ ენებზე. ამასთან ერთად, ბაქოში უნდა გამოსულიყო ყოველკვირეული ორგანო აზერბაიჯანულ ენაზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციის მიერ მიღებული ყველა რეზოლუცია მთლიანად გამომდინარეობდა რსდმპ III ყრილობის რეზოლუციებიდან და ყრილობის შემდეგ ულადიმირ ლენინის მიერ დაწერილი ნაშრომებიდან. რსდმპ ორი ფრაქციის გაერთიანების საკითხშიც კონფერენცია მთლიანად ლენინის შეხედულებიდან ამოდიოდა. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს არ უწყობდა ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების შერიგებას საქართველოში.

1905-1907 წლების რევოლუციის კულმინა-

ცია იყო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში. ბოლშევიკების დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, აჯანყება ქვეყნის დიდ პროლეტარულ ცენტრებშიც კი ვერ განხორციელდა, ხოლო მოსკოვში ბოლშევიკებისა და ესერების ძალებით დაწყებული აჯანყება მარცხით დამთავრდა. თბილისში და საერთოდ, საქართველოში შეიარაღებულ აჯანყება არ განხორციელებულა. თბილისში, ნაძალადევსა და დიდუბეში აღინიშნა მხოლოდ ცალკეული შეჯახებები ჯარსა და მუშებს შორის. სამაგიეროდ, საყოველთაო ხასიათი მიიღო გრანდიოზულმა პოლიტიკურმა გაფიცვამ თბილისში, რომელიც წინ უძღოდა მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებას. გაფიცვას თბილისში ხელმძღვანელობდა საგაფიცვო ბიურო, რომელსაც სათავეში ედგა ისიდორე რამიშვილი.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, ისევე როგორც რუსეთის ბევრ ქალაქში, თბილისშიც სამხედრო მდგომარეობა იქნა შემოღებული. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. მძიმე დარტყმა განიცადა თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. სოციალ-დემოკრატები დააპატიმრეს ბათუმში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა ადგილებში.

1905 წლის დეკემბერსა და 1906 წლის იანვარში განხორციელებულმა დაპატიმრებებმა მანამდე თითქმის ლეგალურ მდგომარეობაში მყოფი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ძლიერ დაასუსტა, ძალები დაიქსაქსა. ორგანიზაცია დარჩა გამოჩენილი სოციალ-დემოკრატებისა და მოწინავე მუშების გარეშე. ისიდორე რამიშვილი იძულებული გახდა, თბილისიდან გადახვეწილიყო, გურიაში გაემგზავრა ვლასა მგელაძე, არჩილ ჯაფარიძე ემიგრაციაში წავიდა, ნოე რამიშვილი დააპატიმრეს. ასეთ მძიმე ვითარებაში ქართველმა მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა დროებით დაივიწყეს ფრაქციული უთანხმოებანი და თბილისში ორი კომიტეტის ნაცვლად ერთი – გაერთიანებული კომიტეტი – შექმნეს. უპირველეს ამოცანად იქცა მიჩნეული ძველი კონსპირაციული წესით ორგანიზაციების აღდგენა. 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებში თბილისში ფ. გ. სემენჩენკოს ბინაზე გაიმართა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის განახლებული შემადგენლობის სხდომა. სხდომას დაესწრო ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბირთვი. კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ნოე ჟორდანია. მიიღეს გადაწყვეტილება იატაკქვეშეთში გადასვლისა და პარტიული მუშაობის კონსპირაციის ყველა წესის დაცვით წარმართვის შესახებ. ამავე სხდომაზე გადაწყდა: კონსპირაციის დაცვის მიზნით, პარტიული მუშაკების რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა და მთელი მუშაობის იქიდან წარმართვა. ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი გადავიდა ბაქოში.

სამხედრო მდგომარეობის შემოღებამ თბილისში, დიდმა დაპატიმრებებმა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სოციალ-დემოკრატისათვის ეს მოულოდნელი არ იყო, დამთრგუნველი გავლენა მოახდინა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ პარტიულ მუშაკებს, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძველი დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ოპტიმისტები ძალზე ცოტანი დარჩნენ. მათ ღრმად სწამდათ, რომ 1906 წლის მარტისათვის მაინც მოხერხდებოდა ახალი დიდი აჯანყების დაწყება.

თბილისში სამხედრო მდგომარეობის შემოღების შემდეგ, თუ არ ჩავთვლით იატაკქვეშეთში გადასვლას, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ტაქტიკა არ შეცვლილა. ძირითად საკითხად დარჩა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ე. ი. მთელი ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ მუშაობას. მენშევიკების ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროსადმი ძველებურად მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. რსდმპ ტამერფოსის კონფერენციის (1905 წლის დეკემბერი) შემდეგ ცვლილება განიცადა ბოლშევიკების ტაქტიკამ. რსდმპ ორივე ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ საკითხის განხილვისას ტამერფოსის კონფერენციაზე შეთანხმდა შემდეგზე: „აჯანყება დაუყოვნებლივ უნდა მომზადდეს და მოეწყოს ყველგან, ვინაიდან მხოლოდ მისი გამარჯვება მოგვცემს შესაძლებლობას, მონვეულ იქნას ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, ე. ი. საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრება“. გამომდინარე აქედან, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაადგა შემდეგ ტაქტიკას: „არსებითი მონაწილეობა მიიღონ ნინასაარჩევნო კამპანიაში. წამოაყენონ ლოზუნგი დამფუძნებელი კრების მონვევის მოთხოვნით, ხმები მისცენ სხვა პარტიების მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც პირობას დადებენ, რომ იბრძოლებენ დამფუძნებელი კრების მონვევისათვის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო კანონის საფუძველზე. საკუთარი კანდიდატები სრულებით არ წამოაყენონ, ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს“. მალე სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ტაქტიკამ კვლავ ცვლილება განიცადა.

1906 წლის იანვრისათვის თბილისის სო-

ციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ასეთი სტრუქტურით მუშაობდა: თბილისი დაყოფილი იყო ოთხ რაიონად. თუ წინათ ხდებოდა რაიონული კრების არჩევა, ამჯერად ირჩევდნენ რაიონულ კომიტეტს, რომელიც ყოველგვარ გადაწყვეტილებას იღებდა დამოუკიდებლად. ყოველ რაიონში არსებობდა ტერორისტული რაზმეული და საბრძოლო რაზმეული. ყოველი რაიონული კომიტეტისაგან ხდებოდა სამი წევრის არჩევა ხელმძღვანელ კოლექტივში, რომელიც განაგებდა მთელი ქალაქის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ხელმძღვანელ კოლექტივში, ისევე, როგორც რაიონულ კომიტეტებში, იყვნენ მხოლოდ მუშები. ხელმძღვანელ კოლექტივს უფლება ჰქონდა, სამუშაოდ მოეწვია პროპაგანდისტი ინტელიგენტთა ნრიდან.

იმ პერიოდისათვის (1906 წლის იანვრისათვის), როცა თბილისში თითქმის არც ერთი ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევიკი (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, არჩილ ჯაფარიძე, ნოე რამიშვილი და სხვ.) აღარ მოღვაწეობდა, რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მხოლოდ მუშებისაგან შედგებოდა, ნებსით თუ უნებლიედ, ექცეოდა ბოლშევიკების გავლენის ქვეშ. დღის წესრიგში დგება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხი. 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში რსდმპ თბილისის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას: თბილისში აჯანყების მომზადებისა და განხორციელების გაადვილების მიზნით დაიწყოს გამოსვლების ორგანიზება პროვინციებში. თბილისის პროლეტარიატი კი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებისგან თავს იკავებდა. უფრო მეტიც, 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში რსდმპ თბილისის კომიტეტს მუშებმა უარი უთხრეს გაფიცვის დაწყებაზეც კი, ხოლო უკვე დაწყებული გაფიცვები მუშების მოთხოვნით საგაფიცვო კომიტეტებმა შეწყვიტეს. ცხადი გახდა, რომ რევოლუცია დალმაველობის გზით მიდიოდა.

თავი III. ქუთაისი 1905 წელს

თბილისთან ერთად რევოლუციური მოძრაობა სწრაფი ტემპით ძლიერდებოდა დასავლეთ საქართველოში, პირველ რიგში, დიდ ქალაქებში: ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში. რევოლუციური გამოსვლები არ წყდებოდა სამტრედიასა და ახალსენაკში, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სოფლებში (გურიაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შეეჩერდებით).

§1. ვლადიმირ სტაროსელსკის დანიშვნა ქუთაისის გუბერნატორად

1905 წლის 9 იანვრის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა ქუთაისის გუბერნიაში. განსაკუთრებული სიძლიერით და საპროგრამო მოთხოვნების აქტუალობით გამოირჩეოდა გლეხთა მოძრაობა გურიაში (ოზურგეთის მაზრა), იმერეთში (შორაპნისა და ქუთაისის მაზრები), სამეგრელოში (ზუგდიდისა და სენაკის მაზრები). მუშათა მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში. ხელისუფლება საგანგებო ღონისძიებებით ცდილობდა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას.

1905 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ელადიმირ ალეტანს, რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის სარკინიგზო ხაზების დაცვის უფროსად, აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა დამატებითი ჯარები, რათა ჩაეხშო რევოლუციური გამოსვლები სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. ალეტანს მიუთითეს ის პუნქტები, სადაც ჯარი უნდა ჩაეყენებინა: ქალაქი ფოთი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეული; ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 0,5 ასეული; დაბა ოზურგეთი – არტაანის 260-ე ქვეითთა პოლკის 2 ასეული; დაბა ხონი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეულის საყარაულო სამსახურის რაზმი; დაბა ახალი სენაკი – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; დაბა ყვირილა – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; სოფელი ჩოხატაური – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული; სოფელი ლანჩხუთი – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული;

1905 წლის 12 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ განკარგულება გაუგზავნა გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალი ხან (ალიხანოვ)-ავარსკის (1846-1907), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯარების ყველა სახეობისაგან ჩამოყალიბდა რაიონის რაზმი, რათა მისი მეთაურობით ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობა ჩაეხშო. განკარგულების შინაარსი ასეთია: ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით აუცილებელი გახდა რაიონის საგანგებო რაზმის ფორმირება და მისი რკინიგზის სადგურ ნატანებში გადასროლა. რაიონის რაზმის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ:

ქვეითი ჯარი:

1. ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ბატალიონი, ბატალიონის თითოეულ ასეულში 56 ჯარისკაცის, ოფიცერთა, უნტეროფიცერთა, არასამწყობრო მომზადების რიგითთა და სამედიცინო სამსახურის რიგითთა წესდებით განსაზღვრული რაოდენობით;

2. ელისავეტპოლის ქვეითთა 156-ე პოლკის 2 ბატალიონი, რომლებიც ამჟამად ბათუმში იმყოფებიან და იცავენ რკინიგზის ხაზს, 1 შტაბ-ოფიცრის, 22 უფროსი ოფიცრის, 1 ექიმის, 829 რიგითის შემადგენლობით;

155-ე და 156-ე პოლკების 4 ბატალიონი შეადგენს ნაკრებ რაზმს 155-ე პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს ნაკრები რაზმის შტაბი;

3. ყუბის პლასტუნთა მე-2 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 14 რიგითისა და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითებისა და 1 ექიმის შემადგენლობით;

4. ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 11 რიგითის და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითების, სამედიცინო სამსახურის რიგითთა და 1 ექიმის შემადგენლობით.

კაჟალერია:

5. შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 4 ასეული (რომელთაგან იმჟამად ერთი ბათუმში, მეორე კი ოზურგეთში იმყოფებოდა), ოთხივე ასეულში 443 კაზაკის და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით;

6. ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 2 ასეული (რომლებიც იმჟამად იმყოფებოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფლებში ჩოხატაურსა და ლანჩხუთში) 156 კაზაკისა და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით.

ეს 6 ასეული შეადგენს ნაკრებ რაზმს შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს შერეული რაზმის შტაბი.



მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკი

არტილერია:

7. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეა (4 ქვემეხი 2 ყუთი ყუმბარით) მე-7 სამთო ბატარეის ბრიგადით (2 ქვემეხი 6 ყუთი ყუმბარით), ნესდებით განსაზღვრული ოფიცრების, სამწყობრო და არასამწყობრო მომზადების რიგითების შემადგენლობით;

გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას ბრძანებაში მითითებული იყო, თუ რომელი ოფიცრები იგზავნებოდნენ რიონის რაზმის მეთაურის განკარგულებაში, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რა რეზერვი, რა რაოდენობის ტრანსპორტი ექნებოდა რაზმს, როგორ მოამარაგებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სურსათით და ცხენებს – ფურაჟით და სხვ. კერძოდ, გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის დაქვემდებარებაში იგზავნებოდნენ:

1. გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი **ტერშინი**, რომელსაც რიონის რაზმის შტაბის უფროსის მოვალეობა უნდა შეესრულებინა;

2. საინტენდანტო სამსახურის მოხელე, რომელიც, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის ინტენდანტის განკარგულების თანახმად, რიონის რაზმის ინტენდანტი უნდა ყოფილიყო;

3. კავკასიის მსროლელთა პირველი ბატალიონის შტაბს-კაპიტანი **ნიკლაური**, რომელსაც რიონის რაზმის მეთაურის ადიუტანტის მოვალეობა უნდა შეესრულებინა;

4. კავკასიის მესანგრეთა ბრიგადის უფროსი ოფიცერი.

ბრძანებაში ასევე მითითებული იყო, რომ ოფიცრები და ჯარისკაცები ლაშქრობისათვის სრულ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ: თან უნდა ჰქონოდათ ტანსაცმლის მეორე კომპლექტი, 120 ვაზნა თითოეულს, 2 ნყვილი ჩექმა და 2,5 დღის სამყოფი ორცხობილა, პერანგი, სათბურა, სალაშქრო კარვები და ოთხთვალები.

1905 წლის 17 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილ გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გურიაში მთავარმართებლის საბჭოს წევრ **ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის** მიელინებასთან დაკავშირებით დამსჯელი ექსპედიციის შეჩერების განკარგულება გაუგზავნა. 18 თებერვალს იაკოვ მალამამ მიიღო დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ: ქალაქის თავები, თავადაზნაურობის წინამძღოლები და ქართული პრესის წარმომადგენლები. განიხილეს გურიაში შექმნილი ვითარება. იაკოვ მალამა დეპუტაციას დაპირდა, რომ ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით გურიაში გაემგზავრებოდა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი.

პეტერბურგში სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით. 1905 წლის 21 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი II-მ მოიწონა მინისტრთა კომიტეტის წინადადებები კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამასთვის საგანგებო უფლებების მინიჭების თაობაზე, რათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ წარმატებით ებრძოლა. იმპერატორის დასტურის შემდეგ 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში. ამ ტერიტორიაზე გავრცელდეს სამხედრო მდგომარეობით გათვალისწინებული წესები;

2. კავკასიის მთავარმართებლის მოვალობის შემსრულებელს იმ მაზრებში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, მიენიჭოს სამხედრო მეთაურის უფლებები, ასევე – საგანგებო უფლებები სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რათა აღდგენილ იქნას სახელმწიფო წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე;

3. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება მიეცეს თავისი უფლებამოსილება გადასცეს ამისათვის დანიშნულ სამოქალაქო პირს ისე, რომ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს მისი განკარგულებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ნესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის აღდგენას.

მალე პეტერბურგში დარწმუნდნენ, რომ რეპრესიული ღონისძიებებით რევოლუციურ მოძრაობას ვერ შეაჩერებდნენ. რეპრესიებთან ერთად აუცილებელი იყო ზოგიერთი დათმობა და ხელისუფლებაში საზოგადოებისთვის პოპულარული ადამიანების მინვევა. ამ პოლიტიკის გატარება დაინყო 1905 წლის 5 მაისს თბილისში ჩამოსულმა კავკასიის მეფისნაცვალმა **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა**. კავკასიის სამეფისნაცველოს გავლენიან თანამდებობის პირებთან, ნიკოლაი სულთან კრიმგირეისთან და იაკოვ მალამასთან თათბირის შემდეგ მეფისნაცვალმა მიიღო სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება: ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად აგრონომი **ვლადიმირ სტაროსელსკი** (1860-1916) დაინიშნა.

ვინ იყო ვლადიმირ სტაროსელსკი და რატომ მეჩერდა კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მის კანდიდატურაზე? არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა.

ვლადიმირ სტაროსელსკი ჩერნიგოვის გუბერნიაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში, დაიბადა. მამამისი, ალექსანდრ სტაროსელსკი, ჯერ დაბალი რანგის სასამართლო მოხელედ, ხოლო შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა უკრაინასა და ბელორუსიაში (პოდოლსკისა და მოგილიოვის გუბერნიებში), შემდეგ ჩრდილო კავკასიაში (დაღესტნის ოლქში), სომხეთში, საქართველოსა და ისევ ჩრდილო კავკასიაში (ყუბანის ოლქში). ალექსანდრ სტაროსელსკი იყო ილია ჭავჭავაძის ქვისლის – დიმიტრი სტაროსელსკის ძმა. ვლადიმირ სტაროსელსკიმ უმაღლესი აგრონომიული განათლება მოსკოვში მიიღო. სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დამთავრების შემდეგ (1885 წ.) იგი შავი ზღვის ოლქში გაგზავნეს სამუშაოდ. 1888 წელს ვლადიმირ სტაროსელსკი თბილისში გადმოიყვანეს და რუსეთის იმპერიის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის სამმართველოს უფროს აგრონომად დანიშნეს. ეს ის დრო იყო, როდესაც ვაზის დაავადება ფილოქსერა ინტენსიურად ერცელდებოდა საქართველოში და განადგურებით ემუქრებოდა მევენახეობას. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებები ეფექტს ვერ იძლეოდა. ამ სრულიად უიმედო ვითარებაში აგრონომმა სტაროსელსკიმ წამოაყენა ქართული ვაზის ჯიშების ამერიკულ საძირეზე დამყნობის იდეა. 1890 წელს იგი ქუთაისის გუბერნიის საფილოქსერო პარტიის მთავარ ექსპერტად დანიშნა და სულ მოკლე დროში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 1890 წელსვე ქუთაისის გუბერნიის შოროპნის მაზრაში, დაბა **ყვირილასთან (ზესტაფონთან)** ახლოს, სოფელ **საქარაში**, სტაროსელსკიმ დააარსა ამერიკული ვაზის საცდელი სანერგე, რომელიც მალე გაფართოვდა და მძლავრ კერად იქცა. 5-6 წლის განმავლობაში ამერიკული ვაზის სოფელ საქარის სანერგე 2.000 კვადრატული მეტრი ფართობიდან 18 ჰექტრამდე გაიზარდა. 1891-1892 წლებში ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფელში მცირე საცდელი საჩენებელი სანერგეები მოეწყო, ხოლო 1898-1899 წლებში სენაკის მაზრაში არსებულ სანერგეებს დაახლოებით 50 ჰექტარი ეკავა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის გუბერნიიდან ფილოქსერა თბილისის გუბერნიაში გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით 1898-1899 წლებში დიდი სანერგეები მოეწყო თელავის მაზრასა და ნოღაეთის ქვიშნარ ტერიტორიაზე. 1895 წლისათვის დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 10 პუნქტი არსებობდა, სადაც მუდმივად მიმდინარეობდა ვენახის დამყნა და ნამყენების მოვლა-განაშენიანება. 17 წლის განმავლობაში ვლადიმირ სტაროსელსკიმ ფილოქსერის დაავადების დამარცხება შეძლო. ქართული ვაზის გადარჩენამ და სოფლის მოსახლეობასთან მუდმივმა და მჭიდრო ურთიერთობამ ვლადიმირ სტაროსელსკის დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. 1905 წლის მარტში სტაროსელსკი პეტერბურგში იმყოფებოდა, ამ დროისათვის ჯერ კიდევ დედაქალაქში იმყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვალი **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი**. კავკასიის მეფისნაცვალი სტაროსელსკის მხოლოდ ნიკოლაი სულთან კრიმგირეის და გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას დახასიათებით იცნობდა. პეტერბურგში ერთმანეთს შეხვდნენ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი და ვლადიმირ სტაროსელსკი. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა კავკასიის მეფისნაცვალმა ქუთაისის გუბერნიაში ძალზედ პოპულარული აგრონომის ვლადიმირ სტაროსელსკის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნა. პეტერბურგში ამ გადაწყვეტილებას მონონებით შეხვდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ვლადიმირ სტაროსელსკის მხარს უჭერდნენ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი და იაკოვ მალამა. თავი არ გამოუდია, თუმცა სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნის წინააღმდეგი იყო კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე (მოადგილე პოლიციის ნაწილში), კავკასიის პოლიციის მომავალი გამგე გენერალ-მაიორი

ევგენი შირინკინი.

ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნამდე ვლადიმირ სტაროსელსკიმ 1905 წლის 27 მაისს მოხსენება წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალს. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ გლეხთა მოძრაობა და საერთოდ, რევოლუციური მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში აღმოცენებული იყო როგორც საერთო-სარუსეთო მიზეზებით, ისე ადგილობრივი ფაქტორებითაც. სტაროსელსკი წერდა: ხალხი შეიძლება დამშვიდდეს სერიოზული რეფორმების გატარების შემდეგ: „ადმინისტრატორმა ამისთანა პირობებში უნდა გამოიყენოს ინტელიგენტი საზოგადოების და ხალხის მასის საერთო გონიერება და ცნობიერება იმ მიზნით, რამდენადაც კი შესაძლებელია ნაყოფიერად და დამშვიდებით დამუშავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი კითხვები." კავკასიის მეფისნაცვლისათვის წარდგენილ პირობათა შორის უმნიშვნელოვანესი იყო:

1. სამხედრო წესები და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) დაუყონებლივ გაუქმდეს;

2. ადმინისტრაციის აგენტები, რომლებიც თვითნებობით გამოირჩეოდნენ, დაუყონებლივ დათხოვნილ იქნან სამსახურიდან;

3. პოლიტიკური დანაშაულისათვის ადმინისტრაციული წესით დაპატიმრება, გადასახლება და სხვა სახის რეპრესიები მოისპოს;

4. სოფლის ხელისუფლების ორგანოებმა აღადგინონ სამხედრო მდგომარეობის შემოღებამდე არსებული მართვა-გამგეობის ფორმები;

5. ნებადართული იქნეს ყრილობების, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლად გამართვა, თუ იგი მიმართული არ არის პირადად ვინმეს წინააღმდეგ ან განადგურებით არ ემუქრება ვინმეს ქონებას;

6. ჟანდარმერიისა და პოლიციის მოქმედება აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს გუბერნატორთან.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა სტაროსელსკის წინადადებები მიიღო. 1905 წლის 7 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა ვლადიმირ სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიგინს (1851-1919). შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ალექსეი სმაგინი განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან და იგზავნებოდა სამხედრო მინისტრის განკარგულებაში. ხოლო გუბერნატორის ვაკანტურ ადგილზე კავკასიის მეფისნაცვალი რეკომენდაციას აძლევდა რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის სამმართველოს აგრონომს, კოლეგიის მრჩეველ ვლადიმირ სტაროსელსკის. იმავდროულად ვორონცოვ-დაშკოვი შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვდა სტაროსელსკისათვის სახელმწიფო მრჩეველის წოდების მინიჭების შუამდგომლობა აღეძრა იმპერატორის წინაშე. 1905 წლის 30 ივნისს ალექსანდრ ბულიგინმა ვორონცოვ-დაშკოვს აცნობა, რომ ვლადიმირ სტაროსელსკი 29 ივნისს ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. რაც შეეხებოდა სახელმწიფო მრჩეველის წოდების მინიჭებას, მინისტრს შუამდგომლობაზე თავი შეუკავებია. ეს შემდეგი მიზეზით იყო განპირობებული: 1905 წლის 17 აპრილს სტაროსელსკი იმპერატორს წმიდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებია და რადგან ამ დაჯილდოებიდან ჯერ 2 თვეც არ იყო გასული, ახალ ჯილდოზე წარდგენა კანონმდებლობის დარღვევა იქნებოდა. 1905 წლის 9 ივლისს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ ვლადიმირ სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშნა. სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნა ფართოდ გაშუქდა რუსეთისა და საქართველოს პრესაში.

ვლადიმირ სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლად დანიშვნამ მოსახლეობაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. 1905 წლის 31 ივლისს სოფელ საქარის საცდელ სადგურში გამოსათხოვარი სადილი მოუწყეს საცდელი სადგურის დამაარსებელს და ქართული ვაზის გადამრჩენელს. სადილზე დაახლოებით 200 კაცი იყო მიწვეული. სიტყვები ნარმოთქვეს: **ნიკოლოზ თავდგირიძემ, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ, ზ. მაჭავარიანმა, გ. ხუსკივაძემ** და სხვებმა. 1905 წლის 16 ივლისს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თავმჯდომარეობით უნდა განხილულიყო კავკასიაში ერობის შემოღებასთან დაკავშირებით შედგენილი პროექტი. პროექტის განხილვამ ცხარე პოლემიკაში ჩაიარა. ვლადიმირ სტაროსელსკის შეჯახება მოუხდა კავკასიის პოლიციის გამგესთან, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინთან.

§2. ვლადიმირ სტაროსელსკის მოღვაწეობა ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობაზე

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც ახალმა გუბერნატორმა გაატარა, იყო შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებას კანონიერად ეცნო რევოლუციური მოძრაობის პერიოდში ნარმოქმნილი სოფლის თვითმმართვ-

ელობის ორგანოები. ელადიმირ სტაროსელსკის მოხსენება, ცხადია, საიდუმლო იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც არხებით მოხსენების შინაარსი პრესისათვის გახდა ცნობილი. 1905 წლის 26 ივლისს რუსეთის დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა ცნობა ზემოხსენებული შუამდგომლობის შესახებ. 29 ივლისს კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალ-მაიორმა ეგენი შირინკინმა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს აცნობა, რომ რევოლუციის პერიოდში წარმოქმნილი სოფლის თვითმმართველობების კანონიერად ცნობა დაუშვებელი იყო და თანაც დაამატა: სტაროსელსკისაგან კიდევ მეტ მოულოდნელობებს უნდა ელოდოთო.

მართალია, კავკასიის მეფისნაცვალი ელადიმირ სტარროსელსკის სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას დაჰპირდა, მაგრამ დანაპირის აღსრულებამ და გენერალ **მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის** დამსჯელი რაზმის (რიონის რაზმის) გურიაიმერეთიდან განვევამ დაიგვიანა. ქალაქი ქუთაისი 1905 წლის 11 აგვისტომდე სამხედროების ხელში იყო. თავადაზნაურობა და მაღალი რანგის მოხელეები, რუსი ეროვნების მოქალაქეები შეშფოთებული იყვნენ ცნობით იმის შესახებ, რომ მაღე ჯარი ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიას დატოვებდა. დაძაბულობამ პიკს 1 აგვისტოს მიაღწია. ამ დღეს ქალაქის ცენტრში, ბაღში მოსეირნე ხალხის, პოლიციელებისა და ოხრანკის თანამშრომლების თვალწინ ტერორისტმა მოკლა კურინსკის პოლკის ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი **ხოდეცკი**. მკვლელობა თავის თავზე სოციალ-დემოკრატებმა აიღეს. საგანგებო პროკლამაციაში ისინი აცხადებდნენ, რომ მკვლელობა იყო პასუხი იმ მხეცობაზე, რასაც კურინსკის პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები სჩადიოდნენ მოსახლეობაში. პოლკოვნიკ ხოდეცკის დაკრძალვაზე ექსცესები არ მომხდარა, მაგრამ შფოთი და მღელვარება არ შეწყდებოდა, სანამ გუბერნიიდან კურინსკისა და ფოთის პოლკებს არ გაიყვანდნენ. კურინსკისა და ფოთის პოლკების, ასევე რიონის რაზმის შემცვლელად ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნეს: პლასტუნთა პოლკის 1 ბატალიონი, ყუბის პოლკის 1 ბატალიონი, ნაკაგის პოლკის 1 ბატალიონი, კიევის გუბერნიიდან გადმოიყვანეს ქვეითთა 33-ე დივიზიის ნაწილი, ბესარაბიიდან – ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი, მეტყვიამრქვეველთა 1 ასეული და 3 საარტილერიო ბატარეა. 33-ე დივიზია შევსებული იქნა სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებით. ამ ჯარების ერთი ნაწილი გამიზნული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის დასაცავად და იგი ჯერ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის, ხოლო



ელადიმირ სტაროსელსკი

შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის სამმართველოს უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ჯარი დაბანაკებული იყო რკინიგზის სადგურებზე ბათუმიდან და ფოთიდან დანყებული თბილისამდე. ჯარის მეორე ნაწილი ჩააყენეს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. ჯარის შესანახი და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის ხარჯები მოსახლეობას დააკისრეს. ბინებით ჯარი ასევე მოსახლეობას უნდა უზრუნველეყო.

ჯართან მოსახლეობის კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით ელადიმირ სტაროსელსკი განუწყვეტლივ მოგზაურობდა, გუბერნიის ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში მართავდა მიტინგებსა და კრებებს. გუბერნატორი გრძნობდა, რომ ჯარის ხელმძღვანელობა საბაბს ეძებდა სისხლიანი ანგარიშწორებისათვის. ამის მაგალითები ბევრი იყო თბილისის გუბერნიასა და ქალაქ თბილისში.

კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-მაიორი ეგენი შერინკინი, რომელიც, როგორც ეთქვით, თავის დროზე სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნის წინააღმდეგი იყო, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მის მოღვაწეობას. 1905 წლის 17 აგვისტოს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს ქუთაისის განყოფილების უფროსმა კავკასიის პოლიციის გამგეს მოახსენა, რომ ქუთაისის გუბერნატორი

ვლადიმირ სტაროსელსკი აშკარად მფარველობდა რევოლუციონერებს. ამის დასამტკიცებლად ჟანდარმერიის ოფიცერს შემდეგი ფაქტი მოჰყავდა: 1905 წლის 14 აგვისტოს ქუთაისში, ქალაქის ბაღში, შეკრებილი ხალხის წინ ოთხი ყველასათვის კარგად ცნობილი რევოლუციონერი (ნაფიცი მსაჯულები) ხალხს ხელისუფლების სანინააღმდეგო პროკლამაციებს ურიგებდა, რევოლუციონერების ნანილი შეკრებილთ იქვე ხმამაღლა უკითხავდა პროკლამაციებს. პოლიციის 4 სტრაჟნიკმა ოთხივე რევოლუციონერს მოსთხოვა საპოლიციო უბანში გაყოლა. რევოლუციონერებმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და სტრაჟნიკებს განუცხადეს: საპოლიციო უბანში არ ნამოვალთ და მოვითხოვთ გუბერნატორთან ნარგაადგინოთო. მოთხოვნა სტრაჟნიკებმა არ დააკმაყოფილეს, აღშფოთებულმა რევოლუციონერებმა ისინი გამოლანძღეს, ხოლო ერთ-ერთმა, გვარად ჯაფარიძემ, ჯიბიდან რევოლვერიც კი ამოიღო. წინააღმდეგობის მიუხედავად, სტრაჟნიკებმა ოთხივე, არსებული წესების სრული დაცვით, მაინც მიიყვანეს საპოლიციო განყოფილებაში. რევოლუციონერები საპოლიციო განყოფილებაში ახალი მიყვანილი იყვნენ, როდესაც იქ გუბერნატორი სტაროსელსკი და ქუთაისის პოლიციმაისტერი გამოცხადდნენ. სტაროსელსკიმ აშკარად გამოაელინა კეთილგანწყობა დაკავებულების მიმართ, ხელი ჩამოართვა რევოლუციონერებს და ყურადღებით მოისმინა მათი საჩივრები სტრაჟნიკების მიმართ. დაკავებულები აცხადებდნენ, რომ სტრაჟნიკებმა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს. მას შემდეგ, რაც დაკავებულების საჩივარი მოისმინა, სტაროსელსკი პოლიციმაისტერს მიუბრუნდა და სტრაჟნიკების დაპატიმრება უბრძანა, შემდეგ რევოლუციონერებს მიმართა: „თქვენ თაეისუფალი ბრძანდებით, ბატონებო!"

ხელისუფლებისადმი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ნათლად გამოვლინდა სამაზრო და საგუბერნიო კომისიებში იმ წარმომადგენლების არჩევნების პროცესში, რომელთაც სამაზრო და საგუბერნიო ერობების პროექტი უნდა შეემუშავებინათ. სამაზრო და საგუბერნიო ერობების პროექტი სხვა ნაკლოვანებებთან ერთად იმითაც გამოირჩეოდა, რომ ბევრ წინააღმდეგობას შეიცავდა. და ეს მაშინ, როდესაც უკვე ერობათა შემოღების მიზნით შემუშავებული ლიბერალური პროექტებიც აღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობას. საერობო კომისიები ყველა მაზრაში იქნა არჩეული, მაგრამ არცერთ მაზრაში კავკასიის მეფისნაცვლის მიერ შემუშავებული პროექტი არ განუხილავთ. კომისიები თავად განსაზღვრავდნენ პროექტის ძირითად პრინციპებს. საგუბერნიო კომისია მაზრებში გამოთქმულ მოსაზრებებს დაეყრდნო და შეიმუშავა **არაწოდებრივი დემოკრატიული თვითმმართველობის (ერობის) პროექტი**, რომლის მიხედვითაც თვითმმართველობას ჰქონდა სამეურნეო, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ფუნქციები. ეს პროექტი უნდა წარედგინათ კავკასიის საოლქო ყრილობისათვის, რომელიც თბილისში უნდა გახსნილიყო. პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაზე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა და ქართველი სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მეორე თუ მესამე სხდომის შემდეგ სოციალ-დემოკრატები კომისიიდან გაეიდნენ. მაზრებში კომისიების არჩევნები და პროექტის შემუშავება მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. მშვიდ ვითარებაში მუშაობდა საგუბერნიო კომისია ქუთაისშიც. ხელისუფლება არაფერში ერეოდა, რაც ვლადიმირ სტარსელსკის დამსახურებას წაროადგენდა.

დაძაბული გამოდგა ქუთაისში 1905 წლის ოქტომბერი. 15 ოქტომბერს ქუთაისსა და გუბერნიის ბევრ სოფელში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო. ქუთაისში დაიკეტა მაღაზიები, დუქნები, რესტორნები, მიიმალნენ მეეტლეები, წყლის მზიდავები, ქუჩები და მოედნები დაცარიელდა. გაფიცვას შეუერთდნენ სახელმწიფო დანესებულებების დაბალი რანგის მოხელეები, ძველებურად ირჯებოდნენ მხოლოდ ხაბაზები. დიდი შეფერხებით მუშაობდა ტელეგრაფი, რადგან სოფლებზე გამავალ ტელეგრაფის ხაზები გლეხებმა გადაჭრეს. ქუთაისში ვითარებას ძაბავდა ხმები იმის თაობაზე, რომ სისხლი დაილვარა თბილისსა და გურიაში. 15 ოქტომბრის შემდეგ მესამე დღეს ქუთაისიდან ბათუმისაკენ მიმავალ სარკინიგზო ხაზზე მოძრაობის აღდგენის მიზნითა და გზაზე წესრიგის დასაცავად ქუთაისიდან სამხედრო მატარებელი გაიგზავნა, რომელშიც ყუბის პოლკის 2 ქვეითი ასეული იყო მოთავსებული. გამოუცდელ მემანქანეს მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰყავდა, რის გამოც დროულად ვერ შენიშნა, რომ გაფიცულებს რელსები აეყარათ. მეხუთე ვერსზე მატარებელმა კატასტროფა განიცადა და დაიმსხვრა, დაილუპა 10 თუ 12 ჯარისკაცი. მომხდარით გაშმაგებული ჯარისკაცები ვაგონებიდან გადმოცვივდნენ და სროლა აუტეხეს რიონის მეორე მხარეს თავმოყრილ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მოკლეს რამდენიმე კაცი. სამხედრო მატარებელში მყოფმა ოფიცრებმა სასამართლოზე აჩვენეს, რომ თითქოს ხალხს მატარებლისთვის სროლა ავარიამდე აეტეხა. სასამართლომ ფაქტი ვერ დაადასტურა, რის გამოც დაპატიმრებულები გაათავისუფლეს.

1905 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის ფოსტა-



ალექსანდრე ყიფშიძე

ტელეგრაფის უფროსმა **რიბჩინსკიმ** ტელეფონით შეატყობინა, რომ თბილისში რაღაც მანიფესტის ტექსტი მიუღიათო (საქმე ეხებოდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს – ვ. გ.). იმავე დღეს, საღამოს, ტელეგრაფით ქუთაისში მანიფესტის ტექსტის რამდენიმე ნაწყვეტი გადმოსცეს. რიბჩინსკის სტაროსელსკიმ დაავალა სასწრაფოდ დაკავშირებოდა თბილისს და მანიფესტის მთლიანი ტექსტი მოეთხოვა. ტელეგრაფი დიდი შეფერხებებით მუშაობდა, რის გამოც მანიფესტის სრული ტექსტის მიღება თითქმის უიმედო იყო. სტაროსელსკიმ გადაწყვიტა მანიფესტის ტექსტი ისევე გაევრცელებინა, როგორც მიიღეს. დაახლოებით 1 საათის შემდეგ დაწყო დაბეჭდილი ტექსტის გავრცელება ქალაქ ქუთაისსა და გუბერნიაში. 17 ოქტომბრის მანიფესტის სრული ტექსტი ქუთაისში 2 თუ 3 დღის შემდეგ მიიღეს.

1905 წლის 21 ოქტომბერს, საღამოს, მოსახლეობამ დადგენილი წესით ქუთაისის ბაღში მიტინგის გამართვის უფლება ითხოვა. უფლება გაცემული იქნა. 22 და 23 ოქტომბერს ქალაქის ბაღში ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა. გამომსვლელთა შორის პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები სჭარბობდნენ. 22 ოქტომბერს, ისევე, როგორც 23 ოქტომბერს, მომიტინგეებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების ნება ითხოვეს. პირველ დღეს დემონსტრაცია ქალაქის პოლიცმაისტერის, ხოლო მეორე დღეს გუბერნატორის თხოვნით გადაიდო. ორივე დღეს მიტინგი დაახლოებით ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდა და ხალხიც მშვიდობიანად დაიშალა.

ქუთაისში გამართულ მიტინგებზე ხალხის ნაწილი ინონებდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, ნაწილი სერიოზულ შენიშვნებს გამოთქვამდა. შენიშვნებიდან საყურადღებო იყო შემდეგი: 1. მანიფესტში დადასტურებული არ ყოფილა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას საყოველთაო-საარჩევნო უფლება; 2. მანიფესტში არაფერი ყოფილა ნათქვამი პოლიტიკური ამნისტიის შესახებ. ერთი რამ ცხადი იყო: **17 ოქტომბრის მანიფესტმა მოსახლეობის უმრავლესობა დაარწმუნა, რომ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებებით გაგრძელებისათვის.**

ქუთაისში გამართული მიტინგების განწყობილება გამონაკლისი არ ყოფილა, იგივე მდგომარეობა სუფევდა სოფლადაც. 1905 წლის 22 ოქტომბერს შოროპნის მაზრის დაბა ზესტაფონიდან 2 ვერსის მოშორებით მდებარე სოფელ საქარაში გლეხთა მიტინგი გაიმართა. ორგანიზატორებმა გააერცელეს განცხადება, რომ ხალხი მიტინგზე შეიარაღებული მისულიყო. ამ განცხადებამ უკიდურესად შეაშფოთა თავადაზნაურობა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. გავრცელებულლი ხმების მიხედვით, საქარაში შეკრებილი შეიარაღებული გლეხები მიტინგის შემდეგ ზესტაფონში შეიჭრებოდნენ და სახელმწიფო დანესებულებებსა და რკინიგზის სადგურს დაარბევდნენ. ვრცელდებოდა ხმები იმის თაობაზეც, რომ გლეხები მიიტაცებდნენ თავადაზნაურების ქონებას. ამ დროისათვის სადგურ შოროპანსა და ზესტაფონში, ასევე შოროპანი-სამტრედიის რკინიგზის ხაზის მონაკვეთზე, ქვეითი ჯარის ასეულები იყო განლაგებული. მოსალოდნელი სისხლისღვრა ძალზე ძაბავდა ვითარებას. 1905 წლის 21-22 ოქტომბერს ტელეგრაფით გავრცელდა ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკის განცხადება, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე იყო შედგენილი და 17 ოქტომბრის მანიფესტის შინაარსსა და მნიშვნელობას განმარტავდა.

1905 წლის 22 ოქტომბერს სოფელ საქარაში შეკრებილმა შეიარაღებულმა გლეხებმა შოროპნის მაზრის უფროსს დეპუტაცია გაუგზავნა და დაბა ზესტაფონში მიტინგის ჩატარების უფლება ითხოვა. მიტინგს ზესტაფონში უამრავი ხალხი დაესწრო. ორატორები ძირითადად 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ საუბრობდნენ. მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება, არ შეენყვიტათ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. 22 ოქტომბრის საღამოს ზესტაფონში მიტინგზე მყოფი სად-

გურ შოროპანის მუშები ნითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით შინ ბრუნდებოდნენ. თენგინის ქვეითთა პოლკის ოფიცერმა, რომლის ასეული სადგურ შოროპანს იცავდა, ჯარისკაცები საბრძოლველად მოაწყო და ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა. ბოლო წამს ოფიცერი გონს მოეგო და ბრძანება გააუქმა, თუმცა აღელვებულმა ჯარისკაცებმა ცეცხლი მახლობელ სახლებს მაინც დაუშინეს. საბედნიეროდ, ამ სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

1905 წლის 24 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიაში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა შეწყდა, მაგრამ მატარებლების მოძრაობა მხოლოდ სადგურ ნიფიდან ქუთაისამდე აღდგა. ბათუმისაკენ მატარებლები ვერ გავიდნენ, რადგან, როგორც რკინიგზა, ისე ტელეგრაფის ხაზიც დაზიანებული იყო. ვითარება დაძაბული რჩებოდა. ქუთაისში გაერცელდა ხმები, რომ აჯანყებულმა გურულებმა 100 პლასტუნი, მაზრის უფროსი და მომრიგებელი მოსამართლე დახოცეს. ვლადიმირ სტაროსელსკიმ ჩათვალა, რომ როგორი გაზვიადებულიც უნდა ყოფილიყო გურიიდან მიღებული ცნობები, მდგომარეობა იქ სერიოზული იყო. გუბერნატორმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო გურიაში. ეტლით მიმავალი სტაროსელსკი სამტრედიაში შეჩერდა და გურიაში შექმნილი ვითარების შესახებ სანდო ცნობები მიღო. აღმოჩნდა, რომ არც 100 პლასტუნი, არც მაზრის უფროსი ან მოსამართლე აჯანყებულებს არ დაუხოცავთ, თუმცა შეჯახებები კი მართლა მომხდარიყო. სამტრედიაში მყოფ სტაროსელსკის ქუთაისიდან ვიცე-გუბერნატორმა **ალექსანდრე ყიფშიძემ** აცნობა, რომ კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანების თანახმად, ქალაქ ქუთაისსა და მთელს გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა ცხადდებოდა, ხოლო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლაი შიშკოვსკი** (1851–?) დანიშნულიყო. სტაროსელსკიმ გურიაში ჩასვლა გადაიფიქრა და ქუთაისში დაბრუნდა. ქუთაისში გუბერნატორის ახალი დეპეშა დაახვედრეს, რომლითაც შეიტყო, რომ მეფისნაცვალს სამხედრო მდგომარეობა გაეუქმებინა. სტაროსელსკიმ გადაწყვიტა, კვლავ გურიაში გამგზავრებულიყო (გურიაში ვლადიმირ სტაროსელსკის მოგზაურობა ქვემოთ იქნება აღწერილი – ვ. გ.).

გურიიდან ვლადიმირ სტაროსელსკი სამტრედიაში 1905 წლის 30 ოქტომბრის საღამოს დაბრუნდა და ღამე იქ გაათია. 31 ოქტომბერს, დილით, გუბერნატორთან გამოცხადდა დაბა სამტრედიის მცხოვრებთა და რკინიგზის მუშათა დეპუტაცია და მიტინგის ჩატარების უფლება ითხოვეს. იმავედროულად დეპუტაციამ სტაროსელსკის სთხოვა მიტინგს პირადადაც დასწრებოდა და ხალხისათვის 17 ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობა განემარტა. მომიტინგეები, რამდენიმე ათასი კაცი იმერეთისა და სამეგრელოს სოფლებიდან, ეკლესიის წინ მოედანზე შეიკრიბნენ. რკინიგზის მუშებისა და სოფლის მოსახლეობის გარდა, მიტინგს რუსი ეროვნების მუშები და მოხელეებიც დაესწრნენ, რის გამოც ორატორები სიტყვებს ხან ქართულად, ხან რუსულად წარმოთქვამდნენ. 17 ოქტომბრის მანიფესტიც ქართულ და რუსულ ენებზე იქნა ნაკითხული. გამომსვლელები სწორად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გურიაში რეპრესიების შეწყვეტას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად მიიჩნევდა, გურიის მხარდასაჭერად რევოლუციური გამოსვლები გაგრძელებულიყო.

სამტრედიაში გამართული მიტინგის მონაწილეებმა ვლადიმირ სტაროსელსკის სთხოვეს, მისთვის სპეციალურად გამოყოფილი მატარებლით თბილისში გამგზავრებულიყო, რათა გურიისათვის მოსალოდნელი სისხლისღვრა აეცილებინა თავიდან. მიტინგის დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ საგანგებო მატარებლით გუბერნატორი სამტრედიიდან ქუთაისში გაემგზავრა. სამტრედიასა და ქუთაისს შორის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურზე სტაროსელსკიმ სამხედრო მატარებელი შენიშნა, მეორე ასეთი მატარებელი მას ხაშურის სადგურზე დახვდა. ორივე მატარებლით გურიაში გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის ჯარები გადაჰყავდათ. სამწუხაროდ, ქუთაისის გუბერნატორს დამსჯელი ექსპედიციის შეჩერების არანაირი უფლება არ ჰქონდა. მეორე დღეს სტაროსელსკიმ გაიგო, რომ ერთ-ერთს მატარებელს ავარია მოუხდა. შეშინებულ ჯარისკაცებს სროლა აუტეხიათ და მახლობლად მომუშავე 5 თუ 6 გლეხი სრულიად უმიზეზოდ დაუხოცავთ. გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ კიდევ ერთი პატარა ბიჭი მოგვიანებით იპოვეს ხიშტით მოკლული.

ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის თბილისში ჩამოსვლამ შეაჩერა ქუთაისში კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის (მოადგილის) გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამასა და თბილისის საზოგადოების 3 წარმომადგენლის ქუთაისში გამგზავრება. თბილისში სტაროსელსკიმ გაარკვია, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა ჯერ სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო შემდეგ მალევე თავისი ბრძანება გააუქმა. ეს იყო შედეგი კავკასიის მეფისნაცვლის გარემოცვაში ორი დაჯგუფების ბრძოლისა, რომელთაგან ერთი ძალის

გამოყენების მომხრე იყო, ხოლო მეორე დათმობებს უჭერდა მხარს. თბილისში სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვალს შეხვდა, რომელიც გუბერნატორს დაჰპირდა, რომ გურიაში ისეთი სისხლისღვრა, როგორიც **ნასაკირალზე** მოხდა, აღარ განმეორდებოდა. მეფისნაცვალი სტაროსელსკის დაჰპირდა, რომ გურიიდან პლასტუნთა ბატალიონს გამოიწვევდა და მას სხვა სამხედრო ნაწილით ჩაანაცვლებდა. მოსახლეობასა და პლასტუნთა შორის მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ ეს უკანასკნელნი ისე იყვნენ გამხეცებულები, რომ ახალი სისხლისღვრა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ამიტომ იყო, რომ ვორონცოვ-დაშკოვმა მეორე დღესვე გასცა განკარგულება პლასტუნთა ბატალიონის გურიიდან გამოწვევის თაობაზე. სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვალს დაჰპირდა, რომ რკინიგზაზე გაფიცვის მიუხედავად, გურიიდან განვეული ბატალიონი თბილისში შეუფერხებლად ჩამოვიდოდა.

ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის გაუქმების საკითხი 1905 წლის 2 ნოემბერს მეფისნაცვალთან გამართულ საგანგებო თათბირზე იხილებოდა. თათბირი დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ ღამის 11 საათზე დასრულდა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება გურიასა და ქართლში სამხედრო მდგომარეობის გაუქმებისა და დასჯელი ექსპედიციების დაუყონებლივ გამოწვევის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებამ თბილისის მოსახლეობის დიდი აღტაცება გამოიწვია. 3 ნოემბერს, დილით, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, სადგურ თბილისისა და თბილისის დეპოს მუშები ვაგზალზე ვლადიმირ სტაროსელსკის გასაცილებლად მოგროვდნენ. შეკრებილები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ გუბერნატორს. სტაროსელსკის შეხვედრა მოუწყვეს ხაშურსა და ზესტაფონში. გორში შეხვედრა ვერ შედგა, რადგან ქალაქი და რკინიგზის სადგური ჯარით იყო სავსე. გორელებმა ქუთაისის გუბერნატორს მადლობა საგანგებო დეპუტაციის მეშვეობით გადასცეს. იმავე დღეს სტაროსელსკი ქუთაისში დაბრუნდა.

ქუთაისში კვლავ დაძაბულობა იგრძნობოდა. მდგომარეობა განსაკუთრებით საშიში 1905 წლის 16 ნოემბერს შეიქმნა. ამ დღეს ქუთაისში ასაფლავებდნენ ოდესაში მოკლული ნოვოროსიის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს, ახალგაზრდა ქიმიკოსს **ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილს**. დილიდანვე ქუთაისს მახლობელი სოფლებიდან უამრავი ხალხი მოაწყდა. ქუთაისის მცხოვრებნი და სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლები რკინიგზის სადგურთან შეიკრიბნენ და ალექსანდრე კლდიაშვილის ცხედრის გადმოსვენებას ელოდნენ. შუადღისას ცხედარი რამდენიმე ათასი



ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი

კაცის თანხლებით ქალაქის ცენტრში, ეკლესიაში, გადაასვენეს, სადაც იგი უნდა დაეკრძალათ. კუბოს თან მიჰყვებოდა გურიიდან საგანგებოდ ჩამოსული რაზმი. გურულები ალექსანდრე კლდიაშვილის ცხედარს ბათუმის ნავსადგურიდან ქუთაისის რკინიგზის სადგურამდე მოჰყვებოდნენ. ვლადიმირ სტაროსელსკიმ მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა ქალაქში განლაგებული ხოპერსკის კაზაკთა პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები სამგლოვიარო პროცესიის დასრულებამდე როგორმე ყაზარმებში დაებრუნებინა. გუბერნატორმა მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა იმ დღეს ქალაქში ყოველგვარი ექსცესი და სისხლიღვრა თავიდან იქნა აცილებული.

1905 წლის 16 ნოემბერს ქუთაისში დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის მუშებისა და დაბალი რანგის მოხელეების გაფიცვა. რამდენიმე დღის შემდეგ გაიფიცნენ რკინიგზის ტელეგრაფისტები. სატელეგრაფო კავშირი თბილისთან შეწყდა. ქალაქის ქუჩებში არც დღისით და არც ღამით პოლიციელები აღარ მორიგეობდნენ, რის გამოც გახშირდა ღამით ძარცვის შემთხვევები. ხოპერსკის პოლკის ჯარისკაცების თვითნებობას ბოლო აღარ უჩანდა, რაც უმეტეს შემთხვევაში ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე. პოლიციის ცდა, გაერკვია მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებაში სამხედროების ბრალი, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა, არც ძარცვაში შემჩნეული ოფიცრებისა



ალექსანდრე (საბა) ბლდიაშვილის დაკრძალვა

და ჯარისკაცების დასჯის ცდას გამოუღია რაიმე შედეგი. ხოპერსკის პოლკის მეთაური გუბერნატორსა და პოლიცმაისტერს არწმუნებდა, რომ მისი პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები ყაზარმებიდან არ გადიოდნენ და ამდენად, ჩხუბსა და ძარცვაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. მოსახლეობამ ქალაქიდან გახიზვნა დაიწყო, ვაჭრებს ქალაქიდან გაჰქონდათ და სხვადასხვა ადგილას მალავდნენ საქონელს. ვლადიმირ სტაროსელსკიმ განკარგულება გასცა, რომ ღამით ქალაქში ქვეითი ჯარის პატრულსა და პოლიციელებს ემორიგევათ. ჯარი იცავდა ბანკებს, ფოსტა-ტელეგრაფს და სხვა სახელმწიფო დანესებულებებს. მალე ჯარისკაცები ღამით მორიგეობამ მოქანცა, რის გამოც უარი თქვეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. ქუთაისის გარნიზონის უფროსმა გენერალ-ლეიტენენტმა **ნიკოლაი შიშკოვსკიმ** ქუთაისის გუბერნატორს ქვეითი ჯარის ცხენოსანი კაზაკებით ჩანაცვლება შესთავაზა, რაც სტაროსელსკიმ მიუღებლად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, გენერალ შიშკოვსკის განკარგულებით, 1905 წლის 27 ნოემბრიდან ქუთაისში ღამით პატრულირება ცხენოსან კაზაკებს დაევალათ. იმავე დღეს, საღამოს 11 საათზე, კაზაკებმა ქალაქის ცენტრში ქართველებს სცემეს. მახლობელი სახლებიდან მცხოვრებლები გამოვიდნენ და აღელვებულები კაზაკების დასჯას მოითხოვდნენ. შემთხვევის ადგილზე დაუყონებლივ მივიდა სტაროსელსკი. თბილისის ქუჩაზე პოლიციის შენობის წინ უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ცემის შედეგად გრძობადაკარგული, დასახიჩრებული ქართველი ტროტუარზე იწვა, მეორე, რომელიც გონზე იყო, ეტლში იჯდა. იქვე იდგნენ ცხენოსანი კაზაკები და პოლიციელები. გუბერნატორმა კაზაკების ყაზარმებში დაბრუნების ბრძანება გასცა. იმავდროულად თბილისის ქუჩაზე კაზაკების ახალი რაზმი გამოჩნდა. გუბერნატორმა ისიც ყაზარმაში დააბრუნა. სტაროსელსკიმ სასწრაფოდ გამოიძახა საერობო პოლიციის რაზმი (70 კაცი). გუბერნატორი შეეცადა აღელვებული ხალხი დაემშვიდებინა, რაც ადვილი არ იყო, რადგან ქალაქში უკვე ბარიკადების აგება დაეწყოთ. კაზაკების ყაზარმაში დაბრუნებამ ხალხი ოდნავ დაამშვიდა, მაგრამ ვითარება მას შემდეგ კვლავ დაიძაბა, რაც სრულიად მოულოდნელად ქალაქის ცენტრში ქვეითი ჯარის 2 ასეული გამოჩნდა, ხოლო ოფიცერმა საჯაროდ განაცხადა: ჯარი ყაზარმებში მანამ არ დაბრუნდება, ვიდრე შეკრებილი ხალხი არ დაიშლებაო. გამორიცხული არ იყო, რომ სამხედროების თვითნებობით გაღიზიანებულ ხალხს ბარიკადებიდან ცეცხლი გაეხსნა. ბარიკადებსა და სამხედროებს შორის ვლადიმირ სტაროსელსკი იდგა საერობო პოლიციის 70 მებრძოლთან ერთად, იგი როგორღაც ხოცვა-ჟლეტის დაწყებას აფერხებდა. გუბერნატორი შიშობდა, რომ სროლა შეიძლება პროვოკატორებს დაეწყოთ. შექმნილ ვითარებაში სტაროსელსკიმ გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოვსკის კატეგორიულად მოსთხოვა კაზაკები და ქვეითი ჯარი ყაზარმებში დაებრუნებინა. გარკვეული ყოყმანის შემდეგ გენერალმა ჯარის ყაზარმებში დაბრუნების განკარგულება გასცა. იმ დღეს ქუთაისი დიდ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა.

1905 წლის 27 ნოემბერს, გვიან საღამოს,

ქუთაისში განვითარებული მოვლენების შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა ქალაქის მახლობელ სოფლებში. ხალხი მასობრივად გაემართა ქუთაისისაკენ, რაც დამატებით სირთულეებს ქმნიდა. ვლადიმირ სტაროსელსკიმ 28 ნოემბრის ღამით მოსახლეობასთან შეთანხმების შემდეგ ქალაქში ნესრიგის დაცვა ბესარაბიის ქვეითთა პოლკის უფროსს, პოლკოვნიკ **შ. ი. შიშკევიჩს** მიანდო. გუბერნატორმა მიაღწია იმას, რომ 28 და 29 ნოემბერს კაზაკები ყაზარმებიდან არ გამოუყვანიათ. 28 ნოემბრის დილით მოსახლეობამ ბარიკადების აღება დაიწყო. მაგრამ 28 ნოემბერსვე, ღამით, ვითარება კვლავ დაიძაბა. ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან სროლა გაისმა. მოსახლეობამ სულ მოკლე ხანში აღადგინა ბარიკადები. მალე გაირკვა, რომ სროლა გაუგებრობით იყო გამოწვეული. 28 ნოემბერს, ღამით, მძარცველების ჯგუფი თავს დასხმია ბესარაბიის პოლკის უფროსის, პოლკოვნიკ შიშკევიჩის ბინას. მძარცველებს იარაღის ნაღება უნდოდათ. შიშკევიჩი იმ დროს შინ არ იმყოფებოდა, ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც ბინას იცავდა, მძარცველებს ცეცხლი გაუხსნა, მეორე ჯარისკაცი პოლკის ყაზარმაში გაიქცა და სამხედროებს შეატყობინა, პოლკის უფროსი მოკლესო. ჯარისკაცები და ოფიცრები დაუყონებლივ გამოვიდნენ ყაზარმიდან და შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ. იმავდროულად ყაზარმებიდან გამოვიდნენ კურინსკისა და ფოთის ქვეითთა პოლკების ოფიცრები და ჯარისკაცები. სიბნელეში სამხედროები ვითარებაში ვერ გაერკვნენ: ბესარაბიის პოლკის ჯარისკაცებს კურინსკისა და ფოთის პოლკის ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს, სროლა მხოლოდ პოლკოვნიკმა შიშკევიჩმა შეაჩერა. ვითარების გარკვევის შემდეგ სამხედროებიც და ხალხიც დამშვიდდნენ.

1905 წლის 29 ნოემბერს, ვლადიმირ სტაროსელსკის თხოვნით, ხალხმა ქუთაისის ქუჩებიდან ბარიკადების აღება დაიწყო. ხალხი ასე თუ ისე დაწყნარდა, თუმცა გუბერნატორს ეშინოდა, რომ პროვოკატორების მოქმედების გამო მდგომარეობა კვლავ დაიძაბებოდა. სტაროსელსკის აცნობეს, რომ ქუთაისის მახლობელ სოფლებში შეიარაღებული მოსახლეობა მზად იყო დაუყონებლივ დაძრულიყო ქალაქისაკენ. ქუთაისისაკენ ნასვლას აპირებდა სამტრედიაში მდგარი გურულ რევოლუციონერთა შეიარაღებული რაზმიც. სამტრედიაში დაუყოვნებლივ გაემგზავრა გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი შიშკოვსკი, თუმცა იქ საგანგებო ვერაფერი შენიშნა. სამტრედიიდან გენერალი ფოთში ჩაეიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ 28 ნოემბერს პოლიციამ და ჯარმა ერთდროულად დაარბია **ბათუმი** და **ახალსენაკი**. ახალსენაკში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: გარნიზონის უფროსმა ახალსენაკელებს განუმარტა, რომ დარბევა პოლიციამ განახორციელა, ჯარი კი არაფერ შუაში იყო. იმავდროულად, გარნიზონის უფროსი მოსახლეობას დაემუქრა, თუ არ დაიშლებოდნენ, ჯარი ცეცხლს გახსნიდა. ხალხი დაიშალა და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

სხვაგვარად განვითარდა მოვლენები ბათუმში. 1905 წლის 28 ნოემბერს, დილით, უცნობ პირს ერთი კაზაკი განუიარაღებია. საღამოს 6 საათზე იმ პოლკის ჯარისკაცები, რომელშიც კაზაკი მსახურობდა, ყაზარმიდან გამოვიდნენ და ქალაქის დარბევა დაიწყეს. სცემდნენ და ფიზიკურად ასახიჩრებდნენ ყველას, ვინც კი გზაში შეხვდებოდათ. პირველ ნუთებშივე მოკლეს 7 და მძიმედ დაჭრეს 5 კაცი, დაჭრილთაგან 4 გარდაიცვალა. 30 ნოემბერს, მოკლულთა დაკრძალვის დღეს, პროვოკატორების ჯგუფმა სროლა ატეხა, ჯარიც საბრძოლველად მოემზადა. ხალხმა ქალაქის ქუჩებში ბარიკადების აგება დაიწყო. ღამით ქალაქის სხვადასხვა უბანში სროლა ისმოდა. მეორე დღეს, 1 დეკემბერს, ქუჩაში მიმავალ ხერსონის პოლკის ჯარისკაცს ყუმბარა ესროლეს და მოკლეს. ამის საპასუხოდ ბათუმის სიმაგრის კომენდატმა ქალაქს ქვემეხები დაუმიზნა და მოსახლეობას ბარიკადების დაშლა მოსთხოვა. ქალაქში გამოყვანილმა ჯარმა საეჭვო სახლებისა და პირების ჩხრეკა დაიწყო, დაშალეს ბარიკადებიც. ბათუმში საალყო წესები გამოცხადდა. ზუსტად დადგენილი არ არის, რამდენი ადამიანი დაილუპა ბათუმში საალყო წესების მოქმედების პერიოდში.

ვლადიმირ სტაროსელსკი ქალაქ ქუთაისსა და გუბერნიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის შესახებ მუდმივად აყენებდა საქმის კურსში კავკასიის მეფისნაცვალს. მის მოხსენებებში მოვლენათა განვითარება ნარმოდგენილია ობიექტურად, უარყოფილია ბევრი ჭორი, რომლებიც თითქმის მუდმივად ერცელდებოდა. სტაროსელსკის წესად ჰქონდა, არ დაემალა და დაუყოვნებლივ ჩაეყენებინა საქმის კურსში კავკასიის მეფისნაცვალი იმ კანონდარღვევების შესახებ, რასაც პოლიცია და ჯარი სჩადიოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ამით ქუთაისის გუბერნატორს სურდა ნაწილობრივ მაინც გაენეიტრალებინა კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინის დეზინფორმაცია, რომელსაც იგი უხვად აწვდიდა კავკასიის მეფისნაცვალს. ცხადია, გუბერნატორის ასეთი მოქმედება კიდევ უფრო ძაბავდა მის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კავკასიის პოლიციის გამგესთან. უფრო მეტიც, სტაროსელსკი თვით შირინკინს ანვდიდა უტყუარ ინფორმაციას გუბერნიაში მიმდინარე

რევოლუციური გამოსვლების, მათ შორის, „წითელი რაზმების" მიერ პოლიციელთა განიარაღების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ინფორმაცია სტაროსელსკიმ შირინკინს 1905 წლის 29 ნოემბერს გაუგზავნა, რომელშიც დაწვრილებით აღწერა „წითელი რაზმების" მიერ 1905 წლის 29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე პოლიციელთა განიარაღების შემთხვევები. ამით გუბერნატორი კავკასიის პოლიციის გამგეს აგრძნობინებდა, რომ სიმართლე ცნობილი იყო და მის ტყუილს გასაეალი არ ექნებოდა.

1905 წლის 30 ნოემბერს ვლადიმირ სტაროსელსკიმ კავკასიის მეფისნაცვალს გრიფით „საიდუმლო" მოხსენება წარუდგინა. იგი ქუთაისის გუბერნიაში კაზაკთა მიერ ჩადენილ ძალმომრეობასა და დარბევებზე წერდა და მოითხოვდა გუბერნიიდან კაზაკთა ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას. სტაროსელსკი არნიშნავდა: 1. უკანასკნელ ხანებში უკიდურესად გამწვავდა დამოკიდებულება ქუთაისის მოსახლეობასა და ქალაქში განლაგებულ კაზაკთა ხოპერსკის პოლკს შორის; 2. დღე ისე არ გაივლის, რომ მოსახლეობამ კაზაკების თვითნებობისა და ძალმომრეობის შესახებ საჩივრებით არ მომმართოს; 3. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც 25-26 ნოემბრის ღამით კაზაკები ჯაჭვის ხიდთან მდებარე გოლეთიანის დუქანში შეიჭრნენ და დუქნის მფლობელს სასტიკად სცემეს, რომელიც 27 ნოემბერს გარდაიცვალა კიდეც; 4. ამ დროიდან საპატრულო სამსახურს კაზაკები ენეოდნენ, რადგან ბესარაბიის ქვეითთა პოლკის ნანილი ქალაქიდან გაიყვანეს.

დიდი გაბედულება გამოიჩინა ვლადიმირ სტაროსელსკიმ, როდესაც კავკასიის მეფისნაცვალს დანერილებით მოახსენა იმ მხეცობის შესახებ, რასაც გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარი, განსაკუთრებით კაზაკები, სჩადიოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. კაზაკთა მხრიდან მოსახლეობის ცემას, რასაც ხშირად დასახიჩრება, ზოგ შემთხვევაში კი სიკვდილიც მოჰყვებოდა ხოლმე, მასობრივი ხასიათი ჰქონდა. 1905 წლის 29 ნოემბერს ბათუმში გამართულმა მოსახლეობის მრავალათასიანმა მიტინგმა ხელისუფლებას კატეგორიული ფორმით მოსთხოვა: 1. სამი დღე-ღამის განმავლობაში ქალაქიდან გაეყვანა „კაციჭამია კაზაკები"; 2. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდებოდა და სამი დღის შემდეგ ბათუმში თუნდაც ერთი შეიარაღებული კაზაკი აღმოჩნდებოდა, მას ისე მოეპყრობოდნენ, როგორც „მტაცებელ ცხოველს".

1905 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლაი შიშკოვსკიმ გრიფით „საიდუმლო. სასწრაფო" მოხსენება გაუგზავნა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს, კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. მოხსენებაში შემდეგი ფაქტებია მოყვანილი: 1. 1905 წლის 28-29 ნოემბერს ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკისთან გამოცხადდნენ ქალაქ ფოთის მოსახლეობისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოახსენეს, რომ 27-28 ნოემბერს ღამით ჯარმა ფოთში დაარბია მაღაზიები, დუქნები, მუშათა საცხოვრებელი სახლები, რის დროსაც დაიჭრა და დაილუპა რამდენიმე კაცი. ამ ცნობის მიღების შემდეგ, სტაროსელსკის შიშკოვსკისათვის უთხოვია, რომ შემდგომი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად მასთან ერთად დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ფოთში; 2. ნიკოლაი შიშკოვსკის დაუდგენია, რომ დარბევაში მონაწილეობდნენ ხოპერსკის კაზაკთა პოლკის 0,5 ასეულის ოფიცერი და ჯარისკაცები, ყუბანის პლასტუნთა პოლკის მე-2 ბატალიონის 20 ოფიცერი და ჯარისკაცი. ვითარება იმდენად სერიოზული იყო, რომ გენერალმა გუბერნატორის თხოვნა გაითვალისწინა და მასთან ერთად გაემგზავრა ფოთში; 3. ფოთში ჩასულ ნიკოლაი შიშკოვსკისთვის ქალაქის გარნიზონის უფროსს, პოდპოლკოვნიკ კუტნევიჩსა და ოფიცრებს განუმარტავთ, რომ ქალაქის დარბევაში მონაწილეობდნენ ერთ-ერთი გემის კაპიტნის მკელელობით აღშფოთებული კაზაკები და პლასტუნები (სამხედროების განცხადებით, გემის კაპიტანი კონტრაბანდისტული გზით შემოტანილი იარაღით დატვირთული ბარკასების დაკავებას ცდილობდა). სამხედროების განცხადებით, კაზაკებისა და პლასტუნების აღშფოთება კიდევ უფრო გაუმძაფრებია სამი ტერორისტის მიერ უნტეროფიცრის მკელელობას; 4. გენერალ შიშკოვსკის დაუდგენია, რომ დარბევის თავიდან აცილებას არ შეეცადა და სრული უმოქმედობა გამოიჩინა ფოთის კომენდანტმა პოდპოლკოვნიკმა კუტნევიჩმა, რომელიც იმავდროულად ხერსონის ქვეითთა პოლკის მეთაურიც იყო; 5. ფოთში მომხრადმა დარბევამ დიდი აღშფოთება გამოინვია. ფოთში ჩავიდა გურულთა შეიარაღებული რაზმი (დაახლოებით 300 კაცი), ვრცელდებოდა ხმები, რომ გურიიდან და სამეგრელოდან ფოთისაკენ კიდევ მიემართებოდნენ შეიარაღებული რაზმები; 6. გენერალ შიშკოვსკის ფოთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დახმარებით ახალი დარბევა და სისხლისღვრა თავიდან აუცილებია; 7. ფოთის მოსახლეობამ კატეგორიულად მოსთხოვა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოვსკის კაზაკების ქალაქიდან გაყვანა. 1905 წლის 29 ნოემბერს გენერალს პლასტუნების ბათუმში გადაყვანის ბრძანება გაუცია. რაც შეეხება კაზაკებს, მათი

ფოთიდან გაყვანის ნებართვას შიშკოსკი კავკასიის მეფისნაცვალს სთხოვდა. მოხსენების დასასრულს ნიკოლაი შიშკოსკი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს თავის შიშს უზიარებდა: ფოთში განლაგებული ჯარი (ხერსონის 130-ე ქვეითთა პოლკის 60 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოპერსკის კაზაკთა პოლკის 44 ოფიცერი და ჯარისკაცი, მეტყვიამფრქვეველთა ასეულის 40 ოფიცერი და ჯარისკაცი, 20 პლასტუნი, სულ –

173 ოფიცერი და ჯარისკაცი), თუნდაც სასაზღვრო დაცვის 14 მებრძოლის დახმარებით გურიიდან და სამეგრელოდან შეიარაღებული რაზმების თავდასხმას ვერ გაუმკლავდებიანო.

1905 წლის 1 დეკემბერს ბათუმში განვითარებული მოვლენების გამო შეჩერდა მატარებლების მოძრაობა. 2 დეკემბერს ბათუმიდან მხოლოდ ერთადერთი მატარებელი გამოვიდა, რომელსაც ქალაქის დეპუტატია მიჰყავდა თბილისში. იმავე მატარებლით თბილისში ვლადიმირ სტაროსელსკიც გაემგზავრა. თბილისში ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს შეხვდა და გადასცა მოხსენება ქუთაისიდან კაზაკების გაყვანის თხოვნით. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა თხოვნა შეიწყნარა, რადგან მისი თანაშემწეებიც სტაროსელსკის უჭერდნენ მხარს. მეფისნაცვალთან შეხვედრისას ვლადიმირ სტაროსელსკიმ ისიც განაცხადა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა, თუ ქუთაისიდან, სამტრედიიდან და ზესტაფონიდან კაზაკთა პოლკებს არ გაიყვანდნენ. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა გუბერნატორის გადადგომა შესაძლებლად არ მიიჩნია. მეფისნაცვალთან შეხვედრა 3 დეკემბერს, ღამის 1 საათზე დასრულდა. სტაროსელსკიმ ჩაიბარა ილარიონ-ვორონცოვ დაშკოვის ბრძანება კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსისადმი, ქუთაისიდან ხოპერსკის კაზაკთა პოლკის, სამტრედიიდან და ზესტაფონიდან ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ასეულების გაყვანის შესახებ. ხოპერსკის კაზაკთა პოლკი ქუთაისიდან 1905 წლის 12 დეკემბერს უნდა გასულიყო, რადგან მანამდე ვერ მოხერხდებოდა რუსეთიდან ბაქოს გავლით ქუთაისის გუბერნიაში მომავალი ჯარების ჩამოსვლა, რომელთაც უნდა ჩაენაცვლებინათ კაზაკთა პოლკები.

ქუთაისიდან კაზაკთა გაყვანა სტიქიურად დაიწყო. ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ასეული, რომელიც ზესტაფონში იდგა, 1905 წლის 12 დეკემბერს არ დაელოდა, 3 დეკემბერს ზესტაფონის სადგურში ხელთ იგდო რამდენიმე ვაგონი და სამტრედიისაკენ გაემგზავრა, ხოლო 4 დეკემბერს სამტრედიაში მდგარ მეორე ასეულთან ერთად თბილისისაკენ დაიძრა.

რუსეთსა და საქართველოში განვითარებული მოვლენების კვალობაზე ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა ქუთაისში. 1905 წლის 12 დეკემბერს ქალაქში ახალი გაფიცვა დაიწყო, რომელსაც ჯარისა და პოლიციის მხრიდან ძალმომრეობა მოჰყვა. ელადიმირ სტაროსელსკის კვლავ სერიოზული უთანხმოება ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოსკისთან. აღსანიშნავია, რომ ამ დაპირისპირებაში ბესარაბიის ქვეითთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი **მ. ი. შიშკევიჩი** ყოველთვის გუბერნატორის მხარეზე რჩებოდა. 1905 წლის 19 დეკემბერს სტაროსელსკიმ კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენა იმ ძალმომრეობის, ძარცვისა და მკვლელობების შესახებ, რომელთაც ქუთაისში განლაგებული ხოპერსკის კაზაკთა პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები სჩადიოდნენ. ამასთან ერთად, სტაროსელსკი მოხსენების ბოლოს წერდა: 1. ქუთაისში ახალი სისხლისღვრა მზადდება; 2. ქალაქში განლაგებული კაზაკთა ჯარი მთლიანად გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის ჯარების სარდლის დაქვემდებარებიდან; 3. რიგითი კაზაკების მიერ მოწყობილ დარბევებში მონაწილეობენ ოფიცრებიც; 4.ხოპერსკის კაზაკთა პოლკის მეთაურმა თავხედური ტონით დაწერილ მოხსენებაში ცრუ ინფორმაცია მომაწოდა მიმდინარე მოვლენების შესახებ და ასეთივე ინფორმაციას აწვდის იგი გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოსკისაც. ამ მოხსენებაზე პასუხი იყო ის, რომ 20 დეკემბერს ვლადიმირ სტაროსელსკიმ გენერალ შიშკოსკისაგან ოფიციალური დოკუმენტი – „სამახსოვრო ქაღალდი" მიიღო, მოგვყავს ეს დოკუმენტი მთლიანად:

„ბ. ქუთაისის გუბერნატორს

1) დეკემბრის 19-ს მე მივმართე ბ. ბ. ოფიცრებს და ხოპერსკის პოლკის ჯარისკაცებს განმარტებით, რომ ჩვენ უნდა ვერიდოთ ქ. ქუთაისის მცხოვრებლებთან ურთიერთობის გამწვავებას. ისინი ამაზე დამეთანხმნენ და დამპირდნენ ხელი არ ახლონ ქალაქის მცხოვრებთ და იცხოვრონ აქ მშვიდად;

2) პოლკმა მთხოვა პირველ მუხლში აღნიშნული გუბერნატორმა გამოუცხადოს მოქალაქეებს. თავის მხრივ, პოლკი ითხოვს თქვენ გასცეთ განკარგულება, რომ არც ქალაქის მცხოვრებლებმა ახლონ ხელი კაზაკებს;

3) ხოპერსკელები (ხოპერსკის პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები – ვ. გ.) ითხოვენ, გასცეთ განკარგულება, რათა ქალაქის დუქნებში კაზაკებს ყველაფერი მიჰყიდონ იმავე ფასებში, როგორც ყიდიან ქალაქის მცხოვრებლებზე და არა იმაზე ძვირად;

4) ხოპერსკელები ითხოვენ გასცეთ განკარგულება, რომ პოლკში არ შეიტანონ რაიმე

პროკლამაცია, რადგან ეს აღიზიანებთ კაზაკებს;

5) ხოპერსკელები ითხოვენ გასცეთ ბრძანება, რომ, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, პოლკში შეიტანონ ნავთი, რათა პოლკიდან არ გაიგზავნონ დუქანში ნავთის შესასყიდად და ამით თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი შეტაკება;

6) სტრაჟნიკების იარალი შესანახად ჩაბარდეს არა კაზაკებს (ხოპერსკის პოლკს – ვ. გ.), არამედ ბესარაბიელებს (ბესარაბიის პოლკს – ვ. გ.);

7) ხოპერსკის პოლკის ზოგიერთ ოფიცერს და ჯარისკაცს მცხოვრებლებისაგან აქეს ცნობა, რომ მათ დახოცავენ. ამის გამო ხოპერსკელები გთხოვენ, გამოუცხადოთ მცხოვრებლებს, რომ მათი თანამოსამსახურის ყოველი მკვლელობა გამოინვეყს ხალხის სისხლის დალერას, მათ შორის შეიძლება უდანაშაულო მსხვერპლიც აღმოჩნდეს."

რამდენიმე დღის შემდეგ ვლადიმირ სტაროსელსკიმ მიიღო ქუთაისში განლაგებული ჯარების ოფიცრების ორგანიზაციის დადგენილება, რომელსაც ხელს ერთ-ერთი უფროსი ოფიცერი ანერდა. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ თუ ვინმე ოფიცერსა და ჯარისკაცზე ხელს აღმართავს, სამხედროები იტოვებენ უფლებას მომხდარი გამოიძიონ და ქალაქის მცხოვრებთა წინააღმდეგ შურისძიების ნებისმიერი ფორმა გამოიყენონ. ყოველივე ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ სისხლისღერა შეიძლებოდა ყოველ წუთს დანყებულიყო.

კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანების მიუხედავად, ქუთაისიდან ხოპერსკის კაზაკთა პოლკი არ გაუყვანიათ. აშკარა იყო, რომ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მერყეობდა. ქუთაისის გუბერნატორი ვლადიმირ სტაროსელსკი იძულებული გახდა თავისი დანაპირები შეესრულებინა და თანამდებობიდან გადადგომა ეთხოვა. თხოვნა საგანგებო შიკრიკის მეშვეობით ქუთაისიდან თბილისში მიმავალმა მატარებელმა 1905 წლის 21 დეკემბერს ნაილო. ქუთაისიდან გასული მატარებელი, რადგან საომარი მდგომარეობის გამო მთელი რკინიგზა და თბილისის სადგური ჯარებს ეკავათ, რამდენიმე სადგურის გავლის შემდეგ ისევ ქუთაისში დაბრუნდა. თბილისთან ყოველგვარი კავშირი შენყდა, რის გამოც სტაროსელსკის თხოვნა გადადგომის შესახებ ვორონცოვ-დაშკოვმა რამდენიმე დღის დაგვიანებით მიიღო.

1905 წლის დეკემბრის ბოლოს გამოსვლები დაინყო ქუთაისში განლაგებულ ყუბანის პლასტუნთა ბატალიონში, რომელსაც ბესარაბიის ქვეითთა პოლკის ჯარისკაცებიც შეუერთდნენ. პოლკოვნიკმა მ. ი. შიშკევიჩმა ჯარისკაცების დამშვიდება შეძლო და ისინიც ყაზარმებში დაბრუნდნენ. მიუხედავად ამისა, ქუთაისსა და გუბერნიაში მდგომარეობა არასტაბილური იყო. ერთმანეთის მიყოლებით ხდებოდა ტერორისტული აქტები. ერთ-ერთი ასეთი აქტი ტყიბულში განხორციელდა. 28 დეკემბრისათვის ტყიბულში ქვეითი ჯარის ასეული იდგა 28 ოფიცრისა და ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელთაგან 10 უშუალოდ ტყიბულის რკინიგზის სადგურზე მორიგეობდა, ხოლო 18 სამხედრო 3-4 ვერსის მოშორებით ქვანახშირის შახტებთან. რევოლუციონერთა რაზმი ტყიბულის სადგურზე თავს დაესხა მორიგე ჯარისკაცს, განაიარაღა იგი და შემდეგ სროლა აუტეხა იმ ეაგონს, რომელშიც დანარჩენი სამხედროები იმყოფებოდნენ, ეაგონს ბომბიც ესროლეს, შიგ მყოფი 9 ჯარისკაციდან 3 მოკლეს, 1 მძიმედ დაჭრეს. დანარჩენებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და სროლით უპასუხეს. სროლის ხმაზე შახტებთან განლაგებული სამხედროები სადგურისაკენ გამოეშურნენ, მათ მოსულამდე თავდამსხმელები მიიმალნენ. ტყიბულში მომხდარი ქუთაისში 29 დეკემბრის დილით შეიტყვეს. ტყიბულში პოლკოვნიკ მ. ი. შიშკევიჩის მეთაურობით სასწრაფოდ გაიგზავნა კაზაკებისა და ქვეითი ჯარის რაზმი. კაზაკები ასისთავ ნეკრასოვის მეთაურობით უფრო ადრე დაიძრნენ. ქვეითი ჯარის ნაწილი ქუთაისიდან აღარ გასულა, რადგან მალევე შეიტყვეს, რომ ტყიბულში დარჩენილ ჯარისკაცებს საფრთხე აღარ ელოდათ. ტყიბულში რუსი ჯარისკაცების დახოცვა შეიძლებოდა ქუთაისში ჯარის მხრიდან შურისძიების საბაბი გამხდარიყო. სამხედროებმა გამოძიება ჩაატარეს და დაადგინეს, რომ რევოლუციონერთა რაზმი ქუთაისიდან ფეხით დაძრულა, რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ მატარებელში ჩამსხდარა და ტყიბულში ჩასულა. სამხედროების გადაწყვეტილებით, ტყიბულში მომხდარი ინციდენტი ქუთაისის გარნიზონის ოფიცერთა კრებაზე უნდა განეხილათ. კრებაზე მიწვეული იყვნენ გუბერნატორი სტაროსელსკი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი ნ. ი. ტოლპიგა და ქალაქის საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. კრებამ, საერთო ჯამში, მშვიდად ჩაიარა. პოლიტიკური პარტიების სახელით გამოსულებმა სამხედროებს აუხსნეს, რომ მათ პარტიებს ტყიბულში მომხდართან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. გადაწყდა ტყიბულში გაეგზავნათ საგანგებო მატარებელი, ქუთაისში გადმოეყვანებინათ მოკლულთა გვამები და სამხედრო პატივით დაეკრძალათ დაღუპულები. ვითარება ბოლომდე განმუხტული ჯერ კიდევ არ იყო, როცა დაბა ზესტაფონსა და სოფელ ხარაგაულში მდგარ თენგინის პოლკის ასეულებს თავს დაესხა შეიარაღებული რაზმი. თავდამსხმელებმა წინასწარ

მოფიქრებული გეგმის მიხედვით, ორივე ასეულის მეთაური შეიპყრეს, ხოლო შემდეგ ჯარისკაცები განაიარაღეს. შეჯახებაში 25 ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა. თავდამსხმელებმა ხელთ იგდეს დაახლოებით 100-მდე შაშხანა და რამდენიმე ათასი ვაზნა. ჯარის განიარაღების შემდეგ მათ ზესტაფონის ხაზინიდან 220.000 რუბლი გაიტაცეს.

1906 წლის იანვრის დამდეგიდან ქუთაისში სამხედროთა მხრიდან ტერორი გაძლიერდა. სამხედროები ქალაქის დასარბევად ემზადებოდნენ. 5 იანვარს ხოპერსკის კაზაკთა პოლკის ყაზარმებში მივიდა ვლადიმირ სტაროსელსკი და მათ დამშვიდებას შეეცადა. ოფიცრები და ჯარისკაცები გაგებით მოეკიდნენ გუბერნატორის თხოვნას და ქალაქის დარბევა გადაიფიქრეს. ეს კერძო შემთხვევა საერთო ვითარებას ვერ ცვლიდა.

1906 წლის 8 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა კავკასიის მეფისნაცვლისა და სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო ბრძანება გაუგზავნა გენერალ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში „მშვიდობის დამყარებას“ ითვალისწინებდა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად სამხედრო მდგომარეობისა, ქუთაისის გუბერნიაში ვითარება არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა და აჯანყების ხასიათი მიიღო: მასობრივად ხდებოდა პოლიციის სტრაჟნიკების განიარაღება და პოლიციის იარაღის მიტაცება; რკინიგზის ხაზების დაზიანების გამო შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა; რკინიგზის სადგურები დაიკავეს აჯანყებულთა რაზმებმა; შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს სურამის სარკინიგზო გვირაბი და თბილისსა და ქუთაისს შორის მოძრაობის შეწყვეტის მიზნით გვირაბი ღიანდაგიდან გადასული ორთქლმავლით გადაკეტეს; სარკინიგზო გვირაბში მოძრაობის აღდგენის მიზნით სადგურ ნიფაში თენგინის ქვეითთა პოლკის ასეული გაიგზავნა, სამხედროებს აჯანყებულებმა სროლა აუტეხეს, მოკლეს 3 და დაჭრეს 1 კაზაკი; ამბოხებულებმა მოკლეს თენგინის პოლკის ასეულის მეთაური, რომელიც ბელოგორიდან (ხარაგაულიდან) ყვირილაში (ზესტაფონში) მიდიოდა; აჯანყებულებმა განაიარაღეს თენგინის პოლკის ასეული, განიარაღებისას მომხდარი შეჯახების დროს მოკლეს 1 და დაჭრეს 3 კაზაკი. გუბერნიაში ნესრიგის აღდგენის მიზნით:

1. ქუთაისის გუბერნიიდან გაიწვიეს გუბერნატორი ვლადიმირ სტაროსელსკი;

2. გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა და დროებით სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი, რომელსაც დაუქვემდებარეს გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარები;

3. ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა: თბილისიდან – პოლკოვნიკ **გავრილოვის** მეთაურობით ქვეითთა 6 ბატალიონი, მესანგრეთა 1 ასეული, პლასტუნთა 1 ასეული, 4 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, კაზაკთა 3 ასეული; ბათუმიდან ოზურგეთისა და სამტრედიის გავლით – პოლკოვნიკ **კრილოვის** მეთაურობით ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი 4 ქვემეხითა და პლასტუნთა 0,5 ასეული;

4. გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის მომავალ მოქმედებებსა და განკარგულებებში სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა და დაევალა:

ა) დაუყონებლივ აღადგინოს მთელ გუბერნიაში სახელმწიფო წესრიგი, უზრუნველყოს სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირება;

ბ)შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის თანახმად, გაანადგუროს რევოლუციური ორგანიზაციები, დაათბიმროს საგაფიცვო და სხვა კომიტეტების წევრები;

გ)დაუყოვნებლივ განადგურდეს ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები არა მარტო ქალაქ ქუთაისში, არამედ გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე;

დ) მოსახლეობის მხრიდან აჯანყების ან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჯარმა იმოქმედოს შეუბრალებლად, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარი შტაბის 1905 წლის 26 დეკემბრის №9965 დეპეშის შესაბამისად.

ბრძანება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: **„ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ებრძანებინა, რომ ჯარი ვალდებულია სროლას სროლითვე უპასუხოს და ჩახშოს შეიარაღებული წინააღმდეგობის უმნიშვნელო მცდელობაც კი.“**

დამსჯელი ექსპედიცია ქუთაისისაკენ დაიძრა. **ბელოგორში (ხარაგაულში)** დამსჯელებმა 100 სახლი და დუქანი გადაწვეს; **შოროპანში** – 6 დუქანი (ზესტაფონში უკვე გადამწვარი იყო დაახლოებით 200 შენობა); სადგურ **სვირში** – 10 შენობა; **აჯამეთის** სადგურზე მატარებლიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს 9 კაცი; სადგურ **რიონში** გადაწვეს 1 დუქანი.

ქუთაისში დამსჯელ ექსპედიციას 1906 წლის 8-9 იანვარს ღამით ელოდნენ, თუმცა ჯარი ქალაქში 9 იანვარს შევიდა. დილის 9 საათზე ქუთაისში განლაგებული ხოპერსკის კაზაკთა პოლკი ყაზარმებიდან გამოვიდა, სიმღერითა და მუსიკის თანხლებით ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა. სამხედროებმა პოლიციმაისტერს შეუთვალეს: თუ მაღაზიებსა და დუქნებს მფლობელები თავად არ

გააღებდნენ. სამხედროები კარებს შეამტვრევდნენ. 11 საათიდან 12 საათამდე ქუთაისში პლასტუნები და თენგინის პოლკი შემოვიდა. ელადიმირ სტაროსელსკის თხოვნით, ნაშუადღევის 3 საათისათვის დუქნები და მაღაზიები გააღეს. 9 იანვარს გვიან საღამოს სტაროსელსკისთან გამოცხადდა სამხედროების ნარმომადგენელი ორი ოფიცერი და ერთ-ერთმა მათგანმა, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ადიუტანტმა, კაპიტანმა ოვსეენკომ, სტაროსელსკის განუცხადა, ოფიცრები და ჯარისკაცები აღშფოთებულები არიან ქუთაისის გუბერნატორის მოქმედებით. ოფიცრები ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ რევოლუციონერების 144-კაციანი სიის გადაცემას. თუ 144 რევოლუციონერს არ დაპატიმრებდნენ და დასახვრეტად არ გადასცემდნენ სამხედროებს, მაშინ ისინი ქალაქის მცხოვრებთაგან 144 ადამიანს დახვრეტენო. მართალია, ელადიმირ სტაროსელსკი გადაყენებული იყო გუბერნატორის თანამდებობიდან, მაგრამ მაინც შეეცადა ქუთაისი დიდი განსაცდელისაგან ეხსნა. მან ოფიცრების მიერ ნამოყენებული ულტიმატუმის შესახებ ტელეგრაფით დაუყონებლივ აცნობა კავკასიის მეფისნაცვალს.

1906 წლის 9 იანვარს, დაღამდა თუ არა, ქალაქში რამდენიმე ხანძარი გაჩნდა. 9-10 იანვრის ღამეს ქალაქის ცენტრშიც იფეთქა დიდმა ხანძარმა, დაინყო მაღაზიებისა და დუქნების ძარცვა. მალე ჯარი ქუთაისიდან გავიდა და საჩხერისაკენ მიმავალმა რკინიგზასთან ახლოს მდებარე სოფლები გადაწვა. ჭიათურაში გადაწვეს 22 სახლი, საჩხერეში – დაახლოებით 20. სამხედროებმა თითქმის ყველა დუქანი გადაწვეს სოფელ ბაღდათსა და სოფელ ობჩაში. 10 იანვარს ცნობილი გახდა, რომ კაპიტანი ოვსეენკო ალიხანოვ-ავარსკის ადიუტანტი არ ყოფილა და იგი ჩვეულებრივი დამსჯელი და მძარცველი იყო.

1906 წლის 10 იანვარს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს ნიკოლაევის, ხოპერსკისა და თენგინის პოლკების მეთაურთა თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სამხედროებმა ელადიმირ სტაროსელსკის სახლს შემოარტყეს ალყა. ალყის ამბავი რომ გაიგო, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი შიშკოვსკი სასწრაფოდ გაემართა შემთხვევის ადგილზე და ჯარს ყაზარმაში დაბრუნება უბრძანა. სამხედროებმა ბრძანება არ შეასრულეს და ისინი მხოლოდ ცრუ-კაპიტან ოვსეენკოს განკარგულების შემდეგ დაიშალნენ. ამ ძალადობრივი აქტის შესახებ 11 იანვარს სტაროსელსკიმ დეპეშით მოახსენა კავკასიის მეფისნაცვალს.

1906 წლის 10 იანვარს ელადიმირ სტაროსელსკიმ ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნილი ჯარების მოსახლეობასთან არაადმიანური დამოკიდებულებისა და მხეცობის შესახებ დეპეშით აცნობა კავკასიის მეფისნაცვალს. სტაროსელსკი აღნიშნავდა: ნითელი რაზმების დაშლის მიუხედავად, ჯარი მაინც მტრულად არის განწყობილი მოსახლეობისადმი; რკინიგზაზე განლაგებულ ჯარებში სუსტია დისციპლინა; თბილისიდან ქუთაისისაკენ მიმავალმა სამხედროებმა გადაწვეს დაბა ყვირილის (ზესტაფონის) დიდი ნაწილი; 9 იანვარმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, მაგრამ 9-10 იანვარს ღამით ქუთაისში სამ ადგილას გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა საცხოვრებელი სახლები და დუქნები, ხანძარი გადაედო გუბერნიის ადმინისტრაციულ შენობას, რომლის ნაწილი დაინვა; მოსახლეობა სასოწარკვეთილია. სტაროსელსკი ასევე აღნიშნავდა, რომ ხანძრის გამომწვევი მიზეზების და ძარცვის შემთხვევების გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ მოსახლეობას ზარალი აუნაზღაურდეს. და ბოლოს, სტაროსელსკი მეფისნაცვალს სთხოვდა თბილისში გამგზავრების უფლებას, რათა პირადად მოეხსენებინა მისთვის შექმნილი ვითარების შესახებ.

§3. ელადიმირ სტაროსელსკის გადაყენება გუბერნატორის თანამდებობიდან

1906 წლის 10 იანვარს ელადიმირ სტაროსელსკიმ გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა და ამის გამო ელადიმირ სტაროსელსკის ქუთაისი უნდა დაეტოვებინა და ვიცე-გუბერნატორთან ერთად დაბა ზესტაფონში გადასულიყო. სამხედროებმა ელადიმირ სტაროსელსკი და ალექსანდრე ყიფშიძე მატარებელში ჩასვეს და როგორც ტყვეები, ყვირილის (ზესტაფონის) მიმართულებით ნაიყვანეს. ელადიმირ სტაროსელსკის დარაჯობდნენ: ცრუ-კაპიტანი ოვსეენკო, ჟანდარმერიის პოდპოლკოვნიკი და რამდენიმე ჟანდარმი. გზაში ოვსეენკომ სტაროსელსკის აცნობა, რომ მასა და ვიცე-გუბერნატორ ალექსანდრე ყიფშიძეს ყვირილაში (ზესტაფონში) სამხედრო-საველე სასამართლო გაასამართლებდა. 10 იანვარს მატარებელმა ზესტაფონს დაგვიანებით მიაღწია. სტაროსელსკი და ყიფშიძე იმ დღეს ალიხანოვ-ავარსკიმ არ მიიღო. შეხვედრა 11 იანვარს შედგა. ალიხანოვ-ავარსკიმ ქუთაისის ყოფილ გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს გამოუცხადა, რომ ისინი გადაყენებულნი იყვნენ თანამდებობიდან და დაუყონებლივ უნდა გამგზავრებულიყვნენ თბილისში. შეხვედრის დასრულების შემდეგ ალიხანოვ-ავარსკიმ ელადიმირ

სტაროსელსკის ოფიცრის ხელით კავკასიის მეფისნაცვლის 1906 წლის 8 იანვრის №299 ბრძანება გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო: გუბერნია დროებითი გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნულ ვიცე-გუბერნატორ **ანუპირს** გადააბარეთ და თბილისში გამოემგზავრეთო. ვლადიმირ სტაროსელსკი თბილისში პატიმრის რანგში ჩამოიყვანეს.

1906 წლის 14 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა დეპეშა გაუგზავნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს და გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ ვლადიმირ სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორ ალექსანდრე ყიფშიძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა ითხოვა. 18 იანვარს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ **ვლადიმირ სტაროსელსკი და ალექსანდრე ყიფშიძე** გადაყენებული იყვნენ თანამდებობიდან, ხოლო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრ **ოუსტინ მიცკევიჩს** დაევალა სტაროსელსკისა და ყიფშიძის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამოძიება. თუ გამოძიების შედეგად დადგინდებოდა, რომ სტაროსელსკისა და ყიფშიძეს დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, ძიების შედეგები გადაეცემოდა რუსეთის იმპერიის მმართველ სენატს, რათა სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო. 1906 წლის 21 იანვარს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა ბრძანებულებას ვლადიმირ სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლის მოვალეობიდან გათავისუფლების შესახებ.

ვლადიმირ სტაროსელსკისა და ალექსანდრე ყიფშიძის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ გამოძიება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. 1906 წლის 28 იანვარს ჩვენება მისცა ოზურგეთის მაზრის მოსამართლე **თაყაიშვილმა**, 30 იანვარს – ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საქმეების საკრებულოს წევრმა **პრინცმა**, 3 თებერვალს – კავკასიის პოლიციის გამგემ გენერალმა **ევგენი შირინკინმა**, 4 თებერვალს – ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის სამართველოს ქუთაისის განყოფილების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა **გამყრელიძემ**. ყველა ჩვენება ვლადიმირ სტაროსელსკის რევოლუციონერებთან კავშირში ადანაშაულებდა. საბოლოოდ მთელი მასალა დადგენილების მისაღებად სამხედრო-საგამომძიებლო კომისიას გადაეცა, რომელიც შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა: თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი **იანუშკოვსკი**, წევრები: გენერალ-მაიორი **ლეუაშოვი**, პოლკოვნიკი **ანასტასიენკო**. 1906 წლის 6 თებერვალს სამხედრო-საგამომძიებლო კომისიამ დადგენილება გამოიტანა. სტაროსელსკის ბრალი ედებოდა რევოლუციონერებთან, კონკრეტულად, სოციალისტურ პარტიებთან ღია და ფარულ თანამშრომლობაში, „ნითელი რაზმების“ წაქეზებასა და გუბერნიაში გაგზავნილი ჯარის განიარაღებაში, რასაც სამხედროების სიცოცხლე შეეწირა. კომისიამ ბრალი დამტკიცებულად მიიჩნია და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმე საბოლოო მსჯავრის გამოსატანად იმპერატორ ნიკოლაი II-სა და კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისათვის გადაეგზავნა.

სამხედრო-საგამომძიებლო კომისიის მიერ დადგენილების გამოტანის მიუხედავად, ვლადიმირ სტაროსელსკის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ მასალის შეგროვება კვლავ გრძელდებოდა. 1906 წლის 7 თებერვალს ჩვენება მისცა ქვეითთა სარეზერვო ბრიგადის მეთაურმა გენერალ-მაიორმა **ვასილიევმა** და ქუთაისის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა **მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკიმ**, 8 თებერვალს – ბესარაბიის ქვეითთა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა **მ.ო. შიშკევიჩმა**, 20 თებერვალს – ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა (მოადგილემ) **მალინოვსკიმ** და ურიადნიკმა **სკურლატოვმა**, 21 თებერვალს – ქუთაისის პოლიციმაისტერის მოვალეობის დროებითმა აღმსრულებელმა **ტერ-ანტონოვმა**, 24 თებერვალს – ხოპერსკის კაზაკთა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა **შჩერბინამ**, 25 თებერვალს – ოზურგეთის მაზრის უფროსმა **ი.ლაზარენკომ**.

ვლადიმირ სტაროსელსკის კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოში მფარველებიც გამოუჩნდნენ, არც მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი და იმპერატორი ნიკოლაი II იყვნენ აგრესიულად განწყობილნი. სტაროსელსკიმ მეფისნაცვლისა და მეფისნაცვლის საბჭოს წევრების დახმარებით პატიმრობა თავიდან აიცილა და პეტერბურგში ჩასვლა მოახერხა. მან ინტერვიუ მისცა გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტის“ კორესპონდენტს, რომელიც გაზეთის 1906 წლის 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა (ინტერვიუ გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმაც“ გადაბეჭდა). ინტერვიუს ძირითადი ნაწილი გურიას ეხებოდა. სტაროსელსკიმ შეძლო მკითხველისათვის ობიექტური ცნობები მიეწოდებინა გურიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და გაეფანტა ის ჭორები, რომლებიც პრესის საშუალებით ვრცელდებოდა. კორესპონდენტმა სტაროსელსკის სთხოვა აზრი გამოეთქვა კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის შესახებ. ყოფილმა გუბერნატორმა ამჯერადაც სიმართლე არ დამალა და განაცხადა: ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს არ წმუნებდნენ, რომ მცირე დათმობებით შეიძლე-

ბოდა მოსახლეობის დამშვიდება მაშინ, როდესაც საჭირო იყო გაბედული რეფორმები. პირადად მე მას რამდენჯერმე ვთხოვე გაეტარებინა რეფორმები, კერძოდ, აგრარული რეფორმა და მივანიშნე მის აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, მეფისნაცვალმა რეფორმების გატარება ვერ გაბედა. კორესპონდენტმა სტაროსელსკის ასევე სთხოვა, აზრი გამოეთქვა გენერალ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის შესახებ, პასუხი ამჯერადაც გაბედული იყო: „ჩემი აზრით, ალიხანოვ-ავარსკი ხიშტების, როგორც მოსახლეობის დამშვიდების საშუალების, თავდაჯერებული მომხრეა. მსგავსი შეხედულების ადამიანები კავკასიაში ცოტა არ არის. იგი ენთუზიასტი პოლიციელია, რომელიც თვლის, რომ ძალმომრეობა წესრიგის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა".

პეტერბურგში ჩასულმა ვლადიმირ სტაროსელსკიმ გაზეთ „ეოზროჟდენიეს" ინტერვიუ მისცა, რომელიც 1906 წლის 28 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა.

კორესპონდენტი: „ერცელდება ხმები, რომ თქვენ მთავრობამ გამოგიძახათ, რათა მინისტრთა საბჭოს ახსნა-განმარტება მისცეთ".

სტაროსელსკი (ღიმილით): „არაფერი ამის მსგავსი. მე არავის არ მოუუნეივივარ, მე აქ ჩამოვედი არა ძალდატანებით, არამედ საკუთარი სურვილით. ჩემთვის არანაირი ახსნა-განმარტება არ მოუთხოვიათ. მე ჩამოვედი პეტერბურგში, რათა დავისვენო და საჯარო სასამართლოს მივაღწიო. მე არ ვიცი რაში მდებენ ბრალს!"

კორესპონდენტი: „მაგრამ თქვენ ხომ ბრალი ნარმოგიდგინეს?"

სტაროსელსკი: „აბსოლუტურად არავითარი ბრალი. კავკასიაში დაინყო რაღაც ადმინისტრაციული გამოძიება, მაგრამ შეგროვილი მასალები კანცელარიის ფარგლებს არ გასცდება და საზოგადოებისათვის მისაწვდომი არ გახდება. რაში შეუძლიათ ჩემთვის ბრალის დადება? მე არასდროს კანონისათვის გვერდი არ ამიელია და კანონი არ დამირღვევია, მთელი ჩემი მოღვაწეობა საჯარო და ყველასათვის ცნობილი იყო".

კორესპონდენტი: „ამბობენ, რომ გუბერნატორად დანიშვნამდე თქვენ მეფისნაცვალს მომავალი სამოღვაწეო პროგრამა წარუდგინეთ".

სტაროსელსკი: „დიახ... მე არ მინდოდა გუბერნატორობა, მე ვცხოვრობდი ცენტრიდან მოშორებით, ვცხოვრობდი მშვიდად, განვაგებდი საქარის საცდელ სადგურს და ვიღებდი ხელფასს 5.000 მანეთის ოდენობით, კარგად ვიცნობდი მთელს კავკასიას, ვიცნობდი მოსახლეობის საჭიროებებს და ვცდილობდი ჩემ ხელთ არსებული საშუალებებით დავხმარებოდი, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე. პირველ წინადადებას, დამეკავებინა გუბერნატორის თანამდებობა, მე უარით ვუპასუხე, შემდეგ დავეთანხმე და მეფისნაცვალს წარვუდგინე ჩემი სამომავლო მოქმედების დაწერილებითი პროგრამა. მე აუცილებლად მივიჩნევდი შეკრების თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, გუბერნიიდან ჯარების განვეყას, ადმინისტრაციული გასახლებებისა და დაპატიმრებების შეწყვეტას. ეს იყო 1905 წლის 17 ოქტომბრამდე, ჩემს გუბერნიაში დამკვიდრებულმა კრებისა და სიტყვის თავისუფლებამ ჩემ წინააღმდეგ განაწყო ყველა კონსერვატორი მოხელე, პროკურატურა, ჟანდარმერია... მე ვგრძნობდი, რომ ახალ თანამდებობას დიდხანს ვერ შევინარჩუნებდი... მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვცდილობდი გუბერნია განადგურების, ცეცხლის, მათრახებისა და ქვემეხებისაგან მეხსნა, მაგრამ ბოლო ხანს ვითარება შეიცვალა. რეაქციამ იზეიმა და მე შეუძლებლად მივიჩნიე სამსახურის გაგრძელება. სამჯერ ვთხოვე მეფისნაცვალს თანამდებობიდან გადადგომა, მაგრამ თხოვნა შენყნარებული არ იქნა".

კორესპონდენტი: „რით ახსნით თქვენს გადაყენებას თხოვნის გარეშე?"

სტაროსელსკი: „ჯერ-ჯერობით არ ვიცი. მეფისნაცვლისაგან 1906 წლის 8 იანვარს მე მივიღე წერილი. წერილში საყვედურის ნასახიც კი არ იყო, რამდენიმე დღის შემდეგ მე ჩემი თხოვნის გარეშე გამათავისუფლეს, თუმცა მეფისნაცვალთან გათავისუფლების შესახებ სამი თხოვნა მქონდა წარდგენილი".

კორესპონდენტი: „მიაღწევეთ კი საჯარო სასამართლოს?"

სტაროსელსკი: „არ ვიცი. კანონი ჩემ წინააღმდეგაა. თხოვნის გარეშე განთავისუფლებულ პირს სასამართლოს მოთხოვნის უფლება არა აქვს. მიუხედავად ამისა, მე ვეცდები გავარკვიო, რაში ვარ დამნაშავე, იმაში ხომ არა, რომ მე მებრალებოდა გუბერნია, ვიცავდი მას დარბევისა და გადაწვისაგან. გადაწვისა და დახვრეტის უფლებას მე ვერავის ვერ მივცემდი, მოსახლეობის დამშვიდების მიზნით ამ საშუალებების გამოყენება დღესაც არ მიმაჩნია საჭიროდ და გამართლებულად, მიუხედავად ალიხანოვის განკარგულებებისა. ჩემს გუბერნიაში არ არსებობდა მიზეზები, რომლებიც გადანვასა და ტყვიებს იმსახურებდა".

ვლადიმირ სტაროსელსკის გასამართლებას და დასჯას ზოგიერთი თანამდებობის პირი აშკარად უჭერდა მხარს. სხვადასხვა მიზეზის წყალობით „ნითელი გუბერნატორი" სასჯელს გადაურჩა, მაგრამ რუსეთის იმპერიის საზღვრების დატოვება მოუხდა და 1916 წელს ემიგრაციაში დაასრულა სიცოცხლე.

თავი IV. ბათუმი 1905–1906 წლებში


თბილისის შემდეგ მუშათა რევოლუციური მოძრაობა ყველაზე მძლავრად ქალაქ ბათუმში გამოვლინდა. აქ თავმოყრილ სხვადასხვა ქარხანასა და ფაბრიკაში, ნავსადგურში რამდენიმე ათასი მუშა იყო დასაქმებული. ბათუმში მუშათა მოძრაობამ ჯერ კიდევ 1901-1903 წლებში იჩინა თავი და, როგორც მოძრაობაში მონაწილე მუშათა რაოდენობით, ისე პოლიტიკური სიმწიფით, გამორჩეული ადგილი დაიკავა მთელ სამხრეთ კავკასიაში(ამიერკავკასიაში).

§1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი ბათუმში

მუშათა გაფიცვები და პოლიციასთან შეჯახებები ბათუმში 1905 წლის იანვარშიც დაიწყო. 28 იანვარს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ შინაგან საქმეთა მინისტრს თბილისში, ბათუმში, ქიათურაში, ტყიბულში, ფოთსა და ამიერკავკასიის რკინიგზაზე მიმდინარე გაფიცვების შესახებ მოხსენება გაუგზავნა. მოხსენებაში აღნიშნულია: 1. გაფიცვები ბათუმში, როგორც ჩანს, 1904 წლის დეკემბერში ბაქოდან ჩამოსულმა აგიტატორებმა მოამზადეს. გაფიცვის მოწყობის მცდელობა ჯერ კიდევ 1904 წლის დეკემბერში იყო, თუმცა უშედეგოდ, – 21 დეკემბერს მუშაობა განახლდა; 2. 1905 წლის 17 იანვარს ბათუმის რკინიგზის სადგურში მოულოდნელად მოიყარა თავი ნავსადგურის დაახლოებით 500-მა მუშამ. ნავსადგურის მუშებმა სიკვდილის მუქარით რკინიგზის მუშები აიძულეს გაფიცვას შეერთებოდნენ; 3. 19 იანვარს მუშების კვალდაკვალ რკინიგზის მოხელეებიც გაიფიცნენ. გაიფიცა რამდენიმე ქარხნის მუშათა დიდი ნაწილი. გაფიცულთა მუქარით მუშაობა შეწყვიტეს მეეტლეებმაც; 4.20 იანვარს ღამით ბათუმის საბაჟოს მოხელეებმა განაცხადეს: სამუშაო ადგილზე ვერ დავრჩებით, რადგან გაფიცული მუშები დახოცვით გვემუქრებიანო. 20 იანვარს დილით საბაჟოზე მართლაც გამოცხადდნენ გაფიცული მუშები და იქ მომუშავეები სიკვდილის მუქარით აიძულეს მუშაობა შეენყვიტათ; 5. 20 იანვარს ვერც მეეტლეებმა გააახლეს მუშაობა.

1905 წლის 20 იანვარს გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ ჯარი გაგზავნა ბათუმში: ქუთაისიდან –კურინსკის 79-ე ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, ყარსიდან – შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 2 ასეული. 21 იანვარს ბათუმის პორტი მთლიანად გაფიცული იყო, არ მუშაობდა საბაჟო. მუშაობდნენ მხოლოდ ის მუშები, რომლებსაც ბათუმის პორტით ტვირთის სასწრაფოდ გაგზავნა ევალებოდათ. 21 იანვარს ბათუმის გარეუბანში, ქალაქში შემავალ გზაზე, ტერორისტი თავს დაესხა ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერ ბარდაკოვს და ხანჯლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. 23 იანვარს გაფიცულმა მუშებმა ბათუმის დეპოში მუშაობის სრულად შეწყვეტას მიაღწიეს. ბათუმის საბარგო სადგურსა და ნავსადგურისაკენ მიმავალ რკინიგზის ხაზს სამხედროები იცავდნენ. გაფიცვის მიუხედავად, ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი არ დარღვეულა. გაფიცულთა მოთხოვნები ნავსადგურის ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა, რის გამოც ნავსადგურში შემოსული დატვირთული გემები უკან გაბრუნდნენ. ქალაქში ვითარება თანდათან იძაბებოდა. გაფიცული მუშები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და პოლიციელებსა და მეეზოვეებს სიკვდილის მუქარით სამუშაოს მიტოვებისაკენ მოუწოდებდნენ (ყველა მეეზოვე პოლიციის ინფორმატორი იყო, გარდა ამისა, მეეზოვეებს პოლიცია მიტინგებისა და დემონსტრაციის დარბევისას იყენებდა – ვ. გ.)ბათუმის ერთ-ერთი უბნის პრისტავმა განაცხადა, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ 4 მუსლიმი პოლიციელი დარჩა. 22 იანვარს დილით გაფიცულმა მუშებმა სადგურის უფროსს წერილობითი მოთხოვნები წაუყენეს: 1. დაწესდეს 0,5-საათიანი შესვენება საუზმისათვის და 1,5-საათიანი შესვენება სადილისათვის; 2. შაბათობით, ასევე დღესასწაულების წინადღეს სამუშაოები ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდეს, ხოლო სადაგ დღეებში – ნაშუადღევის 4 საათზე; 3. თუ მუშები სამუშაო დღის დასრულების შემდეგაც იმუშავებდნენ, ანაზღაურება უნდა მომატებოდათ – ყოველ საათზე 40 კაპიკი; 4. ყოველდღიური ანაზღაურება 1 მანეთი და 60 კაპიკი უნდა ყოფილიყო; 5. თუ მუშები უქმე დღეს იმუშავებდნენ, 1 დღე 1,5 დღედ უნდა ჩათვლოდათ; 6. უნდა აკრძალულიყო მუშების შეურაცხყოფა და გაუქმებულიყო ყოველგვარი ჯარიმა; 7. მუშაობის დაწყება და მისთვის თავის დანებება მხოლოდ მუშების ნება-სურვილით უნდა მომხდარიყო; 8. მუშას არ შეიძლებოდა 5 ფუთზე მეტი ტვირთი გადაეტანა, უფრო მძიმე ტვირთი ურიკებით უნდა გადაეზიდათ. მუშათა მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს.

1905 წლის 25 იანვრისათვის ბათუმში არც ერთი ფაბრიკა და ქარხანა არ მუშაობდა, დუქნები და მაღაზიები მეპატრონეებმა პოლიციის მოთხოვნით გააღეს, მეეტლეები სამუშაოდ არც პოლიციის მოთხოვნით გამოსულან. 26 იანვარს მაღაზიები ისევ მუშაობდა, სამუშაოდ გამოვიდა მეეტლეების ნაწილიც, ბათუმის ნავსადგურში შე-



ბათუმი. XX საუკუნის დამდეგი

მოსულ ერთ-ერთ სატვირთო გემზე მუშაობა გააჩაღეს რუსმა მუშებმა. 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სამმა უცნობმა მოკლა პოლიციელი კონდრატეიონი, მკვლელები მიიმალნენ. 28 იანვარს სამუშაო მიატოვეს კერძო პირების შენამოსამსახურეებმა და სასტუმროების პერსონალმა. 28 იანვარსვე უცნობმა პირებმა მოკლეს რკინიგზის კონდუქტორი ოუხინჩუკი. ტერორისტული აქტები გრძელდებოდა.

§2. ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებები და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება ბათუმში

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას რუსეთის იმპერიის მთავრობამ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებით უპასუხა. 1905 წლის 10 მარტს პეტერბურგში მყოფმა კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას აცნობა, რომ ნიკოლაი II-მ მოიწონა რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება ქუთაისის გუბერნიაში, ქალაქ ქუთაისში, ქალაქ ფოთში, ქალაქ ბათუმსა და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. 1905 წლის 10 სექტემბერს ქალაქ ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა პიოტრ (ედმუნდ) ფონ პარკაუმ ვრცელი მოხსენება გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს. გენერალი წერდა:

1. ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა რკინიგზის ხაზის გაყვანა(იგულისხმება სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზი – ვ. გ.), ბათუმში სხვადასხვა სახის ქარხნის აგება და ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა, ქალაქს მოაწყდა უამრავი მუშა, პირველ რიგში, გურიიდან, ასევე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და ოსმალეთიდან. მუშებს შორის აღმოჩნდნენ სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები. 1900 წელს შეიქმნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას. მათ მიზანს არსებული წყობილების დამხობა წარმოადგენს. სოციალ-დემოკრატების მუშაობის შედეგი იყო 1902 წლის გაფიცვები. ბათუმიდან ხელისუფლების სანინააღმდეგო მოძრაობა სწრაფად გავრცელდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთისა და სხვა მაზრებში. რსდმპ ბათუმის კომიტეტის გვერდით 1904 წელს ბათუმში შეიქმნა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის(ესერთა) კომიტეტი, რომელმაც მიზნის მიღწევის საშუალებად ძალადობა, ტერორი, მკვლელობა და დარბევები გამოაცხადა. ბათუმის გარდა, ორივე კომიტეტი აქტიურად მუშაობს ოზურგეთის მაზრაში, სადაც მათ, გარდა გლეხებისა, ინტელიგენტებიც მიიმხრეს;

2. ბათუმის მრავალეროვანი მუშათა ფენა საშიშ ძალად იქცა. მუშები თავიანთი გამოჩენილი ლიდერებისა და აგიტატორ-პროპაგანდისტების

გაელენის ქვეშ მოექცნენ, რომელთაც მუშათა საკითხის გადაჭრა საერთოდ არ აინტერესებთ და მუშებს პოლიტიკური ბრძოლისა და არსებული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მოუწოდებენ;

3. 1905 წლის პირველ ნახევარში ბათუმში დაწყებული მუშათა მოძრაობის შემდეგ ქალაქს, ფაქტობრივად, ამ მოძრაობის ლიდერები და აგიტატორ-პროპაგანდისტები განაგებენ. მათ მოახერხეს გაფიცვაში მუშების, მოხელეების, კერძო პირებისა და სასტუმროების მოსამსახურეების, მეეტლეების და სხვ. ჩაბმა. გაფიცვამ ნაესადგურში, ასევე სავაჭრო დანესებულებების გაფიცვამ ქალაქს დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა. ნავთობის გატანა შეფერხდა, ნავთობი იშვიათად თუ იტვირთება უცხოეთიდან შემოსულ გემებში. საერთოდ შენყდა ბათუმის ნაესადგურიდან მგზავრების გადაყვანა, ტვირთბრუნვა. მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადატანა გაფიცვების გამო რკინიგზითაც ფერხდება, რაც ასევე დიდ ზარალთან არის დაკავშირებული. შექმნილ ვითარებაში ქალაქში მომრაულდა ძარცვისა და მკვლელობების შემთხვევები. რსდმპ ბათუმის კომიტეტი, ისევე, როგორც ესერთა ბათუმის კომიტეტი, იმდენად ორგანიზებულად მოქმედებენ, რომ ვერ დგინდება ძარცვების, დარბევების, ქურდობის, მკვლელობების მონაწილეთა ვინაობა. ყველა ამ დანაშაულის შესახებ საქმე ჩემი და სამხედრო პროკურატურის შეთანხმებით შენყდება ხოლმე, რაც დანაშაულებათა პროგრესულ ზრდას უწყობს ხელს. ყოველივე ეს სრულიად სამართლიანად იწვევს მოსახლეობის მღელვარებას და ხელისუფლების უკმაყოფილებას;

4. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში ჯარი, პოლიცია და პოლიციის სტრაჟნიკები მცირე რაოდენობითა არიან, წესრიგის დაცვა და სიმშვიდის შენარჩუნება ასე თუ ისე მაინც ხერხდება, ფართომასშტაბიანი უწესრიგობა და პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები ჯერ არ ყოფილა. ამასთან ერთად, შეუძლებელი გახდა სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების არალეგალური მოღვაწეობის აღკვეთა, რის გარეშეც შეუძლებელია როგორც მუშების დამშვიდება, ისე ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედება;

5. ბათუმსა და ქალაქის შემოგარენში წესრიგის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ ჯარზეა დამოკიდებული. ჯარის რაოდენობა და მოქმედების ხარისხი განაპირობებს ასევე რსდმპ და ესერთა კომიტეტების დანაშაულებრივი მოქმედებების აღკვეთას;

6. კინტრიშის უბანი გარკვეული ბუფერის როლს თამაშობს ბათუმსა და ოზურგეთის მაზრას შორის. კინტრიშის უბანში დაუსჯელი რჩებიან მკვლელობის, ძარცვის, დარბევისა და ქურდობის მონაწილენი. ოზურგეთის მაზრიდან კინტრიშის უბანში, ისევე, როგორც ბათუმში, მუდმივად ჩამოდიან საიდუმლო კომიტეტების (იგულისხმება რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი და ესერთა ბათუმის კომიტეტი –ე. გ.) ნარმომადგენლები, რომლებიც საიდუმლო შეკრებებს ატარებენ და მოსახლეობას ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობენ;

7. აუცილებელია ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში ჯარის რაოდენობის გაზრდა. 1905 წლის 29 აგვისტოდან ქობულეთში დგას არტაანის ქვეითთა 260-ე სარეზერვო პოლკის 0,5 ასეული (35 კაცი), რომელსაც, ცხადია, არ შეუძლია ჩაახშოს ძლიერი გამოსვლები. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ არტაანის ქვეითთა 260-ე სარეზერვო პოლკის 0,5 ასეული (60 კაცი), რომელიც ზუგდიდიდან ოზურგეთში გადაიყვანეს, მალე პლასტუნებით შეცვალეს. საჭიროდ მიმაჩნია ამ 0,5 ასეულის ქობულეთში განლაგება.

მოხსენების ბოლოს პიოტრ ფონ პარკაუ კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს შეახსენებდა, რომ 1905 წლის 1 სექტემბერს მან თხოვნა გაუგზავნა კავკასიის ოლქის ჯარების მთავარ შტაბს, რათა ოზურგეთიდან ქობულეთში იქნას გადაყვანილი არტაანის ქვეითთა 260-ე სარეზერვო პოლკის 0,5 ასეული, ხოლო ბათუმში –კაზაკთა 1 ასეული, რომელიც სოფელ ბარცხანაში უნდა განლაგდეს. სოფელ ბარცხანაში ბათუმიდან ლაბინსკის კაზაკთა მე-2 პოლკის ასეულის გადაყვანა გენერალს შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან კაზაკების გარეშე ბათუმში წესრიგის დაცვა შეუძლებელი იქნებოდა.

გენერალ პიოტრ ფონ პარკაუს მოხსენებიდან აშკარა ხდება, რომ ბათუმსა და კინტრიშის უბანში ვითარება საგანგაშო იყო. ეს მალე დადასტურდა კიდეც. 1905 წლის 18 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემნე (მოადგილე) ბათუმის ოლქში კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ ეგენი შირინკინს მოახსენებდა:

1. 1905 წლის 15 ოქტომბერს ბათუმში დაწყებულ გაფიცვას ქალაქის თვითმმართველობის მოხელეები, ფარმაცევტები და ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებიც შეუერთდნენ. ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითი სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ პიოტრ ფონ პარკაუს განკარგულებით, ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებს სამსახურიდან დათხოვითა და მათ ნაცვლად ჯარისკაცების დანიშვნით დაემუქრნენ. მუქარამ იმოქმედა, თუმცა ფოსტა-

ტელეგრაფმა მუშაობა ისე განაახლა, რომ შენობა ჯარით იყო შემორტყმული;

2. 18 ოქტომბერს შეიქმნეოდა სოციალ-დემოკრატების გააქტიურება. უცნობი პირი თავს დაესხა პოლიციელ გოგელიას, ტყვიამ, რომელმაც გოგელიას სხეულში გაიარა, მოკლა მის უკან მდგომი ოზურგეთის მაზრაში მცხოვრები მუშა დოლიძე ღლონტი. დღის 1 საათზე მანთაშვილის ქარხანასთან ტერორისტმა ჩასაფრებიდან ესროლა პოლიცმაისტერის თანაშემწეს, პორუჩიკ სკვორცოვს, რომელმაც სამი ჭრილობა მიიღო. სამგან დაიჭრა მისი თანაშემწე აჭარელიც. სროლის ხმაზე მოირბინა ხერსონის ქვეითთა პოლკისა და კაზაკთა პატრულმა. ჯარსა და ტერორისტებს შორის გამართული სროლის შედეგად მსუბუქად დაიჭრნენ ხერსონის პოლკის დაბალჩინოსანი და ქუთაისის მაზრის სოფელ დიდი ჯიხაიშის 1 მცხოვრები.

1905 წლის ოქტომბრის 20-იან რიცხვებში ბათუმში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის შესახებ ცნობებს გვანვდის სამი წყარო. პირველი წყარო ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითი გენერალ-სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ პიოტრ ფონ პარკაუს 1905 წლის 24 ოქტომბრის დეპეშაა, რომელიც მან კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინს გაუგზავნა. დეპეშაში აღნიშნულია: 23 და 24 ოქტომბერს ბათუმის თეატრში არასანქცირებული შეკრებები გაიმართა. 24 ოქტომბერს ქალაქის ქუჩებში სროლები დაიწყო, რასაც თან სდევდა მაღაზიების დაკეტვისა და შეკრებაზე წასელის მოწოდება. თეატრთან ჯარი განლაგდა, თუმცა იგი მალე უკან დაბრუნდა ყაზარმაში, რადგან შეკრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ წესრიგს არ დაარღვევდნენ. შეკრებამ მე ასეთი ულტიმატუმი წამომიყენა: 1. დაუყოვნებლივ გაეაუქმო სამხედრო მდგომარეობა და ქალაქის გაძლიერებული დაცვა; 2. ქალაქის ქუჩებსა და რკინიგზის ხაზზე განლაგებული ჯარი დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ყაზარმებში; 3. დაუყოვნებლივ ვაცნობო კავკასიის მეფისნაცვალს, რომ შენყვიტოს რეპრესიები გურიაში; 4. ამ მოთხოვნების შესრულებამდე 1905 წლის 24 ოქტომბრის საღამოს 5 საათიდან დაიწყოს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

გენერალი პიოტრ ფონ პარკაუ ასევე იტყობინებოდა, რომ ვრცელდებოდა ხმები ქალაქში მოსახლეობასა და ჯარს შორის მოსალოდნელი შეიარაღებული შეჯახების შესახებ, რომლის დროსაც ტყვიებითა და ბომბებით ასეულობით პლასტუნს დახოცავდნენ.

იმავე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება მეორე წყაროში –ქალაქ ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსის როტმისტრ როჯანოვის 1905 წლის 25 ოქტომბრის პირველ მოხსენებაში კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინისადმი. მოხსენება შემდეგი შინაარსისაა:

1. 23 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ბათუმის თეატრში მოქალაქეთა შეკრება გაიმართა. ზეინკალმა ფიოდოროვმა შეკრება ასეთი სიტყვებით გახსნა: „ამხანაგებო და მოქალაქეებო! ჩვენ აქ შევიკრიბეთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლის საჭირბოროტო საკითხების განსახილველად; ამისათვის საჭიროა ყველა ეროვნებისაგან არჩეული იქნან წარმომადგენლები; ამხანაგებო, მე გთავაზობთ, დღევანდელ კრებაზე ავირჩიოთ თითოეული ეროვნების წარმომადგენელი და თავმჯდომარე(...)";

2. გამომსვლელები ერთსა და იმავე საკითხზე საუბრობდნენ, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტით და „სახალხო ბიუროს" შექმნას მოითხოვდნენ, რათა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა გაეგრძელებინათ. გამომსვლელები ამტკიცებდნენ, რომ თვითმპყრობელობა ბრძოლის გარეშე ხალხს თავისუფლებას არ მისცემდა;

3. ერთ-ერთმა უცნობმა ორატორმა გურიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯარი გურიაში ხალხს ანადგურებს, არ ინდობენ არც ქალებს და ბავშვებს. ორატორმა შეკრებილებს მოუწოდა, ხელში იარაღი აეღოთ და გურიის დასახმარებლად წასულიყვნენ, რადგან გურულებმა პირველებმა აღმართეს თავისუფლების წითელი დროშა. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა ერთმა დაბალჩინოსანმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც იმ საარტილერიო საწყობში მსახურობდა, საიდანაც ცოტა ხნის წინ გურიაში 2 ქვემეხი და დიდი რაოდენობით საბრძოლო საჭურველი გაიგზავნა. ეს მოწოდება უარყოფილი იქნა იმ მოტივით, რომ ჯერ უნდა გამორკვეულიყო, რა ხდებოდა ოზურგეთის მაზრაში;

4. შეკრებას არ მიუღია გადაწყვეტილება „სახალხო ბიუროს" შექმნის შესახებ, საკითხი მომავალ შეკრებამდე გადაიდო;

5. ხალხი შეკრების დროსა და ადგილს ქალაქის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე ნიშნავს და აღნიშნავენ, რომ ამის უფლებას მათ კანონი აძლევთ, ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეკრებებს არ ესწრებიან, რის გამოც ამ შეკრებების შესახებ აგენტურის საშუალებით ვიგებთ;

6. დროებით გენერალ-გუბერნატორთან მისული მოსახლეობის წარმომადგენლები პირობას იძლევიან, რომ შეკრებაზე წესრიგი არ დაირ-

ღვევა და ინცინდენტები არ მოხდება. ამ პირობის მიუხედავად, კრება გაფიცვას აცხადებს, ხოლო მისი მონაწილეები მეეტლეებს, მაღაზიებისა და აფთიაქების ფლობელებს აიძულებენ შეწყვიტონ მუშაობა.

მესამე წყაროს წარმოადგენს ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსის, როტმისტრ რომანოვის 1905 წლის 25 ოქტომბრის მეორე მოხსენება. ამჯერად როტმისტრი შემდეგ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას:

1. ზეინკალ ფიოდოროვს ბათუმის თეატრში გამართულ შეკრებაზე ასეთი სიტყვებით მიუმართავს ხალხისათვის: „ამხანაგებო და მოქალაქეებო! ჩვენ ბოძებული თავისუფლებით ვსარგებლობთ: ვაწყობთ კრებებს, ვამბობთ სიტყვებს, გვსურს შევქმნათ ბიურო და ა.შ. ამ დროს კი გურიაში ჯარები ჩვენს ამხანაგებს ხოცავენ, აუპატიურებენ ქალებს, გოგონებს და ბოძებული თავისუფლებით გურულები ვერ სარგებლობენ".

2. ფიოდოროვმა კრებას მიმართა ერთობლივი ძალით გადაენყვიტათ გურიის საკითხი. ამას მოპყვა გამოსულები. გადაწყდა: ა) დეპუტაციის მეშვეობით ეთხოვოს ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებით გენერალ-გუბერნატორს ოზურგეთის მაზრაში სამხედრო მდგომარეობისა და გაძლიერებული დაცვის გაუქმება; ბ) გაიწვიონ კავკასიაში წესრიგის დასამყარებლად შემოყვანილი ჯარები; გ) დაუყოვნებლივ შენყდეს რეპრესიული მოქმედებები გურიაში; დ) დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულები და შენყდეს პოლიტიკურთა საქმის ძიება; ე) ბოძებული თავისუფლების დაცვის სრული გარანტია და მისი გაფართოება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმის მიხედვით; ვ) დაუყოვნებლივ ეცნობოს მოსახლეობას, თუ რა ხდება რუსეთში;

3. არჩეული იქნა ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებით სამხედრო გუბერნატორთან, გენერალ პიოტრ ფონ პარკაუსთან გასაგზავნი დეპუტაცია. წარგზავნილები გუბერნატორს შეხვდნენ და მისგან ასეთი პასუხი მიიღეს: მე არა მაქვს უფლება გავაუქმო სამხედრო მდგომარეობა და გაძლიერებული დაცვა, ისევე, როგორც არა მაქვს უფლება ჯარები გავიწვიო გურიიდან, რადგან ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიაში შედის;

4. გენერალმა პიოტრ ფონ პარკაუმ დეპუტაციას ურჩია თხოვნა კავკასიის მეფისნაცვლისათვის მიერთმიათ;

5. დროებითი სამხედრო გუბერნატორისაგან დაბრუნებულმა დეპუტატებმა შეკრებას გენერალ-მაიორ პიოტრ ფონ პარკაუს პასუხი მოახსენეს, რასაც დარბაზში ასეთი შეძახილები მოპყვა: გუბერნატორს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც მოისურვებს, გურიაში ჯარების გაგზავნა მისი საქმე იყო, ხოლო ჯარების გამოყვანა მისი საქმე არ არის?.. (კრების მონაწილეები ცდებოდნენ, სამხედრო მდგომარეობას ოზურგეთის მაზრაში ვერც ქუთაისის გუბერნატორი ვლადიმერ სტაროსელსკი და ვერც ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითი სამხედრო გუბერნატორი პიოტრ ფონ პარკაუ გააუქმებდა. ამის უფლება მხოლოდ კავკასიის მეფისნაცვალს ჰქონდა და ისიც – ნიკოლაი II-გან თანხმობის მიღების შემდეგ – ვ. გ.);

6. კრებაზე გამოსულმა კიდევ ოთხმა ორატორმა ერთი და იგივე აზრი განავითარა: სამხედრო გუბერნატორს არ სურს სამხედრო მდგომარეობის გაუქმება და ამიტომ აუცილებელია გაფიცვის გაგრძელებით ვაიძულოთ მიიღოს გურიიდან ჯარების გამოწვევის გადაწყვეტილება. ამ მიზნით გადაწყდა, 24 ოქტომბერს, შუადღის 2 საათიდან, ბათუმში დაწყებულიყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა (გაფიცვას მხარი ბათუმის თვითმმართველობის გამგეობამაც დაუჭირა – ვ.გ.);

7. ბათუმის თეატრში შეკრებილთა მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა დიდი მღელვარება გამოიწვია ქალაქსა და საფორტიფიკაციო ნაგებობებზე განლაგებულ ჯარში. თეატრთან გამოცხადდა კაზაკების რაზმი და ქვეითი ჯარის 1 ასეული. ჯარმა ალყა შემოარტყა თეატრს. ბათუმის კომენდანტთან სამხედროების მიერ გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ თეატრის შენობიდან შეკრების მონაწილეები სათითაოდ გამოეშვათ და გაეჩხრიკათ. ეს რომ თეატრში შეკრებილებმა გაიგეს, ბათუმისა და კინტრიშის ოლქის დროებით სამხედრო გუბერნატორთან დეპუტაცია გაგზავნეს. გენერალ პიოტრ ფონ პარკაუს ბრძანებით, თეატრის ალყაზე მდგარი ჯარი ყაზარმებში დააბრუნეს. მიუხედავად ამისა, შეკრების მონაწილეებმა ფონ პარკაუსადმი მიცემული სიტყვა არ შეასრულეს, თეატრიდან გამოსვლის შემდეგ მათ დევნა დაუწყეს იმ მეეტლეებს, რომლებიც, გაფიცვის მიუხედავად, მაინც მუშაობდნენ. არეულობის ერთ-ერთი მონაწილე, ბათუმის სასწაულებლის მოწაფე, ჯარისკაცებმა დააპატიმრეს და პოლიციას გადასცეს.

8. ბათუმის თეატრში მიმდინარე შეკრებას ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნებისაგან არავინ დასწრებია;

9. ბათუმის მოსახლეობა შეშინებულია, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ქალაქი საალყო მდგომარეობაშია. ბათუმში პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების უკმარისობაა;

10. ბათუმის ქუჩებში პროკლამაციებს

აკრავენ, რომლებსაც მოსახლეობა კითხულობს. ხალხი ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დგას და მრისხანედ უყურებს მათ სიახლოვეს გამვლელ უცნობთ;

11. პოლიცია უმოქმედოდაა. ქალაქის ქუჩებში იშვიათადად თუ დაინახავ პოლიციელს;

12. მიმდინარე მოვლენებმა სამხედრო მდგომარეობისა და შეკრების აკრძალვის ბრძანების სრული დისკრედიტაცია მოახდინა.

როგორც ვხედავთ, 1905 წლის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ბათუმი რევოლუციონერთა და მათი გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ხელში იყო. პოლიტიკური გაფიცვა დღითიდღე ძალას იკრებდა.ხელისუფლება რევოლუციასთან ანგარიშსწორებისათვის ემზადებოდა.

1905 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკიმ მინერილობა გაუგზავნა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოვსკის. მინერილობაში აღნიშნული იყო, რომ შიშკოვსკის ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის ხაზები გაძლერებულად უნდა დაეცვა. მინერილობაში ალიხანოვ-ავარსკი აღნიშნავდა:

1. კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალმა მიბრძანა, გაძლიერებული დაცვა დავაყენო რიონი-ფოთისა და სამტრედია–ბათუმის რკინიგზის ხაზებზე;

2. რიონი-ფოთისა და სამტრედიის რკინიგზის ხაზებზე უკვე განლაგებულ თენგინის პოლკის 2 ასეულს, და ნავაგინსკის პოლკის ბატალიონს უნდა დამატოს ქუთაისში მდგარი ყუბის პოლკის 9 ასეული. ეს ასეულები უნდა განლაგდეს შემდეგ რკინიგზის სადგურებზე: საჯავახო, ნიგოითი, ლანჩხუთი, ნატანები, ქობულეთი, ჩაქვი და ბათუმი. რკინიგზის სადგურებში: რიონი, კოპიტნარი, ჯუმათი და სუფსა – უნდა განლაგდეს 0,5 ასეული თითოეულში;

3. მას შემდეგ, რაც ყუბის პოლკი მისთვის მიჩენილ ადგილებს დაიკავებს და შეუდგება რკინიგზის ხაზისა და შენობების დაცვას, ამ ადგილებიდან გამოთავისუფლებული ნავაგინსკის პოლკის 2 ასეული გადაყვანილ უნდა იქნეს რიონი-ფოთის რკინიგზის ხაზზე;

4. თენგინის პოლკის 1 ასული გადაყვანილ იქნას რკინიგზის სადგურ ფოთში, მეორე – რკინიგზის სადგურ სამტრედიაში;

5. რკინიგზის სადგურები: ჭალადიდი, ქვალონი, ახალი სენაკი და აბაშა – უნდა დაიკავოს ნავაგინსკის პოლკის ბატალიონმა;

6.რიონი-ფოთის რკინიგზის ხაზისა და სადგურების დაკავების შემდეგ სასწრაფოდ დაინყოს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზისა და სადგურების დაკავება;

7. თითოეულ პოსტზე, რომლებმაც რკინიგზის ხაზი და რკინიგზის შენობები უნდა დაიცვან, 10 ჯარისკაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ასეულის მეთაურს თავისთან მუდმივად მზადყოფნაში უნდა ჰყავდეს 30 ჯარისკაცი. პოსტებსა და ასეულებს შორის მუდმივი კავშირი უნდა არსებობდეს, რომელიც ძლიერმა პატრულმა უნდა უზრუნველყოს;

8. ასეულებმა რკინიგზის ხაზი და მისი კუთვნილი შენობები ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს მითითების თანახმად დაიკარონ. თითოეულ ბატალიონს უნდა გამოყოს რკინიგზის ხაზის მონაკვეთი და ეცნობოს ბატალიონის მეთაურის ადგილსამყოფელი. ბატალიონის მეთაურები უნდა იმყოფებოდნენ რკინიგზის სადგურებში: ახალი სენაკი, ლანჩხუთი და ქობულეთი;

9. სამტრედია-ბათუმის ხაზზე განლაგებული ჯარებისათვის გენერალ ნიკოლაი შიშკოვსკის უნდა დაენიშნა 1 უფროსი, რომლის ადგილსამყოფელი სადგური სამტრედია იქნებოდა;

10. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის მოთხოვნის თანახმად, რკინიგზის ხაზზე განლაგებული ჯარები აუცილებლად უნდა მოთავსდნენ დახურულ, გათბობით უზრუნველყოფილ შენობებში;

11. აუცილებელია სანიტარული ზედამხედველობის გაძლიერება;

12. მას შემდეგ, რაც ჯარები რიონი-ფოთისა და სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზზე განლაგდებოდნენ, კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მითითების თანახმად, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შიშკოვსკის რკინიგზის ორივე ხაზი პირადად უნდა მოენახულებინა და აუცილებელ საჭიროებათა შესახებ გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკისათვის მოეხსენებინა.

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ფართო სადამსჯელო ოპერაციისათვის ემზადებოდა. ცხადია, გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის 1905 წლის 25 ოქტომბრის მინერილობა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი შირინკინისათვის საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენდა, მაგრამ რკინიგზის ხაზებზე რომ ჯარების გადაადგილება დაინყო, ეს მოსახლეობამ თავად იხილა. ბათუმში მიმდინარე საყოველთაო გაფიცვის მონაწილეებმა უკან არ დაიხიეს. 1905 წლის 27 ოქტომბერს გაფიცული მუშების სახელით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს:

1. ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა ხაზზე

მოიხსნას სამხედრო მდგომარეობა;

2. გაინვიონ ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე განლაგებული ჯარები;

3. შეწყდეს რკინიგზით რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი ხალხის დასასჯელად ჯარების გადაყვანა;

4. მუშებს აუნაზღაურდეთ ის ხელფასი, რომელიც გაფიცვის გამო დაუქვითეს, არ დაისაჯონ გაფიცულები;

5. სამუშაოზე აღადგინონ მუშები და მოხელეები, რომლებიც გაფიცვის გამო დაითხოვეს.

როგორც ვხედავთ, ბათუმის გაფიცული მუშები და სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყების მოხელეები არც ჯარის მუქარის გამო წყვეტდნენ დაწყებულ ბრძოლას.

1905 წლის 28 იანვარს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-მაიორი ევგენი შირინკინი მის მიერ შედგენილ რევოლუციური მოძრაობის მიმოხილვაში აღნიშნავდა, რომ ქალაქ ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითი სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი პიოტრ ფონ პარკაუ ითხოვდა სამხედრო მდგომარეობის გავრცელებას მთელ ბათუმის ოლქზე. მოხსენებაში შირინკინს, იმის დასადასტურებლად, რომ ბათუმში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, ასეთი ფაქტები მოჰყავდა: 1905 წლის 26 ოქტომბერს ტერორისტმა დანით რუსი მუშა დაჭრა; 27 ოქტომბერს დილით ტერორისტმა უამრავი ხალხის თვალწინ 3 გასროლით მოკლა პოლიციის ზედამხედველი შმიკონი, ქვებით ჩაქოლეს მეეტლე და მძიმედ დაჭრეს პოლიციელი ბელიაკოვი, სროლა აუტეხეს საფოსტო ეტლს, რომელსაც ჯარისკაცები აცილებდნენ; 27 ოქტომბერს ტერორისტების მუქარის გამო გაფიცვას ბათუმის რკინიგზის სადგურისა და დეპოს მოხელეები შეუერთდნენ. ევგენი შირინკინი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ, მიღებული ზომების მიუხედავად, ბათუმში რკინიგზელები გაფიცვას არ წყვეტდნენ და ხელისუფლებას შემდეგ მოთხოვნებს უყენებდნენ: 1. ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაუქმდეს სამხედრო მდგომარეობა; 2. შეწყდეს გურიაში ჯარების გაგზავნა; 3. მუშებს მიეცეთ გაფიცვაში მონაწილეობის დროს დაკავებული ხელფასი; 4. არ დასაჯონ გაფიცულები.

ბათუმში მოვლენათა განვითარებაზე ძლიერ გაელენას ახდენდა გურიაში მიმდინარე აჯანყება და აჯანყების ჩახშობის მონაწილე ჯარების სისასტიკე. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ შეიარაღებული აჯანყება შეიძლებოდა მალე ბათუმშიც დაწყებულიყო.

§3. შეიარაღებული აჯანყება ბათუმსა და ბათუმის ოლქში

ბათუმისა და კინტრიშის უბნის დროებითი სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ პიოტრ ფონ პარკაუსა და კავკასიის პოლიციის გამგის გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინის ინიციატივით, სამხედრო მდგომარეობა ბათუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებით ხელისუფლებამ შეიარაღებული აჯანყება თავიდან ვერ აიცილა. 1905 წლის 5 დეკემბერს ბათუმის ოლქის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა კავკასიის მეფისნაცვალს ქალაქ ბათუმსა და ბათუმის ოლქში მომხდარი შეიარაღებული აჯანყების შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1905 წლის 29 და 30 ნოემბერს ბათუმში ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. სამხედრო გუბერნატორს მოხსენებაში შემდეგი ფაქტები მოჰყავდა:

1. 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათსა და 20 წუთზე, უცნობმა პირებმა ჟანდარმერიის როტმისტრ სტანოს საცხოვრებელი ბინიდან, რომელიც მარიას პროსპექტზე მდებარეობდა, ნაგანის ტიპის 2 რევოლვერი, 1 ბრაუნინგი და 3 ხმალი გაიტაცეს;

2. 17 ნოემბერს ბათუმის მე-2 საპოლიციო უბანში მე-5 საპოლიციო უბნის პოლიციელს სამმა ქართველმა რევოლვერი წაართვა. მე-3 საპოლიციო უბნის პოლიციელ ხათხასს ასევე წაართვეს რევოლვერი;

3. 19 ნოემბერს ბათუმის სატვირთო სადგურიდან 30 ფუნტი დინამიტი და დინამიტის 500 კაფსულა გაიტაცეს;

4. 20 ნოემბერს 1-ლი საპოლიციო უბნიდან ბერდანის ტიპის 2 თოფი დაიკარგა, სავარაუდოდ, ქურდობა პოლიციელმა ჩაიდინა;

5. 22 ნოემბერს მე-3 საპოლიციო უბნიდან ოთხმა შეიარაღებულმა ქართველმა ბერდანის ტიპის 4 თოფი გაიტაცა, მათგე მორიგე პოლიციელს რევოლვერი წაართვეს;

6. 22 ნოემბერს გაიცა განკარგულება ყველა საპოლიციო უბნიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების შესახებ. იარაღის ამოღება კაზაკების რაზმს დაევალა. მე-2 საპოლიციო უბანში მისულ კაზაკებს ტერორისტთა ჯგუფი დახვდა, რომელთაც უკვე მოესწროთ ბერდანის ტიპის 1 თოფის, 1 რევოლვერისა და 32 ვაზნის გატაცება. კაზაკებსა და ტერორისტებს შორის დაწყებული სროლის შედეგად 1 ტერორისტი მძიმედ დაიჭრა. ქალაქის სხვადასხვა უბანში შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფები მოსახლეობას სიკვდილის შუქარით ცეცხლსასროლ იარაღს ართმევდნენ;

7. 27 ნოემბერს მე-2 საპოლიციო უბნის ტერ-

იტორიაზე შვიდი შეიარაღებული ქართველი თავს დაესხა პოლიციელ სკრინსკის და მას რევოლვერი წაართვა; ოთხმა შეიარაღებულმა ქართველმა რევოლვერი წაართვა პოლიციელ დროშოვსკს; შეიარაღებულმა ქართველებმა იარაღი წაართვეს სტრაუნიკ კუპრიენკოს; ტერორისტები შეიჭრნენ ბათუმის მე-3 უბნის გამომძიებლის კაბინეტში, საიდანაც გაიტაცეს ბერდანის ტიპის 3 თოფი და 2 რევოლვერი;

8. 28 ნოემბერს, სალამოს 6 საათზე, მე-4 საპოლიციო უბანში იპოვეს 7 მოკლული, ნაპოვნი იქნა აგრეთვე 4 დაჭრილი. თერთმეტივეს ჭრილობა ცივი იარაღით, სავარაუდოდ ხანჯლით, ჰქონდა მიყენებული. რამდენიმე გვამს 15-მდე ჭრილობის კვალი ემჩნეოდა. მოსახლეობის განცხადებით, მკვლელობები კაზაკებმა ჩაიდინეს, რომელთა 60-კაციანი რაზმი ქუჩებში დაეხეტებოდა და შურს იძიებდა იმის გამო, რომ დილით უცნობმა პირებმა ერთ კაზაკს იარაღი წაართვეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად კაზაკებს ბრალი არ დაუმტკიცდათ. გვამებისა და დაჭრილების აღმოჩენის ადგილას სასწრაფოდ გაიგზავნენ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოადგილე პოლკოვნიკი ია ზ ი კ ო ვ ი და ბათუმის მიხეილის სიმაგრის გარნიზონის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი მ დ ი ვ ა ნ ი. ვერც ჯარის და ვერც პოლიციის პატრულმა ქუჩაში მოხეტიალე კაზაკები ვერ იპოვა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს არწმუნებდა, რომ კაზაკებს მოსახლეობამ ბრალი ტყუილად დასდო;

9. 29-30 ნოემბერს, შუაღამისას, 60 შეიარაღებული ქართველი თავს დაესხა და გაძარცვა ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს იარაღის საცავი, ტერორისტებმა გაიტაცეს 10 შაშხანა, რამდენიმე რევოლვერი და ვაზნები;

10. 29 ნოემბერს ღამით და 30 ნოემბერს დილით 10-15-კაციანი შეიარაღებული ჯგუფები თავს ესხმოდნენ საცხოვრებელ სახლებს, საიდანაც იტაცებდნენ იარაღს;

11. აჯანყებულებმა (დაახლოებით 150 კაცი) ალყა შემოარტყეს ბათუმის რკინიგზის სადგურს. სადგურში მყოფმა ჟანდარმერიის უნტეროფიცრებმა აჯანყებულებს წინააღმდეგობა არ გაუწიეს და მათ გადასცეს იარაღი: 26 რევოლვერი, 13 ლულადამოკლებული ბერდანის ტიპის თოფი, 113 ხმალი და 3 ხანჯალი;

12. აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ყაზარმიდან გამოსულ 1 კაზაკს სროლა აუტეხა, რის შემდეგაც სროლა გაჩაღდა ყაზარმიდან გამოსულ კაზაკებსა და აჯანყებულებს შორის;

13. აჯანყებულთა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა ყაზარმის წინ მყოფ ხერსონის ქვეითთა პოლკის უიარაღო დაბალჩინოსან სამხედროებს;

14. ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან ნასროლი ბომბის აფეთქების შედეგად დაიჭრა ხერსონის პოლკის პრაპორშჩიკი დუნდუკი და იმავე პოლკის 3 დაბალჩინოსანი სამხედრო;

15. მარიას პროსპექტზე, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე, მიხეილისა და კიდევ რამდენიმე ქუჩაზე, ასევე ნურის ბაზრის ტერიტორიაზე ერთდროულად დაიწყო ბარიკადების აღმართვა, რომელთა ნაწილი სასწრაფოდ დაიკავეს შეიარაღებულმა რაზმებმა, ამ უკანასკნელებმა ცეცხლი გაუხსნეს ბარიკადების ასაღებად დაძრულ ჯარს;

16. ბარიკადების აღმართვის პარალელურად შეიარაღებული ადამიანების ჯგუფები ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის შენობაში შეიჭრნენ და თან შეიტანეს ბომბები. შეიარაღებული ადამიანების რაზმებმა ასევე დაიკავეს ქალაქის საავადმყოფოს სახურავი და ნურის ბაზრის ახლოს მდებარე სახლების სახურავები, რომლებზეც ბარიკადები მოაწყვეს. აჯანყებულებმა ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძები და ხაზები ბარიკადების ასაგებად გამოიყენეს;

17. ბათუმის ყველა კუთხიდან ქალაქის საავადმყოფოსაკენ აჯანყებულთა დიდი ჯგუფები დაიძრა. საავადმყოფო სარეზერვო რაზმების შეკრების ადგილად იყო გამოცხადებული;

18. 29-30 ნოემბერს ღამით აჯანყებულმა ქართველებმა (დაახლოებით 60 კაცი) გაძარცვეს ბათუმის პოლიციმაისტერის ბინა, საიდანაც გაიტაცეს 11 შაშხანა, რამდენიმე რევოლვერი და ხანჯალი;

19. 30 ნოემბერს ქალაქში გამოჩნდა სანიტართა რამდენიმე რაზმი, რომლებიც ქალაქის საავადმყოფოს პერსონალისაგან შეიქმნა. სანიტარული რაზმების შედგენა და მათი ქალაქში გასვლა ცხადად ადასტურებდა იმას, რომ აჯანყებულები ჯართან ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. აღსანიშნავია, რომ სანიტარული რაზმების არც ერთი წევრი „წითელი ჯვრის" ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა, თუმცა ტანსაცმელზე ყველას „წითელი ჯვრის" ემბლემა ჰქონდა მიმაგრებული. ყოველივე ამით დასტურდება, რომ სანიტარულ რაზმებს დიდი ხნით ადრე ამზადებდნენ;

20. შეიარაღებული აჯანყების გეგმა ითვალისწინებდა, რომ 1905 წლის 28 ნოემბერს ბათუმში უნდა დაწყებულიყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, ქალაქში პანიკის შექმნის მიზნით უნდა დაწყებულიყო სროლა კონკრეტული სამიზნის გარეშე;

21. 30 ნოემბერს აჯანყებულები თავს დაე-

სხნენ ქალაქში შემოსულ სამეგრელოს სათადარიგო ქვეითთა პოლკის შეუიარაღებელ დაბალჩინოსან სამხედროებს, რომლებიც ბათუმის ნაცადგურით რუსეთში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ამ თავდასხმამ უკიდურესად აღაშფოთა დაბალჩინოსანი სამხედროები. მათ სამხედრო ხელმძღვანელობას შაშხანებისა და პატრონების გადაცემა მოსთხოვეს, რათა ბათუმის სიმაგრე (მიხეილის სიმაგრე) და საკუთარი სიცოცხლე დაეცვათ. ეს წინადადება სიხარულით იქნა მიღებული, რადგან მიხეილის სიმაგრეს მცირერიცხოვანი გარნიზონი ჰყავდა, რომლის ჯარისკაცებიც დიდ ნდობას არ იმსახურებდნენ. რაც შეეხება ლაბინსკის კაზაკთა პოლკის 2 ასეულს, იმ დღეს მათი ყაზარმებიდან გამოყვანა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, რადგან აჯანყებულთა რისხვა სწორედ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული;

22. სამეგრელოს ქვეითთა სარეზერვო პოლკის 100 დაბალჩინოსანს იარაღი დაურიგდა და მათაც მაშინვე გახსნეს ცეცხლი ბარიკადების მიმართულებით, აჯანყებულებმაც ცეცხლით უპასუხეს. სამხედროებმა აჯანყებულები აიძულეს აზიზიეს მოედნისაკენ მიმავალი ქუჩა დაეტოვებინათ. სამეგრელოს სარეზერვო ქვეითთა პოლკის დაბალჩინოსნებზე თავდასხმის ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ ბათუმში და სამხედროების გაბოროტება გამოიწვია. ოფიცრები ჯარისკაცებს ძლივს-ძლივობით აკავებდნენ;

23. აჯანყებულებზე დამთრგუნველი გავლენა მოახდინა იმან, რომ მათთვის მოულოდნელად, სამეგრელოს სარეზერვო ქვეითთა პოლკის დაბალჩინოსნები მათ დაუპირისპირდნენ. აჯანყებულებს რეზერვისტების გადაბირების იმედიც კი ჰქონდათ. ნაცვლად ამისა, მათ წინააღმდეგობას წააწყდნენ. აჯანყებულები მაინც არ შედრკნენ. ისინი აგრძელებდნენ ბარიკადების აგებას, შაშხანებითა და რევოლვერებით ბრძოლას, ბომბების სროლას;

24. ცხადი გახდა, რომ აჯანყებულებთან მოლაპარაკება შეუძლებელი იყო, ისინი სახელმწიფო დანესებულებებზე, ბათუმის სიმაგრესა (მიხეილის სიმაგრესა) და ზღვის სანაპიროზე არსებულ ფორტებზე თავდასხმას აპირებდნენ, ჯართან საბრძოლველად ემზადებოდნენ. ვითარება კრიტიკული იყო, რადგან მიხეილის სიმაგრის გარნიზონი აჯანყებულებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, უფრო მეტიც, მოსალოდნელი იყო გარნიზონის აჯანყებულთა მხარეზე გადასვლა.

25. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ბათუმის მიხეილის სიმაგრის კომენდატს გენერალ-მაიორ **ნიკოლაი პოჟიდაევს** (1844 - ?) თხოვნით მიმართა, ხოლო როცა მერყეობა შეატყო, უბრძანა ბათუმსა და მის შემოგარენში დანყებული აჯანყების გამო მიხეილის სიმაგრეში საალყო მდგომარეობა გამოეცხადებინა და 1905 წლის 1 დეკემბრიდან აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიური სამხედრო მოქმედებები დაეწყო. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის გადაწყვეტილებას იმით ამართლებდა, რომ რევოლუციონერებმა მას და მიხეილის სიმაგრის კომენდანტს სიტყვა მისცეს, რომ 1905 წლის 28 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვთან შესახვედრად წასული ბათუმის ქალაქის თავისა და პოდპოლკოვნიკ მდივნის დაბრუნებამდე (ბათუმის ქალაქის თავსა და პოდპოლკოვნიკ მდივანს კავკასიის მეფისნაცვლისათვის ბათუმიდან ლაბინსკის კაზაკთა პოლკის 2 ასეულის გაყვანა უნდა ეთხოვათ – ე. გ.) ქალაქში არანაირი უწესრიგობა არ მოხდებოდა. გარდა მიხეილის სიმაგრის საალყო მდგომარეობაში გამოცხადებისა, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ართვინიდან სასწრაფოდ გამოიძახა ყუბანის პლასტუნთა ბატალიონი (400 პლასუნი), რომელიც ბათუმში 1905 წლის 3 დეკემბერს შევიდა.

ბათუმის ოლქის დროებითი სამხედრო გუბერნატორ, გენერალ-მაიორ პიოტრ ფონ პარაუს გადაწყვეტილებით, თუ ბათუმის მოსახლეობა მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს არ შეასრულებდა, ჯარი აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებას დაიწყებდა. მოთხოვნები კი ასეთი იყო:

– დაუყონებლივ შენყდეს გაფიცება;

– დაუყონებლივ აღდგეს სატელეგრაფო კავშირი სამხედრო ხელმძღვანელობასა და სამხედრო ნანილებს შორის;

– ბათუმის ქუჩები მთელი ღამით განათებული იყოს;

– აჯანყებულებმა ხელისუფლებას გადასცენ ის პირი, რომელმაც ბომბის აფეთქების შედეგად დახოცა ხერსონის სათადარიგო ქვეითთა პოლკის პრაპორშჩიკი დუნდუკი და კიდევ 3 დაბალჩინოსანი სამხედრო;

– დაუყონებლივ დააბრუნონ ის იარაღი, რომელიც ნაართვეს ბათუმის გარნიზონის დაბალჩინოსან სამხედროებს, პოლიციელებსა და კერძო პირებს;

– დაუყონებლივ დაინყოს ბარიკადების აღება.

ამ მოთხოვნების პირველი, მეორე, მესამე და მეექვსე პუნქტები აჯანყებულებმა შეასრულეს, რადგან შენიშნეს, რომ სამხედროებს საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანათ ქვემეხები. ამის შემდეგ 1905 წლის 1 დეკემბრისათვის ქალაქი მეტნაკლებად მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა.

მოთხოვნის მეოთხე და მეხუთე პუნქტები აჯანყებულებს არ შეუსრულებიათ და როგორც ჩანდა, არც აპირებდნენ. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კი ამ პუნქტების შესრულებას აუცილებლად მიიჩნევდა. პირველ რიგში, საქმე ეხებოდა მეხუთე პუნქტს, რომელიც აჯანყებულების მიერ მიტაცებული იარაღის ჩაბარებას ითვალისწინებდა. სამხედრო გუბერნატორს ცნობები ჰქონდა, რომ გარდა გატაცებული იარაღისა, აჯანყებულები დიდი რაოდენობით სხვადასხვა გზით შეძენილ რევოლვერებს, შაშხანებს, ბერდანის ტიპის თოფებს, ბომბებს ფლობდნენ. სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ ეს იარაღი შეიძლებოდა ახალი აჯანყების დაწყების დროს გამოეყენებინათ. სამხედრო გუბერნატორი მიიჩნევდა, რომ იარაღის ჩაბარება დიდ გავლენას მოახდენდა კინტრიშის უბნის მუსლიმ მოსახლეობაზე, რომელიც კარგად იყო შეიარაღებული და მხარს უჭერდა აჯანყებას. ცნობილი იყო ისიც, რომ აჭარის მოსახლეობა საერთოდ ყურადღებით აკვირდებოდა ხელისუფლების მოქმედებას და ყოველგვარ მერყეობას სისუსტის გამოვლინებად აღიქვამდა, ამას კი შეიძლებოდა აჭარლების აჯანყებაში ჩაბაბაზე გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ მთლიანად ოლქში და კონკრეტულად ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბათუმის პოლიციის სამმართველოს მოხელეებმა სამხედრო გუბერნატორს პროტესტით მიმართეს და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება მოითხოვეს. აჯანყებულების მიერ დაჭრილი ბათუმის პოლიცმაისტერის თანაშემწე ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ალბათ სამსახურის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა. გამორიცხული არ იყო, რომ მის მოკვლას მეორედაც შეეცდებოდნენ. ასეთი ფაქტები პოლიციაზე დამთრგუნველ გავლენას ახდენდა.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი საგანგებო ადგილს უთმობდა ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში გამართულ მიტინგებს. 1905 წლის 18 ნოემბრის მიტინგმა ქობულეთში და 19 ნოემბრის მიტინგმა ჩაქვში ცხადად დაადასტურა, რომ კინტრიშის უბნის მოსახლეობა, უკლებლივ ყველა, აჯანყებას მიემხრო. დაიწყო შეიარაღებული რაზმების შექმნა. ერთ-ერთი რაზმი თავს დაესხა ჩაქვში განლაგებულ კაზაკებს. ჩაქვში სულ 15 კაზაკი იდგა და, ცხადია, ისინი აჯანყებულებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, მაგრამ მდგომარეობა იხსნა ქობულეთიდან მისულმა კაზაკთა რაზმმა. ბათუმის ოკრუგის კინტრიშისა და აჭარისწყლის საპოლიციო პოსტების შემადგენლობის ნაწილი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა, ნაწილმა უმოქმედობა არჩია და მახლობელ სახლებს შეაფარა თავი. მას შემდეგ, რაც ბათუმის მიხეილის სიმაგრე საალყო მდგომარეობაში გამოცხადდა, გაქცეული პოლიციელები პოსტებზე დაბრუნდნენ.

ბათუმის ოლქის დროებითი სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი პიოტრ ფონ პარკაუ კავკასიის მეფისნაცვალს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო საგანგებო ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

1. ბათუმის პოლიციის სამმართველოს ყველა თანამშრომელი უნდა დაეთხოვათ და მათ ნაცვლად სამსახურში მიეღოთ ახალი პოლიციელები, უპირატესად არაქართველები;

2. კინტრიშის უბნის გავლენიანი და მოსახლეობისაგან პატივცემული ადამიანები უნდა ეიძულებინათ, რომ ხელისუფლებისათვის გადაეცათ აჯანყების მოთავეები, დაებრუნებინათ გატაცებული იარაღი და გადაეხადათ ყველა გადასახადი. წინააღმდეგობის შემთხვევაში მოსახლეობას კინტრიშის უბანში ჯარის შეყვანით უნდა დამუქრებოდნენ (ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა კინტრიშის უბნის მოსახლეობა ვერ დააშინა, პირიქით, ბათუმიდან კინტრიშის უბანში თავშეფარებულმა რევოლუციონერებმა იქ ახალი აგიტაცია გააჩაღეს – ვ. გ.).

სამხედრო გუბერნატორი კაეკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ ბათუმის მიხეილის სიმაგრეში საალყო მდგომარეობის გამოცხადება შეიძლებოდა საკმარისი არ აღმოჩენილიყო, რადგან, მთელი რიგი ცნობების მიხედვით, მოსახლეობა ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა.

1905 წლის ნოემბრის მიწურულსა და დეკემბრის დამდეგს, ბათუმში მიმდინარე შეიარაღებულმა აჯანყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში. 1905 წლის 8 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს ბათუმის შეიარაღებული აჯანყების ამბავი დეპეშით ამცნო. 21 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალ გამგე, გენერალ-მაიორი ევგენი შირინკინი კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა, რომ გურიასა და იმერეთში მოსალოდნელი აჯანყებების გამო ბათუმის მიხეილის სიმაგრეში საალყო მდგომარეობის შენარჩუნებას აუცილებლად მიიჩნევდა. შირინკინი მეფისნაცვალს ასევე აცნობებდა, რომ 1905 წლის 15 დეკემბერს მიხეილის სიმაგრის კომენდანტად გენერალ-მაიორ ნიკოლაი პოჟიდაევის ნაცვლად გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი რეშეტინი (1844-1914) დაინიშნა.

ხელისუფლებამ ბათუმის აჯანყების საქმის

გამოძიება დაიწყო. გამოძიების შედეგების შესახებ 1906 წლის 29 მარტს კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალ-მაიორმა ეევგენი შირინკინმა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმთა ცალკეული კორპუსის სარდალს მოახსენა. მოხსენებაში თითქმის იგივე ფაქტებია მოყვანილი, რაც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1905 წლის 5 დეკემბრის მოხსენებაში. გამოძიების შედეგები იმითაა საინტერესო, რომ მინიშნებულია სამხედროების, ჟანდარმერიისა და პოლიციის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რამაც აჯანყებულებს საშუალება მისცა ხელში აეღოთ ინიციატივა.

ბათუმში კი მდგომარეობა აჯანყების დამარცხების შემდეგაც დაძაბული რჩებოდა. 1906 წლის 10 მაისს კავკასიის პოლიციის გამგე, გენერალ-მაიორი ეევგენი შირინკინი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს მოახსენებდა, რომ ბათუმის მიხეილის სიმაგრის გარნიზონის ჯარისკაცებში რევოლუციური განწყობილება ძლიერდებოდა. 25 მაისს შირინკინი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს აცნობებდა, რომ ბათუმის მიხეილის სიმაგრის მახლობლად გარნიზონის ჯარისკაცებმა (დაახლოებით 300-400 კაცმა) პოლიტიკური მოთხოვნებით მიტინგი გამართეს. 4 ივნისს ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს მოახსენებდა, რომ მიხეილის სიმაგრის გარნიზონის ჯარისკაცებში რევოლუციური პროკლამაციები ვრცელდებოდა. 12 ივნისს მიხეილის სიმაგრის კომენდანტი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბში გაგზავნილ ორ ტელეგრამაში იმავეს ადასტურებდა. 1906 წლის 12 ივნისს მიხეილის სიმაგრის კომენდანტმა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს, კავკასიის მეფისნაცვალს დეპეშით აცნობა: „მდგომარეობა უარესდება. აუცილებელია გარნიზონი სასწრაფოდ გაძლიერდეს სწრაფმსროლელი ბატარეით, ქვეითთა 2 ბატალიონითა და ტყვიამფრქვევით“. ეს სამხედრო ძალა არა აჯანყებული მოსახლეობის, არამედ რევოლუციური იდეების გაელენის ქვეშ მოქცეული გარნიზონის ჯარისკაცთა წინააღმდეგ უნდა მიემართათ.

ბათუმში მუშათა გაფიცვები 1907 წლის შუა ხანებამდე გრძელდებოდა. ერთ-ერთი ბოლო გაფიცვა ბათუმის თამბაქოს ქარხანაში 1907 წლის 10-14 სექტემბერს მიმდინარეობდა. ამ პერიოდისათვის გაფიცულები პოლიტიკურ მოთხოვნებს აღარ აყენებდნენ, მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნებით იფარგლებოდნენ.

თავი V. აგრარული მოძრაობა საქართველოში

§1. აგრარული მოძრაობის მიზეზები

აგრარული მოძრაობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ის გადმონაშთები, რომლებიც საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შედეგად დარჩა. ბატონყმობის გაუქმება რუსეთსა (1864 წ.) და საქართველოში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები) უდაოდ პროგრესული მოვლენას წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ბატონყმობის, როგორც სოციალური და ეკონომიკური სისტემის, ერთი ხელის დაკერით მოსპობა შეუძლებელი იყო. რეფორმის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო იმ გადმონაშთების ლიკვიდაცია, რომლებიც რეფორმამ ვერ მოსპო. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს არ გაკეთებულა, ამიტომაც ბატონყმობის გადმონაშთები სერიოზულად აფერხებდა სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს. ბატონყმობის გაუქმებიდან სამი ათეული წლის განმავლობაში იმპერიის ხელისუფლება მრავალგვარი ღონისძიებით ახერხებდა სოფლად სოციალური აფეთქების თავიდან აცილებას. XX საუკუნის დამდეგიდან კი უკვე აშკარა გახდა, რომ აგრარული საკითხის მოუგვარებლად უზარმაზარი იმპერია არსებობას ვეღარ გააგრძელებდა. ეს ცხადად დადასტურდა 1905 წლის იანვარში დაწყებული რევოლუციის პირველ ხანებშივე.

აგრარული მოძრაობა საქართველოში შემდეგი კონკრეტული მიზეზებით იყო განპირობებული: 1. მცირემიწიანობა; 2. დროებით ვალდებული გლეხების მინის კერძო მესაკუთრედ გადაქცევის პროცესის გაჭიანურება; 3. არამართლზომიერი გადასახადები; 4. ხიზნების საკითხის მოუგვარებლობა.

1. მცირემიწიანობა. 1905 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში 1 საგლეხო კომლი (5-10 სული) ფლობდა შემდეგი ოდენობის მიწას: ა) დროებით ვალდებული გლეხი – 1-1,5 ქცევას; ბ)სახელმწიფო გლეხი – 0,5-1 ქცევას; გ)კერძო მესაკუთრე გლეხი – 1-4 ქცევას. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის ხელმძღვანელობით მოქმედმა კომისიამ დაადგინა, რომ გურიაში 1 საგლეხო კომლი 3-3,5 ქცევა მინას ფლობდა. თბილისის გუბერნიაში 1 საგლეხო კომლის მფლობელობაში არსებული მინის რაოდენობის მაქსიმუმი 5 დესეტინას აღწევდა, ქუთაისის გუბერნიაში – 4,5 დესეტინას. იმავე პერიოდში რუსეთში 1 საგლეხო კომლი (5-10 სული) ფლობდა: ა) ჩრდილოეთ გუბერნიებში – 2,6 დესეტინას; ბ) მოსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებში – 1,6 დესეტინას; გ) სამხრეთის გუბერნიებში – 3,1 დესეტინას; დ)დასავლეთის გუბერნიებში – 1,6 დესეტინას; ე) აღმოსავლეთის გუბერნიებში – 2 დესეტინას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1 საგლეხო კომლი საშუალოდ ფლობდა: კანადაში – 4,6 დესეტინას, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 4,4 დესეტინას, ბულგარეთში – 2,8 დესეტინას, რუსეთში – 2,5 დესეტინას, ესპანეთში – 1,8 დესეტინას, გერმანიაში – 1,7 დესეტინას.

გლეხების მინით უზრუნველყოფის ასეთ პირობებში მემამულეებს (თავადაზნაურობას) საკმაოდ დიდი ოდენობის მინა გააჩნდა. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას 1.260.406 დესეტინა მინა ეკუთვნოდა, რაც მთელი მიწების (3.927.910 დესეტინა) თითქმის მესამედს შეადგენდა. გლეხობის მფლობელობაში რჩებოდა მხოლოდ 702.549 დესეტინა მინა. 1897 წლის აღწერის მიხედვით, თბილისის გუბერნიაში 978.776 სული ცხოვრობდა, რომელთაგან 743.337 სული გლეხი, 20.000 სული – მემამულე (თავადაზნაური) და 215.195 მოქალაქე იყო. ამრიგად, 743.667 გლეხზე 702.549 დესეტინა მინა მოდიოდა, ხოლო 20.000 მემამულეზე – 1.260.406 დესეტინა.

ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის გარეშე) მემამულეებს (თავადაზნაურობას) 9.240 მამული ეკუთვნოდათ, რომელთა საერთო ფართობი 815.321 დესეტინას უდრიდა, რაც მთელი მიწების 42%-ს შეადგენდა. 815.321 დესეტინა მიწიდან 640 მამულის ფართობი 2 დესეტინას (6,9%) აღწევდა, 1580 მამულისა – 2-4 დესეტინას (17,2%-ს), 2.657 მამულისა – 4-8 დესეტინას (25,5%), 2.093 მამულისა – 8-19 დესეტინას (25,9%), 1.002 მამულისა – 19-36 დესეტინას (10,9%); 496 მამულისა – 36-72 დესეტინას (5,2%), 375 მამულისა – 72-190 დესეტინას (4,1%), 136 მამულისა – 190-380 დესეტინას (1,6%); 261 მამულისა – 380 დესეტინაზე მეტს (2,7%). მოყვანილი სტატისტიკური მასალიდან დგინდება: თავადაზნაურთა მამულების დიდი ნაწილი (52,8%) მინების 8 დესეტინაზე ნაკლებს ფლობდა, 261 მემამულიდან თითოეულს 380 დესეტინაზე მეტი მინა ეკუთვნოდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში მინის გლეხობისთვის გადაცემის პროცესი გაჭიანურდა, გაჭიანურდა როგორც მემამულისაგან მინის გამოსყიდვის, ისე მესაკუთრე გლეხის მიერ ახალი მინის შესყიდვის პროცესი. 1893 წელს ქუთაისის გუბერნიის შოროპანის მაზრაში თავადაზნაურობის მფლობელობაში 1.897 მამული იყო, რომლის საერთო ფართობი 66.216 დესეტინას უდრიდა. იმავდროულად მაზრაში 20.638 საგლეხო კომლი მხოლოდ 42.183 დესეტინა მინას ფლობდა. მცირემიწიანო-

ბით იყო გამოწვეული ის, რომ გლეხებს იჯარით ჰქონდათ აღებული 18.000 დესეტინა სახაზინო და 10.435 დესეტინა მემამულის (თავადაზნაურობის) მიწა. შოროპნის მაზრაში 1 საგლეხო კომლი ამუშავებდა 3,4 დესეტინა მიწას, რომლის ნაწილი მისი კერძო საკუთრება იყო, ნაწილი კი იჯარით ჰქონდა აღებული. შოროპნის მაზრაში არსებული ვითარება თითქმის უცვლელი დარჩა XX საუკუნის დამდეგამდე. ასეთი ვითარება იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თითქმის ყველა მაზრაში.

2. დროებით ვალდებული გლეხების მინის კერძო მესაკუთრედ გადაქცევის პროცესის გაჭიანურება. დროებით ვალდებული გლეხების მიერ მინის გამოსყიდვა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. 1897 წლამდე ყოველწლიურად საქართველოში მესაკუთრე ხდებოდა 1.110 დროებით ვალდებული გლეხის კომლი, 1897 წლის შემდეგ მინის გამოსყიდვას წელიწადში საშუალოდ 558 კომლი ახერხებდა. 50 წლის განმავლობაში თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებული გლეხთა კომლების მხოლოდ 30%-მა გამოისყიდა მიწა, ქუთაისის გუბერნიაში – 50%-მა. ამრიგად, თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებული გლეხების 70%-მა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 50%-მა მიწის გამოსყიდვა ვერ მოახერხა.

დროებით ვალდებული გლეხები უმეტეს შემთხვევაში მემამულეთა მიმართ საკმაოდ მძიმე ვალდებულებებს ასრულებდნენ. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის **ოზურგეთის მაზრაში** დროებით ვალდებული გლეხები მემამულეს მოსავლის 1/3 – 1/2 ნაწილს უხდიდნენ, მაშინ, როდესაც კანონმდებლობით გადასახადი 1/4 ნაწილზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად, გლეხს მემამულისათვის მოსავლის ნაწილი თავისი ტრანსპორტით უნდა მიეტანა მემამულესთან, ან გადაეტანა იქ, სადაც მემამულე ისურვებდა. მოსავლის აღების შემდეგ მემამულეს ყოველი დესეტინა მიწიდან **თბილისის გუბერნიაში** საშუალოდ 13 მანეთი და 50 კაპიკი რჩებოდა, დროებით ვალდებულ გლეხს – 8 მანეთი და 50 კაპიკი; **ქუთაისის გუბერნიაში** – მემამულეს რჩებოდა 16 მანეთი და 60 კაპიკი, გლეხს – 13 მანეთი და 30 კაპიკი. გარდა ამისა, დროებით ვალდებულ გლეხს მემამულისათვის უნდა მიერთმია „საჩუქარი", რომელსაც სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. ეს „საჩუქრები" სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა იყო. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, გლეხს მოსავლის გაყოფის დღეს მემამულისათვის უნდა მიერთმია სადილი; წელიწადში ერთხელ გლეხს უნდა მიერთმია ძღვენი, რომელიც დაახლოებით 6 მანეთის ღირებულებისა იყო; კიდევ ერთი ძღვენი გლეხს 3 მანეთამდე უჯდებოდა. **გორის მაზრაში** დროებით ვალდებულ გლეხს მემამულისათვის ყოველი 0,5 დესეტინა მინიდან უნდა მიერთმია 3 კოდი ხორბალი, კვირაში 2 დღე უნდა ემუშავა მემამულის მინაზე, მემამულისათვის უნდა დაემზადებინა შეშა და სხვ. როგორც ვხედავთ, დროებით ვალდებული გლეხები მემამულეს საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდნენ.

3. არამართლზომიერი გადასახადები. გლეხების ყველა კატეგორია მძიმე მდგომარეობაში იყო არამართლზომიერი გადასახადების გამო. ასეთ გადასახადთა კატეგორიას განეკუთვნებოდა: 1. მაზრისა და სოფლის ადმინისტრაციის მოხელეებისათვის განკუთვნილი ცხენების მოვლა; 2. მაზრისა და სოფლის ადმინისტრაციის მოხელეთა სამსახურებრივი მოვალობის შესრულების დროს (მგზავრობის დროს) აუცილებელი ბარგის საკუთარი ცხენებით გადატანა; 3. დარაჯების გამოყოფა ეკლესიებისა და საეკლესიო ქონების დასაცავად; 4. გზების შეკეთება; 5. საერობო პოლიციის შესანახი თანხის გაღება. XX საუკუნის დამდეგიდან ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს კიდევ დაემატა ერთი არაოფიციალური ვალდებულება: მონაწილეობა „სოციალისტების" ძებნასა და შეპყრობაში.

მძიმე იყო გადასახადი მოწეულ მოსავალზე. **თბილისის გუბერნიაში** გლეხი, რომელიც საშუალოდ 5 დესეტინა მიწას ფლობდა, 1 დესეტინა მიწაზე მოწეული მოსავლისათვის გადასახადის სახით სახელმწიფოს 54 მანეთსა და 10 კაპიკს უხდიდა, ანუ 5 დესეტინა მინაზე 270 მანეთსა და 50 კაპიკს იხდიდა, მაშინ, როდესაც გლეხს 1 დესეტინა მინაზე მოწეული მოსავლიდან სუფთა მოგების სახით 22 მანეთი რჩებოდა, ანუ მთელი მისი შემოსავალი 5 დესეტინა მინაზე 110 მანეთით განისაზღვრებოდა. თბილისის გუბერნიაში გლეხის წლიური შემოსავალი ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ საშუალოდ 42 მანეთითა და 38 კაპიკით განისაზღვრებოდა. **ქუთაისის გუბერნიაში** გლეხის წლიური შემოსავალი ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ 62 მანეთსა და 10 კაპიკს უდრიდა. თბილისის გუბერნიაში წლიური შემოსავლიდან (42 მანეთი და 38 კაპიკი) გლეხს უნდა გაესტუმრებინა სახელმწიფო გადასახადი (5 მანეთი), საერობო გადასახადი (4 მანეთი და 78 კაპიკი), დრამის გადასახადი (2 მანეთი), სულ – 11 მანეთი და 78 კაპიკი. როგორც ვხედავთ, გლეხობა თავისი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს არამართლზომიერი გადასახადების გასტუმრებაზე ხარჯავდა.

4. ხიზნების საკითხის მოუგვარებლობა. ხიზნების საკითხი ერთ-ერთი მწვავე პრობლე-

მად იდგა ბატონყმობის გაუქმების მომზადების პროცესში, ვერ გადაიჭრა გამოცემული საკანონმდებლო აქტებით და მწვავე საკითხადვე დარჩა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში. პირველი პროექტი ხიზანთა საკითხის გადაჭრის შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობასთან არსებულ გლეხთა მონყობის ცენტრალურ კომიტეტში 1862 წლის 1 სექტემბერს შევიდა. ხიზანთა საკითხი მწვავედ დაისვა 1862-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმების დროს. ბატონყმობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ისე გაუქმდა, რომ ეს საჭირბოროტო საკითხი არ გადაჭრილა. უფრო ზუსტად, **ხიზნებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მინა** – ვერა. გაურკვეველი იყო ხიზნების მდგომარეობა მომდევნო წლებშიც. ხიზნების საკითხზე სერიოზულ მუშაობას გლეხთა მოწყობის ცენტრალური კომიტეტი 1886 წლის 13 ივნისიდან შეუდგა. საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება 1894 წლამდე გაჭიანურდა. კომიტეტი მხოლოდ მასალებს კრეფდა. 1884 წელს კომიტეტმა აზრის მოსასმენად მემამულეები მიიწვია. მუშაობაში მათმა ჩართვამ საქმე კიდევ უფრო გააჭიანურა. მემამულეთა აზრი გაიყო: მათი ნაწილი ხიზნებს რაიმე სტატუსის მქონედ კი არა, უბრალო მოიჯარადრედ მიიჩნევდა, ხოლო ნაწილი ხიზნობას განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა. მემამულეთა მცირე ნაწილი, ხიზნებისათვის გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში, საკუთრებაში მინის მიცემასაც უჭერდა მხარს. 1891 წლის 3 ივნისს რუსეთის იმპერიის მთავრობამ გამოსცა **„დებულება თბილისის და ქუთაისის გუბერნიის ხიზნებისათვის"**. დებულება ხიზნებს გლეხთა განსაკუთრებულ კატეგორიად აცხადებდა, მაგრამ გაურკვეველი დარჩა მინის საკითხი. დებულების პირველი მუხლი გვაუწყებს: „ამ დებულების ძალით, ხიზნებად ირიცხებიან მინის მფლობელი გლეხები, რომელნიც ამ დებულების გამოცხადებამდე დასახლებულნი არიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მებატონეთა მამულებში და რომელთაც ამ მინის მფლობელობისა და სხვაგვარი სარგებლობის შესახებ ეადიანი პირობა არ აქვთ მებატონესთან, არც მილებული ნესით შეკრული და შემოწმებული და არც თუნდა შინაურული, რომელსაც ორივე მხარე უარს არ პყოფს." სავსებით გაურკვეველი დარჩა ხიზნების ბეგარა-გადასახადები. დებულების მეორე მუხლში ეკითხულობთ: „ყოველი სამოსახლო, სახნავი, სათიბი და საბაღო ადგილი, და აგრეთვე საქონლის წყლის დალეევინებისა, საძოვრად გარეკვისა, მორწყვისა, საძოვრისა და ტყის ხმარებისა, რაიცა ხიზანთ სჭირიან და პჰონიათ ამ დებულების გამოცხადებამდე, ამიერიდან მათ რჩებათ იმავე გადასახადით, რაც აქამდის უძლევიათ". როგორც ეხედავთ, 1891 წლის 3 ივნისის დებულებამ დაადასტურა მემამულის უდავო საკუთრება ხიზნების სარგებლობაში არსებულ მინაზე (ბაღ-ვენახზე, სახნავზე, სათიბზე, საძოვარზე, ტყეზე). ხიზანი, დებულების ძალით, მიჯაჭვული იქნა მემამულის მინაზე. ამასთან ერთად, მემამულეს უფლება ჰქონდა ხიზანი გაეშვა, ხიზანსაც შეეძლო მემამულისაგან წასულიყო. 1893 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თხოვნით მიმართა ხელისუფლებას. თავადაზნაურობა ითხოვდა, ხელისუფლებას საკანონმდებლო აქტით დაედასტურებინა, რომ თავისუფლდებოდნენ ხიზნებისათვის მინის კერძო საკუთრებაში გადაცემის ვალდებულებისაგან. 1900 წლის 5 ივნისს ხიზნების შესახებ მეორე კანონი გამოიცა. კანონი მემამულეს უფლებას აძლევდა ხიზანი აეყარა თავისი მინიდან, ოღონდ მისთვის შენობა-ნაგებობისა და მინის გაუმჯობესებისათვის დახარჯული თანხა გადაეხადა. როგორც ეხედავთ, XX საუკუნის დამდეგისათვის ხიზნების საკითხი გადაჭრილი არ იყო და ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩებოდა.

§2. აგრარული საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

XX საუკუნის დამდეგს აღმოცენებულ რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა აგრარულ საკითხს. ყველა პოლიტიკური პარტია თანხმდებოდა იმას, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დარჩენილი გადმონაშთები სერიოზულად აფერხებდა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და, ცხადია, პოლიტიკურ პროგრესსაც. ამასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ აგრარული საკითხის გადაჭრის გზებზე, ანუ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბატონყმური გადმონაშთების დაძლევის გზები.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც 1902 წელს შეიქმნა, აგრარული საკითხის გადაჭრის ასეთ გზას სთავაზობდა გლეხობას:

„აგრარულ პოლიტიკისა და საადგილმამულო ურთიერთობის კითხვებში სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია ისახავს თავის მიზნად გამოიყენოს სოციალიზმის სასარგებლოდ და ბურჟუაზიულ საკუთრების საფუძველთა წინააღმდეგ როგორც სათემო, ისე საზოგადოდ მშრომელთა შეხედულებანი, რუსის გლეხობის ცხოვრების ფორმები და ტრადიციები, განსა-

კუთრებით კი შეხედულება მიწაზე, რომელიც, მშრომელთა აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მათ. ამისათვის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მოითხოვს ყველა კერძო მფლობელთა მიწების სოციალიზაციას, ე. ი. კერძო პირების საკუთრების სფეროდან მათ აღმოხოცვას და გადასვლას სახალხო მფლობელობაში და დემოკრატიულად მოწყობილ თემების ტერიტორიულ კავშირების განკარგულებაში თანასწორად სარგებლობის საფუძვლებზე, იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა ეს უმთავრესი და ძირითადი მოთხოვნილება აგრარულ პროგრამა-მინიმუმისა არ იქნება ერთბაშად დაკმაყოფილებული, როგორც რევოლუციონური ზომა, სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია შემდეგ აგრარულ პოლიტიკაში შეათანხმებს ამ პროგრამის მოთხოვილებას; იმ გარემოებას, რომელიც შესძლებს მის სრულად განხორციელებას; ნამოაყენებს რა მასზე შესაძლებელ გადასასვლელ ზომებს, როგორც, მაგალითად, თემებისა და მათი ტერიტორიალურ კავშირების უფლებების გაფართოებას კერძო მფლობელთა მიწების ექსპროპორციით; სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სხვ. მიწების კონფისკაციას და მათ გადაქცევას სახელმწიფო ქონებად; იმავე საქმისთვის, რომელიც თემებს უზრუნველყოფს საკმარისი მიწით, და აგრეთვე გადასახლების და დასახლების საჭიროებას. მიწით სარგებლობის ქირის განსაზღვრას მეურნეობის წმინდა შემოსავლის სიდიდით (რომლის საერთო შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს ნარმოების ხარჯი და შრომის ნორმალური ჯილდო); დაჯილდოებას მიწაზე დახარჯულ გაუმჯობესებათა ერთის ხელიდან მიწის სარგებლობის მეორე ხელში გადასვლის დროს; რენტის გადაქცევას სპეციალურ გადასახადების გზით თემებისა და თვითმმართველობის ორგანოთა შემოსავად წყაროდ."

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამაში, რომელიც 1903 წელს II ყრილობაზე იქნა მიღებული, აგრარული საკითხი ასე იყო ნარმოდგენილი:

„იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნას ბატონყმური ნაშთები, რომლებიც მძიმე უღლად აწევთ უშუალოდ გლეხებს და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის პარტია უნინარეს ყოელისა მოითხოვს:

1. გამოსაყიდი და საღალო გადასახადების, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას, რაც ამჟამად ტვირთად აწევება გლეხობას, როგორც მობეგრე წოდებას.

2. ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ავიწროებენ გლეხს მისი მიწის განმკარგულებლობის მხრივ.

3. გლეხებისათვის იმ ფულადი თანხების დაბრუნებას, რომლებიც მათგან ნაიღეს გამოსაყიდ და საღალო გადასახდელთა ფორმით; ამ მიზნით, სამონასტრო და საეკლესიო ქონების, აგრეთვე საუფლისწულო, საკაბინეტო და სამეფო გვარეულობის პირთა კუთვნილი მამულების კონფისკაციას, ასევე იმ მინათმფლობელ-თავადაზნაურთა მიწების დაბეგვრას განსაკუთრებული გადასახადით, რომლებმაც გამოსაყიდი სესხით ისარგებლეს; ამ გზით მიღებული თანხების გადაცემას განსაკუთრებულ სახალხო ფონდში სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და საქველმოქმედო საჭიროებათა დასაკმაყოფილებად.

4. გლეხთა კომიტეტების დაარსებას: ა) სოფლის საზოგადოებებისათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან, – იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, – სახელმწიფოს მიერ გამოყიდვით მსხვილი თავადაზნაურული მინათმფლობელობის ხარჯზე), რომლებიც გლეხებს ბატონყმობის მოსპობის დროს ჩამოაჭრეს და მემამულეთა ხელში დამონების იარაღს წარმოადგენენ; ბ) კავკასიაში გლეხთა საკუთრებაში იმ მიწების გადასაცემად, რომლებითაც ისინი სარგებლობენ როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვ.; გ) ბატონყმური ურთიერთობის იმ ნაშთების მოსასპობად, რომლებიც დარჩენილია ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში."

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, მართალია, 1904 წელს შეიქმნა, მაგრამ პროგრამა მოგვიანებით, 1907 წელს, დამტკიცდა. სოციალისტ-ფედერალისტთა აგრარული პროგრამა მნიშვნელოვანწილად იმეორებდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამებში:

„სოციალისტ-ფედერალისტების პარტია თავის აგრარულ (საადგილმამულო) პროგრამას საფუძვლად უდებს პრინციპებს მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისას, რათა იგი ხალხის საერთო სიმდიდრედ იქცეს;

ა) სახელმწიფოს, ეკლესიას, მონასტრებს, კაბინეტს, უფლის წულებს და მსხვილ მემამულეებს მინა რევოლუციონურის გზით გამოუსყიდველად უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წერილ და მსხვილ ტერიტორიალურ ერთეულებს.

შენიშვნა: ქალაქის სამზღვრებში მდებარე მიწა უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს და

გადაეცეს საქალაქო მუნიციპალიტეტებს.

ბ) სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ყოვლის უნინარეს იმის ცდაში იქნება, რომ ამ მინების დამუშავება კოლექტიურის (შეერთებულის) შრომით სწარმოებდეს და რომ ნაყოფი ამ საერთო შრომისა შრომის მიხედვით განაწილდეს.

გ) სადაც კოლექტიურ შრომის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდება, მინებს აღიარებს სახალხო ფონდად; მინის ნაჭერ-ნაჭერ გადაცემა დასამუშავებლად, იმ პირობით კი, რომ არავის იმაზედ მეტი მიწა არ მიე ზომოს, რის დამუშავებასაც თავის საკუთარის ძალღონით გაუძღება.

დ) იმ წვრილ მესაკუთრეებს, რომელნიც თვით ან თავის ოჯახის შემწეობით ამუშავებენ თავის მიწას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევათ ეს მინა საერთო მფლობელობაში გადასაცემად, თუ ეს მესაკუთრენი თანხმობას განაცხადებენ ამაზე. ყოველ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია.

წვრილ მესაკუთრეებს ჩამოერთმევათ მიწა ძალით იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავის მიწებს თავისივე ხელით არ ამუშავებენ.

საშუალო რაოდენობის მამულის პატრონებსაც უნდა ჩამოერთვას მიწა – გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ისინი თავის საკუთარის შრომით ამუშავებენ. ეს უკანასკნელი ნაწილი მიწისა მხოლოდ ისეთს შემთხვევაში შეიძლება ჩამოერთვას მათ, რომელ შემთხვევაშიც წვრილ მესაკუთრეებს და გამოერთმევათ მიწა საერთო მფლობელობისთვის.

ე) ქალაქში რენტა უნდა იკრიფებოდეს განსაკუთრებულის გადასახადის დაწესებით საერთო საჭიროებისათვის მოსახმარებლად.

სოფელში შემოღებულ უნდა იქმნას გამათანასწორებელი გადასახადი".

1905 წელს, 17 ოქტომბრამდე, რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში, **ილია ჭავჭავაძეს** განუზრახავს **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის"** შექმნა და პროგრამის მონახაზიც გაუკეთებია. ილიას პარტიის პროგრამის მონახაზის შედგენისას გამოუყენებია „რუსეთის კონსტიტუციურ- დემოკრატიული პარტიის (კადეტების)" პროგრამა, ცხადია, საქართველოს თავისებურებებისა და ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებით. აგრარული საკითხი ამ დოკუმენტში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„19. Окончательная ликвидация остатков крепостной зависимости в Грузии.

20. Отмена всех сословных привилегий.

21. Закрепление за временнообязанными крестьянами их наделов за счет государства.

22. Расширение землевладения крестьян всех разрядов из свободного запаса казенных земель и из земель частновладельческих, выкупаемых казной на свой счет, для распределения между нуждающимся в земле коренным населением Грузии без различия вероисповедания и национальности.

23. Обеспечение за крестьянами права пользования ближайшими казенными лесами и пастбищами."

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის"** პროგრამის პროექტი ილიას თანდასწრებით განუხილავთ და გადაუმუშავებიათ. პროგრამის ახალი ვარიანტი 18 პუნქტისაგან შედგება. აგრარული საკითხი პროგრამის პროექტში ასეა წარმოდგენილი:

„6. Окончательная ликвидация остатков крепостной зависимости в Грузии.

7. Закрепление за временно-обязанными крестьянами их наделов и за хизанами находящихся в их пользовании владельческих земель за счет государства.

8. Обеспечение за крестьянами права пользования ближайшими казенными лесами и пастбищами."

1906 წლის იანვარში გამოქვეყნდა **„პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა"**, რომელშიც აგრარული კანონმდებლობის შემუშავებას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა:

„V. აგრარული კანონმდებლობა

31. ვინც მიწის მუშაკი თავისი ხელით მუშაობს და მიწა კი ნაკლებად აქვთ, მას უნდა მიეცეს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო მიწები. ამავე მიზნით მიწის მუშაკთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს კერძოს მესაკუთრეთაგან, სამართლიან ფასად, მიწები. სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს აგრეთვე ხიზნებისა და დროებით ვალდებულ-გლეხთათვის ის მიწები, რომელიც მათ თავის საშუალებით აქამდის ვერ შეუსყიდიათ.

32. ყველა აღნიშნულ ადგილებს, სახაზინო და სანადელო ადგილებს გარდა, განაგებს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდი. თუ რა გვარად უნდა დაურიგდეს ეს მიწები (სამფლობელოდ, თუ პირად სასარგებლოდ, ან სათემოდ) დამოკიდებულია თითოეულს ადგილობრივ პირობებზე.

33. უნდა დაარსდეს ერცელი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება მკვიდრთა გადასახლებას, და მათ დაბინავებას ახალს სამოსახლოზე, როდესაც უადგილობის გამო იძულებულნი იქნებიან გადასახლდნენ. დააჩქარონ და მოაწყონ მიწების გამოყენება და მიიღონ სხვა საშუალებანი, რომელნიც გაუმჯობესებენ მეურნეთა და სოფლის მკვიდრთა მდგომარეობას.

34. უნდა გაუმჯობესდეს ღალის პირობები, მათი კანონზე დამოკიდებულების შესახებ, რომ არენდატორს შეეძლოს ღალის პირობების განახლება; მიეცეს არენდატორს სასყიდელი ადგილის გაუმჯობესებისათვის და დაარსდეს მომრიგებელი სამსაჯულოები, მიწის პატრონთა და არენდატორთათვის ღალის პირობების მოსაწესრიგებლად. არენდატორს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმართოს სამსაჯულოს გადამეტებულის მიწის ღალის შემცირების თაობაზე და ამ ღალის შესახებ ხელშეკრულებათა გაუქმების თაობაზე, თუ შიგ საზარალო პირობები არის.

35. დაარსდეს კანონმდებლობა მიწის მოქმედ მუშათათვის, მიწის დასამუშავებლად, ტეხნიკური თვისების შესაფერად; დაინიშნოს სამეურნეო ინსპექცია და მას დაევალოს, დაიცვას კანონი, რომელიც იფარავს შრომას ამ სფეროში, და შემოღებულ იქნეს სისხლის სამართლის წესით პასუხისგება მეურნეთათვის, თუ რომ იგინი დაარღვევენ შრომის დამცველ კანონის ნორმას."

ზემოთ მოტანილი დოკუმენტების ანალიზი გვარწმუნებს, რომ აგრარულ საკითხს, როგორც 1905 წლის რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში სერიოზული ყურადღება ეთმობოდა, აგრარული საკითხის გადაჭრა მიიჩნეოდა სოციალური, ეკონომიკური და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური პროგრესის მიღწევის აუცილებელ პირობად. პოლიტიკურ პარტიათა, ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა თუ მოღვაწეთა ჯგუფის მიერ შემუშავებული აგრარული პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, თუმცა უცილობელია ერთი ჭეშმარიტება: ნებისმიერი პროგრამის განხორციელება რაღაც დონით ხელს შეუწყობდა სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს.

§3. აგრარული მოძრაობის დასაწყისი

1. აგრარული მოძრაობის ქრონიკა. გლეხთა რევოლუციური გამოსვლები 1905 წლის თებერვლიდან მთელ საქართველოს მოედო. აგრარული მოძრაობის ქრონიკა 1905 წლის თებერვალ-მარტში ასეთი იყო:

27 თებერვალი.

გლეხებმა გადაწვეს შორაპნის მაზრის სოფლების: **კაცხის, ბოსლევის, ჩხარის** და სენაკის მაზრის სოფელ **თეკლათის** კანცელარიები. კანცელარიებში დაცული მთელი დოკუმენტაცია გაანადგურეს.

– სოფელ თეკლათში სახლ-კარი გადაუწვეს ორ მემამულეს.

28 თებერვალი.

გლეხებმა დახურეს სოფელ **საქარის** კანცელარია, ხოლო სასოფლო მმართველობის მოხელეები გადაყენებულად გამოაცხადეს.

– გლეხებმა გადაწვეს ქუთაისის მაზრის სოფელ **უხუთის** კანცელარია. სოფელ **თეკლათში** შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ მემამულის სახლს.

– გლეხებმა გადაწვეს სენაკის მაზრის სოფლების: **ეკისა** და **ზუგდიდის** – კანცელარიები, გაანადგურეს დოკუმენტაცია.

– გლეხებმა გადაწვეს დუშეთის მაზრის სოფელ **ხორხის** კანცელარია და გაანადგურეს დოკუმენტაცია.

4 მარტი. გლეხები **შორაპანში** თავს დაესხნენ სტრაჟნიკების პოსტს, შენობა, რომელშიც სტრაჟნიკები იმყოფებოდნენ, გადაწვეს. სტრაჟნიკებმა ცეცხლი გახსნეს და თავდამსხმელთაგან 2 მოკლეს, 4 თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა.

5 მარტი. შოროპნის მაზრაში გლეხებმა გადაწვეს სოფლების: **ხარაგაულის, მუხურის, საზანოს, ხრეითის** და **კვალითის** – სასოფლო კანცელარიები. **კვალითში** დაწვეს ხის ეკლესია.

6 მარტი.

– პოლიციამ **შორაპნის** მაზრაში დააკავა გლეხი აგიტატორი. იმავე დღეს შეიარაღებული გლეხების ჯგუფმა დაკავებული პატიმრობიდან გაათავისუფლა.

– შეიარაღებული გლეხების ჯგუფმა **ზუგდიდში** პატიმრობიდან გაათავისუფლა წინა დღეს დაკავებული თანამებრძოლები. შეჯახებისას ამტყდარი სროლის დროს დაიღუპნენ და დაიჭრნენ როგორც პოლიციელები, ისე გლეხები.

7 მარტი.

– გორის მაზრის სოფელ **კარალეთის** გლეხებმა ნითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით დემონსტრაცია გამართეს, ხოლო შემდეგ გადაწვეს სოფლის კანცელარია.

– **ცხინვალში** გლეხთა დემონსტრაციაზე მთავრობის სანინააღმდეგო მოწოდებები გაისმოდა.

– **აფხაზეთის** მთელ რიგ სოფლებში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები დაიწყო.

8 მარტი. სამეგრელოდან გლეხთა შეიარაღებული რაზმები **სოხუმისაკენ** გაემართნენ, რათა 7 მარტს დაპატიმრებული აგიტატორები საპყრობი-

ლიდან გაეთავისუფლებინათ.

10 მარტი. გორის მაზრაში, რკინიგზის სადგურ **მიხაილოფში (ხაშურში)** შეკრებილმა გლეხებმა გადაწყვიტეს გადაეწვათ სოფლის კანცელარიები და დაესაჯათ სოფლის მმართველობის ზოგიერთი მოხელე.

11 მარტი.

– გორის მაზრის სოფელ **რუისში** გლეხებმა დაარბიეს სოფლის კანცელარია, დაწვეს დოკუმენტაცია.

– გორის მაზრის სოფელ **კარალეთის** გლეხებმა დაიწყეს თავად ციციშვილის საკუთრებაში არსებული ტყის გაჩეხვა. გლეხებმა ციციშვილის სახლიდან დაითხოვეს ხელზე მოსამსახურეები, ხოლო სოფლის მმართველობის მოხელეებს წესრიგის აღდგენის საშუალება არ მისცეს.

– გაზეთ „კავკაზის" ცნობით, გორის მაზრის თითქმის ყველა სოფელში სასოფლო მმართველობები აღარ ფუნქციონირებდა, კანცელარიები დარბეული, დოკუმენტაცია კი განადგურებული იყო.

12 მარტი. გორის მაზრის სოფელ **ოძისში** შეიარაღებულმა გლეხებმა თავად ერისთავს და სახელმწიფო მამულების მმართველს მთელი მინების გლეხობისათვის გადაცემა მოსთხოვეს და დაემუქრნენ: თუ მინებს ნებაყოფლობით არ გადასცემდნენ, მაშინ გლეხობა თვითნებურად მიიტაცებდა მას.

13 მარტი.

– გორის მაზრის სოფელ **სურამში** თავიანთი მოთხოვნების ხელისუფლებისათვის გადაცემის მიზნით შეკრებილი დაახლოებით 8.000 შეუიარაღებელი გლეხი ძალის გამოყენებით დაშალა ნინასნარ ამისათვის მომზადებულმა ოსთა დაქირავებულმა რაზმმა.

– გორის მაზრის სოფელ **ახალგორში** დაახლოებით 1.500-მა გლეხმა პოლიტიკური დემონსტრაცია გამართა. სოფელში ჩავიდა გორის მაზრის უფროსი, რის შემდეგაც გლეხებმა დემონსტრაცია შეწყვიტეს და 3 მლვდლის თანდასწრებით ფიცი დადეს, რომ ერთმანეთს არ უღალატებდნენ. ფიცის დადების შემდეგ გლეხები სოფლის კანცელარიასთან შეიკრიბნენ და სასოფლო მმართველობის დახურვა მოითხოვეს.

– რაჭის მაზრის სოფელ **ლეჩხუმში** გლეხებმა მოკლეს პრისტავი მახარაძე.

– გაზეთ „კავკაზის" ცნობით, 1 მარტიდან 10 მარტამდე ქუთაისის გუბერნიაში გადაწვეს 16 სოფლის კანცელარია, გაანადგურეს იქ დაცული დოკუმენტაცია.

14 მარტი.

– ქალაქ **გორში** შესულ შეიარაღებულ გლეხობას შეუკახება მოუხდა ჯართან, რასაც მსხვერპლი მოპყვა (დაიჭრა 10, დაიღუპა 1 კაცი).

– გლეხებმა გაანადგურეს კანცელარიები გორის მაზრის სოფლებში დიცსა და ბელოთში. დიცში გლეხებმა საეკლესიო სამრევლო სკოლის შენობა დაარბიეს და იქ დაცული დოკუმენტაცია გაანადგურეს.

– გორის მაზრის სოფელ **ტირძნისიდან** გლეხებმა მემამულე სულხანიშვილი გააძევეს და გადაწვეს მისი კუთვნილი რამდენიმე შენობა.

15 მარტი.

– თბილისის მაზრის სოფელ **საგარეჯოში** გლეხებმა სახელმწიფო ტყის გაკაფვა დაიწყეს. დაარბიეს სოფლის სკოლის შენობა და გაანადგურეს იქ არსებული დოკუმენტაცია, შემდეგ კი აქციზის მოხელე აიძულეს მასთან დაცული ყველა დოკუმენტი გაენადგურებინა.

– გორის მაზრის სოფელ ფლავის გლეხებმა სახელმწიფო ტყის გაჩეხა დაიწყეს.

– გორის მაზრის სოფელ კოდას გლეხებმა მემამულე სოფლიდან გააძევეს და ურჩიეს უკან აღარ დაბრუნებულიყო.

16 მარტი.

– თბილისის მაზრის სოფელ **შინდისის** გლეხებმა სოფლის კანცელარია დაარბიეს, მანამდე კი პრისტავი და სტრაჟნიკები გააფრთხილეს, საქმეში არ ჩაერიოთ, თორემ სისხლისღვრა მოხდებაო.

– თბილისის მაზრის სოფელ დიღმის გლეხებმა თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის ტყის გაჩეხა დაიწყეს.

17 მარტი. გორის მაზრის სოფელ **აჩაბეთში** გლეხებმა სოფლის კანცელარია გადაწვეს, ხოლო სასოფლო მმართველობის მოხელეები დაითხოვეს.

23 მარტი.

– გორის მაზრის სოფელ **გომში** შეიარაღებულმა ოსებმა მემამულის სახლ-კარი დაარბიეს, ხოლო თვით მემამულეს სასტიკად სცემეს.

– თელავის მაზრის სოფელ **ძველ გავაზში** გლეხებმა დახურეს სოფლის კანცელარია და სკოლა.

24 მარტი. თელავის მაზრის გრემის, **საბუესა** და სხვა სოფლების გლეხებმა (დაახლოებით 3.000 კაცი) მემამულეებს ხელწერილის მიცემა მოსთხოვეს, რომლის ძალითაც მათ მემამულის კუთვნილი მინის დამუშავების უფლება ექნებოდათ. ამ სოფლებში დაიხურა სასოფლო მმართველობები და სკოლები.

26 მარტი. სოხუმის ოკრუგის სოფელ **გულრიფშში** გლეხებმა დაწვეს სასოფლო კანცელარია, იქ დაცული დოკუმენტაცია გაანადგურეს.

27 მარტი. დუშეთის მაზრის სოფელ **სიონის** გლეხობამ მემამულეთა მინების მიტაცება დაიწყო.

28 მარტი. თელავის მაზრის სოფელ **ურიათუბნის** გლეხები შეიკრიბნენ და მღვდელს დაფიცება მოსთხოვეს. დაფიცების შემდეგ გლეხებმა სასოფლო ყრილობაზე დაადგინეს სკოლისა და სასოფლო კანცელარიის დახურვა. მემამულეებს ჩამოართვეს ხელწერილი, რომლებიც გლეხებს მათი მიწების დამუშავების უფლებას აძლევდა. სასოფლო ყრილობაზე ასევე დაადგინეს, რომ ტყის უფასოდ გამოყენების უფლება ჰქონდა ყველას. ყრილობის დადგენილებით, აქციზი ვაჭრობაზე გაუქმდა.

29 მარტი. **ზუგდიდში** შეკრებილმა გლეხებმა დაპატიმრებული აგიტატორების განთავისუფლება მოითხოვეს.

30 მარტი. თელავის მაზრის გლეხებმა გადაწვეს თავად ს. გ. ჭავჭავაძის მამული.

31 მარტი. თელავის მაზრის **ქვემო ხოდაშნის,** ნინანდლისა და სხვა სოფლების გლეხებმა (დაახლოებით 2.000 კაცი) ნინანდალში პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყეს, დახოცეს იმპერატორ ნიკოლაი II-ის პორტრეტი, სოფლის მმართველობის მოხელეები კანცელარიაში ჩაკეტეს და გააფრთხილეს, რომ მათ საქმეებში არ ჩარეულიყვნენ. ამის შემდეგ გლეხებმა ნინანდლის საუფლისწულო მამულების მმართველ ნ. ვ. კუროდოვს მოსთხოვეს ხელწერილის მიცემა, რომლის ძალითაც საუფლისწულო მამული გლეხობის ხელში გადადიოდა. მმართველი იძულებული გახდა გლეხთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

2. გლეხთა მოთხოვნები. უკვე 1905 წლის გაზაფხულისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გლეხობის მიერ წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება დადგინდეს, თუ რას ითხოვდა გლეხობა ხელისუფლებისაგან:

1. დროებით ვალდებული გლეხების დაუყოვნებლივ გათავისუფლება ამ ვალდებულებისაგან და მათთვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა;

2. გლეხობისათვის ე.წ. „ჩამონაჭრების“ ანუ იმ მიწის დაბრუნება, რომელიც მათ ყმობიდან განთავისუფლების დროს მემამულეთა სასარგებლოდ უსამართლოდ არ დაუმტკიცეს კერძო საკუთრებაში;

3. ნატურალური გადასახადის გაუქმება;

4. გლეხობისათვის საეკლესიო და სახელმწიფო მიწების გადაცემა;

5. მემამულის მიწით სარგებლობაზე დანესებული იჯარის შემცირება;

6. ყველა წოდებისათვის ტყით სარგებლობის ერთნაირი უფლების დანესება;

7. გლეხობისათვის დაკისრებული სხვადასხვა ვალდებულების გაუქმება, ხოლო დარჩენილი ვალდებულებების გლეხობის თანაბრად თავადაზნაურობის მიერ შესრულება;

8. წოდებრივი უთანასწორობის გაუქმება, ყველა მოქალაქის თანასწორობა, სქესის, აღმსარებლობისა და ეროვნების მიუხედავად;

9. პირველადი მოხმარების საგნებზე არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება;

10. დაბეგერის პროგრესული სისტემის შემოღება;

11. ვაჭრობასა და შინამრეწველობაზე აქციზისა და სააქციზო ზედამხედველობის გაუქმება;

12. ორივე სქესის 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასო განათლების შემოღება;

13. სკოლებში ეროვნულ ენაზე სწავლების დაკანონება; სკოლებში სახელმწიფო ენის (რუსული ენის) სავალდებულო სწავლების დაკანონება;

14. ფართო უფლებებით აღჭურვილი თვითმმართველობის შემოღება;

15. ყველა დონის მოხელეების არჩევა ხალხის მიერ;

16. მოსამართლეების არჩევა ხალხის მიერ;

17. ერთა თვითგამორკვევის უფლების დაკანონება;

18. სინდისის, ბეჭდვის, შეკრების, კავშირების, გაფიცვების თავისუფლება;

19. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა;

20. პოლიტიკური და რელიგიური მოტივით დაპატიმრებულთა სრული ამნისტია;

21. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა;

22. სამღვდელოების სასარგებლოდ დანესებული გადასახადების გაუქმება; ეკლესიისა და სამღვდელოების შესანახი ხარჯების მხოლოდ მორწმუნე მრევლისათვის დაკისრება;

23. რეგულარული არმიის გაუქმება და მისი სახალხო მილიციით შეცვლა;

24. რუსეთის დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო კანონის საფუძველზე;

25. თვითმპყრობელობის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლა.

ამ მოთხოვნებს აყენებდა თითქმის ყველა რეგიონის გლეხობა. ზოგიერთი მოთხოვნა რეგიონში გვიან ჩნდებოდა, რაც, ცხადია, მეზობელ რეგიონში მიმდინარე პროცესების გამოძახილი იყო. საერთოდ, საქართველოს გლეხობა ძირითადი მოთხოვნების მხრივ ერთმანეთის მიმართ სოლიდარული იყო.

§4. აგრარული მოძრაობა საქართველოში 1905-1906 წლებში

აგრარული მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო იმერეთში (შოროპნისა და ქუთაისის მაზრებში), გურიაში (ოზურგეთის მაზრაში), ქართლში (გორისა და დუშეთის მაზრებში), სამეგრელოში (ახალსენაკისა და ზუგდიდის მაზრებში), სამცხე-ჯავახეთში (ახალციხის მაზრაში), კახეთში (თელავის მაზრაში) და სხვ. გურიაში აგრარულ მოძრაობას ჩვენ ქვემოთ შევეხებით, ამჯერად კი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში არსებული ვითარება მიმოვიხილოთ. ცხადია, ჩვენ რეგიონებში აგრარულ მოძრაობას დანერილებით ვერ განვიხილავთ, მოვიხმობთ მხოლოდ დამახასიათებელ მასალას.

1. ქართლი. 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ფართო გაქანება მიიღო გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა ქართლში – თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში. იყო მემამულეთა სახლ-კარის გადაწვის, ქონების მიტაცების, სოფლის კანცელარიების დარბევისა და იქ დაცული დოკუმენტების განადგურების უამრავი შემთხვევა. მაზრების პოლიცია გლეხობის მიერ შექმნილ „ნოთელ რაზმებს“ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, გახშირდა პოლიციის განიარაღების შემთხვევები.

1905 წლის 24 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით გორის მაზრაში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები უწყვეტად გრძელდებოდა:

4 თებერვალი. სოფელ ხოლში გლეხებმა თავად ალექსანდრე ჯავახიშვილის ტყის გაჩეხა დაიწყეს. იმავე დღეს სოფელ ალში გლეხები გასაჩეხად შეესივნენ რეიტერის ტყეს.

24 თებერვალი. გლეხებმა სოფელ არბოს საეკლესიო-სამრევლო სკოლიდან ნიკოლაი II-ის პორტრეტი გამოიტანეს და ნაკუწებად აქციეს.

27 თებერვალი. დაბა ცხინვალში გლეხებმა გადაწვეს თავად მიხეილ რევაზის ძე ერისთავის ნისქვილი.

28 თებერვალი. სოფელ მეჯვრისხევში გლეხებმა დაარბიეს რამდენიმე შენობა.

2 მარტი.

– გლეხებმა სოფელ ფლავში გადაწვეს თავად გრიგოლ კონსტანტინეს ძე ერისთავის კუთვნილი ნაგებობა;

– გლეხებმა დაბა ცხინვალში გადაწვეს მებაურნეობისა და მელქუმოვის ბაღები, თავად მაჩაბლის ნისქვილი, თავადის კუთვნილი კიდევ ერთი ნაგებობა.

3 მარტი.

– გლეხებმა სოფელ ატენში მღვდლის თანდასწრებით დაიფიცეს, რომ არც ერთი მათგანი მემამულის სასარგებლოდ ერთ დღესაც კი არ იმუშაებდა;

– უთავად ზაქარია ერისთავის გლეხები შეიარაღდნენ, თავს დაესხნენ თავად ორბელიანის გლეხებს და იმ მიწაზე, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ, თაეიანთი ჯოგი გაუშვეს;

– სოფელ სატივეს გლეხებმა თავად გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილის ტყის გაჩეხა დაიწყეს;

– შეიარაღებული გლეხები იმუქრებოდნენ, რომ დაარბევდნენ სოფელ ჭალაში მდებარე თავად ი. გ. ამილახვრის სახლ-კარს.

– სოფელ ნიჩბისში შეიარაღებული გლეხები გარს შემოერტყნენ თავად დიმიტრი ციციშვილის სახლს და დახოცვითა და გადაწვით ემუქრებოდნენ თავადსა და მის ძმებს. დიმიტრი ციციშვილი ოჯახის წევრებთან ერთად მთელი ღამის განმავლობაში იგერიებდა მომხდურებს.

4 მარტი. სოფელ კარალეთის გლეხებმა სოფლის მამასახლისს თანამდებობის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი ჩამოგლიჯეს და თავად მიხეილ ერისთავის ცხვრის ფარა მიიტაცეს.

6 მარტი.

– სოფელ როხში გლეხებმა თავად ა. ერისთავის სახლი გადაწვეს;

– სოფელ კარალეთის გლეხებმა თავად ციციშვილის მამული დაარბიეს.

7 მარტი.

– გლეხებმა დაარბიეს სოფლების: კარალეთის, ხელთუბნის, გორიჯვრის – სასოფლო კანცელარიები;

– სოფელ ზემო გომში სამი უცნობი პირი ლუკა ბეგთაბეგოვის სახლში შეიჭრა, სახლის პატრონი აიძულეს ეტლში ცხენები შეება, შემდეგ ამ ეტლით სოფელში სეირნობდნენ და სხვადასხვა შეძახილით კმაყოფილებას გამოხატავდნენ.

8 მარტი. სოფელ ყორნისის გლეხებმა მამასახლისი და მწერალი გააძევეს.

10 მარტი. სოფლების: კარალეთის, მეტეხისა და ზღუდერის – გლეხებმა მამასახლისი და მწერლები გააძევეს.

11 მარტი.

– გლეხებმა თავად ივანე და დავით ციციშვილების მამულები დაარბიეს;

– სოფელ რუისში გლეხებმა გაანადგურეს სასოფლო მმართველობისა და სკოლის შენობები.

13 მარტი.

– სოფელ კარალეთში შეკრებილმა გლეხებმა (დაახლოებით 1.000 კაცი) მომრიგებელ მოსამართლის თავად მიხეილ ერისთავის შინამოსამსახურე დაითხოვეს, ხოლო მოსამართლეს სიკვდილის მუქარით რაღაც დოკუმენტებზე მოაწერინეს ხელი;

– დაბა ცხინვალში შეკრებილმა გლეხებმა (დაახლოებით 2.000 კაცი) დაბიდან გააძევა მომრიგებელი მოსამართლე და მისი თანაშემწე.

14 მარტი.

– სოფელ მერეთიდან გლეხებმა სასოფლო მმართველობის ^თანამდებობის პირები გააძევეს;

– სოფლების: **დიცის, ბელოთის, ყორნისის, შინდისის** – გლეხებმა მღვდლის თანდასწრებით დაიფიცეს, რომ ერთმანეთს არ უღალატებდნენ.

– სოფელ **რუისში** გლეხებმა გაანადგურეს სხვადასხვა პირის კუთვნილი 5 წისქვილი, მღვდელ ინაშვილის სახლი, სკოლისა და სასოფლო მმართველობის შენობები, ხოლო მოხელეები სოფლიდან გააძევეს.

15 მარტი. სოფელ **ფლავის** გლეხებმა თავად ერისთავის ტყის ჭრა დაიწყეს. თავადი ოჯახის წევრებთან ერთად სოფლიდან გააძევეს, ხოლო შინამოსახსახურეები დაითხოვეს.

1905 წლის 15 მარტს თბილისის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა **ივან სვეჩინმა** (1863-1930) კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ მალამას** გრიფით „საიდუმლო" გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისა და ამ მოძრაობის აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ მოახსენა. გუბერნატორი წერდა, რომ **„გლეხთა მოძრაობა გორის მაზრაში სულ უფრო და უფრო საგანგაშო ხდებოდა"**. მოხსენებაში შემდეგი ფაქტებია მოყვანილი:

1. გორის მაზრაში მცხოვრები ოსები მთიანი სოფლებიდან ვაკეში ჩამოვიდნენ და ცალკეული რაზმის სახით დაძრწიან თავადაზნაურთა მამულებში და ადგილობრივ გლეხობასთან ერთად უწესრიგობას იწვევენ;

2. მაზრის სოფლების ხელისუფლება აღარ ფუნქციონირებს, გლეხებმა სოფლის მმართველობის მოხელეები გადააყენეს თანამდებობებიდან, სოფლის კანცელარიები დარბეულია, იქ არსებული დოკუმენტაცია – განადგურებული, რის გამოც ძნელდება ჯარში გასაწვევთა სიების დადგენა;

3. აღარ მუშაობს ან დიდი შეფერხებებით მოქმედებს ფოსტა;

4. საქმიანობა შეწყვიტა ზოგიერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ, კერძოდ, დაბა ცხინვალში შეკრებილმა რამდენიმე ათასმა გლეხმა მომრგებელ მოსამართლე ანდრეევისა და სოფლის ექიმის გაძევება მოითხოვა;

5. გლეხები მემამულეებს სთხოვენ ხელწერილს, რომელიც მათ მემამულის მინის დამუშავების უფლებას მისცემს;

6. თავადაზნაურობის ოჯახებში მყოფ ხელზე მოსამსახურეებს გლეხები დახოცვის მუქარით აიძულებენ დატოვონ თავადაზნაურთა სახლები, რის გამოც ბევრი მემამულის სახლ-კარი მუშახელის გარეშე დარჩა;

7. თავადაზნაურობის ნაწილმა შექმნილი მდგომარეობის გამო მამული მიატოვა, რის გამოც ბევრი მამული საერთოდ უმეთვალყურეოდაა დარჩენილი;

8. მაზრაში გლეხთა მოთხოვნების შესწავლის მიზნით ჩასულ კომისიას გლეხებმა პოლიტიკური მოთხოვნები წაუყენეს, ზოგიერთ სოფელში კი გლეხებმა კომისიასთან შეხვედრაზე საერთოდ უარი განაცხადეს. სულ ახლახან დაბრუნებულმა კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მდგომარეობა გორის მაზრაში ძალზე სერიოზულია, რაც ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ ჩარევას ითხოვს.

1905 წლის 13 მარტს თბილისის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა **ივან სვეჩინმა** კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ მალამას** გორის მაზრაში ჯარის გაგზავნა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. იმავე დღეს გენერალმა ივან სვეჩინმა შეატყობინა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსის ნინაშე. გუბერნატორი შტაბის უფროსს სთხოვდა, დაუყოვნებლივ გაეგზავნა გორში ყარსის ოლქში განლაგებული ეისკის პოლკის 2 ასეული. ხოლო მათ მისვლამდე – ჯარის რომელიმე ნაწილიდან 1 ასეული მაინც. ეისკის კაზაკთა პოლკის 2 ასეული გორის მაზრაში 16 ან 17 მარტს უნდა ჩასულიყო. გარდა ამისა, კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა მალამამ 15 მარტს გორის მაზრაში თბილისის ქვეითთა პოლკის 1 ასეული გაგზავნა.

1905 წლის 16 მარტს თბილისის ვიცე-გუბერნატორმა, სახელმწიფო მრჩეველმა **ვლადიმირ ალიშევსკიმ** კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს იმ ღონისძიებების შესახებ აცნობა, რომლებიც გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით ტარდებოდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გორის მაზრაში ეისკის კაზაკთა 2 ასეულისა და ქვეითი ჯარის ასეულების შესვლის შემდეგ რევოლუციური გამოსვლების აღკვეთის მიზნით აქტიურად დაიწყო მოქმედება. თბილისის ვიცე-გუბერნატორი მიზანშეწონილად მიიჩნევდა შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. მთიანი სოფლებიდან ჩამოსული ოსები დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნებინათ საცხოვრებელ ადგილებზე;

2. უნდა გაეფანტათ გლეხთა რაზმები, განსაკუთრებით – შეიარაღებული რაზმები, რომლებიც

თავს ესხმოდნენ თავადაზნაურობას;

3. დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთილიყო ლოთობა, რომელსაც მასობრივი ხასიათი მისცეს მთიანი სოფლებიდან ჩამოსულმა ოსებმა. ლოთობის აღკვეთა აუცილებელი იყო იმიტომ, რომ მთერალი ადამიანები ადვილად სჩადიოდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას;

4. თავადაზნაურობის მიერ მიტოვებული ვენახების, ბაღებისა და შინაური პირუტყვის მოვლა დაეკისრებინათ გლეხებისათვის, რის სანაცვლოდაც ისინი მიიღებდნენ საფასურს;

5. თუ გლეხობა კანონიერ მოთხოვნებს აშკარად არ დაემორჩილებოდა და წინააღმდეგობას გასწევდა, მაზრის უფროსს უფლება უნდა ჰქონოდა სოფელში გაეგზავნა ჯარი და ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა გუბერნატორისათვის.

1905 წლის 18 მარტს თბილისის ვიცე-გუბერნატორმა **ვლადიმირ ალიშევსკიმ** კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ იაკოვ მალამას მოახსენა, რომ დუშეთის მაზრის სოფლებში, **ოძისსა** და **ახალგორში**, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ძლიერდებოდა. 12 მარტს სოფელ ოძისის გლეხობა ყრილობაზე შეკრებილა და თავად ერისთავისა და სახელმწიფო მამულების მმართველ შულჟენკოსათვის მთელი მიწების გადაცემა მოუთხოვია. 13 მარტს სოფელ ახალგორში შეკრებილ 1.500 გლეხს პოლიტიკური ხასიათის მიტინგი ჩაუტარებია.

1905 წლის 21 მარტს თბილისის ვიცე-გუბერნატორი ვლადიმირ ალიშევსკი კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ იაკოვ მალამას მოახსენებდა, რომ სოფლის კანცელარიები დაარბიეს და სასოფლო მმართველობების მოხელეები გარეკეს გორის მაზრის 12 სოფლიდან.

გორის მაზრაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო თბილისის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა **ივან სვეჩინმა** კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად დამატებითი ჯარების გაგზავნა სთხოვა. მიუხედავად გორის მაზრაში ჯარების საკმაო რაოდენობით თავმოყრისა, 1905 წლის 27 მარტს გორის მაზრის უფროსი თბილისს აცნობებდა, რომ გორის მაზრის **სურამის** უბანში გლეხთა შეიარაღებული რაზმები მემამულეებზე თავდასხმას აგრძელებდნენ. ჯარების შეყვანამ ვერც დუშეთის მაზრის გლეხობა დააშინა. 1905 წლის 29 მარტს თბილისის ვიცე-გუბერნატორი **ვლადიმირ ალიშევსკი** კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას მოახსენებდა, რომ რევოლუციური მოძრაობა დუშეთის მაზრის თითქმის ყველა სოფელს მოედო. შეიქმნა საგანგაშო ვითარება. ამიტომ იყო, რომ 1905 წლის 31 მარტს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ ილარიონ **ვორონცოვ-დაშკოვს** პეტერბურგში დეპეშით აცნობა, რომ თბილისის გუბერნიის **გორის**, **დუშეთის**, **თელავის**, **თბილისისა** და **სიღნაღის** მაზრებში აგრარული მოძრაობა ძლიერდებოდა.

თბილისსა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ რიგ მონაკვეთებს ცხენოსანი და ქვეითი ჯარის ნაწილები იცავდა. ამის გამო ყველა მაზრაში ჯარის გაგზავნა ვერ ხერხდებოდა. 1905 წლის 2 აპრილს თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორ **ივან სვეჩინს** მოახსენებდა, რომ მაზრაში აქტიურად მოქმედებდნენ თბილისიდან ჩასული აგიტატორები, რომლებსაც ხევსურეთშიაც კი შეუღწევიათ. თბილისიდან თიანეთის გვერდის ავლით და დუშეთზე გავლით რამდენიმე ტომარა პროკლამაცია შეუტანიათ ხევსურეთში. იქ ვითარება იმდენად დაძაბულა, რომ მაზრის უფროსი ჩასვლას ვერ ბედავდა. აგიატატორების მოქმედებას თიანეთის მაზრაში თავისი შედეგი გამოუღია. 1905 წლის 5 აპრილს თბილისის გუბერნიის სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა, რომ თიანეთის მაზრის სოფლებში: **ზემო თიანეთში**, **ნაქალაქარში**, **მალაროსკარში**, **ახმეტაში** და სხვ. – გლეხთა რევოლუციური გამოსვლები დაწყებულა.

გორის მაზრაში ვითარება ვერც დამსჯელმა ექსპედიციამ და სოფლებში ეგზეკუციების ჩაყენებამ შეცვალა. 1905 წლის 12 აპრილს გორის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორ **ივან სვეჩინს** მოახსენებდა, რომ სოფლის გლეხობა რევოლუციურ გამოსვლებს არ წყვეტდა და გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების გაუქმებას ითხოვდა. გლეხობა აშკარად აგიტატორების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ხშირად პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდა. მაზრის უფროსი წერდა, რომ სოფელ **კავთისხევის** გლეხობა თბილისიდან ჩასულმა აგიტატორებმა ისე დარაზმეს, რომ მაზრაში სტრაჟნიკებთან ერთად ჩემმა ჩასვლამაც კი ვერ დაამშვიდა ისინიო.

გორის მაზრის გლეხობა სოფლის კანცელარიებისა და მემამულეების სახლკარის დარბევიდან უფრო რადიკალურ მოქმედებაზე გადავიდა. 1905 წლის 26 აპრილს თბილისის გუბერნიის ვანდარმერიის სამმართველოს უფროსი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა შემდეგი საგანგაშო ფაქტის შესახებ: 1905 წლის 16 აპრილს გორის

მაზრის სოფელ **ტირძნისში** ეგზეკუცია გაიგზავნა პოლტავის კაზაკთა პოლკის 0,5 ასეულის შემადგენლობით. ტირძნისის მოსახლეობა ყოველთვის დიდი შეუპოვრობით გამოირჩეოდა. ეგზეკუციის გაგზავნა თავად **ნიკოლოზ სულხანიშვილის** და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თავად **ბაგრატიონ-დავითაშვილის** თხოვნამაც განაპირობა. 16 აპრილს, სალამოს, კაზაკების რაზმი ესაულ **მოსკალენკოს** მეთაურობით სოფელში შევიდა და ნიკოლოზ სულხანიშვილის ეზოში დაბანაკდა. 17 აპრილს ესაულმა მოსკალენკომ პრისტავ **ამატუნის** მოსახლეობიდან ჯარისათვის სურსათისა და ფურაჟის შეგროვება დაიწყო. პრისტავმა ამატუნიმ თან გაიყოლა სოფლის მამასახლისის თანაშემწე და 14 კაზაკი და პირველ რიგში ფურაჟი მოსთხოვა გლეხებს. სოფლის ზემო უბნებში კაზაკებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, მაგრამ ვითარება დაიძაბა სოფლის ქვემო უბნებში, სადაც თავად სულხანიშვილის მოძღვრე **ტატუნაშვილის** გვარის გლეხები ცხოვრობდნენ. გლეხები კაზაკებს ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებულნი დახვდნენ. მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და კაზაკებმა გლეხების მათრახებით დაშლა გადაწყვიტეს. აღშფოთებულმა გლეხებმა სასტიკად სცემეს პრისტავს, მამასახლისის თანაშემწეს, ხოლო შემდეგ კაზაკებს დაესხნენ თავს. იმავდროულად გლეხები კაზაკებისათვის იარაღის ნართმევას შეეცადნენ. კაზაკებმა ჯერ ჰაერში გაისროლეს, მაგრამ როცა გლეხები არ შეშინდნენ, დამიზნებით სროლა დაიწყეს. შეჯახებისას დაიღუპა 7 და დაიჭრა 3 გლეხი. გლეხების დახოცვის შესახებ ხმა მთელ მაზრაში სწრაფად გავრცელდა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. გლეხობა არ შეშინდა. 1905 წლის 3 აგვისტოს დუშეთის მაზრის სოფელ **მჭადიჯვრის** გლეხებს შეჯახება მოუხდათ თავად **ბაგრატიონ-მუხრანსკის** მამულში დაბანაკებულ კაზაკებთან. არასრული მონაცემებით, შეჯახებისას დაიღუპა 5 და დაიჭრა 10 გლეხი (რამდენიმე მოკლული გლეხებმა თავად წაასვენეს, ხოლო დაჭრილებმა შეჯახების ადგილი თვითონვე დატოვეს). ეერც ამ სისხლისღვრამ დააშინა გლეხობა. 1905 წლის 8 აგვისტოს გენერალ-ადიუტანტი თავადი ივანე ამილახვარი (1829-1905) თბილისში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ შეიარაღებულ გლეხთა გამოსვლები როგორც გორის, ისე დუშეთის მაზრებში ისევ გრძელდებოდა.

გორისა და დუშეთის მაზრებში 1905 წლის 28 აგვისტოდან საგანგებო უფლებით მიელინებული თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი **ულადიმირ ალუტანი** 1905 წლის 5 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა: გლეხების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმებისაგან" შეეიწროებულმა გორის მაზრის თავადაზნაურობამ სიცოცხლისა და ქონების დაცვის მიზნით „შავი რაზმი" შექმნა. ალუტანის მოხსენებაში შემდეგი ფაქტებია მოყვანილი:

1. გორის მაზრაში გლეხთა 60–80-კაციანი რაზმები, რომელთაც სძარცვავად დანაწილებული აქვთ სასოფლო საზოდაგოებები, განუწყვეტლივ დაძრწიან. ძარცვასთან ერთად ენევიან რევოლუციურ აგიტაციას და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებენ გლეხობას;

2. 1905 წლის 1 აგვისტოს სოფლებში **ხოვლესა** და **ფლავაში**, 6 აგვისტოს **ერედვსა** და **მეჯვრისხევში**, 7 აგვისტოს **აბანოსა** და **ხურვალეთში**, 8 აგვისტოს **რუისსა** და **ქვემო ხვედურეთში**, 10 აგვისტოს **ხვედურეთში**, 26 აგვისტოს **მცხეთის** ახლოს, 30 აგვისტოს სოფლებში: **ყინწვისში**, **სანაველსა** და **პატანაანთუბანში** – გლეხებმა ალყა შემოარტყეს მემამულეების სახლ-კარს, დარბევით იმუქრებოდნენ და იარაღს ითხოვდნენ. მემამულეების ნაწილმა იარაღი გლეხებს გადასცა, ნაწილმა უარი განაცხადა. უარის მიღების შემდეგ გლეხებმა მემამულეთა სახლებს ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს მათაც ჩაებარებინათ იარაღი.

3. გლეხების მიერ იარაღის ხელში ჩაგდების შემდეგ მაზრაში ძარცვისა და მკვლელობის შემთხვევები გახშირდა: 1905 წლის 26 ივლისს სოფელ **ცხინვალში** მძიმედ დაჭრეს თავადი **პაოლონ მაჩაბელი**; 29 ივლისს სოფელ **ხოვლეში** დაჭრეს გლეხი **დულიაშვილი**, 1 აგვისტოს სოფელ **ხოვლეში** მოკლეს მიხეილ **გოგიჩაშვილი**, 2 აგვისტოს სოფელ **მიხაილოვოში (ხაშურში)** მოკლეს სტრაჟნიკი **ტკაჩენკო**, 3 აგვისტოს სოფელ **ქვეშო ჭალაში** მოკლეს ადგილობრივი მამასახლისი **ილია ტოგონიძე**, 8 აგვისტოს სოფელ **ქვემო ჭალის** ახლოს მოკლეს მიზნით თავს დაესხნენ მემამულეებს, ძმებ **ზაქარია** და **ანდრია ყაზბეგებს**, 6 აგვისტოს სოფელ **რუისის** ახლოს დაჭრეს **სოსო ბერუაშვილი**, 7 აგვისტოს სოფელ **ცხინვალის** ახლოს დაჭრეს შტაბს-კაპიტანი **ხეთაგური**. 11 აგვისტოს **გორში** მოკლეს **პავლე ალიხანოვი**, 5 აგვისტოს სოფელ **ხურვალეთში** მოკლეს **მიხეილ შუკნიაშვილი**, 18 აგვისტოს **გორში** თავს დაესხნენ მემამულე **ჩუბინაშვილს**, 18 აგვისტოს **გორთან** მოკლეს თავადი **კონსტანტინე ერისთავი**, 20 აგვისტოს სოფელ **კარალეთის** ახლოს მოკლეს **ისააკ სისაური**, 21 აგვისტოს **გორში** მოკლეს პოლიციის პრისტავი თავადი **ავალიშვილი**, ხოლო 26 აგვისტოს – თავადი **ციციშვილი**, 27 აგვისტოს სოფელ **ცხინვალში** მოკლეს პოლიციის **ურიადნიკი ლიტვინენკო**, 30 აგვისტოს სოფელ **ცხინვალის** ახლოს მოკლეს **ურიადნიკი ჩერკასოვი**, 1 სექტემბერს

სოფელ ქვეშში მოკლეს თავადი ნიკოლოზ ერისთავი.

მსგავსი შემთხვევები გორის მაზრაში შემდეგ თვეებშიც ხდებოდა, დასახლებით იგივე ვითარება იყო დუშეთის მაზრაშიც.

თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში აგრარული მოძრაობის ძლიერ აღმავლობას ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებით უპასუხა. 1905 წლის 28 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვალმა მინერილობა გაუგზავნა თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ვლადიმირ ალფტანს. მინერილობაში აღნიშნული იყო, რომ ალფტანს დუშეთისა და გორის მაზრებში ექვემდებარებოდა ყველა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი. კავკასიის მეფისნაცვალი პოლკოვნიკ ალფტანს აუწყებდა ყველა იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც მას უნდა გაეტარებინა მაზრებში რევოლუციური მოძრაობის ნინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, კონკრეტულად, განსაკუთრებული უფლებით აღჭურვილ პოლკოვნიკს მეფისნაცვალი ავალებდა:

ა) კანონის შესაბამისად, კერძო პირებისა და მათი ქონების დაცვას, დროული ღონისძიების გატარებას, თუ კერძო პირების უსაფრთხოებასა და ქონებას რაიმე დაემუქრებოდა;

ბ) კანონის შესაბამისად, დროული ღონისძიებების გატარებას ფულადი და ნატურალური გადასახადების აკრეფის მიზნით;

გ) მოსახლეობის მიერ ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფას, ღონისძიებების გატარებას, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებს სათანადოდ შეესრულებინათ სამსახურეობრივი მოვალეობანი.

კავკასიის მეფისნაცვალი პოლკოვნიკ ვლადიმირ ალფტანს ასევე აუწყებდა, რომ მას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას მინიჭებული ჰქონდა გუბერნატორის უფლებანი. კონკრეტულად, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი პოლკოვნიკ ალფტანს წერდა:

1. თვალყური ადევნეთ თანამდებობის პირების მიერ მოვალეობის განუხრელად შესრულებას, თანამდებობის პირებმა უნდა იხელმძღვანელონ კანონისა და ხელისუფლების მიერ გაცემული განკარგულებებით;

2. თანამდებობის პირების მიერ უმოქმედობის ან მოვალეობის შესრულების თავიდან აცილების შემთხვევის გამოვლენისას დაუყოვნებლივ მიეთითოთ, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. მოვალეობის შეუსრულებლობის მიზეზის დადგენის შემდეგ თანამდებობის პირს მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება;

3. თუ თანამდებობის პირი შემჩნეული იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, ან დაკისრებული მოვალეობის თავიდან აცილების მცდელობაში, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ მაცნობეთ წერილობით, დაუყოვნებლივ მაცნობეთ სასამართლოს მოხელეების მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედების შესახებ;

4. თანამდებობიდან გადააყენეთ და, იმ შემთხვევაში, თუ კანონის მოთხოვნებს არ იცავენ, პასუხისგებაში მიეცით ადგილობრივი პოლიციის მოხელეები, ხოლო მათი შემცვლელები თქვენი შეხედულებისამებრ დანიშნეთ;

5. თუ სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირები ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში იქნებიან შემჩნეული, დაუყოვნებლივ გადააყენეთ ისინი და სასოფლო საზოგადოებას ახალი არჩევნების დანიშვნა შესთავაზეთ, ხოლო თუ სოფლის ყრილობა ახალი არჩევნების ჩატარებაზე უარს იტყვის, გადაყენებულის თანამდებობაზე შემცვლელები თქვენი შეხედულებისამებრ დანიშნეთ, ისე, რომ გაითვალისწინეთ, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი;

6. მოსახლეობისაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების მოთხოვნისას გაითვალისწინეთ კანონით დაშვებული შეღავათები;

7. სახელმწიფო და საერობო გადასახადების, ასევე გლეხის მიერ მემამულის მიწით სარგებლობისათვის დანესებული გადასახადის აკრეფისას ისარგებლეთ არსებული კანონითა და დებულებებით;

8. მოსახლეობის განიარაღებისას გაითვალისწინეთ, რომ ჩამორთმეული უნდა იქნეს არა მარტო ცეცხლსასროლი, არამედ ციცი იარაღიც. უფლებას გაძლევთ, იარაღის ჩამორთმევისას, თუ საჭიროდ ჩათვლით, ჩაატაროთ მასობრივი ჩხრეკები;

9. თუ დადგენილი იქნება, რომ პირი საზოგადოებისათვის საშიშია, შეგიძლიათ დააპატიმროთ და პატიმრობაში იყოლიოთ არა უმეტეს ერთი თვისა. საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში პირებისათვის შეგიძლიათ მოითხოვოთ იმპერიის შიდა გუბერნიებში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გადასახლება და ამ გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვის ვადაში მაცნობოთ მე, რათა მოვახდინო შემდეგი რეაგირება;

10. მოსახლეობის აჯანყება ნინააღმდეგობის შემთხვევაში შეგიძლიათ სოფლებში დანიშნოთ ეგზეკუციები, ხოლო მილებული გადაწყვეტილების შესახებ მაცნობოთ მე;

11. თუ აუცილებლად ჩათვლით, შეგიძლიათ დახუროთ საეკლესიო დანესებულებები იმ ვადით, რა ვადითაც განსაზღვრულია თქვენი უფლე-

ბამოსილება;

12. თუ მოსახლეობა წინააღმდეგობას გაუწევს თანამდებობის პირებს, შეგიძლიათ მათ დასახმარებლად გაგზავნოთ პოლიციელები, სტრაჟნიკებისა და სამხედროების რაზმები;

13. თუ მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგიწევთ, უფლება გეძლევათ იმოქმედოთ გაბედულად;

14. ადმინისტრაციასა და ჯარს შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით იხელმძღვანელეთ საგარნიზონო სამსახურის წესდების შესაბამისი დანართით, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარისა და ადმინისტრაციის ურთიერთობას.

კავკასიის მეფისნაცვალი პოლკოვნიკ ვლადიმირ ალფტანს ასევე აუწყებდა, რომ გორისა და დუშეთის მაზრების ტერიტორიაზე ჯარის გადადგილება მხოლოდ მისი ნებართვით უნდა მომხდარიყო.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გორისა და დუშეთის მაზრებში საგანგებო უფლებით მივლინებულმა პოლკოვნიკმა ალფტანმა ეგზეკუციები დანიშნა:

1. 1905 წლის 23 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ შინდისში; (ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის 54 ოფიცერი და ჯარისკაცი);

2. 1905 წლის 24 სექტემბერს გორის მაზრის სოფლებში: ქვემო ნიჩბისში, ზემო ნიჩბისში,სასხარში (ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეული, 45კაზაკი);

3. 1905 წლის 25 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ კავთისხევში (ალასტუნთა 1 ასეული);

4. 1905 წლის 25სექტემბერს გორის მაზრის სოფელ ხოვლეში (ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეული, 45 კაზაკი);

5. 1905 წლის 25 სექტემბერს გორის მაზრის სოფლებში ახალციხესა და ახალქალაქში (გორის სარეზერვო ქვეითთა პოლკის 1 ასეული და კაზაკთა 1 ასეული);

6. 1905 წლის 26 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ ზემო ხვედურეთში (შავი ზღვის კაზაკთა პოლკის 15 კაზაკი);

7. 1905 წლის 27 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ კარალეშთი (ეისკის კაზაკთა პოლკის 55 კაზაკი);

8. 1905 წლის 28 სექტემბერს გორის მაზრის სოფლებში ქვიშხეთსა და ტაშისკარში (ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეული);

9. 1905 წლის 5 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ ძეგვში (ეისკის კაზაკთა პოლკის 0,5 ასეული);

10. 1905 წლის 11 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ მეტეხში (ალასტუნთა ბატალიონის 3 ასეული);

11. 1905 წლის 14 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ დირბში (კაზაკთა 1 ასეული);

ეგზეკუციების დანიშვნა დიდი უბედურება იყო სოფლისათვის. ოფიცრები და ჯარისკაცები ყოველგვარ ზღვარს გადადიოდნენ: აივნროებდნენ, დასცინოდნენ და სცემდნენ ადამიანებს. გარდა ამისა, ჯარი (ოფიცრები და ჯარისკაცები) და ცხენები ბინითა და საკვებით მოსახლეობას უნდა უზრუნველეყო.

მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკი ვლადიმირ ალფტანი მკაცრი ზომების გატარებას არ ერიდებოდა, რევოლუციური მოძრაობის აღკვეთა შეუძლებელი გახდა. 1906 წლის 30 იანვარს პოლკოვნიკმა ალფტანმა კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენა:

1. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას პოლიტპატიმართა ციხეებიდან გათავისუფლება და გადასახლებებიდან დაბრუნება მოჰყვა. მათი უმრავლესობა ხელახლა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას;

2. მოსახლეობამ ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობა შეწყვიტა და შეიარაღებული რაზმების შექმნა დაიწყო, რასაც სისხლისღვრისა და მკვლელობების სერია მოჰყვა;

3. სამაზრო ადმინისტრაციის თანამდებობის პირები შეიარაღებული ბოროტგანმზრახველების ნებას დაჰყვნენ და პრაქტიკულად ხელისუფლების ორგანოები აღარ ფუნქციონირებენ. ყოველივე ეს ცხადად გამოვლინდა ცხინვალში, რომელიც რევოლუციური მოძრაობის ცენტრად იქცა;

4. 1905 წლის 16 დეკემბერს რევოლუციონერთა რაზმმა სოფელ ტყვიავში სტრაჟნიკთა პოსტი განაიარაღა, ხელთ იგდო ბერდანის სისტემის 4 თოფი და 120 ვაზნა;

5. გორისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებამდე რკინიგზის ხაზის დაზიანება ხშირი შემთხვევა იყო, რაც აფერხებდა მოძრაობას, მათ შორის სამხედრო ეშელონების გადაადგილებას;

6. გრაკალისა და ქარელის რკინიგზის სადგურებზე რევოლუციონერებმა სროლა აუტეხეს სამხედრო ეშელონს, იმავდროულად სცადეს გრაკალის სარკინიგზო ხიდის აფეთქება, მაგრამ უშედეგოდ.

7. გორი რევოლუციონერების ხელშია. მათ სურთ ადგილობრივი მილიციის შექმნა, რათა იგი შეიარაღებული აჯანყებისათვის გამოიყენონ. გო-

რის ქუჩებში განიარაღების მიზნით თავს ესხმიან არა მარტო რიგით ჯარისკაცებს, არამედ ოფიცრებსაც. გორის პოლიცია განიარაღებულია, სახელმწიფო მოხელეები გადაყენებული არიან, გორის მამასახლისი დატყვევებულია, გაძარცულია მომრიგებელი მოსამართლის რეზიდენცია;

8. რევოლუციონერებმა შექმნეს თავიანთი „სასამართლო", დანიშნეს „მოსამართლეები" და „პროკურორები", დაიწყეს სასამართლო განხილვები და განაჩენების გამოტანა;

9. აჯანყებულებს სურდათ ქალაქ გორისა და გორის მაზრის იზოლირება გუბერნიისაგან, მაგრამ ჩემ მიერ გაგზავნილმა ჯარმა მათ ამის საშუალება არ მისცა;

10. რკინიგზის ხაზის დასაცავად გამოვიყენე თბილისიდან გამოგზავნილი ლეიბ-გრენადერთა ერევნის მე-13 პოლკი კაპიტან **კონოვალოვის** მეთაურობით, ასევე სხვა ჯარები;

11. **ცხინვალში** რევოლუციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა ახალი ბაიაზეთის 263-ე ქვეითთა სარეზერვო პოლკი კაპიტან **ენუკოვსკის** მეთაურობით. ცხინვალში ჩასვლისთანავე კაპიტანმა ენუკოვსკიმ საზოგადოებისათვის საშიში პირების დაპატიმრების ბრძანება გასცა, რაც შესასრულებლად ძალზე ძნელი აღმოჩნდა. ადგილობრივების ცნობით, რევოლუციონერთა მხოლოდ ერთ რაზმში 300-400 კაცი ირიცხებოდა, რომელთაც შეიარაღებაზე 100 „ბერდანის" ტიპის თოფი გააჩნდათ. თავადმა **გიორგი მაჩაბელმა** მისდამი დაქვემდებარებული მილიციელთა რაზმი დაშალა, იარაღი კი ოს რევოლუციონერებს გადასცა და ცნობილ რევოლუციონერ **კასრაძესთან** ერთად ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში გაიქცა;

12. ცხინვალიდან გორისაკენ მომავალმა კაპიტანმა ენუკოვსკიმ სოფელ ქვემო ნიქოზში რევოლუციონერთა სახლები გადაწვა და აგიტატორები დააპატიმრა.;

13. 1906 წლის 20 იანვარს კაპიტანი ენუკოვსკი გორის მაზრის სოფელ **დიცში** შევიდა, სადაც მას მოსახლეობა კეთილგანწყობით შეხვდა. იგივე განმეორდა სოფლებში: **ფლავში, ახალუბანში, შეკვრისხევში**. სოფლის მოსახლეობამ კაპიტან ენუკოვსკის გადასცა რევოლუციონერები, აგიტატორები და მათი თანამგრძნობნი, სულ – 33 კაცი. ამის შემდეგ სამხედროებმა მოსახლეობის თანხმობით არტილერიით დაანგრიეს რევოლუციონერთა სახლები.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ქართლში 1906 წელს კვლავ გრძელდებოდა, გრძელდებოდა დამსჯელი ექსპედიციების თარეშიც.

2. იმერეთი. იმერეთში რევოლუციური გამოსვლები 1905 წლის იანვრიდანვე დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ რკინიგზელები. 1905 წლის 22 იანვარს **სამტრედია–ბათუმის** რკინიგზის ხაზზე მდებარე სადგურ **საჯავახოს** უფროსი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს აცნობებდა, რომ გაიფიცა სადგურის ყველა მუშა. 22 იანვარსვე გაფიცება დაიწყეს სამტრედია–ბათუმის რკინიგზის ხაზზე მდებარე სადგურ **ლოპიტნარის** მუშებმა. 21 იანვარს სამტრედიის რკინიგზის სადგურში თავი მოიყარეს გაფიცულმა მუშებმა(დაახლოებით 300-მა კაცმა). მათი მოთხოვნით, გაფიცვას ის მუშებიც შეუერთდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ აგრძელებდნენ მუშაობას. 21-22 იანვარს ღამით სამტრედიიდან ბათუმის მიმართულებით 3 ვერსის მოშორებით გაფიცულებმა რკინიგზის რელსები აყარეს. 1905 წლის 24 იანვარს ქუთაისის გუბერნიის ამიერკავკასიის რკინიგზის **ჟანდარმერიის** საპოლიციო სამმართველოს უფროსმა კაეკაისის მთავარმართებლის კანცელარიას აცნობა, რომ ერთდროულად გაიფიცნენ რკინიგზის სადგურების **ყვირილისა (ზესტაფონისა)** და **შოროპნის** მუშები. რკინიგზელთა გაფიცვის პარალელურად იმერეთში დაიწყო გლეხთა წითელი რაზმების შექმნა. 1905 წლის 27 იანვარს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვლასოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა, რომ ქუთაისის მაზრის სოფელ დიდ **ჯიხაიშში** თავი მოიყარეს გლეხებმა, (დაახლოებით 4.000-მა კაცმა). მათ დაარბიეს სოფლის სკოლა, აფთიაქი, სასოფლო მმართველობა, დახიეს ნიკოლაი II-ის პორტრეტი. დიდ ჯიხაიშში გაიგზავნა 9 კაზაკი და სტრაჟნიკთა რაზმი. სროლის დროს მოკლეს 1 და დაჭრეს 7 გლეხი, რის შემდეგაც შეკრებილები დაიფანტნენ. 1905 წლის 28 იანვარს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-ლეიტენანტი **იაკოვ მალამა** შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებდა, რომ საქართველოს ქალაქებსა და ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაფიცვები მიმდინარეობდა. 19, 20 და 25 იანვარს ქუთაისის ქუჩებში ხალხსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა, რომელშიც ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. გენერალი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ სამტრედია – **ბათუმის** 98,5 ვერსის სიგრძის რკინიგზა გაფიცული იყო. გაფიცვა გრძელდებოდა **ჭიათურის** მანგანუმისა და **ტყიბულის** ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოებში.

1905 წლის 31 იანვარს ქუთაისის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა **ალექსეი სმაგინმა** კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემს-

რულებელს გუბერნიაში მუშათა და გლეხთა მოძრაობის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ქუთაისის მაზრის სამტრედიის უბანში, სოფლებში: კულაშში, დიდ ჯიხაიშში, ეწერში, ჭოგნარში, ტობანიერში.

1905 წლის იანვარში მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ქუთაისის გუბერნიის შოროპანის, ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში. ხელისუფლებამ, პირველ რიგში, სწორედ ამ მაზრებში გადაწყვიტა წესრიგის დამყარება.

1905 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ვლადიმირ ალფტანს, რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის სარკინიგზო ხაზების დაცვის უფროსად, აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა დამატებითი ჯარები, რათა ჩაეხშო რევოლუციური გამოსვლები სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შოროპნის მაზრებში. ალფტანს მიუთითეს ის პუნქტები, სადაც ჯარი უნდა ჩაეყენებინა: ქალაქი ფოთი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეული; ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 0,5 ასეული; დაბა ოზურგეთი – არტაანის 260-ე ქვეითთა პოლკის 2 ასეული; დაბა ხონი – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეულის საყარაულო სამსახურის რაზმი; დაბა ახალი სენაკი – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; დაბა ყვირილა (ზესტაფონი) – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; სოფელი ჩოხატაური – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული; სოფელი ლანჩხუთი – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული.

ამ განკარგულების გაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ პოლკოვნიკი ვლადიმირ ალფტანი თბილისში გაიწვიეს და კავკასიის მთავარმართებლისა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ 1905 წლის 12 თებერვალს ამჯერად უკვე გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის ახალი ბრძანება გაუგზავნა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ჯარების ყველა სახეობისაგან ჩამოყალიბდა რიონის რაზმი, რომლის მეთაურად ის ინიშნებოდა, რათა ჩაეხშო ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობა. განკარგულების შინაარსი ასეთია: ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით აუცილებელი გახდა რიონის საგანგებო რაზმის ფორმირება და მისი რკინიგზის სადგურ ნატანებში გადასროლა. რიონის რაზმის შემადგენლობაში უნდა შესულიყო:

ქვეითი ჯარი:

1.ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ბატალიონი, ბატალიონის თითოეულ ასეულში 56 ჯარისკაცის, ოფიცერთა, უნტეროფიცერთა, არასამნყობრო მომზადების რიგითთა და სამედიცინო სამსახურის რიგითთა წესდებით განსაზღერული რაოდენობით;

2. ელისავეტპოლის ქვეითთა 156-ე პოლკის 2 ბატალიონი, რომლებიც იმჟამად ბათუმში იმყოფებოდნენ და იცავდნენ რკინიგზის ხაზს, 1 შტაბს-ოფიცრის, 22 უფროსი ოფიცრის, 1 ექიმის, 829 რიგითის შემადგენლობით. 155-ე და 156-ე პოლკების 4 ბატალიონი შეადგენდა ნაკრებ რაზმს 155-ე პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი;

3. ყუბის პლასტუნთა მე-2 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 14 რიგითისა და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამნყობრო მომზადების რიგითებისა და 1 ექიმის შემადგენლობით;

4. ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 11 რიგითის და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამნყობრო მომზადების რიგითების, სამედიცინო სამსახურის რიგითთა და 1 ექიმის შემადგენლობით.

კავალერია:

5. შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 4 ასეული (რომელთაგან იმჟამად ერთი ბათუმში, მეორე კი ოზურგეთში იმყოფებოდა), ოთხივე ასეულში შედიოდა 443 კაზაკი, თითოეულ ასეულში იყო 2 ოფიცერი;

6. ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 2 ასეული (რომლებიც იმჟამად იმყოფებოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფლებში ჩოხატაურსა და ლანჩხუთში) 156 კაზაკისა და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით.

ეს 4 ასეული შეადგენდა ნაკრებ რაზმს შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელსაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი.

არტილერია:

7. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეა (4 ქვემეხი 2 ყუთი ყუმბარით) მე-7 სამთო ბატარეის ბრიგადით (2 ქვემეხი 6

ყუთი ყუმბარით), წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, სამწყობრო და არასამწყობრო მომზადების რიგითების შემადგენლობით.

განკარგულებაში მითითებული იყო, თუ რომელი ოფიცრები იგზავნებოდნენ რიონის რაზმის მეთაურის განკარგულებაში, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რა რეზერვი, რა რაოდენობის ტრანსპორტი ექნებოდა რაზმს, როგორ მოამარაგებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სურსათით და ცხენებს – ფურაჟით და სხვ. კერძოდ, გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის დაქვემდებარებაში იგზავნებოდნენ:

1. გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი **ტერშინი**, რომელსაც რიონის რაზმის შტაბის უფროსის მოვალეობა უნდა შეესრულებინა;

2. საინტენდანტო სამსახურის მოხელე, რომელიც, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის ინტენდანტის განკარგულების თანახმად, რიონის რაზმის ინტენდანტი უნდა ყოფილიყო;

3. კავკასიის მსროლელთა პირველი ბატალიონის შტაბს-კაპიტანი ნიკლაური, რომელსაც რიონის რაზმის მეთაურის ადიუტანტის მოვალეობა უნდა შეესრულებინა.

4. კავკასიის მესანგრეთა ბრიგადის უფროსი ოფიცერი.

ბრძანებაში ასევე მითითებული იყო, რომ ოფიცრები და ჯარისკაცები ლაშქრობისათვის სრულ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ: თან უნდა ჰქონდათ ტანსაცმლის მეორე კომპლექტი, 120 ვაზნა თითოეულს, 2 წყვილი ჩექმა და 2,5 დღის სამყოფი ორცხობილა, პერანგი, სათბურა, სალაშქრო კარვები და ოთხთვალები.

სადამსჯელო ღონისძიებებმა რევოლუციური მოძრაობა ვერ შეაჩერა. 1905 წლის 16 თებერვალს შოროპნის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ **ალექსეი სმაგინს** მოახსენებდა, რომ გლეხობა აგრესიულად იყო განწყობილი თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმართ. მაზრის ტერიტორიაზე აგიტაციას ეწეოდა მრავალი პროპაგანდისტი, რომელთა დიდი ნაწილი გურიიდან იყო შემოსული. პროპაგანდისტები ავრცელებდნენ პროკლამაციებს, ბოლო დროს გაჩნდა პროკლამაციები, რომლებიც ჯარისკაცთა გადაბირებას ისახავდა მიზნად. მაზრის უფროსი შიშს გამოთქვამდა, რომ შოროპნის მაზრაში შეიძლებოდა მოვლენები ისეევ განვითარებულიყო, როგორც გურიაში, რისი ნიშნებიც უკვე ჩანდა სოფლების: **ჩიხის, საჩხერის, კლდეეთის** და **საქარის** გლეხობაში, ასევე, **ჭიათურის** მუშებში. შოროპნის მაზრაში მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც მაზრის უფროსი ვარაუდობდა: 1905 წლის 3 მარტს ქუთაისის გუბერნატორი ალექსეი სმაგინი კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს მოახსენებდა, რომ შოროპნის მაზრაში მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხების მიერ სოფლის კანცელარიების გადაწვამ და სასოფლო მმართველობის მოხელეების გარეკვამ. გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ გაითვალისწინა შოროპნის მაზრასა და საერთოდ, ქუთაისის გუბერნიაში შექმნილი ვითარება და 4 მარტს ბაქოდან მსროლელთა ბატალიონის ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნა ბრძანა.

ქუთაისის გუბერნიაში შექმნილი ვითარებით შეშფოთებული იყვნენ პეტერბურგშიც. 1905 წლის 5 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტს სთხოვა, სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქზეც გავრცელებულიყო.

შოროპნის მაზრაში გლეხთა მოძრაობის გაძლიერებას დამსჯელი ექსპედიციები მოჰყვა. 1905 წლის ივნისში კაზაკთა დამსჯელმა რაზმმა დაარბია შოროპნის მაზრის სოფლები: **საზანო, მუხურა** და **ხრეითი**. კაზაკთა რაზმი (35 კაცი) პრისტავ ესაიაშვილის მეთაურობით მოულოდნელად თავს დაესხა ხსენებულ სოფლებს. შეშინებული გლეხობა ტყეში გაიხიზნა. სოფელში დარჩენილებს სასტიკად სცემეს, ქალები გააუპატიურეს, სახლები გაძარცვეს.

1905 წლის 9 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ჯანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლაევი კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ **ევგენი შირინკინს** მოახსენებდა: 5 სექტემბერს 4.000-მა გლეხმა პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყო დაბა **ხონში**. გლეხების ნაწილი ბერდანის ტიპის თოფებითა და რევოლვერებით იყო შეიარაღებული. დემონსტრანტები ეკლესიის წინ შეჩერდნენ, სადაც გაიმართა მიტინგი.

1905 წლის ოქტომბერში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის პირობებში გაძლიერდა გლეხთა „წითელი რაზმების“ აქტიურობა. 1905 წლის 29 ოქტომბერს შოროპნის მაზრის სოფელ **ჩხარში** განლაგებულ პოლიციელთა პოსტს თავს დაესხა დაახლოებით 200 გლეხისაგან შემდგარი რაზმი, რომელთაგან 50 კაცი შეიარაღებული იყო. გლეხებმა პოლიციელებს 6 შაშხანა, 200 ვაზნა და 5 ხმალი წაართვეს. ამის შემდეგ ისინი ჩხარის უბნის პოლიციის სამმართველოს შენობაში შეიჭრნენ, ბერდანის ტიპის 2 თოფი და პრისტავის კუთვნილი რევოლვერი გაიტაცეს.

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში ქალაქ ქუთაისში განვითარებულ მოვლენებს,

რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, 1906 წლის იანვარში გუბერნატორ ვლადიმირ სტაროსელსკის გადაყენება და ქუთაისის დროებით სამხედრო გუბერნატორად გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის დანიშვნა მოჰყვა. თბილისიდან ქუთაისის გუბერნიაში დიდი სამხედრო ძალა, კაზაკთა ცხენოსანი ნაწილები, ქვეითი ჯარი და არტილერია გაიგზავნა. 1906 წლის 10 იანვარს გენერალ-მაიორმა ალიხანოვ-ავარსკიმ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს ვრცელი მოხსენებაAგაუგზავნა, რომლიდანაც დგინდება:

1. გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი 1906 წლის 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე, 3 ეშელონით თბილისიდან ქუთაისისკენ დაძრულა და საღამოს 9 საათზე უკვე სადგურ მიხაილოვოში(ხაშურში) ჩასულა;

2. მიხაილოვოში ჯარი 9 იანვარს დილის 9 საათამდე შეჩერებულა. ამ დროისათვის ხაშურში პოლკოვნიკ ხონძინსკის მეთაურობით ჯარის მეოთხე ეშელონიც ჩასულა;

3. მიხაილოვოში ალიხანოვ-ავარსკის ცნობა მიუღია, რომ ჯარის ავანგარდი პოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით 9 იანვარს დილით სადგურ რაონში შევიდა. პოლკოვნიკი ჩიქოვანი იმასაც იტყობინებოდა, რომ სადგურ რაონამდე რკინიგზის ხაზი აღდგენილი იყო;

4. პოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით მიმავალ ჯარის ავანგარდს კვალდაკვალ მიჰყვა 2 ეშელონი (პოლტავის ქვეითთა პოლკის 2 ასეული);

5. პოლტავის პოლკის 2 ასეულის ნასვლის შემდეგ სადგურ მიხაილოვოში დარჩა: ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 2 ასეული და თენგინის ქვეითთა 77-ე პოლკის 1 ასეული;

6. დანარჩენ სადგურებზე განლაგებული იყო: სადგურ ვარვარინოში (ლიხში) – ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 0,5 ასეული; სურამის გვირაბის შესასვლელთან – ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 0,5 ასეული; სურამის გვირაბის გასასვლელში(დასავლეთ მხარეს – ე. გ.) – თენგინის ქვეითთა 77-ე პოლკის 0,5 ასეული; სადგურ წიფაში – ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 0,5 ასეული.

7. გენერალ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის პოლკოვნიკ ნეიგებაუერთან შეთანხმებით თენგინის ქვეითთა 77-ე პოლკის 1 ასეული სადგურ მიხაილოვოდან სადგურების: მარელისისა და ბელოგორის (ხარაგაულის) – მიმართულებით გაუგზავნია და ბელოგორიდან ყვირილამდე (ზესტაფონამდე) რკინიგზის ხაზის დაცვა დაუვალებია.

8. 1906 წლის 9 იანვარის საღამოსათვის გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით მოქმედ ჯარებს შემდეგი პოზიციები ეკავათ: სადგურებში: სვირში, აჯამეთსა და რიონში – პოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით განლაგებული იყო ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 2 ბატალიონი, ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეული, პლასტუნთა 1 ასეული, პოლტავის კაზაკთა პოლკის 2 ასეული, 2 ქვემეხი, 2 ტყვიამფრქვევი; სადგურ ყვირილაში (ზესტაფონში) – თენგინის ქვეითთა პოლკის 3 ბატალიონი, მსროლელთა 4 ბატალიონი, არტილერია და ტყვიამფრქვევები.

9. სადგურ ბელოგორსა და ყვირილაში ჯარების განლაგების შემდეგ ხანძარი გაჩენილა, რომელსაც რამდენიმე შენობა გაუნადგურებია (ხანძრის გაჩენას გენერალი ალიხანოვ-ავარსკი რევოლუციონერებს აბრალებს, სავარაუდოა, ხანძარი თვით ჯარს გაეჩინა – ე. გ.). ხანძრიდან წარმოქმნილი საფრთხის გამო ალიხანოვ-ავარსკის არტილერია და საინტენდანტო ტრანსპორტი გამცილებელი რაზმის თანხლებით სადგურ შორაპანში გაუგზავნია;

10. 1906 წლის 9 იანვარს სადგურ ყვირილაში ჩასულა პოდპოლკოვნიკი ჩიქოვანი და ალიხანოვ-ავარსკისათვის მოუხსენებია, რომ ქუთაისამდე რკინიგზის ხაზი აღდგენილი იყო. პოდპოლკოვნიკი ჩიქოვანი დარბევით დაემუქრა ყვირილის მოსახლეობას, თუ გაფიცვას არ შეწყვეტდნენ და დაბაში სავაჭრო დუქნები და მაღაზიები არ გაიხსნებოდა;

11. სადგურ რაონისაკენ მიმავალ პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანს სადგურ აჯამეთში შეხვდა მატარებელი (ორთქლმავალი და ვაგონი, რომელიც რევოლუციონერებს ეგზოთ ხელთ. ჯარსა და რევოლუციონერებს შორის ატეხილი სროლის შედეგად 12 აჯანყებული დაიღუპა, გაქცევა მხოლოდ ერთმა შეძლო);

12. 1906 წლის 10 იანვარს გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის ბრძანებები გაუცია, რომელთა ძალითაც:

– ჯარის ავანგარდი (ლეიბგვარდიის ერევნის მე-13 პოლკის 2 ბატალიონი, ეისკის კაზაკთა პოლკის 1 ასეული, პლასტუნთა 2 ასეული, 2 ქვემეხი) პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით სადგურ სამტრედიის მიმართულებით უნდა დაძრულიყო და კავშირი დაემყარებინა პოლკოვნიკ კრილოვის რაზმთან;

– პოლტავის პოლკის 2 ასეულს და პლასტუნთა 1 ასეულს, რომლებიც სადგურ რიონში იდგნენ, „წითელი რაზმებისაგან" უნდა გაეწმინდა მახლობელი სოფლები და განეიარაღებინა გლეხობა;

– თბილისის ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონს

და კავკასიის მსროლელთა ბრიგადის 1 ბატალიონს უნდა დაეკავებინა სადგური **ბელოგორი (ხარაგაული)**, მოსახლეობა განეიარაღებინა და აჯანყების მოთავეთა გაცემა მოეთხოვა. ამ ბრძანების შესრულების შემდეგ ჯარი ყვირილაში (ზესტაფონში) უნდა დაბრუნებულიყო;

– თბილისის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი მესანგრეთა ასეულთან და 2 ბატარეასთან ერთად დაბა ყვირილაში უნდა დარჩენილიყო.

13. 1906 წლის 10 იანვარს სადგურ ბელოგორში გაგზავნილი ჯარი სადგურ ყვირილაში დაბრუნდა და გენერალს აცნობა, რომ მოსახლეობა ვერ განაიარაღეს, რადგან სოფლის მცხოვრებლებმა ტყეს შეაფარეს თავი. მოსახლეობას არც აჯანყების მოთავენი გაუცია. სადგურ ბელოგორში სოფელ ჩხერსა და **ბაზალეთში** ჯარის შესვლისას ხანძარი გაჩენილა. ხანძარს განსაკუთრებით დაუზარალებია ბელოგორი (ხანძრის გაჩენა ისევ რევოლუციონერებს დაბრალდა – ვ. გ.).

14. 1906 წლის 10 იანვარს კვლავ ბობოქრობდა ხანძარი ყვირილაში;

15. გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გამოძიება დაუნიშნავს და დაუდგენია, თუ რა ვითარებაში განაიარაღეს რევოლუციონორებმა რამდენიმე ხნის ნინ ბელოგორში მდგარი თენგინის ქვეითთა77-ე პოლკის მე-11 ასეული და სადგურ ყვირილაში მდგარი იმავე პოლკის მე-12 ასეული.

1906 წლის იანვარ–თებერვალში გენერალ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა ექსპედიციამ დაარბია რკინიგზის სადგურები, სოფლები, დაბები და ქალაქები:

1-2 იანვარი. მიხაილოვოში (ხაშურში) გადანვეს და დაარბიეს საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები და დუქნები;

7 იანვარი. გადაიწვა ბელოგორის (ხარაგაულის) დიდი ნანილი;

8, 9, 10 იანვარი. თითქმის მთლიანად გადაიწვა დაბა ყვირილა (ზესტაფონი). სხვა ნაგებობებთან ერთად მთლიანად დაინვა სახელმნიფო ბანკის, სტამბისა და სახელმნიფო დანესებულებების შენობები;

9 იანვარი. სადგურებს სვირსა და აჯამეთს შორის თბილისში მიმავალ დელეგატების მატარებელში დამსჯელებმა 3 კაცი დახვრიტეს;

9 იანვარი. ქუთაისში გადანვეს 90 დუქანი და მაღაზია. დანარჩენი მაღაზიები გაძარცვეს;

10 იანვარი. სოფელ ბაღდადში გადანვეს 37 სახლი;

12 იანვარი. საჩხერეში გადანვეს 22 სახლი და დუქანი;

14 იანვარი. გადაიწვა ქალაქ ფოთის დიდი ნაწილი;



მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკი ყვირილას (ზესტაფონის) რკინიგზის სადგურზე

16-17 იანვარი. სამტრედიაში გადანვეს 30 დუქანი და მაღაზია;

23 იანვარი. გადაწვეს ჭიათურის ბაზარი.

მართალია, დამსჯელმა ექსპედიციამ იმერეთი და საერთოდ, მთელი ქუთაისის გუბერნია სასტიკად დაარბია, მაგრამ ხელისუფლება ახალი რევოლუციური გამოსვლების დაწყების შიშით სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას და ჯარების გაყვანას მაინც ვერ ბედავდა. 1906 წლის 12 თებერვლის მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული იყო: პოლკოვნიკ **გაურილოვის** მეთაურობით თბილისის მე-15 გრენადერთა პოლკის, პლასტუნთა მე-5 ბატალიონის, კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის, კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეტყვიამფრქვეველთა ბრიგადის, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ნაწილები, სულ –2,5 ბატალიონი, 1 ასეული, 2 ქვემეხი და 2 ტყვიამფრქვევი. განსაკუთრებით გააძლიერეს ქუთაისის გარნიზონი. გარნიზონის მეთაურ, გენერალ-მაიორ **ნიკოლაი სულიმოვის** დაქვემდებარებაში იყო: თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკის, ბესარაბიის ქვეითთა 129-ე პოლკის, ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის, ფო-

თის 257-ე ქვეითთა სარეზერვო პოლკის, კაეკასიის გენადერთა დივიზიის მეტყვიამფრქვეველთა ბრიგადის, ქვეითთა 33-ე დივიზიის, 33-ე საარტილერიო ბრიგადის, სევერსკის 45-ე დრაგუნთა პოლკისა და ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის ნაწილები, სულ – 6 ბატალიონი, 1 საკავალერიო ესკადრონი, 2 ასეული, 6 ქვემეხი და 10 ტყვიამფრქვევი. სულ ქუთაისის გუბერნიაში ქალაქების გარნიზონების, მაზრების საექსპედიციო რაზმებისა და რკინიგზის დაცვის ჯარების ჩათვლით 19,5 ბატალიონი, 1 საკავალერიო ესკადრონი, 8,5 ასეული, 26 ქვემეხი და 12 ტყვიამფრქვევი რჩებოდა.

3.სამეგრელო. სამეგრელოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ქუთაისის გუბერნიის სხვა რეგიონებთან, კერძოდ, გურიასა და იმერეთთან, ერთად დაიწყო. სამეგრელომ დამსჯელი ექსპედიციებიც იმავე სიმწვავით იგემა, რაც გურიამ და იმერეთმა.

1905 წლის 4 თებერვალს ქუთაისის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა ალექსი სმაგინმა კაეკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს მოხსენება გაუგზავნა. გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ სენაკის მაზრის უფროსის ცნობით, გურიის რევოლუციური მოძრაობის გავლენით მაზრაში ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა დაიწყო. პროპაგანდისტები გლეხებს მოუწოდებენ, რომ უარი თქვან ძველი პირობით მემამულეთა მინის დამუშავებაზე, არ გადაიხადონ საეკლესიო გადასახადი. მაზრის უფროსი მიუთითებდა, რომ გლეხთა მოძრაობა, გარდა აგრარულისა, პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. მაზრის სოფლებში: **მარანში, გულეისკარში, ნაესაკოვოში, ქვალონში, სუჯუნაში, თეკლათში, ლეხაინდრაოში, მარტვილში, ნაგვაზაოში** და სხვ. –შედგა ხელისუფლების სანინააღმდეგო ყრილობები. ყრილობების მოთავეთა ვინაობას გლეხობა საიდუმლოდ ინახავდა. სოფლის ყრილობებზე ფიცის ქვეშ დაადგინეს:

1. გლეხთა შორის უნდა ყოფილიყო სრული თანხმობა და თანადგომა, სიკედილის მუქარითაც კი არ უნდა გაეცათ ხელმძღვანელები;

2. არ იმუშაონ უქმე დღეებში;

3. არ იმუშაონ იმ მემამულეებთან, რომლებიც რევოლუციურ მოძრაობას არ მიემხრნენ;

4. არ გადაიხადონ საეკლესიო გადასახადები; სამღვდელოება უნდა შეინახოს ხაზინამ; გლეხობამ სამღვდელოებას უნდა გადაუხადოს ჯვრისწერისა და მიცვალებულისათვის წესის შესრულებაში, მაგრამ არა უმეტეს სამი მანეთისა;

5. ქორწილისა და დაკრძალვისათვის არ დახარჯონ ზედმეტი ფული;

6. კანონიერად არ ცნონ ცოტა ხნის წინ ჩატარებული სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები, ასევე არ ცნონ კანონიერად მოსამართლეთა, პრისტავის და სხვა ადმინისტრაციულ მოხელეთა არჩევნები; ჩატარდეს ახალი არჩევნები;

7. დაუნდობლად ებრძოლონ შინაური პირუტყვის ქურდობას;

8. არ გადაიხადონ სახელმწიფო გადასადახები;

9. არ აიღონ ვაჭრობის უფლების დამადასტურებელი პატენტი, რადგან ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს.

სენაკის მაზრის უფროსს ქუთაისის გუბერნატორისათვის უცნობებია, რომ ყოველ სოფელში 5-10 პროპაგანდისტი მუშაობს. ისინი ცდილობენ ხალხის თვალში ხელისუფლების დისკრედიტაციას. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მაზრის უფროსი გუბერნატორს სწრაფი და გაბედული ღონისძიებების გატარებას სთხოვდა.

1905 წლის 4 თებერვლიდან 15 აპრილამდე ზუგდიდის მაზრაში გლეხთა „წითელმა რაზმებმა“ 35 სოფელში გადანვეს კანცელარია და გაანადგურეს იქ დაცული დოკუმენტაცია. კიდევ 8 სოფელში კანცელარიის შენობა არ დაუწვავთ, თუმცა დოკუმენტაცია იქაც გაანადგურეს. კანცელარიებზე თავდასხმას 10-12-კაციანი ჯგუფები აწარმოებდა. 14 თებერვალს სოფელ კახათში თავად მინგრელსკის მამულში შეკრებილმა გლეხებმა(დაახლოებით 1000-მა კაცმა) შეიარაღებული ნინააღმდეგობა გაუნიეს პოლიციელებსა და სტრაჟნიკებს, დაიჭრა 2 სტრაჟნიკი. გლეხებმა ძალის გამოყენებით გაათავისუფლეს დაპატიმრებული პროპაგანდისტები. პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა, დაიღუპა და დაიჭრა 12 გლეხი. 6 მარტს სოფელ რიყეში, პრინცესა მიურატის მამულში, შეიარაღებულმა გლეხებმა (დაახლოებით 300-მა კაცმა) წინააღმდეგობა გაუწია პოლიციასა და სტრაჟნიკებს, რომლებსაც კაპიტანი ზენზინკო მეთაურობდა. ზენზინკოს გლეხებმა დაპატიმრებული აგიტატორების გათავისუფლება მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ გლეხებმა ცეცხლი გახსნეს, რასაც საპასუხო ცეცხლი მოჰყვა პოლიციელთა და სტრაჟნიკების მხრიდან. დაიჭრა 2 გლეხი. სროლის ხმაზე რამდენიმე ათასი გლეხი შეგროვდა, რომელთაც დაიწყეს თავადაზნაურთა მამულების დარბევა სოფლებში რიყესა და ჭკადუაშში. დარბევა მხოლოდ კაზაკების გამოჩენის შემდეგ შეწყდა. 18 მარტს სოფელ კირცხში გლეხებმა მოკლეს მემამულე მხეიძე, ხოლო მეორე დღეს სროლა აუტეხეს მხეიძის გვამის დასათვალიერებლად მიმავალ ზუგდიდის მაზრის ნაღენჯიხის უბნის გამომძიებელ მაკედონსკის.

1905 წლის 6 თებერვალს ზუგდიდის პოლიციის პრისტავი კვარაცხელია მაზრის უფროსს

მოახსენებდა:

1. სოფელ **კახათის** დროებით ვალდებულმა გლეხებმა ერთმანეთს შეჰფიცეს: მემამულეს არ შეუსრულონ ნაკისრი ვალდებულება, გარდა მოსავლის მეათედის მიცემისა, საერთოდ არ გადაუხადონ სამღვდელოებას გადასახადი, ხოლო ძალდატანების შემთხვევაში ძალითვე გაუწიონ წინააღმდეგობა;

2. სოფელ კახათის გლეხობას მიბაძეს სოფლების, კოკისა და დარჩელის, გლეხობამ. ისინიც ფიცის დადებას აპირებენ;

3. გავრცელდა ხმები, რომ ფიცი დადეს სოფლების **ქვალონისა** და **ხეთის** გლეხებმა. ჯერ-ჯერობით ფიცი არ დაუდიათ სოფელ **ხორგის** გლეხებს;

4. ვრცელდება ხმები, რომ მალე ფიცს სხვა სოფლების გლეხობაც დადებს;

5. გავრცელებული ხმების მიხედვით, იმ სოფლებში, რომელთა მცხოვრებლებმაც ფიცი დადეს, 19 თებერვალს საყოველთაო ბუნტი დაიწყებოდა;

6. დაბა ზუგდიდში ბაზრობის დღეებში (პარასკევი, კვირა) სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული გლეხები ყურადღებით უსმენენ აგიტატორებს, რომ მალე საყოველთაო აჯანყების გზით შეიცვლება მინის მფლობელობის არსებული წესი;

7. გლეხებს არწმუნებენ, რომ აგიტატორები გამოგზავნილნი არიან რუსეთიდან „დიდი ადამიანების" მიერ, რათა მათ გლეხთა აჯანყება მოამზადონ და გლეხობისათვის მიუღებელი წყობილება შეცვალონ.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების გამო 1905 წლის 1 მარტიდან სენაკის მაზრა ქუთაისის გუბერნატორის დაქვემდებარებიდან გამოვიდა და დამსჯელი ექსპედიციის – რიონის რაზმის – მეთაურ გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის დაექვემდებარა. სამხედროებმა, თავადაზნაურობამ და სახელმწიფო მოხელეებმა მაზრაში წესრიგის აღდგენა შეძლეს. გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის ბრძანების თანახმად, სენაკის მაზრიდან აგიტატორები და სხვა საეჭვო პირები გაასახლეს, თუმცა 1905 წლის 14 მაისს ადმინისტრაციული წესით გასახლებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტეს. ამის შემდეგ გასახლებული აგიტატორები მაზრაში დაბრუნდნენ და რევოლუციური აგიტაცია ახალი ძალით გააჩაღეს. ამჯერად მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილი აღმოჩნდა აგიტატორთა გავლენის ქვეშ.

1905 წლის 4 სექტემბერს რკინიგზის სადგურ **აბაშაში** ჯარსა და მოსახლეობას შორის შეჯახება მოხდა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 4 სექტემბერს, საღამოს, საფოსტო მატარებელი ფოთიდან აბაშისაკენ გავიდა. სადგურ ახალსენაკში მატარებელს უამრავი ხალხი დახვდა. იმ დღეს ახალსენაკში ერობის შექმნასთან დაკავშირებით სამაზრო ყრილობა გაიმართა და ხალხი სწორედ მის დელეგატებს აცილებდა სადგურ აბაშისაკენ. საღამოს 9 საათზე მატარებელი ახალსენაკიდან აბაშისაკენ დაიძრა. სამაზრო ყრილობის დელეგატების გარდა, ვაგონში სადგურზე შეკრებილი ხალხის ნაწილიც ავიდა. დაიძრა თუ არა მატარებელი, მათ ქართულ და რუსულ ენებზე რევოლუციური სიმღერები წამოიწყეს. ვაგონის ერთ-ერთ კუპეში ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერი კოჩურინი იმყოფებოდა. ჟანდარმი მომღერლებთან მივიდა და სთხოვა სიმღერა შეეწყვიტათ, მაგრამ უშედეგოდ. განბილებული უნტერ-ოფიცერი იმავე ვაგონში მყოფ თენგინის ქვეითთა პოლკის პოდპორუჩიკებთან, **კაზანსკისა** და **მრუკთან,** მივიდა და რჩევა ჰკითხა. მათ ჟანდარმს მომღერალთა დაპატიმრება ურჩიეს. ამის შემდეგ კოგურმა თენგინის ქვეითთა პოლკის 3 დაბალჩინოსნის დახმარებით, რომლებიც საფოსტო მატარებელს აცილებდნენ, 9 მომღერალი დააპატიმრა და დარაჯად იგივე ოფიცრები მიუჩინა. 4 სექტემბერი კვირა დღე იყო და აბაშის სადგურზე ბაზრობიდან მომავალ ხალხს მოეყარა თავი. მათი ნაწილი სამაზრო ყრილობის დელეგატებს ელოდა. სულ სადგურზე 500 კაცი (ზოგიერთი ცნობით, სადგურსა და მის მიდამოებში დაახლოებით 3.000 კაცი) იმყოფებოდა. მატარებლის გაჩერებისთანავე ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა წერილის საშუალებით ხალხს აცნობა 9 კაცის დაპატიმრების ამბავი. აღელვებული ხალხი ვაგონთან მიიჭრა და დაპატიმრებულთა გათავისუფლება მოითხოვა. შეშინებულმა უნტერ-ოფიცერმა კოგურმა დაპატიმრებულები გაათავისუფლა. მიღწეულმა გამარჯვებამ ხალხი აღაფრთოვანა, რამდენიმე მათგანმა ჰაერში რევოლვერი გაისროლა. თენგინის პოლკის ოფიცრებსა და ოზურგეთიდან მომავალ სტრაჟნიკს ეგონათ, რომ ვაგონს ესროლეს. ოფიცრებმა და სტარჟნიკებმა სადგურზე შეგროვილთა მიმართულებით დაიწყეს სროლა. სტრაჟნიკმა 25-ჯერ გაისროლა, ოფიცრებმა – 50-ჯერ. სროლას ხალხმა სროლითვე უპასუხა. სროლის შედეგად სადგურზე შეკრებილთაგან 2 კაცი დაილუპა, დაიჭრა 6. მეორე ცნობით, დაიჭრა 40 კაცი. მას შემდეგ, რაც ხალხი გაიფანტა, სამხედროებმა სროლა შეწყვიტეს. ვაგონში მყოფთაგან არავინ დაშავებულა. სადგურზე მყოფებს რომ ვაგონისათვის არ უსვრიათ, ადვილად დადგინდა: ვაგონების კედლებსა და ფანჯრებზე ნატყვიარები არ აღმოჩნდა,

მხოლოდ რევოლვერიდან გასროლილი 2 ტყვია მოხვედროდა მინას. დოკუმენტში, რომელიც პროკურატურის მიერ ჩატარებული მოკვლევის შემდეგ შედგა, აღნიშნულია, რომ ვაგონის კედლებს მრავალი ნატყვიარი აჩნდა. პროკურატურას არ დაუდგენია, ეს ნატყვიარები როდის გაჩნდა ვაგონის კედლებზე, სანამ ოფიცრები და სტარჟნიკი ხალხს ცეცხლს გაუხსნიდნენ, თუ მას შემდეგ, რაც ვაგონიდან დანყებულ სროლას სადგურზე შეკრებილებმა სროლითვე უპასუხეს. ინციდენტის დროს რამდენიმე კაცმა ორთქლმავლის ჩახსნა მოახერხა და სიკვდილის მუქარით შემანქანე აიძულა ორთქლმავალი სამტრედიისაკენ დაეძრა. სამტრედიაში ჩასვლამდე გამტაცებლებმა მემანქანეს ორთქლმავალი გააჩერებინეს და მიიმალნენ. საღამოს 10 საათზე სენაკის მაზრის უფროსმა სამტრედიიდან ჯარი გამოიძახა. 3 ოფიცრის, 15 კაზაკისა და 15 ქვეითი ჯარისკაცის თანხლებით 4 სექტემბერს, ღამის 12 საათზე მატარებელი ჩავიდა აბაშაში. დაგვიანება განაპირობა იმან, რომ სამტრედიასა და აბაშას შორის ერთ ადგილას რელსები აყრილი იყო. რკინიგზის დაზიანების ადგილზე მატარებელი გაჩერდა, სამხედროებმა გზა აბაშისაკენ ფეხით გააგრძელეს. დაზიანების ადგილას მისულმა რკინიგზის დაცვის სამსახურმა შორიახლოს მყოფი სამი კაცი შენიშნა, რომელთაგან ერთ-ერთმა დაცვას სროლა აუტეხა. დაცვამ ერთის დაპატიმრება შეძლო, იგი აზნაური მელია აღმოჩნდა სენაკის მაზრის სოფელ ცხემიდან. აბაშაში ჩასული კაზაკები და სამხედროები სპატრულო რაზმებად დაიყენენ. პატრულმა დააკავა სოფელ საჭილაოს მცხოვრებლები კოლუა და პირტახია, სოფელ სამიქაოდან – ქობულია, რომლებიც, რევოლვერებით შეიარაღებულნი, თაყს დასხნენ ერთ-ერთ საპატრულო რაზმს.

სადგურ აბაშაში 1905 წლის 4 სექტემბერს მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორმა ვლადიმირ სტაროსელსკიმ 1905 წლის 17 სექტემბერს სამოქალაქო ნაწილში კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნა:

1. მოსახლეობაში არსებული განწყობილების გათვალისწინებით 9 კაცის დაპატიმრება მაშინ, როდესაც ვაგონს სათანადო დაცვა არ ჰყავდა, სულ მცირე, გაუფრთხილებელ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს მომღერლები კი არ უნდა დაეპატიმრებინა, მათი მოქმედების შესახებ სათანადო ოქმი უნდა შეედგინა და დანიშნულებისამებრ გადაეგზავნა.

2. ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერმა ხალხს დაუთმო და დაპატიმრებულები გაათავისუფლა, მაგრამ არაფერი გაუკეთა იმისათვის, რომ სადგურის ტერიტორიაზე სათანადო წესრიგი დაეყარებინა. ამის სანაცვლოდ, როგორც კი სადგურზე შეკრებილთაგან რამდენიმემ რევოლვერი ჰაერში გაისროლა, ვაგონიდან ხალხს ცეცხლი გაუხსნეს;

3. ვარაუდი იმის შესახებ, რომ სადგურზე შეკრებილმა ხალხმა დაპატიმრებულთა გათავისუფლებამდე გაუხსნა ცეცხლი ვაგონს, არანაირად არ დასტურდება. დაპატიმრებულთა გათავისუფლების შემდეგ „ვაშას" შეძახილები და რევოლვერის ჰაერში გასროლა სიხარულის გამოხატულება იყო, ჟანდარმსა და სამხედროებს ადგილობრივების ჩვეულებები რომ სცოდნოდათ, ისინი ჰაერში გასროლას მტრულ მოქმედებად არ მიიღებდნენ;

4. მას შემდეგ, რაც ხალხმა დატოვა ვაგზალი და მისი შემოგარენი, სამტრედიიდან მოსული ჯარი მთელი ღამის განმავლობაში ისროდა, რითაც პასუხობდა ცალკეული ადამიანების სროლას;

5. შეჯახება აბაშის სადგურზე შემთხვევითი და გამონაკლისი არ ყოფილა. ასეთი შეჯახებები მოხდა ბელოგორსკა და ყვირილაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ დაბალი წოდების ოფიცრები უფროს ოფიცრებთან შეთანხმების გარეშე ილებდნენ გადაწყვეტილებას წესრიგის დამყარების თაობაზე.

ვლადიმირ სტაროსელსკის მიერ გაკეთებული დასკვნები, ცხადია, სასიამოვნო არ იქნებოდა ხელისუფლებისათვის, რადგან იგი ენინააღმდეგებოდა ჩატარებული გამოძიების ვერსიას.

ეს სულ მალე დადასტურდა. კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალ-მაიორმა ევგენი შირინკინმა 1905 წლის 3 ოქტომბერს წერილი გაუგზავნა ვლადიმირ სტაროსელსკის. გენერალმა ჟანდარმერიის უნტეროფიცერ კოჩურინის, თენგინის პოლკის 3 დაბალჩინოსანი ოფიცრისა და სტრაჟნიკის მოქმედება მთლიანად გაამართლა. ამასთან ერთად, შირინკინი ამტკიცებდა, რომ სადგურზე შეკრებილებმა ვაგონს ცეცხლი ბოროტგანზრახვით გაუხსნეს და თანაც – დაპატიმრებულთა გათავისუფლებამდე.

სამეგრელოში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 1905 წლის აგვისტოში, რაზეც შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

19 აგვისტო. დაბა ზუგდიდში გავრცელდა პროკლამაციები, რომლებიც რევოლუციურ მოწოდებებს შეიცავდა. პროკლამაციების ნაწილი პოლიციამ ამოიღო;

21 აგვისტო. ზუგდიდის მაზრის სოფელ ნოჯიხევში გაიმართა გლეხთა საიდუმლო შეკრება. ერთ-ერთმა აგიტატორმა კრებას აცნობა, რომ მალე მოკლავდნენ ზუგდიდის მაზრის უფროს

კელამოვს;

22 აგვისტო. დაბა ზუგდიდში მოქალაქეთა და ვაჭრების საიდუმლო შეკრებას დაახლოებით 90 კაცი დაესწრო. შეკრების მიზანი იყო ათისთავებისა და ასისთავების არჩევა, მაგრამ ამრჩეეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო არჩევნები არ შედგა;

24 აგვისტო. დაბა ზუგდიდში მეორე საიდუმლო შეკრება შედგა, რომელსაც დაახლოებით 100 კაცი დაესწრო;

26 აგვისტო. ზუგდიდის მაზრაში შემავალ რედუტ-კალეში ერობის შემოღებასთან დაკავშირებით გაიმართა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ სოფლების: ნოჯიხევის, ხორგის, ქვალონის, ხორშას, საჯიჯაოს, ზანათის – დელეგატები. ისინი თავიანთ გამოსვლებში ხელისუფლების უსუსურობაზე მოუთითებდნენ, ხოლო აგიტატორები გლეხობას მოუწოდებდნენ, ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე უარი ეთქვათ;

26 აგვისტო. ერობის შემოღების თაობაზე სენაკის მაზრის სოფლებში: ონტოფოში, სეფიეთსა და სამიქაოში – არჩეული დელეგატები დაბა ახალსენაკში შეიკრიბნენ ყრილობაზე. ამ ყრილობაზე იგივე გამეორდა, რაც რედუტ-კალეში გამართულ ზუგდიდის მაზრის სოფლების დელეგატთა ყრილობაზე. სიტყვით გამოვიდა ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტი და გლეხობას შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა;

26 აგვისტო. ერობის შემოღების თაობაზე სენაკის მაზრის სოფლების: ქვალონის, სუჯუნისა და აბაშის – მოსახლეობის მიერ არჩეული დელეგატების ყრილობაზე მისულმა აგიტატორებმა გლეხობას დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდეს;

26 აგვისტო. ერობის შემოღების თაობაზე სენაკის მაზრის სოფლების: ნაესაკოეოს, მარნისა და გულეისკარის – მოსახლეობისაგან არჩეული დელეგატების ყრილობას დაახლოებით 1000 კაცი დაესწრო. აგიტატორის გამოუცხადებლობის გამო ყრილობა გადაიდო, ახალი ყრილობა 28 აგვისტოსათვის დაინიშნა;

26 აგვისტო. ერობის შემოღების თაობაზე სენაკის მაზრის სოფლების: ბანძის, ლეხაინდრაოს, ონოლიის – მოსახლეობისაგან არჩეულმა დელეგატებმა ყრილობა ბანძაში გამართეს. ამჯერად აგიტატორი გამოცხადდა და რევოლუციური ხასიათის სიტყვა ნარმოთქვა, ხოლო გლეხებმა ტყვიებით დაცხრილეს და შემდეგ დანვეს ნიკოლაი II-ის პორტრეტი.

1905 წლის 29 აგვისტოს ზუგდიდის მაზრის უფროსი კელამოვი ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკის დეპეშით მოახსენებდა, რომ მაზრაში მოსალოდნელი იყო გლეხთას აჯანყების დაწყება და ითხოვდა სასწრაფოდ კაზაკთა 2 ასეულის გაგზავნას.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები სამეგრელოში არც 1905 წლის შემოდგომაზე შენყვეტილა. 1905 წლის 21 ნოემბერს ზუგდიდის მაზრის ნალენჯიხის უბნის პრისტავი მაზრის უფროსს მოახსენებდა, რომ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი იყო პოლიციის დამატებითი ძალების გაგზავნა ნალენჯიხაში. 29 ნოემბერს კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალ-მაიორმა ევგენი შირინკინმა კავკასიის მეფისნაცვალს აცნობა, რომ მოსალოდნელი იყო ზუგდიდის მაზრაში გლეხთა შეიარაღებული აჯანყების დაწყება. შირინკინი მეფისნაცვალს აუწყებდა, რომ რევოლუციონერთა წახალისება გამოიწვია ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკის ინიციატივით დაბა ზუგდიდიდან ჯარის განვევამ. თბილისში სათანადო გადაწყვეტილებები მიიღეს და ზუგდიდის მაზრაში დარბევები დაიწყო. ამ ღონისძიებამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. 27 ნოემბერს სოფელ ნალენჯიხაში შეკრებილმა გლეხობამ ხელისუფლებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი დადგენილება გამოიტანა:

1. დაუყოვნებლივ გადადგეს თანამდებობიდან ზუგდიდის მაზრის უფროსი კელამოვი;

2. მთელი სიმკაცრით იქნას გამოძიებული სოფლებში: მუხურში, წაქვინჯაში, კახათში და დაბა ზუგდიდში ჯარისა და პოლიციის მიერ განხორციელებული დარბევები. დამნაშავენი დაისაჯონ;

3. დაუყოვნებლივ გავიდნენ ზუგდიდიდან კაზაკები და დარჩენილი ქვეითი ჯარი.

გარდა ამისა, გლეხობამ პოლიტიკური ხასიათის დადგენილებაც მიიღო. მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს ამ დადგენილებიდან:

1. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით რუსეთის დამფუძნებელი კრების დელეგატთა არჩევა;

2. ჩამოერთვას მინები იმპერატორს, მის ნათესავებს, ეკლესიებს, მონასტრებს, თავადაზნაურობას და სხვა მიწათმფლობელებს და გადაეცეს სასოფლო თემებს;

3. კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები;

4. განისაზღვროს მუშათა მინიმალური ხელფასი;

5. დაკანონდეს 8-საათიანი სამუშაო დღე;

6. დაკანონდეს უფასო სწავლება ორივე სქესის ბავშვებისათვის;

7. შემოღებულ იქნას ფართო უფლებებით აღჭურვილი თვითმმართველობა;

8. დაკანონდეს თანამდებობის პირების ხალხის მიერ არჩევა;

9. გაუქმდეს ნოდებები და დაკანონდეს ყველა მოქალაქის თანასწორობა;

10. სასამართლოში საქმის წარმოება უფასო უნდა იყოს;

11. ყველა ენა თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდეს.

მართალია, სამეგრელო (ზუგდიდისა და სენაკის მაზრები) საფუძვლიანად დაარბია დამსჯელმა ექსპედიციებმა, მაგრამ ხელისუფლება აქედან ჯარის გამოყვანას მაინც ვერ ბედავდა. 1906 წლის 12 თებერვლის მონაცემებით, ზუგდიდის მაზრაში რჩებოდა საექსპედიციო რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ხონძინსკი მეთაურობდა. საექსპედიციო რაზმი (მსროლელთა 1 ბატალიონი, კაზაკთა 1 ასეული და 2 ქვემეხი) დაბა ზუგდიდში იყო განლაგებული.

4. კახეთი. კახეთში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა 1905 წლის თებერვლიდან დაიწყო. 19 თებერვალს სიღნაღის მაზრის უფროსი **კარახიშვილი** თბილისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ **ივან სვეჩინს** აცნობებდა, რომ სოფელ **კოდალოს** გლეხობაში რევოლუციონერებმა პროპაგანდა დაიწყეს. კერძოდ, 15 თებერვალს კოდალოს უბნის პრისტავს მაზრის უფროსისათვის უცნობებია, რომ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ანარმოებდა პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი თაკადი **კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილი.** სიმშვიდე არ იყო არც სოფელ **არაშენდაში.** 6 თებერვალს სოფელ არაშენდაში ჩასულა უცნობი პირი და 7-8 თებერვალს ღამით საიდუმლო შეკრებები ჩაუტარებია. პრისტავის ცნობით, არაშენდის მცხოვრებლები სოფლის მმართველობაზე თავდასხმას აპირებდნენ, რის გამოც პრისტავს სოფელ კოდალოში პოლიციის პოსტი გაუძლიერებია. მოპოვებული ინფორმაცია პრისტაეს, გარდა სიღნაღის მაზრის უფროსისა, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგისთვის (მოადგილისათვის) გაუგზავნია.

1905 წლის მარტში გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას კახეთში ფართო მასშტაბი მოუღია. 1905 წლის 24 მარტს თელავის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს, **ივან სვეჩინს** გლეხთა გამოსვლების აღსაკვეთად კაზაკთა ერთი ასეულის გაგზავნას სთხოვდა. 26 მარტს თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი უკვე კონკრეტულ ინფორმაციას ანდიდა თბილისის გუბერნატორს: 23 მარტს გლეხებმა სოფელ **ძველ გაეაზში** სოფლის კანცელარია და სკოლა დახურეს; 24 მარტს სოფლების: **გრემის, ენისელისა** და **საბუეს** გლეხებმა (დაახლოებით 2.000 კაცი) ენისელის სასოფლო თემის კანცელარია დახურეს. ყვარლის უბნის პრისტავის ცნობით, გლეხები თავადაზნაურებს და მოხელეებს ემუქრებოდნენ, თუმცა ცემით არავინ უცემიათ და მატერიალური ზარალიც არავისათვის მიუყენებიათ, გარდა თავად **ეგგენი სოლომონის ძე ჯორჯაძისა,** რომლის სახლის ფანჯრებიც ჩაამსხვრიეს. 1905 წლის 26 მარტს თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა თბილისის გუბერნატორს კვლავ საგანგაშო ცნობები მიაწოდა: 22 მარტს სოფელ **ვაჩნაძიანის** გლეხობის ყრილობას შემდეგი დადგენილებები მიუღია: გლეხებს უფლება ჰქონდათ თავად ჯორჯაძის კუთვნილი მინები დაემუშავებინათ. გლეხები სოფლის მღვდელ **ლაშხაურთან** მისულან და მისთვის გადაუციათ საეკლესიო გადასახადისა და ვალდებულებების ის ვარიანტი, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა. მღვდელს ეს პირობები არ მიუღია და არც სათანადო დოკუმენტზე მოუწერია ხელი. ამის სანაცვლოდ გლეხობას მღვდელი ეკლესიის კუთვნილი შენობიდან გამოუსახლებია. 23 მარტს სოფელ ვაჩნაძიანში კვლავ გამართულა ყრილობა. მასზე ნინანდლის უბნის პრისტავი გამოცხადებულა და ხალხის დამშვიდება უცდია. გლეხებს პრისტავისათვის მინების გადანაწილების მოთხოვნა წაუყენებიათ, რის შემდეგაც დაშლილან. 24 მარტს **ნინანდლის** მამულში მომუშავე გლეხებს მამულის მმართველისათვის ხელფასის გაზრდის მოთხოვნა წაუყენებიათ. მმართველს გლეხობის დამშვიდება მოუხერხებია.

გლეხთა მოძრაობას კახეთში იმდენად სერიოზული ხასიათი მიუღია, რომ თბილისის ვიცეგუბერნატორ **ვლადიმირ ალიშევსკის** 1905 წლის 29 მარტს თელავის მაზრაში მიმდინარე გლეხთა მოძრაობის შესახებ კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის აღმსრულებლისათვის უცნობებია. 29 მარტსვე თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა თბილისის გუბერნატორს აცნობა, რომ 25, 26, 27 და 28 მარტს თელავის მაზრის სოფლებში: **გრემში, საბუეში, ნაფარეულში, ფშაველში** – გლეხთა გამოსვლები ძლიერდებოდა. სოფელ გრემის გლეხობას 4 პირი აურჩევია და დაუდგენია, რომ მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულთა გადაწყვეტილებებს შეასრულებდნენ. გლეხები შეჭრილან თავადების **ნინო გიორგის ასულ ჯორჯაძისა** და **ეგგენი სოლომონის ძე ჯორჯაძის** მამულებში. სოფელ **ვაჩნაძიანის** გლეხობას თავად ჯორჯაძის კუთვნილი ტყის ჭრა დაუწყია. პრისტავს 4 გლეხი დაუპატიმრებია და ციხეში გაუგზავნია.

აგრარული მოძრაობა სოფლებს: მატანსა და **ახმეტასაც** – მოედო. 1905 წლის 29 მარტს მატანის, ხოლო 30 მარტს ახმეტის გლეხობას სოფლის სკოლები დაუხურავს. მატანელებს მემამულეთა კუთვნილი მინის დამუშავება და მემამულეთა ტყის ჭრა დაუწყიათ. მემამულეებს უცდიათ გლეხობასთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. მატანისა და ახმეტის გლეხობას შეუმუშავებიათ ასეთი მოთხოვნები:

1. მემამულეებსა და გლეხებს მინა თანაბრად უნდა ჰქონოდათ;

2. უნდა მომხდარიყო მემამულეთა და გლეხთა უფლებრივი გათანასწორება, მემამულეებს გლეხობის მსგავსად უნდა გადაეხადათ ნატურალური გადასახადი და შეესრულებინათ სხვა მოვალეობანი;

3. პრისტავი, მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე და მაზრის მოსამართლე ქართველეთა შორის უნდა არჩეულიყო;

4. საქმის წარმოება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო;

5. გლეხობას საერობო გადასახადი არ უნდა გადაეხადა;

6. პოლიციის სტრაჟნიკების სამსახური უნდა გაუქმებულიყო;

7. ტყის გამოყენების უფლება ყველას ერთნაირად უნდა ჰქონოდა;

8. სააქციზო ზედამხედველობა უნდა გაუქმებულიყო, უნდა გაუქმებულიყო გადასახადი არყის გამოხდაზე;

9. გლეხობისათვის უნდა დაებრუნებინათ მემამულისათვის მინის გამოსყიდვის დროს გადახდილი თანხა;

10. სკოლაში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ხოლო სკოლების შესანახი თანხა სახელმწიფოს უნდა გაეღო;

11. უნდა დაარსებულიყო საგლეხო ბანკი;

12. გლეხობას ნებისმიერი იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონოდა.

დაახლოებით იგივე მოთხოვნები ჰქონდათ კახეთის სხვა სოფლების გლეხობასაც. უკვე აშკარა ხდებოდა, რომ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად გლეხობა პოლიტიკურ მოთხოვნებსაც ნამოაყენებდა.

კახეთში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა იმდენად სწრაფად ძლიერდებოდა, რომ 1905 წლის 1 აპრილს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა თელავის მაზრაში განვითარებული მოვლენების შესახებ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს აცნობა. 1 აპრილსვე კავკასიაში საუფლისწულო მამულების ინსპექტორმა ა. გურსკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრების გლეხობამ საუფლისწულო მამულების დარბევა და მინების მიტაცება დაიწყო.

1905 წლის შემოდგომაზე თელავის მაზრაში გლეხთა ძლიერი მღელვარებები დაიწყო. 23 სექტემბერს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-მაიორი **ევგენი** შირინკინი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა:

1. უკანასკნელ ხანებში გლეხთა ძლიერი მღელვარება შეიმჩნეოდა სოფლებში საბუესა და გრემში. გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს თავად **ევგენი სოლომონის ძე ჯორჯაძეს**;

2. სოფელ **კურდღელაურის** გლეხობამ ბოიკოტი გამოუცხადა მემამულეებს და, ამასთან ერთად, იმ დანაბარჯის ანაზღაურება მოითხოვა, რომელიც, გენერალ-ადიუტანტ თავად **ჭავჭავაძის** განკარგულებით, ეგზეკუციის სახით მათ სოფელში ჩაყენებული კაზაკთა ასეულის შენახვას დასჭირდა.

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გლეხთა დიდი მღელვარებები აღინიშნა თელავისა და სიღნაღის მაზრებში. 9 ნოემბერს სიღნაღის მაზრის 4 სოფლის გლეხობა თავს დაესხა და განაირაღა ტყის დაცვა და ტყის ჭრას შეუდგა.

კახეთში ვითარება კიდევ უფრო დაძაბა 1905 წლისათვის დაგეგმილმა ჯარში გაწვევის კამპანიამ. აგიტატორების ნაქეზებით, წვევამდელები ან უარს ამბობდნენ ჯარში სამსახურზე, ან სამსახურის ვადის 2 წლამდე შემცირებას ითხოვდნენ იმ პირობით, რომ სამხედრო ვალდებულებას საქართველოში მოიხდიდნენ და ყოველ თვიურად 3-5 მანეთს მიიღებდნენ. ბევრმა წვევამდელმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და თავი აარიდა სამხედრო სამსახურს.

1905 წლის 17-დან 24 დეკემბრამდე ჟანდარმერიასა და პოლიციაში შესული ინფორმაციის მიხედვით, კახეთის მოსახლეობაში შეიარაღებისაკენ ლტოლვა გაძლიერდა. აღსანიშნავი იყო ის, რომ იარაღს იძენდა როგორც გლეხობა, ისე თავადაზნაურობა. დადასტურდა გლეხების მიერ იარაღის შესაძენად ფულის შეგროვების რამდენიმე ფაქტი. კავკასიის მეფისნაცვალმა თელავის მაზრის მოსახლეობის დამშვიდების მიზნით გენერალ-ადიუტანტი თავადი ჭავჭავაძე გაგზავნა, რომელსაც თან ახლდა დრაგუნთა ესკადრონი და კაზაკთა ასეული. თავად ჭავჭავაძეს უფლება ჰქონდა, დაეპატიმრებინა და 3 თვით მაზრიდან გაესახლებინა აგიტატორები და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ხელმძღვანელები, ხოლო თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სოფლებში ეგზეკუციაც

ჩაეყენებინა. ჟვავაძემ ეს უფლება გამოიყენა და ხანმოკლე ვადით ეგზეკუციები ჩაატარა შემდეგ სოფლებში: **ვაჩნაძიანი, კონდოლი, ქვემო ხოდაშენი, სანიორე, გრემი, კალაური, საბუე, წინანდალი, კურდღელაური** და სხვ. კახეთის მოსახლეობა სხვა მხრივაც დასაჯეს. 1906 წლის 10 აპრილს ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც, გლეხობას მემამულეთათვის მიყენებული ზარალი უნდა აენაზღაურებინა. კავკასიის მეფისნაცვალმა ეს ბრძანებულება გამოიყენა და სპეციალურ კომისიას დაავალა, რომ თელავის მაზრაში თავადაზნაურობისათვის გლეხობის მიერ მიყენებული ზარალი დაეთვალა. 1906 წლის 4 ივნისს თელავის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ამ ღონისძიებამ გლეხობა გარკვეულწილად დააშინა, თუმცა მემამულეთა მიწების მიტაცება და ტყის უკანონო ჭრის შემთხვევები საბოლოოდ ვერ აღიკვეთა.

5. აფხაზეთი. აფხაზეთში გლეხთა მოძრაობას ისეთი მასშტაბები არ მიუღია, როგორიც გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში ჰქონდა. რევოლუციური მოძრაობის ცენტრად ქალაქი სოხუმი იქცა, სადაც ხშირი იყო პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები.

1905 წლის 17 სექტემბერს კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალ-მაიორმა **ევგენი შირინკინმა** სოხუმის ოკრუგში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ ერცელი მოხსენება წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. მოხსენებაში აღნიშნულია:

1. სოხუმის ოკრუგის **გუდაუთის უბნის** ძირითად მოსახლეობას აფხაზები შეადგენენ, რომელთაგან ნახევარი ისლამის აღმსარებელია.

2. 1901 წელს გაგრის კლიმატოლოგიური სადგურის დაარსებასთან დაკავშირებით მიწების დიდი ნაწილი იმპერიის შიდა გუბერნიებში მცხოვრებ რუსებზე გაიყიდა. რუსი მიწათმფლობელები შეძენილ მამულებში არ ცხოვრობდნენ, მამულებს კი მათი მმართველები ან ნდობით აღჭურვილი პირები განაგებდნენ. რუსი მიწათმფლობელების მამულებში ძირითადად ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებიდან ჩამოსულები მუშაობდნენ. ისინი ხან ერთ მამულში მსახურობდნენ, ხან – მეორეში, უძრავ-მოძრავი ქონება სოხუმის ოკრუგში არ გააჩნდათ, და ამდენად, ყველაზე არასასურველ და მერყეე სოციალურ ფენად ითვლებოდნენ. გუდაუთის ოკრუგში გურიიდან, იმერეთიდან და სამეგრელოდან ჩამოსულმა გლეხებმა, თავიანთ სოფლებში დაწყებული გლეხთა მოძრაობის შესახებ რომ შეიტყვეს, გადაწყვიტეს აგრარულ მოძრაობაში გუდაუთის უბნის მოსახლეობა, აფხაზები, ჩაებათ. 1905 წლის ივნისში გუდაუთის უბანში სამეგრელოდან ჩასულმა გლეხებმა აგიტაციის წარმოება დაიწყეს და სოფელ კოლდახვარში ადგილობრივი მოსახლეობის ყრილობის მოწვევაც შეძლეს. ყრილობაზე გუდაუთის უბანში ის მუშებიც გამოცხადდნენ, რომლებიც ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან იყვნენ ჩასულები. იხილებოდა შინაური პირუტყვის ქურდობის საკითხი. გუდაუთის უბნის ადმინისტრაციამ ყრილობის მონაწილეებს პოლიტიკური თემების განხილვის უფლება არ მისცა. ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან გუდაუთის უბანში ჩასულ მუშებს ხალხის მღელვარების გამოწვევის საშუალება არ მიეცათ, რადგან ისინი, როგორც ყრილობაზე დასწრეების უფლების არმქონენი, პოლიციამ სოფლიდან გააძევა. ერთი კვირის შემდეგ სამეგრელოდან გუდაუთის უბანში სამუშაოდ ჩასულებმა კლიმატოლოგიური სადგურის ტერიტორიაზე ყრილობა მოიწვიეს. სადგური იმ დროს უკვე სოხუმის ოკრუგში აღარ შედიოდა, იგი შავი ზღვის გუბერნიას ექუთვნოდა. ყრილობაზე სოფელ კოლდახვარის მცხოვრებნიც იყვნენ მიწვეულნი (კოლდახვარი გაგრის კლიმატოლოგიურ სადგურს ესაზღვრებოდა). ყრილობის მონაწილეებმა პოლიტიკური მოთხოვნებით დემონსტრაცია მოაწყვეს. გაგრის პოლიციის უფროსის მეთაურობით კაზაკთა რაზმმა დემონსტრანტები გაფანტა. კავკასიის პოლიციის უფროსის შეფასებით, გუდაუთის უბანში აგრარული მოძრაობის დასაწყებად 1905 წლის სექტემბრისათვის მიზეზები არ არსებობდა.

3. **გუმისთის უბანში**, რომლის ტერიტორიაზეც ქალაქი **სოხუმი** მდებარეობს, აფხაზები, რუსები, ქართველები, სომხები და ესტონელები ცხოვრობდნენ. მიწების უმეტესი ნაწილი აქ კერძო პირების ხელში იყო. ზოგიერთი მემამულე 6.000 დესეტინამდე მიწას ფლობდა. მემამულეების მიწის მოიჯარადრეები ძირითადად ქართველები (მეგრელები) იყვნენ, აგრარული მოძრაობის დაწყების ინიციატორებიც სწორედ ისინი გახდნენ. აგრარული მოძრაობის გაჩაღებას ხელი შეუწყო რსდმპ ბათუმის კომიტეტის ქ. სოხუმის ჯგუფმა, რომელიც მუდმივად ავრცელებდა ბათუმში დაბეჭდილ რევოლუციური ხასიათის პროკლამაციებს. აგრარული მოძრაობის დამრტყმელ ძალას ქართველი (მეგრელი) არენდატორები შეადგენდნენ. მათ უარი განაცხადეს იჯარით აღებული მიწით სარგებლობისათვის დადგენილი თანხის გადახდაზე, თუმცა მიწას ძველებურად ამუშავებდნენ. მოიჯარადრეები არ ცნობდნენ არც სოფლის და არც უბნის ადმინისტრაციას. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1905 წლის აგვისტო-სექტემბერში სოხუმსა და მის შემოგარენში მიმდინარე საყოვ-

ელთაო გაფიცვაში.

4. გავრცელებული ხმების მიხედვით, 1905 წლის ოქტომბერში, სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ მოიჯარადრე გლეხები მემამულეებს მოსავლის მეოთხედს არ მისცემენ, რაც ახალი უწესრიგობის დაწყებას გამოიწვევს.

5. **კოდორის უბანში**, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აფხაზები შეადგენენ, აგრარული მოძრაობის არავითარი ნიშანი არ ჩანდა. ქართველებმა (მეგრელებმა) რამდენჯერმე სცადეს გლეხების პროვოცირება, მაგრამ უშედეგოდ. შედარებით საშიში ვითარება იყო დაბა **ოჩამჩირეში**, სადაც 4.000 სული ცხოვრობს. აქ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები (მეგრელები) შეადგენენ, რომლებიც გლეხების პროვოცირებას ცდილობენ.

6. **სამურზაყანოს უბანში**, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სამეგრელოს (ზუგდიდის მაზრას), 1905 წლის სექტემბრისათვის აგრარული მოძრაობის დაწყების საშიშროება არ არსებობდა.

გენერალ-მაიორ **ევგენი შირინკინის** მოსაზრებები აფხაზეთში აგრარული მოძრაობის სისუსტის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ აფხაზები აგრარულ მოძრაობაში არ ჩაბმულან და საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, იქ სიმშვიდე სუფევდა.

1905 წელს საქართველოში მიმდინარე აგრარული მოძრაობა გამოირჩეოდა იმით, რომ გლეხობამ კარგად გააზრებული და ქვეყნის განვითარებისათვის უაღრესად საჭირო სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნები წამოაყენა. გლეხთა მოძრაობის პროგრამა არ შეიძლება მთლიანად ქართულ მოვლენად განვიხილოთ. გლეხობის მოთხოვნათა დიდი ნაწილი თითქმის მთლიანად ემთხვეოდა რუსი გლეხობის მოთხოვნებს.

§5. არჩილ ჯორჯაძის აგრარული პროგრამა

1905 წელს დაწყებული რევოლუციის პირველმა თვეებმა აშკარა გახადა, რომ რევოლუციის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას აგრარული საკითხი წარმოადგენდა. რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობა სწორედ მიწის მფლობელობის არსებული წესის გაუქმებას მოითხოვდა. იგივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. ყველა პოლიტიკური პარტია აგრარული პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფას ცდილობდა. აგრარული საკითხის გადაჭრის გზებზე დიდხანს და სერიოზულად მუშაობდა **არჩილ ჯორჯაძე**. 1905 წლის დასასრულისა და 1906 წლის დამდეგისათვის მან დაასრულა ბროშურა „როგორ უნდა გადაწყდეს მინის მფლობელობის საქმე". ნაშრომის დასრულების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ ცენზურამ მისი დაბეჭდვის ნებართვა 1906 წლის 15 თებერვალს გასცა. ბროშურა თბილისში ა. საბუელის ფასედნინმით გამოიცა. ამ დროისათვის არჩილ ჯორჯაძე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიაში აღარ ითვლებოდა და ანარქიზმის სერიოზულ გავლენას განიცდიდა. რაც შეეხება მის აგრარულ პროგრამას, იგი თავისი ხასიათით სოციალისტურია, თუმცა პროგრამის ავტორი სოციალისტური ორიენტაციის ავტორებს ბევრ რაიმეში არ ეთანხმება.

ნაშრომის დასაწყისში არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად ურყოფს ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ „გლეხობა ყოველთვის იყო, არის და იქნება სოციალიზმის წინააღმდეგი, იგი ეტრფიალება კერძო საკუთრებას, სცდილობს მის გაფართოებას და ხელში შერჩენას და კომუნისტურ წყობილების დამყარების ყოველთვის შეურიგებელი მტერი იქნებაო." ავტორის განცხადებით, ეს მცდარი დებულება ბურჟუაზიის სამსახურში მყოფმა მეცნიერებმა წამოაყენეს, რასაც ზოგიერთმა სოციალისტმაც დაუჭირა მხარი. ცხოვრებამ ამ დებულების უსაფუძვლობა დაადასტურა, უკვე აღარ მოიპოვებოდა, როგორც არჩილ ჯორჯაძე წერდა, „არც ერთი სოციალისტური მიმართულება, რომელსაც არ ჰქონდეს გათვალისწინებული გლეხთა მდგომარეობა და რომელსაც არ სურდეს მისი მიმხრობა და ჩათრევა სოციალისტურ მოძრაობის ფარგალში".

არჩილ ჯორჯაძე არ ეთანხმება სოციალისტური პარტიების აგრარულ პროგრამას და სვამს კითხვებს: „ჩვენ რაღა გზას ვადგევართ? რაღას ვურჩევთ გლეხებს, რა საშუალებას და იარაღს ვაძლევთ ხელში მონობის ჯაჭვთა დასამსხვრევად?" ამ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში არჩილ ჯორჯაძე აკეთებს საყვებით სწორ დასკვნას: „გლეხის დაქვეითება უკიდურესობამდე მიიდა, მოიჯარადრეა იგი, დროებით ვალდებული, ხიზანი თუ წვრილი მესაკუთრე, ყოველის მხრიდან შებოჭილი და დამონებულია." გლეხის ამ მდგომარეობამდე მიყვანა, ავტორის აზრით, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგი იყო: „კაპიტალისტურმა ევოლუციამ თავისი დალი სოფელსაც დაასვა. ამ ევოლუციის გაველინით მეტად გართულდა მინის მფლობელების ურთიერთობა. გართულებასთან ერთად, საკუთრების მფლობელობა ფრიად მოძრავი შეიქნა, – ხან ერთ ხელში გადადის, ხან – მეორეში. რომ დააკვირდეთ სოფელს, ჩვენებურს და ევროპაისას, იქ დღეს ორ ეკონომიურ კლასს კი აღარ პპოვებთ,

არამედ მეტსაც." ამ დებულებას რომ განაერცობს, არჩილ ჯორჯაძე წერს: „სოფელში სხვადასხვა შეძლების მესაკუთრეთა შორის ქიშპობა და უთანხმოებაა. ქიშპობა არსებობს არა მარტო გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, არამედ სხვადასხვა შეძლების გლეხთა შორისაც. ამ უთანხმოებისა და ქიშპობის გამო გლეხობის ის ნაწილი იჩაგრება, რომელიც თავისი მარჯვენით ამუშაებს მიწას და რომელიც ბევრ მიზეზთა და განსაკუთრებით კი მიწის სივიწროვის გამო სილარიბეშია ჩავარდნილი და ამიტომ საშუალო და მსხვილ მემამულეთა გამუდმებულ დამოკიდებულებაშია". როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე სავსებით ნათლად მიანიშნებს, რომ გლეხობა ერთიანი კლასი აღარ არის, იგი ფენებად არის დაშლილი, რომელთაგან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მცირემინიანი უღარიბესი გლეხობაა.

საქართველოს სოფელში შექმნილ ვითარებას რომ ახასიათებს, არჩილ ჯორჯაძე რამდენიმე საყურადღებო დებულებას გვთავაზობს:

1. „შეძლებულობის მხრივ სათავეში დიდი მამულის პატრონი სდგას. მართალია, დიდი მამულის პატრონი ჩვენში ისე არ არის შეიარაღებული ცოდნითა და კაპიტალით, როგორც დასაველეთ ევროპაში";

2. „ჩვენში ძალიან ცოტაა „სამაგალითო ფერმები" ინტენსიური ხასიათის მეურნეობა თითქმის არ არსებობს, ქიმიურ სასუქს ჯერ არა ხმარობენ და სამკალი, სალეწი და სხვა ამგვარი მანქანები, რომელიც ას კაცის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებს, აქა-იქ თუ მოიპოვება";

3. „დიდ მემამულეს თანა სდევს საშუალო შეძლების მემამულე. ამ რიცხვში ქართველ თავადაზნაურობის უმრავლესობაა, ხოლო ამ მემამულეთა ჯგუფს ბევრი არა-აზნაურიც ეკუთვნის. გლეხებიც და ვაჭრებიც არიან საშუალო შეძლების მემამულენი";

4. „ამ ორ კატეგორიის მემამულეთა იქით იწყება სოფლის ღარიბ-ღატაკთა სამეფო: დროებით ვალდებული გლეხები, მოიჯარადრენი, წვრილი მესაკუთრენი, მოჯამაგირენი და სხვა. ესენი თავიანთის შრომით ირჩენენ თავს, ხოლო ყველანი დიდ-საშუალო მემამულეთა დამოკიდებულებაში არიან".

არჩილ ჯორჯაძეს დიდ უსამართლობად მიაჩნდა ის, რომ გლეხობა ბატონყმობის გადმონაშთებიდან ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული და იურიდიულად თავისუფალი გლეხი „უფრო ყმას მიაგავს, ვიდრე თავისუფალ ადამიანს."

არჩილ ჯორჯაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: „რა გვარი უნდა იყოს გლეხთა სასარგებლოდ მოქმედება? ჯერ ძველი ნაშთებისაგან უნდა გათავისუფლდეს გლეხი, ჯერ უნდა მომზადდეს სოფელში ბურჟუაზიული ნიადაგი კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის, თუ ეხლავე უნდა იყოს მიღებული ზომები ბატონ-ყმობის ნაშთების ამოსაგდებადაც და კაპიტალისტურ დამონების მოსპობისათვისაც. ახლავე უნდა მიეცეს გლეხს სანარმოვო იარაღი – მინა. ტყე და მინის გულში დამარხული ყოველი სიმდიდრე, მადნეულობა, თუ დროებით პატარ-პატარა გაუმჯობესებით დაკმაყოფილდეს იგი?" ამ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ავტორი აუცილებლად თვლის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის აგრარული პროგრამების განხილვას. ამ პარტიების აგრარული პროგრამების ძირითადი დებულებები არჩილ ჯორჯაძეს მიუღებლად მიაჩნია. მისი აზრით, აგრარული საკითხის გადაჭრის გზა ასეთი იყო:

1. „ახლა კი უნდა განვმარტოთ ის, რომ გლეხ-კაცობის ხსნა კერძო საკუთრების სისტემის გაუმჯობესებაში კი არ არის, არამედ კერძო საკუთრების გაუქმებასა და მინის მფლობელობის განსაზოგადოებრივებაშია";

2. „ჩვენ მომხრენი ვართ მინის საზოგადო მფლობელობისა ჯერ იმიტომ, რომ იგი ფორმაა საზოგადო წარმოებისა (...), ხოლო იქ, სადაც საზოგადო წარმოება დამყარდება, საზოგადო მფლობელობა სავალდებულო უნდა იყოს."

არჩილ ჯორჯაძე დანერილებით არჩევს ევროპისა და რუსეთის სოციალისტურ პარტიებში აგრარული საკითხის გადაჭრის გზებს: მინის სოციალიზაციას, მინის კოოპერაციას და მინის ნაციონალიზაციას. ავტორი მინის სოციალიზაციას უჭერს მხარს და აცხადებს: „არც ერთი საბუთი არ არის, რომელსაც შეეძლოს დარღვევა იმ აზრისა, რომ გლეხმა დღესვე უნდა დაიპყროს ხელში მინა და მისი მფლობელობა საზოგადოებრივი გახადოს." ამასთან ერთად, არჩილ ჯორჯაძეს სწამდა, რომ „მინის სოციალიზაცია განხორციელდება რევოლუციონურ ექსპროპრიაციის საშუალებით და არა კანონმდებლობის მეოხებით." როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე აგრარული საკითხის გადაჭრის რევოლუციური გზის მომხრე იყო.

არჩილ ჯორჯაძის აგრარული პროგრამა არ შეიძლება ორიგინალურ პროგრამად მივიჩნიოთ. იგი ევროპასა და რუსეთში გავრცელებული სოციალისტური აზროვნების შედეგია, ხოლო აგრარული საკითხის გადაჭრის გზების ძიებისას მშვიდობიან (ევროპულ) გზას უპირატესს და მხარს უჭერს რევოლუციურ (რუსულ) გზას.

§6. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა

რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ.) მიღებულ პროგრამაში დასახული აგრარული საკითხის გადაჭრის გზები რომ ვეღარ აკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნებს, ეს ცხადად დაადასტურა 1905 წელს აზვირთებულმა აგრარულმა მოძრაობამ. რსდმპ ორივე ფრაქციის გადაწყვეტილებით, აგრარულ პროგრამაში ცვლილებები უნდა შეეტანა პარტიის IV ყრილობას.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10 (23) აპრილიდან 25 აპრილამდე (8 მაისამდე) სტოკჰოლმში. ყრილობას ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 22 დელეგატი სათათბირო ხმით, 12 წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ბუნდი, ლატვიის, უკრაინის, ფინეთის, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები). ფრაქციების მიხედვით, დაახლოებით 62 ხმა ეკუთვნოდათ მენშევიკებს, 46 კი – ბოლშევიკებს. რამდენიმე გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ შემრიგებლებს (ე. წ. „ცენტრს"), რომლებიც ძირითად საკითხებში მენშევიკებს ემხრობოდნენ.

აგრარულ საკითხზე ყრილობამ ორი მოხსენება მოისმინა: **ვლადიმირ ლენინისა და პიოტრ მასლოვისა**, რომელიც ყრილობაზე **ჯონის** ფსევდონიმით გამოდიოდა. ლენინის მოხსენება დღემდე აღმოჩენილი არ არის. ცნობილია, რომ მან ყრილობაზე დაიცვა და განავითარა შეხედულება, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მის მიერ 1906 წლის მარტში დაწერილ ბროშურაში **„ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა"**.

პიოტრ მასლოვის (1867-1946) მოხსენება მოკლე, მაგრამ ძალზე ტევადი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან ყურადღება გაამახვილა გლეხთა მოძრაობაზე გურიაში, საქართველოს მასალა გამოიყენა მტკიცებისათვის. მოხსენების არსი მასლოვმა ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენი პროგრამა უნდა ისახავდეს სამ მიზანს: 1. იგი არ უნდა ენინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის ინტერესებს. ამისათვის კი აუცილებელია მისი მონაწილეობა კონფისკაციაქმნილი მინების გამგებლობაში; 2. მან არ უნდა შეაჩეროს მნარმოებელი ძალების განვითარება. ამისათვის კი არასასურველია მთელი კონფისკაციაქმნილი მინების დანაწილება; 3. პროგრამის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს კონტრრევოლუცია". მასლოვის შემდეგ სიტყვა აიღო **გიორგი პლეხანოვმა**. მან არ გაიზიარა მინის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, რომელსაც დიდი თავგანწირვით იცავდა ლენინი. პლეხანოვმა განაცხადა: „ჩვენმა პროგრამამ უნდა მოსპოს ცარიზმის ეკონომიკური საფუძვლები. რევოლუციის პერიოდში მინის ნაციონალიზაცია კი არ სპობს ამ საფუძვლებს. ამიტომ მე მინის ნაციონალიზაციის მოთხოვნას ვთვლი ანტირევოლუციურ მოთხოვნად".

ბოლშევიკების ფრაქციიდან პიოტრ მასლოვისა და გიორგი პლეხანოვის წინააღმდეგ ყველაზე სერიოზული არგუმენტაციით იოსებ **ჯუღაშვილი** გამოვიდა. სიტყვის დასაწყისში მან პლეხანოვს შეუტია: „უწინარეს ყოვლისა ვიტყვი ზოგიერთი ამხანაგის არგუმენტაციის მეთოდების შესახებ. ამხ. პლეხანოვმა ძალიან ბევრი ილაპარაკა ამხ. ლენინის „ანარქისტულ ჩვეულებაზე", „ლენინიზმის დამღუპველობაზე" და სხვა და სხვა, მაგრამ აგრარულ საკითხზე არსებითად ძალიან ცოტა გვითხრა. ამავე დროს კი იგი წამოყენებულია ერთ-ერთ მომხსენებლად აგრარულ საკითხზე. ვფიქრობ, რომ არგუმენტაციის ასეთი წესი, რომელსაც გაღიზიანების ატმოსფერო შემოაქვს, გარდა იმისა, რომ ენინააღმდეგება ხასიათს ჩვენი ყრილობისას, რომელსაც გამაერთიანებელი ეწოდება, სრულებით არაფერს არკვევს აგრარული საკითხის დაყენებაში. ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა ზოგი რამ ამხ. პლეხანოვის კადეტურ ჩვეულებაზე, მაგრამ ამით ერთი ნაბიჯითაც ვერ ვაიწევდით წინ აგრარული საკითხის გადაწყვეტაში". თუ პლეხანოვს სტალინი მაინც ზოგადად ეკამათებოდა, უფრო კონკრეტული იყო მისი შენიშვნები მასლოვის მიმართ. სტალინი აღნიშნავდა: „ჯონი, ემყარება რა ზოგიერთ ცნობას გურიის, ლატვიის მხარის და სხვ. ცხოვრებიდან, დაასკვნის, რომ მთელი რუსეთისათვის მისაღებია მუნიციპალიზაცია. უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ, პროგრამას ასე არ ადგენენ. პროგრამის შედგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა ზოგიერთი განაპირა მხარის ზოგიერთი ნაწილის სპეციფიკურ ნიშნებს, არამედ რუსეთის ადგილთა უმრავლესობის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს: პროგრამა, რომელშიც მთავარი ხაზი არ არის, პროგრამა კი არა, სხვადასხვა დებულებათა მექანიკური შეერთებაა. სწორედ ასეთია ჯონის პროექტი". აგრარული პროგრამის საკუთარი ვარიანტი სტალინმა ასე წარმოადგინა: **„ჩვენი პროგრამის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს შემდეგი დებულება: ვინაიდან ჩვენ ვდებთ დროებით რევოლუციურ კავშირს მებრძოლ გლეხობასთან, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია, მაშასადამე, ანგარიში არ გაეუწიოთ ამ გლეხობის მოთხოვნას – ამიტომ მხარი უნდა დაეუჭიროთ ამ მოთხოვნებს, თუ ისინი საერთოდ და მთლიანად არ ენინააღმდეგებიან ეკონომიური განვითარების ტენდენციებს და რევოლუციის მსვლელობას. გლეხები მიწის განანილებას მოითხოვენ. განანილება არ ენინააღმდეგება ზე-**

მოალნიშნულ მოვლენებს. მაშასადამე, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ სრულ კონფისკაციასა და განაწილებას. ამ თვალსაზრისით ნაციონალიზაციაც და მუნიციპალიზაციაც ერთნაირად მიუღებელია. მუნიციპალიზაციის ან ნაციონალიზაციის ლოზუნგის ნამოყენებით ჩვენ არაფერს არ ვიგებთ და შეუძლებელს ვხდით პროლეტარიატთან რევოლუციური გლეხობის კავშირს. ვინც ლაპარაკობს განაწილების რეაქციულობაზე, ერთმანეთში ურევს განვითარების ორ სტადიას: კაპიტალისტურსა და წინაკაპიტალისტურს. უეჭველია, რომ კაპიტალისტურ სტადიაში განაწილება რეაქციულია, მაგრამ წინაკაპიტალისტურ პირობებში (მაგალითად, რუსეთის სოფლის პირობებში) განაწილება საერთოდ და მთლიანად რევოლუციურია".

აგრარულ საკითხზე პიოტრ მასლოვის პროგრამის დაცვის მიზნით საყურადღებო სიტყვით გამოვიდა ისიდორე რამიშვილი. მან აზრი გამოთქვა ყრილობაზე წარმოდგენილი აგრარული პროგრამის სამი ვარიანტის (ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის, დაყოფის) შესახებ: „საზოგადოებრივი განვითარების იმ პირობებისათვის, რომელშიაც ახლა იმყოფება რუსეთი, ნაციონალიზაცია არა მარტო სასარგებლო არ არის, არამედ, შეიძლება ითქვას, საესებით საზიანოა. ფლობისა და სარგებლობის ამ ფორმის მომხრეები მისი განხორციელების შესაძლებლობას უშვებენ არა ამჟამად, არამედ მაშინ, როცა ჩვენთან დამყარდება სრული დემოკრატიული რესპუბლიკა. მანამდე კი მინის ნაციონალიზაცია გლეხობისათვის იქნება მხოლოდ ლოზუნგი: ამდენად, საკითხი წყდება ასე: თავდაპირველად უნდა უზრუნველყო პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო შემდეგ მოჰკიდო ხელი აგრარულ საკითხს. როგორც ყველაფერი, ამ ამხანაგებს ეს საკითხიც დაჰყავთ შემდეგზე: ან ყველაფერი ერთად, ან საერთოდ არაფერი: დემოკრატიული რესპუბლიკა და მასთან ერთად გლეხობის განთავისუფლება, ანდა საერთოდ არაფერი არ უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით". ისიდორე რამიშვილმა თვით დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც გაუმართლებლად მიიჩნია მინის ნაციონალიზაცია: „მინის გადაცემა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშიც კი აძლიერებს ცენტრალურ მთავრობას. ეს კი ყოველთვის არ ახდენს კეთილმყოფელ გავლენას ხალხის ინტერესებზე, რომელიც მინის ნაციონალიზაციის წყალობით კარგავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობას". აგრარული პროგრამის სამი ვარიანტიდან, ისიდორე რამიშვილის აზრით, ყველაზე უფრო მისაღები იყო „კონფისკაციაქმნილი მიწების მუნიციპალიზაცია", რადგან მიწისმფლობელობის ეს ფორმა „გლეხობას აღეიძებს დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი საქმის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის", რასაც, ქართველი დელეგატის აზრით, პოლიტიკური გაგებით აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნებოდა.

ლენინის აგრარული პროგრამის პროექტის დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნოე ჟორდანიამ. მან განაცხადა: „ნაციონალიზაცია წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას და მინის სახელმწიფოსათვის გადაცემას. ამრიგად, ამ რევოლუციაში ჩვენ გლეხობას უნდა წავართვათ კერძო საკუთრება და გამოვაცხადოთ მისი ნაციონალიზაცია. შესაძლებელია ეს თუ არა? გლეხთა მოძრაობა – ეს ერთი შტოა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მოძრაობისა. გლეხობა იბრძვის მემამულური საკუთრების წინააღმდეგ ბურჟუაზიული საკუთრებისათვის. რა გზით შეიძლება ბრძოლა საკუთრებისათვის გადაიქცეს საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლად? რა გზით შეიძლება გლეხმა, წერილმა მესაკუთრემ შეწყვიტოს წვრილ ბურჟუად ყოფნა? ფანტაზია არ არის ეს, ამხანაგებო? ცხადია, ნაციონალიზაცია ეწინააღმდეგება მოვლენათა მთელ მსვლელობას და ამიტომაც იგი უტოპიაა. უტოპიაც არის და უტოპიაც. ზოგიერთი მათგანი სასარგებლოა, ზოგიერთი – საზიანო. ნაციონალიზაცია კი ყველაზე საზიანოა. გლეხობასთან ნაციონალიზაციით მისვლა ეს იმას ნიშნავს, რომ თავი გარიყო მათგან. გლეხთა მოძრაობა ნაცა ჩვენი გვერდის ავლით, ან ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ რევოლუციისაგან მოშორებულნი აღმოვჩნდებით. ნაციონალიზაცია აუძლურებს სოციალ-დემოკრატიას, მოჰკვეთს მას გლეხობისაგან და ამრიგად, დაუძლურებს რევოლუციასაც". მხარი დაუჭირა რა მუნიციპალიზაციას, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „კონფისკაციაქმნილი მიწები, რა თქმა უნდა, მუნიციპალიზირებული უნდა იქნეს. გლეხური მეურნეობისათვის ბევრი მინაა აუცილებელი (ჩამონაჭრები, ხიზნების და სხვ.). ამიტომ კონფისკაციაქმნილი მიწების ნაწილი უნდა დაუბრუნდეს გლეხობას, ნაწილი უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას. ჩვენი მიზანია, დავიცვათ გლეხობა არა როგორც მესაკუთრე, არამედ როგორც მოქალაქე".

ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძემ (ცოროხიოვმა) ძირითადად მხარი დაუჭირა მასლოვს, თუმცა მიუღებლად მიიჩნია ზოგიერთი დასკვნა როგორც მასლოვის, ისე ლენინის პროგრამის პროექტებში. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა ამოდის ერთი და იმავე დასკვნიდან: „გლეხობა არ ისურვებს მიტაცებული მიწის გადაცემას არც სახელმწიფოსათვის და არც მუნიციპალიტეტებისათვის". საკითხის ასე დაყენება ქართველმა დელ-



ბიკენტი (ფოლა) ლომთათიძე

ეგატმა არ მიიჩნია სწორად. მან აღნიშნა: „ნუთუ გლეხობის სურვილი ჩვენთვის კანონია? ჩვენ უნდა გამოვიდეთ პროლეტარიატის ინტერესებიდან. მიიღებს თუ არა გლეხობა ჩვენს რჩევას, ეს სხვა საკითხია" შემდეგ ლომთათიძე შეეხო გურიის გლეხთა მოძრაობას. კერძოდ, მან აღნიშნა: „ამტკიცებდა რა მისი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას, ამხ. ჯონმა, როგორც მაგალითი, მოიყვანა გურია. ამ დამონმებამ ამხ. ივანოვიჩს (იოსებ სტალინი ვ. გ.) მისცა საბაბი, გურიის შესახებ გაეკეთებინა რამდენიმე შენიშვნა. გურიის შესახებ, – თქვა მან, – აერცელებენ უამრავ ზღაპარს. ერთი ასეთი ზღაპარი, ჩანს, დაიბეჭდა «Новая жизнь»-ში, ხოლო მეორე ზღაპარს გურიის შესახებ თვითონ ივანოვიჩი ჰყვება. პირველ შემთხვევაში დამნაშაულია ბოლშევიკური გაზეთი, მეორეში – ამხანაგი ბოლშევიკი. რა შუაშია აქ ირონია გურიის მისამართით? ივანოვიჩი ამბობს, რომ გურიაში რევოლუციური თვითმმართველობა არ იყო, არამედ იყო რევოლუციური თვითმმართველობები. მერე რა – ესე იგი იყვნენ? იყო ოზურგეთის საქალაქო რევოლუციური თვითმმართველობა, არჩეული ოთხნეერიანი ფორმულის საფუძველზე, იყო თვითმმართველობები სოფლებში" ბიკენტი ლომთათიძის მიერ იოსებ ჯუღაშვილის ასეთი ფორმით მოხსენიებამ გამოინვია ამ უკანასკნელის რეპლიკა: „მე გიპასუხებთ თქვენ თავის დროზე" განმარტა რა გურიაში გლეხთა მოძრაობის ზოგიერთი დეტალი, ლომთათიძემ დაასკვნა: „რაც შეეხება საერთოდ რუსეთს მთლიანობაში აღებულს, მე შემიძლია დაეადასტურო ერთი რამ: გლეხობას სურს მინის მიღება და იგი მიაღწევს ამას. რა იქნება შემდეგ, დაეთანხმება იგი მინის სახელმწიფოსათვის გადაცემას თუ მუნიციპალიზაციას, ძნელი სათქმელია. მე პირადად მხარს ვუჭერ მუნიციპალიზაციას დანანილებით. შემიძლია დაეუმატო ერთი რამ. თუ ჩვენ სოფლად ვამარცხებთ სოციალისტ-რევოლუციონერებს, ეს ძირითადად ხდება იმის გამო, რომ ჩვენს გლეხობას აზრი სოციალიზაციის სიკეთის საერთო მოხმარების შესახებ მიაჩნია ეელურად"

აგრარულ საკითხზე თავის დასკვნით სიტყვაში ლენინმა მიუღებლად მიიჩნია მინის მუნიციპალიზაცია და შეეცადა დაეცვა ნაციონალიზაციის მოთხოვნა. თაეისი პოზიცია არ შეუცვლია არც მასლოვს, პლეხანოეიც მტკიცედ იდგა თავის შეხედულებაზე. საბოლოოდ ყრილობამ აგრარულ საკითხზე სამი დოკუმენტი მიიღო: „აგრარული პროგრამა", „ტაქტიკური რეზოლუცია აგრარულ საკითხზე" და „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ" შემოთავაზებული სამი პროექტიდან (ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია, დანანილება) ყრილობამ მხარი დაუჭირა **მუნიციპალიზაციას**.

თავი VI. გურიის რესპუბლიკა

რევოლუციური მოძრაობა გურიაში (ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში), რომელიც უწყვეტად მიმდინარეობდა 1905 წელს, არ შეიძლება გლეხთა მოძრაობასთან, აგრარულ მოძრაობასთან გაიაიგივოთ. აგრარულ მოძრაობას თავისი პროგრამა აქვს და იგი ძირითადად სოციალური და ეკონომიკური ხასიათის საკითხებით შემოიფარგლება. რევოლუციური მოძრაობა გურიაში, რომლის წამყვან ძალას გლეხობა წარმოადგენდა, იმით იყო განსაკუთრებული, რომ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან ერთად გლეხობამ ისეთი პოლიტიკური საკითხების გადაჭრა მოითხოვა, რომლებიც ძალზე პოპულარული იყო რუსეთის იმპერიაში. გურია იმ მხრივაც იყო გამორჩეული, რომ სახელმწიფო დაწესებულებებისა და ხელისუფლების ორგანოების მიმართ ბოიკოტთან ერთად შეიქმნა ხელისუფლების რევოლუციური ორგანოები, რომლებიც ხალხის ნებას გამოხატავდა და ხალხის სახელით იღებდა ყველა გადაწყვეტილებას. იგივე ითქმის სასამართლოზეც. ხელისუფლების ორგანოები როგორც სოფლებში, ისე მთელ ოზურგეთის მაზრის მასშტაბით, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ფუნქციადაკარგული და მის დანიშნულებას სახალხო ხელისუფლება ასრულებდა. მთელ საქართველოში გურია იქცა განსაკუთრებულ რეგიონად, რომელსაც თანამედროვენი სამართლიანად უწოდებდნენ **გურიის რესპუბლიკას**.

§1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი გურიაში

პირველი საგანგაშო სიგნალი ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს გურიაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1905 წლის 20 იანვარს მიაწოდა. ორი კვირის შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იმავე ადრესატს კიდევ უფრო საგანგაშო ცნობებს ანვდიდა:

1. 1905 წლის 20 იანვრის შემდეგ ვითარება ოზურგეთის მაზრაში სულ უფრო უარესდებოდა და ამჟამად იქ სრული ანარქია სუფევს; მაზრაში მთელ ძალაუფლებას „კომიტეტები" (იგულისხმება რევოლუციური ხელისუფლების ორგანო – გლეხობის მიერ არჩეული კომიტეტები – ვ. გ.) და მათი წარმომადგენლები ფლობენ;

2. ოზურგეთის მაზრაში ხელისუფლების ორგანოების აღდგენა მხოლოდ იმ ადგილებში ხდებოდა შესაძლებელი, სადაც ჯარი (ქაზაკები) და პოლიცია (პოლიციის სტრაჟნიკები) შეჰყავდათ;

3. სოფლის მამასახლისებმა და სასოფლო მმართველობის მწერლებმა ოზურგეთის მაზრის უფროსს განუ-ცხადეს, რომ მათ მოვალეობის შესრულება აღარ შეუძლიათ და უფლებამოსილებას იხსნიან, რადგან ყოველდღიურად განიცდიდნენ მოსახლეობის მხრიდან უკანონო ძალმომრეობას, რის შედეგადაც ბევრი მამასახლისი და მწერალი საერთოდ გააძევეს სოფლებიდან;

4. ოზურგეთის მაზრაში მივლინებული პოლიციის 8 პრისტავიდან ერთი, **კოსტავა**, მოკლეს, მეორე, **კვაშალი**, დაჭრეს, ორმა მათგანმა, **ქაჟაია-რაძემ** და **ნაკაშიძემ**, გადადგომა ითხოვეს. კიდევ ორმა, **არსენიშვილმა** და **ყიფიანმა**, პროკურორის ამხანაგს (მოადგილეს) განუცხადეს, რომ ისინიც გადადგომას აპირებდნენ. გურიანთის უბნის პრისტაჟი სალაყაია ოზურგეთში ჩავიდა, მაგრამ სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდა.

5. პოლიცია რევოლუციონერების შესახებ ცნობების შეგროვებას და მონმეების გამოძახებასაც კი ვერ ბედავს. დამნაშავენი აშკარად დასცინიან და არ ემორჩილებიან პოლიციელებსა და მოსამართლეებს, 1905 წლის დამდეგიდან დღემდე ოზურგეთის მომრგებელმა მოსამართლემ სულ 3 საქმე აღძრა, რომლებიც მემამულეებს შორის დავას ეხებოდა. გლეხების შესახებ საქმეები სასამართლოში არ აღძრულა, გლეხობა სასამართლოს არად აგდებს, სასამართლოში დაბარებულები მოსამართლესთან არ ცხადდებიან;

6. ოზურგეთში თანამდებობის პირთა მდგომარეობას კარგად ახასიათებს ერთი ფაქტი: არც ერთმა მეკუბოვემ მოკლული მომრიგებელი შუამაელის, თაად **ნაკაშიძისათვის**, კუბოს დამზადებაზე შეკვეთა არ მიიღო. მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ კომიტეტმა ნაკაშიძისათვის კუბოს დამზადება აკრძალაო. ოზურგეთელმა მეეტლეებმა დაკრძალვის დღეს ნაკაშიძის ნათესავების გადაყვანაზე უარი თქვეს, ხოლო მიცვალებულისათვის პანაშვიდის გადასახდელად მინეული სამი მღვდლიდან მხოლოდ ერთმა გაბედა მისვლა და მანაც პროკურორის ამხანაგ **ნაზაროვს** განუცხადა, რომ პანაშვიდზე მომავალმა, სანამ ნაკაშიძის სახლამდე მოვიდოდა, მუქარის სამი წერილი მიიღო. ბოლოს, როგორც იქნა, კუბო ნაკაშიძისათვის ქუთაისიდან ჩატანეს, თუმცა პანაშვიდზე დასწრება კომიტეტის შიშით ვერავინ გაბედა. პირველი პანაშვიდი ოზურგეთში ნაზაროვის ყოფნისას ჩატარდა, და მას, ნაზაროვის გარდა, კიდევ ორი მოხუცი ქალი დაესწრო;

7. ოზურგეთის მაზრის ორივე უბნის გამომძიებლებმა, **ხარაზოვმა** და **კრასნოვმა**, ოზურგეთის მაზრის სასამართლოს მიმართეს

და „ავადმყოფობის" გამო შვებულება ითხოვეს. პროკურორის ამხანაგმა ნაზაროვმა სცადა გამომძიებელი ხარაზოვი თანამდებობაზე დარჩენაზე დაეთანხმებინა, რაზეც გამომძიებელმა ასეთი პასუხი გასცა: თუ შვებულებას არ მომცემენ, დაუყოვნებლივ გადავდგები თანამდებობიდან და ოზურგეთიდან წავალო. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი შემფოთებული იყო, რადგან ხარაზოვისა და კრასნოვის შემცველები გამომძიებლები არ ჰყავდა. კიდევ უფრო აშფოთებდა პროკურორს ის, რომ ნაკაშიძის, ხარაზოვისა და კრასნოვის შემცველები კიდეც რომ ეპოვა, ისინი ოზურგეთში ნასვლაზე უარს იტყოდნენ;

8. 1 თებერვალს, საღამოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბოგორროდსკიმ ორი ანონიმური ნერილი მიიღო. მოსამართლეს მოკლედ ემუქრებოდნენ, თუ სასამართლო სხდომებს არ შეწყვეტდა და საოლქო სასამართლოს კანცელარიას არ დახურავდა. ბოგორროდსკი ისე შეშინდა, რომ ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ ალექსეი სმაგინს სასამართლოს ეზოში კაზაკთა პოსტის, ხოლო მის საცხოვრებელ სახლთან სტრაჟნიკების დაყენება სთხოვა;

9. შექმნილ ვითარებაში ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამსვლელი სხდომის ოზურგეთში ჩატარება, რომელიც 8 თებერვალს იგეგმებოდა, არასასურველი იყო. სასამართლოს უნდა განეხილა პოლიტიკური მკვლელობების საქმე. და ეს მაშინ, როდესაც ოზურგეთის პოლიციას მოსახლეობის მხრიდან სასამართლოზე ძალმომრეობის აღკვეთის შესაძლებლობა არ ჰქონდა;

10. 2 თებერვალს უშუალოდ თბილისში გასაგზავნი მოხსენების შედგენისას ქუთაისის საოლქო პროკურორისათვის ოზურგეთიდან დეპეშით უცნობებიათ: ორ სხვადასხვა ადგილას თავს დაესხნენ სტრაჟნიკების რაზმს, რამდენიმე სტრაჟნიკი დაჭრეს, და იარაღი წაართვეს; მოკლის მიზნით თავს დაესხნენ ორ მამასახლისს და დაარბიეს ორივე სოფლის კანცელარია; მოკლეს მემამულე ურუშაძე;

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს მოახსენებდა, რომ გამოსავალს იგი იმაში ხედავდა, რომ ოზურგეთის მაზრაში ჯარის დიდი კონტინგენტი შეეყვანათ და მაზრაში 3-4 თვით სამხედრო მდგომარეობა გამოეცხადებინათ. პროკურორი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა დამსჯელი ექსპედიციებისა და სამხედრო-საველე სასამართლოების ამოქმედებას. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი მთელი კატეგორიულობით აცხადებდა: მის მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებების გადადება არ შეიძლებოდა, რადგან ამ ღონისძიებების გატარება ბოლოს მაინც აუცილებელი გახდებოდა, ხოლო დაგვიანება კიდევ უფრო დასცემდა ხელისუფლების პრესტიჟს და ხელისუფლების ერთგული ადამიანების სიცოცხლესაც შეიწირავდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მიში საფუძვლიანი აღმოჩნდა: 1905 წლის 6 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვლასოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა:

1. 4 თებერვალს ოზურგეთში შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი თავს დაესხა ოზურგეთის მაზრის პრისტავის სახლს. სროლის შედეგად არავინ დაღუპულა;

2. მდგომარეობა ოზურგეთის მაზრაში უკიდურესად საშიშია. მუდმივმა მკვლელობებისა და მკვლელობის მუქარის გამო მაზრის ხელისუფლება უძლური შეიქნა. სოფლის მამასახლისები მხოლოდ ნომინალურ ძალაუფლებას ფლობენ;

3. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამსვლელი სხდომა, რომელიც ოზურგეთში უნდა გამართულიყო, გადაიდო, რადგან არ არსებობდა უსაფრთხოების გარანტია;

4. სასამართლოს გამომძიებლები შეშინებულნი არიან და უარს ამბობენ ქალაქ ოზურგეთსა და მაზრაში დარჩენაზე;

5. აუცილებელია სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რაზეც თანახმაა ქუთაისის გუბერნატორი.

1905 წლის 7 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ დეპეშა გაუგზავნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიგინს, რომელშიც ოზურგეთის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარების ნებართვას ითხოვდა. დეპეშაში აღნიშნულია:

1. გურიაში ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა ჯერ კიდევ 1902 წელს დაიწყო, ამჟამად კი ოზურგეთის მაზრაში და მის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე დაწყებულმა მოძრაობამ შეიარაღებული აჯანყების ხასიათი შეიძინა, რაც ხელისუფლებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობაში, სახელმწიფო მოხელეების, მემამულეებისა და სამღვდელოების წარმომადგენელთა მკვლელობაში გამოიხატა;

2. რევოლუციონერებმა მოსახლეობა გაათავისუფლეს იმპერატორისადმი მიცემული ფიცისაგან და რევოლუციური კომიტეტის ერთგულებაზე

აფიცებენ;

3. ოზურგეთის მაზრიდან სახელმწიფო მოხელეები გარბიან;

4. დღემდე გატარებულმა ღონისძიებებმა, მათ შორის, ჯარის გამოყენებამ, შედეგი არ გამოიღო;

5. აუცილებლად და გადაუდებლად მიმაჩნია ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრასა და მის მოსაზღვრე სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში საგანგებო ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ხსენებული მაზრები უნდა გამოეიდნენ ქუთაისის გუბერნატორისა და ყარსის ოლქის უფროსის დაქვემდებარებიდან, რათა დაექვემდებარონ იქ მიელინებული ჯარის მეთაურ გენერალს, რომელსაც ჯარის მეთაურობის გარდა, სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაც დაეკისრება;

6. შექმნილი ვითარებიდან სასურველია ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა.

1905 წლის 12 თებერვალს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრ ბულიგინი დაეთანხმა გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას 1906 წლის 7 თებერვლის დეპეშაში გამოთქმულ მოსაზრებებს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და თავისი გადაწყვეტილება აცნობა კიდეც იაკოვ მალამას.

§2. ხელისუფლების ღონისძიებანი გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით

1905 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ **ვლადიმირ ალფტანს**, რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის სარკინიგზო ხაზების დაცვის უფროსად, აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა დამატებითი ჯარები, რათა ჩაეხშო რევოლუციური გამოსვლები სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შოროპნის მაზრებში. ალფტანს მიუთითეს ის პუნქტები, სადაც ჯარი უნდა ჩაეყენებინა: ქალაქი **ფოთი** – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეული; ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 0,5 ასეული; დაბა **ოზურგეთი** – არტაანის 260-ე ქვეითთა პოლკის 2 ასეული; დაბა **ხონი** – ფოთის ქვეითთა სარეზერვო პოლკის 257-ე ასეულის საყარაულო სამსახურის რაზმი; დაბა **ახალი სენაკი** – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; დაბა **ყვირილა (ზესტაფონი)** – გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; სოფელი **ჩოხატაური** – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული; სოფელი **ლანჩხუთი** – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული;

1905 წლის 12 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა **იაკოვ მალამამ** განკარგულება გაუგზავნა გენერალ-მაიორ **მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის**, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯარების ყველა სახეობისაგან ჩამოყალიბდა **რაიონის რაზმი**, რათა მისი მეთაურობით ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობა ჩაეხშოთ. განკარგულების შინაარსი ასეთია: ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით აუცილებელი გახდა რაიონის საგანგებო რაზმის ფორმირება და მისი რკინიგზის სადგურ **ნატანებში** გადასროლა. რაიონის რაზმის შემადგენლობაში უნდა შესულიყო:

ქვეითი ჯარი:

1. ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ბატალიონი, ბატალიონის თითოეულ ასეულში 56 ჯარისკაცის, ოფიცერთა, უნტეროფიცერთა, არასამწყობრო მომზადების რიგითთა და სამედიცინო სამსახურის რიგითთა წესდებით განსაზღვრული რაოდენობით;

2. ელისავეტპოლის ქვეითთა 156-ე პოლკის 2 ბატალიონი, რომლებიც იმჟამად ბათუმში იმყოფებოდნენ და იცავდნენ რკინიგზის ხაზს, 1 შტაბს-ოფიცრის, 22 უფროსი ოფიცრის, 1 ექიმის, 829 რიგითის შემადგენლობით. 155-ე და 156-ე პოლკების 4 ბატალიონი შეადგენდა ნაკრებ რაზმს 155-ე პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი;

3. ყუბის პლასტუნთა მე-2 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 14 რიგითისა და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითებისა და 1 ექიმის შემადგენლობით;

4. ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 11 რიგითის და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითების, სამედიცინო სამსახურის რიგითთა და 1 ექიმის შემადგენლობით.

კავალერია:

5. შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 4 ასეული (რომელთაგან იმჟამად ერთი ბათუმში, მეორე

კი ოზურგეთში იმყოფებოდა), ოთხივე ასეულში შედიოდა 443 კაზაკი, თითოეულ ასეულში იყო 2 ოფიცერი;

6. ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 2 ასეული (რომელებიც იმჟამად იმყოფებოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფლებში ჩოხატაურსა და ლანჩხუთში) 156 კაზაკისა და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით.

ეს 4 ასეული შეადგენდა ნაკრებ რაზმს შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელსაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი.

არტილერია:

7. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეა(4 ქვემეხი 2 ყუთი ყუმბარით) მე-7 სამთო ბატარეის ბრიგადით (2 ქვემეხი 6 ყუთი ყუმბარით), წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, სამწყობრო და არასამწყობრო მომზადების რიგითების შემადგენლობით.

განკარგულებაში მითითებული იყო, თუ რომელი ოფიცრები იგზავნებოდნენ რიონის რაზმის მეთაურის განკარგულებაში, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რა რეზერვი, რა რაოდენობის ტრანსპორტი ეკუთვნოდა რაზმს, როგორ მოამარაგებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სურსათით და ცხენებს – ფურაჟით და სხვ.

1905 წლის 17 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოე მალამამ გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილ გენერალ-მაიორ მაქსუდ(ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ) ავარსკის გურიაში მთავარმართებლის საბჭოს წევრ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მიელინებასთან დაკავშირებით დამსჯელი ექსპედიციის შეჩერების განკარგულება გაუგზავნა. 18 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოე მალამამ მიიღო დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ: ქალაქის თავები, თავადაზნაურობის წინამძღოლები და ქართული პრესის წარმომადგენლები. განიხილეს გურიაში შექმნილი ვითარება. იაკოე მალამა დეპუტაციას დაჰპირდა, რომ ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით გურიაში გაემგზავრებოდა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი.

პეტერბურგში სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით. 1905 წლის 21 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი II-მ მოიწონა მინისტრთა კომიტეტის წინადადებები კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ იაკოე მალამასთვის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო უფლებების მინიჭების თაობაზე. იმპერატორის დასტურის შემდეგ 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში. ამ ტერიტორიაზე გავრცელდეს სამხედრო მდგომარეობით გათვალისწინებული ნესები;

2. კავკასიის მთავარმართებლის მოვალობის შემსრულებელს იმ მაზრებში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, მიენიჭოს სამხედრო მეთაურის უფლებები, ასევე – საგანგებო უფლებები სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რათა აღდგენილ იქნას სახელმწიფო ნესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე;

3. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება მიეცეს თავისი უფლებამოსილება გადასცეს ამისათვის დანიშნულ სამოქალაქო პირს ისე, რომ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს თავისი განკარგულებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ნესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის აღდგენას.

რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის 1905 წლის 22 თებერვლის დადგენილება იმის მაუწყებელი იყო, რომ ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად საგანგებო ღონისძიებები გატარდებოდა.

§3. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობა ოზურგეთის მაზრის შემოქმედისა და ბახვის სასოფლო საზოგადოებებში (წინასწარი ანგარიში)

კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი **ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი** თბილისიდან 1905 წლის 17 თებერვალს გავიდა და გურიაში, კერძოდ, სოფელ ნატანებში, 18 თებერვალს ჩავიდა, სადაც მომდევნო დღეც დარჩა. ნატანებში სულთან კრიმ-გირეი რამდენჯერმე შეხვდა და ესაუბრა რიონის რაზმის მეთაურს, გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის და მისი შტაბის უფროსს. 20 თებერვალს სულთან კრიმ-გირეი ოზურგეთში ჩავიდა, გაეცნო მაზრის პოლიციის სამმართველოს მიერ მიწოდებულ ცნობებს და თავისთან დაიბარა რამდენიმე სოფლის მამასახლისი.

სულთან კრიმ-გირეიმ, პირველ რიგში, ის სოფლები შემოიარა, რომლებშიც მამასახლისები სასოფლო საზოგადოების ყრილობის მიერ იყო არჩეული. თბილისიდან მიელინებული მაღალი

რანგის მოხელე ვარაუდობდა, რომ თუ ამ სოფლებში ვითარების ნორმალიზება მოხერხდებოდა, ეს კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა იმ სასოფლო საზოგადოებებზე, სადაც მამასახლისები ხელისუფლების მიერ იყვნენ დანიშნულნი, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1905 წლის 22 თებერვალს სულთან კრიმ-გირეი **შემოქმედის** სასოფლო საზოგადოების ყრილობას დაესწრო, 23 თებერვალს – **ბახვის** სასოფლო საზოგადოების ყრილობას. ორივე სოფელში შეხვედრები ზუსტად დანიშნულ დროს დაიწყო, შემოქმედში ყრილობას 600 კაცი, ბახვში კი 500 კაცი დაესწრო.

შემოქმედსა და ბახვში კრიმ-გირეიმ თავდაპირველად გლეხების საჩივრები მოისმინა, შემდეგ კი ორივე ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა. კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს ნევრმა სიტყვა ასე დაიწყო: „მოგესალმებით თქვენ, გურიის შვილებო! მე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის არიან ისეთები, რომელთაც ესმით რუსული ენა. მიუხედავად ამისა, მე მსურს, რომ ჩემი სიტყვა მშობლიურ ენაზე მოისმინოთ, რათა უფრო გასაგები იყოს. ჩემს სიტყვებს თქვენ გითარგმნით პიროვნება, რომელსაც მე და ჩემთან ერთად ჩამოსულები კარგად იცნობენ."

კრიმ-გირეიმ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ცდილობდა გურულების გულის მოგებას და აღელვებული ხალხის დამშვიდებას. ამ მიზნით მან ხოტბა შეასხა გურიას და გურულებს. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს მისი გამოსვლიდან:


„– მე მოხარული ვარ ვესტუმრო მშვენიერ გურიას და ახლოს გავიცნო მისი მოსახლეობა. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ჩამოსვლა თქვენ სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ;"

„–გურულები მამაცი და ნიჭიერი ხალხია";

„–თქვენი ახალგაზრდობა – გურიის სიამაყე და იმედია".

თავის სიტყვაში კრიმ-გირეიმ ყურადღება გაამახვილა გურიის მოსახლეობისათვის ისეთ საჭირბოროტო საკითხზე, როგორიც იყო სკოლების უკმარისობა. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ სოფელში ბავშვებმა, სკოლაში რომ მივიდნენ, 5-6 ვერსი უნდა გაიარონ. ამ და კიდევ სხვა სიძნელეების მიუხედავად, სასკოლო ასაკის 3/4¼ მაინც დადის სკოლაში. სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ბევრი ხალხებისათვის სამაგალითო უნდა იყოსო.

სასკოლო განათლებაზე საუბრის შემდეგ კრიმ-გირეი შეეხო საჭირბოროტო და, შეიძლება უთქვას, საშიშ საკითხს: „მე მითხრეს, რომ თქვენ შორის ბევრი ისეთი ადამიანია, რომელსაც თავი გახურებული აქვს. ნუ განსჯით მათ ძალიან მკაცრად, მაგრამ ნურც მათ მოუფიქრებელ მითითებებს შეასრულებთ და მათ მზნებარე მოწოდებებს ცივი გონებით განსჯა დაუპირისპირეთ. ნურც იმ მზრუნველ რუსებს დაუჯერებთ, რომლებიც აქ ყოველგვარი რუსულის სასწარფოდ დანერგვაზე ოცნებობენ. რუსი მზრუნველების მიზანი ძალზე სიმპათიურია, მათ სურთ, რომ დიდი რუსეთის ყველა მცხოვრები, მრავალრიცხოვანი ხალხები შეადგენდნენ ერთ ოჯახს და ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ერთ საერთო ენაზე საუბრობდნენ. მათ სურთ დააჩქარონ თავიანთი მონდომებით ისტორიის მსვლელობა და მხედველობიდან გამორჩათ, ის, რომ გაერთიანების სურვილი ნაყოფიერი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მოხდება." კრიმ-გირეი მსმენელთა გულის მოგების მიზნით კიდევ უფრო შორს წავიდა: „ასეთი ერთობა, მაგალითად, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა დაივიწყოს ყველაფერი ქართული, მშობლიური."



ნიკოლაი სულტან კრიმ-გირეი

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გურიაში შექმნილ ვითარებასაც შეეხო და იგი დაახასიათა, როგორც მძიმე. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მან წესრიგის მკაცრად დაცვა, ხელისუფლებისა და კანონებისადმი სრული მორჩილება მიიჩნია და თანაც ხალხის გულის მოგების მიზნით განაცხადა: მთავარმართებელმა დამავალა მომესმინა თქვენი საჩივრები და განცხადებები. ამასთან ერთად, უფლება მომცა თქვენ დაგპირებოდით, რომ საჩივრები და განცხადებები, თუ ისინი სამართლიანი და კანონიერი იქნებოდა, მთავარმართებლის მიერ დაუყ-

ოვნებლივ დაკმაყოფილდებოდა და თუ საჩივრებისა და თხოვნების დაკმაყოფილება მთავარმართებლის უფლებამოსილებას აღემატებოდა, მაშინ მთავარმართებელი შუამდგომლობას აღძრაედა იმპერატორის წინაშე.

ცხადია, კრიმ-გირეი უმთავრეს და მწვავე საკითხებს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ ცდილობდა მათზე საუბრისას არ გამოეყენებინა რადიკალური გამონათქვამები: „გურიაში მომხდარს შეიძლება ახსნა მოეძებნოს. მაგრამ მისი გამართლება არ შეიძლება. არ შეიძლება თქვენ უკანონოდ არ მიიჩნიოთ საზოგადოების ზოგიერთი ნევრის მოქმედება, ქცევა. მე თქვენ არ გეკითხებით, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ, გაიაზროთ თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის და თქვენთვის ძვირფასი გურიის მომავლისათვის საბედისწერო შედეგები, ის შედეგები, სანამდეც მიგვიყვანს კანონებისა და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გაგრძელება".

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ შეკრებილებს განუცხადა, რომ კავკასიის მთავარმართებელი კეთილგანწყობილებას იჩენდა გურიის მოსახლეობის მიმართ, რის დასტურს მთავარმმართებლის საბჭოს წევრის გურიაში მიელინება ნარმოადგენდა. ამავე დროს მან სავსებით გარკვეეით აღნიშნა: „ჩემი მოგზაურობა გურიაში არის კავკასიის მთავარი ხელისუფლის უკანასკნელი ცდა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს სამწუხარო გაუგებრობები" ამის შემდეგ კრიმ-გირეიმ ისევ დაუყვავა გურუელებს: „განიხილეთ ჩემს მიერ თქმული, მე არ გაჩქარებთ პასუხის გაცემას, მოელაპარაკეთ მათ, ვისაც თქვენ საჭიროდ ჩათვლით, ვისაც თქვენთვის სიკეთე უნდა. ღმერთი იყოს თქვენთან, რათა ამ უმძიმეს ნუთებში შეინარჩუნოთ სიმშვიდე და თქვენთვის დამახასიათებელი სიფრთხილე და კეთილგონიერება".

შემოქმედისა და ბახვის სასოფლო საზოგადოების ყრილობებმა გლეხთა წრიდან აირჩიეს 12-12 წარმომადგენელი, რომელთაც კრიმ-გირეისათვის უნდა მოეხსენებინათ გლეხობის მოთხოვნები და ამავე დროს პასუხი გაეცათ მის შეკითხვებზე. ყრილობის გადაწყვეტილებით სოფლის მამასახლისები, მწერლები და სამღედელოება ყრილობიდან დაითხოვეს. ყრილობის მიერ არჩეულმა წარმომადგენლებმა კრიმ-გირეის სთხოვეს, რომ იმ წარმომადგენელთა გვარები, რომლებიც სიტყვით გამოვიდოდნენ, არ ჩაეწერათ. ასეთი სიფრთხილე გლეხებმა იმით ახსნეს, რომ 1903 წელს გურიაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ **ალექსეი სმაგინის** მოგზაურობის დროს გლეხებმა გუბერნატორს თავიანთი გასაჭირის შესახებ მოახსენეს, გუბერნატორის წასელის შემდეგ კი ისინი დააპატიმრეს.

ყრილობის მიერ არჩეულმა გლეხთა წარმომადგენლებმა ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის ბევრი გასაჭირის შესახებ მოახსენეს:

1. გურიაში შექმნილი იყო უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გაცილებით უფრო საეალალოდ გამოიყურებოდა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიის იმ კომიტეტის ანგარიშში ნარმოდგენილი ვითარება, რომელიც სოფლის მეურნეობის საჭიროებებს სწაელობდა. ზოგიერთი გადასახადი გლეხობის შემოსავალთან შედარებით არათანაზომიერი იყო, მძიმე იყო ზოგიერთი შრომითი ვალდებულებაც;

2. გურიაში დამკვიდრებული იყო არა მარტო პოლიციის, არამედ სხვა სახელმნიფო უწყებათა თვითნებობაც;

3. ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა დაბრუნება;

4. ჯარის გაყვანა, რომლის გურიაში ყოფნა და სამხედროების მხრიდან მუდმივი მუქარა მოსახლეობის აღშფოთებას იწვევდა;

5. გურიის მოსახლეობას მუდმივად საშიშროება ემუქრება, ხალხი აღშფოთებულია, რადგან ველარ გაურკვევია რა არის კანონი და რა უკანონობა. ასეთი ვითარება კი საფუძველს ქმნის პოლიტიკური პროპაგანდისა და ძალადობისათვის;

6. გურიიდან ოდესაში, ქერჩში, ბათუმში და თბილისში სამუშაოდ წასულები კითხულობენ აკრძალულ წიგნებს, რომლებშიც გლეხობისა და მუშების გაჭირვებაზეცაა საუბარი. გაზეთებში ამ საკითხებზე წერა ცენზურის მიერ აკრძალულია. გურიაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის **ალექსეი სმაგინის** მოგზაურობისა და ოზურგეთის მაზრის უფროსის **ჯაფარიძის** საქმიანობის შესახებ ქართულ და რუსულ პრესაში გაიგზავნა მასალა, რომელიც ცენზურამ აკრძალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია ცენზურის გაუქმება;

7. ცნობილი გახდა, რომ უნდა ჩატარდეს ერობის შემოღების თაობაზე სამაზრო კრება. გაირკვა, რომ კრების დელეგატები ხალხს კი არ აურჩევია, არამედ ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელობამ შეარჩია. აუცილებელია, რომ დელეგატები ხალხმა აირჩიოს და თანაც ფარული კენჭისყრით;

8. დაკანონდეს შეკრების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, ხალხს მიეცეს უფლება თავისუფლად განაცხადოს აუცილებელ საჭიროებათა შესახებ და ამ განცხადებისათვის არ დაისაჯოს;

9. გლეხთა მიწების გაზდა სახელმწიფო და საეკლესიო მიწების ხარჯზე;

10. დრამის გადასახადის გაუქმება;

11. გლეხების მიერ მემამულისაგან მინის იჯარით აღების შემთხვევაში გლეხობის სასარგებლოდ საიჯარო პირობების გაუმჯობესება. გვალვის, სეტყვის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად მოსავლის დაზიანების შემთხვევაში მიყენებული ზარალი თანაბრად განაწილდეს მემამულესა და გლეხზე;

12. სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობა;

13. სოფლებში შემოქმედსა და ბახვში 1902 წელს კავკასიის მთავარმმართებლის ბრძანებით დახურული ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების აღდგენა;

14. სოფლის მამასახლისების სოფლის ყრილობის მიერ არჩევა, როგორც ეს წინათ იყო.

ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნის, ასევე სოფლის მამასახლისების ყრილობის მიერ არჩევასთან დაკავშირებით, ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის სთხოვა აზრის გამოთქმა, რომლისაგანაც დეპეშით ასეთი პასუხი მიიღო: „მთლიანად ვიზიარებ თქვენს შეხედულებას, მაგრამ მის განხორციელებას შემიძლია მხოლოდ ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ შეუდგეო“

შემოქმედსა და ბახვში გლეხობასთან შეხვედრის შემდეგ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის შეხვდა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ოზურგეთის მაზრაში გლეხობა ჯარის შეყვანის შემდეგ დანყნარდებოდა. გენერლის ამ მოსაზრებას კრიმ-გირეი არ იზიარებდა: „მე არ შემიძლია ეს შეხედულება გაეიზიარო და სავსებით დარწმუნებულმა შემიძლია განეაცხადო, რომ ხალხის ნანილობრივი დამშვიდება დაემთხვა გურიაში ჯარების გაგზავნას და იმ ცნობის მიღებას, რომ გურია გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის დაქვემდებარებიდან და მისი მართვა გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გადაეცა. როგორც ჩანს, ოზურგეთის მაზრის პოლიცია თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა, ვერ შეინარჩუნა თავშეკავება, დაკარგა თვითკონტროლი, რაც განსაკუთრებით სამწუხარო იყო იმ გართულებების პირობებში, რომელიც მუდმივად წარმოიქმნებოდა ერთის მხრივ მემამულეებსა და მათ მოიჯარე გლეხებს შორის და, მეორეს მხრივ, გლეხობასა და სამღვდელოებას შორის. შექმნილ ვითარებაში სრულყოფილად არ ყოფილა დასაბუთებული გლეხთა დაპატიმრებისა და გასახლების გადაწყვეტილება, რამაც სასოფლო ყრილობაზე საჩივრების და განცხადებების წარდგენა გამოიწვია“.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გურიაში მოსახლეობის დამშვიდებისა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების პირობად მიიჩნევდა:

1. უახლოეს მომავალში გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

2. მოსახლეობაში იმ რწმენის დანერგვას, რომ კანონიერება აუცილებლად უნდა აღდგეს;

3. ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელობის მიერ სამართლიანობის მკაცრად დაცვას;

4. სოფლის ყრილობების მიერ წამოყენებული ზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

ა) გურიის სოფლებში 1902 წელს დახურული ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნას;

ბ) თუ ყველა სოფელში არა, ზოგიერთში მაინც მამასახლისების სოფლის ყრილობის მიერ არჩევის წესის აღდგენას;

გ) გურიიდან ადმინისტრაციული წესით თუ ყველა გასახლებულის არა, ნაწილის მაინც დაბრუნებას;

დ) გურიიდან ჯარის განვევას, თუმცა ჯარის განვევის შემდეგაც გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გუბერნატორის უფლებები უნდა შენარჩუნებოდა.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის, კაუკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთი გავლენიანი თანამდებობის პირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საინტერესოა იმით, რომ მათი განხორციელება დროებით მაინც დაამშვიდებდა გურიის მოსახლეობას, რაც ხელისუფლებას გურიის დასარბევად გამზადებული ჯარის (გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმის) გამოყენების მიზეზს მოუსპობდა. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მიერ შედგენილმა ანგარიშმა და მის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა ხელისუფლება დააფიქრა და დიდი სისხლისღვრა გურიაში დროებით გადაიდო.

§4. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის შეხვედრები გურიის სოფლების მოსახლეობასთან (სრული ანგარიში)

შემოქმედისა და ბახვის სასოფლო საზოგადოებების ყრილობებზე 1905 წლის 22-23 თებერვალს გლეხთა წარმომადგენლებისაგან მოსმენილი საჩივრებისა და განცხადებების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ წინასწარი ანგარიში შეადგინა. ამის შემდეგ მან გურიაში მოგზაურობა გააგრძელა და შეხვდა სოფლების: ხიდისთავის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სურების, ნიგოითის, ასკანის, ნანეიშვილისეულის, ერკეთისა და ჯვარციხის მოსახლეობას. ამ სოფლებში კრიმ-გირეი გლეხების მიერ არჩეულ დეპუტატებს შეხვდა და მათგან მოისმინა სოფლის მო-

სახელობის სატკიარი. სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი მოხელე კრიმ-გირეისა და გლეხთა დეპუტატების საუბრის ჩანაწერებს აკეთებდა. ჩანაწერებმა საბოლოო სახე 1905 წლის მაისში მიიღო. სავარაუდოა, რომ ამ ჩანაწერებში ბევრი რადიკალური ხასიათის მოთხოვნა ვერ აისახა. მოვიტანთ საინტერესო მასალას ამ ჩანაწერებიდან:

ხიდისთავი

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი: გახსოვდეთ, რომ მე აქ მოვედი არა ჩემი საქმისათვის, არამედ თქვენ საჭიროებათა გამოსარკვევად. მოუხედავად იმისა, რომ სიმართლე, რომელსაც თქვენ იტყვით, ჩემთვის მწარე იქნება, მე მაინც გთხოვთ ყველაფერი პირდაპირ და გულწრფელად მითხრათ, რაც კი თქვენს ცხოვრებას ეხება, მითხრათ ყველა თქვენი გასაჭირის შესახებ.

დეპუტატი: თქვენ ჩამოხვედით აქ, გურიაში, იმიტომ, რომ თითქოს აქ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდეს, რაღაც ისეთი, რომლის შესახებაც რუსეთში არავის სმენია. თქვენ ცდებით.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი: მე აქ ჩამოვედი იმ მიზეზების დასადგენად, რომელმაც მთავრობისა და ხალხის შეჯახება გამოიწვია და არა იმისათვის, რომ თქვენ შორის დამნაშავე ვეძებო.

დეპუტატი: მაშინ მოისმინეთ, რასაც ჩვენ გეტყვით. ჩვენი მოთხოვნები სულ 3 სიტყვით გამოიხატება: ჩვენ გვინდა პური, მართლმსაჯულება და თავისუფლება. ჩვენ არა გვაქვს არც პირველი, არც მეორე და არც მესამე. პირველად ვიტყვით პურის შესახებ. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ მოგვცეთ გამზადებული გამომცხვარი პური. სრულიადაც არა! ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი შრომის ნაყოფით ჩვენვე ვისარგებლოთ და იგი არავინ ნაგვართვას. შეხედეთ ამ ხალხს: აქ თქვენ წინაშე დგას მშრომელი ხალხი, მუშები და ეს ძნელი სულაც არ არის, რომ ერთი შეხედვით შეიცნოთ, რომ ისინი გამხმარი არიან, როგორც სკილეტები და გაყვითლებული არიან, როგორც მზე. ნუთუ მათ არა აქვთ უფლება, რომ თავიანთი შრომის ნაყოფი მოითხოვონ. მოითხოვონ პურის ნაჭერი, მონეული თავიანთი ოფლითა და სისხლით, მოხმარონ იგი თვითონ და არ მისცენ ვიღაც მუქთამჭამელებს? ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს, ეს ჩვენ ვიცით. მიზეზი იმისა, რომ ჩვენი შრომით უსაქმურები სუქდებიან, იმაში მდგომარეობს, რომ მინათმოქმედი მშრომელი მოკლებულია მიწას. მინა, რომელიც მათი ოფლითაა გაყლეფთლი, სხვის საკუთრებას წარმოადგენს. მინათმოქმედი უნდა დაეთანხმოს იმ პირობებს, რომელსაც მას მემამულე უყენებს, რაც გლეხს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს. ამჯერად გლეხობა ამ მდგომარეობიდან თავის დახსნას საკუთარი ძალებით ცდილობს. რა უნდა აკეთოს უბედურმა მინათმოქმედმა? მას არა აქვს საკუთარი მიწა, არ არსებობს სასამართლო, რომელიც მას მემამულის თვითნებობისაგან დაიცავდა. ირგვლივ ჩვენ მხოლოდ უსამართლობას ვხედავთ. სასამართლო და პოლიცია იარაღია მემამულის ხელში, რომელსაც იგი ჩვენი შევიწროებისათვის იყენებს. დიახ, პოლიცია და მემამულე ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან მინათმოქმედთა წინააღმდეგ (...). ჩვენს შორის ბევრი ეგრეწოდებული დროებითი ვალდებული გლეხია. ისინი იგივე ყმები არიან. ვისგან და რატომ უნდა გამოისყიდონ მათ მიწა? რატომ უნდა გამოისყიდონ მათ ის ერთი მტკაველი მიწა, რომელსაც უხსოვარი დროიდან ამუშავებენ? ეს აშკარა უსამართლობაა, ჩვენ მოვითხოვთ, რომ დროებით ვალდებული გლეხობა გათავისუფლდეს და მიწა მიიღოს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. გარდა ამისა, მინის გამოსასყიდი თანხა, რომელიც უსამართლოდ წაართვეს გლეხობას, უნდა დაუბრუნდეს მათ. ღარიბმა გლეხმა რატომ უნდა გამოისყიდოს ის მიწა, რომელიც ოდითგანვე მისი საკუთრებაა? ჩვენ ასევე ვითხოვთ სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების გლეხობისათვის გადაცემას.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი: სახელმწიფო მინების გლეხობისათვის გადაცემა კავკასიის ზოგიერთ გუბერნიაში უკვე დაიწყო. საჭიროა ამ პროცესის მხოლოდ დაჩქარება.

დეპუტატი: ჩვენიდან საზღვარგარეთ გატანილი შაქარი იქ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ჩვენთან. ავიღოთ სააქციზო გადასახადი სპირტიან სასმელზე (არაყზე), ჩვენი ყურძენი „ოდესა" ღვინისათვის გამოუსადეგარია, ვენახის სხვა ჯიში კი ჩვენთან არ ხარობს. ჩვენ იძულებული ვართ გამოვხადოთ არაყი. აქ კი ხელმძღვანელობამ ჩვენ მახე დაგვიგო: დაიწყო სააქციზო გადასახადის გაზრდა იმ ზომამდე, რომ არყის გამოხდა უკვე ნამგებიანი გახდა. ნუთუ თქვენ ამას სამართლიანობას უწოდებთ? ნუთუ ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ მინის ნაყოფით ვისარგებლოთ, იმ მინის ნაყოფით, რომლით სარგებლობისათვის ჩვენ არა მართლზომიერ გადასახადს ვიხდით? ეს ხომ ჩვენ მიერ დამუშავებული მინის, ჩვენი შრომის ნაყოფია? ჩვენ მოვითხოვთ ამ გადასახადების, ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადის, გაუქმებას.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი: მე შესაძლებლად მიმაჩნია ეიშუამდგომლო, რომ არაყზე სააქციზო გადასახადი გაუქმდეს მხოლოდ გურიაში.

დეპუტატი: გადავიდეთ ახლა სამღვდელო-

ბაზე: ბერებსა და მღვდლებზე. ისინი არანაკლებ ჩაგრავენ ხალხს. მათი ხელობაა: პირმოთნეობა, მორჩილება და მონობა. ჩვენ გვირჩევენ ზეცას შევცქეროდეთ, თვითონ კი ჩვენს ჯიბეში მიძვრებიან? ისინი ჯილდოს გარეშე სიტყვასაც არ დაძრავენ და მუდმივად ითხოვენ: ფულს, ფულს და ფულს. ჩვენ უარს ვამბობთ სამღვდელოების შესანახავად ყოველგვარ გადასახადზე და მოვითხოვთ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. ანუ მღვდელი შეინახოს იმან, ვინც მის ლოცვა-კურთხევასა და დალოცვას საჭიროებს. ჩვენ ასევე მოვითხოვთ, რომ მღვდლებს აეკრძალოთ სკოლების გახსნა, ბავშვების აღზრდაში სასულიერო პირებმა არანაირი მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, რადგან ისინი თავიანთი გაუკუღმართებული აზრებით ბავშვების ნათელ გონებას აბნელებენ. ღმერთს ესათნოება, რომ ჩვენ სულით და ხორცით სუფთანი ვიყოთ. ჩვენი სუფთა სინდისი ჩვენივე საზრუნავია (...). ჩვენთვის აუცილებელია განათლება, აუცილებელია წიგნებისა და გაზეთების კითხვა, ამას ახლა ყველა აღიარებს. განათლება აუცილებელია, როგორც ჰაერი, წყალი და პური. გაუნათლებელი ადამიანი ცხოვრებაში გამოუსადეგარია. განათლება კი ჩვენთვის მიუნედომელია, რადგან არსებული მთავრობა Mმთელი ძალებით ცდილობს, რომ ჩვენ სიბნელეში გვამყოფოს. თუ არა ამ მოსაზრებით, მაშინ რით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენ უარი გვეთქვა ჩვენი ხარჯებით გაგეეხსნა სკოლა? ჩვენ მოვითხოვთ, რომ განათლების საქმე დაყენებული იქნას სათანადო სიმაღლეზე. ესე იგი 16 წლამდე ასაკის ბავშვების განათლება სქესის, წოდებისა და ეროვნების განურჩეველად იყოს სავალდებულო და უფასო. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიღება უნდა შეეძლოს ყველას (...). ჩვენ, გლეხებსა და მუშებს, არა გვაქ უფლება შეეკრიბოთ და ჩვენი გასაჭირის შესახებ ვიმსჯელოთ. ამგვარი შეკრებები აკრძალულია. რატომ არა გვაქ ჩვენ უფლება ვისაუბროთ ჩვენი გასაჭირის შესახებ? (...) ჩვენ მოვითხოვთ შეკრების თავისუფლებას (...). ჩვენ გვეკრძალება გაფიცვა, ჩვენ მოვილაპარაკეთ: „სხვის მამულებში წინანდელი პირობებით არ ვიმუშაოთ". საქმეში პოლიცია ჩაერია და ძალა გამოიყენა (...). ჩვენ მოვითხოვთ ციხეებში და გადასახლებაში მყოფი ამხანაგების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას (...). ჩვენ მოვითხოვთ წოდებათა გაუქმებას და კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. უნდა არსებობდეს ერთი მოქალაქეობა და არა რალაც განსაკუთრებული წოდებები. ჩვენ არა გვაქვს მართლმსაჯულება. არსებული სასამართლო უსამართლობაზეა დამყარებული. ვისაც საშუალება აქვს მოისყიდოს მოსამართლეები, ისინი ყოველთვის მართალნი გამოდიან. გარდა იმისა, რომ სასამართლოში მექრთამეობაა, იქ საქმეები განუსაზღვრელად ჭიანურდება! სრულიად უბრალო საქმის გადაწყვეტა რამდენიმე წლის მანძილზე ჭიანურდება. ამის გამო ჩვენ მოვითხოვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, სადაც ნაფიცი მსაჯულები არჩეული იქნებიან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით.

ლანჩხუთი

დეპუტატი: სამღვდელოება გასამრჯელოს ხაზინიდან იღებს, ამით არ კმაყოფილდებიან და ჩვენგანაც იღებენ გადასახადს. დაე, მღვდლები შეინახონ იმათ, ვინც მათგან სულიერ დამოძღვრას საჭიროებს. მე და ჩემნაირი მოხუცები ეფიქრობთ, რომ მღვდლები ჩვენ ღმერთს გვიცვლიან. დავრწმუნდით, რომ ისინი ცხვრის ტყავში გადაცმული მღვდლები არიან. პირად ცხოვრებაში მღვდლები ჩვენ მორჩილებასა და მონობას გვიქადაგებენ და ვიყავით კიდეც მონები, ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და ჩვენს ბავშვებს სკოლაში ადრეული ასაკიდანვე მორჩილებასა და მონობას უქადაგებენ, რითაც ცნობიერებას უბნელებენ.

ჩოხატაური

დეპუტატი: ჩვენ გვსურს და კიდეც შეგვეძლია ვიმშრომოთ, მაგრამ არა გვაქ მინა. უმინობამ ჩვენ გვაიძულა სხვის მამულებში ვიმუშაოთ და ასე მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა. ჩვენ მივმართავთ მემამულეს, რომელიც უკანონოდ ფლობს უზარმაზარ მამულს და ვთხოვთ გამოგვიყოს მინა ნათესებისათვის. მემამულემ იცის ჩვენი უკიდურესი გაჭირვების შესახებ, რის გამოც მძიმე პირობებს გვიყენებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს და ვთანხმდებით ამ პირობებით მუშაობას. ჩვენ მემამულეს ვაძლევთ მოსავლის ნახევარს და კიდევ 1 მანეთს 1 ქცევა მიწაზე. ასევე უნდა მივართვათ სადილი მემამულესა და მისი მამულის მმართველს. მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ამ პირობებში მუშაობა ჩვენთვის უშედეგოა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი შრომის შედეგს იყენებენ მუქთამჭამელები, ჩვენ კი შიმშილით ვიხოცებით. ჩვენ ვიცით, რომ მინა ბუნების ძალამ შექმნა და არა ადამიანმა და თუ ზოგიერთები ამ მინით მდიდრდებიან ეს ძარცვისა და ძალადობის ხარჯზე ხდება. ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ იმ ზომების მიღება გადავწყვიტეთ, რომელიც ჩვენს ხელთ იყო. ერთმანეთთან მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ მემამულის მინის დამუშავებაზე უარი გვეთქვა. ეს მოქმედება გაფიცვად შეა-

ფასეს და გამოდის, რომ ჩვენ გაფიცულები ვართ. მემამულეებს, რომლებიც ჩვენი შრომის ნაყოფით სარგებლობას მიეჩვივნენ, ცხადია, ჩვენი გაფიცება არ ესიამოვნათ, რადგან მათი მინები დაუმუშავებელი დარჩა. ზოგიერთი მემამულის გარდა, დათმობა არავინ ისურვა. საქმეში ჩაერია პოლიცია. ჩვენ, გამოუცდელები, ვფიქრობდით, რომ პოლიცია მართალის მხარეს დაიჭერდა, მაგრამ მწარედ მოტყუებულები დავრჩით. მოვიდა პრისტავი კვიტაშვილი და ჩვენ ხელწერილი ჩამოგვართვა, რომლის ძალითაც მემამულის მინაზე ძველი პირობით უნდა გვემუშავა. ვინც ხელწერილი არ დადო, ციხეში ჩასვეს. რაც უფრო გვავიწროებდნენ, ჩვენ მით უფრო მყარად ვიდექით დადებულ პირობაზე. ერთხელ პრისტავმა ქუდების გარეშე დილიდან საღამომდე მზეზე დაგვაყენა. გარშემო სტრაჟნიკები იდგნენ. ასეთი ღონისძიებები უშველის ჩვენ გასაჭირს? საქმე ამით არ დასრულებულა. მოვიდა ჯაფარიძე (ოზურგეთის მაზრის უფროსი – ვ. გ.) დაგვაპატიმრა და თან გაგვაფრთხილა: შინ მანამ არ გაგეშვებდა, სანამ მემამულის მინაზე ძველი პირობებით მუშაობას არ დავთანხმდებოდით.

სურები

დეპუტატი: როცა მშრომელ ხალხს თავისი მდგომარეობის შესახებ საუბარი სურს, მას შინაურ მტრად აღიქვამენ და ჩვენივე შვილების იარაღს ჩვენ წინააღმდეგ მომართავენ. ჩვენ მოვითხოვთ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ჩვენ ხმა ავიმაღლეთ და ჩვენი გასაჭირის შესახებ განვაცხადეთ და აი, შინაურ მტრად გამოგვაცხადეს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ნაცვლად 600 კაზაკი გამოგვიგზავნეს. აი, ასე დააკმაყოფილეს ჩვენი სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნები.

ნიგოითი

დეპუტატი: ჩვენ გაგვათავისუფლეს იმ მონური მდგომარეობიდან, რომელსაც ბატონყმური დამოკიდებულება ეწოდება. ბატონყმური მდგომარეობა კანონით გაუქმებულია. მაგრამ იგი ნამდვილად გაუქმებულია? მემამულეებმა პირადად შეადგინეს გლეხებისათვის მინის გადაცემის სიგელები ისე, რომ საუკეთესო მინები თვითონ დაიტოვეს, ხოლო უვარგისი და უნაყოფო მინები ჩვენ მოგვცეს. რისთვისაც ათწლეულების მანძილზე გამოსასყიდს ვიხდით. ხალხმა მაშინვე ამოიცნო ეს მაქინაცია და ერთხმბლივი მოქმედების შესახებ ფიცი დადო. მემამულეებმა მაშინაც და დღესაც დაუყონებლივ მიმართეს პოლიციას, რის შედეგადაც ბევრი გლეხი დაისაჯა.

ასკანა

დეპუტატი: ჩვენ მოვითხოვთ ნოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას. აღარ იყოს აღარც თავადი, აღარც მემამულე და აღარც გლეხი. ყველა ადამიანი ერთნაირია და ცხოვრების ერთნაირ პირობებს მოითხოვს. ნოდებები უნდა გაუქმდეს და კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გურიის სოფლებში გლეხობისაგან მოსმენილი საჩივრები და თხოვნები განაზოგადა და 14 პუნქტად ჩამოაყალიბა:

1. საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მინების კონფისკაცია და მისი მშრომელი ხალხისათვის უფასოდ გადაცემა;

2. დროებითი ვალდებული გლეხებისათვის მათ სარგებლობაში არსებული მემამულისა და სახელმწიფოს კუთვნილი მინების უფასოდ გადაცემა. გლეხების მიერ მინის გამოსყიდვის მიზნით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება;

3. აგრარული რეფორმის გატარების მიზნით გლეხთა კომიტეტების არჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით;

4. ყველა არაპირდაპირი გადასახადის მოსპობა და შემოსავალზე პროგრესული გადასახადის დაწესება. კომლი, რომლის წლიური შემოსავალი 500 მანეთზე ნაკლები იყო, დაბეგვრისაგან უნდა გათავისუფლებულიყო;

5. ნოდებათა გაუქმება და კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა. გადაადგილების თავისუფლება და საპასპორტო სისტემის გაუქმება;

6. მოსახლეობისათვის სასოფლო საზოგადოებებსა და ოკრუგებში თვითმმართველობის მოწყობის პროცესში სრული დამოუკიდებლობის მინიჭება;

7. სიტყვის, ბეჭდის, შეკრების, კავშირების, გაფიცვის, სინდისის თავისუფლება;

8. პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა;

9. მოსამართლეთა და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოშუშავე მოხელეების ხალხის მიერ არჩევა;

10. რეგულარული არმიის გაუქმება და მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღების შემოღება;

11. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. სამღვდელოების შესანახი ხარჯების მათთვის დაკისრება, ვინც სამღვდელოების მხრიდან მომსახურებას საჭიროებდა;

12. საერობო სკოლის შემოღება. სამღვდელოების იზოლირება სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესისაგან;

13. ორივე სქესის 16 წლამდე ბავშვების საყ-

ოველთაო და უფასო განათლება;

14. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველას, სქესის, ეროვნებისა და აღმსარებლობის განურჩევლად.

ცხადია, გურიის გლეხობის მიერ შემუშავებული მოთხოვნების აბსოლუტური უმრავლესობა მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის. ეს კარგად იცოდა, როგორც ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ, ისე კაკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამაც.

§5. რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გურიაში

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის გურიაში მოგზაურობას, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მხოლოდ დროებით და ნაწილობრივ შეეძლო გლეხთა დამშვიდება. რევოლუციური მოძრაობა კვლავ გაძლიერდებოდა, როგორც კი ცხადი გახდებოდა, რომ მიღებული დაპირებები არ სრულდებოდა. გურიის მოსახლეობას ისიც აღიზიანებდა, რომ გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი რიონის რაზმით ნატანებში იდგა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ხელისუფლება საჭიროების შემთხვევაში უკიდურეს ზომებს მიმართავდა და სისხლისღვრასაც არ მოერიდებოდა.

1905 წლის 25 თებერვალს ქუთაისის გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ალექსეი სმაგინი კავკასიის მთავარმმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას მოახსენებდა:

1. 1905 წლის დამდეგიდან ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში დაწყებული მოძრაობა მალე ქუთაისისა და სენაკის მაზრებშიც გავრცელდა, ხოლო თებერვალში ზუგდიდისა და შორაპნის მაზრებიც მოიცვა. არსებობდა საფრთხე, რომ იგივე მოვლენები გუბერნიის სხვა მაზრებშიც დაწყებულიყო;

2. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები გლეხების გადაბირებას მიმართავენ და მათ მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებენ;

3. სოციალ-დემოკრატების გავლენით რევოლუციური იდეები ინტელიგენციაშიც გავრცელდა;

4. გუბერნიისა და მაზრის ხელისუფლება არავითარ დახმარებას არ იღებს და სრულიად იზოლირებულია ხალხისაგან;

5. სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეები, განსაკუთრებით დაბალი რანგისა, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არიან, ტერორისტებმა ისე დააშინეს, რომ თავიანთ მოვალეობას ან ფორმალურად ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალზე გაუბედავად ასრულებენ. მოხელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახერხებენ მოვალეობის შესრულებას, ტერორისტები მოკლელით ემუქრებიან და აიძულებენ სამუშაო ადგილი მიატოვონ;

6. მრავალი მოხელე ტერორის მსხვერპლი შეიქმნა, მათ შორის: ოზურგეთის მაზრის ერთერთი უბნის პრისტავი კოსტავა, ოზურგეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავადი ნაკაშიძე, ქუთაისის მაზრის სამტრედიის უბნის პრისტავი ჩიკვილაძე და სხვ.

ქუთაისის გუბერნატორი ალექსეი სმაგინი იაკოვ მალამას სთხოვდა სასწრაფოდ შეექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გუბერნიაში შექმნილ ვითარებას შეისწავლიდა.

1905 წლის 5 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა, რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგში იმყოფებოდა, გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას მოხსენების საფუძველზე შუამდგომლობა აღძრა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრ ბულიგინის წინაშე ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქის კონტრიბუციის უბანში საგანგებო ღონისძიებების გატარების შესახებ. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შუამდგომლობა აღძრა რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის წინაშე. მინისტრთა კომიტეტმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებები მოიწონა და თავისი დადგენილება ნიკოლაი II-ს წარუდგინა. იმპერატორის დასტურის შემდეგ 1905 წლის 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტის დაადგინა:

1. გამოცხადდეს საშხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კონტრიბუციის უბანში;

2. კავკასიაში მთავარმმართებლის მოვალეობის აღმსრულებელს, გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას დაევალოს დროულად გაატაროს ღონისძიებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად;

3. გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას უფლება მიეცეს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დანიშნოს თანამდებობის პირები და ამავე დროს უფლება მიეცეს გააუქმოს იმ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, რომლებსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას ეხებოდა.

1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გურიაში რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა. 1905 წლის 15 აგვისტოს

ოზურგეთის მაზრის უფროსმა ი. ლაზარენკომ ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელს ვლადიმირ სტაროსელსკის აცნობა, რომ ოზურგეთის მაზრაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მთლიანად ლიკვიდირებულია და მთელ ძალაუფლებას გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ფლობენ. კონკრეტულად მოხსენებაში აღნიშნულია:

1. ოზურგეთის მაზრაში შექმნილი ვითარება მოითხოვს იქ სერიოზული სამხედრო ძალის შეყვანას. ნაცვლად ამისა, 17 აგვისტოს რიონის რაზმმა (4.000 ოფიცერმა და ჯარისკაცმა, არტილერიამ) მაზრის ტერიტორია დატოვა. რიონის რაზმის გასვლის შემდეგ მაზრის ტერიტორიაზე დარჩება არტაანის ქვეითთა პოლკის 1 ასეული (70 ოფიცერი და ჯარისკაცი), რაც შექმნილ ვითარებაში სრულიად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა (ი. ლაზარენკო გუბერნატორს შეახსენებდა, რომ 1904 წელს ქალაქ ოზურგეთში მსროლელთა 1 ბატალიონი, 1.000 ოფიცერი და ჯარისკაცი, იდგა);

2. ოზურგეთის მაზრაში დაწყებულ მიმდინარე მოძრაობას შეცდომით უწოდებენ აგრარულ მოძრაობას, იგი პოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც ფართო პროგრამა გააჩნია. ეს პროგრამა არსებული წყობილების დამხობას ითვალისწინებს;

3. დადგა დრო, როდესაც აუცილებელი ხდება ცეცხლითა და მახვილით მოქმედება;

4. გურულებმა ფაქტობრივად შექმნეს ფედერაციული რესპუბლიკა;

5. გურული აჯანყებულების მიერ წარმატების მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ აჯანყებაში ჩაებას მთელი ადგილობრივი მოსახლეობა;

6. შექმნილი ვითარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ აჯანყებულებთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს და ამდენად საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ოზურგეთის მაზრის უფროს ი. ლაზარენკოს მოხსენება ხელისუფლებისათვის მეტად სავალალო მდგომარეობას წარმოაჩენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მაზრის უფროსი იყენებს ტერმინს – „გურიის ფედერაციული რესპუბლიკა“.

ხელისუფლება გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნისაგან სხვადასხვა მიზეზის გამო თავს იკავებდა. მართალია, ნატანებში განლაგებული გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმის ნაწილი ნატანებიდან ოზურგეთში გადაიყვანეს, მაგრამ იქ ჯარი უმოქმედოდ იდგა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გურიას დატოვებდა, ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ფართომასშტაბიანი სადამსჯელო მოქმედებები დაიწყებოდა. მოხდა პირიქით: როგორც კი კრიმ-გირეიმ გურია დატოვა, ოზურგეთიდან ჯარის გაყვანა დაიწყო და იქ 1905 წლის იელისის ბოლოსათვის რუსეთის ჯარის არც ერთი ოფიცერი და ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა. მეტიც, 1905 წლის 17 აგვისტოს ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმმა სოფელი ნატანებიც დატოვა. აჯანყებულმა გურულებმა სავსებით სწორად მიიჩნიეს, რომ ეს ხელისუფლების დროებითი უკან დახევა იყო და ჯართან საბრძოლველად სერიოზული მზადება დაიწყეს. 1905 წლის 23 აგვისტოს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინს მოკლე შეტყობინებას უგზავნიდა. შტაბის უფროსი წერდა, რომ რიონის რაზმის მეთაურის გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მოხსენების თანახმად, გურიაში უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი:

1. ოზურგეთის მაზრის ხელისუფლებას და სხვა სახელმწიფო მოხელეებს სიკვდილით ემუქრებიან;

2. მაზრაში შეიტანეს და საბრძოლო რაზმებს დაურიგეს იარაღი;

3. რუსეთის ჯარის დეზერტირები, რომელთა რაოდენობა თითქოს 500 სამხედროს აღემატება, აჯანყებულებს სროლაში ავარჯიშებენ;

4. ოზურგეთზე თავდასხმისათვის შექმნილია 5 რაზმი, გავრცელებული ხმების მიხედვით, ამ რაზმს სათავეში თითქოს ყოფილი ოფიცრები უდგანან;

5. ოზურგეთის გარნიზონი მძიმე მდგომარეობაშია.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ შირინკინს აცნობებდა, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა აგენტურის საშუალებით ამ ცნობების შემოწმების ბრძანება გასცა. მეფისნაცვალს აინტერესებდა, ადგილობრივი მოსახლეობისა და დეზერტირი სამხედროებისაგან ნამდვილად იქმნებოდა თუ არა საბრძოლო რაზმები.

გურიიდან ყოველდღიურად ერთმანეთზე შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა თბილისში. 1905 წლის 26 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლაევი კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ შირინკინს მოახსენებდა ჩოხატაურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან დგინდება:

1. 1905 წლის 21 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის პრისტავს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ქუთაისის გუბერნიის

ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსისათვის შეტყობინება გაუგზავნია, რომელიც ადრესატს მხოლოდ 24 აგვისტოს მიუღია;

2. 21 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, **ჩოხატაურის** უბნის მცხოვრებთ პრისტავისათვის კაცი მიუგზავნიათ და მანიფესტაციის ჩატარების უფლება უთხოვიათ, რაზეც პრისტავს უარი უთქვამს;

3. უარის მიუხედავად, 30 წუთის შემდეგ მანიფესტანტები წითელი დროშებით სოფელ საჯავახოს მხრიდან დაბა **ჩოხატაურში** შესულან. ბაზართან მანიფესტანტებს კიდევ შეერთებია ხალხი და მანიფესტაცია „მარსელიოზას" სიმღერით მდინარე სუფსისაკენ დაძრულა. მდინარის ნაპირას მათ კიდევ მიმატებია ხალხი. სუფსის ნაპირას თავმოყრილ მანიფესტანტებს დაახლოებით ასჯერ გაუსროლიათ ჰაერში რევოლვერებისა და ბერდანის ტიპის თოფებიდან, რის შემდეგაც შეკრებილები დაშლილან;

4. მანიფესტაციაში დაახლოებით 7.000 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის მამაკაცები, ქალები და ბავშვები. მამაკაცების უმრავლესობა რევოლვერებითა და ბერდანის ტიპის თოფებით იყვნენ შეიარაღებული, ყმანვილები – სანადირო თოფებით. მანიფესტანტთა შორის ცხენოსნებიც ერივნენ;

5. პრისტავის ცნობით, მსგავსი მანიფესტაცია უახლოეს ხანებში იყო დაგეგმილი და მის მიზანს სახელმწიფო დანესებულებებისა და მოხელეების განადგურება წარმოადგენდა.

პოლკოვნიკი ნიკოლაევი მოხსენების ბოლოს გენერალ შირინკინს ატყობინებდა, რომ მან ჩოხატაურში ჩატარებული მანიფესტაციის შესახებ ფარული გამოძიება დაიწყო.

1905 წლის 27 აგვისტოს ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ჩეპინი** ზემდგომ ინსტანციას ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის უბნის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლის შესახებ მოახსენებდა, რომელშიც 2.500 კაცი (2.000 ქვეითი და 500 ცხენოსანი) მონაწილეობდა. ლანჩხუთის უბნის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მოვლენის შესახებ 1905 წლის 28 აგვისტოს ვრცელი მოხსენება შეუდგენია ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსს, როტმისტრ **სტანნის**. მოხსენებაში საინტერესო ფაქტებია მოყვანილი:

1. 1905 წლის 27 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ეკლესიის ზარის ხმაზე ბაზრის მოედანზე შეკრება დაიწყეს მამაკაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა;

2. კაცები შეიარაღებული იყვნენ ბერდანის ტიპის თოფებით, შაშხანებით, რევოლვერებითა და ხმლებით, ქალები და ბავშვები – კეტებით;

3. ხალხის შეკრების ოფიციალური მიზანი თითოეული სასოფლო საზოგადოებიდან მაზრის ერობაში 1 წარმომადგენლის არჩევა იყო;

4. დაახლოებით დილის 8 საათზე ბაზრის მოედანზე თავმოყრილ ხალხს **ჩიბათის** სასოფლო საზოგადოებიდან მოსული შეიარაღებული ადამიანები შეუერთდნენ. ჩიბათელთა შორის 60 ცხენოსანი იყო, რომლებიც შაშხანებით, რევოლვერებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი;

5. ლანჩხუთის ბაზრის მოედანზე შეკრებილები საბრძოლო მწყობრში ჩადგნენ: წინ იდგნენ ცხენოსნები ნითელი დროშებითა და რევოლუციური ლოზუნგებით;

6. ხალხს ჩოხებში გამონყობილი 4 ქართველი ხელმძღვანელობდა. მათი ბრძანების თანახმად, ხალხის მასა ბაზრის მოედნიდან შოსე გზით სოფელ ნიგოეთისაკენ გაემართა. ლანჩხუთიდან 3 ვერსის მოშორებით მათ ნიგოეთიდან დაძრული რამდენიმე ათასი კაცი შეუერთდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ყველანი ერთ მინდორზე შეჩერდნენ. აქ შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელები დაახლოებით 3 საათს თათბირობდნენ. ხშირად გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!"

7. დღის 2 საათზე ლანჩხუთისა და ჩიბათის მცხოვრებლები ლანჩხუთისაკენ გაემართნენ. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ისინი ორად გაიყვნენ, ერთი ნანილი, დაახლოებით 3.000-4.000 კაცი, რკინიგზის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით ლანჩხუთის რკინიგზის სადგურისაკენ დაიძრა, მეორე ნანილი კი – სოფელ ლანჩხუთისაკენ;

8. რკინიგზის სადგურთან მიახლოებისას ხალხმა შაშხანები და რევოლვერები ზემოთ აღმართა, ზემოთ აღმართეს ხმლები და კეტებიც და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: „„ირს მეფე, პოლიცია და ჟანდარმერია!" შეიარაღებული ხალხის ნანილმა რამდენჯერმე სცადა სადგურზე მყოფ ჟანდარმერიის 5 უნტერ-ოფიცერთან მოლაპარაკება, მაგრამ მეთაურებმა ამის ნება არ მისცეს;

9. ლანჩხუთის რკინიგზის სადგურში 5 უნტეროფიცრის გარდა, არავინ იყო, ყველა მოხელე მიიმალა. ვახმისტერმა **კაპარანოვმა** რამდენჯერმე ითხოვა სადგურზე სტრაჟნიკთა რაზმის გაგზავნა, მაგრამ ლანჩხუთის უბნის პრისტავ **დემჩინსკისაგან** უარი მიიღო;

10. რამდენიმე ხნის შემდეგ შეიარაღებული ხალხი რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდა და ლანჩხუთში მიმოიფანტა;

11. მალე ლანჩხუთში სროლის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და საერთო ჯამ-

ში 1 საათს გასტანა. სროლის დასრულების შემდეგ, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, ხალხი დაიშალა;

12. 27 აგვისტოსვე მსგავსი შეიარაღებული დემონსტრაცია გაიმართა **სუფსის** რკინიგზის სადგურის ახლოს.

ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი მოხსენების დასასრულს აღნიშნავდა, რომ მას აგენტებმა სასამართლოს მოხელეებმა და ჟანდარმერიის ოფიცრებმა აცნობეს: შეიარაღებული დემონსტრაციები გურიაში ბევრგან გაიმართა, იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები, მთებში მუშაობდა იარაღის სახელოსნოები, რომლებშიც ამზადებდნენ და შეაკეთებდნენ ხოლმე ცეცხლსასროლ იარაღს; შეიარაღებული რაზმები ხშირად ვარჯიშობდნენ სროლაში; პოლიცია აბსოლუტურად უმოქმედოდ იყო. ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პირველ რიგში, აუცილებლად თვლიდა, რკინიგზის სადგურების: **საჯავახოს, ნიგოითის, ლანჩხუთისა** და **სუფსის** – გაძლიერებულ დაცვას.

1905 წლის აგვისტოს ბოლოს გურიაში მოსახლეობის დიდი პოლიტიკური აქტივობა შეიმჩნეოდა. კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალმაიორ **ევგენი შირინკინის** მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 26 აგვისტოს სოფელ **მაკვანეთში** შეკრებილებმა დაადგინეს: 1. გაუქმდეს გადასახადები; 2. მშობლიური ენა ოფიციალურად იქნას აღიარებული, როგორც სკოლებში სწავლებისა და როგორც საქმის წარმოების ენა; 3. შემოლებული იქნას მმართველობის რესპუბლიკური ფორმა. იგივე დადგენილება იქნა მიღებული 27 აგვისტოს სოფელ **ჩხობში** გამართულ შეკრებაზე.


ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში შესული აგენტურული ცნობების მიხედვით, ოზურგეთის მაზრაში ჯარში საშემოდგომო გაწვევის ჩაშლისათვის ემზადებოდნენ. თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა, მოსახლეობა მზად იყო, იმავე მეთოდით ეპასუხა. ხელისუფლებას განსაკუთრებით აშფოთებდა ის, რომ გურიაში თანდათან იზრდებოდა შეიარაღებული რაზმების რაოდენობა, რომლებიც ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ოზურგეთის მაზრაში რევოლუციონერთა მიერ იარაღის შეტანას ჟანდარმერია და პოლიცია კონტროლს ვეღარ უწევდა. პროპაგანდისტები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში, თანაც არა ღამით და ფარულად, არამედ აგიტაციას დღისით ეწეოდნენ.

§6. გურიის რესპუბლიკის თვითმმართველობა

1. გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურა. გურიაში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ. ჯერ კიდევ 1901-1902 წლებიდან მოყოლებული გურიაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი.** გურიის სოფლებში რევოლუციური იდეები ბათუმში სამუშაოდ წასულ მუშებსაც შეჰქონდათ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის დახმარებით შეიქმნა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი.** გურიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაში გარკვეული წვლილი შეიტანა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა.** გურიაში პროპაგანდისტებს ლიტერატურასა და პროკლამაციებს უგზავნიდა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი.** რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაში სოციალ-დემოკრატებს კონკურენცია ვერ გაუწია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის იმ ჯგუფებმა, რომლებიც XX საუკუნის დამდეგიდან თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში აღმოცენდნენ. ესერებმა გურიაში რამდენიმე ტერორისტული ჯგუფი შექმნეს, ტერორისტული აქტები განახორციელეს და იარაღის შეტანაშიც მიიღეს გარკვეული მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ესერებმა მოსახლეობაში გავლენა ვერ მოიპოვეს და პოლიტიკური პროცესების წარმართვაშიც ვერ მონაწილეობდნენ. სრულიად უმნიშვნელო იყო **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის** გავლენა. სოციალისტ-ფედერალისტებმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს: უმინობით, არამართლზომიერი გადასახადებით, სასოფლო და სამაზრო ადმინისტრაციის, პოლიციისა და ჟანდარმერიის თვითნებობითა და ძალმომრეობით გამწარებულ და გატანჯულ გლეხობას საქართველოს ავტონომიაზე დაუწყეს საუბარი, რასაც გლეხობა დაუფარავი პროტესტით შეხვდა. გურიის რევოლუციურ მოძრაობაში, გლეხობის გარდა, აქტიურად იყვნენ ჩაბმული მუშები, რომლებიც ბათუმის ქარხნებში მუშაობდნენ, ასევე, სოფლის ინტელიგენცია.

გურიაში სახალხო მოძრაობის სათავეში სოციალ-დემოკრატები იდგნენ. ისინი აძლევდნენ ტონს პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაზღვრავდნენ სამოქმედო სტრატეგიასა და ტაქტიკას. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წყობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **უჯრედი** (10 და მეტი წევრი);
2. ყოველი უჯრედი ირჩევდა **ათისთავს**;
3. ათისთავები ირჩევდნენ **ასისთავს**;
4. ასისთავები ირჩევდნენ **სოფლის წარმომადგენელს**.
5. ასისთავები და სოფლის წარმომადგენლე-



ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი

ბი ირჩევდნენ **საზოგადოებრივ წარმომადგენელს.**

6. საზოგადოებრივი წარმომადგენლები ირჩევდნენ **რაიონის წარმომადგენელს.**

გურია იმხანად 25 სასოფლო საზოგადოებისაგან შედგებოდა. 25 სასოფლო საზოგადოება 7 რაიონად გაიყო. ყოველი რაიონი **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის სოფლის მუშათა კომიტეტში** 1 წარმომადგენელს აგზავნიდა. რსდმპ გურიის კომიტეტი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავდაპირველად რსდმპ გურიის კომიტეტი ნიშნავდა ათისთავს, ასისთავს, ასევე – სოფლის, საზოგადოებრივ და რაიონის წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც გურიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მენშევიკებმა მოიპოვეს უმრავლესობა, დანიშნები ყველა დონეზე არჩევნებით შეიცვალა.

მართალია, რსდმპ გურიის კომიტეტი მთელ პარტიულ მუშაობას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე იგი გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სოციალ-დემოკრატების კრებას გამოაქვონდა, რომელსაც რსდმპ გურიის კომიტეტის წევრების გარდა, რაიონის წარმომადგენლები, პროპაგანდისტები და აგიტატორები ესწრებოდნენ.

რსდმპ გურიის კომიტეტთან არსებობდა **„სამხედრო-ტექნიკური კომისია"**, რომელიც იარაღის შემოტანასა და საბრძოლო რაზმების გაწვრთნას ხელმძღვანელობდა.

* * *

2. სახალხო თვითმმართველობა. რევოლუციის დაწყებიდან მალევე, 1905 წლის გაზაფხულიდან, გურიის მოსახლეობაში ძალიან პოპულარული გახდა **სახალხო თვითმმართველობის** იდეა. ამ იდეამ კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც, როგორც ცალკეული საზოგადოებების მმართველობებმა, ისე ოზურგეთის მაზრის მმართველობამ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა მიტინგები, კრებები, ყრილობები, რომლებზედაც იხილებოდა მმართველობის ძველი ფორმების ნაცვლად ახლის შემოღების საკითხი.

გურიის სახალხო თვითმმართველობის ფორმა ერთიანი და დადგენილი არ ყოფილა. უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა **მიტინგებზე, კრებებსა და დისკუსიებზე**, რომლებიც როგორც სოფლებში, ისე ოზურგეთში თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა და ერთგვარ **სახალხო კრებას** წარმოადგენდა. მიტინგებს, კრებებსა და დისკუსიებს რსდმპ გურიის კომიტეტი ნიშნავდა, რომელიც შვიდივე რაიონის ნარმომადგენლის მეშვეობით ინფორმაციას აწვდიდა სოფლის წარმომადგენელს, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებდა ათისთავებსა და ასისთავებს. დათქმულ დღეს სოფლების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ სადმე მოედანზე, დამსწრეთა რაოდენობა 15.000–20.000 კაცს აღწევდა. **სახალხო კრება აწესრიგებდა გურიის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, როგორებიც იყო:** მინის საკითხი, **საძოვრებითა და ტყით სარგებლობა, სასამართლო, სასკოლო საქმე.**

1905 წლის ნოემბერში გადაწყდა ქალაქ ოზურგეთში გურიის თვითმმართველობის დაარსება. ქალაქში მდგარი ჯარის მცირერიცხოვანი გარნიზონი და პოლიცია ამ პროცესს ნინ ვერ ალუდგა. 1905 წლის ნოემბრის ბოლოს გურიის 25 სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელი ოზურგეთში შეიკრიბა და ქალაქის ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ყრილობა გამართა. ამ ყრილობას **„გურიის რესპუბლიკის პარლამენტი"** ეწოდა. ჩატარდა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები. ხმის უფლებით სარგებლობდა ყველა სრულწლოვანი სქესის, ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად. თავმჯდომარის არჩევნებში ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა **ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილმა (1879-1924)** გაიმარჯვა, რომელმაც 970 ხმიდან 958 ხმა მიიღო. ხალხი ბენია ჩხიკვიშვილს **„გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტს"** უნოდებდა. ყრილობის დადგენილებით, ქალაქ ოზურგეთის გამგეობა გადააყენეს. ახალ გამგეობას გადაეცა ყრილობის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მითითებები, რომლებიც ეხებოდა საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მრავალათასიანი ყრილობა ექსცესების გარეშე, მშვიდობიანად დაიშალა.

მინის საკითხი. რევოლუციის დაწყებიდან მალევე მემამულეებმა (თავადაზნაურობამ) პრაქტიკულად მთელი მინა დაკარგეს. ქუთაისის გუბერნიისა და ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაცია უმოქმედოდ იყო, უმოქმედოდ იდგა პოლიცია და ჯარიც. მინათსარგებლობის ფორმების განსაზღვრისათვის ყველა სასოფლო საზოგადოებაში ირჩევდნენ კომისიას, რომელიც გლეხებს შორის ანაწილებდა მემამულეთათვის ჩამორთმეულ მინას. კომისია როგორც გლეხის, ისე მემამულისათვის მიწის ერთ ნორმას აწესებდა. მოსავალზე დაწესებული საშემოსავლო გადასახადი ყოველი გლეხის კომლზე ცალ-ცალკე დგინდებოდა და საშუალოდ 1 ქცევაზე 2-5 მანეთს უდრიდა. ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებაში საშემოსავლო გადასახადს ნატურით იხდიდნენ. გლეხთა ის კომლები, რომელთაც იმდენად მცირე მოსავალი მოინიეს, რომ ოჯახის გამოსაკვებად თუ ეყოფოდათ, საერთოდ თავისუფლდებოდნენ საშემოსავლო გადასახადიდან. თუ სოფლებს შორის მიწით, საძოვრით ან ტყით სარგებლობის გამო დავა წარმოიშობოდა, საკითხი ორივე სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებაზე წყდებოდა.

საძოვრითა და ტყით სარგებლობის საკითხი. გურიაში საძოვრები სახელმწიფოსა და მემამულეთა საკუთრებაში იყო. გლეხობა საძოვრებითა და ტყით სარგებლობისათვის დიდ გადასახადს იხდიდა. საძოვრითა და ტყით სარგებლობის არსებული წესის რეფორმა პირველად სოფელ ბახვის სასოფლო საზოგადოებამ დაიწყო და შემდეგ მთელ გურიაში გავრცელდა. რეფორმის ძალით, საძოვრით სარგებლობის შემდეგი ნორმა დაწესდა: 1 სულ წვრილფეხა პირუტყვზე – არაუმეტეს 10 კაპიკისა, 1 სულ მსხვილფეხა პირუტყვზე – არაუმეტეს 15 კაპიკისა. ცხადია, მემამულეები იძულებული გახდნენ, გადასახადის ამ ნორმას დასთანხმებოდნენ. საძოვრით სარგებლობაზე კონტროლის დაწესების მიზნით შეიქმნა *განსაკუთრებული კომისია.*

საშემოსავლო საგადასახადო სისტემის რეფორმა შეეხო მეცხოველეობის მთავარი პროდუქტით – ყველით – ვაჭრობას. გურიის საძოვრებს, გარდა გურული გლეხებისა, იყენებდნენ მეგრელი გლეხებიც, რომლებიც ზაფხულში ჯოგს მთაში აძოვებდნენ, ზამთარში – ბარში. გურული და მეგრელი გლეხობისაგან ყველს გურული შემსყიდველები იძენდნენ, რომლებიც შესყიდულ პროდუქტს შემდეგ ძალზე ძვირად ყიდდნენ. საგადასახადო რეფორმის ძალით, შემსყიდველებს გლეხის 1 კომლისაგან მხოლოდ 5 მანეთის საერთო ღირებულების ყველი შეეძლო შეეძინა. იგივე წესი გავრცელდა მეგრელ მეცხოველეებზეც. შემდეგ დაწესდა ფასები ყველზე: 1 ფუნტი ძროხის ყველი არ შეიძლებოდა 10 კაპიკზე მეტად დაეფასებინათ, 1 ფუნტი თხის ყველი 8 კაპიკად ფასობდა. ყველით ვაჭრობაზე კონტროლს ახორციელებდა იგივე კომისია, რომელიც აკონტროლებდა საძოვრით სარგებლობას.

მემამულეთა და სახელმწიფოს კუთვნილ ტყეებზე კონტროლს წინათ თვითონ მემამულეები და ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები ანხორციელებდნენ. რევოლუციის დაწყებიდან მალევე გლეხებმა შექმნეს არჩევითი ორგანო – *სატყეო კომისია.* ეს კომისია განაგებდა ტყით სარგებლობის წესებს.

სასამართლო. დაინყო თუ არა რევოლუცია, ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა სასამართლოს და თვითონ შექმნა სასამართლოს ახალი სისტემა. ყოველ კვირა დღეს სოფლის წარმომადგენელი მოსახლეობას დათქმულ ადგილას იწვევდა. ირჩევდნენ თავმჯდომარეს, რომელიც შეკრებილთ მოუნოდებდა, თაეიანთი საჩივრები და პრეტენზიები წარმოედგინათ. სიტყვას მორიგებით ამბობდნენ მოდავეები. თუ ისინი შეთანხმდებოდნენ, სადაო საქმეც დასრულებულად მიიჩნეოდა. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ინიშნებოდა *სამედიატორო სასამართლო,* რომელსაც სოფლის კრება ირჩევდა. სამედიატორო სასამართლოს განაჩენის გამოსატანად 20 დღე ეძლეოდა. თუ სამედიატორო სასამართლო თავის განაჩენს სოფლის კრებას მოახსენებდა და თუ მოდავე მხარეები ამ განაჩენს ცნობდნენ, სადაო საკითხიც ამოწურულად ითვლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაჩენი თვითონ სასოფლო კრებას გამოაქვონდა. შემდგომ ინსტანციას რაიონის კრება წარმოადგენდა, რომელშიც რამდენიმე სოფლის მოსახლეობა შედიოდა. საჭიროების შემთხვევაში, რაიონის *საგანგებო კრებას* იწვევდნენ, რომელსაც გამოაქვონდა საბოლოო განაჩენი.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თაობაზე განაჩენის გამოსატანად 7 რაიონიდან შეიძლებოდა 3-4 რაიონის სასოფლო საზოგადოების კრება მოენვიათ. ასეთი კრებები მოიწვიეს, მაგალითად, *ჯუმათისა* და *ხიდისთავის* რაიონების სასოფლო საზოგადოებების მოსახლეობის მონაწილეობით. პირველ შემთხვევაში იხილებოდა ჯუმათის მონასტრის გაძარცვის საკითხი, საიდანაც რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების განძი გაიტაცეს. ჯუმათის რაიონის სასოფლო საზოგადოებების საერთო კრებამ სასწრაფოდ შექმნა *საგამომძიებლო კომისია.* კომისიამ მაშინვე მთელ გურიას ამცნო მომხდარის შესახებ. რამდენიმე კეირაში მძარცველები დააკავეს. განაჩენის გამოცხადების დღეს ჯუმათის რაიონის სასოფლო საზოგადოებების საერთო კრებაზე 6.000 კაცზე მეტი შეიკრი-

ბა. განაჩენი საერთო კრებას უნდა დაემტკიცებინა. საერთო კრების უმრავლესობამ მძარცველების სიკვდილით დასჯა მოითხოვა. პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა დიდი შრომა გასწიეს, რათა ხალხისათვის დაემტკიცებინათ: სიკვდილით დასჯა მეტისმეტი სიმკაცრის გამოვლინება იქნებოდა, ხოლო თავისუფალი გურიის ხალხს არ შეეძლო ჯალათის როლი შეესრულებინა. საბოლოოდ მძარცველებს ორი წლით პატიმრობა მოუსაჯეს, რომელიც მონასტერში უნდა მოეხადათ. ამავე კრებაზე დაისვა ნაძარცვი ქონების საკითხი. კრების უმრავლესობამ მოითხოვა, რომ ჯუმათის მონასტერს ქონება ჩამორთმეოდა და რსდმპ გურიის კომიტეტს გადასცემოდა, რომელსაც ეს უკანასკნელი იარაღის შესაძენად გამოიყენებდა. გურიის კომიტეტმა უარი განაცხადა მონასტრის ქონების მიღებაზე და თავის მხრივ მოითხოვა, მონასტრის ქონება სპეციალურად შექმნილ კომისიას განეკარგა.

სასკოლო საქმე. გურიაში სასკოლო საქმე საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის დაწყებამდე კარგად იყო ორგანიზებული. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (95%) წერა-კითხვა იცოდა. ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყო კავკასიაში და ბევრად უსწრებდა ცენტრალური რუსეთის უმეტეს მაზრებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სკოლები ვერ აკმაყოფილებდნენ გურულების მოთხოვნებს. კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ გურიის სკოლებში გაგზავნილი მასწავლებლების უმრავლესობა დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერართმევდა და თავიანთ მოვალეობად უპირველეს ყოვლისა, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას მიიჩნევდნენ.

დაიწყო თუ არა რევოლუცია, გურულებმა არსებული სასკოლო სისტემის რეფორმა მოითხოვეს. ეს საკითხი სასოფლო საზოგადოებების კრებებზე იხილებოდა. კრებები ირჩევდნენ *სასკოლო კომიტეტებს*, რომლებმაც ახალი სისტემის დანერგვა დაიწყეს. პირველ რიგში, შეიცვალა პედაგოგთა შემადგენლობა. სკოლაში მასწავლებელს მხოლოდ „ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კაუშირის" რეკომენდაციით იღებდნენ. სკოლები მუშაობდნენ იმ პროგრამებით, რომლებიც თბილისში გამართულმა პედაგოგთა ყრილობამ დაამტკიცა. სასკოლო კომიტეტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და პედაგოგთა ხელფასებით უზრუნველყოფას.

§7. ნასაკირალის ბრძოლა

1905 წლის შემოდგომისათვის გურიაში გლეხთა რაზმები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. რეგიონში შეტანილი იყო დიდი ოდენობით შაშხანები, ბერდანის ტიპის თოფები, რევოლვერები, ბომბები. ყოველივე ეს კარგად უნყოდა ოზურგეთის მაზრის უფროსმა ი. ლაზარენკომ. მიუხედავად ამისა, ვერც ოზურგეთში მდგარი რუსეთის ჯარი და ვერც პოლიცია გლეხთა შეიარაღებული რაზმების შექმნას ხელს ვერ უშლიდა. ვითარება კიდევ უფრო უმართავი გახდა მას შემდეგ, რაც 1905 წლის იელისის ბოლოს ოზურგეთში მყოფმა რიონის რაზმმა (მეთაური გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი) ოზურგეთი დატოვა, ხოლო 17 აგვისტოს ნატანებიდანაც დაიწყო გასვლა. ოზურგეთის მაზრის უფროს ი. ლაზარენკოს განკარგულებაში რჩებოდა პლასტუნთა ბატალიონის 1 ასეული და პოლიციის სტრაჟნიკთა რაზმი. მაზრის უფროსი, ცხადია, ამ ძალებით აჯანყებული გურულების წინააღმდეგ ბრძოლას ვერ დაინყებდა. ი. ლაზარენკო ცდილობდა მოლაპარაკების გზით აჯანყებულები დაემშვიდებინა, რათა მათ რადიკალური მოქმედებებისაგან თავი შეეკავებინათ.

1905 წლის 10 ოქტომბერს ი. ლაზარენკო ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ გაემართა, რათა სოფლების: ასკანის, ბასილეთის, ერკეთისა და ჯვარისხის – უხუცესებს შეხვედროდა. მაზრის უფროსმა ამ სოფლების უხუცესებს ნინასწარ შეატყობინა, რომ შეხვედრა მდინარე გუბაზოულის ერთ-ერთ ფონთან შედგებოდა. მაზრის უფროსის ბრძანება არ შესრულდა, უხუცესები მოლაპარაკებაზე არ გამოცხადდნენ. ჩოხატაურში მისულმა ი. ლაზარენკომ ზემოთ ხსენებული სოფლების უხუცესებს შეხვედრა ამჯერად ჩოხატაურში დაუნიშნა. უხუცესების დასაბარებლად გაგზავნილები მობრუნდნენ და მაზრის უფროსს მოახსენეს: არც ერთი უხუცესი შინ არ დაგვხვდა, ხოლო სოფლების კანცელარიები დაკეტილი იყოო. ჩოხატაურის უბნის პრისტავ გ. გაგუასთან და სხვებთან გასაუბრების შემდეგ ი. ლაზარენკო დარწმუნდა, რომ მოსახლეობაში ძლიერი საბრძოლო სულისკვეთება სუფევდა. ჩოხატაურის უბნის სოფლებში საბრძოლო განწყობილება ნიანთაც ძლიერი იყო, სწორედ აქ მოკლეს უბნის პრისტავი კოსტაძე. 1905 წლის 21 აგვისტოს ჩოხატაურში გამართულ ყრილობას 7.000 კაცი დაესწრო, რომელთაგან 300 შაშხანებითა და ბერდანის ტიპის თოფებით იყო შეიარაღებული. ოზურგეთის მაზრის უფროსმა ი. ლაზარენკომ სათანადოდ შეაფასა ზემო გურიაში (ჩოხატაურის უბანში) შექმნილი ვითარება და 1905 წლის 12 ოქტომბერს ჩოხატაურიდან ოზურგეთისაკენ გაემართა.

ოზურგეთში ჩასულ მაზრის უფროსს აცნობეს, რომ რკინიგზის სადგურებს **სუფსასა** და **ჯუმათის** შორის შეიარაღებული რაზმები თავს დაესხნენ და გაძარცვეს სამხედრო ეშელონი. თავდამსხმელებმა გაიტაცეს 128 რევოლვერი. მეორე დღესვე ი. ლაზარენკო შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გაემგზავრა და სადგურ სუფსაში შეჩერდა. სუფსაში მას აცნობეს, რომ სამხედრო ეშელონს თავს დაესხა **ჩოჩხათის** სასოფლო თემში შემავალი სოფელ **ხაჟალიას** მოსახლეობა (სოფელ ხაჟალიაში სულ 82 კომლი ცხოვრობდა). ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა, რომ მასობრივი ჩხრეკები ჩაეტარებინა არა მარტო ჩოჩხათის სასოფლო თემში, არამედ **მიქელ-გაბრიელშიც**. იმავე დღეს ლაზარენკო ქუთაისისაკენ გაემართა და გუბერნატორ **ვლადიმირ სტაროსელსკის** ჩხრეკის ჩასატარებლად განსაკუთრებული სამხედრო რაზმის გამოყოფა სთხოვა. ამასთან ერთად, ი. ლაზარენკომ გუბერნატორს აცნობა, რომ ჩოხატაურის უბნის სასოფლო თემებში ძლიერი საბრძოლო განწყობა შეინიშნებოდა, რის გამოც აუცილებელი იყო ამ უბნებში შემავალ სასოფლო თემებში ჯარის სერიოზული კონტინგენტის ჩაყენება. სტაროსელსკიმ ოზურგეთის მაზრის უფროსს განუმარტა, რომ ქალაქ ქუთაისში მხოლოდ 3.000 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო დარჩენილი, და ამავე დროს ურჩია, რომ ჯარის გაგზავნის თაობაზე ქუთაისის გარნიზონის უფროსს მოლაპარაკებოდა.

1905 წლის 15 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზაზე საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობის შეწყვეტასთან ერთად შეწყდა სატელეგრაფო კავშირიც. 16 ოქტომბერს ოზურგეთში მყოფმა ი. ლაზარენკომ შეიტყო, რომ შეიარაღებულ გლეხთა რაზმები თავს დაესხნენ **ჩოხატაურის** უბნის მმართველობას. ლაზარენკომ ჩოხატაურში სასწრაფოდ გაგზავნა მაზრის ერთ-ერთი მოხელე **გორკელიძე** და იმავდროულად მომხდარი ქუთაისის გუბერნატორს აცნობა. ი. ლაზარენკომ ჩოხატაურის უბნის პრისტავს უბრძანა, რომ ტელეგრაფის უმოქმედობის გამო შემდეგნაირად ემოქმედა: ცნობები ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის **სამტრედიის** უბნის პრისტავისათვის უნდა შეეტყობინებინა, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას ქუთაისის გუბერნატორს მიაწვდიდა. ჩოხატაურის უბნის პრისტავმა გ. გაგუამ გირკელიძეს ლაზარენკოს სახელზე დაწერილი პატაკი გადასცა, რომელშიც უბნის მმართველობაზე შეიარაღებული რაზმების თავდასხმა იყო აღწერილი. გ. გაგუამ ასევე აცნობა ი. ლაზარენკოს, რომ ჩოხატაურიდან სამტრედიაში კურიერის გაგზავნა ვერ ხერხდებოდა, რადგან ყველა ბილიკს აჯანყებულები აკონტროლებდნენ. გირკელიძე ჩოხატაურიდან კი გამოემგზავრა, მაგრამ ოზურგეთს ვერ მიაღწია, რადგან აჯანყებულებმა დაიკავეს.

1905 წლის 17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, უფროს ურიადნიკ **იგნატოვის** მეშვეობით უკვე დანამდვილებით შეიტყვეს, რომ ჩოხატაურის უბნის მმართველობასა და საფოსტო განყოფილებაზე თავდასხმა ნამდვილად მოხდა. თავდასხმისას მოკლეს 1 და დაჭრეს 2 სტრაჟნიკი, ხოლო ცოცხლად დარჩენილი სტრაჟნიკები ტყვედ აიყვანეს. ნაცემი პრისტავი გ. გაგუა პატიმრობაში იმყოფებოდა. ოზურგეთის მაზრის უფროსმა პლასტუნთა ბატალიონის მეთაურს, პოლკოვნიკ **ურაზოვს**, 1 ასეულის გამოყოფა სთხოვა, რათა ჩოხატაურში დატყვევებული პრისტავი და სტრაჟნიკები გაეთავისუფლებინა. 18 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, ი. ლაზარენკო ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ დაიძრა. მაზრის უფროსს თან ახლდა: პლასტუნთა 1 ასეული პოდესაულ **ჯაპენჩენკოს** და **ხორუნე მოსკალენკოს** მეთაურობით, სულ 102 ოფიცერი და ჯარისკაცი, ასევე, 13 სტრაჟნიკი და ოზურგეთის მაზრის მმართველობის მთარგმნელი **ანთაძე**. ი. ლაზარენკომ შეძლო შეუმჩნეველად გაევლო გზა ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ, მაგრამ დილის 8 საათზე ჩოხატაურიდან 3 ვერსის მოშორებით სოფელ **გორას (გორაბერეჟოულის)** მცხოვრებლებმა შენიშნეს და ჯარის მოახლოება საყვირით ამცნეს ჩოხატაურში. როგორც კი საყვირის ხმა გაისმა, მახლობელი სოფლების ეკლესიების სამრეკლოებიდან ზარების რეკა დაიწყეს. ჩოხატაურში შესულ ი. ლაზარენკოს დაბა მთლიანად დაცლილი დახვდა, ადგილზე მან მხოლოდ ერთ-ერთი სოფლის მამასახლისი და მწერალი იპოვა. მამასახლისმა არ იცოდა პრისტავ გაგუას ადგილსამყოფელი. უბნის მმართველობის შენობა მაზრის უფროსს მთლიანად გაერანებული დახვდა, შენობის კედლებს ნატყვიარები აჩნდა, ფანჯრები ჩამსხვრეული, კარი კი ღია იყო. კიდევ უფრო უარესი სურათი შენობაში შესულებმა იხილეს: უბნის მმართველობის 6 ოთახი ასევე აკლებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ იპოვეს უბნის მმართველობის ახლოს მცხოვრები ვინმე **იაგორ ჩიგოგიძე**, რომელმაც ლაზარენკოს უამბო: ჯარის მისვლამდე 1 საათით ადრე 2 კაცი, რომლებიც სტრაჟნიკის ფორმაში იყვნენ გადაცმულნი, გაგუასთან გამოცხადდა, მათ აცნობეს, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი ჯარით მოდის ჩოხატაურში და გიბრძანა, გზაზე შემხვდესო. პრისტავი სტრაჟნიკებს გაჰყვა, მაგრამ არავინ იცის, ამჟამად სად იმყოფებაო. ლაზარენკო დარწმუნდა, რომ ჩოხატაურის უბნის პრისტავი გ. გაგუა კვლავ ტყვედ ჰყავდათ აჯანყებულებს. ჩოხატაურის



ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი თანამებრძოლებთან ერთად

უბნის მომრიგებელი სასამართლოს თავმჯდომარე **პეკარსკის** მიერ მინოდებული ცნობებიდან ლაზარენკომ დაადგინა: 16 ოქტომბერს, ადრე დილით, შეიარაღებულმა გლეხებმა (დაახლოებით 100 კაცი) ალყა შემოარტყეს ჩოხატაურის უბნის მმართველობასაც და მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს შენობას. რამდენიმე წუთით ადრე შეიარაღებულმა გლეხებმა ალყაში მოაქციეს და ცეცხლი გაუხსნეს უბნის საფოსტო განყოფილებას. მოგვიანებით პეკარსკისათვის პრისტავ გ. გაგუას უთქვამს, რომ თაედასხმის მომენტში უბნის მმართველობის შენობაში მის გარდა იმყოფებოდნენ: წერილების დამტარებელი ასათიანი, ფოსტის დამტარებელი **იაგორ ჩიგოგიძე**, სტრაჟნიკები: **ფიდაროვი, დაშნიანი, დოტმურზიევი** და **ქარციავაძე**. სტრაჟნიკებმა სროლას სროლითვე უპასუხეს. ამ დროს 2 მათგანი მძიმედ დაიჭრა, მესამე სტრაჟნიკმა წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ რომ მიიჩნია, ბერდანკები ჭერში დამალა და თვითონ გაქცევა სცადა, მაგრამ მაშინვე შეიპყრეს. აჯანყებულებმა თან წაიღეს ბერდანის ტიპის 10 და 12 სანადირო თოფი. უბნის მმართველობის შენობის დარბევის შემდეგ გლეხები დაშლილან. უბნის საფოსტო განყოფილებაზე თაედასხმისას აჯანყებულებს მოუკლავთ სტრაჟნიკი **საუტიევი** და წაუღიათ მისი შაშხანა, ხოლო საფოსტო განყოფილების უფროს **კეკელიძისათვის** რევოლვერი წაურთმევიათ. ი. ლაზარენკომ დაჭრილი სტრაჟნიკები ფიდაროვი და დაშნიანი მოინახულა, რომელთაც მას აცნობეს: მაზრის მმართველობაზე თაედასხმა რომ დაიწყო, უკვე თენდებოდა, თაედამსხმელთა შორის ჩოხატაურელი მოვაჭრეები ამოეცანითო. მოვაჭრეებს ორიენ სტრაჟნიკი გარეგნულად კარგად იცნობდა, თუმცა გვარები არ იცოდნენ.

1905 წლის 19 ოქტომბერს ოზურგეთის მაზრის უფროსმა გააგრძელა მომხდარის გამოძიება. მან დაკითხა ჩოხატაურელი მოვაჭრეები. ი. ლაზარენკომ თავდასხმაში მონაწილე მოვაჭრეების გადაცემა მოითხოვა, მაგრამ დაკითხულებმა განაცხადეს, რომ მათ არაფერი იცოდნენ.

მაზრის უფროსმა მომხდარი გააანალიზა და დაასკვნა: აჯანყებულთა მცირე რაზმის თაედასხმა უბნის მმართველობასა და საფოსტო განყოფილებაზე არც იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ხელისუფლებას დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნით ეპასუხა.

1905 წლის 20 ოქტომბერს ი. ლაზარენკომ ჩოხატაურის უბნის მმართველობის შენობა დალუქა, შემდეგ საფოსტო განყოფილებაში არსებული თანხა ჩაიბარა და განყოფილების შენობაც დალუქა. ამის შემდეგ ჩოხატაურის უბნის მომრიგებელი სასამართლოს თავმჯდომარის, პეკარსკის, მოთხოვნით, დაილუქა სასამართლოს შენობა. პეკარსკი ისე იყო შეშინებული, ლაზარენკოს სთხოვა, ოჯახთან ერთად თან წაეყვანა ოზურგეთში. პეკარსკი და მისი ოჯახი ოთხცხენიან საფოსტო ეტლში მოთავსდნენ. ჩოხატაურიდან ოზურგეთის მაზრის უფროსი თანმხლები პირებითა და პლასტუნთა ასეულით 20 ოქტომბერს დაგეგმილი 11 საათის ნაცვლად ნაშუადღევის 3

საათზე გამოვიდნენ. გზა ნასაკირალის უღელტეხილამდე მშვიდობიანად გაიარეს. ჩოხატაურიდან მე-12 კილომეტრზე, სოფელ ნაგომრის გავლისას, უკვე დაღამდა. თავად სოფელში რუსებს სამარისებული სიჩუმე დახვდათ, მხოლოდ სოფლის აფთიაქიდან გამოკრთოდა შუქი. მალე მთვარეც ამოვიდა, ი. ლაზარენკო და მისი თანმხლებნი ასე გადაადგილდებოდნენ: წინ მიდიოდა 6 ცხენოსანი კაზაკი და 2 ცხენოსანი სტრაჟნიკი, შემდეგ პლასტუნთა ასეულის პირველი ოცეული, შემდეგ ეტლით მიდიოდნენ პეკარსკი და მისი ოჯახის წევრები. ეტლს მისდევდნენ ი. ლაზარენკო, პოდესაული პაპენჩენკო, ხორუნჟი მოსკალენკო და 8 სტრაჟნიკი, სულ ბოლოში იდგა პლასტუნთა ასეულის დანარჩენი ნაწილი და აღალი. უღელტეხილს რომ მიუახლოვდნენ, მთვარე ღრუბლებს მიეფარა და ჩამობნელდა. 2 ვერსის გავლის შემდეგ რუსები ხიდს მიადგნენ. აჯანყებულებმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ ოზურგეთის მაზრის უფროსი ი. ლაზარენკოს და მის თანმხლებთა მოძრაობის გრაფიკი. აჯანყებულთა ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატებში აზრი ორად გაიყო: ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნასაკირალის უღელტეხილზე უნდა დახვედროდნენ ი. ლაზარენკოს, პლასტუნთა ასეულსა და სტრაჟნიკთა რაზმს, დაემარცხებინათ და განეიარაღებინათ ისინი; ნაწილი მიიჩნევდა, რომ შეჯახებისას დიდი სისხლი დაიღვრებოდა, რაც შექმნილ ვითარებაში უაზრო იქნებოდა. ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი ბრძოლის გამართვის წინააღმდეგი იყო, მაგრამ როდესაც რსდმპ გურიის კომიტეტმა ბრძოლის გამართვა გადაწყვიტა, ბენია ჩხიკვიშვილი სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს. აჯანყებულებმა ბრძოლის ადგილი კარგად შეარჩიეს, ნასაკირალის უღელტეხილზე ვინრო გზა გადიოდა, ერთი მხრიდან გზას მაღალი კლდეები დაჰყურებდა, მეორე მხარეს ციცაბო ფერდობი იყო, რომელიც მდინარე ბახვისწყლის ნაპირამდე აღწევდა. აჯანყებულებმა გზის იმ მხარეს, სადაც ციცაბო ფერდობი ინყებოდა, ბარიკადები მოაწყვეს და მსროლელები ჩაასაფრეს. გზის მეორე მხარეს, კლდეებზე, ბომბის მტყორცნელები გამაგრდნენ. აჯანყებულებმა გზაზე საგანგებო სადარაჯოები მოაწყვეს, რათა რუსების გადაადგილებისათვის თვალყური ედევნებინათ. დროდადრო ცხენოსან მებრძოლთა რაზმები იგზავნებოდა როგორც ჩოხატაურის, ისე ოზურგეთის მიმართულებით. 20 ოქტომბერს, საღამოს, მზვერავებმა ჩოხატაურიდან ნასაკირალის უღელტეხილისაკენ მიმავალი ი. ლაზარენკო, პლასტუნები და სტრაჟნიკები შენიშნეს. სიბნელის გამო ყველაფერი ვერ გაარჩიეს, მაგრამ სულ მალე ცხენების ფლოქვების ხმა და პლასტუნთა აღალის ჭრიალი გაისმა. ი. ლაზარენკო ცხენზე იყო ამხედრებული, ჩოხატაურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი და მისი ოჯახი კი ეტლში ისხდნენ. აჯანყებულთა გეგმის თანახმად, ი. ლაზარენკო, პლასტუნთა ასეული და სტრაჟნიკები, ასევე მათი თანმხლები პირები გზის ორივე მხარეს მონყობილი ჩასაფრების სილრმეში უნდა შეეტყუებინათ და შემდეგ დასხმოდნენ თავს.

აჯანყებულებმა ცეცხლი მოულოდნელად გახსნეს, რამაც მონინააღმდეგის რიგებში დაბნეულობა გამოიწვია. ყველაზე ძლიერი ცეცხლი პლასტუნთა ასეულის პირველ და მეორე ოცეულებს და იმ საფოსტო ეტლს დაატყდა, რომლითაც პეკარსკი და მისი ოჯახი გადაადგილდებოდა. პირველსავე წუთებში მოკლეს მეეტლე და სტრაჟნიკთა რამდენიმე ცხენი, ასევე მოკლეს 1 და დაიჭრა 12 პლასტუნი. პლასტუნთა ასეულის მეთაურმა, პოდესაულმა პაპენჩენკომ მოკლე გადარბენებით უკან დახევის ბრძანება გასცა. პლასტუნებმა უკან დახევის დროს თან წაიყოლეს მოკლულის გვამი და დაჭრილებიც. მალე რუსები გორს მოეგნენ და უკან დახევასთან ერთად აჯანყებულებს კარგად ორგანიზებული ცეცხლი გაუხსნეს. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულების ცეცხლმა რუსებს დიდი ზიანი ვერ მიაყენა და პლასტუნებმა და სტრაჟნიკებმა 1 ვერსის მანძილზე თითქმის უდანაკარგოდ დაიხიეს უკან. ი. ლაზარენკომ შენიშნა, რომ არც ციცაბო ფერდობის და არც კლდეების მხრიდან აჯანყებულები არ ისროდნენ, სროლა წინა და უკანა მხრიდან მიმდინარეობდა. ი. ლაზარენკომ, პაპენჩენკომ და მოსკალენკომ ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ციცაბო ფერდობით მდინარე ბახვისწყლის ნაპირისაკენ დაშვებულიყვნენ. მდინარის ნაპირისაკენ დაშვება სწრაფად განხორციელდა, რუსებმა ბახვისწყალი გადალახეს და ქვების უკან ჩასაფრდნენ. აჯანყებულებმა რუსების ჩასაფრების ადგილი დაადგინეს და ოთხივე მხრიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა 21 ოქტომბერს გამთენიისას მახლობლად მდებარე მთაზე ასულიყო და იქ გამაგრებულიყო. პლასტუნებისა და სტრაჟნიკების მოძრაობა აჯანყებულებმა შენიშნეს და ძლიერი ცეცხლი გახსნეს. სროლა 21 ოქტომბრის საღამომდე გრძელდებოდა. 21 ოქტომბერს შუადღისას ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა ოზურგეთში მყოფ პლასტუნთა ბატალიონის მეთაურ პოლკოვნიკ ურაზოვისათვის დახმარება ეთხოვა. 5 მოხალისე ოზურგეთისაკენ გაემართა. აჯანყებულებმა ოზურგეთში გაგზავნილი კურიერების მოძრაობა შენიშნეს, სამი მათგანი მოკლეს, ორმა კი ოზურგეთში ჩაალწია. რამდენიმე საათის შემდეგ მთაზე გამაგრებულმა რუსებმა ოზურგეთის

მხრიდან სროლის ხმა გაიგონეს. ი. ლაზარენკომ დაასკვნა, რომ აჯანყებულებს ოზურგეთზეც დაეწყოთ შეტევა. მართლაც, აჯანყებულთა დიდი რაზმი მდინარე სუფსაზე გადასულიყო და **ოზურგეთისაკენ** დაძრულიყო. 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ნასაკირალის უღელტეხილზე ჩასაფრებულმა აჯანყებულებმა სროლა შეწყვიტეს. მთელი ღამის განმავლობაში აჯანყებულთა ჯგუფები მთაზე გამაგრებულ რუსებთან მიახლოებას და ცეცხლის გახსნას ცდილობდნენ.

ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა 22 ოქტომბერს, დილით, ალყა გაერღვია და ოზურგეთისაკენ დაძრულიყო. გამთენიისას პოდესაული **პაპენჩენკო** პლასტუნთა 0,5 ასეულით მთიდან დაეშვა, მდინარე **ბახვისწყალი** გადალახა და **ნასაკირალის** ქედზე საბრძოლო პოზიცია დაიკავა. პაპენჩენკოსთან ერთად იმყოფებოდა ლაზარენკოც. აჯანყებულებს პაპენჩენკოსათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ცოტა ხნის შემდეგ მთაზე დარჩენილმა პლასტუნთა 0,5 ასეულმა მოკლულთა გვამები მოაგროვა და დაჭრილებთან ერთად პაპენჩენკოსთან შესაერთებლად გაემართა. ციცაბო აღმართზე პლასტუნებმა 3 მოკლულის გვამის ატანა და დაჭრილების აყვანა ვერ შეძლეს. ამ დროს ბრძოლის ადგილას გამოჩნდა ოზურგეთიდან პლასტუნთა ბატალიონის მეთაურის პოლკოვნიკ **ურაზოვის** მიერ გამოგზავნილი 1 ასეული და სამოსნაელო რაზმი. დამხმარე რაზმის მოსვლის შემდეგ ი. ლაზარენკომ სამოქმედო გეგმა შეცვალა. მან გადაწყვიტა მოკლულთა გვამები და დაჭრილები აღალის ოთხთვალებში მოეთავსებინა და პლასტუნთა ასეულის თანხლებით ნასაკირალის უღელტეხილზე გამავალი გზით ოზურგეთისაკენ გაეგზავნა. დასახმარებლად მოსულ მეორე ასეულს გზის პარალელურად მთების მხარეს უნდა ემოძრაცა და დაედგინა, თუ სად იყვნენ ჩასაფრებული აჯანყებულები. გაირკვა, რომ ამ მიმართულებით აჯანყებულებს ჩასაფრება შესანიშნავად ჰქონდათ ორგანიზებული. ი. ლაზარენკომ დაასკვნა, რომ ნასაკირალის უღელტეხილზე რუსები დღისით რომ მისულიყვნენ, ცოცხალი ეღარავინ გადარჩებოდნენ, ისინი მხოლოდ ღამის სიბნელემ იხსნა.

ი. ლაზარენკომ, პლასტუნებმა და სტრაჟნიკებმა ნასაკირალის უღელტეხილი მშვიდობიანად გადაიარეს. გზა **დვაბზუს** სასოფლო თემზე გადიოდა. დვაბზუში შესვლისას აღმოჩნდა, რომ სოფელი მთლიანად დაცლილი იყო. სოფლელთა გახიზნების მიზეზი ის იყო, რომ მათ ი. ლაზარენკოს მიერ გაგზავნილი 5 კურიერიდან 3 მოკლეს, ხოლო ოზურგეთიდან რუსების დასახმარებლად გამოგზავნილ პლასტუნთა ასეულს ცეცხლი გაუხსნეს. ამის პასუხად რუსებმა დვაბზუში ყველა სახლი გადაწვეს. ი. ლაზარენკომ პეკარსკის თანდასწრებით პოდესაულ **კოსტელიანოვს** სახლების გადაწვის გამო შენიშვნა მისცა. შენიშვნა პოდესაულმა არ მიიღო და განაცხადა: სახლების გადაწვა სამხედრო მოსაზრებებით იყო განპირობებულიო.

1905 წლის 20-21 ოქტომბერს ნასაკირალის უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლების დროს რუსების დანაკარგი ასეთი იყო: აჯანყებულებმა მოკლეს 6 და დაჭრეს 13 პლასტუნი, გარდა ამისა, მოკლეს კიდევ 2 სტრაჟნიკი, ხოლო 5 სტრაჟნიკი უკვალოდ დაიკარგა, აგრეთვე – მთარგმნელი ანთაძე. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა იარაღი. გარდა ამისა, აჯანყებულებმა ბრძოლის დროს მოკლეს სტრაჟნიკთა 4 ცხენი, 10 ცხენი კი გაიქცა. სულ რუსებს მიადგათ 5.106 მანეთისა და 50 კაპიკის მატერიალური ზარალი.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ ი. ლაზარენკოს აცნობეს: 1. აჯანყებულები თავს დასხმიან **ნატანები-სუფსის** რკინიგზის ხაზზე დრეზინით მიმავალ კაზაკებს და 7 მათგანი მოუკლავთ; 2. **ნატანები-სუფსის** რკინიგზის ხაზზე აჯანყებულები თავს დასხმიან ეროვნებით ინგუშ 2 სტრაჟნიკს, რომლებიც ქუთაისიდან სუფსისაკენ დრეზინით მიდიოდნენ. ერთმა სტრაჟნიკმა ცეცხლსასროლი იარაღიდან 3 ჭრილობა მიიღო, დასახიჩრდა მეორეც; 3. აჯანყებულები თავს დაესხნენ სტრაჟნიკთა პოსტს **სუფსაში** და ხელში ჩაიგდეს 5 შაშხანა; 4. აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის მაზრის **ლანჩხუთის** უბნის მმართველობას, გაანადგურეს იქ დაცული დოკუმენტები და გაიტაცეს 7 შაშხანა.

1905 წლის 20-21 ოქტომბერს ნასაკირალზე გამართული ბრძოლა გურიაში რევოლუციური მოძრაობის კულმინაციას ნარმოადგენდა. ბრძოლები აჯანყებულებსა და ჯარს შორის ამის შემდეგაც გრძელდებოდა, ამ ბრძოლებს სტიმული სწორედ ნასაკირალის ბრძოლამ მისცა. მთელი გურია აჯანყების ცეცხლში გაეხვია.

ნასაკირალის ბრძოლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 1905 წლის 27 ოქტომბერს **სამტრედიიდან** გაფიცული რკინიგზელების სახელით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს დეპეშით აცნობეს, რომ გაფიცული რკინიგზელები მუშაობას შეუდგებოდნენ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ: 1. სამხედრო მდგომარეობის გაუქმება; 2. ჯარების გაყვანა გურიიდან; 3. გაფიცვის შენყვეტაზე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშების თანხმობა. იმავე 27 ოქტომბერს ქალაქ **ბათუმისა** და **კინტრიშის** უბნის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა პიოტრ (ედმუნდ) ფონ პარკაუმ

კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინს დეპეშით აცნობა: „მთელი გურია აჯანყებულია. სახელმწიფო ხელისუფლება აღარ მოქმედებს". გენერალი ბათუმის ოლქზე სამხედრო მდგომარეობის გავრცელებას ითხოვდა. მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო. ეს კარგად ჩანს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ კავკასიის პოლიციის გამგისათვის გაგზავნილი მოხსენებიდან. მოხსენებაში შემდეგი ფაქტებია მოყვანილი:

1. ყუბანის კაზაკთა ჯარის, პლასტუნთა ბატალიონის ოზურგეთიდან გასვლის შემდეგ, 1905 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 1.000 შეიარაღებული აჯანყებული ოზურგეთის მაზრის მმართველობის შენობაში შეიჭრა და პოლიციის მიერ მოსახლეობისათვის ჩამორთმეული იარაღი გაიტაცა. ღამით იგივე აჯანყებულები მეორედ დაესხნენ თავს სამაზრო მმართველობის შენობას, სიკვდილის მუქარით სტრაჟნიკები აიძულეს მათთვის გადაეცათ ბერდანის ტიპის 25 თოფი და ვაზნები. აჯანყებულებმა მაზრის მმართველობის შენობიდან გაიტაცეს დოკუმენტაცია. 10 დეკემბერს აჯანყებულები უკვე მესამედ დაესხნენ თავს ოზურგეთის მაზრის მმართველობის შენობას, გაჩხრიკეს ყველა ოთახი და გაიტაცეს იქ დაცული საბუთების ნაწილი;

2. ამ თავდასხმების შემდეგ ქალაქ ოზურგეთში წესრიგს აჯანყებულთა რაზმები იცავენ. ამის თაობაზე ქალაქში განცხადებები გამოაკრეს;

3. 12 დეკემბერს აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს, გაჩხრიკეს კანცელარია და ქალაქის პრისტავის კაბინეტი, გაიტაცეს დოკუმენტები და პრისტავის კუთვნილი 50 მანეთი. იმავე დღეს აჯანყებულები შეიჭრნენ მომრიგებელი სასამართლოს შენობაში, შენობა გაჩხრიკეს და გაიტაცეს დოკუმენტები;

4. 15 ნოემბრის შემდეგ ყოველდღე იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგები.

აშკარა ხდებოდა, რომ თუ აჯანყებული გურულები ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტდნენ, მოსალოდნელი იყო დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გურიაში.

§8. გურიის რესპუბლიკის დაცემა

1906 წლის 8 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა კავკასიის მეფისნაცვლისა და სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო ბრძანება გაუგზავნა გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში „მშვიდობის დამყარებას" ითვალისწინებდა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად სამხედრო მდგომარეობისა, ქუთაისის გუბერნიაში ვითარება არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, გამწვავდა და აჯანყებაში გადაიზარდა: პოლიციის სტრაჟნიკების განიარაღება და პოლიციის იარაღის მიტაცება ჩვეულებრივ ამბად იქცა; რკინიგზის ხაზების დაზიანების გამო შენყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა; რკინიგზის სადგურები დაიკავეს აჯანყებულთა რაზმებმა; შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს სურამის სარკინიგზო გვირაბი და თბილისსა და ქუთაისს შორის მოძრაობის შეწყვეტის მიზნით გვირაბი ლიანდაგიდან გადასული ორთქლმავლით გადაკეტეს; სარკინიგზო გვირაბში მოძრაობის აღდგენის მიზნით სადგურ წიფაში თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის ასეული გაიგზავნა, სამხედროებს აჯანყებულებმა სროლა აუტეხეს, მოკლეს 3 და დაჭრეს 1 კაზაკი; აჯანყებულებმა მოკლეს თენგინის პოლკის ასეულის მეთაური, რომელიც ბულგორიდან (ხარაგაულიდან) ყვირილაში (ზესტაფონში) მიდიოდა; მათ განაიარაღეს თენგინის პოლკის ასეული, ამ შეჯახების დროს მოკლეს 1 და დაჭრეს 3 კაზაკი. გუბერნიაში წესრიგის აღდგენის მიზნით:

1. ქუთაისის გუბერნიიდან გაიწვიეს გუბერნატორი ვლადიმირ სტაროსელსკი;

2. ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა და დროებით სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი, რომელსაც დაუქვემდებარეს გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარები;

3. ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა: თბილისიდან – პოლკოვნიკ გავრილოვის მეთაურობით ქვეითთა 6 ბატალიონი, მესანგრეთა 1 ასეული, პლასტუნთა 1 ასეული, 4 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, კაზაკთა 3 ასეული; ბათუმიდან ოზურგეთისა და სამტრედიის გავლით – პოლკოვნიკ კრილოვის მეთაურობით ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი 4 ქვემეხითა და პლასტუნთა 0,5 ასეული;

4. გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის მომავალ მოქმედებათა და განკარგულებებში სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა და დაევალა:

ა) დაუყონებლივ აღადგინოს მთელ გუბერნიაში სახელმწიფო წესრიგი, უზრუნველყოს სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირება;

ბ)შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის თანახმად, გაანადგუროს რევოლუციური ორგანიზაციები, დააპატიმროს საგანგიცვო და სხვა კომიტეტების წევრები;

გ) დაუყოვნებლივ განადგურდეს ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები არა მარტო ქალაქ ქუთაისში, არამედ გუბერნიის მთელ

ტერიტორიაზე;

დ) მოსახლეობის მხრიდან აჯანყების მოწყობის ან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჯარმა იმოქმედოს შეუბრალებლად, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარი შტაბის 1905 წლის 26 დეკემბრის №9965 დეპეშის შესაბამისად.

ბრძანება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ებრძანებინა, რომ ჯარი ვალდებულია სროლას სროლითვე უპასუხოს და ჩაახშოს შეიარაღებული წინააღმდეგობის უმნიშვნელო მცდელობაც კი."

იმერეთის სოფლებისა და ქალაქების დარბევის შემდეგ დამსჯელი ექსპედიცია გურიას მიადგა. 1906 წლის 10 იანვარს დამსჯელი ექსპედიციის ერთი რაზმი (ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი 4 ქვემეხითა და პლასტუნთა 0,5 ასეული) სადგურ ბათუმიდან სადგურ ნატანებში ჩავიდა. ჯარისკაცები მაშინვე შეუდგნენ სახლების, მაღაზიებისა და დუქნების ჩხრეკას, რომლის დროსაც, რაც კი ღირებული იყო, გაიტაცეს. ჩხრეკის დასრულების შემდეგ ყველა სახლი, მაღაზია და დუქანი გადაწვეს. იმ დღეს ნატანებში არავინ მოუკლავთ.

11 იანვარს პოლკოვნიკი კრილოვი რკინიგზის სადგურ ნატანებიდან ოზურგეთისაკენ გაემართა. გზაში მას ოზურგეთიდან გამოგზავნილი დეპუტაცია შეხვედა, რომელსაც სურდა გაერკვია გურიაში ჯარის შესვლის მიზეზი. პოლკოვნიკმა კრილოვმა დეპუტატებს განუცხადა, რომ მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში რეპრესიებს არ მიმართავდა. მოთხოვნები კი ასეთი იყო:

1. გურიაში მოქმედი აგიტატორების გადაცემა (პოლკოვნიკმა დეპუტაციას გადასცა ამ აგიტატორების სია);

2. გურიაში თავშეფარებული რუსი დეზერტირი ჯარისკაცების გადაცემა;

3. 1906 წლის 1 თებერვლამდე 1905 წლის გადაუხდელი გადასახადებისა და 1906 წლის გადასახადების გადახდა;

4. მოსახლეობაში არსებული იარაღის ჩაბარება;

5. 1906 წლისათვის დაგეგმილი ჯარში გაწევის კამპანიის დროულად დასრულება.

დეპუტატებმა პოლკოვნიკ კრილოვს გაუცხადეს, რომ მის მოთხოვნებს მოსახლეობას გააცნობდნენ და ყველა მოთხოვნა შესაძლებლობის ფარგლებში შესრულდებოდა. ოზურგეთში დაბრუნებულმა დეპუტატებმა მოსახლეობას განუცხადეს, რომ კრილოვი რეპრესიების გატარებას არ აპირებდა. ხალხიც დამშვიდდა და ქალაქიდან გახიზნა გადაიფიქრა. ოზურგეთში შესულმა პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიციის რაზმმა ყველა სახლი გაჩხრიკა და გაძარცვა. ისევე, როგორც ნატანებში, ჩხრეკისა და ძარცვის დასრულების შემდეგ ქალაქში ხანძარი გაჩნდა. იმ ღამით მხოლოდ 6 სახლი დაიწვა. შეშინებულმა მოსახლეობამ ტყეებსა და მთებს შეაფარა თავი. გახიზნული ქალებისა და ბავშვების ნანწილი სიცივემ იმსხვერპლა. ხალხი განსაკუთრებით ააღელვა გავრცელებულმა ხმებმა, რომ რუსები ქალებს აუპატიურებდნენ. 12 იანვარს ოზურგეთში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც თითქმის ყველა სახლი, მაღაზია და დუქანი გაანადგურა.

პოლკოვნიკ კრილოვის მიერ ოზურგეთის დარბევის შემდეგ გურიის ყველა სოფელში მოსახლეობის კრებები გაიმართა. სასოფლო თემებიდან 10-10 დეპუტატი აირჩიეს, რომლებიც კრილოვს უნდა შეხვედროდნენ. პოლკოვნიკმა დეპუტატები ცივად მიიღო და ზემოთ ხსენებული 5 მოთხოვნა გაიმეორა. ამჯერად კრილოვმა დააზუსტა, რომ მოსახლეობას 3.000 შაშხანა, რევოლვერები და ვაზნები უნდა ჩაებარებინა. დეპუტატებმა პოლკოვნიკს განუცხადეს, რომ გადასახადებს გადაიხდიდნენ, მაგრამ არა დაუყოვნებლივ, არამედ მაშინ, როდესაც ამის შესაძლებლობა ექნებოდათ. დეპუტატებმა ასევე თანხმობა განაცხადეს ახალგაზრდების ჯარში გაწევაზე. ამასთან ერთად, მათ კრილოვს განუცხადეს, რომ აგიტატორებსა და რუს დეზერტირ ჯარისკაცებს ვერ გადასცემდნენ, რადგან არ იცოდნენ, სად აფარებდნენ თავს ისინი. დეპუტატები იარაღის გადაცემაზეც დათანხმდნენ, მაგრამ განაცხადეს, რომ ამ რაოდენობის იარაღი გურიაში არ იყო, მოსახლეობას შაშხანები არ გააჩნდა, მათ მხოლოდ ბერდანის ტიპისა და სანადირო თოფები ჰქონდათ. კრილოვი დაჟინებით ითხოვდა 3.000 შაშხანის ჩაბარებას. დეპუტატებთან შეხვედრის შემდეგ კრილოვმა ჯარის ნაწილი სოფელ ნაგომარში გაგზავნა. რუსებმა ნაგომარი მიწასთან გაასწორეს, გადაწვეს 200 სახლი და გაანადგურეს ხორბლის მთელი მარაგი. ვინც ნინააღმდეგობა გაუწია, ყველანი დახოცეს, ბევრი ცემის შედეგად დაასახიჩრეს. სოფელ აკეთში დამსჯელებმა 40 სახლი გადაწვეს და მთლიანად გაანადგურეს სიმინდის მარაგი, რომლითაც მოსახლეობა იკვებებოდა, სოფელ ანანაში განადგურდა 30 სახლი და სიმინდის მთელი მარაგი. ჩოხატაურში გადაწვეს 20 სახლი და დაბა მთლიანად გაძარცვეს. სოფელ ლანჩხუთში კრილოვმა მოსახლეობას ვინმე წილოსნის გადაცემა მოითხოვა, რომელიც ციხიდან იყო გაქცეული. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლკოვნიკი სოფლის მინასთან გასწორებით იმუქრებოდა. საბოლოოდ კრილოვმა თავი შეიკავა, რადგან მიხვდა, რომ გურულები

აჯანყების მეთაურებს არ გასცემდნენ. მართალია, ლანჩხუთი მინასთან გასწორებას გადარჩა, მაგრამ საკმაოდ სერიოზულად დაზარალდა.

იარალის ჩაბარება ქიანურდებოდა. ვილაცამ რუსებს აცნობა, რომ გურულები იარაღს კუბოებში ანყობდნენ და სასაფლაოზე მარხავდნენ. გაბოროტებულმა რუსებმა ახლად დაკრძალული მიცვალებულების კუბოები ამოიღეს და გაჩხრიკეს.

პოლკოვნიკ კრილოვის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, გურიაში სახელმწიფო ნესრიგი ვერ აღდგა, შეიარაღებულმა რაზმებმა დროებით ტყეს შეაფარეს თავი. 1906 წლის 5 თებერვალს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ტატიანჩენკო გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის სთხოვდა:

1. აჯანყებულთა სრულად დამშვიდებამდე ქალაქ ოზურგეთში დარჩეს ქვეითთა 3 ბატალიონი, 2 სავალე ქვემეხით და კაზაკთა 3 ასეულით. ეს სამხედრო ძალა ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციას უნდა დაექვემდებარებოდა;

2. ჩოხატაურსა და ლანჩხუთში დარჩეს ქვეითთა 2-2 ბატალიონი თითო საველე ქვემეხით და კაზაკთა თითო ასეულით;

3. ოზურგეთის მაზრაში გაორკეცდეს სტრაჟნიკთა რაოდენობა ისე, რომ მან 180 კაცს მიაღწიოს. ამ რაოდენობის სტრაჟნიკთა შენახვა თვეში 35.000 მანეთი დაჯდებოდა;

4. დროებით დაშვებული იქნას პოლიციის პრისტავის 2 შტატი (თითოეულ პრისტავს თვიური ხელფასი – 1.200 მანეთი), ისე, რომ ამ პრისტავებს კონკრეტული რაიონი არ ჰქონდეთ გამოყოფილი, რადგან მაზრის უფროსის უშუალო დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდნენ და ასრულებდნენ მის ბრძანებებს;

5. პოლიციას აგენტების გარეშე დანაშაულის გახსნა არ შეუძლია, აგენტების დასაქირავებლად კი პოლიციას თანხა არ გააჩნია, რის გამოც მაზრის უფროსს ამ მიზნით უნდა მიეცეს 1.000 მანეთი.

ეს დოკუმენტი ნათლად მეტყველებს, რომ დამსჯელი ექსპედიციის მოქმედების მიუხედავად, გურიაში რევოლუციური გამოსვლების საშიშროება კვლავ არსებობდა.

1906 წლის თებერვლის ბოლოს პოლკოვნიკმა კრილოვმა გურიის ყველა სოფლიდან თითო წარმომადგენელი ოზურგეთში დაიბარა და წინადადება მისცა ხელი მოენერათ დოკუმენტზე, რომელშიც აღნიშნული იყო: ჯარისკაცები გურიაში მოსახლეობას არ ძარცვავდნენ, ხოლო გაზეთებით გავრცელებული ცნობები დარბევისა და ძარცვის შესახებ მოგონილი იყო. დეპუტატებმა პოლკოვნიკს უპასუხეს, რომ რაც გაზეთებში ეწერა, ყველაფერი სიმართლეა, ოლონდ გასათვალისწინებელია ის, რომ საგაზეთო ცნობები დარბევისა და ძარცვის მხოლოდ მეათედს ასახავენო. სოფლების წარმომადგენლებმა კრილოვს განუცხადეს, რომ გაზეთებში დაბეჭდილ მასალას მოწმეები დაადასტურებდნენ, რაზეც კრილოვმა უარი განაცხადა.

1906 წლის 10 მარტს დამსჯელმა ექსპედიციამ სოფელ ხიდისთაში სახლების უმრავლესობა გადაწვა. 11 მარტს დამსჯელები სოფელში ოთხთვალებით შევიდნენ, რათა ნაძარცვი ქონება ნაეღოთ, ხოლო შემდეგ სოფელი მთლიანად გადაენვეს. კაზაკები მათრახებით დაერივნენ მოსახლეობას. 23 მარტს დამსჯელების 300-კაციანი რაზმი არტილერიის თანხლებით სოფელ სურებში ავიდა. მოსახლეობას კრილოვმა ასეთი მოთხოვნა წაუყენა: თითოეულ კომლს 1 შაშხანა უნდა ჩაებარებინა, გარდა ამისა, ჯარისათვის უნდა გადაეცათ 2 ქვემეხი, 200 ბომბი, 5 აგიტატორ-პროპაგანდისტი. ძალაში დარჩა მოთხოვნა გადასახადების დაფარვის შესახებ. სურები საფუძვლიანად გაძარცვეს და გადაწვეს. ძარცვა და ხანძარი არ ასცდა გურიის ბევრ სოფელს.

აჯანყებულები წინააღმდეგობას უწევდნენ დამსჯელი ექსპედიციის თარეშსა და მათ სამსახურში მყოფ ქართველებს. 1906 წლის 11-12 იანვარს ღამით აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის გარეუბანში დაბანაკებულ ჯარის ნაწილს. ორმხრივ სროლაში არავინ დაღუპულა. 19 იანვარს რევოლვერიდან გასროლით დაჭრეს სოფელ ბახვის მცხოვრები გადამდგარი პორუჩიკი ივლიანე ანთაძე. 26 იანვარს სოფელ ლანჩხუთში მოკლეს ვინმე სალუქვაძე, თავდამსხმელთაგან ერთი დაიკავეს.

1906 წლის იანვარ-თებერვალში დამსჯელმა ექსპედიციამ გურიაში ბევრი აჯანყებული დახოცა, ბევრი დაპატიმრეს, თუმცა ხელისუფლებას დამშვიდების საფუძველი არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ 1906 წლის 12 თებერვლის მონაცემებით გურიის საექსპედიციო რაზმი (მეთაური პოლკოვნიკი კრილოვი) კვლავ ოზურგეთის მაზრის ტერიტორიაზე რჩებოდა: **ნატანებში** – ნავაგინსკის ქვეითთა 78-ე პოლკის ბატალიონის 1 ასეული, **ლანჩხუთში** – ნავაგინსკის ქვეითთა 78-ე პოლკის 2 ასეული, **ჩოხატაურში** – ნავაგინსკის 78-ე ქვეითთა პოლკის 5 ასეული, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის 2 ქვემეხი, **ოზურგეთში** – ხერსონის ქვეითთა 130-ე პოლკის 2 ბატალიონი და 33-ე საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის 2 ქვემეხი, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის 4 ქვემეხი, ლაბინსკის კაზაკთა პოლკის 0,5 ასეული.

1906 წლის ზაფხულისათვის გურიაში რევოლუციური მოძრაობის უმთავრესი კერები განადგურებული იქნა. თუმცა, რევოლუციური გამოსვლები 1906 წლის შემოდგომაზეც გრძელდებოდა. 1906 წლის 17 სექტემბერს ბენდერის 132-ე ქვეითთა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი **ტოლმაჩევი** კავკასიის მეფისნაცვალსა და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალს **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს** მოახსენებდა, რომ რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში კვლავ გრძელდებოდა. პოლკოვნიკი ტოლმაჩევი აღნიშნავდა:

1. ოზურგეთის მაზრის **ჩოხატაურისა** და **ლანჩხუთის** უბნების მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გადასახადები არ გადაეხადათ და ახალწვეულები ჯარში არ გაეგზავნათ. ჩემ მიერ წინა ხანებში მიცემული უკანასკნელი ვადის გასვლის მიუხედავად გლეხებს დარჩენილი გადასახადებიდან 1 კაპიკიც კი არ გაუსტუმრებიათ. გლეხთა დაუმორჩილებლობის აღკვეთის მიზნით ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1,5 ასეულისა და ჩემს დაქვემდებარებაში არსებული მოხალისეთა პოლკის მე-3 და მე-5 ასეულებისაგან რაზმი შევადგინე და ჩოხატაურისა და ლანჩხუთის უბნების სოფლებისაკენ გავემართე. გადაწყვეტილი მქონდა, თუ მოსახლეობა კვლავ უარს იტყოდა გადასახადების გადახდაზე, ისინი ძალის გამოყენებით დამეთანხმებინა;

2. მე-3 ასეული და კაზაკთა 0,5 ასეული შტაბს-კაპიტან **რომასკევიჩის** მეთაურობით 1906 წლის 8 სექტემბერს სოფელ **ხიდისთავისაკენ** დაიძრა. სოფელი ხიდისთავი რევოლუციონერთა ბუდედ ითვლებოდა. რაზმის დანარჩენი ნაწილი ჩემი მეთაურობით ოზურგეთიდან სოფელ **სურებისაკენ** დაიძრა, რომელსაც 9 სექტემბრისათვის მიაღწია;

3. **სურებში** მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა გადასახადების გადახდაზე. იგივე მოხდა **ხიდისთავსა** და **ჩოხატაურში**. ჩოხატაურში მუდმივად იდგა ბენდერის 132-ე ქვეითთა პოლკის მე-7 ასეული. მიუხედავად ამისა, მოსახლეობამ აქაც დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. გენერალ-გუბერნატორის ბრძანების თანახმად, მე ჯარისკაცები და ცხენები სოფლის მცხოვრებთა ოჯახებში ჩავაყენე და მათი შენახვაც მოსახლეობას დავავალე;

4. 1906 წლის 9-10 სექტემბერს ღამით და 10 სექტემბერს დილით აგენტებმა მაცნობეს, რომ **სურების** მოსახლეობას გადასახადების გადახდაზე უარის თქმის გარდა გადაწყვეტილი ჰქონდა ჯარზე თავდასხმა. ჯარზე თავდასხმის წინ მოსახლეობას ოჯახის წევრები და ქონება მთებში გაუხიზნავს. ცნობის სისწორეს ადასტურებდა ის, რომ 9-10 სექტემბერს ღამით და 10 სექტემბერს დილით მართლაც შეინიშნებოდა მოსახლეობის გადაადგილება მთებისაკენ. შევნიშნეთ ისიც, რომ ჩემი რაზმი რევოლუციონერთა მზვერავებით იყო გარშემორტყმული. როგორც კი ჯარისკაცები სახლებიდან გამოვიდოდნენ, მზვერავები მაშინვე მეთაურებს გადასცემდნენ ცნობებს. მზვერავები მუდმივად ადევნებდნენ თვალყურს დამსჯელთა რაზმის გადაადგილებას;

5. შექმნილ ვითარებაში, იმის გამო, რომ მცირე ძალები (155 კაცი – 100 ქვეითი და 55 ცხენოსანი) მყავდა და ვიმყოფებოდი ტყიან და მთიან ადგილებში, დაუყონებლივ გავგზავნე მაცნე **ოზურგეთში**, რათა სურებში დამატებითი სამხედრო ძალა გამოეგზავნათ. **ოზურგეთიდან** დამხმარე ძალა 11 სექტემბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, გამოვიდა, 14,5 საათში 45 ვერსი გაიარა და როგორც იქნა 12 სექტემბერს მოაღწია სოფელ **სურებს**;

6. ოზურგეთიდან დამატებითი სამხედრო ძალის მოსვლის შემდეგ აგენტებმა მაცნობეს, რომ მეზობელმა სოფლებმა სურებელებს აჯანყებაზე უარი უთხრეს. ამასთან ერთად, რსდმპ გურიის კომიტეტს სოფელ სურების მცხოვრებთათვის უბრძანებია გადასახადები გადაეხადათ, რადგან რევოლუციონერები აჯანყების დაწყებისათვის ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად;

7. 12 სექტემბერს **სურებელებმა** მართლაც დაიწყეს გადასახადების გადახდა. მალე გადასახადი გადაიხადეს **ხიდისთავის** სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფელ **ბასილეთის** მცხოვრებლებმა და სხვებმა;

8. 12 სექტემბერს რაზმთან ერთად გადავედი სოფელ **ზემოხუეში**, ხოლო შტაბს-კაპიტანი **რომასკევიჩი** სოფელ **ერკეთში**. **ზემოხუეს, ბასილეთისა** და სხვა სოფლების მოსახლეობამ გადასახადების გადახდა დაიწყო;

9. 15 სექტემბერს სოფელ **ზემოხუედან** გადავედი **ჩოხატაურში**, ხოლო 16 სექტემბერს დავბრუნდი ოზურგეთში.

ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებლის მოხსენებიდან კარგად ჩანს, თუ რა ვითარება იყო გურიის სოფლებში, როგორი იყო მოსახლეობის განწყობილება.

როგორც ვხედავთ, ამჯერად გურიის მოსახლეობამ ჯარზე თავდასხმისაგან თავი შეიკავა, თუმცა ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. რევოლუციის დაღმავლობაზე მიუთითებდა რსდმპ გურიის კომიტეტის გადაწყვეტილებაც. ეს იმას ნიშნავდა, რომ **გურიის რესპუბლიკამ არსებობა** შეწყვიტა. ხელისუფლებამ ოზურგეთის მაზრაზე კონტროლი აღადგინა.

თავი VII. იარალის შემოტანა საქართველოში 1905 წელს

რევოლუციის ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო ფურცელია იარალის შემოტანა საქართველოში 1905 წელს. ეს იყო გაბედული და კარგად ორგანიზებული ღონისძიება, რომლის განხორციელება საკმაოდ ძნელი და, რაც მთავარია, სახიფათო იყო.

§1. იარალის შესყიდვა და საქართველოში გამოგზავნა. მგზავრობა ამსტერდამიდან ფოთამდე

1905 წელს რეგულარულ ჯართან, ჟანდარმერიასა და პოლიციასთან ბრძოლაში ჩაბმული რევოლუციური ძალებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემას წარმოადგენდა აუცილებელი შეიარაღებითა და საბრძოლო საჭურველით ცალკეული რაზმისა თუ ჯგუფის მომარაგება. რევოლუციის დაწყების შემდეგ ევროპაში მოღვაწე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა სარევოლუციო პარტიის წევრებსა და ქართველი ანარქისტების ჯგუფს შორის გაჩნდა საქართველოში იარალის შემოტანის იდეა. ამ ადამიანთა შორის იყვნენ: **არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, თევდორე (თედო) სახოკია, ალექსანდრე გაბუნია, ალექსანდრე დიასამიძე, დავით დიასამიძე, მიხეილ დიასამიძე, დიმიტრი დიასამიძე, გიორგი მაჩაბელი, ზურაბ ავალიშვილი, დავით სოლოღაშვილი, ზურაბ გეულესიანი, ანა დიასამიძისა, თამარ ფალავანდიშვილისა** და სხვ. არჩილ ჯორჯაძეს იმხანად ავადმყოფობა უკვე სერიოზულად მორეოდა, ამიტომ იარალის შესყიდვისა და შემოტანის საქმეს გიორგი დეკანოზიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელსაც საქართველოში იარალის შემოტანის გეგმა 1905 წლის მარტში უკვე მზად ჰქონდა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს კავშირი ჰქონდათ ფინეთის განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრ **ჯონ ცილიაკუსთან,** რომელმაც გიორგი დეკანოზიშვილს გააცნო სტოკჰოლმში იაპონიის სამხედრო აგენტი **აკაში კორნელიო.** იმხანად, როგორც ალენიშნეთ, რუსეთ-იაპონიის ომი მიდმინარეობდა და იაპონია დაინტერესებული იყო, როგორც ფინელებს, ისე ქართველებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა. გიორგი დეკანოზიშვილსა და კორნელიო აკაშს შორის ევროპაში იარალის შეძენის თაობაზე მოლაპარაკება გაიმართა. იაპონიის მთავრობა თანახმა იყო, როგორც ფინეთის, ისე საქართველოსათვის იარალის შესაძენი თანხა გაეცა. ამის შემდეგ დაინყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. გადაწყდა, იარალი როგორც ფინეთის, ისე საქართველოსათვის შეეცარიაში ეყიდათ. არჩევანი შეეცარიაზე იმიტომ შეჩერდა, რომ იარალის შესყიდვის ორგანიზატორებისათვის ცნობილი გახდა მნიშვნელოვანი ფაქტი: შეეიცარიის მთავრობას საწყობებში ჰქონდა „ფოტტენრიგის" სისტემის თოფები, რომლებიც შეეიცარიის არმიის შეიარაღებიდან უკვე მოხსნილი იყო. ეს თოფები ნაგანის პრინციპზე იყო აწყობილი, შიგ ჩადიოდა 12 ვაზნა, გასროლის დროს ხმას თითქმის არ გამოსცემდა, მხოლოდ მცირე ტკაცუნი ისმოდა.

საქართველოსათვის შეძენილი იქნა 8.500 თოფი და 2.500.000 ვაზნა. თოფები და ვაზნები, წყალგაუმტარ ყუთებში ჩაწყობილი და საგანგებოდ დალუქული, შეეიცარიიდან ტრანზიტით ჰოლანდიის ქალაქ **ამსტერდამში** გაგზავნეს. ამსტერდამში იარალი უნდა მიეღო და საქართ-



ვარლამ ჩერქეზიშვილი

ველოში გამოსაგზავნად გემი უნდა შეესყიდა ამსტერდამელ ვაჭარ **კორნელისენს,** რომელიც ცნობილი ანარქისტის, **ქრისტიან კორნელისენის,** ძმა და ქართველი ანარქისტის, **ვარლამ ჩერქეზიშვილის,** ქვისლი იყო. ვაჭარი კორნელისენი გიორგი დეკანოზიშვილს ვარლამ ჩერქეზიშვილმა გააცნო და თანაც სთხოვა დახმარება აღმოეჩინა ქართველებისათვის.

იარალის ასეთი დიდი რაოდენობით საქართველოში გამოგზავნა ჩვეულებრივი სავაჭრო

გემით ძალზე სახიფათო იყო და თანაც ძვირი დაჯდებოდა. გიორგი დეკანოზიშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს ამ მიზნით გემი შეეძინათ, რომელსაც შემდეგ ან მსგავსი საქმიანობისათვის გამოიყენებდნენ, ან გაყიდდნენ. ვაჭარ კორნელისენის დახმარებით ნიდერლანდებში 70.000 ფრანკად შეიძინეს სამანძიანი, ორთქლით მავალი გემი, რომელსაც „სირიუსი" უწოდეს.

გიორგი დეკანოზიშვილი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ როდის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ნიდერლანდიდან საქართველოში იარაღის გაგზავნა, ან როგორ უნდა გადაეტანათ საქართველოში ჩასული გემიდან იარაღი ხმელეთზე. გიორგი დეკანოზიშვილმა კარგად იცოდა, რომ გემიდან ხმელეთზე იარაღის გადატანა ძალზე გართულდებოდა. პოლიციისა და ჟანდარმერიის გარდა, იარაღის ხელში ჩაგდებას შეეცდებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებიც ასევე განიცდიდნენ იარაღის დიდ ნაკლებობას. ამიტომ იყო გადაწყვეტილი, რომ იარაღის მისაღებად წინასწარ საგულდაგულოდ უნდა მომზადებულიყვნენ. იარაღის საქართველოში გამოგზავნისათვის მზადების დღეებში გიორგი დეკანოზიშვილს სოციალისტ-ფედერალისტებმა აცნობეს, რომ გამოგზავნა დროებით გადაედოთ. გამომდინარე იქიდან, რომ იარაღი საქართველოში პაერივით იყო საჭირო, ხოლო გემი უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოში მყოფ ფედერალისტებს ასე უპასუხა: „უნდა უეჭველად მიიღოთ!"

ყველაფერი წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად მიმდინარეობდა. გადასაწყვეტი დარჩა უმნიშვნელოვანესი საკითხი: ვინ გაჰყვებოდა „სირიუსს" და ვინ უზრუნველყოფდა იმას, რომ გემი უხიფათოდ მისდგომოდა საქართველოს ნაპირებს. საქმეს ის ართულებდა, რომ 1905 წლის გაზაფხულისათვის საფრანგეთსა და ბელგიაში მყოფი სოციალისტ-ფედერალისტები, გიორგი დეკანოზიშვილის მოთხოვნით, საქართველოში დაბრუნდნენ. თვითონ გიორგი დეკანოზიშვილს, როგორც ემიგრანტს, რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოსვლა არ შეეძლო, თანაც მისი ემიგრაციაში დარჩენა იმის გამოც იყო აუცილებელი, რომ მის გარეშე იქ არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდებოდა. იარაღის გამოგზავნის დროისათვის გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად პარიზში იმყოფებოდა **ზურაბ გველესიანი**, პარიზშივე აღმოჩნდა **ელადი მერ ნაზარაშვილი**, ხოლო ბრიუსელში – **პალიკო ყიფიანი** და **გიორგი სიხარულიძე**. ამ უკანასკნელს საიდანღაც შეუტყვია საქართველოში იარაღის გაგზავნის შესახებ. იარაღის გამოგზავნის ორგანიზატორები წინასწარ მოელაპარაკნენ პალიკო ყიფიანსა და გიორგი სიხარულიძეს, რის შემდეგაც ორივენი გიორგი დეკანოზიშვილთან გამოცხადებულან და მას ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

1905 წლის სექტემბერში ნიდერლანდიდან (ამსტერდამიდან) იარაღით დატვირთული ერთი გემი „სირიუსი" საქართველოსაკენ, ხოლო მეორე ფინეთისაკენ გაემგზავრა. „სირიუსის" კაპიტნობა გამოცდილ ჰოლანდიელ მეზღვაურს, ვარლამ ჩარქეზიშვილის ცოლის ძმას, მიანდეს, რომელსაც 6 მეზღვაური აუყვანეს და სექტემბრის დამლევს საქართველოსაკენ გამოისტუმრეს. გემს, როგორც აღვნიშნეთ, 8.500 თოფი და 2.500.000 ცალი ვაზნა მოჰქონდა.

„სირიუსმა" **ამსტერდამიდან გიბრალტარამდე** უხიფათოდ იმგზავრა. მდგომარეობა გაართულა იმან, რომ რუსეთის აგენტებს იარაღის ამსტერდამიდან გაგზავნა არ გამოჰპარვიათ. გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის ცნობა: ამსტერდამიდან იარაღით დატვირთული გემი „სირიუსი" ფინეთის მიმართულებით ნავიდაო. სინამდვილეში, ფინეთის მიმართულებით სხვა გემი ნავიდა. ფინელები გაზეთში დაბეჭდილ ცნობას არ შეუშინდნენ და სამშობლოსაკენ განაგრძეს გზა, მაგრამ ნაპირს მიღწეული გემი **ჰელსინგფორსთან** კლდეს დაეჯახა და ტყვრთიანად ჩაიძირა. მართალია, რუსეთის აგენტებს აერიათ და ზუსტად ვერ დაადგინეს, „სირიუსი" საით მიდიოდა, ფინეთისაკენ თუ გიბრალტარისაკენ, მთავარი იყო ის, რომ რუსეთის ხელისუფლება წინასწარ გააფრთხილეს იმპერიის საზღვრებში იარაღის მოსალოდნელი შეტანის შესახებ. გიბრალტარის სრუტეში „სირიუსი" რუსეთის აგენტებმა შენიშნეს და უკვე ცხადი გახდა, რომ გემი ფინეთისკენ კი არა, საქართველოსაკენ მიდიოდა. აგენტები გემს კვალში ჩაუდგნენ. გაზეთებში გამოქვეყნებულმა ცნობებმა გემის კაპიტანი და მეზღვაურები უკიდურესად შეაშფოთა, ამიტომ **მარსელის** ნავსადგურში შესვლის შემდეგ მათ გემი დატოვეს. აუცილებელი გახდა გემისათვის ახალი კაპიტნისა და მეზღვაურების მოძებნა. გაჭირვების ჟამს ქართველებს დიდად დაეხმარა ფრანგი სოციალისტი **ეჟენი ბო**, რომელმაც პარიზში მყოფ გიორგი დეკანოზიშვილს აცნობა მომხდარის შესახებ და ახალი შემადგენლობის დასაქირავებლად თანხის გაგზავნა სთხოვა. გიორგი დეკანოზიშვილმა სასწრაფოდ ბრიუსელიდან პარიზში დაიბარა პალიკო ყიფიანი და გიორგი სიხარულიძე და საქმის ვითარება გააცნო. გადაწყდა, ფული პარიზში მყოფი ქართველ მეცენატ **ზუბალაშვილისათვის** ეთხოვათ. ზუბალაშვილთან მოსალაპარაკებლად **პალიკო ყიფიანი, გიორგი სიხარულიძე** და **იასონ ბობლიაშვილი** უნდა წასულიყვნენ. გიორგი სიხარულიძემ

და იასონ ბობლიაშვილმა ზუბალაშვილთან შეხვედრა ვერ მოახერხეს. ნარმატებული გამოდგა პალიკო ყიფიანის ვიზიტი. ზუბალაშვილმა თანხმობა განაცხადა და პალიკო ყიფიანს თანხაც მაშინვე შესთავაზა. ამ უკანასკნელმა ფული არ ნამოიღო, რადგან სურდა ზუბალაშვილი თავის პატიოსნებაში დაერნმუნებინა. თანხა ზუბალაშვილმა მეორე დღეს გადასცა გიორგი დეკანოზიშვილს, რომელსაც 1900 წლიდან იცნობდა.

სანამ გიორგი დეკანოზიშვილი ფულს იშოვიდა, ევგენი მობ „სირიუსისათვის" კაპიტანიცა და მეზღვაურებიც დაიქირავა. მან სხვა სამსახურიც გაუწია ქართველებს: მარსელში მყოფი რუსი ჯაშუშები ქრთამის გზით დაითანხმა, რომ „სირიუსის" შესახებ რუსეთში ცნობები არ გადაეცათ. მარსელიდან გემს გამოჰყვნენ **გიორგი სიხარულიძე** და **ვლადიმერ ნაზარაშვილი**. გართულების თავიდან აცილების მიზნით ისინი გემს ისე გამოჰყვნენ, თითქოს ხელმოკლე მგზავრები იყვნენ, ბილეთის ფული არ გააჩნდათ, მაგრამ სამაგიეროდ, გემზე მეზღვაურად იმსახურებდნენ და სხვა „შავ" სამუშაოსაც შეასრულებდნენ. „სირიუსი" მარსელიდან საქართველოსკენ გამოემართა. **პალიკო ყიფიანი** და **იასონ ბობლიაშვილი** გემს არ გამოჰყოლიან, ისინი **სტამბოლისაკენ** გაემგზავრნენ, რათა ოსმალეთის ჟანდარმერიას მოლაპარაკებოდნენ **ბოსფორსა** და **დარდანელში** გემის მშვიდობიანად გატარების შესახებ. იმავდროულად მათ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ხელმძღვანელობისათვის მარსელიდან „სირიუსის" გასვლის შესახებ უნდა ეცნობებინათ. სოციალისტ-ფედერალისტებმა ამბავი შეიტყვეს თუ არა, სტამბოლში გაგზავნეს **ზია ბეი აბაშიძე**, რომელიც გემის გატარების თაობაზე ოსმალო მოხელეებს უნდა მოლაპარაკებოდა.

მარსელიდან გასულ „სირიუსს" ცუდი ამინდი დაესწრო, ზღვა სამი დღე განუწყვეტლივ ღელავდა. **საბერძნეთის** ერთ-ერთ კუნძულზე გემმა ქვანახშირის, სურსათისა და წყლის მარაგი შეიესო და რუსეთის აგენტებისათვის კვალის არევის მიზნით პირდაპირ **სტამბოლისაკენ** გაემართა. გემმა მშვიდობიანად მიაღწია **დარდანელს**. ოსმალეთის საბაჟო სამსახურმა „სირიუსის" ტვირთის შემოწმება გადაწყვიტა. სტამბოლის ნავსადგურში საბაჟოს მოხელემ „სირიუსის" კაპიტანს განუცხადა: თქვენი გემი იარაღითაა დატვირთული და უნდა გაიჩხრიკოსო! კაპიტანი არ შეშინდა და მოხელეს უპასუხა: „გემზე ყავა მაქვს, რუმინეთში მიმაქვს, გემის გაჩხრეკა თქვენი ნებაა, მხოლოდ ისიც იცოდეთ, თუ ჩხრეკამ ვერაფერი აღმოაჩინა, ზარალი თქვენ უნდა ზღოთ!" საბაჟოს მოხელე შედრკა, რადგან ოსმალეთში ასეთი ნესი მოქმედებდა: თუ საბაჟოს მოხელე რომელიმე გემს გაჩხრეკდა და შიგ ნებადაურთველ საქონელს ვერ აღმოაჩენდა, და ამდენად, მისი ეჭვი არ დადასტურდებოდა, მოხელეს სამსახურიდან დაითხოვდნენ და კანონის ძალით, შეიძლება პასუხისგებაშიც მიეცათ. „სირიუსი" ჩხრეკას გადარჩა და შეეძლო სტამბოლი მშვიდობიანად დაეტოვებინა. გემის გასვლას მხოლოდ ის აფერხებდა, რომ გიორგი დეკანოზიშვილს საქართველოდან ვერ დაუდასტურეს, მზად იყვნენ თუ არა იარაღის მისაღებად. ბოლოს და ბოლოს მან გემის კაპიტანს აცნობა, რომ შეიძლებოდა საქართველოსაკენ დაძერა. კაპიტანმა ბოსფორის სრუტეში გასასვლელი წერილობითი ნებართვა მიიღო, სრუტე მშვიდობიანად განელო და 1905 წლის ოქტომბრის ბოლოს საქართველოსაკენ გამოემართა.

§2. იარაღის გადმოტვირთვა

ფოთში იარაღის მისაღებად ემზადებოდნენ. ამ საქმეს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ ესაკია** ხელმძღვანელობდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რამდენიმე სანდალი ღია ზღვაში მდგარ „სირიუსს" მიუახლოვდებოდა და გემიდან დაინყებოდა მათში იარაღის გადმოტვირთვა. გემიდან გადმოტვირთული იარაღის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეტანა **თედო სახოკიას** ევალებოდა. გეგმის მიხედვით, იარაღი **სოხუმში**, **ფოთსა** და **ბათუმში** უნდა გაენაწილებინათ. გემიდან ტვირთის გადმოტანა და მისი ფოთში, ბათუმსა და სოხუმში განაწილება დიდ საფრთხეს უკავშირდებოდა, ამ საქმის მონაწილეთ სამხედრო მდგომარეობის გამო უმკაცრესი სასჯელი – დახერეტა ელოდათ. მიხეილ ესაკიამ და თედო სახოკიამ გადაწყვიტეს: რადგან გემი ფოთის აკვატორიაში დადგებოდა, სანდლები და მენავეებიც ფოთში მოეძებნათ. იარაღის გადმოტვირთვისა და განაწილების საქმე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტს დაეკალა. კომიტეტს მიხეილ ესაკია ხელმძღვანელობდა, მისი აქტიური თანამებრძოლები იყვნენ: **იაკობ ფანცხავა**, **აპოლონ ჩაჩავა**, **ნოე ჟღენტი**, **იასონ ჩაჩავა**. თედო სახოკიას თხოვნით, მენავეებს მიხეილ ესაკია უნდა მოლაპარაკებოდა, რომელსაც ფოთში ყველა იცნობდა და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდა. მიხეილ ესაკია ფიქრობდა, რომ იარაღის შემოტანა ცოტა ხნით უნდა გადადებულიყო, სანამ ვითარება არ გაუმჯობესდებოდა. როგორც ჩანს, ამ აზრს ეთანხმებოდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარ-

ტიის მთავარი კომიტეტიც. მთავარი კომიტეტის ნევრმა გიორგი **ზდანოვიჩმა** პარიზში მყოფ გიორგი **დეკანოზიშვილს** შეუთვალა, იარალის შემოტანა სხვა დროისათვის გადაედო. ამ უკანასკნელმა ეს მიუღებლად მიიჩნია და მთავარ კომიტეტს აცნობა: იარაღს ვგზავნი, თუ თქვენ ვერ დახვდებით და ვერ მიიღებთ, გემის კაპიტანი გაფრთხილებული იქნება და საქართველოს ნაპირებს მოახლოებული იარაღს ზღვაში გადაყრისო. გიორგი დეკანოზიშვილის პასუხმა საქმე დააჩქარა, გადაწყდა, თედო სახოკიას 3 სანდალი დაექირავებინა, იარაღის მიღების შემდეგ 2 მათგანი ფოთთან ახლოს, **ნაბადასთან**, უნდა მოსდგომოდა ნაპირს, მესამე კი აფხაზეთის სანაპიროებისაკენ გაემართებოდა. კიდევ 3 სანდალი სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის ბათუმის კომიტეტს უნდა დაექირავებინა. ეს სანდლები იარაღის მიღების შემდეგ **შეკვეთილთან** უნდა მოსდგომოდნენ სანაპიროს, რათა იარაღი გურიაში შეეტანათ. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტს, **იაკობ ფანცხავას** მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ნაბადაში ერთი სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი იქვე, ქვიშაში, უნდა ჩაეფლა და შემდეგღა გაეგზავნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მეორე სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი **ანაკლიაში** უნდა გადაეტანათ და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის **ზუგდიდის კომიტეტისათვის** გადაეცათ. ყოველივე ამის ორგანიზება მიხეილ ესაკიას ეკისრებოდა. აფხაზეთისაკენ დაძრულ მესამე სანდალს იარაღი **ბიჭვინთის** ახლოს, **ალექსანდრე ინალიფას** მამულში, უნდა შეეტანა. **სპირიდონ ნორაკიძე** წინასწარ მოელაპარაკა ალექსანდრე ინალიფას, რომელმაც თანხმობა განაცხადა იარაღის დამალვაზე.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის მიერ შემუშავებული იარაღის გადმოტვირთვის გეგმის უშუალო შემსრულებლები **იოსებ აფსავა, თ. თირქია** და **ექვთიმე შამათავა** იყვნენ. დაქირავებული სანდლების მესაჭეებად უნდა ყოფილიყვნენ: **მელიტონ ბუკია, კონია ჯიქია** და **ითონ ფაჩულია**. მესანდლეები მზად იყვნენ, მაგრამ მოლაპარაკებიდან ერთი თვე გავიდა, „სირიუსი"კი არ ჩანდა. მესანდლეები მიხეილ ესაკიასთან მივიდნენ და სამუშაოზე გაშვება სთხოვეს (ისინი ყველანი მეთევზეები იყვნენ). სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ფოთის კომიტეტს შეუთვალა: გემი იგვიანებს, მაგრამ იგი აუცილებლად მოვა, ამიტომ მესანდლეები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენო.

1905 წლის 8 ნოემბერს ბათუმიდან გიორგი



გიორგი ზდანოვიჩი

ზდანოვიჩმა ფოთში მყოფ მიხეილ ესაკიას დეპეშით აცნობა: სანდლები დაუყოვნებლივ ზღვაში გავიდნენო. 9 ნოემბერს ზღვაზე ძლიერი ღელვა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მესანდლეებმა სურსათ-სანოვაგე მოიმარაგეს და ზღვაში გავიდნენ. სანდლებს თან გაჰყვნენ **იასონ ჩაჩავა** და **ექვთიმე შამათავა**. მათ შეუერთდა ქუთაისიდან ფოთში ჩასული **იასონ ბობლიაშვილი**. სანდლები ფოთიდან 9 ნოემბერს, ნაშუადღეს, გავიდნენ. 9 ნოემბრის საღამოს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **იაკობ ფანცხავა, აპოლონ ჩაჩავა, მიხეილ (მიხაკო) ჩხენკელი, ივანე თურქია, მიხეილ ესაკია, ანდრო ხოჭოლავა**, ლ.მგელაძე და სხვები. კომიტეტის სხდომას მოხსენდა, რომ იარალის გადმოტვირთვა მოხდებოდა ფოთიდან 4-5 ვერსის მოშორებით. გადმოტვირთვაში მონაწილეობას მიიღებდნენ: **იასონ აფსავა, პამფი ფალავა, გრიგოლ ლომაია, ვარლამ ლოლუა, ზოსიმე ხუბუა, ნოე ჟღენტი**, დ. განგია, ს. **ჩიჩუა**, ი. ლოლუა, ა. **ბოკერია**, ე. **ფრუიძე** და სხვები. 9 ნოემბრიდან ფოთის სანაპიროზე განუწყვეტლივ მორიგეობდა რამდენიმე კაცი, მათ შორის, **მიხეილ ესაკია** და **თედო სახოკია**.

1905 წლის 9 ნოემბერს „სირიუსზე" მყოფმა გიორგი სიხარულიძემ და ელადიმერ ნაზარაშ-



სპირიდონ ნორაკიძე
ავის წერაქ ტფილისში ყურადღებად მოყოლილი.

სპირიდონ ნორაკიძე

ვილმა ფოთის შუქურა შენიშნეს. კაპიტანმა გემი, ნინასნარ მიცემული ინტრუქციის თანახმად, შემოაბრუნა ისე, რომ ქიმი დასავლეთისაკენ ჰქონდა და გაჩერდა. ფოთამდე 30 ვერსი იყო დარჩენილი. ასევე ნინასნარი შეთანხმებით გემზე ნითელი, ლურჯი და თეთრი ფანრები აანთეს. გემი ორი დღე ელოდა სანდლებს. ამინდი ყოველ წუთს უარესდებოდა. გიორგი სიხარულიძემ კაპიტანს ნავი სთხოვა, რათა ნაპირზე გადასულიყო და ვითარება გაერკვია. კაპიტანმა უარი უთხრა: ზღვაზე ცუდი ამინდია, თქვენ რომ რაიმე მოგივიდეთ, მე უნავოდ დავრჩებიო. გათენდა მესამე დღე, სანდლები კი არსად ჩანდნენ. კაპიტანმა გიორგი სიხარულიძე იხმო და განუცხადა: იარაღი ზღვაში უნდა გადაეყარო და უკან გაებრუნდეო. გიორგი სიხარულიძის თხოვნის შემდეგ კაპიტანმა ლოდინი განაგრძო. გიორგი სიხარულიძემ კაპიტანს შესთავაზა: თუ სანდლები მეოთხე დღის 10 საათამდე არ გამოჩნდებოდნენ, იარაღს ზღვაში კი ნუ გადაყრიდნენ, არამედ უკან გაბრუნებულიყვნენ და რუმინეთის რომელიმე ნავსადგურში შესულიყვნენ. კაპიტანი ყოყმანობდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გემს ქვანახშირის მარაგი უთავდებოდა.

1905 წლის 12 ნოემბერს ორი სანდალი „სირიუსს“ მიუახლოვდა. მესამემ გემთან მისვლა ვერ შეძლო, ორივე სანდალში სწრაფად ჩატვირთეს იარაღი, მალე მასამე სანდალიც გამოჩნდა და ისიც დაიტვირთა. მესანდლეებმა კაპიტანს ფოთიდან წაღებული სურსათ-სანოვაგე გადასცეს და უკან გამობრუნდნენ. მოსცილდნენ თუ არა სანდლები გემს, ღელვამ კიდევ უფრო იმატა. აშკარა იყო, რომ სანდლები ნაპირს ვერ მიაღწევდნენ. გიორგი სიხარულიძის თხოვნით, „სირიუსის“ კაპიტანმა სამივე სანდალი ბუქსირზე აიყვანა და ფოთისაკენ გაემართა. ღელვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ორი სანდალი გემს მოსწყვიტა, ბუქსირზე ერთი სანდალიღა დარჩა. ორი სანდლის ხელახლა ბუქსირზე აყვანა კაპიტანმა არ ისურვა. მაშინ გიორგი სიხარულიძემ მას შესთავაზა: მესამე სანდალიც ჩახსენით ბუქსირიდან, მე სანდალში გადავალ, ფოთში მივალ, ორთქლმავალ ნაუს დავიქირავებ, უკან დავბრუნდები და გემში დარჩენილ იარაღს ნავიღებო. კაპიტანი დასთანხმდა. გიორგი სიხარულიძე სანდლით ფოთისაკენ გამოეშართა. იღბლად, ქარი ჩადგა და ღელვამაც იკლო. დაღლილ-დაქანცულ მესანდლეებსა და გიორგი სიხარულიძეს ჩაეძინათ და როცა გაეღვიძათ, შენიშნეს, რომ სანდალი ფოთთან ნაპირს მიახლოებული გაჩერებულიყო. გიორგი სიხარულიძე იასონ ჩაჩავასთან ერთად პატარა ნაით ფოთისაკენ გაემართა. ძლიერი ღელეის გამო ნაი ფოთს ვერ მიუახლოვდა და საბოლოოდ ქალაქიდან 7 ვერსის მანძილზე აღმოჩნდა. რის ეაი-ვაგლახით გიორგი სიხარულიძემ და იასონ ბობღიამეილმა ფოთს მიაღწიეს. ფოთში მათ აურზაური და დიდი ჩოჩქოლი შენიშნეს, ისმოდა სროლის ხმაც. მიუხედავად ამისა, დაღლილ-დაქანცულებმა ის მაინც შეძლეს, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტს აცნობეს, საქმე გართულდა, აუცილებელია გემს ორთქლმავალი ნაი მიაშველოთ და იარაღი წამოიღოთო. თვითონ გიორგი სიხარულიძე სასწრაფოდ გაემართა მატარებლით ქუთაისისაკენ.

§3. „სირიუსიდან“ გადმოტვირთული იარაღის ბედი

ფოთში იარაღის მიღების მთელი სიმძიმე მიხეილ ესაკიას დააწვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტში შეშფოთებულები იყვნენ, სამი დღე გავიდა და ზღვაში გასული სანდლები ბედი კი არავინ იცოდა! 1905 წლის 12 ნოემბერს, საღამოს, ფოთის კომიტეტში გამოცხადდა ერთ-ერთ სანდალს გაყოლილი **ექვთიმე შამათავა** და კომიტეტს აუწყა: **მელიტონ ბუკიას** იარაღით დატვირთული სანდალი ფოთის ნავსადგურში შემოვიყვანეთ, მა-



თეოდორე (თედო) სახოკია

გრამ ღელეის გამო მისი **ნაბადას** მიმართულებით ნაყვანა და იქ იარაღის გადმოტვირთვა შეუძლებელიაო; სანდლის პატრონი მოითხოვს სანდლის ამაღამვე დაცლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღის ზღვაში გადაყრით იმუქრებაო; სანდლის პატრონი მეტად მოცდას აღარ აპირებს, რადგან ეშინია, იარაღით დატვირთული სანდალი არ აღმოაჩიონონ და სასჯელი არ მივიღოო. ფოთის კომიტეტმა დაადგინა: სანდალი ფოთის ნაესადგურშიეე დაუყოვნებლივ დაცალონ და იარაღი ნაბადას ახლოს, ტყეში, დამალონ. ამ სახიფათო დავალების შესრულება **მიხეილ ესაკიას** მიუნდო, რომელსაც გაჰყვნენ **პამფი ფალავა, ექვთიმე შამათავა, ზ.ხუბუა, ლ. შელაძე, ს. ჩირუა, ი. მაგინეიშვილი, ი. ლოლუა. ა. ბოკერია,** ლ. განგია და სხვები, სულ – 25 კაცი. იარაღით დატვირთული სანდალი ნაესადგურის შესასვლელში, ჩრდილოეთ მხარეს, იდგა. მახლობლად საწყობის მსგავსი არანაირი შენობა არ ჩანდა. იგი მხოლოდ 400-500 მეტრის მოშორებით იყო. გადაწყდა, სანდალი საწყობთან მიეცურებინათ და ნაბადაში გადატანამდე იარაღი იქ შეენახათ. სანდლის პატრონმა საწყობთან მიახლოება ვერ გაბედა, დაჭერის შეეშინდა. იარაღი იქვე უნდა გადმოტვირთათ და საწყობამდე, 400-500 მეტრი, ზურგით ეტარებინათ. 25 კაცი ამ სამუშაოსთვის არ კმაროდა, დაუკავშირდნენ დაქირავებული მუშების უფროს ლ. **კალნდაძეს** და სთხოვეს 40 მუშა გამოეყო. კალანდაძე დასთანხმდა და გადაწყდა, ღამის 10 საათზე დაეწყოთ იარაღის გადმოტვირთვა და გადატანა. იარაღის გადატანა ისე ვერ განხორციელდებოდა, რომ ნაესადგურის დარაჯებს არ შეეტყოთ. მიხეილ ესაკია მოელაპარაკა ერთ-ერთ ქართველ დარაჯს, **სამადაშვილის,** რომელმაც ურჩია, სანდლიდან იარაღის გადმოტვირთვა და საწყობში გადატანა ღამის 12 საათამდე გადაედოთ, რადგან 10 საათზე რომ დაეწყოთ, 12 საათამდე ვერ მორჩებოდნენ, ამ დროს კი დარაჯთა ცელა ხდებოდა. 12 საათზე, დარაჯების ახალი ცელა მოვიდა. მიხეილ ესაკიას რაზმმა, როგორც ძველ, ისე ახალ ცელას იარაღი აპყარა და გადმოტვირთვის დასრულებამდე ყველანი დააკავა. სამადაშვილი და კიდევ რამდენიმე დარაჯი იარაღის გადმოტვირთვაშიც დაეხმარნენ. მალე ცხადი გახდა, რომ 60 კაცით იარაღის გადატანა გაჭირდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მუშებმა იარაღის მიმართ ინტერესი გამოავლინეს და თოფების გასინჯვაზე დიდ დროს ხარჯავდნენ. თოფების გასინჯვისას იარაღი ზოგს გაუვარდა და თოფის გასროლა ფოთშიც გაიგონეს.

1905 წლის 13 ნოემბერს, დილის 4 საათზე, იარაღის გადმოტვირთვა დასრულდა. მისი ნაწილი საწყობში შეიტანეს, ნაწილი ზღვის ნაპირზე ეწყო. მიხეილ ესაკიას ფოთიდან აცნობეს, რომ ჟანდარმები და კაზაკები მათკენ მიემართებოდნენ. სანდალმა მიმალვა მოასწრო. კაზაკები ნაესადგურის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგდნენ და იქიდან გაუხსნეს ცეცხლი მიხეილ ესაკიას რაზმს. სროლა დაახლოებით 1 საათს გაგრძელდა. საბოლოოდ საწყობში შეტანილი და ზღვის ნაპირზე დატოვებული იარაღი და ვაზნები კაზაკებსა და ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში.

ფოთის აკვატორიაში მდგარი გემი „სირიუსი" ჯერ კიდევ ღია ზღვაში იდგა. იარაღის მისაღებად ბათუმიდან სანდალს რომ ელოდნენ, ვერ ჩამოვიდა. გემის კაპიტანმა მეზღვაურები და გემზე მყოფი ქართველები შეკრიბა და განუცხადა: გემზე არსებული ქვანახშირისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი მხოლოდ 4 დღის ღირდინის საშუალებას იძლევა, თუ ამ დროის განმავლობაში იარაღს არ გადატვირთავთ, იძულებული ვიქნები, ზღვაში გადავყაროო. დანიშნული 4 დღიდან 2 უკვე გავიდა, სანამ **იასონ ჩაჩავა** გემიდან ნაპირს მოაღწევდა. მომდევნო დღეებშიც ძლიერი ღელვა არ ჩამცხრალა. ჟანდარმერია და კაზაკები დღედაღამ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს სანაპირო ზოლსა და ქალაქის ქუჩებს. ამ მიზეზით „სირიუსზე" დარჩენილი იარაღის გადმოტვირთვა ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, გემიდან 4.500 თოფი და

მისი სამყოფი ვაზნები გადმოიტვირთა.

ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ იარაღი ფოთში გემით შემოიტანეს და სანაპირო დაცვაც მოტორიანი ნავით „სირიუსის" დასაკავებლად გაეგზავნათ. კაპიტნის ბრძანებით, გემზე დარჩენილი იარაღი ზღვაში გადაყარეს, „სირიუსი" სანაპირო დაცვის ნავს დაუსხლტა და რუმინეთისაკენ გაემართა, სადაც ჩააბარა კიდეც პოლანდიიდან იარაღთან ერთად ნამოღებული ყაია. „სირიუსი" მშვიდობიანად დაბრუნდა ნიდერლანდებში და ცოტა ხნის შემდეგ 30.000 ფრანკად გაიყიდა.

ჰოლანდიიდან საქართველოში გემ „სირიუსით" იარაღის შემოტანის ამბავი გახმაურდა და პრესის ფურცლებზეც მოხვდა. გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1905 წლის 17 ნოემბერს იუწყებოდა: „ფოთიდან გვატყობინებენ: 13 ნოემბერს, დილის მეოთხე საათზე, ფოთის ნავსადგურის ახლოს, სროლა ასტყდა. როგორც აღმოჩნდა, ვიღაცეებს ნავით თოფები და პატრონები მოეტანათ. როდესაც რამდენიმე ყუთი გადმოუტანიათ ნაპირზე, ბევრი თოფი და რამდენიმე ყუთი პატრონა მთავრობას ჩაუგდია ხელში. როგორც ამბობენ, ორი ნავი, თოფ-იარაღით სავსე, ზღვაშია კიდევ. სროლის დროს ორი კაცი დაუჭრიათ, ხალხს ერთი ყაზახი დაუჭრია. დატუსაღებულია ათი კაცი. ხვალ, 16 ნოემბერს, მოელიან ქუთაისის გუბერნატორს სტაროსელსკის." გაზეთის იმავე ნომერში დაბეჭდილია „ოფიციალური დეპეშა ფოთიდან", რომელშიც ვკითხულობთ: „რკინიგზის ჟანდარმერიის უფროსმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ამ დღეებში საზღვარგარეთიდან მოვიდა გემი SIRIUS. ნავსადგურიდან მიეგება სამი ფელუკა და იარაღის გადმოცლა დაიწყო. ერთი ფელუკა, იარაღით სავსე, სოხუმს მიადგა, მეორე – ფოთს, მესამე – გურიის ნაპირებს. აქ შეიარაღებული კაცები დარაჯობენ. ფოთში იარაღის გადმოცლის დროს პოლიციამ გაიგო ეს ამბავი, მეორე დღით გამოინვია ჯარი და სროლა აუტეხა. მოკლული და დაჭრილია ოცი კაცი. გაიტაცეს 1000 თოფი." იარაღის შემოტანის ამბავი 1905 წლის 18 ნოემბერს დაბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „ვოზროჟდენიემ".

ალექსანდრე ინალიფას მამულში, **ბიჭვინთის** ახლოს, ერთი სანდლით მიტანილი იარაღი, სოციალ-დემოკრატების ნაქეზებით, აჯანყებულმა გლეხებმა დაირიგეს. 1905 წლის 25 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტებმა მხოლოდ იარაღის ნაწილის – 600 თოფისა და ვაზნების – დაბრუნება შეძლეს.

მელიტონ ბუკიას სანდალმა იარაღი და ვაზნები **ანაკლიის** ახლოს გადმოტვირთა. იარაღის მისაღებად მზად იყო 30 ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმი **მუშნი დადიანის** მეთაურობით. სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი ურმებით **ზუგდიდისაკენ** წაიღეს. სოციალ-დემოკრატებმა შეიტყვეს თუ არა ანაკლიაში იარაღის შემოტანის ამბავი, გლეხებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს, შემოტანილი იარაღი თავადაზნაურებისაა და მას გლეხების წინააღმდეგ გამოიყენებენო. აღშფოთებული ხალხი (300 თუ 500 კაცი) იარაღის ნართმევას შეეცადა, გამცილებლებმა პაერში გაისროლეს. ამით გათამამებული გლეხები კელაე შეეცადნენ იარაღის ნართმევას. მაშინ გამცილებლები გლეხებს დაემუქრნენ: იძულებულს თუ გაგვხდით, გესვრითო. გლეხები თავისას მაინც არ იშლიდნენ და ალბათ საქმე მსხვერპლით დამთავრდებოდა, **სპირიდონ კედია** რომ არ ჩარეულიყო. მისი დახმარებით იარაღი, როგორც იქნა, **ზუგდიდში** ჩაიტანეს.

ე. ჯაიანის სანდალი „სირიუსიდან" იარაღის მიღების შემდეგ **გურიისაკენ** უნდა ნასულიყო, რათა იარაღი **შეკვეთილთან** გადმოეტვირთათ. ე. ჯაიანის სანდალ „სირიუსის" მიმართულებით არც წასულა, რადგან მესანდლეები შეშინდნენ, ფოთს გვერდი აუარეს, **მიხეილ ესაკიას** კი აცნობეს, რომ უარს ამბობდნენ მიღებული დავალების შესრულებაზე და მშვიდობიანად გაეცალნენ იქაურობას. სოციალისტ-ფედერალისტთა **ბათუმის** კომიტეტის წევრი **მელიტონ ქარცივაძე** კი სანდალს გურულთა დიდი რაზმით (დაახლოებით 50 კაცი) **შეკვეთილთან** ელოდა. სოციალ-დემოკრატებმა შეკვეთილში იარაღის მოსალოდნელი მიტანის ამბავი რომ შეიტყვეს, **ბენია ჩხიკვიშვილი** თავისი რაზმით იქ გამოცხადდა. იარაღი ჯერ გადმოტვირთულიც არ იყო, როცა ბენია ჩხიკვიშვილი და მელიტონ ქარცივაძე შეელაპარაკნენ. მალე კამათი გაცხარდა. ვითარება ბედად იქ მყოფმა **მიხეილ (მიხაკო)** წერეთელმა განმუხტა.

§4. იარაღის შემოტანის საქმის ძიება და განაჩენი

ჰოლანდიიდან გემ „სირიუსით" საქართველოში იარაღის შემოტანის საქმეზე, უფრო ზუსტად, ფოთში იარაღის შემოტანის საქმეზე პასუხისგებაში მისცეს 3 მენავე: **ზოსიმე ხუბუა, ელიზბარ ჩარტია და კირილე ყორშია.** საქმე ბათუმში 1907 წლის 20 მაისს განიხილა თბილისის სასამართლო პალატის კოლეგიამ მოსამართლე **ბოგოროდსკის** თავმჯდომარეობით. სასამართლო კოლეგიის წევრები იყვნენ ლ. **ონიანი** და ლ. **ორლოვსკი.** სამი მენავის გარდა, პასუხისგებაში მიცემული იყო რამდენიმე სოციალ-დემოკრატი, რომლებიც შემოტანილი იარაღის მიტაცებაში ამხილეს. ორის გარდა, ყველანი სასამართლომ გაამართლა. რაც შეხება **ზოსიმე ხუბუას, ელიზბარ ჩარტიასა და კირილე**



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

ყორშიას, ყოველიე ღირსების აყრა და ციმბირში სამუდამოდ გადასახლება მიესაჯათ. იმ ვითარებაში ეს არცთუ მკაცრი განაჩენი იყო, შეიძლებოდა სამიენი დაეხვრიტათ. ამგვარი განაჩენი რომ არ იქნა გამოტანილი, ეს თავისი ჰუმანურობით ცნობილი მოსამართლის, ბოგოროდსკის, დამსახურება იყო. გარკვეული წვლილი ბოგოროდსკის მეგობარს, ფოთის ნავსადგურის მმენებელ ინჟინერ სკრაჟინსკისაც აქვს, რომელსაც მიხეილ ესაკიას თხოვნით მოსამართლესთან უშუამდგომლებია. სკრაჟინსკის ბოგოროდსკისათვის საქმე მსუბუქად დაუხატავს. ცხადია, მოსამართლე ყველაფერს მიხვდებოდა, თუმცა მეგობარს დახმარებას დაპირებია, და თანაც ხუმრობით უთქვამს: „თქვე დალოცვილებო, ეს ამდენი თოფი ბელურებზე სანადიროდ ხომ არ ჩამოუტანიათ ამ კაცებსო!"

ცალკე მიმდინარეობდა ბიჭვინთის ახლოს ალექსანდრე ინალიფას მამულში გადამალული იარაღის საქმის ძიება. მიუხედავად იმისა, რომ თედო სახოკია ინალიფას მამულში იარაღის შეტანისა და გადამალვის მონაწილე არ ყოფილა, გამოძიებამ გლეხები გადაიბირა და ასეთი ჩვენება მიაცემინა: თედო სახოკიამ იარაღი შემოიტანა, დაგვირიგა, სროლას გვასწაელიდა და ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის გვამზადებდაო. 1906 წლის თებერვალში თედო სახოკია დააპატიმრეს, მასთან ერთად პასუხისგებაში მისცეს იოსებ მატახერია, რომელმაც ფოთიდან იარაღი მართლაც გადაიტანა ბიჭვინთის სიახლოვეს ინალიფას მამულში. თედო სახოკიასა და იოსებ მატახერიას საქმესთან გაერთიანეს გუდაუთაში იარაღის გადამტანი სოციალ-დემოკრატების: გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძის, ვასილ ლურჭუას, იოსებ გიგიბერიას, ერასტი სასანიას, პეტრე კვარაცხელიას, დომენტი ქუჩულორიას, ვლადიმერ გოგრიშიძეს, ვასილ კონჯარიას და ბენიამინ დარჩიას – საქმე. სერგო ორჯონიკიძესა და ვასილ ლურჭუას, იარაღის გადატანის გარდა, ხელისუფლების საწინააღმდეგო სხვა ქმედებებიც ედებოდათ ბრალად. სასამართლო პროცესი 1907 წლის 17 სექტემბერს გაიმართა. სასამართლოს შემადგენლობა იგივე იყო, რაც ბათუმის პროცესზე: სასამართლოს თავმჯდომარე ბოგოროდსკი, ნევრები: ლ. ონიანი და ლ. ორლოვსკი. სოხუმში სასამართლოს შემადგენლობა გაიზარდა და მას, როგორც ნევრები, დაემატნენ: სოხუმის ქალაქის თავი ნიკოლოზ თავდგირიძე, სოხუმის ექიმი პაველ ბარსკი და ესტონელთა სოფლის მამასახლისი ფრიდრიხ ულემანი. განსასჯელებს იცავდნენ: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი გვაზავა და იოსებ ბარათაშვილი. სასამართლომ სამ დღეს გასტანა. თედო სახოკიას, როგორც მთავარ დამნაშავეს, ყოველიე ღირსების აყრა და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიესაჯა. იოსებ მატახერია გაამართლეს, ვასილ ლურჭუას 1 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, კიდევ 6 სოციალ-დემოკრატს – 8 თვით პატიმრობა (მათ უმრავლესობას 8 თვე უკვე გაეტარებინა ციხეში). სერგო ორჯონიკიძე და ლაზი აშმედ ბექირ ოღლი ძიების პროცესშივე (1906 წელს) ციხიდან გაიქცნენ და ამდენად, სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან. თედო სახოკიას მიმართ გამოტანილ განაჩენში აღნიშნული იყო: 100 თუმნის გადახდის შემთხვევაში მას პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ. ეს თანხა სოხუმელმა ბერძენმა სამოროდისმა იმავე დღეს შეიტანა. რუსეთის სენატმა არასწორად მიიჩნია თედო სახოკიას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება და პატიმრობიდან გათავისუფლებული 1908 წლის 17 ოქტომბერს ხელახლა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. აღსანიშნავია ერთი დეტალი: სოხუმში მიმდინარე სასამართლო პროცესის დროს მსაჯულები ლ. ონიანი და ლ. ორლოვსკი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ თედო სახოკიას ციმბირში სამუდამო გადასახლება და არა კატორღაში გაგზავნა მიესაჯა, მაგრამ ნიკოლოზ თავდგირიძემ, პაველ ბარსკიმ და ფრიდრიხ ულემანმა სასამართლოს თავმჯდომარეს დაუჭირეს მხარი და თედო სახოკიას კატორღა ააცილეს.



იოსებ ბარათაშვილი

ალექსანდრე ინალიფა სასამართლოზე, როგორც მონმე, ისე უნდა წარმდგარიყო. მაგრამ იგი სასამართლო პროცესის დაწყებამდე გარდაიცვალა.

ბათუმში 1907 წელს გასამართლებული **ზოსიმე ხუბუა, ელიზბარ ჩარტია** და **კირილე ყორშია** ქუთაისის ციხიდან ციმბირში 1908 წლის ოქტომბერში გაგზავნეს, 18 ნოემბერს ციმბირში გაგზავნეს თედო სახოკიაც. 18 დეკემბერს თედო სახოკია **ირკუტსკის** საგუბერნიო ციხეში ჩაიყვანეს, სადაც მას ზოსიმე ხუბუა, ელიზბარ ჩარტია და **კირილე ყორშია** დახვდნენ. თედო სახოკია, ზოსიმე ხუბუა და კირილე ყორშია ავადმყოფობის გამო ირკუტსკის ციხიდან **იაკუტიის** გუბერნიის **ვერხოლენსკის** მაზრაში გაგზავნეს საცხოვრებლად, ხოლო **ელიზბარ ჩარტია – ალექსანდროვსკის** საკატორღო ციხეში, საიდანაც 1909 წლის მაისში მდინარე ლენით კიდევც უფრო შორს, ირკუტსკის გუბერნიის **კირენსკის** მაზრაში, გადაიყვანეს. კირილე ყორშია 1909 წელს ირკუტსკის გუბერნიის კირენსკის მაზრაში გადაიყვანეს. იგი 1913 წელს იმავე მაზრის სოფელ **იჩარსკში** გარდაიცვალა. **თედო სახოკია** და **ზოსიმე ხუბუა** ვერხოლინსკის მაზრაში ჩასვლის შემდეგ ერთმანეთს დააშორეს, თედო სახოკია სოფელ **ჟიგალოვში**, ხოლო ზოსიმე ხუბუა 20 კილომეტრით მოშორებულ სოფელ **ზნამენკაში** ჩაასახლეს.

თავი VIII. რევოლუციური გამოსვლები ჯარში

1905 წლის იანვარში დაწყებულ რევოლუციაში არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ცალკეული რევოლუციური გამოსვლების მიუხედავად, ხელისუფლების მხარეზე იდგა. განსაკუთრებით დიდი ერთგულებით ემსახურებოდა საიმპერატორო ხელისუფლებას კაზაკთა ჯარი და გვარდია. ტახტის ერთგულება შეინარჩუნა ჟანდარმერიამ და პოლიციამ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ხელისუფლებამ შეძლო რეოლუციის დამარცხება და სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

§1. ჯარისკაცთა მღელვარებები

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები, რომლის მთავარსარდალი კავკასიის მეფისნაცვალი იყო, მთლიანობაში აღებული, ხელისუფლების დასაყრდენად დარჩა, თუმცა რევოლუციის პირველი თვეებიდანვე აშკარა იყო, რომ ჯარი დიდი სიამოვნებით არ შეასრულებდა დამსჯელის ფუნქციას. ეს განწყობილება მხოლოდ კაზაკთა ჯარს არ შეეხებოდა. აი, ზოგიერთი ცნობა ოფიციალური მიმონერიდან:

1. 1905 წლის 23 იელისს კავკასიის პოლიციის გამგე, გენერალ-მაიორი **ეგგენი შირინკინი** თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ 1905 წლის 10-11 იელისს ქალაქ **სოხუმში** განლაგებულ 258-ე ქვეითთა პოლკის ჯარისკაცებში მღელვარება აღინიშნა. მღელვარების მიზეზი იყო ცუდი ხარისხის პური და ჯარისკაცებისათვის კუთვნილი ფულის დარიგების შეფერხება. ეგგენი შირინკინი დაასკვნიდა, რომ ჯარისკაცთა შორის მღელვარება მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლკში ქართულ და რუსულ ენებზე რევოლუციური მონოდებები გავრცელდა. გენერალი გაოცებით აღნიშნავდა, რომ ყველა ასეულის ყაზარმის შესასვლელში მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეები იდგნენ, მოუხედავად ამისა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ყაზარმაში უცხო პირი დაეკავებინათ, არადა, ყაზარმებში მრავალი რევოლუციური მონოდება და პროკლამაცია იპოვეს. 258-ე პოლკში რევოლუციური იდეების გავრცელებას კავკასიის პოლიციის გამგე იმითაც ხსნიდა, რომ პოლკში ბევრი ქართველი და სომეხი ჯარისკაცი მსახურობდა, მათ კავშირი ჰქონდათ სოხუმის მოსახლეობასთან, რომლებიც, როგორც ჩანს, ჯარისკაცებს პროკლამაციებს აწვდიდნენ. კიდევ ერთ მიზეზად გენერალი ასახელებდა იმას, რომ ბათუმიდან სოხუმში გემით ჩამოდიოდნენ საეჭვო პირები და დიდი ხნით რჩებოდნენ ქალაქში საცხოვრებლად. მათი შემოწმება ან მათი საქმიანობის კონტროლი ვერ ხერხდებოდა;

2. 1905 წლის 4 აგვისტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა, რომ თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებში რევოლუციური აგიტაცია წარმოებდა და პრობლამაციებიც ვრცელდებოდა. 3 აგვისტოს სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის მეთაურმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობა, რომ აელაბარში, პოლკის შტაბის ახლოს, დუქანში, შედგა თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების ნარმომადგენელთა კრება. ასეთი კრებები შემდეგაც გაიმართა. პოლკის უფროსი განგებებით აღნიშნავდა, რომ შეკრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა ებრაელები და ადგილობრივი მოსახლეობის ნარმომადგენლები იყვნენ, რუსები – შედარებით მცირე რაოდენობით. სამხედროების გარდა, კრებას სამოქალაქო პირები და ქალებიც კი ესწრებოდნენ. შეკრების ორგანიზატორები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, არ დამორჩილებოდნენ მეთაურებს და დაეწყოთ აჯანყება. ჯარისკაცთა გამოსვლების ორგანიზების მიზნით ყველა სამხედრო ნაწილისათვის შეირჩა ერთი პირი, რომელსაც სააგიტაციო მუშაობა უნდა ეწარმოებინა სამხედროებში;

3. 1905 წლის 21 ნოემბერს გაიმართა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი. მომიტინგეთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო რევოლუციური პროპაგანდისათვის ბრალდებული სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის უნტერ-ოფიცრისა და ჯარისკაცის პატიმრობიდან გათავისუფლება. მომიტინგეები, დაახლოებით 4.000-5.000 კაცი, აელაბრისაკენ დაიძრნენ, სადაც განლაგებული იყო სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკი. მომიტინგეებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი და მათთან ერთად თბილისის ქვეითთა პოლკისაკენ გაემართნენ. მომიტინგეებს თბილისის ქვეითთა პოლკის ჯარისკაცები შეუერთდნენ და დიდი მიტინგი გაიმართა;

4. 1905 წლის 5 დეკემბერს კავკასიის პოლიციის გამგე კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ 1905 წლის 20-21 ნოემბერს ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა რსდმპ კავკასიის კავშირის აგიტატორების გავლენით შემდეგი მოთხოვნები შეიმუშავეს:

ა) დაუყოვნებლივ დაითხოვონ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან 1901-1902 წლებში გაწვეულები, რომლებიც უკანონოდ იყვნენ დატო-

ებული სამხედრო სამსახურში;

ბ) სამხედრო ვალდებულება მოხდილი უნდა იყოს სამშობლოში (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – ვ. გ.);

გ) ჯარზე გავრცელდეს ის მანიფესტები, რომელთაც ხალხს უბოძეს სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, ასევე, ამნისტია და სხვა შეღავათები;

დ) არავინ უნდა დააპატიმრონ ხალხის თანაგრძნობისა და ჯარისკაცთა ინტერესების დაცვისათვის;

ე) ჯარისკაცთა დაპატიმრება და მათზე სასჯელის დადება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას მიიღებს ასეულის ჯარისკაცთა მიერ არჩეული სასამართლო;

ვ) გაიზარდოს ჯარისკაცთა ხელფასი 5 მანეთამდე;

ზ) ჯარისკაცის კეებისათვის ყოველდღიურად გამოყოფილი თანხა გაიზარდოს 15 კაპიკამდე იმის გათვალისწინებით, რომ ეს თანხა ჯარისკაცთა კეების გაუმჯობესებას მოხმარდება;

თ) ჯარისკაცს თვეში მიეცეს: 2 ფუნტი შაქარი, 1/4¼ ფუნტი ჩაი და ხარისხიანი პური, რომლის ვარგისიანობას შეამოწმებს ჯარისკაცთაგან არჩეული კომისია;

ი) ჯარისკაცს წლიურად მიეცეს: 1 ლრუბელი, 1 საბანი, 2 ზეწარი, ბალიშის 2 პირი. თეთრეულის გარეცხვა სახელმწიფოს ხარჯზე მოხდეს. კვირაში ერთხელ, აბანოში წასვლის დღეს, ჯარისკაცს მიეცეს არანაკლებ 10კაპიკისა;

კ) ჯარისკაცს წლიურად მიეცეს ტანსაცმელი: 2 შარვალი, 1 მუნდირი, 1 შინელი, 2 ქუდი(1 საზაფხულო, 1 საზამთრო), ბამბის 2 პერანგი. ეს ტანსაცმელი სამსახურის დასრულების შემდეგ დარჩეს ჯარისკაცს.

ლ) ჩექმების ნაცვლად ჯარისკაცს მიეცეს 12 მანეთი 2 წყვილი ჩექმისათვის;

მ) ყველა სამეურნეო თანამდებობა უნდა დაიკავონ ჯარისკაცთა მიერ არჩეულმა პირებმა;

ნ) სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ გავლენის მოხდენა კი არ სცადოს ჯარისკაცების მიერ არჩეულ პირებზე, არამედ პატივი სცეს მათ;

ო) ოფიცრებს აღარ უნდა ჰყავდეთ არანაირი მოსამსახურეები;

პ) ჯარისკაცები არ გაიგზავნონ ხალხის დასაწყნარებლად;

ჟ) გაფიცვის დროს ჯარისკაცები არ გაიგზავნონ გაფიცული მუშების ნაცვლად სამუშაოდ;

რ) სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალ დროს ჯარისკაცს უფლება უნდა ჰქონდეს მეთაურის უკითხავად ნავიდეს სურვილისამებრ;

ს) ჯარისკაცების ნათესავებსა და ახლობლებს ყაზარმებში შესვლის შეუზღუდავი უფლება მიეცეთ;

ტ) ჯარისკაცი და ოფიცერი, თუ სამხედრო სამსახურით არაა დაკავებული, თავისუფალი უნდა იყოს;

უ) მეთაურები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ ჯარისკაცებს;

ფ) შეიქმნას ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, სადაც შეიტანენ ჯარისკაცების მიერ შერჩეულ წიგნებსა და გაზეთებს. ჯარისკაცებს უფლება მიეცეთ, დაესწრონ საგანმანათლებლო კურსებს;

ქ) ჯარისკაცს ნელინადში მიეცეს შვებულება 2 თვის ხანგრძლივობით იმის გათვალისწინებით, რომ ასეულიდან ერთდროულად 10 ჯარისკაცზე მეტი ვერ ნავა შვებულებაში.

ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა პოლიტიკური მოთხოვნები ვერ წამოაყენეს, რადგან ეს კანონით იკრძალებოდა, თუმცა მოთხოვნები ამის გარეშეც საკმაოდ თამამად იყო ჩამოყალიბებული და ჯარისკაცთა ინტერესებს ასე თუ ისე სრულად გამოხატავდა.

5. 1906 წლის 26 მარტს სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის ჯარისკაცებმა გააერცელეს მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო: გადავწყვიტეთ, 26 მარტს არა ფარულად, არამედ ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე შევკრებილიყავით და ჩვენს საჭირბოროტო საკითხებზე გვემსჯელა. ოფიცრები შეშინდნენ და ჩვენს დასარბევად კაზაკებსა და პოლიციელებს უხმეს. ბევრი ჯარისკაცი და არასამხედრო პირი დააპატიმრეს, დანარჩენები გაფანტეს. სამეგრელოს პოლკის ჯარისკაცებმა გადავწყვიტეთ, გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ამხანაგები. ჩვენ მოვუწოდეთ ოფიცრებს, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ყაზარმებში დაპატიმრებულები. ჩვენი მოთხოვნა შესრულდა, ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელმაც ჯარისკაცებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელა. ამის გამო აღშფოთებული ოფიცერი ბოგუნოვი კაზაკების მოყვანითა და ანგარიშსწორებით დაგვემუქრა, ხოლო ერთმა ფელდფებელმა ხმლით შეუტია ჯარისკაცებს. ამით გაღიზიანებულმა ჯარისკაცებმა იარაღი აისხეს და ყაზარმის ეზოში მოეწყვნენ, რამდენიმე მათგანი მე-14 ასეულის ყაზარმისაკენ გაემართა, რათა იქაური ჯარისკაცებისათვის ემცნოთ მომხდარი. მე-14 ასეულის უნტერ-ოფიცერმა ლუკიანენკომ თავისი ასეულის ჯარისკაცებს უბრძანა მოსულებისათვის ცეცხლი გაეხსნათ. სროლის შედეგად 5 ჯარისკაცი დაიჭრა, რომელთაგან ერთი, ეასილი ვესეცკი, ჭრილობისაგან გარდაიცვალა. 4 დაჭრილი პოსპიტალში გადაიყვანეს. მოწოდე-

ბა სრულდებოდა სიტყვებით: „წყეულიმც იყავთ, ჯალათებო!Mამხანაგებო! სისხლი დაიღვარა. ამ სისხლით მორწყულია ყაზარმის იატაკი. ამიერიდან ამ შემთხვევის ხსოვნა ჩვენს გულში დარჩება და დიდი სიძულვილით აღგვავსებს ოფიცრებისა და სხვა მეთაურების მიმართ";

6. 1906 წლის 26 მარტს თბილისში სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა **„თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა კავშირის"** პროკლამაცია: **„იარაღი აისხით და იბრძოლეთ თავისუფლებისათვის!"** პროკლამაციაში 25 მოთხოვნაა ჩამოყალიბებული. ეს მოთხოვნები ბევრად ნააგავს ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, თუმცა არის განსხვავებულიც:

– არ გაიგზავნოს ჯარი მუშებისა და გლეხების დასარბევად;

– დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედრო მდგომარეობა;

– რუსეთისა და კავკასიის სოფლებიდან გამოყვანილი იქნას დამსჯელი რაზმები და კაზაკთა ჯარი;

– მემამულეებს, მონასტრებს, სხვა მფლობელებს საუფლისწულო და სახელმწიფო მიწები ჩამოერთვათ და ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გადაეცეთ გლეხობას;

– დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ყველა პოლიტპატიმარი და მთლიანად შესრულდეს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით მეფის მიერ ნაბოძები უფლებები: სიტყვის, სინდისის, კრების, ბეჭდვის თავისუფლება, ასევე პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა;

7. 1906 წლის 24 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-ლეიტენანტი **ევგენი შირინკინი** თბილისის ოხრანკის უფროსის მიერ მინოდებული აგენტურული ცნობების საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა: 23 ივნისს ნაძალადევში სოციალ-დემოკრატების კრებაზე გამოცხადდა სარკინიგზო ბატალიონის დელეგატი და სოციალ-დემოკრატებისაგან დახმარება ითხოვა. კერძოდ, დელეგატი ითხოვდა დახმარება აღმოეჩინათ ბატალიონისათვის, რომლის ჯარისკაცებიც არეულობის საბაბით დაპატიმრებულნი იყვნენ. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრმა რკინიგზის მუშებმა დელეგატს გაუცხადეს, რომ გაიფიცებოდნენ და არ დაუშვებდნენ დაპატიმრებული ჯარისკაცების ყარსის ციხე-სიმაგრეში გაგზავნას. გენერალი შირინკინი მეფისნაცვალს ასევე მოახსენებდა, რომ სოციალ-დემოკრატები მოკლას უპირებდნენ ორთქლმავლის მემანქანეს, რომელმაც, გაფიცვის მიუხედავად, ხელისუფლების მოთხოვნა დააკმაყოფილა და მატარებელი თბილისიდან ბათუმისაკენ დაძრა;

8. 1906 წლის 25 ივნისს გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ სამეგრელოს ქვეითთა პოლკის 27 ჯარისკაცის სამართალში მიცემის პროტესტის ნიშნად თბილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო;

9. 1907 წლის 9 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, ბაქოს ქალაქის თავს, სოხუმის ოკრუგის უფროსს, ზაქათალის ოკრუგის უფროსს, გუბერნიების ჟანდარმერიების სამმართველოების უფროსებს. მეფისნაცვალი ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს ავალებდა სამხედრო ნაწილებში აგიტაციის მიზნით შეგზავნილები დაეპატიმრებინათ და ყოველი ღონე ეხმარათ სამხედრო ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდის აღკვეთის მიზნით. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯარში რევოლუციური პროპაგანდა ვერ აღკვეთეს. 1907 წლის 12 სექტემბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ლორეს 264-ე ქვეითთა პოლკის ჯარისკაცთა მიმართ, რომლებიც რევოლუციური პროპაგანდის ბრალდებით იყვნენ დაპატიმრებულები. ეს ჯარისკაცები იყვნენ: **კისელიოვი, შაიდიბინი, მიხნენკო, ფრაიმოვიჩი, მოხნო,** პოლკის მწერლის თანაშემწე **შველიაკოვი.** რევოლუციური პროპაგანდისათვის აგრეთვე დააპატიმრეს უნტერ-ოფიცერი გრიციკინი. 1907 წლის 5 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ კავკასიის სამეფისნაცვლოს საპოლიციო ნაწილის განსაკუთრებულ განყოფილებას აცნობა, რომ თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკში რევოლუციური პროპაგანდა წარმოებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდის წარმოების მიუხედავად, ფართო მასშტაბიანი გამოსვლები არ მომხდარა, გამონაკლისს წარმოადგენდა ქალაქ **ბათუმის** გარნიზონის ჯარისკაცთა მღელვარება.

§2. მღელვარება ბათუმის გარნიზონში (მიხაილის სიმაგრეში)

ბათუმში მიმდინარე მუშათა გაფიცვებმა, რევოლუციონერთა რაზმებისა და ქალაქის მოსახლეობის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ პოლიციასა და ჯართან გავლენა მოახდინა ქალაქის გარნიზონზე. 1906 წლის 10 მაისს კავკასიის პოლიციის გამგე, გენერალ-ლეიტენანტი **ევგენი**

შირინკინი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს სწერდა, რომ ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებში, განსაკუთრებით მიხაილის სიმაგრის არტილერისტთა შორის მღელვარება შეინიშნებოდა. გენერალი შიშობდა, რომ სამხედროების განწყობილებას რევოლუციონერები გამოიყენებდნენ, რომელთაც უკვე შეძლეს ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებში „სრულიად რუსეთის სამხედრო ცენტრის“ პროკლამაციის გავრცელება. 25 მაისს ეგენი შირინკინი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს უკვე კონკრეტულ ინფორმაციას აწვდიდა: 21 მაისს მიხაილის სიმაგრის ახლოს, სადაც განლაგებული იყო მესანგრეთა ასეული, გაიმართა სიმაგრის არტილერისტების, ჯარისკაცებისა და უმცროსი ოფიცრების, მიტინგი, რომელშიც 300-400 კაცი მონაწილეობდა. მიტინგზე განიხილეს სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი: 1. პოლიტიკური დანაშაულისათვის დასჯილთა სრული ამნისტია; 2.აგრარული საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტა; 3. იმ ჯარისკაცთა სავალდებულო-სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა, რომელთაც, ახალი კანონის მიხედვით, სამსახურის ვადის შემცირება შეეხო. მიტინგზე ჯარისკაცებს დაურიგეს პროკლამაცია „არმიასა და ფლოტს“. მიტინგი დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. სანამ მიტინგი დაიშლებოდა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მეორე დღეს იმავე ადგილზე კვლავ შეკრებილიყვნენ. 1906 წლის 4 ივნისს ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსმა კავკასიის პოლიციის გამგეს გენერალ-ლეიტენანტ ეგენი შირინკინს აცნობა, რომ მიხაილის სიმაგრის ჯარისკაცებში რევოლუციური პროკლამაციები და ფურცლები ვრცელდებოდა. ინფორმაცია ასეთ ცნობებს შეიცავდა: მიხაილის სიმაგრის მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცთა, ასევე არტილერისტთა შორის გავრცელდა ფურცლები „ჯარისკაცის მეგობარი“ და „ყოველკვირეული ფურცელი.“ ეს გამოცემები პერიოდულად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ჯარისკაცთა შორის. არალეგალური გამოცემები მოპოვებული იქნა მესანგრეთა ბატალიონისა და მიხაილის სიმაგრის არტილერიის უმცროსი ოფიცრების მიერ. აგენტურული მონაცემებით დგინდებოდა, რომ მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ იმ პროპაგანდისტებთან, რომლებიც სამხედრო ფორმაში გადაცმულები აგიტაციას ეწევიან ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცთა და მიხაილის სიმაგრის არტილერისტთა შორის. პროპაგანდისტთა მოღვაწეობის შესახებ ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსს უცნობებია მიხაილის სიმაგრის ჟანდარმთა რაზმის უფროსისათვის. 1906 წლის 11 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე კიდევ უფრო საგანგაშო ცნობას ანვდიდა კავკასიის მეფისნაცვალს: 5 ივნისს მიხაილის სიმაგრის მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცთა შორის კვლავ გავრცელდა არალეგალური გამოცემები „ჯარისკაცის მეგობარი“ და „ყოველკვირეული ფურცელი“; 11 ივნისს ბათუმში, თურქული ბაზრის ტერიტორიაზე, დაგეგმილი იყო ჯარისკაცთა შეიარაღებული მიტინგის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას ქალაქის მუშებიც მიიღებდნენ; აგენტურული მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ მიტინგის ორგანიზატორები ეცდებოდნენ ბაზრის ტერიტორიაზე კაზაკების შეტყუებას, რათა მათზე თავდასხმა მოეწყოთ.

12 ივნისს, მიხაილის სიმაგრის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ნიკოლაი პოჟიდაევმა ჯერ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს, ხოლო შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აცნობა: 11 ივნისს, საღამოს 10 საათზე, მიხაილის სიმაგრის არტილერიის მე-5 და მე-6 ასეულების ჯარისკაცებში მღელვარება დაიწყო. ღამით მღელვარება დაიწყო მე-2 ასეულის ჯარისკაცთა შორისაც. ჯარისკაცები ითხოვდნენ ფელდფებელის გადაყენებას, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მათ. ერთ-ერთი მოთხოვნა შეეხებოდა ინტენდანტების საქმიანობას, რომლებიც ჯარისკაცებს არ აძლევდნენ მათთვის განკუთვნილ ნივთებს. 12 ივნისს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, ციხესიმაგრის არტილერიის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა, პოლკოვნიკმა ქორქაშვილმა შეძლო წესრიგის დამყარება. დილიდან ჯარისკაცები ჩვეულებრივ სამსახურს შეუდგნენ. მღელვარების სავარაუდო წამქეზებლებმა გაქცევა მოასწრეს. ჯარს, რომელსაც ალყა შემოერტყა ასეულისათვის, იარაღი არ გამოუყენებია. იმავე 12 ივნისს მიხაილის სიმაგრის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ნიკოლაი პოჟიდაევმა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აცნობა: „მდგომარეობა უარესდება. აუცილებელია გარნიზონის დაუყოვნებლივ გაძლიერება მსწრაფლმსროლელი ბატარეით, ქვეითთა 2 ბატალიონითა და ტყვიამფრქვევით.“ ზემოთ მოყვანილი ოფიციალური მიმოწერიდან ცხადი ხდება, რომ მიხაილის სიმაგრეში ჯარისკაცთა მღელვარება არ წყდებოდა და მოსალოდნელი იყო მოვლენათა რადიკალიზაცია. ასეც მოხდა.

1906 წლის 14 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-ლეიტენანტი ეგენი შირინკინი ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ერცელ მოხსენებას უგზავნის კავკასიის სამხედრო ოლქის

ჯარების შტაბის უფროსს. მოხსენების შინაარსი ასეთია:

1. მიხაილის სიმაგრეში ჯარისკაცთა მღელვარება პირველად არტილერიის მე-2 და მე-5 ასეულის ჯარისკაცთა შორის დაიწყო, რომელთა მოთხოვნების ნაწილი კანონიერი, ხოლო ზოგიერთი უკანონო იყო;

2. 1906 წლის 1 ივნისს მიხაილის სიმაგრის კომენდანტი გენერაალ-მაიორი ნიკოლაი პოტიდაევი მივიდა იმ ფორტში, სადაც განლაგებული იყო არტილერისტთა მე-2 ასეული და ჯარისკაცთა მოთხოვნები მოისმინა. გენერალი ჯარისკაცებს დაპირდა, რომ კანონიერი მოთხოვნები შესრულდებოდა;

3. 1 ივნისს, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, ბათუმიდან 2 ვერსის მოშორებით, ურეხში, გაიმართა მიხაილის სიმაგრის არტილერიის ჯარისკაცთა, მესანგრეთა და მენალმეთა ასეულების კრება, რომელსაც ბათუმიდან ჩასული გაფიცულებიც დაესწრნენ. ურეხის შეკრებას სულ 300-მდე კაცი დაესწრო. შეკრებილები ლაბინსკის კაზაკთა პოლკის მეთაურის მიერ გაგზავნილი წარმომადგენლის მოთხოვნის შემდეგ დაიშალნენ;

4. 1 ივნისს, საღამოს, მიხაილის სიმაგრის „ბარცხანას" ფორტის არტილერისტთა მე-5 ასეულის ჯარისკაცებმა იარალის საცავის კარი გატეხეს და საარტილერიო ყუმბარები გაიტანეს. ამის შემდეგ ორივე მხრიდან გაალეს ფორტის ალაყაფი, გამოიტანეს და საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს 2 ქვემეხი და მესანგრეთა ასეულის ჯარისკაცებთან ერთად დაიკავეს ხიდი, რომელზედაც გადიოდა „ბარცხანას" ფორტიდან ბათუმისაკენ მიმავალი გზა;

5. 1 ივნისს, საღამოს 10 საათზე, „ბარცხანის" ფორტს მიუახლოვდა ლაბინსკის კაზაკთა პოლკის რაზმი პოდესაულ სატაროვის მეთაურობით. ხიდზე მდგარმა შეიარაღებულმა არტილერისტებმა და მესანგრეებმა კაზაკები ფორტში არ შეუშვეს. ღამის 11 საათზე ხიდთან მივიდა მიხაილის სიმაგრის არტილერიის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი პოლკოვნიკი ქორქაშვილი. არტილერისტებმა პოლკოვნიკის მიმართულებით გაისროლეს, თუმცა ქორქაშვილს რაიმე დაზიანება არ მიუღია, იგი უკან დაბრუნდა;

6. 1 ივნისს, პოლკოვნიკ ქორქაშვილის წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ, მიხაილის სიმაგრის კომენდანტმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლაი პოტიდაევმა „ბარცხანას" ფორტის ალყაში მოქცევის მიზნით ერთი მხრიდან ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ასეული, ხოლო მეორე მხრიდან პლასტუნთა 2 ასეული გაგზავნა;

7. 1 ივნისს, ღამის 11 საათზე, მიხაილის სიმაგრის მენალმეთა ასეულის ყაზარმაში 3 მესანგრე გამოცხადდა, და მენალმეებს „ბარცხანის" ფორტის არტილერისტთა დახმარებისაკენ მოუწოდა. მენალმეთა ასეულის ჯარისკაცებმა იარაღი აისხეს, მაგრამ ყაზარმაში ასეულის მეთაურის, დეოეგლაზოვის, მისვლის შემდეგ „ბარცხანას" პორტის არტილერისტთა დასახმარებლად წასვლა გადაიფიქრეს, თუმცა, მეთაურის მოთხოვნის მიუხედავად, ზემოთ ხსენებული 3 მესანგრე არ გასცეს;

8. 2 ივნისს, დილით, მოლაპარაკების შემდეგ „ბარცხანას" ფორტის არტილერისტებმა ხიდი დატოვეს და ფორტში დაბრუნდნენ. მდგომარეობა მსხვერპლის გარეშე განიმუხტა;

9. 12 ივნისს, დილით, მიხაილის სიმაგრის ფორტ „სამებას" არტილერისტებმა საინჟინრო სამუშაოებით დაკავებული მუშები აიძულეს მუშაობა შეეწყვიტათ. „ახლა მუშაობის დრო არ არის"– გაიძახოდნენ ჯარისკაცები. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მივიდა გენერალ-მაიორი კარლ გალლერი, რომელიც საინჟინრო სამუშაოს ხელმძღვანელობდა. ჯარისკაცებმა გენერალს სთხოვეს, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ფორტის ტერიტორია და ამასთან ერთად განუცხადეს, რომ ნაშუადღევის 4 საათზე ფორტ „ბარცხანაში"დანიშნულ მიტინგზე უნდა წასულიყვნენ;

10. 12 ივნისს ფორტ „სამების" არტილერისტებმა გატეხეს იარალის საწყობის კარები, შეიარაღდნენ, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს ფორტის არტილერია, ფორტის ტერიტორიაზე მხოლოდ მორიგეები დატოვეს და თვითონ იარაღასხმულები ფორტ „ბარცხანისაკენ" გაემართნენ. იმ შემთხვევისათვის, თუ ფორტ „სამებას" სხვა სამხედრო ნაწილი მიუახლოვდებოდა, ამის შესახებ საგანგებოდ დანიშნულ მეთვალყურეებს ფორტში დარჩენილი არტილერისტებისათვის უნდა ეცნობებინათ;·

11. 12 ივნისს, საღამოს, ფორტ „კახაბერის" არტილერისტთა მე-2 ასეულის ჯარისკაცთა კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ფორტიდან გაიყვანეს კაზაკები;

12. 12 ივნისის ღამით როტმისტრმა აგილლემა მიხაილის სიმაგრეში 3 პროპაგანდისტი დააპატიმრა, რომლებიც მესანგრეთა და მენალმეთა შორის აგიტაციას ეწეოდა. დაპატიმრეს სხვა აგიტატორებიც, მაგრამ დილით ყველანი გაანთავისუფლეს იმ მიზეზით, რომ თითქოს ბრალი არ დაუდასტურდათ;

13. მიხაილის სიმაგრის მენალმეთა ასეული სრულიად დემორალიზებულია, საეჭვოა, რომ საიმედო იყოს მიხაილის სიმაგრეში მყოფი ქვეითთა ბატალიონი, არტაანის ქვეითთა სარეზერვო

პოლკი, სიმაგრის არტილერიის მე-4 და მე-6 ასეულები. ნდობას იმსახურებს მხოლოდ ხოპერსკის 130-ე ქვეითთა პოლკი, პლასტუნთა პოლკი და ლაბინსკის კაზაკთა პოლკები;

14. ბათუმში ჯერჯერობით სიმშვიდეა, მაგრამ, საერთო ვითარებიდან გამომდინარე, მდგომარეობის დაძაბვა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი;

15. აგენტურული ცნობების მიხედვით, 15 ივნისს კიდევ ერთი შეიარაღებული მიტინგი უნდა გაიმართოს.

მიხაილის სიმაგრეში 1906 წლის ივნისის პირველ ნახევარში განვითარებული მოვლენები მისი საშიში ხასიათის გამო საგანგებო გამოძიების საგანი გახდა. გამოძიებას აწარმოებდა მიხაილის სიმაგრის ჟანდარმერიის უფროსი, ჟანდარმთა კორპუსის როტმისტრი ჯაყელი და ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსი როტმისტრი ანგილევი. გამოძიებამ დაადგინა ბევრი ისეთი ფაქტი, რომლებმაც ასახეა ვერ პოვა მიხაილის სიმაგრის კომენდანტის, გენერალ-მაორ ნიკოლაი პოჟიდაევის მიერ 1906 წლის 12 ივნისს თბილისში გაგზავნილ 3 დეპეშაში და კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალ-ლეიტენანტ ევგენი შირინკინის 1906 წლის 14 ივნისის მოხსენებაში. გამოძიების შედეგები აისახა 1906 წლის 18 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგის მიერ კავკასიის მეფისნაცვლისათვის წარდგენილ ერცელ მოხსენებაში. მოხსენება საინტერესო ფაქტებს შეიცავს. მიხაილის სიმაგრის არტილერიის მე-2 ასეულის ჯარისკაცთა მღელვარების მეთაურები იყვნენ ჯარისკაცები ზინენკო და მინაკოვი. ზინენკო ჰაუპტვახტიდან ახალი გამომეებული იყო, ხოლო მინაკოვი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალიდან. მე-5 ასეულში გამოსვლებს ჯარისკაცი ნაზარიანცი მეთაურობდა. ზინენკომ, მინაკოვმა და ნაზარიანცმა მიმალვა შეძლეს. სულ ბათუმის გარნიზონში 1906 წლის ივნისში მომხდარი მღელვარების გამო პასუხისგებაში მისცეს 27 ჯარისკაცი.

მართალია, 1906 წლის ივნისის პირველ ნახევარში ხელისუფლებამ მიხაილის სიმაგრეში დაწყებული ჯარისკაცთა მღელვარების ლიკვიდაცია შეძლო, მაგრამ ვითარება ბათუმის გარნიზონში კვლავ დაძაბული რჩებოდა. 1906 წლის 2 ივლისს კავკასიის პოლიციის გამგემ კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენა: 1906 წლის 28-29 ივნისის ღამით დაპატიმრებული იქნა მიხაილის სიმაგრის 29 სამხედრო პირი (15 – მენალმე, 13 – მესანგრე, 1 – საინჟინრო სამსახურის რიგითი). პატიმრები ბათუმიდან ყარსის სიმაგრეში უნდა გადაეყვანათ. აგიტატორებმა ჯარისკაცებს მოუწოდეს, წინ აღდგომოდნენ ამ პროცესს. აგიტატორებმა გარკვეულ წარმატებას არტაანის პოლკში მიაღწიეს. ისინი ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, არ დაეშვათ დაპატიმრებულთა ყარსში გადაყვანა. არტაანის პოლკის ოფიცრებმა ჯარისკაცების დამშვიდება შეძლეს. დაპატიმრებული 29 ჯარისკაცის ბათუმის რკინიგზის სადგურში მშვიდობიანად მიყვანის მიზნით კავკასიის მსროლელთა 1-ლი ბატალიონის მე-3 ასეული მეთაურის წინამძღოლობით ჰაუპტვახტთან გამოცხადდა. პატიმრები არ დაემორჩილნენ ოფიცრების ბრძანებას და საკუნებიდან არ გამოვიდნენ. ასეულის მეთაურმა ჯარისკაცებს უბრძანა, მათი ძალით გამოყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ბრძანება არ შეასრულეს. ასეულის მეთაურმა რევოლვერი მოიმარჯვა და ჯარისკაცებს დაემუქრა. ჯარისკაცები არ შეშინდნენ. ასეულის მეთაურმა ჰაუპტვახტი დატოვა, ქუჩაში გამოვიდა და მომხდარი კავკასიის მსროლელთა 1-ლი ბატალიონის მეთაურს, პოლკოვნიკ გარანინს, აცნობა. გარანინი ჰაუპტვახტში გამოცხადდა, წესრიგი სწრაფად აღადგინა და დაპატიმრებულები გაიყვანა. სულ ბათუმიდან ყარსში 40 ჯარისკაცი გადაიყვანეს. პატიმართა პირველი ჯგუფი (მესანგრეები და მენალმეები) ბათუმიდან 1906 წლის 29 ივნისს გავიდა. შემდეგ გადაიყვანეს არტილერისტები.

დაპატიმრებებმა და ბათუმის გარნიზონიდან რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცების ყარსში გადაყვანამ ჯარისკაცთა შორის მღელვარება ვერ მოსპო. 1907 წლის 27 მაისს ბათუმის სიმაგრის კომენდანტი გენერალ-მაიორი ვლადიმირ ალუტანი კავკასიის მეფისნაცვალს სთხოვდა, რომ ქალაქ ბათუმში საალყო მდგომარეობა კვლავ შენარჩუნებულიყო. თხოვნა დასაბუთებული იყო იმით, რომ ქალაქში სიმშვიდის შენარჩუნება ჯარის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

თავი IX. აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ (პარლამენტარიზმის დასაწყისი რუსეთში – სახელმწიფო სათათბირო)

§1. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი

1905 წლის 9 იანვრის სისხლისღვრის შემდეგ ნიკოლაი II-მ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი პიოტრ სვიატოპოლკ-მირსკი (1857-1914) 18 იანვარს თანამდებობიდან გადააყენა და 20 იანვარს მინისტრად ალექსანდრ ბულიგინი (1851-1919) დანიშნა, 11 იანვარს კი პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა დიმიტრი ტრეპოვმა (1855-1906) დაიკავა, რომელმაც მაისში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) თანამდებობაც შეითავსა. ალექსანდრ ბულიგინი და დიმიტრი ტრეპოვი გახდნენ იმპერიის საშინაო პოლიტიკის ხელმძღვანელები, მათვე უშუალოდ დაექვემდებარა პოლიციის დეპარტამენტი და ჟანდარმთა კორპუსი. დიმიტრი ტრეპოვი მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო, მაგრამ აუცილებლად მიიჩნევდა ლიბერალური ხასიათის დათმობების გატარებას იმ პირობით, რომ რეფორმები მართლწესრიგს არ მოშლიდა. დიმიტრი ტრეპოვი 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის იდეის მომხრე იყო, ამავე დროს, იმპერატორს ურჩევდა არ დაეთხოვა პირველი სახელმწიფო სათათბირო და მთავრობაში ლიბერალური მოძრაობის ლიდერები მიეწვია.

ნიკოლაი II-მ პეტერბურგის მუშათა დელეგაცია მიიღო და შეხვედრისას განაცხადა: პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება ამბოხების მცდელობაა, რაც ხელისუფლებას აიძულებს გამოიყენოს სამხედრო ძალა. ამასთან ერთად, იმპერატორმა ბრძანება გასცა რუსეთის იმპერიის ისტორიაში პირველად მუშათა და მეწარმეთა რიგებიდან აერჩიათ წარმომადგენლები, რომელთაც უნდა გამოერკვიათ პეტერბურგის მუშათა უკმაყოფილების მიზეზები და დაესახათ ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. პეტერბურგის მუშათა წარმომადგენლებმა მოითხოვეს მუშაობის პროცესში მათთვის მიენიჭებინათ სიტყვის თავისუფლება, დაცული ყოფილიყო მათი პიროვნების ხელშეუხებლობა და სხვ. მუშათა წარმომადგენლები მხოლოდ ამ პირობებით თანხმდებოდნენ იმპერატორის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მუშათა და მეწარმეთა წარმომადგენლების კომისიის თავმჯდომარემ, სენატორმა ნიკოლაი შიდლოვსკიმ (1843-1907) მუშათა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მათი მოთხოვნა კანონსაწინააღმდეგო იყო. ამის საპასუხოდ მუშებმა უარი განაცხადეს კომისიაში მუშაობაზე და 1905 წლის 20 თებერვალს იმპერატორმა კომისია დაითხოვა.

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი და მოსახლეობას მოუწოდა დახმარება აღმოეჩინათ ხელისუფლებისათვის საგარეო მტრის (იაპონიის – ვ. გ.) წინააღმდეგ ბრძოლასა და საშინაო არეულობის დასრულების საქმეში. იმავდროულად ხელმოწერილი იქნა ორი დოკუმენტი: 1. რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიგინისადმი ითვალისწინებდა სათათბირო და საკანონმდებლო უფლების მქონე სათათბიროს მოწვევას; 2. ბრძანება მმართველი სენატისადმი სენატს ავალებდა შეესწავლა იმპერატორის სახელზე შესული კერძო პირებისა და დაწესებულებების წინადადებები სახელმწიფო მმართველობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. იმპერატორის სახელზე კი უამრავი თხოვნა იყო შესული. 1905 წლის გაზაფხულისათვის მხოლოდ გლეხობისაგან 60.000 ასეთი თხოვნა შევიდა, რომლებიც უმთავრესად ადგილობრივი მმართველობის გარდაქმნას და მინის საკითხის გადაჭრას ეხებოდა.

1905 წლის 6 აგვისტოს ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – სახელმწიფო სათათბიროს – დაარსების შესახებ. იმავე დღეს გამოქვეყნდა „დებულება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ". სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა უნდა დაეწყო არაუგვიანეს 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებისა. იმპერიაში ვერც ერთი კანონპროექტი კანონის ძალას ვერ შეიძენდა, თუკი მას სახელმწიფო სათათბიროში არ განიხილავდნენ და მოიწონებდნენ. სახელმწიფო სათათბიროში მოწონებული კანონპროექტი შემდგომი განხილვისათვის გადაეცემოდა სახელმწიფო საბჭოს. საბჭოში განხილვისა და მოწონების შემდეგ იგი დასამტკიცებლად წარედგინებოდა იმპერატორს და მხოლოდ მისი ხელმოწერის შემდეგ მიიღებდა კანონის ძალას. სახელმწიფო სათათბიროს 5 წლის ვადით ირჩევდნენ. რუსეთის იმპერიაში ყალიბდებოდა ორ პალატიანი პარლამენტი: სახელმწიფო სათათბირო (ქვედა პალატა) და სახელმწიფო საბჭო (ზედა პალატა). საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ქვედა პალატას (სახელმწიფო სათათბიროს) ჰქონდა. ზედა პალატას (სახელმწიფო საბჭოს) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ ჰქონდა. სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში მოწონებულ კანონპროექტს ამტკიცებდა იმპერატორი. იმპერატორს



ნიკოლაი II

უფლება ჰქონდა კანონპროექტი არ დაემტკიცებინა და იგი შენიშვნებითურთ განსახილველად დაებრუნებინა. ამ შემთხვევაში კანონპროექტს იგივე გზა უნდა გაევლო: კანონპროექტი უნდა განეხილა და მოუნონებია სახელმწიფო სათათბიროს, რის შემდეგაც იგი სახელმწიფო საბჭოს გადაეცემოდა და განხილვისა და მონონების შემდეგ ხელახლა ნარედგინებოდა იმპერატორს.

სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ ნიკოლაი II-ის მანიფესტმა რევოლუციური მოძრაობა დროებით შეანელა, მაგრამ მალე კვლავ დაიწყო აღმავლობის პერიოდი. იმპერატორი გამოსავალს ახალ დათმობაში ხედავდა. 1905 წლის 17 ოქტომბერს ნიკოლაი II-მ ხელი მოანერა მანიფესტს, რომლის ტექსტიც რუსულ და იმპერიაში მცხოვრები სხვა ერების ენებზე გამოქვეყნდა პრესაში, მათ შორის, ქართულ გაზეთებში. მოგვყავს მანიფესტის ტექსტს მთლიანად:

უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთა:

შფოთმა და არეულობამ, რომელმაც თავი იჩინა სატახტო ქალაქებსა და იმპერიის ბევრ ადგილას, დიდი მწუხარებით აღავსო ჩვენი გული. რუსეთის იმპერატორის კეთილდღეობა განუყოფელათ შეკავშირებულია ხალხის კეთილდღეობასთან, ხალხის მწუხარება ხელმწიფის მწუხარებაა, არეულობამ, რომელმაც ესოდენ იჩინა თავი, შეიძლება გამოიწვიოს დიდი უბედურება და საშიში გახდეს ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობისა და ერთობისათვის.

ხელმწიფობის მსახურობის დიდი აღთქმა ვალათ გვადევს ჩვენი გონებისა და უფლების ყოველის ძალ-ღონით ვისწრაფოდეთ, რაც შეიძლება ჩქარა მოისპოს ასეთი საშიშნი არეულობანი. ვუბრძანებთ რა სათანადო მოხელეებსა და უფლების მქონეთა იხმარონ ღონისძიებანი, რომ პირდაპირ არ იჩინოს თავი უწესოებამ, ამბოხებამა და ძალმომრეობამ და ამით დაცულ იქნას მშვიდობიანი ხალხი, მონადინებული თავის მოვალეობის წესიერათ ასრულებისა. ჩვენ საჭიროთ ვცანით უმაღლესი მთავრობის მოღვაწეობის გაერთიანება, რომ ამით წარმატებით იქმნას ასრულებული ჩვენ მიერ სახელმწიფო ცხოვრების დასამშვიდებლათ განსაზღვრული ღონისძიებები.

მოვალეობათ ვაკისრებთ მთავრობას აღასრულოს ეს ჩვენი შეურყეველი ნება:

1. მიენიჭოს ხალხს სამოქალაქო თავისუფლების შეურყეველნი საფუძველნი, ისე, რომ ჭეშმარიტათ ხელშეუხებელი იყოს პიროვნება, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა.

2. არ შეჩერდეს მომავალი არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ეხლავე, რამდენათაც შესაძლებელია იმ ცოტა ხანში, რომელიც დარჩა არჩევნებამდის, მონოდებული იქნას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ მცხოვრებთა კლასები, ახლა მოკლებულნი საარჩევნო უფლებას. მხოლოდ სრული წესდება დაეკალოს ახლად დადგენილ საკანონმდებლო დაწესებულებას.

და 3. დადგენილ იქმნას შეურყეველ წესად, რომ არც ერთი კანონი არ შეიდეს ძალაში სახელმწიფო სათათბიროს დაუდასტურებლათ; ხალხისაგან ამორჩეულთ ნება ჰქონდეთ და უზრუნველ იყვნენ ჭეშმარიტი ზედამხედველობა გაუწიონ, რომ ჩვენ მიერ დანიშნულნი მოხელენი კანონიერათ მოქმედობდენ.

მოუწოდებთ რუსეთის ყველა ერთგულ შვილთ გაიხსენონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, დახმარება გაგვიწიონ, რათა მოისპოს დაუჯერებელი არეულობა და ჩვენთან ერთათ მოიკრიბონ ყველა ძალა სამშობლო ქვეყანაში მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

***ბოძებულია** პეტერგოფს, 17 ოქტომბერს*

ქრისტესშობიდან ათას ცხრაას ხუთი წელს და ჩვენი ხელმწიფობის მეთერთმეტე წელსა.

ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით ანერია:

ნიკოლაი

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის მოქალაქეებს პოლიტიკური თავისუფლებები ებოძათ. იმპერატორი პირობენების ხელშეუხებლობის პირობას იძლეოდა. ამასთან ერთად, ნიკოლაი II მოსახლეობას საკანონმდებლო სათათბიროს მონაწილეობას დაპირდა. როცა მანიფესტის გამოცემა გადაწყვიტა, იმპერატორი ვარაუდობდა, რომ მოსახლეობის ყველა ფენას მოიმხრობდა, ხოლო მოსახლეობის, განსაკუთრებით ინტელიგენციის, მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი სოციალისტური პარტიები საერთოდ დაკარგავდნენ გაელენას. ასეთი აზრი იმპერატორს მიანდეს სერგეი ვიტტემ, დიდმა მთავარმა ნიკოლაი ნიკოლაის ძემ, დიმიტრი ტრეპოვმა და სამეფო სახლის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელმა. მანიფესტის ხელმოწერის შემდეგ დიმიტრი ტრეპოვმა განაცხადა: „მადლობა ღმერთს, მანიფესტი ხელმოწერილია. იწყება ახალი ცხოვრება."

მალე გაირკვა, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს რუსეთის ბურჟუაზიის მხოლოდ მცირე ნაწილმა დაუჭირა მხარი. მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ რუსეთის მსხვილმა ბურჟუაზიამ შექმნა პოლიტიკური პარტია „17 ოქტომბრის კავშირი" („ოქტომბრისტები"). მანიფესტმა განხეთქილება გამოიწვია რუსეთის ინტელიგენციაში. ცნობილი ლიბერალი პოლიტიკური მოღვაწე პიოტრ სტრუვე წერდა: „17 ოქტომბრის აქტით არსებითად და ფორმალურად რევოლუცია უნდა დამთავრდეს". ინტელიგენციის მეორე, უფრო დიდმა, ნაწილმა მანიფესტი არ მიიღო და რევოლუციის გაგრძელებას დაუჭირა მხარი. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა პარტიამ (კადეტებმა) რევოლუციის გაგრძელებისა და არსებული პოლიტიკური სისტემის მოსპობისაკენ მოუწოდა მოსახლეობას. კადეტებმა 1905 წელს უარი თქვეს სერგეი ვიტტეს შემოთავაზებაზე – შესულიყვნენ მთავრობის შემადგენლობაში. იგივე გაიმეორეს მათ 1906 წელს დიმიტრი ტრეპოვისა და პიოტრ სტოლიპინის წინადადების მიმართ – მთავრობაში არ შეეიდნენ. რუსეთის ერობათა კავშირმა მთავრობის თავმჯდომარე სერგეი ვიტტეს 1905 წლის 22 ოქტომბერს ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს: რუსეთის ძირითად კანონის შემუშავების უფლება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას აქვს! ეს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის უგულებელყოფას ნიშნავდა.

§2. რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა 1905-1906 წლებში

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, 1905-1906 წლებში, უმნიშვნელოვანესი რეფორმები გატარდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მიზნით.

1. ცვლილებები სახელმწიფო წყობილებაში. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, რუსეთის იმპერიის მოსახლეობას უნდა აერჩია საკანონმდებლო ორგანო – **სახელმწიფო სათათბირო**. 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე შემუშავდა რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც ნიკოლაი II-მ 1906 წლის 23 აპრილს დაამტკიცა. ამ კანონით დამთავრდა ეპოქა, როცა რუსეთის მონარქი კანონზე მაღლა იდგა და დაიწყო ეპოქა **აბსოლუტური მონარქიის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნისა**. კანონის ძალით, რუსეთის იმპერატორს მსოფლიოს ზოგიერთ პრეზიდენტზე ბევრად ნაკლები უფლება რჩებოდა. 1906 წლის 23 აპრილს დამტკიცებულ ძირითად კანონს ცნობილი იურისტები და პოლიტიკოსები რუსეთის კონსტიტუციასაც ეძახდნენ.

1906 წლის 23 აპრილის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის ძალით, საკანონმდებლო უფლება **სახელმწიფო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორს** შორის იყო განაწილებული. ასეთი დანაწილება თითქმის ყველა იმ სახელმწიფოში მოქმედებდა, რომლებშიც კონსტიტუციური მონარქია არსებობდა. კანონპროექტი განსახილველად უნდა შესულიყო სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტის ქვედა პალატაში). თუ სახელმწიფო სათათბირო კანონს მოიწონებდა, იგი გადაეცემოდა სახელმწიფო საბჭოს (პარლამენტის ზედა პალატას). თუ სახელმწიფო საბჭო კანონპროექტს მოიწონებდა, იგი იმპერატორს წარედგინებოდა და კანონის ძალას მისი ხელმონერის შემდეგ შეიძენდა. თუ იმპერატორი კანონპროექტს არ მოიწონებდა, იგი სახელმწიფო სათათბიროს მორიგ სესიას უბრუნდებოდა ხელახალი განხილვისათვის. რუსეთში ოთხივე სახელმწიფო სათათბიროს არსებობის პერიოდში (1906-1917 წწ.), თერთმეტი წლის განმავლობაში, იმპერატორმა სულ ორჯერ არ მოაწერა ხელი სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებულ კანონპროექტს,თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორ კანონპროექტს არცთუ ისე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენდა ყველაფერი, გარდა სამხედრო, საგარეო საქმეთა და კარის მინისტრების დანიშვნისა, რაც მხოლოდ

იმპერატორის პრეროგატივას წარმოადგენდა. სახელმწიფო სათათბირო და სახლმწიფო საბჭო დამოუკიდებლად ამტკიცებდა ბიუჯეტს, რაც იმას ნიშნავდა, რომ **აბსოლუტურმა მონარქიამ ადგილი დაუთმო კონსტიტუციურ მონარქიას.** ეს პრინციპი განმტკიცებული იყო იმით, რომ იმპერიაში სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს გვერდის აქლით კანონი ვერ დამტკიცდებოდა. თუმცა ძირითადი კანონის 87-ე მუხლი იმპერატორს უფლებას აძლევდა გამოეცა კანონის თანაბარი ძალის მქონე ბრძანებები. ასეთი ბრძანებების გამოცემა არ შეიძლებოდა იმ დროს, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს სესია მიმდინარეობდა. იმპერატორი ბრძანების გამოცემის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებდა, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შეწყვეტილი იყო (სესია არ მიმდინარეობდა). ამ შემთხვევაშიც კი იმპერატორი ვერ გამოსცემდა ისეთ ბრძანებას, რომელსაც ცვლილებები შეჰქონდა ძირითად კანონში. იმპერატორის მიერ გამოცემული ბრძანება ძალას კარგავდა, თუ სახელმწიფო სათათბირო ახალი სესიის გახსნიდან ორი თვის ვადაში მას არ დაამტკიცებდა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭო არ მოინონებდა.

იმპერატორის უფლებების შეზღუდვას თვით იმპერატორი ნიკოლაი II დათანხმა და თავისი თანხმობა 1906 წლის 23 აპრილს ხელმოწერილი ძირითადი კანონითაც დაადასტურა. ამ დღიდან რუსეთის **აბსოლუტური მონარქია (თვითმპყრობელობა) კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცა.**

ნიკოლაი II-ის 1905 წლის 19 ოქტომბრის მანიფესტით, რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტი **მინისტრთა საბჭოდ** გარდაიქმნა. მინისტრთა კომიტეტი მხოლოდ ცალკეულ ადმინისტრაციულ საკითხებს იხილავდა, მთელი სისრულით არ ფლობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. 19 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, მინისტრთა საბჭო იმპერიის სრულუფლებიან აღმასრულებელ ხელისუფლებად (მთავრობად) იქცა. ამიერიდან მთავრობის გვერდის აქლით გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნებოდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიეცა სამინისტროების კონტროლის უფლება. მინისტრებს შეეძლოთ იმპერატორისათვის წარედგინათ „უქვეშევრდომილესი მოხსენებები", თუ ისინი წინასწარ იყო შეთანხმებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

ნაწილობრივ შეიცვალა **მმართველი სენატის,** როგორც სახელმწიფოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს, ფუნქცია. სენატის კომპეტენციაში შედიოდა, იმპერიის ძირითად კანონთან მიმართებაში შეემოწმებინა სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ მოწონებული კანონპროექტები, აეკრძალა ისეთი კანონების გამოქვეყნება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ძირითად კანონს. ეს იმას ნიშნავდა, რომ **სენატს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი უფლებამოვალეობა დაეკისრა.**

1905-1906 წლებში გატარებული რეფორმები თითქმის არ შეხებია ადგილობრივ (საგუბერნიო, საქალაქო, სამაზრო, სათემო) მმართველობას.

1906-1917 წლებში რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ:

1 **ედუარდ ფრიში** (1906-1907);

2. **მიხაილ აკიმოვი** (1907-1914);

3. **ივან გოლუბეევი** (მოვალეობის შემსრულებელი 1914-1915 წწ.);

4. **ანატოლი კულომზინი** (1915-1916);

5. **ივან შჩეგლოვიტოვი** (1917).

1906-1917 წლებში რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ. ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ:

1. **სერგეი ვიტტე** (1905 წლის 19 ოქტომბერი–1906 წლი 22 აპრილი);

2. **ივან გორემიკინი** (1906 წლის 22 აპრილი–8 ივლისი)

3. **პიოტრ სტოლიპინი** (1906 წლის 8 ივლისი–1911 წლის 1 სექტემბერი)

4. **ვლადიმირ კოკოვცევი** (1911 წლის 1 სექტემბერი–1914 წლის 30 იანვარი)

5. **ივან გორემიკინი** (1914 წლის 30 იანვარი –1916 წლის 20 იანვარი);

6. **ბორის შტიურმერი** (1916 წლის 20 იანვარი–10 ნოემბერი);

7. **ალექსანდრ ტრეპოვი** (1916 წლის 10 ნოემბერი–27 დეკემბერი);

8. **ნიკოლაი გოლიცინი** (1916 წლის 27 დეკემბერი –1917 წლის 27 თებერვალი).

§3. პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება დანყებული რეფორმების მიმართ

რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1905 წლის 6 აგვისტოსა და 17 ოქტომბრის მანიფესტები რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის საფუძველს წარმოადგენდა: **თვითმპყრობელური მონარქია ადგილს უთმობდა კონსტიტუციურ მონარქიას.** იმპერატორი და რუსეთის პოლიტიკური ელიტა იმედოვნებდნენ, რომ საზოგადოების ყველა სოციალური ფენა გაგებითა და მადლიერებით მოეკიდებოდა ხელისუფლების დათმობას, რევოლუცია შეწყდებოდა და ახალი სახელმწიფო წესრიგის პირობებში რუსეთი ნელ-ნელა განვითარდებოდა ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად. რუსეთის სხვადასხვა სოციალური ფენა, ისეთი

როგორც მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფოებრივ აზროვნებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ და, ნაცვლად ხელისუფლებისადმი თანადგომისა და მხარდაჭერისა, ოპოზიციაში ყოფნა არჩიეს და ქვეყნისათვის სრულიად მიუღებელი რაღაც პროგრამების რეალიზებისათვის გააგრძელეს ბრძოლა.

დაწყებული სახელმწიფო რეფორმების უპირველესი მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, თვითმმყრობელობის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნა იყო. რა პოზიცია ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, ვინ ეწინააღმდეგებოდა და ვინ უჭერდა მხარს დაწყებულ რეფორმებს? მოვიხმობთ ამონაწერებს პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ პარტიათა უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევდა კონსტიტუციურ მონარქიას ორპალატიანი (სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო) პარლამენტით.

1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: „ხალხის თვითმმყრობელობა, ე.ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების თაემოყრა საკანონმდებლო კრების ხელში, რომლის შემადგენლობაში შეელენ ხალხის ნარმომადგენლები და რომელსაც ექნება ერთი პალატა(...), ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით"

2. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია: „დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართო ავტონომიით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; ფედერაციული საფუძვლის რაც შეიძლება უფრო ფართო შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში".

3. რადიკალური პარტია: „პარტია ცნობს პოლიტიკური წეს-წყობილების უფრო დასრულებულ ფორმად დემოკრატიულ რესპუბლიკას. მმართველობის კონსტიტუციური ფორმის პირობებშიც, პარტია იცავს რა თავის პროგრამას, საჭიროდ თვლის სასტიკ პარლამენტარულ წეს-წყობილებას(...), თვლის რა ანტიდემოკრატიულად ისეთ ორპალატიან სისტემას, როდესაც საგუბერნიო ერობები ირჩევენ ზედა პალატის წევრებს, თუნდაც დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულს(...). უვარგისად თვლის ისეთ ზედა პალატასაც, რომელიც ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი კენჭისყრით."

4. თავისუფალ მოაზროვნეთა პარტია: „რუსეთი ერთიანი სახელმწიფოა ნარმომადგენლობითი მმართველობით. რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობა გამოიხატება ერთიანობაში: ა) უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისა, ბ)საგარეო პოლიტიკისა, გ)არმიისა და ფლოტისა, დ)საბაჟო და სატარიფო პოლიტიკისა, ე) სახელმწიფო გადასახადების სისტემისა, 3) ფულის სისტემისა, ზ) სკოლის სისტემისა, თ)სახელმწიფო ენისა, ი)მართვისა და სასამართლო სისტემისა(...). საერთოსახელმწიფოებრივი წარმომადგენლობითი კრება უნდა აირჩეს საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით."

5. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია: „რუსეთის სახელმწიფოს კონსტიტუციური წეს-წყობილება განისაზღვრება ძირითადი კანონით. ხალხის წარმომადგენლები ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. პარტია უშვებს თავის წრეში აზრთა სხვადასხვაობას სახალხო წარმომადგენლობის ორგანიზების საკითხში, მაგალითად, ერთი ან ორი პალატა. ზედა პალატა უნდა ირჩეოდეს მთელი რუსეთის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისაგან საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე(...). არც ერთი დადგენილება, განკარგულება, ბრძანება და მსგავსი აქტი, რომელიც მიღებული არ იქნება სახალხო ნარმომადგენლობის გადაწყვეტილებით, რასაც უნდა უწოდებდნენ მას და ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, არ შეიძლება იყოს კანონიერი(...). სახალხო წარმომადგენელთა კრების წევრებს ეკუთვნით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მინისტრები პასუხისმგებელნი არიან სახალხო ნარმომადგენელთა კრების ნინაშე."

6. ზომიერ-პროგრესული პარტია: „რუსეთის სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება განისაზღვრება ძირითადი კანონით. სახალხო ნარმომადგენლები უნდა ირჩეოდნენ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. სახალხო ნარმომადგენლობა იღებს მონაწილეობას საკანონმდებლო უფლების განხორციელებაში(...), არც ერთ განკარგულებას, დადგენილებას, ბრძანებას, ცირკულარს და მათ მზგავს აქტს, რომელიც გამოცემული არ იქნება სახალხო ნარმომადგენლობის დადგენილების საფუძველზე, არ შეიძლება ჰქონდეს კანონის ძალა."

7. პროგრესულ-ეკონომიური პარტია: „ხალხის წარმომადგენელთა კრებას უნდა ჰქონდეს კანონების გამოცემის, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის უფლება."

თვითმმყრობელობის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნას მხარი დაუჭირა რამდენ-

იმე პარტიამ. მოვიხმობთ ამონაწერებს ამ პარტიათა პროგრამებიდან:

1. სახალხო-სამეურნეო პარტია: „იმპერატორის შეუდრეკელი ნების გამოხატვა სახელმწიფოს რიგიანად მართვის შესახებ, რომელიც ხალხის რჩეულთ სახელმწიფოს მართვაში კანონიერი მონაწილეობის უფლებას აძლევთ, ვიღებთ მოკრძალებით, რადგან ვფიქრობთ, რომ ასეთი წესი არ ამცირებს მეფის უმაღლეს უფლებას, არამედ ამსუბუქებს სახელმწიფოს მართვას."

2. სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კავშირი: „(...) დაცვა იმპერიის მთლიანობისა კონსტიტუციური მონარქიით."

3. 17 ოქტომბრის კავშირი: „კონსტიტუციური მონარქიის განვითარება და გაძლიერება სახალხო წარმომადგენლობით, რომელიც დამყარებული უნდა იქნეს საყოველთაო უფლებებზე(...). პოლიტიკურ ფორმათა მომავალი განვითარება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული რუსეთის მთელ ისტორიულ ცხოვრებასთან. დამფუძნებელი კრების მონვევა, როგორც ამას მოითხოვს ზოგიერთი პარტია(...), ნიშნავს კავშირის სრულ განყენებას წარსულთან და მოახდენს ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ საფუძველთა გადასინჯვას, რომლის გადასინჯვა არ შეიძლება ქვეყნისათვის მძიმე რევოლუციური შერყევების გარეშე".

4. რუსეთის მონარქისტ-კონსტიტუციონალისტთა (მეფისტთა) პარტია: „მეფისტები აღიარებენ მონარქიულ-კონსტრიტუციონალურ მართველობის ფორმას, მაგრამ სიტყვა „მეფეს" მათ თვალში აქვს ღრმა მნიშვნელობა რუსეთისა და რუსეთის ხალხისათვის. მეფე მამაა ხალხისა, განუშორებლად და მჭიდროდ მასთან შეკავშირებული, მეფე ანდობს ხალხის მიერ არჩეულ პირთ სახელმწიფოს მართვას, მაგრამ ამით მეფის მნიშვნელობა არ იცვლება, პირიქით, კიდეც იზრდება. რუსეთის მეფე ყოველივე კეთილი საწყისის მფარველი, ამასთან, დიდებული ხალხის სული და სინდისია და მთელი იმპერიის დიდებისა და ძლიერების იდეის მატარებელია. მეფეს არაფერი არ უნდა, ის მეფედ იბადება, რუსეთი უმეფოდ წარმოუდგენელია".

5. რუსი ხალხის ყველა წოდებათა კავშირი: „დარწმუნებულნი, რომ რუსეთისათვის უფრო შესაფერისი და ერთადერთი მართველობის ფორმა მონარქიული მმართველობაა ხელმნიფე იმპერატორით სათავეში და სახალხო წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც არჩეული იქნებიან საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი კენჭისყრით".

კონსტიტუციური მონარქიის მონწინააღმდეგეთა და მომხრეთაგან განსხვავდებოდა კონსერვატორულ-მონარქისტული ორგანიზაცია „რუსული კრება", რომელიც აცხადებდა: „რუსთა კრებას სწამს, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს არ შეუცვლია მეფის თვითმპყრობელობა და იგი ახალ წეს-წყობილებაშიაც განაგრძობს არსებობას. სახელმწიფო სათათბირო არაა მონვეული იმისათვის, რომ სახელმწიფოს ძირითად კანონებში რაიმე შეცვალოს. აღიარებს რა სახელმწიფო სათათბიროს მიზნად კანონმდებლობის შემუშავებას და საქმიან ზედამხედველობას მის განხორციელებაზე, რუსთა კრება ფიქრობს მხარი დაუჭიროს ყველა იმ პირის არჩევას სახელმწიფო სათათბიროში, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ შეხედულებას."

ზემოთ მოხმობილი მასალა იმის დამადასტურებელი იყო, რომ პოლიტიკურ პარტიათა და მათ უკან მდგომ სოციალურ ძალთა შორის რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მიზნით დაწყებული რეფორმა კონფრონტაციის ფონზე განვითარდებოდა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებდა რევოლუციის პირობებში წარმოქმნილ წინააღმდეგობებს.

§4. რუსეთის იმპერიის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები

კანონი სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ 1905 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნდა. იგი პირდაპირ არჩევნებს არ ითვალისწინებდა. არჩევნები კურიების მიხედვით ჩატარდებოდა. სულ შეიქმნა 4 კურია: **მიწათმფლობელთა, საქალაქო, საგლეხო, მუშათა.** ყველა კურიას უნდა აერჩია არა სახელწმწიფო სათათბიროს წევრები, არამედ მათი **ამრჩევები.** დაწესდა შემდეგი კეოტები:

1. 1 ამრჩევი მიწათმფლობელთა კურიის ხმის უფლების მქონე 2.000 მცხოვრებისათვის;

2. 1 ამრჩევი საქალაქო კურიის ხმის უფლების მქონე 4.000 მცხოვრებისათვის;

3. 1 ამრჩევი საგლეხო კურიის ხმის უფლების მქონე 30.000 მცხოვრებისათვის;

4. 1 ამრჩევი მუშათა კურიის ხმის უფლების მქონე 90.000 მცხოვრებისათვის.

საარჩევნო ხმის უფლება იმპერიის ყველა ქვეშევრდომს არ ჰქონდა. საარჩევნო ხმის მოპოვებისათვის აუცილებელი იყო არჩევნებამდე ორი წლით ადრე შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

1. **მიწათმფლობელთა კურიისათვის:** ხმის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი იყო 100 დესეტინიდან 650 დესეტინამდე მიწისა (ნიადაგის ეარგისიანობის მიხედვით) და არანაკლებ 15.000 მანეთის ღირებულების უძრავი ქონების ფლობა;

2. **საქალაქო კურიისათვის:** ქალაქში უძრავი ქონებისა და სავაჭრო-სამრეწველო დანესებულებების ფლობა; სახელმწიფო მოხელის თანამდებობა;

3. **საგლეხო კურიისათვის:** სოფლად უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა;


4. **მუშათა კურიისათვის:** ისეთ საწარმოში მუშაობა, რომელშიც დასაქმებული იყო არანაკლებ 50 მუშისა.

გარდა ამისა, **ხმის უფლება არ ჰქონდათ:** რუსეთის მოქალაქეებს, რომელთაც არჩევნების დღისათვის 25 წელი არ შესრულებოდათ; ქალებს; სტუდენტებს; სავალდებულო-სამხედრო სამსახურში მყოფ ადამიანებს (ჯარისკაცებს); მანანწალებს; სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილ პირებს; სასამართლოს გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გადაყენებულებს 3 წლის განმავლობაში; პირებს, რომელთა საქმე ან ძიებაში იყო, ან სასამართლო იხილავდა; სხვადასხვა მიზეზით გაბანკროტებულ ადამიანებს; სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს; პირებს, რომელთაც სასულიერო თანამდებობები ჩამოერთვათ; ნოდებაჩამორთმეულ ადამიანებს. ხმის უფლება ასევე არ ჰქონდათ თავიანთ საგანმგებლო ტერიტორიაზე არსებულ საარჩევო ოკრუგებში: გუბერნატორებს, ვიცე-გუბერნატორებს, ქალაქის თავებსა და მათ თანაშემწეებს, პოლიციელებს.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები რამდენიმე საფეხურიანი იყო: საქალაქო კურიაში ორსაფეხურიანი; მიწათმოქმედთა კურიაში – ორ ან სამსაფეხურიანი; გლეხთა კურიაში –ოთხსაფეხურიანი; მუშათა კურიაში –სამსაფეხურიანი.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის თებერვალ-მარტში გაიმართა. არჩევნები მოგვიანებით ჩატარდა ეროვნულ განაპირა მხარეებში, მათ შორის, საქართველოშიც. ამის გამო სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს, 1906 წლის 27 აპრილს, 524 დეპუტატიდან მხოლოდ 480 იყო არჩეული. სულ კი პირველ სახელმწიფო სათათბიროში 497 დეპუტატი იქნა არჩეული, რომელთაგან 11 დეპუტატის უფლებამოსილება არ ცნეს, 1 დეპუტატი გადადგა, 1 გარდაიცვალა, ხოლო 6 დეპუტატი სხვადასხვა მიზეზით პეტერბურგში ვერ ჩაიდა. **პროფესიული ნიშნით,** დეპუტატები ასე განაწილდნენ:

მიწათმფლობელი – 121,
ხელოსანი –10,
ფაბრიკისა და ქარხნების მუშა–17,
ეაჭარი –14,
ფაბრიკა-ქარხნების მფლობელი და მმართველი –5,
მემამულე და მამულის მმართველი –46,



პიოტრ სტოლიპინი

ერობის, საქალაქო მმართველობისა და საოთავადაზნაურო საკრებულოს მოხელე –73,
სასულიერო პირი –6,
სახელმწიფო და კერძო დანესებულების მოხელე –14,
ადვოკატი –39,
ექიმი –16,
ინჟინერი –7,
პროფესორი და პრივატ-დოცენტი –16,
გიმნაზიის მასწავლებელი –3,
სოფლის სკოლის მასწავლებელი –14,
ჟურნალისტი –11,
გაურკვეველი საქმიანობისა – 9.

სათათბიროს **პარტიული და ფრაქციული შემადგენლობა** ასე გამოიყურებოდა:

რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტია –166,
მშრომელთა კავშირი ("ტრუდოვიკები")– 102,
რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია – 23,
თავისუფალ მოაზროვნეთა პარტია – 2,
პოლონეთის სამეფოს წარმომადგენლები (პოლონური კოლო)–33,
მშვიდობიანი განახლება – 26,
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები) – 18,
უპარტიო ავტონომისტები – 14,
პროგრესისტები – 12,
დემოკრატიული რეფორმების პარტია – 6,

უპარტიო – 100.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიის წევრი, პროფესორი **სერგეი მურომცევი**(1850-1910). სათათბირომ მუშაობა 1906 წლის 27 აპრილს დაიწყო და 8 ივლისს დასრულა.

პირველი სახელმწიფო სათათბირო თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა მთავრობას (თავმჯდომარე ივან გორემიკინი). სახელმწიფო სათათბირომ სულ 72 დღე იმუშავა და 391 შეკითხვა შეიტანა რუსეთის მთავრობის უკანონო მოქმედებების გამო განმარტების მისაღებად. დაიწყო თუ არა სათათბიროს სესია, კადეტებმა ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტია და სიკვდილით დასჯის გაუქმება მოითხოვეს. გარდა ამისა, კადეტები ითხოვდნენ სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და სახელმწიფო სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) შექმნას. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაში უმთავრესი ადგილი **აგრარულმა საკითხმა** დაიკავა. კადეტებმა (42 დეპუტატმა) შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა: 1. გლეხობისათვის მინის დამატებით გადაცემას; 2. გლეხობისათვის გადასაცემი მინა უნდა გამოყოფილიყო სახელმწიფო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეტო მინების ფონდიდან.

1906 წლის 6 ივლისს იმპერატორმა ივან გორემიკინის მეტად არაპოპულარული მთავრობა დაითხოვა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **პიოტრ სტოლიპინი** დანიშნა. 8 ივლისს ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის ბრძანებას, ხოლო 9 ივლისის მანიფესტით მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დანიშნა.

§5. ქართველები პირველ სახელმწიფო სათათბიროში

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა, სათათბირო კი მუშაობას 27 აპრილს შეუდგა. საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, არჩევნები მოგვიანებით ჩატარდა და 1906 წლის მაისში დასრულდა. ასე რომ, ამ დროისათვის სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა უკვე დაწყებული იყო. საქართველოდან პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს:

1. **ნოე ჟორდანია** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

2. **ისიდორე რამიშვილი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

3. **ივანე გომართელი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

4. **სერგო ჯაფარიძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

5. **სვიმონ წერეთელი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

6. **იოსებ(ოსიკო) ბარათაშვილი** (საქართველოს სოციალისტ-ფედერასლისტთა სარევოლუციო პარტიის, ქართველი დემოკრატებისა და რადიკალების ბლოკი);

7. **პროკოფი შერვაშიძე** (უპარტიო მინის მფლობელი, გადამდგარი გენერალი);

8. **არტიომ აივაზოვი** (რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია).

საქართველოდან არჩეული დეპუტატები სათათბიროში 1906 წლის 8 ივნისს გამოცხადნენ და მაშინვე აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. იმ დროს სათათბიროში რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრ **ივან შჩეგლოვიტოვისა** და შინაგან საქმეთა მინისტრ **პიოტრ სტოლიპინის** მოხსენებს ისმენდნენ იმპერიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა ვითარების ღრმა და ობიექტური ანალიზი, მან ამხილა მემარცხენე ექსტრემისტული ძალების მისწრაფება 1905 წლის სისხლიანი მოვლენები 1906 წელსაც გაემეორებინათ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი აბსოლუტური მონარქიის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნის საფუძველს წარმოადგენდა. მემარცხენე ექსტრემისტულმა ძალებმა, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა კი არა, დანგრევა განიზრახეს, ყველანაირად შეუშალეს ხელი პროცესის მშვიდობიან განვითარებას. ამ ძალების ნაწილი სახელმწიფო სათათბიროშიც აღმოჩნდა და პირველი დღიდანვე ხელისუფლებასთან აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგა. ხელისუფლება აღიარებდა, რომ 1905 წელს „ბევრი რამ ცუდი მოხდა"და ეს ეხებოდა არა მარტო რევოლუციის მონაწილეებს, არამედ მთავრობასაც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება „ბევრ ცუდზე" პასუხისმგებლობას არ იხსნიდა. ამავე დროს მთავრობა პირობას დებდა, რომ ის „ბევრი ცუდი" რუსეთში აღარ განმეორდებოდა. პრეტენზიულად, სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას პიოტრ სტოლიპინმა წარმოადგინა შერიგების დიდი პროგრამა. მემარცხენე-ექსტრემისტული ძალები 1906 წელს რევოლუციის ახალ აღმავლობას ელოდნენ, რის გამოც შერიგების პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და ღია კონფრონტაციის გზას დაადგნენ. ეს საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ნიკოლაი II-მ პირველი სახელმწიფო სათათბირო ვადაზე ადრე დაითხოვა.

სამწუხაროდ, ქართველი დეპუტატები მემარცხენე-ექსტრემისტული ძალების კოალიციაში აღმოჩნდნენ: ისიდორე რამიშვილი აშკარად, ნოე ჟორდანია, ივანე გომართელი, სერგო ჯაფარიძე, იოსებ ბარათაშვილი– შედარებით ნაკლებად დესტრუქციულ საქმიანობაში ჩაებნენ. კიდევ ერთი ქართველი დეპუტატის, სიმონ წერეთლის, პოზიცია უცნობი დარჩა, რადგან მას სათათბიროს მუშაობაში პრაქტიკულად მონაწილეობა არ მიუღია.

ისიდორე რამიშვილი საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე (დამსჯელი ექსპედიციები და სხვ.) პასუხისმგებლობას რუსეთის მთავრობას აკისრებდა, მაშინ, როდესაც ეს პასუხისმგებლობა მთავრობამ და კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრმა პიოტრ სტოლიპინმა უკვე აიღო თავის თავზე. ამავე დროს, ქართველი დეპუტატი არაფერს ამბობდა მემარცხენე-ექსტრემისტული ძალების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რასაც უაზრო სისხლისღვრა მოჰყვა. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ისიდორე რამიშვილმა რადიკალური პოზიცია დაიკავა და შინაგან საქმეთა მინისტრ პიოტრ სტოლიპინს შეუტია: „აქ ბატონი მინისტრი ამბობდა: „ის, რაც რუსეთში ცუდი იყო, მეტად ალარ განმეორდება“ და ამით მან აღიარა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ხდებოდა, მთავრობის დასტურით კეთდებოდა. მაშასადამე, იგი რაღაც მოჩვენებების შემდეგ გონს მოეგო და დაადასტურა ის ფაქტი, რომ რუსეთის დამაქცევარი ყველა შავბნელი და საძაგელი საქმე (იგულისხმებოდა პოლიტიკური რეპრესიები, რომლებსაც უამრავი ადამიანი შეეწირა – ვ. გ.) შეგნებულად კეთდებოდა.“ სიტყვა ძალზე ეფექტური და შეიძლება პოლიტიკური თვალსაზრისით მომგებიანიც იყო, მაგრამ პრაქტიკულად, იგი ღია კარის მტერეას წარმოადგენდა, რადგან მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები, როგორც უკვე ვთქვით, მინისტრმა აღიარა. ისიდორე რამიშვილის მიერ მთავრობის პოლიტიკის ასეთი გაბედული კრიტიკა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სათათბიროს თავმჯდომარემ სხდომა შეწყვიტა. ხოლო მინისტრებმა, რომელთაც მემარცხენე-ექსტრემისტული ძალების მხრიდან ობსტრუქცია არ ისურვეს, დარბაზი დატოვეს.

მეორე დღეს (9 ივნისს) ისიდორე რამიშვილს სიტყვის გაგრძელების საშუალება მიეცა. ალბათ, თავმჯდომარე ეარაუდობდა, რომ ქართველი დეპუტატი ტონს ოდნავ მაინც შეარბილებდა, მაგრამ ისიდორე რამიშვილმა კვლავ მწვავედ შეუტია მთავრობას: „მე გუშინ სიტყვა მაშინ შემაწყვეტინეს, როცა ბატონ მინისტრებს უნდა შევპასუხებოდი, მაგრამ ისინი აჩქარდნენ და წავიდნენ. გუშინ სახალხო წარმომადგენლები და ხალხის მტრები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.“ თავმჯდომარე იძულებული გახდა, ისიდორე რამიშვილისათვის სიტყვა შეეწყვეტინებინა და გაეფრთხილებინა: ისეთი გამოთქმისაგან, როგორიც „ხალხის მტერია“, თავი შეიკავეთ! ისიდორე რამიშვილი არ შეუშინდა არც სათათბიროს თავმჯდომარის გაფრთხილებას და არც ხელისუფლების მომხრე დეპუტატების მიერ დარბაზში ატეხილ ხმაურს და იმავე ტონით გააგრძელა: „ჩანს, რომ ბატონი მინისტრები არც ისე დიდი ხალისით თანხმდებიან თავიანთი დანაშაულობების შესახებ ახსნა-განმარტება მისცენ ხალხს (...). დადგა წუთი, როცა ხალხმა მრისხანედ უნდა მოითხოვოს მათგან პასუხი“. ამგვარი უკომპრომისობა რევოლუციური გამოსვლების ახალი ტალღის დაწყებისაკენ მოწოდებად აღიქმებოდა და, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით, დასჯადი ქმედება იყო. მემარცხენე დეპუტატების ტაშით გამხნევებულმა ორატორმა კიდევ უფრო რადიკალური განცხადებები გააკეთა: „იმპერიაში არავითარი კანონები არ მოქმედებს, არსებობს მხოლოდ პოლიტიკური წესდებები, რომელთაც ყველა კანონსა და სახარებაზე მეტი ძალა აქვთ, რომ ეკლესიებიც კი მთავრობის ჯაშუშებისა და პროვოკატორების ბუდედაა ქცეული.“

ისიდორე რამიშვილი საქართველოს ამბებს შეეხო და დაგმო მთავრობის რეპრესიული ღონისძიებანი: „მხეცმა ალიხანოვმა გადაწვა გურია. იგი ზამთარში გარეთ ერეკებოდა სახლებში თავშეფარებულ ბავშვებსა და ქალებს, წვავდა მათ სადგომებს, ხოლო შემდეგ ადმინისტრაცია ამტკიცებდა, რომ ხალხი თვითონვე წვავდა თავის სახლ-კარს, რათა მთავრობისა და ჯარის მიმართ უნდობლობა გამოეწვიათ (...). აი, ლოგიკა ჩვენი მთავრობისა!“ ისიდორე რამიშვილის დასკვნა ასეთი იყო: „მთავრობის ყოველი ნაბიჯი ხალხის წინაშე დანაშაულია“, ორატორი ითხოვდა, რომ ხალხის სახელით „სამართალში მიეცათ ყველა მძარცველი, ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი, ძველი და ახალი მინისტრებიცა და პრემიერ-მინისტრიც“.

გამოსვლის დასასრულ ისიდორე რამიშვილმა ნაიკითხა პირველი სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 13 წევრის მიერ ხელმოწერილი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული რუსეთის იმპერიის მთავრობის მოღვაწეობა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდგომ პერიოდში.

1906 წლის 12 ივნისის სხდომაზე ისიდორე რამიშვილმა კვლავ გააგრძელა ხელისუფლების მხილება და კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ასე დაახასიათა: „კავკასიაში დამკვიდრებული ბი-

უროკრატიისათვის ეს მხარე ნარმოადგენდა, როგორც გასასირნებელს, სანადიროსა და გარყვნილი ცხოვრების წესის განსახორციელებელ ადგილს." კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მხილებისას ორატორმა სხვათა შორის აღნიშნა: „მეფის ხელისუფლების მიერ გატარებული ამ უმკაცრესი და აბუჩად ამგდები პოლიტიკის წყალობით კავკასიელები რუს ადამიანს უცქერდნენ, როგორც გახრწნილს(...), არ იცოდნენ, რომ რუსი კაცი შეიძლება ყოფილიყო წესიერი და ზნეობრივი, არ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა რუსი კაცი არ ყოფილიყო ლოთი, არ ყოფილიყო მექრთამე, რომ რუს ადამიანსაც შეიძლებოდა თბილი გული ჰქონოდა." ისიდორე რამიშვილი ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო. არ შეიძლებოდა მას გაცნობიერებული არ ჰქონოდა ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც მის გამოსვლას მოჰყებოდა. ამიტომ იყო, რომ მან რუსი ერის საქებარი სიტყვებიც ნარმოთქვა, რითაც პატრიოტული ძალების გულის მოგებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ.

ისიდორე რამიშვილის გამოსვლებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა რუსეთის პრესაში: მემარცხენე ძალები ქართველი დეპუტატის გამოსვლას ინონებდნენ, მემარჯვენეები კი აღშფოთებას ვერ მალავდნენ.

1906 წლის 9 ივნისს სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოში რუსეთის დამსჯელი ექსპედიციების ზღვარსგადასული სიმკაცრე ამხილა **იოსებ ბარათაშვილმა**, მანვე შესანიშნავი სიტყვა ნარმოთქვა მოგვიანებით, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონპროექტის განხილვისას.

ქართველი დეპუტატების პეტერბურგში ჩასვლამდე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან სათათბიროში არჩეული დეპუტატები ცალკე ფრაქციად არ იყვნენ გამოყოფილნი. ქართველი დეპუტატების სათათბიროში გამოჩენის შემდეგ კი ეს შესაძლებელი გახდა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ **ნოე ჟორდანია** აირჩიეს. ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია 1906 წლის 18 ივნისის სხდომაზე მკვეთრად დაუპირისპირდა კონსტიტუციურ დემოკრატებს. ამ დღეს იხილებოდა კანონპროექტი კრებების თავისუფლების შესახებ. კადეტებს მიაჩნდათ, რომ კრებების გამართვა მკვეთრად რეგლამენტირებული უნდა ყოფილიყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ ხალხის სურვილისამებრ მათი გამართვა. ამის საპასუხოდ ნოე ჟორდანიამ სათათბიროში სამმუხლიანი კანონპროექტი შეიტანა: „1. რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს შეიკრიბოს ყველგან და ყოველთვის ყოველგვარი შევინროებისა და შეზღუდვის გარეშე. ამისათვის იგი არავის თანხმობას არ სთხოვს. ამასთან, სჯაბაასს მისთვის სასურველ ენაზე ნარმართავს; 2. თანამდებობის პირები, რომლებიც კრებების თავისუფლად გამართვას ხელს შეუშლიან, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში; 3.უნდა გაუქმდეს ყველა კანონი, რომლითაც კრებების თავისუფლება იზღუდება და აგრეთვე ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც განსაკუთრებულ კანონებს ემყარება." ცხადია, კადეტების მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი მიუღებელი იყო, თუმცა ნოე ჟორდანიას პროექტსაც ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლი: ის, რასაც ნოე ჟორდანია რუსეთისათვის ითხოვდა, ევროპის არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არსებობდა– კრების მონვევა ყველგან დაწესებული რეგულაციის ფარგლებში ხდებოდა. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ნაადრევად შენყვეტის გამო კანონპროექტი კრებების თავისუფლების შესახებ კანონად ვერ იქცა.

1906 წლის 6 ივლისს, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, იმპერატორმა ივან გორემიკინის მეტად არაპოპულარული მთავრობა დაითხოვა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ პიოტრ სტოლიპინი დანიშნა. 8 ივლისს ნიკოლაი II-მ ხელი მოანერა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის ბრძანებას, ხოლო 9 ივლისის მანიფესტით მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დანიშნა.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და მემარცხენე ძალების ინიციატივით დაახლოებით 200-მა დეპუტატმა პეტერბურგი დატოვა და ფინეთის ქალაქ ვიბორგში შეიკრიბა. აქ ხელმოწერილ იქნა „ვიბორგის მონოდება". დოკუმენტი პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას უკანონოდ მიიჩნევდა და სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას აპროტესტებდა. ვიბორგის მონოდებაზე ხელის მომწერენი ვარაუდობდნენ, რომ რუსეთში ახალ რევოლუციურ აღმავლობას გამოიწვევდნენ. ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. ვიბორგის მონოდებას, სხვა დეპუტატებთან ერთად, ხელი მოანერეს **ნოე ჟორდანიამ, ისიდორე რამიშვილმა ივანე გომართელმა, სერგო ჯაფარიძემ, სვიმონ წერეთელმა და იოსებ ბარათაშვილმა.** „ვიბორგის მონოდებაზე" ხელმოწერისათვის პასუხისგებაში მისცეს 156 დეპუტატი. დაიწყო ძიება. 1907 წლის 12-17 დეკემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე სათათბიროს დეპუტატებიდან სიტყვები წარმოთქვეს იოსებ ბარათაშვილმა და ისიდორე რამიშვილმა. ქართველი დეპუტატების სიტყვები კვლავ მთელი პირდაპირობით ამხელდა რუსეთის



ირაკლი წერეთელი (ზის მარჯვნიდან პირველი) და ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე (დგას მარჯვნიდან მეორე)

იმპერიის მთავრობია საშინაო პოლიტიკას. სასამართლომ „ეიბორგის მოწოდებაზე" ხელმომწერთა ხიხვადასხვა სასჯელი დაადო.

§6. რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები

რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბირომ 1907 წლის 20 თებერვლიდან 2 ივლისამდე, ანუ 102 დღე, იმუშაკა. სათათბიროს არჩევნები დამარცხებული რევოლუციის ფონზე მიმდინარეობდა. მმართველი სენატის მიერ მიღებული საარჩევნო კანონის განმარტებების საფუძველზე სათათბიროში მუშათა და ნერილ მინათმფლობელთა არჩევა შეიზღუდა. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა სათათბიროში არ დაეშვა გლეხი დეპუტატები, რადგან მათ პირველ სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალური პოზიცია დაიკავეს. სათათბიროს არჩევნები 1907 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა, ხოლო პირველი სხდომა 20 თებერვალს გაიხსნა.

მეორე სახელმწიფო სათათბიროში სულ 518 დეპუტატი აირჩიეს. დეპუტატებიდან გლეხი იყო – 169, მუშა – 32, ღვთისმსახური – 20, საერობო, საქალაქო და სათავადაზნაურო საკრებულოს მოხელე – 25, ნერილ კერძო დაწესებულებათა მოხელე – 10, პოეტი – 1, სახელმწიფო დაწესებულებათა, მათ შორის, სასამართლოს მოხელე – 24, ოფიცერი 3, პროფესორი და პრივატდოცენტი –10, სხვადასხვა დონის სკოლების მასწავლებელი – 28, ჟურნალისტი 19, იურისტი(ადვოკატი) – 33, კომერსანტი – 17, მემამულე – 57, ფაბრიკა-ქარხნის მფლობელი და დირექტორი – 6. პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებიდან მეორეში მხოლოდ 32 (6%) მოხვდა.

სახელმწიფო სათათბიროს **პარტიული** და **ფრაქციული** შემადგენლობა ასეთი იყო:

მშრომელ გლეხთა პარტია –104,

მშრომელთა კავშირი("ტრუდოვიკები")–71,

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი –14,

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის თანამგრძნობი –19,

რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია – 98,

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 65,

უპარტიო – 50,

პოლონეთის სამეფოს წარმომადგენლები (პოლონური კოლო) – 46,

17 ოქტომბრის კავშირი ("ოქტიაბრისტები") და ზომიერთა ჯგუფი – 44,

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 37,

მუსლიმთა ფრაქცია – 30,

კაზაკთა ჯგუფი – 17,

სახალხო-სოციალისტური ფრაქცია – 16,

მემარჯვენე მონარქისტები – 10,

დემოკრატიული რეფორმების პარტია – 1.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა მემარჯვენე კადეტი ფიოდორ გოლოვინი (1867-1937).

მეორე სახელმწიფო სათათბირო ხელისუფლებას თითქმის ყველა პრინციპულ საკითხში დაუპირისპირდა, განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო რუსეთის მთავრობის და კერძოდ, მისი თავმჯდომარის, პიოტრ სტოლიპინის, კრიტიკამ. კონფრონტაცია სათათბიროსა და ხელისუფლებას შორის სათათბიროს მუშაობის ბოლო დღემდე გრძელდებოდა. დეპუტატები განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდნენ რეეოლუციის ჩახშობის მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს. საკითხის განხილვისას განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოციალ-დემოკრატები. 1907 წლის 1 ივნისს პიოტრ სტოლიპინმა სათათბიროდან 55 სოციალ-დემოკრატის დათხოვნა და 16 მათგანისათვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა. მთავრობის თავმჯდომარე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ სოციალ-დემოკრატები სახელმწიფო წყობილების დამხობას და სამეფო ოჯახის წინააღმდეგ შეთქმულების მონყობას გეგმავდნენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1907 წლის 3 ივნისს ნიკოლაი II-მ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და იმავდროულად შეცვალა საარჩევნო კანონი.

§7. ქართველები მეორე სახელმწიფო სათათბიროში

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა. ამჯერად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკურმა ფრაქციამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა და ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი კანდიდატების გასაყვანად. მწვავე საარჩევნო კამპანია მენშევიკების გამარჯვებით დასრულდა. სათათბიროში აირჩიეს:

1. **ირაკლი წერეთელი**(რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

2. **არჩილ ჯაფარიძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

3. **სეგერიან ჯუღული** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

4. **ნიკოლოზ კაციაშვილი**(რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

5. **ბიკენტი (ქოლა) ლომთათიძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

6. **გერასიმე შახარაძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

7. **არშაკ ზურაბოვი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

საქართველოდან არჩეული დეპუტატები, გარდა ჭოლა ლომთათიძისა, პეტერბურგში 1907 წლის 11 თებერვალს გაემგზავრნენ. ეს უკანასკნელი იმპერიის დედაქალაქში ცოტა მოგვიანებით ჩავიდა.

მეორე სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური ფრაქციიდან არჩეული დეპუტატები ერთ ფრაქციად გაერთიანდნენ და ფრაქციის თავმჯდომარედ მენშევიკი **ირაკლი (კაკო) წერეთელი** აირჩიეს. სოციალ-დემოკრატებისა და სხვა მემარცხენე ძალების წყალობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე სახელმწიფო სათათბირო პირველზე უფრო შეურიგებელი და კონფრონტაციული აღმოჩნდა.

სათათბიროს მუშაობის დაწყებიდან მალე დეპუტატების წინაშე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პიოტრ სტოლიპინი** გამოვიდა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი წარადგინა. **მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლა სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა.** ეს იყო რუსეთის კრიზისიდან გამოყვანის ნათლად ჩამოყალიბებული რეალური გეგმა. პიოტრ სტოლიპინმა დეპუტატებს ასე მიმართა: „ყველა ამ კანონპროექტს, რომლებიც მთავრობას შემოაქვს სათათბიროში, საფუძვლად უდევს ერთი საერთო სახელმძღვანელო აზრი. ესაა ბოლო დროს გატარებული რეფორმებიდან გამომდინარე მატერიალური ნორმების შექმნა. მონარქის სურვილისამებრ, ჩვენი გარდაქმნილი სამშობლო უნდა გადაიქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ". მთავრობის თავმჯდომარემ ამ პროცესში სათათბიროს ფუნქციის განსაზღვრისას აღნიშნა, რომ ქვეყანა „მხოლოდ მაშინ შეიძლება დამშვიდდეს და აღორძინდეს, როცა უმაღლესი საკანონმდებლო დანესებულებები მოფიქრებულად, საზრიანად და მტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში განახლების სათავეში დადებულ პრინციპებს." სტოლიპინი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი დაცული იქნებოდა.

პიოტრ სტოლიპინის გამოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც მოულებელი იყო მემარცხენე-ექსტრემისტი დეპუტატებისათვის. მათი პოზიცია ირაკლი წერეთელმა წარმოადგინა, რომლის გამოსვლა შემდეგ დებულებებს შეიცავდა:

1. 1905 წელს რეეოლუციასთან ბრძოლაში მთავრობამ ბევრი უკანონობა ჩაიდინა, რაზეც პიოტრ სტოლიპინს ყურადღება არ გაუმახვილებია;

2. რუსეთის მთავრობა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე კი არ ზრუნავს, არამედ თავისსავე ხალხს ებრძვის;

3. რუსეთის მთავრობა ვერ შეძლებს რეფორმების განხორციელებას, მას არ შეუძლია რუსეთის განახლება.

ირაკლი წერეთლის გამოსვლამ მემარცხენე-ექსტრემისტების პროვოცირება გამოიწვია. ვალში არც მონარქისტულ-პატრიოტული ძალები დარჩნენ. ირაკლი წერეთლის სიტყვის ანტისახელმწიფოებრივი შინაარსი ამხილა **ვლადიმირ პურიშკევიჩმა (1870-1920)**. პურიშკევიჩი ირაკლი წერეთლის ყველაზე დიდი ოპონენტი იყო სათათბიროში. ამ ორი დეპუტატის პაექრობა ყოველთვის ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა.

1907 წლის 3 აპრილს სათათბიროში გამოსვლისას ირაკლი წერეთელი საქართველოში შექმნილ ვითარებას შეეხო და განაცხადა: „ქუთაისის გუბერნიის სოფ. ლანჩხუთში შეყვანილია ჯარები. შეყვანილია დამსჯელი ექსპედიცია განადგურების მუქარით. **ამ** სოფლისაგან მოითხოვენ ჯარიმის გადახდას 45.000 მანეთის ოდენობით. ჩემთვის გაუგებარია, თუ რისთვის მოითხოვენ ამ ჯარიმას ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. უეჭველია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აგვიხსნის ამის მიზეზს." მართალია, ირაკი წერეთელმა თქვა, რომ მისთვის გაუგებარი იყო სოფელზე ჯარიმის შეწერის მიზეზი, მაგრამ იმავე სიტყვაში მან კარგად წარმოაჩინა ჯარიმების შემოღების მთელი ანტიხალხური არსი: ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ ადებენ ასეთ სასჯელს ჩვენთან, კავკასიაში, რატომ შეუყვათ სოფლებში დამსჯელი ექსპედიციები. კავკასიის ადმინისტრაციამ შემოილო საერთო პასუხისმგებლობის შუა საუკუნეებისდროინდელი სისტემა, ანუ როცა მთელი მოსახლეობა პასუხისმგებელია ცალკეულ პირთა დანაშაულის გამო(...). რა თქმა უნდა, თუ ასეთი ქმედება ჩადენილი არ არის პოლიციის მოხელეთა მიერ, არამედ ადგილობრივი კერძო პირის ნამოქმედარია."

ირაკლი წერეთელი სათათბიროში გამოსვლისას შეეხო 1906 წელს დასავლეთ საქართველოს დარბევას დამსჯელი ექსპედიციების მიერ, რომელსაც გენერალი **მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი** მეთაურობდა. ირაკლი წერეთელმა რუსეთის ხელისუფლება გააკრიტიკა იმისათვის, რომ სოფელ ლანჩხუთში განვითარებული მოვლენების გამო სამჯერ შეიტანა შეკითხვა და პასუხი ვერ მიიღო. აღშფოთებული დეპუტატი აცხადებდა: „კავკასიაში დამსჯელი რაზმების მოქმედება არა მარტო კონკრეტული ადამიანების უფლების ხელყოფაა, არამედ თვით რუსეთის კანონების უარყოფაც. იგი მიმართულია იქითკენ, რათა მღელვარება გამოიწვიონ, და ამით სისხლის დაღერის ახალი საბაბი მიეცეთ."

არჩილ ჯაფარიძე ირაკლი წერეთელთან ერთად სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთერთი ხელმძღვანელი იყო. ორივე ქართველი დეპუტატი სრული თანხმობით მოქმედებდა. 1907 წლის 6 მარტს არჩილ ჯაფარიძემ სათათბიროში გამოსვლისას აღნიშნა: „დღევანდელი მთავრობის მთელი პოლიტიკა სათათბიროს დათხოვნის შემდგომ პერიოდში მისი წინამორბედების პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ხელისუფლება განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავს მსხვილი მიწათმფლობელებისა და ბიუროკრატიის ინტერესებს. ამ მიზნის მიღწევის გზაზე კი მთავრობა კანონების დარღვევის არავითარ ფაქტს არ ერიდება".

ძალზე რადიკალური იყო სახელმწიფო სათათბიროში **სევერიან ჯუღელისა** და **ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძის** გამოსვლები. 1907 წლის 7 მარტს, როდესაც სათათბიროში მოშიმშილეთა დახმარების აღმოჩენის საკითხი იხილებოდა, თავის გამოსვლაში ჭოლა ლომთათიძემ განაცხადა: „აქ გაისმის საყვედური იმის თაობაზე, რომ ჩვენ აქ თითქოს რუსული რევოლუციის ფილიალური განყოფილება შევქმენით. რუსული რევოლუცია ცოდვილია იმაში, რომ მას სურს პური მისცეს ხალხს. აი, როგორც ჩანს, ეს არის რუსული რევოლუციის საშინელი ცოდვა. თუ ეს ასეა, თუ რუსულ რევოლუციას ძალა შესწევს, დამშეულები დააპუროს, თუ მას სურს მიწა მისცეს გლეხობას, ხოლო მუშებს მათი შრომის საზღაური, მაშინ ეს რევოლუცია არც ისე დასაცინი ყოფილა, როგორც ამას მიიჩნევენ."

მეორე სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელი სხდომა 1907 წლის 2 ივნისს გაიმართა. 3 ივნისს ნიკოლაი II-მ სათათბირო დაითხოვა. იმავე დღესვე დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა უმრავლესობა, მხოლოდ რამდენიმე დეპუტატმა(მათ შორის სევერიან ჯუღელმა და არშაკ ზურაბოვმა) მოასწრო მიმალვა). დაიწყო დაპატიმრებულთა საქმის ძიება, საბოლოო პროცესი კი 1907 წლის 22 ნოემბერს დაიწყო. 1 დეკემბერს გამოტანილი იქნა განაჩენი: **ირაკლი წერეთელს** მიესაჯა 6 წლით კატორღა და გაიგზავნა ციმბირში, ცენტრალურ საკატორღო ციხეში(ირკუტსკის გუბერნია), შემდეგ ჩაასახლეს ქალაქ ბალაგანსკში(ირკუტსკის გუბერნია). **არჩილ ჯაფარიძეს** მიესაჯა 5 წლით კატორღა, გაიგზავნა ციმბირში, მაგრამ გადასახლების ადგილამდე არ ჩაუღწევია, გზაში გარდაიცვალა. **ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძეს** მიესაჯა 5 წლით კატორღა, რაც შემდეგ 7 წლით პატიმრობით შეეცვალა, იმყოფებოდა ქალაქ ასტრახანის ციხეში, საიდანაც გადაიყვანეს ქალაქ სარატოვის ციხეში, გარდაიცვალა პატიმრობაში.

თავი X. პიოტრ სტოლიპინის აგრარული რეფორმა

§1. აგრარული რეფორმის მომზადება

ბატონყმობის გაუქმების (1861 წ.) შემდეგ ახალი აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ მსჯელობა რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, თუმცა რეფორმის მომზადებისათვის პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს გადაიდგა. 1898 წელს სერგეი ვიტტემ ოფიციალურ მოხსენებით ბარათში აგრარული რეფორმის გატარების უმთავრეს მიზეზად გლეხობის დაბალი გადახდისუნარიანობა დაასახელა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის გლეხობისაგან სახელმწიფო ხაზინაში შესული გადასახადი ოთხჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთის გლეხობისა (სერგეი ვიტტეს შედარება მოჰყავდა რუსეთსა და საფრანგეთში ერთი გლეხის მიერ გაღებული გადასახადის მიხედვით). მოხსენებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ამის მიზეზი ფრანგ გლეხთან შედარებით რუსი გლეხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. თუ გლეხის მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა, ცხადია, სახელმწიფო ხაზინაში გადასახადიც ვერ შევიდოდა. ვიტტე წინადადებას იძლეოდა შეექმნათ „განსაკუთრებული თათბირი", რომელიც დასახავდა ღონისძიებებს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. 1901 წელს რუსეთის ბევრ გუბერნიაში მოუსავლიანობა იყო, რასაც შიმშილი მოჰყვა. იმპერატორი ნიკოლაი II დარწმუნდა, რომ აგრარული რეფორმის გადადება აღარ შეიძლებოდა.

1902 წლის იანვარში იმპერატორის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრ სერგეი ვიტტეს თავმჯდომარეობით შეიქმნა „განსაკუთრებული თათბირი", რომელსაც აგრარული რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა. იმპერიის გუბერნიებსა და მაზრებში შეიქმნა განსაკუთრებული თათბირის ანალოგი – საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ კონკრეტული წინადადებები აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით. იმავდროულად აგრარული რეფორმის პროექტს ამზადებდა კიდევ ორი უწყება, შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სამინისტროები. შემუშავებულ პროექტებში წინა პლანზე იყო წამოწეული შემდეგი საკითხები: 1. გლეხობისათვის სასოფლო თემიდან გამოსვლის უფლების მინიჭება და მათთვის მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება; 2. ცენტრალური გუბერნიებიდან გლეხობისათვის ციმბირში გადასვლის თავისუფალი უფლების მინიჭება; 3. საგლეხო ბანკის მეშვეობით გლეხობისათვის მიწის მიყიდვის გამარტივება. რეფორმის მზადების პროცესში სარატოვის გუბერნატორმა პიოტრ სტოლიპინმა 1904 წელს შედგენილ ანგარიშში ასეთი დასკვნა გააკეთა: **ხელისუფლება უნდა დაეყრდნოს არა მეთოთე გლეხს, არამედ – მესაკუთრე გლეხს, რომელიც კერძო საკუთრებაში ფლობს მიწას.** არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე დასკვნაც: **გლეხი, რომელიც მიწის კერძო მესაკუთრეა, მტრად არ გაუხდება მემამულეს, პატივს სცემს მას, როგორც მიწის კერძო მესაკუთრეს.** სტოლიპინის აზრით, ეს სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილების რეალური გზა იყო. სტოლიპინი აუცილებლად მიიჩნევდა გლეხობისათვის სასოფლო თემიდან გასვლის უფლების მინიჭებას.

აგრარული რეფორმა არ შემუშავებულა ერთი ადამიანის შეხედულების მიხედვით, იგი რამდენიმე უწყებაში ერთდროულად მუშავდებოდა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებში გამოთქმულ აზრთა გათვალისწინებით. მაშასადამე, რეფორმის პროექტი მთლიანობაში იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ შემუშავებული მასშტაბური დოკუმენტი. რეფორმის პროექტი 1904 წელს უკვე დასრულებული იყო და, ამდენად, მცდარია ის მოსაზრება, რომ თითქოს ხელისუფლება რევოლუციამ აიძულა აგრარული რეფორმა გაეტარებინა. სხვა საკითხია ის, რომ აგრარული რეფორმა დაჩქარდა და მისი ცხოვრებაში გატარება დაკავშირებულია პიოტრ სტოლიპინის სახელთან, რომელიც 1906 წლის აპრილში რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო იმავე წლის იულისში რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

1906 წლის 25 აგვისტოს პიოტრ სტოლიპინმა გამოაქვეყნა იმპერიაში გასატარებელი რეფორმების ვრცელი პროგრამა:

1. რუსეთის მოქალაქეთა სრული თანასწორობა და პიროვნების ხელშეუხებლობა;
2. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
3. მუშათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა;
5. ადგილობრივი (სათემო) სასამართლოს რეფორმა;
6. საშუალო და უმაღლესი სკოლის სისტემის რეფორმა;
7. საგადასახადო სისტემის რეფორმა;
8. საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღება.

§2. აგრარული რეფორმის გატარება

პიოტრ სტოლიპინის მიერ ჩაფიქრებული რეფორმების პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა აგრარულ რეფორმას. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო და მინისტრების უმრავლესობა მიიჩნევდნენ, რომ მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო სათათბიროს დასტურის გარეშე აგრარული რეფორმის გატარება არ უნდა დაენყოთ. სტოლიპინი არ შეუშინდა სახელმწიფო საბჭოს წევრებსა და მინისტრებთან დაპირისპირებას და რეფორმის დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვა. იგი აცხადებდა: რეფორმის გატარებას ისედაც დიდი დრო დასჭირდება, ამიტომ მისი გადადება არ შეიძლება, ეს საკითხი უკვე დიდი ხანია, მომწიფებულიაო. სტოლიპინი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო სათათბიროში განხილვის გარეშე, მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოში მოწონებული აგრარული რეფორმის პროექტისათვის იმპერატორს ხელი მოეწერა და ასე შეეძინა მას კანონის ძალა. კანონპროექტი 87 მუხლისაგან შედგებოდა და მას მხარდაჭერას უცხადებდა ნიკოლაი II. სახელმწიფო სათათბიროს გარეშე აგრარული კანონმდებლობის მიღება მაინც სარისკო იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, სტოლიპინს გარკვეულწილად გაუმართლა კიდეც: 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორმა მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და კანონპროექტმა კანონის ძალა, სათათბიროში განხილვისა და მოწონების გარეშე იმპერატორის ბრძანებით შეიძინა.

აგრარული რეფორმის ძირითადი შინაარსი ასეთი იყო:

1. გლეხს უფლება ეძლეოდა გასულიყო სასოფლო თემიდან და მის სარგებლობაში არსებული სათემო მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება მოეთხოვა;

2. გლეხს უფლება ეძლეოდა ცენტრალური გუბერნიებიდან, სადაც მიწის ნაკლებობა იყო, იმპერიის განაპირა რაიონებში, ძირითადად დასავლეთ ციმბირში, გადასახლებულიყო და იქ მიეღო მიწა კერძო საკუთრებაში;

3. სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

პიოტრ სტოლიპინის აგრარულ რეფორმას, გარდა ეკონომიკურისა, უმნიშვნელოვანესი სოციალური და პოლიტიკური მიზნებიც გააჩნდა. 1905 წლის შემოდგომაზე, გლეხთა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, მემამულეთა დარბევის ინიციატორებად ბევრ გუბერნიასა და მაზრაში სასოფლო თემები გამოვიდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სასოფლო თემი რევოლუციაში ჩაება და ხელისუფლებას დაუპირისპირდა. სტოლიპინის ჩანაფიქრი ასეთი იყო: რეფორმის გატარების შემდეგ რუსეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო გამართული მეურნეობის მქონე გლეხთა (ფერმერთა) მრავალშილიონიანი ფენა, რომელიც ხელისუფლების მაღლიერი და, ამდენად, მისი მხარდამჭერი, სახელმწიფოში წესრიგისა და სიმშვიდის დამცველი იქნებოდა.

1906 წლისათვის სასოფლო თემებში, კაზაკების ჩაუთვლელად, 9.200.000 გლეხის კომლი ირიცხებოდა, რომელიც სულთა რაოდენობის მიხედვით მთელი გლეხობის 77%-ს შეადგენდა. სასოფლო თემს დადებითი მხარეებიც გააჩნდა: თემისათვის საერთო საკითხების კოლექტიურად გადაწყვეტა, ეკლესიების, სკოლების, გზების აგება-შეკეთება, სახნავი მიწების, საძოვრებისა და სათიბების თანასწორად განაწილება, ქვრივ-ობლებზე ზრუნვა და სხვ. ამავე დროს სასოფლო თემი აფერხებდა ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. თემში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა იმ გლეხური კომლების რაოდენობა, რომლებიც ღატაკდებოდნენ და საზრდოს მოპოვებასაც ვეღარ ახერხებდნენ. ასეთი გლეხების დიდ ნაწილს სურვილი ჰქონდა სოფელი მიეტოვებინა და ქალაქში მოეძია საარსებო წყარო. ეს პროცესი ფერხდებოდა იმის გამო, რომ გლეხს მიწის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა, ხოლო ფულის გარეშე ქალაქში ნასვლას და იქ ფეხის მოკიდებას ვერ შეძლებდა. თემი ხელს უშლიდა უნარიანი, ჭკვიანი და გამრჯე გლეხის გამდიდრებას და ადმინისტრაციული მეთოდებით ცდილობდა გამდიდრების პროცესის შეფერხებას. გლეხს საშუალება არ ჰქონდა თავისი შეხედულებით მოეწყო მეურნეობა: შეეძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შეეტანა სასუქი და სხვ. სასოფლო თემის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო სახნავი მიწის თანაბრად განაწილება. 1861 წლის შემდეგ სოციალური სამართლიანობის ეს პრინციპი სულ უფრო ხშირად ირღვეოდა და ქრებოდა. 1913 წლისათვის რუსეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში სასოფლო თემებში 3.700.000 გლეხური კომლი ირიცხებოდა, რომელთაგან 58% მიწის გადანაწილების უფლებით ვეღარ სარგებლობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თემის დაშლის პროცესი უკვე ძალზე შორს იყო წასული და მისი შენარჩუნება აღარ შეიძლებოდა.

პიოტრ სტოლიპინი არ აპირებდა ყველა სასოფლო თემის ერთბაშად მოსპობას. მას სურდა თემიდან გასული საგლეხო კომლებისაგან შეექმნა შეძლებულ გლეხთა(კულაკთა) მრავალრიცხოვანი ფენა, ისეთი ფენა, როგორიც უკვე არსებობდა ბალტიისპირეთსა და პრუსიაში. ეს იქნებოდა შესანიშნავი მაგალითი იმ გლეხებისათვის, რომლებიც თემიდან გასელისაგან თავს იკავებდნენ.

ამავე დროს, მაგალითი იქნებოდა იმ პოლიტიკოსთათვის, რომლებიც პიოტრ სტოლიპინის აგრარულ რეფორმას ეწინააღმდეგებოდნენ. სტოლიპინმა ნიკოლაი II დაითანხმა, რომ აგრარული რეფორმის ძირითადი კანონის საფუძველზე, რომელიც 87 მუხლისაგან შედგებოდა, გამოეცა ისეთი ბრძანებულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდა გლეხობის მინით უზრუნველყოფას. 1907 წლის აგვისტოში სტოლიპინმა სახელმწიფო მიწებისაგან შექმნა ფონდი (5.500.000 დესეტინა სახნავი და 11.000.000 დესეტინა ტყე). ფონდიდან მიწის შესყიდვა შეეძლოთ გლეხებს. ამ ფონდის გარდა, 1906-1914 წლებში გლეხებმა კერძო მფლობელებისაგან 10.000.000 დესეტინა მიწა შეისყიდეს. ასე დაიწყო რუსეთში შეძლებულ გლეხთა (კულაკთა) მრავალრიცხოვანი ფენის შექმნა.

აგრარული რეფორმის უმთავრეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა 1906 წლის 9 ნოემბერს ძირითადი კანონის საფუძველზე გამოცემული იმპერატორის ბრძანება. ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ნიკოლაი II-ის 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტი, რომლის ძალითაც, გაუქმდა ის გადასახადი, რომელსაც დროებით ვალდებული გლეხობა იხდიდა. 1861 წლის დებულებით, გლეხი მიწის სრულუფლებიანი მესაკუთრე მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა, რაც მემამულეს მიწის საფასურს სრულად გადაუხდიდა. იმპერატორის ბრძანების საფუძველზე გლეხობას ეპატია ის გადასახადი, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაფარული და ამდენად, გლეხობა ავტომატურად იქცა მიწის კერძო მესაკუთრედ. Aასე გაუქმდა რუსეთში დროებით ვალდებული გლეხების კატეგორია. ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ, 1907 წლის 1 იანვრისათვის, მიწა კერძო საკუთრებაში 2.800.000 საგლეხო კომლს გადაეცა. ამ კომლთა უმრავლესობა იმპერიის დასავლეთ გუბერნიებში ცხოვრობდა. იმპერატორის ბრძანებულება ცენტრალური რუსეთის გუბერნიებსაც შეეხო, მაგრამ აქ მიწის მფლობელი არა გლეხის კომლი, არამედ სასოფლო თემი გახდა.

1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე გლეხის კომლს შეეძლო თემიდან გასულიყო, კერძო საკუთრებაში მიეღო მიწა და მოეწყო საკუთარი მეურნეობა. ბრძანებულების მე-12 მუხლი გლეხს უფლებას აძლევდა რამდენიმე მიწის ნაჭრის ერთ ნაკვეთად გაერთიანება მოეთხოვა და მთელი მიწა ერთ ადგილას მიეღო, ანუ მოეწყო **ხუტორი**. ბრძანებულების მიხედვით, თემიდან გლეხის გასულისათვის საკმარისი იყო თემის ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის თანხმობა, ხოლო ნაკვეთების გაერთიანებისა და მთელი მიწის ერთ ადგილას მიღებისათვის – ყრილობის მონაწილეთა ორი მესამედის დასტური.

1906 წლის 9 ნოემბრის იმპერატორის ბრძანებულება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უნდა დაემტკიცებინა. ბრძანებულება, რომელიც 1907 წლის იანვრიდან ამოქმედდა, მესამე სახელმწიფო სათათბირომ და სახელმწიფო საბჭომ მხოლოდ 1910 წლის 14 ივნისს დაამტკიცა. ამის შემდეგ ნიკოლაი II-მ დოკუმენტს ხელი მოაწერა და მან კანონის ძალა შეიძინა. კანონი ასე იწოდებოდა: **„გლეხური მიწის მფლობელობის შესახებ ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე."** კანონმა მნიშვნელოვნად გააადვილა გლეხის თემიდან გასვლა და სათემო მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება. 1907-1915 წლებში თემიდან გასვლა 2.755.000-მა კომლმა ითხოვა, ხოლო თემიდან უკვე გასულმა 818.000 კომლმა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვა. ამრიგად, სასოფლო თემიდან გასვლა 3.373.000-მა კომლმა მოითხოვა, თუმცა პრაქტიკულად თემიდან 2.008.000 კომლი გავიდა. თემიდან, პირველ რიგში, ღარიბი და შეძლებული გლეხთა კომლები გავიდნენ, საშუალო შეძლების გლეხობა დროებით თავს იკავებდა. თემიდან გასულ გლეხთა კომლებისაგან 914.000 კომლმა დაუყოვნებლივ გაყიდა უძრავ-მოძრავი ქონება, რათა გლეხთა ბანკის საშუალებით ციმბირში ეყიდა მიწა. თემიდან დიდი რაოდენობით გლეხთა კომლები ნოვოროსიის გუბერნიებში გავიდნენ (60%), შემდეგ მოდიოდა მარჯვენა ნაპირის უკრაინის გუბერნიები(50%) და ცენტრალური რუსეთი: სამარის გუბერნია (49%), კურსკის გუბერნია(44%), ორიოლის გუბერნია(39%), მოსკოვის გუბერნია(31%), სარატოვის გუბერნია (28%) და ა.შ. 1915 წლისათვის თემიდან გასულისა და მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცების მთხოვნელი 6.200.000 კომლიდან მიწის კერძო საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 2.400.000 კომლმა მიიღო.

პიოტრ სტოლიპინის მკვლელობის (1911 წ.) შემდეგ აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებას სათავეში ჩაუდგა მინათმოწყობისა და მინათმფლობელობის მთავარმმართველი ალექსანდრ კრივოშეინი, რომელიც 1908 წლიდან პიოტრ სტოლიპინის ერთგული თანამებრძოლი და თანაშემწე იყო.

აგრარული რეფორმის წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა გლეხთა კომლების გადასახლება ციმბირში, სადაც ახალმოსახლეთათვის 12 რაიონი იყო გამოყოფილი. ციმბირში გადასახლებულ

გლეხის კომლს, კანონის ძალით, შეეძლო მიეღო: კომლის ყოველ 1 სრულწლოვან მამაკაცს – 15 დესეტინა სახნავი და 3 დესეტინა ტყე. მართალია, გლეხობამ მიწა დიდი რაოდენობით მიიღო, მაგრამ კომლების უმრავლესობას არ გააჩნდა ფული ცხენების, ძროხების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად. რეფორმის წლებში სულ ციმბირში 3.730.000 კომლი და 730.000 სული ბედის მაძიებელი გადასახლდა. ძირითადი მასა(60%) ციმბირში 1907-1910 წლებში წავიდა. 1910 წლისათვის ციმბირში მიწა ვერ მიიღო და მეურნეობა ვერ შექმნა დაახლოებით 700.000-მა კომლმა. მოუხედავად ამისა, ციმბირში გლეხობის გადასახლების შემდეგ უკაცრიელ ადგილზე რამდენიმე ათასი სოფელი აღმოცენდა. 1911 წლისათვის გადასახლებულებს უკვე 30.000.000 ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდათ ათვისებული. ციმბირდან ცენტრალურ გუბერნიებში დიდი რაოდენობით იგზავნებოდა ხორბალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

პიოტრ სტოლიპინის აგრარული რეფორმის შედეგად პირველი რვა წლის განმავლობაში სასოფლო თემიდან გლეხური კომლების საერთო რაოდენობის მეოთხედი გავიდა. გარდა ამისა, მიწის კერძო მესაკუთრე 2.800.000 კომლი გახდა. თემიდან გასულთაგან 1.600.000-მა კომლმა ხუტორული მეურნეობა მოაწყო. აგრარული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. 1906-1910 წლებში სასოფლო-სამეურნეო საკარგულები 4.000.000 დესეტინით გაიზარდა, 1911-1915 წლებში – 7.000.000 დესეტინით. 1 დესეტინაზე ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ 12-15%-ით გაიზარდა. 1904-1908 წლებში რუსეთიდან უცხოეთის ბაზრებზე გაიტანეს 470.000.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, 1909-1913 წლებში – 637.000.000 მანეთისა. გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე. 1906 წელს რუსეთში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთო ღირებულება 39.000.000 მანეთს შეადგენდა, 1912 წელს – 131.000.000 მანეთს.

პიოტრ სტოლიპინის აგრარულ რეფორმას, გარდა დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობისა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. თავადაზნაურობა და მიწის მფლობელობის ის წესი, რომელიც რუსეთში XX საუკუნის დამდეგისათვის არსებობდა, იმპერიაში პოლიტიკურ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფდა. აუცილებელი იყო ახალი სოციალური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას და, აქედან გამომდინარე, საერთო ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა. შეძლებული გლეხობა გადაიქცეოდა იმ სოციალურ ძალად, რომელიც პოლიტიკური სისტემის დასაყრდენი გახდებოდა. დიდი რეფორმატორის, პიოტრ სტოლიპინის, მკვლელობამ და შემდეგ დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა შეუძლებელი გახადა რეფორმის დროულად და წარმატებით დაგვირგვინება.

თავი XI. ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

1905 წელს დაწყებული რევოლუცია უპირატესად სოციალური და ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობებზე აღმოცენდა. მაგრამ რევოლუციის დაწყებიდან სულ მოკლე ხანში საქართველოში ამ საკითხების გვერდით მთელი სისრულით დადგა ქართული სინამდვილის, ქართველი ერისთვის ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: **ეროვნული** – ბრძოლა საქართველოს ავტონომიისათვის და **ეკლესიური** – ბრძოლა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ეს იყო იმ დიდი ბრძოლის გაგრძელება, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაიწყო ქართველმა ერმა და რომელმაც დიდ გამარჯვებას მიაღწია: ქართველი ერი ჩაება შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის ბრძოლაში, წინ აღუდგა საქართველოს რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევას, შეინარჩუნა ენა, კულტურა და ეროვნული ცნობიერება.

§1. ეროვნული საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

ეროვნული საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ პოლიტიკური პარტიები თავიანთ პროგრამებში ადგილს უთმობდნენ ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამაში, რომელიც 1903 წელს პარტიის II ყრილობაზე იქნა მიღებული, ეროვნულ საკითხს ორი მუხლი აქვს დათმობილი:

„8. (...) მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თვითეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად.

9. (...) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას."

რსდმპ II ყრილობაზე ეროვნულმა საკითხმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. საბოლოოდ გადაწყდა, რომ საკითხი ფართოდ არ ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამაში, დაკმაყოფილებულყვნენ მხოლოდ ზოგადი დებულებებით, რომლებიც მისაღები იქნებოდა ყველასათვის. ცხადია, ეს იყო კომპრომისული გადაწყვეტილება, რაც პროგრამის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა. მაგალითად, ყრილობამ თავი აარიდა პროგრამაში თუნდაც რამდენიმე წინადადებით განემარტათ, თუ რას ნიშნავდა „ერთა თვითგამორკვევის უფლება", ნიშნავდა იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მცხოვრები არარუსი ერებისათვის ავტონომიური ერთეულის შექმნის უფლებას, თუ რუსეთიდან გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას? უკვე რსდმპ II ყრილობაზე ნათლად იგრძნობოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია (მომავალი მენშევიკები და ბოლშევიკები) რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერებისათვის ავტონომიური მმართველობის უფლების მინიჭებას არ აპირებდნენ, წარმოუდგენლად მიაჩნდათ რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს ერთა ფედერაციულ კავშირად გარდაქმნა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ რუსეთიდან ერთ დროს დაპყრობილი ერების გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რომელიც 1904 წელს შეიქმნა, პროგრამა მოგვიანებით, 1907 წელს, III კონგრესზე დაამტკიცა. პროგრამაში ეროვნული საკითხი ასე იყო წარმოდგენილი:

„12. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგია და მოითხოვს, ყოველ ერს მიეცეს ნება, თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა. სრული მოსპობა კი ეროვნულის უთანასწორობისა მოხდება მაშინ, როდესაც დამყარდება სოციალიზმი.

15. ა) ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა.

ბ) ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს ან ავტონომიებს უფლება აქვთ, შეადგინონ დროებითი და სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად.

გ) სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

16. დემოკრატიზაცია ადგილობრივ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივი საერობო და სამუნიციპო (სოფლებისა და ქალაქების) თვითმმართველობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევა ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენებისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ,

განმანათლებელ საჭიროებისთვის გადადება საერთო შემოსავლიდან, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში."

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან განსხვავებით, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეოლუციო პარტიის პროგრამა უფრო კონკრეტული იყო. ეს იმით იყო განპირობებული, რომ 1905 წელს დაწყებულმა რევოლუციამ ბევრი ისეთი საკითხი დააყენა, რომლებსაც წინათ დიდი ყურადღება არ ეთმობოდა.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამაში, რომელიც 1902 წელს მიიღეს, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერების უფლებები საერთო-პოლიტიკური უფლებების ჩამონათვალშია შეტანილი:

„დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართე ავტონომიით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; რაც შეიძლება ფედერატიულ საფუძვლის უფრო ფართე შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში; მათ უნდა მიენიჭოს ნამდვილი უფლებები თვითგამორკვევისთვის; პირდაპირი, დაფარული, თანასწორი, საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქესათვის არა უმცირეს ოცი წლისა, – პროპორციონალური წარმომადგენლობა; პირდაპირი კანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივა); ამორჩევა, გამოცვლა და პასუხისმგებლობა ყოველ დროს ყველა მოხელე პირთა; სრული თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, მუშათა გაფიცვებისა და კავშირისა; სრული და საყოველთაო მოქალაქეობრივი თავისუფლება, ხელშეუხებლობა ბინისა და პიროვნებისა; სრული განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სარწმუნოების კერძო საქმედ აღიარება თვითეულ მოქალაქისათვის; შემოღება საყოველთაო სავალდებულო, საერთო განათლების მიღებისა სახელმწიფო ხარჯზე; ენების თანასწორობა; სასამართლოს წარმოება უფასო; მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის შეიარაღება."

ცხადია, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ეროვნული პროგრამაც ძალზე ზოგადი იყო და იგი დაკონკრეტებას საჭიროებდა.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მოძრაობა

ქართული სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ 1898-1901 წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძესა და საერთოდ, „იერიის" ბანაკს, ეროვნული მოძრაობის ილიასეულ კონცეფციას. ცოტა მოგვიანებით, 1901-1902 წლებიდან, ქართველი სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ არჩილ ჯორჯაძის იდეური ხელმძღვანელობით გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილ მომავალ სოციალისტ-ფედერალისტებს და მათ მიერ წამოყენებულ საქართველოს ავტონომიის იდეას. 1900 წელს ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის გამართული ცხარე პოლემიკის შემდეგ ილიას წინააღმდეგ ბრძოლამ თანდათან მეორე რიგში გადაინაცვლა. სამაგიეროდ, წინ წამოინია არჩილ ჯორჯაძის საქართველოს ავტონომიის იდეის უარყოფის კამპანიამ. გაზეთები „კვალი", „ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლა" 1901-1904 წლებში დიდ ადგილს უთმობდნენ ავტონომიის იდეის კრიტიკას. ამ მხრივ ძალზე აქტიურობდნენ ირაკლი წერეთელი, იოსებ ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე. ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის იმპერიის ავტონომიურად მოწყობა რიცხვით მცირე ერების სოციალ-დემოკრატიას და პროლეტარიატს მოსწყვეტდა ეელიკოროსიის სოციალ-დემოკრატიისა და პროლეტარიატისაგან, რაც იმას მოასწავებდა, რომ დაიქსაქსებოდა, დასუსტდებოდა ის ძალები, რომლებსაც არსებული წყობილება უნდა დაემხო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ღრმად სწამდათ, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა, რომლის პირველ ეტაპად ისინი თვითმპყრობელობის დამხობას თვლიდნენ, აუცილებლად მოითხოვდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ერის პროლეტარიატის, საერთოდ, მშრომელი მასებისა და სოციალ-დემოკრატიის მჭიდროდ დარაზმვას და არა – მის დანაწილებას ეროვნულ ავტონომიებში.

1901-1903 წლებში, რსდმპ II ყრილობამდე, ნოე ჟორდანია არ იზიარებდა ავტონომიის წინააღმდეგ მებრძოლთა შეხედულებას. II ყრილობის წინ რსდმპ კავკასიის კავშირმა დაავალა ნოე ჟორდანიას, დაეწერა „პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით". ნოე ჟორდანია აღნიშნავს: საკმაოდ ერცელი პროგრამის პროექტში „ნაციონალურ საკითხში მჭონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერ-კავკასიის თვითმმართველობა პარლამენტით თფილისში". შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით". როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანიას მის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი რსდმპ II ყრილობისათვის არ წარუდგენია. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიამ ყრილობაზე მრავალი საყურადღებო შენიშვნა გააკეთა,

მაგრამ პროგრამის პროექტში განმარტების გარეშე შეტანილი ერთა თვითგამორკვევის ცნების დაზუსტება არც მას უცდია. ყრილობის შემდეგ, 1904 წელს, ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა აზრი იმის შესახებ, რომ ერთა თვითგამორკვევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასაც ნიშნავდა. ეს თვალსაზრისი შემდეგ, 1906 წელს, დაადასტურა რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ამ უაღრესად პროგრესული დებულების ნამოყენებასთან ერთად, **ნოე ჟორდანიამ აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია დაიკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ,** უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა სოციალიზმ-ფედერალიზმს, მის მთავარ იდეოლოგს, არჩილ ჯორჯაძეს, ფედერალისტთა ბეჭდვით ორგანოებს: „ცნობის ფურცელსა" და „საქართველოს". ნოე ჟორდანია გამოხატავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის შეხედულებას. **საქართველოს ავტონომიის იდეა, „საერთო ნიადაგის" თეორია იოსებ ჯუღაშვილისათვის მოულებელი იყო.** თავისი პოზიცია მან ვრცლად ჩამოაყალიბა 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" იოსებ ჯუღაშვილისათვის, ისევე, როგორც ნოე ჟორდანიასთვის, მიუღებელი იყო ის იდეები, რომლებსაც ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე და სოციალისტ-ფედერალისტთა ბეჭდვითი ორგანოები. არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებად გაყოფამდე, მიუღებლად მიიჩნია ქართული სოციალ-დემოკრატიის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, როგორიც ალექსანდრე წულუკიძე იყო. თავისი შეხედულება მან ვრცლად ჩამოაყალიბა 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე".

ამრიგად, 1905 წლამდე, რევოლუციის დაწყებამდე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციას, თავისი გამოჩენილი მოღვაწეების ნოე ჟორდანიასა და იოსებ სტალინის სახით, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია ეკავა საქართველოს ავტონომიის იდეის მიმართ, მიუღებლად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრძოლას საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მჭიდროდ გადაეჯაჭვა კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით აქტუალური გახდა, რადგან რევოლუციამ ავტონომიისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერებში თეორიული მსჯელობიდან პრაქტიკულ სიბრტყეზე გადაიყვანა, ხოლო წოდებათა შერიგების და საერთო ნიადაგის გამონახვის იდეის ხორცშესხმას ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაუპირისპირდა. როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები, მისი ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქცია, 1905 წელს საქართველოს ავტონომიის, კლასთა თანამშრომლობის, წოდებათა შერიგების, საერთო ნიადაგის იდეას დაუპირისპირდნენ, ფაქტობრივად, ისინი უპირისპირდებოდნენ არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც იმხანად განასახიერებდა როგორც ავტონომიის, ისე საერთო ნიადაგისათვის ბრძოლის მთავარ იდეოლოგს. ილია ჭავჭავაძესთან ქართველი სოციალ-დემოკრატების უთანხმოებამ რევოლუციის წლებში უკვე სხვა ხასიათი მიიღო.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები აშკარად დასცილდნენ ერთმანეთს, მათ შორის უთანხმოება იჩინა თავი. აქ იოსებ სტალინის თაობაზე ენაცვლებოდა ნოე ჟორდანიას ზომიერი კრიტიკა, ამ უკანასკნელს აგრძელებდა ფილიპე მახარაძის აშკარად აგრესიული გამოხტომები ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნისა და როგორც საზოგადო მოღვაწის, წინააღმდეგ, და ბოლოს, ყურადღების გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული ვლადიმერ დარჩიაშვილის უაღრესად საყურადღებო წერილები – ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასების ცდა.

რევოლუციის დაწყების შემდეგ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ პირველმა ფილიპე მახარაძემ გაილაშქრა. 1905 წლის 10 აპრილს ფილიპე მახარაძის ჟურნალმა „მოგზაურმა" ფსევდონიმით ვ. ნ. გამოაქვეყნა ცილისმწამებლური მასალა სათაურით „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება". ილია ჭავჭავაძის პასუხს „ნუთუ?" მოჰყვა „მოგზაურში" დაბეჭდილი კიდევ უფრო ცილისმწამებლური და თავხედური ტონით დაწერილი ფილიპე მახარაძის „თავის გამართლებაც ასეთი უნდა!" და ვ. ნ.-ს „პასუხი ილია ჭავჭავაძეს". ჟურნალი „მოგზაური" რევოლუციის პირველი ხანებიდანვე დიდ ადგილს უთმობდა ე. წ. თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, უპირველესად, ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ ლაშქრობას ნიშნავდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ფილიპე მახარაძე. აღსანიშნავია მისი წერილები: „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ", „ძმობა-ერთობაზე ლაღად ჩვენში", „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება", „მცირე შენიშვნა", „ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული შუშათა პარტია", „ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი", „ეროვნული

ავტონომია და მუშათა კლასი". წერილში „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ" ფილიპე მახარაძემ უნიადაგოდ გამოაცხადა ნოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის ილია ჭავჭავაძისეული იდეა. ფილიპე მახარაძე ირონიულად აღნიშნავდა: „თუ რანაირი სიყვარულია ქართველ მუშებსა და ქართველ კაპიტალისტებს შორის, ან ქართველ მემამულეებსა და ქართველ გლეხებს შორის, ეს ყველამ კარგად უნდა". საქართველოს ავტონომიზაციის იდეის წინააღმდეგაა მიმართული ფილიპე მახარაძის წერილი „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება", რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ნაციონალისტების აზრით, ეროვნულ საკითხს გადასწყვეტს ავტონომია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა ამით არა თუ გაადვილდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება". ფილიპე მახარაძეს ეჭვიც არ ეპარება, რომ ეროვნული საკითხი სოციალურის გარეშე არ გადაიჭრება, რადგანაც „ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, მხოლოდ ქურქში გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იგნებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას". 1905 წლის 6 ნოემბერს, როცა ცარიზმის პოზიციები შერყეული იყო, ხოლო რევოლუცია კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდა, ფილიპე მახარაძე გამარჯვებული პოლიტიკოსის პოზიციიდან წერდა: „თითოეული ერის პროლეტარიატს რომ ცალკე დაენყო მოქმედება, რომ მას კარი ჩაეკეტა და ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის დაეწყო ზრუნვა, როგორც ამას ავტონომიის მომხრენი ქადაგებენ, რუსეთის თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ უვნებელი იქნებოდა". ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფილიპე მახარაძე ასკვნიდა: „ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენი აზრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ხელს შეუწყობს რეაქციონულ ძალებს, კონტრ-რევოლუცია გააძლიერონ და რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წეს-წყობილების დაფუძნების საქმე". ასე გამოაცხადა ფილიპე მახარაძემ საქართველოს ავტონომია დემოკრატიის მტრად.

საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ჟურნალ „მოგზაურში" გამოქვეყნებული მასალიდან ყურადღებას იმსახურებს კიდევ რამდენიმე წერილი. მათ შორისაა „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი", რომელიც დაიბეჭდა ფსევდონიმით „ს-დ". წერილის დედაარსი გამოხატულია სიტყვებში: „ბურჟუაზია – აი ვის უხდება და იფარავს ავტონომია". საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგაა მიმართული „მოგზაურში" „გ-ს" ფსევდონიმით დაბეჭდილი ორი წერილი: „როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა" და „უტოპიური ელემენტები ფედერალისტების აზროვნებაში". აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანიას, რომელიც „მოგზაურში" აქტიურად თანამშრომლობდა, საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ არაფერი დაუბეჭდავს, თუმცა ცნობილი იყო, რომ ამ იდეას მაშინ იგი მხარს არ უჭერდა. სამაგიეროდ, ძალზე აქტიურობდა ირაკლი წერეთელი. იგი ერთნაირად მიუღებლად თვლიდა როგორც საქართველოს ავტონომიას, ისე საერთო ნიადაგის იდეას. საქართველოს ავტონომიის არჩილ ჯორჯაძისეულ იდეას რომ ეხებოდა, ირაკლი წერეთელი აღნიშნავდა: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისთვის (და მაშასადამე, ქართველებისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლება? არა(...), ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის" – აი, მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი(...). მათ სურთ, ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისათვის საქართველოს საზღვრებში". როგორც ეხედავთ, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაში ირაკლი წერეთელი მხოლოდ ნაციონალიზმის გაძლიერების საფრთხეს ხედავდა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. არჩილ ჯორჯაძისათვის საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ჩაგვრა მიუღებელი იყო.

თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება კლასთა შერიგების, ნოდებათა თანამშრომლობის, საერთო ნიადაგის იდეისა და საქართველოს ავტონომიის მიმართ ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციამ მთელი სიცხადით დაადასტურა რსდმპ IV (1906 წ.) და V (1907 წ.) ყრილობებზე გამოსვლების დროს. ამ საკითხმა ახალი შინაარსი შეიძინა, უფრო ყოვლისმომცველი გახდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში. აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი თვით ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის. ეროვნული საკითხი სულ უფრო ცხარე დისკუსიის საგანი ხდებოდა.

§3. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად

ილია ჭავჭავაძე ერის პოლიტიკურ პარტიებად დაშლას დიდ უბედურებად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ 1896 წელს გამოქვეყნებულ წერილში **„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“** ილია „მესამე დასის“ აღმოცენებასთან დაკავშირებით წერდა: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვანონო გ. ნერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემწეება და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით ნინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, ნინ ვიყო. ბ-ნ გ. ნერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და ნავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა-კი რა მოგახსენოთ.“ ამ სტრიქონების დანერიდან გავიდა 10 წელი და ცხადი გახდა, რომ ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებას უკვე პოლიტიკური პარტიები წარმართავდნენ. ეს ილია ჭავჭავაძისათვის მიუღებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურად არსებული ვითარება იყო. საქართველო წავიდა იმ გზით, რა გზაც გაიარა ევროპამ და რა გზითაც მიდიოდა რუსეთის იმპერია. ილიასათვის ამ სავალალო მოვლენას მეორე ამბავიც ემატებოდა: საქართველოში მოქმედი გავლენიანი პოლიტიკური პარტიების ეროვნული პროგრამები მისთვის მიუღებელი იყო, ხოლო ეროვნული პარტია საერთოდ არ არსებობდა. ილიამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნაზე, რომელიც არა რომელიმე სოციალური ფენისა თუ კლასის, არამედ საერთო-ქართული ინტერესების გამომხატველი იქნებოდა.

1905 წელს ილიას განუზრახავს, შეექმნა **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია“**. პროგრამის ტექსტის პირვანდელი ერცელი ვარიანტი 1905 წლის 17 ოქტომბრამდეა შექმნილი. ამ დოკუმენტის მიხედვით, პარტიას **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“** ეწოდება. მოვიყვანთ პროგრამის ამ ვარიანტს სრულად:

Программа Грузинской Национал-Демократической Партии Прогрессистов

Мы, представители разных слоев грузинского народа, после всестороннего обсуждения положения всего грузинского населения без различия вероисповедания, пришли к единогласному заключению, что столетный бюрократическо-централитический режим, совершенно чуждый духу и национальному укладу жизни грузин, привел грузинский народ к полному застою в развитии его национальной жизни, его интеллектуальных и экономических сил и что гонение на народный язык, система преднамеренного насильственного обрусения (превращение церкви, школы и суда в служебное орудие для политики, ограничение и фактическое лишение грузин права поступления на государственную службу), пренебрежение к экономическим и духовным интересам населения, обезземление его привели наш богатый край не к умиротворению, желательному в общегосударственных интересах, а наоборот, к недовольству общества, к раздражению страстей и ко все более и более учащающимся волнениям народных масс. А потому, в целях как нормального, спокойного течения общегосударственной жизни, так и для мирного развития духовных сил грузинского народа и его материального благосостояния, необходимы нижеследующие наиболее неотложные преобразования:

1. Отмена всех исключительных по управлению Кавказским краем законов и указов, циркуляров и вообще явных и секретных распоряжений, направленных к ограничению прав местного населения.

2. Уничтожение всех ограничений, явных и секретных, преграждающие грузинам, без различия вероисповедания, доступ на государственную службу в крае и уравнение их в правах и преимуществах службы с лицами русского происхождения.

3. Упразднение земской стражи.

4. Восстановление прав местного населения отбывать воинскую повинность лишь в пределах Грузии.

5. Узаконение и обеспечение неприкосновенности личности и жилища, свободы совести, слова, печати, собраний, товариществ, союзов и стачек.

6. Амнистия всем политическим преступникам.

7. Установление имущественной, гражданской и политический равноправности женщин с мужчинами.

8. Установление ответственности должностных лиц всех вообще ведомств, как высших, так и низших, перед судов в общем порядке судопроизводства.

9. Обязательное знание грузинского языка служащими в правительственных и общественных учреждениях в пределах Грузии.

10. Признание грузинского языка языком школы, суда, административных и общественных учреждений в пределах Грузии.

11. Узаконение и обеспечение независимости



ილია ჭავჭავაძე

суда и несменяемости судей.

12. Введение в крае суда присяжных и институтов выборных судей и установление их съездов.

13. Деление районов мировых судей на более мелкие участки в видах приближения суда к населению.

14. Коренная реформа народного просвещения в смысле освобождения школы и вообще учебных заведений от служения политике и направления их к исключительно просветительским и воспитательным целям.

15. Установление всеобщего, обязательного и даровой начального обучения.

16. Предоставление широких прав частной инициативе в деле открытия школ и учебных заведений вообще явочным порядком.

17. Открытие в пределах Грузии университета и высших специальных учебных заведений.

18. Узаконение права издания газет, журналов и вообще всякого рода периодических изданий явочным порядком.

19. Окончательная ликвидация остатков крепостной зависимости в Грузии.

20. Отмена всех сословных привилегий.

21. Закрепление за временнообязанными крестьянами их наделов за счет государства.

22. Расширение землевладения крестьян всех разрядов из свободного запаса казенных земель и из земель частновладельческих, выкупаемых казной на свой счет, для распределения между нуждающимся в земле коренным населением Грузии без различия вероисповедания и национальности.

23. Обеспечение за крестьянами права пользования ближайшими казенными лесами и пастбищами.

24. (Свобода расселения грузин по территории Грузии). Предоставление коренному населению Грузии исключительного права заселять свободные земли в пределах грузинской территории и установление необходимых для осуществления этих прав льгот и пособий.

25. Узаконение права открытия и учреждения всякого рода торговых и промышленных предприятий явочным порядком.

26. Улучшение быта фабричных, заводских и промышленных рабочих путем усовершенствования, согласно современным требованиям, фабричного законодательства, введение обязательного государственного страхования рабочих от несчастных случаев, старости и болезни, установление свободы стачек, союзов, товариществ и собраний, введение 8-ми часового рабочего дня.

27. Введение земства и изменение городского положения на началах всеобщего избирательного права.

28. Объединение Тифлисской и Кутаисской губерний, Батумской области, Сухумского и Закатальского округов в одном центральном Грузинском земстве, с подразделением их на более или менее мелкие земские единицы.

Примечание: Центральное Грузинское земство учреждается в гор. Тифлисе.

29. Возвращение Иверской церкви автокефальных прав и восстановление Мцхетско-Иверского католикосата в прежних его пределах (губернии Тифлисская и Кутайсская, Батумская область, Сухумский и Закатальский округа) во главе с католикосом, избираемым на основании существующих на сей предмет правил и утверждаемым верховной властью.

30. Восстановление выборного начала при замещении архиерейских и священно-церковно-служительских мест.

31. Возвращение Иверской церкви всех свободных церковных имений, перешедших к казенное управление с целью снять с населения бремя содержания духовенства.

32. Признание вероисповедных и церковных прав за грузинами-католиками.

33. Будучи уверены, что свободное развитие грузинского народа и осуществление вышеизложенных мероприятий в своем целом немыслимы при действующем в крае режиме, мы требуем признать за Грузией, этой неотъемлемой частью Русского государства, добровольно связавшей свою судьбу с его судьбою, права на управление законами, устанавливаемыми местным представительным собранием, избираемым путем всеобщей, прямой, тайной и равной для всего населения Грузии без различия национальности и вероисповедания подачи голосов. При этом мы всецело присоединяемся к сильному голосу всей Русской земли о немедленном созыве Учредительного собрания, где свободно избранные представители всех национальностей, в том числе и грузинской, займутся решением вопроса об устроении Русского государства на началах равенства, свободы и права установлять требуемые нами естественные и нормальные условия свободного развития духовных и экономических сил грузинского народа».

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს თანამოაზრეებთან ერთად „ქართველ პროგრესისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის"პროგრამის პროექტი გადაუმუშავებია, შეუდგენია 14 პუნქტისაგან შემდგარი დოკუმენტის ტექსტი:

«1. Отмена всех исключительных по управле-

нию Кавказским краем законов, указов и циркуляров и вообще явных и секретных распоряжений, направленных к ограничению прав местного населения.

2. Упразднение института полицейских стражников, введенного в крае при князе Голицыне.

3. Восстановление прав местного населения отбывать воинскую повинность лишь в пределах Закавказья.

4. Обязательное знание грузинского языка служащими в правительственных и общественных учреждениях в пределах Грузии и находящимся по роду службы в непосредственных сношениях с местными населением.

5. Введение в край суда присяжных и института выборных судей и установление их съездов.

6. Окончательная ликвидация остатков крепостной зависимости в Грузии.

7. Закрепление за временно-обязанными крестьянами их наделов и за хизанами находящихся в их пользовании владельческих земель за счет государства.

8. Обеспечение за крестьянами права пользования ближайшими казенными лесами и пастбищами.

9. Предоставление коренному населению Грузии исключительного права заселять свободные земли в пределах грузинской территории и установление необходимых для осуществления этих прав льгот и пособий.

10. Основание в пределах Грузии университета и высшего специального учебного заведения.

11. Объединение Тифлисской и Кутаисской губерний, Батумской области, Сухумского и Закатальского округов в одном центральном грузинском земстве с подразделением их на более или менее мелкие земские единицы.

12. Возвращение Иверской церкви автокефальных прав и восстановление Мцхетско-Иверского католикосата в прежних его пределах (губернии Тифлисская и Кутаисская, Батумская область, Сухумский и Закатальский округа) во главе с католикосом, избираемым на основании канонических правил и утверждаемым верховной властью.

13. Признание за грузинами-католиками вероисповедных и церковных прав.

14. В дополнение к 24 пункту программы РКД партии необходимо только пояснить, что Грузинская автономия обнимает Тифлисскую и Кутаисскую губернии, Батумскую область, Сухумский и Закатальский округа и что компетенция автономного представительства не распространяется ни на армию, ни на флот, ни на иностранную политику государства, ни на общеимперскую финансовую политику.

Грузинская конституционно-демократическая партия, принимая всецело программу РКДП, в своих пояснениях к ней только лишь подчеркивает некоторые ее пункты, имеющие важное значение для интересов грузинского народа».

1906 წლის იანვარში გაზეთ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილია „პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა", რომელიც 74 პარაგრაფისაგან შედგება. მოგვყავს ეს დოკუმენტი მთლიანად:

პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა

I. მცხოვრებთა ძირითადი უფლებანი

1. რუსეთის სახელმწიფოს ყველა მცხოვრები, მათის სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, თანასწორნი უნდა იყვნენ კანონის წინაშე. ყველა წოდებრივი განსხვავება და შემავიწროვებელი კანონი, რომელიც სწარგრავს პიროვნულ და ქონებრივ უფლებას, ეროვნების განურჩევლად, სამუდამოდ უნდა მოისპოს.

2. უნდა დამყარდეს სრული თავისუფლება რწმენისა, სიტყვისა, კრებისა, მუშათა გაფიცვისა, კავშირებისა და ცენზურა სამუდამოდ უნდა გაუქმდეს.

3. ყველას, როგორც კერძო პირს, აგრეთვე ჯგუფებს, კავშირებსა და კრებებს ნება უნდა ექნესთ, წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნილებანი.

4. მცხოვრებთა პიროვნება და ბინა ხელშეუხებელი უნდა იყოს: ოჯახში შესვლა, გაჩხრეკა, გამოტანა და გახსნა კერძო კორესპონდენციისა უნდა მოისპოს. ამგვარი განკარგულება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამსაჯულოს განაჩენით, რომელიც თითოეულ შემთხვევისათვის განსაკუთრებით უნდა დადგინდეს; ყოველი ბრალდებული, შეპყრობილი ქალაქის ადგილს და საზოგადოთ სადაც სამსაჯულო არის, 24 საათის განმავლობაში ან სამართალში უნდა იქნეს მიცემული, ან სრულიად განთავისუფლებული; მაგრამ სადაც სამსაჯულო არ არსებობს, 48 საათის განმავლობაში უნდა მიეცეს სამართალში, ან უნდა გაანთავისუფლონ. იმ შემთხვევაში, როდესაც მცხოვრები უკანონოდ იქნება დაჭერილი, ან ვადაზედ გადააცილებენ იმის გამოშვებას, ხელშეხებულს ნება აქვს, მოითხოვოს, რომ სახელმწიფომ უზღოს, რაც მას უკანონო მოქმედებით ზარალი შეემთხვა.

5. არავინ სამართალში არ უნდა მოეცეს და არ დაისაჯოს, თუ არ სამსაჯულოს განაჩენით და კანონისამებრ. უნდა მოისპოს სამარადისოდ საგანგებო სამსაჯულოები.

6. უნდა მოისპოს პასპორტი და ყოველს

მცხოვრებს სრული თავისუფლება მიეცეს, იმგზაუროს როგორც თავის ქვეყანაში, აგრეთვე საზღვარგარეთაც.

7. ყველა ეს მცხოვრებთა უფლება დაცული უნდა იქნეს სამსაჯულოსაგან და შეტანილი რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებში.

8. რუსეთის სახელმწიფოს ძირითადმა კანონებმა უნდა დაიცვას ყველა ეროვნების პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეკონომიური უფლება, აგრეთვე თავისუფალი კულტურული თვითგამორკვევა: უნდა დამყარდეს ყოველ ენათა თავისუფალი ხმარება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლად დაარსება და მოვლა სასწავლებელთა და ყოველგვარ კრებულთა, კავშირთა და დანესებულებათა, რომელთაც აზრად აქვთ ენის, ლიტერატურის და კულტურის დაცვა და განვითარება.

9. რუსული ენა უნდა დარჩეს სახმარებლად ცენტრალურ დანესებულებათათვის, არმიისა და ფლოტისათვის.

II. სახელმწიფო წყობილება

10. კონსტიტუციური წყობილება რუსეთისა უნდა იქნეს დამყარებული ძირითად კანონებზე.

11. ხალხის წარმომადგენელნი უნდა იქნენ არჩეულნი: საზოგადო, ფარულის, თანასწორის და საიდუმლო კენჭის ყრით, არა უმცირეს 21 წლისა მეკენჭეთაგან, განურჩეველად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. პარლამენტი უნდა იქნეს ერთად-ერთი კანონმდებელი დანესებულება.

12. პარლამენტი გამოსცემს კანონებს, შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს და კონტროლს იქონიებს უმაღლესის და უმდაბლესის ადმინისტრაციის კანონიერებისა და საჭირო მოქმედების შესახებ.

13. არც ერთ დადგენილებას, განცხადებას, ბრძანებას და სხვა ამგვარ განკარგულებას, ვისგან უნდა იყოს გამოცემული, არ ექნება კანონიერი ძალა, თუ რომ დამყარებული არ არის პარლამენტის დადგენილებაზედ.

14. სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც შედის ყველა სახელმწიფო გასაევალი და შემოსავალი, მხოლოდ ერთი წლით დადგინდება და უნდა დაკანონდეს პარლამენტისაგან. არც ერთი ბეგარა, ბაჟი და გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოდ, აგრეთვე არაეითარი სახელმწიფო სესხის აღება არ შეიძლება იქნეს დადგენილი, თუ არ პარლამენტისაგან დაკანონებული წესით.

15. პარლამენტის წევრებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლემენტის უსანქციოთ მის წევრთა პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს.

16. მინისტრები პასუხის მგებელნი უნდა იქნენ პარლამენტის წინაშე, რომლის წევრებს უფლება აქვთ, შეეკითხონ მათ და პასუხი მოსთხოვონ.

III. სამსაჯულო

17. უნდა გადათვალიერდეს არსებული კანონები და გამოიცეს ისეთები, რომ ხალხის ზნესა, ჩვეულებასა და საჭიროებას შეეფერებოდეს.

18. სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს და გამოცხადდეს სრული ამნისტია ყველა პოლიტიკური დამნაშავისათვის.

19. შემოღებულ იქნას პირობითი სასჯელი.

20. ბრალდებულს გამოძიების დროს ეექილის ყოლის უფლება უნდა მიეცეს.

21. მოხელენი საზოგადო კანონისამებრ პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ.

22. შემოღებულ იქნეს მომრიგებელ მოსამართლეთა ალმორჩევა.

23. სამართალი ყველასთვის უსასყიდლო და თანასწორი უნდა იყოს.

24. სამართლის წარმოება ხალხის დედა ენაზე უნდა იქნეს.

IV. საფინანსო და ეკონომიური პოლიტიკა

25. უნდა გადათვალიერდეს სახელმწიფო ხარჯთა ბიუჯეტი, რომ გადამეტებული უსარგებლო ხარჯები მოისპოს და სამაგიეროდ ყურადღება მიექცეს იმ საგნებს, რომელიც ხალხის ნამდვილ საჭიროებას შეადგენენ.

26. განვითარდეს პირდაპირი გადასახადი და შემცირდეს არა-პირდაპირი.

27. ყოველივე ღონის ძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ მთლად გაუქმდეს არა-პირდაპირი გადასახადი იმ საგნებზე, რომელნიც ხალხის უპირველეს საჭიროებას შეადგენენ.

28. უნდა მოხდეს რეფორმა პირდაპირის გადასახადისა, რომელსაც საფუძვლად დაედვას შემოსავალზე და ქონებაზე პროგრესული გადასახადი; შემოღებულ იქნეს პროგრესული გადასახადი მემკვიდრეობაზე.

29. გარემოს შესაფერისად თითოეული წარმოებისათვის ბაჟი უნდა შემცირდეს, რომ საქონელი, რომელსაც ხალხი ხმარობს, გაიაფდეს და ტეხნიკურად განვითარდეს მრეწველობა და მეურნეობა.

30. შემნახველ კასსების თანხა უნდა მოხმარდეს მცირე კრედიტის გაძლიერებას.

V. აგრარული კანონმდებლობა

31. ვინც მინის მუშაკი თავისი ხელით მუშაობს და მიწა კი ნაკლებად აქვთ, მას უნდა მიეც-

ეს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო მიწები. ამავე მიზნით მიწის მუშაკთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს კერძოს მესაკუთრეთაგან, სამართლიან ფასად, მიწები. სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს აგრეთვე ხიზნებისა და დროებით ვალდებულ-გლეხთათვის ის მიწები, რომელიც მათ თავის საშუალებით აქამდის ვერ შეუსყიდიათ.

32. ყველა აღნიშნულ ადგილებს, სახაზინო და სანადელო ადგილებს გარდა, განაგებს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდი. თუ რა გვარად უნდა დაურიგდეს ეს მიწები (სამფლობელოდ, თუ პირად სასარგებლოდ, ან სათემოდ) დამოკიდებულია თითოეულს ადგილობრივ პირობებზე.

33. უნდა დაარსდეს ვრცელი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება მკვიდრთა გადასახლებას, და მათ დაბინავებას ახალს სამოსახლოზე, როდესაც უადგილობის გამო იძულებულნი იქნებიან გადასახლდნენ. დააჩქარონ და მოანყონ მიწების გამოყენა და მიიღონ სხვა საშუალებანი, რომელნიც გააუმჯობესებენ მეურნეთა და სოფლის მკვიდრთა მდგომარეობას.

34. უნდა გაუმჯობესდეს ღალის პირობები, მათი კანონზე დამოკიდებულების შესახებ, რომ არენდატორს შეეძლოს ღალის პირობების განახლება; მიეცეს არენდატორს სასყიდელი ადგილის გაუმჯობესებისათვის და დაარსდეს მომრიგებელი სამსაჯულოები, მიწის პატრონთა და არენდატორთათვის ღალის პირობების მოსანესრიგებლად. არენდატორს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმართოს სამსაჯულოს გადამეტებულის მიწის ღალის შემცირების თაობაზე და ამ ღალის შესახებ ხელშეკრულებათა გაუქმების თაობაზე, თუ შიგ საზარალო პირობები არის.

35. დაარსდეს კანონმდებლობა მიწის მოქმედ მუშათათვის, მიწის დასამუშავებლად, ტეხნიკური თვისების შესაფერად; დაინიშნოს სამეურნეო ინსპექცია და მას დაევალოს, დაიცვას კანონი, რომელიც იფარავს შრომას ამ სფეროში, და შემოღებულ იქნეს სისხლის სამართლის წესით პასუხისგება მეურნეთათვის, თუ რომ იგინი დაარღვევენ შრომის დამცველ კანონის ნორმას.

VI. კანონმდებლობა მუშისათვის

36. შემოღებულ იქნეს რვა საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისათვის.

37. დაკანონდეს გაუწყვეტელი დასვენება ყოველ კვირაში არა ნაკლებ 48 საათისა ორივე სქესის მუშებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

38. ნორმაზედ გადამეტებული მუშაობა სრულიად აკრძალულ იქნეს.

39. ღამე მუშაობა, საღამოს 9 საათიდან დილის 6-მდე, აღიკრძალოს ყველა მრეწველობის დარგებში ისეთებს გარდა, სადაც ტეხნიკური პირობების გამო შეუწყვეტელი მუშაობა აუცილებლად საჭიროა და სადაც ეს მუშაობა ორგანიზაციების მიერ იქნება ნება დართული.

40. აღეკრძალოთ მწარმოებელთ ბავშვის სამუშაოდ დაქირავება 16 წლამდის, სამუშაო დრო ახალგაზრდებისათვის 16-18 წლამდე არ უნდა აღემატებოდეს ექვს საათს.

41. ქალებს უნდა აღეკრძალოთ შრომა იმ სამრეწველო დარგში, სადაც მათი აგებულებისათვის მუშაობა მავნებელია; ორსული ქალები უნდა გამოთავისუფლდნენ მუშაობისაგან სამუშაო ქირის გამოურიცხველად დალოგინებამდი ოთხი კვირით ადრე და ექვსი კვირით შემდეგ.

42. ყველა ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვაგან, სადაც კი ქალები მუშაობენ, სადგომები უნდა აშენდეს, აქ მოეწყობა საწოლი ძუძუ-მწოვარ პატარა ბავშვებისათვის; მიეცეთ დედებს სამუშაოდან წასვლის ნება ბავშვის მოსავლელად ნახევარი საათიდან სამ საათამდის საჭიროებისდაგვარად.

43. სიბერის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დაუძლურებაში ჩავარდნის დროისათვის მუშების უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს ისინი სპეციალური ფონდის ხარჯით, რომელიც უნდა შესდგეს ფაბრიკანტზე განსაკუთრებულის გადასახადის დადებით.

44. აღიკრძალოს სამუშაო ქირით ფულის მაგიერ საქონლის მიცემა; მუშებს ანგარიში ყოველ კვირაში უნდა გაუსწორონ და უსათუოდ სამუშაო დროის განმავლობაში.

45. აღეკრძალოს კაპიტალისტებს სამუშაო ქირიდან ფულის გამორიცხვა, რა მიზეზითაც, ან რა დანიშნულებისათვისაც და რა მოსაზრებითაც უნდა იყოს იგი გამოწეული.

46. დაინიშნოს საკმაო რიცხვი საფაბრიკო ინსპექტორებისა მრეწველობის სუყველა დარგებში; გავრცელდეს მათი ზედამხედველობა როგორც სახაზინო, ისე ყველა იმ წარმოებაში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ.

(შინაურ მოსამსახურეთა შრომაც ინსპექციის ზედამხედველობის წრეში შედის); მრეწველობის დარგში, სადაც უფრო ქალები მუშაობენ, ინსპექტორებად ქალები უნდა დაინიშნონ.

მუშებმა უნდა იყოლიონ, სახელმწიფო ჯამაგირით, თავიანთ მიერ არჩეულნი წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ საფაბრიკო კანონების შესრულების თვალ-ყურის დევნაში, საქონლის ნაკრობით დასამზადებელ

საქონლის ჩაბარებაში.

47. დაევალოს ადგილობრივ თვითმმართველობას, მუშების მიერ არჩეულ პირებთან ერთად, თვალყური ადევნოს იმ სადგომების სანიტარულ მდგომარეობას, რომელთაც კაპიტალისტები მუშებს საცხოვრებლად აძლევენ; მასვე უნდა დაევალოს, თვალყური ადევნოს იმ სადგომებში შინაურ წესიერებას და იმათ დაქირავების პირობებს, რომ მუშა, როგორც კერძო პირი და მოქალაქე თავისუფალი იყოს თავის შინაურ ცხოვრებასა და მოქმედებაში კაპიტალისტების ჩარევისაგან.

48. დაარსდეს წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობა მრენველობის ყველა დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ; ამისათვის საჭიროა საექიმო და სასანიტარო ორგანიზაციის სრული დამოუკიდებლობა კაპიტალისტებისაგან. დანესდეს უფასო წამლობა, მრენველობის ხარჯით, ავადმყოფობის დროს ჯამაგირის გამოურიცხველად.

49. მრენველები სისხლის სამართალში უნდა მისცენ, თუ შრომის დამცველ კანონებს დაარღვევენ.

50. სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში სახელმწიფო სასამართლოები უნდა დაარსდეს, რომელნიც შემდგარნი უნდა იქნენ თანასწორად მუშებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლებისაგან.

51. დაევალოს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შუამავალი კანტორების დაარსება, რომელნიც იკისრებენ შუამდგომლობას როგორც ადგილობრივ, ისე შორიდან მოსულ მუშების დაქირავებაში (შრომის ბირჟები); ამ კანტორების გამგეობა შესდგება მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

VII. საერთო განათლება

52. უნდა მოისპოს ყოველგვარი დაბრკოლება სასწავლებელში შესასვლელად ორივე სქესისა, სარწმუნოებისა და შთამომავლობის განურჩევლად.

53. მიეცეს თავისუფლება კერძო და და საზოგადო ინიციატივისა ყოველგვარ სასწავლებლის დასაარსებლად და თავისუფლება სწავლებისა.

54. გამრავლდეს სასწავლებელთა რიცხვი.

55. დაარსდეს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები ტფილისსა და ქუთაისში და უნივერსიტეტი ტფილისში.

56. შემოღებულ იქნეს სწავლება დედა-ენაზე.

57. შემოღებულ იქმნეს საყოველთაო, საავალდებულო და უფასო სწავლება პირველ დაწყებით სკოლაში და თუ შესაძლო იქნეს, საშუალოსა და უმაღლეს სასწავლებელში.

VIII. ეკლესია

58. აღდგენილ იქნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

59. სრული თავისუფლება მიეცეს ყველა სარწმუნოებას.

IX. სამხედრო სამსახური

60. სამხედრო სამსახურისათვის ორი წლის ვადა უნდა დაწესდეს.

61. სამხედრო სამსახური ჯარის კაცებმა სამშობლოში უნდა შეასრულონ.

62. ჯარის კაცნი ვალდებულნი არ უნდა იყვნენ, პოლიციის სამსახური გასწიონ.

X. ავტონომია რუსეთის სხვადასხვა ეროვნებისათვის

63. რუსეთში ახალის სახელმწიფო წყობილების დაარსებისთანავე ყველა ეროვნებათა და, კერძოდ, საქართველოს უფლება უნდა მიეცეს, დაამყაროს ავტონომიური მმართველობა.

64. ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობისა.

65. ავტონომიური საქართველოს საზღვრები უნდა აღნიშნოს საგანგებო კრებამ, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქების მიერ თავისუფლად არჩეულის დეპუტატებისაგან.

66. ავტონომიური საქართველოს საზღვრები უნდა დაამტკიცოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. ყველა საგანი, რომელიც მთელის რუსეთის სახელმწიფოსათვის საერთო იქნება, უნდა ექვემდებარებოდეს გადასაწყვეტად რუსეთის პარლამენტს. ამ სახით საქართველოს პარლამენტი არ უნდა შეეხოს შემდეგ საგნებს:

67. ა. რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესის უფლების წარმომადგენლისათვის საჭირო ხარჯს: ბ. ჯარისა და ფლოტის საქმეს; გ. პოლიტიკურ კავშირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელსამე სახელმწიფოსთან; ე. გარეშე საქმეთა პოლიტიკას; ვ. ბაჟის დადებას გარეშე საქონელზე; ზ. ქარხნებისა და სავაჭრო კანონმდებლობას; Ä. არა-პირდაპირ გადასახადის კანონის გამოცემას; თ. რკინის გზებისა და სხვა გზების გაკეთებას, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქმნებიან აგებულნი და ი. ფულის მოჭრას.

68. ადგილობრივი საქართველოს პარლამენტი განაგებს შემდეგ საგნებს: ა. სწავლა-განა-

თლების საქმეს; ბ. სამსაჯულოსა და ყველა ადგილობრივი კანონების გამოცემას, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებს; გ. ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლას ხმელეთზე თუ ზღვაზე; დ. ადგილობრივ ფინანსებს; ე. საავტონომიო უძრავ ქონებას; ვ. სტამბას; ზ. ფოსტა-ტელეგრაფსა და ტელეფონს; თ. ეკლესიას; ი. საზოგადო ჯანმრთელობის საქმეს და კ. ყველა სხვა საზოგადო და სახელმწიფო საქმეს.

69. საქართველოს პარლამენტი იმ წესითა და საფუძვლით უნდა იქმნეს არჩეული, როგორც რუსეთის პარლამენტი. ავტონომიურ საქართველოს რუსეთის საავტონომიურ ერებთან შეკავშირების უფლება უნდა ექმნეს იმ პირობით, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთელის სახელმწიფოს ინტერესებს.

70. როგორც სრულიად რუსეთის პარლამენტის წევრების პიროვნება, ისე საქართველოს პარლამენტისაც, ხელშეუხებელი უნდა იყოს პარლამენტის უსანქციოდ.

71. საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადო სახელმწიფო ხარჯში, რაც მის მცხოვრებლების რიცხვს პროპორციონალურად ხვდება და ამისათვის ხაზინისაგან უნდა გადასდებდეს განსაზღვრულ პროცენტს.

72. რუსეთის ხაზინას არა-პირდაპირის გადასახადისაგან მიეცემა საქართველოს ის პროცენტი, რომელიც ერგება მას მცხოვრებთა რაოდენობისდაგვარად.

73. რუსეთის მთავარ-მართებელი, დანიშნული უმაღლესის მთავრობისაგან, ყურს უნდა უგდებდეს, რომ ავტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს პარლამენტისაგან გამოცემული კანონები.

74. ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფო აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს".

ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა არ დასცალდა. ეს სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობა იმან, რომ ილიას რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა საბჭოში მოღვაწეობას. გადამწყვეტი კი მაინც ილიას მკვლელობა აღმოჩნდა. მისმა თანამოაზრეებმა დაწყებული საქმე ბოლომდე ვეღარ მიიყვანეს.

§4. საქართველოს ავტონომიის იდეა და ქართველი ავტონომისტები

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული ავტონომიის შექმნის იდეა ძალზე პოპულარული გახდა XX საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით კი გაძლიერდა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

1. ეროვნული ავტონომიის იდეის ჩასახვა და ავტონომისტების მოძრაობის პირველი ნაბიჯები. ქართულ სინამდვილეში ავტონომიის საკითხზე მსჯელობა პირველად 1903-1904 წლებში არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით საფრანგეთში გამომავალმა გაზეთმა „საქართველომ" ნამოიწყო. 1903 წელს გაზეთის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი – „ლია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ." წერილში ეკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება –განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ." გაზეთი ცდილობდა საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი რუსეთის პოლიტიკური სისტემის დეცენტრალიზაციასთან დაეკავშირებინა. იმავე წერილში აღნიშნულია: „რუსეთის წინაშე შემდეგი პრობლემაა: შემუშავება იმგვარ წეს-წყობილებისა, რომელიც, ერთის მხრივ, აღორძინებს სლავიანთა ელემენტს და, მეორეს მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წეს-წყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული, ხოლო განმკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წეს-წყობილებამდის მიიყვანს (...). ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნულ ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღვძარით რუსეთის მომავალ ფედერაციის საკითხი." ასე დაიწყო გაზეთმა „საქართველომ" სჯა-ბაასი საქართველოს ეროვნულ ავტონომიაზე. შეუდგა თუ არა გაზეთი ამ საკითხის გამორკვევას, მის წინაშე დადგა ახალი პრობლემა –კავკასიის საკითხი: „საქართველო ეკონომიურად ვინროდ (მჭიდროდ – ვ. გ.) არის გადაბმული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან. რაც დრო გაჰა, არსებული ეკონომიური ურთიერთობა და დამოკიდებულე-

ბა მეტად განვითარდება. საერთო ეკონომიურ ინტერესების დასაცავად, კულტურულ, საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაფერ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაფუძნება.(...)საქართველოს ავტონომია, ისე, როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქნება რთულ ფედერალისტურ ნეს-ნყობილების დამყარებისათვის, ვინაიდან ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ თვით-მოქმედებას ანიჭებს და, მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენსამე ერს ერთ გაერთიანებულ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას აძლევს." ამრიგად, საქართველოს ეროვნული ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის კონფედერაცია, გაზეთ „საქართველოს" აზრით, ერთი და იმავე პრობლემის შემადგენელი ნაწილები იყო. მომდევნო ხანებში გაზეთი ყურადღებას აღარ უთმობს რუსეთის კონფედერაციის საკითხს. მთელი მისი ძალისხმევა საქართველოს ავტონომიისა და კავკასიის ფედერაციისკენ იყო მიქცეული. გაზეთი „საქართველო" აღიარებდა, რომ საქართველოს ეროვნული ავტონომია კავკასიის ფედერაციასა და რუსეთის კონფედერაციასთან მჭიდრო კავშირში იყო, მაგრამ საქართველოს ავტონომიას განსაზღვრული ფიზიონომია და დამოუკიდებლობაც გააჩნდა. გაზეთი ამტკიცებდა: თუ ეროვნული ავტონომიის იდეა საქართველოში უკვე მომწიფებული იყო და მისი განხორციელების რეალური პირობებიც არსებობდა, საქმის გადადება სრულიადაც არ იყო საჭირო იმ დრომდე, სანამ კავკასიის ფედერაციის და რუსეთის კონფედერაციის განხორციელებისათვის პირობები მომზადდებოდა. რუსეთის მოუმზადებლობა კონფედერაციული ნეს-ნყობილებისათვის საქართველოს ეროვნული ავტონომიისათვის შემაფერხებელი არ უნდა გამხდარიყო.

1903-1904 ნლებში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო გაზეთმა „საქართველომ" საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე ვერ დააყენა, თუმცა იდეის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი. თეორიული მსჯელობის გარდა, გაზეთმა პრაქტიკული საკითხებიც ნამოჭრა. მისი აზრით, საქართველოს ავტონომია უნდა ყოფილიყო პოლიტიკური და არა – ადმინისტრაციული, ხოლო პარლამენტი – საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი. რუსეთის კონფედერაციის ცენტრალურ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონოდა ბიუჯეტის, სასამართლოს, ეკლესიის, განათლების, ავტონომიის ადმინისტრაციის, მილიციის, სოციალური და კულტურული საკითხების კონტროლის უფლება. გაზეთი „საქართველო" მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეროვნული ავტონომიის საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს ტერიტორიას შეადგენდა: აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნანილი, სამცხე-ჯავახეთი, ქართლი, მთიულეთი, ხევი, სომხითი(ქუემო ქართლი–ე. გ.), კახეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, საინგილო (ჭარ-ბელაქანი – ე. გ.). გაზეთის აზრით, საქართველოს ეროვნული ავტონომია დემოკრატიულ პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. სხვადასხვა დონის ხელისუფლების წარმომადგენლები, დეპუტატები თუ მოხელეები საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე ხალხს უნდა აერჩია. თუ შევაჯამებთ, გაზეთი „საქართველო" საქართველოს ეროვნულ ავტონომიაზე მსჯელობისას სამ მთავარ პრინციპს აღიარებდა:

1. საქართველოს ავტონომია არის პოლიტიკური და არა – ადმინისტრაციული;

2. ავტონომიის ტერიტორიად ითვლება ის მინა-ნყალი, სადაც ქართველები სახლობენ;

3. ავტონომიის ხელისუფლების ორგანოები დემოკრატიულ საფუძველზე უნდა იყოს არჩეული.

გაზეთმა „საქართველომ" დაიწყო თუ არა საქართველოს ეროვნული ავტონომიის შესახებ სჯა-ბაასი, პოლიტიკური ოპონენტებიც გამოჩნდნენ. რედაქციაში შემოვიდა წერილები, რომელთა ავტორები პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ გაზეთი სახელმნიფოებრივ დამოუკიდებლობას კი არ ითხოვდა, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში – ეროვნულ ავტონომიას. წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში მათ ევროპის სახელმნიფოების დიდი იმედი ჰქონდათ: ევროპის ქვეყნები კავკასიას ნეიტრალურ ტერიტორიად გამოაცხადებენ და საქართველოც რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლდებაო.

1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში გაიხსნა ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენცია, რომელზეც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია დაფუძნდა. კონფერენციამ უარყო სეპარატიზმი და 4 აპრილს საგანგებო რეზოლუციაც მიიღო. რეზოლუცია ასე მთავრდება: „ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია უარსყოფს სეპარატიზმს, რომელიც კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოსთვის საუკეთესო და უსაჭიროესი წესწყობილება უნდა იყოს ავტონო-

მიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული." ამრიგად, საქართველოს ქართველ რევოლუციონერთა I-მა კონფერენციამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას მხარი არ დაუჭირა და რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში საქართველოს ავტონომიის მომხრედ გამოვიდა.

2. პოლემიკა ავტონომიის თაობაზე 1905 წელს. გაზეთმა „საქართველომ" ავტონომიის იდეა პოპულარული გახადა. 1903-1904 წლებშივე ნათელი გახდა, რომ საქართველოს ავტონომიის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდებოდა. ავტონომიის იდეის წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია, რომელმაც 1904 წელს ჟენევაში დაბეჭდა ნაშრომი „ქართველი ნაციონალისტები". ნაშრომი პრაქტიკულად გაზეთ „საქართველოს" წინააღმდეგ იყო მიმართული. ავტორი ავტონომიის მოთხოვნას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა და მას მუშათა მოძრაობისათვის საზიანოდ მიიჩნევდა. პოლემიკა ავტონომიის თაობაზე განსაკუთრებით მწვავედ წარიმართა 1905 წლიდან, რევოლუციის დაწყების შემდეგ. საქართველოს ავტონომიის იდეას მხარს უჭერდა გაზეთ „ცნობის ფურცელი", წინააღმდეგი იყო სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „მოგზაური". უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიის თაობაზე გაზეთები „ცნობის ფურცელი" და „კვალი" ჯერ კიდევ 1903 წელს დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კვალელთაგან განსაკუთრებით ირაკლი წერეთელი და ფილიპე მახარაძე აქტიურობდნენ. 1903 წელს „კვალში" გამოქვეყნებულ წერილში ირაკლი წერეთელი ავტონომიის მოთხოვნას, ისევე, როგორც ქართული ენის დაცვას, „გაცვეთილ პატრიოტიზმს" უწოდებს, გმობს ნარსულის განდიდებას და ქართველებს საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. აი, როგორ ხსნიდა ირაკლი წერეთელი თავის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ქართველი ერის წარსულისადმი: „მთელ ამ წარსულში არც ერთხელ არ ჩაჰფენია ხალხს გულში ბედნიერებისა და მშვიდობიანობის სხივი(...). მთელ ამ წარსულში არც ერთხელ ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია მხრებიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისა." მომდევნო ხანებში ქართველი ერის წარსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ირაკლი წერეთელმა საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში გადაზარდა. ქართველი სოციალ-დემოკრატი მიიჩნევდა, რომ ეროვნული ავტონომია სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მისწრაფებას წარმოადგენდა, ხოლო სახელმწიფოებრიობის აღდგენა – წარსულში დაბრუნებას.

საქართველოს ეროვნულ ავტონომიაზე სჯაბაასი, როგორც აღვნიშნეთ, გაზეთმა „საქართველომ" ჯერ კიდევ 1903 წელს დაიწყო. იმხანად ეს აკრძალული თემა იყო. 1905 წლიდან კი – უკვე ხელისუფლებისაგან ნებადართული. 1905 წლიდან საქართველოს ეროვნული ავტონომიის შესახებ საინტერესო მასალის გამოქვეყნება დაიწყო „ცნობის ფურცელმა". ქართულ სინამვილესთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში ავტონომიური მოძრაობის ისტორიის გაშუქებას. დროდადრო გაზეთი მკითხველს აცნობდა, თუ რას წარმოადგენდა პროტექტორატი, ფედერაცია და კონფედერაცია. 1905 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „ფედერაციაში ყველაზე უფრო შეთანხმებულია დამოუკიდებლობა და ერთობა. ეროვნების განვითარებისათვის საჭიროა ერთიცა და მეორეც." ფედერაციის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, გაზეთი მიიჩნევდა, რომ ფედერაციის დაარსებას წინ უნდა უძღოდეს ავტონომიის დაარსება: „ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასორნი, იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირის უფლებებით."„ცნობის ფურცელი" სვამს კითხვას: „რა არის ჩვენი ავტონომია? ეს საუკეთესო დემოკრატული, ხალხური წეს-წყობილებაა, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმმართველობის პრინციპის აღსარება არა მარტო სიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ხალხი თვითონ იყოს თავის თავის მმართველი."

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გაზეთ „ცნობის ფურცლის" პუბლიკაციებს ასეთი შეფასება მისცეს: „ნაციონალისტებს უნდათ საქართველოს სამეფოს აღდგენა და ბატონ-ყმობის დაბრუნება; ავტონომია უნდა შემოავლონ სადამოჯნო (საბაჟო – ვ. გ.) კედლებით, რათა ხელი შეუწყონ ეროვნული ბურჟუაზიის ხალხის ზურგზე გამაგრებას; ავტონომია მუშათა პარტიას დაპქაქაცეს. და ერთ ერს აამხედრებს მეორეზე." მართალია, ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „მოგზაური" ავტონომიის განხორციელების შემთხვევაში, ბატონყმობის აღდგენაზე არ საუბრობდა, მაგრამ საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს ავტონომია და სახელმწიფო ერთი და იგივე ყოფილიყო და მკითხველს არ განუმარტავდა, რომ საქართველოს ეროვნულ ავტონომიას რუსეთის იმპერიაში უნდა ეარსება. ამის გამო მოუმზადებელი მკითხველი საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნას საქართველოს სამეფოს აღდგენის მოთხოვნად მიიჩ-

ნეედა. ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეას კი 1905 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში „მოგზაური“ ასე დასცინოდა: „ქართველი მუშა თუ გაჭირვებაშია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართული სახელმწიფო. ამიტომ ქართველი მუშა, ერთის მხრივ, და ქართველი მემამულე და ბურჟუა-კაპიტალისტები, მეორეს მხრივ, უნდა შეერთდნენ(...) და მოიპოვონ ავტონომია, შექმნან ქართული სახელმწიფო.“ როგორც ვხედავთ, ჟურნალი ცნებებს „ავტონომია“ და „ქართული სახელმწიფო“ იდენტურად მიიჩნევს და ამჯერადაც არ აზუსტებს „ეროვნული ავტონომიის“ ცნებას. მოვიტანთ ორ ფრაგმენტს ჟურნალ „მოგზაურის“ მიერ 1905 წლის დამდეგს გამოქვეყნებული წერილებიდან:

– „ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზად არიან ხალხს უღალატონ, გაპყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიალურ-ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება“;

– „ყარგად ესმის ხალხს, რომ ავტონომია კავკასიაში, სადაც მრავალი სხვა და სხვა ერებია ერთმანეთში არეული, მისთვის საზარალოა, რომ ეს ავტონომია მოასწავებს ერთი ერის მეორეზე გაბატონებას, შუღლსა და მტრობას, უკეთ რომ ვთქვათ, კაცთა მჭამელობას.“

საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ განსაკუთრებით დიდი შემართებით იბრძოდა **ფილიპე მახარაძე**. აი, რას წერდა იგი 1905 წლის გაზაფხულზე ჟურნალ „მოგზაურში“: „დღევანდელი სახელმწიფოები თავისი საზღვრებით კაპიტალისტურ წარმოების ნაყოფია და მუშა ხალხი არასოდეს არა თუ არ შეუნყობს ხელს დღევანდელ სახელმწიფოების გამაგრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ დღევანდელი სახელმწიფოები მთელ თავიანთ ციხე-სიმაგრეებით და გარშემორტყმული ზღუდეებით, საზღვრების სახით, დაინგრეს. აი, ასეთ დროს ნაციონალისტები გაიძახიან ავტონომიის შემოღებაზე (...). როცა შეერთდებიან, ერთის მხრივ, თითოეული ერის ყველა მუშები და, მეორეს მხრივ, ყველა ერების მუშები, ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურჟუაზიულ ნყობილებას, ბოლოს მოულებენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე.ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განსხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადასნყდება ეროვნული კითხვაც.“

ჟურნალ „მოგზაურისა“ და ქართველი სოციალ-დემოკრატების გალაშქრებამ საქართველოს ეროვნული ავტონომიის წინააღმდეგ, დემაგოგიით უხვად შეზავებული წერილების გამოქვეყნებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გაზეთი „ცნობის ფურცელი“, თუმცა გაზეთი თავის პრინციპულ პოზიციას არ თმობდა. 1905 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ეკითხულობთ: „გერმანიაში პროლეტარიატის შეერთებას სხვა და სხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვითმმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ავტონომია კარჩაკეტილობას კი არა, ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებას ალნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვით-მოქმედების საშუალებით.“ გაზეთში გამოქვეყნებულ მეორე წერილში ალნიშნულია: „სწორედ მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი, დემოკრატიული თვით-მმართველობა იქმნეს დაარსებული. მშრომელ ხალხს სწორედ ამ თვითმმართველობის ფარგალში შეუძლიან საუკეთესოდ დაიცვას თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაქა მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდება.“

ავტონომიის იდეის პოპულარიზაციას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები მუშებსა და გლეხებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ და ცილისმწამებლური წერილებით ხელს უშლიდნენ საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეის საზოგადოებაში დამკვიდრებას. ჟურნალი „მოგზაური“ ასე განმარტავდა ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციას: „ჩვენ ეროვნულ ავტონომიას დღესაც იმ თვალით ვუყურებთ, როგორც წინეთ, რომ მასში ჩვენ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მისწრაფებას ვხედავთ და სხვა არაფერს.“

პოლემიკა საქართველოს ეროვნული ავტონომიის თაობაზე 1905 წელს არ დასრულებულა. იგი დიდი ინტენსივობით 1906 წელსაც მიმდინარეობდა. წინააღმდეგობა ავტონომისტებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა და ქართველი საზოგადოების ინტერესს იწვევდა.

3. ეროვნული ავტონომიის საკითხი რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-თვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრების მიერ გაგზავნილ ადრესში. იმპერატორმა ნიკოლაი II-მ რევოლუციის დაწყებიდან მალე, 1905 წლის 18 თებერვალს, გამოსცა მანიფესტი, რომელშიც ალნიშნული იყო:„(...) განვიზრახე, შეწევნითა, დღეიდან მივიხმო ხოლმე ღირსეულნი, ხალხის ნდობით აღჭურვილნი პირნი კანონების განხილვისა და შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად“, რისთვისაც კეთილად ეგრძნობ საჭიროდ, „დავაარსო განსაკუთრებული საბჭო, რომელიც შეიმუშავებს საშუალებათ ჩემის სურვილის განსახორციელებლად“. მანიფესტით დაპირებული სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დებულების პროექტი შინაგან საქმეთა მინ-

ისტრ ალექსანდრ ბულიგინს უნდა შეემუშავებინა. თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ესარგებლა 18 თებერვლის მანიფესტით. 1905 წლის 31 მარტს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო კრება, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ნიკოლაი II-თის გასაგზავნი ადრესის ტექსტი. რადგან ერთ ტექსტზე ვერ შეთანხმებულან, წარმოდგენილი ყოფილა ორი პროექტი. მეორე პროექტის ავტორები იმპერატორს სთხოვდნენ მოწვეული ყოფილიყო რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელსაც საქართველოსათვის ავტონომიური თვითმმართველობა უნდა მიენიჭებინა. კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ადრესის პროექტის მეორე ვარიანტს და გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ადრესის ტექსტი საქართველოს ავტონომიის თხოვნით. კომისიაში არჩეული იქნენ: ილია ჭავჭავაძე, მიხეილ გედევანიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ ყიფიანი, ვასილ რცხილაძე, ალექსანდრე ყანჩელი. კომისიამ ადრესის პროექტი შეიმუშავა, რომელიც 1905 წლის 1 აპრილს განიხილა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ. ადრესის ტექსტის საბოლოოდ დამტკიცებამდე კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1905 წლის 2 აპრილს გამოქვეყნებული მასალის მიხედვით შეიძლება ამ კამათის შინაარსი აღვადგინოთ:

„მ. მაჩაბელი: დღეს დაგვიდგა საყურადღებო დრო, სწორედ ისეთი, როგორიც ამ ასის წლის წინად გამოიარა ჩვენმა სამშობლომ. კრიტიკულის თვალით რომ განვსაჯოთ წარსული, დავინახავთ, რომ რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატიას უნდა შეეებრძოლოთ ჩვენ ყველანი. დღევანდელი ქანც-გამოლეული საქართველო არ უნდა ოცნებობდეს პოლიტიკურად განკერძოებას რუსეთისაგან. ამ ოცნებით ჩვენ განვარისხებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებს. ამ რიგად არსად არ მოუპოვებია ხალხს ავტონომია(...). შეუერთოთ ჩვენი ხმა დიდი რუსეთის ხმას და მოვითხოვოთ ის, რასაც ისინი ითხოვენ და არა – ავტონომია.

ვ. მუსხელიშვილი: გავიხსენოთ დიდებული აზრი –„მიეცით ხალხს თავისუფლება, რათა შეძლება ჰქონდეს შეითვისოს იგი.“ კამათი იმის შესახებაა, მომზადებულია თუ არა ჩვენი ხალხი ავტონომიისათვის, ვითხოვოთ თუ არა ავტონომიაო. თუ არ მოგვეცა ავტონომია და პეტერბურგში დაარსდა რუსეთის მმართველი ცენტრალური ორგანო, იქ ჩვენი წარმომადგენელთა რიცხვი მეტად მცირე იქნება და ვერ მივაღწევთ სანადელს. პოლიტიკური ავტონომია სეპარატიზმს, რუსეთისაგან განცალკავებას არ ნიშნავს. მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ, რომ აქ, ტფილისში, დაარსებული იქნას ჩვენთვის პარლამენტი. მიეცით ხალხს საშუალება, მოაწყოს თავისი საკუთარი საქმე და თქვენის თვალით დაინახავთ, რომ იგი შეიძენს თვითმმართველობის უნარს.

დავ. ჯორჯაძე: ბ-ნ მ. მაჩაბელს ან არ ესმის, რა არის ავტონომია, ან განგებ ამახინჯებს ავტონომიის მნიშვნელობას. მიაქციეთ ყურადღება ფინლიანდიის და პოლონეთის ყოფილ ავტონომიას და მიხედებით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში.

გ. ფურული: (...) ჩვენ დიდ ხანს ვსდუმდით და ეხლა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა ნაადგეს იმ ერებმა, რომელნიც არა სდუმდნენ და რა მოვიგეთ ჩვენ ამ ხანგრძლივ დუმილით. ჩვენ ვსდუმდით, როდესაც საქართველოს ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, სომხები კი არ სდუმდნენ, როცა მათ ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, ამიტომ მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძნობს, ჩვენზე კი ამბობენ, მკვდარი ხალხიაო. მაგრამ ჩვენ მკვდარი არა ვართ, ჩვენი სული დაჩაგრული არ არის. ჩვენთვის მეტად საჭიროა ავტონომია. მეცნიერება ამტკიცებს, რომ ავტონომია ერთად-ერთი გზაა იმისი, რომ ხალხის ბედი კარგის გზით სნყდებოდეს.

მ. გედევანიშვილი: რუსეთის საზოგადოებამ გამოსთქვა თავისი სურვილი დამფუძნებელ კრების შესახებ. ქართველი საზოგადოება მას უერთდება. მხოლოდ უსირცხვილო და თავგასულმა ბიუროკრატიამ შეთხზა ცილისწამება საქართველოს რუსეთისაგან განცალკავების შესახებ(...). ავტონომიის ხსენება აშინებს მხოლოდ ზოგიერთ ჩვენს თავადაზნაურებს. რუსეთის ცენტრალური დაწესებულება ვერ გაიგებს ჩვენს საჭიროებას(...).

ილია ჭავჭავაძე: თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რაიმე, უნდა გავიცნოთ ხალხი და მისი აზრი. იმას ვთხოულობთ, რომ მოგვცენ საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმის აზრი და მოთხოვნილება. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასები, მიმართულების გაბურჩეულად.

ივ. ს. ჯაბადარი: დღეს ჩვენ ხალხის სახელით ავტონომიას ვთხოულობთ(...). სიმართლეს მოკლებულია, თითქოს ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგნი ვიყოთ. რუსეთთან შეერთების ხელშეკრულებით (იგულისხმებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი–ვ. გ.) ავტონომია კი არა, მეტიც, უნიაც შეგვიძლიან ვითხოვოთ(...).

ივ. რატიშვილი: ჩვენი მოთხოვნილება უნდა დავამყაროთ რუსეთთან შეერთების ხელშეკრულებაზე (იგულისხმებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი–ვ. გ.). მოვითხოვოთ ის, რაც რუსეთის ხელმწიფემ აღგვითქვა შეერთებს დროს.“

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ 44 ხმით 4 ხმის ნინააღმდეგ ნიკოლაი II-თვის გასაგზავნ ადრესში საქართველოს ეროვნული ავტონომიის თხოვნის შეტანას დაუჭირა მხარი.

ნიკოლაი II-თვის გაგზავნილ ადრესიდან მოვიხმობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

–„ მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს, როგორც ბრძოლის ველზე (იგულისხმებოდა რუსეთ-იაპონიის ომი –ე. გ.), ისე შიგნით იმპერიაში(იგულისხმებოდა რევოლუცია – ე. გ.), ქართველი თავად-აზნაურობა რწმენით და იმედით შეპყურებს მომავალს."

– „ახლა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელნი, ეროვნების განურჩეველად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსას, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან(უნდა იყოს: ბათუმის ოლქი, სოხუმის ოკრუგი, ზაქათალის ოკრუგი – ე. გ.)."

–„თავად-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფო საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქმნას ადგილობრივ ნარმომადგენლობითი კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა მიერ საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით."

ამრიგად, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული ავტონომია მოითხოვა და, იმავდროულად, განსაზღვრა ის ტერიტორიაც, რომელზეც ავტონომია უნდა გავრცელებულიყო: თბილისის გუბერნია მასში შემავალი ზაქათალის ოკრუგით, ქუთაისის გუბერნია მასში შემავალი სოხუმის ოკრუგითა და ბათუმის ოლქი.

მართალია, მიღებული დადგენილება ძალზე მნიშვნელოვან მოელენას ნარმოადგენდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს იმ უზუსტობის შესახებ, რომელიც დოკუმენტის შედგენისას იქნა დაშვებული. სავსებით სწორი და სამართლიანი იყო ის, რომ საქართველოს ტერიტორიად ჩაითვალა თბილისის გუბერნია ზაქათალის ოკრუგით, ქუთაისის გუბერნია სოხუმის ოკრუგით და ბათუმის ოლქი. ამავე დროს დოკუმენტში ასახვა ჰპოვა იმხანად დამკვიდრებულმა მცდარმა შეხედულებამ, რომლის მიხედვითაც ყარსის ოლქი (ისტორიული ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი) საქართველოს ტერიტორიად არ იყო მიჩნეული. მართალია, ყარსის ოლქი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ იგი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებობდა, რის გამოც ოლქის ტერიტორია ისევე უნდა მიჩნეულიყო საქართველოს ტერიტორიად, როგორც თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი.

1905-1906 წლებში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში არ განხილულა.

4. ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისის წერილი სახელმწიფოებრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის (1905 წლის ივნისი). ქუთაისის საქალაქო სათათბირომ იმპერატორ ნიკოლაი II-ის ა905 წლის 18 თებერვლის მანიფესტით მინიჭებული უფლებით ისარგებლა და ხმოსმენისაგან განსაკუთრებული კომისია შექმნა, რომელსაც სახელმწიფოებრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებები უნდა შეემუშავებინა. იმხანად ქუთაისის საქალაქო სათათბიროს თაემჯდომარე და ქალაქის თავი ცნობილი მოღვაწე, დავით ლორთქიფანიძე იყო. კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და სათათბიროს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარუდგინა – **ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისის წერილი სახელმწიფოებრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის.** ეს დოკუმენტი 1905 წლის 15 ივნისს სათათბირომ განიხილა და გარკვეული შესწორებებით დაამტკიცა. გთავაზობთ დოკუმენტის ქართულ თარგმანს და რუსულ დედანს:

ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისის წერილი სახელმწიფოებრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა, განსაკუთრებით ძლიერი და სწრაფი განვითარება ჰპოვა ჩვენთან, ქართველი ხალხის განსახლების ტერიტორიაზე. ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ ყველაზე კულტურულ მაზრაში დაწყებიდან, ყოველდღიური



დავით ლორთქიფანიძე

განვითარების შედეგად, ეს მოძრაობა, მთელი საქართველოსათვის საერთო მოელენას ნარმოადგენს, სადაც, როგორც ჩანს, არ დარჩენილა არცერთი კუთხე, რომელიც მეხივით ხმამაღლა და ცხარედ არ გაპყვიროდეს გაბატონებული, ყველასა და ყველაფრისათვის სახისდამკარგველი, პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებაზე. მოძრაობის ადვილად გავრცელების მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ადგილობრივ პირობებში უნდა ვეძებოთ, რომელთა გამო პირველივე ხელსაყრელ მომენტში, ბუნებრივია, ამ მოძრაობას მღელვარებით უნდა მოეცვა მთელი ჩვენი მხარე. ეს პირობები მდგომარეობს ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის უუფლებო ყოფაში, საკუთარი კულტურის თავისუფალ განვითარებასა და საკუთარი ეროვნული უფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში, მდგომარეობაში, რომელიც გაუარესებულია ჩვენი გლეხობის ძლიერი ეკონომიკური შევიწროვებით, რომელიც, ძირითადად, გამოწვეულია მიწის ნადელების სიმცირითა და მემამულეების მიწებზე მაღალი საარენდო გადასახადებით. ეს საკმარისი იყო ქვეყანაში მასობრივი მღელვარების გაჩენისათვის, რომელსაც, თანამედროვე სახელმწიფო სისტემის მართვისა და მონყობის წყალობით, რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან თანასწორად, არ შეიძლებოდა არ გაეთავისებინა, მთელი სიმძიმე და დათრგუნულობა. არსებული წესრიგით უკმაყოფილება, რომელიც უარყოფს ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა სხვა უცხოტომელი ელემენტების ეროვნულ თვითმყოფადობას, და თავისუფალი პიროვნებისა და მოქალაქის სხვა ელემენტარულ უფლებებს, რომელიც ჩვენ მოსახლეობაში ადრეც ელინდებოდა ამა თუ იმ ფორმით, თუმცა მას თვალსაჩინო დონისთვის, უკანასკნელის პოლიტიკური ბრძოლისათვის ნაკლებად მომზადებულობის გამო, არასდროს მიუღწევია, თუკი არ ჩავთვლით, რასაკვირველია, 1831-32 წლის პოლიტიკურ შეთქმულებასა და რომელიმე ცნობილი საზოგადოებრივი ჯგუფისა თუ ხალხის ნაწილის ცალკეულ ხანმოკლე აფეთქებებს. ეს გასაგებია: ანომალიები სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-სამართლებრივ ცხოვრებაში, კავკასიაში რუსული მპყრობელობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველთვის ძალიან უხვად იყო საიმისოდ, რომ მოსახლეობა სრულიად გულგრილი დარჩენილიყო იმის მიმართ, რაც მასთან და მისგან მოშორებით ხდებოდა. მაგრამ როცა ჩვენი ცხოვრების ანომალიებმა თავის აპოგეას მიაღწია, როცა რუსული საზოგადოების მთელმა საუკეთესო ნაწილმა, სხვადასხვა საზოგადოებრივი და კერძო დანესებულებების, მშრომელი, პროფესიონალური ჯგუფების, ბეჭდვითი სიტყვისა და სხვა ყრილობების სახით თავისი მძლავრი ხმა აიმაღლა, როგორც ერთმა ადამიანმა, არსებული უნესრიგობის წინააღმდეგ, როცა რუსეთის განაპირა მხარეები, რომლებიც ჩვენ ხალხთან თანაბრად განიცდიან მმართველობის ბიუროკრატიული სისტემის ტვირთის სიმძიმეს, ხმამაღლა და ღიად ალაპარაკდნენ თავიანთ საჭიროებებზე, მაშინ საქართველოშიც დაინყო საყოველთაო ადგილობრივი მოძრაობა, აწ უკვე იმდენად ძლიერი, რომ მისი შეჩერება იმ მეთოდებით, რომლებიც აქამდე გამოიყენებოდა მსგავს შემთხვევებში, არავის ძალუძს.

პირველები ჩვენთან გლეხები გამოვიდნენ, რომლებმაც, საარენდო ურთიერთობების დარეგულირებისა და მათი მიწების საარენდო პირობების შემსუბუქების მოთხოვნით, ჯერ მიწისმფლობელ თავადაზნაურებთან გააჩაღეს ბრძოლა. ეს ბრძოლა, რომელიც აქამდე არ შეწყვეტილა, ჩვენთან უაღრესად მშვიდობიანად და დიდი ტაქტით მიმდინარეობს, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ, ძალადობრივი ქმედებების გამოვლინების სრულიად კერძო შემთხვევებს, რის გარეშეც არცერთი მასობრივი მოძრაობა არ ჩაივლის. მაგრამ საერთორუსული მოძრაობის აღმოცენებასთან ერთად, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა [1905 წლის] 9 იანვარს პეტერბურგში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ,



ქუთაისის საქალაქო სათათბირო

ჩვენი გლეხობა მის მიერ დანყებული მშვიდობიანი ბრძოლის ახალ ფაზაში შეეიდა: ნმინდა აგრარული ხასიათის მოთხოვნების გეერდით მან ნინ წამოსნია ადგილობრივი მმართველობის ძირეულ გარდაქმნასთან მიმართებაში მთელი საზოგადოებრივი და სახელმნიფოებრივი წყობის სრული განახლების დაჟინებული, გადაუდებელი აუცილებლობა.

რას ითხოვს ხალხი გლეხობის სახით, რომელიც დასახლებულია ქართულ ოლქებში? სრულად უერთდებიან რა რუსი ოპოზიციური ელემენტების ყველა მშვიდობიან სურვილს, თბილისსა და ქუთაისის გუბერნიის გლეხები, იარიბებიან რა დიდ ყრილობებზე, აყენებენ საკუთარ მოთხოვნებსაც, რომელიც გამონვეულია მხარის თავისებურებებით და მიზნად აქვს ნმინდა ადგილობრივი საჭიროებების შესაძლო რეალური დაკმაყოფილება. უმნიშვნელოვანესი ხარვეზი, რომელიც ძლიერ ამუხრუჭებს საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების სნორ და თავისუფალ განვითარებას, გლეხების ერთსულოვანი, ღრმა რწმენით არის ის, რომ „კანონები ინერება ერთ ადგილას ვიღაც ჩინოვნიკების მიერ, რომლებიც მცირედ ან საერთოდ არ არიან ჩახედული ჩვენი ცხოვრების პირობებში." ამ სიტყვების აზრი ცხადია: ხალხი საკუთარი თავის მართვის სურვილს გამოთქვამს, საკუთარი კანონებით, რომელსაც თავად ხალხი გამოსცემს, თავიანთი, თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. საუკუნოვანი მონობით გათანგული, ეს ხალხი, როგორც ყრილობების მხავალრიცხოვანი დადგენილებების მიხედვით გაირკვა, ეძებს თავისუფლებას, მაგრამ არა – პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როგორც ამას ვარაუდობენ ამჟამად გაბატონებული უსამართლობის მომხრეები. მაგრამ თავისუფლების განხორციელებისათვის საუკეთესო საშუალებად, გლეხების წარმოდგენით, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმის დამკვიდრებაა, რომლის პირობებშიც ხალხს ექნებოდა საკუთარი სასამართლო, საკუთარი სკოლა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ბეჭდვითი სიტყვა და, საერთოდ, თვითონ განკარგავდეს საკუთარ საქმეებს ინტერესთა იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის იდეას. მხარს უჭერს რა, ამ სახით, ქვეყნის ავტონომიურ მოწყობას, ქართველ გლეხობას არსად, არცერთ შემთხვევაში არ გამოუვლენია რაიმენაირი სეპარატისტული ლტოლვა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში. გლეხობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ასეთი ლტოლვები განუხორციე-

ლებელი და უსარგებლოც კია.

გლეხობის კვალდაკვალ ადგილობრივი ცხოვრების ფართო თვითმმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით მონყობის აუცილებლობაზე მიუთითა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობამ. ყოველადუქვეშმრდომლეს ადრესებში, რომლებიც ქართველმა თავადაზნაურობამ თავის საგანგებო კრებებზე მიიღო, ნათლად და კატეგორიულად არის ხაზგასმული ღრმა რწმენა იმისა, რომ „ერთადერთი სწორი საშუალება ქართველი ხალხის დამშვიდებისა და მისი მშვიდობიანი, კულტურული განვითარებისა არის საქართველოსთვის, რომელიც შედგება თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისგან, ბათუმის ოლქისაგან, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებისაგან, ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრების მიერ დადგენილი კანონებით მართვის უფლების მინიჭება. ეს კრება საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანაბარი მოსახლეობისათვის თანასწორი ხმის მიცემით იქნება არჩეული.

ამრიგად, ორი ფენა, რომელიც მოსახლეობის გაბატონებულ უმრავლესობას შეადგენს, ქვეყნის პოლიტიკური მონყობის იმ ფორმაზე შეჩერდა, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, ერთადერთია, რომელსაც შეუძლია სასურველი, ეროვნული განვითარების თვალსაზრისით მყარი და თაეისუფალი, სამართლებრივი წესრიგი შექმნა, რომელიც სავსებით პასუხობს ხალხის სულისკვეთებასა და შეგნებას. ჩვენი ხალხის მიერ მიღებული პოლიტიკური ფორმულა არ არის ადგილობრივი წარმომაელობის ნააზრევი, არამედ კულტურულ ეეროპულ სახელმწიფოებში საზოგადო ცხოვრების ფორმების ისტორიული განვითარების პროდუქტია, რაც, არ შეიძლება უპირობოდ, მხედველობაში მიღებულ არ იქნას ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნის თაობაზე საკითხების განხილვისას.

ახლა ჩვენი ქალაქების ჯერია, რომლების განზე დარჩენა და იმ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობის არმიღება, რომელიც ასე ძლიერ იპყრობს მთელს ჩვენს საზოგადოებრივ აზრს, არ შეიძლება. აუცილებელია, რომ ქალაქის მოსახლეობამ, სოფლის მოსახლეობის მსგავსად, კეთილგონიერულ ეადაში შეიმუშავოს საკუთარი პოლიტიკური პროგრამა, რათა საკუთარ ქმედებებში ცნობილი გეგმაზომიერება და ერთიანობა შეინარჩუნოს. მაგრამ მოცემული საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრამდე საჭიროა გავერკვეთ, თუნდაც მოკლედ, იმ მთავარ საფუძვლებსა და მოტივებში, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენი გლეხთა და თავადაზნაურთა ფენები, რუსული და უცხოტომელთა ბეჭდვითი სიტყეა და სხვადასხეა საზოგადოებრივი ჯგუფები (ჟურნალისტთა ყრილობა და სხე.), ნამოაყენებდნენ რა პირველ რიგში ფართო ადგილობრივი ავტონომიის საკითხს, როგორც რუსეთში ეროვნული საკითხის მოსაგეარებლად საუკეთესო საშუალებას.

ავტონომიაში ფართო გაგებით, ამ ცნების საზოგადოდ მიღებული განმარტების თანახმად, იგულისხმება სახელმწიფოს თვითმმართველი ნანილები, რომლებიც სპეციალური კანონის საფუძველზე მოქმედებენ, სავსებით დამოუკიდებელნი არიან საშინაო, ადგილობრივი მმართველობის საქმეებთან მიმართებაში. მმართველობის კონსტიტუციური წყობის მქონე სახელმწიფოს ავტონომიურ პროვინციებში საკანონმდებლო პალატის როლს ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრება ასრულებს, რომელიც ჩამოყალიბებულია მოცემული ქვეყნის კონსტიტუციის მიერ განსაზღერულ პრინციპებზე დაყრდნობით. საკანონმდებლო ორგანოების უწყების წრე ავტონომიურად მართვად ერთეულებში, მათი ორგანიზაცია და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება ყველგან ერთნაირი არ არის.

რაც შეეხება კომპეტენციის საკითხს, იგი თავის ძირითად ნანილებში, ექვემდებარება მეტნაკლებად განსაზღერულ გამოკლენას ცენტრალურ სამთავრობო დაწესებულებასა და ავტონომიურ მმართველობას შორის. პირველის უწყებას განეკუთვნება: ძირითადი კონსტიტუციური კანონების გამოცემა, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა მოცემულ სახელმწიფოში შემავალი ყველა ნანილისათვის; სამხედრო მმართველობა (სახმელეთო და საზღეაო ჯარები, ომის გამოცხადებისა და ზაეის დადების უფლება); საერთო ფინანსები; საბაჟო და საგარეო საქმეები (სავაჭრო და ზოგადად, საერთაშორისო შეთანხმებები, დიპლომატიური ურთიერთობები); პიროვნული და პოლიტიკური უფლებების დადგენა (ადამიანის ფულებების დეკლარაცია); მონეტების მოჭრა; საერთოსახელმწიფო ვალები და სხვ. მეორეს – ავტონომიურ მმართველობას – მინიჭებული აქვს: ადგილობრივი კანონების გამოცემა; გადასახადების აკრეფა; დამოუკიდებელი ადმინისტრაციისა და სასამართლოს უფლება; თვითდაბეგრის უფლება; ადგილობრივი მეურნეობა; სასკოლო საქმე (ყველა ტიპისა და თანრიგის სკოლები); საეკლესიო-რელიგიური საქმეები და ა.შ.

იმის მიხედვით თუ ვინ არის მინეეული საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, ავტონომიები ორნაირი სახისაა: არისტოკრატიული და დემოკრატიული. თუკი საკანონმდებლო კრება შედგენილია წოდებრივი სანყისით,

ე. ი. შედგება მხოლოდ მოსახლეობის პრივილეგირებული ჯგუფებისაგან, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ავტონომიური მმართველობის არისტოკრატიულ ფორმასთან. პირიქით, იქ, სადაც ადგილობრივ პარლამენტში დეპუტატების არჩევისას არსებობს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემა, ე. ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ, სადაც მოცემული საზოგადოების ყველა წევრი ფლობს საარჩევნო უფლებას (აქტიურსა და პასიურს), ამასთან ერთად, ყველანი ფლობენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, ჩვენ გვაქვს წარმომადგენლობა, ორგანიზებული დემოკრატიულ სანყისებზე. ასეთი წარმომადგენლობა არის კიდეც მთელი ერის ინტერესების ნამდვილი გამომხატველი.

აყალიბებს რა პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულს, ავტონომია არის უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების დაქვემდებარებაში. მისი დამოუკიდებლობა უპირობო არ არის; ის შეიძლება იყოს დიდი და მცირე, რაც დამოკიდებულია, ძირითადად, მოცემულ ქვეყანაში თვითმმართველობის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიულ პირობებზე, მეზობელ ერებთან ურთიერთობებზე, კულტურის დონეზე და ა.შ. თვითმმართველობის პრინციპი ყველაზე მეტად განვითარებულია ინგლისსა და ამერიკაში, სადაც თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი ინტერესების სფეროში, სავსებით დამოუკიდებლად მოქმედებენ. მთავრობის მხრიდან კონტროლი მხოლოდ მათ ზოგად მეთვალყურეობაში გამოიხატება.

რას ემყარება ჩვენი ხალხის რწმენა დღეს რუსეთში გამეფებული პოლიტიკური ცენტრალიზმის წინააღმედ ქვეყნის ავტონომიური მართვის ფორმის უპირატესობისა და მიზანშეწონილობისადმი? ჩვენთან ავტონომიური მოწყობის შემოტანის სასარგებლოდ პირველი და ყველაზე სერიოზული მოსაზრება, არის ის, რომ მას უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, შეუძლია ჩვენს განაპირა მხარესთან რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთობის უზრუნველყოფა. ისტორიულად, მემკვიდრეობით გადმოცემული საქართველოს მუდმივი ლტოლვა რუსეთისადმი სავსებით ბუნებრივ ახსნას პოულობს ქართველთა, – მცირე ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, – სურვილში, მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, რომ მიიღოს შესაძლებლობა ისარგებლოს დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოს მფარველობითა და უპირატესობებით და ამაღე დროს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნება და კულტურა. ამასობაში მმართველობის იმ სისტემამ, რომელიც რუსული მმართველობის დასაწყისშივე იქნა შემოღებული და რომელიც დღემდე უცვლელია, მიზნად დაისახა, სხვადასხვა ძალადობრივი ხერხების გზით, ჩვენი ხალხის დენაციონალიზაცია, რაც, რა თქმა უნდა, ანადგურებდა მეგობრულ ურთიერთობებს ორ ერთმორწმუნე ხალხს შორის და მოახერხა ჩვენ მოსახლეობაში სიძულვილის გრძნობაც კი ჩაენერგა მმართველი სტრუქტურებისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც მათგან მოდის. ამჟამად მთავრობა და ჩვენი ხალხი, როგორც, პრინციპში ამას ვხედავთ ყველგან რუსეთში, – ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია, რომელიც ერთმანეთთან იბრძვის. მათ შორის არ არის სოლიდარობა, იქაც კი, სადაც ეს სოლიდარობა, სხვა პირობებში, ორმხრივად სასარგებლო იქნებოდა. ყველაფერმა, რაც რუსეთის განაპირა მხარეებში არსებული წესრიგის მომხრეებმა მოიმოქმედეს, უარყოფითი შედეგები გამოიღო იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს შორის მძლავრი სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარების თვალსაზრისით. მართალია, სეპარატისტული ტენდენციები ჩვენთან ხალხის მასებში არ შეიმჩნევა, მაგრამ ისინი გამოჩენას არ დაახანებენ, თუკი ძირეულად არ შეიცვლება მმართველობის ის სისტემა, რომელიც ზუსტადაც რომ შობს ამ სეპარატიზმს. მართლაც, რას შეუძლია დაახლოვოს ხალხი ხელისუფლებასთან ან დააშოროს მას? ერისათვის საკუთარი ეროვნული და კულტურული საწყისების განვითარების უფლების მიცემა, რომელი უფლებაც შეიძლება განხორციელებულ იქნას შიდა, ადგილობრივი მმართველობის საქმეებში სრული დამოუკიდებლობის პირობებში, არის საუკეთესო და ნაღდი საშუალება იმისათვის, რომ უფრო მჭიდროდ გავამაგროთ კავშირები, რომლებიც სხვადასხვა ერებს აერთიანებს, რათა ხალხმა შეწყვიტოს ოცნება ცალკე პოლიტიკურ არსებობაზე. თუკი ქართველ ხალხს მიეცემა ეროვნული და კულტურული ცხოვრების თავისუფალი და დამოუკიდებელი მართვის ყველა გარანტია, თუკი მისი ყველა ძირითადი, ელემენტარული უფლება, რომელიც ყველა ერს ახასიათებს, დაცული იქნება კანონის მიერ დამკვიდრებული ნორმების მხრიდან ყოველნაირი ხელყოფისაგან, მაშინ ისმის კითხვა: რისთვის, რა მიზნით მოინდომებენ ქართველები ერთი ხელისუფლების მეორით შეცვლას ან საკუთარი სახელმწიფოს შექმნას?

ეთნოგრაფიული შემადგენლობით გასხვავებული რეგიონების გაერთიანების მიზნით ჩვენი მთავრობა განსაკუთრებით დაჟინებით და თანამიმდევრულად ამკვიდრებდა გარუსების ძალადობრივ, ხელოვნურ სისტემას, რამაც, რა თქმა უნდა, სრულიად უარყოფითი შედეგები გამოიღო, კიდევ უფრო გაზარდა უფსკრული ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის. ამის რეალურ მაგალითებად

გამოდგება პოლონეთი, ფინეთი და ჩვენი მხარე, სადაც ამ სისტემამ მმართველ კლასებსა და უცხოტომელ მოსახლეობას შორის ზიზღი წარმოშვა.მიპყვებოდა რა რომაელთა პოლიტიკას, ჩვენი ბიუროკრატია, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ხალხების ასიმილაციის მისწრაფებიდან გამომდინარე, გამარჯვების მოსაპოვებლად დაყოფის პრინციპს იცავდა. ასე, მაგალითად, კავკასიაში დიდი მცირემიწიანობისა და სხვა არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ჩვენი მთავრობა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, დაბალი კულტურის მქონე რუსების ჩამოსახლების გზით მხარის კოლონიზაციით დაკავდა. რუსებმა, თუკი სადმე დასახლდნენ, დაძლიეს ადგილობრივი, მათთვის მძიმე, უჩვეულო პირობები, მაგრამ როგორც დაბალი კულტურის მატარებლებმა, ვერავის გარუსება ვერ შეძლეს და, აქედან გამომდინარე, წმინდა პოლიტიკური მიზნებით მიღებული ეს ჩანაფიქრი, სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა. ჩვენი განაპირა მხარის რუსული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისადმი შეერთებისათვის თანამედროვე ბიუროკრატიამ საკუთარ პოლიტიკაში გათავისებული პრინციპის „დივიდე ეტ იმპერა" დაცვა სხვა სახითაც დაიწყო: ყველას კარგად მოეხსენება მეგრელების, წმინდა ქართული ტომის ხალხის, საქართველოდან გამოყოფის წარუმატებელი მცდელობები; არამართლმადიდებელი რელიგიის აღმსარებელი (მუსლიმური, კათოლიკური, გრიგორიანული) აბორიგენი მოსახლეობის დიდი ნაწილის ქართველებისათვის ოფიციალური არმიკუთვნება, მიუხედავად მისი სუფთა ქართული წარმომავლობისა; ადგილობრივი ხალხის სამსახურში, კაცმა რომ თქვას, ძირძველ რუს მოსახლეობასთან მიმართებაში სახელმწიფო სამსახურის უფლებაჩამორთმეული ხალხისა, მშობლიური ტერიტორიის საზღვრებს მიღმა, გამწესება, ერთი ეროვნების წარმომადგენელი ინტელიგენტური ძალების ერთ ადგილას თავმოყრის თავიდან ასაცილებლად; ოფიციალური ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით ერთაშორისი ენებათაღელეის გაღვივებისათვის ხელის შეწყობა, ველიჩკოსა და მისი კამპანიის მიერ ქართველთა და სომეხთა შორის შუღლის გაღვივება. და იმპერიის საერთო წყობასთან უფრო ჩქარი შერწყმის მიზნით ასე გვაშორებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს სისტემა, როგორც ზემოთ ითქვა, უსუსური აღმოჩნდა და უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ იგი ძალადობრივი იყო, იმის გამო, რომ ეწინააღმდეგებოდა ერის თავისუფლად განვითარების იდეას და, როგორც ასეთმა, მან ვერ შეძლო პოპულარული გამხდარიყო.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოსაზრება ჩვენში ავტონომიური მართველობის შემოღების სასარგებლოდ, არის ჩვენი ხალხის თავისებურებები, რომელიც ითხოვს მართველობის ფორმის გამოცალკევებას. ნესები, ჩვეულებები, რელიგიური და სამართლებრივი მოსაზრებები, რომელიც მოცემული ხალხის ოჯახურ და საზოგადოებრივ ყოფას ახასიათებს, არის გარემოება, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის მოსალოდნელი ცვლილებისას არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული. ამ თავისებურებებისათვის ანგარიშის განევა იმდენად უპირობოა, რომ ჩვენმა ბიუროკრატიამაც კი, ეროვნული განსხვავებულობების განადგურების ყველა მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხა ამ აუცილებლობისათვის თავის არიდება. მაგალითად, 1859 წლამდე ჩვენთან მოქმედებდა მეფე ვახტანგ VI-ის სამოქალაქო სამართალი; დაღესტნისა და ბათუმის ოლქებში დღემდე ფუნქციონირებს განსაკუთრებული სახალხო სასამართლოები; კავკასიაში წყლით სარგებლობა, ისევე როგორც წყლის მმართველობა, რეგლამენტირდება განსაკუთრებული კანონებით; საერთორუსული სისხლის სამართლის კოდექსი ჩვენთან გამოიყენება ზოგიერთი საესებით არსებითი შეზღუდვებით (არ არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი), რომლებიც, პრინციპში, არ არის გამართლებული რაიმე ადგილობრივი პირობებით; გლეხების ერთი თანრიგისათვის, ე. წ. ხიზნებისათვის, გამოცემულია განსაკუთრებული დებულება და სხვ.

არის კი საჭირო იმის მტიცება, რომ ამ თავისებურებების, წმინდა ადგილობრივი ინტერესების შეცნობა შეუძლია ადამიანს, რომელიც შეისისხლხორცებულია ამ ინტერესებთან, ადამიანს, რომელიც ცხოვრობს იმ ხალხის პირობებსა და მდგომარეობაში, რომელსაც თავად წარმოადგენს და რომელსაც თავად ეკუთვნის? შეუძლია კი პეტერბურგის ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებას მართოს ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფო ისე, რომ ამ სახელმწიფოს ყველა ნაწილს თანაბრად მოემსახუროს? ცენტრალური პარლამენტი, რომელიც პირველ პერიოდში შედგება, უნდა ვივარაუდოთ, გაბატონებული, ერის ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლების უპირატესობით, წარმოდგება უპირობოდ ცალმხრივად, როგორც უპირატესად შეძლებული კლასების ინტერესების დამცველი. ცენტრალური პარლამენტი ცენტრალისტური და წერილეროვნული ტენდენციების გამოვლინების თვალსაზრისით წარმოდგება როგორც განაპირა მხარის ინტერესებისათვის აშკარად ზიანის მიმყენებლი. შესაძლოა, რომ სასამართლოც, სკოლაც და ადმინისტრაციაც ისეთსავე არანორმალურ პირო-

ბებში დარჩეს, როგორშიც იმყოფებიან ამჟამინდელი რეჟიმის პირობებში, თუკი მათი ბედი ცენტრალურ წარმომადგენლობით კრებაზე იქნება დამოკიდებული. დასავლეთ-ევროპული ქვეყნების გამოცდილება საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ყველგან, სადაც კი მმართველობა ცენტრალიზებულია, სადაც ადგილობრივი საქმეები საერთოსახელმწიფოებრივ საკანონმდებლო ორგანოს ექვემდებარება, საქმეები არასაკმარისი ობიექტურობით წყდება, ზოგჯერ ცალკეული მცირერიცხოვანი ერების სრულიად ელემენტარული უფლებების დარღვევით, რომლებიც წარმოდგენილი არიან დეპუტატების ყველაზე უმნიშვნელო რაოდენობით. მაგალითისათვის საკმარისია იმაზე მითითება, თუ როგორ ეროვნულ შევიწროვებას ითმენენ ირლანდიელები დიდ ბრიტანეთში, ამ ყველაზე მეტად თავისუფალ ევროპულ სახელმწიფოეში, პოლონელები – პოზნანში და ხორვატები – უნგრეთში.

თუ როგორი არასწორი, საშინელი შეხედულებები არის ჩვენი მხარის შესახებ არა მხოლოდ ხალხის მასაში, არამედ რუსული საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ფენებში, ამაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით. მაგალითად, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, რუსული პერიოდული გამოცემის ერთ-ერთმა სერიოზულმა ორგანომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხის განხილვისას, ვერ იპოვა ჩვენში ამ ინტიტუტის შემოღების საფუძველი იმავე მიზეზით, რომ კავკასია თავისი მცირედკულტურულობის გამო ამ რეფორმის მილებისათვის მზად არ იყო. საერთოდ, რუსებში ჩვენს შესახებ, მცირე გამონაკლისების გარდა, გაბატონებულია წარმოდგენა, როგორც ნახევრადველურ ხალხზე, რომელსაც არ შეუძლია ცივილიზებული ხალხების ცხოვრებით იცხოვროს. აი, ასე ფიქრობენ ერზე, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა, ლიტერატურა, პოლიტიკურ პარტიებად დაჯგუფებული მნიშვნელოვანი ინტელიგენტური ძალა და, ბოლოს, ერზე, რომელმაც შექმნა სრულიად გააზრებული გლეხთა მოძრაობა, ჯერ გურიაში და შემდეგ დასახლებული ტერიტორიის თითქმის მთელ სივრცეზე. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ხდება ჩვენი ცხოვრების პირობებში რუსი ხალხის გაუთვითცნობიერებლობის გამო, ჩვენი ხალხის წარსულისა და ანმყოს უცოდინარობის გამო. ასეთ პირობებში კი, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი საკანონმდებლო და მართვის სფეროებში გადაწყვეტილი იქნება რუსი ხალხის რჩეულების მიერ ისეთივე შაბლონით, როგორიც შეთვისებული აქვს თანამედროვე ბიუროკრატიას, ე. ი. ადგილობრივ პირობებთან, ადათებთან, წესებთან, მსოფლმხედველობასთან და, საერთოდ, ხალხის ეროვნულ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე.

ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და ავტონომიის საწყისებზე ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხის ერთ, რუსული სახელმწიფოს ქვეშევრდომებისათვის საერთო, საკანონმდებლო დაწესებულებაში თავმოყრას არ შეიძლება არ მოჰყვეს საქმეების წარმოებაში უკიდურესი გაჯანჯლება და სტაგნაცია. ამჟამად უცხოტომელთა ბევრი, საკმაოდ არსებითი მოთხოვნა რუსეთში ათწლეულების განმავლობაში მთლიანად დაუკმაყოფილებელი რჩება, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამ მოთხოვნილებების შესახებ ცენტრალური მთავრობა ძალიან გვიან იგებს, ან, რაც უფრო ხშირად ხდება, გამგებს ძალა არ შესწევს, მის უწყებაში შემავალი საქმეების დიდი რაოდენობის გამო, დროულად უპასუხოს ამ მოთხოვნებს. ასეთია ზოგადად ყველა დიდი სახელმწიფოს ხასიათი, სადაც საკანონმდებლო საქმეები ერთ საერთოსახელმწიფოებრივ ორგანოში კონცენტრირდება, იმის განურჩევლად, ეს ორგანო ბიუროკრატიულ საწყისებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს თუ – სახალხო მმართველობისა. ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის შემადგენლობის მრავალტომიობრიობის პირობებში, როგორც ეს გვაქვს რუსეთში, ცენტრალური დაწესებულება, როგორ იდეალურადაც უნდა იყოს ორგანიზებული, ადგილობრივი საქმეების სწრაფად და ადვილად გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვერასდროს მიაღწევს იმას, რისი გაკეთებაც ადგილობრივ პარლამენტს შეუძლია, რომელიც თავის იურისდიქციას მცირე ტერიტორიაზე ავრცელებს.

ევროპის პოლიტიკური ისტორიიდან ცნობილია, როგორი გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული უფლებებისათვის სხვადასხვა ეროვნულ პარტიებს შორის პარლამენტში, რომელიც შედგენილია ამ სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხის წარმომადგენლებისაგან. მსგავსი ბრძოლის კლასიკური მაგალითი, რომელიც ძალიან ცუდად აისახება სახელმწიფო ცხოვრების სწორ მიმდინარეობაზე, გვაქვს ავსტრიაში. დომინანტი ენის გამო მუდმივი დაპირისპირება, რომელიც სკოლაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში არცთუ იშვიათად მუშტი-კრივამდეც მიდის, წარმოადგენს ავსტრიული და მის მსგავსად შექმნილი პარლამენტების ნამოქმედარს.საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეების მიერ რამდენი ძალა, ენერგია და დრო იხარჯება ფუჭად იმაზე, რასაც სახელმწიფოს შიგნით ხალხებს შორის ურთიერ-

თობების სხვა, უფრო სამართლიან საფუძვლებზე აგების შემთხვევაში, საერთოდაც არ ექნებოდა ადგილი. ასეთ შემთხვევაში პირები, რომელთაც მილიონობით ადამიანის ბედი აქვთ მინდობილი, ბევრად უფრო დიდი სარგებლით ემსახურებოდნენ იმ მოსახლეობას, რომელსაც წარმოადგენენ. არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ცალკეული ერებისათვის, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიას იკავებენ, ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის უფლების მინიჭებით ყველა ეროვნული გაუგებრობა სარწმუნოების, ენის, სკოლის სფეროებში და სხვ., ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ე.წ. ეროვნული საკითხი სწორ გადაჭრას ჰპოვებდა. ეს მოსაზრება ავტონომიური სამართლის საფუძველზე ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული წყობის ძირეული რეორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე ნონადი არგუმენტი უნდა იყოს. როცა ყველა ხალხი, რომელიც კავკასიაში ცხოვრობს, მიიღებს უფლებას თავისი ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში წარმართოს, როცა იგი გაბატონებულ ერთან სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობის პირობებში იქნება ჩაყენებული, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მისთვის ადგილობრივ საკანონმდებლო და მმართველობით საქმეებში სრული დამოუკიდებლობის მინიჭების გზით, ვფარაუდობთ, მხოლოდ მაშინ დადგება კავკასიელების რუს ხალხთან უფრო მჭიდრო და ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობების ჟამი. ხოლო რაც უფრო მეტი იქნება სოლიდარობა სახელმწიფოს სხვადასხვა ეროვნულ ელემენტებს შორის, რა თქმა უნდა, მით უფრო მყარი გახდება მათ შორის იურიდიული კავშირი.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტაცია კიდევ ერთი უაღრესად სერიოზული მსჯელობით უნდა შეივსოს, რომელიც საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. ავტონომიური მოწყობის მოთხოვნა ერთ დამატებით საფუძველს პოულობს უფლებების დარღვევის ფაქტში, რომლებიც გამოთქმული იყო წინა საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და რუსეთის მმართველების მიერ გაფორმებული შეთანხმებებით. ამ შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო ტრაქტატების ყველა თვისებით ხასიათდება, საქართველოს, რომელიც რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, ქვეყნის შიდა მმართველობის საქმეებში სრული დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა, ანუ რუსეთის ავტონომიურ ნაწილად დარჩენილიყო. ქართული მხარეების (ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის) დამოკიდებულება, ხელშეკრულებების ძალით, რომლებსაც „სათხოვარი პუნქტები" ეწოდებოდა, რუსული საიმპერატორო ხელისუფლების მხრივ სუვერენიტეტისა და მფარველობის აღირებაში გამოიხატებოდა. ამ მფარველობის გარდა საქართველო საკუთარ საგნებით თავისუფალი იყო: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს გამოკლებით, მთელი შიდა მმართველობა შეერთებული ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების შეუზღუდავი კომპეტენცია უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობა, და კანონების გამოცემაც, თუკი ეს უკანასკნელნი არ არღვევდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეერთების პირობებს, უნდა მომხდარიყო რუსეთის მთავრობის მხრიდან სრული ჩაურევლობის პირობებში. 1801 წელს სახელმწიფო საბჭომ, რომელიც იმპერატორ ალექსანდრ I-ის წარდგინებით საქართველოს რუსეთთან შეერთების საფუძვლებს იხილავდა, ქვეყანაში დროებითი რუსული მმართველობის დანესება და საქართველოში გუბერნატორის დანიშვნა დაადგინა. გუბერნატორი საკუთარ თავში გააერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებას ანუ სახელმწიფო საბჭომ საქართველოში ავტონომიური მმართველობის სრული გაუქმების წინადადება წამოაყენა. ხელმწიფე სახელმწიფო საბჭოს ასეთ დასკვნას არ დაეთანხმა და ამ საკითხის ხელახლა განხილვა შესთავაზა, თანაც გენერალ-პროკურორ ბეკლემიშევს ნება მისცა საბჭოსათვის „საქართველოში ავტონომიური მმართველობის ძალადობრივად გაუქმების მიმართ მისი უდიდებულესობის უკიდურესი ზიზღის" თაობაზე განეცხადებინა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1801 წლის 15 აპრილს სახელმწიფო საბჭო, საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ, ძველ აზრზე დარჩა, იმპერატორი დაეთანხმა საბჭოს აზრს და საქართველოში ცნორინგი მოავლინა, შესანიშნავი რესკრიპტით, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში იმპერატორი წერდა: „ფაქტის არსის შეფასებისას, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისაა სასარგებლო, არ შეგვიძლია, არ ვაღიაროთ ამ სარგებლის სრული მნიშვნელობა; მაგრამ მინიერი სამეფოების სარგებელი სხვა საზომით იზომება, რომელიც ერთიანი, ჭეშმატირი და შეუცვლელია: **სამართლიანობა და სხვისი უფლების ხელშეუხებლობა.**" შემდგომ ხელმწიფე ცნორინგს საქართველოში მომავალი მმართველობის დებულების შედგენას ავალებდა და წერდა: „თქვენ ამასთან ერთად გაითვალისწინებთ, რომ არა რუსეთის გამო უერთდება ეს ხალხი იმპერიას, არამედ საკუთრივ მისთვის, რომ ჩვენ სარგებელს კი არ ვეძებთ ამაში, არამედ მხოლოდ მის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას... და ამიტომ თქვენ მმართველობის შესახებ

დებულებაში არ დაივიწყოთ, რომ პატივი უნდა მიაგოთ მის უფლებას, ჩამოყალიბდეს საკუთარ წესებთან, ადათებთან და გონების განწყობილებასთან ერთად; ერთი სიტყვით, თქვენ ამ ქვეყანას უნდა უყუროთ, როგორც არა ქვეყანას ჩვენთვის სასარგებლო შენაძენებით, არამედ როგორც ხალხს, რომელიც ეძიებს იმპერიასთან შეერთებას მისივე საკუთარი ბედნიერებისათვის." **იმპერატორის** ღირსშესანიშნავი სიტყვები დიდი ხანია დაივიწყებულია; ქართველი ხალხის თვითმყოფადი ეროვნულ-კულტურული განვითარების უფლება, ავტონომიური მმართველობის საფუძველზე, დიდი ხანია დარღვეულია. ამჟამად საქართველო წარმოადგენს რუსულ გუბერნიებს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის არ სარგებლობს იმ მცირე სიკეთეებითაც კი, რომლებიც ნაბოძები აქვს რუსულ საზოგადოებას (ერობების თვითმმართველობა და ნაწილ მაჟულთა ინსტიტუტი), აღარაფერს ვამბობთ სხვა შეზღუდვებზე ენასთან, სკოლასთან, ეკლესიასთან და სხვასთან მიმართებით.

ჩვენ, თავისთავად ცხადია, არ ვეპარაუდობთ, რომ ასეთი გარდაქმნა, ადგილობრივი მმართველობის საქმეებში ავტონომიური საწყისის შემოტანა, დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიის დამყარების აუცილებლობის დაცვით, შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმპერიაში ამჟამინდელი პირობების შენარჩუნებით, ანუ თავად რუსეთში საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური რეფორმის განხორციელებამდე. აუცილებელია, რომ სახელმწიფო ორგანიზმის ყველა ნაწილი, რომელიც ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს, ერთდროულად დაექვემდებაროს განახლებას. სხვა შემთხვევაში მხოლოდ ადგილობრივ რეფორმებს არ ძალუძს ჩვენთან ნორმალური სამართალწესრიგი დაამყაროს და აღადგინოს დარღვეული სიმშვიდე.

ნარმომადგენლობითი მმართველობის ორგანიზების იდეა, ფართო საოლქო თვითმმართველობის დაშვებით, განსაკუთრებული სეიმებით, უცხო არც რუსეთისთვისაა. ეს იდეა გატარებული იყო **1818** წელს ნოვოსილცევის მიერ იმპერატორ ალექსანდრ I-ის დავალებით შედგენილ „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სანესდებო სიგელში", რომლის საფუძვლებმაც იმპერატორის მოწონება დაიმსახურა.

ამ კონსტიტუციის საწყის მუხლებში გამოთქმული იყო აზრი, რომ საერთო კანონები დგინდება ხელმწიფის მიერ, საერთო-სახელმწიფოებრივი სეიმის თანამონაწილეობით, განსაკუთრებული ან ადგილობრივი სეიმების თანამონაწილეობით. ამ უკანასკნელთ უნდა განეხილათ ადგილობრივი კანონები, ადგილობრივი გადასახადები და ის საერთო პროექტები, რომელიც მათ ხელმწიფის განკარგულებისამებრ შეიძლებოდა გადაცემოდა. ამ კონსტიტუციას განხორციელება არ ეწერა, რადგანაც რეაქციული ძალების გავლენამ შეცვალა პუშანური მონარქის აზროვნების სახე.

ამ მოხსენებას ვამთავრებთ რეზოლუციური ნაწილის ჩამოყალიბებით და საქალაქო სათათბიროს ვთავაზობთ მიიღოს ქვემოთ მოტანილი ძირითადი დებულებები:

1) ჩვენი ხალხის თავისუფალი ეროვნულ-კულტური განვითარების მიზნით აუცილებელია მმართველობის დეცენტრალიზაცია;

2) განაპირა მხარეებთან მიმართებაში დეცენტრალიზაცია ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭებით უნდა გამოიხატებოდეს, ე. ი. ავტონომიის შემოღებითა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ნაწილს შორის სახელმწიფოებრივი ერთობის შენარჩუნებით;

3) საქართველოს ავტონომია, სეიმით თბილისში, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმისმიცემით არჩეული ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, უნდა ეყრდნობოდეს ორგანულ სტატუსს, რომელიც ადგილობრივი დამფუძნებელი კრების მიერ იქნება შემუშავებული;

4) საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია საერთორუსულ პარლამენტში მტკიცდება;

5) საქართველო, რომელიც ამჟამად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებისა და ბათუმის ოლქისაგან შედგება, წარმოადგენს ერთ ავტონომიურ ერთეულს;

6) ყველა ხალხი, რომელიც ცხოვრობს საქართველოში და უმცირესობას შეადგენს, თანასწორი უფლებებით სარგებლობს;

7) ცენტრალურ საკანონმდებლო კრებაში კავკასიელი ხალხების მონაწილეობისათვის საარჩევნო სისტემის საკითხის გადაჭრისას სასურველია ტერიტორიული დაჯგუფების მიღება და

8) აუცილებელია საერთორუსული და ადგილობრივი (განაპირა მხარეების) დამფუძნებელი კრებების დაუყოვნებელი ერთდროული შეკრება, რომლებიც არჩეული იქნება საყოველთაო, სქესისა და ეროვნების განურჩევლად, პირდაპირი, ფარული და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე. საქართველოს დამფუძნებელი კრება ქალაქ თბილისში უნდა იქნას მოწვეული.

კომისია ვარაუდობს, რომ ეს მოხსენება მინისტრთა საბჭოს უნდა გადაეცეს.

P.S. ქუთაისის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის წერილი და 1905 წლის 15 ივნისის დადგენილება სტამბურად დაიბეჭდა ქუთაისში, ოღონდ ბროშურად არ აკინძულა. სტამბურად ნაბეჭდ ტექტს თან ერთვის ხელით მინაწერი:

„1905 წლის 15 ივნისი. ქუთაისის საქალაქო სათათბირომ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის მოხსენების განხილვის შედეგად დაადგინა: 1. „კომისიის მოხსენება მიღებულ იქნას ქვემოთ მოტანილი ცვლილებებითა და დამატებებით: ძირითადი დებულებების მესამე პუნქტი ბოლოს შეივსოს სიტყვებით: „და მისი წევრების ორი მესამედის (2/3) უმრავლესობის მიერ თანხმობისამებრ, იძენს კანონიერ ძალას;" იმავე დებულებების მეოთხე მუხლი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: ავტონომიურ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების ინიციატივა სახალხო კრებასა და სეიმს ეკუთვნის; ამ ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შედგენა სეიმს ეკუთვნის, ხოლო სანქცია – სახალხო კრებას." და 2. „მოხსენება წარდგენილ იქნას მინისტრთა საბჭოში"."

Записка особой комиссн из гласных, избранной Кутаисской городской думой для разработки вопросов об усовершенствовании государственаго благоустройства и улучшении народнаго благосостояния

Освободительное движение, охватившее всю Россию, особенно сильное и быстрое распространение получило у нас на территории разселения грузинскаго народа. Начавшись в одном из наиболее культурных уездов Кутаисской губернии, движение это, развиваясь с каждым днем, сейчас уже представляет собой явление общее для всей Грузии, где, по видимому, не осталось ни одного уголка, который бы громогласно и горячо не вопил об освобождении народа из-под гнета господствующаго, все и вся обезличивающаго полицейско-бюрократическаго режима. Причину легкой распространенности движения следует искать в современных местных условиях общественной жизни, при коих первый же благоприятный удобный момент должен был, естественно, обять волнением весь наш край. Условия эти заключаются почти в безправном положении местнаго населения в отношении свободнаго развития своей культуры и пользования своими национальными правами, положении, усугубляющемся сильной экономической стесненностью нашего крестьянства вследствие, главным образом, незначительности земельных наделовб и высоких арендных цен на помещичьи земли. И этого достаточно было для возникновения массоваго брожения в стране, которая к тому же не могла не чувствовать, наравне с остальными частями Российской Империи, сильную тяготу и подавленность, благодаря нынешней системе государственнаго управления и устройства. Недовольство существующим правопорядком, отрицающим нашу национальную самобытность, как и всех других инородческих элементов, входящих в состав Российской Империи, и основныя элементарныя права свободной личности и гражданина, проявлялось и раньше в той или другой форме в среде нашего населения, хотя степени осязательности, в виду малой подготовленности последняго к политической борьбе, оно никогда не достигало, если не считать, конечно, политическаго заговора 1831-32 годов и отдельных непродолжительных вспышек какой-либо известной общественной группы или части народа. И это понятно: ненормальности в сфере государственной и общественно-правовой жизни, в течение всего периода русскаго владычества на Кавказе, были всегда слишком велики, чтобы население могло оставаться вполне равнодушным к всему тому, что творилось у него и вдали от него. Но когда ненормальности нашей жизни достигли своего апогея, когда вся лучшая часть русскаго общества, в лице различных съездов, общественных и частных учреждений, рабочих, профессиональных групп, печати и пр., подняла свой мощный голос, как один человек, против существующих нестроений, когда окраины России, одинакого с нашим народом испытывающия бремя бюрократической системы управления, заговорили громко и открыто о своих нуждах, тогда и в Грузии началось повсеместное общее движение, теперь уж настолько сильное, что остановить его мерами, до сих пор применявшимися в таких случаях, не в силах никто.

Первыми выступили у нас крестьяне, открывшие сначала экономическую борьбу против землевладельцев-дворян, требуя от последних урегулирования арендных отношений, в смысле облегчения условий найма их земель. Борьба эта, не прекращающаяся и по сие время, ведется у нас в высшей степени мирно и с большим тактом, если не принимать в соображение отдельных, совершенно частных случаев проявления насильственных действий, без чего не обходится ни одно массовое движение. Но с возникновением общерусскаго движения, особенно усилившагося после всех известных петербургских событий 9 января [1905 года], наше крестьянство вступило в новый фазис начатой им мирной борьбы: наряду с требованиями чисто аграрнаго свойства, оно выдвинуло настоятельную неотложную необходимость полнаго обновления всего общественнаго и государственнаго строя в связи с коренным преобразованием местнаго управления.

Чего же требует народ в лице крестьянства, населяющаго грузинскія области? Присоединяясь вполне ко всем мирным пожеланиям русских оппозиционных элементов, крестьяне Кут[аисской] и Тиф[лисской] губ[ерний], собираясь большими сходами, выставили и свои специальныя требования, вызываемыя особенностями края и имеющия целью возможно действительное удовлетворение чисто местных нужд. Важнейшим недочетом, сильно тормазящим правильное и свободное развитие общественно-национальной жизни, по единодушному, грубокому убеждению крестьян, это то, что «законы пишутся в одном месте какими-то чиновниками, мало или вовсе не посвященными в условия нашей жизни». Смысл этих слов очевиден: народ выражает желание управлятся самим, своими собственными законами, издаваемыми самим же народом, через своих свободно избранных представителей. Истомленный вековым рабством, народ этот, как выяснилось из многочисленных постановлений сходов, ищет свободы, но не независимости политической, как это полагают сторонники господствующаго ныне безправия. Но для осуществления свободы наилучшим способом, по воззрению крестьян, следует признать установление такой формы общежития, при которой народ имел бы свой собственный суд, свою школу, печать свободную и независимую и, вообще, сам ведал бы свои дела и интересы в тех пределах, кои не противоречат идее единства государственной власти. Высказываясь, таким образом, за автономическое устроиство страны, грузинское крестьянство нигде, ни в одном случае не проявило каких-либо сепаратических стремлений в сфере вопросов государственнаго устройства, будучи глубоко убеждено в том, что таковыя стремления неосуществимы и даже безполезны.

Вслед за крестьянством на необходимость устроить местную жизнь на началах широкаго самоуправления указало дворянство Тифлис[ской] и Кут[аисской] губерний. Во всеподданнейших адресах, принятых грузинским дворянством в чрезвычайных собраниях его, ясно и категорически подчеркивается глубочайшее убеждение в том, «что единственно верным средством для успокоения грузинскаго народа и его мирнаго, культурнаго развития может служить лишь признание за Грузией, состоящей из Тифлис[ской] и Кутаис[ской] губерний, Батумской области, Сухумскаго и Закатальскаго округов, права управляется законами, установленными местным представительным собранием, избранным путем всеобщей, прямой, тайной и равной для всего населения подачи голосов".

Таким образом, два сословия, составляющия преобладающее большинство населения, остановилось на той форме политическаго устройства страны, которая, на наш взгляд, единственно может создать у нас прочный и желательный с точки зрения свободнаго национальнаго развития правопорядок, отвечающий вполне духу и сознанию народа. Политическая формула, принятая нашим народом, не есть измышление местнаго происхождения, а есть продукт историческаго развития форм общежития в культурных европейских государствах, что, безусловно, не может быть не принято во внимание при обсуждении вопросов о переустройстве нашей государственной жизни.

Очередь теперь на нашими городами, которым нельзя находится в стороне и оставаться безучастными в разрешении вопроса, так сильно занимающаго всю нашу общественную мысль. Необходимо городскому населению, подобно сельскому, выработать заблаговременно свою политическую программу, для соблюдения в действиях своих известной планомерности и единства. Но прежде чем определить свое отношение к данному вопросу, следует разобраться, хотя бы вкратце, в тех главных основаниях и мотивах, коими руководствовались наши крестьянское и дворянское сословия, русская и инородческая печать и различныя общественныя группы (съезд журналистов и др.), выдвигая на первую очередь вопрос о широкой местной автономии, как лучшей меры к улажению национальнаго вопроса в России.

Под автономией в широком смысле, по общепринятому определению этого понятия, разумеются самоуправляющиеся части государства, действующия на основании специальнаго закона, вполне самостоятельныя в отношении дел внутренняго местнаго управления. В автономных провинциях государств с конституционным образом правления, роль законодательной палаты играет местное представительное собрание, образуемое на основах, выработанных конституцией данной страны. Круг ведомства законодательных органов в автономно-управляемых единицах, их организация и отношение к центральной власти не везде одинаковы.

Что касается вопроса о компетенции, то последняя, в основных чертах своих, поддается более или менее определенному разграничению между центральным правительственным учреждением и автономным управлением. Ведению перваго принадлежит: издание основных конституционных законов, одинакого обязательных для всех входящих в состав даннаго государства частей; военное управление (войско сухопутное и морское, право объявления войны и заключения мира); общие финансы, таможня и иностранныя дела (торговые и, вообще, международные договоры, дипломатическия отношения); установление личных и политических прав (декларация прав

человека), чеканка монет, общегосударственные долги и пр. Второму _ автономическому управлению _ предоставлены: право издавать местные законы, собирать подати, право независимой администрации и суда, право самообложения, местное хозяйство, школьное дело (школы всех типов и разрядов), дела церковно-религиозныя и т. д.

Смотря по тому, кто призван участвовать в законодательной деятельности, автономии бывают двоякаго рода: аристократическая и демократическая. Если законодательное собрание организовано на началах сословных, т. е. состоит только из представителей привилегированных групп населения, то мы имеем дело с аристократической формой автономнаго управления. Напротив, там, где существует всеобщая, равная, прямая и тайная подача голосов при выборах депутатов в местный парламент, т. е. другими словами, там, где поголовно все члены даннаго общества обладают избирательным правом (активным и пассивным), причем все они располагают одинаковым числом голосов, _ мы имеем представительство, организованное на началах демократических, каковое представительство и является действительным выразителем интересов всего народа.

Образуя политически самостоятельную единицу, автономия находится в подчинении высшей государственной власти. Самостоятельность ея не безусловная; она может быть большая и меньшая в зависимости, главным образом, от исторических условий возникновения и развития самоуправления в данной стране, от отношений к соседным народностям, степени культуры и т. п. Принцип самоуправления наиболее развит в Англии и Америке, где органы самоуправления, в сфере местных интересов, действуют вполне самостоятельно. Контроль со стороны правительства выражается лишь в общем надзоре за ними.

На чем же основана вера нашего народа в преимущество и целесообразность автономной формы управления страной перед господствующим ныне в России политической централизацией? Первое и самое серьезное соображение в пользу введения у нас автономнаго устройства, это то, что оно более, чем какия-либо другия политическия организации, может обезпечить государственное единение России с нашей окрайной. Исторически унаследованное постоянное тяготение Грузии к России находит себе вполне естественное объяснения в желании грузин, _ небольшаго народа, заселяющаго небольшую территорию, _ устроить свою жизнь так, чтобы получить возможность пользоваться покровительством и преимуществами большаго, могущественнаго государства и вместе с тем сохранить свою национальность и культуру. Между тем та система управления, которая введена была с самаго начала русскаго владычества и которая неизменно держится и поныне, поставила себе целью денационализировать наш народ, путем различных насильственных приемов, что, конечно, понемногу разрушало дружественныя отношения между двумя единоверными народами и сумело вселить в наше население даже чувство ненависти к правящим сферам и ко всему тому, что исходит от них. Сейчас правительство и наш народ, как это, впрочем, мы видим повсеместно и в России, _ два противоположные полюса, борующиеся между самою. Нет солидарности между ними даже там, где эта солидарность, при других условиях, была бы обоюдополезна. Все, что ни предпринималось до сих пор в русских окраинах сторонниками существующих порядков, все это дало отрицательные результаты в смысле установления прочной государственной связи между различными частями империи. Правда, пока сепаратистических тенденций в народной массе у нас не замечается, но оне не замедлят проявиться, если только в корне не будет изменена та система управления, которая именно и порождает этот сепаратизм. И, в самом деле, что способно приближать народ к власти или отдалять его от нея? Признание за народом права свободнаго развития своих национальных и культурных начал, каковое право может быть осуществлено при полной самостоятельности и независимости в делах внутренняго местнаго управления, есть лучший и верный способ для того, чтобы теснее закрепить узы, соединяющия различныя нации, чтобы народ перестал мечтать об отдельном политическом существовании. Ведь, если народу грузинскому предоставлены будут все гарантии свободнаго и самостоятельнаго отправления своей национально-культурной жизни, если все его основныя, элементарныя права, присущия каждой народности, будут защищены от всяких посягательств законоустановленными нормами, то для чего, спрашивается, во имя какой цели грузины будут добиваться замены одной власти другой, или образования своего государства?

Для объединения разнородных по этнографическому составу частей Империи правительство наше особенно настойчиво и последовательно проводило систему насильственнаго, искусственнаго обрусения, что, конечно, дало совершенно отрицательные результаты, еще более увеличив пропасть между центром и окраинами. Реальнейшими примерами тому служат Польша, Финляндия и наш край, где система эта создала лишь одну ненависть и вражду между правящими классами и инородческим населением. Следуя политике Римлян, наша бюрократия, в видах

ассимиляции народов, входящих в состав Российской Империи, защищала принцип разъединения для одержания победы. Так, напр [имер], несмотря на сильное малоземелье и другия неблагоприятныя условия на Кавказе, наше правительство занялось, особенно сильно за последнее время, колонизацией этого края мало культурными русскими переселенцами, которые, если где и приобрели оседлость, поборов местныя, для них тяжелыя, непривычныя условия, никого, однако, как носители слабой культуры, обрусить не сумели, и, следовательно, затея эта, предпринятая в целях чисто политических, оказалась совершенно безполезной. Для приобщения же нашей окраины к русской государственной жизни наша современная бюрократия стала отстаивать в свой политике усвоенный ею принцип divide et impera и в другом виде: всем хорошо известны неудачныя попытки отделения от грузин мингрельцев, народа чисто картвельскаго племени; оффициальное непризнание за грузин известной части туземнаго населения, исповедующей не православную веру (магометанскую, католическую, григорянскую), несмотря на ея чистокровное грузинское происхождение; определение на службу местных людей, собственно говоря, лишенных одинаковых с коренным русским населением прав по государственной службе, вне пределов родной территории, в видах предупреждения скопления в одном месте интеллигентных сил дной национальности; способствование путем оффициальной печати разжиганию международных страстей (грузино-армянския распри времен Величко и ком.). Итак разъединяли нас для более быстраго слияния с общим строем Империи, но система эта, как сказано выше, оказалась несостоятельной по многим причинам и прежде всего потому, что она была насильственна, что она противоречила идее свободнаго развития народа и, как таковая, она не могла стать популярной.

Второе, не менее важное соображение в пользу введения у нас автономнаго устройства, это особенности нашего народа, требующия обособления порядка управления. Нравы, обычаи, религиозныя и правовыя воззрения, характеризующия семейный и общественный быт даннаго народа, есть обстоятельство, которое не может быть не принято во внимание, при предстоящем изменении нашего государственнаго строя. Необходимость считаться с этими особенностями до такой степени безусловна, что даже наша бюрократия, несмотря на все ея старания уничтожить все национальныя отличия, не могла избежать этой необходимости. Так, до 1859 года действовало у нас гражданское уложение царя Вахтанга VI; в Дагестанской и Батумской областях и по сие время функционируют особые народные суды; пользование водами, как и водное управление на Кавказе, регламентируются особыми законами; общерусский уголовный кодекс применяется у нас некоторыми весьма существенными ограничениями (нет института присяжных заседателей), не оправдываемыми, впрочем, какими-либо местными условиями; для одного разряда крестьян, так называемых хизан, издано особое Положение и пр.

Нужно ли доказывать, что эти особенности, чисто местные интересы может постичь человек, сроднившийся с этими интересами, человек, живущий в условиях и обстановке того народа, котораго он представляет и к которому сам принадлежит? Может ли центральное законодательное учреждение в Петербурге править обширнейшим в Европе государством так, чтобы все части этого государства, могли быть одинакого обслуживаемы им? Центральный парламент, состоящий на первых порах, надо полагать, по преимуществу из представителей буржуазных классов господствующей нации, явится безусловно односторонным, как в смысле защиты преимущественно интересов состоятельных классов, так и в смысле проявления централистических и узконациональных тенденций в явный ущерб окраинным интересам. Возможное дело, что и суд, и школа, и администрация останутся в таких же ненормальных условиях, в каких они находятся при настоящем режиме, если судьба их будет зависеть от центральнаго представительнаго собрания. Практика западно-европейских стран служит лучшим подтверждением той мысли, что везде, где только управление централизовано, где дела местныя подлежат ведению общегосударственнаго законодательнаго органа, дела решаются не с достаточной объективностью, с нарушением подчас самых элементарных прав отдельных мелких народностей, представляемых обыкновенно самым незначительным числом депутатов. Для примера достаточно указать на то, какия национальныя стеснения терпят ирландцы в Великобритании, этой наиболее свободной европейской державе, поляки в Познани и хорваты в Венгрии.

Какия превратныя, ужасныя понятия держатся о нашем крае не только в среде народной, но и в лучших передовых слоях русскаго общества, в этом мы убеждались неоднократно. Так, еще очень недавно, один их серьезнейших органов русской периодической печати, коснувшись вопроса о суде присяжных, не находил пока возможность введение этого института у нас на том же основании, что Кавказ по малокультурности своей не подготовлен к восприятию этой реформы. Вообще, у русских о нас, за небольшими исключениями, господствует представление как о народе полудиком, неспособном зажить жизнью цивилизованных

народов. И вот, так думают о народе, имеющем многовековую самобытную культуру, литературу, значительную интеллигентную силу, группирующуюся в политические партии и, наконец, создавшем вполне сознательное крестьянское движение сначала в Гурии, а затем всем почти пространстве заселенной территории. Происходит все это, конечно, лишь благодаря неосведомленности русских людей об условиях нашей жизни, незнакомству с прошлым и настоящим нашего народа. А при таких условиях, естественно полагать, что все важнейшие вопросы в сфере законодательства и управления будут решаться избранниками русского народа по такому же шаблону, какой усвоен современной бюрократией, т. е. не сообразуясь ни с условиями места, ни с обычаями, нравами, мировоззрением и, вообще, национальными особенностями народа.

За децентрализацию власти и организацию местного управления на началах автономии говорит и то обстоятельство, что сосредоточение всех вопросов местной жизни в одном общем для всех подданных русского государства законодательном учреждении не может не иметь своим последствием крайнюю медленность и застой в делах. И сейчас многия весьма существенныя нужды инородцев в России не находят удовлетворения сплошь и рядом целыми десятками лет, между прочим, потому, что об этих нуждах центральное правительство узнает слишком поздно, или, что чаще случается, узнавши, оно не в силах, вследствие громаднаго количества дел, ему подведомственных, своевременно отвечать на эти нужды. Таково свойство вообще всех больших государств, где законодательныя дела концентрируется в одном общегосударственном органе, безразлично к тому, функционирует ли этот орган на началах бюрократических или народнаго представительства. При обширности территории и разноплеменном составе населения, как это мы имеем в России, центральное учреждение, как бы идеально оно ни было организовано, в отношении быстроты и легкости разрешения местных дел, никогда не может достигнуть того, что может сделать местный парламент, отправляющий свои обязанности в пределах небольшой территории.

Далее, из политической истории Европы мы знаем, какая ожесточенная борьба за национальныя права происходит между представителями различных национальных партий в парламенте, который составлен из депутатов от всех входящих в состав даннаго государства народностей. Классический пример подобной борьбы, крайне вредно отражающейся на правильное течение государственной жизни, мы имеем в Австрии. Постоянныя распри, доходящия нередко даже до кулачной расправы, из-за преобладания языка в школе, суде, администрации есть удел австрийскаго и подобно ему построенных парламентов. Сколько сил, энергии и времени тратится попусту лучшими государственными людьми на то, что при построении междунациональных, внутри государства, отношений на иных, более справедливых основаниях, и вовсе бы не имело места, а, следовательно, лица, коим вверена судьба миллионов людей, с гораздо большей пользой могли бы служить интересам представляемаго ими населения. Не подлежит никакому сомнению, что с признанием за отдельными народностями, занимающими определенную территорию, права на национально-культурное самоопределение, все национальныя недоразумения в области веры, языка, школы и т. п., т. е. другими словами, так называемый национальный вопрос нашел бы правильное разрешение. И это соображение должно служить одним из очень веских доводов в пользу необходимости коренной реорганизации местнаго административно-бюрократическаго строя на основах автономнаго права. Когда каждая из народностей, заселяющих Кавказ, получит возможность вести свою жизнь по естественному руслу ея, когда она поставлена будет в условия гражданскаго и политическаго равноправия с господствующей нацией, _ что может быть осуществлено лишь путем дарования ей полной самостоятельности в делах местнаго законодательства и управления, _ только тогда, полагаем мы, настанет пора более тесных и истинно-братских отношений кавказцев с русским народом. А чем сильнее будет солидарность между разнородными элементами государства, тем прочнее, конечно, станет и юридическая связь между ними.

Изложенную нами аргументацию следует дополнить еще одним в высшей степени сериозным доводом, вытекающим из международно-правовых отношений. Требование автономнаго строя находит себе одно лишнее основание в факте нарушения прав, выговоренных договорами, заключенными правителями Грузии и России, в начале прошлаго столетия. На основании этих договоров, носящих в себе все признаки международных трактатов, Грузия, присоединившаяся добровольно к России, должна была сохранять полную самостоятельность и независимость в делах внутренняго управления страны, т. е. остаться автономной частью русскаго государства. Зависимость грузинских областей (Карталинии, Кахетии, Имеретии, Мингрелии, Гурии и Абхазии), в силу договоров, называемых «просительными пунктами», определялась в признании суверенитета и покровительства русской императорской власти. Вне этого подчинения Грузия была вполне свободна: за исключением сферы международных сношений, все внутреннее управле-

ние в пределах присоединенной территории должно было составлять ничем неограниченную компетенцию местной власти. Следовательно, отправление судебной и административной деятельности, а равно издание законов, насколько эти последние не нарушали предусмотренных договором условий присоединения, должно было происходить при полном невмешательстве русского правительства. Когда в 1801 году Государственный Совет, на обсуждение которого императором Александром I был предложен вопрос об основаниях присоединения Грузии к России, постановил заключение об учреждении в стране временного русского управления с назначением в Грузию губернатора, который соединял-бы в себе власть гражданскую и военную, т. е. высказался в смысле полного упразднения в Грузии автономного управления, то Государь, не согласившись с таким заключением Государственного Совета, предложил ему вновь обсудить этот вопрос, причем уполномочил генерал-прокурора Беклемишева заявить Совету «о крайнем отвращении Его Величества к насильственному упразднению автономного управления в Грузии».

Только после того, как Государственный Совет 15 апреля 1801 г. вновь рассмотрев дело, остался при прежнем мнении, Император согласился с мнением Совета и отправил в Грузию Кнорринга, с замечательным рескриптом, имеющим историческое значение. В нем Император писал: «Измеряя сущность совершившагося факта единственно нашими выгодами, не можем не признать всей их силы; но пользам царств земных предустановлена другая мера, единая, истинная и непреложная: справедливость и неприкосновенность к чужому праву». Далее Государь, поручая Кнорррингу составить положение для будущаго управления в Грузии, писал: «Вы будете при сем иметь в виду, что не для России присоединяется сей народ к Империи, но собственно для него, что не наших польз мы в этом ищем, но единственно его покоя и безопасности... а потому в положении Вашем об управлении не оставите принять в уважение права его, сообразоваться с нравами, обычаями и умоначертаниями его; словом, Вы должны взирать на сию страну не как на страну полезных нам приобретений, но как на народ, взыскивавший присоединения к Империи для собственнаго его счастья». Знаменательныя слова Императора давно забыты; права грузинскаго народа на самобытное национально-культурное развитие, на основе автономнаго управления, давно попраны. Сейчас Грузия представляет русския губернии с той только разницей, что она не пользуется даже теми небольшими благами, которыя дарованы русскому обществу (земское самоуправление и институт присяжных заседателей), не говоря о других ограничениях в отношении языка, школы, церкви и проч.

Но отстаивая, таким образом, необходимость установления прочной гарантии самостоятельности, путем введения автономнаго начала в делах местнаго управления, мы, само собой разумеется, не полагаем, чтобы такое преобразование могло быть осуществлено при сохранении нынешних условий в Империи, т. е. прежде осуществления общегосударственной политической реформы в самой России. Необходимо, чтобы все части государственнаго организма, представляющия одно неразрывное целое, одновременно подверглись обновлению, иначе одне местныя реформы неспособны водворить у нас нормальный правопорядок и возстановить нарушенное спокойствие.

Идея организации представительнаго управления с допущением широкаго областного самоуправления, с особыми сеймами, не чужда и России. Она была проведена в составленной в 1818 году Новосильцевым по поручению Императора Александра I, «Государственной Уставной Грамоте Российской Империи», основы которой удостоились Высочайшаго одобрения.

В начальных статьях этой конституции было выражено, что общие законы постановляются Государем при содействии общаго государственнаго сейма, особенные или местные _ при содействии сеймов неместнических. Эти последние должны были рассматривать местные законы, местные налоги и те из общих проектов, которые могли быть переданы ему по распоряжению государя. Конституции этой не суждено было получить осуществление, так как влияние реакционных сил изменило образ мыслей гуманнаго монарха.

Закончив изложением настоящую записку, мы в резолютивной части ея предлагаем Городской Думе принять нижеследующия основныя положения:

1) В целях свободнаго национально-культурнаго развития нашего народа необходима децентрализация управления;

2) В отношении окраин децентрализация должна выразиться в предоставлении права широкаго политическаго самоуправления, т. е. в введении автономии с сохранением государственнаго единства между всеми входящими в состав Российской Империи частями;

3) Автономия Грузии, с сеймом в Тифлисе, из представителей народа, избираемых всеобщим, равным, тайным и прямым голосованием, должна опираться на органическом статуте, который будет выработан местным учредительным собранием;

4) Конституция грузинской автономии получает утверждение в общерусском парламенте;

5) Грузия, состоящая ныне из Тифлисской и Кутаисской губерний, Закатальскаго и Сухумскаго округов и Батумской области, представляет одну автономную единицу;

6) Все народности, живущия в Грузии и составляющия в ней меньшинство, пользуются равными правами;

7) Для участия кавказских народностей в центральном законодательном собрании желательно при решении вопроса об избирательной системе принять территориальную группировку и

8) Необходим немедленный одновременный созыв всероссийскаго и местных (на окраинах) учредительных собраний на основе всеобщей, без различия пола и национальностей, прямой, тайной и равной подачи голосов. Учредительное собрание для Грузии должно быть созвано в гор. Тифлисе.

Настоящую записку, комиссия полагает необходимым представить Совету Министров.

P.S. 1905 წელს ქუთაისის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტისა და 15 ივნისის დადგენილების სტამბური ნუსხით დაბეჭდილ ტექსტებს თან ერთვის ხელით მინაწერი:

„1905 года июня 15 дня. Кутаисская Городская Дума, рассмотревъ записку особой комиссии из гласных, постановила: 1, «записку комиссии принять съ нижеследующими изменениями и дополнениями: пункт третий основных положений дополнить в конце словами: «и по одобрении большинством двухъ третей (2/3) его членов, воспринимает законную силу»; пункт четвертый тех же положений заменить следующей редакцией: «инициатива изменений и дополнений автономной конституции принадлежит народному собранию и сейму; составление проекта этих изменений и дополнений - последнему, а санкция - народному собранию», и 2, «настоящую записку представить в совет министров».

5. სოხუმის ქალაქის თავის, თავად ნიკოლოზ ყარამანის ძე თაედგირიძის მიერ ერობებისა და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის ბიუროში წარდგენილი წერილი რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში აუცილებელი მკაცრი დეცენტრალიზაციის პრინციპის გატარების თაობაზე (1906 წლის მარტი). სოხუმის ქალაქის თავმა, ნიკოლოზ (ნიკო) თაედგირიძემ იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1905 წლის 18 თებერვლის, 6 აგვისტოსა და 17 ოქტომბრის მანიფესტებით ისარგებლა და რუსეთის ერობებისა და ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობის ბიუროს 1906 წლის მარტში დოკუმენტი წარუდგინა – რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში აუცილებელი მკაცრი დეცენტრალიზაციის პრინციპის გატარების თაობაზე. გთავაზობთ დოკუმენტის ქართულ თარგმანსა და რუსულ დედანს:

სოხუმის ქალაქის თავის, თავად ნიკოლოზ ყარამანის ძე თაედგირიძის მიერ ერობებისა და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის ბიუროში წარდგენილი წერილი რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში აუცილებელი მკაცრი დეცენტრალიზაციის პრინციპის გატარების თაობაზე

ყოველი ქმედება, თითოეული პრაქტიკული პროგრამა და, საერთოდ, რუსი ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლების საქმიანობა, უნდა განვიხილოთ და შეეფასოთ მოცემულ დროში იმ საერთო პრინციპებისა და საფუძვლების გადმოსახედიდან, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთის მომავალ სახელმწიფოებრივ მოწყობას. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ოფიციალურად გამოცხადა რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომის სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება, ეროვნებისა და აღმსარებლობის განურჩეველად. რუსეთის მომავალი კეთილდღეობა და ნორმალური განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად, სწორხაზოვნად და ფართოდ გატარდება ცხოვრებაში ადამიანის უფლებათა ეს ძირითადი საწყისები. რუსეთის სწორი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად გულწრფელად, გაუყალბებლად და იძულების გარეშე იქნებიან რუსეთში შემავალი ცალკეული ერები დაკავშირებული საერთო იმპერიას. პოლიტიკა არ იცნობს, ვერ იტანს გულმონყალეობას, ქველმოქმედებას, სენტიმენტალობას: მწარედ სცდება ის, ვისაც ხელოვნური ხერხებით, დიპლომატიურად სურს რუსეთში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრის აუცილებლობის შელამაზება, მიჩუმეთება, დღის წესრიგიდან მოხსნა; პოლიტიკაში სწორედ ის კეთდება და ხორციელდება, რაც მოცემულ ისტორიულ ეპოქაში აუცილებელი და გარდაუვალია. ვისაც ობიექტურად და ოდნავ კრიტიკულად მაინც განუხილავს, შეუსწავლია რუსული სახელმწიფოს მართვის სისტემა, რომელიც რუსეთის ისტორიის საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად ხორციელდებოდა, მას არ შეუძლია არ მოახდინოს იმ ფაქტის კონსტანტირება, რომ ისე მართვა და სახელმწიფოებრივი საქმეების ისე წარმართვა, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არანაირად არ შეიძლება. არ არსებობს ისეთი პარტია და საზოგადოების ისეთი გონიერი ნაწილი, რომელიც შეძლებდა დაეცვა ის წყობა, ის წესრიგი, რომელიც დღემდე არსებობს, ამიტომ მარტივი,

ჯანსაღი ლოგიკა მოითხოვს, რომ უარყოფილი იქნას, ერთხელ და სამუდამოდ დაწუნებულ იქნეს საქმიანობის ის პროგრამა, რომლითაც დღემდე ხელმძღვანელობდა პოლიციურ-ბიუროკრატიული მთავრობა, რომელიც აშკარად უკანასკნელ დღეებს ითვლის. ცნობილია, რომ დრომოჭმული რეჟიმის მმართველობის სისტემის დამახასიათებელი თავისებურება იყო მოსახლეობის ხელოვნური გზით, ძალადობით, მუქარით და იძულებით საერთოიმპერიული ინტერესებისადმი დამორჩილება, არადა, ნებისმიერი იძულება, ძალადობა ინვევს და ავითარებს ზიზღს, ანტაგონიზმსა და უკუქმედებისაკენ სწრაფვას. ნებისმიერი ჯანსაღი და გონივრული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს სამართლიან, ჭეშმარიტ, ურყევ პრინციპს: რაც წარმავალი და მყოფია, ის არამყარი, არასასურველი და უსარგებლოა. მუქარისა და იძულების ძალით გამონვეული განწყობა, პირველსავე ხელსაყრელ მომენტში შეიძლება შეიცვალოს და ერთობლივი მოქმედება პარალიზებულ იქნას.

ყოველი თავდადებული, რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილმოწყობის საქმის ჭეშმარიტად გულშემატკივარი ყველანაირი გზით უნდა ცდილობდეს სახელმწიფოებრივი წყობის საფუძველში ისეთი ტენდენციებისა და საწყისების შეტანას, რომელიც სამართლიანი, სწორი და მარადიულია.

განაპირა მხარეების მართვის ხელმძღვანელობაში მიღებული უნდა იქნას ახალი, კონსტიტუციური სახელმწიფოების საერთო, ძირითად პრინციპებთან შეთანხმებული, სისტემა, კერძოდ: რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერს უნდა მიეცეს უფლება თავისუფლად, საერთორუსული ტენდენციების თავსმოხვევის გარეშე, იმართებოდეს, ვითარდებოდეს და თავის ცხოვრებას თავისი განვითარების, მიდრეკილებებისა და თავისებურებების შესაბამისად ანყობდეს. არ არსებობს არანაირი საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ამ პირობებში სახელმწიფოს შეიძლება ზიანი მიადგეს: დაიშალოს, მმართველობაში გაორება, ნინააღმდეგობა წარმოიშვას. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ არის არცერთი ისეთი ერი, რომლის ინტერესებშიც იქნებოდა რუსეთისაგან იზოლაცია, გამოყოფა. კერძოდ, ვინც ქართველი ხალხის ისტორია იცის, არ შეიძლება არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ქართველი ხალხი, თავისი განსაკუთრებული ისტორიული და გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული იყო საკუთარი ბედი სულიერად, რწმენითა და ტენდენციებით ახლობელი ხალხის – რუსების – ბედისათვის დაეკავშირებინა; ქართველ ერში, ისტორიულად ჩანერგილი რწმენიდან გამომდინარე, რუსი ერი დღემდე მეგობარ ერად ითელება, რომელთან ერთადაც ბედის განგებით საკუთარი ხანგრძლივი ისტორიული გზის გაელა უწევს. მაგრამ, მეგობრობა ხომ თანასწორობას, თავისუფლებას გულისხმობს, მეგობრობა მოიაზრება მაშინ, როცა არ არის იძულება, მეგობრობა შესაძლოა მაშინ, როცა არ ხდება ინდივიდიალურობის ხელყოფა, ადამიანის სულის წმინდა ნაწილის ხელყოფა, მისი წმინდათაწმინდას ხელყოფა. მხოლოდ საზოგადოებისა და ხალხის მიმართ არანორმალური, წმინდა პოლიციური შეხედულებების არსებობისას არის დასაშვები აზრი ამა თუ იმ ერის ტენდენციის საერთო სახელმწიფოს მიმართ დანაშაულებრიობისა და მავნებლობის თაობაზე. არცერთ ხალხს არა აქვს ანტისახელმწიფოებრივი განწყობა და მისწრაფება, სწორედ ისეთი, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა ან უნისონში არ იქნებოდა სახელმწიფოს შემადგენელი სხვა ელემენტების საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან. ყველა კულტურული ხალხის მთავარი, ძირითადი მოთხოვნა: სწორი, მოსახლეობის უმრავლესობის მსოფლმხედველობისა და განვითარების შესაბამისი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება, სამართალწარმოების შემოღება, რამდენადაც შესაძლებელია, ისევ და ისევ მოსახლეობის უმრავლესობის მომზადების შესაბამისად, სამართლიანია; განათლების მოსახერხებელი, ადვილი და ხელმისაწვდომი საშუალებების განვითარება, გასაგებ, ხელმისაწვდომ და მოსახლეობის მასის მიერ ადვილადშეთვისებად მშობლიურ ენაზე; სრულყოფისაკენ მიმართულ ზრუნვასა და შრომაში ჭეშმარიტი წარმომადგენლების მონაწილეობა, სახელმწიფოებრივი დაწესებულებების განვითარება იმ კანონების შემუშავების თვალსაზრისით, რომელიც დაარეგულირებს მომწიფებულ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, რომელიც ეხება, როგორც ყველას, საერთოდ, საერთო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ, ასევე მის ცალკეულ რაიონებს. საერთო იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი ხალხის უფლებების ეს ელემენტარული და განუყოფელი საწყისები, მხოლოდ შრომისა და სამსახურების სწორი განაწილების პირობებში შეიძლება იყოს განხორციელებული და ცხოვრებაში გატარებული, ისეთი წესრიგის დამყარების შემთხვევაში, რომელიც საერთო მთავრობასთან თანამშრომლობისათვის სახელმწიფოს ყველა ფენისა და ნაწილის შემოქმედებითი და ცოცხალი ძალების მიზიდვას შეძლებს. ამ მხრივ ერთადერთი, ისტორიულად გამოცდილი და სწორი, ყველა საშუალებაზე უფრო ნაღდი არის საკუთარი ინდივიდუალური თავისებურებებით, ისტორიული ტრადიციებით, ჩვეები-

თა და ტენდენციებით გამორჩეული ყოველი ერისათვის სრული შიდა თვითმმართველობის ბოძება, რაც გამოიხატება საკუთარი მომწიფებული, განსაკუთრებული ცხოვრებისეული ურთიერთობების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ნორმების მინიჭებაში. ეს უფლება არათუ არ აკნინებს საერთოიმპერიულ უფლებებსა და ღირსებებს, არამედ საშუალებას აძლევს მას, უფრო სწორად და უფრო სამართლიანად შეასრულოს საკუთარი მოვალეობები და ძალზე უნარიანად, კარგად დააკმაყოფილოს მის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის მოთხოვნილებები.

მმართველობის სხვა სწორი სისტემა არ შეიძლება არსებობდეს: ან ბიუროკრატიულ-ცენტარალისტური რეჟიმის ძველი წესრიგი, რომელიც თავის პირდაპირ მიზნად იძულებისა და ძალადობის გზით საერთოსახელმწიფოებრივი მიზნებისადმი მორჩილების გამოწვევას ისახავს, ან კონსტიტუციურ პრინციპზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ყველასათვის ყველა საქმეში თავისუფლების მინიჭებას გულისხმობს, იმ საქმეებში, რომლებიც შიდა წესრიგის მოწყობასა და ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეხება.

სამართლიანობისა და სისწორის გარდა ასეთი წესრიგი ერთადერთი სასარგებლოა საერთოიმპერიული მიზნებისათვის: მხოლოდ სახელმწიფოს ყველა ნანილისათვის თავისუფალი მმართველობის მინიჭების სისტემაში შეიძლება განხორციელებულ იქნას ეკონომიკური მოძღვრების იდეალი: „მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა". მართვის ცენტრალისტური ფორმის პირობებში სახელმწიფოს ცალკეული რაიონების ეკონომიკური მმართველობის გონივრული განხორციელება შეუძლებელია: მოშორებულობა, ადგილობრივი პირობების უცოდინარი პირების მოუმზადებლობა ყოველთვის აისახება სხვადასხვა საქმეზე; ადგილობრივი ინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაჭრა ყოველთვის დამუხრუჭდება; საქმის სწორი ვითარების გასაცნობად მიმოწერებისა და მივლინებების არასაჭირო და დამქანცველ პროცედურას მხოლოდ ზედმეტი ხარჯების, დროისა და შრომის უშედეგო ხარჯვის გამოწვევა შეუძლია, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ამ წესრიგს, ზიანის გარდა, არანაირი სიკეთისა და სარგებლის მოტანა არ შეუძლია. საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის რაოდენ მავნებელი და დამლუპველია ცენტრალისტური მმართველობის სისტემა, ამის განსჯა შემდეგი მაგალითებით შეიძლება: ქუთაისის გუბერნიაში, შოროპნის მაზრაში, დაბა ჭიათურაში 11 წელზე მეტია გახსნილია მანგანუმის უმდიდრესი საბადოები. ხარისხის მიხედვით ჭიათურის მანგანუმი უკონკურენტოა და მას, ნორმალურ პირობებში, მსოფლიო გასაღების ბაზარზე გამორჩეული ადგილის დაკავება შეუძლია; დაბა ჭიათურიდან დღევანდელ პირობებში მხოლოდ 25-30 მილიონი ფუთი მანგანუმი გადის, ხოლო სპეციალისტების დასკვნით წლიურად 100-120 მილიონი ფუთის გატანაა შესაძლებელი. მაგრამ ცენტრალური მმართველობის მხრიდან სისტემატიური და დაჟინებით შენარჩუნებული, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის არასასარგებლო და პირდაპირ გამაკოტრებელი მართვისა და განაწილების მეთოდების წყალობით ქუთაისის გუბერნიაში მანგანუმის წარმოება მსოფლიო გასაღების ბაზარზე არათუ გაბატონებულ მდგომარეობას არ იკავებს, არამედ თანდათან გამოიდევნება იქიდან და ხშირად გასაღების ადგილსაც კი ეერ პოულობს. ცენტრალური მმართველობის უუნარობის, გაუცნობიერებლობის, უდარდელობის წყალობით მანგანუმის წარმოებაში ისეთი წესრიგი დამყარდა, რომ ადგილობრივ მეწარმეებს მხოლოდ თაღლითური ხრიკების მეშვეობით თუ შეუძლიათ ამ წარმოებიდან სარგებლის მიღება: 1 ფუთი მანგანუმის მოპოვება და გასაღების ადგილამდე მიტანა 5-6 კაპიკი ჯდება, ხოლო რკინიგზაზე საბაზრო ღირებულება 6-6,5 კაპიკია. ბუნებრივი ამბავია, რომ მსგავს პირობებში სწორი კომერციის წარმართვა შეუძლებელია. და რატომ ხდება ეს: 38 ვერსზე მანგანუმის გადატანის ტარიფად დანესებულია 7 კაპიკი მაშინ, როცა ამავე მანგანუმის ფოთიდან ინგლისში – რამოდენიმე ათასი ვერსის დაშორებით – გადატანა 3 კაპიკზე მეტი არ ჯდება. ცენტრალური მმართველობის მიერ შექმნილი პირობები მხოლოდ უცხოელი კაპიტალისტებისათვის აღმოჩნდა სასარგებლო, ამიტომ მანგანუმის ექსპორტით დაკავებულ ყველა მეწარმეს შორის, ადგილობრივებიდან და, საერთოდ, რუსეთის ქვეშევრდომი მეწარმეებიდან 3 ადამიანიც კი არ არის, არადა მოსახლეობის ინტერესებზე, ადგილობრივი მეწარმეებისათვის პირობების შემსუბუქებაზე ყურადღების მიქცევის შემთხვევაში სახელმწიფო შეუდარებლად დიდ სარგებელს მიიღებდა და ის მილიონები, რომელიც ახლა უცხოელების ჯიბეებში მიდის, რუსეთის იმპერიის საზღვრებში, ადგილობრივ მოსახლეობას, დარჩებოდა; ეს ცენტრალისტური მმართველობის უთვალავი მაგალითიდან ერთია. ასეთი სისტემის წყალობით, რუსეთი, 2 გუბერნიიდან – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, რომლებიც ამჟამად ყოფილ ქართულ სამეფოს წარმოადგენენ, 30 მილიონ რუბლზე მეტს იღებს, ზედმეტს იხდის გაზრდი-



ნიკოლოზ თავდგირიძე

ლი ადმინისტრაციული ჩინოვნიკების შტატისა და სამხედროების შენახვისათვის და ამ ბუნებრივად ნაყოფიერი მხარიდან, ზარალის გარდა, არანაირი სარგებლის მიღება არ შეუძლია. ცენტრალური მმართველობის მიერ ბუნებრივი სიმდიდრეების განკარგვის უცოდინრობის და უუნარობის რელიეფურ მაგალითად გამოდგება სოხუმის ოლქში შექმნილი მდგომარეობა: შავი ზღვის სანაპიროს უმდიდრესი რაიონი, რომელიც მდიდარია ძვირფასი ჯიშების ხელუხლებელი ტყეებით, მაგალითად: წინვოვანი, მუხის, პალმის, რომლის ტერიტორიიდან 500 ათასი დესეტინა მხოლოდ სახელმწიფო აგარეკებია, დღემდე ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩება; ზღვის ნაპირიდან, ქალაქ სოხუმიდან, 40 ვერსში ქვანახშირის უმდიდრესი საბადო მდებარეობს, რომელიც გამოცდილი ექსპერტების განსაზღვრით, საუკეთესო ხარისხისაა, ე. წ. ტყვარჩელის ქედზე, რომელიც მთელ 20 ათას დესეტინა მინის ფართობზეა გადაჭიმული და მხოლოდ ცენტრალური მმართველობის მხრიდან ადგილობრივი მნარმოებლების შეფერხებისათვის შექმნილი მძიმე პირობების წყალობით მთელი ეს სიმდიდრე გამოუყენებელი, არაექსპლუატირებული, განუკარგველი რჩება. თავად ქალაქი სოხუმი კლიმატის სინაზიდან, სირბილიდან და ნიადაგის სიმდიდრიდან გამომდინარე, რაც ყველაზე ძვირფასი ტროპიკული მცენარეებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენების პირობებს ქმნის, განვითარებისა და სხვადასხვა ძვირფასი პროდუქტებით როგორც მთელი ევროპის, ასევე რუსეთის მომარაგების მხრივ სარფიან პირობებში მყოფი ქვეყნებისათვის, სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან (საფრანგეთის სამხრეთი, იტალია, ესპანეთი), კონკურენციის განევის საშუალებას იძლევა. ქალაქი სოხუმი ბევრად უფრო ველურ, მიტოვებულ მდგომარეობაშია, ვიდრე აფხაზეთის მფლობელ ბოლო მთავრების – შერვაშიძეების დროს იყო, სწორედ სხვა რწმენის ხალხების მხრიდან მუდმივი თავდასხმებისა და ომების პერიოდში, რომელებიც ემუქრებოდნენ ნესრიგსა და მშვიდ შრომას, რაც ასე აუცილებელია ბინადარი ცხოვრებისათვის. ძვირფასი კულტურების განვითარებისათვის და შავი ზღვის მთელი სამხრეთაღმოსავლეთ სანაპიროსათვის ეგოდენ მნიშვნელოვანი კომერციული პორტის აშენებისათვის ცენტრალურ მთავრობას უმნიშვნელო თანხა დაენანა, რომელიც დროის ხანმოკლე პერიოდში მეტობით, ასმაგად, შეიძლებოდა ყოფილიყო დაბრუნებული. იმავე დროს იგივე მმართველობა, ამა ქვეყნის ძლიერთა საამებლად, გაგრაში არისტოკრატიული კურორტის მოსაწყობად, მდიდარი და განებივრებული პირების დროსტარებისათვის ათობით მილიონებს უკონტროლოდ და ყოველგვარი გათვლის გარეშე ხარჯავს.

ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი მოსაზრებების გათვალისწინებით, განაპირა მხარეების მართვის სისტემა რადიკალურად უნდა შეიცვალოს, კერძოდ: ჭუმშარიტი, არჩეული, მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლების მეშვეობით სწორად და უნარიანად, მხარის სასიცოცხლო ინტერესებისა და ერების თავისებურებების შესაბამისად, საერთო იმპერიის ცალკეული ნაწილები საკანონმდებლო ფუნქციის მქონე სრული შიდა თვითმმართველობის ე. ი. ავტონომიის მეშვეობით იმართებოდეს. საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების საკითხში ერთადერთი წინააღმდეგობა შეიძლება იყოს გათვალისწინებული, კერძოდ: კავკასია ბევრი ტომითაა დასახლებული და რომ საერთოკავკასიურ მმართველობაში შემავალი ერთი ერისათვის პრივილეგიის მინიჭება უსამართლო და შეუძლებელია, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზოგადად, ავტონომიის შესახებ საკითხის განხილვისას, ჩვენ ძირითადად საერთო იმპერიის კეთილმოწყობითა და სარგებლით უნდა ვიხელმძღვანელოთ. იმპერიის დეცენტრალიზაცია იმისთვისაა საჭირო, რომ სახელმწიფოს ცალკეული ნაწილები უფრო მოსახერხებლად, სწორად იმართებოდეს: საკანონმდებლო ინიციატივა,



სოხიმის ხედი

რომელიც ერთი ეროვნების კომპაქტური მასით დასახლებულ ცალკეულ რაიონებს მიენიჭება, აუცილებელია იმისათვის, რომ მოსახლეობას თავს არ მოახვიონ ისეთი კანონები, რომელიც მასის საერთო სულისკვეთებასა და ხასიათს არ შეესაბამება და, პირიქით, საკანონმდებლო ნორმებით ისეთი მოვლენები გამოიწყოს, რომელიც თვითმყოფადი ცხოვრებითა და ამ ხალხების განვითარების თავისებურებებით წარმოდგება. საერთო კავკასიური სეიმი ან საბჭო აუცილებლად რუსული ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ უშუალო მიმართულების მიცემისა და რეგულირების პირობებში უნდა არსებობდეს; მაგრამ, თუ დავუშვებთ აზრს, რომ კანონები კავკასიის ყველა რაიონისათვის მხოლოდ სეიმში შეიძლება გამოიცემოდეს, რომლის მუშაობაში კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ერის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ეს საქმის წარმატებისათვის, ქვეყნის პროგრესის თვალსაზრისით, არაა სასურველი.

ავიღოთ მაგალითი: დავუშვათ, რომ საერთო კავკასიურ სეიმში განიხილება ქალების თანასწორუფლებიანობის საკითხი მისი სასურველი გაგებით წარმატებით გადაჭრის მიზნით ე. ი. ქალებისათვის უფლებების მინიჭების თვალსაზრისით, ქართულ და სომხურ საზოგადოებებში ამ მხრივ ნიადაგი სრულიად მომზადებულია, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ოთხმილიონიანი მუსლიმური მოსახლეობის წარმომადგენლებს ექნება, ხოლო მათთვის, თუნდაც თეორიული მტკიცებისა და დამოძღვრის გზით, კანონების მოხვევა, რომელიც მოსახლეობის მასის სულისკვეთებასა და რწმენა-წარმოდგენებს არ შეესაბამება, არასასურველი და უსამართლოა; მეორეს მხრივ, აგრარული და შრომითი საკითხების გადაჭრისას ქართველი და სომეხი წარმომადგენლები დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებების მომხრეები იქნებიან: ქართველი მოსახლეობისათვის აგრარული საკითხის გადაჭრა არა მარტო გადაუდებელი აუცილებლობის საქმეა, არამედ – სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრის გზაზე გარემოებები იმდენად გამძაფრებული და კულმინაციურ განვითარებამდეა მიყვანილი, რომ ყველა მემამულეც კი, კერძო მესაკუთრეები, რომლებმაც ამ საკითხის სწორად გადაჭრისაგან შეიძლება იზარალონ, საბოლოოდ შეეგუნენ თავიანთ ბედს და მორჩილად, ყოველგვარი რეაგირების გარეშე, მხარეში რაიმენაირი წესრიგის დამყარებას ელიან, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაეხსნან ამ საკითხს, რომელიც მათი სიმშვიდისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს; ამასობაში, თუკი ეს საკითხი საერთოკავკასიურ წარმომადგენლობით დაწესებულებაში იქნება განხილული, მაშინ მის სასურველ და, ყოველ შემთხვევაში, სწრაფ გადაჭრას არანაირად არ უნდა ველოდეთ. ამიტომ, საქმის ინტერესებშია, აუცილებელია, როგორც საერთო იმპერიის, ასევე მის შემადგენლობაში შემავალი ერების

კულტურული განვითარების წარმატებისათვის, ცალკეული ერებისათვის შიდა თვითმმართველობის ფარგლებში ფართო თავისუფლების მინიჭება მხარის საერთო ინტერესებისათვის საერთო, იმპერიის ძირითადი კანონებით რეგულირებადი, დანესებულების შექმნით. განაპირა მხარეების მართვის ერთადერთი რაციონალური და სწორი სისტემის – ცალკეული ერებისათვის სრული შიდა თვითმმართველობის, ავტონომიის, მინიჭების – განხორციელება, ყველა ზემოთ მოტანილი დასკვნებისა და მოსაზრებების გარდა, სამართლიანი და კანონიერია საქართველოსთან მიმართებაში და მისი ისტორიული უფლებებიდან გამომდინარეობს. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო თავისი უკანასკნელი მეფეების და მთავრების სახით რუსეთს იურიდიულად გაფორმებული, თანამედროვე საერთაშორისო ნორმების თანახმად ალიარებული, ტრაქტატის (გეორგიევსკის ტრაქტატი – ვ.გ.) საფუძველზე შეუერთდა, რომელიც ეკატერინა II-ის დროს გაფორმდა და შემდგომი იმპერატორების პაველისა და ალექსანდრ I-ის მიერ იყო დამტკიცებული.

გუიანდელი, გიორგი XII-ის დროინდელი რუსი მმართველების მითითებით შესწორებული, ხელშეკრულების მესამე პუნქტშიც კი ხაზი ესმება მოთხოვნას, რომ „ქართული სამეფოს შიდა ცხოვრებაში არავინ ერევა." (იხ. ტრაქტატი და ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარი პუნქტების მე-6 მუხლი, სამეგრელოსა და გურიის მთავრების სათხოვარი პუნქტების მე-2 მუხლი, იმერეთის მეფის სათხოვარი პუნქტების მე-2 მუხლი და აფხაზეთის მთავრის სათხოვარი პუნქტების მე-4 მუხლი). აფხაზეთის (დღევანდელი სოხუმის ოკრუგის) ხელშეკრულების პირველი პუნქტი გვამცნობს: „მე, აფხაზეთის კანონიერი მფლობელი, საკუთარი სინდისის წინაშე პასუხისმგებლობას ვიღებ და შევდივარ ქვეშევრდომობასა და სამსახურში, როგორც სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის მემკვირდრეობითი ქვეშევრდომი."

ქართველ მთავრებთან დადებული ხელშეკრულებების პუნქტები ფორმალურად, საერთაშორისო სამართლის ყველა წესის დაცვით, იყო რატიფიცირებული. აი, იმპერატორ ალექსანდრ I-ის ჭეშმარიტი სიტყვები: „თქვენ მიერ ხელმოწერილი ყველა პუნქტის და რუსულად თარგმნილი ასლის, რომელიც სიტყვა-სიტყვით არის მიმაგრებული ჩვენი ნყალობის სიგელზე, კეთილად მიღებისათვის, ვამტკიცებთ მათ იმპერატორის სიტყვით ჩვენი და ჩვენი მაღალი მემკვიდრეების სახელით, სრული ძალით, სამარადჟამოდ, ურყევად."

ის, რაც ეპატიება და დასაშვებია თვითმპყრობელი, შეუზღუდავი მთავრობისათვის, მიუღებელი და შეუსაბამოა კონსტიტუციური სახელმწიფოსათვის, რომელიც საკუთარი წარმატების მთავარ პირობად საერთო სახელმწიფოს, რომლის ინტერესებსაც გულწრფელად და გაუყალბებლად უნდა ემსახურებოდეს ყველა მოქალაქე, მონყობისა და განვითარებისათვის ყველა მიწვეულის ნებაყოფლობით, თავისუფალ თანხმობას მიიჩნევს. ტრაქტატით საქართველოსათვის გათვალისწინებული ყველა უფლებისა და პრივილეგიის სრულად განხორციელებას, განსაკუთრებით დინასტიურის, რუსეთი სულაც არ ესწრაფვის, ქართველი ხალხის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს სრული მორალური და იურიდიული საფუძველი აქვთ შეახსენონ რუს ხალხს, რომ ქართველმა ხალხმა ასი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად შეასრულა საკუთარი მოვალეობები და რომ ახლა, რუსულ ცხოვრებაში ბედნიერი ეპოქის დადგომის ჟამს, აუცილებელია რუსეთის იმპერიისადმი საკუთარი ნებით ბედის მიმნდობი ხალხის უფლებებზე ფიქრი.

Записка, поданная Сухумским городским головою Кн. Н. К. Тавдгириде в бюро съезда земских и городских представителей, относительно необходимости проведения в государственный строй России принципа строгой децентрализации

Всякое действие, каждую практическую программу и, вообще, деятельность истинных представителей русскаго народа нужно разсматривать и оценивать в настоящее время с точки зрения тех общих принципов и устоев, которые должны лечь в основание будущаго государственнаго строя России. Манифестом 17 Октября 1905 года оффициально провозглашена полная гражданская и политическая свобода для всех подданных Российской Империи без различия национальностей и вероисповедания. Благо и нормальное развитие России зависит в будущем от того, насколько правильно, прямолинейно и широко будут проводиться в жизни эти основные начала человеческих прав. Правильное развитие России тесно связано с тем, наскольно искренно, неподдельно и без принуждения будут привязаны к общей империи отдельныя национальности, входящия в состав ея. Политика не знает, не терпит снисхождения, благотворительности, сентиментальности. Глубоко заблюждается тот, искусственными приемами, дипломатически хочет загладить, замолчать, снять с очереди правильное разрешение национальнаго вопроса в России; делается и осуществляется в политике именно то, что в данную историческую эпоху необходимо и неизбежно. Кто объективно и хоть

немного критически рассматривал, изучал систему Управления русским государством, практиковавшуюся в течении довольно продолжительнаго периода русской истории, тот не может не констатировать того факта, что так править и так вести государственныя дела, как это было до сих пор, никоим образом нельзя. Нет партии и нет разумной части общества такой, которая могла бы защищать тот строй, тот порядок, который существовал до сих пор, поэтому простая, здравая логика требует того, чтобы отвергнуть, раз навсегда забраковать ту программу деятельности, которую руководствовалась до сих пор доживающее ныне свой век полицейско-бюрократическое Правительство. Известно, что характерною особенностью системы Управления отживающаго режима было то, чтобы искусственным путем, насилием, угрозами и принуждением заставлять подчиняться и служить общеимперским интересам, а ведь всякое принуждение, насилие вызывает и развивает чувство злобы, антагонизма и стремление к противодействию. Всякая здравая и разумная политика должна опираться на справедливом, истинном, никогда неизменяющемся принципе: что проходяще и шатко, то непрочно, нежелательно и не выгодно. Силою угроз и принуждения, вызываемое настроение, содействие при первом удобном случае может быть изменено, парализовано.

Всякий преданный и искренно сочувствующий делу благополучнаго устройства русской государственной жизни должен всеми средствами стараться внести в основу государственнаго строя такия тенденции и начала, которыя справедливы, правильны и вечны.

Нужно принять в руководство для Управления окраинами новую, согласованную с общими, основными принципами конституционных государств, систему, именно: нужно предоставить всем, входящим в состав Российской Империи, национальностям, свободно, без навязывания им общерусских тенденций, управляться, развиваться и устраивать свою жизнь сообразно с своим развитием, своими склонностями и особенностями. Нет никакого основания предполагать, что при этих условиях Государство может потерпеть, может распасться, установиться в управлении раздвоение, противоречие. Нет в составе Российской Империи ни одной национальности такой, в интересах которой было бы обособление, выделение от России. В частности, кто знает историю грузинскаго народа, тот не может не прийти к тому заключению, что грузинский народ, в силу исключительных исторических и географических своих положений, принужден был связать свою судьбу с судьбою близкаго ему по духу, вере и тенденциям народа _ русскаго; в грузинском народе, в силу важности исторически внедреиных народу понятий, до сих пор считается русский народ дружеским народом, с которым силою судеб приходится совершать свой долгий исторический путь. Но, ведь, дружба включает в себе понятие равенства, свободы, дружба мыслима тогда, когда нет принуждения, дружба возможна тогда, когда нет посягательств на индивидуальность, на сокровенную часть человеческой души, на ея святая-святых. Только при существовании ненормальных, чисто полицейских взглядов на общество и народ, _ допустима мысль о преступности и вредности для общаго государства тенденций той или другой национальности, нет ни у одного из народов антигосударственных настроений и стремлений, именно таких, которыя бы противоречили другим или не шли в унисон с нуждами и потребностями других элеметнов, составляющих государство. Главное, основное требование всех культурных народностей: установление среди населения, правильнаго, сообразно с понятием и развитием большинства населения, административнаго Управления, введение судопроизводства, насколько возможно, согласно с подготовкой опять таки большинства населения, справедливаго; развитие удобных, легких и дешевых средств образования на понятном, доступном и легковоспринимаемом массой населения родном языке, непосредственное участие истинных представителей в заботах и работах, направленных на усовершенствование, развитие государственных учреждений, в выработке законов, регулирующих назревшия жизненныя отношения, касающиеся, как всех, вообще, живущих на территории общаго государства, так и отдельных его районов. Все эти элементарныя и не отъемлемыя начала прав каждаго народа, входящаго в состав общей империи, могут быть осуществлены действительно и применены к жизни только единственно при условии правильнаго и свободнаго распределения труда и работ, при установлении таких порядков, которые дадут возможность привлекать на помощь к содействию общему правительству творческия и живыя силы всех отдельных слоев и частей государства. В этом смысле единственное, проверенное в истории и правильное, верное повсюду средств _ есть дарование каждой народности, отличающейся своими индивидуальными особенностями, историческими

традициями, привычками и тенденциями, полнаго внутренняго самоуправления в правом надзвать для регулирования своих назревших, особых жизненных отношений законодательныя нормы. Этот порядок не только не умоляет прав и достоинств общеимперских, но дает ей возможность правильнее и справедливее выполнять свои обязанности и вполне умело, хорошо удовлетворять потребности всех народов, входящих в состав ея.

Другой правильной системы Управления не может быть: или старый порядок _ бюрократическо-централистическаго режима, ставившаго своей прямой целью путем принуждений и насилий вызывать подчинение общегосударственным целям, или основанная на конституционном принципе система предоставления свободы всем во всех делах, касающихся устройства внутренняго порядка и удовлетворения жизненных потребностей.

Помимо справедливости и правильности такого порядка, он единственно может быть полезен и выгоден для общеимперских целей: только при системе предоставления свободнаго управления всем частям государства может быть осуществлен идеал экономическаго учения: при «наймеиьших затратах, достичь наибольших результатов»; при централистической форме правления никоим образом нельзя осуществить разумнаго экономнаго управления отдельными районами государства. Отдаленность, неподготовленность лиц, незнакомых с местными условиями, всегда будет отзываться на положение разных дел; разрешение вопросов, имеющих важное значение для местных интересов, всегда будет тормозится; ненужная и томительная процедура переписок и командировок для ознакомления с правильным положением дел, может вызывать только лишние расходы и непроизводительную трату времени и труда, а для общегосударственных интересов, эти порядки, кроме вреда, никаких удобств и пользы принести не могут. Насколько для общегосударственных интересов вредна и пагубна система цетралистическаго Управления можно судить из следующих примеров: в Кутаисской губернии, Шоропанском уезде, в мест[ечко] Чиатури более 11-ти лет открыты богатейшие рудники марганца, по качеству своему марганец чиатурский стоит вне конкурса и он легко, при нормальных условиях, мог занять исключительное место на мировом рынке сбыта; из мест[ечко] Чиатуры при нынешних условиях вывозится только 25-30 миллионов пудов марганца, а по заключению специалистов может быть вывезен ежегодно 100-120 миллионов пудов. Но, благодаря только систематически, упорно продолжающимся, невыгодным и прямо разорительным для местных производителей приемам управления и распоряжения со стороны центральнаго управления, марганцевая промышленность в Кутаисской губ[ернии] не только не занимает господствующаго положения на мировом рынке, но постепенно вытесняется оттуда и часто не находит даже места сбыта. Благодаря неумелости, неосведомленности, безпечности центральнаго Управления, для марганцевой промышленности установились такие порядки, что только путем машеннических проделок можно местным производителям извлечь пользу из этого предприятия: Добыча и подвозка к месту сбыта пуда марганца обходится 5-6 коп[еек], а рыночная цена на железной дороге 6-6½ к[опеек], естественное дело, что правильную коммерцию, при подобных условиях, нельзя вести. А происходит это почему: тариф на провоз марганца на 38 верст установлен 7 коп[еек], тогда как доставка этого же марганца из Поти до Англии _ на несколько тысяч верст _ обходится не более 3 к[опеек]. Создаваемыя центральным управлением условия оказались благоприятны только для иностранных капиталистов, поэтому из всех промышленников, занимающихся экспортом марганца, местных и, вообще, русско-подданых предпринимателей нет и 3-х человек, а между тем при обращении большого внимания на интересы населения, на облегчение всех условий местным производителям, государство могло бы выручить несправненно большия выгоды и местному населению, в пределах Российской Империи, остались бы все те миллионы, которые теперь поступают в карманы иностранцев; этот пример представляет собою один из безчисленных образцов системы централистическаго управления. Благодаря такой системе, Россия, получая из 2-х губерний _ Тифлисской и Кутаисской, представляющих ныне территорию бывшаго грузинскаго царства до 30 миллионов руб[лей], переплачивает на содержание усиленнаго штата административных чиновников и войска и, кроме убытка, никакой выгоды не может извлечь их этого, благодатнаго по своим природным дарам, края. Рельефным примером неумелости и неспособности центральнаго Управления утилизировать природныя богатства может служить положение дел в Сухумском Округе: богатейший район Черноморскаго побережья, изобилующий девственным лесом ценных пород, как-то: хвойнаго, дубоваго, самшитоваго (пальмоваго) пространством,

одных казенных дач 500 тыс[яч] дес[ятин], остается до сих пор без всякаго внимания; в 40 вер[стах] от берега моря _ гор. Сухума находится богатейший источник каменнаго угля, по определению опытных экспертов, найлучшаго качества, так называемаго Ткварчельскаго хребта, раскинутаго на всем пространстве 20 тыс[яч] дес[ятин] земли и только, благодаря тяжким, исключительно для тормоза местных производителей создаваемым условиям со стороны центральнаго управления. Все это богатство остается до сих пор нетронутым, неэксплоатируемым, неутилизируемым. Сам город Сухум по нежности, мягкости климата и богатству почвенных условий, дающих возможность прививать, развивать самыя ценныя, тропическия растения и сельско-хозяйственныя культуры и тем конкурировать с находящимися в исключительно благоприятных условиях, по снабжению как всей Европы, так и России, разными ценными продуктами, странами, именно: южными частями Европы (югом Франции, Италии и Испании) находтся теперь гораздо более в диком, заброшенном состоянии, чем был во времена последних владетельных князей Абхазии _ князей Шервашидзе, именно в период постоянных нашествий и войн со иноверцами, непрерывно угрожавшими порядку и спокойной работе, столь необходимой для оседлой жизни. На развитие ценных культур и устройство столь необходимаго для всего Юго-Восточнаго побережья Чернаго Моря коммерческаго порта центральное Правительство пожалело незначительной суммы, которая могла быть возмещена с избытком, во-стократ, в непродолжительный период времени, а в тоже самое время это же самое Управление, в угоду велиюм мира сего, тратит безконтрольно и без всяких разсчетов десятки миллионов на устройство аристократическаго курорта в Гаграх для время препровождения богатых и изнеженных особ.

В виду приводимых мною выше соображений, система Управления окраінами должна быть изменена радикально, именно: в смысле предоставления, истинным избранным представителям большинства населения правильно и умело, сообразно с насущными интересами края и особенностями национальностей, управлять отдельными частями общей империи, при посредстве полнаго внутренняго самоуправления с законодательною функциею т. е. автономией. В вопрос о представлении автономии Грузии может быть предусмотрено единственное возражение, именно: Кавказ населен многими племенами и что предоставление одной национальности, входящей в состав общекавказскаго Управления, привилегий представляется несправедливым и невозможным, но, в данном случае, как вообще, при разсмотрении вопроса об автономии, мы должны руководствоваться главным образом удобствами и выгодой общей империи. Децентрализация империи необходима для того, чтобы удобнее, правильнее управлять отдельными частями государства: законодательная инициатива, предоставляемая отдельным районам, населенным компакутною массою, одной национальности, необходима для того, чтобы не навязывать на селению таких законов, которые не соответствуют общему духу и характеру массы и, наоборот, оттенять и отмечать законодательными нормами такия явления, которыя выдвигаются самобытною жизнью и особенностью развития этих народов. Общий Кавказский сейм или Совет под непосредственным направлением и регулированием представителя русской власти необходимо должен быть; но, если допустить мысль, что законы для всех районов Кавказа могут издаваться только в сейме, где участвуют все представители разных национальностей, населяющих Кавказ, то это для успеха дела, в смысле прогресса страны, нежелательно.

Возьмем пример: положим, что в общекавказском сейме разсматривается вопрос о равноправности женщин для успешнаго разрешения этого вопроса в желательном смысле, т. е. в смысле предоставления прав женщинам, вполне подготовлена почва в грузинских и армянских обществах, но в проведении этого вопроса будут иметь решающее значение представители 4-х миллионнаго мусульманскаго населения, а навязывать им, хотя бы путем теоретических убеждений и наставлений, законы, которые не соответствуют духу и верованиям массы населения, нежелательно и несправедливо; с другой стороны, в разрешении аграрнаго и рабочаго вопроса грузинские и армянские представители будут придерживаться диаметрально противоположных направлений: для грузинскаго населения немедленное разрешение аграрнаго вопроса не только дело настоятельной важности, но и вопрос жизни или смерти: обстоятельства по пути разрешению этого вопроса настолько обострены и доведены до кульминационнаго своего развития, что даже все помещики, частные собственники, могущие потерпеть от правильнаго разрешения этого вопроса, окончательно примирились с своей судьбою и кротко, без всяких реагирований, ждут водворения какого нибудь порядка Управления в крае, чтобы раз навсегда развязаться с этим, составляющим в настоящее время

камень преткновенья их спокойствию и мирному житию, вопросом; а между тем, если этот вопрос будет разсматриваться в общекавказском представительном учреждении, то благоприятнаго и, во всяком случае, скораго разрешения его никаким образом нельзя ожидать; поэтому, в интересах дела, как для общей империи, так и в целях преуспеяния культурнаго развития входящих в состав ея национальностей, необходимо предоставление широкой свободы в пределах внутренняго самоуправления отдельным национальностям, создав для общих интересов края общее, регулируемое основными законами империи, учреждение. Осуществление единственной рациональной, правильной системы Управления окраинами _ предоставлением отдельным национальностям полнаго внутренняго самоуправления, в смысле автономии, помимо всех приводимых выше доводов и соображений, справедливо и законно по отношению Грузии и в силу исторических прав ея. Известен факт, что Грузия в лице своих последних царей и владетельных князей присоединилась к России на основании юридически оформленнаго, признаннаго, согласно существующим ныне условиям международнаго права, трактата, заключеннаго еще при Екатерине II и подтвержденнаго последующими императорами Павлом и Александром I.

В 3-м пункте даже позднейшаго, исправленнаго, согласно указаниям русских правителей при Георгие 12-м, договора прямо оттеняется требование, чтобы «во внутреннюю жизнь царства грузинскаго никто не вмешивался» (См. трак. арх. 6 просит. пункты: Карталино-Кахетинск., Мингрельск., Гурийск. 2, Имерет. 2 и Абхазск. 4). I-й пунк Абхазскаго (нынешняго Сухумскаго Округа) договора гласит: я, законный владетель Абхазии по совести моей обязываюсь и вступаю в подданство и службу, как наследственный подданый самодержца всея России».

Пункты договора с грузинскими владетельными князями были ратифицированы формально, по всем правилам международнаго права. Вот, подлинныя слова Императора Александра I: «Для благо приемля все статьи, Вами подписанныя и в копии с Российским переводом от слова до слова к сей Нашей жалованной грамоте прилагаемыя, утверждаем оныя Императорским нашим словом за нас и высоких преемников наших во всей силе на вечныя времена нерушимо».

То, что простительно и допустимо для Самодержавнаго, неограниченнаго Правительства, неприлично, несвойственно конституционной державе, ставящей в главное условие своего преуспеяния добровольное, непринуждаемое, свободное согласие всех, призванных устраивать и развивать общее государство, интересам котораго искренно и неподдельно должны служить все граждане. Нисколько недобиваясь в настоящее время осуществления полностью всех тех прав и привиллегий, особенно династических, которыя предусмотрены в трактах, истинные представители грузинскаго народа имеют полное нравственное и юридическое основание напомнить русскому народу, что грузинский народ добросовестно выполнил свои обязанности за сто лет и теперь, в период установления счастливой эпохи в русской жизни, необходимо подумать о правах добровольно вверившаго свою судьбу Русской Империи народа.

6. ეროვნული ავტონომიის საკითხი ილია ჭავჭავაძის „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის" პროგრამის პროექტში. ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და მონაწილეობით 1906 წლის იანვრისათვის შედგენილ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის" პროგრამის პროექტში ერთი, მე-10, განყოფილება, ასეა დასათაურებული: „ავტონომია რუსეთის სხვადასხვა ეროვნებისათვის". ცხადია, აქ, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ერი და საქართველო იგულისხმება. მეათე განყოფილება 11 მუხლისაგან შედგება, სადაც დანერილებითაა ნარმოდგენილი ავტონომიის არსი და ავტონომიური მმართველობა. მეტი სიცხადისათვის ამ მუხლებს მთლიანად მოვიტანთ:

„63. რუსეთში ახალის სახელმწიფო წყობილების დაარსებისთანავე ყველა ეროვნებათა და, კერძოდ, საქართველოს უფლება უნდა მიეცეს, დაამყაროს ავტონომიური მმართველობა.

64. ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობისა.

65. ავტონომიური საქართველოს საზღვრები უნდა აღნიშნოს საგანგებო კრებამ, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქების მიერ თავისუფლად არჩეულის დეპუტატებისაგან.

66. ავტონომიური საქართველოს საზღვრები უნდა დაამტკიცოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. ყველა საგანი, რომელიც მთელის რუსეთის სახელმწიფოსათვის საერთო იქნება, უნდა ექვემდებარებოდეს გადასაწყვეტად რუსეთის პარლამენტს. ამ სახით საქართველოს პარლამენ-

ტი არ უნდა შეეხოს შემდეგ საგნებს:

67. ა. რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესის უფლების წარმომადგენლისათვის საჭირო ხარჯს: ბ. ჯარისა და ფლოტის საქმეს; გ. პოლიტიკურ კავშირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელსამე სახელმწიფოსთან; ე. გარეშე საქმეთა პოლიტიკას; ვ. ბაჟის დადებას გარეშე საქონელზე: ზ. ქარხნებისა და საეჭვო კანონმდებლობას; Ä. არა-პირდაპირ გადასახადის კანონის გამოცემას; თ. რკინის გზებისა და სხვა გზების გაკეთებას, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქმნებიან აგებულნი და ი. ფულის მოჭრას.

68. ადგილობრივი საქართველოს პარლამენტი განაგებს შემდეგ საგნებს: ა. სწავლა-განათლების საქმეს; ბ. სამსაჯულოსა და ყველა ადგილობრივი კანონების გამოცემას, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებს; გ. ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლას ხმელეთზე თუ ზღვაზე; დ. ადგილობრივ ფინანსებს; ე. საავტონომიო უძრავ ქონებას; ვ. სტამბას; ზ. ფოსტა-ტელეგრაფსა და ტელეფონს; თ. ეკლესიას; ი. საზოგადო ჯანმრთელობის საქმეს და კ. ყველა სხვა საზოგადო და სახელმწიფო საქმეს.

69. საქართველოს პარლამენტი იმ წესითა და საფუძვლით უნდა იქმნეს არჩეული, როგორც რუსეთის პარლამენტი. აეტონომიურ საქართველოს რუსეთის საავტონომიურ ერებთან შეკავშირების უფლება უნდა ექმნეს იმ პირობით, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთელის სახელმწიფოს ინტერესებს.

70. როგორც სრულიად რუსეთის პარლამენტის წევრების პირობა, ისე საქართველოს პარლამენტისაც, ხელშეუხებელი უნდა იყოს პარლამენტის უსანქციოდ.

71. საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადო სახელმწიფო ხარჯში, რაც მის მცხოვრებლების რიცხვს პროპორციონალურად ხვდება და ამისათვის ხაზინისაგან უნდა გადასდებდეს განსაზღვრულ პროცენტს.

72. რუსეთის ხაზინას არა-პირდაპირის გადასახადისაგან მიეცემა საქართველოს ის პროცენტი, რომელიც ერგება მას მცხოვრებთა რაოდენობისდაგვარად.

73. რუსეთის მთავარ-მართებელი, დანიშნული უმაღლესის მთავრობისაგან, ყურს უნდა უგდებდეს, რომ აეტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს პარლამენტისაგან გამოცემული კანონები.

74. ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფო აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს".

7. აეტონომიის საკითხი არჩილ ჯორჯაძის ნაშრომში „ძველი და ახალი." 1906 წლის 18 მაისს არჩილ ჯორჯაძეს დაუსრულებია უაღრესად საყურადღებო ნაშრომი ''ძველი და ახალი", რომელიც იმავე წელს თბილისში გამოიცა კიდეც. 1906 წლისათვის არჩილ ჯორჯაძეს სერიოზული უთანხმოება ჰქონდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიასთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა პარტიის პროგრამის შემუშავების პროცესში. უთანხმოება გასცდა პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის ფარგლებს და იგი საკმაოდ ცხარე პოლემიკაში გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოციალისტ-ფედერალისტებთან პოლემიკაში ჩაბმული არჩილ ჯორჯაძე ანარქიზმის გავლენას განიცდიდა, ამ გავლენის კვალი ზემოთ ხსენებულ ნაშრომშიც იგრძნობა. ნაშრომს „ძველი და ახალი" არჩილ ჯორჯაძე ასე იწყებს: „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამჟამად კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის შესახებ გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ვგონებ, ამხანაგები არ დაგვემდურებიან შინაურ საქმეების გარეთ გამოფენისათვის, მით უმეტესად, რომ ამ „შინაურ საქმეებს" საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ." არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ეს კრიზისი ისეთივეა, როგორსაც განიცდიდნენ ევროპისა და რუსეთის სოციალისტური პარტიები. კრიზისის არსის გარკვევას ავტორი იწყებს სამი პრინციპის ჩამოყალიბებით. ავტორის აზრით, ამ სამი პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ყველა სოციალისტურმა პარტიამ:

1. „პირველი პრინციპი არის სახელმწიფოს უარყოფის საჭიროება სოციალიზმის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება კერძო საკუთრების დარაჯი. ამიტომ, ვინც სოციალიზმის განხორციელებას ცდილობს, იგი უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წრის გარეშე და სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი სოციალიზმის განხორციელების საქმეში არამც და არამც იარაღად არ გამოიყენოს."

2. „მეორე პრინციპი. სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს თავისი მისიის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებით. ბრძოლა უნდა იყოს მიმართული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა ნამოაყენოს საწარმოვო ყველა იარაღთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისათვის პარტია უნდა ემზადებოდეს დღესვე. საშუალება

– საყოველთაო გაფიცვაა. საყოველთაო გაფიცვა მოახდენს მინის და კაპიტალის ექსპროპრიაციას. ექსპროპრიაცია ნანილობრივ საზოგადო ექსპროპრიაციად უნდა გადაიქცეს".

3. „მესამე პრინციპი. სოციალისტურ ორგანიზაციას წმინდა კლასიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. სოციალისტური პარტია უნდა იყოს პარტია მწარმოებლებისა, მშრომელ ხალხისა, არა მარტო თავის იდეურ მიმართულებით, არამედ თავის შემადგენელ ელემენტებითაც. პარტიის ნევრებს წარმოებასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი. ეგრედ ნოდებული სოციალისტური ინტელიგენცია ხელმძღვანელი და ბატონი კი არ უნდა იყოს პარტიაში, არამედ მსახური და ხელქვეითი მწარმოებელ ორგანიზაციებისა."

ამ სამი პრინციპის განსაზღვრის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ნაკლოვანებებს განიხილავს. სწორედ ამ ნაკლოვანებების განხილვის დროს გამოხატავს იგი თავის დამოკიდებულებას ავტონომიზმისა და ფედერალიზმის მიმართ. არჩილ ჯორჯაძე წერს: „არის ფედერალიზმი ბურჟუაზიული და ფედერალიზმი სოციალისტური." ფედერალიზმის ამ ორ სახეს შორის ავტორი პრინციპულ განსხვავებას ხედავს: „ფედერალიზმი ბურჟუაზიული არის კავშირი ბურჟუაზიულ სახელმნიფოებისა ანუ კანტონებისა. სოციალისტური ფედერალიზმი არის კავშირი მშრომელ ამხანაგობათა და ორგანიზაციათა. ბურჟუაზიული ფედერალიზმი ხელუხლებელ ჰყოფს სოციალურ უთანასწორობას, არ არღვევს იმ წყობილებას, რომელიც კერძო საკუთრებასა და ყელეფა-გლეჯაზეა დამყარებული. სოციალისტური ფედერალიზმი ძირს უთხრის კერძო საკუთრებას, ასაზოგადოვებს შრომის იარაღს – მიწას და ქარხანას. გასაზოგადოებული საწარმოო იარაღი მშრომელთა ორგანიზაციების ხელში გადადის." როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა სოციალისტის მსჯელობაა. ავტორი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ფედერაციული ერთეულის შექმნის გზებზე კი არ საუბრობს, არამედ – იმას არკვევს, თუ რომელი ფედერაცია სჯობია, –ბურჟუაზიული თუ სოციალისტური. ცხადია, სოციალისტური ფედერაცია მხოლოდ რუსეთის სოციალისტურ სახელმნიფოში იქნებოდა შესაძლებელი, იმ სახელმნიფოში, რომელიც ჯერ არ არსებობდა, და არავინ უწყოდა, როდის ნარმოიქმნებოდა. **არჩილ ჯორჯაძე არ აყენებს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ფედერაციული ერთეულის, ანუ ავტონომიური ერთეულის, დაუყოვნებლივ შექმნის საკითხს და საბოლოოდ მას სოციალიზმის გამარჯვებას უკავშირებს.** ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე რაიმე ორიგინალურს არ გვთავაზობს, იგი ამოდის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ აღიარებული დებულებიდან: ეროვნული საკითხი მას შემდეგ გადაიჭრება, რაც გადაიჭრება სოციალური საკითხი, დამყარდება სოციალიზმი.

გაცილებით საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა ეროვნების, ავტონომიისა და ფედერაციის შესახებ. ავტორი ნერს: „მაშ, შეეეხოთ ჯერ სახელმნიფოს, სახელმნიფოებრივ ნიადაგზე მოქმედებას, ხოლო თავდაპირველად ავიღოთ კონკრეტული კითხვა – ეროვნება, ეროვნული ავტონომია, ავტონომიათა ფედერაცია და ვნახოთ, რა სახით უნდა განვმარტოთ ეს კონკრეტული მოვლენა ანტი-სახელმნიფოებრივ თეორიის მიხედვით." ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე თავად არჩილ ჯორჯაძის შეხედულება ასეთია:

„თანამედროვე ეროვნებას ბევრნაირი თვისება აქვს: ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, ენა, საერთო მართვა-გამგეობის ძალა, კაპიტალიზმი, განსაზღვრულ ეროვნულის თვით შეგნება. მაგრამ არც ერთი თვისება, კერძოდ აღებული, არ ჰქმნის ხალხს ერად, არ ჰბადებს მასში ეროვნულ გრძნობას."

– „ტერიტორიას, მაგალითად, ეროვნების შექმნის პროცესში დიდი ადგილი უჭირაეს, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც უკვე შექმნილია ეროვნება, და უკვე დაბადებულია ეროვნული თვითშეგნება, ტერიტორიას ეკარგება თავისი მნიშვნელობა. ხალხს, რომელსაც უკვე აქვს ამგვარი შემეცნება, შეიძლება, ტერიტორია აღარ ჰქონდეს, ხოლო იგი მაინც ერად რჩება(მაგალითად, სომხები და ებრაელები)."

– „ზნე-ჩვეულებაც არ არის ძირითადი ფაქტორი ეროვნების შექმნის საქმეში. ზოგ ხალხს აქვს საერთო ზნე-ჩვეულება, მაგრამ ეს ხალხი ეროვნების შემეცნებამდე ვერ ამაღლებულა."

– „არც ენა არის აუცილებელი პირობა ეროვნულ გრძნობის განვითარებისათვის. ხშირად ერთ ტერიტორიაზედ რამდენიმე სხვა და სხვა ენაზედ მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს, ხოლო ეს ხალხი თავის თავს ერთ ერად აღიარებს. შვეიცარიაში გერმანელები, იტალიელები და ფრანგები კი არ ცხოვრობენ, არამედ შვეიცარიელები, რომელთაც ერთი შვეიცარული თვით-შეგნება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამ ენას ლაპარაკობენ."

– „რაც შეეხება სახელმნიფოებრივ უფლებას, მართვა-გამგებლობის ძალას, არც მას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ამ საქმეში. ბევრი ერი არის პოლიტიკურ თვით-არსებობას მოკლებული."

– „კაპიტალიზმი ხელს უნყობს მის წარმო-



მიხეილ (მიხაკო) წერეთელი

შობვას, მის (ეროვნების – ე. გ.) წარმოშობვას, მაგრამ არც კაპიტალიზმია მთავარი ფაქტორი. ბევრ ხალხს ჯერ კიდევ ფეოდალურ ნყობილებაშიე ებადება ეროვნული შემეცნება. კაპიტალიზმი არ ჩაითვლება მიზეზად ეროვნულ თვით შეგნების დაბადებისა."

– „დარჩა თვითშემეცნების თვისება. როგორც ვნახეთ, იქ, სადაც თვით შემეცნება არ არსებობს, არც ერი არსებობს. ხოლო აშკარაა, არც თვითშემეცნების თვისება არის დამოუკიდებელი, პირველ-ყოფილი ფაქტორი. ეროვნული თვითშემეცნება ნაყოფია ცხოვრების მრავალგვარ მოვლენათა ზედგაელენისა. და ამ მრავალგვარ მოვლენათა შორის მატერიალურ ხასიათის ფაქტორებს უპირატესი ადგილი უჭირავთ."

არჩილ ჯორჯაძის მიერ ჩამოყალიბებულმა დებულებებმა გავლენა მოახდინა ბევრ ავტორზე, რომელთაც ერის განმარტება სცადეს, მათ შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, იოსებ ჯუღაშვილი და აკაკი ჩხენკელი. ზემოთ მოტანილი საინტერესო დებულებების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე მოულოდნელად ისევ რუსულ სოციალ-დემოკრატიაში დამკვიდრებულ შეხედულებას იზიარებს: „ეროვნება არის განსაზღვრულ ხალხში (ან ხალხებში, როგორც შეიცარიაში) აღორძინებულ ნათესაობის და მთლიანობის შეგნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ეროვნების ცხოვრებაში სხვა მოვლენასაც აქვს ადგილი, იმგვარ მოვლენას, რომელიც ამ ნათესაობის და მთლიანობის საფუძველს არღვევს. სახეში გვაქვს ხალხის მოპირდაპირე კლასებად დაყოფა და ამის გამო წამომდგარი კლასობრივი მეტოქეობა და ბრძოლა. ამრიგად, ეროვნება თითქოს ერთობაც არის და ამავე დროს ბრძოლის ნიადაგიც. ისტორიის განსაზღვრულ საფეხურზედ ეროვნება მონინააღმდეგე კლასთა თითქოს დამაკავშირებელი ძალაა. მაგრამ დგება დრო, როდესაც კლასთა განხეთქილება უფრო ძლიერია, ვიდრე ეროვნების დამაკავშირებელი ძალა. ასე რომ, ეროვნება თავის სიღრმეშივე შეიცავს დარღვევის და სიკვდილის ფესვებს".

როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძემ უარყო ილია ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების", „კლასთა თანამშრომლობის" იდეა და, რაც მთავარია, „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეა, რომელიც მან თავად წამოაყენა და რომელსაც თავგამოდებით იცავდა კიდეც XX საუკუნის დამდეგს. უფრო მეტიც, არჩილ ჯორჯაძე აშკარად განიცდის კოსმოპოლიტიზმის გავლენას, რომელსაც ასევე თავგამოდებით ებრძოდა რამდენიმე ნლის წინ. ნაშრომში ეკითხულობთ: „თუ ეროვნება სხვა და სხვა კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა, ამ ძალას მხოლოდ იმ დრომდე ექნება მნიშვნელობა, სანამ კლასთა შორის ორმო არ გაღრმავდება და ბრძოლაც არ გაფიცხდება. ხოლო, რაკი ამგვარი ბრძოლა გაჩაღდება, იგი ბრძოლა კლასთა გაუქმებით დაბოლოვდება. კლასთა გაუქმება კი ეროვნების გაუქმებას გამოიწვევს, რადგან, როგორც ვსთქვით, ეროვნება კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა. რაკი ამ ძალას ნიადაგს გამოაცლით, ეროვნებაც თან გაპყვება. მაშინ ეროვნულ თვითშემეცნების ადგილს კაცობრიობის თვითშემეცნების აზრი დაიჭერს."

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე, სოციალისტ-ფედერალისტებთან პოლემიკაში ჩაბმული, აშკარად განიცდის საერთაშორისო ანარქიზმის, რუსული სოციალ-დემოკრატიისა და კოსმოპოლიტიზმის გავლენას.

ნაშრომში „ძველი და ახალი" არჩილ ჯორჯაძე ცდილობს უპასუხოს კითხვას: „რანაირად უნდა ვეკიდებოდეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების მონწესრიგებას?" ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ავტორი აკრიტიკებს სოციალ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატების შეხედულებებს ავტონომიისა და ფედერაციის თაობაზე: „სოციალ-დემოკრატები არსებითად წინააღმდეგები არიან ერთისა და მეორისაც. სოციალ-ფედერალისტები არ იცავენ

სოციალისტურ ფედერაციას, ხოლო სახელმწიფოებრივ ფედერაციასაც ღალატობენ." ამის საპირისპიროდ, არჩილ ჯორჯრჯაძე ამტკიცებს: „ჩვენ ვამბობთ, ეროვნული, გინდა ოლქობრივი (კავკასიის) ავტონომია სახელმწიფოებრივი დანესებულებაა. სახელმწიფო (არისტოკრატიული გინდ დემოკრატიული) კერძო საკუთრების, კაპიტალისტურ ნყობილების მცველია. სოციალისტური პროლეტარიატი და გლეხობა ებრძვის და ძირს უთხრის კერძო საკუთრებას და კაპიტალისტურ ნყობილებას. მაშასადამე, თუ სოციალისტებმა ხელი შეუნყვეს სახელმწიფოებრივი ხასიათის ავტონომიის დაარსებას, ისინი თავიანთი ინტერესების ნინააღმდეგ ნავლენ." მაშასადამე, არჩილ ჯორჯაძე ნინააღმდეგია როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს ავტონომიის, ანუ ფედერაციული ერთეულის, შექმნისა, თუკი იარსებებს კერძო საკუთრება (კაპიტალისტური ნყობილება), რადგან ამ შემთხვევაში ავტონომია ან ფედერაცია სახელმწიფოებრივი დანესებულება იქნებოდა, მაშინ, როდესაც პროლეტარიატი და გლეხობა ომს უცხადებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, „რადგან იგია დარაჯი ექსპლუატატორებისა და დაუძინებელი მტერი კომუნისტური ნყობილებისა"

ზემოთ მოხსობილი საკმაოდ რთული მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ცდილობს საკითხი გაამარტივოს ისე, რომ ზემოთ დასმულ უმთავრეს კითხვაზე („რანაირად უნდა ვეკიდებოდეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების მონესრიგებას?") გადაჭრილი პასუხი არ გაუცია, იმავე საკითხს სხვაგვარად აყენებს: „მაშ, რუსეთში რომ ზოგიერთ ერს და პროვინციებს (და მათ შორის საქართველოს და კავკასიას) ავტონომიები მიენიჭოს, სასურველი იქნება ეს მოვლენა თუ არა? – ფრიად სასურველი. მხოლოდ, აი, რა მხრივ: ავტონომიურ ნაწილებად რუსეთის დაყოფვა მოასნავებს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის უფლების დაყოფვას. და ეს უკანასკნელი კი მოასნავებს ამ უფლების შესუსტებას. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია რევოლუციისთვის ფრიად საგულისხმო პირობებს შექმნის." უფრო მარტივად ავტორის აზრი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **ავტონომია და ფედერაცია იმიტომ არის საჭირო, რომ მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია, რაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას გააადვილებდა.**

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე 1906 წელს მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის (ფედერაციული ერთეულის) შექმნას.

8. ავტონომიის საკითხი გიორგი ჟორდანიას ნაშრომში „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია". 1906 წლის სექტემბერში თედო ჟორდანიას ვაჟს, განათლებით იურისტ გიორგი ჟორდანიას მოსკოვში დაუსრულებია მცირე ნაშრომი **„აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია (მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა)".** ნაშრომი ბროშურის სახით იმავე წელს დაბეჭდილა ქუთაისში, მაგრამ გამოცემა ხელისუფლებას აუკრძალავს და ტირაჟიც არ გაურცელებულა. ბროშურა მეორედ გიორგი ჟორდანიამ 1917 წელს დაბეჭდა უცვლელად.

ნაშრომის დასაწყისში გიორგი ჟორდანია აღნიშნავს: „არა ერთხელ და ორჯერ აღძრულა ქართულს პრესაში საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ. ბევრი საგულისხმო წერილი დაიბეჭდა ამ საგანზე. ბევრი იმის დასამტკიცებელი საბუთი იყო ნამოყენებული, რომ საქართველოს ესაჭიროება ავტონომიური თვითმმართველობა, რომ უამისოდ მისი წინსვლა მუდამ შეფერხებული იქნება, რომ ამას მოითხოვს ადგილობრივ მუშა-ხალხის ინტერესებიც და სხვ. და სხვ., – ერთის სიტყვით, საგნის თეორეტიული და რამდენადმე პრაქტიკული მხარეც ამ-უამად საკმარისად გამორკვეულია; მხოლოდ ჯერ თითქმის არა თქმულა-რა მის იურიდიულს მხარეზე, აქა-იქ თუ გაკვრით იტყოდა ვინმე, რომ საქართველოს, სხვათა შორის, უფლებაცა აქვს მოითხოვოს სრული თავისუფლება შინაურ საქმეების მონყობაშიო, თორემ ეს საკითხი განკუთვნილად და ვრცლად თითქმის არავის განუხილავს, მიუხედავად იმისა, რომ ის ფრიად საინტერესო და საგულისხმიეროა." გიორგი ჟორდანიას თავისი მიზანი ასე აქვს განსაზღვრული: „ჩვენ მხოლოდ გვინდა დავასაბუთოთ ის აზრი, რომ საქართველოს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ავტონომია, რომ ეს უფლება დამყარებულია მტკიცე, შეურყეველ ისტორიულ-იურიდიულ საფუძველზე, რომელთა სინამდვილეში ეჭვიც არავის შეუძლია შეიტანოს." ავტორს მხედველობაში ჰქონდა 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული მფარველობითი ხელშეკრულება(ტრაქტატი). საქართველოს ავტონომია, გიორგი ჟორდანიას აზრით, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე უნდა აღდგენილიყო, თუმცა ნაშრომში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატს იურიდიული ძალა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოზე ჰქონდა. თუ დავუშვებთ, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (იმპერატორი, სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო, მინ-



გიორგი ჟორდანია შვილებთან ერთად

ისტრთა საბჭო) დასთანხმდებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენას, აუცილებლად დაისმებოდა საკითხი: **საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რომელ ნაწილზე ვრცელდებოდა ტრაქტატით განსაზღვრული პირობები?** პასუხიც ნათელი იქნებოდა – გეორგიევსკის ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო და ფორმალურად მას იურიდიული ძალა არ გააჩნდა იმერეთის სამეფოზე, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებზე, ასევე – რუსეთ-ოსმალეთის ბუქარესტის (1812 წ.), ადრიანოპოლის (1829 წ.) ზავებითა და ბერლინის კონგრესის(1878 წ.) გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე – სამცხე-საათაბაგოზე, აჭარაზე, ართვინზე. გარდა ამისა, არცთუ დამაჯერებელია გიორგი ჟორდანიას მსჯელობა მაშინ, როცა იგი დაჟინებით ცდილობს გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში ავტონომიური მმართველობის საფუძველი დაინახოს. გეორგიევსკის ტრაქტატი ორ სუვერენულ სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო, რომლის ძალითაც, ქართლ-კახეთის სამეფო ავტონომიურ ერთეულად კი არ იქცა, არამედ დარჩა რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესულ სახელმწიფოდ უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებით (მეფე, კათოლიკოს-პატრიარქი) სათავეში, თავისი საკანონმდებლო, სასამართლო და საფინანსო სისტემით, ოღონდ მნიშვნელოვანი შეზღუდვებით საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით.

საესებით მართალია გიორგი ჟორდანია, როცა ამტკიცებს, რომ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით უხეშად დაირღვა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, ფეხქვეშ გაითელა ქართველი ერის სუვერენული უფლება.

გიორგი ჟორდანია, მას შემდეგ, რაც დამტკიცებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საფუძვლად შეიძლებოდა გეორგიევსკის ტრაქტატი გამომდგარიყო, დაასკვნიდა:

„დღეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია საქართველოს თვითარსებობის აღდგენა იმ სახით, რა სახითაც იგი რუსეთს შეუერთდა ამ ას ოცდა თოთხმეტი წლის წინ.

მაშინ საქართველო წარმოადგენდა მონარქიას, მართვა-გამგეობა ქვეყნისა სწარმოებდა მონარქიულის ნესით, მეფე იყო გამომხატველი ერის ნებისყოფისა, სიმბოლო ქვეყნის მთლიანობისა, სუვერენობისა.

დღეს-კი ერი უნდა ერობდეს, ეროვნულ ბედის გამგებლობა მარტოოდენ თვით ერისაევე საქმე უნდა იყოს, მთელმა ერმა, ყოველმა მისმა შემადგენელმა ნანილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ ბედის გადაწყვეტაში.

ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ, საქართველოს დათრგუნულ უფლებათა აღდგენას, ჩვენ ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება-კი არ გვინდა, მეფობის და ბატონ-ყმობის დაბრუნება-კი არ გვსურს, როგორც ამას ხანდისხან დაუფიქრებლად ნამოისერიან ხოლმე ჩვენის მრწამსის მოწინააღმდეგენი.

ჩვენა გვსურს, რომ ის, რაც 1783 წელს ეკუთვნოდა საქართველოს მეფეს, როგორც ქვეყნის სუვერენობის სიმბოლოს და განმახორციელებელს, ყველა ის უფლება ენიჭება ტრაქტატით საქართველოს სამეფოს და ძალდატანებით ჩამოერთვა მას, – დაუბრუნდეს დღეს ქართველს ერს, რომლის ერთად-ერთ კანონიერ წარმომადგენლად და გამომხატველად ჩაითვალოს მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრით.

ამ კრებას მას, მარტო მას და არა რომელსამე წოდებას, კლასს, ან პოლიტიკურ პარტიას– შეუძლიან ილაპარაკოს მთელი ერის სახელით, იყვეს ერთად-ერთი კანონიერი და, ამასთან, უზენაესი წარმომადგენელი სრულიად საქართველოსა."

გიორგი ჟორდანიას ნაშრომი იმით არის საყურადღებო, რომ მან არა მარტო კანონიერად მიიჩნია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, არამედ განსაზღვრა მისი მმართველობის ფორმა. საქართველოს ავტონომიაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია ქართველი ერის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა მინიჭებოდა.

9. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი, წარდგენილი 1907 წლის საერთაშორისო კონგრესზედ ჰააგაში“. რუსეთის იმპერატორი ნიკოლაი II საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მონვევის ინიციატივით გამოვიდა. კონფერენცია 1899 წელს მიმდინარეობდა ქ. ჰააგაში. მის მუშაობაში მონაწილეობდა 26 სახელმწიფო: **რუსეთი, ოსმალეთი, ჩგერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდი, ბელგია, შვეიცარია, შვეცია, დანია, ბულგარეთი, სერბია, ჩერნოგორია, საბერძნეთი, პორტუგალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ჩინეთი, სიამი, ირანი, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა.** სამშვიდობო კონფერენციაზე ხელმოწერილი იქნა 3 კონვენცია: საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ; სახმელეთო ომის წარმოების კანონების შესახებ; საზღვაო ომზე 1864 წლის 10 აგვისტოს ჟენევის კონვენციის გაერცელების შესახებ.

1907 წლის 15 ივნისიდან 18 ოქტომბრამდე ქ. ჰააგაში მეორე საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაც გაიმართა. მასში 44 სახელმწიფო მონაწილეობდა: **ავსტრია-უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩგერმანია, დანია, იტალია, ესპანეთი, ჩინეთი, მექსიკა, ნიდერლანდი, ნორვეგია, ოსმალეთი, ირანი, რუსეთი, სერბეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იაპონია, არგენტინა, გვატემალა, ურუგვაი** და სხვ. საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო 13 კონვენცია: საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ; საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ; სახმელეთო ომის კანონების შესახებ; სახმელეთო ომის შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფოების მთავრობებისა და პირების უფლება-მოვალეობათა შესახებ; საზღვაო ომის დროს ნეიტრალური სახელმწიფოების მთავრობების უფლება-მოვალეობების შესახებ და სხვ.

ჰააგის საერთაშორისო კონფერენცია დიდ მოლოდინს წარმოადგენდა. მის მნიშვნელობას ზრდიდა ის, რომ კონფერენცია პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მსოფლიოს ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბების ფონზე შეიკრიბა. კონფერენცია იმ დროს მიმდინარეობდა, როცა რუსეთში რევოლუცია უკვე დამარცხებული იყო და მძვინვარებდა რევოლუციაში მონაწილე



ოლივერ უორდროპი

სოციალურ და ეროვნულ ძალთა რეპრესიები. რეპრესიებს განიცდიდა ქართული ეროვნული მოძრაობაც. პირველ რიგში, – **ავტონომისტები** და **ავტოკეფალისტები**. რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნის პერსპექტივა მინიმუმამდე შემცირდა. ეროვნული ძალები დარწმუნდნენ, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება საქართველოს ავტონომიას არ უბოძებდა. ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლაში მოკავშირე საერთაშორისო ასპარეზზე ეძებათ. გადაწყდა, ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციისათვის მიემართათ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1907 წლის 15 ივნისს გაიხსნა. ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა შეიმუშავა დოკუმენტი: **„საქართველოს ხალხის მემორანდუმი, წარდგენილი 1907 წლის საერთაშორისო კონგრესზედ ჰააგაში“**. ტექსტის შემუშავების შემდეგ დაიწყო მასზე ხელმონერა. ერთი ცნობით, მემორანდუმს ხელი სამი ათასამდე კაცმა მოაწერა. **ოლივერ უორდროპის** დახმარებით მემორანდუმი ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს, თუმცა სავსებით გასაგები მიზეზების გამო საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს ხალხის მემორანდუმზე არ უმსჯელია და

არც რაიმე გადაწყვეტილება მიუღია. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში.

„საქართველოს ხალხის მემორანდუმი, წარდგენილი 1907 წლის საერთაშორისო კონგრესზედ ჰააგაში“ იწყება სიტყვებით:

„სამართლისა და საერთაშორისო უფლების სახელით ჩვენ, მამულიშვილნი საქართველოისა, ერთ უძველეს საქრისტიანო და დამოუკიდებელ ერისა, მოგმართავთ მემორანდუმით მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა წარმომადგენელთ, ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზედ შეკრებილთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ერის ხმა არ დარჩება უყურადღებოდ და უთანაგრძნობოდ, აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ჩვენ სამართლიან და კანონიერ დავაში რუსეთის საიმპერატორო მთავრობასთან შბარს დაგვიჭერთ და განიხილავთ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლებს, რომელიც დადებულ და ფორმალურად დამტკიცებულ იყო საქართველოს თავისუფალ სამეფოისა და რუსეთის იმპერიის შორის, და რომელიც რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ დაარღვია.“

ამ შესაელის შემდეგ მემორანდუმში მოკლედ არის წარმოდგენილი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წელს მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) დადების ისტორია, მისი არსი და იმპერატორ პაველ I-ისა და ალექსანდრ I-ის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის – საერთაშორისო ხელშეკრულების – დარღვევა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. მემორანდუმის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველომ, როგორც რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულმა სამეფომ, ავტონომიური მმართველობის უფლება მიიღო და ეს უფლება რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრ I-ის, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ძალით დაკარგა.

მემორანდუმში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის კოლონიური პოლიტიკის არსზე, მის მიმართულებებზე:

„სწორედ ამ დროიდან რუსეთის საიმპერატორო მთავრობის მოქმედება შეიქმნა საქართველოს უფლებათა განუწყვეტლივ დარღვევად. ჩვენი საკუთარი უმაღლესი მთავრობა მოსპეს და მისი ადგილი დაიჭირა რუსულმა ბიუროკრატიულმა და სამხედრო ნეს-წყობილებამ(...), უკვე 50 წელიწადია, რაც მოსპეს სასამართლოში საქმეთა წარმოება ქართულად და შემოიღეს რუსული სასამართლო რუსულს ენაზედ, რითაც ჩვენ ხალხს სრულიად წაერთვა ყველა მოქალაქეობრივი უფლებანი. ჩვენი სამშობლო ენა განაძევეს ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებათაგან, სკოლებიდან და რამოდენიმედ ეკლესიებიდანაც. ჩვენი ქართული სამხედრო სისტემა მოსპეს და შემოიღეს რუსული, საყოველთაო, სავალდებულო სამხედრო ბეგარა და ჩვენი ახალ-გაზრდობა იგზავნება სამხედრო ბეგრის მოსახდელად ევროპის რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში და ციმბირში. იქ იგი პავის სისასტიკის მსხვერპლად ხდება და 47%-ზე მეტი მათგანი შინ ცოცხლად ეელარ ბრუნდება.

ჩვენს უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიას, წინააღმდეგ კანონიურ კანონთა და მსოფლიო დადგენილებათა, ახადეს ყველა უფლებანი და წაართვეს მთელი ქონება. ჩვენი ტაძარნი, უძველესნი ისტორიულნი ნაშთნი საქართველოს ხელოვნებისა და ხუროთ-მოძღვრებისა, გაძარცვეს, გაქურდეს და ისე არიან მიყრუებულნი, რომ მათი შეკეთებაც აღარ შეგვიძლია, რადგანაც მთელი შემოსავალი ჩვენ საეკლესიო მამულთაგან, რომელიც უდრის წლიურად 2 400 000 მანეთს, რუსის მთავრობას მიაქვს.

არც ერთი რეფორმა, რომელიც საიმპერატორო მმართველობამ განახორციელა რუსეთში, გარდა ბატონ-ყმობის მოსპობისა, საქართველოში მას არ შემოუღია: ჩვენ ჯერ არა გვაქვს ნაფიც მსაჯულთა დაწესებულება, არა გვაქვს საერობო თვითმმართველობა, არა გვყავს ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლე და სხვა.“

მემორანდუმის შემდგენლები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ რუსეთში მიმდინარე რეფორმებით ქართველმა ერმა ვერ ისარგებლა: „ქართველებისათვის ახლად დამკვიდრებული კონსტიტუციაც (იგულისხმება 1905-1906 წლებში რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებში შეტანილი ცვლილებები – ე. გ.) დაცინვად გახდა, რადგან ორ მილიონ ქართველს ერგო მხოლოდ შვიდი დეპუტატის გაგზავნის უფლება სახელმწიფო სათათბიროში.“

მემორანდუმი საქართველოში 1905-1906 წლებში რუსეთის დამსჯელი ექსპედიციების თარეშის ფონზე იწერებოდა. დოკუმენტის შემდგენლებს სურდათ შექმნილი აუტანელი ვითარება საერთაშორისო კონფერენციისათვის ეცნობებინათ: „ეს ორი წელიწადია უკვე, რაც საქართველოში სამხედრო წესებია გამოცხადებული. ქვეყანა

გაგვიძარცვეს, გაგვინადგურეს, ქვეყანა გაგვიუპატიურა ჯარმა და ყაზახ-რუსობამ. ჩვენი აღყვავებული კუთხეები – გურია, სამეგრელო, იმერეთი და ქართლი, ზოგან მთლად და ზოგან ნაწილად გაძარცვეს, გააუპატიურეს და გადასწვეს. ჩვენი ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ზესტაფონი, ხონი, ჭიათურა და ას ოთხი სოფელი და დაბა ან მთლად ან ნაწილად აგრეთვე გადაპბუგეს და გაძარცვეს. ვენახები, ბაღები და სამეურნეო საწყობები სრულიად მოსპეს; საძონელი დაგვიკლეს და გაიტაცეს; ასი-ათასობით გლეხობა შიშველ-ტიტველა დასტოვეს ღვთის ანაბარად, ასობით უდანაშაულო ადამიანები უნყალოდ დახოცეს; ხალხი ტყეებში და მთებში , რადგან ძალ-მომრეობასა და ბარბაროსობას საზღვარი და დასასრული აღარა ჰქონდა. ამ ბარბაროსობისა და ძალ-მომრეობის მსხვერპლად ხშირად ქალებიც ხდებოდნენ, რაიცა ქვეყანას ემცნო იმ მოწოდებით, რომლითაც ქართველმა ქალებმა მიმართეს მთელი ქვეყნის გათლებულ ერთა ქალებს".

მემორანდუმის შემდგენლებს არც 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროში, 22 ოქტომბერს გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე და 22 დეკემბერს ნაძალადევში რუსეთის ჯარისა და რუსი შავრაზმელების მიერ მონყობილი ხოცვა-ყლეტა დავიწყებიათ: „თბილისშიაც კი, ჩვენ სატახტო ქალაქში, მთავარ-მართებლისა და უმაღლესი ადმინისტრაციის თვალ წინ, მათის ნებითა და შთაგონებით, სამჯერ მოახდინეს უწყალო ყლეტა: 29 აგვისტოს, 22 ოქტომბერსა და 22 დეკემბერს 1905 წელს."

რეპრესიების მოკლედ, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავად წარმოდგენის შემდეგ მემორანდუმის ავტორები აცხადებდნენ: „ასეთი დევნა, ასეთი დაჩაგრა, ასეთი სასოწარკვეთილება, ასეთი სირცხვილი და დამცირება საქართველოს ერს არ გაუცდია თემურ-ლენგის შემოსევის დროიდან."

საქართველოში შექმნილი ტრაგიკული ვითარების დახატვის შემდეგ მემორანდუმის შემდგენლები უშუალოდ სათქმელზე გადადიან: „ასეთ სასონარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა ერმა გადასწყვიტა დაეყენებინა რუსეთის მთავრობის ჩვენში უკანონო მოქმედებათა საკითხი ევროპისა და მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა წარმომადგენლების სამსჯავროს წინაშე: რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ დაარღვია საერთაშორისო დამოკიდებულებათა ძირითადი კანონები, რომელთა მორჩილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის საერთა-შორისო უფლების ძალით." მემორანდუმის ავტორებმა მიანიშნეს, რომ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით ოსმალეთის ბატონობისაგან თავი დაიხსნეს, ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და კულტურულ კაცობრიობას შეუერთდნენ ბულგარეთი, რუმინეთი და სერბეთი. მემორანდუმში გამოთქმულია რწმენა, რომ ევროპა, საერთოდ, კულტურული კაცობრიობა დახმარებას აღმოუჩენდა ქართველ ერს: „საქართველოს ერს იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საქმეს ყურადღებას მიაქცევენ, თანაუგრძნობენ, გადასწყვეტენ სამართლიანად და ევროპა აიძულებს რუსეთს, დაემორჩილოს საერთა-შორისო უფლების წესებს და რუსეთის პროტექტორატის ქვეშე თანახმად ზემოხსენებულ ხელ-შეკრულებათა დაგვიბრუნოს ქართველებს ჩვენი ტერიტორია და აღგვიდგინოს ნართმეული ჩვენი ეროვნული ავტონომია."

ამრიგად, მემორანდუმი ითხოვდა რუსეთის იმპერატორის მიერ უკანონოდ გაუქმებული საერთაშორისო ხელშეკრულების – 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის – პირობებზე დაყრდნობით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნას და ევროპის გაელენიანი ძალების ჩარევის შედეგად ჩვენში არსებული განუკითხაობისა და ძალმომრეობის აღკვეთას. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ერის ეს უკანასკნელი ცდაც დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა"...

10. ირაკლი წერეთელი ავტონომიის შესახებ. ქართველი სოციალ-დემოკრატები რევოლუციის დამარცხების შემდეგაც არ წყვეტდნენ ბრძოლას საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ. 1907 წელს გამოვიდა ირაკლი წერეთლის ბროშურა „ისტორიული წერილები". ავტორი პირდაპირ შეტევაზე გადადის: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? ეს არის მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისათვის (და მაშასადამე, ქართველებისათვისაც)სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლებისა? არა... ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის" – აი, მოკლედ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი... მათ სურთ ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისათვის საქართველოს საზღვრებში." ირაკლი წერეთელი დუმს იმის შესახებ, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ისტორიულ მინა-წყალზე ქართველები მოკლებუ-

ლი იყვნენ მშობლიურ ენაზე განათლებას, საქართველოში მოქმედებდა რუსული კანონები და სასამართლოში საქმის წარმოებაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იმავე მდგომარეობაში იყვნენ კავკასიის სხვა ერებიც.

1908 წელს ჟურნალ „ცხოვრების სარკის" მეათე ნომერში ირაკლი წერეთელი კიდევ ერთხელ დაესხა თავს საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეას: „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რაგინდ დემოკრატიული იყოს იგი, წარმოადგენს ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერ კავკასიის ერთა შორის ნაციონალური ბრძოლის დაკანონებას." ავტორის აზრით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მიზანს წარმოადგენდა: „ქართველების გაბატონებულ კლასების მმართველ კლასად გამოცხადება, ხოლო ამ კლასების პრინციპი კი სხვა ნაციის წინააღმდეგ გალაშქრება, სხვა მასზე უფრო სუსტი ნაციის დეენაა." ირაკლი წერეთელი ფედერალისტებს ასეთ ბრალდებას უყენებს: „ფედერალისტებს სახეში აქვთ მარტო ქართველი ერი და მით ემზგავსებიან ყველა ერის, როგორც დამორჩილებულის, ისე გაბატონებულის, ნაციონალისტებს". ავტორის მსჯელობა, თუნდაც იგივე ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, არასდროს ყოფილა ღრმა და საფუძვლიანი. ყოველგვარ ლოგიკას და ობიექტურობას მოკლებული ქართველი სოციალ-დემოკრატის ბრალდებები იმდენად უსუსური იყო, რომ სერიოზული ოპონირების ღირსადაც არ თვლიდნენ. 1907 წლისათვის ირაკლი წერეთელი უკვე საბოლოოდ მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების მქადაგებლად მოევლინა საზოგადოებას.

11. ნოე ჟორდანია ავტონომიის შესახებ. ნოე ჟორდანიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1904 წელს დაწერილ ნაშრომში **„ქართველი ნაციონალისტები"** პრინციპულად მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეა. პოზიცია ქართველ სოციალ-დემოკრატს არც მომდევნო წლებში შეუცვლია. საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა ნოე ჟორდანიამ 1908 წელს გამოცემულ ნაშრომში **„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი"** გააგრძელა. ეს ნაშრომი თავისი ხასიათით კიდევ უფრო ნიჰილისტურია, ვიდრე 1904 წელს გამოცემული „ქართველი ნაციონალისტები". ნოე ჟორდანია ასე იწყებს მსჯელობას: „იშვიათია ისეთი ერი, სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გასაჯაილი არ ქონდეს. ნაციონალიზმის მაგარი ბუდე, განსაკუთრებით დამორჩილებული, სხვის უღელქვეშ მყოფი ერებია. საკმარისია გავიხსენოთ პოლონელები, რომელთაც თითქმის დაპატრონებია შოვინისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და ჩვენი მეზობელი სომხები, რომლებიც დაშნაკცუტუნის ბატონობისაგან ჯერაც ვერ გამოსულან." როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია უარყოფით მოელენად მიიჩნევს პოლონელებისა და სომხების ეროვნულ მოძრაობას, განსაკუთრებით კი იმას, რომ რუსეთისაგან დაპყრობილ ამ ორივე ერში დიდი გავლენა სწორედ ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიებს მოუპოვებიათ. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, როგორადაც ნოე ჟორდანია თავისი მშობელი ერის ნაციონალურ მისწრაფებებს აფასებს: „სულ სხვაა ჩვენში. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორადაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორიც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია(...). ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო და ამიტომ არასოდეს ინტელიგენციას არ გაშორებია(...). ქართველი ხალხის გაღვიძება ნაციონალიზმის დროშის ქვეშ ვერ მოხდა. საჭირო იყო ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა, მისი ასე თუ ისე ცნობა და ნაციონალიზმის ახალ ქერქში გახვევა. ეს იტყვირთა ამ 5-6 წლის წინათ ჩვენმა ინტელიგენციამ. პირველად ის გამოვიდა დემოკრატათ, შემდეგ – ნაციონალ-დემოკრატათ (გულისხმობს 1901 წელს „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის სახელით გამოცემულ პროკლამაციას და იმავე წელს გამართულ ნაციონალ-დემოკრატების კრებას – ვ. გ.), შემდეგ – სოციალისტ-ავტონომისტათ (გულისხმობს არჩილ ჯორჯაძეს და გაზეთ „საქართველოს"– ვ. გ.) და ბოლოს – სოც.-ფედერალისტათ(გულისხმობს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას – ვ. გ.)." ნოე ჟორდანია ირონიულად აღნიშნავს, რომ ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიათა მისწრაფება ყოველთვის რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი, ისევე, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატები, იდენტურ ცნებებად წარმოადგენენ „ნაციონალურს", „ნაციონალისტურს" და „შოვინისტურს" და თავი ისე უჭირავთ, თითქოს ამ ცნებებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ნოე ჟორდანია აღტაცებულია იმით, რომ „ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო, ის ამ ხონჩას შორს აგდებს." ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის უხეშ გაყალბებას

წარმოადგენს ნოე ჟორდანიას შემდეგი დასკვნა: „საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა, რომელიც წინეთ იყო ჩვენში და რაც მან კარგა ხანია დაგმო." მეტი დამაჯერებლობისთვის სრულიად ავტორმა უადგილოდ და ულოგიკოდ ორ აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიულ მოვლენას შორის გაავლო პარალელი: „საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, რაშიაც იხატება ჩვენი ინტელიგენციის მთელი ნაციონალიზმი, არსებითათ იგივე მოთხოვნილებაა, რომელიც კახეთის აჯანყებულ თავად-აზნაურობამ 1802 წ. ნამოაყენა. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ თხოულობდენ მეფეს სრულიად რუსეთისას და შემდეგ მეფეს საქართველოსას. ახლა– პარლამენტს რუსეთისას და პარლამენტს საქართველოსას; მხოლოდ პოლიტიკო-ნაციონალური შინაარსი კი ერთია. მაშასადამე, ეს დროშა სხვადასხვა ფორმით და სახელით უცვლელათ რჩება მთელი საუკუნის განმავლობაში."

მოვლენათა განვითარებამ უცილობლად დაადასტურა ერთი ჭეშმარიტება, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის უმთავრეს მოთხოვნა იყო და დარჩა საქართველოს ეროვნული ავტონომია, რომლისთვისაც ბრძოლა რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე არ შეწყვეტილა. ალბათ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ნოე ჟორდანიასაც მიუნია უკან დახევა, თუმცა საქართველოს ავტონომიის იდეა მას მაინც მოუღებლად მიაჩნდა და მხარს ამიერკავკასიის ავტონომიას უჭერდა.

§5. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში

რუსეთში **სახელმწიფო სათათბიროს** შემოღებასთან დაკავშირებით გადაწყდა **სახელმწიფო საბჭოს** რეფორმა. ნინათ სახელმწიფო საბჭოს წევრებს იმპერატორი ნიშნავდა. ამიერიდან იმპერატორის მიერ დანიშნულ წევრებთან ერთად სახელმწიფო საბჭოში არჩეულებიც იქნებოდნენ. 1906 წლის 20 თებერვლის მანიფესტით, სახელმწიფო საბჭოს **დანიშნულ წევრებს** უფლებრივად გაუთანასწორდნენ **არჩეული წევრები**. სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევა ხდებოდა თავადაზნაურობის, ერობების, მეცნიერების, ვაჭრების, მრეწველებისაგან. სახელმწიფო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეული ყოფილიყო რუსეთის იმპერიის მოქალაქე, რომელსაც შესრულებოდა 40 წელი, დამთავრებული ჰქონდა თუნდაც საშუალო სასწავლებელი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს იმპერატორი ნიშნავდა არა არჩეული, არამედ დანიშნული წევრებისაგან.

სახელმწიფო სათათბირომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) ქვედა **პალატის** ფუნქცია შეიძინა, ხოლო სახელმწიფო საბჭომ – **ზედა პალატისა**. კანონპროექტის განხილვა უნდა დაწყებულიყო სახელმწიფო სათათბიროში, მოწონებული პროექტი გადაეცემოდა სახელმწიფო საბჭოს. თუ კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოშიც მხარდაჭერას მიიღებდა, მას კანონის ძალა იმპერატორის ბრძანებულებით ენიჭებოდა.

სახელმწიფო საბჭოში ილიას დროს, 1907 წლის 1 იანვრამდე, დანიშნული იყო 101 კაცი, ხოლო არჩეული 97, სულ 198 წევრი. 1907 წლის 1 იანვრიდან მათ დაემატა 6 დანიშნული და 7 არჩეული წევრი, სულ 13 ახალი წევრი, რომლებმაც ჩანაცვლეს ძველი წევრები. სახელმწიფო საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი სესიის პირველი სხდომა გაიხსნა 1906 წლის 27 აპრილს.

სახელმწიფო საბჭოს წევრს საყოველთაო კენჭისყრით არ ირჩევდნენ. ეს უფლება ამრჩევებს ჰქონდათ მინიჭებული. საქართველოში თავადაზნაურობას 4 ამრჩევი უნდა აერჩია – 2 თბილისისა და 2 ქუთაისის გუბერნიებიდან. 1906 წლის 4 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს კომისიამ თბილისის გუბერნიიდან სახელმწიფო საბჭოს წევრის ამრჩევებად ილია **ჭავჭავაძისა** და მიხეილ გედევანიშვილის კანდიდატურები დაასახელა. 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამრჩევებად ილია ჭავჭავაძე და მიხეილ გედევანიშვილი აირჩია. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თაეიანთ ამრჩევებად ვლადიმერ მიქელაძე და **ანდრია** ერისთავი დაასახელა. ილია ჭავჭავაძეს, **მიხეილ გედევანიშვილს**, ვლადიმერ მიქელაძეს და **ანდრია** ერისთავს რუსეთის იმპერიის თავადაზნაურობის სხვა 70 ამრჩევთან ერთად 1906 წლის აპრილის დასაწყისში პეტერბურგში მონწეულ ყრილობაზე უნდა აერჩიათ სახელმწიფო საბჭოს 18 წევრი, რომელთაგან ერთი წევრის ადგილი ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს ერგო. სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა საარჩევნო ყრილობა პეტერბურგში ჩატარდა 1906 წლის 6-8 აპრილს. 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. ილიამ 61 ხმა მიიღო, მისი არჩევის წინააღმდეგ ხმა მისცა 17 კაცმა.

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის გახსნა 1906 წლის აპრილის ბოლოსათვის იყო დაგეგმილი. ილია ჭავჭავაძე პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობდა 7 ივლისამდე. 1906 წლის 26 მაისს, სახელმწიფო საბჭოს მეხუთე სხდომაზე, დაამტკიცეს ილია ჭავჭავაძის არჩევა



ილია ჭავჭავაძე

სახელმწიფო საბჭოს წევრად და ცნობილი იქნა მისი უფლებამოსილება.

1906 წლის 22 იენისს ილია ჭავჭავაძე პირველად გამოვიდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე. იხილებოდა საკითხი საბჭოს შინაგანაწესიდან ზოგიერთი მუხლის ამოღებისა და შესწორებების თაობაზე. ამ გამოსვლის ტექსტს სახელმწიფო საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშიდან მოვიტანთ:

«Князь Чавчавадзе: Я прежде всего нахожу нужным извиниться перед Собранием, что, может быть, мне придется повторить отчасти то, что уже здесь было говорено, ибо там, где я сижу, не совсем хорошо слышно, вследствие чего мне неизвестно, что было сказано предшествовавшими мне ораторами. Из доклада Коммиссии видно, что в основание своих работ она положила статью 60 учреждения Государственнаго Совета, уполномочивающую Совет определить подробно внутренний порядок ведения дел Совета особым наказом. При этом Коммиссия совершенно справедливо остановилась на мысли установить лишь такия правила, которыя не вводят ничего новаго и не выходят из сферы внутренних вопросов, но в том же время могут служить развитием и дополнением уже действующих законов. Коммиссия при согласовании правил наказа с существующим законом имела в виду еще достижение той цели, чтобы означенныя правила заключали в себе практическую пользу. Исходя из

этих положений, установленных самой Комиссией, во исполнение принятой на себя задачи, я перехожу к разбору статьи 4 проекта наказа. Означенная статья развивает статью 6 учреждения Государственнаго Совета, согласно коей в Совет воспрещается являться депутациям, а также представлять словесныя или письменныя заявления и просьбы. Весьма понятно, что законодатели имели в виду оградить свое спокойствие и свободное отправление своих обязанностей путем недопущения подачи различных заявлений и просьб прямо в Государственный Совет или посредством писем. Комиссия возымела желание дополнить учреждение Государственнаго Совета в наказе, но это дополнение представляется не в виде развития смысла закона, а в смысле преграждения всякаго общения между Государственным Советом и народом. Я полагаю, что не надо было бы вводить такого ограничения, к тому нет основания; даже сама Комиссия не нашла другого мотива как сказать: я желаю оградить председательствующих в Совете лиц и его Членов от всякаго рода ходатайств и домогательств относительно представления чрез них в Государственный Совет просьб и заявлений. Это немного напоминает ненавистное начало узкобюрократическаго режима, который полагает, что не правительственныя лица и учреждения существуют для народа, а народ – для этих учреждений. Заботиться о том, чтобы не дать безпокойства Председательствующим и Членам Совета, и ради этого вводить правила в наказ с ограничением прав граждан обращаться в высшее учреждение для защиты своих прав и для представления своих интересов – едва-ли правильно.

Между тем статья 4, закрывая доступ народу через посредство Председателя и Членов Совета, закрывает также и путь к первоисточнику сведений, которыя могут даваться Совету из первых рук, а не стороной. Эти сведения только и могут дать Государственному Совету действительный повод и необходимое основание к предъявлению, в силу ст. 44 Учреждения Государственнаго Совета, запроса Министрам и Главноуправляющим отдельными частями в случае нарушения чьих либо прав незакономерными действиями как их самих, так и подведомственных им лиц и учреждений. Да и трудно сообразить, как ст. 44 Учреждения Государственнаго Совета может осуществляться в достаточной мере и во всех необходимых случаях, раз граждане будут лишены права делать свои заявления и предъявлять свои жалобы Государственному Совету, хотя бы чрез посредство только Председателя и Членов Совета. В виду всего сказаннаго и того соображения, что комиссии по составлению наказа не в праве расширять круг ограничительных мер, ясно начертанный ст. 6 Учреждения Государственнаго Совета, я предлагаю ст. 4 проектируемаго наказа вовсе исключить из сего последняго.

Председатель: Тогда надо первоначально поставить вопрос относительно Членов Государственнаго Совета, занимающих Министерский пост, и относительно Членов Святейшаго Синода. Следует ли по этому предмету сделать указание в наказе, что правила ст. 5 и 6 вообще к ним не относятся? Но для этого надо прежде всего знать, каким образом эти статьи будут изложены, а потому, мне кажется, надо баллотировать мнение Д. И. Багалея, т. е. его поправку на счет статей 5 и 6.

Князь Чавчавадзе: Я полагаю, что статья 5 совершенно лишняя, а напоминание, что Члены Государственнаго Совета должны исполнять обязанности своей службы, неуместно. Я полагаю, что оно не должно быть допускаемо. Эта обязанность лежит в сознании каждаго из нас, принявшаго на себя звание Члена Государственнаго Совета, а напоминание об этом в наказе я нахожу неудобным для Членов. Поэтому это внушение должно быть непременно исключено. Что касается 6 статьи, то она имеет еще некоторый практический смысл. Действительно, – неприбытие Члена Государственнаго Совета должно быть объяснено чем либо, но не каждый раз и не в каждом отдельном случае; например, нужно ли, чтобы я был обязан непременно письменно уведомить Председателя или Государственнаго Секретаря, если я пропущу одно заседание. К чему это проводит? Какая польза? Этого невозможно допустить. Другое дело, если мы это обусловим отсутствием Членов на более или менее продолжительный срок, как это, например, сделано в наказе французскаго Сената. Там говорится, что если шесть раз подряд Сенатов (это _ тот же Член Государственнаго Совета) будет отсутствовать, то он считается как бы выбывшим или в отпуску без разрешения. Я говорю, что нужно было бы шестую статью наказа исключить, потому что подобная регламентация невозможна. Если же желательно, чтобы мы присутствовали в Совете аккуратно, что отсутствие на более или менее продолжительный срок, 2 или 3 раза, если это будет признано нужным, должно быть объяснено. Я согласился бы эту статью выкинуть совсем из наказа. А со вторым я могу еще согласиться, если...

Председатель: Позвольте просить вас формулировать, в чем состоит наша поправка.

Князь Чавчавадзе: Моя поправка состоит в том, чтобы совсем выкинуть 5 статью, как неудобную, чтобы не сказать более... А в шестой статье прибавить:

«если Член Государственнаго Совета лишен возможности присутствовать на более или менее продолжительное время, то он то-то и то-то».

დიდი ენებათაღლება გამოინვია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე კანონპროექტის განხილვამ. იმხანად რუსეთის იმპერიაში სიკვდილით დასჯა ხდებოდა როგორც წლების განმავლობაში მოქმედი კანონით, ისე იმპერატორის ბრძანებით შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოების განაჩენის საფუძველზე. რუსეთში პოლიტიკოსთა და ცნობილ იურისტების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა სამხედრო-საველე სასამართლოებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების მინიჭება. რევოლუციის კერების განადგურების მიზნით რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე საგანგებოდ შექმნილი ბევრი სამხედრო-სადამსჯელო ექსპედიცია მოქმედებდა. ექსპედიციის უფროსს, გენერალს ან უფროს ოფიცერს, შეეძლო მის სამოქმედო ტერიტორიაზე სამი უფროსი ოფიცრის შემადგენლობით რამდენიმე სამხედრო-საველე სასამართლო შეექმნა, რომელთაც სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდათ. არ ხდებოდა საქმის გამოძიება, არ არსებობდა საპროკურორო ზედამხედველობა, ბრალდებულს არ ჰქონდა ადვოკატის აყვანის უფლება, არ ხდებოდა გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება. განაჩენი ძალაში შედიოდა გამოტანისთანავე და უნდა აღსრულებულიყო 24 საათის ამონურვამდე.

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონპროექტი განიხილა რუსეთის იმპერიის პირველმა სახელმწიფო სათათბირომ. განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა **ისიდორე რაშიშვილმა**. სახელმწიფო სათათბირომ 1906 წლის 19 ივნისს კანონპროექტი მოიწონა და განსახილველად გადასცა სახელმწიფო საბჭოს. საბჭოში კანონპროექტის განხილვა 27 ივნისისათვის დაინიშნა. სახელმწიფო საბჭოს წევრთა ჯგუფმა, 10 კაცმა, რომელთა შორის ილია ჭავჭავაძეც იყო, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ედუარდ ფრიშს, საპროტესტო წერილით მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო:

"განხილვა სახელმწიფო სათათბიროს კანონპროექტისა სიკვდილით დასჯის შესახებ, შეტანილი სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის 27 ივნისის დღის წესრიგში, დასმულია მეორე ადგილზე. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და მისი ძალიან სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობის გამო გვაქვს პატივი გთხოვოთ:

1. დასმული იქნას ეს საკითხი პირველ რიგში, განაწესის განხილვამდე;

2. კანონპროექტის განსახილველად არჩეულ კომისიას მიეცეს წინადადება, რათა მან განსაზღვრულ, მაგრამ შეძლებისამებრ მოკლე ვადაში წარმოადგინოს თავისი დასკვნა;

3. იმის გამო, რომ დროებითი ხელმძღვანელობისათვის მიღებული განაწესი შეიცავს მრავალ პუნქტს, რომლებიც, ჩვენი მოსაზრებით, მოითხოვს შეცვლას როგორც შემავინროებელი და მიუღებელი, განაწესის განხილვას დაეთმოს მთელი დრო, რაც თავისუფალია კანონპროექტის განხილვისაგან, და არ შეწყდეს საბჭოს სხდომა განაწესის საბოლოო დამტკიცებამდე".

სახელმწიფო სათათბიროდან შემოსული სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის წინასწარ განსახილველად არჩეულ იქნა კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელშიც ილა ჭავჭავაძე არ აღმოჩნდა. კომისიას 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ მიუღია კანონპროექტი, რომელიც მოითხოვდა: „სიკვდილით დასჯის აუცილებელ გაუქმებას, გარდა ხელმწიფის, დედოფლის და მემკვიდრეთა სიცოცხლის ხელყოფის და სახელმწიფოს ღალატის განსაკუთრებული შემთხვევისა. კანონის გაუქმება, პირველ ყოლისა, უნდა გავრცელდეს ქალებზე, მცირეწლოვან ახალგაზრდებზე და 70 წელს გადაცილებულ მოხუცებზე". ამ დადგენილების მიღებიდან მალე იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1906 წლის 8 ივლისისა და 10 ივლისის ბრძანებებით, დათხოვნილი იქნა როგორც პირველი სახელმწიფო სათათბირო, ისე სახელმწიფო საბჭო. ამის გამო კომისიამ ისე შეწყვიტა მუშაობა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა დაიწყო 1907 წლის 20 თებერვალს და გასტანა 5 ივნისამდე. შესაბამისად, სახელმწიფო საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის შესამუშავებლად მუშაობა უნდა განეახლებინა, მაგრამ 1907 წლის 22 თებერვლის სხდომაზე კომისიამ ხმების უმრავლესობით დაადგინა, რომ ამჟამინდელ ვითარებაში კომისიამ უნდა შეწყვიტოს მუშაობა, რადგან პირველი სახელმწიფო სათათბირო, საიდანაც შემოსულია სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტი, იმპერატორის 1906 წლის 8 ივლისის ბრძანებით დათხოვნილია და მის მიერ მიღებულ დადგენილებას ძალა აღარ აქვსო. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ კომისიის 15 წევრიდან გაილაშქრა მხოლოდ ორმა – პროფ. ნ. ტაგანცევმა და ს. პლატონოვმა.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში მიემხრო პროგრესულად განწყობილ ჯგუფს, ე. წ.

აკადემიურ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ საბჭოს არჩეული ნევრები, უმთავრესად მეცნიერები და ლიბერალი მოღვაწენი. სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ერცელი მოხსენების შედგენა ილია ჭავჭავაძეს უკისრია. მას ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა ნაეკითხა. ილიას მოხსენება დაუნერია, მაგრამ მისი ტექსტი დღემდე მიკვლეული არ არის. შემონახულია მხოლოდ შავი, კონსპექტური ჩანაწერები ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც აქ მთლიანად მოვიყვანთ:

„ 1. გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა, და საჭიროა – როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე. შექსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი – მარტო ადამიანის ნიჭია.

2. ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასნორზე დაიდვას, არა მგონია, ისე თვალსაჩინოდ გადაიხაროს ან ჰოს და ან არასკენ. რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სხ. სხ.

3. ხოლო სამი რამ საბუთია ნინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებრივს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით – კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც. მაგ. ეხლა სიკვდილი იაეთი ჩვეული რა ამბავია, ??? უმღერევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს; ბ) არყევს ზნეობას. რადგანაც **ართმევს იმას, რის მიცემაც არ შეუძლიან**; გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს პკლავს.

4. ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე (პეინეს სიტყვა: მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს).

5. მთელი ქვეყანა თხოულობს [სიკვდილით დასჯის მოსპობას] და თუ ბანის მიცემაში შევცდით, ნუგეში იმაშია, რომ ავყეთით ხმას ღვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა ღვთისა.

6. საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულებას, – არაფერს არ მოასნავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.

[6.] ჰო და არას საბუთებ შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მრწამსს როგორც ერთისას, ისეც მეორისას. აქ მარტო დიალექტური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული."

რუსულ ენაზე შემდეგი შინაარსის ჩანაწერია გაკეთებული:

„7. Убийство, смертная казнь, стала таким обычным явлением, события этого рода до того приучили нас относиться к ним равнодушно, что притупилось чувство для возмущения и ошущения всей жестокости этих явлений, а это открывает путь к огрублению в стране народного чувства.

Подобные события, как обычныя явления, перестали быть новостью.

Не заговаривает уже чувство возмущения.

«Когда умирает Бог в душе противника смертной казни».

Вопрос, как нам быть, если проект об отмене смертной казни, несмотря на все старания, не пройдет, не может быть разрешен доводами арифметического порядка, т. е. тем, что группа, ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтоб произвести какое-либо впечатление, какое-либо замешательство среди огромного большинства остальных. Я не так прост, чтобы полагать, что уход наш...»

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის ნინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის გამოსვლის თაობაზე: მკვლევართა ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ილია ჭავჭავაძე 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე გამოვიდა სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად, ოლონდ, მთავრობას აუკრძალავს მისი გამოქვეყნება და სტენოგრაფიულ ანგარიშებსა თუ პრესაში ეს გამოსვლა არ ასახულაო. ასეთი რამ იმხანად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის გაცილებით უფრო მიუღებელი სიტყვები უცვლელად დაიბეჭდა სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფიულ ანგარიშებში. რაც შეეხება პრესაში ილია ჭავჭავაძის სიტყვის დაბეჭდვას, ხელისუფლება ეერანაირად ვერ შეაჩერებდა, ოპოზიციური პრესა და, მით უმეტეს, პარტიული, ილიას სიტყვას აუცილებლად დაბეჭდავდა. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ილია ჭავჭავაძე, მართალია, თანაუგრძნობდა პროფესორ ნ. ტაგანცევს და მის თანამოაზრეებს და მათთან ერთად იბრძოდა სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად, მაგრამ სახელმწიფო საბჭოში იგი არ გამოსულა, ან შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ვერც მოასწრო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა და სიტყვის წარმოთქმა.

თავი XII. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906–1907 წწ.)

1905 წლის დეკემბერში მოსკოვში მომხდარი შეიარაღებული აჯანყების დამარცხება მიჩნეულია 1905 წლის რევოლუციის დასასრულად. მაღე გაანადგურეს რევოლუციის ძირითადი კერები.

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე

რევოლუციის მსვლელობამ აჩვენა, რომ აუცილებელი გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციის გაერთიანება. გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1905 წლის დეკემბერში. რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტისაგან ყრილობის დელეგატად აირჩიეს **იოსებ ჯუღაშვილი**, რსდმპ ბაქოს კომიტეტისაგან – **პიოტრ მონტინი**,[1] რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან **გიორგი თელია**. 1905 წლის დეკემბრის მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების გამო შეუძლებელი გახდა ყრილობის ჩატარება. მის ნაცვლად 1905 წლის 12-17 დეკემბერს ტამერფოსში (ფინეთში) შედგა რსდმპ პირველი კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ. ტამერფოსის კონფერენციის შემდეგ დაიწყო მზადება მორიგი, გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევისათვის. ამჯერად ორივე ფრაქცია დაინტერესებული იყო ყრილობის მოწვევით. მწვავედ ჩაიარა დელეგატების არჩევნებმა. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ რიგ ქალაქებსა და რაიონებში პარალელურად არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური კომიტეტები, ზოგან მოქმედებდა გამაერთიანებელი კომიტეტები. ცხადია, ორივე ფრაქცია ცდილობდა სასურველი კანდიდატის გაყვანას, არ ერიდებოდნენ დელეგატთა არჩევის დადგენილი წესის დარღვევასაც კი. გამონაკლისს არ შეადგენდა თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები.

რსდმპ IV ყრილობის წინ, 1906 წლის იანვარ-თებერვალში, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების გაერთიანების კვალდაკვალ გაერთიანდნენ ქუთაისის, ბათუმისა და სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამ მოვლენის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10(23) აპრილიდან 25 აპრილამდე (8 მაისამდე) სტოკჰოლმში. ყრილობას ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 22 დელეგატი სათათბირო ხმით, 12 წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ბუნდი, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია). ფრაქციების მიხედვით დაახლოებით 62 ხმა ეკუთვნოდა მენშევიკებს, 46 კი – ბოლშევიკებს. რამდენიმე გადამწყვეტი ხმა პქონდათ შემრიგებლებს (ე. წ. „ცენტრი"), რომლებიც ძირითად საკითხებში მენშევიკებს ემხრობოდნენ. ქართული სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე შემდეგი დელეგატებით იყო წარმოდგენილი: **თბილისის ორგანიზაცია:** ნოე ჟორდანია (კოსტროვი), კალისტრატე გოგუა (დავიდოვი), გრიგოლ ურატაძე (გრიშინი), გარინი, გიორგი ერაძე (ბრადინი), ბაჩიძე, ვლასა მგელაძე (ტრია), ისიდორე. რამიშვილი (ბერიევი), ივანოვი, სოლომონოვი, იოსებ ჯუღაშვილი (ივანოვიჩი); **ქუთაისის ორგანიზაცია:** ნიკოლოზ ჭიქოვანაძე (ქართველოვი), ვლადიმერ ჯიბლაძე (პეტროვი); **გურიის ორგანიზაცია:** ჟაკოვი, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე (ვორობიოვი), შაითანოვი; **ბათუმის ორგანიზაცია:** თურმანიძე (ბაჟანოვი); **ფოთის ორგანიზაცია:** იორდანოვი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიიდან არჩეული 18 დელეგატიდან 17 მენშევიკი იყო, ბოლშევიკების წარმომადგენელი მხოლოდ ერთი დელეგატი იოსებ ჯუღაშვილი. ყრილობის მუშაობაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობდა 2 ქართველი დელეგატი ბაქოს ორგანიზაციიდან – მენშევიკი სეით დევდარიანი (დიანოვი) და ბოლშევიკი პავლე საყვარელიძე (საქარელოვი). კიდევ ერთი დელეგატი, მენშევიკი დ. ღამბაშიძე (სიმონოვი), სათათბირო ხმით არჩეული იყო ბაქოს ორგანიზაციიდან. სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში დადგენილი არ არის ზუსტი ვინაობა საქართველოდან არჩეული დელეგატებისა, რომლებიც ყრილობის ოქმების ყველა გამოცემაში იხსენიებიან შემდეგი გვარებითა თუ ფსევდონიმებით: გარინი, ბაჩიძე, ჟაკოვი, შაითანოვი, თურმანიძე, იორდანოვი. კავკასიის ოხრანკის მონაცემებით, რსდმპ IV ყრილობაზე შაითანოვის ფსევდონიმით მყოფი დელეგატი იყო გრიგოლ ურატაძე, ხოლო ჟაკოვისა – რაფიელ ჩიხლაძე ან ნოე რამიშვილი. ოხრანკის ეს ცნობა

[1] **პიოტრ მონტინი** მოკლეს ბაქოში ყრილობაზე გამგზავრების წინ.

მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ გრიგოლ ურატაძე ყრილობაზე გამოდიოდა გრიშინის ფსევდონიმით. რაც შეეხება ფაკოვს, იგი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო რაფიელ ჩიხლაძე ან ნოე რამიშვილი, თუმცა გადაჭრით არც ამის მტკიცება შეიძლება.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა 15 საკითხი:

1. რსდმპ აგრარული პროგრამის გადასინჯვა;

2. თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ;

3. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისა და თვით სათათბიროსადმი დამოკიდებულების ტაქტიკა;

4. შეიარაღებული აჯანყება;

5. პარტიზანული გამოსვლები;

6. დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური თვითმმართველობა;

7. მუშათა დეპუტატების საბჭოსადმი დამოკიდებულება;

8. პროფესიული კავშირები;

9. დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი;

10. დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ორგანიზაციასთან (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი);

11. გაერთიანება;

12. სხვადასხვა.

ყრილობის პირველ სხდომაზე ნოე ჟორდანია აირჩიეს სამანდატო კომისიაში. პარტიის ყრილობებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამანდატო კომისიას ძალზე დიდი, საპასუხისმგებლო საქმე ევალებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დელეგატების არჩევნები რუსეთში არალეგალურად ხდებოდა, მათი ყრილობაზე გამგზავრებაც, რა თქმა უნდა, არალეგალურად მიმდინარეობდა. დელეგატთა არჩევნებს ხშირად თან ახლდა სერიოზული დარღვევები, რაც სწორედ სამანდატო კომისიას უნდა დაედგინა. განსაკუთრებით ძნელი იყო სამანდატო კომისიის მუშაობა რსდმპ IV ყრილობაზე, რადგან დელეგატები ზოგან აირჩიეს მენშევიკურმა ან ბოლშევიკურმა კომიტეტებმა, ზოგან კი – გაერთიანებულმა კომიტეტებმა. ყრილობაზე დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა დელეგატების დადგენილი წესის დარღვევით არჩევისა. ყოველ ასეთ შემთხვევაზე საგანგებოდ მსჯელობდა სამანდატო კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ყრილობა.

ყრილობის მესამე სხდომაზე იხილებოდა საკითხი პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ. დღის წესრიგში მის შეტანასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ჭიჭინაძემ წამოაყენა წინადადება: საკითხი გაეფართოებინათ და დაეკავშირებინათ რსდმპ პროგრამაში ეროვნულ საკითხთან. ნოე ჟორდანიამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ეროვნული საკითხი ჩვენს წინაშე ამჟამად დგას არა როგორც პრაქტიკული, არამედ როგორც ტაქტიკური. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი პროგრამის ესა თუ ის პუნქტი". მანვე წამოაყენა წინადადება: ნაცვლად პოლონეთის საგანგებო დამფუძნებელი კრების მოთხოვნასთან დამოკიდებულების შესახებ საკითხისა, დღის წესრიგში შეეტანათ ასეთი პუნქტი: „ეროვნული საკითხი". სტეფან შაუმიანმა ნიკოლოზ ჭიჭინაძის წინადადებასთან დაკავშირებით პირდაპირ განაცხადა: თუ ქართველოვს (ნ. ჭიჭინაძეს) აინტერესებს ამიერკავკასიის ავტონომიის საკითხი, მაშინ ეს პირდაპირ უნდა ეთქვა, რადგან „ეროვნულ საკითხს ჩვენს პროგრამაში არასოდეს არ ალუძრავს ეჭვი კავკასიაში ჩვენი ამხანაგების რიგებში. არასოდეს არც კავკასიის ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ლიტერატურაში, არც კონფერენციებზე, არც ცალკეულ ორგანიზაციაში, რამდენადაც მე ვიცი, არ აღძრულა საკითხი ამიერკავკასიის ავტონომიის შესახებ". სტეფანე შაუმიანს არ დაეთანხმა ისიდორე რამიშვილი. მან განაცხადა: „ამბობენ, რომ ამ ყრილობაზე არ არის საჭირო ეროვნული საკითხის დაყენება იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტა ჯერ თითქმის არ წამოუჭრია ცხოვრებას. პირიქით, მე მგონია, რომ მოცემულ ისტორიულ მომენტში, როცა რევოლუციამ ირგვლივ ყველაფერი შეარყია, ეროვნული საკითხი ნარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე საკითხს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი უყურადღებოდ დატოვება". სტეფანე შაუმიანის საპასუხოდ ისიდორე რამიშვილმა აღნიშნა: „ახლა აქ ამბობდა, რომ კავკასიაში ვერც ერთი დემოკრატის პირიდან ვერაფერს გაიგონებ ეროვნული საკითხის შესახებ. მე ვუპასუხებ ამხანაგს, რომ მით უარესი ასეთი სოციალ-დემოკრატისათვის, თუ ის კავკასიის ყველა ეროვნებას შორის ვერ ამჩნევს ძლიერ ეროვნულ მოძრაობას, რომლის მომხრეები ჯგუფდებიან, ორგანიზდებიან და ცდილობენ მასების გამოგლეჯას სოციალ-დემოკრატიის გავლენისაგან. ასეთ მძაფრ დროში ჩვენ დუმილი არ შეგვიძლია. ამიტომ ყრილობას ვთავაზობთ, გადასინჯოს II ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება ეროვნებათა ადგილობრივი და საოლქო თვითმმართველობის შესახებ და მოხდენილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი დროის შესაბამისად". სტეფანე შაუ-

მიანს არ დაეთანხმა აგრეთვე დელეგატი ჟაკოი გურიის ორგანიზაციიდან. მან აუცილებლად მიიჩნია დღის წესრიგში ეროვნული საკითხის შეტანა, თანაც ხაზი გაუსვა იმას, რომ კავკასიაში სწორედ ეროვნული საკითხის სიმწვავის გამო ჭირდა პარტიული მუშაობა. საბოლოოდ ყრილობამ დღის წესრიგის დამტკიცებისას მიიღო ნიკოლოზ ჭიჭინაძის შესწორება, ხოლო ნოე ჟორდანიას ნინადადება უარყოფილი იქნა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე დიდი პოლემიკა გამოიწვია აგრარულმა საკითხმა. აგრარული საკითხის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და ამჯერად მას აღარ დავუბრუნდებით.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე – თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ – ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა საულ პიკერი (ალექსანდრ მარტინოვი). ა. მარტინოვმა ყრილობას წარუდგინა მიმდინარე მომენტის შეფასებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების განსაზღვრის ბოლშევიკური (ვლადიმერ ლენინის) კონცეფციის დასაბუთებული კრიტიკა: „დროებითი რევოლუციური მთავრობა – რესპუბლიკა, აი, ბოლშევიკების მთელი პოლიტიკური სისტემა. როგორი უბრალო, ნათელი, მკაცრი და მიმზიდველია იგი! ვინ არ მოისურვებს ამას?! მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვევლინა სათათბირო და მთელი სურათი წაახდინა. სურათი რომ სუფთად შეინარჩუნონ, სათათბირო წინასწარ ცხადდება შაერაზმელურად და ხდება არჩევნების ბოიკოტირება. სინამდვილეში, ყოველივე ამას რა მნიშვნელობა აქვს – არჩევნებს, სათათბიროს, კადეტებს და ამის მსგავს პოლიტიკურ მოვლენებს – აბსტრაგი ბოლშევიკებისათვის, რომელთაც ჯიბეში შეუფალი რევოლუციური რეცეპტი უდევთ. ისინი მხოლოდ თავიანთ სქემას ხედავენ: აჯანყება, რევოლუციური მთავრობა და ა. შ., ყოველივე დანარჩენი – მაზაკვალისაგანაა. ესენი რევოლუციონერი რომანტიკოსები არიან. მათ წარმოდგენას რევოლუციაზე არაკეთილსინდისიერი საერთო არა აქვს ნამდვილ რევოლუციასთან".

მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასების დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნოე ჟორდანიამ. ბოლშევიკური ტაქტიკის შეცდომის არსი ნოე ჟორდანიამ ასე ახსნა: „ისინი (ბოლშევიკები – ვ. გ.) რევოლუციის მსვლელობას წარმოადგენენ ძალზე მარტივად: ერთ დღეში ან ერთ კვირაში მოხდება სრულიად რუსეთის აჯანყება, თვითმპყრობელობა დაემხობა, მის ადგილზე მოგვევლინება დროებითი რევოლუციური მთავრობა და დაფუძნდება რესპუბლიკა".

ყრილობის მეოცე სხდომაზე თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო წერილი თბილისიდან, რომელსაც ხელს ანერდა პარტიის 200 წევრი. წერილში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ IV ყრილობის არჩევნები თბილისში ჩატარდა დარღვევებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1. შეგნებულად გაზარდეს პარტიის წევრთა რაოდენობა 3000-ზე მეტ წევრამდე, როცა პარტიის წევრებად ისეთი პიროვნებების ჩათვალეს, რომელნიც არა თუ აღიარებდნენ პარტიის პროგრამას, არამედ წარმოდგენა არ ჰქონდათ მასზე; 2. პარტიის წევრთა სიების შედგენა ბევრგან მოხდა უშუალოდ ყრილობის დელეგატების არჩევის წინ; 3. პარტიის წევრების დიდი ნანილი არ გასცნობია მომავალი ყრილობის დღის წესრიგს და ამრიგად, ადგილებზე ერთი აზრიც არ შემუშავებულა. წერილის შემდგენელთა აზრით, ყოველივე ეს გაკეთდა იმის გამო, რომ თბილისის ორგანიზაციას დელეგატთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჰყოლოდა ყრილობაზე. ნოე ჟორდანიამ მოითხოვა, ყრილობაზე დაწყებულიყო დებატები თბილისის წერილის თაობაზე. დელეგატთა ნანილი კი თვლიდა, რომ თბილისის წერილს განხილვა უნდა მოეხსნათ დღის წესრიგიდან. ვლასა მგელაძემ დელეგატებს შესთავაზა, მოესმინათ ნოე ჟორდანიასათვის, რათა გაეგოთ, თუ რატომ იქნა არჩეული 11 დელეგატი თბილისიდან. საბოლოოდ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, ემსჯელათ თბილისის წერილზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 42 ხმით 34-ის წინააღმდეგ. ნოე ჟორდანიამ ყრილობას გააცნო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის აღმოცენების მოკლე ისტორია, მისი სტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ 1905 წლის დამდეგს თბილისში იყო დაახლოებით 4.000 სოციალ-დემოკრატი, ხოლო რსდმპ IV ყრილობის წინა პერიოდში ჩატარებულმა აღრიცხვამ დაადგინა 3.300 წევრი. ნოე ჟორდანიას განცხადების თანახმად, თბილისში იმჟამად სულ 300 ბოლშევიკი იყო. ამრიგად, რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, თუ ნოე ჟორდანიას მიერ მოყვანილ მასალს ვენდობით, სწორად იყო განსაზღვრული მენშევიკთა და ბოლშევიკთა შეფარდება (10:1). ნოე ჟორდანიას შემდეგ გამოსვლა ითხოვა იოსებ სტალინმა, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით დებატები შეწყდა.

შეიარაღებული აჯანყების შესახებ საკითხის განხილვა დაიწყო იმით, რომ გიორგი პლეხანოვმა დელეგატებს წარუდგინა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი. შემდეგ გადაწყდა, შეიარაღებული აჯანყების საკითხზე სიტყვა მიეცათ ვ. მახნოვეცისათვის (აკიმოვისათვის), რის შემდეგაც მოხსენებით გამოვიდოდა თითო-თითო წარმომადგენელი მენშევიკური და ბოლშევიკური

ფრაქციებიდან. ვ. აკიმოვმა შექმნილი სიტუაცია ღრმად გააანალიზა. მისი აზრით, შეცდომა იყო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკისათვის მხარდაჭერა, თუმცა პროლეტარიატი მოითხოვდა სწორედ ამ უკანასკნელს.

ქართველი დელეგატებიდან სიტყვა პირველმა აილო ბიკენტი (ქოლა) ლომთათიძემ. მან თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ბოლშევიკების გამოსვლებში აშკარად გამოიყოფა ერთი თავისებურება. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკები „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას აიგივებდნენ მენაღმეთა ბატალიონთან და ცხადია, პარტიის წევრებს – მენაღმეებთან. ბოლშევიკები პარტიის წევრებს უმასპინძლდებოდნენ იმით, რომ უკითხავდნენ ლექციებს საბარიკადო ბრძოლების, ბარიკადების აგებისა და იმის შესახებ, თუ როგორ დაენიშნათ აჯანყება ღამის 2 საათზე. და როცა ჩვენ, რსდმპ გზადაბნეული შვილები, ამაში დავეჭვდით, როცა გამოვთქვით აზრი იმის შესახებ, რომ პარტია განსხვავდება მენაღმეთა ბატალიონისაგან, მაშინ ჩვენ თავს დაგვესხნენ განსაკუთრებული თავგანწირვით, ჩვენ გამოგვაცხადეს არარევოლუციონერებად, კადეტებად და ა. შ." ბ. ლომთათიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არსებული უთანხმოების გამო ან ბოლშევიკებმა უნდა დატოვონ პარტია, ან მენშევიკებმა: „გამაერთიანებელმა ყრილობამ გვიჩვენა, რომ ერთ პარტიაში ვერ ვიმუშავებთ".

საინტერესოა ქართველ დელეგატთა გამოსვლები დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი) გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. **ნიკოლოზ ჭიჭინაძემ**, მიუღებლად მიიჩნია რა ბუნდის მიერ შემოთავაზებული გაერთიანების პრინციპი, აღნიშნა: „ამბ. ლიბერის ორგანიზაციული პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარებს ვუთხრათ: „ორგანიზაციები შექმენით ეროვნებათა მიხედვით!" თუ ჩვენ დავდგებით ბუნდის შეხედულებაზე, მაშინ სხვა ეროვნებებიც დაადგებიან იმავე გზას. ამ გზას პროლეტარიატი მიაყავს გათიშისაკენ". ნოე ჟორდანიაც ასევე არ დაეთანხმა ბუნდის მიერ შემოთავაზებულ გაერთიანების პრინციპს. მან განაცხადა: „თუ ჩვენ ბუნდთან გავერთიანდებით ამ პირობით, მაშინ შეიძენთ რა ბუნდს, თქვენ დაკარგავთ კავკასიას, სადაც ჩვენ ძლიერნი ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ვაშენებთ სხვა საწყისებზე". ცოტა ქვემოთ ნოე ჟორდანიამ მთელი კატეგორიულობით აღნიშნა: „მე ვაცხადებ, რომ კავკასიის ორგანიზაციები დაინგრევა, თუკი ბუნდი პარტიაში შეეა წინასწარ თავის ორგანიზაციულ პრინციპებზე უარის უთქმელად".

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე აშკარად გამოიკვეთა ორივე – მენშევიკური და ბოლშევიკური – მიმდინარეობის სტრატეგიული ხაზი რუსეთის წინაშე მდგარი როგორც უახლესი, ისე შორეული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში. ყრილობაზე ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოდგა როგორც ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ინტელექტუალური პოტენციალი სულ უფრო მზარდ გაელენას ახდენდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობაზე.

§2. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ზოგიერთი დელეგატის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ რევოლუცია აღმავლობის გზით განვითარდებოდა, არ გამართლდა. აშკარა იყო, რომ 1906 წლის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ცხადი გახდა, რომ რევოლუცია ვეღარ გაგრძელდებოდა. დიდ პროლეტარულ ცენტრებშიც კი რევოლუციური გამოსვლები აშკარად შენელდა ან საერთოდ შეწყდა. ამ ფონზე ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა სახელმწიფო სათათბირო. მეტი აქტივობა შეინიშნებოდა გლეხთა მოძრაობაში, თუმცა გამოსვლების ტემპმა იკლო. ცალკეული გამოსვლების მიუხედავად, აშკარა გახდა, რომ რევოლუცია სოფლადაც დასრულდა.

არალეგალურ პირობებში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნელ-ნელა იკრებდნენ ძალას. ამ პერიოდის პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის შემუშავება და განხილვა. წესდების პროექტი 1906 წლის ივნისში გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში". წესდების პროექტი სულ 22 პარაგრაფისაგან შედგებოდა. მასში ვკითხულობთ: „პარტიის წევრები თბილისში შეადგენდნენ ერთათ თბილისის ს. დ. მუშათა ორგანიზაციას" (§1); პროექტის მიხედვით, „პარტიის ახალ წევრებს იღებენ ძირითადი ორგანიზაციები თანახმად იმ წესდებისა, რომლებსაც შეიმუშავებს თბილისის კომიტეტი და დამტკიცებს მთელი თბილისის ორგანიზაცია" (§2); პროექტი პარტიის წევრის მოვალეობას ასე განსაზღვრავდა: „ორგანიზაციის ყოველი წევრი

მოვალეა, დაემორჩილოს როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივი ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალ-დემოკრატიული აზრების გავრცელებით და საერთოდ, იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები" (§3); წესდების პროექტში აღნიშნული იყო, რომ „ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ორგანიზაცია, შემდგარი პარტიის ოც და ხუთი წევრისაგან" (§4); წესდების პროექტის მიხედვით, სტრუქტურა ასეთი იყო: რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ძირითადი წევრები ირჩევდნენ ერთ წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში (§5); ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ რაიონულ კომიტეტს (§7); რაიონული კომიტეტი ავტომატურად განაგებდა რაიონული ორგანიზაციის საორგანიზაციო მუშაობას, პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეებს (§8); რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ითვლებოდა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელიც შედგებოდა რაიონულ ორგანიზაციებში არჩეული წევრებისაგან (§13); რსდმპ თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით (§14); მიმდინარე (ყოველდღური) საქმეების გაძღოლის მიზნით რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა აღმასრულებელ კომისიას, რომლის ფუნქციებსაც თვითონვე განსაზღვრავდა (§18); წესდების პროექტით დადგენილი იყო, რომ ძირითადი ორგანიზაცია უნდა შეკრებილიყო კვირაში ერთხელ მაინც (§6); რაიონული კომიტეტი, კვირაში, ჩვეულებრივ, ერთხელ იკრიბებოდა, საგანგებო შეკრებას ნიშნავდა ან რსდმპ თბილისის კომიტეტი ან რსდმპ თბილისის რაიონული კომიტეტი თავის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნის შედეგად (§11); რსდმპ თბილისის კომიტეტი იკრიბებოდა კვირაში ერთხელ, საგანგებო შეკრებას ნიშნავდა ან აღმასრულებელი კომიტეტი ან თბილისის კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი მაინც (§19); რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტით, ქალაქის ყოველი პარტიული ორგანო ირჩეოდა ექვსი თვით. ამასთან, ყოველ ამომრჩევ ორგანიზაციას უფლება ჰქონდა არჩეული პირის გამოწვევისა (§21); ხოლო თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო არჩეული ორგანოთი, ეს უკანასკნელი გაუქმებულად ითვლებოდა (§22); კოოპტაცია უქმდებოდა, თუმცა ყოველი ორგანიზაციის კრებას უფლება ჰქონდა მოეწვია ნებისმიერი არჩევით ორგანოში სათათბირო ხმით (§20).

რსდმპ თბილისის ორგანიზაციას, წესდების პროექტის მიხედვით, უნდა აერჩია: ერთი წარმომადგენელი რაიონულ კომიტეტში, ერთი ორგანიზატორი, ერთი ამკრები („სბორშჩიკი") და ერთი კონსპირატორი. ამკრების მოვალეობა იყო ფულადი სახსრების (საწევროს) აკრება პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შორის; ორგანიზატორს ევალებოდა კრებების მოწვევა; კონსპირატორის ფუნქცია განისაზღვრებოდა პარტიული ლიტერატურის გავრცელებით; წარმომადგენელს ევალებოდა პარტიულ-პოლიტიკური კითხვების დამუშავება პარტიის წევრთა შორის (§5). რაიონულ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი სალარო, რომელშიც პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შორის აკრეფილი თანხის (საწევროს) გარკვეული პროცენტი რჩებოდა, დანარჩენი თანხა კი გადაეცემოდა რსდმპ თბილისის კომიტეტის სალაროს (§10). რაიონული კომიტეტი ყოველთვიურად ადგენდა პარტიული სახსრების შემოსავალ-გასავლის ანგარიშს (§12). რსდმპ თბილისის კომიტეტის სტრუქტურა (პარატი), წესდების მიხედვით, ასე წარმოგვიდგება. რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა: მომხსენებელს რაიონული კომიტეტებისათვის, ერთ ტექნიკოსს, ერთ ორგანიზატორს, ერთ ორგანიზატორს წითელი რაზმებისათვის, ერთ ორგანიზატორს ჯარისკაცთა კომისიისათვის და ერთ ორგანიზატორს გლეხთა კომისიისათვის (§14).

რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის განხილვა დაიწყო მისი გამოქვეყნებისთანავე. 1906 წლის 25 ივნისს გაზეთ „ახალი ცხოვრებაში" „კოხას" ფსევდონიმით დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის წერილი „რეორგანიზაცია თბილისში". რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ძირითადად შემუშავდა ქართველი მენშევიკების მიერ. სწორედ ამიტომ იოსებ ჯუღაშვილმა მას ბევრი „ნაკლი" მოუძებნა. ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად იგი მიიჩნეოდა იმას, რომ წესდების პროექტი ერთმანეთისაგან არ გამოყოფდა წევრთა „პროფესიონალურ" და „პარტიულ" ფუნქციებს. იოსებ ჯუღაშვილის აზრით, წესდების პროექტში სრულიად არ იყო დაცული დემოკრატიზმის პრინციპები.

1906 წლის ზაფხულშივე რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცეს.

რსდმპ IV (გაერთიანებული) ყრილობის შემდეგ ხდება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურული დახვენა, დაიწყო ახალი რაიონული ორგანიზაციების შექმნა. 1906 წლის სექტემბრისათვის რსდმპ თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: რსდმპ 25 შეგნებული წევრი ქმნიდა უჯრედს, რომელიც ირჩევდა ერთ წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში. თბილისში არსებობდა შვიდი რაიონული კომიტეტი: 1. დიდუბის, 2. ვაგზლის (ნაძა-

ლადევი და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები), 3. ჩუღურეთის, 4. ცენტრალური, 5. ორთაჭალის (მასში შედიოდა ხარფუხი), 6. ავლაბრის, 7. ვერის. რაიონული კომიტეტები ირჩევდნენ თითო წარმომადგენელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივში, რომელიც შედგებოდა შვიდი წევრისაგან. ხელმძღვანელი კოლექტივი სათავეში ედგა მთელ პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით. ხელმძღვანელი კოლექტივის გვერდით არსებობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი. მისი წევრები ყველა უჯრედის ნარმომადგენლები იყვნენ. აღმასრულებელი კომიტეტი თავისი რიგებიდან გამოყოფდა ტექნიკოსს, სამხედრო შტაბს და სარედაქციო კომისიას. ტექნიკოსი განაგებდა პარტიულ ლიტერატურას, სტამბას და ნაწილობრივ, შეიარაღების საქმეს. ფაქტობრივად, ტექნიკოსს ემორჩილებოდა სამხედრო შტაბი, რომელსაც ჰყავდა სამი კომისია: 1. სამხედრო კომისია, რომელიც განაგებდა საბრძოლო რაზმეულების შეიარაღებას, 2. დევნილთა კომისია, რომელიც განაგებდა პოლიტიკური მოტივით დევნილების დაცვის საქმეს, 3. ციხის კომისია, რომელიც დახმარებას უწევდა პოლიტპატიმრებს.

რსდმპ თბილისის კომიტეტს ჰყავდა ძლიერი საბრძოლო რაზმეულები, რომელთა შექმნა მიმდინარეობდა რეგულარული არმიის პრინციპით, ე. ი. იქმნებოდა ათეულები, ოცეულები, ასეულები და ა. შ.

Დღეისათვის შემორჩენილი საარქივო და სხვა ხასიათის დოკუმენტური მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად დადგინდეს სხვა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების (ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს) სტრუქტურა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი სტრუქტურა დაახლოებით იგივე იყო, რაც თბილისის ორგანიზაციისა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდე, მწვავე ფრაქციული უთანხმოების პირობებში დაიწყო მზადება რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობისათვის, რომელიც 1906 წლის სექტემბერში გაიმართა. ყრილობამ მუშაობა დაიწყო თბილისში, შემდეგ სხდომები გადაიტანეს ბაქოში. მას ესწრებოდა 58 დელეგატი (43 გადამწყვეტი ხმით, 15 სათათბირო ხმით). დელეგატები არჩეული იყვნენ თბილისის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, ბათუმის, ქიათურის, სოხუმის, ელისავეტპოლის, გურიის, ფოთის, სამტრედიის, რაჭის, ხაშურის, ბორჯომის, სილნახისა და დუშეთის ორგანიზაციებიდან. ყრილობის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებანი;
2. მიმდინარე მომენტი და ტაქტიკის საკითხები;
3. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რეორგანიზაცია;
4. პროფესიული კავშირები;
5. ეროვნული საკითხი;
6. გლეხთა მოძრაობის შესახებ;
7. დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიასთან;
8. ჯარისკაცთა შორის მუშაობა;
9. სამხედრო-ტექნიკური საქმე;
10. პარტიული ლიტერატურა;
11. სხვადასხვა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობამ ყველა ძირითად საკითხზე იგივე დადგენილება მიიღო, რაც რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ბოლშევიკების მიერ ჩაფიქრებული რევანში არ შედგა.

საინტერესოა, რომ ყრილობაზე ქუთაისელმა დელეგატებმა (მენშევიკებმა) წამოაყენეს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა, რამაც ბოლშევიკი დელეგატების დიდი ნინააღმდეგობა გამოიწვია.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობა დამთავრდა მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების ფორმალური გაერთიანებით, აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ცხრა წევრისა და ხუთი კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტის წევრთა უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. საოლქო კომიტეტის არჩევით რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

რსდმპ კავკასიის კავშირის დაშლითა და რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის შექმნით ბოლშევიკებმა დათმეს ყოველგვარი პოზიცია საქართველოში. არც ერთი კომიტეტი 1907 წლიდან 1917 წლის ჩათვლით საქართველოში ბოლშევიკთა ხელში აღარ გადასულა. 1907 წლიდან იოსებ სტალინი საქართველოში აღარ მოღვაწეობს, ფილიპე მახარაძეც ხანგრძლივი ვადით ტოვებდა ხოლმე ქვეყანას. ასე რომ, ქართველი ბოლშევიკები, ფაქტობრივად, ლიდერის გარეშე დარჩნენ. ამან და კიდევ სხვა მიზეზებმა განაპირობა ბოლშევიკების გავლენის მინიმუმამდე შემცირება საქართველოს მუშათა კლასში. მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას სათავეში ედგნენ ქართველი მენშევიკები: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ევ-

გენი გეგეჭკორი და სხვები. ქართველ მენშევიკთა პოპულარობას საზოგადოების ფართო ფენებში განსაკუთრებით შეუწყო ხელი მათმა ნარმატებამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში სათათბიროებში მოღვაწეობამ. 1906 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ საქართველოდან სათათბიროში აირჩიეს 8 დეპუტატი. მათ შორის 5 სოციალ-დემოკრატი იყო. კერძოდ, სათათბიროს დეპუტატები გახდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, სერგო ჯაფარიძე, ივანე გომართელი და სვიმონ წერეთელი. სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად აირჩიეს ნოე ჟორდანია. კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოჰყვა მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს, რომელიც 1907 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა. საქართველოდან სათათბიროში 8 დეპუტატი აირჩიეს, რვაცე დეპუტატი სოციალ-დემოკრატი იყო. ამჯერად დეპუტატები გახდნენ: ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, ჭოლა ლომთათიძე, კონსტანტინე კანდელაკი, ნიკოლოზ კაციაშვილი, გერასიმე მახარაძე, სეფერან ჯუღელი და არშაკ ზურაბოვი. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად აირჩიეს ირაკლი წერეთელი. მასთან ერთად ფრაქციის ლიდერის როლში გამოდიოდა არჩილ ჯაფარიძე. ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მათი ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობისათვის, გაბედული გამოსვლები შავრაზმელური ძალების წინააღმდეგ განუხრელად ზრდიდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ავტორიტეტს მთელ იმპერიაში.

თბილისელმა ბოლშევიკებმა, იოსებ სტალინის ინიციატივით, 1907 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც პარტიულ ფორუმებზე ბრძოლა წააგეს, შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ცენტრი. ცენტრის შექმნა რსდმპ წესდებით ან რაიმე საგანგებო დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული. ამ ორგანოს კონსპირაციული მოსაზრებით უწოდეს „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო". ბიუროს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: იოსებ ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, პაველ ჯაფარიძე, ვიქტორ ნანეიშვილი, მიხეილ დვითაშვილი, სურენ სპანდარიანი, ზაქარია ჩოდრიშვილი და სხვ. „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო" ვერ გახდა პარტიული მუშაობის ცენტრი, პოპულარობა ვერ მოიპოვა მუშებში და იოსებ სტალინის თბილისიდან წასვლის შემდეგ პრაქტიკულად შეწყვიტა კიდეც არსებობა.

§3. ქართველი სოციალ-დემოკრატები რსდმპ V ყრილობაზე

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე მარცხის შემდეგ ბოლშევიკები ვლადიმირ ლენინის მეთაურობით მოითხოვდნენ პარტიის მორიგი, V ყრილობის მოწვევას. ყრილობის დელეგატების არჩევნებმა საქართველოში ნათლად აჩვენა ძალთა თანაფარდობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში. არჩევნები ქართველი მენშევიკების სრული უპირატესობით ნარიმართა.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან – 1 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 303 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 39 სათათბირო ხმით პარტიის 150 ათასი წევრისაგან. გადამწყვეტი ხმით 177 დელეგატი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან იყო (89 ბოლშევიკი და 88 მენშევიკი), 45 – პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის, 26 – ლატვიის სოციალ-დემოკრატიის, 55 – ბუნდისაგან. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რსდმპ 100, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის – 8, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის – 7, ბუნდის – 30 ორგანიზაცია, სულ – 145 პარტიული ორგანიზაცია. საქართველოდან დელეგატები აირჩიეს თბილისის, გურიის, ქუთაისის, ბათუმის, სამეგრელოს, ფოთის, თელავის და ბორჩალოს ორგანიზაციებისაგან. სულ არჩეული იქნა 28 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 10 სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებს შორის 26 მენშევიკი იყო, 2 – ბოლშევიკი, სათათბირო ხმის მქონე დელეგატთაგან – 7 მენშევიკი და 3 ბოლშევიკი. გადამწყვეტი ხმით თბილისის ორგანიზაციიდან ყრილობას ესწრებოდნენ მხოლოდ მენშევიკები: ვლასა მგელაძე (ტრია), ს. ბარსუკაძე (ტოკარევი), გრიგორიევი, პ. წულაია (დუპო), ნოე რამიშვილი (მორეული), ა. ვარსკი (ადოლფი) გიორგი ერაძე (მრადინი), გეორგი პლეხანოვი, ნოე ჟორდანია (კოსტროვი), ანდრია ჭიაბერიშვილი (ჭრელი); გურიის ორგანიზაციიდან – მხოლოდ მენშევიკები: ვ. ჯიბუტი (ვარდენი), არსენ წითლიძე (შუბინი), რაფიელ ჩიხლაძე (ალექსიძე), ალექსანდრ პოტრესოვი (სტაროვერი), ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე (პასანი), ს. პაიჭაძე (კრეპკი), პაველ აქსელროდი, ვ. კროხმალი (ზაგორსკი), ნიკოლაევი; ქუთაისის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: თევდორე კიკვიძე (ქალარა), მ. ნინიძე (ლეონიდე), გრიგოლ ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი); ბათუმის ორგანიზაციიდან – მენშევიკი ბ. ნიკოლაევსკი (გოლოსოვი); სამტრედიის ორგანიზაციიდან – მენშევიკი კ. ჩაჩავა (კოლხიდელი); ფოთის ორგანიზაციიდან მენშევიკი გრიგოლ ურატაძე

(ვანო); თელავის ორგანიზაციიდან: ბოლშევიკები სტეფანე შაუმიანი (სურენინი) და ა. კახოიანი (ბორჩალინსკი). სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდნენ: თბილისის ორგანიზაციიდან – ბოლშევიკი იოსებ ჯუღაშვილი (ივანოვიჩი); ბორჩალოს ორგანიზაციიდან: ბოლშევიკი მიხა ცხაკაია (ბარსოვი) და ალექსეი პეშკოვი (გორკი), მენშევიკები ლევ ბრონშტაინი (ტროცკი) და ოსიპ პეტერბურგსკი; მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან: ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე კანდელაკი, არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი, გერასიმე მახარაძე. გარდა ამისა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი დელეგატები გადამწყვეტი ხმით: ბაქოს ორგანიზაციიდან – მენშევიკი ისიდორე რამიშვილი (ზერევი), მოსკოვის ორგანიზაციიდან – მენშევიკი ი. ხუნდაძე (ალექსეი); ტაგანროგის ორგანიზაციიდან – მენშევიკი სოხაძე (ლეონოვი).

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში;

2.სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ანგარიში;

3. დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან;

4.სახელმწიფო სათათბირო;

5.მუშათა ყრილობა და უპარტიო მუშათა ორგანიზაციები;

6. პროფესიული კავშირები და რსდმპ;

7. პარტიული გამოსვლები;

8. უმუშევრობა;

9. ეკონომიური კრიზისები და ლოკაუტი;

10. მუშაობა არმიაში;

11. ორგანიზაციული საკითხები;

12. სხვადასხვა.

ყრილობის პირველსავე სხდომაზე აირჩიეს სამანდატო კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ გრიგოლ ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი) და ნოე რამიშვილი (ბორცოვი).

რსდმპ V ყრილობამ უკვე დღის წესრიგის დამტკიცებისას დაუშვა სეროზული შეცდომა, როცა დებატების გარეშე დღის წესრიგიდან ამოიღეს ეროვნული საკითხი. ასეთი მოქმედება მიუტევებელი იყო, მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის რუსეთის იმპერიაში ძალზე გამწვავდა ერთა შორის ურთიერთობანი. ამ თემის ყურადღების გარეშე დატოვება ხაზს უსვამდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობის – ბოლშევიზმისა და მენშევიზმის —კოსმოპოლიტურ ბუნებას.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში ყრილობას წარუდგინა იულ ცედერბაუმმა (ლევ მარტოვმა). თანამოხსენებებით გამოვიდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და რაფაილ რეინში (აბრამოვიჩი). სამივე გამოსვლა, ფრაქციულობის მიუხედავად, გაწეული მუშაობის ღრმა და სერიოზულ ანალიზს იძლეოდა. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში ქართველი დელეგატებიდან პირველი ნოე ჟორდანია გამოვიდა. მისი სიტყვა არ გამოირჩეოდა რაიმე სიახლით. ნოე ჟორდანია ძირითადად შეეხო მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთობას საანგარიშო პერიოდში. იგივე ითქმის ნოე რამიშვილზეც, იმ განსხვავებით, რომ მან, მართლია, მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად ამხილა ელადიმირ ლენინის (ბოლშევიზმის) ტაქტიკური ხაზი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე – სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიში მოხსენებით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სულ პყავდა 54 წევრი გადამწყვეტი ხმით, ხოლო 11— სათათბირო ხმით. 54 გადამწყვეტი ხმიდან 33 ეკუთვნოდა მენშევიკებს, 15 – ბოლშევიკებს, 3 ხმა ემხრობოდა მენშევიკებს, 3 ხმა – ბოლშევიკებს. თავისი მოხსენების დასაწყისშივე ირაკლი წერეთელმა აღნიშნა: „სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომლითაც განისაზღვრება მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები იმ ისტორიულ პერიოდში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. ამ ტაქტიკას საფუძვლად უდევს ისტორიული გამოცდილება. ეს ისტორიული გამოცდილება შეძენილია პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის არენაზე ჩვენზე ადრე გამოსული ჩვენი დასაელეთ ევროპელი ძმების სისხლით“. რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ირაკლი წერეთელმა ასე განსაზღვრა: „რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ამჟამად წარმოადგენს იმ ამოცანების სინთეზს, რომლებიც ხორციელდებოდა დასავლეთ ევროპელი პროლეტარიატის მიერ წინა ორ რევოლუციურ ეპოქაში – საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და 48 წლის რევოლუციის (1848 წლის რევოლუციის – ვ. გ.) დროს. ჩვენმა ტაქტიკამ უნდა შეაერთოს ორი საწინააღმდეგო ტაქტიკა, რომელთაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ატარებდა ცხოვრებაში პროლეტარიატი ამ ორი რევოლუციის დროს“. შემდეგ ირაკლი წერეთელმა გააანალიზა 1789 წლისა და 1848 წლის რევოლუციების გამოცდილება და აღნიშნა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გაითვალისწინოს ორივე რევოლუციის

გამოცდილება, ამავე დროს „ნათლად შეიგნოს თავისი საბოლოო ამოცანა, სოციალისტური გადატრიალების ამოცანა“.

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობამ ოთხი მოხსენება მოისმინა. მოხსენებით გამოვიდნენ: ვლადიმირ ლენინი, საულ პიკერი (ალექსანდრ მარტინოვი), როზა ლუქსემბურგი და რაფაილ რეიხი (აბრამოვიჩი). ქართველ დელეგატებს მოხსენებათა გამო გამართულ საქმაოდ მწვავე კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ. ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტი ყრილობას წარუდგინა ლევ როზენფელდმა (კამენევმა). სულ კი შეტანილი იქნა რეზოლუციის სამი პროექტი. ქართველ დელეგატებს არც რეზოლუციების პროექტების განხილვაში მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა კენჭისყრის დროს ბოლშევიკური რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. საბოლოოდ, იმის გამო, რომ ხმების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტმა მიიღო, ყრილობამ მხოლოდ მისი განხილვა განაგრძო. ბოლშევიკების მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ: სოხაძე, არჩილ ჯაფარიძე, ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანია.

დელეგატმა სოხაძემ კადეტებისადმი ბოლშევიკების აშკარად აგრესიული დამოკიდებულების საპასუხოდ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენ ვადასტურებთ იმ ფაქტს, რომ კადეტები მხარს უჭერენ მონარქიას, მაგრამ არ შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ მათ საბოლოოდ აქციეს ზურგი რევოლუციას“. კადეტებისადმი ბოლშევიკების არასწორი დამოკიდებულების წინააღმდეგ ირაკლი წერეთელმა ყრილობაზე განაცხადა: „აქ რამდენიმე არსებითი შესწორების შეტანა უიმედოა. ალექსინსკი ამბობდა: ჩვენ არ ესაყვედურობთ კონსტიტუციურ დემოკრატებს იმის გამო, რომ ისინი არ გადიან ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებიდან, მაგრამ მივუთითებთ იმაზე, რომ კონსტიტუციურ-დემოკრატების იდეალებიც კი არ გადიან ამ საზღვრებს იქით. მაგრამ კადეტების პარტია რომ აშკარა ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებს და სოციალისტ-რევოლუციონერთა და ტრუდოვიკთა მსგავსად ფრაზეოლოგიით არ ინიღბება, ეს ხომ მხოლოდ მისი დადებითი მხარეა. და თუ აქ ისევ აღიმართება ხელების მთელი ტყე ჩვენი შესწორების წინააღმდეგ, ეს იქნება უხეირო ხარკი ესეროვშინისადმი“.

ქართველ დელეგატებს მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, როგორებიცაა სახელმწიფო სათათბირო, პარტიზანული გამოსვლები და პროფესიული მოძრაობა.

ყრილობის ოცდამეთხუთმეტე სხდომაზე გამოცხადდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შედეგები. არჩევნებში მონაწილე დელეგატებს ჰქონდათ 293 ხმა. ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს ხმები ასე განაწილდა: ა. ს. პიკერი (მარტოვი) – 150 ხმა, ნ. ნ. ფორდანია (კოსტროვი) – 150 ხმა, კ. ხ. დანიშევსკი (გერმანი) – 149 ხმა, ა. ი. გუსევი (ნიკიფორი) – 148 ხმა, ი. ა. ისაევი (მიხაილი) – 148 ხმა, ნ. ა. როჟკოვი (ეაჩესლავი) – 146 ხმა, ი. ფ. დუბროვსკი (ინოკენტი) – 145 ხმა, ა. ს. ვარსკი (ადოლფი) – 145 ხმა, ი. ა. ფიოდოროვიჩი (ივანოვი) – 144 ხმა, ვ. პ. ნოგინი (ცერშინინი) – 144 ხმა, ი. დ. ლენცმანი (გრიკე) – 144 ხმა, ფ. ე. ძერჟინსკი (დომანსკი) – 144 ხმა, ა. ბუშევიცი (რიბაკი) – 144 ხმა, გ. ე. რადომისლსკი (ზინოვიევი) – 143 ხმა. არჩეულად ჩაითვალა პირველი 9 კანდიდატი (ა. ს. ვარსკის ჩათვლით). დაისვა საკითხი, თუ როგორ გადაეწყვიტათ იმ 5 კანდიდატის ბედი, რომელთაც მიიღეს თითოეულმა 144 ხმა. საბოლოოდ, ხელახალი კენჭისყრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა 37 დელეგატი, 5 კანდიდატიდან ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს: ი. ა. ფიოდოროვიჩი, ვ. პ. ნოგინი და ფ. ე. ძერჟინსკი. ვლადიმირ ლენინი ცენტრალურ კომიტეტში არ აურჩევიათ.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა არ გამოირჩეოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი აქტივობით. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ირაკლი წერეთელი შეადგენდა, რომელიც ყრილობაზე წარმოდგა, როგორც მენშევიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი. მის სახელს უკავშირდება კარგად გააზრებული და დასაბუთებული ბრძოლა ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ.

თავი XIII. ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში

§1. საქართველოს საეგზარქოსო 1905 წელს

1905 წლის დამდეგისათვის საქართველოს საეგზარქოსოს სტრუქტურა და შტატი ასეთი იყო:

I. საქართველოს ეგზარქოსი – მთავარეპისკოპოსი **ალექსი ოპოცკი** (1901-1905), რომელიც იმავდროულად იყო ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსი;

II. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა (იგივე – საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა)შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა:

1. **ალექსი ოპოცკი** – საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი, თავმჯდომარე;

2. **ბენიამინი** –გორის ეპისკოპოსი;

3. **ეფთვიმი** – ალავერდის ეპისკოპოსი;

4. **ნიკანდრი** – არქიმანდრიტი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი;

5. **გიორგი** – არქიმანდრიტი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი;

6. **ამფილოქი** – არქიმანდრიტი, საეგზარქოსო სახლის ეკონომი;

7. **იოან ვოსტორგოვი** – დეკანოზი, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი;

8. **ლევ რუშჩინსკი** – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი და სინოდალური კანცელარიის მმართველი;

9. **სოლომონ ჩიტაძე, სოფრომ მგალობლიშვილი**– სინოდალური კანტორის მდივნები;

10. **ლეოპოლდ ბილფელდი** – სინოდალური კანტორის არქიტექტორი;

11. **ალექსანდრე არდაზიანი** – სინოდალური კანტორის ბუღალტერი, ხაზინადარი, ეგზეკუტორი;

11. **თომა ალექსი-მესხიშვილი** – სინოდალური კანტორის არქივარიუსი, რეგისტრატორი;

12. **ფიოდორ ვენეცკი, არონ იანკოვი, ალექსეი დავიდოვი, ნიკოლოზ ბერიშვილი** – სინოდალური კანტორის მაგიდის უფროსები;

13. **ვასილ ტაბატაძე, დიმიტრი მღებრიშვილი** – სინოდალური კანტორის მთარგმნელები;

III. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია:

1. **ვლადიმირ ტრელინი**–მმართველი;

2. **დავით დავიდოვი, დიმიტრი სოკოლოვი** – მმართველის თანაშემწეები;

3. **ვასილი პეტროვი** – ხაზინადარი;

4. **მიხაილ ჟუკოვი** – ჟურნალისტი და არქივარიუსი;

IV. საქართველოს (ქართლ-კახეთის – ვ. გ.) **ეპარქია:**

1. ქართლისა და კახეთის ეპარქია– ეპარქიის მმართველი რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი, საქართველოს ეგზარქოსი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე, მთავარეპისკოპოსი **ალექსი (ოპოცკი)**;

2. გორის ეპარქია – ეპარქიის მმართველი



ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე)

ეპისკოპოსი და საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს– ვ. გ.) ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსი **ბენიამინი**;

3. ალავერდის ეპარქია – ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი და საქართველოს (ქართლ-კახეთის –ვ.გ.) ეპარქიის მეორე ქორეპისკოპოსი **ეფთვიმი**;

4. თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი –დეკანოზი **მარკოზ ტყემალაძე**;

V. იმერეთის ეპარქია– ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **ლეონიდი (ოქროპირიძე)**;

1. ეპარქიის კანცელარია – მდივანი **ერასტი თუთბერიძე**, მდივნის თანაშემწე– **რაჟდენ კანდელაკი**;

2. ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი –დეკანოზი **გაბრიელ ცაგარეიშვილი**;

VI. გურია-სამეგრელოს ეპარქია – ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **დიმიტრი**;

1. ეპარქიის კანცელარია – მდივანი **ტიხონ**

აეტონომოეი, მდივნის თანაშემწე –**გოორგი მარგალიტაძე**;

2. ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი **ტარასი ივანიცკი**;

VII. სოხუმის ეპარქია – ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **არსენი (იზოტოვი)**;

1. ეპარქიის კანცელარია – მდივანი **ალექსანდრ ტროიცკი**, მდივნის თანაშემწე –**ნიკოლაი ბალაბანენკო**;

2. სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი **დავით მაჭავარიანი**;

VIII. თბილისის სასულიერო სემინარია – რექტორი, ღვთისმეტყველების კანდიდატი არქიმანდრიტი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი)**;

IX. ქუთაისის სასულიერო სემინარია – გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ლესნიდ კონტიპინი**;

X. თბილისის სასულიერო სასწავლებელი – ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **იოან ბუტკრისკი**;

XI. გორის სასულიერო სასწავლებელი – გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **გრიგორი სოკალსკი**;

XII. თელავის სასულიერო სასწავლებელი გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **პაველ სოგინი**;

XIII. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ივან ზელინსკი**;

XIV. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ქსენოფონტ ნარბეკოვი**.

§2. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიმართვა მართლმადიდებელი მრევლისადმი რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით

1905 წლის 14 იანვარს რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით მართლმადიდებელ მრეველს მიმართა. ეს მიმართვა თბილისში 1905 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა ქართულ ენაზე. მოგვყავს ამ მიმართვის ტექსტი მთლიანად:

წყალობითა ღვთისათა უწმიდესი უმართებულესი სინოდი სუყვარულ მართლმადიდებელის სრულიად რუსეთის ეკკლესიის შვილთა მიმართ

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყუარული ღუთის და მამისა და ზიარება ულისა წმიდისა იყავენ თქუენთანა.

დიდი უბედურება მოუელინა უფალმან ჩვენს ძვირფასს სამშობლოს. წელიწადი ჩქარა შესრულდება, რაც რუსეთი ჰღვრის სისხლსა და ებრძვის წარმართთა[1] თავისი ისტორიული დანიშნულებისა გამო დასამყარებლად ქრისტიანობრივის განათლებისა შორეულ აღმოსავლეთში და თავის პატიჟის და ღირსების დასაცველად, რომელიც დაამცრო მტერმა მოულოდნელი თავ-დასხმით. მრავალ გვარად ცდილობდა თავიდგან აეცილებინა უკეთილმსახურესს მშვიდობის მოყუარე ჩვენს ხელმწიფეს, მაგრამ რუსეთს ომი მაინც არ ასცდა. საშინელი განსაცდელი მოგეველინა ღუთისაგან და ყველამ უნდა მიიღოთ ეს მოვლენა ჩვენი ცოდეების გამო უდრტვინველად, სინანულით და გრძნობით ნინაშე ღუთისა და მის მიუწდომელ განგებისა, შესახებ რუსეთისა. თუმცა ბევრი ფიქრობს, თავის იმედისა და ზვიადობის გამო, რომ მტერს ადვილად სძლევს. ჩვენის სარწმუნოებისა და თმენის მძიმე განსაცდელი უკვე იწყობა, ჩვენმა ქრისტეს მოყუარე მხედრობამ თუმცა მთელს ქუეყანას დაანახვა შორეულს და უცხო მხარეში თავისი ახოვანება და მოთმინება, მაგრამ ჩვენთა გმირთა და მცველთა ეერ იხსნეს მტრის ხელისაგან ჩვენი სიმაგრე და დარჩა მტერს პორტ-არტურის ციხე; ომის ბოლო, რომელსაც უნდა მოხმარდეს მთელი ხალხის ძლიერება, ღუთისა ნებისაებრ არა ჩანს.

მძიმე განსაცდელის დროს, რომელიც ეწია ჩვენ საყუარელ სამშობლოსა, ყველამ, დიდმა და პატარამ, წარჩინებულმა და უბრალო გლეხმა, უნდა გამოაჩინოს თვისი მტკიცე სარწმუნოება, მიუძღვანოს ვედრება და ლოცვა უფალსა, განიმიდოს თავისნი ცოდეანი სინანულისა ცრემლითა და ერთობით აღესდგეთ დასაცველად სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის და აღვიღოთ, სიტყვისაებრ წმიდისა მოციქულისა: „ყოველად საჭურველი იგი ღუთისა, რათა შეუძლოთ წინადადგომად დღეს მას ბოროტსა, და ყოველსაე იქმოდეთ, რათა სდგეთ“ (ეფესელთა მიმართ, VI, 13). ეხლა კიდევ სხვა განსაცდელი მოგეველინა ღუთისაგან – უბედურება[2] – უმძარესი წინანდელზე, ესე იგი ომზედ უარესი, ენია ჩვენს საყუარელს სამშობლოსა.

სატახტო ქალაქსა და სხვა რუსეთის ქალაქებში გროვდებიან მუშები და უბან-უბან უწესოებას ახდენენ.[3] რუსეთის ერი, რომელიც დასაბამითგანვე მართლმადიდებელი და ძველადგანვე ჩვეულნი ერთგულობაში სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის, სხვა და სხვა ბოროტ-მზრახ-

[1] იგულისხმებიან იაპონელები – ვ. გ.

[2] იგულისხმება 1905 წლის იანვარში დაწყებული რევოლუცია – ვ. გ.

[3] იგულისხმება 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ რუსეთში დაწყებული მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები – ვ. გ.

ველთა პირთა შთაგონებით, რომელნიც შინაურნი და გარეულნი მტერნი სამშობლოსანი არიან, ანებებენ თავს ათი-ათასობით თავის ჩვეულებრივ მშვიდობიან მუშაობას და თავის სიმრავლით და ძალადობით სურთ, დაიბრუნონ ვითომდა წართმეულნი უფლებანი. ამ ბრბოებმა მრავალ მყუდროდ მცხოვრებთ მიაყენეს უსიამოვნება და წუხილი მრავალი, პურის ლუკმა გაუწყვიტეს და სიკვდილი მოუსწრაფეს, რომელთამე თავის ძმათაგანთა, გულით გაბოროტებულთა და პირით მოლაღეთა და მაყვედრებელთა, მუშა ხალხის ამრევთა, რომელშიაც გაერია უღირსი სამღვდელო პირი,[1] შემაგინებელი უსირცხვილოდ წმიდისა სულისა და გაბმული საეკლესიო პასუხის გებაში, გაკადნიერდა, და აიღეს ხელში პატიოსანი ჯვარი, ხატები და დროშები საცდუნებელად და დაღუპვად მორწმუნეთა. სამწუხაროდ, მისაჩნევია ეს არეულობა მომეტებულად იმისთვის, რომ აქ ფულით მოქმედობენ ჩვენი მტრები, დამარღვეველნი საზოგადო მშვიდობისა. რუსეთში ჩვენმა მტრებმა დიდი ფული მოიტანეს იმისთვის, რომ ყველანი ერთიმეორეს გადაჰკიდონ, მუშა ხალხი საქმეს მოაშორონ, წინააღუდგნენ ჯარის გაგზავნას შორეულ აღმოსავლეთში ხმელეთით და ზღვით, ან კიდევ იქ მყოფ ჯარს საზრდო-საჭმელი არ ეძლეოდეს თავის დროზედ და ამგვარი დაბრკოლებით და არეულობით რუსეთი ჩააგდონ უზომო უბედურებაში. ჩვენს მტრებს უნდათ, რომ მთლად დაემხვას ჩვენი ძლიერება, ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება და მეფის უფლება. რუსეთი უამითოთ ვერ იცხოვრებს და დაიღუპება, რადგანაც ამათ გაადიდეს და გააძლიერეს.

ოჰ, რა დიდად და საშინლად სამწუხაროა! რუსეთის ხალხი, მართლმადიდებელნი ქრისტეანენი ნინააღუდგებიან სჯულერს ხელმწიფესა, მტრობენ ერთმანერთს და ებრძვიან, ისიც როდის? იმ დროს, როდესაც მათი ძმები შორეულ აღმოსავლეთში ჰკვრიან სისხლსა და მტერს ებრძვიან, როდესაც ჩვენი მანუგეშებელი ხელმწიფე, მისი მეუღლე და დედა თავ-დადებულნი არიან დაჭრილებისათვის და ავადმყოფებისათვის და მოუღალავად ზრუნავენ, შეუსუმბუქონ ტანჯვა და მწარე მდგომარეობა, რომელშიაც ისინი ჩავარდნენ ჩვენის სახელმწიფოს სადიდებელად და გასაძლიერებელად. მოიფიქრეთ, საყვარელნო ძმანო, რა გვარად საშინლად სწუხს ყოველსა ამა ზედ ჩვენი ღვთივ გვირგვინოსანი მთელის რუსეთის მხედართ მთავარი, რა გვარად შესწუხდება ჩვენი თავ-გამოდებული სახელმწიფოსათვის მხედრობა, როდესაც სატახტო ქალაქში და მთელ თავის სამშობლოში მომხდარს არეულობას გაიგებს, რა გვარად გაიხარებს და გაძლიერდება ჩვენი მტერი, დამხახელი ჩვენში შფოთისა და განხეთქილებისა?!

მაგრამ არა უსჯულოებათაებრ ჩვენთა ჭეშმარიტად მიყო ჩვენ უფალმან და არცა ცოდვათაებრ ჩვენთა მომაგო ჩვენ. ამ განსაცდელში ეხედავთ უზენაესის მონყალე მარჯვენესა. *რომელი უყვარს უფალსა, საჯოს მას.* იგი, მრავალ მოწყალე, გვსჯის მისთვის კი არა, რომ სრულებით დავიღუპნეთ, არამედ დავდგეთ სინანულის გზასა.

უწმიდესი სინოდი დიდად სწუხს ამ დროის ნარნყმედულის არეულობისა გამო და ეუდრება წმიდის მართლმადიდებელისა ეკლესიას სახელითა ყოველთა იმის შვილთათვის: „ღვთისა გეშინოდეთ, მეფესა პატივს-ცემდეთ" *(1 პეტრე, II, 17)*, „და ყოველთა უფლებათა, ღვთისაგან განწესებულთა, დაემორჩილენით" (რომაელთა მიმართ, *XIII, 1)*.

მწყემსნო წმიდისა მართლმადიდებელისა ეკლესიისანო: „პქადაგეთ სიტყვა, ზედა ადექით ჟამითი უჟამოდ, ამხილეთ, შერისხენით და ნუგეშინის-ეცით ყოველითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა" *(2 ტიმოთე, IV, 2)*. „სახე ექმენით მორწმუნეთა სიტყვითა, სელითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა და სიწმიდითა" *(1 ტიმოთე, IV, 12)*.

უფლებისა მქონებელნო: „ეძიეთ სიმართლე, იხსენით დევნულნი, უწყალეთ ობოლსა და ქვრივსა პფარეედით" (**ისაია I, 16-17**).

მდიდარნო: „ნუ ესავთ სიმდიდრესა მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, კეთილსა პყოფდით, განსმდიდრდით კეთილითა საქმითა, მოწყალებითა და ქველის-მოქმედებითა" *(1 ტიმოთე, VI, 17)*.

შრომის მოყვარენო რუსეთისანო, კაცნო მუშაკნო! როგორც ბრძანებს უფალი: „ოფლითა პირისა თქუენისათა სჭამეთ პური. ნუ დაივიწყებთ, რომ ვინც არა შრომობს, არ არის ღირსი პურის ჭამისა. ერიდეთ ცრუ მრჩეველთა თქუენთა, რომლებიც ვითომ ზრუნავენ თქუენთვის და არეულობაში თქუენს სარგებლობას და საჭიროებას ეძებენ, რომლებიც თქუენვე გაშორებენ თქუენს ჭერსა და ლუკმას გაკლებენ. ისინი თქუენ კი არა გშველიან, არამედ თქუენს და ყველას მტერს, რომელსაც სურს ჩვენი ქვეყნის დამხობა და გაოხრება.

უფლისა მიერ საყვარელნო შვილნო წმიდისა მართლმადიდებელისა ეკლესიისანო! უწმიდესი სინოდი იმედეულობს, რომ ამ სიტყვას და დარიგებას ჭეშმარიტისა სწავლისას მტკიცეთ ჩაინერგავს თქუენ გულში და, ამასთანავე, გიძ-

[1] იგულისხმება მღვდელი გეორგი გაპონი, რომელიც 1905 წლის 9 იანვარს ნინ მიუძღოდა მუშათა დემონსტრაციას – ვ. გ.

ღვნით მოციქულებრივსა კურთხევასა:

„წყალობა თქუენთანა, და მშვიდობა და სიყუარული განმრაველდინ“ (იუდეელთა, I, 2).

მდაბალი **ანტონი**, მიტროპოლიტი ს.-პეტერბურგისა და ლადოჟისა.[1]

მდაბალი **ვლადიმირი**, მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომენისა.[2]

მდაბალი **ფლავიანე**, მიტროპოლიტი კიევისა და გალიციისა.

მდაბალი **ნიკოლოზ**, არქიეპისკოპოსი ფინლიანდიისა და ვიბორგისა.

მდაბალი **კლიმენტი**, ეპისკოპოსი ვანიცკისა.

ს.-პეტერბურგი.

14 იანვარი, 1905 წლისა.

რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიმართვასთან ერთად თბილისში რუსულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართვაც, რომლის ტექსტიც ქვემოთ მოგვყავს:

გიცხადებთ თქვენ, მორწმუნენო შვილნო ქრისტეს ეკლესიისანო, ამა მოძღვრებასა უწმიდესის სინოდისას, უმაღლესს სასულიერო მთავრობისას, ჩვენ საქართველოს საეპარხოსოს მღვდელთ-მთავარნი გევედრებით, საყვარელნო, რომელ, თანახმად სიტყვისა უფლისა იესო ქრისტესისა: „რომელმან არა ისმინოს ეკლესიისა, იგი არს წარმართი“ (მათე, 18, 14) და არა ქრისტეანე. დიდად სამწუხაროდ, კავკასიის მთების გადმოღმა გაიმართეს ბუდე იმ ბოროტის მყოფთა ეკლესიის და რუსეთის მტერთა, რომლებიც უწესოებას ახდენენ აქა-იქ სხვა-და-სხვა რუსეთის ქალაქებში, რომლებზედაც გვაუწყებს უწმიდესის სინოდის მოძღვრება. ჭირივით ძალზედ ვრცელდება ბოროტი სწავლა.[3] რა გვარი ბოროტება არა ჰქმნეს ბოროტის მყოფელთა ჩვენ მხარეში. სცარცვამენ მონასტრებსა, რომლებისთვისაც ჩვენთა მამა-პაპათა სისხლი დასთხიეს, წინააღუდგებიან სულიერთა მოძღვართა, შეურაცხჰყოფენ და უპატივრობას აყენებენ წმიდა ტაძრებს და ღვთის-მსახურებას, უპატიოთ ხდიან მღვდლებს, ზოგიერთი მოჰკლეს, ზოგს თავს დასხმას და სიკვდილს უქადიან და ეს ყველა უბედურება ხდება იმ ქვეყანაში, რომელიც მრავალი მტრებისაგან შეინახა მართლმადიდებლობამ, სადაც მცხოვრებთა 15 საუკუნის განმავლობაში თავისი სისხლით საყდრები, მონასტრები და ქრისტიანობრივი საღმრთო მსახურება დაიცვეს. ამ ჟამათ მუშა ხალხმა თავი მიანება თავის ოჯახს, არ ფიქრობს, რომ მტრები ღვთისა და მამულისა ატყუებენ, აქა-იქ გვროვდება, ირევა და შფოთობს. ურჩევენ ბევრს, რომ ანებონ თავი შრომას და საქმეს, მთავრობას არ ემორჩილება. წინააღმდეგნი შრომისა და მუშაობისა გაიფანტნენ სხვა-და-სხვა სოფლებში, გადარიეს იქაურნი პატიოსანნი და მშვიდნი მინის მკეთებელნი, ოჯახის პატრონნი და მკვებაენი და დააყენეს ბოროტს გზაზედ.

საყვარელნო, გითვლით თქვენ მოციქულის სიტყვებით: „ნუ ყოვლისა სულისა (სწავლა) გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი (ესე იგი სწავლანი) უკეთუ ღვთისაგან იყუნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი განსრულ არიან სოფლად“ (1 იოანე, 4, 1). ამ სწავლაზედ, რომელსაც ამ ჟამად აერცელებენ ბოროტის მსურველნი და წინააღმდეგია ღვთისა, მეფისა და მთავრობისა, უწინარესვე გვაუწყა ღვთის სიტყვამ, რომელიც ამბობს: „რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არა თავს იდებენ, არამედ გულისთქმათაებრ თავის თვისისა შეიკრებდნენ მოძღვართა ქავილითა ყურთათა და სასმენელნი თვისნი ჭეშმარიტებისაგან გარემიიქცინენ“ (2 ტიმოთე, 4, 3). ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარმატებდნენ უძეირფასესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდენ!“ (2 ტიმოთე, 3, 13). „იგინი, სიტყვისაებრ მოციქულისა, უფლებასა შეურაცხ-ყოფენ კადნიერნი და თაეხედნი, დიდებისათვის არა სძრწიან, არამედ ჰგმობენ“ (2 პეტრე, 2, 10). ამ გვარ მასწავლებელთა ცრუთა და ნარმსწყმედელთა შესახებ სიტყვა ღვთისა ამბობს: „არიან მრავალნი დაუმორჩილებელნი და ამაოსა მეტყველ და გონება მაცთურ, რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ, ასწავებენ, რომელი იგი არა ჯერ არს, რომელთა ჯერ არს პირისა დაყოფა“ (ტიტეს მიმართ, 1, 10-11).

გევედრებით თქვენ, საყვარელნო, არიდეთ სასმენელნი თქვენნი ამ ცრუ მასწავლებლებს, აშორეთ ამათ თქვენი შვილნი, ემორჩილენით მთავრობასა, დაინერგეთ ქრისტეს სახარების სწავლა, რომელიც გესმით სამღვდელოებისაგან, შეუდგით ლოცვასა და სინანულსა მომავალ დიდმარხვის დღეებში, იყავით მშვიდობით და წყნარად, ყველამ აკეთეთ თავისი საქმე, ხოლო ბოროტის მასწავლებელთა შემდგომ რჩევისა და მხილებისა ჯერ ცალკე, მარტო და მერე ერთ-ორ კაცთან, როგორც გვასწავლის წმიდა სახარება, სამსჯავროდ მიეცით მთავრობას. როდესაც თქვენ ძვირის-მომქმედებს არ გაუგონებთ, თვით ისინი გაკრეხიან, როგორც სიბნელე სინათლის წინ. და იმათ ვეღარ უშველის ვერც ფული და ვერც შემწეობა, რომლებსაც მიიღებენ ისინი ჩვენი სარწმუნოე-

[1] უნდა იყოს: ლადოგისა – ვ. გ.

[2] უნდა იყოს: კოლომენსკოესი – ვ. გ.

[3] იგულისხმება სოციალისტური იდეოლოგია – ვ. გ.

ბისა და სახელმწიფოს მტრებისაგან.

ვეუდრებით ეკლესიის მწყემსთ, გაახშირონ ქადაგება და ღვთის მსახურება.

ვეუდრებით სკოლის მასწავლებელთა, მოარიდონ შეგირდები ბოროტს სწავლასა, რომ არ გაიგონონ.

ვეუდრებით ყოველთა უფლების მქონებელთა, მამაცად და სიმტკიცით სდგენონ ბოროტება ამისათვის, რომ მთავრობანი და უფლების მქონებელნი „არა არიან", როგორც ამბობს სიტყვა ღვთისა: „საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთა, რამეთუ არა ცუდად ხრმალ ჰბს" (რომაელთა მიმართ, XIII, 3-4).

ვეუდრებით ეაჭართა, იქონიეთ შიში ღვთისა და ნუ ისარგებლებთ ამ დროით და ნუ დააძვირებთ ყველა საცხოვრებელის საჭიროებათა, რადგანაც დიდი შესანუხებელია სიძვირე ღარიბთათვის და სამწუხაროა და დაბადებს უკმაყოფილებას.

ვეუდრებით სახლის პატრონთა, ნუ შეაწუხებთ მოსამსახურეთა და მომუშავეთა, არამედ თანახმად ღვთისა სიტყვისა: „მისცემდეთ მათ სამართალსა და სწორსა, უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალოე გივის ცათა შინა" (კოლასელთა მიმართ 4, 1).

ვეუდრებით მუშაკთა უფლისა და საუკუნოს ცხოვნებისა სახელითა. იყავით წყნარად, იშრომეთ, ნუ გაუგონებთ ცრუ მასწავლებელთა და გახსოვდეთ მოციქულის სიტყვა: „რომელსა არა ნებაჳ საქმე (შრომა), ნუცა სჭამნ" (2 თესალონიკელთა მიმართ 3, 10).

მშვიდობა თქუენდა, მშვიდობა ყოველთა და კურთხევა უფლისა.

ალექსი, არხიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, საქართველოს ექსარხოსი

არსენი, ეპისკოპოსი სოხუმისა

ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა

დიმიტრი, ეპისკოპოსი გურია-მენგრელიისა

ბენიამინი, ეპისკოპოსი გორისა

ექვთიმე, ეპისკოპოსი ალავერდისა.

II

ღვთისა გეშინოდეს (1 პეტრე, 2, 17)

მშვიდობიან, კმაყოფილ და ბედნიერ ცხოვრების ძიება ყოველ კაცის თვისებაა. შექმნა ღმერთმა კაცი, მან მისცა მას გონება და გული, მსურველი ბედნიერებისა ოჯახურ, საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში. მოწყალე ღმერთი თვით მსურველია კაცთა ბედნიერებისა და ანიჭებს მათ, რაიცა საჭიროა ბედნიერებისათვის ქვეყანასა ზედა და ცათა შინა, შემდეგ თითოეულს ჩვენგანის სიკეთილისა. მაგრამ თუ კაცი ღვთისაგან შექმნულია და ცხოვრება მის ნებით მიიღო და არა თავით თვისით, ცხადია, რომ კაცი მოვალეა, იცხოვროს ნებისაებრ ღვთისა და არა თვითნებლობით. თვინიერ ნებისა ღვთისა, თვინიერ მცნებათა მისთა აღსრულებისა, კაცი ისეთია, როგორიც თევზი თვინიერ წყლისა და ხე თვინიერ სითბოსინათლისა. იგი დაიღუპება აუცილებლად და ეერ მიემთხვევა ბედნიერებას.

აი, რისთვის უფალი მის წმიდა სიტყვაში, რომელიც გამოგვიცხადა სალმრთო წერილში, გვეუბნება: „ღვთის მსახურება ყოველითაე სარგებელ არს, რამეთუ აღთქმა აქუს ცხოვრებისა აწინდელისა და მერმისა" (1 ტიმოთეს მიმართ, IV, 8). და ჩვენ ვხედავთ და ვიცით, თუ ვითარ მშვიდად და განსვენებულად არიან კეთილმსახურნი კაცნი. ხოლო რომელმაც იცის წინანდელი ისტორია კაცობრიობისა, მას შეუძლია გვითხრას, რომ დედამიწაზე არ ყოფილან არც კაცნი, არც ერნი და არც სამეფონი, მცხოვრებნი თვინიერ სარწმუნოებისა, ღვთის აღსარებისა, ვიდრე იგინი პატივსცემდენ ღმერთსა, ძლიერნი და ბედნიერნი იყუნენ, გარნა როგორც დაიწყებდენ ღმერთსა და დაარღეუდენ მცნებათა მისთა, საზარელად იღუპებოდენ. ასეთი ბოლო მიეცათ ფრიად ძლიერთა და დიდთა სამეფოთა და მათ ადგილ ზე ღმერთი მოუწოდებდა სხუათა ერთა, რომელნიც ალიარებდენ და პატივს-ცემდენ მცნებათა მისთა. ეს ცხადია და მრავალი განმარტება არ უნდა. ღვთის რწმენას მოკლებულნი კაცნი მხეცთა უდარესად იქცევიან, შორდებათ სიყუარული ურთიერთისა, არ ემორჩილებიან არავითარ წესებს, წინააღუდგებიან უფლებათა, თავს ანებებენ შრომას, იტაცებენ სხვის ქონებას, კლავენ ერთმანერთს; ძლიერნი და ბოროტნი პირველად შეურაცხპყოფენ და აწუხებენ უძლურთა და შემდეგ იწყებენ ერთმანერთის ხოცვას. განა ამ გვარ წყობილებასთან შესაძლებელია ცხოვრება? განა ამ გვარ ცხოვრებაში შესაძლებელია ბედნიერება?

უფალი გარემოიქცევს პირსა თვისსა ესევითარ კაცთა, ხალხთა და სამეფოთაგან და იგინი თავის-თავად დაეცემიან. აი, რისთვის მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, ჩვენნი წინაპარნი იცავდენ წმიდა სარწმუნოებას, დიდად აფასებდენ მას, უყვარდათ ლოცვა, აშენებდენ ეკკლესიებს და მონასტრებს და პატივს-ცემდენ ღვთის მსახურთა. ღმერთმა აკურთხა მრავალ-ტანჯული ჩვენი ერი და იგი არ დაღუპულა, როგორც სხვა ერნი.

მაგრამ აი გამოჩნდენ ახლა ახალი მასწავლებელნი,[1] რომელნიც აშფოთებენ ჩვენს მორწმუნე ხალხს სიტყვითა და უსახელო წერილებით, ალუთქუამენ ხალხს ბედნიერებას, იზიდავენ

[1] იგულისხმებიან სოციალისტები – ვ.გ.

გამოუცდელ პირებს და სურით, აქციონ ისინი მოწინააღმდეგედ ღვთისა, ეკლესიისა და კანონიერ უფლებისა. ჩვენდა საკირცხვილოდ და საუბედუროდ, აღმოჩნდენ პირნი, რომელთაც ისმინეს ხმა ბოროტ-მასწავლებელთა ამათ და ჩვენ დასაბამითგან მორწმუნე და კეთილ-მსახურ ერთა შორის მოხდა ისეთი შემთხვევები, რომელიც, უკეთესი იყო, ყურს არ გაეგონა. განძარცულ იქმნენ ძველნი მონასტერნი – გელათისა, ნახარებოვისა, თეკლათისა; მოპარულ იქმნა სიწმიდე მართლმადიდებელ გურიისა – ხატი „ლომის კარელი"; გაძარცვეს მრავალი ეკლესია, მოპლეს ზოგან მღვდელნი და ზოგან შეურაცხპყვეს, სცემეს და დაემუქრენ მხოლოდ მისთვის, რომ ქადაგებენ სიმართლეს და სიტყვითა ღვთისათა ამხილებდენ უგუნურთა. ზოგიერთ ეკლესიებში ბოროტნი პირნი რეეოლეერით ხელში დაეცნენ მღვდელთა წმიდა ლიტურლიის დროს და უბრძანებდენ, შეეწყვიტათ ღვთის-მსახურება. ზოგან პირქვე დაამხეს ჭურჭელი წმიდა წყლისა და თითქმის ეკლესიაში წევდენ თამბაქოსა და ბანქოს თამაშობდენ შეურაცხსაყოფელად წმიდა ლოცვისა და ეკლესიისა. და ასეთნი პირნი აღგვითქვამენ ბედნიერებასა და კმაყოფილებას? რას მიიღებენ და მოგეაგებენ ისინი, გარდა ღვთის რისხვისა? როგორს სიმშვიდეს უნდა მოველოდეთ ესეეითარ ბოროტ პირთაგან?

გახსოვდესთ, ძმანო, რომ ჭეშმარიტს სწავლას არ შეუძლია წინააღუდგეს ღმერთსა და წმიდათა მისთა, ეკლესიასა და მსახურთა მისთა. გახსოვდესთ, რომ წყევის, ნარწყმედის და უბედურების მეტს არაფერს მოგეაგებენ ახალი მასწავლებელნი, ჭეშმარიტად მონინააღმდეგენი ღვთისა და ქრისტესი.

„ღვთისა გეშინოდეს", გვამცნებს სიტყვა ღვთისა. მიიღეთ მხოლოდ ის სწავლა, რომელიც არაა წინააღმდეგი ღვთისა და სიტყვითა ღვთისათა შეამოწმეთ სიტყვანი კაცთა. ამისთვის ყოველი სწავლა, წინააღმდეგი ღვთის სიტყვისა და ეკლესიის სწავლისა, უნდა უარვპყოთ, არ შეეინოთ ყოვლისა ძალითა. ლოცვითა, ურთიერთ სიყვარულითა და კაეშირითა მწყემსთა თანა ეკლესიისა დაიცევით თავი ახალ მასწავლებელთაგან, რომელნიც არიან მსახურნი სატანისა და ძენი ნარწყმედისა. და როცა დაინახავენ ისინი, რომ იმათ არავინ უსმენს, ხმას გაიკმენდენ და მიწყდებიან მათნი უგუნურნი სიტყვანი თავის თავად. უგუნურად ერაცხთ მათ სიტყვებს, რადგანაც არაა მათში სარწმუნოება ღვთისა, ხოლო დასაბამი სიბრძნისა არს შიში ღვთისა.

დავიცვათ სიბრძნე ესე სარწმუნოებისა და შიში ღვთისა, ვითარცა იცავდენ წინაპარნი ჩვენნი და დაგვაუალეს ჩვენცა, რათა განქარდენ, ვითარცა ბნელი წინაშე ნათლისა, ყოველნი მტერნი ღვთისანი, რომელთაც დაივინყეს დიადი და წმიდა მცნება: „ღვთისა გეშინოდეს".

III

მეფესა პატივ-ჰსცემდეთ (I პეტრე, II, 17)

აი ბრძანება საღმრთო წერილისა, რომელიც ამ ჩვენ დროში უმეტესად უნდა გვახსოვდეს. ან ჩვენ ერში აღსდგენ ცრუ მასწავლებელნი.[1] ეს ვაჟბატონნი ბრძანდებიან ყოველ ადგილიდან გამოყრილნი უვარგისობის, სიზარმაცის და აჯანყებისათვის. ხშირათ ეს ვაჟბატონნი მოსყიდულნი ბრძანდებიან ჩვენის სამშობლოს მტრებისაგან (ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დარწმუნებულნი ვართ მათ სვინდისის განყოდვაში. თქვენ თვითონ იფიქრეთ, რით ირჩენენ ეს ცრუ მასწავლებელნი თავს, ვისი ფულებით შოულობენ საჭმელს, სასმელს, თავის შესაფარს და სამოსელს?!). ამ ცრუ მასწავლებლებს თვითონ ჰსურთ, რომ ყველაზე იფლობელონ, ამიტომ ყვირიან ეხლა და სწერენ თავიანთ უსახელო წერილებში და ანერენ თავიანთ წითელ ბაირახებზედ (დროშებზედ), დასცენ მეფური თვითმპყრობელობის უფლება. ეს უგუნურნი გეპირდებიან იმას, რომ ვითომ, როდესაც აღარ იქნება მეფე და მეფის უფლება, მაშინ ყოველივე შენუხება და ნაკლულევანება ცხოვრებისა მოისპობა და გამოიცელებაო.

რა უგუნურებაა! ეს იმას ჰგავს, რომ ვისმეს ჰსურდეს სნეული კაცის განკურნა და ამ მიზნით მოჰკვეთოს მას თავი. მეფეა თავი ერისა და უმისოთ, როგორც მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს ისტორია, ყოველთვის დაღუპა მოელის სახელმწიფოს.

სხვაფრივ რომ ვსთქვათ, მორწმუნე ეკლესიის ძენი ჩვეულნი არიან, სწავლა კაცობრივი ყოველთვის შეამოწმონ სამღთო წერილის სიტყვებითა, ხოლო სიტყვა ღვთისა ცხადათ გვასწავლის, რომ მაღალი არს უფალი მეფობისა კაცთასა და ვისაცა სთნდეს, მისცემს მას (დანიელი, IV, 14; V, 21), აღყვანს ტახტსა ზედა მეფეთა (დანიელი, II, 21). ძველ აღთქმაში თვით უფლის ბძანებით სცხეს ზეთი კურთხევისა სამეფო ტახტ ზედ ასვლის დროს საულს, დავითს, სოლომონს და სხვ.

ახალ აღთქმაში თვით უფალი იესო ქრისტე ბძანებს, რომ აღვასრულოთ ჩვენი თანამდეობა მეფის წინაშე ისე, როგორც უნდა ვასრულებდეთ მას ღვთის წინაშე. მიეცით, – იტყვის უფალი – კეისრისა კეისარს და ღმრთისა – ღმერთსა (მათე,

[1] იგულისხმებიან სოციალისტები – ვ. გ.

XXII, 21) და მასვე უქადაგებდა მორწმუნეთა წმიდა მოციქული: *ღმრთისა გეშინოდეს, მეფესა პატივსცემდეთ (I პეტრე, II, 17).*

აბა, ახლა მიაქციეთ ყურადღება, როგორი მეფეები იყვნენ წმიდა მოციქულების დროში? მაშინ მეფენი წარმართნი იყვნენ, რომელნიც სტანჯვიდნენ და ჰხწყვეტდნენ ქრისტეანებს, თვით ურნმუნონი ეძახდნენ ამოსავარდნელებს და დანაშაულობათა გამომგონებლებს, მაგრამ ამისთანა მეფეების დამორჩილებასაც კი ბძანებს უფალი. მაშ, რალა გეთქმის მართლმადიდებელ მეფეების შესახებ?

დიდი ცოდოა იმის დავიწყება, როგორ სცდილობდნენ ეს მართლმადიდებელნი მეფენი ჩვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის. აბა, მოიგონეთ საქართველოს მეფეები, როგორ იცავდნენ მტრისაგან თავიანთ ერს, მთელს თავიანთ ცხოვრებას ომში ატარებდნენ, მტრების განდევნის შემდეგ ქარში და გაჭირვებაში როგორ ანუგეშებდნენ ერს, ამტკიცებდნენ წესიერ ცხოვრებას, იბრუნებდნენ მტრისაგან წართმეულ აოხრებულ ქონებას და მამულს, აშენებდნენ ტაძრებს, ამაგრებდნენ ციხეებს– გასაკვირველი არ არის განა, როგორ დაიცვეს მათ თავის ერი განადგურებისა და წმიდა სარწმუნოების დაკარგვისაგან. სწორეთ ესე იყო მთელ რუსეთშიაც. იქაც, როგორც საქართველოში, საშინელ ბოროტებაში და უბედურებაში იმყოფებოდა ერი იმ დროს, როდესაც მას არ ჰყვანდა მეფე, ანუ როდესაც ბოროტნი აღსდგნენ მეფის ნინაშე. ვინ არ იცის, რომ რუსეთის ერი დალუპვისაგან გადაარჩინა მეფის არჩევამ რომანოვთა საგვარეულობიდგან, რომელიც მადლითა ღვთისათა მეფობს რუსეთში და საქართველოში. აბა, რამდენი სიკეთე მიუძღვით რუსეთის მეფეთა ერის წინაშე! მათ გაანთავისუფლეს ერი გარეგან მტრებისაგან, გააფართოვეს სამეფო, გაანაძლიერეს მხედრობა, შემოიტანეს განათლება, ზრუნვიდნენ წმიდა სარწმუნოებისთვის, გაანთავისუფლეს და დაიფარეს საქართველო დალუპვისაგან, მოსპეს ბატონ-ყმობა როგორც რუსეთში, ეგრეთვე საქართველოში და ამიტომაც რუსეთის ერმა შეთხუზა ეს ბრძნული ლექსი: „დედა-მინა უმეფოთ ქვრივია, ერი უმეფოთ ობოლია, მეფე ღვთისაგან დაყენებულია".

ამ ჩვენ დროში, როდესაც ჩვენი მეფე შეწუხებულია, როდესაც მისი გული სეედით არის სავსე თავის ჯარზე ფიქრით, რომელიც ლომივით იბრძვის შორეულ აღმოსაელეთის ძლიერ ომში, როდესაც მას ისეც ბევრი შეწუხება აქვს სხვა და სხვა საქმეების გამო, ამისთანა დროში ზოგიერთმა ბოროტ-მომქმედებმა მოტყუილებით ააჯანყეს ათი ათასობით მუშა ხალხი სატახტო ქალაქში. როგორც გადამდები სენი, აღელვება მოედო დიდ ქალაქებს, ამოჰყო თავი და ფეხი მოიკიდა ჩვენ მხარეშიაც.

მაგრამ დიდ არს ზრუნვა მეფისა ყოველ თავის ქვეშევრდომელზედ და დიდ არს წყალობა ჩვენი ხელმწიფისა. ხელმწიფემ აპატია უბრალო მუშებს, რადგან დარწმუნებული ბრძანებოდა, რომ ისინი ბოროტ-მოქმედებმა მოატყუეს. ხელმწიფემ მიილო მუშების წარმომადგენელნი და ესაუბრა მათ. აი, რას სწერენ ამის შესახებ გაზეთები: *მისმა უდიდებულესობამ* ოთხშაბათს, 19 ამ იანვარს, გააბედნიერა სატახტო ქალაქის და მის მახლობლად ქარხნებში და ფაბრიკებში მუშათა წარმომადგენელნი, მიიღო ალექსანდროვის (ალექსანდრეს – ვ.გ.) სასახლეში ცარსკოე სელოში და უთხრა ქვემო მოყვანილი მონყალე სიტყვები: „მე მოგიწოდებთ თქვენ, იმიტომ რომ პირათ მოისმინოთ ჩემი სიტყვა და გადასცეთ თქვენს ამხანაგებს. შესაწუხებელი მოვლენანი და იმათი სამწუხარო შედეგი – აჯანყებები – მოხდა იმიტომ, რომ თქვენ შეხვედით შეცდომაში და მოტყუებაში ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან. იგინი, როდესაც გიწოდებდნენ ჩემდა თხოვნის მოსართმევად თქვენი გაჭირვების შესახებ, ამით თქვენ აჯანყება მოგახდენინეს ჩემ და ჩემი მართებლობის წინააღმდეგ და ძალად დაგანებებინეს თავი პატიოსან მუშაობასა იმ დროს, როდესაც ყოველი ჭეშმარიტი რუსი უნდა საერთოთ სცდილობდეს და დაუღალავად მუშაობდეს ჩვენის გარეგანი მოუსვენარი მტრის დაძლევისათვის. შეთქმულება და ასაჯანყებელი ყრილობანი მარტო აქეზებენ უსაქმო ხალხს იმისთანა უწესოებებზედ, რომელთაც ყოველთვის გამოუწვევიათ და კვალათაც გამოიწვევენ მართლებლობას ჯარის დახმარებაზედ და ამას ძალა-უნებურათ მოსდევს უდანაშაულო მსხვერპლების შენირვა. ვიცი, რომ ადვილი არ არის მუშის ცხოვრება, ბევრი უნდა გაუმჯობესდეს და გაწესიერდეს, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. თქვენ თვითონ სვინდისის ქვეშ უნდა გესმოდეთ, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ საქმის პატრონებსაც და ყურადღებაში უნდა ვიქონიოთ სარენავის (აღებ-მიცემობის) პირობებიც. ჩემს მუშა ხალხზედ ზრუნეას ისე დავაყენებ, რომ ყოველივე შესაძლებელი მათ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად შესრულებული იყოს და სამერმისოდ დაცულნი იყოს მათთვის კანონიერი გზანი მათი (საყოველდღეო) ნამდვილი გაჭირვების გამოსარკვეველად. მე მწამს პატიოსანი მუშა ხალხის გრძნობა და მათი შეურყეველი ერთგულობა ჩემდამი და ამიტომ ვაპატიებ მათ დანაშაულობას. ეხლა დაუბრუნდით მშვიდობიან მუშაობას, ახსენეთ ღმერთი და შეუდექით საქმეს თქვენის ამხანაგებითურთ და იყოს ღმერთი თქვე-

ნი შემნე".

ესეც არ იკმარა ჩვენმა ხელმწიფემ. მრავალი საქმის, ომის გაჭირვების და უზომო ხარჯის მიუხედავად, ჩვენმა ხელმწიფემ გამოსცა ბრძანება, რომ ეხლაევე შეუდგნენ ესრეთ წოდებულ სახელმწიფო დაზღვევას მუშების სიცოცხლისას, რომლითაც მუშას სიბერის და ანუ ანაზდეულ დაშავების დროს უნდა მიეცეს მოსვენება და უზრუნველი ლუკმა-პური.

ესრეთ, საყვარელნო, ვიყვნეთ მორჩილნი სიტყვისა ღვთისა, ჩვენი წარსულის ანდერძისა და კეთილ-გონიერების ხმისა, გვიყვარდეს და პატივ-ვსცემდეთ ჩვენს ხელმწიფეს, ვილოცვიდეთ მისთვის, დავიცვათ იგი მტრისაგან და ნუ ვუგდებთ ყურს იმ ცრუ მასწაელებლებს,[1] რომელთაც სურთ ყოველივე საშვალებით და ზომებით ააღელვონ ერი ხელმწიფის წინააღმდეგ სხვა და სხვა გამოგონილი ხმებით, ჭორებით და ბოროტებით. დარწმუნდებით, ყოველი იმ უგუნურთაგანნი თვით ეძებს უფლებას ხალხზე, ან მტრის ფულებით ყიდულობს მას.

ნუ უჯერებთ იმათს მრავალნაირ მაცდურ დაპირებას, ცრუ სიტყვებსა, ყოვლად გაფუჭებულ და გახრწნილ საიდუმლო წერილებს, რომელთაც ღვთის სინათლისა ეშინიანთ; ნუ დავიეწყებთ, *რომ თვით სატანა მიიღებს ხოლმე სპეტაკ ანგელოზის სახეს (II კორინთელთა მიმართ, XI, 14)* კეთილ კაცთა მოტყუებისა და დაღუპვისათვის.

მეფე საშიშია და კიდეცაც უნდა იყოს საშიშო ბოროტ-მოქმედთათვის, ამისთვის არის იგი ღვთისაგან დაყენებული, *რომელსა აქვს გულის სიწმიდე, იგი არს მეგობარი მეფისა" (იგავთა, XXIX, 11).*

IV

უფლებას დაეშორჩილე (რომაელთა მიმართ, XIII, 1-8).

როგორ და საიდან გაჩნდა ხალხთა შორის პირველი უფლება? ამ საკითხზე პასუხის მიგება ძალიან საჭირო და ძალიან საგულისხმიეროა. ამასთანავე, ამ საკითხზე ყველას შეუძლიან სთქვას თავისი პასუხი ცხადად და შეუმცდარად.

პირველი უფლება არის უფლება მშობლებისა ბავშვზე იმ წამიდან, როცა ის დაიბადა. რა მოუვიდოდა იმ ბავშვს, თუ არ ექნებოდათ იმაზე მშობელთ უფლება? რა დაემართებოდა იმას, თუ ვინმე იმ განზრახვით, რომ მოუტაცო იმას სარგებლობა და მიეცე თავისუფლებაო, წაართმევდა იმას მამას და დედას, დასტოვებდა მარტოდ-მარტო და არ დაუტოვებდა არა რაიმე სხვა უფლებასა? ყველა ნათლად დაინახავს, რომ ამ გვარი ბავშვი იმ საათშივე დაიღუპება. მაგრამ ჩვენ ვიცით, მშობლებს როგორ უყვართ შვილები, ასაზდოებენ იმათ და თითონ კი ბევრჯელ ყველაფერს იკლებენ. ჩვენ ვიცით, დედა თავს დასდებს ხოლმე შვილის დასაცველად, არ გამოეპარება იმისი ოდნავი მოძრაობაც კი. დედას ესმის, რა უნდა იმას, თუმცა ბავშვი იმას სიტყვით არ აგებინებს. ვინ დააფუძნა ამისთანა უფლება მშობლებისა და მორჩილება შვილთა? რასაკვირველია, იმან, ვინც დაჰბადა მშობელნიც და შვილებიცა, ე. ი. ღმერთმა. მაშასადამე, თვით *პირველი უფლება ღვთისაგან არის.*

მაგრამ ცხოვრებაში ყველგან საჭიროა უფლება: საჭირონი არიან მწყემსნი ეკლესიისა, რადგან უიმათოდ სარწმუნოების საქმეში უწესრიგობა და დაუსრულებელი არევდარევა იქნება; საჭირონი არიან მსაჯულნი, რადგანაც უიმათოდ ერთი დაუბრკოლებლივ შეაწუხებს მეორეს; საჭირონი არიან მმართველნი, რადგანაც უიმათოდ ულონონი იქნებიან მწყემსნიც და მსაჯულნიცა, რომელთაც ბოროტნი კაცნი არას გაუგონებენ; საჭირონი არიან მასწაელებელნი სასწაელებლებში, თორემ რალად უნდა შეიყარნენ მოსწავლენი, თითონ ხომ ერთმანერთს ვერას ასწაელიან; საჭირონი არიან *სამხედრო უფროსნი*, რადგან უიმათოდ ჯარის-კაცებს არ ეცოდინებათ, საით წავიდნენ და რა გააკეთონ და მწყობრი ჯარის მაგივრად რალაც ნაბირი იქნება, ხოლო ყველა ამ უფლებათა რომ თანახმად იმოქმედონ, ერთმანერთს არ დაუშალონ ერთი უმთავრესი უნდა ჰყავდეთ – ეს არის *უფლება მეფისა.*

უცბად ყველა ეს უფლებანი რომ ერთბაშად მოისპოს, მაშინ იგივე ამბავი მოხდებოდა, რაც მოუხდება ბავშვს, თუ მშობლებს წავართმევეთ და მარტოდ დავტოვებთ – დაილუპებოდა მთელი ხალხი უწესოებისა და არევ-დარევისაგან. მაშინ ხალხი პირუტყვზე უბედურს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, იმიტომ, რომ მხეცებსა, პირუტყვთა და, ასე განსაჯეთ, მწერთა შორისაც კი არიან უფროსნი და გამგენი საქმისა. ამას გვიმტკიცებენ ჩვენ ფუტკრები და ჭინჭველები.

ვინ დაამყარა უფლებანი ხალხთა შორის? ხალხი – ეს დიდი ოჯახია. იმან, ვინც დაამყარა და აკურთხა ოჯახში მშობელთა უფლება, ე. ი. ღმერთმა, იმანვე დაამყარა სხვა ყველა უფლება დიდს ოჯახში, ხალხში, ე. ი. ღმერთმა. სიტყვა ღვთისა ისე ცხადად, ისე დაწერილებით და ბეჯითად გვასწაებს ამას, რომ იმას ჩვენ ვერცარას მოვუმატებთ და ვერცარას მოვუკლებთ. აი, რას ამბობს სიტყვა ღვთისა: ყოველი სული უმაღლესის ხელმწიფებას დაემორჩილნენ, რამეთუ არ არის ხელმწიფება, თუ არ ღმერთისაგან. *რომელნი არიან ხელმწიფენი,*

[1] იგულისხმებიან სოციალისტები – ე. გ.

ღვთისაგან არიან განწესებულნი. ამიტომ, რომელიც ალუდგება ხელმწიფებასა, ის ღვთის დანესებულებას ალუდგება, ხოლო წინააღმდეგნი სასჯელს თავის-თავად მიიღებენ, რამეთუ უფროსნი კეთილის-მოქმედთათვის კი არ არიან საშინელნი, არამედ ბოროტის მოქმედთათვის. გნებავს, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილს იქმოდე და მიიღებ მისგან ქებასა. უფროსი ღვთის მსახურია, რომ შენ კეთილი გიყოს. ხოლო თუ ბოროტს ჩაიდენ, გეშინოდეს, რადგანაც იმას განგებისად არ აკრავს ხრმალი, ის ღვთის მსახურია, შურის-მძიებელია ბოროტ-მოქმედთათვის. ამიტომ უნდა დაემორჩილო არა შიშის გულისათვის, არამედ სინდისისათვისაც. იმიტომაც თქვენ ხარკსაც აძლევთ, რადგანაც ისინი ღვთის მსახურნი არიან, ამიტომაც მოღვაწეობენ. მაშ, მიეცით ყველას თანამდები: ვისაც ხარკი ეკუთვნის – ხარკი, ვისაც ბეგარა – ბეგარა, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი. ნურავისი თანამდები გახდები, გარნა ურჯიერთის სიყვარულისა, რამეთუ რომელსა უყვარდეს მოყვასი თჳისი, იმან რჯული აღასრულა" (რომაელთა, XIII, 1-8).

ხედავთ, რა სასტიკად სჯის უფალი ხელმწიფების ყოველ მონინააღმდეგესა. იგი გვიკრძალავს არა თუ ხელმწიფების სანინააღმდეგო საქმესა, არამედ, ასე გაშინჯე, თვით ლიტონ სიტყვასაც, თვით აზრსაც; ბოროტად ნუ მოიხსენებ შენის ერის უფროსსაო (გამოსვლათა, XXII, 28) და ფიქრშიაც ნუ გაიტარებ ცუდსა შენს მეფე ზე (ეკლესიასტე, X, 20).

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ ვინ არიან ის ახალი ცრუ მასწავლებელნი,[1] რომელნიც დღეს ჩვენ ქვეყანაში გაჩნდნენ და ასწავლიან ხალხს, ხელმწიფებას ნინააღუდგნენ. ესენი არიან მტერნი ღვთისა და მტერნი ხალხისა იმიტომ, რომ თავის ქადაგებით მხოლოდ დაღუპვენ იმასა. აი, ხომ ხედავთ, თვით ამათ აქვთ კომიტეტები, ბიუროები, განკარგულების მიმცემნი. ისინი სჯიან ურჩებსა, ჰკლავენ მონინააღმდეგეებსა. აქედან ცხადად არა სჩანს, რომ იმათაც არ შეუძლიანთ უხელმწიფოება? დაგვერწმუნეთ, იმათ სურთ ამ თავის ხელმწიფებას დაუმონაონ ხალხი. მხოლოდ ერთშია განსხვავება – ეხლანდელის კანონიერის ხელმწიფის მაგიერ, იმათ უნდა მოგვცენ უკანონო; ღვთისაგან დაფუძნებულის ნაცელად – თავიანთ გამოგონებული; მშვიდობის მაგიერად უწესრიგობას დაამყარებენ; წყნარის ცხოვრების მაგიერად – შეთქმულობას, ამბოხებას, გაფიცვას, მკვლელობას; ადამიანურის ცხოვრების ნაცელად დაამყარებენ მხეცურსა; აღთქმული თავისუფლების ნაცელად მოგვცემენ მონობას და შეაშინებენ ყველა იმას, ვინც იმათ არ დაეთანხმება; ბედნიერების ნაცელად მოგვანიჭებენ დაღუპვას, უძლურებას, რომლითაც ჩვენი მტრები ისარგებლებენ. ისტორიაში ყველაზე უსაშინლესი ის დრო იყო, როდესაც კანონიერი ხელმწიფება არ იყო. ვისაც თავისი მოყვასი უყვარს, ვისაც თავისი ერი უყვარს, ვისაც ესმის ღვთის სიტყვა, ვისაც თავის თავისათვის ბედნიერება სურს, ვისაც ჯერ სულ არ დაუკარგავს გონება, ეცადოს ყოველის თავის ძალ-ღონითა, სულითა და გულითა, არა შიშისა გამო, არამედ სინიდისის მხილებით და ერთგულად დაიცვას ხელმწიფება ისე, როგორც ღვთის მცნება მოითხოვს და იცოდე, რომ უხელმწიფოება არის ერთი უცუდესი ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო უბედურებათაგან.

V

მაცთური ქადაგება

ისეთი მაცთური, დამღუპველი ქადაგება[2] ისმის ეხლა ხშირად, ცხადად თუ ფარულად, და თავის ბადეში ახვევს ყმანვილ კაცებს, გამოუცდელებს ან გაფუჭებულებს, ხშირად ქაბუკებს, მომეტებულად კი უბრალო ხალხსა, გლეხებს, მუშებს, რომელთაც ცრუ მასწავლებელნი ტყუილად პპირდებიან ათას ნაირ სიკეთესა. მაინც რა სიკეთესა? თავის პატრონებისაგან განთავისუფლებას, ასწავლიან, წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობას, ხელი გაუწვდინონ სხვის ქონებას, ეძიონ, რაც შეიძლება დიდი სამუშაო ქირა. მაგრამ ეს რაა – ბოროტნი ენანი ასწავლიან მუშებს, შრომას თავი მიანებეთ და სხვასაც ნუ მისცემთ ნებას მუშაობისასაო და აი ამას ეძახიან თავისუფლებას. აჩერებენ რკინის გზებსა, პურს აღარ აცხობენ, საკლავს აღარ ჰკლელენ, აღარ მუშაობენ მაღაზიებში. ამის გამო ყველაფერი ძვირდება და საბრალო ღარიბ-ღატაკნი, იმათი ოჯახობანნი, ცოლები და პანია შვილები ულუკმაპუროდ რჩებიან, უშეშოდ, უარარაოდ. აი რა ბედნიერებას აძლევენ ხალხსა დაპირებულ სიკეთის მაგიერ. ცრუ მასწავლებელნი ყველგან პფანტავენ დაბეჭდილ ფურცლებს, ინვევენ ხალხს მთავრობის წინააღმდეგ, ახდენენ შეთქმულობას, ამბოხებას, ანებებენ მუშაობას თავსა.

რასაკვირველია, ბოროტნი კაცნი[3] ყოველთვის ბოროტისაკენ მიიწევენ, იმასთან შენათესავებულია, ამიტომაც მოსწონთ. ზარმაცი ხალხი, გაფუჭებული, გალოთებული, აქეთ-იქიდან გამორეკილნი, მისდევენ ცრუ მასწავლებლებს კვალში. ეს გასაგებიც არის. ამისთანა ხალხს რა

[1] იგულისხმებიან სოციალისტები – ვ. გ.

[2] იგულისხმება სოციალისტური იდეოლოგია – ვ. გ.

[3] იგულისხმებიან სოციალისტები, რევოლუციონერები – ვ. გ.

ეკარგება, არავინ არ ენანებათ. იმათ სურთ, მხოლოდ სჭამონ და სვან მუქთად, ცოტა იმუშაონ და თუნდ ერთის საათით ნარმოიდგინონ, რომ ისინი ვითომდა რაღაც უფროსები არიან, მეთაურნი, ბელადნი. ვისაც აჟა ზაკობა, როგორც იტყვიან, სისხლში აქვს, იმას უწესოება მოსწონს ისე, როგორც ლოთს დუქანი, როგორც ბუს ღამე, ანუ როგორც ჭია-ფანდურს – ნეხვი.

მაგრამ ყველანი ხომ ცუდნი არ არიან, პირიქით, ხალხის მომეტებულ ნაწილს უყვარს მშვიდობა და წესიერება და ღვთისა ეშინიათ. ესენი არიან შრომის მოყვარე მხვნელ-მთესველნი, პატიოსანი მეოჯახენი, კეთილი ხელოსნები, მშვიდობის მოყვარე მოქალაქენი. ხანდისხან ესენიც თანაგრძნობით რათ უსმენენ ხოლმე იმ ცრუ მასწავლებლების სიტყვებსა? იმიტომ, რომ ისინი მოტყუებულნი არიან. სიცრუის შეტყობა კი ადვილია, ძალიან ადვილი. საჭიროა მხოლოდ ცოტა ჩაუფიქრდეთ, შეეკითხოთ თქვენს თავსა – **საიდან შოულობენ ეს მეამბოხენი საზრდოს საცხოვრებლად და საშუალებას ბორტი მუშაობისათვის?** ისინი არაფერს აკეთებენ, არა მუშაობენ, მაგრამ მაინც ჭამა არ აკლიათ, სვამენ ღვინოს, სწევენ თამბაქოს, აქვთ სახლი და ტანსაცმელი. ისინი ბეჭდავენ ფურცლებსა, ათი ათასობით აბნევენ ქუჩებში, სახელოსნოებში და სხვ. ამას დიდი ფული უნდა. საიდან შოულობენ ამ ფულებსა? მუშაობის შეწყვეტის დროს ხანდისხან მეამბოხენი და იმათი ხელმძღვანელნი ურიგებენ მუშებს ფულებსა, ჰპატიჟობენ იმათ, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე. მოიფიქრეთ, საიდან შოულობენ ყველა ამისათვის საშუალებას? რისგან არის, რომ მშვიდობიანი და პატიოსანი ხალხი ძლივ-ძლივობით შოულობენ ფულსა, მეამბოხენი კი არც არას მუშაობენ და ფული კი ბლომად აქვთ? ადვილია ამის გამოცნობა. **ჩვენი სამშობლოს მტრები აძლევენ ფულს ასალულებლად და შეთქმულობისათვის, ისინივე ინახავენ ჩვენის ხალხის გამრყვნელებსა.**

რატომ არა შურთ ჩვენს მტრებს ფულები? იმიტომ, რომ იმათთვის სარფაა, დაუძლურონ რუსეთი და ჩვენის სისუსტით ისარგებლონ. იმათა სურთ, რომ რუსეთი დამარცხდეს ომში, რომ მტერმა ბევრი ადგილები წაიღოს თავისთვის; რომ მთლად ჩვენი ერი მონად გაუხდეს მტერსა, ხელთ ჩაიგდონ ვაჭრობა, ფაბრიკები, ქარხნები, წაიღონ მთლად ფულები, ყველაფერს გამორჩნენ, ჩვენი კი გაგვხადონ თავის მოხარკედ და მუშებად. ამას მტრები არცა მალავენ და საზღვარ-გარედ თავიანთ გაზეთებში პირდაპირ სწერავენ. იმათ იმისი იმედი აქვთ, თუმცა ბევრს ფულებს ეხარჯავთ რუსეთში ამბოხების მოსახდენადო, მაგრამ შემდეგ ბევრს ეისარგებლებთო. როგორ ურიგებენ ფულებსა? ძალიან ადვილად. მეამბოხეებს თავიანთი კომიტეტები აქვთ, რომლებიც ურიგებენ ფულებსა. ვინ შეამოწმებს და ვინ გაიგებს, თუ საიდან არის ეს ფული? რომ მოატყუონ ყველანი, ამბოხების მოთავენი არწმუნებენ, რომ იმათ დიდძალი შემოწირულება მოსდით. მხოლოდ უჭკუო კაცი ვერ დაინახავს აქ სიცრუესა და ტყუილსა. აბა, რას შესწირავენ ღარიბი მუშები, უსაქმოდ დარჩენილნი? ცარიელი ჯიბიდამ აბა რას მისცემ. მაგრამ ჩვეულებრივად ასეა ხოლმე. მეამბოხენი შენირულების მოგროვებას გამოაცხადებენ ხოლმე, სწირავენ გროშობით. მერე უცბად გამოაცხადებენ, რომ ერთმა ან ორმა კაცმა, რომელთაც არ სურთ თავის სახელის გამოცხადება, შესწირა რამდენიმე ათასი მანეთიო. აი, აქ არის სიცრუე, აი, ეს პირნი არიან რუსეთის მტერნი. მაშ, ცხადად არა სჩანს, ვის უნდა და ვისთვის არის სარფა ამბოხება, გაფიცვა, შეთქმულობა, ქუჩაში უწესოება? ესენი ესაჭიროებათ ჩვენს მტრებსა და ეშმაკსა. აი, რასა სწერენ გაზეთებში: იაპონელნი, გაფიცვის შემქმნელნი. მთავარმა შტაბმა პარიჟიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ლონდონელი კორესპონდენტები იუწყებიან, უწესოებანი საზღვაო ქარხნებში პეტერბურგში, ლიბავაში, სევასტოპოლში, ნახშირის მადნებში ესტფალიაში ინგლის-იაპონელებისაგან არის შემზადებული იმ აზრით, რომ შეაყენონ ბალტიისა და შავი ზღვის ესკადრების გაგზავნა. დიდი ფულებია დახარჯული რუსეთში ამბოხებათვის. აუხსენით რუსეთის ხალხს ნამდვილი ჭეშმარიტება. უწესოების თანაგრძნობა არის მოღალატეობა. პარიჟში იაპონელები კეეხულობენ, რუსეთში უწესოება მოვახდინეთო. **პარიჟი.** ლონდონელი კორესპონდენტებით დეპეშით იუწყებიან, იაპონიის მთავრობამ თვრამეტი მილიონი მანეთი მისცა რუსეთის რევოლიუციონერებს – სოციალისტებს და მუშებს, რომ დიდი უწესოებანი მოახდინონ რუსეთში. წაქეზება ლონდონიდან და ფინლიანდიიდან გამოდის. სახეში ჰქონდათ, დაელუპათ საზღვაო ქარხნები, რომ მესამე ნუნარ-ოკეანის ესკადრა არ წასულიყო შორეულ ალმოსავლეთს, იძულებულ ჰყონ რუსეთი, ზავი შეჰკრას, რომელიც საჭიროა იაპონიისათვის, რადგან მას გაკოტრება მოელის“.

თუ ჩვენ გავიხსენებთ, ამბობს „რუსკი ლისტოკი“, რომ მესამე ესკადრის შესაიარაღებლად და მეოთხე ესკადრის მოსამზადებლად ხელმწიფე იმპერატორმა შესწირა თავისი საკუთრებიდან 150 მილიონი მანეთი, რომ მესამე ესკადრა უნდა გაიგ ზავნოს თებერვლის ნახევარს, რომ რუსეთმა, რაკი ინგლისმა უარი გვითხრა, ნახშირი იშოვა მეგობარ გერმანიისაგან და აი, სწორედ ამ დროს თავი დაანებეს ნახშირის მადნებში მუშაობას

ესსტფალიაში, რომ ამავე დროს პეტერბურგშიაც გაიფიცნენ მუშები ქარხნებში, სადაც მზადდება იარაღი როგორც მესამე ესკადრისათვის, ისრე ჩვენის ჯარისათვის, რომ ამ გვარათვე გაფიცვა მოხდა ლიბავის ქარხანაში, რომ ამავე დროს სევასტოპოლის საზღვაო უწყების სახელოსნოებში დიდი ცეცხლი გაჩნდა, მაშინ ყველა ესენი ერთად ცხადად გვიმტკიცებენ იმას, რაც გვაუწყა დეპეშამ".

ამას ისიც რომ დავუმატოთ, რომ პეტერბურგში გაფიცულნი ყოველ დღე იღებენ შესაწევრად ასოცდახუთი ათას მანეთს დღეში რომელიღაც საზღვარ-გარეთელ წყაროდან, რომ გაფიცულნი, სხვათა შორის, თხოულობენ დაუყოვნებლივ ომის გათავებას იაპონიასთან, მაშინ ჯოჯოხეთური განზრახვა ინგლის-იაპონელთა აგიტატორებისა ცხადი ხდება, როგორც დღის სინათლე. ტყუილად არ ქადაგებდა ინგლისში იაპონელი ბარონი სუემატსუ, ტყუილად არ წავიდა ის გერმანიაში, ტყუილად არ დაიკვეხეს იაპონელებმა ომის დაწყებისას: „ისეთს ხრიკს ვიზამთ, რომელიც მთელს ქვეყანას თავზარს დასცემსო".

ამას რომ წაიკითხავენ რუსები, ჩვენი საწყალი, მოტყუებული მუშები, გაიგებენ, თუ როგორ მოატყუეს ისინი თავიანთმა ბელადებმა და წამქეზებლებმა. გაიგებენ, რომ ის წამქეზებელნი ჩვენი მტრების – იაპონელების მსახურნი არიან და რომ ვინც იმათ გაუგონებს, ის იღებს მახვილს ხელში თავის ძმა-სალდათების წინააღმდეგ, რომელნიც სისხლს ღვრიან მეფისა და სამშობლოსათვის.

ეს უნდა გახსოვდეთ".

მაშ, ზიზღით მოარიდონ თავი ცრუ მასწავლებლებს ყველამა, იმათ მაცთურ ქადაგებასა. ისინი და მათი შემნენი სამშობლოს მოღალატენი არიან, გამცემელნი, რომელთაც გაჰყიდეს იგი. ზოგნი ცნობიერად სჩადიან ამას. დაე, საჯოს ღმერთმა და მთავრობამ დასაჯოს ისე, როგორც დაიმსახურეს. ხოლო ვინც თანაუგრძნობდა მეამბოხეებს და ეწეოდა იმათ გაუგებრად, იმათ გაგონ, თუ როგორ ატყუებდნენ.

ძმანო, გვასწავებს მოციქული: „ნუ ყრმა იქნებით გონებითა, ბოროტისათვის იქმენით ყრმა, ხოლო გონებით სრულ იყვენით" (1 კორინთელთა მიმართ, XIV, 20).

VI

ნუ შეაცდენ და ნუ შესცდები

არის გადამდები სნეულება – ყამი, ხოლერა, სახადი. საშინელის ძალით გაერცელდებიან ხოლმე ეს სნეულებანი ხალხში, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეში და ყველგან აუარებელი საფლავებით გაიცსება ხოლმე ადგილები, სტირიან სახლობანი, იტანჯებიან უდანაშაულო ობლები. იყო დრო, როცა ხალხმა არ იცოდა იმათთან ბრძოლა და მთელი ქვეყნები დაცარიელდებოდა ხოლმე. მაგრამ ბევრის უბედურობის გამოვლის შემდეგ ხალხმა ისწავლა გადამდებ სენთან ბრძოლა და ეხლა ისინი ისე საშიში არ არიან იმისათვის, ვინც იცის იმათი ხიფათი და თავს იზოგავს იმათგან.

მაგრამ არის სხვა გადამდები სენიც სულიერი:[1] ცუდი მაგალითები, ცუდი სწავლა, ცუდი ფურცლები და წიგნები. და რამდენადაც სული უმაღლესია და უდიდებულესია სხეულზე, იმდენად სულიერი გადამდები სენი საშიშო და დამღუპველია სხეულის სენზე. ის კაცს სამუდამოდ და საუკუნოდ ღუპავს. ვინ არ იცის, რომ ეხლა ბევრს მოედო სულიერი გადამდები სენი ცრუ ეშმაკურ სწავლისა? ბოროტნი კაცნი, რომელთაც ღვთისადმი სარწმუნოება დაჰკარგეს, არა სწამთ მისი წმინდა კანონი, გარყვნილნი, ზარმაცნი, მაშფოთარნი, მოწადინებულნი არიან, რომ ყველა იმათ ჰგამდეთ. ისინი მაგალითითაც, სიტყვითაც და ფურცლებითაც (პროკლამაციებით) ყველას ეძახიან, რომ წინააღუდგნენ ეკლესიას, მეფეს, მთავრობას, არიგებენ მუშებს, თავი დაანებეთ მუშაობასაო, ძალა დაატანონ ამისათვის არა მარტო იმათ, ვინც თანახმანი არიან ბოროტი კაცებისა, არამედ იმათაც, ვინც არ ეთანხმებიან, ახდენენ შფოთსა და ამბოხებასა. ესენი ხოცავენ და სცემენ იმათ, ვინც იმათ სწავლას არ მისდევს და ეს უგუნურები ალუთქვამენ, რომ იმათგან ჩადენილის უწესოებისაგან წესიერება დაიბადებაო. ამისთანა უწესოების შემდეგ იხოცება ხალხი, როგორც ჭირისა და ხოლერისაგან, არის ტირილი სახლობებისა, სიღარიბე, მწუხარება და ვნებაწვალება.

დიდ სამწუხაროდ, ბევრი სცდებიან ამისთანა სწავლითა. ჭეშმარიტად დიდი უბედურობაა შეცდომაში შეყვანა და თავის თავის შეცდომაც!

ვინ არის პირველი შემცდენელი? ეშმაკი. იმან შეაცდინა პირველნი კაცნი სამოთხეში, დაღუპა ისინი და მოუსპო ნეტარება. ამიტომ ყველა მცთუნებელნი არიან შვილნი, მსახურნი და შემნენი ეშმაკისა. ვინ არიან პირველნი შეცთუნებულნი? ადამი და ევა. იმის ნაცვლად, რომ ყური მოერიდებინათ ეშმაკის შხამიანი ლაპარაკისათვის, ენდვნენ იმის დაპირებას, მოინდომეს ღმერთობა, გული ამპარტავნებით აევსოთ, დაარღვიეს ღვთის ნება და მცნება, ამისათვის ისინი გამორეკეს სამოთხიდან და საუკუნოდ დაჰკარგეს ბედნიერება და თავის შვილებსაც, თავის ჩამომავლობასაც,

[1] იგულისხმება სოციალისტური იდეოლოგია – ე. გ.

ყველა ხალხს ღვთის რისხვა მიაყენეს. აი, რა საშინელებაა მინდობა მატყუნებელისა.

ეხლანდელი მატყუნებელნი,[1] რომელნიც ხალხს ბოროტებას ასწავლიან და ჰპირდებიან სხვა და სხვა სიკეთეს, განა არა ჰგვანან ეშმაკსა? ისინიც ასწავლიან ღმერთზე მაღლა დადგომას, ესენიც ასწავლიან, უარჰყავით მცნება და ღვთის ნება მეფისა და მთავრობის პატივისცემისა, ეკლესიის მწყემსთა მორჩილებისა, მშვიდობიან ცხოვრებისა შესახებ, მცნებას, რომ მოერიდონ ყველა უნესოებას და ამბოხებასა. ისინი იმეორებენ იმასვე, რაც ოდესმე ეშმაკმა უთხრა პირველს კაცსა, როდესაც ჩააგონა ამპარტავნება ღვთის წინააღმდეგ და იმის მცნების ურჩობა.

დიდ არს ცოდვა მატყურობისა, ის მკვლელობაზე უარესია, იმიტომ, რომ მკვლელი კაცის სხეულს ღუპავს, მატყუნებელი კი ხორცსაც ღუპავს და სულსაცა. დიდი ცოდვა შეიძლება სინანულით დაჰფაროს, მაგრამ შეცდომა როგორ უნდა გასწორდეს? თვით მატყუნებელს შეუძლიან თვისი ცოდო შესწყვიტოს, შესწყვიტოს თვისი ბოროტი სიტყვანი და საქმენი, მაგრამ როგორ უნდა შესწყვიტოს ის იმ ხალხში, რომელიც შენ შეაცდინე? ეს კი შეუძლებელია. შენი ცთუნება ისეთია, როგორც გადაგდებული თესლი. ის იზრდება და იზრდება, ერთიდან მეორესთან გადადის, ხოლო მიზეზი ამისი მცთუნებელია. ერთი წმინდა მოძღვარი ამბობს: „ცთუნება იგივეა, რაც მომსრეელი სენი. მომსრეელი სენი ერთს კაცში გაჩნდება, მერე მთელს სახლში, მთელს სოფელსა, მთელს ქალაქსა მოედება. ასეევა ცთუნებაც. დაიწყობა ერთ კაცში და იმისგან ბევრზე გადადის". ამიტომ ადვილად მისახვედრია, უფალი ისე სასტიკად რადა სჯის მატყუნებლებსა. „ვაი სოფელსა საცთურისაგან, – ამბობს მაცხოვარი ჩვენს სახარებაში, – მაგრამ ვაი იმ კაცს, რომლისაგან მოვიდეს საცთური (მათე, XVIII, 7). „უმჯობესი იყო იმისთვის, უკეთუ წისქვილის ქვას დაეკიდებდა ქედსა თვისსა და ჩააგდებდენ ზღვაში, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანს" (ლუკა, XVII, 2).

ეს დაიხსომონ უპატიოსნო მატყუნებლებმა ხალხისამ! გონს მოვიდნენ, სინამ დროა! დაანებონ თავი თავის ეშმაკურს მუშაობასა! მაგრამ როგორც ეხლა ჭირისა და ხოლერის მორიდება ისწაელეს, ისე უფრო მეტად ჩვენს ხელთ არის, მოვერიდნეთ ცთუნებასა.

კეთილ ადამიანთათვის აქ უფრო კაი შემთხვევაა, განამტკიცონ თვისი სარწმუნოება, აჩვენონ თვისი სიმტკიცე, დაამტკიცონ ერთგულება ღვთის მცნების და ქვეყნიერის მეფის კანონისადმი. ნუ შესცდებით, საყვარელნო, ბოროტთა სიტყვებითა, მტკიცეთ სდეგით სარწმუნოებაზე, მხნე იყვენით და განპსძლიერდით (I კორინთელთა მიმართ, XVI, 13), როგორც ბრძანებს სახარება. როდესაც ნახოთ მცთუნებელი, გაპკიცხე, ჩაგონე იმას ცალკე. თუ არ გაიგონოს, ნაიყვანე თან კიდევ ერთი ან ორი. თუ იმათაც არ გაუგონოს, უთხარი კრებულსა (მათე, XVIII, 15-16), ხოლო შემდეგ მოციქულის დარიგება აასრულე: შოსპეთ უკეთური შორის თქვენსა (I კორ. მიმართ, V, 13). მაშინ მატყუნებელი იყოს შენთვის, როგორც წარმართი და უცხო. მიეცი ის სამართალში, მიეცი მთავრობას, რომ არ დაღუპოს უდანაშაულო ხალხი. ძმანო! ღვთისა, ეკლესიის და მეფის გულისათვის, ერის ბედნიერებისათვის, თქვენთა ნათესავთა და მოყვასთათვის, თქვენის საკუთარის ბედნიერებისათვის შეერთდით უკეთურთა წინააღმდეგ, წინააღუდექით იმათ ულღვთო სიტყვებსა. ნუ შესცდებით იმათის ცრუ დაპირებითა. სარწმუნოებითა, ლოცვითა, კეთილის სიტყვით, მწყემსთადმი მორჩილებითა შეიმაგრეთ და დაიცვით ერთმანერთი სიკეთილეში, ღვთის ერთგულებაში, ეკლესიის, მეფის და მთავრობის და კანონის მორჩილებაში.

რაშია მატყურთა ძალა? იმაში, რომ მატყურნი თავიანთ მსხვერპლში აღძრიან არა ნმიდა, კაცის დასაღუპავ ენებებს, გამოიწვევენ კაცის გულში ყოველ საძაგელ სიბოროტეს, სიძულვილს, მოძმის სიკეთის შურს, გაუძღომლობას, სიზარმაცეს. რადგან ყოველ კაცისთვის შესაძლოა ცოდვა, ამიტომ ეშმაკი სცდილობს, რომ შეაცდინოს კაცი და დაამკვიდროს ცოდვაში. და აი ცოდვას და ეშმაკს ემსახურებიან ცრუ მასწავლებელნი – ერის მაცდურნი. ცოდვილს ჰგონია, რომ უსაქმოობა, მტრის დასჯა, მდიდარი კაცის ქონების წართმევა, მებატონის ღალატი სასიამოვნოა. მაგრამ ყოველ ჩვენგანმა ხომ უნდა კარგათ, რომ მარტო ერთი წუთისთვის არის სასიამოვნო ცოდვა, ცოდვა კაცის ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევს და არა დროს ცოდვა არ დარჩება დაუსჯელად, უპირველესად დასჯის ცოდვა მის მქმნელს. ცოდვა სანამლავია დატკბილებული, კაცს ტკბილად ეჩვენება, მაგრამ ტანჯვა მოსდევს ამ სიტკბოებას და სიკვდილით თავდება.

რაშია კიდევ მატყურთა ძალა? მასში, რომ მათ მოეპოვებათ მოწაფენი. ნუ უგდებთ ყურს მატყურთა და განქრება მათი ძალა და თვითონაც განქრებიან. აბა რა იქნებოდა, რომ უცებ გამოჩინებულიყვნენ მქადაგებელნი და დაეწყოთ ჩვენთვის ჩაგონება, რომ საჭირო არ არის ჭამა, სმა, სუნთქვა. ამისთანა გაგიჟებულთ არავინ არ მოუსმენდა და უნდა თვითონვე სამუდამოთ დადუმებულიყვნენ.

[1] იგულისხმებიან სოციალისტები – ე. გ.

ახლანდელნი ცრუ მასწავლებელნი სწორეთ ასევე იქცევიან. იგინი გვართმევენ სულიერ ცხოვრებას, სულიერ საჭმელს, სულიერ სასმელს და თვით ცხოვრების (ძარღვს) სუნთქმას – წმიდა სარწმუნოებას, ღვთის სჯულს, მშვიდობას, კეთილ განწყობას, საეკლესიო და სახელმწიფო კეთილ წესიერებას. სულიერი სიკვდილით გაუწყდებით, თუ არ დავიცავთ ამ საუნჯეთა.

ძმანო, შეიგნევით ეს და დაანებეთ თავი გაგიჟებულ მაცთურთა ლაპარაკს.

თქვენ თვითონ საჯეთ.

განკითხეთ, რომ არ დაუდგათ შესაბრკოლებელი, გინა საცთური ძმასა (რომაელთა მიმართ, XIV, 13).

VII

კეთილი სიტყვა მუშა ხალხსა

მუშანო! წმიდაა ღვთისა წინაშე და საპატიოა კაცთა წინაშე თქვენი წოდება. იყო დრო ძველად, იესო ქრისტემდე, როდესაც შრომას ზიზღით უცქეროდენ, როდესაც მუშებს პირუტყვებში არ არჩევდენ, როდესაც იმათ ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ, როგორც ნივთსა. მაგრამ მაცხოვარმა ჩვენმა, უფალმა იესო ქრისტემ მოიტანა ქვეყნად მშვიდობა და კურთხევა ღვთისა. იმან ასწავლა ხალხსა სიმართლე და მოწყალება, იმან დაიხსნა ისინი უკეთურობისა და ცოდვის უფლებისაგან. უნინარეს ყოვლისა კი ასწავლა სიყვარული სილარიბისა, პატივისცემა შრომისა. თვით ცხოვრობდა უბრალო და ღარიბ ხალხთა შორის. იმისი მამობილი იოსები უბრალო დურგალი იყო. იმისი დედა შინაურ ხელსაქმეს მუშაობდა. თვით იგი შველოდა იოსებსა მუშაობაში ოცდაათ წლამდე. იმისი მოციქულები მეთევზენი იყვნენ. მოციქული პავლე, რომელიც ყველაზე გვიან შეუდგა მას, აკეთებდა კარავებსა.

ესრედ, მუშაკნო, წმიდა გახდა ღვთის წინაშე და პატივსადებელი ხალხის წინაშე თქვენი წოდება. მაგრამ იკითხეთ, ყველა ეს როგორ შესრულდა? უძახდა ქრისტე მაცხოვარი მონებს საშფოთრად ბატონების წინააღმდეგ? ასწავლიდნენ მოციქულები მუშა ხალხს უკეთურობასა, ამბოხებასა, შეთქმულობასა და გაფიცვასა? ასწავლიდნენ განა მოციქულნი მუშებსა, ყველაფერი მოითხოვეთ ძალითა და ამბოხებითაო?

არა, საყვარელნო! ძველ სახელმწიფოებში ქრისტეანობამდე მონები ყველა ამას მოახდენდნენ ხოლმე ხშირად, ახდენდნენ ამბოხებასა, აღლეკებასა, მაგრამ რაც უფრო მეტად ჩადიოდნენ ამას, იმდენად უფრო ცუდს ყოფაში ვარდებოდნენ, რადგანაც უკეთურობა უკეთურობას ჰბადებს. საქრისტეანოს მოძღვრები სხვანაირად მოქმედობდნენ. ისინი ასწავლიდნენ სიმართლესა და მოწყალებასა ბატონებსაც და მონებსაც. ისინი ალმობიერებდნენ როგორც ერთის, ისე მეორეთა გულსა. ისინი ეუბნებოდნენ, ბატონები და მონები ღვთის წინაშე თანასწორნი არიანო, იმიტომ, რომ ქვეყანაზე სხვაგვარი თანასწორობა არ არის და არც იქნება. ისინი ამბობდნენ, თავისუფლება აწინდელი არის ცოდვისა და ეშმაკისაგან ნარმომდგარი თავისუფლებაო. ამიტომ მონა შეიძლება იყოს თავისუფალი ღვთის წინაშე, ხოლო ბატონი იქნება მონა ეშმაკისა. ისინი ადიდებდნენ და პატივსცემდნენ იმ მონებსა, რომლებიც ცხოვრებით წმინდები იყვნენ და ქრისტესათვის ივნებდნენ. ამიტომ ქრისტეანე ბატონები ლოცვითა და მუხლის მოდრეკით პატივსა სცემდნენ თვის მონებსა, რომლებსაც სიწმინდემდე მიეღწიათ. საქრისტეანო მოძღვარნი ძალად არ უბრძანებდნენ ბატონებს მონების დათხოვნას, არამედ ასწავლიდნენ იმათ სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა. უწყოდეთ, თქვენცა გყავთ უფალი ცათა შინა (კოლასელთა მიმართ, IV, 1). ქრისტეანე მოძღვრები არ აძლევდნენ ნებას მონებს, გაქცეოდნენ ბატონებსა, თუმცა ისინი იმათთვის მუქთად მუშაობდნენ. პირიქით ასწავლიდნენ: მონანო, დაემორჩილენით უფალთა თქვენთა შიშით და ძრწოლით (ეფესელთა მიმართ, IV, 5). მაინც რა მოხდა? მეფეებმა და მთავრებმა მიიღეს თუ არა ქრისტეანობა, ისმინეს თუ არა სახარების სიტყვა, დაიწყეს ზრუნვა მონებზე. იმათ თვით ბატონებმა დაუწყეს განთავისუფლება ეკლესიის მწყემსთა ჩაგონებითა, იმათ მისცეს კვირა დღე, შეუმსუბუქეს მუშაობა, იცავდნენ ძალმომრეობისაგან. მალე თავის-თავად გაუქმდა მონობა, იმიტომ, რომ ის, ეტყობა, ვერა თავსდება ქრისტეანობასთან. მუშა ხალხს დაუწყეს ქირაობა და არა სყიდვა. იმათსა და პატრონებს შორის თავისუფალი ხელშეკრულობანი ჩამოვარდა. მაგრამ ყველაფერი კეთდება უცბად კი არა, არამედ თანდათანობით. აი, თუნდ ხეზე ერთს დღეს ხომ არ გაიზრდება ნაყოფი; რომ დაუწყო ხეს ჩხინკილი, ერთს დღეს გაჩნდეს ფოთლებიც, ყვავილიც და ნაყოფიცაო, მაშინ ხე მოისპობა და ნაყოფს არ გამოიღებს. ჩვენს სამშობლოშიაც ქრისტეანე მეფენი და მმართველნი მუდამ ზრუნავდნენ მუშა ხალხისათვის, გაათავისუფლეს გლეხები ბატონ-ყმობისაგან, მისცეს იმათ მიწა, მისცეს თვითგამგეობა, ფაბრიკებსა და ქარხნებში განსაკუთრებული მოხელენი დანიშნეს მუშებზე საზრუნავად. ეხლა მუშათა დაზღვევის საქმეს შეუდგენენ, მოხუცებაში იმათ უზრუნველ ყოფასა. თვით ხელმწიფემ ამა წლის იანვრის თვეში მიიღო თავის სასახლეში, ერთად იმათთან

ილოცა და აღუთქვა, გააუმჯობესოს იმათი ბედი.

საქმე კეთილი, საქმე მუშებზე ზრუნვისა წინ მიდის და უქადის იმათ უკეთესს მომავალს, მაგრამ ამას ხელს უშლიან უკეთურნი და ასწავლიან მუშებს შეითქვნენ, გაიფიცნენ, აჯანყდნენ, აღელდნენ. მუშა ხალხნო! ამას თქვენი მტრები სჩადიან, მტერნი საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. იმათ ეშინიანთ, რომ მუშების ბედი კარგად მოეწყობა, რომ უკმაყოფილონი აღარ იქნებიან, არც ღარიბნი და მშიერნი. იმათ უნდათ ხელი შეუშალონ მუშათა ცხოვრების განკარგების წმინდა საქმესა, ხოლო ხელის შეშლა ადვილია თქვენის გაფიცვითა, შეთქმულობითა, აჯანყებითა და შფოთითა. დაიხსომეთ ეს, საყვარელნო! უნდა ხელიდან გამოგლიჯონ თქვენ თქვენი ბედნიერება, თქვენი მოტყუებადადაღუპვა უნდათ. ნუ მოსტყუვდებით უკეთურთა სიტყვებითა, ნუ გაპყვებით იმათა. ვისთვის არის გამოსადეგი შეთქმულობა და გაფიცვა? ამითი სანყალს ხალხს სამუშაო აკლდება, საბრალო ოჯახობა ულუმპაპუროდ სხედან, ყველა სანოვაგე ძვირდება, ბეერის ყიდვა არ შეიძლება, ხორცსა და პურს არა პყიდიან, ან პყიდიან მამასისხლად. ვერც ფულს იშოენი და იმასაც, რაც მოაგროვე და შაი დღისთვის გადასდე, მალე შემოხარჯავ. ყველა ეს მძიმე ტვირთად ანვება იმავე მუშებსა, იმავე ღატაკებსა, რომელთაც უკეთური მოძღვრები ჰპირდებიან ათას სიკეთესა და რომელთაც არწმუნებენ სიყვარულსა და მზრუნველობაში. სტყუიან ისინი, იმათ მხოლოდ შფოთვა სურთ; ისინი ყოველივე კეთილისა, რომლის გაკეთება მთავრობას სურს, წინააღმდეგნი არიან; ისინი მთავრობას ხელს უშლიან თავის მუშაობაში. როგორც ქურდსა და მტაცებელს უნდა ღამე, ისე იმათ უნდათ საერთო უკმაყოფილება, მაგრამ განა ეს ქრისტეანობაა, ადამიანობაა?

მუშა ხალხნო! თქვენ ისე უყვარდით ქრისტე მაცხოვარსა ჩვენსა და მის წმიდა მოციქულებსა, თქვენთვის მუდამ ზრუნავდა და ლოცულობდა ეკლესია ღვთისა. თქვენგან ძველად რამდენი წმიდა და მართალი გამოვიდა, რომელთაც ჩვენ თაყვანსა ვცემთ. ნუ შეურაცხყოფთ ქრისტე უფალს იმის სწაელის განდგომითა; თქვენს ყოფა-ცხოვრებას ნუ აგდებთ უხეირო მდგომარეობაში შფოთვითა და გაფიცვითა; ნუ გაუგონებთ ბოროტს ხალხსა; ნუ ენინააღმდეგებით მეფესა და მთავრობასა, რომ იზრუნონ თქვენთვის და კეთილად მოაწყონ თქვენი ცხოვრება. წმინდა არს ღვთის წინაშე და პატივსადებელ ხალხთ წინაშე თქვენი წოდება. ნუ გახდით მას შერცხვენილად. ნუ გეშინინ უკეთურთა, ნუ გეშურს იმათი, ვინც იქმს უსჯულოებასა, რამეთუ ისინი, როგორც ბალახი, მალე გახმებიან და ვითარცა მხალი მწვანილისა, ადრე დასცვივიან. ესეცდეთ უფალსა, პყავთ სიტყბოება, დაემკვიდრე ქვეყანაზე და იქმოდე ჭეშმარიტებასა. იშვებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვაი გულისა შენისა. ნუ გეშურნ მისი, რომელი წარმართებულ იყოს გზასა მისსა, კაცისა თანა, რომელი იქმოდეს უსჯულოებასა" (ფსალმუნნი, 36).

VIII

მონყალე სიტყვანი ხელმწიფე იმპერატორისა მუშათა მიმართ

მეფე ესავს უფალსა და ნყალობითა მაღლისათა არა იძრას (ფსალმუნნი, 20, 7)

კურთხეევითა ყოველად-უსამღვდელოესთა მიტროპოლიტთა და არქიერთა, უწმინდესს სინოდში მსხდომარეთა, ჩვენ, ძმანო, გაუწყებთ თქვენ იმ მონყალე დარიგებას, რომელიც მისცა კეთილმსახურმა და ქრისტეს-მოყვარე ხელმწიფემ პეტერბურგის ფაბრიკების რუსის მდაბიო მუშებს, როდესაც გამოიწვია იმათი წარმომადგენელნი ქუჩებში უწესოების ჩადენის შემდეგ. ამ უწესოებაში ჩარიეს ფაბრიკებში მომუშაე ხალხი, რომელიც თვისის გულუბრყვილობის გამო მიენდო სახელმწიფოს მოღალატეებსა და მტრებსა. ეს მტრები აღელეებენ ხალხსა ქალაქებში და სოფლებში და ამისათვის სარგებლობენ მძიმე ომიანობითა ისე, როგორც გააფთრებულნი მცარცველნი სარგებლობენ შემოდგომის ბნელის ღამითა თავიანთ ავაზაკობის შესასრულებლად. თქვენ იცით, რომ, სამწუხაროდ, ჩვენშიაც, კავკასიაში, ბოროტ კაცთა ჩაგონებით მოხდა იმისთანაეე უწესოებანი. გაიგონეთ, მაშ, ბრძნული და კეთილი სიტყვა მეფისა.

ჩვენმა კეთილმა მეფემ შეუნდო შემცდარებს, დაარიგა ისინი სიტყვიერად, იმიტომ, რომ იგი არის არა მხოლოდ მფლობელი და მსაჯული თვისის ერისა, არამედ მოსიყვარულე მამაც, რომელიც გულით სწუხს და ენანება თავისი, ასე გასინჯე, უგუნური შვილები. გახსოვდეთ ესა, საყვარელნო ძმანო, შვილნო რუსეთის სამეფოისა, მართლმადიდებელნო ქრისტეანენო და იცოდეთ, რომ არ არის ქვეყანაზე სხვა უფლება, რომელსაც შეეძლოს ასე უანგაროდ გაგიფრთხილდნენ და შეგიყვარონ თქვენ, მშვიდობიანნი მუშანი, როგორც მეფობის უფლებასა, ღვთისაგან დაწესებულსა, მოღებულთა სამკვიდროდ ადრინდელის კეთილმორწმუნე მეფეთა და დიდთა მთავართაგან – მოციქულთა სწორის ვლადიმირისა, მოწამეთა ბორის და გლებისა, კეთილმორწმუნის მიხაილისა, ალექსანდრე ნეველისა და მათ შთამომავლობათაგან.

მოიგონეთ, ვინ იღვწოდა ამ უკანასკნელ ხანში თქვენთვის და წმინდა სიმართლისათვის? ვინ გამოიხსნა საქართველო დაუნდობელ მტერთა ხელიდგან? რუსის მეფეებმა. ვინ შემოიტანა კავკასიაში მშვიდობა, წეს-რიგი, ააშენა გზები, გააჩაღა ვაჭრობა მთელის საუკუნოების ომებისა, უწესოების და არეულ-დარეულობის შემდეგ? რუსის მეფეებმა. ვინ გაათავისუფლა გლეხობა ბატონყმობისაგან? მეფემ.

ვის მიჰყავდა ჯარები ულეთო ოსმალთა წინააღმდეგ, რომელნიც მუსრავდნენ ქრისტეანებსა? ჩვენს მეფეებსა.

ვინ მისცა შეღავათი უმიწანყლო გლეხებს, რომ გამოესყიდნათ მიწები და დასახლებულიყვნენ თვალუწვდენელ ნაყოფიერ იმპერიაში? ჩვენმავე მეფეებმა. საუკუნო ხსენება გარდაცვალებულ ხელმწიფეთა და სასუფეველი ცათა.

ვინ განიმსჭვალა იმ აზრით, რომ ედიდებინა სათნოყოფლენი ღვთისანი წმინდა მღვდელმთავარი თეოდოსი ჩერნიგოველი და ღირსი სერაფიმ საროველი? ვინ გაეშურა შორს უდაბნოს და მშვიდობიან მლოცველებთან ერთად ლოცულობდა იქ, ჰღვრიდა ცრემლებსა და მიიღო ზიარება ქრისტეს საიდუმლოთა ერთის ბარძიმიდან მდაბიო ხალხთან? იმანვე, ჩვენმა საყვარელმა და სიყვარულუხვმა მეფემ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემა დედოფალი მეულლით და დედოფალი დედით. ხალხთან ერთად ერთის პირითა და ერთის გულით ალაქლენდნენ ისინი ლოცვასა და უფალმაც დაასაჩუქრა ისინი და მთელი რუსის ერი ერთის საზოგადო კურთხევითა; მისცა იმათ პირველი ძე – მემკვიდრე სამეფოსი, ცესარევიჩი, ალექსი ნიკოლოზის ძე და ამით ღმერთმა აჩვენა თვისი წყალობა, როგორც სამეუფეო სახლისა, ისე მთელის რუსის ერისადმი.

შეინახეთ, ძმანო, ეს ღვთის კურთხევის წინდი! მაგარდა შეურყეველ კედლად ექმენით თქვენს მეფესა, რუსეთის მიწა-წყალსა იმის ძველის-ძველ ქრისტეანულ წესწყობილებისათვის, რომელიც გვიანდერძეს ჩვენმა წმინდანებმა. ნურავის ნუ ენდობით, როცა ტყუილის ქადაგებით უნდოდეთ თქვენი აშფოთება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ყველა გონიერი ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ რუსეთში ყველა მტერი მეფის უფლებისა, ამასთანავე, ყოველთვის ქრისტეს სარწმუნოებისა და ხალხის მტერნიც არიან.

ღმერთმა კი დაიფაროს და იმათ რომ ჩაუვარდეთ ხელში უფლება ჩვენზე, მალე მთელს ცხოვრებას ხალხისას გადაარიახებდნენ, გაურყვნიდნენ ხალხს გულსა და სულსა, გადუგენებდნენ ქრისტე მაცხოვარსა და იმის სწავლა-მოძღვრებასა. მაშინ იმათი უფლება ბევრით მძიმე იქნებოდა უწინდელ თათრების უფლებაზე, რომელნიც თუმცა ავიწროებდნენ რუსებსა და ქართველებსა, მაგრამ სარწმუნოებას მაინც არ ეხებოდნენ. ამათ კი შეიყვარეს ამპარტავნება და სიცრუე, შეიძაგეს წმინდა სარწმუნოება ჩვენი და ზიზღით ლაპარაკობენ იმაზე ისე, როგორც უწინდელი უსჯულონი: განუხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი, ხოლო ჩვენ, ძმანო, სარწმუნოებით და სასოებით განვიმეოროთ შემდეგი სიტყვანი ფსალმუნისა: რომელი დამკვიდრებულ არს ცათა შინა, ეციწოდის მათ (ფსალმუნი, 3-4).

მაშ, ერიდენით მაგ მაშფოთრებსა, ძმანო, რომ არ განარისხოთ უფალი ღმერთი და არ მიეცეთ საშინელსა წყევასა მისსა, რამეთუ უწყის უფალმან გზა მართალთა და გზა ულმრთოთა წარწყმდეს.

მტკიცედ იყავით წმინდა სარწმუნოებაზე და მართლმადიდებელ მეფისადმი, უსმინეთ თქვენთა მამა-პაპათა კეთილს სწავლა-დარიგებას, ილოცეთ ქრისტეს ეკლესიასთან ერთად, რომ უფალმა დასთრგუნოს შინაური და გარეშე მტრები. ამათ მამაცურად ებრძვის ქრისტეს მოყვარე მხედრობა ჩვენი, რომელნიც მზად არიან, თავი გასწირონ მეფისათვის. ილოცეთ, რომ ღმერთმა გამარჯვება მოგვცეს, რომ ჩვენი მეფე იყოს საშინელ უკეთურთათვის, მოწყალე და იმედი კეთილთათვის, აღაფრთოვანოს გული მისი შეწევნად ღარიბთა, შემწედ ჩაგრულთა, რომ ყველამ დაიმარხოს გულში ერთგულება მისი, ხოლო ახლა მოვისმინოთ მოწყალე სიტყვანი ხელმწიფე იმპერატორისა მუშათადმი.

ოთხშაბათს, 19 იანვარს 1905 წ., ნაშუადღევის სამ საათზე, ცარსკოე სელოს ალექსანდროვის სასახლეში მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა სატახტო ქალაქის და მის გარშემო მდებარე ქარხნების და ფაბრიკების მუშების დეპუტაცია, ასე, 34 კაცი. როცა მისი უდიდებულესობა მიესალმა დეპუტაციას, იმან რუსულის ჩვეულებისამებრ მდაბლად დაუკრა თავი. ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიერა დეპუტაცია შემდეგის მოწყალე სიტყვებითა:

„მე მოგიწოდეთ თქვენ იმიტომ, რომ პირათ მოისმინოთ ჩემი სიტყვა და გადასცეთ თქვენს ამხანაგებს. შესაწუხებელი მოვლენანი და იმათი სამწუხარო შედეგი – აჯანყებები – მოხდა იმიტომ, რომ თქვენ შეხვედით შეცდომაში და მოტყუებაში ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან. იგინი, როდესაც გიწოდებდნენ ჩემდა თხოვნის მოსართმევად თქვენი გაჭირვების შესახებ, ამით

თქვენ აჯანყება მოგახდენინეს ჩემ და ჩემი მართებლობის წინააღმდეგ და ძალად დაგანებებინეს თავი პატიოსან მუშაობასა იმ დროს, როდესაც ყოველი ჭეშმარიტი რუსი უნდა საერთოთ სცდილობდეს და დაუღალავად მუშაობდეს ჩვენის გარეგანი მოუსვენარი მტრის დაძლევისათვის. შეთქმულება და ასაჯანყებელი ყრილობანი მარტო აქ ზებენ უსაქმო ხალხს იმისთანა უწესოებებზედ, რომელთაც ყოველთვის გამოუნვევიათ და ქვალათაც გამოიწვევენ მართებლობას ჯარის დახმარება ზედ და ამას ძალა-უნებურათ მოსდევს უდანაშაულო მსხვერპლების შენირვა. ვიცი, რომ ადვილი არ არის მუშის ცხოვრება, ბევრი უნდა გაუმჯობესდეს და გაწესიერდეს, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. თქვენ თვითონ სვინდისის ქვეშ უნდა გესმოდეთ, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ საქმის პატრონებსაც და ყურადღებაში უნდა ვიქონიოთ სარეწავის (აღებ-მიცემობის) პირობებიც. ჩემს მუშა ხალხზედ ზრუნვას ისე დავაყენებ, რომ ყოველივე შესაძლებელი მათ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად შესრულებული იყოს და სამერმისოდ დაცულნი იყოს მათთვის კანონიერნი გზანი მათი (საყოველდღეო) ნამდვილი გაჭირვების გამოსარკვეველად. მე მწამს პატიოსანი მუშა ხალხის გრძნობა და მათი შეურყეველი ერთგულობა ჩემდამო და ამიტომ ვაპატიებ მათ დანაშაულობას. ეხლა დაუბრუნდით მშვიდობიან მუშაობას, ახსენეთ ღმერთი და შეუდექით საქმეს თქვენის ამხანაგებითურთ და იყოს ღმერთი თქვენი შემწე".

IX

სიტყვა მხედრობას (შობილი ზაცოის გამოცხადება)

ერთი მოძღვარი ეკკლესიისა ამბობს: „ღმერთს გულკეთილი მშვიდობიანობა უყვარს, მაგრამ ღმერთივე აკურთხებს ხოლმე სამართლიანს ომსა. ქვეყნიერობაზე მუდამ არიან არა მშვიდობის მყოფელნი ხალხნი, ამიტომ მშვიდობიანობით უომრად ვერ დასტკბება ადამიანი, მშვიდობიანობის დასაცველად საჭიროა, რომ ძლევამოსილმა არ დააყანგოს თვისი მახვილი". ამიტომაც საღმრთო წერილი ამბობს: *კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ჩემი, რომელმან ასწავა ხელთა ჩემთა ღვაწლი და თითთა ჩემთა – ბრძოლაი" (ფსალმუნნი, 143, 1).* ამიტომ ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა უწოდებს თავსა თვისსა მხედრობის უფლადაც. საღმრთო წერილი გვემოწმება, რომ უფალმა აკურთხა საჭურველი მშვიდის აბრაამისა, რომელიც საომრად წავიდა, რათა თვისი ძმის წული ლოთი გაეთავისუფლებინა. ღმერთმა უბრძანა ისუ ნავესა, შეებრძოლე ებრაელების მტერსაო და სასწაულებრივი გამარჯვება მიანიჭა მას. ღმერთმანვე უბრძანა ებრაელთა ერსა, დაიპყარ აღთქმის ქვეყანა და შემუსრე უკეთურნი წარმართნი ერნიო. ღმერთმა აკურთხა საჭურველი პირველის ქრისტეანე მეფისა წმ. კონსტანტინესი და ნუგეში სცა ჯვრის ხილვითა, რომელიც არის საჭურველი ძლეევისა. ჩვენნი წინაპარნიც საქართველოში და რუსეთშიც, ჩვენი მეფეები, ჩვენი დიდებული მხედარნი, გამსჭვალულნი სარწმუნოებით და ეაყაცობით, სიხარულით მიდიოდნენ სასიკვდილოდ ომში და არ ერიდებოდნენ გაჭირვებასა და ვნებასწვალებასა. იპყრობდნენ სამეფოებსა, იცავდნენ წმიდა სარწმუნოებასა, თაეს სდებდნენ წმიდა ეკლესიისათვის, ღვთისა, ძმათა და მამულისათვის. მაშასადამე, მხედარი მსახურია ღვთისა, ალმასრულებელი ქრისტეს დიდის მცნებისა: *არ არის ამაზე უდიდესი სიყვარული, გარდა იმისა, ვინც სულსა თვისსა დასდებს თავის მეგობართათვის (იოანე XV, 13).*

უფალმა იესო ქრისტემ იწინასწარმეტყველა, ბოლოს ჟამს იქნება ომები, გაიგონებთ ბრძოლის ამბებსა, ყოველს ქვეყანაზე იქადაგებენ სახარებასა (ღვთის სიტყვასა). მაშინ საშინელი და მძიმე ომები გაჩნდება, ბევრი მწუხარება დაადგება ხალხსა, მაგრამ ვინც დაითმენს სრულიად, იგი ცხოვნდება *(მათე. XXIV, 6-14).*

სრულდება ეხლა ღვთის წინასწარმეტყველება – შორეულ აღმოსავლეთში ომი აქვს რუსეთს წარმართ იაპონიასთან, ომი მძიმე და სამწუხარო. უნდა ღვთის ნებას დავეშორჩილნეთ და გაეუძლოთ ომის სიძნელეს; არ უნდა დავზოგოთ არც ღონე, არც საშუალება, არც სიცოცხლე, რომ ესძლიოთ მტერსა და არ შევარცხვინოთ ჯვარი უფლისა. ასე სჯიდნენ ხოლმე ჩვენნი წინაპარნი, როდესაც იბოცებოდნენ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის და ჩვენც გვიანდერძეს, ასე მოვიქცეთ. *ვინც ბოლომდე მოითმენს, ცხოვნდება.*

მაგრამ ღვთიურს წინასწარმეტყველებაში მომავალ ომების შესახებ უფალმა დასძინა: *მაშინ მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი აღსდგებიან და ბევრს შეაცდენენ (მათე, XXIV, 11).* ეხლა ჩვენს თვალწინ სრულდება ეს წინასწარმეტყველება. გაჩდნენ ჩვენშიაც ცრუ წინასწარმეტყველნი და შეაშფოთეს სალდათები და სათადარიგო მეომარნი სხეა და სხეა უკეთურის და ცრუ სიტყვებითა. გაჩდნენ აქაც, ჩვენს მხარეში, გააერცელეს წერილები, ურჩევენ საომრად გამოსაწვევ მეომრებს, ომში ნუ წახვალთო და წინდაწინვე აშფოთებენ კეთილ ხალხსა. ისინი ისეთს „სიმართლეს სწერენ ომზე", რომელსაც დასწერდა მხოლოდ მამა სიცრუისა – ეშმაკი.

არწმუნებენ ხალხს ეს ცრუ მეტყველნი,

რომ ომი დაიწყო მეფემ და მთავრობამაო. მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რა ნაირი მშვიდობის მოყვარეა ჩვენი მეფე; იცის, რომ რუსეთს არ უნდოდა ომი და არც ემზადებოდა იმისთვის, ხოლო იაპონიამ პირველმა და მოტყუვილებით დაიწყო ომი.

ცრუ მეტყველნი აჯერებენ ხალხსა, რომ რუსეთის ომში ყველა გამოცდილი აფიცრები დაიხოცნენ, დანიშნეს გამოუცდელნი და საქმის არა მცოდნენიო; რომ აკლიათ ექიმები და ომში შიმშილი ჩამოვარდაო. მაგრამ ეს მხოლოდ საზიზღარი ტყუილია. არც ერთს ომის დროს ასეთი მზრუნველობა არა ჰქონიათ სალდათებზე, როგორც ანინდელ ომში.

ცრუ მეტყველნი აშინებენ სალდათებსა, რომ მანჯურიაში ცხელა კიდეცა და ძრიელაც ცივა; რომ ომი იქაური აუტანელია; აუარებელი მთები და უფსკრულებია; რომ სალდათებს ყაზარმები არა აქვთ. მაგრამ განა ამისთანებით შეიძლება პატიოსანი სალდათების შეშინება? განა მართლა ომში უხიფათობა შეიძლება? განა ომში სამხიარულოდ მიდიან? განა ომის ალაგას ყაზარმებს არ აშენებენ? კიდევ იმითი აშინებენ, რომ სახლში ოჯახობა და ბავშვები უპატრონოდ დაგრჩებათო. განა ყოველის ომის დროს ასე არ არის ხოლმე? ამასთან, განა ეხლა სალდათების ოჯახისა და ბავშვებისათვის არ სწუხან და ზრუნავენ? მეფემაც და მთავრობამაც, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული, მტკიცედ გადასწყვიტეს, იზრუნონ იმათთვის უბედურობის დროს.

ცრუ მასწავლებელნი არიგებენ სალდათებს, აფიცრებს, ნუ დაემორჩილებითო... სად არის მაშ ღმერთი და სინიდისი? ფიცი ღვთისა და მეფისადმი? მხოლოდ ლაჩარი და სულმდაბალი კაცი გაუგონებს იმათ სიტყვებსა. როგორც მოძღვარს შეშვენის ლოცვა, სწავლულს – სწავლა, მიწამომქმედს – მუშაობა, ისე სალდათს – მორჩილება, უამისოდ სალდათი მოღალატეა და მტერი სამშობლოსი. თუ ყველა ომზე თავისებურად დაიწყობს მსჯელობას, ერთი დაემორჩილება, ხოლო მეორე – არა, მაშინ ეს ჯარი კი აღარ იქნება, არამედ მანანწალათა კრებული.

ცრუ მასწავლებელნი არიგებენ, მოითხოვეთ საჩქაროდ ზავის ჩამოგდებაო, მაგრამ ზავი იქნება მაშინ, როცა ჩვენ დავძლევთ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხომ სირცხვილი იქნება სამშობლოსათვის და საშინელი ზარალი ჩვენთვის. მტერი წაიღებს ჩვენს მიწა-ადგილებსა, წაგვართმევენ ვაჭრობასა, მუშაობა შეფერხდება ჩვენში, ჩამოვარდება სიღარიბე და უმუშაობა, სამშობლო ქვეყანა დასუსტება და მაშინ ყოველი მხრიდან დაეცემიან იმას მტრები. მინამ არ დავძლევთ, ზავის მოთხოვნა არ შეიძლება. ამას მხოლოდ ჩვენი მტერი იზამს, რომლისთვისაც ეს სარფაა და ჩვენი შინაური მოღალატენი იუდა-გამცემელნი, რომელნიც მტერმა შეისყიდა. აი, ასეთები არიან ყველა ის ცრუ მოძღვარნი.

მეომარნო! გლეხნო! მუშა ხალხნო! ყველას, ვისაც ღმერთი და მეფე უბრძანებს ომში წასვლასა, მოგმართავთ ჩვენი სიტყვებითა: იყავით პატიოსანი მსახურნი მეფისა და მამულისა, წმინდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. თქვენი აღმაშფოთებელნი და ცრუ მოძღვარნი მიეცით მთავრობასა. ეგ შინაური მტრები გარეშე მტრებზე უარესნი არიან, იაპონელებზე უარესნი არიან. ეგენი მოღალატენი, გამცემელნი არიან, რომელნიც მხოლოდ ზიზღისა და სიკვდილის ღირსნი არიან.

დიდი საქმისათვის გიწოდებთ თქვენ ღმერთი: სძლიოთ მტერი – წარმართი, ადიდოთ ჯვარი უფლისა და დაიმსახუროთ საუკუნო დიდება და მადლობა სამშობლოში და საუკუნო ხსენება და მოწყალება ღვთის თვალში.

რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიმართვა მრევლისადმი დაგვიანებული აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, რუსეთში დაწყებული რევოლუციის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. დიდი სოციალური ამბოხი ძალას იკრებდა და როგორც დაპირისპირებულ კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს ეჩვენებოდათ, ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ძალის გამოყენებით, ერთი სოციალური ძალის მეორეზე გამარჯვება-გაბატონებით შეიძლებოდა. რუსეთის იმპერია მოსალოდნელი დიდი სისხლისღვრის ნიშნებს იდგა.

§3. ქართველი სამღვდელოება რევოლუციის საწყის ეტაპზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით პეტიციის შემუშავება

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ, როგორც აღენიშნეთ, გამოსცა მანიფესტი და მოსახლეობას მიუნოდა დახმარება აღმოეჩინათ ხელისუფლებისათვის საშინაო არეულობის დასრულების საქმეში. იმავდროულად ხელმონერილი იქნა ორი დოკუმენტი: 1. რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიგინისადმი ითვალისწინებდა სათათბირო და საკანონმდებლო უფლების მქონე სათათბიროს მონვევას; 2. ბრძანება მმართველი სენატისადმი სენატს ავალებდა შეესწავლა იმპერატორის სახელზე შესული კერძო პირებისა და დაწესებულე-

ბების წინადადებები სახელმწიფო მმართველობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა, ესარგებლა მანიფესტით, რესკრიპტითა და ბრძანებით მინიჭებული უფლებით და აზრი გამოეთქვა ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ დროისათვის ძალზე პოპულარული იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის (თვითმწყემსობის) აღდგენის იდეა. გარდა ამისა, ქართველი სამღვდელოება ითხოვდა, რამდენიმე მწვავე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემის დროულად მოგვარებას. ყოველივე ამას დიდი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი ალექსი (ოპოცკი). 1905 წლის 18 თებერვალს ნიკოლაი II-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების (მანიფესტის, შინაგან საქმეთა მინისტრისადმი პესკრიპტისა და მმართველი სენატისადმი ბრძანების) შემდეგ ეგზარქოსს უფლება აღარ ჰქონდა წინ აღდგომოდა ქართველი სამღვდელოების მიერ საჭირბოროტო საკითხების თაობაზე მსჯელობის დაწყებას. შექმნილი ვითარებით დაუყოვნებლივ ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ.

1905 წლის თებერვალშივე დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე დაუკავშირდა დეკანოზ ანტონ თოთიბაძეს და სერგი გორგოძეს. გადაწყდა, ოფიციალურად დაეყენებინათ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. შეთანხმდნენ, რომ სერგი გორგოძე შეადგენდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტს, კალისტრატე ცინცაძე – პეტიციას ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით, ანტონ თოთიბაძე – გამოარკვევდა ქართველი სამღვდელოების აზრს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ ქართველი სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება მხარს უჭერდა ავტოკეფალიის აღდგენას. დაინიშნა კრება, რომელსაც უნდა განეხილა კალისტრატე ცინცაძის მიერ შედგენილი პეტიციის ტექსტი. პეტიციის ტექსტი განიხილეს და მოიწონეს დეკანოზებმა: კორნელი კეკელიძემ, ნიკიტა თალაქვაძემ, ილარიონ ჯაშმა, ქრისტეფორე ციციშვილმა, ბენიამინ კონტრიძემ. საერო მოღვაწეთაგან პეტიციის ტექსტი მოიწონეს ექვთიმე თაყაიშვილმა, ალექსანდრე ყიფშიძემ და ნიკოლოზ არჯევანიძემ. ამის შემდეგ პეტიციის ტექსტი ცალკე ფურცელზე დაიბეჭდა და განხილვის მიზნით დაეგზავნა ქართველი სამღვდელოების ცნობილ წარმომადგენლებსა და საერო მოღვაწეებს. 1905 წლის მარტში აქტიურად მიმდინარეობდა პეტიციის ტექსტის განხილვა. პირველად პროექტი კუკიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სამრევლო სკოლაში განიხილეს. კრებაზე საგანგებოდ იყო მიწვეული ილია ჭავჭავაძე. პეტიციის პროექტი მოიწონეს. შემდეგ კრება დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის ბინაში გაიმართა. კრებას, სამღვდელოების გარდა, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. აღსანიშნავია, რომ, წინა კრებისაგან განსხვავებით, მარკოზ ტყემალაძის ბინაში გამართული კრება საქართველოს ეგზარქოს ალექსი ოპოცკის თანხმობით ჩატარდა. ქართველ სამღვდელოებას სურდა ეგზარქოსისათვის დაემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხარს უჭერდა არა სასულიერო პირთა მცირე ჯგუფი, არამედ – სამღვდელოების უმრავლესობა და საერო მოღვაწენი. კრებამ პეტიციის ტექსტი მოიწონა. აუცილებელი იყო პეტიციის ტექსტი ეპარქიებში დაგზავნილიყო, რათა იგი ქართველი სამღვდელოების ყრილობაზე განხილულიყო. ყრილობის მონვევას ეგზარქოსს დიდი ხანია სთხოვდნენ, თუმცა ალექსი ოპოცკი თავს იკავებდა. ეგზარქოსმა კარგად იცოდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის გარდა, სამღვდელოება სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსაც დააყენებდა. ალექსი ოპოცკის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, დეკანოზები: ანტონ თოთიბაძე, ქრისტეფორე ციციშვილი და კალისტრატე ცინცაძე ყრილობის მოწვევისათვის მუშაობას შეუდგნენ. 1905 წლის 10 მაისს ქრისტეფორე ციციშვილმა პირდაპირ განაცხადა: სამღვდელოების ყრილობას ეგზარქოსის თანხმობის გარეშეც მოვიწვევთო! ქართველი სამღვდელოების ყრილობა 1905 წლის 28 მაისს უნდა გახსნილიყო (ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა ზოგიერთ დოკუმენტსა და მემუარულ ლიტერატურაში კრებადაც იწოდება – ვ. გ.).

საქართველოს ეგზარქოსმა ყრილობის დანიშვნის ამბავი რომ გაიგო, სასწრაფოდ დაგზავნა ცირკულარი, რომელიც ქართველ სამღვდელოებას ყრილობაზე დელეგატების გაგზავნას უკრძალავდა. მალე ცნობილი გახდა, რომ ცირკულარი ყრილობის მონვევას ნინ ვერ აღუდგებოდა. ეგზარქოსმა ხელისუფლების დახმარებით უკიდურესი ღონისძიებებით სცადა ყრილობის ჩაშლა. რკინიგზის სადგურის უფროსებს დაეგზავნათ მიწერილობა, რომლის ძალითაც მათ 1905 წლის 26 მაისიდან 30 მაისამდე ქართველი მღვდლებისათვის სამგზავრო ბილეთი არ უნდა მიეყიდათ. ეგზარქოსმა კარგად იცოდა, რომ ქართლ-კახეთის

სამღვდელოების ნაწილი მატარებლისბილეთის ალებას მაინც მოახერხებდა, ამიტომ იყო, რომ თბილისის რკინიგზის სადგურის ჟანდარმერიამ ბრძანება მიიღო 27-30 მაისს თბილისში მატარებლით ჩამოსული მღვდლები დაეპატიმრებინა. ყრილობის მოწვევის ინიციატორებმა გადაწყვიტეს დახმარება კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისათვის ეთხოვათ. გადაწყდა, მოეძებნათ ისეთი პიროვნება, რომელიც მეფისნაცვალს სამღვდელოების თხოვნას წარუდგენდა. ეს რთული მისია მეფისნაცვლის მეგობარ პოლკოვნიკ (1909 წლიდან გენერალ-მაიორ) ივანე ნაკაშიძეს (1848-1917) ხვდა წილად. ივანე ნაკაშიძესთან მოლაპარაკებას დეკანოზი ბენიამინ კონტრძიე ანარმოებდა. ორი დღის შემდეგ ივანე ნაკაშიძემ ბენიამინ კონტრძეს აცნობა: თბილისში მღვდლების ჩამოსვლას ხელს ვერავინ შეუშლის, ყრილობა ოფიციალური იქნება, სამღვდელოებამ საჭირბოროტო საკითხები გაბედულად დააყენოს და თავისი პოზიცია ბოლომდე დაიცვასო. ეგზარქოსმა ალექსიმ უკან დაიხია. მან ყრილობის თავმჯდომარეობა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს დაავალა, თვითონ კი სვეტიცხოვლის შეკეთების სამუშაოს დათვალიერება მოიმიზეზა და 1905 წლის 28 მაისს მცხეთაში გაემგზავრა. ეგზარქოსმა მცხათაში კალისტრატე ცინცაძეც იახლა.

1905 წლის 28 მაისს ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა გაიხსნა. დაახლოებით 200 დეპუტატი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიკრიბა. დელეგატებმა სემინარიის შენობა ყრილობის ჩატარებისათვის შეუფერებლად მიიჩნიეს და ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში მდებარე სანთლის ქარხნის ერთ-ერთ დარბაზში გადავიდნენ. ყრილობა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს უნდა გაეხსნა, მაგრამ დელეგატების მოთხოვნით, ყრილობის მუშაობას დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი წარუძღვა. ყრილობის თამჯდომარედ დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი აირჩიეს, მდივნებად – მღვდლები ი.ჯაში და ა.მიქელაძე. 29 მაისს ყრილობის დელეგატები სინონის საკათედრო ტაძარში შეიკრიბნენ და ეგზარქოსის წირვად დაესწრნენ. წირვის დასრულების შემდეგ ალექსი ოპოცკიმ დეპუტატებს მიმართა: ქართველმა სამღვდელოებამ დამასწრო, თორემ ყრილობის მოწვევა 1905 წლის 15 ივნისს მე თვითონ მინდოდაო. ცხადია, ეგზარქოსი სიმართლეს არ ამბობდა, ეს იმავე წუთს დადასტურდა. ალექსი ოპოცკიმ დეპუტატებს განუცხადა: თქვენ მიერ არჩეულ ყრილობის თავმჯდომარესა და მდივნებს ვამტკიცებ. ყრილობამ რომ ნაყოფიერად იმუშაოს, გთავაზობთ თითოეული სამრევლოდან ორ-ორი წარმომადგენელი აირჩიოთ, დანარჩენები კი შინ დაბრუნდითო. ეგზარქოსმა ასევე განაცხადა: ამორჩეული დელეგატები სასულიერო სემინარიის პანსიონში დაბინავდებიან, ბინა უფასოდ ექნებათ, კვება კი ფასიანიო. დაბოლოს, ალექსი ოპოცკიმ განაცხადა, ხვალ განსახილველი საკითხების სია მომიტანეთ, რათა ჩემი შეხედულებისამებრ შეეგასოო.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ არჩეულმა დელეგატებმა ეგზარქოსის შეთავაზება მიუღებლად მიიჩნიეს, თითოეული სამრევლოდან ორ-ორი დელეგატის არჩევაზე უარი თქვეს, უარი თქვეს ეგზარქოსისათვის ყრილობაზე განსახილველი საკითხების სიის წარდგენაზეც. ასე რომ, ყრილობა ძველი შემადგენლობით გააგრძელებდა მუშაობას. დეპუტატების ნაწილი იმავე დღეს საცხოვრებლად თბილისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონში გადავიდა.

1905 წლის 31 მაისს ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით შედგენილი ტექსტი. პეტიცია იწყებოდა საკმაოდ ვრცელი ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მიმოხილვით, რომელშიც წარმოდგენილი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია IV საუკუნიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. შემდეგ ხუთ პუნქტად ჩამოყალიბებული იყო ის მოთხოვნები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მთავრობის (მინისტრთა კომიტეტის), რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორისათვის, კავკასიის მეფისნაცვლის და უწმინდესი სინოდის თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ანტონ ვადკოვსკისათვის უნდა გაეგზავნათ:

„I. იერარიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათალიკოსი-პატრიარქი აღდგეს მცხათა-იერარიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო – და ზაქათალის ოლქი).

II. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ.

შენიშვნა 1: კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრეელი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენელნი – კათალიკოსსა და მღვდელმთავრებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს იერარიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათალიკოსის მეთაურობოთ და კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათალიკოსს – უზენაესი საერო ხელისუფლება.

შენიშვნა 2: მღვდელმთავართან არსებულ

საეკლესიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე სასულიერო პირთა კანდიდატების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებულ ვეტო-ს დადებისა.

III. კათალიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე – კათალიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

IV. კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დანესებულებებისა და საქველმოქმედო დანესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

V. იერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული."

პეტიციას ხელი მოაწერა ყრილობის 412 ღვთისმსახურმა.

მაშინ, როდესაც ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიის აღდგენისათვის მძიმე ბრძოლაში ჩაბმულიყო, მეტად მრავალსმეტყველი ფაქტი მოხდა. საქართველოს ეგზარქოსის, მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკის თანამოაზრე და აქტიური მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი, დეკანოზი იოან ვოსტორგოვი და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნიკანდრი (ნიკოლაი ფუნმენოვი). ალექსი ოპოცკი წყალობას არ იშურებდა თანამოაზრეების მიმართ. 1905 წლის 19 მაისს, ეგზარქოსის წარდგინებითა და უწმინდესი სინოდის შუამდგომლობით, იმპერატორის ბრძანებით, არქიმანდრიტი ნიკანდრი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს, ქართლ-კახეთის ეპარქიის მეორე ქორეპისკოპოსად დანიშნეს და ბაქოს ეპისკოპოსი უწოდეს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თავგამოდებული მონინააღმდეგისათვის ასეთი წყალობის გაღება იმის მოსასწავებელი იყო, რომ ქორეპისკოპოსი ნიკანდრი ალექსი ოპოცკის მარჯვენა ხელი იქნებოდა (სხვადასხვა მიზეზის გამო არქიმანდრიტ ნიკანდრის ბაქოს ეპისკოპოსის რანგში არ უმოღვანია, იგი მალე საერთოდ გადაიყვანეს კავკასიიდან – ვ. გ.).

პეტიციაზე ხელმოწერა 1905 წლის 31 მაისს, დღის 3 საათზე დასრულდა. ყრილობის თავმჯდომარემ, დეკანოზმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა გამოაცხადა, რომ ყრილობა მუშაობას საღამოს 7 საათზე განაახლებდა თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში. 31 მაისს სწორედ სასულიერო სემინარიის შენობაში ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დელეგატები დაარბიეს.

§4. ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დარბევა 1905 წლის 31 მაისს

1905 წლის 31 მაისის საღამოს ყრილობა დაწყებულიც კი არ იყო, რომ თბილისის სემინარიის შენობას უამრავი ხალხი მოაწყდა. ნაწილი სემინარიის შენობაში შევიდა, ნაწილი კი სემინარიის წინ, მოედანზე, დარჩა. კრებაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. ყრილობის თავმჯდომარემ, დეკანოზმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა გადაწყვიტა, რომ შექმნილ ვითარებაში მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა და ყრილობის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ დარბაზი დატოვა, იქ მყოფმა გარეშე პირმა, სემინარიის ყოფილმა მოსწავლემ, სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ სამღვდელოებამ ამის საშუალება არ მისცა. ღვთისმსახურები სწორად მიხვდნენ, რომ სიტყვის თქმის მსურველები მრავლად გამოჩნდებოდნენ და ვითარება უმართავი გახდებოდა. მართლაც, სულ რამდენიმე წუთში დარბაზში მყოფმა გარეშე პირებმა ხმაური ატეხეს, რამაც სემინარიის წინ შეკრებილი ხალხის ყურადღება მიიქცია. მოედანზე მყოფებმა შენობაში შეჭრა სცადეს. შექმნილი ვითარების შესახებ ერთ-ერთმა პოლიციელმა ტელეფონით აცნობა თბილისის მესამე უბნის ბოქაულს. ბოქაული ნაბიბეკოვი დაუყოვნებლივ გამოცხადდა სემინარიაში და სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ ნიკანდრის (ნიკოლაი ფუნმენოვის) თხოვნით, მას ბინაზე ეწვია(რექტორი სემინარიის შენობის ერთ-ერთ ფლიგელში ცხოვრობდა). არქიმანდრიტმა ნიკანდრმა ბოქაულს განუცხადა: სემინარიის შენობაში ძალიან ბევრი ხალხია შეკრებილი, დიდი ხმაურია, მრავალი ადამიანი კიდევ ცდილობს შემოსვლას. რექტორმა ბოქაულს უთხრა, რომ ეშინია, ან სემინარიის შენობა არ დაზიანდეს, ან პირადად მას არაფერი აევნონ. რექტორმა აშკარად მიანიშნა, რომ ქართველი სამღვდელოება მას მტრულად უყურებდა, რაც მის შიშს კიდევ უფრო აძლიერებდა. დაბოლოს, არქიმანდრიტმა ნიკანდრმა ნაბიბეკოვს ისიც აცნობა, რომ მას მოკლედითა და შენობის აფეთქებით ემუქრებოდნენ. რექტორმა ბოქაულს სთხოვა, კერძო პირები გაეყვანა შენობიდან. შემდეგ მან სემინარიიდან ქართველი სამღვდელოების გაყვანაც მოითხოვა, რის გამოც პუშკინის ბაღსა და სემინარიის შენობას შუა უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა.

ამ დროს ქარვასლასთან ვიღაცამ პოლიციელი მოკლა. ქალაქში ხმა გავარდა, პოლიციელი ვიღაც მღვდელმა და მისმა მხლებლებმა მოკლესო. ასევე გავრცელდა ხმა, რომ ვიღაცას სრულიად უმიზეზოდ დაეჭრა ერთი მღვდელი. ბოქაულმა ნაბიჭვრობა კაზაკების რაზმი გამოიძახა, რომელთაც პოლიციელებთან ერთად დაიწყეს ხალხის დარბევა, განურჩეველად სასულიერო და საერო პირებისა. მათრახებით სცემეს რამდენიმე მღვდელს. მღვდლებმა თავი სარდაფებს, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორნებს შეაფარეს. მათი ნაწილი სემინარიის შენობაში შებრუნდა, რომელთაც თან მიჰყვა ხალხიც. კაზაკებმა და პოლიციელებმა სემინარიის შენობა გაჩხრიკეს, მღვდლების გარდა, იქ 12 უცხო პირი აღმოჩნდა. ეგზარქოსის ნებართვით, ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დელეგატთა ნაწილი სემინარიის შენობაში ცხოვრობდა, მიუხედავად ამისა, არქიმანდრიტმა ნიკანდრიმ ბოქაულს მათი გაყვანაც მოსთხოვა. ბოქაულმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ღამის 11 საათზე მომხდარი თბილისის პოლიციმაისტერს აცნობა. ეს უკანასკნელი სემინარიაში გამოცხადდა და ბრძანება გასცა, შენობაში კაზაკები ჩაეყენებინათ.

1905 წლის 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებლად კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა კომისია შექმნა, რომელსაც გენერალ-მაიორი **ალექსი სტახოვიჩი** (1856 –?) ხელმძღვანელობდა. კომისიაში შედიოდნენ: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის მოვალეობის შემსრულებელი ა. ი. **ჯამბაკურ-ორბელიანი** (თავადაზნაურობის მარშალი დაეით მელიქიშვილი 1903 წელს გადადგა – ვ. გ.), ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების თავმჯდომარე დეკანოზი **ქრისტეფორე ციცქიშვილი**, საქართველოს ეგზარქოსის წარმომადგენელი, კოლეგიის მრჩეველი **ტრელინი**.

გენერალ-მაიორ ალექსი სტახოვიჩის კომისიამ მონმეები დაკითხა, რის შედეგადაც დადგინდა: სემინარიის შენობის წინ შეკრებილთა დაშლის დროს საერო პირების გარდა, მათრახებით სცემეს ქართველ მღვდლებს. დაკითხეს ნაცემი მღვდლებიც. ერთ-ერთ მათგანს მათრახის დარტყმით ლოყა დაზიანებოდა, მეორეს მათრახი ყელზე მოხვედროდა და საკმაოდ ღრმა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ნაცემი მღვდლების ნაწილს ჭრილობები არ აღმოაჩნდა, თუმცა, მონმეების ჩვენებით, კაზაკები არც მათ ინდობდნენ.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა სრულიად მშვიდად დამთავრდებოდა. ამის სურვილი ჰქონდათ კრების მონაწილეებს და, პირველ რიგში, მის თავმჯდომარეს. ქრისტეფორე ციცქიშვილმა კრება სწორედ ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით გადადო. თითქმის განმუხტული ვითარება ხელახლა დაძაბა და ქართველი სამღვდელოების დარბევა სემინარიის რექტორ, არქიმანდრიტ **ნიკანდრის** გაუაზრებელმა მოთხოვნებმა გამოიწვია. რექტორს რომ ელემენტალური წინდახედულობა გამოეჩინა, დარბევა თავიდან იქნებოდა აცილებული.

§5. ვითარება 1905 წლის 31 მაისის დარბევის შემდეგ

ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დარბევამ ქართველ ღვთისმსახურებს ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაზე ხელი ვერ აიღებინა. 1905 წლის ივნისში ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოღვაწემ დეკანოზმა **დავით ღამბაშიძემ** მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „მწყემსში" გამოაქვეყნა მამხილებელი წერილი სათაურით: „ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებიდს დროს მომხდარ ინციდენტის გამო 31 მაისის თბილისში" მოგვყავს წერილის ტექსტი მთლიანად.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების დროს მომხდარ ინციდენტის გამო 31 მაისს თბილისში

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიასთან მომხდარ ინციდენტის გამოსაძიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თფ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდელოების კრების თავმჯდომარე ბლაღოჩინი ქრ. ციცქიშვილი და საქართველოს ექსარხოსის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, ნარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.

ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდელოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც კრებაზედ დიდი უწესობა და მღელვარება გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გასვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდელოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარეშე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს

ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და მამა რექტორის თხოვნის თანახმად, მივიდა მის ბინაზედ. აქ ორის მღვდლის თანდასწრებით მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულს ნაბიბეკოვს, რომ სხდომაზედ ნრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გაგებული მაქვს სამღვდელოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებაო. ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიბეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდელის შვილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და ნარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიბეკოვს, რომ შენობისთვის თვალ-ყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდელოება. ამასობაში სემინარიასა და პუმკინის ბაღს შუა თავმოყრილ სამღვდელოებისა და კერძო პირთა შორის მღელვარება თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლულ იქმნა პოლიციელი. ხმა გაეარდა, რომ იგი მოჰკლა მღედელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდელოებასთან-კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაეჭიროთ იმათი ერთი თანამოძმე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს. რომ ბალხისთვის გზა დაეცლეინებინათ, ბოქაულმა ნაბიბეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით, „სტრაჟნიკებიც" შეუურთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხედა მათრახები.

მონმეების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორანებს შეაფარეს თავი. ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამათ იქ ხალხი შეჰყვა. ნაცემ მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ჰქონდა დახეული და ყელზე ჭრილობა მათრახითვე. ზოგს ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტყობოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით საესე საპატრონე წაართვა.

სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან



დეკანოზი დავით ღამბაშიძე

მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის მღვდლებიც-კი, რომელნიც ექსარხოსის ნებართვით ღამე-დგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებიათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიცმეისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად. შენობაში მოდარაჯებად ყაზახები ჩააყენს და იმ ღამემ წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა.

ძნელია გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვილებით იმისთანა შემთხვევა, როგორიც შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას თბილისში. მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ, ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას იმ შეურაცხებისათვის, რომელიც მას მიაყენეს 31 მაისს. როგორც სჩანს, მამა რექტორს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია სემინარიის შენობის დაცვისათვის მით, რომ არ სურდა მღვდლებს ბინა ქონებოდათ სემინარიაში, თუმცა ექსარხოსიდან ნება ეძლეოდათ, მაგრამ აქ სულ სხვა განზრახვაა...

რა დაუშავეთ, მაგ. მის წინა მოადგილეს, რომ 1902 წელს დ. ყვირილაში მძინარ ოჯახობას[1] ჟანდარმები და შეიარაღებული სტრაჟნიკები თავს დაგვასხა და 6 საათის განმავლობაში დაჭერილი

[1] იგულისხმება შორაპნის ბალაღინის, ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის ოჯახი – ე. გ.

ვიყავით მთელი ოჯახობით? ვიჩიელეთ, დაინიშნა ფიცხელი გამოძიება და რა გამოვიდა? გამოძიება თავისთვის გდია და დამნაშაულს კი უმაღლესი ხარისხი მიანიჭეს!..

ჩვენ გვაკვირვებს მამა რექტორის სიტყვა, რომელიც მოხსენებაშია: „სამღვდელოება მტრულად მიყურებს და მოკლით მემუქრებიანო" – ბრძანებს მ. ნიკანდრი. ამისთანა პირი დღეს თუ ხვალ ამ სამღვდელოების ეპისკოპოსად უნდა გახდეს... ეს არის მოციქულების და მსოფლიო კრების კანონებისამებრ აღრჩევა საეპისკოპოსოდ იმისთანა პირებისა, რომელსაც სამღვდელოება და საზოგადოება უნდა ირჩევდეს? ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!..

მონყალე ხელმწიფე იმპერატორი ჩვენზე დაშორებული იყო, მაგრამ დღეს დაახლოვებულია მისი მოადგილის[1] დანიშვნით. მასზეა ჩვენი იმედი, რომ ამიერიდან არ ვიქნებით ისე დაჩაგრული, როგორც დღემდის ვიყავით, განსაკუთრებით სამღვდელოება...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მონინააღმდეგენიც არ ყრიდნენ იარაღს. საქართველოს ეკლესიის ისტორიის გაყალბებას, კერძოდ, ავტოკეფალური მმართველობის არაკანონიკურობის დამტკიცებას შეეცადა სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნიკანდრი. 1905 წლის ივლისში მან ჟურნალში „Прибавление к „Духовному вестнику Грузинскаго экзархата" გამოაქვეყნა ვრცელი ნარკვევი სათაურით: „Об автокефальности Грезинской церкви и церковной жизни в Грузии при католикозах. Историческая справка".

არქიმანდრიტი ნიკანდრი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია არაკანონიკური გზით მოიპოვა და პრაქტიკულად, არასდროს ავტოკეფალური არ ყოფილა („Не приводя других подобных исторических документов о зависимости грузинской церкви от антиохийской, заметим, что эта зависимость всегда была и на практике"). რაც შეეხება 1801 წლის შემდგომ ვითარებას, არქიმანდრიტი ნიკანდრი ასე ნარმოადგენს: „Но вот Грузия присоединилась к России. Последовавшия преобразования в управлении гражданской частью ея не могли не коснуться и духовной. Весь ход преобразования в управлении последнею в первые годы присоединения Грузии к России можно легко видеть из актов Кавказской Археологической Комиссии. При разсмотрении их невольно обращается внимание, что инициатива преобразования в управлении грузинской церкви исходила от светской власти и первосвятителей грузинских (католикоса Антония 2-го, архиепископа Варлаама и друг.). Еще в 1783 году в договоре Ираклия 2-го о верховной власти России над Грузией было сказано, что "о управлении грузинския церкви и отношении, какое долженствует быть к Святейшему Синоду Российскому, составится особый артикул" и тогда-же католикос Антоний 1-ой был пожалован членом Святейшаго Синода. В 1801 году Император Павел 2-ый собственноручно писал главноуправляющему в Грузии генерал-лейтенанту Кнорринту: "я хочу, чтобы Грузия, как уже к Вам и писал, была губерния, и так тотчас и поставьте ее в сношения с Сенатом, а по духовной части с Синодом, не трогая их привилегий". В сентябре того-же года Император Александр 1-ый рескриптом на имя Кнорринга предписал: "с возстановлением предположеннаго устройства по части гражданской не менее признаем нужным, чтобы и часть духовная того края (Грузии) в соразмерный приводима была порядок; по собранию потребных сведений к соображению сей статьи не оставьте о сем сделать обстоятельное представление". Вследствие крайняго разстройства дел в церковном управлении грузинской церкви это собрание сведений очень затянулось, хотя в исполнение Высочайшей воли и приступлено было к нему немедленно. В 1809 году католикос Антоний подает чрез главноуправляющаго в Грузии генерала Тормасова Государю проэкт об изменениях в управлении грузинской церковью чрез учреждение духовной декастерии, сокращение епархий и т. п. Вслед за этим Государь Император обращает свое внимание, что до этого времени "Святейший Синод не имеет ни влияния, ниже сведения о делах грузинскаго духовенства", и Обер-Прокурор Святейшаго Синода, "по Высочайшему поручению", предписывает Тормасову "для лучшаго соображения предполагаемых на счет сей постановлений снестись" с архиепископом Варлаамом, управлявшим грузинскою церковью в отсутствие католикоса Антония, вызваннаго в Петербург для обсуждения его проэкта, "и сообразно с местными обстоятельствами представить мнение, в каком виде и на каком основании устроить управление грузинским духовенством, так чтобы оно было в зависимости Святейшаго Синода". По мнению архиепископа Варлаама, поданному на Высочайшее разсмотрение в 1811 году, следовало между прочим: "из существующих 13 епархий составить только две: Мцхетскую и Карталинскую, Алавердскую и Кахетинскую. Архиерею Мцхетскому и Карталинскому, как начальнику над грузинским духовенством, предоставить право называться митрополитом Мцхетским и Карталинским и Экзархом

[1] საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვზე – ვ. გ.

Синодским над Грузией и быть ему под ведомством Святейшаго Синода". Тогда Государь передал вопрос об изменсниях в управлении грузинской церковью Святейшему Синоду на разсмотрение, который во всеподданейшем докладе от 21-го июня 1811 года высказал свои соображения, мало чем отличныя от мнения архиепископа Варлаама. 30-го июня того-же года этот доклад Святейшаго Синода Высочайше утверждается и с этого времени грузинская церковь входит в непосредственное управление Святейшаго Синода с присвоением первосвятителю ея звания члена Святейшаго Синода и Экзарха Грузии." რომორც ვხედავთ, არქიმანდრიტმა ნიკანდრმა საქართველოს ეკლესიის (მცხეთის საპატრიარქოს – ვ. გ.) ავტოკეფალიის გაუქმება, რასაც იგი საქართველოს ეკლესიის მმართველობის გარდაქმნას უწოდებს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს გადააბრალა და მთელი პასუხისმგებლობა მოუხსნა იმპერატორ ალექსანდრ I-ს, რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს, საქართველოს მთავარსარდალს, გენერალ ალექსანდრ ტორმასოვს და სხვებს. არქიმანდრიტმა ნიკანდრიმ თავისი მსჯელობა ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, თავხედური დასკვნით დაასრულა: „Таким образом, решительно нельзя сказать, будто Святейший Синод подчинил себе грузинскую церковь. Он менее всех принимал участие в этом деле. И грузинская церковь не может считать себя обиженной чрез подчинение управлению Святейшаго Синода; не все-ли равно подчиняться: антиохийскому патриарху или Святейшему Синоду? Разница только в том, что сношения с Святейшим Синодом удобнее, чем с антиохийским патриархом; наместник последняго заменен экзархом, которым состоит первосвятитель грузинской церкви, а не отдельное лицо, как было прежде, не подчиненное никому, кроме своего патриарха. Что-же касается титула: "католикос", которым теперь не именуется первосвятитель грузинской церкви, то ведь названия: "католикос", "архиепископ" однозначущи; последнее даже точнее выражается мысль о положении епископа (архиепископа) в ряду других; в древности титул "архиепископ" был выше титула: "митрополит". Сетовать может разве антиохийский патриарх, лишившийся части дохода, поступавшаго из грузинской церкви, когда она была в его управлении." სხვას რომ თავი დავანებოთ, ცინიკურად ჟღერდა არქიმანდრიტ ნიკანდრის განცხადება: „საქართველოს ეკლესია მისი მმართველობის უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებით თავს არ უნდა გრძნობდეს შეურაცხყოფილად; სულ ერთი არ არის, ეის დაემორჩილები, ანტიოქიის პატრიარქს თუ უწმინდეს სინოდს?" (დედანში: „И грузинская церковь не может считать себя обиженной чрез подчинение управлению Святейшаго Синода; не все-ли равно подчиняться: антиохийскому патриарху или Святейшему Синоду?").

არქიმანდრიტი ნიკანდრი თავის ნარკვევში ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ იმპერატორი ალექსანდრ I, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი და საქართველოს მთავარსადრლები(კარლ კნორინგი, პაველ ციციანოვი, ივან გუდოვიჩი, ალექსანდრ ტორმასოვი) ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა საქართველოს ეკლესიის(მცხეთის საპატრიარქოს – ვ. გ.) მმართველობა ქართველი სამღვდელოებისა და მრევლის სასიკეთოდ გარდაექმნათ. ცხადია, ავტორი არ ივიწყებდა საქართველოს ეგზარქოსების დიდ დამსახურებასაც, დაწყებული მიტროპოლიტ ვარლამიდან მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკით დამთავრებული. არქიმანდრიტი გამართლებულად მიიჩნევდა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების შეგრულით შეცვლას. არქიმანდრიტი იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძის) და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების შენარჩუნების მიზნით „საეჭვო ქართულ პატრიოტიზმად" მიიჩნევდა და ამტკიცებდა, რომ ქართველები არასწორად წარმოაჩენდნენ რუსეთის ეროვნულ პოლიტიკას საქართველოში („Следующие экзархи архиепископ Флавиан и нынеший архиепископ Алексий главным образом предались развитию на Кавказе церковно-школьнаго дела. Характеризуя отношение перваго к грузинской церкви, преосвященный епископ имеретинский Леонид в своей вступительной речи к пастве назвал его "ангелом грузинской церкви". Общедоступность, обходительность, доброта, благожелательность нынешняго экзарха известна всем. Сомнительный грузинский патриотизм ставит ему в вику, что он в целях руссификации изгоняет грузинский язык из церковно-приходских школ и богослужения. Указывают при этом преимущественно на Мингрелию, в церковно-приходских школах, которой, действительно, в последнее время преподавание грузинскаго литературнаго (разговорнаго) языка исключено и допускается преподавание только церковно-грузинскаго (богослужебнаго) языка. Остановимся на этом обвинении и посмотрим, насколько оно справедливо").

არქიმანდრიტი ნიკანდრი კადრულობს და ამტკიცებს, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არც თუ მცირე განსხვავებაა: „ Вся сила обвинения в том, что мингрельский и грузинский язык отежествляются, а на самом-же деле разница между ними не малая." არქიმანდრიტი კიდევ უფრო შორს

მიდის და საქართველოში რუსეთის ენობრივი პოლიტიკის გამართლების მიზნით დაასკვნის, რომ მეგრელსა და ქართულს შორის განსხვავებამ გამოიწვია ის, რომ სამეგრელოს სკოლების პროგრამებიდან ქართული ენის ამოღების საკითხი დამდგარა: „Вся сила обвинения в том, что мингрельский и грузинский язык отожествляются, а на самом-же деле разница между ними не малая."

საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობით აღტაცებული არქიმანდრიტი ნიკანდრი წერს, რომ ეგზარქოსების ყოველმხრივი და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად უმნიშვნელო ქვეყანაში (ე.ი. საქართველოში) გაიხსნა მრავალრიცხოვანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სასულიერო სასწავლებლები, დაბალი და საშუალო დონის ქალთა სასწავლებლები და სხვა სასულიერო დაწესებულებები; ეგზარქოსების მოღვაწეობის წყალობით გაბრწყინებულია ბარბაროსების მიერ ადრე დანგრეული მრავალი ტაძარი; ეგზარქოსების მამობრივი ზრუნვის შედეგად მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესა ჩაგრულმა ქართულმა სამღვდელოებამ; მხოლოდ ნამდვილ მორწმუნეს (იგულისხმებიან ეგზარქოსები – ვ. გ.)შეეძლო განმსჭვალულიყო ქვრივებსა და ობლებზე ზრუნვით" (Непрестанная и всесторонне-энергичная деятельность Экзарха Грузии могла создать у нас в незначительной стране столь многочисленныя церковно-приходския школы, духовныя училища, низшия и средния женския учебныя заведения и разныя другия духовно-просветительныя учреждения. Только их деятельность могла привести в такое цветущее состояние тысячу храмов, разрушенных под ударами варваров врагов. Только отцовская заботливость могла вникнуть и обезпечить материально до нищества угнетенное наше грузинское духовенство. Только истинно-верующая сердца могли проникнуться состраданием к нашим вдовам и сиротам").

არქიმანდრიტ ნიკანდრის ვრცელი ნარკვევი არ შეიძლება მხოლოდ ავტორის ნაშრომად ჩაითვალოს. ცხადია, ნიკანდრს კონსულტანტები ეყოლებოდა, რომელთაც საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად იცოდნენ და რუსი მღვდელმსახურისათვის შეეძლოთ გარკვეული მასალაც მიეწოდებინათ და მიმართულებაც მიეცათ. ეს კარგად უნდოდნენ სამღვდელოებამ და სამრევლო მოღვაწეებმა. მათ ასევე კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყო ნაშრომის შემკვეთი და ვინ უნვედა კონსულტაციას ავტორს.

1905 წლის ნოემბერში სერგი გორგოძემ ჟურნალში „Прибавление к „Духовному вестнику Грузинскаго экзархата" გამოაქვეყნა წერილი „Автокефальность Грузинской церкви (ответ на статью архимандрита Никандра: "Об автокефальности грузинской церкви"). სერგი გორგოძემ დაამტკიცა, რომ არქიმანდრიტი ნიკანდრი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის არასწორ (ტენდენციურ) ინტერპრეტაციას ახდენდა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ანტიოქიის პატრიარქის ტიტულში „ივერიის" მოხსენიებას ეხებოდა. სერგი გორგოძე ამტკიცებდა, რომ ანტიოქიის პატრიარქის ტიტულში „ივერიის" მოხსენიება არ ქმაროდა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური არ იყო და ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა. სერგი გორგაძე აღნიშნავდა, რომ ანტიოქიის პატრიარქის ტიტულში იხსენიებოდა „სირია, არაბეთი, კილიკია, მესოპოტამია და სრულიად აღმოსავლეთი." ეს ტერიტორია ერთ დროს ნამდვილად იყო ანტიოქიის პატრიარქის განმგებლობაში, მაგრამ შემდეგ მისი 9/10 გამოვიდა ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებიდან და სხვა აღმსარებლობის ხალხის ხელში აღმოჩნდა („Наконец для подкрепления основного своего положения о всегдашней зависимости грузинской церкви от антиохийскаго патриарха, архим. Никандр обращает внимание читателей на от обстоятельство, что антиохийский патриарх "доныне называется в титуле и Иверским". Но он совершенно упускает из виду, что тот-же патриарх до настоящаго времени носит титул патриарха "Сирии, Аравии, Киликии, Месопотамии и всего Востока", хотя 9/10 населения всей этой территории, когда-то действительно принадлежавшей антиохийскому патриарху, давно уже вышла из подчинения ему или-же перешла в другую веру. Очевидно, титул патриарха сам по себе не может служить точным показателем действительнаго состояния территориальных его прав в ту или другую эпоху; в противном случае, следуя архим. Никандру, пришлось бы утверждать, что грузинская церковь и в настоящее время находится в подчинении не русскому Синоду, а тому-же антиохийскому патриарху, ведь последный и "доныне" носит название "Иверскаго"!"). იქვე სერგი გორგოძეს მოჰყავს ანტიოქიის პატრიარქის სრული ტიტულატურა 1905 წლისათვის: "Блаженнейший, божественнейший и святейший патриарх Божьяго града Антиохии, Сирии, Аравии, Киликии, Иверии, Месопотамии и всего востока, пастырь пастырей, тринадцатый из Апостолов, господин и владыка". გაცნობიერებული მკითხველი ადვილად დარწმუნდებოდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებსა და ქვეყნების დიდ ნაწილს ანტიოქიის პატრიარქი უკვე დიდი ხანია, აღარ განაგებდა.

1905 წელს არქიმანდრიტმსა ნიკანდრმა რუსულენოვან გაზეთ „კავკაზის" 148-ე და 155-ე ნომრებში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც, როგორც 1905 წლის ივლისში გამოქვეყნებულ

წერილში „Об автокефальности Грезинской церкви и церковной жизни в Грузии при каталикозах. Историческая справка" ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის საკითხი. გაზეთ „კავკაზის" პუბლიკაციას მეცნიერულად კარგად დასაბუთებული წერილით უპასუხა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ. 1905 წელს მან დაბეჭდა შენიშვნა არქიმქნდრიტ ნიკანდრის გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილ წერილზე. ისევე, როგორც სერგი გორგოძემ, კალისტრატე ცინცაძემაც არქიმანდრიტი ნიკანდრი ამხილა წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის არასწორად(ტენდენციურად) კომენტირებაში და ციტირებული ტექსტების დამახინჯებაში. ერთერთ ძირითად წყაროდ არქიმანდრიტი ნიკანდრი ასახელებდა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს თეოდორე ბალსამონს (XII საუკუნე), რომელიც თითქოს მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა. კალისტრატე ცინცაძე თელიდა, რომ ნიკანდრი წყაროს აყალბებდა: Слова патр. Вальсамона архимандрит Никандр приводит с латинским прибавлением: "автокефальною, однако в духовной зависимости от Антиохии", чего нет ни в лучшем греческом издании Синтагмы, ни в русском переводе правил Вселенских соборов с толкованиями Вальсамона. Да этих слов и не должно быть, во первых, потому что такая "автокефалия" дарована была церкви иверской еше при патриархе Феофилакте, следовательно, при господине Петре грузинская церковь должна была получить нечто более того, что она уже имела до него и, во вторых, потому что находившуюся в зависимости от Антиохии церковь, Вальсамон, сам патриарх Антиохийский и известный канонист, не поставил бы рядом (да еше с предупреждением: "не удивляйся") с церквами кипрскою и болгарскою, действительно автокефальными, а не находившимися "в духовной зависимости" от других престолов (см. ответ на статью арх. Никандра С. Горгадзе, „Тифлисский Листок" 1905 г., №122). Ясно, что прямой смысл слов и Вальсамона не благоприятен для выводов арх. Никандра." ვერც კალისტრატე ცინცაძესა და ვერც სერგი გორგოძეს არქიმანდრიტი ნიკანდრი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნაში ვერ შეედრებოდა. აშკარა იყო, რომ რუსი არქიმანდრიტის მხრიდან პოლემიკის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ყველა კარგად გრძნობდა, რომ არქიმანდრიტი ნიკანდრი შეკვეთას ასრულებდა, თუმცა მისი მეცნიერული პოტენციალი ამისათვის სრულებითაც არ იყო საკმარისი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა სამღვდელოებისა და მრევლის ერთიან ძალისხმევას საჭიროებდა, არადა, დანყებულმა რევოლუციამ სამღვდელოებისა და მრევლის ურთიერთობა სერიოზულად დაძაბა. საკითხი მნიშვნელოვანი იყო და ამ შემთხვევაში წაყრუება სასიკეთოს არაფერს მოიტანდა. სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხის გარკვევას შეეცადა დეკანოზი ილარიონ ჯაში ურნალში „Прибавление к „Духовному вестнику Грузинскаго экзархата" (1905 წლის ნოემბერი) გამოქვეყნებულ წერილში „რა მიზეზებისა გამო დაშორდნენ ერთმანეთს მღვდელი და ერი?". ეს წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად მოვიყვანთ.

რა მიზეზებისა გამო დაშორდნენ ერთმანერთს მღვდელი და ერი?

რომ მღვდელსა და ერს შორის, განსაკუთრებით მღვდელსა და ინტელლიგენციას შორის განცალკევებამ მიაღწია უკიდურეს საზღვრამდის, ეს ყველასათვის ცხადია, ამას აღიარებს თვით სამღვდელოება. ანინდელი მწყემსი არ გრძნობს თავს „სამწყსოსთან" ერთად, უკანასკნელიც არ სცნობს მწყემსს თავის ხელმძღვანელად, სულიერს მამად, უყურებს მას, როგორც ცხოვრების ახალ მიმართულების მტერს და შორს გაურბის.

ეეცდებით, მიუდგომლად გამოვარკვიოთ სამწყსოს მიერ მწყემსის ათვალწუნების მიზეზები.

როგორც ეხლა, ისე ძველად სამღვდელოება იყოფოდა ორს ნაწილად: შავს სამღვდელოებად, რომელსაც შეადგენდნენ ბერები და თეთრს სამღვდელოებად, რომელსაც ეკუთვნოდნენ საკუთრივ მღვდლები. ბერები მღვდლებზედ გაცილებით უფრო განათლებული იყვნენ. პირველნი ცხოვრობდნენ განცალკევებით მონასტრებში და თითქმის მთელ თავისს სიცოცხლეს ატარებდნენ მწიგნობრობაში და სწავლა-განათლების გავრცელებაში. ამ მონასტრებში სწავლობდნენ თვით მეფის ძენი, თავად-აზნაურნი, სამღვდელო ხარისხის მისაღებად განმზადებულნი და სხვ.

მღვდლები, როგორც ეხლა, სცხოვრობდნენ ხალხში, რომელსაც გადასცემდნენ მონასტერში მიღებულ ცოდნას. იგინი გლეხებივით ეკუთვნოდნენ მიწის მომუშავე კლასს, იღებდნენ მონაილეობას ყოველ-ნაირ სასოფლო საქმეში, იყვნენ ისეთივე ღარიბ-ღატაკნი და უშნო-ულაზათონი, როგორც გლეხები, ხოლო ღრმად მორწმუნენი, ფრიად მტკიცენი სარწმუნოებაზე. მღვდლის ოჯახი სცხოვრობდა იმ სახითვე, როგორც სცხოვრობს გლეხ-კაცი, საჭმელ-სასმელად მას ჰქონდა იგივე, რაც გლეხს, მისი სტუმარი იყო გლეხი,

უკანასკნელი იყო მისი მასპინძელი. მოთხოვნილება და ჩვეულება ჰქონდათ ერთნაირი. ამის მიუხედავად, სამღვდელოება ირიცხებოდა მოწინავე წოდებად და იყო ყველასგან, როგორც დიდკაცობისა, ისე მდაბიო ხალხისაგან, ფრიად პატივცემული. ეს მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ მაშინ ხალხი უფრო მორწმუნე იყო, არამედ იმით, რომ სამღვდელოება განათლებით თითქმის ყველა სხვა წოდებაზე მაღლა იდგა, სწავლა-განათლების გამავრცელებელნი იყვნენ თითქმის მარტო სასულიერო პირნი.

მღვდელსა და ერს შორის კედლის ამართვა დაიწყო გასული საუკუნის მე-60 წლებიდან, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ; უფროკი შესამჩნევად დაშორდა ერთმანერთს ეს ორი წოდება იმ დროიდგან, როდესაც სწავლა-განათლების გასავრცელებლად შემოღებულმა საერო სკოლებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი.

1. მღვდელსა და ერს შორის ერთობას ხელს უწყობდა ბატონ-ყმობა. ეს ტვირთი ერთსაცა და მეორეს ერთნაირად აწვა და სჩაგრავდა. ამისთვის ლხინი და ჭირი იყო საზოგადო, ერთსაცა და მეორესაც ინანილებდნენ და ამ რიგად უსუბუქებდნენ ერთმანერთს ცხოვრების ტვირთს. ნათქვამია, რომ ისე არა აახლოვებს-რა ადამიანებს, როგორც მწუხარება და უბედურება; მაშინ ეგრძნობათ, რომ ჩვენ გვაქვს რაღაცა საერთო, საზოგადო, რომ ჩვენ ვართ ერთმანერთთან დაახლოვებულნი. გაიარა საზოგადო მწუხარებამ, ყმა გადაიქცა მეპატრონედ, შეუდგა მინის შემუშავებას და დაიწყო თავისთვის ცხოვრება. მღვდელი-კი თითქმის სრულიად განთავისუფლდა შრომიდან და დაანება კისერზე გლეხს. უწინ ის სთხოვდა მრევლს დახმარებას მინის შემუშავებაში და მრევლი კიდეც ეხმარებოდა. შემდეგში-კი მღვდელს „დრამამ" და სახაზინო ჯამაგირმა მისცა საშუალება, ქირით ეკეთებინა საქმე. ამ გარემოებამ აგრძნობინა მღვდელს თავისი თავი დამოუკიდებლად, თითქმის ბატონად. საეკლესიო წესების შესრულებაში ის იღებს ფულს და ამ მხრივ ის მაინც დამოკიდებულია მრევლისაგან, მაგრამ აქ ისე მოაწყო საქმე, რომ მრევლმა დაუწყო ყურება წესის შესრულებას, როგორც შრომას, რომელიც დასაჩუქრებული უნდა იყოს. ამნაირად „დრამამ" და ჯამაგირმა გამოყო სოფლის მღდელი გლეხთა წრისაგან და დაბადა სრულიად განსაკუთრებული წოდება, რომელიც თავისი გარეგანი ცხოვრებით და სულიერი მოთხოვნილებით უახლოვდება ესრედ წოდებულს ბურჟუაზიას. ასე თუ ისე, ჭეშმარიტებაა, რომ ეკონომიური ფაქტორი არის ერთი იმ უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელმაც აღმართა კედელი მღვდელსა და მრევლს შუა.

2. უწინ, როგორც ზევით მოვიხსენეთ, სწავლა-განათლების წარმომადგენელი იყო სამღვდელოება. შემდეგში მისი ადგილი დაიკავა ინტელლიგენციამ. სამღვდელოებამ ადვილად არ დაუთმო თავისი ადგილი იმას, იგი შეებრძოლა მას და საეკლესიო კათედრიდან დაუწყო კიცხვა ევროპიულ განათლებას, საერო ხელოვნება და მეცნიერება გამოაცხადა მავნედ. ინტელლიგენციამ მისცა პასუხი. სამღვდელოება მალე დარწმუნდა, რომ ის საკუთარის ძალებით ვერას გახდებოდა ევროპიულად განათლებულ ინტელლიგენციასთან, ამისთვის მიეკედლა მთავრობას და დაუწყო მას გუნდრუკის კმევა და მტკიცება თავის ერთგულობისა. მთავრობამ მიიღო სამღვდელოება თავის მფარველობის ქვეშ და დაუწყო ქომაგობის გაწევა. ამისთვის ოფიციალურად სამღვდელოება მუდამ იმარჯვებდა. ამ გვარმა საქციელმა მეტის-მეტად გააბრაზა მოწინავე საერო საზოგადოება და რომ საგრძნობელად გადაეხადა ბადალი და სრულიად დაემცირებინა, დაუწყო კიცხვა არა თუ მარტო სამღვდელოებას, არამედ იმ საქმესაც-კი, რომელსაც ემსახურებოდა – ეკლესიას და სარწმუნოებას. აქ ნათლად გამოჩნდა, რომ სამღვდელოება იყო გაუნათლებელი, მოუმზადებელი საბრძოლველად. მან მარტო მოგერება-ღა დაიწყო, მაგრამ ეს მოგერებაც ერთობ უხერხული იყო. ის დარწმუნდა, რომ ვერც სხვის დაქომაგებით გახდება რასმეს ინტელლიგენციასთან და პირველობასაც ვეღარ დაიბრუნებდა. ამიტომ ჩაიკეტა თავის სახლში და მარტო იმას-ღა ცდილობდა, რომ უბრალო ხალხი მაინც არ გამოსცლოდა ხელიდან, ამაზედ მაინც არ დაკარგოდა გავლენა.

3. სამღვდელოებამ მოისურვა, დაეშორებინა თავიანთი შვილები ერის კაცების შვილებისგან, რომ მათ არ მიეღოთ „მავნე" ევროპიული სწავლა. ამისთვის მან გახსნა საკუთარი სასწავლებელი და მაგრად ჩაკეტა შიგ თავისი შვილები. მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა სამღვდელოებას. სემენარიის კედლების ჯურჯუტანებშიაც ნიავმა შეიტანა „მავნე სწავლა" და ეს „სენი" გადასდო მოზარდ თაობას. ბევრჯელ უყვეს სემენარიის ოთახებს „დეზინფექცია", მაგრამ ტყუილად. „სენმა" აქაც მაგრად მოიკიდა ფეხი. საუკეთესო ძალებმა მღვდლობას სხვა სარბიელზე მოქმედება ამჯობინა, სულიერს მამებად-კი წავიდნენ უმეტესად გონება განუვითარებელნი და ზნეობის მხრით არც თუ მაგდენად საქებნი. ან კი შეუძლიან ჩვენს სასულიერო სკოლას აღზარდოს ნამდვილი მოძღვარი?! სამწუხაროდ, არ შეუძლია. ეს სკოლები დამყარებულია ისტორიაზე, წარსულზე. იგი არის თეორიული, იქ მოწაფეებს აძლევენ, გადასცემენ მშრალს, უსიცოცხლო, სხოლასტიკურს ცოდ-

ნას! იქ აცნობებენ კლასიკურს იდეალებს და ყურადღებას არ აქცევენ სახალხო თანამედროვე იდეალებს – ხალხის ნამდვილს ცხოვრებას, მის აუცილებელს საჭიროებას და არსებითს ინტერესებს. ამისთვის, საკვირველი არ არის, რომ ათი-თორმეტი წლის სწავლის შემდეგ ამ სკოლაში ნამოწაფარი, როდესაც მღვდლის ხარისხით ხედება პირის-პირ ხალხს, ვერც-კი ახერხებს მასთან დალაგებულს ლაპარაკს. მღვდელი გრძნობს, რომ იგი არ არის მომზადებული იმ საქმისთვის, რომელიც იტვირთა და იკეტება თავის სახლში. მის წირვა-ლოცვას, წესების ასრულებას, მრევლთან საუბარს აქვს ოფიციალური ხასიათი. მრეველიც, რასაკვირველია, ხედავს ამას და შორს გაურბის თავის მოძღვარს. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ამ სკოლაში ჩვენს ერს აღგე ზარდნენ თუ ბევრი არა, ცოტა მაინც ისეთი მოღვაწეც, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის მოყვარეობის და თვით-განათლების უძლეველ მისწრაფების მეოხებით მალე შეითვისეს სავსებით დედა-ენა, შეიძინეს ცხოვრებისთვის გამოსადეგი ცოდნა და ასე თუ ისე ემსახურებოდნენ და ემსახურებიან თვისი სამწყსოს სულიერს გამოფხიზლებას... არიან ისეთნიც, რომელთაც სახელი გაითქვეს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. სამწუხაროდ, ასეთ მოღვაწეთა რიცხვი მცირეა.

4. მღვდელი არის ქრისტეს სწავლის ნარმომადგენელი. ამისთვის ის მოვალეა, დაეხმაროს ტანჯულთ და გაჭირვებულთ, ამოიღოს ხმა, როდესაც ხედავს უსამართლობას. ძველად უმეტნაწილებად ესე სჩადიოდნენ მღვდლები. შემდეგში მათ დაივიწყეს ეს წმიდა მცნება, თვალი მოარიდეს უსამართლოებას და გულგრილად დაუწყეს ცქერა ხალხთა შორის არა სასურველს დამოკიდებულებას და ცხოვრებას. რა იგრძნეს თავიანთი სისუსტე, იგინი, როგორც ზევით ვთქვით, მიუდგნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მათ სასარგებლოდ დაიწყეს მოთმინებაზე ქადაგება. ამის საბაბლოდ იგინი პირდებოდნენ ნეტარ ცხოვრებას საიქიოს და თავიანთი სიტყვების დასამტკიცებლად უთითებდნენ საღმრთო წერილის იმ ადგილებზედ, სადაც საუბარია მოთმინებისა და თავისი სევ-ბედით კმაყოფილების შესახებ. იმ სიტყვებს-კი, სადაცაა თქმული მოძმეთათვის თავის-დადების შესახებ, თითქო განძრახ ხელს აფარებდნენ, რომ არ დაეკარგა თვისი წოდებრივი მდგომარეობა. სამღვდელოება ხალხის ინტერესთათვის მებრძოლთ არ თანაუგრძნობდა დაბეჩავებული ხალხის შავი დღის გასაუმჯობესებლად ხმის ამოღებაში და თვითონ ამ საკითხის გამოსარკვევად მაინცა და მაინც ბევრი არა გაუკეთებია რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთთა ლითონს და თბილს სიტყვებს.

5. მოძღვრები ამბობენ, რომ იგინი არიან შუამდგომელნი ღვთისა და ერის შუა, საიდუმლოების აღმასრულებელნი, უმაღლესი სწავლის მქადაგებელნი. ამისთვის ისინი მოვალენი არიან იყვნენ შემკულნი ქრისტეს სათნოებით, მოშორებულნი ყოველს ბოროტებას, თავიანთი ზნეობრივის ცხოვრებით და საქმით ერისთვის სამაგალითონი. მაგრამ ხალხი ამისთანა ღირსებებს ვერ ხედავს მწყემსებში, პირიქით, ეს უკანასკნელნი აღსავსენი არიან იმაზე ნაკლულევანებით, რითაც მდაბიო ხალხი. მღვდელიც სწორედ ისევე, თუ მეტად არა, ფიქრობს ნივთიერი კმაყოფილების, სამსახურში ამაღლების, ჯილდოების მიღების, დროების გატარების შესახებ, როგორც ერის კაცი. მოძღვართა შორის სუფევს ისეთივე მტრობა, შურისძიება, განხეთქილება, თუ მეტი არა, როგორც ერის კაცთა შორის. როგორც ეს უკანასკნელნი, ისე პირველნი ზრუნავენ ამა სოფლისათვის; იშენებენ ორ-სამ სართულიანს სახლებს, სდგმენ ოთახებში ძვირფასს ავეჯს, მართავენ ტელეფონებს (ქალაქებში), იდგამენ როიალებს და სხვ. სამწყსომ გაახილა თვალი და დაინახა, რომ მათი მწყემსების სიტყვა და საქმე ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან...

აი მოკლედ ის უმთავრესი მიზეზები, რომელთაც აღმართეს მღვდელსა და ერს შორის გაუვალი კედელი. რით შეიძლება ამ კედლის დაქცევა, რომ დამყარდეს მწყემსსა და ერს შორის ჩვენის ქვეყნის წარმატების მოტრფიალეთათვის ესდენ სასურველი ნამდვილი გულითადი ერთობა?

ამის პასუხი სხვა დროისათვის გადავდოთ.

ცხადია, ილარიონ ჯაშის სტატია დროული იყო, მაგრამ ერთ სტატიას, როგორ კარგადაც არ უნდა ყოფილიყო იგი დანერილი, არ შეეძლო ამოეკვესო სამღვდელოებასა და მრევლს შორის გაჩენილი ბზარი.

1905 წლის ნოემბერში დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ ურნალ „მწყემსში"(1905, N 21) დაბეჭდა მცირე ზომის წერილი სათაურით „ავტოკეფალია". სტატიაში ბევრი ისეთი ფაქტია მოყვანილი, რომლებიც არათუ ფართო საზოგადოებისატვის, შეიძლება სამღვდელოებისათვისაც კი არ იყო ცნობილი. მოგვყავს ეს სტატიაც მთლიანად.

ავტოკეფალია

(წერილი პეტერბურგიდან)

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონიმ მიანდო პეტერბურგის აკადემიის საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორს ი. ი. სოკოლოვს, შეადგინოს დასაბუთებული მოხ-

სენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე მომავალ საეკლესიო კრებისათვის. ეს მოხსენება სოკოლოვმა უნდა დაასრულოს და წარუდგინოს მიტროპოლიტს პირველ დეკემბერს. სოკოლოვი გულმოდგინედ მუშაობს ამ საკითხზე და არჩევს მასალებს ყველა ენაზე, ბოლო ქართული ენიდან მასალებს ჩვენ ვუთარგმნით და ვაწოდებთ. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც იგი შეუდგა ამ საკითხის შესწავლას, მაგრამ ეხლავე დარწმუნდა, რომ ჩვენი ეკლესია ტყუილა უმიზეზოდ არის მოკლებული თავის უფლებას, რომელი უფლებაც მას ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს. პეტერბურგში საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული უფლება. ჩვენის აზრით, ეხლა ჩვენმა სამღვდელოებამ უნდა შეიმუშაოს საკითხი ხარჯის შესახებ. აქ, როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფისა ავტოკეფალიაზე ასახელებენ ხარჯს. ამბობენ, რომ საქართველოს ეკლესიის შენახვა წელინადში 400,000 მანეთად გვიჯდება და თუ ავტოკეფალია მივანიჭეთ, იმ შემთხვევაში ხარჯს ჩვენ აღარ მივსცემთო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ის საეკლესიო მამულები, რომელიც მთავრობამ ჩამოართვა, ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს. თუნდ რომ არც ეყოს, თავისუფალი მაინც იქმნება ჩვენი ეკლესია იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია.

სრულებით უსაფუძვლოა ის შიში, რომელიც გამოცხადებულია „ცნობის ფურცლის" ზემოთ მოყვანილ შენიშვნაში იმის შესახებ, რომ ფული არ გვექნება ეკლესიების და სამღვდელოების შესანახავად. რომელი ხაზინა გვაძლევდა ჩვენ ფულებს, როცა ჩვენვე ვიყავით ჩვენი ქვეყნის გამგენი? თუ ჩვენი საეკლესიო მამულები ძველ დროში მშვენიერად აკმაყოფილებდენ მონასტრებს, ეკლესიებს და სამღვდელოებას, ნუ თუ დღეს აღარ იკმარებს ხარჯად, როდესაც შემოსავალი ამ მამულებიდან ერთი ოთხად მომეტებულია? საეკლესიო მამულები დღეს აძლევს ხაზინას ორასი ათას მანეთს და რიგიანად რომ წაიყვანოს კაცმა მათი მართვა, სამასი ათას მანეთზე მეტს მოგვცემს.

კიევის მიტროპოლიტს ფეოგნოსტს ერთი მილიონი მანეთი ფული დარჩა, რადგან დიდი შესავალი ჰქონდა. მოსკოვის მიტროპოლიტის პირველ ვიკარ-ეპისკოპოსს ჯამაგირს გარდა ოცი ათასი მანეთი შესავალი აქვს საეკლესიო მამულებიდან. თუ ჩვენი კათალიკოსი და ეპისკოპოსები კურო-პატკინის ჯამაგირს მოითხოვენ, რასაკვირველია, არ ეყოფა არც საეკლესიო მამულების შემოსავალი და არც ხაზინისა. ჩვენ ძველ ეპისკოპოსებს თუ დიდი ჯამაგირები არ ჰქონდათ, რით ჩამოუვარდებოდენ ეხლანდელ ეპისკოპოსებს? საეკლესიო მამული აძლევდა მათ შეშას, სიმინდს, პურს, ღვინოს და სხვა საჭირო ნივთებს. წელიწადში მცირე ჯამაგირს კმარობდენ და მშვენიერად სცხოვრობდენ. დღეს-კი ეპისკოპოსებს ოთხი ათასი მანეთი აქვსთ დანიშნული და შემოსავალიც ზოგიერთ ადგილას ამაზედვე მეტს შეადგენს. ნუ თუ ეპისკოპოსისათვის საჭიროა ამდენი ჯამაგირი სარჩენად? რუსეთში ზოგიერთ მიტროპოლიტების და ეპისკოპოსების შესამოსელი 1000-3000 მანეთად ღირს. ვის რა სარგებლობას მოუტანს ამისთანა ძვირფასი შესამოსელი? მიტროპოლტმა იოანნიკემ დიდი სიმდიდრე დაუტოვა თავის შეძლებულ ნათესავებს, მაგრამ ამით სარწმუნოებისათვის არავითარი სარგებლობა მას არ მოუტანია. ჩვენთვის დიდად სასურველია კათალიკოსიც, ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც ზომიერად, ქრისტეს მცნებისამებრ მცხოვრებნი და არა დიდი ჯამაგირების მიმღებნი და ძვირფასი პორფირით და ბისონით მოსილნი... საჭიროა არა გარეგანი ბრწყინვალება, არამედ შინაგანი...

რუსეთი თუ დღეს საქართველოში ოთხასი ათას მანეთს ხარჯავს სამღვდელოებისათვის? ალბად აქაური ხაზინიდან და ეს ხაზინა აქვე იქნება, იმისათვის, რომ ჩვენ საქართველოს გამოყოფას კი არ ვთხოვილობთ რუსეთიდან, არამედ ავტონომიურ მმართველობას, კათალიკოსის დანიშვნას, რომელსაც მოკლებული ვართ წინაალმდეგ მოციქულების კანონებისა.

დეკანოზ **დავით ღამბაშიძის** წერილში მოყვანილმა ფაქტებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამას წინასწარვე გრძნობდა ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი. ამიტომ იყო, რომ „მწყემსის" იმავე ნომერში (1905, N21) დაიბეჭდა პეტერბურგში მყოფი გაზეთ „ცნობის ფურცლის" კორესპონდენტის ინფორმაცია სათაურით: **„რას ჰფიქრობენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდელოებაზე?"** მოვიტანთ ამ მასალასაც მთლიანად.

რას ჰფიქრობენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდელოებაზე?

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ პეტერბურგში წასულ (1904 წ.– ე. გ.) ოქტომბრის 23-ს, ცნობილის მღვდლის გრ. პეტროვის თხოვნით, მამა იოსებ ჩიჯავაძეს „32 მღვდლის კავშირის" სხდომაზე ვრცელი მოხსენება ნაუკითხავს ჩვენის სამღვდელოების თანამედროვე მოძრაობის შესახებ. ამ მოხსენებაში მ. ჩიჯავაძეს (დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს – ვ. გ.) დაუხატავს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ დღევანდლამდე,

მოკლედ და ნათლად დაუსურათებია რუსის ექსარხოსების „მოღვაწეობა“ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში: საეკლესიო მამულების ჩამორთმევა (1852 წელს), ადგილობრივ მღვდელმთავრების უფლებათა შეზღუდვა, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების გაუკუღმართება, მათი რექტორ-ზედამხედველების საზიზღარი პოლიტიკა, ვოსტორგოვის მიერ შექმნილი საეკლესიო სკოლები და მათი მდგომარეობა, 31 მაისის ინციდენტი (იგულისხმაბა 19095 წლის 31 მაისის ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დარბევა – ვ. გ.), რომელშიაც ყველაზედ მეტი „ღვაწლი“ ცნობილ არხიმანდრიტს ნიკანდრს მიუძღვის, იმ ნიკანდრს, რომელიც ამის შემდეგ სინოდმა მღვდელმთავრობით დააჯილდოვა.

მოხსენებას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე სამღვდელოებაზე, რომელსაც ერთხმად დაუდგენია: ქართველ სამღვდელოებას გამოეცხადოს სრული თანაგრძნობა და სოლიდარობა, ხოლო სინოდსა და მის მიერ დადგენილ ექსარხოსებს, სემინარიის ნარექტორალს ნიკანდრს (არქიმანდრიტი ნიკანდრი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და საქართველოდან გაიწვიეს – ვ. გ.), ვოსტორგოვს (იოან ვოსტორგოვი ამ დროს უკვე გაქცეული იყო საქართველოდან – ვ. გ. და სხვებს – ზიზღი და აღშფოთებაო.

1905 წლის ნოემბერში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1905 წლის 21-ე ნომერში მესამე მასალაც დაიბეჭდა სათაურით :"ახალი წყალობა". მასალის ავტორი ოფიციალურად „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი იყო, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი დეკანოზ დავით ღამბაშიძეს ეკუთვნოდა. წერილის ავტორი პრონციპულად არ ეთანხმება რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიერ კავკასიის საეკლესიო მმართველობის გარდაქმნის პროექტს. სიტყვა „წყალობასაც“ ირონიული ქვეტექსტი ახლავს. მოგვაქვს ეს წერილიც მთლიანად.

ახალი წყალობა

სინოდს ჩვენზე, ქართველებზე, ახალი წყალობა მოუღია.

პეტერბურგიდან საკუთარმა კორესპონდენტმა „ცნობის ფურცლისამ“ ტელეგრამით აუწყა ამ დღეებში ქართველს საზოგადოებას, სინოდმა გადასწყვიტა რეფორმა ქართულის ეკკლესიის მართვა-გამგეობისაო.

რაში მდგომარეობს ეს რეფორმა?

არქიეპისკოპოზის სახელის მაგივრად მმართველს ქართულის ეკკლესიისას ერქმევა უფრო დიდი სახელი – მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ეყოლება ერთი ოთხად უფრო დიდი სამწყსო, რადგანაც მის მფლობელობაში იქნება მთელი ჩრდილო კავკასიაცა.

გაუქმდება პატარა ტიტული საქართველოს ექსარხოსისა და დაკანონდება უფრო დიდი სახელწოდება – კავკასიის მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ექმნება ავტონომიური უფლება, ესე იგი, შინაურ მართვაში იგი დამოუკიდებელი იქმნება სინოდისაგან, რის გამოც მიტროპოლიტზე საჩივარიც-კი არ შეიძლება, თუ იგი უფრო უარესი მდევნელი იქნება ქართველობისა, ვიდრე იყვნენ ექსარხოსნი.

ერთი სიტყვით, სავსებით უქმდება საქართველოს ექსარხოსობა და სამაგიეროდ არსდება მიტროპოლია კავკასიისა. რეფორმაც სწორედ ასეთი უნდა!

მკითხველი არ უნდა მოსტყუვდეს სიტყვით – ავტონომია.

ავტონომია ორ-გვარია: ბიუროკრატიული, როდესაც ავტონომიური მეთაური რომელიმე ოლქისა ინიშნება თავისს თანამდებობაზე უმაღლესის მთავრობისმიერ, და დემოკრატიული, როცა მას ირჩევს საზოგადოება, ხალხი, სამწყსო.

პირველი ავტონომია არსებობდა ძველს დესპოტიურს სპარსეთში და ავტონომიურს მმართველებს სხვა და სხვა კუთხეებისას ერქვათ სატრაპები, რომელნიც უფრო უარესნი დესპოტნი იყვნენ, ვიდრე მათნი დამნიშვნელნი – სპარსეთის მეფეები. ახლაც არსებობს ოსმალეთში ამგვარი ავტონომია: ყოველი ფაშა ავტონომიური გამგე არის ფაშალიკისა და უარესი მტარეალი, ვიდრე მისი დამნიშვნელი.

ეს ასეც უნდა იყოს და სხვაფრივ ვერ იქნება. ბიუროკრატი, დიდი ბობოლაა იგი თუ პატარა, ყოველთვის ირჩევს თავის-ზე უარესსა, რომ ქვეყნის თვალში არამც თუ არ დაიჩრდილოს, არამედ უკეთესს საუნჯედ გამოჩნდეს.

ასეთია პსიხოლოგია ბიუროკრატიისა, რის გამოც ყოველი დაბალი საფეხური უარესია მაღალზე და კიბე თავდება აუცილებლივ ხულიგანებით, როგორც ბიუროკრატის საძირკველით.

სრულიად სხვაა დემოკრატიული ავტონომია. ერის, საზოგადოების, სამწყსოს სიკეთე მოითხოვს, რომ გამგედ, მმართველად იყვნენ საუკეთესო მამულიშვილნი და ამისთვის-კი არჩევანია საჭირო.

რამდენადაც ბიუროკრატიულს წეს-წყობილებაში უარესების დანიშვნა აუცილებელია, იმდენად დემოკრატიულს რეჟიმში საუკეთესოების არჩევა უზრუნველყოფილია.

მაგრამ მკითხველმა შეიძლება იფიქროს: იქნება კავკასიის მიტროპოლიტის არჩევის უფლება მიენიჭოს სამწყსოსაო. ეს ძლიერ ძნელი მოსაღლდნელია, რადგანაც სინოდი ახლაც მტკიცედ

ადგია ბიუროკრატიულს გზასა. მაგრამ ვსთქვათ, რომ ეს უფლება მართლა განხორციელდეს, დაკანონდეს, რას მოიგებს ქართველთა ეკლესია? ვერაფერსა, რადგან ნამდვილად მიტროპოლიტის არჩევა ჩრდილო კავკასიას ერგება: იქ ორჯერ მეტი მცხოვრებია, ვიდრე საქართველოში. ამნაირად კავკასიის მიტროპოლია ნიშნავს ქართული ეკლესიის გაუქმებას, ამოფხვრას და ქართველის მრევლების მინერას ჩრდილო კავკასიაზე.

სად არის ხსნა? საქართველოს ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და გამგე არჩეული ქართველის სამღვდელოების და სამწყსოს წარმომადგენლების მიერ და ეს ყოველად კანონიერი და ყოველად სამართლიანი სურვილი და მოთხოვნა არ შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ახლავე, დაუგვიანებლივ.

მხოლოდ სამღვდელოებას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ქართულს ეკლესიას თავისუფლებას დაუბრუნებენ ზევიდგან. ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას-კი არასდროს არ მიანიჭებს. ეს თავისუფლება უნდა თვითონ მან მოიხვეჭოს, თვითონ მან უნდა აღადგინოს უკანონოდ და უნამუსოდ გაუქმებული ავტოკეფალია, რასაკვირველია, სამწყსოს დახმარებით.

ქართველ ავტოკეფალისტებს აქტიურად უჭერდა მხარს აკაკი წერეთელი. 1905 წელს მას დაუწერია „ვარანცოვი (პოემა დიალოგებად)". ამ ნაწარმოებით აკაკი წერეთელი აგრძელებს თავის პატრიოტულ პოეზიას.

როცა პოემას აფასებდა, იოსებ გრიშაშვილი წერდა: „როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ეს პოემაც ავტორის ჩვეულებრივი ყაიდით არის დაწერილი, რომელსაც არ აკლია ის უარყოფითი მხარეები ლექსის აღნაგობის მხრივ, რომელიც დამახასიათებელია მისი სხვა პოემებისა (გარდა „თორნიკე ერისთავისა", „თამარ ცბიერისა" და ნანილობრივად „პატარა კახისა"). „ვორონცოვი" დაწერილია პ. უმიკაშვილის ერთმოქმედებიან პიესა „სამზადისი"-ს „პლანიროვკით"; აქაც მომქმედ პირებად იგივე მწერლებია გაცოცხლებული." მკითხველს ვთავაზობთ პოემის ტექსტს.

ვარანცოვი

(პოემა დიალოგებად)

I თავი

ეახტანგ ორბელიანი და მისი ძმა ალექსანდრე

ალექსანდრე
ნაველ ნმინდა სიონში,
რომ ლოცვა მომესმინა,
მაგრამ მწარე ოცნებამ
სულ სხვა გზით გამაფრინა:
—
მომაგონდა ძველი დრო,
დღეს, თითქმის, სანატრელი,
რომელზედაც შეცდომით
ჩვენით ავიღეთ ხელი;
—
ის დრო, როცა ჩვენივე
ჩვენ ვიყავით უფროსი
და სამღვდელოებასაც
ყავდა კათალიკოსი;
—
გაისმოდა ყოველგან
ნირვა-ლოცვა ქართული;
კანანახით გალობა,
ქართულ კილო ჩართული.
—
დღეს სადღაა ანც ერთი?
სუყველა გადაგვარდა;
შეგვეძულდა ჩვენი თავი
და სხვაც არ შეგვიყვარდა.
—
დატრიალდა უკუღმა
ჩვენი ცხოვრების ჩარხი...
ქვეყნის შეუფერებლად,
სხვა კუთხით გაპყავთ არხი!..
—
დღეს ნინოობა არის,
მოციქულთა სწორისა,
სიონში ვერ ვინ ვნახე,
გარდა ერთი-ორისა!
—
რატომ? მიტომ რომ დღესაც
აღარ სნირვენ ქართულად
და ჩვენი ლიტანია
მოსპობილია სრულად.
—
ეკზარხოსი სნირავდა
ფორმად სლავენურადა;

მლოცველებს არ ესმოდათ,
ქონდათ სანანურადა.
—
ასე დღეს ხვალიობით
ხალხი დაკარგავს რჯულსა...
დამლუპველი შარა-გზით,
მიადგება უფსკრულსა.

მე ქართველი ურწმუნო
ვერ წარმომიდგენია!..
აი რამ მოშიკიდა
ცეცხლი და გეენია! (ტირის)
—
ვახტანგ
იჰ, შენ და შენს ოცნებას!..
ლამის გადაგიყოლოს
მაგრე ხომ შენს სიცოცხლეს
შენვე მოულებ ბოლოს?!
—
ალექსანდრე
და რად მინდა სიცოცხლე,
მწვავი, გამწარებული,
თუ მუდამ ნაღველ-შხამით
მეცხებოდეს მე გული?
—
ჯერ იყო და თათრებმა
არ მოგეცეს მოსვენება,
იტაცებდა იმათ გულს
ჩვენი ქვეყნის შვენება.
—
ერთი მხრიდან სპარსეთი,
მეორიდან თურქები
და, მათი წანაქეზი,
კავკასიონის მთები.
—
რჯულის და ეროვნების
მოკავშირე ქართველი,
მარტო თვითონვე იყო
თავისს-თავის დამცველი.
—
ვიგერებდით ურიცხვ-მტერს,
სანამ გვქონდა ძალ-ღონე.
ვითხოვდით შემწეობას;
არ ვინ იყო გამგონე...
—
ვახტანგ
(ჩამოართმევს სიტყვას)

და მაშინ გამოგეიჩნდა
ჩვენ მომხრედ ჩრდილოეთი,
ჩვენი თანა-მორჯულე,
ჩვენსავით სწამდა ღმერთი!
—
მოგეხიბლა ტკბილი სიტყვით,
დაგვარწმუნა მან ფიცით,
ჩამოგვართვა პირობა
და მერე?... აღარ ვიცით!
—
ესეები სუყველა,
მეც კი მაქვს შეგნებული,
მაგრამ ჯერ კიდევ მაინც
არ გამტეხია გული!

რაც რომ დღეს გვემართება,
დროებითია ყველა.
აქაური მთავრობა
მოქმედობს როგორც მელა;
—
ჩაუგდია სახრავად
უპატრონო ქვეყანა!..
მგელი, რომ ცხვარს დაიჭერს,
მას შეიბრალებს განა?
—
იქ მთავრობას გვაბეზღებს
ატყუებს თვით რუსეთსა
და აქ კი ჩვენ სისხლსა გვწოვს...
აღარ სტოვებს არც წეთსა.
—
მაგრამ მითქვამს და ვამბობ,
რომ ეს წამავალია!
რა გაენყობა, უნდა
მოვითმინოთ ვალია.
—
ალექსანდრე
კი, მაგრამ აღარ უნდა
მოთმინებას საზღვარი?
მაგისთანა ნუგეში
სიცრუეა... ზღაპარი.
—
თუ რომ ვერ მოვესწრებით,
რაღათ გვინდა იმედი?
გადაგვეწყდა, ეს არის,
საშვილიშვილოდ ბედი.
—
დღემდი თუ ხორციელად
მტრისაგან ვიყავთ ტანჯული,
დღეს უფრო არ მოგვიკლეს
ფარისეველობით სული?!
——
სული როცა მოკვდება,
მაშინ ხორციც მკვდარია!..
და აი ქართველობას
დღეს ხელი რამ დაჰრია!..
——

ეახტანგ
ეგ სუყველა მაგრეა,
აზრით მეც გეთანხმები,
მაგრამ რა ვქნა, რომ სულ სხვას
ჩამძახიან პანგები:
--
არსებობს შემოქმედი
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!..
მის ხელშია, ის გაპნონს
საუკუნესა და ნამს.
--
უმისოდ ყოლიფერი
ამ ქვეყნად ტყვილია!
ვისაც ის სწამს იმისთვის
სიკვდილიც კი ტკბილია.



ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი)

§6. ქართველი სამღვდელოების 1905 წლის 7-18 დეკემბრის კრება და „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის" შემუშავება

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი და იმპერატორი ნიკოლაი II დარწმუნდნენ იმაში, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ეკლესიის მმართველობის ძირეული გარდაქმნა. 1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლაი მეორის მიერ გამოცემული რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, ქართველმა სამღვდელოებამ თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონიერულად გამოიყენა. დეკანოზებმა **კალისტრატე ცინცაძემ** და **ანტონ თოთიბაძემ**, ისტორიკოსმა **სერგი გორგაძემ** გადანყვიტეს აღეძრათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სერგი გორგაძეს დაევალა **„ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის"**, ხოლო კალისტრატე ცინცაძეს კი **რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტიციის** შედგენა. პეტიციაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. „ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოს-პატრიარქი აღდგეს მცხეთა-ივერიის კათოლიკოსატი ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);

2. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურები განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ;

შენიშვნა – ა) კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლები – კათოლიკოსსა და მღვდელმსახურებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათოლიკოსს – უზენაესი საერო ხელისუფლება;

შენიშვნა – ბ) მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე, სასულიერო პირთა კანდიდატურების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ, არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა;

3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე – კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან;

4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა;

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული".

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები,

რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით კი დევნიდა სამღვდელოების შეკრებებს. 1905 წლის 31 მაისს, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში დაარბიეს ქართველი სამღვდელოების კრება.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში რეფორმებისათვის მზადების პროცესში, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, 1905 წელს დაიწყო ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრების აზრის გამოკითხვა. გამოკითხულ მღვდელმთავრებს შორის იყვნენ: ორიოლის ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი) და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე). ერთ-ერთი საკითხი, რომლის შესახებაც მღვდელმთავრებს აზრი უნდა გამოეთქვათ, რუსეთის ეკლესიაში სამიტროპოლიტო ოლქების შექმნა იყო. არსებული პროექტის მიხედვით, კავკასია ცალკე სამიტროპოლიტო ოლქი უნდა ყოფილიყო. სამიტროპოლიტო ოლქს, ჩვეულებრივი ეპარქიისაგან განსხვავებით, მეტი უფლებები უნდა მინიჭებოდა. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა უწმინდესი სინოდისათვის წარდგენილ საგანგებო მოხსენებაში კავკასიაში სამიტროპოლიტო ოლქის შექმნა არასაკმარისად მიიჩნია და მოითხოვა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეპისკოპოს ლეონიდის შეხედულებას ღიად დაუჭირა მხარი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილმა), გავრცელდა ხმები, რომ ეპისკოპოს ლეონიდს ემხრობოდნენ ალავერდის ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი) და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი). საქართველოს ეგზარქოს ალექსი ოპოცკის აზრი საჯაროდ არ გამოუთქვამს. ასეთ ვითარებაში ქართველმა მღვდელმთავრებმა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს მიმართვა გაუგზავნეს: თუ 1906 წლის 14 იანვრამდე საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალური მართვა-გამგეობა არ მიენიჭებოდა, მაშინ ქართველი სამღვდელოება თვითონ აღადგენდა ავტოკეფალურ მართვა-გამგეობას.

ქართველი სამღვდელოება აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ეპარქიებში არჩეული დელეგატები თბილისში შეკრებილიყვნენ და წინასწარ შეემუშაებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა(პროექტი). კრება 1905 წლის 7 დეკემბერს უნდა გახსნილიყო. დათქმულ დღეს სამღვდელოების კრებამ მუშაობა ვერ დაიწყო, რადგან დასაელეთ საქართველოს ეპარქიებში არჩეული დელეგატები თბილისში ვერ



ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი

ჩამოვიდნენ. 7-8 დეკემბერს მხოლოდ რამდენიმე თათბირი გაიმართა, რომელთაც არანაირი დადგენილება არ გამოუტანიათ. 9 დეკემბრისათვის თბილისში დასავლეთ საქართველოს ეპარქიების დელეგატებიც ჩამოვიდნენ და წმინდა ნიკოლოზის სახელობის სასწავლებლის შენობაში კრება მუშაობას შეუდგა. ქართველი სამღვდელოების კრებას ესწრებოდნენ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე. ეპისკოპოსებისა და მღვდლების გარდა, კრებას დაესწრნენ საერო პირებიც.

ქართველი სამღვდელოების კრებამ მუშაობა თავმჯდომარის არჩევით დაიწყო. სულ დასახელებული იყო 8 კანდიდატი. ყველა დელეგატმა, გარდა სამისა, მხარი დაუჭირა დეკანოზ დავით ღამბაშიძის კანდიდატურას, რომელიც არჩეული იქნა კიდეც თავმჯდომარედ. საქმის მწარმოებლად დასახელდა მღვდელი ილარიონ ჯაში, მის თანაშემწედ – სერგი გორგაძე.

არჩევნების დასრულების შემდეგ კრების თავმჯდომარე დავით ღამბაშიძემ დელეგატებს მადლობა გადაუხადა ნდობისათვის, რის შემდეგაც მან კრებას მიმართა: „ის კითხვა, რის გარდასანყვეტადაც ჩვენ დღეს ვართ აქ შეკრებილი, მეტის-მეტად სავალალო და დიდმნიშვნელოვანია. ასი წლის განმავლობაში დარჩენილი და უყურადღებოდ დატოვებული ჩვენი ეკლესიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა დღეს გვსურს საბოლოოდ გამოვარკვიოთ და განვახორციელოთ.

სრული იმედი მაქვს, როგორც მთელი კრება, ისე დამსწრე პირებიც აღმოგვიჩენენ დახმარებას ამ სამძიმო საქმის შესრულებაში. მოგეხსენებათ, რომ ოთხ მღვდელ-მთავარს აქვს მიცემული სიტყვიერი განცხადება ექსარხოსისადმი, რომ საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე მიეცეს ნება, აღადგინოს ავტოკეფალური მმართველობა. იმედია, მთავრობა შეინყნარებს სამღვდელოების და საზოგადოების ასეთ თხოვნას და აღადგენს იმ უფლებას, რომელსაც იგი მოკლებულია რუსეთთან შეერთების დღიდგან. ამნაირივე თხოვნა იყო წარმოდგენილი სამღვდელოებისა და საზოგადოებისაგანაც. აღარ შეიძლება დაყოვნება ამ სურვილის აღსრულებისა, ვინაიდგან სამღვდელოებისა და საზოგადოების დამოკიდებულება მეტის-მეტად გამწვავდა და სარწმუნოებაც დაასუსტა ამ უფლების დაკარგვამ. ჩვენი საზოგადოება დღემდეც უნდა ცდილიყო ამ კანონიერი სურვილის აღსრულებას და ეხლა-კი დრო არის, მოპოებულ იქმნას ეს დაკარგული უფლება, რომლითაც დაუბრკოლებლად სარგებლობენ ჩვენში ფრანგები (იგულისხმებიან კათოლიკეები – ვ. გ.) და სომხები".

1905 წლის 18 დეკემბერს ქართველი სამღვდელოების კრებამ დაამტკიცა „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი" ქვემოთ მოგვყავს პროექტის სრული ტექსტი:

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი

I

ძირითადი პრინციპები

§1. **განმარტება საქართველოს ეკლესიისა.** *საქართველოს ეკლესია არის მორწმუნე ქართველებისაგან შემდგარი და „ერთის, წმიდის, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის" პრინციპებზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ქვეყნად „ღვთის სასუფეველის" დედა-აზრი.*

§2. **მისი მიზანი.** *ამ საზოგადოების მიზანს შეადგენს მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნეობრივი სრულ-ყოფა ქრისტეს მცნების თანახმათ: „იყავით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს".*

§3. **სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა.** *როგორც ისტორიულად, ისე კანონიურად საქართველოს ეკლესიას აქვს სრული უფლება სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლათ იარსებოს; ამას მედგრათ მოითხოვს თანამედროვე ცხოვრებაც. სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა მდგომარეობს: ა) მისი იერარქიის სხვა ეკლესიათა იერარქიისაგან დამოუკიდებლობაში; ბ) ადგილობრივ კანონდებლობისა და სამართლის უფლებაში და გ) ადგილობრივთა საეკლესიო ჩვეულებათა და სამღვდელო-წესთა სხვაობაში.*

§4. **ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან.** *როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება, საქართველოს ეკლესია შეეხება თავის წევრებს მარტო ზნეობრივ პრინციპის მხრივ და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურ ორგანიზაციისას. მსგავსათვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვა, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო, როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება (17 ოქტომბრის მანიფესტით აღსარებული) და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოთ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრეთ ნოდებულს „კლერიკალიზმში" და თანაც საესებით განახორციელოს თავის წევრთა სინიდისის თავისუფლება, აუცილებლათ საჭიროა, განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც ეკლესიისაგან; არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია – სახელმწიფოს საქმეებში.*

ამ ძირითად პრინციპების თანახმათ უნდა მოეწყოს მთელი შინაგანი ცხოვრება და გარეგანი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა.

II

საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილება

ტერიტორია და მისი დაყოფა

§5. საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას შეადგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის თფილისისა და ქუთაისის

გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში.

შენიშენა: საკუთარის სურვილით შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდენ ამ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველები და, აგრეთვე, არა-ქართველებიც, როგორც ამაღე ტერიტორიის საზღვრებში, ისე მათ გარეშეც.

§6. მთელი ეს ტერიტორია დანაწილებულია ოთხ ეპარქიად: ა) კახეთ-ზაქათალისა, ბ) ქართლისა (სამცხე-საათაბაგოთურთ), გ) იმერეთ-გურია-სვანეთისა (ამაღე ეპარქიაში შედის ბათუმის ოლქიც) და დ) სამეგრელო-სამურზაყანოისა. თვითეული ეპარქია განიყოფება საძმო ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელნი – სამრეველოებად.

ბ

სამღვდელოება და მორწმუნენი

§7 საქართველოს ეკლესიის **სამღვდელოებას** შეადგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს-მამათ-მთავარი, რომელიც იმაღე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა; ბ) სამი ეპისკოპოსი; გ) მღვდლები; დ) დიაკვნები (=მთავრები) და ე) მედავითნეები.

§8. ეკლესიის უუდიდესს ნაწილს შეადგენენ **მორწმუნენი**. მორწმუნედ, ანუ ეკლესიის წევრად ითვლება ყოველი კაცი და ქალი, რომელსაც ნათელ-ულია, აღიარებს მართლ-მადიდებლობითს სწაელას და ემორჩილება საეკლესიო წყობილებას. როგორც ეკლესიის წევრად გაბდომა, ისე მასში დარჩენა ან გასელა, დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინდისისა და სურვილზე; ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეხება, იმათი ეკლესიის წევრებად დატოვება თუ იქიდან გაყვანა, მათი მშობლებისა და მზრუნველების სინდისის საქმეა.

გ

მართვა-გამგეობის ორგანოები

§9. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებულია კრებითს პრინციპზე. მთელს საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით. ეპარქიას მოთაეებს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. საძმო ოლქს განაგებს: ა) საოლქო კრება და ბ) საოლქო საბჭო; ხოლო სამრეველოს მართაეს: ა) სამრეველო კრება და ბ) სამრეველო საბჭო ადგილობრივ მღვდლის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, საკათალიკოსო საბჭო და კათალიკოსი

§10. **სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება.** ეს კრება შესდგება 120 წევრისაგან, რომელთა შორის 40 სამღვდელოების წარმომადგენელია (ცხრა-ცხრა ეპარქიებიდან და 4 ქალაქ თბილისიდან), ხოლო 80 მორწმუნეთა დელეგატი (თვრამეტ-თვრამეტი ეპარქიებიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). ამათ გარდა, კრების მუდმივ წევრებად ითვლებიან ყველა ქართველი ეპისკოპოსები. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არაა, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრებისაე არჩეეით. კრება ირჩეეს საქმის მწარმოებელსაც. ამ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) საეკლესიო კანონმდებლობა, ბ) საეკლესიო სამართალი, გ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების გარჩეეა და გადაწყეეტა, დ) პირველი კათალიკოსისა და პირველი საკათალიკოსოს საბჭოს წევრების არჩეეა. კრება არის ჩვეულებრივი – სამს წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი, როცა საჭიროება მოითხოვს. კრება კანონიერია, თუ მასზე ყველა წევრების 2/3 მაინც გამოცხადდება. თუ კრება პირველ მოწვეეაზე ვერ შესდგა, მეორეთ მოწვეული კრება კანონიერია, უკეთუ დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების 1/3-ისა.

§11. **საკათალიკოსო საბჭო.** საკათალიკოსო საბჭო შესდგება 8 წევრისაგან, რომელთა შორის 4 სამღვდელოების წარმომადგენელია და 4 მორწმუნეებისა (თითო ეპარქიიდან), არჩეულნი 3 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არ არის, ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ამ შემთხეევისათვის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნება წინდაწინეე არჩეული. საბჭოს ჰყავს საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, რომელთაც იწეეს თვითონ საბჭო 3 წლის ვადით. ამ ორგანოს კომპეტენციას ექვემდებარება: ყოველგვარი საქმეები სრულიად საქართველოს ეკლესიის შესახებ – საკუთრივ საეკლესიო, სასულიერო-სამოსნაელო და სამეურნეო, რომელთაც მას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება დააკისრებს.

§12. **კათალიკოსი.** კათალიკოსი არის მხოლოდ „პირველი თანასწორ ეპისკოპოსთა შორის" (მოციქულთა კანონი 34) და მარტოოდენ შემდეგს საქმეებში ეკუთვნის მას სხეა ეპისკოპოსთაგან განსხეავებული უფლებანი: ა) იგი თავმჯდომარეობს საკათალიკოსო საბჭოსა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, ბ) უფლება აქეს მწყემსთ-მთავრულად მიმოიხილოს ყველა ეპარქიები, გ) მისს სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს მასზე დამოკიდებული ეპისკოპოსები. საკათალიკოსო საბჭოსთან ერთათ

მას ეკუთვნის: აა) მზრუნველობა უეპისკოპოსოდ დარჩენილს ეპარქიებზე, ბბ) მილება საჩივრისა ეპისკოპოსთა და საეკლესიო დანესებულებათა შესახებ და გამოძიების დანიშვნა, გგ) უმაღლესი ხელმძღვანელობა და ზედა-მხედველობა ყველა საეკლესიო საქმეებისა მასზე დამოკიდებულს ეპარქიებში, დდ) მიცემა დათხოვნითი სიგელებისა იმ ეპისკოპოსთათვის, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სამშვიდობოდ მიდიან, ეე) დასასრულ, იგი ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიდატების არჩევნებს საეპარქიო კრებაზე, ხოლო სხვა ეპისკოპოსებთან ერთათ ხელდასხამს არჩეულ კანდიდატს. მაგრამ დაწყება ისეთის საქმისა, რომელიც მთელს საქართველოს ეკლესიას შეეხება, კათალიკოსს შეუძლია მხოლოდ ყველა დანარჩენ ეპისკოპოსებისა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანხმობით, და როგორც სხვა ეპისკოპოსები, იგიც ამავე კრების სამართალს ემორჩილება.

§13. კათალიკოსის არჩევა და კურთხევა. კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელნი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებისა – რიცხვით 30 (რომელთაგანაც 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთაყარეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან) და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). როცა კათალიკოსის არჩევა გათავდება, **კრება ნარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს** და დამტკიცებისა და კურთხევის შემდეგ აცნობებს ყველა ავტოკეფალურს ეკლესიებს.

2

საეპარქიო კრება, საეპარქიო საბჭო და ეპისკოპოსი

§14. საეპარქიო კრება. საეპარქიო კრება შესდგება 90-ის წევრისაგან, რომელთა შორის 30 სამღვდელოების წარმომადგენელია და 60 მორწმუნეებისა. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არაა, თავმჯდომარეს კრება თვითონვე ირჩევს სამღვდელო პირთა შორის. კრებაზე ირჩევს საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, თუ ყველა წევრების 2/3 გამოცხადდება, ხოლო განმეორებითი მოწვევის შემდეგ კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების 1/3-ისა. საეპარქიო კრება არის ჩვეულებრივი – წელიწადში ერთჯერ და არა-ჩვეულებრივი საჭიროებისადაგვარათ. საეპარქიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდელმთავრისა, საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოების წევრთა არჩევა და აგრეთვე არჩევა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის დელეგატებისა; ბ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ეპარქიაში.

§15. საეპარქიო საბჭო. საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეობს ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. ეპისკოპოსს გარდა საეპარქიო საბჭოში შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელია (ერთი მღვდლებისა და ერთი მედავითნეების) და 4 მორწმუნეთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით. საქმის-მწარმოებელს საბჭოსათვის ნიშნავს საეპარქიო კრება. საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს 4 წევრისა. საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) უმაღლესი ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-განმტკიცებაზე ეპარქიაში; ბ) უმაღლესი თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში. ეს ქონება საეპარქიო საბჭოს უცნობელად არ უნდა იხმარებოდეს; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრება ან საოლქო საბჭო წარუდგენს; დ) უმაღლესი სასულიერო სამართალი ეპარქიაში, უკეთუ ამ სამართალს მიმართავს ვინმე; ე) უმაღლესი მეთვალყურეობა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ვ) მის ნებადაურთველათ არავის შეუძლია ტაძრის ან მონასტრის შენება დაიწყოს; ზ) საბჭოს შეუძლია მღვდელს მღვდელ-მოქმედება აღუკრძალოს; ჰ) შეუძლია შეამციროს ან გააძლიეროს დადებული ეპიტიმია, უკანვე მიიღოს ეკლესიიდან განკვეთილი წევრები; თ) იგი ამტკიცებს საეკლესიო მიზნით დაარსებულ საზოგადოებათა, ანუ ძმობათა წესდებას; ი) შეუძლია მიიღოს და გაანაწილოს საეკლესიო საჭიროებათათვის კეთილმორწმუნე ქრისტიანეთაგან შეწირული ფული და უძრავ-მოძრავი ქონება; ია) დასასრულ, მას აქვს უფლება, აღსნას ქორწინების დროს ზოგიერთნი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაურ კავშირიდან გამომდინარეობენ; აგრეთვე ზოგიერთი აღთქმანიც, გარდა ბერობის აღთქმისა.

§16. ეპისკოპოსი. მისი უფლება და მოვალეობანი. ეპისკოპოსს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელ-მოქმედების შესრულებისა; გ) უზენაესი ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში ყველა მორწმუნენი საღს საეკლესიო სწავლას იცავდნენ; დ) სარწმუნოებრივს საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა

წევრები და ე) მისს სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება.

ეპისკოპოსი ვალდებულია: ა) ყველაფერში პატივსა სცემდეს ყველა საეკლესიო დანესებულებებს ეპარქიაში, რომელნიც კანონიერათ არიან დაარსებულნი და იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულს დაწესებულებებს ექვემდებარება, მათი წესდების თანახმათ იქცეოდეს; ბ) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებს და კანონიერათ გამოცემულს დადგენილებათ, როგორც საეკლესიო მთავრობისას, ისე სამოქალაქოსას, რამდენათაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი საეკლესიო მიზანს არ ეწინააღმდეგება. როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონის ან დადგენილების შესახებ აზრის ორჭოფობა დაიბადება, განსამარტებლად უმაღლეს საეკლესიო მთავრობას უნდა მიმართოს; გ) განუწყვეტლივ თავის ეპარქიაში იმყოფებოდეს, ხოლო საკუთარ საჭიროებისათვის ეპარქიიდან წასვლა შეუძლია მხოლოდ სათანადო მთავრობის (საკათალიკოსო საბჭოს) თანხმობით; დ) თავისს სამღვდელოებასა და სამწყსოს ხშირ-ხშირათ უგზავნოს მოძღვრებითი ეპისტოლეები, რითაც ასწაელოს მათ ქრისტიანობრივი ჭეშმარიტებანი და მათთან ცხოველი კავშირი იქონიოს; ე) მიმოიხილოს ხოლმე თავისი ეპარქია, რათა მის მდგომარეობას პირადათ გაეცნოს; ვ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას; ზ) საეპარქიო საბჭოსთან ერთათ მოახსენებდეს ხოლმე აღნიშნულს კრებას ყველა ღირს-შესანიშნავ შემთხვევათა შესახებ მის ეპარქიაში, აცნობებდეს მას თვისის ეპარქიის მიმოხილვის შედეგებსა და თანაც აღნიშნავდეს იმ ზომებს, რომელნიც საეკლესიო საქმეთა უკეთ მოსაწყობადაა საჭირო; თ) როცა სათანადო მთავრობა მოიწვევს, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე გამოცხადდეს; თ) უმაღლესი საეკლესიო მთავრობის უცოდინრათ არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ი) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოსის სახელს იხსენიებდეს; ია) სხვის ეპარქიაში თავის ნებით არა დაიწყოს-რა; იბ) დასასრულ, პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელ-მთავრებისა და საეპარქიო საბჭოების, ანუ საეპარქიო კრებების გარდაწყვეტილებას.

§17. **ეპისკოპოსის არჩევა და ხელდასხმა.** ეპისკოპოსს ირჩევს კათალიკოსის ან მისი რწმუნებულის ხელმძღვანელობით კრება ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლებისა რიცხვით 30 (20 სამღვდელო ხარისხის მქონეთა და 10 მდავითნეებისა) და მორწმუნეთა დელეგატებისა რიცხვით 60 (რომელთა შორის 5 საკათედრო ქალაქიდანაა), ხოლო ხელდასხმს კათალიკოსი და ორი ეპისკოპოსი, ან მარტო ორი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის არჩევის დროს კრებას თავმჯდომარეობს ან თვით კათალიკოსი, ან საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

შენიშვნა: აღნიშნული კრებისათვის დეპუტატების არჩევის დროს სამღვდელო ხარისხთა მექონი ბერები (არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკვნები) სამღვდელოებასთან ერთად ჰყრიან კენჭს, დანარჩენი ბერები კი – ერისკაცებთან ერთად. მეორე აზრი: არც ერთ ბერს, თუნდაც იგი სამღვდელო ხარისხითაც იყოს შემოსილი, უფლება არა აქვს საეპარქიო არჩევნებში ან საეკლესიო მართვა-გამგეობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან მას, თავისი აღთქმის თანახმად, ერთხელვე უარი აქვს ნათქვამი საკუთარს ნება-სურვილზედ და სანამ იგი ბერად დარჩება, ამ აღთქმასაც ძალა არ დაეკარგება.

3

საოლქო საძმო კრება და საოლქო საძმო საბჭო

§18. საოლქო კრება და საოლქო საბჭო – ორივე მარტო საკრებულო დანესებულებაა. საძმო საოლქო კრებაში თანასწორის ხმით მონაწილეობას იღებენ ოლქის ყველა კრებულთა წევრები (მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები). თავმჯდომარესა და საქმის მწარმოებელს კრება თვითონ ირჩევს. კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევა სამ-სამი წლით; ბ) საძმო საბჭოს ყოველგვარი მოქმედების ანგარიშთა განხილვა; გ) საძმო საბჭოს წევრების ან კრებულთა წევრების უთანადო მოქმედების წინააღმდეგ აღძრული საქმეების განხილვა და განსამართლება; დ) ყოველგვარი საძმო საქმეები.

§19. საძმო საოლქო საბჭო შესდგება თავმჯდომარისა და 4-ის წევრისაგან, რომელთა შორის 2 მღვდლების წარმომადგენელია მთავრებითურთ და 2 მედავითნეებისა; თავმჯდომარედ უსათუოდ მღვდელი უნდა იქნას.

შენიშვნა. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სამღვდელო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატის გამოცდა (მარტო ღვთის-მსახურებისა და მღვდელმოქმედების ცოდნაში) და სათანადო მოწმობის მიცემა; ბ) ხელმძღვანელობა სამრევლო კრებათა, როცა ეს უკანასკნელნი კრებულის წევრებს ირჩევენ; გ) სამრევლო კრებულთა წევრებს შორის მომხდარ უთანხმოების განხილვა და გადაწყვეტა;

დ) ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-გაძლიერებაზე ოლქში; ე) გამგეობა საოლქო საძმო ნიგნთსაცავ-სამკითხველოსი და მასზე ზრუნვა; ვ) გამგეობა საძმო კასისა; ზ) მონვევა საძმო საოლქო კრებისა (2-ჯერ მაინც წელინადში, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც). კრება უნდა მონვეულ-იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 5-ს საკრებულო პირისა; დასასრულ, ზრუნვა ოლქის სამღვდელოების გაჭირვებულ წევრთა, ქვრიეთა და ობლებზე.

4

მრევლი, სამრევლო კრება, სამრევლო საბჭო და კრებული

§20. მრევლი.

სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, თუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენათ მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლია. სამრევლოს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტაძარი, ხოლო თუ ამავე სამრევლოში სხვა ტაძრებიცაა, იგინი ზედ-მიწერილ ტაძრებად ითვლებიან.

შენიშვნა. მრევლი, როგორც ერთის მიზნით და განსაზღვრული წყობილებით შეერთებული საზოგადოება, იურიდიულს პირს წარმოადგენს.

§21. სამრევლო კრება. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა სრულ-წლოვანი მორწმუნე კაცი და ქალი (არა უმცირეს 21-ს წლისა).

შენიშვნა. ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს როგორც სხვა აირჩიოს ყოველგვარ საეკლესიო თანამდებობაზე, ისე თვითონაც არჩეულ-იქნას დელეგატად და საბჭოს წევრად.

კრება თვითონვე ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე მრევლის (სრულწლოვანები იგულისხმებიან) 2/3 მაინც გამოცხადდება; ხოლო თუ კრება პირველ მონვევაზე ვერ შესდგა, მეორეთ იგი კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს მრევლის 1/3-ისა. არჩევნების დროს საჭიროა კრებაზე მრევლის 2/3 გამოცხადდეს და არჩეულადაც მხოლოდ ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელსაც ერგება არა უმცირეს ყველა კენჭების 3/4-ისა (თუ საჭიროება მოითხოვს, განმეორებითი კენჭის ყრაც შესაძლებელია. კენჭი ეყრება ორს უკანასკნელ კანდიდატს, რომელთაც ყველა კანდიდატებზე მეტი კენჭი ერგო პირველი კენჭის ყრის დროს). ჩვეულებრივს საქმეებს კი კრება სწყვეტს ხმის უბრალო უმეტესობით. ამავე წეს-რიგს ემორჩილება ყველა სხვა საეკლესიო კრებებიც (საოლქო, საეპარქიო და სრულიად საქართველოსი). სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) კრებულის და საბჭოს წევრთა არჩევა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახ ხარჯის მორწმუნეთა შორის შეძლებისადაგვარად გაწერა; გ) სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დანაშაულთათვის მრევლის წევრთა (=მორწმუნეთა) გასამართლება; დ) გასამართლება და სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობისა, უფლების აღმატებისა და ბოროტ-მოქმედებისათვის; ე) აღძვრა საქმისა საოლქო, ანუ საეპარქიო საბჭოებისა გინდ კრებათა წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის.

§22. სამრევლო საბჭო. სამრევლო საბჭო შესდგება 5-ს წევრისაგან, რომელთაც სამრევლო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით. თავმჯდომარეს ირჩევენ თვის შორის თვითონ საბჭოს წევრები.

შენიშვნა. საბჭოს წევრებად მრევლს შეუძლია კრებულის წევრნიც აირჩიოს, ყოველს შემთხვევაში, კრებულის წევრთ სამრევლო საბჭოში სათათბირო ხმა მაინც უსათუოთ ეკუთვნისთ. კერძოთ, მღვდელი ამ საბჭოს ხელმძღვანელად ითვლება. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

სამრევლო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საეკლესიო უძრავ-მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა სამრევლოში; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება; დ) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-წყობაზე; ე) ზრუნვა ქვრივ-ობლებსა და ღარიბებზე საქველ-მოქმედო ა ზრით; ვ) აღძვრა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახვენ; ზ) მონვევა სამრევლო კრებისა.

შენიშვნა. სამრევლო კრება უნდა მონვეულ იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 20 მორწმუნისა.

§23. კრებული. კრებულს შეადგენენ: მღვდელი, დიაკონი (უკეთუ იგი არის) და მედავითნე.

ა) მღვდელი. მისი მოვალეობანი. მღვდელი ვალდებულია: აა) მუდამ თავის მრევლში იცხოვროს და სამრევლო საბჭოს ნებადაურთველათ უფლება არა აქვს მრევლი დასტოვოს, განსაკუთრებით, როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება, ან როდესაც სამრევლოს განსაცდელი რამ მოე-

ლის; ბბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გგ) ასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურებანი საეკლესიო ტიპიკონით დაწესებულ დროებში; დდ) თავისი მრევლის მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ ასრულოს საჭირო მღვდელ-მოქმედებანი; ეე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშვენიერებას; ვვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ რაიმე ეჭვი დაებადება, მოვალეა, ახსნა-განმარტებისათვის საოლქოს ან საეპარქიო საბჭოს მიმართოს; მისს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და, საზოგადოთ, სწავლა-მოძღვრება. თუ ამ მხრივ იგი ზარმაცი ან დაუდევარია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება; დასასრულ, იგი მოვალეა, ღვთისმსახურების დროს თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს. თავის მრევლში მღვდელს უფლება აქვს, სხვა მღვდლებს რომლისამე მღვდელ-მოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

ბ) დიაკონი *(მთავარი)* **და მედავითნე.** მთავარი და მედავითნე არიან მხოლოდ მღვდლის თანაშემწენი და უმისოდ არაეითარი მღვდელ-მოქმედების შესრულება არ შეუძლიათ. ერთ მღვდელთან უსათუოდ ერთი მედავითნეც უნდა იყოს, ხოლო რომელ მრევლშიაც ორი ან მეტი მღვდელია, იმ მრევლს, თუ ჰსურს, მთავარიც შეუძლია იყოლიოს.

გ) კრებულის წევრთა თვისებანი: აა) წლოვანებით სამღვდელო კანდიდატი უნდა იყოს არა უმცირეს ოცის წლისა. მეორე აზრით არა უმცირეს 25 წლისა, ბბ) გონებრივის მხრით საჭიროა სამღვდლო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატს საშუალო საზოგადო განათლება ჰქონდეს მიღებული, მაგრამ დროებით, სანამ ასეთი კანდიდატის შოვნა გასაჭირია, შესაძლოა, საკრებული წევრთა კანდიდატად წამოყენებულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც მიღებული აქვს არა უმცირეს დაბალის საზოგადო განათლებისა (მაგალითად, პროგიმნაზიისა, ოთხ-კლასიან სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელთა კურსისა). ამასთანავე, როგორც სამღვდელო, ისე სამთავრო და სამედავითნო კანდიდატმა უნდა იცოდეს წირვა-ლოცვისა და მღვდელ-მოქმედების წესები, რაც წინდანინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისამე საოლქო საბჭოსაგან. ამგვარათ შემოწმებულ კანდიდატების სიები საჭიროა საეპარქიო საბჭოშიაც ინახებოდეს. გგ) კანდიდატის ზნეობრივ თვისებათა გარკვევა და გამოცნობა თვით ამომრჩეველთა ნდობისა და სინიდისის საქმეა.

დ) კრებულის წევრთა არჩევა. კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო ან, მისივე მინდობილობით, ერთ-ერთი მისი წევრი. არჩევის შემდეგ საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს და სამღვდელო და სამთავრო კანდიდატს წარუდგენს ეპისკოპოსს საკურთხად, ხოლო მედავითნეს – დასამტკიცებლად.

შენიშვნა. საკათედრო კრებულის მდგომარეობისა და რაოდენობის გარკვევა უნდა გადაიდვას საკათალიკოსო საბჭოს არჩევამდე.

III

ეკლესიის ქონებრივი უფლებანი და სამღვდელოების რჩენის წესი

§24. ეკლესიის ქონებრივი უფლებანი. როგორც იურიდიულს პირს, მრევლსა და სრულიად საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს სარწმუნოებრივისა და საქველ-მოქმედო მიზნით რაიმე ქონება შეიძინოს (როგორც ყიდვით, ისე ანდერძით და შემოწირვით).

§25. სამღვდელოების რჩენის წესი. აუცილებლათ საჭიროა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდელოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდელოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოსა და წვრილ-წვრილ შემოსავალს – ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდელოების მდგომარეობის ორჭოფობა; იგი არც მთლათ ხალხს ეკუთვნის და არც მთლათ მთავრობას, რაიცა ჰქმნის მრევლისა და სამღვდელოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდელოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საჭიროა სამღვდელოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლსა, ანუ მორწმუნეებს. მაშასადამე, პრინციპიალურათ საჭიროა, მრევლმა პირდაპირ თვითონ უზრუნველ-ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ – თავისი სამღვდელოება.

§26. შეგრამ სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაეცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდელოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, ხალხის სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოაკლ-

დება, მანამდე ქართველი სამღვდელოება მარტო ხალხს ვერ დაანება სარჩენად. ამიტომ სანამ რუსეთის ან, კერძოდ, კავკასიის წარმომადგენლობითი კრება სამღვდელოების რჩენის საკითხს გადასწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც მის არსებობას უზრუნველ-ჰყოფს.“

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის ქართული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნყემსში“ (1906, №1-2, 15-30 იანვარი) და რუსულ გამოცემაში „Духовный вестник Грузинскаго экзархата „(1906. №3, 1 февраля). დოკუმენტის რუსული თარგმანი დაიბეჭდა იმავე რუსულ გამოცემაში: „Духовный вестник Грузинскаго экзархата „(1906. №4, 15 февраля). საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის ქართული და რუსული ტექსტების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება გამონეკუეული იყო იმით, რომ რუსეთის ცენტრალურ პრესაში თბილისის რუსულ პრესაზე დაყრდნობით (იხ.: „Тифлисский Листок“, 1906, №9) გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ქართველი სამღვდელოების კრების მიერ მიღებულ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს სამღვდელოება საიდუმლოდ ინახავდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტმა იმთავითვე ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი მონონება დაიმსახურა. პროექტის ტექსტის ანალიზისას **ცხადი ხდება, რომ დოკუმენტზე სერიოზული განათლებისა და დიდი ერუდიციის მქონე ადამიანები მუშაობდნენ, რამაც განაპირობა ის, რომ დოკუმენტი როგორც ისტორიული, ისე იურიდიული და, რაც მთავარია, კანონიკური თვალსაზრისით თითქმის უნაკლოდაა შედგენილი. ეს იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების დიდ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მიუთითებს.**

§7. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. ქართველი სამღვდელოებისა და მეცნიერთა მოღვაწეობა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით

1. რეფორმების დასაწყისი რუსეთის ეკლესიაში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (XX საუკუნის დამდეგი). რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო პეტრე I-ის (1696-1725) დროს. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. საეკლესიო რეფორმას, რომელიც პეტრე I-მა გაატარა, არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. ცხადია, სახელმწიფო რეფორმებს პეტრე დიდი ვერ გაატარებდა ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ იყო, რომ პირველი რიგის ამოცანად იქცა რეფორმა თვით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. საეკლესიო რეფორმა ძალზე გაჭიანურდა, იგი 1700 წლიდან 1721 წლამდე მიმდინარეობდა. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, ალარ უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში. 1720 წლის 27 თებერვალს პიოტრ I-ის წინადადებითა და ინიციატივით შეშუშავებული და ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პიოტრ I-ის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა **უწმიდეს მმართველ სინოდად**, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. სინოდის წევრები ფიცს დებდნენ არა ეკლესიის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე, ე. ი. პრაქტიკულად, საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) გაუთანაბრეს საერო (სახელმწიფო) მოხელეებს. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრები მღვდელმთავრები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) იყვნენ, მაგრამ ობერ-პროკურორი (თაემჯდომარე) საერო პირი უნდა ყოფილიყო. სინოდის წევრებს და ობერ-პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. იმპერატორის უზენაესი როლი რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობაში სავსებით ნათლად იყო გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით. 1832 წელს გამოცემული იმპერიის ძირითადი კანონების ორმოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: **„იმპერატორი, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე,“** არის ქრისტიანობის, მისი დოგმატებისა და ეკლესიის უზენაესი დამცველი. იმავე მუხლის ძალით, იმპერატორი იწოდებოდა **„ეკლესიის მეთაურად“**. ორმოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ **იმპერატორი (თვითმპყრობელი) ეკლესიის მართვას ახორციელებდა უწმიდესი მმართველი სინოდისა და მისი დანესებულების მეშეობით.** რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე

განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტ ხანს (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია.

XX საუკუნის დამდეგსა და 1905 წელს დაწყებული რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებებისათვის ემზადებოდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე.

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – **რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს.**

საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა **ანტონმა** (ვადკოვსკიმ). საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. წინარე თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა აუცილებელი გადაჭრაც ექვეგარეშე იდგა. უწმიდესი სინოდის წევრთა და ეპისკოპოსთა აზრით, უმჯობესი იყო, ეს საკითხები შვიდ ჯგუფად დაეყოთ და საეკლესიო კრების წინარე თათბირს მათ განსახილველად შვიდი განყოფილება შეექმნა. თათბირის მონაწილეებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ, თუ შვიდიდან რომელ განყოფილებაში სურდათ მუშაობა. სულ საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმიდესი სინოდის ობერპროკურორი ალექსი ობოლენსკი (1855–1933). როგორც ვხედავთ„ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით (31 წევრი) შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე.

საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა შვიდი განყოფილება. ყოველ მათგანს კონკრეტულ საკითხზე (საკითხებზე) უნდა გამოეთქვა აზრი. ეს საკითხები იყო:

1. რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობა და ცენტრალური საეკლესიო ორგანოები;
2. ეპარქიების რეორგანიზაცია, სამიტროპოლიტოების დაარსება, საქართველოს ეკლესიის მომავალი სტატუსი;
3. საეკლესიო სასამართლო, განქორწინება და შერეული ქორწინება;
4. ეკლესიის სამწყსოები, საეკლესიო (სასულიერო) სასწავლებლები, სამღვდელოების მონაწილეობა არასაეკლესიო მოძრაობაში;
5. საღვთისმეტყველო სწავლება;
6. სტაროვერები;
7. სექტანტები.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, ისევე, როგორც 1905 წლის ზაფხულში ჩატარებულმა ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის შედეგებმა, ცხადი გახადა რუსეთის ეკლესიის განახლებისაკენ მისწრაფება. მოთხოვნა სავსებით ნათელი იყო – სინოდალური მმართველობის გაუქმება და საეკლესიო კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოს აღდგენა. ამასთან ერთად, აუცილებლად იქნა მიჩნეული პატრიარქობის აღდგენა. **პატრიარქი უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებული ეკლესიის მეთაური და საეკლესიო კრების თავმჯდომარე, ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და საერთაშორისო ასპარეზზე.** რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი კვლავ იარსებებდა, მაგრამ ის აღარ იქნებოდა საეკლესიო ხელისუფლების ორგანო. **უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება უნდა გადასცემოდა რუსეთის საეკლესიო კრებას.** საეკლესიო კრება უნდა მონვეულიყო რეგულარულად, რომლის დელეგატებიც აირჩეოდნენ ეპარქიების ყრილობებზე. საეკლესიო კრების დელეგატი შეიძლება ერისკაციც ყოფილიყო, მაგრამ გადამწყვეტი ხმა მხოლოდ შავ სამღვდელოებას (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, არქიმანდრიტებს, ილუმენებს, მღვდელ-მონაზვნებს და ა. შ.) ექნებოდათ. საეკლესიო კრების წინარე თათბირის აზრით, ეპარქიათა მმართველი ეპისკოპოსები უნდა აერჩიათ ეპარქიების ყრილობებზე. აუცილებლად მიიჩნიეს ეპარქიების მმართველობის რეორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **საეკლესიო სასამართლოს,** რომელიც, პრაქტიკულად, XVIII საუკუნის შემდეგ აღარ შეცვლილა. ძირეული ცვლილებები იგეგმებოდა საეკლესიო (სასულიერო) განათლების

სისტემაში.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, საეკლესიო კრების წინარე თათბირის განყოფილებებში შემდეგი საკითხები იხილებოდა:

პირველი განყოფილება ხერსონის არქიეპისკოპოს **დიმიტრის (ყოვალნიცკის)** თავმჯდომარეობით იხილავდა რუსეთის ეკლესიაში სამიტროპოლიტოების შექმნის, სამიტროპოლიტოების მართვისა და ეპარქიების რეორგანიზაციის საკითხს;

მეორე განყოფილება, რომელსაც თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორი, არქიმანდრიტი **ნიკოლაი ფენომენოვი** (1872–1933), იმჟამად კინეშემის არქიეპისკოპოსი და კოსტრომის ეპარქიის ქორეპისკოპოსი ხელმძღვანელობდა, სხდომებს პირველ განყოფილებასთან ერთად ატარებდა;

მესამე განყოფილებამ შეიმუშავა საეკლესიო სასამართლოს გარდაქმნის პროექტი და განსაზღვრა საეკლესიო ქორწინების, ასევე შერეული ქორწინების წესი. განყოფილებამ მხარი დაუჭირა ოთხსაფეხურიანი საეკლესიო სასამართლოს შემოღებას. ეს სასამართლოები იყო: 1. **სამწყსოს** (ანუ ერთი ეკლესიის სასამართლო), 2. **საბლაღოჩინო** (ანუ საბლაღოჩინო ოკრუგის სასამართლო, რომელიც რამდენიმე სამწყსოს (ეკლესიის) სასამართლოს წარმოადგენდა), 3. **საეპარქიო** (ანუ სამიტროპოლიტოს, საარქიეპისკოპოსოს და საეპისკოპოსოს სასამართლო), 4. **სინოდალური** (ანუ რუსეთის ეკლესიის სასამართლო);

მეოთხე განყოფილება მოგილიოვის ეპისკოპოს **სტეფანის (არხანგელსკის)** თავმჯდომარეობით სამწყსოს პრობლემებით (სამრევლო სკოლები, სამწყსოს ქონება) იყო დაკავებული. განყოფილებას აზრი უნდა გამოეთქვა ეპარქიების ყრილობებსა და საერო დანესებულებების მუშაობაში სამღვდელოების მონაწილეობის თაობაზე;

მეხუთე განყოფილება ფსკოვის ეპისკოპოს **არსენის (სტადნიცკის)** თავმჯდომარეობით არკვევდა საღვთისმეტყველო სწავლების საკითხს;

მეექვსე განყოფილება ვოლინის არქიეპისკოპოს **ანტონის (ხრაპოვიცკის)** თავმჯდომარეობით არკვევდა სტაროვერებთან, ასევე უნიატებთან, კათოლიკეებთან და ლუთერანებთან დამოკიდებულების საკითხს;

მეშვიდე განყოფილება, რომელსაც ფინეთის არქიეპისკოპოსი **სერგი (სტრაგოროდსკი)** თავმჯდომარეობდა, სექტანტთა შემოტევისაგან მართლმადიდებლური რწმენის დაცვის საკითხზე მუშაობდა.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის და მისი განყოფილებების მუშაობის პერიოდში რუსეთის ყველა სასულიერო აკადემიის სპეციალისტსა და მღვდელს საშუალება მიეცა გასცნობოდა თათბირისა და მისი განყოფილების მონაცემებს, ასევე 1905 წლის ზაფხულში ჩაჩატარებული ეპისკოპოსების გამოკითხვის მასალებს. საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში დიდი უთანხმოება გამოიწვია პატრიარქობის აღდგენის საკითხმა. გამოითქვა შიში იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა პატრიარქი რომის პაპის ტიპის ეკლესიის მეთაური გამხდარიყო. პირველი განყოფილების სხდომაზე გადაწყდა, რომ საეკლესიო კრების მონვევამდე რუსეთის ეკლესიის უპირველესი პირი ატარებდა პეტერბურგის მიტროპოლიტის ტიტულს. რუსეთის ეკლესიის პირველი პატრიარქი კი უნდა არჩეულიყო საეკლესიო კრებაზე.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა **საქართველოს ეკლესიის სტატუსის** საკითხსაც. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა **კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა)** და ეპისკოპოსმა **ლეონიდემ (ლონგინოზ ოქროპირიძემ),** ცნობილმა მეცნიერებმა, ქართველოლოგებმა: **ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა** და ალექსანდრე **ხახანაშვილმა** როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ერთხმად დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. საეკლესიო კრების წინარე თათბირმა 1906 წლის 15 დეკემბერს მუშაობა დაასრულა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საქართველოსათვის სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ქართველმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა შეძლეს, დასაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურობა და სამართლიანობა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ამ საქმეს.

2. ქართველი მღვდელმთავრები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მეორე განყოფილების სხდომებზე უნდა გადაწყვეტილიყო.

1906 წლის 2 ივნისის სხდომა. 1906 წლის 2 ივნისს მუშაობა დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საეკლე-

სიო საკითხები კავკასიაში.

კრება გაიხსნა დილის 10 საათზე არქიეპისკოპოს ნიკანდრის (ნიკოლაი ფუნოშენოვის) თავმჯდომარეობით ალექსანდრე ნეველის ლავრაში. კრებას ესწრებოდნენ: მოგილიოვის ეპისკოპოსი სტეფანი (არხანგელსკი); სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი); გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი); დეკანოზები: ტიმოფეი ბუტკევიჩი (დეკანოზი ტ. ბუტკევიჩი ღვთისმეტყველების დოქტორი და ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი იყო – ვ. გ.), ფიოდორ ტიტოვი(ფ. ტიტოვი კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი იყო – ვ. გ.) ; პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ალექსანდრ ალმაზოვი, ვლადიმირ ზავიტნევიჩი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილიანტოვი და პაველ მანსუროვი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე განყოფილებაში განსახილველად შემოსული იყო საკითხი კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის თაობაზე. ამ საკითხის განხილვისათვის მოწვეულნი იყვნენ: ყოვლადსამღვდელო სტეფანი – მოგილიოვის ეპისკოპოსი; კირიონი – სოხუმის ეპისკოპოსი; ექვთიმე – გორის ეპისკოპოსი და დეკანოზი იოან ეოსტრრგოვი. ყოვლადსამღვდელო კირიონმა განყოფილების სხდომას წარუდგინა ორი მოხსენება: 1. „საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის“; 2. „რა აძლევს ქართველებს, მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას?“ აღნიშნული მოხსენებების ნაკითხვის შემდეგ ეპისკოპოსმა სტეფანემ (არხანგელსკიმ) სურვილი გამოთქვა, რომ საქმის სრულად შესწავლისათვის მოსმენილი ყოფილიყო ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძის) მოხსენებაც. ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ალბათ გასაკვირიც არ იყო, რომ იმერეთის ეპისკოპოსის მოხსენებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა რუს მღვდელმთავართა და მეცნიერთა მხრიდან.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში რუსეთის ეკლესიის მიმართ წარმოდგენილი იყო შემდეგი ბრალდებები:

1. რუსი ეგზარქოსები საქართველოს ეკლესიას მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების, რუსი ღვთისმსახურების, მეშვეობით;

2. საქართველოს ეგზარქოსები თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან;

3. რუსი ეგზარქოსები სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს;

4. რუსი ეგზარქოსები თავიანთი ქმედებების გამო ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით;

5. რუსი ეგზარქოსების უღირსი საქციელის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა;

6. საქართველოს საეგზარქოსოში სასულიერო განათლების სფეროში ძირითადად რუსები მოღვაწეობდნენ;

7. სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დაეცა განათლების დონე;

8. 1883 წლამდე საქართველოს სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რის გამოც მომავალი ქართველი სამღვდელოება სრულყოფილად ვერ ფლობდა მრეველისათვის გასაგებ მშობლიურ ენას;

9. მომავალი ქართველი მოძღვრები სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში ვერ ღებულობდნენ საფუძვლიან განათლებას, ხოლო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულ ქართველთაგან იშვიათად თუ ვინმე მღვდლად ეკურთხებინათ;

10. სამღვდელო ხარისხის მატარებელნი უღირსი საქციელით არა მარტო მრევლის, არამედ საზოგადოების არაეკლესიური ნაწილის აღშფოთებასაც კი ინვევდნენ.

ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ეპისკოპოსი სტეფანი შეეცადა მთლიანად გაექარწყლებინა მოხსენებაში ჩამოყალიბებული ბრალდებები, მაგრამ უშედეგოდ. კერძოდ, მან აღნიშნა: „საქართველოს მეფეები XVI საუკუნიდან, თუკი ადრეც არა, მუდმივად მიმართავდნენ რუს თვითმპყრობელებს დახმარებისათვის. ისინი ხშირად ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში ყოფნას, რაც, მათი თქმით, განპირობებული იყო საქართველოში ეკლესიისა და თვით ქრისტიანობის დაცემით. საკმარისია ითქვას, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე შეადგენდა: 30.000 კვადრატულ ვერსს, მხოლოდ 459 დასახლებული პუნქტითა და 160.000 მცხოვრებით, რომელთა რიცხვში შედიოდნენ ოსები, სომხები და თათრები. ეს არის არა უმეტესი დღევანდელი მაზრის ტერიტორიისა. აქ საუბარი ეკლესიის კეთილდღეობაზე ისტორიის საწინააღმდეგოდ გასაკვირია, მით უმეტეს, სურვილი ეკლესიის იმგვარ წესრიგზე დაბრუნებისა, როგორიც მაშინ იყო(...). რუსეთთან შეერთებისას საქართველოს ეკლესიის მართვის თაობაზე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები და, მაშასადამე, ყველაფერი, რაც უწმიდესი სინოდის მიერ გაკეთებულა საქართველოს მართვის საქმეში ადრინდელი სისტე-

მის შეცვლისათვის, კეთდებოდა თვით ქართველი მღვდელმთავრების თანხმობით. 1817 წლიდან დაიწყეს რუსი ეგზარქოსების დანიშვნა".

ეპისკოპოსი კირიონი შეეცადა პოლემიკაში ჩართულიყო და ეპისკოპოს სტეფანეს მიერ მოყვანილი ფაქტები გაექარწყლებინა. ეპისკოპოს კირიონის განმარტებით, ყოვლადსამღვდელო სტეფანე ცდებოდა, როდესაც აცხადებდა, რომ თვით ქართველები ზრუნავდნენ რუსი ეროვნების ეგზარქოსების დანიშვნაზე. უსამღვდელოესი სტეფანე პოლემიკაში ჩაერთო და ამ საკითხის გადასაჭრელად საბუთებისა და დოკუმენტების შეგროვება მოითხოვა, რათა მათზე დაყრდნობით გამოერკვიათ, თუ ვინ ზრუნავდა ქართველი ეგზარქოსების რუსებით ჩანაცვლებაზე და რა მოტივით იყო გამოწვეული ასეთი ცვლილებები. თუმცა მას თათბირზე მოუწია განემარტა, რომ 1817 წლამდე საქართველოში ქართველი ეგზარქოსები კი არ იყვნენ, არამედ იყო ერთადერთი ქართველი ეგზარქოსი დავითი(ერისთავი). მის მიერ წინასწარგანზრახული თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომა ეპისკოპოსმა ასე გამოასწორა: „როცა ვსაუბრობდი, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები, მე ვიგულისხმე დროის ხანგრძლივობა და არა პირთა რაოდენობა". ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა. მასში მოყვანილი ფაქტები მან ცილისწამებად შერაცხა. რუსი მღვდელმთავრის აზრით, ცილისწამება იყო ისიც, რომ თითქოს რუსი ეგზარქოსები საეგზარქოსოს მართავდნენ მათთვის მისაღები პირების დახმარებით. ეპისკოპოსი სტეფანი ამტკიცებდა, რომ იგი იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იმართებოდა საეგზარქოსო და ადასტურებდა იმას, რომ არანაირი დამხმარე პირები ეგზარქოსებს არ ჰყავდათ. მაგალითად მოჰყავდა საქართველოს ეგზარქოსები: ისიდორ ნიკოლსკი (1844-1858), იოანიკე რუდნევი (1877-1882) და პალადი რაევი (1887-1892). ეს ეგზარქოსები, რუსი მღვდელმთავრის აზრით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ეპისკოპოსი სტეფანი მიიჩნევდა, რომ ქართველებმა ვერ შეიყვარეს ეგზარქოსი პაველ ლებედევი (1882-1887) მისი სიმკაცრის გამო. რუსი მღვდელმთავარი მიიჩნევდა, რომ ეგზარქოსი პაველი თავისი მოღვაწეობით ყველასაგან გამორჩეული იყო და შეუძლებელი იყო, მასზე რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა მასთან დაახლოებულ პირთაც კი. ეპისკოპოსმა სტეფანემ მოსთხოვა გორის ეპისკოპოს ექვთიმეს, გაეხსენებინა საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდი და ნათელი მოეფინა სიმართლისათვის. გორის ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი (1905-1909) რუსებს შემთხვევით არ აურჩევიათ, იგი საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მერყეობდა და საბოლოოდ მხარი არ დაუჭირა ეპისკოპოსებს კირიონსა და ლეონიდს. ეპისკოპოს სტეფანეს მოთხოვნის შემდეგ ექვთიმე ელიაშვილმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსი ფეოფილაქტ რუსანოვი (1817-1821) და მომდევნო ეგზარქოსები დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ქართველი მღვდელმთავარი სიყვარულით იხსენებდა ეგზარქოს ისიდორს (ნიკოლსკის) და ახასიათებდა მას, როგორც ქველმოქმედს, მრავალი ეკლესიისა და მონასტრის დამფუძნებელს და განმაახლებელს. ეპისკოპოსი ექვთიმე დადებითად ახასიათებდა საქართველოს ეგზარქოსებს: ევსევის (ილინსკის), იოანიკეს (რუდნევს), პაველსა (ლებედევსა) და პალადის (რაევს). თუმცა, ეპისკოპოს ექვთიმეს თქმით, გამონაკლისი იყო ეგზარქოსი ევსევი, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში დაიახლოება დეკანოზი ბასხაროვი. საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა როგორც ბასხაროვის, ისე ევსევის მიმართ, რის გამოც რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს საჩივრითაც მიმართეს. ამ საჩივრებისა და სხვა უცნობი მიზეზების გამო სინოდმა მალევე გასცა განკარგულება საქართველოდან ევსევის გადაყვანის თაობაზე.

ყოვლადსამღვდელო კირიონმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეგზარქოსმა ფეოფილაქტმა (რუსანოვმა) ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ფიცხი და ამავე დროს სუსტი ხასიათი გამოავლინა. მას ჰქონდა არასასიამოვნო ურთიერთობა რუსეთის ეკლესიის ბევრ მღვდელმთავართან. მაგალითად, მოგილიოვის მთავარეპისკოპოს ვარლაამს მისი წარდგინებით ჩამოართვეს სამღვდელმთავრო ხარისხი; სმოლენსკის ეპისკოპოს ირინეოს ფალკოვსკისთან მტრული ურთიერთობის გამო ფეოფილაქტი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის კათედრაზე და გადასულიყო კიევში. რუსეთში ფეოფილაქტ რუსანოვი ვერ შეეგუა მიტროპოლიტ ფილარეტს, რის გამოც იგი გადაიყვანეს კავკასიაში, სადაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი იყო მექრთამეობით ცნობილი მისი ღვიძლი ძმა. ეპისკოპოსი კირიონი შეეხო თბილისის რუსულ სასულიერო სემინარიას. მისი თქმით, საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე იყო ორი სემინარია, რუსეთთან შეერთების შემდეგ ისინი დახურეს. მართალია, 17 წლის შემდეგ გახსნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი და ისიც რუსული.

ეპისკოპოსი კირიონი შეეცადა გამოხმაურებოდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დაცემას ეხებოდა. მისი აზრით, ეკლესიის

დაკნინებაზე არა მხოლოდ ეპისკოპოსი ლეონიდი ჩიოდა, ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე საუბარი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიშებშიც. ქართველი მღვდელმთავრის განცხადებას ყველა არ დაეთანხმა. პროფესორი **ტიმოფეი ბუტკევიჩი** მიიჩნეოდა, რომ ეკლესიის დაკნინება მოხდა ყველგან – ევროპაშიც და რუსეთშიც. საქართველოში კი რწმენის შესუსტებას იგი ქართველი სამღვდელოების უსაქმურობით ხსნიდა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე. პროფესორი ბუტკევიჩი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთლიანად პოლიტიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

მეორე განყოფილებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ განკითხვის სახე მიიღო. თავად რუს პროფესორთა და სამღვდელოთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. პროფესორ **ივან სოკოლოვს (1865-1939)** მიაჩნდა, რომ იმ საკითხის გადაწყვეტილებად, რომელიც საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს აწუხებდა, არ იყო საჭირო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ჩაღრმავება. მისგან განსხვავებით, პროფესორებისა და სამღვდელოების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესულამდელი პერიოდის განხილვას, ნაწილი პროფესორებისა ითხოვდა საქართველოში სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარებას საეგზარქოსოს პერიოდში არსებულ ვითარებასთან, თუმცა რამდენად გადაწყვეტდა ეს შედარება ავტოკეფალიის საკითხს, გაურკვეველი იყო. ერთადერთი ისევ პროფესორი სოკოლოვი აღმოჩნდა, რომელიც არ დაეთანხმა კოლეგების მოთხოვნას. რუსი პროფესორის აზრით, წარმოუდგენელი იყო სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარება საეგზარქოსოსდროინდელ ვითარებასთან. პირველ შემთხვევაში ეკლესია დამოუკიდებელი იყო და მაშინ ვერავინ ნარმოიდგენდა ალბათ იმას, რომ ერთ დღეს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს ეკლესიას უკვე აღარ ჰყავდა კათოლიკოსი. ამიტომ ეს ორი ეპოქა (სამეფო დინასტიისა და საეგზარქოსოს არსებობის პერიოდები) თავისი არსით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ცხადი იყო, რომ მარტო პროფესორ ივან სოკოლოვის მოსაზრება დამსწრეთ აზრს ვერ შეაცვლევინებდა. ყოველდსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, სხდომის მონაწილეთათვის შეეხსენებინა საქართველოს ეკლესიის არსებობის ხანგრძლივობა. მისი ერთი ფრაზა: „ჩვენ რა უფლება გვაქვს, ძალა გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც ექვსი საუკუნით უფროსია რუსეთის ეკლესიაზე?" – თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ რუს მეცნიერებსა და სამღვდელოებას დაეთმოთ საკუთარი პოზიციები. მოხდა პირიქით. საბოლოოდ, ყოველდსამღვდელო კირიონმა სხდომას შესთავაზა, რომ ემსჯელათ საქართველოს ეკლესიის მმართველობის სინოდალურ პერიოდზე (1811 წლიდან). რუსი პროფესორები დიდი დაჟინებით ითხოვდნენ საჭირო ცნობების შეგროვებას საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. ისინი თითქოს ხელჩასაჭიდ არგუმენტებს ეძებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების უარყოფისათვის.

ეპისკოპოსმა **სტეფანემ** კვლავ განაგრძო ყოველდსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვა და მასში მოყვანილი ფაქტების სიცრუედ გამოცხადება. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდა შემდეგი ფაქტები: 1. საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე აღვლენა; 2. ყოველგვარი ქართულის დევნა და შევინროება. ეპისკოპოს სტეფანეს თქმით, საქართველოს ეპარქიებში ქართველი სასულიერო პირები ღვთისმსახურებას ყველგან ქართულ ენაზე ალასრულებდნენ. რუსი ეპისკოპოსის აზრით, არაქართულ სამრეველოებში მომსახურე ქართველი სასულიერო პირები ნაკლებად ზრუნაედნენ არაქართველი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ეპისკოპოსმა სტეფანემ დაასახელა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართველები თვითონ ითხოვდნენ ქართველი მღვდლებისაგან საღვთო ლიტურგიის სლავურ (რუსულ) ენაზე აღვლენას. მისი გამოსვლიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ქართველი სამღვდელოების დევნის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ეპისკოპოს სტეფანეს კიდევ ერთი ბრალდების თანახმად, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ფრესკები შეთეთრებული იყო ქართველი სამღვდელოების სურვილით. სწორედ ქართველი სასულიერო პირები იყვნენ დამნაშავენი სიძველეებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენაში. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ დიდ სიცრუეს დუშილით ვერ შეხვდებოდა, ისევ ყოველდსამღვდელო კირიონი იყო. ბრალდებებს ისევ ქართველმა მღვდელმთავარმა უპასუხა. მისი აზრით, ქართული ენის დევნის პირველი დამადასტურებელი ფაქტი იყო საეკლესიო მსახურების აკრძალვა სასაფლაოს ეკლესიებში. რაც შეეხებოდა ეკლესია-მონასტრებს, აქ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით წარიმართა. მაგალითად, სიონის საკათედრო ტაძარში სამი დღე მსახურება ქართულად აღეს-



ეპისკოპოსები ლეონიდი (ოქროპირიძე) და კირიონი (საძაგლიშვილი)

რულებოდა, სამი დღე – ძველ სლავურად (რუსულად), საუფლო დღეებში კი ნირვა-ლოცვა ყოველთვის ძველ სლავურ (რუსულ) ენაზე ტარდებოდა. ქართველმა მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ სვეტიცხოველის ტაძარი ეგზარქოს ისიდორ ნიკოლსკის მოღვაწეობის დროს (1844-1858 წწ.) შეთეთრდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, პირველი დანაშაული ეგზარქოსებისა ის იყო, რომ მათ დახურეს საეკლესიო კათედრები და მონასტრები. თუკი ერთ მონასტერში ერთი ბერი მაინც იქნებოდა, საეკლესიო წესრიგი არ დაირღვეოდა. თუმცა ეგზარქოსები, როდესაც მონასტრებს ხურავდნენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

მეორე განყოფილებაში განხილვის საგნად იქცა საქართველოში არსებული საეკლესიო ტრადიციები. საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნასა და აკრძალვას შეეხო ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თავის მოხსენებაში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას მწვავედ აკრიტიკებდა მოგილიოვის ეპისკოპოსი სტეფანი. ფაქტობრივად, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც რუს ეპისკოპოსს მწვავედ არ გაეკრიტიკებინა. ცხადია, არც საეკლესიო ტრადიციებს დატოვებდა იგი უყურადღებოდ. ყოელადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს სტეფანისათვის. მისთვის, პირველ რიგში, მიუღებელი იყო რუსი ეგზარქოსების დადანაშაულება ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნაში, რადგან, მისი აზრით, ასეთი მოვლენები არ ყოფილა. თუმცა მოგილიოვის ეპისკოპოსს მოუნია ისეთი ფაქტების გახსენებაც, რომლებიც ნამდვილად ადასტურებდნენ საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, განპირობებული იყო ქართველებისადმი ეგზარქოსების კეთილგანწყობით. ყოვლადსამღვდელო კირიონმა უპასუხა რუსი ეპისკოპოსის გამოსვლას. ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ რუსი ეგზარქოსები ებრძოდნენ უძველეს ტრადიციებს.

ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვამ ფაქტობრივად დაჩრდილა მთავარი საკითხი, რისთვისაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იყო შეკრებილი. სხდომაზე უამრავი ისეთი თემა წამოიჭრა, რომლებიც განხილვას საჭიროებდა. ის დრო, რაც მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის საკითხ-

ის განხილვას დაუთმო, არასაკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. საბოლოოდ, სხდომაზე მყოფი სასულიერო და საერო პირები შეთანხმდნენ, რომ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში არსებული მასალების შესწავლითა და მათი განხილვით. საარქივო მასალების შესწავლის სურვილი გამოთქვა პროფესორმა ტიმოფეი ბუტკევიჩმა, ქართული დელეგაციის მხრიდან კი – ეპისკოპოსმა კირიონმა. სხდომა კლავე ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების გარშემო ტრიალებდა. განყოფილების მუშაობისას გამოითქვა აზრი ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვის გადადების თაობაზე, რაც რუსმა სასულიერო პირებმა არ გაიზიარეს. ეპისკოპოსი სტეპანი თვლიდა, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებით რუსეთის ეკლესია ამოსავარეს ტალახში იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან საქართველოს ეკლესიისათვის გაიღო. ამიტომაც მოხსენების განხილვის გადადება არაფრით არ შეიძლებოდა: „თუკი ავტოკეფალიას მოითხოვენ, სახელდობრ აქ ნარმოდგენილი ბრალდების ნაყლობით, მაშინ ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ეკლესია და მისი ნარმომადგენლები წამოყენებული ცილისნამებისაგან, თუგინდ ავტოკეფალიის საკითხისაგან დამოუკიდებლად“

საარქივო მასალების შესწავლა დაევალა პროფესორ **ტიმოფეი ბუტკევიჩს**, რომელიც დაწერდა მოხსენებას საქართველოს რელიგიურ-ზნეობრივ მდგომარეობაზე რუსეთთან შეერთების დროისათვის. უნდა გადაწყვეტილიყო, ვინ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას რუსეთთან შეერთებამდე. ყოვლადსამღვდელო კირიონი მიიჩნეედა, რომ იმის გარეშეს, თუ როგორი იყო საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის, კავშირი არ ჰქონდა ავტოკეფალიის საკითხთან. მთავარი იყო ორი საკითხის გადაწყვეტა: 1. მინიჭებული ჰქონდა თუ არა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია? 2. შესაძლებელი იყო თუ არა ავტოკეფალიის აღდგენა?

ეპისკოპოს **კირიონის** მოთხოვნა სხდომის მონაწილეებმა არ გაითვალისწინეს, ამიტომ იგი იძულებული გახდა, რუსი პროფესორებისა და სამღვდელოებისათვის შეეხსენებინა: „მთავარია ავტოკეფალია, რაც სურს ხალხს (...). მთელი წელინადია იხილება ავტოკეფალიის საქმე, მაგრამ ნინ იოტისოდენადაც კი ვერ ნაინია. საჭიროა რაღაც მოვიმოქმედოთ ხალხის სურვილის დასაკმაყოფილებლად“. ქართველი მღვდელმთავრის შეთავაზებას რუსებმა ბრალდებით უპასუხეს. პროფესორმა **ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ** განაცხადა: ავტოკეფალიის საქმე იმიტომ არ მიდის ნინ, რომ ეპისკოპოსი კირიონი არ თმობს თავის პოზიციებს; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რომ კლავე გადაუჭრელია, ამაში ყოვლადსამღვდელო კირიონს მიუძღვის ბრალიო. კრებაზე მყოფი რუსი პროფესორები მიიჩნეედნენ, რომ ქართველი ეპისკოპოსი ფორმალურ მხარეს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო ავტოკეფალიის მოთხოვნა სხვა მიზანს ემსახურებოდა. საბოლოოდ სხდომაზე მყოფნი შეთანხმდნენ, რომ უნდა გამორკვეულიყო შემდეგი საკითხები: 1. ჰქონდა თუ არა საერთოდ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია; 2. როდის, რა ვითარებაში და რა სახით გაუქმდა ავტოკეფალია; 3. როგორ შეხვდა ავტოკეფალიის გაუქმებას საქართველოს ეკლესია; 4. რას ემყარებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება საბოლოოდ შეთანხმდა ორ კანდიდატზე, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხის შესწავლა დაევალათ. ესენი იყვნენ: პროფესორი ტიმოფეი ბუტკევიჩი, რომელიც მოამზადებდა მოხსენებას საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის თაობაზე რუსეთთან შეერთებამდე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში დაცული საბუთების საფუძველზე; პროფესორი ივან სოკოლოვი, რომელიც შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ.

1906 წლის 8 ივნისის სხდომა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა განახლდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებაში 1906 წლის 8 ივნისს. სხდომას მთავარეპისკოპოსი **ნიკანდრი** (ნიკოლაი ფენომენოვი) თავმჯდომარეობდა. განყოფილების სხდომას ესწრებოდნენ: მოგილიოვის ეპისკოპოსი **სტეპანი (არხანგელსკი)**, სოხუმის ეპისკოპოსი **კირიონი (საძაგლიშვილი)**, გორის ეპისკოპოსი **ექვთიმე (ცლიაშვილი)**, დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი**, **ფიოდორ ტიტოვი**, პროფესორები: **ილია ბერდნიკოვი**, **მიხაილ ოსტროუმოვი**, **ალექსანდრ ალმაზოვი**, **ვლადიმირ ზაიცნევიჩი**, **ნიკოლაი გლუბოკოვსკი**, **ივან სოკოლოვი**, **ალექსანდრ ბრილიანტოვი** და **პაველ მანსუროვი**.

კრებაზე გაირკვა, რომ ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, დეკანოზი **ტიმოფეი ბუტკევიჩი** ოჯახური პირობების გამო ტოვებდა სხდომას, საქართველოს ეკლესიის საკითხთან დაკავშირებულ მოხსენებას კი საშემოდგომო სესიაზე წარმოადგენდა. **ეპისკოპოსმა სტეპანმა** სხდომა კლავე ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენების კრიტიკით გახსნა. მისი აზრით, ქა-

რთველმა ეპისკოპოსებმა, კირიონმა და ექვთიმემ, ვერ შეძლეს დაედასტურებინათ საქართველოს ეგზარქოსებისადმი ნაყენებული ბრალდებები: 1. ქართული ეროვნულობის დევნა; 2. ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვა; 3. საეკლესიო ტრადიციების დევნა. მოგილიოვის ეპისკოპოსი ჯიუტად ტრიალებდა ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების გარშემო, ამიტომაც ხშირად ხდებოდა ძირითადი საკითხიდან გადახვევა. ეპისკოპოსი კირიონი იძულებული იყო, სხდომისათვის დროდადრო შეეხსენებინა მთავარი საკითხი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ავტოკეფალიის საკითხის განხილვამდე ვერ მიდიოდა. საკითხის ამ გზით გაჭიანურება რუსი პროფესორებისა და სამღვდელოების მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი. ეპისკოპოსმა **სტეპანმა** აღნიშნა: „მე ჩემს ამოცანად ვისახავ, სამართლიანობიდან გამომდინარე, გადავხედო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების საფუძვლიანობას, რადგანაც იგი რუსეთის ეკლესიას ლაფს ასხამს (...). ნუთუ ამ 90 წელიწადში რუსეთის ეკლესიამ კარგი არაფერი გააკეთა საქართველოში? ამაზე კი არაფერია ნათქვამი მოხსენებაში, მასში მხოლოდ ბრალდებებია და, ამასთან, ყველა მძიმე. ამიტომაც არის საჭირო შემოწმდეს ყველა ბრალდება“ პოლემიკაში ჩართვა ეპისკოპოს **ექვთიმესაც** მოუწია, რომელიც ასევე ძირითადი საკითხიდან გადახვევაზე მიუთითებდა: „მე მგონია, გადავუხვიეთ საქმის ძირითადი არსიდან. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი ამტკიცებდა ავტოკეფალიის აუცილებლობას და გზადაგზა მიუთითებდა ზოგიერთ შეუსაბამობაზე, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ახლა შეჩერება და ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ გამოთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ მეუფემ. მთავარი საკითხია ავტოკეფალია და იგი უნდა გადაწყდეს, სწორედ ამაზეა საჭირო დაფიქრება.“ ყოვლადსამღვდელო კირიონმა შეახსენა დამსწრეთ, რომ თავად საქართველოს ეკლესიის ნარმომადგენლები არაერთხელ გაულანძღავთ სხვადასხვა გაზეთსა თუ ჟურნალში არა მარტო კერძო პირებს, არამედ ეგზარქოსებსაც, ამიტომ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენება არ უნდა გამხდარიყო ასეთი მწვავე განხილვის საგანი.

ბრალდებები ეპისკოპოს ლეონიდის მიმართ არ წყდებოდა, მაგრამ ეს სხვა მიზეზით იყო განპირობებული: რუს მეცნიერებსა და სამღვდელო პირებს სურდათ, საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა. პროფესორი **ვლადიმერ ბენიტნევიჩი** მიიჩნევდა: „ავტოკეფალია დოგმატი არ არის. თუკი დადასტურდება, რომ საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიასთან შეერთების შემდეგ მიაღწია კეთილდღეობას და აყვავდა, მაშინ ავტოკეფალიაზე შეიძლება უარიც ითქვას. რაც შეეხება ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებას, მასში რუსეთის ეკლესია ნამდვილად ტალახშია ამოსვრილი. მე მგონია, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ეკლესიის ღირსება და პატივისცემა მოითხოვს, ბრალდებები შესწავლილი იქნას ყოველმხრივ, რადგან, რაც გაკეთდა, ეს ბავშვს არ გაუკეთებია, ამ ქმედების უკან ეპისკოპოსი დგას (...).“

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომების მსვლელობის პროცესში სულ უფრო ცხადი ხდებოდა, თუ რით დამთავრდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვა. ეს საკითხი რომ უარყოფითად გადაწყდებოდა, ხმები ამის თაობაზე ჯერ კულუარებში გავრცელდა. საბჭაროდ კი ეს აზრი ერთ დროს საქართველოში თავისი მოღვაწეობით სახელგატეხილმა დეკანოზმა **იოან ეოსტორგოემა** გამოთქვა. მას მიაჩნდა: „კავკასიაში ეკლესიის მრევლის ცხოვრებაში ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი და მოსანესრიგებელი; ეკლესიის ნიაღში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად სრულებითაც არ იყო აუცილებელი ავტოკეფალია; საეკლესიო პრობლემების მოგვარება, უწესრიგობის აღმოფხვრა ჩვეულებრივი გზითაც შეიძლებოდა, კერძოდ, უწმიდესი სინოდის მხრიდან განკარგულების გაცემით, საეკლესიო იერარქებისა და სხვა სასულიერო პირთა შეცვლით, საეგზარქოსოში ზოგიერთი მოქმედი კანონის შეცვლით და სხვ. დეკანოზ ვოსტორგოვს თავისი შეხედულებები გააჩნდა სალიტურგიო ენასთან დაკავშირებითაც: „უპირველეს ყოვლისა, უნდა შევთანხმდეთ ტერმინ „მშობლიური ენის“ გაგებაში. ღიად და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ რუსი საეკლესიო მოღვაწეები კავკასიაში ყოველთვის იმ შეხედულებას იზიარებდნენ, რომ მრევლმა ნირვა-ლოცვა მოისმინოს „მშობლიურ“ ენაზე. ამ სახელწოდებაში უნდა გავიგოთ ის ენა, რომლითაც ბავშვი ესაუბრება დედას. ეს პრინციპი ჩვენ, რუსებმა, დავამკვიდრეთ ეკლესიაშიც და სკოლაშიც. სამწუხაროდ, იქაური საეკლესიო მოღვაწეები საქმეს უყურებენ სრულიად სხვაგვარად. მათთვის კავკასიაში არსებობს ორი ენა: მშობლიური – ქართული ყველა ტომისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიაში და მშობლიური – რუსული. ამიტომაც ქართველები ღვთისმსახურებას ასრულებდნენ ქართულად და სკოლაშიც ქართულად ასწავლიდნენ ქართული ენის არმცოდნე ყველა ტომს, როგორებიც იყვნენ: სამურზაყანოს მკვიდრნი, სვანები, თუშები, მე-

გრელები. ზოგიერთი მათგანისათვის, მაგალითად, სვანებისა და მეგრელებისათვის, საუკუნეთა განმავლობაში ქართული ენა ძვირფასი გახდა, მაგრამ სხვებს პირდაპირ თავზე მოახვიეს, რაც ყოველთვის ინვევდა პროტესტს. ასეთები იყვნენ: აფხაზები, სამურზაყანოს მკვიდრნი და ოსები."

იოან ეოსტორგოჯი ცდილობდა გაემართლებინა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა: „რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება ყოველთვის აღიარებდა, რომ ამ ტომებისათვის უნდა დაედგინათ ღვთისმსახურება მათსავე მშობლიურ ენაზე და ამ მიზნით, რაც შეეძლო, აკეთებდა კიდეცაც. ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი საეკლესიო წიგნები გადაითარგმნა ოსურ, აფხაზურ, ასირიულ და ბოლოს – სომხურ ენაზე. შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ხდებოდა მღვდლების ხელდასხმა, რომლებმაც იცოდნენ მრევლის ენა (...) როცა რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ დაინახა, რომ ამა თუ იმ ხალხს არ ჰქონდა თავისი სალიტურგიო ენა და, ამასთან, ამ ხალხს ქართული ენა არ ესმოდა, კავკასიაში ღვთისმსახურებისათვის აირჩია და უპირატესობა მიანიჭა რუსულს, როგორც სახელმწიფო ენას. ამ ხალხებს შორის იყვნენ იგივე აფხაზები, ოსები და მართლმადიდებელი სომხები." დეკანოზი ეოსტორგოვი, ცხადია, ცრუობდა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სიცრუე მოახსენა მან სხდომას, როცა საქართველოს ეკლესიებში რუსულ ენაზე ღვთისმსახურების დაწყებას შეეხო: „ვამტკიცებ, რომ არც საქართველოს, არც იმერეთის, არც სამეგრელოსა და არც სვანეთის სამრეველოებში არ ჩატარებულა ღვთისმსახურება სლავურ ენაზე (საეკლესიო ძველ სლავურ ენაზე – ვ. გ.). ამის მცდელობაც კი არ ყოფილა. გაზეთებში წერდნენ, რომ სამეგრელოში საწყალი მეგრელები სიკვდილის წინ ვერ ეზიარებოდნენ, რადგან რუსული ენის არცოდნის გამო აღსარებას ვერ აბარებდნენ. ეს ტყუილია და უმართებულო. გაუგებრობაში თავის თავს თვითონ აგდებენ (...). საერთოდ, ცხოვრებასა და პრაქტიკაში საღვთისმსახურო ენის გამოყენების საკითხს ნყვეტს მღვდელი ქართველი. მაგალითად, ავიღოთ რომელიმე სამაზრო ქალაქი: ახალციხე, გორი, დუშეთი, თელავი. აქ ცხოვრობენ რუსი მოხელეები. აქ ასევე ჩვეულებრივ დგას რომელიმე სამხედრო ნაწილი, მაგალითად, დუშეთში. რუსი სამხედროები ძალიან ბევრნი არიან და თავიანთი მღვდელი არ ჰყავთ, ამიტომ ისინი დადიან ადგილობრივ ეკლესიაში. თვითონ მღვდლები ღვთისმსახურებას აღავლენენ თანაბრად – სლავურად და ქართულად (ახალციხე, გორი), ხანდახან მხოლოდ სლავურ ენაზე. გაუთვითცნობიერებელ ხალხს ჰგონია, რომ ამ ადგილებში მიცემულია განსაკუთრებული მითითება სალვთისმსახურო ენის თაობაზე, რომ ამ მითითებაში უნდა დავინახოთ რუსიფიკაციის გეგმის ნაწილი. საქმე კი სხვაგვარად არის, ამის მსგავსი არაფერია. ცხოვრება და პრაქტიკა კარნახობს თავისუფლებებს (...). 70-იანი წლებიდან (XIX საუკუნის – ვ. გ.) საქართველოში რუსული მოსახლეობის მოდინებამ იმდენად იმატა, რომ რუსების რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა ქართველების რაოდენობას. 70-იან წლებამდე თბილისში არ იყო არც ერთი რუსული სამრევლო ეკლესია. რუსული ეკლესიების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა ბოლო 35 წლის განმავლობაში. ყველა ეს ახალი ეკლესიებია: ნმიდა თეოდოსის, იოანე ღვთისმეტყველის, ალექსანდრ ნეველისა და ნმიდა ნინოს სახელობის ეკლესიები, რომლებიც რუსმა მრევლმა ააშენა. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია განთავსებული იყო მიტოვებულ ქართულ ეკლესიაში, შემდეგ კი რუსმა მრევლმა ააშენა ღამაზი ტაძარი ძველის გვერდით. აი, სულ ეს არის რუსული ეკლესიები თბილისში. ქართული სამრევლო ეკლესიები სამჯერ მეტი იყო, ვიდრე რუსული, ეს მაშინ, როდესაც ქართველი მოსახლეობა რუს მოსახლეობასთან თითქმის გათანაბრებული იყო (...)." დეკანოზი ეოტსორგოვი ამჯერადაც ცრუობდა: აღარაფერს ეამბობთ იოან ეოსტორგოვის მიერ დაშვებულ ზოგიერთ წვრილ-ნვრილ „უზუსტობებზე". მაგალითად, რუსი მღვდელი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში არც ერთი რუსული სამრევლო ეკლესია არ იყო, რაც მტკნარი სიცრუეა. საქართველოს მთავარსარდალმა ალექსანდრ ტორმასოვმა (1809-1811) ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მცხეთის საპატრიარქო გაუქმებული არ იყო, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II ჯერ ისევ თბილისში იმყოფებოდა, დაიწყო რუსულ ენაზე ღვთისმსახურება. ალექსანდრ ტორმასოვმა კათოლიკოს-პატრიარქს მოსთხოვა, რომ ქაშუეთის ნმიდა გიორგის ეკლესია სამხედრო ტაძრად გამოცხადებულიყო და შაბათ-კვირას და საუფლო დღეებში იქ რუს სამღვდელოებას ემსახურა. როდესაც ქართველმა სამღვდელოებამ ტორმასოვს ჰკითხა, რატომ მაინც და მაინც ქაშუეთის ეკლესია გამოცხადდა სამხედრო ტაძრად, მან ცინიკურად უპასუხა: ეს ეკლესია ჩემს სახლთან ყველაზე ახლოსაა. უფრო ადრე საქართველოს მთავარსარდალმა პაველ ციციანოვმა (1802-1806) კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს აცნობა, რომ უნდა დაეწყოთ ქართული საეკლესიო გალობის რუსულით (საეკლესიო სლაუურით) შეცვლა. იოანე ეოსტორგოვს ისიც „აეიწყდება", რომ თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, როგორც შაბათ-კვირას და საუფლო დღეებში, ისე

სადაც დღეებშიც ღვთისმსახურება რუსულ ენაზე აღესრულებოდა. სიონში არა მარტო საქართველოს ეგზარქოსი და რუსი სამღვდელოება აღასრულებდა რუსულ ენაზე ღვთისმსახურებას, არამედ ქართველ მოძღვრებსაც აიძულებდნენ, რუსულ ენაზე ემსახურათ. სიონის ტაძარში გალობა რუსულ ენაზე სრულდებოდა. XIX საუკუნის დამდეგიდან დაწყებული, მომდევნო ათწლეულებში საგუბერნიო ცენტრებსა (თბილისში, ქუთაისში) და სამაზრო ცენტრებში რუსი მოხელეების რაოდენობის ზრდის გამო ეგზარქოსები საგანგებო განკარგულებით ეკლესიების წინამძღვრებისაგან მოითხოვდნენ, რომ ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შეესრულებინათ. კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა ბაქო–თბილისი–ფოთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობისა და ამოქმედების შემდეგ, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. რკინიგზის სადგურების მომსახურე პერსონალი ძირითადად რუსებისაგან კომპლექტდებოდა და ეგზარქოსებიც არ აყოვნებდნენ ეკლესიებში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე წარმართვის განკარგულების გაცემას. მაგალითად, საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი ოპოცკიმ იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) იოან ეოსტორგოვის ინიციატივით საგანგებო წერილობითი განკარგულება გაუგზავნა, რათა ყვირილის (ზესტაფონის) დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე შესრულებულიყო. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ყვირილის რკინიგზის სადგურში სამუშაოდ ჩაეიდა რუსი მოლარე თავის ოჯახიანად.

დეკანოზ იოან ეოსტორგოვის გამოსვლა საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთისათვის სასარგებლოდ წარმოედგინა სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არსებული ვითარება. ეოსტორგოვი არც ისე გაუნათლებელი იყო, რომ არ სცოდნოდა შემდეგი: 1. სვანები, თუშები და მეგრელები იგივე ქართველები არიან, ანუ მოსახლეობენ ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; 2. სამურზაყანოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას იმ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) მეგრელები, ანუ იგივე ქართველები, წარმოადგენდნენ; 3. საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და სვანეთის ერთმანეთის გვერდით მოხსენიება არ შეიძლებოდა, რადგან სამეგრელო, იმერეთი და სვანეთი საქართველოში შედიან, მისი შემადგენელი კუთხეები არიან.

რაც შეეხება ოსებისა და აფხაზების მოხსენიებას თუშების, მეგრელებისა და სვანების გვერდით, ეოსტორგოვი ამით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თუშები, სვანები და მეგრელები ისეთივე არაქართველები არიან, როგორიც ოსები და აფხაზები. ამ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) რუსეთის საიმპერატორო კარს საკმაოდ დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული იმ მიზნით, რომ სამეგრელოსა და სვანეთში სალიტურგიო ენად მეგრული და სვანური დაემკვიდრებინა, ხოლო სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობას სკოლაში მეგრულ ენაზე მიეღო განათლება. რუსები ცდილობდნენ, რომ აფხაზებს, რომელთაც აფხაზური ენა არ იცოდნენ, სასკოლო განათლება ან რუსულად, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, მეგრულად მიეღოთ. ამ პოლიტიკის საერთო მიზანი იყო სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში სამეგრელოდან, სვანეთიდან და აფხაზეთიდან ქართული ენის, როგორც სალიტურგიო ენის, განდევნა და მისი ჩანაცვლება რუსულით.

ეპისკოპოსმა კირიონმა არ დაუთმო იოან ეოსტორგოვს. ქართველ მღვდელმთავარს სიმართლის დაცვის მიზნით მრავალჯერ მოუწია გამოსვლა. ეპისკოპოსმა კირიონმა ალექსანდრ ნეველის ეკლესიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ იყო ქართული სამრეკლო. რუსების მოსვლის შემდეგ ნაწილი ქართველებისა წავიდა, ნაწილი კი დარჩა, მაგრამ რუსებმა ისინიც მალე აიძულეს, ნასულიყვნენ ეკლესიიდან. დეკანოზი ეოსტორგოვი განუწყვეტლად იმეორებდა, რომ ალექსანდრ ნეველის ეკლესიას ქართველი მრევლი არასოდეს ჰყოლია. მისი თქმით, ქართველები არ ყოფილან სოხუმის ეპარქიაშიც. სოხუმის ეპარქიაში, ეოსტორგოვის აზრით, იყენებ მხოლოდ მეგრელები და ისიც მოსულები. ეპისკოპოსი კირიონი მასთან კამათში აღარ ჩაება, მხოლოდ ურჩია ნიკო მარის ნაშრომის წაკითხვა ქართველების შესახებ, სადაც იგი ყველა კითხვაზე პასუხს იპოვიდა. რაც შეეხებოდა ქართულად საღვთისმსახურო წესების შესრულებას, ყოლადსამღვდელო კირიონმა დამსწრეთ შეახსენა, რომ არსებობდა სპეციალური ბრძანება, რომელიც კრძალავდა მიცვალებულისათვის ქართულ ენაზე წესის აგებას. ეპისკოპოსი ექვთიმე, რომელმაც მანამდეც გამოიჩინა თავი რუსებისათვის საამებელი ზოგიერთი განცხადებით, ამჯერადაც დაუპირისპირდა ყოველადსამღვდელო კირიონს. მან განაცხადა: „სასაფლაოს ეკლესიაში სამი ქართველი მღვდელია, რომლებიც რუსულადაც საუბრობენ. როცა საჭიროა ქართველის დაკრძალვა, ყველაფერს ქართულად აღასრულებენ, ხოლო რუსისა – რუსულად" ეპისკოპოს ექვთიმეს გამოსვლა, ცხადია, ამაგრებდა რუსების პოზიციებს. ამიტომ იყო, რომ ყოლადსამღვდელო კირიონმა ძალზე მკაცრად უპასუხა რუსების მაამებელ ქართველ მღვდელმთავარს: „ეს სიცრუეა. არსებობს მინერილობა, რომ არ იმსახურონ ქა-

რთულად". ეპისკოპოს კირიონის ამ განცხადებას ეპისკოპოსმა ექვთიმემ ვეღარაფერი უპასუხა. დეკანოზი ვოსტორგოვი პოზიციებს არ თმობდა და დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ სოფლის ეკლესიებში ყველგან ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღევლინებოდა. ეს საკითხიც საკამათო იყო ყოვლადსამღვდელო კირიონისათვის, რადგან მან კარგად იცოდა, რომ გომბორში, დუშეთში, ფასანაურში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, წირვა-ლოცვა რუსულად სრულდებოდა. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ქართველ მღვდლებს აძალებდნენ რუსულად მსახურებას.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე კამათმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მაშინ, როდესაც საქმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამდე მივიდა. პროფესორი მიხაილ ოსტროუმოვი თელიდა, რომ ზემოაღნიშნულ საკამათო საკითხებსა და გაურკვევლობას მოაგვარებდნენ, მაგრამ ავტოკეფალიის საჭიროებას ის ვერ ხედავდა: „ყველაფრიდან, რაც აქ ითქვა, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არსებობს გაურკვეველობა და, ვფიქრობ, რომ ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ ყველაფრიდან გამომდინარე, საჭიროა კი ავტოკეფალია?" დეკანოზ ვოსტორგოვის აზრით კი, ავტოკეფალიაზე საუბარი უკვე დაგვინებული იყო: „თუკი მოგცემთ ავტოკეფალიას, მაშინ რუსები განაწყენდებიან, რადგანაც ახლა ძალზე ბევრნი არიან ამიერკავკასიაში და თუ კიდევ შეიძლებოდა საუბარი ავტოკეფალიაზე, ალბათ, გასულ, XIX საუკუნის, 70-იან წლებამდე, როცა იქ არც რუსული სამრევლოები და არც რუსი სამღვდელოება არ არსებობდა. ახლა კი ცხოვრებას ვერ შეცვლი". იოან ვოსტორგოვი ისევ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებას შეეხო, რადგან სურდა, ამით ავტოკეფალიის საკითხი მეორეხარისხოვნად ექცია. უკვე იმდენი ითქვა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებასთან დაკავშირებით, რომ კელავ ამ თემის წინ ნამონევა და განხილვა მიზანშეწონილი არ იყო. მეორე განყოფილების სხდომა კი კელავ ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. ყოვლადსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, დამსწრეთათვის ეთქვა, რომ მოეწვიათ ეპისკოპოსი ლეონიდი და მისი თანდასწრებით განეხილათ მოხსენება, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია. გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ ქართველი მღვდელმთავრის მოსაზრებას მხარი დაუჭირა და სთხოვა სხდომას აღნიშნული საკითხის განხილვის გადატანა ეპისკოპოს ლეონიდის გამოძახებამდე.

ქართველი სამღვდელოების არც ერთი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას აშკარად აჭიანურებდნენ. დეკანოზი ვოსტორგოვი კელავ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკას მოუბრუნდა და განაცხადა, რომ არც ერთი ქრისტიანული ჩვეულება საქართველოში რუსების მიერ აკრძალული არ ყოფილა. იგი თვლიდა, რომ თუ რამე აიკრძალა ან განადგურდა, ეს ქართველი მღვდლების ნამოქმედარი იყო. სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორებისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თეორიულ ხასიათს ატარებდა. მათ ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა ქართველების სასარგებლოდ მიულებლად მიაჩნდათ მანამდე, სანამ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას ბოლომდე არ განიხილავდნენ. პროფესორმა მიხაილ ოსტროუმოვმა განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ დასახულ მიზანს, ბრალდების განხილვას. საქმე ისაა, რომ ავტოკეფალიის მისაღწევად ქართველებმა მონახეს ორი გზა: არა მარტო ეკლესიური, არამედ სახელმწიფოც. ეს გამოიხატა იმაში, რომ მინისტრთა კომიტეტში შეიტანეს პეტიცია. და აი, წარმოიდგინეთ, რომ იგივე, რასაც ჩვენ აქ ვისმენთ, დაწერილია იმ პეტიციაში, რომელიც წარადგინეს სახელმწიფო ხელისუფლებაში. ვიმეორებ, მაშ, როგორ არ მოვიხსნათ ეს ბრალდებები. ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ ბრალდებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში, წაყენებული იყო არა რუსეთის ეკლესიისადმი, არამედ საქართველოში არსებული სინოდალური მმართველობისადმი (ე. ი. საქართველოს ეგზარქოსებისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი –ვ. გ.). ეს ორი საკითხი კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდა, რადგან თუ რუსებს ჰქონდათ უფლება ესაუბრათ სინოდალური წყობის ნაკლოვანებებზე, მაშინ ეს უფლება ქართველებსაც უნდა ჰქონოდათ."

ავტოკეფალიის მოთხოვნამ ძალზე შეაშინა და დააბნია მეორე განყოფილების სხდომების მონაწილე რუსი პროფესორები და სასულიერო პირები, რომლებიც ცდილობდნენ წვრილმან დეტალებზე კამათით დაეჩრდილათ საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის საკითხი. იმის გამო, რომ ეპისკოპოსი ლეონიდი განხილვას არ ესწრებოდა, ყოვლადსამღვდელო კირიონი იყო ერთადერთი, რომელიც სხდომის მსვლელობის დროს მტკიცედ და ურყევად იცავდა ქართველების ეკლესიის პოზიციებს. იგი მარტო ებრძოდა რუს სამღვდელოებასა და პროფესორებს. სხდომის მსვლელობისას რუსების მხრიდან კიდევ

ერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა არაკანონიკური იყო. პასუხი ისევე ეპისკოპოსმა კირიონმა გასცა: „ჩვენს მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა – საეკლესიო საქმეა და არა სახელმწიფოებრივი. მე არ მესმის, თუ რატომ გვაშინებენ, რომ თითქოს ეს საქმე ანტისახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. თუკი სახელმწიფო ავტოკეფალიას საშიშად მიიჩნევს, მაშინ სახელმწიფო მის წინააღმდეგ გაატარებს ღონისძიებებს. რაც შეეხება ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძველს, მის არსებობაში არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. კანონმდებლებისათვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი, ვიდრე სხვა ვინმესათვის". პროფესორი ოსტროუმოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურ საფუძველს ვერ ხედავდა. როგორც მან აღნიშნა, 100 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ეკლესიაში, რისი ჩამოშლაც და დავიწყებაც შეუძლებელი იყო. ყოვლადსამღვდელო კირიონი კვლავ შეეკამათა მიხაილ ოსტროუმოვს: „მაშინ რა არის ეგზარქოსობა საქართველოში, განა ავტოკეფალიის ნაშთი არ არის, როგორც აჩრდილი ეკლესიური თვითმწყემსობისა?"

მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. სხდომაზე მყოფ რუს პროფესორებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის საკითხი მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან და ამიტომაც ამ საკითხის გადაჭრისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ შეხედულებებსაც. ასეთ მოსაზრებას ეპისკოპოსი კირიონი არ დაეთანხმა და საკითხი ასე დააყენა: „მაშასადამე, აქედან გამომდინარე, რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა ყოფილა პროდუქტი პოლიტიკური მოძრაობისა, რევოლუციისა". ეპისკოპოს კირიონს პასუხი ვერავინ გასცა. რუსი პროფესორები და სასულიერო პირები ითხოვდნენ ბრალდების ჭეშმარიტების განსაზღვრას და საკითხის ბოლომდე გარკვევას. გადაწყვეტილი იყო, თუ ვინ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის საკითხს რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდგომ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ვინ დაწერდა ნაშრომს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურობას დაადგენდა. მოგილიოვის ეპისკოპოსმა სტეპანმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა თავისი ტერიტორიული საზღვრები და უფლებამოსილი იყო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ტომების, მოსახლეობის გაკონტროლებისა, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ. ეს ტერიტორია, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან მცირე იყო, მცირერიცხოვანი იყო იქ მცხოვრები მოსახლეობაც. თუკი მთელ მოსახლეობას, 160 ათას კაცს, რომელიც ცხოვრობდა შემოერთებულ საქართველოს სამეფო საზღვრებში (იგულისხმედობა ქართლ-კახეთის სამეფო –ვ. გ.), გამოვაკლებთ უცხო ტომის ხალხს, მაშინ ვნახავთ, თუ რამდენად უმნიშვნელო იყო საქართველოს მოსახლეობა და ის ტერიტორია, რომელიც მათ ეკავათ (...). იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ბათუმისა და ყარსის ოლქები შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მოგვიანებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ეკლესიაც, მხოლოდ სულ სხვა პირობით. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ოდესღაც ჰქონია თავისი ავტოკეფალია და ჰყოლია თავისი კათოლიკოსი (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსო – ვ. გ.). ისმის კითხვა: რომელი ავტოკეფალიისათვის ზრუნავენ ქართველები? შესაძლოა, ავტოკეფალიას ითხოვენ მხოლოდ საქართველოს იმ ყოფილ საზღვრებში, რომლითაც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო – ვ. გ.), ანდა იმ ავტოკეფალიას, რომელიც სურთ, რომ განავრცონ მთელ კავკასიაში, იმ კავკასიაში, რომელიც რუსული სისხლით იქნა მოპოვებული? ამასთანავე, რა საწყისი სურთ მოიაზრონ ავტოკეფალიის საფუძვლად? – ტერიტორიული, სადაც სურთ იქ მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელზე გაავრცელონ ქართული ეკლესიის უფლებამოსილება, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან ისინი? ანდა ტომობრივი, ანუ მომავალი ავტოკეფალიის უფლებამოსილების გავრცელება მხოლოდ ქართულ ტომებზე? იქნებ დასავლეთში – მეგრელებსა და გურულებს სურთ თავიანთი განსაკუთრებული ავტოკეფალია?.. საკითხი ავტოკეფალიის საზღვრებზე, ანუ იმაზე, თუ როგორი საწყისი მოიაზრება, ეროვნული თუ ტერიტორიული, მეტად მნიშვნელოვანია. თუკი ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ქართული წარმომავლობის ადამიანები (ქართველები), მაშინ ძნელი იქნება გამიჯვნა საეკლესიო გავლენის სფეროებისა. მაგალითად, თბილისში არის რუსული, ქართული, ბერძნული და ა. შ. ეკლესიები. საჭირო აღარ უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ ერთსა და იმავე ქალაქში აუცილებელი გახდება რამდენიმე დამოუკიდებელი ეპისკოპოსის დანიშვნა, რაც თავისთავად იმ კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებლების ტაძრებსა

და მრეველზე ერთიანი ქონების განაწილებას. ეს ყველაფერი სისხლისღვრამდე ხომ არ მივა? თუკი ტერიტორიულ ავტოკეფალიას შემოიღებენ, მაშინ აუცილებელია გავარკვიოთ, მოისურვებენ კი, მიაკუთვნონ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას სხვა ეროვნებები: რუსები, ბერძნები, ოსები? ამ ეროვნებებს შორის განხეთქილება რანაირ არეულობას შეიტანს საეკლესიო საქმეში? განა ჩვენ არ გვაქვს მსგავსი გამოცდილება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე?" ეპისკოპოს სტეპანის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა პროფესორი ალექსანდრ ალმაზოვი, რადგან თელიდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ნაადრევი იყო მანამ, სანამ არ გადაწყდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. მისი აზრით, თუკი ზემოთ აღნიშნული ბრალდებები გაქარწყლდებოდა, ეს საკითხს მაინც ვერ გადაჭრიდა. მთავარი იყო იმის გარკვევა, თუ რატომ ნამოიჭრა საქართველოში ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე არანაკლები კამათი გამოიწვია საქართველოს ეკლესიის საზღვრების დადგენის საკითხმა. დეკანოზ იოან ეოსტორგოვისათვის გაურკვეველი იყო, თუ რა საზღვრებში მოითხოვდა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენას. მისი თქმით, მთელი საქართველო მოსკოვის გუბერნიის ტოლი იყო, ხოლო მოსახლეობა 160.000 კაცს არ აღემატებოდა, რომელთაგან, რუსი დეკანოზის მტკიცებით, ნახევარი სომეხი იყო. ყარსის ოლქი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, სოხუმი, ერევანი, ბაქო და ელისავეტპოლი – ყველა ეს ტერიტორია ომების გზით მოპოვებინა რუსეთს, ამიტომ ეოსტორგოვს მართებულად არ მიაჩნდა ამ ტერიტორიების შესვლა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ეოსტორგოვს არც ის დავიწყებია, რომ 1783 წლისათვის (ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის – ვ. გ.) საქართველოში ორი კათოლიკოსი იყო – აფხაზეთის (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსო – ვ. გ.) და მცხეთისა. თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას მიანიჭებდნენ, გაურკვეველი გახდებოდა არაქართული სამრევლოების ბედიც. დეკანოზ ეოსტორგოვისათვის მიუღებელი იყო არაქართული სამრევლოების (იგულისხმებიან არაქართველი მართლმადიდებლები – ვ. გ.) საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შესვლა. ყარსის ოლქში 70-მდე ბერძნული სამრევლო იყო, თბილისის გუბერნიაში – 15. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძნები გადასახლდნენ რუსეთში, ამიტომ დეკანოზი ეოსტორგოვი ირწმუნებოდა, რომ ისინი არა საქართველოს, არამედ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ. ამჯერადაც მოპასუხე ეპისკოპოსი კირიონი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესია უნდა აღდგენილიყო იმ საზღვრებში, რომელიც მას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა და როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქი. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ საქართველოს საკათოლიკოსოს იურისდიქციაში უნდა შესულიყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ეროვნების მართლმადიდებლებიც, რადგან ისინი საქართველოში მოინათლნენ მართლმადიდებლებად და ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე.

სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ისევ უცნობი იყო. მეორე განყოფილების სხდომების თავმჯდომარემ არქიეპისკოპოსმა ნიკანდრემ საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ჩვენ მოვისმინეთ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენება და ვერანაირი საფუძველი ავტოკეფალიისათვის ჯერ-ჯერობით ვერ ვპოვეთ." პროფესორ პაველ მანსუროვისათვის კი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების კანონიერების დამადასტურებელი სხვა რაიმე საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობდა და არც მომავალში იარსებებდა.

არქიეპისკოპოსმა ნიკანდრემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. განყოფილების საქმიანობა კი შემდგომამდე შეწყდა. საბოლოო სიტყვა ეპისკოპოსმა კირიონმა წარმოთქვა. უფრო ზუსტად კი, მან წაიკითხა წინასწარ მომზადებული მოხსენება. ეს იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის მიერ დაწერილი ოთხი მოხსენებიდან მესამე. სხდომის მონაწილეები იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ მოხსენება მართლაც მნიშვნელოვანი იყო და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოს კირიონის მოხსენება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა.

3. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე. მეორე განყოფილებას კვლავ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა უნდა გაეგრძელებინა.

1906 წლის 17 ნოემბრის სხდომა. 1906 წლის 17 ნოემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელზედაც კვლავ საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხი;' უნდა განხილულიყო. კრება გაიხსნა დილის 7 საათზე არქიეპისკოპოს ნიკანდრის (ნიკოლაი ფუნომენო-

ვის) თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდნენ: ყოლაღდამღვდელო **სტეფანი (არხანგელსკი)** – მოგილიოვის ეპისკოპოსი, ლეონიდი (ოქროპირიძე) – იმერეთის ეპისკოპოსი, დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკეევიჩი, ფიოდორ ტიტოვი, იოან ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი, პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ნიკოლაი ზათურსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილიანტოვი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი და ვ. პ. შეინი.**

1906 წლის 17 ნოემბრის სხდომას უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც მიუთითეთ, მიწვეულნი იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი.

კრების გახსნის შემდეგ არქიეპისკოპოსმა **ნიკანდრმა** სხდომის მონაწილეებს ამცნო, რომ განყოფილების მუშაობის პროცესს გამოკალდნენ: სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე. უწმიდესი სინოდის განკარგულებით და უმაღლესი ხელისუფლების თანხმობით, საქართველოს ეგზარქოსს მიეცა უფლება, თავისი არჩევანის საფუძველზე ქართველი ეპისკოპოსები ჩჩაენაცვლებინა სხვა მღვდელმთავრებით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ სხდომის მუშაობის პროცესში. სწორედ ამის გამო მოწვეული იქნა უსამღვდელოესი ლეონიდი. ეპისკოპოსმა ლეონიდმა ნერწყლობით მიმართა მიტროპოლიტ ანტონს (ვადკოვსკის): „მეორე განყოფილების სხდომის მონაწილეთა შორის, სადაც საქართველოს ეკლესიის საკითხს განვიხილავთ, ვამჩნევ, რომ სხდომას არ ესწრება რამდენიმე ადამიანი, რომლებიც იცნობენ საქართველოს ეკლესიის ისტორიას და ეს გარემოება ინვევს სერიოზულ საშიშროებას, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი დარჩება დაუმუშავებელი და მოუმზადებელი მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისთვის." უსამღვდელოესი ლეონიდის განცხადების საფუძველზე მთავარეპისკოპოს ნიკანდრის ეთხოვა, რომ სხდომის მსელელობაში მონაწილეობის მისაღებად ხმის უფლებით მოეწვიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები, ქართველი მეცნიერები **ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი.** ამ თხოვნასთან დაკავშირებით მიღებული იქნა რეზოლუცია. სხდომა გახსნა პროფესორმა **ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ.** მისი აზრით, თუ ქართველი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების მუშაობაში, მაშინ რუსებს უნდა მოეწვიათ პროფესორი **ივან პალმოვი,** რომელიც სლავური ეკლესიის ისტორიის სპეციალისტი იყო. რუსი პროფესორის აზრით, პალმოვის მონაწილეობა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო: „მხოლოდ რუსეთის ამ ერთადერთ ავტორიტეტს შეუძლია, დოკუმენტურად ნათელი მოპფინოს ყოველივეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორი პალმოვი მოგვცემს ჩვენ მრავალ დარიგებას, რომელიც შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს ყველა ჩჩვენი საკითხისათვის". ხმათა უმრავლესობამ სასურველად მიიჩნია პროფესორ პალმოვის მოწვევა. პროფესორმა **ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მას მართლმადიდებლური საღმრთო ენციკლოპედიის შედგენის დროს არაერთხელ მიუმართავს ქართველი სწავლულებისათვის დახმარების მიზნით. საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობების შეგროვებაში ქართველებს თავიანთი ცოდნისა და განათლების გამოყენება შეეძლოთ, რითაც გარკვეულ წვლილს შეიტანდნენ ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში. მაგრამ არც ერთმა ქართველმა მეცნიერმა შეთავაზება არ მიიღო. პროფესორმა გლუბოკოვსკიმ აღნიშნა, რომ იგი ცდილობდა, ქართველი სტუდენტები, რომლებიც აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად იღვწოდნენ, საქართველოში წასულიყვნენ, რათა ქართულენოვანი წყაროები მოეძიათ. მიუხედავად ამისა, ქართველები აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის დაწერას რუსული წყაროების გამოყენებით ამჯობინებდნენ. პროფესორმა ისიც დასძინა, რომ რუსეთში არსებობდა ქართველოლოგიის კათედრა, პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გაიხსნა ახალი კურსი საქართველოს ისტორიის შესასწავლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერების ამ დარგში სპეციალისტები მაინც ნაკლებად იყვნენ. გლუბოკოვსკის აზრით, ქართველები ყოველივე ცუდს რუს ეგზარქოსებს სწამებდნენ. რუსებს დაბრალდათ ბიბლიის ცუდად გამოცემაც, რაც ქართველების „დამსახურება" იყო და არა რუსებისა. ნიკოლაი გლუბოკოვსკის თქმით, ქართველი ავტოკეფალისტები ყოველ შავბნელ საქმეს რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობას მიაწერდნენ ხოლმე. ამიტომაც მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ქართველი მეცნიერების მოწვევა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა ეპისკოპოს ლეონიდს მოუწია: „მე არც მიფიქრია აქ დამსწრე სწავლულების შეურაცხყოფა და თუ ასე გამოვთქვი აზრი ჩემს თხოვნაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცი, აქ არაიან არის, ვინც ქართულად ნაიკითხავდა წყაროებს, ქართულად ვერ კითხულობს ვერც ი. ი. სოკო-

ლოვი". ცხადი იყო, რომ ეპისკოპოს ლეონიდს არ დაეთანხმებოდნენ რუსი მღვდელმთავრები და პროფესორები. პროფესორი ტიმოთე ბუტკევიჩი გამოეხმაურა ქართველი ეპისკოპოსის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ქართული წყაროების არცოდნა არ ნიშნავდა იმას, რომ რუსი მეცნიერები არაკომპეტენტურნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდნის მხრივ. რუსი პროფესორის აზრით, თუ ამ ლოგიკით იმსჯელებდნენ, მაშინ აუცილებელი გახდებოდა არაბულის, სომხურისა და სხვა ენების ცოდნის მოთხოვნა მეორე განყოფილების სხდომაზე დამსწრე პირთათვის. ბუტკევიჩმა ასეთი კითხვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „თუ ქართული წყაროების ცოდნა ასე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, მაშინ რატომ მოჰყავს ეპისკოპოს კირიონს უმთავრესი ფაქტი ავტოკეფალიის ისტორიისათვის არა ქართული წყაროდან, არამედ დურნოვოს რუსული წიგნიდან (იგულისხმებოდა ნიკოლაი დურნოვოს ნაშრომი „Судьбы грузинской церкви: (По вопросу о Грузинской церковной автокефалии)", რომელიც ობიექტურად წარმოაჩენდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას – ე. გ.)? ცხადია, რომ ქართულ ლიტერატურაში არაფერი ფასეული არ არის ამის შესახებ. თუ ქართველები რაიმეს მალავენ, ეს მათ ღირსებაზე უარყოფითად მეტყველებს."

პოლემიკაში ჩაება ნიკო მარი. მან აღნიშნა, რომ არ მოელოდა, თუ ქართველი მეცნიერების მოწვევის ფაქტს შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ სხდომაზე მყოფი პირები. ნიკო მარმა ისაუბრა ქართული წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი თქმით, ეს საკითხი იყო წმინდა მეცნიერული და ქართველი სწავლულების მონაწილეც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი იყვნენ ქართული წყაროების მცოდნენი, მონაწილენი საპოლემიკო ისტორიული საკითხების გასარკვევად. კამათი ქართული წყაროებისა და ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდა. ტიმოფეი ბუტკევიჩი და პროფესორი ნიკოლაი გლუბოკოვსკი პოზიციებს არ თმობდნენ. ბუტკევიჩის აზრით, თუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო ქართული ენის ცოდნა კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის გადასაწყვეტად, მაშინ ყველა ის ადამიანი, ვინც ქართულს ვერ ფლობდა, სხდომას არ უნდა დასწრებოდა. კამათში კვლავ ნიკო მარი ჩაება. მან რუსებს ასეთი განმარტება მისცა: „უნდა განვაცხადო, რომ არა ქართველი, არამედ რუსი მეცნიერი ვარ, მაგრამ ნარმომავლობით ქართველი. თუ ჩამთვლით მე ქართველ მეცნიერად მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენა ვიცი და ვსწავლობ ქართულ წყაროებს, მე ასევე ვფლობ არაბულ და სომხურ ენებს, ვიცნობ არაბულ და სომხურ ლიტერატურას, მაგრამ არც არაბი ვარ და არც სომეხი." კამათი არ წყდებოდა. დეკანოზი იოან ვოსტორგოვი მოითხოვდა საქმის ბოლომდე მიყვანას და ეპისკოპოსი ლეონიდის თხოვნის სრულად განხილვას. მან აღნიშნა, რომ ეპისკოპოს ლეონიდის სათხოვარ ბარათში არაფერი იყო ნათქვამი ქართული წყაროების თაობაზე. მისი აზრით, ბარათში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. ვოსტორგოვი ფიქრობდა, რომ ეპისკოპოსმა ლეონიდმა წინასწარ დაიზღვია თავი მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებისგან: თუ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება გამოიტანდა ისეთ დასკვნას, რომელიც არ იქნებოდა მისაღები ქართველი ეპისკოპოსისათვის, მაშინ მას შეეძლო არ დასთანხმებოდა სხდომის გადაწყვეტილებას. დეკანოზი ვოსტორგოვი თვლიდა, რომ უსამღვდელოესი ლეონიდი ასეთ შემთხვევაში განაცხადებდა, რომ კრებას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. რუსმა დეკანოზმა ასეთი მოთხოვნა დააყენა ქართველი ეპისკოპოსის წინაშე: „მე ვისურვებდი, ეპისკოპოს ლეონიდს განეცხადებინა, რომ მის შეფასებას სხდომის წევრების კომპეტენციის შესახებ არ აქვს დიდი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში. ჩვენ ან კრების დატოვება მოგვიწევს და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ქართველი მეცნიერების საქმე იქნება, როგორც მათ ეპისკოპოსი ლეონიდი უწოდებს, ან უნდა ვისხდეთ ჩუმად და ქართველ მეცნიერებთან ერთად დავინყოთ ანბანიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა". ვოსტორგოვს სავსებით დაეთანხმა პროფესორი ივან სოკოლოვი. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდა ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტები.. სოკოლოვს მიაჩნდა, ამ საკითხის სპეციალისტები არ იყვნენ თავად საქართველოში იმდენად, რამდენადაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა ახალი დაწყებული იყო და ძალიან დიდი დრო უნდა გასულიყო, რომ ამ სფეროში სპეციალისტების არსებობაზე ესაუბრათ. რუსმა პროფესორმა არ უარყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტს ქართული ენა უნდა სცოდნოდა. სოკოლოვმა სხდომაზე მყოფთ ამცნო, რომ ის თავად სწავლობდა ქართულს და ეცნობოდა ქართულ სამეცნიერო წყაროებსაც, ასეთი წყაროები ასევე მრავლად არსებობდა სხვადასხვა ენაზე. კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით არ წყდებოდა. ამიტომაც ეპისკოპ-



ალექსანდრე ცაგარელი

ოსმა ლეონიდმა მათ კიდევ ერთხელ განუმარტა: „მე რომელიმე მეცნიერის თავმოყვარეობის შელახვის არანაირი სურვილი არ მქონდა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ პატიებას ვითხოვ". ნიკოლაი გლუბოკოვსკის მიაჩნდა, რომ ქართველი ეპისკოპოსი პირად შეურაცხყოფას აყენებდა რუს მეცნიერებს, მაგრამ დრო იყო, საქმეზე გადასულიყვნენ. პროფესორმა ილია ბერდნიკოვმა დამსწრეთ შეახსენა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხის გადასაწყვეტად მოხსენებების გაკეთება დავალებული ჰქონდათ პროფესორ **ტიმოფეი ბუტკევიჩსა** და პროფესორ **ივან სოკოლოვს**. თავის მხრივ, ალექსანდრე ცაგარელმაც შეახსენა დამსწრეთ, თუ რას ისახავდა მიზნად რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. მისი თქმით, თათბირის მიზანი იყო, ნიადაგი მოემზადებინა რუსეთის მომავალი საეკლესიო კრებისათვის, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მეორე განყოფილებას უნდა მოემზადებინა მასალა, რომელსაც დაეყრდნობოდა რუსეთის საეკლესიო კრება და გამოიტანდა შესაბამის გადაწყვეტილებას. საეკლესიო კრებას უნდა ჰქონოდა საჭირო ფაქტები და ცნობები საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის თაობაზე. **ალექსანდრე ცაგარელმა** სრული მზადყოფნა გამოთქვა, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა საჭირო ცნობების შეგროვებაში. ქართველმა მეცნიერმა ასეთი რამ შესთავაზა დამსწრეთ: „დაე, ი. ი. სოკოლოვმა, როგორც საქართველოს ისტორიის შესახებ ბერძნული წყაროების მცოდნემ, ნარადგინოს თავისი მოხსენება, რაზეც სხდომის დავალებით ის უკვე მუშაობს; ნიკო მარს, როგორც უძველესი ქართული წყაროების მცოდნეს, დაეალოს წარმოადგინოს მოხსენება ეკლესიის მმართველობის თაობაზე უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე ამ წყაროებზე დაყრდნობით. XVIII საუკუნიდან მოხსენების წარდგენას მე ჩემს თავზე ავიღებ. რაც შეეხება უახლეს პერიოდს, 1801 წლიდან, ამას, ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით, აუცილებლად ეპისკოპოსი ლეონიდი გააკეთებს. ამ შემთხვევაში საეკლესიო კრებას ექნება მასალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მეცნიერულად გაშუქებისათვის" ქართველი მეცნიერის ამ წინადადებას უარყოფითად შეხედნენ რუსი პროფესორები. მათი აზრით, ასეთი წინადადება არ შეესაბამებოდა მეორე განყოფილების დანიშნულებას, რადგან ამ შემთხვევაში რუსი პროფესორების მიერ მომზადებული მოხსენებები დაკარგავდა მნიშვნელობას. პროფესორმა ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენება ეხებოდა ეპისკოპოს ლეონიდის თხოვნას, რომლის თანახმადაც, აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენა. **ბუტკევიჩის** აზრით, ქართველი მღვდელმთავრის მოხსენებაში მრავალი ფაქტი შემოწმებასა და გამოძიებას საჭიროებდა, განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა ეგზარქოსობის მმართველობის პერიოდს და ეგზარქოსების დახასიათებას. ფაქტობრივად, ბუტკევიჩის გამოსვლა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების კრიტიკას წარმოადგენდა. იოან ვოსტორგოვი თელიდა, რომ ბუტკევიჩის მოხენება სავსებით მართებული იყო, რადგან ქართველი ეპისკოპოსი ცდილობდა დაემტკიცებინა შემდეგი ფაქტები: 1. საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; 2. საქართველოს ეკლესია დაეცა საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; 3. საქართველოს ეკლესიას თავისი პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროება ავტოკეფალია. **ვოსტორგოვმა** აღნიშნა, რომ რუს მეცნიერებს მიზნად ჰქონდათ დასახული გაერკვიათ: 1. ფუნქციონირებდა და კეთილდღეობდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთებამდე; 2. მიიყვანა თუ არა სინამდვილეში რუსეთის საეკლესიო მმართველობამ საქართველოს ეკლესია სრულ დაცემამდე; 3. საქართველოს ეკლესიისათვის მიყენებული იარები იყო თუ არა იმდენად ღრმა, რომ ამ იარებისაგან ეკლესიის განკურნება მხოლოდ ავტოკეფალიას შეეძლო, თუ

ყოველივე ეს მოგვარდებოდა რეფორმების გზით.

სხდომაზე კიდევ ერთხელ დასვა საკითხი: რამდენად მართებული იყო ქართველი მეცნიერების მონაწილეობა მეორე განყოფილების მუშაობაში. ნიკო მარრმა აღნიშნა: „კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მეორე განყოფილების მუშაობაში მონაწილეობას მივიღებ, როგორც საისტორიო ნყაროების მცოდნე, მაგრამ უარს ვაცხადებ პრაქტიკული საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე. მაგალითად: არის თუ არა ავტოკეფალია სასიკეთო ეკლესიისათვის (ეს ეხება მხოლოდ საქართველოს ეკლესიას, საქართველოს საეკლესიო კრებას). ამავე დროს მსურს დავიდასტუროთ, რომ მზად ვარ მონაწილეობა მივიღო საქართველოს ეკლესიის მმართველობის ისტორიული მხარის გაშუქებაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მონვევა იქნება მთელი განყოფილების თანხმობით და არა მხოლოდ უსამღვდელოესი ლეონიდის სურვილით" საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა ალექსანდრე ცაგარლისა და ნიკო მარის მონაწილეობა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებში.

პროფესორმა ტიმოფეი ბუტკევიჩმა ნაკითხა მოხსენება **„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი"** (მოხსენება 1906 წელს ცალკე ბრუშურის სახით გამოიცა ბარკოვში), რომლის მეოთხე და მეშვიდე გვერდები მთლიანად ეთმობოდა უსამღვდელოესი ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების უარყოფას. პროფესორი. ბუტკევიჩი ნერდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა გამონვეული იყო იმედგაცრუებით, რასაც ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაც ადასტურებდა. რუსი პროფესორის აზრით, აღნიშნული ბრალდებები სიმართლეც რომ ყოფილიყო, ეს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა ქართველებს, რომ მოეთხოვათ უკეთესი ეგზარქოსი და არა ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენა.

პროფესორ **ბუტკევიჩის** გამოსვლას გამოეხმაურა ეპისკოპოსი **ლეონიდი**, რომელმაც მას კიდევ ერთხელ განუმარტა თავისი მოხსენების არსი. ქართველი ეპისკოპოსი არ დაეთანხმა რუსი მეცნიერის მიერ მოყვანილ ფაქტებს და მასთან კამათში ჩაება. უსამღვდელოესმა ლეონიდმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსების მიერ ქართული ენის არცოდნა არ იყო ნორმალური და მისაღები ფაქტი. ეგზარქოსები, როგორც ეკლესიის პირველი იერარქები, ვალდებული იყვნენ სცოდნოდათ ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, საეგზარქოსოს მოსახლეობის სახელმწიფო ენაც იყო. ქართველი მღვდელმთავარი შეეცადა, ბუტკევიჩის მოხსენებაში აღნიშნული ყველა ბრალდება გაექარწყლებინა. ეპისკოპოსმა ლეონიდმა საეკლესიო ტრადიციების დევნის არაერთი ფაქტი დაასახელა. იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსებმა არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და არც პატივს სცემდნენ მათ. ამის დასადასტურებლად ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა ასეთი ფაქტი გაიხსენა: პირველ ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში აღნიშნავდნენ ცხოველმყოფელი სვეტის დღესასწაულს. ეგზარქოსმა ნახა ტაძარში ადგილობრივი დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, გასცა ბრძანება ხატის ჩამოხსნისა და ღვთისმშობლის საფარველის (Покров Богородицы) ახალი ხატი მოატანინა. მას განუმარტეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ტაძრის დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, რაზეც მან ასე უპასუხა: „არანაირი თქვენი დღესასწაული არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, უნდა ვიდღესასწაულოთ საფარველის დღესასწაული". ამ ფაქტით ქართველმა მღვდელმთავარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ ეგზარქოსებმა არა მარტო არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები, არამედ არც პატივს სცემდნენ მათ.

უსამღვდელოეს ლეონიდს გამოეხმაურა ალექსანდრე ცაგარელიც და აღნიშნა, რომ საკითხის ამ კუთხით განხილვა პოლიტიკურ სახეს იძენდა, რაც მიუღებელი იყო საეკლესიო პრობლემის გადასაჭრელად. მან არასწორად ჩათვალა საეკლესიო საკითხების გარკვევისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ საჭირო იყო კელავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვა. რუსები ბრალდებულნი იყვნენ ყოველივე ქართულის დევნაში, ამიტომაც, თავმჯდომარის აზრით, ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა კელავ უნდა გაგრძელებულიყო. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ალექსანდრე ცაგარელი. მან სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ ბრალდებები კონკრეტულ პირებს არ ეხებოდა, არამედ მასში დადანაშაულებული იყო ის სისტემა, ის რეჟიმი, რომელიც ეკლესიას მართავდა. ქართველი მეცნიერის სიტყვები დაადასტურა ეპისკოპოსმა ლეონიდმა. მან შეკრებილთ მოახსენა, რომ კონკრეტულ პირებთან არ პქონდა საქმე. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი საუბრობდა იმ რეჟიმზე, რომლითაც უკმაყოფილონი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები.

პოლემიკაში კელავ ჩაება ნიკო მარი. მან არ დამალა თავისი გაკვირვება, როდესაც საუბარი საქართველოს ეკლესიის დაცემის მიზეზებს შეეხო. ეკლესიის დაცემის მიზეზებს ეძებდნენ, მაგრამ ამავე დროს უგულებელყოფდნენ ისეთ ფაქტებს, როგორებიც იყო: 1. ქართული ენის დევნა; 2. უმდიდრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლა-

განათლების უგულებელყოფა; 3. საეკლესიო ტრადიციების ნიველირება; 4. ქართველ წმიდანთა ცხოვრების ამსახველი კრებულის გამოცემასა და სწავლებაზე უარის თქმა. **ნიკო მარს** მიაჩნდა, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას კარგად წარმოაჩენდა შემდეგი ფაქტი: 1884 წლამდე ბიბლია ქართულ ენაზე გამოცემული არ ყოფილა, ხოლო ის, რაც 1884 წლისათვის გამოიცა, იმდენად უგვანად იყო შედგენილი, რომ უმეტესობა იყო საზოგადოება არც გასცნობოდა მას. ნიკო მარის აზრით, საქართველოს ეკლესიას სათავეში კათოლიკოს-პატრიარქი რომ ჰყოლოდა, ამგვარი საკითხი არც დადგებოდა. მაგალითისათვის მან კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I** (1744-1755 წწ.; 1764-1788 წწ.) დაასახელა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული ნერილობითი ძეგლების შესწავლას. სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ აღარ ისწავლებოდა ქართული ენა, ლიტერატურა, რაც საზოგადოების გაუნათლებლობის მიზეზი იყო პროფესორი ტიმოფეი ბუტკევიჩი არ დაეთანხმა ქართველ მეცნიერს. მან აღნიშნა, რომ ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი (1811-1817) ქართველი იყო და ქართულ ენასაც ფლობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დატოვა საქართველო. უსამღვდელესი **იონა ვასილევსკიც** (1821-1837) წავიდა საქართველოდან, თუმცა ისიც ფლობდა ქართულ ენას. ბუტკევიჩმა უსამართლოდ მიიჩნია რუსი ეგზარქოსებისადმი წაყენებული ბრალდებები. მან აღნიშნა, რომ ქართველთა განათლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ეგზარქოსმა **ფეოფილაქტ რუსანოვმა** (1817-1821 წ.წ.), რომელმაც დააარსა ქართული სტამბა. სწორედ მისი თანადგომით გამოიცემოდა ქართული საღვთისმსახურო ნიგნები.

ალექსანდრე ცაგარელმა გაიხსენა, რომ ეგზარქოს **იოანიკე რუდნევს** (1877-1882 წწ.) მან სთხოვა, ბიბლიის გამოცემის დროს ეხელმძღვანელათ ათონის X საუკუნის ქართული ხელნაწერით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერს მაშინ არაკინ მოუსმინა. კამათი ამ საკითხის ირგვლივ კვლავ გაგრძელდა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებას ნიკო მარმა ასეთი რამ ამცნო: „ქართველებს არ ამზადებენ ასეთი სამუშაოსათვის. ჩემთან მოდის მრავალი ქართველი, რათა გაეცნოს ქართულ ნუაროებს. სომეხი მოწაფეები მრავლად მყავს და ისინიც გულმოდგინედ მუშაობენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ ის, რაც ქართველებს არ აქვთ: ეკლესიის ავტონომია, სკოლები და სხვადასხვა საგანმანათლებლო დანესებულებები, სადაც ინერგება სიყვარული საკუთარი სამშობლოსა და ძეგლებისადმი." ამ სიტყვებით დაასრულა ნიკო მარმა თავისი გამოსვლა.

მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის მუშაობა დახურულად გამოაცხადა. მეორე განყოფილებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობისადმი წაყენებული ბრალდებები უარყოფილ იქნეს, როგორც უსაფუძვლო.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პოლემიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება: **რუსი სამღვდელოება და რუსი მეცნიერები არად აგდებდნენ ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა არგუმენტირებულ მოსაზრებებს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და, აქედან გამომდინარე, არ დასმულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.**

1906 წლის 24 ნოემბრის სხდომა. 1906 წლის 24 ნოემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე არქიეპისკოპოს ნიკანდრის (ნიკოლაი ფენომენოვი) თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო სტეპანი (არხანგელსკი) – მოგილიოვის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი (ოქროპირიძე) – იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი**, იოან ვოსტორგოვი, პ. ი. სოკოლოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი; პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, ნიკოლაი ზათრერსკი, ნიკოლაი ივანოვსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილიანტოვი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, კ. დ. პოპოვი და ვ. პ. შეინი,. სხდომას ასევე ესწრებოდნენ უწმიდესი სინოდის კანცელარიის უფროსი ს. პ. გრიგოვსკი, უწმიდესი სინოდისა და კანცელარიის ბუღალტერი ვ. ფ. ტრეულინი. სხდომა ჩაიტარდა სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

არქიეპისკოპოსმა ნიკანდრმა სხდომაზე მყოფთ შესთავაზა ემსჯელათ ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, დეკანოზ ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების ძირითად თეზისებზე. მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხებოდა. თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეთ სთხოვა სიმშვიდის შენარჩუნება და წესრიგის დაცვა მომხსენებელთან კამათის დროს. ქართველმა მეცნიერმა **ნიკო მარმა** წინასწარ ითხოვა, რომ პირველ რიგში მოესმინათ ბუტკევი-

ჩის მოხსენების მისეული შეფასება, რაც სხდომის მიერ რუსი დეკანოზის პიროვნების შეფასების მცდელობად იქნა მიჩნეული. კრებაზე მყოფმა რუსმა საერო და სასულიერო პირებმა თავმჯდომარის მხარდაჭერით ნიკო მარს არ მისცეს უფლება, პირველი წარმდგარიყო როგორც მომხსენებელი და სიტყვა დეკანოზ ტიმოფეი ბუტკევიჩს დაუთმეს. რუსმა დეკანოზმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული საკითხი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თუ დამოუკიდებელი მმართველობა დაკანონდა 488 წელს ანტიოქიის ეკლესიის მიერ. ეს ფაქტი დადასტურეს მსოფლიოს სხვა პატრიარქებმაც და მეხუთე (553 წ.) და მეექვსე (680 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებებმა. 751 წელს, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს, საქართველოს ეკლესია გათავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციისაგან;

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი საბუთები საეჭვოა და დაზუსტებას საჭიროებს. ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დააკანონა ანტიოქიის 488 წლის კრებამ, რომელიც არასოდეს შემდგარა. შემდეგში არარსებული ანტიოქიის კრების დადგენილება უცვნიათ მსოფლიოს სხვა პატრიარქებსა და მეხუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებებს. ყველაფერი ეს დაგვირგვინებულა ანტიოქიაში 751 წელს გამართულ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. ყოველივე ზემოთქმულს არ აქვს არანაირი საფუძველი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არის მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი. საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც დაჟინებით ამტკიცებენ ქართველი მეცნიერები, კანონიკურადაც შეუძლებელია. ის, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს გადაწყვეტილება დადასტურებულია მსოფლიო საეკლესიო კრებებით – ეს გასაგებია. მაგრამ რა საჭირო იყო მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელახალი დადასტურება – ეს უკვე გაუგებარია. შემდეგ ანტიოქიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაადასტურა ორი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება. ეს უკვე რაღაც არაბუნებრივია;

ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების მოსმენის შემდეგ პროფესორმა ნიკო მარმა კვლავ ითხოვა სიტყვა: „აქ, განაცხადა მან, საუბრობს ადამიანი (გულისხმობდა ტ.ბუდკევიჩს – ვ. გ.), რომელსაც არავითარი ნარმოდგენა არ აქვს საქართველოს ეკლესიაზე. მე განვიხილე მისი წიგნი და ახლა ჩემი მოსმენაც კი არ გსურთ".

ნიკო მარი თავისი მორიგი გამოსვლისას შეეხო რუსი დეკანოზის, ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორ ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების შინაარსს. ქართველმა მეცნიერმა არამართებულად მიიჩნია, სპეპარატისტებად მოეხსენებინათ ის პირები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას იცავდნენ; ნიკო მარის მოხსენების განხილვისას სხდომის თავმჯდომარემ, არქიეპისკოპოსმა ნიკანდრმა განაცხადა, რომ ქართველი მეცნიერი ძალიან ღრმად ერეოდა მეორე განყოფილების მუშაობის პროცესში. რაც შეეხება ბუკტევიჩს, მან ნიკო მართან პოლემიკაშიჩართვა ზედმეტად მიიჩნია. სიტყვით გამოვიდა უსამღვდელოესი სტეპანიც, რომელიც ფიქრობდა, რომ ნიკო მარმა ობიექტურად არ შეაფასა ბუტკევიჩის მოხსენება. მოგილიოვის ეპისკოპოსს მიაჩნდა, რომ ქართველი მეცნიერი შეეხო მოხსენების მხოლოდ ერთ ნაწილს და მცდარი შეხედულებების გამორკვევას დაუთმო დრო. უსამღვდელოესი სტეპანი ითხოვდა, ავტორიტეტული ქართველი მეცნიერების ნააზრევზე დაყრდნობით საბოლოოდ გარკვეულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ასეთ ავტორიტეტებად კი მას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და გიორგი ჭორდანია მიაჩნდა(მხედველობაში ჰქონდა გიორგი ჭორდანიას ნაშრომი „). მოგილიოვის ეპისკოპოსი თვლიდა, რომ გიორგი ჭორდანია იყო გამორჩეული პიროვნება და ამიტომაც გაუგებარი იყო, რატომ არ ანიჭებდნენ იქ მყოფი ქართველი მეცნიერები მის შრომებს მნიშვნელობას. ნიკო მარმა განმარტა, რომ აუცილებელი იყო სამეცნიერო გამოცემისა და სამეცნიერო წყაროს ერთმანეთისაგან გამოჯვნა. თუ ქართველი მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად გიორგი ჭორდანიას გამოცემით იხელმძღვანელებდნენ, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდოდნენ, რომ არავითარი საფუძველი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის არ არსებობდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ცაგარელმა აღნიშნა, რომ ხშირად არასწორად სარგებლობდნენ წყაროებით თვით ბერძნებიც კი. იგი თვლიდა, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა ქართულ ენაზე არსებული პირველწყაროების გამოყენება.

რუსი დეკანოზის მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც გაგრძელდებოდა სხდომები. გეგმის თანახმად, პირველ რიგში, უნდა განეხილათ ნიკო მარის მოხსენება, რასაც უნდა მოპყოლოდა ალექსანდრე ცაგარლის მოხსენების განხილვა, დაბოლოს, უნდა მოესმინათ იეან სოკოლოვისათვის. ამით დასრულდებოდა საქართველოს ეკლე-

სის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხის ისტორიული კუთხით განხილვა. აუცილებელი იყო საკითხის კანონიკური ასპექტით გადაწყვეტაც. მოხსენების შედგენას ვინ აიღებდა თავის თავზე, ჯერ უცნობი იყო. პროფესორი ალექსანდრ ალმაზოვი ითხოვდა, რომ ამ საკითხს პრაქტიკული კუთხითაც მისდგომოდნენ. საბოლოოდ, არქიეპისკოპოსმა ნიკანდრმა სხდომას გააცნო უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა საეკლესიო საქმეების მოწყობას კავკასიაში. უწმიდესმა სინოდმა განაჩინა:

1. ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული საბჭო, რომელიც განიხილავს საეკლესიო საქმეების მოწყობას საქართველოს საეგზარქოსოში შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი (ბოგოიავლენსკი), კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი (დროზდოვი), საქართველოს ეგზარქოსი, ელადიმირის ყოფილი მთავარეპისკოპოსი ნიკონი (სოფიისკი), სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი (სამებელიშვილი) და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე).

2. განსაკუთრებულ საბჭოს დაევალა, მიეღო ზომები საეკლესიო მმართველობის გარდაქმნისა და სასულიერო სკოლების მოწყობის შესახებ, ასევე უნდა განიხილა საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო საქმეების მოწყობის თაობაზე არსებული ყველა საკითხი;

3. უწმიდესმა სინოდმა მხედველობაში მიიღო შემდეგი: ა) ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსები დამოკიდებულნი არიან სინოდალურ კანტორაზე. მათ წინ არ ელობებათ არანაირი საგანმსრულებლო ორგანო, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ განახორციელონ მათზე დაკისრებული საეკლესიო კანონები და მოქმედი ხელისუფლების გადაწყვეტილებები. მათ რჩებათ მხოლოდ ხელდასხმის, დანიშვნის ან გადაყვანის, გარიცხვის ან დროებითი ღვთისმსახურების აკრძალვის უფლება; ბ) საეგზარქოსოს ზოგიერთ სასწავლებელში სასკოლო საგნების სწავლება საჭიროებს მკაცრ გადახედვას. არასაკმარისი ყურადღება ექცევა მშობლიური ენის სწავლებას დაწყებით კლასებში; გ) სასულიერო სასწავლებლებში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა საეკლესიო-ქართული ენისა და, საერთოდ, ადგილობრივი ენის სწავლებას, რის გამოც მრევლი ხშირად მოუმზადებელი და გაუნათლებელია;

4. დაევალოს ადგილობრივ კომისიას, მონაწილეობა მიიღოს განხილვაში, რომელიც სინოდალური კანტორის მოვალეობის შეზღუდვას ეხება, ამავე დროს, მოიძებნოს თანხები, რომლებიც საეგზარქოსოში საეკლესიო მმართველობის გარდაქმნას მოხმარდება;

5. დაევალოს სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას, დააჩქაროს საეგზარქოსოში საეკლესიო სკოლების დაარსების საქმე;

6. სლავური ენის ნაცვლად საეკლესიო სკოლებში გაძლიერდეს ქართული ენისა და ადგილობრივ საგალობელთა სწავლება, იზრუნონ აღსაზრდელთა მომზადებისათვის, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ ენაზე ქადაგება, გაეცნონ ღვთისმსახურების აღსრულების წესებს ადგილობრივ საღვთისმსახურო ენაზე;

7. სკოლაში განათლების მიღების შემდეგ ეკლესიის მწყემსმა უნდა შეძლოს ღვთისმსახურებისა და ქადაგების ადგილობრივ ენაზე შესრულება;

8. ჩამოყალიბდეს კომისია ბიბლიის თარგმანის შესასრულებლად და გამოსაცემად. მრევლის მოთხოვნისამებრ, გამოიცეს საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნები და საგალობელთა კრებული;

9. სინოდის ობერ-პროკურორმა დაამყაროს კავშირი კავკასიის მხარის მეფისნაცვალთან, საქართველოს საეგზარქოსოში შეიტანოს დოკუმენტები საეკლესიო მმართველობის გარდაქმნასთან დაკავშირებით;

10. ბრძანება დაეგზავნოს საქართველოს ეგზარქოსს, სასწავლო კომიტეტს, სასწავლო დაწესებულებებს, ხელმძღვანელებს გადაეცეს ამონაწერი. საქართველოში გაიგზავნოს ზემოგამოთქმული მოსაზრებები და ეკლესიის გარდაქმნისათვის საჭირო თანხები.

პროფესორ ალექსანდრ ალმაზოვს მიაჩნდა, რომ უწმიდესი სინოდის ეს დადგენილება ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკითხის პრაქტიკული კუთხით გადასაჭრელად. ამიტომაც ითხოვა, რომ ბრძანების ნიმუშები სხდომაზე მყოფი პირებისათვის გადაეცათ. ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ცაგარელმა ითხოვა მოესმინათ, თუ როგორ შეხვდნენ უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებას ქართველი ეპისკოპოსები – უსამღვდელოესი კირიონი და უსამღვდელოესი ლეონიდი. გასარკვევი იყო, ეთანხმებოდნენ კი ისინი უწმიდესი სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას?

თავმჯდომარემ, სხდომაზე მყოფი პირების სურვილის თანახმად, წაიკითხა ეპისკოპოს კირიონის აზრი, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო:

1. ეკლესიაში არსებული უწესრიგობა, რომელსაც მოპყვა ურწმუნოების გაძლიერება და რელიგიის დაცემა ქართველ ერში, არ შეიძლება აღმოიფხვრას იმ საშუალებით, რომელიც უწმიდესი სინოდის მიერ იქნა შემუშავებული;

2. პროექტის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ის სინამდვილეში შორეულ და არცთუ ისე სახი-

არბიელო მდგომარეობას ეხება. ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობს საქართველოს ეკლესიის დანაწევრებას დამოუკიდებელ ერთეულებად, ასუსტებს მათ შორის საუკუნოვან ეროვნულ კავშირს. აღნიშნული პროექტი სპობს იმ შესაძლებლობას, რომ ქართველმა მღვდელმთავრებმა ერთობლივად განიხილონ ისეთი საეკლესიო საკითხები, როგორებიცაა: ადგილობრივი საეკლესიო კრების მოწვევა, საეპისკოპოსო კანდიდატის გამორჩევა, საეკლესიო აღმზრდელობა და განათლება, საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნებისა და სანოტო წიგნების ბეჭდვა, საეკლესიო საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა, მგალობელთა და მეფსალმუნეთა სკოლის დაარსება, სტამბის მონყობა, სანთლის ქარხნისა და ეპარქიების მისიის ორგანიზება და ყველა ის საერთო ხასიათის საკითხი, რომელთა გადაწყვეტის უფლებამოსილება არ აქვს ადგილობრივ ეპარქიას და არ არის მისი კომპეტენციის საკითხი;

3. ახლანდელ დროს, როდესაც ხელმწიფის ნებით განდიდებულია სამეფო ტახტი, ვიმედოვნებთ, რომ წმიდა ეკლესიის კეთილდღეობის სახელით რუსეთს გადაცემული საქართველოს ეკლესია არ იქნება მოკლებული თავისუფლებას – მიეცემა უფლება, მოიწყოს თავისი ეროვნული ეკლესია, კანონიკურ საწყისებზე აღადგინოს ავტოკეფალია კათოლიკოსით სათავეში, რითაც თავიდან იქნება აცილებული საეკლესიო განხეთქილება რუს და ქართველ ერებს შორის;

4. საერო დანესებულების გარდაქმნა არ წარმოადგენს ისეთ სირთულეს, როგორიცაა რეფორმა საეკლესიო მმართველობაში. ბოლო შემთხვევაში გადაუხადავი დაბრკოლებაა ემსახურო კანონიკურ დადგენილებას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა და ამავე დროს აუცილებელია საეკლესიო ტრადიციის დაცვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი შეიმუშავებდა საუკეთესო გეგმას ეკლესიის უკეთესად მოსაწყობად საქართველოში, ამ საუკეთესო გეგმას ამ პირობებშიც კი არ ექნებოდა სათანადო გავლენა. შეიქმნებოდა გეგმის ხშირი ცვლილებების აუცილებლობა, რაც ყოველთვის გახდებოდა საყვედურების მიზეზი;

5. ერთადერთი ხსნაა ქართველი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი – კათოლიკოსი, რომელსაც, როგორც ერის მწყემსს და უმაღლესი სიმართლის ჭეშმარიტ მსახურს, შეუძლია მშობლიური ეკლესიის წყლულების მოშუშება. მხოლოდ ამ გზით დაიბრუნებს საქართველოს ეკლესია სრულ ძალაუფლებას, თავისუფლებას, რომელიც მას უფლისაგან ებოძა და ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროზე.

ამის შემდეგ წაიკითხეს ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მასში აღნიშნული იყო: ეპისკოპოს კირიონის მოხსენება, საქართველოს საეგზარქოსოს განცხადება, ქართული ბეჭდვითი ლიტერატურა ადასტურებს, რომ საეკლესიო მმართველობაში არსებული უწესრიგობის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური წყობის სინოდალური მმართველობით ჩანაცვლებაში. ეს განცხადებები თავის თავში ატარებს ურყევ მრწამსს მორნმუნე ქართველობისა. ამ განცხადებების შინაარსი კარგადაა ცნობილი განსაკუთრებული კომისიისათვის, რომელიც საქართველოში საეკლესიო საქმეების მოწყობას ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, კომისიამ რატომღაც გვერდი აუარა და ყურადღება არ მიაქცია უმნიშვნელოვანეს საკითხს – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას, რომელიც განცხადებაში იყო მოცემული. კომისიამ არ გააშუქა ეკლესიის ვითარება და არ გამოთქვა თავისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. კომისიის მიერ მიღებული დადგენილება ადასტურებს იმას, რომ რწმენის, სინდისისა და ეკლესიის თავისუფლებით დაუბრკოლებლივ სარგებლობენ საქართველოს მეზობლები – სომხები, კათოლიკეები, მაჰმადიანებიც კი.

ეპისკოპოს ლეონიდის დასკვნა ასეთი იყო: 1. ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა იმ სამართლიანობასა და კანონიერებაში, რომლითაც საქართველოს ეკლესია ცდილობდა დაებრუნებინა თავისი ავტოკეფალური უფლება, მას შემდეგ, რაც მისი ავტოკეფალია ზეპირად დაადასტურა რუსმა მეცნიერმა ივან სოკოლოვმა. ავტოკეფალიის გაუქმება იყო არა მხოლოდ უსაფუძვლო, არამედ აშკარა დანაშაული საქართველოს ეკლესიის წინაშე; 2. არსებული ოქმებით მიცემული რეკომენდაციები ფორმალობა იყო, რომელიც ვერ მოაშუშებდა საქართველოს ეკლესიის ჭრილობებს, მით უმეტეს, რომ არ არსებობდა გარანტია იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ გაცემული არ იქნებოდა საწინააღმდეგო განკარგულება.

ამით დასრულდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 24 ნოემბრის სხდომა. არქიეპისკოპოსმა ნიკანდრმა მომავალი კრების მონანილეებს შესთავაზა წარედგინათ მასალები საქართველოს საეგზარქოსოში მართლმადიდებელი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. თავმჯდომარეს ასევე აინტერესებდა საქართველოში არსებული ეკლესიებისა და მონასტრების რაოდენობაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენების შედგენა დაევალა ვ. ფ. ტრელინს. საქართველოს ეკლესიის საკითხის პრაქტიკული კუთხით

განხილვა დაევალა დეკანოზ იოან ვოსტორგოვს, კანონიკური კუთხით –პროფესორ მიხაილ ოსტროუმოვსა და პროფესორ ილია ბერდნიკოვს. ქართველ მეცნიერებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი უნდა გაეშუქებინათ ისტორიული თვალსაზრისით.

1906 წლის 1 დეკემბრის სხდომა. 1906 წლის 1 დეკემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა არქიეპისკოპოს ნიკანდრის (ნიკოლაი ფენომენოვის) თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: მოგილიოვის ეპისკოპოსი სტეპანი (არხანგელსკი), იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე); დეკანოზები: პ. ი. სოკოლოვი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი; მღვდელი ტ. ვ. კოზლოვსკი; პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, ნიკოლაი ზაოზერსკი, ტიმოფეი ბუტკევიჩი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილიანტოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი ივან პალმოვი, კ. დ. პოპოვი, ი. ვ. პოპოვი და ვ. პ. შეინი,. სხდომა გაგრძელდა საღამოს 10 საათამდე.

მოთხოვნის საფუძველზე მოისმინეს **ნიკო მარის** მოხსენება – **„ნარკვევი საქართველოს ეკლესიის უძველესი ეპოქიდან“** მოხსენება დაწერილი იყო საგანგებოდ საეკლესიო კრების წინარე თათბირისათვის. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ მართებული იქნებოდა მოხსენების დაწყება ქართული ლიტერატურის მიმოხილვითა და წყაროების კრიტიკული ანალიზით, მაგრამ დროის სიმცირე მეცნიერს ამის საშუალებას არ აძლევდა. **ნიკო მარი თვლიდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტა ძალიან რთული იყო. ეს საკითხი რთული იყო იმდენად, რამდენადაც იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიის დიდ პერიოდს მოიცავდა – საეკლესიო ცხოვრების ლიტერატურაში ასახვიდან ბოლო დრომდე.** მიუხედავად ამ სიძნელისა, მოხსენების ავტორს მიაჩნდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე საკმაო რაოდენობის ნერილობითი წყაროები არსებობდა, რომლებიც იმ ფაქტს ადასტურებდნენ, რომ უკვე უძველესი დროიდან საეკლესიო-ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მოხსენების ავტორს არ დაუნყებია აღენიშნა ის სიძნელეები, რომლებსაც ქართველი მართლმადიდებლები წააწყდნენ სომხებთან, სირიელებთან და სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემლებთან რელიგიური დაპირისპირების დროს. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ქართველებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები საბერძნეთის (ბიზანტიის) ეკლესიასთან დაახლოების მიზნით. ნიკო მარი ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვის შემდეგ შეეცადა გადაეჭრა ორი ამოცანა. იგი თავის მოხსენებაში ცდილობდა დაედასტურებინა შემდეგი: 1. საქართველოს ეკლესიის იერუსალიმური ნარმოშობის საკითხი; 2. მოციქულ ბართლომეს მიერ საქართველოს განათლების (გაქრისტიანების) ფაქტი. ნიკო მარმა აღნიშნა: „პირველი ქართული ტაძრები საქართველოში შენდებოდა იერუსალიმელი წმიდანების სახელზე, როგორიც იყო, მაგალითად, წმიდა სტეფანე, ასევე იერუსალიმური სინმიდეების სახელზე, როგორიც იყო სიონი და ჯვარი. საქართველოში ძირითადად იერუსალიმური სინმიდეები არსებობდა. ისინი მდებარეობდა მცხეთაში და უკავშირდებოდა წმიდა ნინოს მოღვაწეობას. რაც შეეხება მცხეთის ჯვრის კულტს, ის იერუსალიმიდან იღებს სათავეს და წმიდა ნინოს ცხოვრების ქართულ რედაქციებზე ბევრად ძველია.“



ნიკო მარი

სხდომის დასასრულს ნიკო მარს კვლავ მიეცა საშუალება, სიტყვით გამოსულიყო. ქართველმა მეცნიერმა ისევ თავის მოხსენებაში დასმული საკითხების თაობაზე ისაუბრა. კერძოდ, მან აღნიშნა: „ძალიან მადლიერი ვარ ამ ორატორის (იგულისხმება პროფესორი ნიკოლაი გლუბოკოვსკი – ე. გ.), რადგან მან სწორად გაიგო ჩემი მოხსენება. ჩემი მოვალეობა იყო, დამედგინა მხოლოდ



ალექსანდრე ხახანაშვილი

ის, რომ საქართველოს ეკლესია, ფაქტობრივად, ავტოკეფალური იყო უხსოვარი დროიდან." ამით დაასრულა ნიკო მარმა თავისი გამოსვლა. სხდომის თავმჯდომარემ კამათი ნიკო მარის მოხსენების გარეშემო შენყვეტილად გამოაცხადა და რუსეთის საეკლესიო კრების ნინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 ნლის 1 დეკემბრის სხდომაც ასე დასრულდა.

1906 წლის 5 დეკემბრის სხდომა. 1906 ნლის 5 დეკემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა მთავარეპისკოპოს **ნიკანდრის (ნიკოლაი ფენომენოვის)** თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: **ანტონი** – ეოლინის ეპისკოპოსი, **სტეპანი** მოგილიოვის ეპისკოპოსი, ლეონიდი იმერეთის ეპისკოპოსი, კირიონი სოხუმის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი, იოან ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი,** ი. ი. კოიალოვიჩი, მღვდელი ტ. ვ. კოზლოვსკი; **პროფესორები: ფიოდორ ტიტოვი,** ილია ბერდნიკოვი, ნიკოლაი ზაოზერსკი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილიანტოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ივან პალმოვი, კ. დ. პოპოვი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილი იქნებოდა მხოლოდ მოხსენებები, ხოლო პოლემიკა არ გაიმართებოდა. მეორე განყოფილების სხდომაზე მოხსენებებით **ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი** და ივან სოკოლოვი წარსდგნენ. ალექსანდრე ცაგარელმა ამ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: **„XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალური საბუთებით საქართველოს (იერრიის) ეკლესიის ავტოკეფალიის დამოწმება".** მოხსენება ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ალექსანდრე ცაგარელს მასში XVII-XVIII საუკუნეების ყველა მნიშვნელოვანი საბუთი აქვს მიმოხილული, რითიც კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობის კანონიერება. მოხსენების ავტორმა აღნიშნა, რომ თითქოს გაბატონებული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საქართველო რუსეთთან შეერთებამდე (1801 ნლამდე – ვ. გ.) არა მარტო „ფიზიკურად", არამედ „სულიერადაც" დაკნინებული იყო. ქართველმა მეცნიერმა იმ ფაქტზეც ისაუბრა, რომ იყო მცდელობები, ფიზიკურად და სულიერად დაკნინებულ საქართველოს მხსნელად რუსეთი გამოეცხადებინათ. ალექსანდრე ცაგარელი მიიჩნევდა, რომ ამ მოსაზრების გაქარწყლება ძალიან მარტივად შეიძლებოდა. საკმარისი იყო, ადამიანი საქმის არსს ბოლომდე გასცნობოდა, რომ ასეთ დასკვნას ეელარ გამოიტანდა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები კი მრავლად მოიპოვებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებში.

მოხსენების ბოლოს ალექსანდრე ცაგარელმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულ, კანონიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ქართველმა მეცნიერმა სამივე თვალსაზრისით დაასაბუთა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა უკანონოდ და სამართლიანობა ითხოვდა კანონიერების აღდგენას. საკითხის პრაქტიკული კუთხით გადაწყვეტა საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ ალექსანდრე ცაგარელმა ძალიან მარტივად და ამავე დროს საკმაოდ დამაჯერებლად ახსნა. რუსი მეცნიერები და სამღვდელოება ქართველთა ნინააღმდეგ იყენებდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით (ხალხებით – ვ. გ.). ამ მოვლენით ცდილობდნენ ისინი საკუთარი გადაწყვეტილების გამართლებას. მათი აზრით, ავტოკეფალიის მინიჭება საქართველოს ეკლესიისათვის ეთნიკურ დაპირისპირებას გამოიწვევდა. ქართველმა მეცნიერმა კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა პრაქტიკული კუთხით ასე ახსნა: „რადგან იერრიის ეკლესია

ოდითგანვე ითვლებოდა ერთიან და განუყოფელ ეკლესიად, ამიტომ მთელ ამ საეკლესიო ოლქში უნდა იყოს ერთი კათოლიკოსი: 1. სივრცე მეტად მცირეა, ორი-სამი გუბერნიის ოდენა; 2. ასეთია სურვილი სასულიერო პირებისა და მოსახლეობისა; 3. საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე ყოველთვის იყო ერთი კათოლიკოსი; 4. ორი კათოლიკოსის შენახვა მეტად ძვირი დაჯდება; 5. იყო დრო, როდესაც საქართველოშიც იყო ორი კათოლიკოსი. ეს გამონაკლისი იყო საქართველოს დაქუცმაცებით სამ სამეფოდ და რამდენიმე დამოუკიდებელ სამთავროდ, რომელთა მეფეებსაც სურდათ, ჰყოლოდათ დამოუკიდებელი ეკლესიის მმართველი თავისსავე სამეფოში. საქართველოს საეკლესიო ოლქის მოსახლეობის მრავალტომობრივი (მრავალეროვანი – ვ. გ.) შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დაბრკოლება, რადგან არც ძველად იყო შემაფერხებელი, როდესაც საქართველოში, როგორც ახლა, სხვადასხვა ტომის ხალხები ცხოვრობდნენ". ასე დაასრულა ალექსანდრე ცაგარელმა თავისი პირველი მოხსენება. კამათი მოხსენების ირგვლივ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე არ შემდგარა.

ალექსანდრე ცაგარლის გამოსვლის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 5 დეკემბრის სხდომაზე **ალექსანდრე ხახანაშვილი** წარსდგა მოხსენებით **„საქართველოს ეკლესიისა და განათლების მდგომარეობა XVIII საუკუნეში"**. მოხსენების ავტორმა მცირე ზომის ნაშრომში შეძლო მთლიანად მიმოეხილა განათლების საკითხი საქართველოში. ალექსანდრე ხახანაშვილმა აქაც ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე და სამონასტრო კერებზე, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ქართველმა მეცნიერმა მოხსენებაში ისაუბრა იმ აღმოსავლურ და დასავლურ ტენდენციებზე, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად აისახებოდა. მიუხედავად ამისა, მოხსენების ავტორი თელიდა, რომ საქართველოში განათლება ვითარდებოდა „ეროვნული სულისა და ეროვნული ტრადიციების შესაბამისად", რომელმაც თავის უმაღლეს საფეხურს „ოქროს ხანად" ნოდებულ პერიოდში, X საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე, მიაღწია. მოხსენებაში ალექსანდრე ხახანაშვილი შეეცადა, კულტურის არც ერთი მოღვაწე არ დაეტოვებინა უყურადღებოდ. მან თითოეული მათგანის მოღვაწეობის თაობაზე და მათი ნაშრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქართველ მეცნიერს ამ თვალსაზრისით არც საქართველოს მეფეები დავიწყებია. ალექსანდრე ხახანაშვილმა მიმოიხილა თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, ვახტანგ VI-ის კულტურული მოღვაწეობა. მოხსენების ავტორმა განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას და ქართული სტამბის დაარსების მნიშვნელობას. ამით დაასრულა ალექსანდრე ხახანაშვილმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე გამოსვლა.

სხდომა გაგრძელდა პროფესორ **ივან სოკოლოვის მოხსენებით – „საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში"**. ივან სოკოლოვი, რომელიც, წესით, საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, საკუთარი კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველად იქცა. რუსი მეცნიერის მოხსენებას დასაწყისშივე ახლავს ასეთი შენიშვნა: „ამ ისტორიული ნარკვევის ძირითადი ამოცანაა, მოკლედ მიმოიხილოს საქართველოს ეკლესიის ზოგადი მდგომარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში. ეს კი იმას გულისხმობს, რომ წინამდებარე ნარკვევში მოცემული კერძო საკითხი შემდგომში შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო ვრცელი გამოკვლევისათვის. ავტორს არც საფუძველი და არც უფლებამოსილება არ ჰქონდა, უფრო განევრცო თავისი შრომა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე განყოფილებას დასჭირდება საქმის უფრო ვრცლად წარმოდგენა, ავტორი ამასაც აღასრულებს. სწორედ მეორე განყოფილების დავალებით შედგა ეს მოხსენება და ამ შემთხვევაშიც ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ მოკლედ, ნარკვევის სახით წარმოდგენილიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმოხილვა, რომელსაც საერთო ხასიათი უნდა ჰქონოდა. მოხსენების ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არ უნდა იყოს არავის მიზანი და სურვილი, რადგან ნარკვევი ისტორიულ საბუთებზეა დაფუძნებული. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ავტორის შეხედულებები არანაირი ეჭვის საფუძველს არ წარმოადგენენ".

ამით უკვე ცხადი იყო, თუ რა გამოხმაურება ექნებოდა ივან სოკოლოვის მოხსენებას რუსი კოლეგების მხრიდან. ზემოთ ითქვა, რომ ნარკვევი წარმოადგენდა საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების მოკლე მიმოხილვას. აი, როგორ აფასებს რუსი მეცნიერი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას: „თითქმის მთელი XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ვითარება მეტად მძიმე იყო. ამ საუკუნეში ქვეყნის ისტორია უწყვეტ მარტიროლოგიას, განუწყვეტელ ომებზე თხრობას, ურთიერთგაუტანლობას, ქალაქებისა და სოფლების გაუკაცრიელებას, ქართულენოვანი მოსახლეობის მასიურ ხოცვას

წარმოადგენს. საქართველო შეუსვენებლივ ინვის, სისხლისაგან იცლება, იდევნება ხალხი. სპარსელები და თურქები ურთიერთმონაცვლეობით ეჯიბრებიან ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაუფლებისათვის – იმორჩილებენ ხან ქართლს, ხან კახეთს და ხანაც იმერეთს. არც ქვეყნის დედაქალაქი, თბილისი, გადაურჩა საბედისწერო მოვლენებს. ცეცხლითა და მახვილით ნადგურდებოდა ქალაქები, ისპობოდა მოსახლეობა."

ივან სოკოლოვმა მოხსენების პირველ ნაწილში მიმოიხილა საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნეში, მეორე ნაწილი კი მთლიანად ეკლესიის მდგომარეობის აღწერას დაუთმო. რუსი მეცნიერის აზრით, ცხადი იყო, რომ ქვეყნის პოლიტიკური ვითარება აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზეც, რადგან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა: „საქართველოს ეკლესიის საერთო მდგომარეობა XVIII საუკუნის განმავლობაში ასევე მეტად მძიმე იყო, რადგან ის მჭიდრო კავშირში იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულ ურთიერთობასთან... ერთის გაჭირვება მეორეზე აისახებოდა. აქედან გამომდინარე, ეკლესიაც სპარსელებთან და თურქებთან გაუთავებელი ომებისაგან, ლეკებისა და ოსების თარეშისაგან განიცდიდა არანაკლებ შეჭირვებას. ამასთან ერთად, ეკლესიაზე დიდი გავლენა ჰქონდა შინაშელილობასა და გათიშულობას. ყველაფერთან ერთად, ამ არეულ ეპოქაში ეკლესიამ მთელი თავისი ქონებაც დაკარგა. ტაძრები და მონასტრები მთლიანად მოისპო. ეკლესიის მრევლს სამღვდელო დასთან ერთად დაუნდობლად ანადგურებდნენ". რუსი მეცნიერის ამ შეფასებიდან კარგად ჩანს ის სირთულეები, რომელთა დაძლევაც საქართველოს ეკლესიას მოუხდა. ამ ფონზე პროფესორი სოკოლოვი შეეცადა წარმოედგინა ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი, რომლის დამადასტურებელი მაგალითები უხვად იყო მოცემული საისტორიო წყაროებში. რუსმა მეცნიერმა ამ კუთხით შეაფასა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა. იგი თვლიდა, რომ ვახტანგ VI, როგორც ღვთისმოშიში ადამიანი, ბევრს ზრუნავდა ეკლესიის კეთილდღეობისათვის. გამეფებისთანავე მან საკათოლიკოსო-ტახტზე აღადგინა კათოლიკოსი ნიკოლოზი, რომელიც უსამართლოდ იყო განდევნილი ერეკლე I ნაზარ ალი ხანის დროს. ვახტანგ VI-ის ინიციატივით განახლდა ტაძრები და მონასტრები, მანვე უბოძა უძრავი ქონება ეკლესიას და მისი თაოსნობით თბილისში სტამბა დაარსდა, რომელშიც იბეჭდებოდა სამღვდელთმსახურო და საღვთისმეტყველო წიგნები. სოკოლოვის აზრით, ვახტანგ VI-ის დროს მოწესრიგდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, განისაზღვრა კათოლიკოსის მდგომარეობა. რუსი მეცნიერი ასე აფასებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს: „საერთოდ, ვახტანგ VI ცდილობდა მოეშუშებინა ის ჭრილობები, რომლებიც ეკლესიას გაუთავებელი ომებითა და ქვეყნის შიგნით არსებული მუდმივი შფოთისაგან მიადგა. იგი ეკლესიის დიდი შემწე და დამცველი იყო. ასევე ზრუნავდა იმისთვისაც, რომ ამ უკანასკნელს მუდამ ჭეშმარიტი გზით ეარსებულ მდგომარეობაში ყოველთვის სწორი არჩევანი გაეკეთებინა. მეფე, შეძლებისდაგვარად, მისდამი დასახულ ამ უდიდეს ამოცანებს ახორციელებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ყველაფერი მოესწრო თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი და სრული აშლილობის ხანას დამთხვეული მეფობის ჟამს. ბოლოს ხელმწიფე ტახტსაც და ხარისხსაც შეელია ეკლესიისადმი თავისი ერთგულების გამო, რადგანაც სპარსეთის შაჰის მოთხოვნას, განდგომოდა ქრისტიანობას, ცივი უარით უპასუხა".

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე, როგორც ითქვა, პოლემიკა არ გამართულა. ქართველ მეცნიერ ალექსანდრე ცაგარლისა და რუს მეცნიერ ივან სოკოლოვის, მოხსენებების თაობაზე პოლემიკა საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე შედგა.

1906 წლის 8 დეკემბრის სხდომა. 1906 წლის 8 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე, მას არქიეპისკოპოსი ნიკანდრი (ნიკოლაი ფუნმენოვი) თავმჯდომარეობდა. კრებას ესწრებოდნენ: **ანტონი** – ვოლინის მთავარეპისკოპოსი, **სტეპანი** – მოგილიოვის ეპისკოპოსი, **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი, **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი**, **იოან ეოსტორგოვი**, **ფიოდორ ტიტოვი**, **პ. ი. სოკოლოვი**, **ა. პ. მალცევი**, **ი. ი. კოპალოვიჩი**; პროფესორები: **ილია ბერდნიკოვი**, **მიხაილ ოსტროუმოვი**, **ნიკოლაი გლუბოკოვსკი**, **ნიკოლაი ივანცოვი**, **ალექსანდრ ალმაზოვი**, **ივან სოკოლოვი**, **ალექსანდრ ბრილიანტოვი**, **პაველ მანსუროვი**, **ნიკო მარი**, **ალექსანდრ ცაგარელი** და **ივან პალმოვი**. სხდომას ასევე ესწრებოდნენ **უწმიდესი სინოდის კანცელარიის უფროსი ს. პ. გრიგოვსკი**, **უწმიდესი სინოდისა და კანცელარიის ბუღალტერი ვ. ფ. ტრელინი**. სხდომა ჩატარდა უწმიდესი სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

რუს მეუფეებსა და მეცნიერებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ შემდეგი არგუმენტი მოჰყავდათ: უწ-

მინდეს სინოდში შეისწავლეს ყველა ცნობა, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობას ადასტურებდა და აღმოჩნდა, რომ არც ერთ მსოფლიო თუ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად არ იხსენიებოდა. რაც შეეხებოდა ამ ეკლესიის „პირველი ეპისკოპოსის“ ტიტულს, ცნობილი იყო, რომ ეს ტიტული – „კათოლიკოს-პატრიარქი“ – თავისთავად ნიშნავდა „მსოფლიო პატრიარქსაც“. ასეთი ტიტული კი, **ტიმოფეი ბუტკევიჩის** თანახმად, ეკუთვნოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ბუტკევიჩი ასკვნიდა, რომ ანტონ I კათოლიკოსს „პირველი ეპისკოპოსის“ ტიტული არც ერთი საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად არ ჰქონია ბოძებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უწმიდესმა სინოდმა და იმპერატორმა დაადგინეს, რომ ანტონი I მოეხსენებინათ არა კათოლიკოსად, არამედ „ქართლის, კახეთის, ალავერდისა და ზედა იერიის მთავარეპისკოპოსად“. ამ ტიტულის მატარებელს უპირატესობა ჰქონდა საქართველოში მოღვაწე ყველა ეპისკოპოსთან შედარებით და არა – რუსეთში მყოფ მაღალ სამღვდელოებაზე. უწმიდესმა სინოდმა ქართველ მღვდელმთავარს საცხოვრებლად არა პეტერბურგი, არამედ მოსკოვი ურჩია, თუმცა, რუსული ენის არცოდნის გამო, კათოლიკოსს სამი წლის განმავლობაში არ მისცეს ღვთისმსახურების აღვლენის უფლება. დეკანოზ ბუტკევიჩის აზრით, ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა უწმიდესი სინოდისათვის, რათა ქართველი მღვდელმთავრის საკითხი შეესწავლა. როდესაც უწმიდესი სინოდი დარწმუნდა ანტონ I-ის უდანაშაულობაში, 1757 წელს იგი ელადმირის ეპარქიის მღვდელმთავრად განაწესა. ოთხი წლის შემდეგ, ქართველთა თხოვნით, ანტონ I კვლავ დაბრუნდა საქართველოში, როგორც კათოლიკოსი.

ტიმოფეი ბუტკევიჩის აზრით, მნიშვნელოვანი იყო გაერკვიათ, თუ რომელ საეკლესიო კრებაზე განსაჯეს ანტონ I. ქართველი პატრიარქის საკითხს გამოეხმაურა **ივან სოკოლოვი**. მან სხდომაზე მყოფთ ასეთი რამ უამბო: „როდესაც საქართველოში გავრცელდა ცნობა ანტონ I-ის კათოლიკოსობისაკენ გადახრის თაობაზე, მცხეთაში მოინვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც თეიმურაზი და ერეკლე ესწრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოსი უარყოფდა მისთვის ნაყენებულ ბრალდებას, მას მაინც ჩამოართვეს საკათოლიკოსო ტიტული და აუკრძალეს ღვთისმსახურება. 1756 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა საეკლესიო კრება შედგა, სადაც კათოლიკოსი ინანიებდა თავის საქციელს და ითხოვდა ძველი ხარისხისა და ტიტულის დაბრუნებას. ანტონის დაჟინებული თხოვნისა და მონანიების შემდეგ კრებამ მას ღვთისმსახურების უფლება დაუბრუნა. პირველად (იგულისხმება აკრძალვის შემდეგ – ვ. გ.) ანტონ კათოლიკოსმა 1756 წელს წირვა ქ. გორში აღავლინა. მალე, თეიმურაზ მეფის თხოვნით, ანტონ I რუსეთში ჩავიდა, სადაც მან უკვე უწმინდეს სინოდს მიმართა. სინოდმა გადაწყვიტა, ანტონი გამოეცადა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, რისთვისაც მას ქართულ და რუსულ ენებზე მოუწია რწმენის სიმბოლოს – მრწამსის დაწერა. ამით რუსეთის უწმინდესი სინოდი საბოლოოდ დარწმუნდა ანტონის უდანაშაულობაში და ის ელადმირის კათედრაზე განაწესა“.

დეკანოზ ტიმოფეი ბუტკევიჩის აზრით, თავად ანტონ კათოლიკოსი თვლიდა, რომ ცნობა მისი სამღვდელო ხარისხიდან ჩამოქვეითების შესახებ საშინელი ჭორი იყო, რაც წყველას უფრო პგავდა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო მცხეთის საეკლესიო კრების დადგენილების შინაარსის გარკვევა, თუ ეს დადგენილება ნამდვილად არსებობდა.

რუს მეცნიერთან პოლემიკაში უსამღვდელოესი **კირიონი** ჩაერთო. დასაზუსტებელი იყო მრავალი ფაქტი. ქართველი მღვდელმთავრის აზრით, ანტონ I არასდროს ყოფილა სპარსეთში. ამრიგად, ცნობა მისი სპარსეთში გაქცევის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, 1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრების დადგენილება ხელმისაწვდომი იყო იმდენად, რამდენადაც ეს დადგენილება ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა. ქართველმა მღვდელმთავარმა ანტონ I-თვის ღვთისმსახურების აკრძალვის საკითხიც განიხილა და აღნიშნა, რომ საქართველოს კათოლიკოსს წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება მხოლოდ გორში ჰქონდა, მცხეთაში ღვთისმსახურების აღვლენა მას არ შეეძლო. ივან სოკოლოვის მოხსენების მიმართ გარკვეული შენიშვნები გამოთქვა ნიკო მარმაც. მისი აზრით, შეუძლებელი იყო დუმილი ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიც იყო: 1. საგანმანათლებლო ცხოვრება XVIII საუკუნის საქართველოში, 2. საქართველოში საეკლესიო ცხოვრების მოშლა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის შემდეგ. ნიკო მარმა შეაფასა სოკოლოვის მოხსენებაში გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოში მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო და საეკლესიო ცხოვრებაც დაღმავლობას განიცდიდა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ეს საკმაოდ მოძველებული თეორია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ნიკო მარმა საქართველოს ისტორიიდან არაერთი ფაქტი გაიხსენა, რომლებიც საქართველოს სხვა

სახელმწიფოებთან მეგობრობას ადასტურებდა. მან სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით დაასახელა თანამედროვე წყარო, რომელშიც ასახული იყო საქართველოს კავშირი ეგვიპტესთან. როგორც ჩანს, აღნიშნული წყარო 1439 წელს იერუსალიმში სომხურ ენაზე იყო შესრულებული. ქართველი მეცნიერი ვრცლად შეეხო. სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილის, რომელიც საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას ასახავდა. ნიკო მარი აღნიშნავდა: „დიდი სიამოვნებით ვისმენდი ი. ი. სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ასახავდა მუსლიმი ხელისუფლების, თურქებისა და სპარსელების დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიისადმი. მუსლიმებს, რა თქმა უნდა, არ მოუსპიათ საქართველოს ეკლესიის ინსტიტუტი, მაგრამ პოლიტიკურმა ნგრევამ, დამანგრეველმა შემოსევებმა, გაუთავებელმა ომებმა, მათ შორის შინაომებმაც, დიდი დაღი დაასვა საქართველოს ეკლესიის ყოფას. მუსლიმთა სარწმუნოებრივი პროზელიტიზმი საქართველოს ეკლესიას საშინელი გამოცდის წინაშე აყენებდა. საერთოდ, საქართველო სულიერად დაგლახაკებული იყო, მაგრამ რას მონწმობს ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ საქართველოს ეკლესიამ რთული ცხოვრების გზა განვლო... ვიმეორებ, მოხსენების ამ ნაწილს დიდი სიამოვნებით ვისმენდი და მოვისმენდი კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით, რომ ერთნაირად და თანაბრად ყოფილიყო წარმოდგენილი ის, თუ რითი ცოცხლობდნენ მაშინ ადამიანები, რა მოთმინებით საზრდოობდნენ ქართველები, რა აძლევდათ მათ არნახულ სულიერ სიმტკიცესა და გამძლეობას, ვინ იყვნენ ის ქართველები, რომელთა შთამომავლებისგანაც თანამედროვე საქართველოს ეკლესია შედგება? ამით ხომ არ სურთ, დაგვარწმუნონ იმაში, რომ რუსი მეცნიერების პროგრამების შედეგია თელავის სემინარია?".

ნიკო მარი შეეხო ივან სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილსაც, რომელშიც საუბარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებზე იყო (მცხეთის საპატრიარქოსა და ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქოზე – ვ. გ.). იოან ვოსტორგოვი ითხოვდა, რომ გარკვეულიყო, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ ეკლესიას შორის როგორც ძველ, ასევე მომდევნო პერიოდში. ნიკო მარი თვლიდა, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხი იყო და ამაზე სოკოლოვს თავის მოხენებაში პასუხი არ გაუცია. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ეს საკითხი პირველწყაროებზე დაყრდნობით ნაწილობრივ იქნე ჯავახიშვილს ჰქონდა გამოკვლეული. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, ქართველი მეცნიერი თვლიდა, რომ თურქებისა და სპარსელების მუდმივი ჩარევა საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში სრულად აისახებოდა საეკლესიო ყოფაშიც. მიუხედავად ამისა, ქართველი სასულიერო პირები ყოველთვის ცდილობდნენ საეკლესიო წესრიგის დაცვას. ნიკო მარმა მიუთითა იმ მრავალ დოკუმენტზე, რომლებიც ადასტურებდა საეკლესიო საკითხების გადაწყვეტას ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე. რომელიმე საეკლესიო კათედრის გაუქმება ან გაფართოება ყოველთვის მეფისა და კათოლიკოსის ბრძანებით ხდებოდა. მაგალითები მეფის თვითნებური ქმედების თაობაზე ნაკლებად მოიპოვებოდა. ნიკო მარის აზრით, კათოლიკოსების ამგვარი საძრახისი ქმედებების გამოსარკვევად სათანადო დოკუმენტები იყო შესასწავლი.

ივან სოკოლოვის მოხსენებაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი, რომლებსაც ნიკო მარი არ შეხებოდა და თავისი მოსაზრება არ გამოეთქვა. შემდეგი საკითხი, რომელსაც მან ყურადღება მიაქცია, ასევე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ნიკო მარმა მიმოიხილა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XVIII საუკუნეში. მისი აზრით, ყვაოდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის – ეს საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომებზე არასწორად იყო დასმული. საკითხის ასეთი ფორმულირება გამართლებელი არ იყო მაშინ, როდესაც ქართველები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური ბედის რუსეთთან დაკავშირებას და ამით საკუთარი პოლიტიკური თავისუფლების მოსპობისაკენ დგამდნენ ნაბიჯს. **ნიკო მარის** აზრით, ძალიან მარტივი იყო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა ალექსანდრ ტორმასოვი, პაველ ციციანოვი და სხვა გენერლებიც თვლიდნენ, რომ უკვე XVIII საუკუნის საქართველოში ინტელექტუალური და საეკლესიო ცხოვრება აღარ არსებობდა. ნიკო მარი აღნიშნავდა: „არც ერთ ამ ღირსეულ პიროვნებას აზრადაც არ მოსვლია, გამოერკვია XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურული ძეგლები, მათი არსებობა ხომ ფაქტია. სწორედ მათი საშუალებით გაირკვეოდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების რეალური სურათი რუსეთთან შეერთების დროისათვის, ნათელი მოეფინებოდა მის დადებით და უარყოფით მხარეებს". ნიკო მარმა, დროის სიმცირის გამო აღარ ისაუბრა ქართულ სასულიერო მწერლობაზე, განათლების და აღმზრდელობით სისტემებზე, ბიბლიოთეკებზე, გადამწერთა სკოლებსა და საგამომცემლო საქმიანობაზე. იგი შედარებით ვრცლად განათლების საკითხს შეეხო. მეცნიერი საკითხს ასე სვამდა: „შეეფერება კი სრულ რეალობას ი. ი. სოკოლოვის მოხსენებაში აღნიშნული საკითხი სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის მდგომარეო-

ბის შესახებ საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის? პირდაპირ გიპასუხებთ, რომ სავსებით არ შეესაბამება სინამდვილეს ი. ი. სკოლოვის მოხსენების ეს ნაწილი და ამ პასუხის საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხები. როდესაც ი. ი. სოკოლოვმა სულხან-საბა ორბელიანის სახელი ახსენა, შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ეს ეპოქა მიჩნეული იყო ვერცხლის ეპოქად, როდესაც ინერებოდა უფრო მაღალი დონის ლიტერატურული ქმნილებები; დიდი ყურადღება ეთმობოდა თელავის სემინარიას, რომელიც რუსულ ყაიდაზე იყო დაარსებული და სადაც ყვაოდა მთელი რიგი მეცნიერებები, მათ შორის ფილოსოფიაც." ნიკო მარმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ი. ი. სოკოლოვის მოხსენების შემდეგ ისეთი აზრი შეიქმნა, თითქოს ქართველები თელავის სემინარიის დაარსებამდე, XVIII საუკუნის გასულამდე, ფილოსოფიას არ იცნობდნენ, თუმცა საქმე სულ სხვაგვარად იყო. ამ დროისათვის უკვე არსებობდა არისტოტელეს ფილოსოფიური ქმნილებებისა და სხვა ფილოსოფოსთა ნაშრომების ქართული თარგმანები, რომლებიც განათლებული საქრისტიანოსათვის სავალდებულო საგანთა რიცხვში შედიოდა. მოვიხმობთ ერცელ ამონაწერს დიდი მეცნიერის მოხსენებიდან:

„ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ქართული თარგმანების უმეტესობა, თუ მთელი სია არა, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებს მოიცავს. სწორედ ეს თარგმანებია დასტური იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ თელავის სემინარიის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე შეიმჩნეოდა ფილოსოფიური სწავლების აღორძინება. XI-XII საუკუნეებში ქართველები არა მარტო თვითონ ენეოდნენ ფილოსოფიურ მოღვაწეობას, არამედ თავად იყვნენ მონაწილენი ცნობილი ბიზანტიური რენესანსისა, რომელიც იოანე იტალოსისა და მიქაელ ფსელოსის სახელებთან არის დაკავშირებული. ამ ეპოქას ეკუთვნის პროკლე დიადოხოსის, იოანე პეტრინისა და სხვათა თარგმანები. ამ ეპოქიდან შემორჩა იოანე ორბელიანის საინტერესო წერილები, რომლებიც დეტალურად წარმოაჩენენ ფილოსოფიური სწავლების აღორძინების გზას საქართველოში. ამ ცნობებში არაფერია ნათქვამი რუსულ, ლათინურ, პოლონურ თუ სხვა გავლენაზე. ქართული ფილოსოფიის აღორძინება დაკავშირებული იყო XVIII საუკუნეში მიმდინარე გრამატიკულ-ლექსიკურ საქმიანობასთან. შემოვიფარგლები მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანისა და მისი ლექსიკონის დასახელებით... აღარაფერს ვამბობ ქართველ სწავლულთა ხელით შესრულებულ სამუშაოზე, რომლებიც აგროვებდნენ და გამოსაცემად ამზადებდნენ წმიდა წერილის ტექსტებს. ამ ეპოქამ მოგვცა ახალი პაგიოგრაფიული ძეგლები, უძველეს წმიდანთა ცხოვრებების ახალი რედაქციები. XVIII საუკუნეში ჩნდება ახალი ლიტერატურული სახეობა – მოგზაურობები. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არქიეპისკოპოს ტიმოთეს „მოგზაურობა", რომელმაც შემოინახა მრავალი ფასეული საეკლესიო-არქეოლოგიური ცნობა. XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი: საეკლესიო ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით ყველა მწერალი, მეფე იქნებოდა ის თუ სასულიერო პირი, ცდილობდა თხზულებები არა მხოლოდ მარტივი ენით, არამედ სალექსო ფორმითაც შეექმნა. ლექსად ხორციელდებოდა წმიდა წერილის არა მხოლოდ ცალკეული თავების გამოცემა, არამედ მთლიანი ნიგნისაც კი. მეფე თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II და სხვანიც ასეთი შინაარსის მქონე ლექსებით არიან ცნობილნი. მრავალია იმ პოეტთა რიცხვიც, რომლებიც წმიდა წერილის თემაზე წერდნენ. ეს ჟანრი XVIII საუკუნეში დაინერგა და XIX საუკუნეშიც გადავიდა. დავით გურამიშვილმაც ხომ ბიბლიურ თემაზე დანერა არაერთი ლექსი: „ტირილი ღვთისმშობლისა", „ტირილი ადამისა", „სწავლა მოსწაელეთა" და სხვა. ასეთი პოეტების სათვალავი უამრავია. მრავალრიცხოვანია მათი ქმნილებებიც... აღარაფერს ვამბობ იმ მონამეთა „ცხოვრებების" გამოცემაზე, რომელთა რიცხვსაც ვერ მოვთვლით. ქართველებს, თავიანთი ცხოვრების წესით, ლიტერატურის მეშვეობით მუსლიმებში ქრისტიანული ნათლის შეტანა სურდათ. ამგვარად ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ისლამის ქადაგებისათვის საქართველოში. ამ მიზნით ქართველების მიერ სპარსულ ენაზე ითარგმნა „ახალი აღთქმა". ქართველებმა ოსურ ენაზე შექმნეს წმიდა წერილის თარგმანიც. ისლამის გავრცელებას ებრძოდნენ ქართველები საკმაოდ მისაღები და მსუბუქი ლექსის ფორმითაც. ეს საქმე თავის თავზე იტვირთა XVIII საუკუნის ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე იაკობ შემოქმედელმა. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები არცთუ მცირე ძალისხმევით ებრძოდნენ კათოლიკობის პროპაგანდას საქართველოში. იაკობ დუმბაძემ იმდენს მიაღწია, რომ მომძლავრებულ კათოლიკე მისიონერებს გურია და იმერეთი დაატოვებინა. ლათინთა სარწმუნოების წინააღმდეგ იბრძოდა იგი (1724-1735). კათოლიკოსი ბესარიონი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქები, ცნობილი იყო თავისი სამწერლობო საქმიანობით. როგორც ჩანს, 1697 წელს მას უნდა გადმოეწერა ეგვიპტის მონასტრის განანესი. დიდი ალბათობაა იმისა, რომ მას ეკუთვნის ქართველ წმიდანთა ცხოვრების ახალი

რედაქციებიც. არაჩვეულებრივია მისი ნაშრომი „გრდემლი" („Гредили"), რომელშიც ნათლადაა უარყოფილი კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტება. დიდ ინტერესს იწვევს კათოლიკოს ანტონ I-ის შრომებიც, რომელთა მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ კათოლიკოსი მდიდარი ქართული ძეგლებით სარგებლობდა. ნამდვილად გვაქვს დამოუკიდებელი ცნობები იმის თაობაზე, რომ 1770-1780 წლებში ანტონ კათოლიკოსმა მცხეთის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში 7000 ქართულ ხელნაწერს მოუყარა თავი. საერთოდ, როდესაც საქმე ანტონ კათოლიკოსის ცხოვრებას ეხება, იქვე მისი სარწმუნოებრივი სიმყარის თაობაზეც ისმის საკითხი. ასე რჩებოდა შეუმჩნეველი ის ფაქტი, რომ ანტონ კათოლიკოსი თავად იყო სხვა აღმსარებლობის, მათ შორის ლათინურის, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტონ I-ის აპოლოგეტურ-პოლემიკური ტრაქტატი *„მწამს ერთ ღმერთი"*... ერთხელ, ეგზარქოს პაულეს დროს (1882-1887), ნამოიქრა საკითხი კათოლიკეობასთან ბრძოლის თაობაზე. საქმე იმპერატორ ალექსანდრე III-მდეც მივიდა. იმპერატორმა საქმე წმიდა სინოდს გადასცა. ეგზარქოსმა პაულემ კი, ანტონ კათოლიკოსის ტრაქტატის გარდა, ქართულ ენაზე ლათინთა რწმენის წინააღმდეგ არსებულ სხვა ნაშრომს ვერ მიაგნო. ეს ნაშრომი იმ ეპოქაში იყო დაწერილი, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ქართული საეკლესიო მწერლობა რუსულ ლიტერატურასთან შედარებით ღარიბი იყო და რომ საქართველოში ინტელექტუალური ცხოვრების ერთადერთი გამოვლინება რუსულ ყაიდაზე დაარსებული თელავის სემინარია გახლდათ. ეს კიდევ ცოტაა. საქართველოს ეგზარქოსმა კათოლიკოს ანტონის ტრაქტატის გამოსაცემად მატერიალური საშუალება ვერ მოიძია. აი, რა უთხრა ეგზარქოსმა პაულემ გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს: „გააგზავნეთ ეს წიგნი და დაბეჭდეთ ისე, რომ არ შეაწუხოთ სახელმწიფო და არ ითხოვოთ ამისათვის ფული". გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ალექსანდრე ოქროპირიძემ – ვ. გ.) თავისი თანხებით გამოსცა ანტონ I-ის ნაშრომი კარბელაშვილის რედაქციით... რაც შეეხება თელავის სემინარიას. საერთოდ, შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რომ XVIII საუკუნეში ქართველთა გონებრივი ინტერესის ნრე შემოიფარგლებოდა იმ სემინარიის პროგრამით, რომელიც იყო შემუშავებული თანამედროვე რუსულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ქართველები ამ კუთხითაც დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე. ქართველები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მეშვეობით ეზიარებოდნენ ევროპულ განათლებას და რომ რუსეთი უკვე დიდი ხანია სარგებლობდა ევროპული ცივილიზაციის ნაყოფით, რითიც „აკულტურებდა" თავის ცოდნას. ამიტომაც იყო, რომ ქართველები თავდაპირველად დიდი სიხარბით დაეწაფნენ იმ ცოდნას, რომელსაც რუსეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები იძლეოდნენ და შეეცადნენ მათ გადმონერგვას თავიანთ ქვეყანაშიც. ასე რომ, თელავის სემინარიის დაარსებაც ნანილობრივ ამ დაუცხრომელი სურვილის გამოვლინება იყო. ქართველები განსაკუთრებით ჩქარობდნენ, განადგურებისაგან ეხსნათ ნინაპართა სასულიერო ცხოვრების მემკვიდრეობა, აგროვებდნენ და გამოსცემდნენ მათ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ეს იყო საუკეთესო საშუალება შემდგომი განვითარებისათვის. ამ კუთხით დიდი შრომა გასწია თელავის სემინარიის რექტორმა ალექსი მესხიშვილმა (იგულისხმება თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი – დავით რექტორი – ვ. გ.), რომელიც საუკეთესო კალიგრაფოსთა ტრადიციასაც აგრძელებდა. ასე რომ, გონებრივი ინტერესის ნაპერწკალი არ ჩამქრალა XVIII საუკუნის საქართველოში. ეს ნაპერწკალი მხოლოდ საქართველოს საეგზარქოსოს მიერ დაარსებულ სასწავლებლებში დაიშრიტა". ასე დაასრულა თავისი სიტყვა ნიკო მარმა.

განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა საქართველოსა და მისი ეკლესიის ნიაღში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რუს მეცნიერ ივან სოკოლოვს. ცხადი იყო, სოკოლოვი ქართველი სასულიერო პირებისა თუ სწავლულების მოსაზრებას არ იზიარებდა და თავისი შეხედულების დასაბუთებას ასე ცდილობდა: „ჩემს მოსაზრებას ვერ შეარყევს ეპისკოპოს ლეონიდის მითითებები იმის თაობაზე, რომ ათასობით ინგუში და ოსი განანათლეს ქართველმა მისიონერებმა. ეს მოვლენა არაა დადასტურებული და არც საქართველოს ეკლესიის შინაურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ეხება. საღვთისმსახურო წიგნებზე ჩემს მოხსენებაში მრავალია ნათქვამი. უცნაურია იმაზე საუბარი, რომ საეკლესიო გალობა საქართველოში არასოდეს ჩამქრალა. ეპისკოპოს ლეონიდის მტკიცება იმის თაობაზე, რომ თბილისისა და თელავის სემინარების დახურვის შემდეგ ქართველებს ჰქონდათ სკოლა, სადაც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ, ეწინააღმდეგება ანტონ II-ის ოფიციალურ განცხადებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ასეთი სკოლები XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში არ ყოფილა. უსამღვდელოესი ლეონიდის მიერ სახარების კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნული განმარტება იგივეა, რაც ადრე ითქვა ანტონ ვოლინელის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო იმის აღნიშვნას, რომ ანალოგიური

ვითარება იყო რუსეთის ეკლესიაში, საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება ეპისკოპოსს ლეონიდის პათეტიკურ შეკითხვას, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, თუ ამ კითხვაზე პასუხს თავად ორატორისგან მოვისმენდით. შეკითხვა არალოგიკურია და არც ჩემს მოხსენებას უკავშირდება. საბოლოოდ, არც იმას ვამტკიცებ, რომ განათლება საქართველოში სრულად დაეცა. დაწყებითი სკოლები იყო, მაგრამ საშუალო სკოლები არ ყოფილა".

ასეთ პასუხს არ გაუკვირვებია ქართველი მღვდელმთავარი, მაგრამ საინტერესო იყო, თუ რატომ თვლიდა სოკოლოვი დაწყებით სკოლებად ისეთ სასწავლებლებს, რომლებშიც ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ისწავლებოდა. რუსი მეცნიერის აზრით, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობდა. პოლემიკაში ეპისკოპოსი კირიონიც ჩაერთო, რომელმაც აღნიშნა, რომ საშუალო სკოლების არსებობა იმ დროის აქტებში ოფიციალურად იყო დადასტურებული. უსამღვდელოესმა კირიონმა დაასახელა ის სასწავლებლები, რომლებიც იმ დროს ფუნქციონირებდა. ესენი იყო: თელავის, თბილისისა და მცხეთის სემინარიები.

4. *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადება და მიღება.* 1906 წლის 12 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვისა და ვოლინის არქიეპისკოპოსი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი)**. კრებას ესწრებოდნენ: უსამღვდელოესი სტეპანი - მოგილიოვის ეპისკოპოსი; დეკანოზები: იოან ვოსტორგოვი, ტიმოფეი ბუტკევიჩი, ი. ი. კოლოვიჩი; მღვდელი ტ. ვ. კოზლოვსკი; პროფესორიები: ფიოდორ ტიტოვი; ალექსანდრ ბრილიანტოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ალმაზოვი, ილია ბერდნიკოვი, , ნიკოლაი ზაოზერსკი, ნიკოლაი ივანოვსკი, იეან პალმოვი. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე ა. პ. როგოვიჩი და სინოდალური კანცელარიის მმართველი ს. პ. გრიგორიევსკი. სხდომა გაგრძელდა საღამოს 11 საათამდე. ეს იყო ერთადერთი სხდომა, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას არ ესწრებოდა არც ერთი ქართველი მღვდელმთავარი და მეცნიერი.

სხდომაზე მოისმინეს აშკარა ანტიქართული განწყობილების პროფესორის **ალექსანდრ ალმაზოვის** მოხსენება, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კანონიკური კუთხით იყო განხილული. მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა დამსწრეთ შესთავაზა ემსჯელათ ამ მოხსენების თაობაზე. პროფესორ ნიკოლაი ზაოზერსკი არ იზიარებდა ალმაზოვის მოხსენებაში წარმოდგენილ დასკვნებს. პრო ზაოზერსკის მოხსენება ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ რუსი მეცნიერი აშკარად დაუპირისპირდა ანტიქართული განწყობილების რუს სასულიერო პირებსა და მეცნიერებს. ზემოაღნიშნულის გამო პროფესორ ნიკოლაი ზაოზერსკის გამოსვლის ტექსტს თითქმის სრულად წარმოვადგენთ:

„ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე, როგორიც არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, არ მაქვს უფლება, გამოვთქვა მხოლოდ ჩემი ისტორიული მოსაზრება, რომელსაც ექნება ისეთი ღირებულება, როგორსაც ეს მეტად საყურადღებო საკითხი მოითხოვს მისი კანონიკური თვალსაზრისით გაშუქებისათვის.

ჩემი მიზნიდან გამომდინარე, შევეცდები უპირველესად ის საეკლესიო კანონმდებლობა და საეკლესიო-ისტორიული პრაქტიკა მიმოვიხილო, რომელიც ამ საკითხის გადასაწყვეტად არის აუცილებელი. შემდგომში ამ მასალებს გამოვიყენებ იმ მოვლენების შესაფასებლად, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის არის დამახასიათებელი და უხვად არის მოყვანილი დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის, ნ. ი. მარის, ი. ი. სოკოლოვისა და ა. ა. ცაგარლის მოხსენებებში.

მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თავისი დამაარსებლის ჭეშმარიტებისა და სამოციქულო წერილის ერთგული მცველია, ერთობ შემწყნარებლურად ეპყრობა ეკლესიის ცალკეული ნაწილების თავისუფალ ქმედებებს, კერძოდ, ავტოკეფალიის მქონე ეკლესიების მოღვაწეობას, კიცხავს ერთის მეორეზე ბატონობას, ისევე როგორც საერო ხელისუფლების ქედმაღლობას.

სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობას, – ამბობს უსამღვდელოესი ნიკოდიმოსი, რომლებიც ქმნიან ერთიან მსოფლიო ეკლესიას, გააჩნია თავისი საფუძველი როგორც წმიდა წერილში, ასევე ყველაზე ადრინდელ საეკლესიო საკანონმდებლო აქტებში. ეკლესიის დამაარსებელმა თავის მოციქულებს მოუწოდა, ექადაგათ სახარება ყველა ერისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობისა. მოციქულებმაც სხვადასხვა ქვეყანაში დააარსეს ეკლესიები, დაადგინეს მოძღვრები, რომლებსაც უფლება მისცეს, ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობებისათვის შეეთავსებინათ რელიგიური ურთიერთობები. და, ამრიგად, უკვე მოციქულთა სიცოცხლეშივე მოხდა რამდენიმე ეკლესიის

დაარსება სრული დამოუკიდებელი მმართველობით. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებები საკანონმდებლო თანმიმდევრობით ამტკიცებენ ადგილობრივი ეკლესიების კერძო უფლებებს, ტრადიციებსა და დამოუკიდებლობას. იგივე კრებები კანონებზე დაყრდნობით მიუთითებენ იმაზე, თუ რაში ვლინდება ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა. კერძოდ: ა). ერთი ეკლესიის იერარქიული დამოუკიდებლობა მეორე ეკლესიისადმი (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი); ბ) ერთი ეკლესიის იერარქიული უფლებები, უპირატესობა სხვებთან შედარებით (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი და IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონი); გ) ადგილობრივი ეკლესიებისათვის დამახასიათებელია ტრადიციები და ადათ-წესები. თუმცა ადგილობრივ ეკლესიებს, აღიარების მიუხედავად, ნებას არ აძლევენ: ა) ჩამოაყალიბონ სარწმუნოებაში ახალი სწავლებები, ანდა უგულებელყონ საერთო სწავლებები (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი, ტრულის კრების 1-ლი კანონი); ბ) მმართველობისას უარი თქვან მსოფლიო ეკლესიის ძირითად კანონებზე (ტრულის კრების მე-2 კანონი, VII მსოფლიო საეკლესიო კრების 1-ლი კანონი); გ) შემოიტანონ რაიმე სიახლე სწავლებებში, რადგან, რაც დადგინდა მოციქულთა ხანიდან, ის ეკლესიამ საუკუნეთა განმავლობაში შემოინახა (ტრულის კრების მე-13, 28-ე, 29-ე, 32-ე, 55-ე, 56-ე, 81-ე კანონები); დ) დაარღვიონ დანარჩენი ეკლესიების მიმართ არსებული სულიერი ერთობა; ე) ხელყონ სხვა ეკლესიების უფლებები და ტრადიციები.

კერძოდ, უკვე არსებული ადგილობრივი ეკლესიებისათვის ავტოკეფალიის მინიჭებასა და ადგილობრივი ეკლესიიდან იმ ნაწილის გამოყოფას, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელ, თვითმართველ ეკლესიას, კანონიკურ წეს-განგებასა და საეკლესიო-ისტორიულ პრაქტიკაში გააჩნია შემდეგი საფუძვლები:

ა) უძველესი ადათ-წესები;

ბ) ეროვნული და პოლიტიკური განცალკევებები.

კანონიკური კანონმდებლობით, უძველესი ადათ-წესები წარმოადგენენ ადგილობრივი ეკლესიების უპირატესობას, რომელთა ხელყოფაც, სხვა მეზობელი ადგილობრივი ეკლესიების მხრიდან, დაუშვებელია. აღსანიშნავია განწესებაც, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:

ა) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი გადმოგვცემს: „ძველი წესი დაცული იყოს ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში, რათა მათზე ვრცელდებოდეს ალექსანდრიის ეპისკოპოსის ხელისუფლება. მსგავსი ტრადიცია არის რომის ეკლესიაში, ანტიოქიასა და სხვა ეპარქიებშიც (სამთავროებში), იქ დაცულია რომელიმე ეკლესიის უპირატესობა. მხოლოდ უძველესი ტრადიციების დაცვით უნდა მოხდეს აქ მოხსენიებული მღვდელმთავრების უპირატესობის შენარჩუნება.“ კანონში არ არის ნახსენები ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ამ ეკლესიების მოციქულებრივ წარმოშობაზე. ამ კანონის მიხედვით, საკმარისია მხოლოდ უძველესი ადათ-წესები. სხვათა შორის, ეს უპირატესობაც მეტად მნიშვნელოვანია. ამავე საეკლესიო კრების მე-7 კანონი გვატყობინებს, რომ: „რადგან ჩვეულებით დამტკიცებული და უფლისაგან დადგენილია, რომ პატივი მიეგოს ელიის (იერუსალიმის) ეპისკოპოსს, ამიტომ ამ ქალაქს შეურყეველად ჰქონდეს მიტროპოლიტის პატივი“. ამ ტექსტში კანონის არსი ერთობ გაუგებარია. ფაქტია, რომ მიტროპოლიტის ხარისხი (უფლებები) უნდა ჰქონდეს პალესტინის კესარიის ეპისკოპოსს, რომლის შემადგენლობაში შედის იერუსალიმის კათედრაც. მაგრამ ამ უკანასკნელის ეპისკოპოსმა კვლავაც უნდა შეინარჩუნოს ღირსების უპირატესობა. აქ ჩვეულებით დამტკიცებულმა და ზეციდან მოცემულმა ამ ადათ-წესმა უშუალოდ მსოფლიო საეკლესიო კრების განწესებაზეც კი იმოქმედა, გარკვეული უპირატესობაც კი მიიღო, როცა საქმე ეხებოდა მიტროპოლიტის ხელისუფლებას.

ამ კანონების ძალის უფრო ნათლად გარკვევისათვის, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას, თუ როგორი ენერგიულობით ეხებოდა და გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს ამ უძველესი ადათ-წესების შესახებ ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება. საქმე ის იყო, რომ ბერძნულ-რომაული იმპერიის ურთიერთშეთანხმებით მოხდა ადმინისტრაციული ოლქების ახალი გადანაწილება (პრეფექტურები, დიოცეზები და პროვინციები). ეს ყოველივე ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესებისათვის მოხდა. თუმცა კი, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხშირი იყო ადმინისტრაციულ ოლქებად დაყოფაც. ეს კი თანდათანობით ათანაბრებდა რომაელთა მიერ დაპყრობილი ხალხების ეთნოგრაფიულ განსხვავებებს. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრებას ჰქონდა მცდელობა, განეხორციელებინა ახალი ადმინ-. ისტრაციული დაყოფა საეკლესიო მმართველობისათვის. ნიკეის კრებამ დაადგინა ახალი პროვინციული ოლქი-ეპარქია მიტროპოლიტით სათავეში. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი, თავის მხრივ, უფრო ვრცელი ოლქი შექმნა, რომელშიც, რამდენიმე სამიტროპოლიტო-დიოცეზი შევიდა ეგზარქოსით სათავეში. აქვე აღსანიშნავია, რომ

ამ მიმართულებით ეს ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება ძალზე ფრთხილად მოქმედებდა, რათა არანაირად არ მომხდარიყო იმ კათედრების უპირატესობის დარღვევა, რაც მათ დიდი ხნის წინ მოიპოვეს და თავიდანვე ფლობდნენ მას. ასე რომ, ზემონახსენები ბერძნულ-რომაული იმპერიის პოლიტიკური დაყოფა არსადროს ყოფილა საეკლესიო დაყოფასთან სრულ თანხვედრაში. ასეთი ფაქტი იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაშინაც კი ოდითგანვე არსებული თვითმმართველი ეკლესიები თავის უფლებებს ამ ახალი ცენტრალიზებული დაყოფის შემდეგაც ინარჩუნებდნენ. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება გამოირჩეოდა ძველი ადათ-წესებისადმი ღირსეული მოპყრობით და სამომავლოდ ყველას შეახსენებდა, რომ: „დაცული ყოფილიყო ძველი ტრადიციები!“ მომდევნო საეკლესიო კრებებში მონაწილე მამები დიდი სიწმიდით იცავდნენ ამ მცნებებს.

ბ) ამ მიმართებით აღსანიშნავია მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობის შემდეგი ცნობები. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონში ვკითხულობთ: „კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა (რიგინორი, ზენონი და ევაგრე) ეფესოს კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის თაობაზე, რომ კვიპროსზე ანტიოქიის ეპისკოპოსი ხელდასხმას ბედავდა, რაც საეკლესიო წესებსა და წმიდა მამათა კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როდესაც, საეკლესიო კრების განჩინების თანახმად, კვიპროსელ ეპისკოპოსებს თავად, დამოუკიდებლად უნდა ჰქონოდათ თავისივე ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება. ეს წესი უცვლელად დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში. საეკლესიო კანონი გვამცნობს:

„ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავდაპირველადვე და ძველთაგანვე მას არ ემორჩილებოდა და არ იყო მისი წინამორბედი ეპარქიის მმართველთა გამგებლობის ქვეშ, და თუკი ვინმე მიიტაცებს და იძულებით დაიმორჩილებს სხვა ეპარქიას, იგი გადაყენებული უნდა იქნეს, რათა არ მოხდეს მამათა კანონის დარღვევა და მღვდელმთავრებში თავი არ იჩინოს საერო მთავრობისმოყვარეობამ, ამპარტავნებამ და მედიდურობამ. ყველაზე მცირე, არ დავკარგოთ ის თავისუფლება, რომელიც თავისი სისხლით გვიბოძა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და რომელმაც ამ გზით იხსნა ადამიანების მთელი მოდგმა“. ამ კანონების განმარტებისას ბალსამონი ასე ხსნის ანტიოქიის ეპისკოპოსის მცდელობის მოტივებს: „რომის იმპერიიდან დიდი ანტიოქიის გამოყოფამდე რომაელი იმპერატორი აქ აგზავნიდა საკუთარ ხელისუფალს. თავის მხრივ კი, ანტიოქიიდან კუნძულ კვიპროსზე იგზავნებოდა სამხედრო მოხელე, როგორც იმპერატორისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში. ხოლო რაც შეეხება კვიპროსელ ეპისკოპოსებს, მათი ხელდასხმა (ცურთხევა) და მართვა-გამგეობა ადგილზევე ხორციელდებოდა დამოუკიდებლად. როდესაც ანტიოქიის მაშინდელმა ეპისკოპოსმა განიზრახა, განეხორციელებინა ქიროტონია კვიპროსის ეკლესიებში იმ საბაბით, რომ ანტიოქიის მმართველი თავის სამხედრო მოხელეს აგზავნიდა კუნძულზე, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში, მაშინ კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა ყოველივე ეს ეფესოს საეკლესიო კრებას მოახსენეს. კრებამაც, თავის მხრივ, ამ საკითხს ყურადღება მიაქცია და მათი თანდასწრებით დაადგინა: კვიპროსზე ეპისკოპოსები, კანონისა და ყველა უძველესი ტრადიციის დაცვით, დამოუკიდებლად უნდა ხელდასხმულიყვნენ.“ ეს წესი ასევე დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში.

ჩვენ ვხედავთ მოყვანილი კანონის ზუსტ განმარტებას და ამ კერძო შემთხვევაში პირველი და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საეკლესიო დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ კანონებს: როდესაც ანტიოქიის ეპისკოპოსმა კვიპროსის ეკლესიის მიმართ გადაამეტა თავის უფლებებს, კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაიცვეს და ეს მხოლოდ ძველ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით შეძლეს. თავის მხრივ, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამაც ალიარა ეს ერთადერთი საშუალება სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერთხმად დაგმო ანტიოქიის ეპისკოპოსის ქმედების გამამართლებელი მოსაზრება, რომ იგი კვიპროსის მიმართ მხოლოდ სამოქალაქო უპირატესობას ფლობდა. ეს იყო იმ თავისუფლების ხელყოფა, რომელიც თვით უფალ იესო ქრისტესაგან ებოძა ხალხს.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ყველას გასაგონად განაცხადა: ადგილობრივი ეკლესიების თვითმმართველობა, როგორც მართლმადიდებლობის ძირითადი პრინციპი, მომავალშიც უნდა იყოს აღიარებული და დაცული, და თითოეულმა ოლქმა და ეპარქიამ ზუსტად უნდა აღასრულოს ეს უძველესი წეს-ჩვეულებები. ასე რომ, კვიპროსის ეკლესიამ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა ძველი ტრადიციების საფუძველზე.

გ) არანაკლებ საყურადღებოა ერთი ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვის ფაქტი მეორე ადგილობრივი ეკლესიისაგან, რომელიც პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებზე დაყრდნობით მოხდა. თუმცა ამ მოვ-

ლენის ამსახველ ფაქტებს სასამართლო საქმეების სახით ჩვენ ვხედებით კართაგენის კრების მამების ეპისტოლეში რომის პაპ ცელესტინისადმი. დავა ორ ადგილობრივ ეკლესიას ¬- კართაგენსა და რომს შორის წარმოიქმნა შემდეგი მიზეზით: „პიარი, ერთ-ერთი ეპისკოპოსის მღვდელი, რომელიც კართაგენის ეკლესიას ექვემდებარებოდა, არ დაემორჩილა თავისი ეკლესიის განაჩენს და მფარველობისათვის რომის მიერ დადგენილ ეპისკოპოს ზოსიმეს მიმართა, რომელმაც ყურად იღო პიარის თხოვნა და კრებაზე დელეგატები გაგზავნა – ეპისკოპოსი ფავსტინე და მღვდელი ფილიპე - იმ მიზნით, რომ კართაგენის კრებას კვლავ გადაეხედა პიარის საქმისათვის. კართაგენის კრების მამებმა ამჯერად დათმობა ამჯობინეს და რომის ეპისკოპოსის მოთხოვნა აღასრულეს: მისი დელეგატების თანდასწრებით ხელახლა გადაისინჯა პიარის საქმე. საქმის განხილვისას პიარმა აღიარა უმძიმესი დანაშაულებები, რის შემდეგაც მას კრებამ მღვდლობის უფლება საბოლოოდ ჩამოართვა. მართალია, კართაგენში შეკრებილმა მამებმა ეს ერთგვარი დათმობა დაუშვეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მკაცრად და დაწვრილებით განიხილეს რომის ეპისკოპოსის მეორე მოთხოვნაც

გადასინჯულიყო ნიკეის კრების კანონები.

თუკი ჩვენ ვიკითხავთ, თუ რას ემყარებოდნენ კართაგენის კრების მამები, როცა ასე მტკიცედ იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას, პასუხი მხოლოდ ერთია: ძველ ტრადიციებს! კართაგენის კრების მამების სიტყვებში აღსანიშნავია ეკლესიის ტრადიციების ეროვნულობის დასაბუთების მცდელობა, რომლის დაცვაც ყველას დაავალა (უანდერძა) ნიკეის კრებამ. მან თავის დროზე გონივრულად და სამართლიანად აღიარა, რომ როგორი სახის საქმეებიც არ უნდა წამოიჭრას, ისინი უნდა განიხილონ და აღასრულონ ადგილებზე“.

ზემომოტანილი ისტორიული ექსკურსის შემდეგ პროფესორი ნიკოლაი ზაოზერსკი უფრო კონკრეტულ საკითხებს ეხება:

„თუკი ადგილობრივი ეკლესიის ხანდაზმულობა უკვე არსებული ავტოკეფალიისათვის საკმარის კანონიკურ საფუძველს წარმოადგენს, მაშინ ადგილობრივი ეკლესიის გარკვეული ნაწილის ეროვნული ანუ პოლიტიკური გამოცალკევება უკვე ემსახურება ახლადჩამოყალიბებული ეკლესიის გამორჩეულობას. როგორც სლავური, ასევე ჩვენი, მშობლიური ეკლესიის ისტორია გვიდასტურებს, რომ ზუსტად ეს საფუძველი მოქმედებდა, როდესაც მათ ავტოკეფალურობას ადგენდნენ. როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მისიონერები სლავებს შორის ქრისტიანობას ავრცელებდნენ, მათ ყველგან (აქაც და იქაც) დააარსეს საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც, რა თქმა უნდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შევიდა და, თავის მხრივ, პატრიარქიც სრულ დაქვემდებარებაში ამყოფებდა მათ: აკურთხებდა და თუ საჭირო იყო, სჯიდა კიდეც. მაგრამ შემდეგ ეროვნულმა სიძლიერემ, ენითა და ზნე-ჩვეულებით უცხო, თავის სულიერ განმანათლებლებთან და წინამძღვრებთან მძიმე ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, მოამწიფა საეკლესიო თვითმმართველობის იდეა(...). კონსტანტინოპოლელი პატრიარქებიც ჯეროვნად აფასებდნენ ამ განზრახვის კანონიკურობას, რაც თვითმმართველი ეკლესიების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. თუმცაღა, თუკი ზოგჯერ, სინამდვილეში, არცთუ ისე იოლად თმობდნენ თავის საპატრიარქოს უფლებებს ამა თუ იმ ნაწილზე, ეს რაიმე კანონიკური პრინციპიდან კი არ მომდინარეობდა, არამედ, უბრალოდ, არ სურდათ თავიანთი მმართველობის დათმობა(...).

აი, ასეთია კანონიკური და საეკლესიო-ისტორიული საფუძვლები, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას“.

მოხსენების დასასრულს პროფესორმა ნიკოლაი ზაოზერსკიმ უმთავრესი კითხვა დასვა და ამ კითხვაზე პასუხიც თვითონვე გასცა:

„კანონიკურია კი ამჟამინდელი მართლმადიდებელი ქართველების სწრაფვა საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის? საქმე გვაქვს არა ახალი ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებასთან, არამედ უძველესი დამოუკიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა ორი ან სამი, ყველაზე მცირე, შვიდი საუკუნის მანძილზეც კი იყო ავტოკეფალური, კათოლიკოსით სათავეში. მთელი ამ დროის განმავლობაში, ყველანაირი გამოცდის მიუხედავად, იგი თავგამოდებით იცავდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. საქართველოს სამოციქულო ეკლესია გამდიდრდა მშობლიურ ენაზე არსებული წმიდა წერილის, საღვთისმსახურო წიგნების, კანონიკური მწერლობის, წმიდათა ცხოვრების, ბიზანტიური მწერლობის უამრავი თარგმანების საშუალებით. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეროვნული ტრადიციები შეიმუშავა, რომლებიც საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებებს და შიდა მართვის წესებს ეხებოდა, გულმოდგინედ იცავდა თავისი სიწმიდეებისა და კეთილმსახურების გადმოცემებს, რისი მატარებელნიც მათი წმიდა მამები იყვნენ. ეს კი განსაკუთრებული საეკლესიო მდგომარეობაა, ჩამოყალიბებული ეროვნულ ზნე-

ჩვეულებებზე დაყრდნობით, რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ კიდევ უფრო ძლიერ მეტყველებს, ვიდრე მისივე მრავალსაუკუნოვანი წარსული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასწლოვანი დაქვემდებარების განმავლობაში სათავეში ეგზარქოსები ედგნენ. ეგზარქოსები წმიდად და თავგამოდებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ემსახურებოდნენ ენითა და ზნე-ჩეუულებით უცხო ხალხს. აქ არ შევეხებით და არ დაეიწყებთ ეგზარქოსების ნაყოფიერი მსახურების შეფასებას, არამედ დავსვამთ უფრო მნიშვნელოვან კითხვებს: თვითონ თუ იყვნენ ეგზარქოსები კმაყოფილნი საკუთარი მოღუანეობით? დაუახლოვდნენ თუ არა ისინი უცხოტომელ მრევლს? აქვე შეიძლება ამ კითხვის სხვა კუთხითაც დასმა: იყო კი კმაყოფილი ეგზარქოსების მრეველი მათი მოღუანეობით? დადებითი პასუხის გაცემა ამ კითხვებზე მეტად რთულია, რადგან თუკი საქმე კარგად მიდიოდა, მაშინ როგორ შეიძლება აეხსნათ ეგზარქოსების ასეთი ხშირი ცვლა და მათი ისეე რუსეთში დაბრუნება(...).

დაბოლოს, ქართველებისა და რუსების ეროვნული განსხვავებულობა მეტად ხელის შემშლელია იმისათვის, რომ 5-6 წლის განმავლობაში რუს ეპისკოპოსს შეძლებოდა ქართველ მრეველთან დაახლოება. საქართველოს ეკლესიის ასწლოვანი დამოკიდებულება რუსეთის ეკლესიისადმი არასოდეს დამთავრებულა თანხმობით. საეკლესიო მშვიდობის სახელით ნარმატება მოპყუებოდა შემდეგ ნაბიჯს – რუსეთის ეკლესიას უარი რომ ეთქვა დედობრივი მეურუეობის აღსრულებაზე საქართველოს ეკლესიის მიმართ, ამასთანაეე, მისთვის დაებრუნებინა თვითმმართველობის უფლება, როგორსაც ფლობდნენ სხვა ადგილობრივი ეკლესიები და კანონიკურად სარგებლობდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში..." ასე დაასრულა თავისი სიტყვა რუსმა პროფესორმა ნიკოლაი ზაოზერსკიმ.

სხდომაზე მყოფთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყო: პროფესორი ალექსანდრ ალმაზოვი პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 და მე-7 კანონების დამოწმებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არამართებულად მიიჩნეედა, რადგანაც თელიდა, რომ ამ კანონების ბერძნული ტექსტი სხვაგვარად იკითხებოდა. პროფესორმა ნიკოლაი ზაოზერსკიმ სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ იგი საეკლესიო კანონებს მხოლოდ ბერძნულ ენაზე კითხულობდა, ამიტომ შეცდომა გამორიცხული იყო. პროფესორ ალმაზოვს სხვა შენიშვნებიც ჰქონდა კოლეგის მოხსენების მიმართ. კერძოდ, იგი თელიდა, რომ ეკლესიაში ტრადიციებს ორ კატეგორიად ყოფდნენ, რაც მათი მოქმედების ხანგრძლივობით იყო გამონეეული. პირეელი კატეგორიის ტრადიციებს მიეკუთვნებოდა ის წეს-ჩეულებები, რომლებიც ქრისტიანობასთან ერთად გაჩნდა, ხოლო მეორე კატეგორიას – ისინი, რომლებიც შედარებით გვიან პერიოდში ჩამოყალიბდა. პროფესორი ალმაზოვი თელიდა, რომ ზაოზერსკის მიერ მსგაესი მაგალითის დასახელება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაჭრის დროს არასწორი იყო, რადგან თავდაპირეელი წეს-ჩეულებები საქართველოს ეკლესიას არ გააჩნდა. პროფესორ ალმაზოვის აზრით, არანაირი რელიგიურ-ზნეობრივი პრინციპი არ გააჩნდა იმ გადმოცემასაც, რომელიც საქართველოში ანდრია პირეელწოდებულის შემოსვლას ეხებოდა, რომლის დასაბუთებაც, რუსი მეცნიერის აზრით, არავის შეეძლო. ალექსანდრ ალმაზოვს მიაჩნდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვება ყოველთვის დამოკიდებული იყო მოსახლეობის პოლიტიკურ მზადყოფნაზე. რუსი მეცნიერების პოლემიკაში თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი პროფესორი ი. ს. პალმოვიც ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ პრინციპებსაც. აქედან პირეელი, ე. ი. პოლიტიკური პრინციპი, ისტორიაში უფრო მეტად იყო მიღებული და გამართლებული.

დისკუსიაში პროფესორმა **ივან სოკოლოვმაც** მიიღო მონაწილეობა. სოკოლოვმა თავისი შეხედულება, თუ რატომ უნდა ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ასე ჩამოაყალიბა:

„სრულიად ეეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ XI საუკუნემდე საქართველოს ეკლესია არ ფლობდა სრულ კანონიკურ ავტოკეფალიას. ეს ეკლესია IV საუკუნეში აღმოცენდა, ხოლო სრული ავტოკეფალია საბოლოოდ XI საუკუნეში მიიღო, რასაც ბალსამონიც ადასტურებს. ვერ დაეეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია შემთხვეევით მიიღო. ჩვენს კრებებზე დეტალურად დადასტურდა, რომ ქეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყოველთვის წინ უძღვის ეკლესიის ავტოკეფალიას. საქართველოშიც ზუსტად ასე მოხდა. კანონიკური ავტოკეფალიის მინიჭებისთანავე (ე. ი. XI საუკუნეში) საქართველომ არა მარტო დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, არამედ ხელსაყრელი პირობები გაუჩნდა ეკლესიური ცხოვრებისათვის. ჯერ კიდეე IX საუკუნეში საქართველოს ეკლესიას თავისი წინამძღოლის თავისუფლად არჩეევის უფლება

პქონდა, ხოლო უკვე XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა, კათოლიკოსმა, მიიღო დე ფაქტო მართვისა და სამართლის უმაღლესი უფლებები. იგი, ამასთანავე, თავმჯდომარეობდა საეკლესიო კრებებს. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ბევრ მღვდელმთავარზეც. უდაოა, დე ფაქტო საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური გაცილებით უფრო ადრე იყო, ვიდრე XI საუკუნეში თავის დამოუკიდებლობას კანონიკურად მიიღებდა. საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მისი ავტოკეფალურობა არ იყო შემთხვევითი. ამასთანავე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩემი აზრით, იყო სრული, მსგავსადვე სხვა ეკლესიების ავტოკეფალიისა(...) სხვათა შორის, ეს მტკიცდება XIV საუკუნეში იერიის კათოლიკოსისადმი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართვის ფორმულირებით. ბიზანტიელი მწერალი კოდინი გვამცნობს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლების ტიტულატურებს, რომლებთანაც ბიზანტიის საპატრიარქოს, საეკლესიო საქმეებიდან გამომდინარე, ურთიერთობა პქონდა. მათ რიცხვში მითითებული იყო იერიის ეკლესიის წინამძღოლიც, რომლის ტიტულიც, ბიზანტიური ტრადიციით, ოფიციალურად შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „უნეტარესი მთავარეპისკოპოსი, სრულიად იერიის კათოლიკოსი, სული წმიდით საყვარელი ძმა და თანამოლვაწე ჩვენი საქმისა". მიმაჩნია, რომ ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლებს შორის საქართველოს კათოლიკოსის მოხსენიება მის თანასწორ უფლებას ადასტურებს".

ალექსანდრ ალმაზოვმა, რომელიც ამ სხდომაზე თავგამოდებით ებრძოდა ქართველ სამღვდელოებასა და მეცნიერებს, თავისი შეხედულება გამოთქვა კათოლიკოსის უფლებების შესახებ: „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წარმოშობასთან დაკავშირებით კვლავ ძველ შეხედულებაზე ვრჩები, ხოლო რაც შეეხება კათოლიკოსის უფლებათა გავრცელებას, ვიზიარებ ფორმალურ თვალსაზრისს(...). როდესაც ვსაუბრობ საქართველოს ეკლესიის არასრულ ავტოკეფალიაზე, აქ ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ეკლესიაში ანტიოქიის პატრიარქზე ლოცვა არასოდეს შეწყვეტილა. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავს. ანტიოქიის პატრიარქის მორალურ-ზნეობრივი ავტორიტეტის აღიარება უკვე ადასტურებს საქართველოს ეკლესიის მასზე დამოკიდებულების ფაქტს. რაც შეეხება ტიტულის ფორმულირებას, ეს თაეისთავად არაფერს ნიშნავს, ეს ჩვეულებრივი პატივისცემის გამოვლინებაა, რომელსაც სხვა მიმდინარეობის ეკლესიებშიც ეხვდებით"

აღნიშნულმა საკითხმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საკმაოდ მწვავე კამათი გამოიწვია. რუსი მეცნიერები და სასულიერო პირები საკუთარი შეხედულებების დაცვასა და დამკვიდრებას ცდილობდნენ. პროფესორმა ალექსანდრ ბრილიანტოვმა სცადა გაებათილებინა ქართველი ეპისკოპოსებისა და მეცნიერების არგუმენტები. მან თავისი მოსაზრება საკმაოდ ვრცლად ნარმოადგინა: „ვფიქრობ, ზოგადად თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება ძალდატანებით(...). ისტორიისათვის აუცილებელია განმარტების მიცემა(...), უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას, აუცილებელია, ეკლესიის კეთილდღეობიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ დადგენილებით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შემთხვევაში, შესაძლებელია ითქვას, რომ თუკი ქართველებს მომავალში ექნებათ ავტოკეფალია, ის არა მარტო შეუსაბამო იქნება საეკლესიო მოთხოვნებთან, არამედ ზიანის მოტანაც შეეძლება და სწორედ ამიტომ მისი გაუქმებაც გამართლებული იყო. სხვა მხრივ, თუკი ისტორიული მონაცემებით გამოვლინდება, რომ ავტოკეფალია არასდროს პქონია მინიჭებული, მაგრამ ეკლესიის კეთილდღეობისათვის აუცილებლობას ნარმოადგენს, მაშინ იგი უნდა შემოვიღოთ".

პროფესორი ი. ს. პალმოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხო და განაცხადა: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ჯერჯერობით უამრავ გაურკვეველობას შეიცავს. პროფ. ნ. ი. მარმა არაერთხელ მოინდომა ამ ფაქტის მეცნიერულად შესწავლა. არადა, არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ საქართველოს ეკლესია თავიდანვე ნამდვილად იყო ანტიოქიისაგან დამოუკიდებელი, ისევე როგორც ასურულ-სპარსული ეკლესიაც თავისუფალი იყო, როგორც ეს ვ. ვ. ბოლოტოვის გამოკვლევებით დადგინდა. მაგრამ შემდეგ შეითხზა ლეგენდები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის ურთიერთობებს. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო საქართველოს ეკლესიის შემთხვევაშიც, თუმცა აქ, სხვა მხრივ, შესაძლოა, ანტიოქიასთან სინამდვილეში მეტ-ნაკლებად ახლო ურთიერთობა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ავტოკეფალია შემდგომში უთუოდ გადაეცათ მათ ამა თუ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით."

პროფესორმა ი. ს. პალმოვმა ისარგებლა იმ ფაქტით, რომ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონი-

დი, ასევე ქართველი მეცნიერები სხდომას არ ესწრებოდნენ და განაცხადა:

„სამწუხაროდ, თვითონ ქართველები, რომლებიც ავტოკეფალიას ითხოვდნენ, დღეს ჩვენ გვერდით არ არიან და თუკი ისინი აქ იქნებოდნენ, სასურველი იყო მათგან პირადად მოგვესმინა, თუ როგორი ურთიერთობა სურთ ავტოკეფალიის მიღების შემდეგ რუსეთის ეკლესიასა და სახელმწიფოსთან, როგორი სახისაა მათი პროექტი და რატომ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სრული გამოცალკევებით".

ამ კითხვით დაასრულა რუსმა მეცნიერმა თავისი გამოსვლა. რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომის თავმჯდომარე გამოეხმაურა კოლეგის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ქართველებს მართლაც ჰქონდათ შედგენილი ავტოკეფალიის აღდგენის პროექტი(გულისხმობდა ქართველი სამღვდელოების კრების მიერ 1905 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი" – ვ. გ.) და მცირედითაც კი არ კმაყოფილდებოდნენ. პროფესორმა ალექსანდრ ბრილიანტოვმა სხდომაზე მყოფთ კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველების მოთხოვნა, მაგრამ რატომღაც ჩათვალა, რომ ქართველმა სასულიერო პირებმა თავიანთი მოთხოვნა მხოლოდ ზოგადი ფორმით წარმოადგინეს და არ განმარტეს, თუ როგორ მოიქცეოდნენ მომავალში. აშკარა იყო, რომ რუსი სულიერ პირებისათვის და მეცნიერებისათვის ქართველი მეცნიერებისა და სამღვდელოების დამაჯერებელი არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა.

1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა. 1906 წლის 13 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების ნინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვის არქიეპისკოპოსი **ნიკანდრი** (ნიკოლაი **ფეონომენოვი**). კრებას ესწრებოდნენ: მოგილიოვის ეპისკოპოსი **სტეფანი**; დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკეევი**ჩი, **იოან ვოსტორგოვი**; პროფესორები: **ფიოდორ ტიტოვი**, **ილია ბერდნიკოვი**, **ალექსანდრ ალმაზოვი**, **ნიკოლაი გლუბოკოვსკი**, **ალექსანდრ ბრილიანტოვი**, **იოან სოკოლოვი**, **ი. ი. კოპალოვი**ჩი. სხდომას ასევე ესწრებოდა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი და უწმიდესი სინოდის კანცელარიის წარმომადგენელი, სამოქალაქო მრჩეველი ვ. ფ. ტრელინი.

სხდომა გაიხსნა დეკანოზ იოან ვოსტორგოვის მოხსენებით: **„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა"**, რომელშიც ნანიმასწარმეტყველევი იყო: 1. ყველა ის შესაძლო პრაქტიკული შედეგი, რომლებიც მოჰყვებოდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას; 2. კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის შესაძლო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ მიანიჭებდნენ. ამ მოხსენების თაობაზე შენიშვნები გამოთქვეს რუსმა მეცნიერებმა. ვოსტორგოვი კი ჯეროვნად იმეორებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მოისმინეს კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის ორი პროექტი. არქიეპისკოპოს **ნიკანდრის** აზრით, სჯობდა, მეორე პროექტზე შეეჩერებინათ არჩევანი, რადგან ეს პროექტი მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა ქართველების ეროვნულ მისწრაფებებს. ასევე შესაძლო იყო, ქართველები პირველ პროექტსაც შეჰგუებოდნენ, თუკი ეგზარქოსი ქართველი იქნებოდა და არა რუსი. პროფესორი ნიკოლაი გლუბოკოვსკი თვლიდა, რომ ამ საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა მოჰკიდებოდნენ, რადგან კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის პროექტები თავისთავად გულისხმობდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი კონკურენტი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის არსებობას. გლუბოკოვსკის აზრით, საქმე შეიძლება „ეკლესიის აღრევამდეც" კი მისულიყო, თუმცა ისიც ამ ორი პროექტიდან მაინც მეორეს ანიჭებდა უპირატესობას. არსებული საკითხის ირგვლივ გაიმართა მცირე კამათი. დისკუსიის დასრულების შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა სამოქალაქო მრჩეველ ვ. ფ. ტრელინს, წაეკითხა მოხსენება, რომელიც კავკასიის ახალმოსახლეების გაჭირვებასა და საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში ხალხის ტომობრივ და სარწმუნოებრივ დაყოფას ეხებოდა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კავკასიაში რუსების შევიწროებას ბოლო არ უჩანდა. ცხადია, ტრელინის მოხსენება თავიდან ბოლომდე არარსებულ ფაქტებს ემყარებოდა, მაგრამ იმჟამად მათი შემოწმება შეუძლებელი იყო.

პროფესორი ი. ს. პალმოვი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იმ შინაარსითა და ფორმით აღდგენა, რაც ადგილი ჰქონდა 1811 წლისათვის.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა იყო უკანასკნელი, რომელზეც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე,

წარმოვადგენთ რუსი მეცნიერების საბოლოო შეხედულებებს.

პროფესორმა **ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ** აღნიშნა: „მე არ ვარ სხვადასხვა სახის მცირე ავტონომიურობისა და დანაწევრებული აეტოკეფალურობის მომხრე. ყოველივე ამის შემდეგ სრულებით არ ვდგავარ „ორგანულ მტკიცებულებაზე" საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სანაცვლოდ. პირიქით, მთელი გულმოდგინებით ვუშვებ, რომ ახალ საეკლესიო ავტოკეფალიას შეუძლია სრული კანონიერების დაცვით აღმოცენდეს და დამყარდეს იქაც კი, სადაც ის ადრე არასდროს ყოფილა, როგორც ეს მოხდა უახლოეს წარსულში (XIX საუკუნის 60-იან წლებში) ავსტრია-უნგრეთში, როცა ლვოვაცკის ეპარქიას გამოეყო გერმანშტადტის (სიბონის) რუმინული ეკლესია. ეს ფაქტი მართებული იქნება მართლმადიდებლური საქართველოს ეკლესიისათვისაც. თუკი იგი საერთო წევრია აღმოსავლეთის რუსეთის ეკლესიისა, მაშინ ამ უკანასკნელის უშუალო ინტერესი იმაზეა დამყარებული, რომ მისი ყველა ნაწილი სრულფასოვანი იყოს. სხვაგვარად, ერთი შემადგენელი ელემენტის ავადმყოფობასა და დაბეჩავებას შეუძლია დამღუპველი სენით მთელი ორგანიზმის დაავადება(...)".

პროფესორების ი. ს. პალმოვისა და ნ. ნ. გლუბოკოვსკის საბოლოო შეხედულებების მოსმენის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგ საკითხს: სხდომამ მიიღოს პირველი თუ მეორე პროექტი? პირველი პროექტის შესახებ აზრი გამოთქვეს დეკანოზებმა: **ტიმოფეი შუტკევიჩმა, იოან ეოსტორგოვმა** და პროფესორმა **ალექსანდრ ალმაზოვმა**, მეორე პროექტის თაობაზე კი – სხდომის დანარჩენმა წევრებმა. უმრავლესობის გადაწყვეტილებით სხდომამ მიიღო მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიაში ორი სამიტროპოლიტოს დაარსებას.

აქვე წარმოვადგენთ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების მიერ შემუშავებულ ორიენ პროექტს:

კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის I პროექტი (საეგ ზარქოსო შენარჩუნებულია)

ქართული ეპარქიების მთავარი საჭიროება, რომელიც მითითებულია ქართველი ეპისკოპოსების პეტიციებში, დაკმაყოფილებულია წმიდა სინოდის ა. წ. (1906 წლის – ე. გ.) 6 აგვისტოს ცნობილი განკარგულებით. ამავე განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, ისლა დაგვრჩენია, ეგ ზარქოსების წარდგინებას დაველოდოთ, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოს ეპარქიების ეპისკოპოსებთან შეთანხმებით მოხდება.

გარდაქმნის განხორციელებისათვის საჭირო ნაბიჯები ასეა წარმოდგენილი:

სოხუმის ეპარქია, უწმიდესი სინოდის მიერ ორჯერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოეყოფა საეგ ზარქოსის (საქართველოს საეგ ზარქოსის – ე. გ.) შემდეგ კი უწმიდესი სინოდი გადაწყვეტს, მიანიჭებს თუ არა მას დამოუკიდებლობას, ანდა შეუთავსებს თუ არა მეზობელი სტავროპოლის, ან სულაც ეკატერინოდარის ეპარქიას, თუკი იქ იქნება დამოუკიდებელი სამღვდელმთავრო კათედრა.

ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოხუმის ეპარქიის სამხრეთით არსებული მეგრული სამრეველოები გადაეცემა სამეგრელოს ეპარქიას. სამეგრელოს ეპარქიას შეუერთდება ასევე ის სვანური სამრეველოებიც, რომლებიც მას მდინარე ენგურით ადვილად უკავშირდებიან.

ქალაქი ბათუმი სოხუმის ეპარქიის გამგებლობაში იქნება. საქართველოს ეპარქიის ის სამრეველოები, რომლებიც განლაგებულია სამხედრო გზაზე გუდაურის უღელტეხილის (გადასასვლელის) ჩრდილოეთით (ესენი უფრო ოსური სამრეველოებია), გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უფრო ელადიკავკაზის ეპარქიას უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ეპარქიას მიეთვლება ოსური სამრეველოები ზგუბისას უღელტეხილიდან ჯავის ხეობამდე.

გურია მიიღებს ან განსაკუთრებული საეპისკოპოსოს სტატუსს, ანდა მიუერთდება იმერეთის საეპისკოპოსოს, თუკი გამოინახება საშუალება, ის შეიძლება საქორეპისკოპოსოდ გადაკეთდეს.

თბილისის გუბერნია გადაიქცევა განსაკუთრებულ სამღვდელმთავროდ, რომელსაც სათაუეში მთავარეპისკოპოსი (ეროვნებით ქართველი) ეყოლება. მისი კათედრა მცხეთაში იქნება, ხოლო მონაცვლე სამყოფელი კი თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, იმავე სახით, როგორიც ეს ადრევე ქართველი კათოლიკოსების დროს იყო.

ეპისკოპოსები მოიხსენებიან არა იმ კუთხის მაცხოვრებელი ხალხის სახელით, სადაც ისინი მოღვაწეობენ, არამედ მათი მოხსენიება მოხდება საკათედრო ქალაქის სახელის მიხედვით. ამასთანავე, ექნებათ სრული ტიტულატურა, ისეთი შემოკლებული კი არა, როგორითაც ახლა ეპისკოპოს (ქორეპისკოპოსს) მოიხსენიებენ.

არაქართველი მოსახლეობისათვის საეგ ზარქოსოს საზღვრებში დგინდება რუსული ეპარქია, რომელშიც შევა: ქალაქი თბილისი მთელი თავისი სამრეველოებით, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ერევნის, ბაქოსა და ელიზა-

ვეტპოლის გუბერნიები.

ის მიზეზები, რომელთა გამოც საეგზარქოსოს რუსი სასულიერო პირებისათვის აუცილებლად უნდა დაარსდეს მსგავსი ეპარქია, მოცემულია ქვემოთ ჩანაწერებში.

რუსული ეპარქიის სათავეში დგას მიტროპოლიტი, იგი ასევე უწმიდესი სინოდის (რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის – ვ. გ.) ეგზარქოსია. ეპარქიის კათედრალური ტაძარი თბილისის სიონია. მის განკარგულებაშია ამჟამინდელი საეგზარქოსოს სახლიც. სიონის ტაძრიდან ანჩისხატის ტაძარში უნდა გადააბრძანონ წმიდა ნინოს ჯვარი.

საეგზარქოსო დააფუძნებს სამიტროპოლიტო ოლქს იმავე უფლებებით, როგორიც რუსეთში იმავე სახის ოლქებს გააჩნიათ, მხოლოდ მცირე სხვაობით, რომ: ა) მიტროპოლიტი ადგილზე კი არ ირჩევა, არამედ მას უწმიდესი სინოდი ნიშნავს; ბ) ეპისკოპოსები მას თავის წარდგინებებს ასლების სახით გადასცემენ, რომლებიც თავის დროზე უწმიდეს სინოდში გადააგ ზავნეს. ეგზარქოსს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ, გააკეთოს თავისი დასკვნები და ასევე გააგ ზავნოს უწმიდეს სინოდში.

სინოდალური კანტორა (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა – ვ. გ.) უქმდება.

ეპარქიების მართვა ხორციელდება ზუსტად იმავე საფუძვლებით, როგორებიც მიღებულია რუსული სამიტროპოლიტოების შემადგენლობაში შემავალი ეპარქიებისათვის.

ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული უფლებების მქონე საეპისკოპოსოები: რუსული – ბაქოში, ბერძნული – ყარსში, აფხაზური – აფხაზეთში, ოსური – ახალგორში. მასვე შეუერთდება 30 ოსური სამრევლო ვლადიკავკაზის ეპარქიიდან. სამიტროპოლიტოს მხარეს განსაკუთრებული უფლებებით შეიძლება შეუერთდეს ურმიის (სპარსეთის) ეპარქიაც.

ახალი რუსული ეპარქიის დაარსებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო რაღაც განსაკუთრებული თანხები. მისი ნაწილი, რომელიც ამჟამადაა გამოყოფილი სინოდალური კანტორისათვის, შესაძლებელია, ჩაირიცხოს ახალი ეპარქიის მმართველობის შესანახად.

იმ თანხებით, რომლებიც გამოყოფილია სამხედრო სასწავლებლების საბჭოსა და საეკლესიო სკოლების მეთვალყურეების შენახვისათვის, დაკმაყოფილდეს რუსული ეპარქიის საეკლესიო-სასკოლო ადმინისტრაცია.

თბილისში, შესაძლებელია, არსებობდეს ორი სასულიერო სემინარია. ახალ შენობაში განთავსდება არაქართველი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სემინარია (რუსული ეპარქიის) და აქვე განთავსდება დროებით, სპეციალური შენობის გამართვამდე, სასულიერო სასწავლებლებიც რუსული ეპარქიის სასულიერო პირთა შვილებისათვის. აქ მომსახურე პირთათვის შტატები გადმოვა გორისა და თელავის სასწავლებლებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი დაიხურება. ძველ შენობაში დარჩება ქართველებისათვის განკუთვნილი სემინარია. ქართველებსავე რჩებათ თბილისის სასულიერო სასწავლებელიც. ქართული სემინარიის შენახვისათვის გამოყენებული იქნება საქართველოს ეკლესიის სახაზინო თანხები. რაც შეეხება არაქართველი მოსახლეობისათვის გახსნილ სემინარიას, იგი იმ სახელმწიფო თანხებს გამოიყენებს, რომლებიც ამჟამად ქუთაისისა და თბილისის სემინარიებისათვისაა გამოყოფილი.

ქართველი სასულიერო პირების შვილებისათვის განკუთვნილი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის მოწყობის პროექტი შეიძლება დამტკიცდეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ გამართულ თათბირზე, რომელსაც ეგზარქოსი უხელმძღვანელებს. თათბირის ბოლოს კი კრების გადაწყვეტილება უწმიდეს სინოდს წარედგინება.

რუსულენოვანი სასწავლო დაწესებულება რუსეთში მიღებულ საერთო წესებს იყენებს.

საქართველოს (ქართლისა და კახეთის – ვ. გ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს უშუალოდ უნდა დაეკალოთ და მოვალეობად დაეკისროთ ის, რომ არაქართულენოვანი სამრევლოებისათვის დანიშნონ მათიეე თანამემამულე მღვდელმსახურები: რუსულში – რუსი, ბერძნულში – ბერძენი და ა. შ.

ქართველი მღვდელმთავრები ვალდებულნი არიან, ფლობდნენ რუსულ ენას. რუსული ენა უნდა იცოდნენ აგრეთვე საეპარქიო სამმართველოს წევრებმა, საერო მოხელეებმა, მთავარეპისკოპოსისა და საეპარქიო სამმართველოს მომსახურე პერსონალმა, სასულიერო-სასწავლო დაწესებულების გამგეებმა და მომსახურე პერსონალმა, საეპარქიო და სამაზრო მნიშვნელობის საეკლესიო სკოლების ზედამხედველებმა, მეორე ხარისხისა და ორკლასიანი საეკლესიო სკოლების გამგეებმა და ყველა სახის საეკლესიო სკოლების მასწავლებლებმა. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების მასწაულებლების გარდა, ყველანი უნდა ფლობდნენ რუსულ ენას.

„კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის II პროექტი

(საეგზარქოსო გაუქმებულია)

სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ორი სამიტროპოლიტო ოლქი ფუძნდება, რომელთაგან ერთი უშუალოდ ქართულია. მის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს (ქართლისა და კახეთის– ვ. გ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები. გარდა ამისა, მათ მიეკუთვნებათ ის მეგრული სამრევლოებიც, რომლებიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. ქალაქი ბათუმი გადაეცემა სოხუმის ეპარქიას და თავისთავად გამოეყოფა ქართულ სამიტროპოლიტოს. ჩრდილოეთში მდებარე სამრევლოები ჯავის ხეობიდან და გუდაურის უღელტეხილიდან მიეთვლება ვლადიკავკაზის ეპარქიას. ქართული ეპარქიის მღვდელმთავარს მიენიჭება მიტროპოლიტის ტიტული. სამიტროპოლიტო კათედრა მცხეთაში განთავსდება, ხოლო მისი მონაცელე სამყოფელი კი თბილისის ანჩისხატის ტაძარი იქნება.

ამ სამიტროპოლიტო მხარის შიდა მოწყობა უნდა ემთხვეოდეს რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეების (ოლქების – ვ. გ.) მოწყობას. ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსებს აირჩევენ სამიტროპოლიტო კრებისა და უწმიდესი სინოდის მიერ დადგენილი დროისა და წესის გათვალისწინებით.

სამიტროპოლიტო კრება ყოველ იმერეთის კათედრაზე სამთავარეპისკოპოსო ხარისხში აყვანისა და გურიის საეპისკოპოსოს მასთან შემდგომი ურთიერთობის საკითხს, ასევე სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისა და სამიტროპოლიტოს შიდა მოწყობის ყველა საკითხს.

სამიტროპოლიტო მხარის ეპისკოპოსებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნები:

ეპისკოპოსი უნდა გამოირჩეოდეს სათანადო და აუცილებელი საღვთისმეტყველო განათლებით. მან ასევე უნდა იცოდეს სახელმწიფო (რუსული) ენა. იგი ვალდებულია, არაქართულ სამრევლოებში მღვდელმსახურებად მრევლის თანამემამულე პირები დაადგინოს, არ დააწესოს ქართული ენა ეკლესიასა და სკოლაში.

რუსული ენის ცოდნა სავალდებულოა საეპარქიო მმართველობის წევრებისა და მოხელეებისათვის, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების გამგეებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის, ორკლასიანი და მეორე ხარისხის სკოლებისათვის, ყველა საეკლესიო სკოლის პედაგოგისათვის, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების პედაგოგების გარდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის ძველი შენობა გადაეცემათ ქართველებს ახალი სასულიერო სემინარიის გასახსნელად. ამასთანავე, მისი რჩენა (შენახვა) მოხდება იმ თანხებით, რომლებსაც ამჟამად საქართველოს სასულიერო ხაზინა გასცემს თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. რაიმე სახის საჩივრისა და, საერთოდ, მნიშვნელოვანი საქმეების გადასაჭრელად სრულიად რუსეთის უწმიდეს სინოდს უფლება აქვს, საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქში, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, რევიზიისათვის გაგზავნოს განსაკუთრებულად უფლებამოსილი ეგზარქოსი საქმის წარმოებისა და საჩივრის გადასაწყვეტად.

რუსეთის ეკლესიის ღირსებისათვის, ასევე არაქართული მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ინტერესებისათვის, განსაკუთრებით კი რუსი ხალხისათვის ქართული სამიტროპოლიტო მხარის გეგრდით ამიერკავკასიაში უნდა დაფუძნდეს რუსული სამიტროპოლიტო ოლქი (მხარე). მოტივები (მიზეზები), რის მიხედვითაც არის მოთხოვნა რუსული ეპარქიის დაარსებისა, მოცემულია აქვე მოყვანილ ამიერკავკასიაში მოღვაწე რუსი საეკლესიო პირების ჩანაწერებში.

რუსული სამიტროპოლიტო მხარის სათავეში მიტროპოლიტი დგას. მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, ხოლო საკათედრო ტაძარია სიონი. ამიტომაც წმ. ნინოს ჯვარი შეიძლება გადავიტანოთ ანჩისხატის ტაძარში. სამიტროპოლიტოებს ეკუთვნით შემდეგი ეპარქიები: ქ. თბილისი, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ყარსის ოლქი, ერევნის, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიები. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბაქოში აუცილებლად დაარსდება განსაკუთრებული საეპისკოპოსო, ისევითვე, როგორიც ყარსშია. რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეში შედის სოხუმის ეპარქია ქ. ბათუმით, ვლადიკავკაზის ეპარქია, ტაშკენტის ეპარქია (კასპიისპირეთის ოლქი 1901 წლამდე შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში), ასევე განსაკუთრებული უფლებებით ურმიის (სპარსეთის) საეპისკოპოსო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (რუსული) სამიტროპოლიტო მხარის მიტროპოლიტები დასავლეთ ამიერკავკასიის (ქართული) მხარის მიტროპოლიტებთან ერთად ღვთისმსახურების დროს დაიკავებენ საპატიო ადგილს ხელდასხმულთა შორის.

რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეს გააჩნია სემინარია თბილისში (ახალი შენობა). მას ინახავენ იმ სახელმწიფო თანხებით, რომლებიც გამოყოფილია თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. შესაბამისი შენობის მოწყობამდე არაქართველი მღვდელმსახურების შვილებისათვის იმავე შენობაში გაიხსნება სასულიერო

სასწავლებელი, რომლის შტატებსაც თელავის ან გორის სასულიერო სასწავლებლის საშტატო განრიგიდან შეავსებენ, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სასწავლებელს გააუქმებენ.

იმ ეპარქიის მმართველობის შენახვისათვის, რომელიც მიეკუთვნება რუსეთის სამიტროპოლიტოს, თანხები გაიცემა სახელმწიფო ხარჯებიდან, რომლებსაც ახლა სინოდალური კანტორა გასცემს. საეკლესიო-სასკოლო ინსპექციის შენახვის თანხებს იმ ხარჯებით დაფარავენ, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთის სასწავლო საბჭოსა და სამხარეო ზედამხედველობისათვის. განსაკუთრებულმა კომისიამ ის თანხები უნდა გაანაწილოს, რომლებიც ამჟამად საქართველოს საეგზარქოსოს შენახვისათვისაა გამოყოფილი. თანხები თანაბრად უნდა გადანაწილდეს ორივე სამიტროპოლიტოსათვის. კომისიაში შეუძლიათ შევიდნენ დაინტერესებული მხარეების ნარმომადგენლები. ამ პროექტის ალსრულებისას ყველა მიზეზი ქართველი ეპისკოპოსების უკმაყოფილებისა და ყველა უკმაყოფილება ზემოხსენებული სინოდალური დადგენილების მიმართ, რომელიც ძალაში შევიდა ა. წ. (1906 წლის – ვ. გ.) აგვისტოს თვეში და უშუალოდ ეხება კირიონისა და ლეონიდის აზრებს, თავისთავად მოისპობა.

როგორც ეხედავთ, არც პირველი და არც მეორე პროექტი არ აკმაყოფილებდა ქართველ მეუფეთა და მეცნიერთა მოთხოვნებს, ორივე პროექტი არსებული სისტემის მხოლოდ შელამაზებას ცდილობდა.

ამრიგად, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა, რუსმა მეუფეებმა, მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა და ეპისკოპოსმა სტეპანმა, მღვდლებმა: იოან ვოსტორგოვმა, ტიმოფეი ბუტკეევიჩმა, ფიოდორ ტიტოვმა და მეცნიერებმა: ალექსანდრ ბრილიანტოვმა, ივან პალმოვმა და სხვებმა არ გაითვალისწინეს ქართველი მეუფეების, ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის, მეცნიერების: ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხახანაშვილის – არგუმენტები, ასევე არ გაიზიარეს ცნობილი რუსი მეცნიერების, პროფესორების ნიკოლაი ზაოზერსკისა და ივან სოკოლოვის, მოსაზრებანი და უარი თქვეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე. პრაქტიკულად, თათბირმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, როცა მიიჩნია, რომ ქართველი სამღვდელოება და მეცნიერები ავტოკეფალიას არა ეკლესიური, არამედ პოლიტიკური მიზნით ითხოვდნენ. ცხადი იყო, რომ რუსმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა ეკლესიური არგუმენტების არარსებობის პირობებში პოლიტიკური არგუმენტებით იხელმძღვანელეს.

თავი XIV. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

1907 წლის 30 აგვისტოს ტრაგედიას წინ უძღოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მცდელობა 1903 წელს. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალების მიხედვით, მკვლელობის მცდელობის დღეს მოვლენები ასე განვითარდა: ილია ჭავჭავაძე თანმხლებ პირებთან ერთად, თბილისში, ნაძალადევში, მუშათა ბიბლიოთეკის გახსნაზე მიუწვევიათ. ამ დროისათვის ილია უკვე სერიოზულად იყო ავად და აქტიურ მოღვაწეობას აღარ მისდევდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვისი ინიციატივით წავიდა ილია ბიბლიოთეკის გახსნაზე? ჟანდარმერიის მასალები ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ ბიბლიოთეკის გახსნაზე ილია ჭავჭავაძე იმავე პოლიტიკურმა ძალამ(რსდმპ თბილისის კომიტეტმა) მიიწვია, რომელმაც მისი მოკვლა დაგეგმა. ღონისძიებამ მშვიდობიანად ჩაიარა. ილია უკვე წასასვლელად ემზადებოდა, ეზოდან დარბაზში შემოსულმა მისმა ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა აღელვებით განაცხადა: ბიბლიოთეკასთან თავს იყრიან მუშები, რომლებიც ილიას მოკვლით იმუქრებიანო. ღონისძიების ორგანიზატორები იძულებული გახდნენ საპატრო სტუმარი სასწრაფოდ უკანა გასასვლელიდან გაეყვანათ, ეტლში ჩაესვათ და იქაურობას გაერიდებინათ. მომხდართან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება, რომლის პროცესშიც დადგინდა შემდეგი: რკინის ხელკეტებითა და ქეებით შეიარაღებულ ბრბოს, რომელმაც ბიბლიოთეკასთან მოიყარა თავი, სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატი კალისტრატე გოგუა. კალისტრატე გოგუა შემთხვევითი პიროვნება არ ყოფილა. იგი რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში მოღვაწეობდა. ილიას მკვლელობის მცდელობის დროისათვის (1903 წ.) რსდმპ II ყრილობა ჯერ არ იყო გამართული და პარტიაც მენშევიკებად და ბოლშევიკებად არ გაყოფილიყო, თბილისის კომიტეტიც ერთიანი იყო. მოგვიანებით კალისტრატე გოგუა მენშევიკურ მიმდინარეობას მიემხრო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV (გამაერთიანებელი)ყრილობის (1906 წლის აპრილ-მაისი) დელეგატადაც იყო არჩეული თბილისის ორგანიზაციის მიერ. იგი ყრილობის სტენოგრამაში „დავიდოვის" პარტიული ფსევდონიმით იხსენიება.

მომხდართან დაკავშირებით აღიძრა საქმე. დადგინდა ბრბოს ხელმძღვანელ კალისტრატე გოგუასა და რამდენიმე მუშის ვინაობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ძალზე გახმაურდა, არც თბილისის პოლიციმაისტერს და არც თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს სერიოზული ძიება არ უწარმოებიათ. საქმე მასალების მოძიების შემდეგ დაიხურა, რის მოტივებადაც მიჩნეული იქნა შემდეგი: მართალია, ბრბო ბიბლიოთეკასთან იყო შეკრებილი, ილია ჭავჭავაძის მიმართ მუქარაც ისმოდა, მაგრამ ვერ დადგინდა, ნამდვილად აპირებდნენ თუ არა შეკრებილები ილიას მოკვლასო.

ამჯერად ვერაგული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და ტრაგედიაც თავიდან იქნა აცილებული, თუმცა თვით ფაქტი მრავლისმეტყველი და ძალზე შემაშფოთებელი იყო.

§1. მზადება ილია ჭავჭავაძის იდეური და ფიზიკური მკვლელობისათვის

1905 წლის იანვარში რუსეთში რევოლუცია დაიწყო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ფართო ასპარეზი მიეცათ, ბრძოლა ილია ჭავჭავაძის ნინაალმდეგ გაცილებით ადვილი გახდა. ილიას სოციალ-დემოკრატიული პრესა გაუგონარ ჭორებს უვრცელებდა.

1905 წლის 13 მარტს ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამომავალ სოციალ-დემოკრატიულ ურნალ „მოგზაურში" ფსევდონიმით „თაგუნა"დაიბეჭდა შალვა შარაშიძის „ხმა იდუმალი". შალვა შარაშიძეს მიზნად ილიას გაშარჟება დაესახა. სიუჟეტი ასეთია: „იდუმალი ხმა" (რევოლუცია – ვ. გ.) დაჟინებით გაჰკივის: „სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!" კითხვას: „ვის, ვის, ვის?" „იდუმალი ხმა" პასუხობს: „წოდებას, წოდებას, წოდებას!" რეაქცია პასუხზე ასეთია: „როგორ თუ წოდებას? განა წოდება უნდა მოკვდეს? არა, არა, არა!" „იდუმალი ხმა" (რევოლუცია – ვ. გ.) მიმართავს ილიას: „სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია მშვენიერი ნიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი" ქვია? ვისი მეთქი, გეკითხები? რატომ აწერე ისე ხელოვნურათ „ბატონების" სიმზეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზად ყარაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა?" ბოლოს „იდუმალი ხმა" ასე მიმართავს ილიას: „ნუთუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს", „გაბროს" და „თამროს" დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი!"

რევოლუცია ძალზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იმისათვის, რათა ილიასათვის გლეხები დაეპირისპირებინათ, სოციალ-დემოკრატების ჩანაფიქრი გაბრიყვებული გლეხების მეშვეობით მოეყვანათ სისრულეში. 1905 წლის 13 მარტს

ურნალ „მოგზაურში“ ხელმონერის გარეშე დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა. მიმომხილველის მიზანი აშკარაა – ურთიერთობის დაძაბვა ილიასა და გლეხებს შორის.„მოგზაური“ შეუდგა ილიას მაკომპრომეტირებელი ხმების დაყრას. ყოველგვარი ჭორი სწრაფად ვრცელდებოდა, გლეხობას კი მისი შემონმების არც სურვილი და არც საშუალება არ ჰქონდა. ილიასაც არავითარი საშუალება არ გააჩნდა წინ აღდგომოდა, შეეჩერებინა მის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანია. მიმოხილვაში ეკითხულობთ: „ამას წინეთ გაზ. „ივერიაში“ თ-დ ილია ჭავჭავაძის სიტყვები იყო მოყვანილი, რომელიც მან თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე ნარმოთქვა და შემდეგ იმავე გაზეთის ფურცელზე თვით ილიას წერილი იყო დასტამბული. თავადი ჭავჭავაძე, ეს ჩვენი სასიქადულო პოეტი და მწერალი, თავად-აზნაურობას თურმე უმტკიცებდა, რომ გლეხების მოძრაობა მემამულეების ბრალი როდია, ამის მიზეზი სხვადასხვა გარემოებააო. სახელოვანი მწერლის აზრით, ქართველი გლეხებისათვის ხაზინას ნაურთმევია მინა და არა თავად-აზნაურობას, და ამიტომ ქართველი გლეხები ჩვენ მემამულეებს არ უნდა ებრძოლონო.“ თავად-აზნაურობის კრებაზე ილიას მიერ გლეხობის სასარგებლოდ ნათქვამი სიტყვა „მოგზაურმა“ გლეხობის სანინააღმდეგო აზრად წარმოაჩინა, გლეხობა დაარწმუნა, რომ ილია მათდა სასიკეთოდ არაფერს იტყოდა. მიმოხილვა მთავრდება ასეთი სიტყვებით: „ბ-ნი ილია ჭავჭავაძე არ ცდება: ადვილათ და ტყუილა უბრალოდ იგი არავის დაუთმობს რასმეს. ამაში ეჭვი ჩვენ არასოდეს არ შეგვიტანია.“

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილიას ცილი ბევრჯერ დასნამეს, ბევრი ჭორი გაუვრცელეს. ამ ფონზეც კი ამაზრზენი იყო ჟურნალ „მოგზაურის“ ცილისნამება. 1905 წლის 10 აპრილს ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა წერილი – **„საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება,“** წერილს ხელს ანერს ვინმე **ვ. ნ.** როგორც შემდგომში გაირკვა ამ ინიციალებს ამოფარებული იყო ფილიპე მახარაძის ერთგული თანამოაზრე **ვასილ ნაცვლიშვილი.** ვასილ ნაცვლიშვილის მიზანი იყო ილია ნარმოეჩინა, როგორც გლეხების შეუბრალებელი მჩაგვრელი, სასტიკი მემამულე. მთელი წერილი ნარმოადგენს, თითქოსდა, ვილაც გლეხების მონათხრობს მათ მიმართ ილიას არაადამიანური დამოკიდებულების თაობაზე. სინამდვილეში, წერილში მოტანილი ამბები ვასილ ნაცვლიშვილს არ მოუპოვებია. ეს ჭორები ალბათ „მოგზაურის“ რედაქციაში შეთხზეს. ფილიპე მახარაძე სწორად ეარაუდობდა: წერილში მოტანილი ფაქტების სისწორეს არავინ შეამოწმებდა, ცილისწამება კი მიზანს მიაღწევდა: გალმა შემდაეებლებს გამოლმა შერჩებოდათ!

1905 წლის 24 აპრილს ჟურნალ „მოგზაურში“ ფსევდონიმით **„უშმაკი“** დაიბეჭდა **ნესტორ კალანდაძის „ძველი მობაასენი ახალ საგანზე.“** ეს იყო ილია ჭავჭავაძის დაწინაულების უსუსური მცდელობა. სიუჟეტი ასე ვითარდება: ვინმე **„მაჩაბლისტი“** (ე.ი. ილიას იდეური მოწინააღმდეგე), ბრალდებებს უყენებს ილიას, ხოლო ილიას ვითომდა თანამოაზრე იცავს ამ უკანასკნელს. სინამდვილეში, ილიას „თანამოაზრე“ უფრო ამძიმებს „მაჩაბლისტის“ მიერ ილიასათვის წაყენებულ ბრალდებებს. ილიას დამცველი ბრალმდებელს („მაჩაბლისტს“) ასე მიმართავს: „შენი აზრით, ილიკომ იმიტომ დაამწყვდია გლეხები მინურებში და იმიტომ ყავს ასეთ გასაჭირში, რომ მოთხრობების სიუჟეტი დაურჩეს და ახალ-ახალი ამბები დაწეროს გლეხკაცთა გაჭირვებაზე? შენ იმას ამბობ, რომ მეორე „გლახის ნაამბობი“ შეუძლია ახლა დანეროს ილიკომ საგურამოელ გლეხთა ცხოვრებიდანო, ე.ი. „გლახის ნაამბობის“ შინაარსი ახლაც შეიძლება საგურამოელ გლეხთა ცხოვრებით შეამონმოს კაცმაო.“– აქცენტები ისე მკვეთრი და მარტივია, ავტორის ჩანაფიქრი იმთავითვე გაშიფრულია.

ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ვასილ ნაცვლიშვილის საზიზღარი პასკვილის ძირითადი ნანილი გადაბეჭდა გაზეთმა „ივერიამ“ რომლის რედაქტორიც იმხანად **ფილიპე გოგიჩაიშვილი** იყო.

ილიამ ჟურნალ „მოგზაურის“, და კერძოდ, ვასილ ნაცვლიშვილის ცილისწამებას უპასუხა ბრწყინვალე წერილით **„ნუთუ? (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციასა).“** ილიას პასუხი „ივერიის“ 1905 წლის 5 მაისის ნომრის ცალკე ფურცლის (ჩანართის) სახით დაიბეჭდა. უნდა აღინიშნოს, რომ ილიამ „ნუთუს?“ დაბეჭდვისთვის რედაქციას თანხა გადაუხადა. ამით „ივერიამ“ მოსალოდნელი გართულებების შემთხვევისათვის გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მოიხსნა. ფილიპე გოგიჩაიშვილმა ესეც არ იკმარა და „ნუთუ?“ რედაქტორის შენიშვნით დაბეჭდა. შენიშვნაში აღნიშნული იყო, რომ „ნუთუს?“ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებდა. ილიას „ნუთუ?-ს“ მოჰყვა **ფილიპე მახარაძის** პასუხი. ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის 15 მაისის ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი **„თავის მართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“.** ფილიპე მახარაძის სტატია განმეორებაა ვასილ ნაცვლიშვილის წერილში მოტანილი ცილისწამებისა. ამასთან ერთად, ფილიპე მახარაძე ბევრ ახალ ჭორსაც უმატებს და კიდევ უფრო ამაზრზენს ხდის თავის ერცელ წერილს, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ავტორის

მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა მიაყენოს ილია ჭავჭავაძეს, როგორ ადამიანს, როგორც მოღვაწეს.

ილიას ვასილ ნაცვლიშვილმაც უპასუხა. მისი წერილი „პასუხად ილია ჭავჭავაძეს" – ხელმოწერით ვ. ნ. ჟურნალი „მოგზაურის" 1905 წლის 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა. წერილში უბეად გვხედება ილიას შეურაცხმყოფელი სიტყვები. ვასილ ნაცვლიშვილი ილიას „ნუთუ?-ს" განქიქებას შეეცადა, შეეცადა გაექარწყლებინა ილიას პასუხში გატარებული აზრი, თუმცა შედეგი აშკარად საპირისპირო იყო. წერილში ეკითხულობთ: „ამით ბატონმა ილიამ ერთხელ კიდევ მისცა საზოგადოებას საშუალება თავის სულიერი აელადიდების გათვალისწინებისა. პასუხი მისი, ბრაზმორეული, მტკუანი ,აცის ოინებს უფრო ნააგავს, ვიდრე მართალი ადამიანის დინჯსა და დალაგებულ საკამათო პასუხს. მაგრამ ეს ხომ „არ ახალია, ძველია" ილიას ოინბაზობაში"

ილია ჭავჭავაძის მიმართ ბინძური ცილისწამება გარკვეულწილად დააგვირგვინა ჟურნალ „ეკალში" დაბეჭდილმა მცირე ინფორმაციამ სათაურით „საგურამო." აი, მისი ტექსტიც: „ილიკო ჭავჭავაძის მამულში გლეხებს ნება მისცეს მზის გულზე გამოჯდნენ და გათბენ. ტყიდან ფიჩხის გამოტანა ჯერაც აკრძალულია. თავადს ორმოცამდე საუკეთესო ჯიშის ძაღლები გამოუწერია ამერიკიდან"

საინტერესოა, ამ სტრიქონების დამწერმა სინდისის ქენჯნა თუ იგრძნო 1907 წლის 30 აგვისტოს, როცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი შეიტყო. იმ წუთს თუ დაფიქრდა მაინც: რას ერჩოდა ილიას?

§2. მკვლელობა და საქმის გამოძიება

საუკუნის მკვლელობის ისტორიაში ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოცული. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. 1907 წლის 30 აგვისტოს შემდეგ ილიას მკვლელობის თაობაზე ხუთი ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ჭეშმარიტი მხოლოდ ერთი იყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ვერსიები.

პირველი ვერსია მკვლელობა ძარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შექმნილა, მას წინასწარ ამზადებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილიას მკვლელობა აქონდა განზრახული.

1907 წლის 7 ივნისს საგურამოში, ილიას მამულში, ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს მოურავი **მოსე მემარნიშვილი**, მისი მეუღლე კი სასიკვდილოდ დაჭრეს (როგორც ჩანს, ყაჩაღებს ისიც მკვდარი ეგონათ). როგორც მოურავის საცხოვრებელ ბინაში, ისე ილიას სახლშიც, ეითომდა ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნის მიზნით, ყაჩაღებმა ყველაფერი გადაქექეს, ნაილეს კიდეც ზოგიერთი ნივთი. **მოსე მემარნიშვილისა და მისი მეუღლის დახოცვა ვითომდა ძარცვის მიზნით მოხდა, სინამდვილეში, მკვლელობის ორგანიზატორებს სხვა რამ ამოძრავებდათ.** ამ მოვლენის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო ილიას მკვლელობაც ვითომდა ძარცვის მიზნით. **მკვლელობის ორგანიზატორი ვარაუდობდა, რომ ორივე მკვლელობა (მოსე მემარნიშვილისა და ილია ჭავჭავაძისა) ერთმანეთს დაუკავშირდებოდა და ძარცვის მიზნით ჩადენილ დანაშაულად შეირაცხებოდა.** როგორც 1907 წლის 7 ივნისს საგურამოში მოსე მემარნიშვილის საცხოვრებლის, ისევე ილიას სახლის თავდაყირა დაყენება, 30 აგვისტოს წინამურთან მოკლული ილიასა და მძიმედ დაჭრილი მისი მეუღლის გაძარცვა სიმულირებული იყო და ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამომძიების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. მავანმა და მავანმა იქნებ დაიჯეროს კიდეც, რომ ილია ძარცვის მიზნით მოკლეს, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ეჭვიც არ შეპარვია, რომ ძარცვა სიმულირებული იყო. 1907 წლის 1 სექტემბერს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში,



ილია ჭავჭავაძე

გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „ძარცვა სიმულირებულია“ („грабеж симулирован“). ცხადია, თბილისის სამხედრო გუბერნატორი კომპეტენტური ორგანოების დასკვნას ეყრდნობოდა. კავკასიის მეფისნაცვალს ადმინისტრაციას, პირადად მეფისნაცვალს, თბილისის დროებით სამხედრო გუბერნატორს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსს, თბილისის ოხრანკის უფროსს და სხვა თანამდებობის პირებს ხელს აძლევდა ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია. ძარცვის შემთხვევაში მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობისას. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად **კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ უსუსურ ვერსიას მხარი არ დაუჭირა – ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია გამორიცხა.**

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძარცვის მიზნით ილიას მკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ მეტყველებდა შემდეგი გარემოება: რა სიმდიდრე (ფული და ძვირფასი ნივთები) უნდა ჰქონოდათ ილიასა და მის მეუღლეს ეტლში? უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდება ყაჩაღებს შეეძლოთ, თუ ისინი ილიას არყოფნის დროს დაეცემოდნენ მის სახლს თბილისში ან საგურამოში. იმხანად ილიას სახლებს რაიმე განსაკუთრებული დაცვა არ ჰყავდა მიჩენილი და ყაჩაღებს ხელს ვერავინ შეუშლიდა, ისევე, როგორც ვერავინ შეუშალა ხელი 1907 წლის 7 იენისს.

ბუნებრივად ისმის კითხვა: **თუ ყაჩაღებს ილიას მკვლელობის გარეშე გაცილებით უფრო ნაკლები რისკის ფასად, უფრო მეტი ფულის შოვნა შეეძლოთ, ვიდრე იშოვეს დიდ რისკთან დაკავშირებული ილიას მკვლელობით, მაშ, რატომღა მოკლეს ილია?** ყაჩაღები არც ისე სულელები იყვნენ, რომ არ სცოდნოდათ: ილიას სახლის გაძარცვა თბილისში ან საგურამოში მათ უფრო ადვილად შერჩებოდათ, ვიდრე დღისით-მზისით ილიას მოკვლა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

მეორე ვერსია – მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლელობებმა და მათი მამულების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების“ თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების“ შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილო კავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს. ბევრ სოფელში პოლიცია და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლელობის მონაწილე ბევრ გლეხს სიკვდილი მიუსაჯა, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი სასოფლო რაიონებზე, ამოქმედდა სოფლის ადმინისტრაცია. მემამულეთა დახოცვაში ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა). 1907 წელს, მით უფრო, წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულის მკვლელობები ძალზე იშვიათი იყო. 1907 წლისათვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა და მათ შორის ურთიერთობა აღარ დაძაბულა, რადგან ამის მიზეზი აღარ არსებობდა. მუქარის ნერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და იმ პოლიტიკური ძალის მიერ იყო შეთხზული, რომელიც ილიას მკვლელობას გეგმავდა. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის მიერ იყო გავრცელებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: **თუ ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეთა მიმართ სისხლიანი ანგარიშწორება უკვე წარსულს ჩაბარდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დახსნის არანაირი შანსი არ ჰქონდათ?** 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, ხოცავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხობა აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად იყო შეცვლილი. გლეხობა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ ილიას მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. ილიას რომ გლეხობის შიში ჰქონოდა, მას შეეძლო საგანგებო დაცვის თანხლებით ემგ-

ზავრა და მისი სახლებიც საიმედოდ ყოფილიყო დაცული. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრს დაცვის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. მით უმეტეს, რომ თბილისისა და დუშეთის მაზრაებში სამხედრო მდგომარეობაიყო გამოცხადებული.. ილიას დაცვის აყვანა აზრადაც არ მოსვლია, რადგან მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გლეხები გზად ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ. როგორც უთქვით, იმხანად გლეხები ილიას კი არა, თავისი სისასტიკით ცნობილ მემამულეებსაც კი ვეღარაფერს აკლებდნენ. თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხობის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ გლეხები სოციალ-დემოკრატებმა ნააქეზეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „предполагается, что князь убит местными крестьянами подстрекательству социал-демократов."

აქვე გვინდა გავიმეოროთ ზემოთქმული: კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ხელს აძლევდა აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსია (ისევე, როგორც ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობისა). ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემთხვევაში.

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია უსაფუძვლოა.

მესამე ვერსია – მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე იმავე პოლიტიკური ძალის შეთხზულს ჰგავს, რომელმაც შეთხზა პირველი და მეორე ვერსია – მკვლელობა ძარცვის მიზნით და მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და ძიების შეცდომაში შეყვანა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს" (1899 წ.). ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხზველი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა. ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით, გამოძიების შეცდომაში შეყვანა მკვლელობის მონაწილის, ილიას მეეტლის, თედო ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში თედო ლაბაურმა, მიღებული მითითების თანახმად, განაცხადა, მკვლელები სომხები იყვნენო ("По виду мне показалось, что эти были армяне") მეტი დამაჯერებლობისათვის თედო ლაბაურმა აღნიშნა: მკვლელები რუსულად ლაპარაკობდნენ, ოლონდ სომხური აქცენტით: „Мне слышалось, что эти люди говорили с таким акцентом, которым говорят по-русски армяне." მეორე დაკითხვისას, 1907 წლის 16 ნოემბერს, თედო ლაბაურმა თვითონვე უარყო ადრე მიცემული ჩვენება და განაცხადა: მკვლელები ქართველები იყვნენო. ხმები სომეხი ტერორისტების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მხოლოდ თედო ლაბაურის ჩვენებიდან არ იღებდა სათავეს. ეს უკანასკნელი ვერსია სხვა წყაროებიდანაც ვრცელდებოდა. სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ეაჟა-ფშაველამ და ხალხს მოუწოდა, არ აპყოლოდა პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც ნიადაგსმოკლებულად უნდა მივიჩნიოთ.

მეოთხე ვერსია – მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია, იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების მიერ). ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ვერსიამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მეორე სიცოცხლე შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. გაბატონდა შეხედულება იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის მიერ მოსყიდულმა აგენტებმა." საბჭოთა ისტორიოგრაფია ილიას მკვლელობის მიზეზად ასახელებდა: რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, გამოსელას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას. მოკლედ შეეცხოთ ამ საკითხებს.

ილია რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მოუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია. ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო იყო ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების

მხრიდან რამე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია. წლების განმავლობაში გრძელდება ის გაუგებრობა, რომელიც ნარმოიშვა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ვითომდა ილიას გამოსვლის თაობაზე. იმხანად უამრავი რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი ითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. **საქმე ეხებოდა არა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას (რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით), არამედ ხელისუფლების მიერ რევოლუციის პერიოდში დროებით შემოღებული სიკვდილით დასჯის სანგებო (განსაკუთრებული) წესის გაუქმებას, ანუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია იზიარებდა გამოჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა და იურისტების აზრს და ემხადებოდა კიდეც ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისათვის. მიუხედავად ამისა, **ილია სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში არ გამოსულა და რომც გამოსულიყო, ამაში ხელისუფლებისათვის საშიში არაფერი იქნებოდა** (სამხედრო ტრიბუნალების მოქმედება შემდგომში მართლაც შეაჩერეს). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1905 წელს კარგად იყო ცნობილი ილიას დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის იდეისადმი. საქართველოს ავტონომიის ილიასეული იდეა რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საშიშად მიეჩნია, მაშინ ილიას 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად არ აირჩევდნენ და საქმესაც არ გაირთულებდნენ. ილია **ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია, და რომც დაეყენებინა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრის ფიზიკური ლიკვიდაციის საფუძველი.**

და ბოლოს. რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოველად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწე ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო სისტემა. მაგრამ ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკოსი ვერასგზით ვერ გახდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ამას გამორიცხავდა საარჩევნო სისტემა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მეხუთე ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ (ვლადიმირ ლენინი, გრიგორი ზინოვიევი და სხვ.), რომელიც იმხანად ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. **რსდმპ თბილისის კომიტეტს ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა.** ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. არც ერთი იმხანად რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

რსდმპ ხელმძღვანელობამ ილიას მკვლელობა გულდასმით მოამზადა. ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ოთხივე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით, მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით) სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს და ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან აერცელებდნენ ხალხში. მკვლელობამდე დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოულოდნენ, ასევე სოციალ-დემოკრატების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილიცა და მისი მეუღლეც სოციალ-დემოკრატებმა დაახოცინეს. გამოძიებისთვის თეთო ლაბაურის და სხვათა მიერ მიცემული ჩვენებებიც მეტწილად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ნაკარნახევი.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია ოფიციალურად თბილისის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში. მასში ეკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების ნაქეზებით." („предполагается, что князь убит местными крестьянами подстрекательству социал-демократов"). საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ **ილიას მკვლელობასთან არანაირი კავშირი, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-**

დემოკრატს – ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

დღეს ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. 1905 წლის გაზაფხულზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილიას სახელი გაუტეხეს და იგი ხელს ველარ შეუშლიდა მათი გეგმების რეალიზებას. 1905 წელს ილიამ ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის პარტიის შექმნა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატებმა ესეც თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რსდმპ ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საქართველოში მათი ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე პოლიტიკურად გაანეიტრალეს და უმნიშვნელო ძალად აქციეს.

2. 1906 წელს ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ხელმძღვანელობისთვის ეს მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ილიას გარშემო თავს მოიყრიდა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ძალები. ავტონომიაცა და ავტოკეფალიაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. საქართველოს ავტონომიის მოპოვებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში დაიწყებოდა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. **არ იყო გამორიცხული, რომ ილია ამჯერად მოახერხებდა მთელი ქართველი ერის, ყველა სოციალური ნოდების, ინტერესების გამომხატველი ლიბერალურ-დემოკრატიული (ცენტრისტული) პარტიის შექმნას. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანდა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შანსს.** ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა გაბატონებას რსდმპ ხელმძღვანელობა ვერასგზით ვერ დაუშვებდა. ილიას მკვლელობა კი ეროვნულ ძალთა დაქსაქსვისა და დასუსტების საუკუთესო საშუალებად იქნა მიჩნეული.

3. ილია შეიძლებოდა მოეკლათ თბილისშიც და საგურამოშიც, მგზავრობისას თუ შინ მყოფი. ამისთვის ქილერის ერთი მარჯვე გასროლა იყო საკმარისი. ამ გზით მკვლელობა რსდმპ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. **ილია უნდა მოეკლათ გლეხებს და თანაც ისე, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების კვალი დაფარულიყო.** მკვლელები აუცილებლად ადგილობრივი, ილიას ნაცნობი გლეხები, უნდა ყოფილიყვნენ. ილია გლეხებს უნდა მოეკლათ, როგორც მემამულე, როგორც გლეხების მჩაგვრელი. ამით დაიფარებოდა პოლიტიკური მკვლელობა, მკვლელობა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა.

4. ილიას მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები: **გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, თედო ლაბაური, პაველ ფშაველიშვილი (აფიციური), გიორგი ხიზანიშვილი** – მკვლელობაში იდეური მოსაზრებით არ მონაწილეობდნენ, ისინი ილიას მოკვლას გარკვეული საფასურის მიღების სანაცვლოდ დასთანხმდნენ, ანუ ტიპური ქილერები იყვნენ. მათ იმედად მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ვერ იქნებოდა. ქილერებს შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა (ასეთი შემთხვევები ბევრი იყო 1905-1907 წლებში). ილიას მკვლელობის დამკვეთსა და უშუალო ორგანიზატორს აუცილებლად სჭირდებოდათ უეჭველად დადასტურებული ფაქტი, რომ ილიას ეტლი ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს. დანარჩენი მარტო, გლეხებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერის საქმე იყო. იგი ჩასაფრებული იყო და ზუსტად იცოდა, გლეხები ილიას ეტლს სად გააჩერებდნენ. გლეხებმა ქილერის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ილიას ეტლი გააჩერა. ილიას მცველი, იაკობ ბითარიშვილი, ეტლიდან გადახტა და გზისპირა ბუჩქებამდე მიელწია და იქიდან თავდამსხმელებისათვის ცეცხლი გახსნა. ამან ტერორისტები დააბნია და შეაშინა: იაკობს შეეძლო მოხერხებული საფრიდან შუა გზაზე მდგარი ტერორისტები ადვილად დაეხოცა. მთელი ყურადღება იაკობ ბითარიშვილზე იქნა გადატანილი. სწორედ ამ დროს გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა, ვიმეორებთ, მარტო მოქმედმა, ერთადერთი ტყვია გაისროლა. ილია სწორედ ამ ტყვიით არის მოკლული. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. სწორებ ამიტომაა, რომ ილიას სხეულში ტყვია შევიდა **მარცხენა იღლიის უკანა კიდიდან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოღონდ შიგნით (მაცხენა ძუძუს დვრილისაკენ).** ამიტომაა, რომ მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრის ხვრელი (გამავალი ნეკა თითისათვის), ხოლო მკერდზე (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმერტის სიგრძისა). ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას – გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული „ჭრი-

ლობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე.ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიან:" სანინაალმდეგოდ ამისა, 1907 წელს ჩატარებული ძიების მასალების მიხედვით, რომელიც დაადასტურა 1941 წელს ჩატარებულმა ხელახალმა ძიებამაც, ილია მოკლული იქნა ეტლის წინ მდგარი ტერორისტების ჯგუფიდან გასროლილი ტყვიით. შეიძლება თედო ლაბაური და მკვლელობის სხვა მონაწილეები არც ცრუობდნენ, მათ, უბრალოდ, იმ ალიაქოთში ვერც გაიგეს, ვისმა ნასროლმა ტყვიამ მოკლა ილია. ტერორისტებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ იქვე ახლოს ქილერი იყო ჩასაფრებული.

5. ილიას მკვლელობის დამკვეთმა და მისმა უშუალო ხელმძღვანელმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს – საზოგადოება და გამოძიება დააბნიეს. ილიას მკვლელობა ისე ვერაგულად იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული, რომ დღეს მავანს და მავანს კვლავ სჯერა, რომ ილია გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოკლეს. კვლავ შეეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ილია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოიშორეს თავიდან.

ილიას მკვლელობის დამკვეთისა და მისი უშუალო აღმსრულებლის (ტერორისტებს არ ვგულისხმობთ!) დადგენა ვერ შეძლო ორმა გამოძიებამ და ორმა სასამართლო პროცესმა. ეერც რუსეთის იმპერიისა და ვერც საბჭოთა მართლმსაჯულებამ გაბედა სიმართლისათვის ბოლომდე აეხადა ფარდა. ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა უწყის. მისი მსჯავრი უკეე კარგა ხანია აღსრულდა – ილიას მკვლელობის დამკვეთებსაც, მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებსაც და ტერორისტებსაც თავისი მიეზღოთ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება (1907-1909 წწ.) სათანადოდ ვერ წარიმართა. ძიების უხარისხოდ ჩატარებამ გავლენა იქონია სასამართლო პროცესზე (1909 წ.) და, ცხადია, გაწაენწეც. ძიებამ და სასამართლომ ვერ მიაღწია უმთავრესს – ვერ გამოავლინა **ილიას მკვლელობის დამკვეთი და ვერც მკვლელობის ორგანიზატორი. საუკუნის დანაშაულს არ მიეცა პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია.** პასუხი ვერ გაეცა უამრავ კითხვას. დღეს, ილიას მკვლელობიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ძალზე ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, გამოიკვლიო და დაადგინო ის, რაც უნდა გამოკვლეულიყო და დადგენილიყო მკვლელობიდან რამდენიმე დღის, თუნდაც რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ილიას მკვლელობის მასალების მოკვლევით დაკავებული იყო რამდენიმე უწყება: 1. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, 2. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის ოხრანკა, 3. თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველო, 4. თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი და მისდამი დაქვემდებარებული დუშეთის მაზრის მმართველობა. უშუალოდ ძიებას აწარმოებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამძებრო ნაწილი, უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი **ილიაშენკო**, თბილისის პოლიციის სამძებრო ნაწილი (სამძებრო ნაწილის უფროსი ევტუშევსკი). ძიების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ილიას მკვლელობის თაობაზე ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა და კომპეტენტური იყო დუშეთის მაზრის უფროსი **ყარამან ფაღავა**. მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა საგურამოსა და მახლობელ სოფლებში. მაზრის უფროსს აგენტურის ფართო და კარგად ორგანიზებული ქსელი გააჩნდა, ინფორმატორები ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით, გლეხობაში. ყარამან ფაღავამ უსათუოდ კარგად იცოდა, თუ ვინ არხევდა ხმებს, რომელთა მიხედვითაც ილიას მალე მოკლავდნენ, იცოდა ისიც, თუ ვინ ამზადებდა ილიას მკვლელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიას მკვლელობიდან ორი კვირის თავზე ყარამან ფაღავასათვის მკვლელობის ყველა მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი. მან დეტალურად იცოდა მკვლელობის მომზადებისა და განხორციელების მთელი ისტორია. გასაგები მიზეზის გამო ყარამან ფაღავას არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა წინამორთან ჩასაფრებული და დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ყარამან ფაღავა ილიას იმ გლეხების მოკლულად მიიჩნევდა, რომელთაც ეტლი გააჩერეს. რაც მთავარია, **ყარამან ფაღავამ იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა, ე.ი. ეს იყო მკვლელობა პოლიტიკური მოტივით.** იმ ადამიანებს შორის, ვინც ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა, რსდმპ რამდენიმე წევრი იყო, რსდმპ წევრი იყო ასევე თავდამსხმელთაგან ორი. ყარამან ფაღავა კატეგორიულად გამორიცხავდა ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიას (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, სომეხი

ნაციონალისტების მიერ შეკვეთილი მკვლელობა).

დუშეთის მაზრის უფროსს ილიას მკვლელობის საქმის ძიების უფლება არ ჰქონდა, მას მხოლოდ მასალების მოპოვება ევალებოდა. ყარამან ფალავას ვერსია დამაჯერებლად ეჩვენა თბილისის დროებით სამხედრო გუბერნატორს. 1907 წლის 1 სექტემბერს სამხედრო გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: 30 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა სროლის შედეგად მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია, კონდახის დარტყმით თავი გაუტეხა (თავის არეში ჭრილობა მიაყენა) თავადის მეუღლეს, ყველანი (ილია ჭავჭავაძე, მისი მეუღლე და ლაქია) გაძარცვეს. მეტად საინტერესო იყო ტელეგრამის დასკვნითი ნაწილი: **„სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების ნაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“.** დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გუბერნატორმა სახელმწიფო კანცელარიას ყარამან ფალავას ვერსია აცნობა. ეს არც იყო მოულოდნელი. დუშეთის მაზრის უფროსი უშუალოდ გუბერნატორს ექვემდებარებოდა და გუბერნატორიც ყველაზე მეტად თავის ხელქვეითს ენდობოდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყარამან ფალავამ მიზანს მიაღწია, – თბილისიდან პეტერბურგს ილიას მკვლელობის მისული ვერსია აცნობეს.

მაინც რა გამომდინარეობდა თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორის 1907 წლის 1 სექტემბრის დეპეშიდან? 1. ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატების ნაქეზებით, ე.ი. მკვლელობის დამკვეთი იყო სოციალ-დემოკრატია, მაშასადამე, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა; 2. სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ადგილობრივი გლეხების ხელით განახორციელეს; 3. ილია ჭავჭავაძის, მისი მეუღლისა და ლაქიას გაძარცვა სიმულირებული იყო, მაშასადამე, მკვლელობა გლეხებს ძარცვის მიზნით არ ჩაუდენიათ.

ყარამან ფალავას მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა: 1. მკვლელების (ტერორისტების) ვინაობა; 2. პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს; 3. პოლიტიკური ძალა, რომლის ნებითაც განხორციელდა ილიას მკვლელობა. ყარამან ფალავამ ვერ დაადგინა და არც შეეძლო კონკრეტულად დაედგინა, სად გადაწყდა ილიას მკვლელობა და ვისი მითითებით მოქმედებდნენ თაედასხმის ორგანიზატორები, ანუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა. ეს უკვე ძიების საქმე იყო.

ყარამან ფალავას მიერ მოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით გამომძიებელმა ილიაშენკომ მიაღწია იმას, რომ თედო ლაბაური 1907 წლის 16 ნოემბერს იძულებული გახდა ელიარებინა, ილიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ: გიგლა **ბერძენიშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური)** და **იეანე (ვანო) ინაშვილი.** მკვლელობის დამკვეთისა და ორგანიზატორების შესახებ თედო ლაბაურს არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა. ამის თაობაზე გამომძიებას ინფორმაცია სხვა ეჭვმიტანილებისაგან უნდა მოეპოვებინა, თუმცა ეს არ მომხდარა.

1907 წლის დეკემბრიდან ილიას მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფალავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფალავა, ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ საერთოდ მოაშორეს მაზრის მმართველობას. უფრო მეტიც, ყარამან ფალავას დაჟინებული მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამომძიებას ხელში შერჩა ის ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და, მით უმეტეს, არც მკვლელობის დამკვეთზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო თვით კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისთვისაც კი. რაც შეეხებათ თბილისის გუბერნატორებს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, პაველ რაუშ ფონ ტრაუბენბერგს (1905 წლის 4 აგვისტო – 1907 წლის 22 სექტემბერი) და ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, მიხაილ ლუბიმ-იარმოლოვიჩ-ლოზინსკის (1907 წლის 22 სექტემბერი –1911 წლის 10 მაისი) და თბილისის დროებით სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ არტემიევს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსსა და თბილისის ოხრანკის უფროსს, ისინი თანამდებობრივად იყვნენ მოვალენი, დაეცვათ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ილიას მკვლელობის ვერსიებიდან კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა ვერსია **მკვლელობა ძარცვის მიზნით.** უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც მისაღები იყო ვერსია – **მკვლელო-**

ბა აგრარულ ნიადაგზე. ყველაზე არასასურველი იყო სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა ანუ პოლიტიკური მკვლელობა. პოლიტიკური მკვლელობა სერიოზულად აყენებდა ექვქვეშ თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორის უსაფრთხოების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის კომპეტენტურობის საკითხს. რაც შეეხება მკვლელობას ძარცვის მიზნით ან მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას თავის მართლების მეტ შანსს უტოვებდა. ყაჩაღთა ბანდის მიერ ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე განხორციელებული მემამულის მკვლელობა, ცხადია, არ ალიქმებოდა ისე მწვავედ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძნობდნენ, რომ ძიებას მათი ვინაობის დადგენა ხელეწიფებოდა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული მოსაზრებით ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, თავიანთი მხრიდან, ცდილობდნენ კიდევ ერთხელ დაებნიათ გამოძიება. ასე გამოვიდა ასპარეზზე ალექსანდრ გრეკოვი.

1907 წლის 30 ნოემბერს ოზურგეთის სოფელ ნაგომრის მცხოვრებმა, სოციალ-დემოკრატებთან კავშირში მყოფმა ალექსანდრ გრეკოვმა თავისი ნებით მისცა შემდეგი შინაარსის ჩვენება: 1907 წლის ზაფხულში გურიაში, სოფელ ბახვში, სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ტერორისტული აქტის განხორციელება დაევალათ ერმილე და კალისტრატე დოლიძეებს და ვინმე ბასილაშვილს, სოფელ ბახვში ჩატარებული კრების თაობაზე დაიწყო გამოძიება, თბილისიდან და საგურამოდან ყურადღება გადატანილ იქნა გურიაზე. შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი: 1908 წლის 19 აპრილს ალექსანდრ გრეკოვმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა: ბახვში არავითარი კრება არ ჩატარებულა, ყველაფერი მე მოვიგონეო. ბახვში კრება მართლაც არ გამართულა. სოციალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს: ძიება კვლავ აგრარულ ნიადაგზე მომზადარი მკვლელობის ვერსიის დამუშავებას დაუბრუნდა.

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ძიების მასალებს დაეყრდნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია არ მიეცა. რა თქმა უნდა, არც მკვლელობის დამკვეთი და მისი ორგანიზატორები დაუდგენიათ. ისიც კი არ გამოურკვევიათ, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს, ვინ ამზადებდა და მათ ტერორისტული აქტისათვის, ვინ მისცა გლეხებს დავალება, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს გზაზე დახვედროდნენ ილიას. გამომძიებლებმა, მოსამართლემ და პროკურორმა თითქოს არ იცოდნენ, რომ ტერორისტული აქტი ხორციელდებოდა ასეთი სქემით: ტერორისტული აქტის დამკვეთი – ტერორისტული აქტის ორგანიზატორი – ტერორისტული აქტის უშუალო ხელმძღვანელი – ტერორისტები.

1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლომ თედო ლაბაურს, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილს და ივანე (ვანო) ინაშვილს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 21 აგვისტოს. გიგოლა მოძღვრიშვილი ციხეში გარდაიცვალა. პაველე ფშავლიშვილი (აფციაური) 1908 წლის 11 მაისს ციხიდან გაიქცა. ის 17 დეკემბერს პოლიციელებთან შეტაკებისას მოკლეს. გიგლა ბერიძაშვილის კვალს პოლიციამ ვერ მიაკვლია. ჩანს, ის სოციალ-დემოკრატებმა საიმედოდ გადამალეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასამართლო (1907-1909 წწ) იყო არც თუ ისე კარგად დადგმული სპექტაკლი. 1907-1909 წლებში წინასწარგანზრახულად მცდარი ვერსიით წარმოებული გამოძიებითა და სასამართლოს მიერ იმავე მცდარი ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებით პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი კითხვა. გამომძიებლებმა (ილიაშჩენკომ, ევტუშევსკიმ) მოწმეებს, ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს არ დაუსვეს ისეთი კითხვები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მათ მიერ მიცემული ჩვენებებიდან. არ დაკითხულა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს გამომძიებლები შიშობდნენ ფარდა არ ახდოდა სიმართლეს. ყველა საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: გამოძიებამ შეასრულა კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის დაკვეთა – ილიას მკვლელობას პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლელობის კვალიფიკაცია არ მისცა და, აქედან გამომდინარე, არც მკვლელობის დამკვეთისა და არც მკვლელობის ორგანიზატორების დადგენა უცდია. მთელი ყურადღება უშუალოდ ტერორისტული აქტის (მკვლელობის) მონაწილეთა ვინაობის დადგენას დაეთმო. ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა გამომძიებასა და სასამართლოს. ის, რაც არ გაკეთდა 1907-1909 წლებში, ცხადია, ვეღარ გაკეთდებოდა მეორე გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს (1941-1942 წწ.). მით უფრო, რომ მეორე გამოძიებამ და სასამართლო პროცესმაც წინასწარგანზრახვით ისევ მცდარ ვერსიას დაუჭირა მხარი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942 წწ.). რუსეთის იმპერიის აღსასრულს (1917 წლის

თებერვალ-მარტში) თითქოს ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით იმედები ვერ გაამართლა. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1918 წლის 26 მაისამდე) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა (ოზაკომი) და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917 წლის მარტი 1918 წლის აპრილი), ისევე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოშიც დაუცველი და მოუვლელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დანესებულებების არქივები. მასალების დიდი ნაწილი ან დაუდევრობით, ან შეგნებულად (პოლიტიკური მიზნით) განადგურდა. ყველა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა მოესპო ისეთი საარქივო მასალა, რომელიც სახელს გაუტეხდა მას. ასე განადგურდა მასალები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ჟანდარმერიათა სამმართველოების, თბილისის ოხრანკის, კაეკასიის ოხრანკის, თბილისის პოლიციმაისტერის, დროებითი სამხედრო გუბერდანატორების, მაზრების უფროსების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, თბილისის ოლქის პროკურორის, ქუთაისის ოლქის პროკურორის, კაეკასიის სასამართლო პალატის, კაეკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს, თბილისის მეტეხის საპყრობილისა და სხვა საპყრობილეთა არქივებიდან. შეგნებულად თუ შემთხვევით განადგურებულ საარქივო მასალათა შორის აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისა და სასამართლოს მასალები (1907-1909 წწ.). ამ დანაკარგის ანაზღაურება დღეს უკვე შეუძლებელია.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიება საზოგადოების სრულიად ბუნებრივ მოთხოვნად იქცა. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი. საბოლოოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ხელისუფლების აზრი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, ამიტომაც მკვლელობის საქმის გამოძიებას დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა ექნებოდა. მეორენი თვლიდნენ, რომ, მართალია, ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, მაგრამ მკვლელობის საქმის გამოძიებას შეიძლებოდა ჩრდილი მიეყენებინა ქართველი მენშევიკთა ნაწილი იდეური თვალსაზრისით დაპირისპირებული იყო ილია ჭავჭავაძესთან და აქტიურად ებრძოდა მას. საბოლოოდ, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სახელმწიფო ზრუნვის საგნად ვერ იქცა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მართალია, ილიას მკვლელობის თაობაზე მასალებს აგროვებდა, მაგრამ ეს საქმე მინდობილი ჰქონდათ არაპროფესიონალებს, მუშაობა ნარმოებდა უსისტემოდ. საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ კომისიამ მასალების რაღაც ნაწილი ან გაანადგურა, ან საგულდაგულოდ გადამალა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დაიწყო ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი. ილია გამოცხადდა „ფეოდალურ-მონარქისტული ნაციონალიზმის მამამთავრად", „ხალხთა შორის ეროვნული შუღლის გამღვივებლად", „თავადაზნაურობის ინტერესების დამცველად". „ბატონყმობის იდეოლოგად", „სასტიკ მემამულედ", „სოციალური თანასწორობის მოწინააღმდეგედ", „პროგრესის შემაფერხებლად" და ა.შ. ილიას სულიერი მემკვიდრეობის უარყოფა მიმდინარეობდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ილიას ნინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის სულისჩამდგმელისა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ფილიპე მახარაძის, ხელმძღვანელობით. აქვე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას: ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა არ შეიძლება განვიხილოთ ფილიპე მახარაძის კერძო ინიციატივად. ეს იყო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება, ე.ი. სახელმწიფო პოლიტიკა. სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს შორის 1921-1922 წლებში სხვადასხვა გარემოების გამო ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა. მოუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერი სერგო ორჯონიკიძე და საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი ფილიპე მახარაძე სრული თანხმობის ვითარებაში ცდილობდნენ ილიას სახელის ამოშლას საქართველოს ისტორიიდან. ისინი ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს აიძულებდნენ, XIX საუკუნის საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობის ისტორია ილიას გარეშე გაეაზრებინათ. ამის მაგალითს იძლეოდა ფილიპე მახარაძე, რომელიც ილიაზე წინ დანიელ ჭონქაძეს აყენებდა. ვინც ამ უმსგავსოების წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, სასტიკად იდევნებოდა. ილია ჭავჭავაძეს ბევრი სხვაც ებრძოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძის ნაწერებში აშკარად იგრძნობა ბიოლოგიური ზიზღი ილიასადმი. საოცარია, მაინც

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფილიპე მახარაძის სიძულვილი ილიასადმი, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ებრძოდა მას, ჯერ ცოცხალს, შემდეგ მკვდარს.

1921 წლიდან ფილიპე მახარაძე სისტემატურად აფერხებდა ილიას მკვლელობის თაობაზე მასალების მოძიებასა და გამოქვეყნებას. იბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც მხარს უჭერდა ოხრანკის მიერ ილიას მკვლელობის ვერსიას. საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ავტორების მიმართ მუქარასა და შანტაჟსაც არ ერიდებოდა.

ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა ფილიპე მახარაძისა და „მისი რაზმის" (ე.ი. ხელისუფლების) მიერ 1921 წლიდან 1934 წლამდე გაგრძელდა. ამ სამარცხვინო კამპანიის 1934-1937 წლებში ზღვარი დაუდო **იოსებ სტალინმა.**

1934-1937 წლებში, ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების სასიკეთოდ შემობრუნებისთანავე, კვლავ თავისთავად დასვა კითხვა: **ვინ მოკლა ილია?** XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის პასუხის ერთადერთი, ხელისუფლებისათვის მისაღები ვარიანტი ასეთი იყო: **ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოკლა ოხრანკამ.** დაიწყო ამ ვერსიის დამადასტურებელი მასალების მოძიება. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს იოსებ სტალინის დავალებით საქართველოს პოლიტიკური ლიდერი **ლავრენტი ბერია** ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ავტორმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ შეძლო ხელისუფლების დაკვეთის შესრულება. მოძიებული მასალიდან აშკარა ხდებოდა, რომ **ილიას მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ,** ოხრანკის კვალი არ დასტურდებოდა. 1938 წელს გამოიცა **პაატა გუგუშვილის** ნიგნი **„ილია ჭავჭავაძის მკვლელობა".** მართალია, პაატა გუგუშვილი ილიას ოხრანკის მოკლულად მიიჩნევდა, მაგრამ ნაშრომიდან (გამოკვლევიდან და თანდართული დოკუმენტებიდან) აშკარა ხდებოდა, რომ **ოხრანკის მიერ ილიას მოკვლის ვერსია შეთხზული იყო, კვალი აშკარად სოციალ-დემოკრატებისაკენ მიდიოდა.** ასეთი შეუსაბამობა პაატა გუგუშვილის დონის მეცნიერს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა, კიდეც რომ გაპპარეოდა, წიგნს ცენზურა არ გაუშვებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ წიგნში არსებული ეს „შეუსაბამობა" იოსებ სტალინს სჭირდებოდა. ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერის დიდოსტატს ალბათ ამჯერადაც რაღაც მიზანი ამოძრავებდა. **იოსებ სტალინის ეს მიზანი იმდენად ვერაგული იყო, რომ ლავრენტი ბერიაც კი დაიბნა.** იოსებ სტალინისაგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიების დავალება რომ მიუღია, გაოცებულ ლავრენტი ბერიას უთქვამს: **ამ საქმეს რაღა გამოძიება უნდა? ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი ბელადს მოსკოვში პყავს თავისთან, მეორე კი მე მიზის თბილისშიო.** ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ლავრენტი ბერია **სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს** გულისხმობდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1934-1937 წლებში ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებამ, ილიას რეაბილიტაციამ ბუნებრივად დასვა კითხვა: ვინ მოკლა ილია? ხელისუფლებას, სურდა თუ არ სურდა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. ეს კი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებას მოითხოვდა. საუკუნის დანაშაულისთვის ფარდის ახდის აუცილებლობა სხვა მიზეზებმაც განაპირობა. უნდა ვივარაუდოთ, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი იოსებ სტალინს XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისთვის შექმნილი ვითარების გამო დასჭირდა. უფრო კონკრეტულად კი, იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორება სურდა. ძველი ბოლშევიკური გვარდია სერიოზულად ფიქრობდა იოსებ სტალინის სერგეი კიროვით ჩანაცვლებაზე. სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ (1934 წ.) ძველ ბოლშევიკებს იოსებ სტალინის შემცვლელის ძიებაზე ხელი არ აუღიათ. სერიოზულად იხილებოდა სერგო ორჯონიკიძის კანდიდატურა. თუ სერგო ორჯონიკიძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორობა დაუმტკიცდებოდა, ეს იოსებ სტალინის ხელში მნიშვნელოვანი კომპრომატი იქნებოდა. თუმცა გარკვევით უნდა აღინიშნოს: იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორების სანაცვლოდ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ დაადანაშაულებდა, ჩრდილს არ მიაყენებდა. გარდა ამისა, ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად აღიარებით საქმე არ დასრულდებოდა. ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა: ვისი დავალებით მოქმედებდნენ ისინი? მკვლელობის დამკვეთის ვინაობა თავისთავად ცხადი გახდებოდა. **უფრო სავარაუდოა, რომ იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას მართლაც მისცა მითითება ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა, მამხილებელი მასალების მოძიების თაობაზე, მაგრამ ეს მასალა გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, როგორც კომპრომატი სერგო**



ილია ჭავჭავაძე

ორჯონიკიძის წინააღმდეგ. ძიებასა და სასამართლოს კი ოხრანკის ვერსია უნდა დაესაბუთებინა.

ილია მკვლელობის საქმის ძიება გარკვეულწილად შეაფერხა ლავერენტი ბერიას მოსკოვში გადაყვანამ (1938 წ.). ამით ისარგებლა ფილიპე მახარაძემ და კიდევ ერთხელ სცადა ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების შეფერხება. მალე ფილიპე მახარაძე მკაცრად გააფრთხილეს და ისიც იძულებული გახდა მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) მიიღეს. პირველი მონმეები 1941 წლის იანვარში დაიკითხნენ. გიგლა ბერბიჭაშვილი პასუხისგებაში მისცეს 1941 წლის 14 ივნისს (ომის დანყებამდე რვა დღით ადრე). გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ გამოძიება ვერ შეაფერხა. 1941 წლის ნოემბრის ბოლოს გამოძიებამ საქმე გადასცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს. 1941 წლის 27 ნოემბერს შედგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამზადებელი სხდომა. სასამართლო პროცესი დაინყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

ცხადია, 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებას შეეძლო გადაედო გამოძიება და სასამართლო პროცესი. მაგრამ, ჩანს, იოსებ სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს.**

და მაინც, ამ შემთხვევაშიც ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა. ყველა ჩვენება გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში (ოქმებში, სტენოგრამებში) იმ სახით შევიდა, როგორიც ეს ხელისუფლებას სურდა. დღეს შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა 1941 წელს ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ გამოძიებაც და სასამართლოც მიუიდნენ დასკვნამდე: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით განახორციელა ოხრანკამ.**

1941-1942 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი, ისევე, როგორც XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ილიას მკვლელობის თაობაზე მიმდინარე მასალების მოკვლევა, იყო დადგმული სპექტაკლი. რით უნდა დამთავრებულიყო ძიება და რა განაჩენი უნდა გამოეტანა სასამართლოს, წინასწარ იყო ცნობილი.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ 1907-1909 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, სიმართლის დადგენის თვალსაზრისით 1907-1909 წლების მასალები უფრო საყურადღებოა, ვიდრე 1941-1942 წლებისა. 1907-1909 წლების მასალებში მცირე დოზით, მაგრამ მაინც აისახა სიმართლე. 1941-1942 წლების მასალები ისეა გაყალბებული, რომ სიმართლის დასადგენად თითქმის მთლიანად გამოუსადეგარია. ილიას მკვლელობის ისტორიის შესწავლა სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფერხდება.

1941 წლისათვის ილიას მკვლელობის ორგანიზატორთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო ცოცხალი, მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან - აღარავინ, ილიაზე თავდასხმის მონაწილეთაგან (ტერორისტთაგან) კი – მხოლოდ გიგლა ბერბიჭაშვილი. რადგან ილია ოხრანკის მიერ მოკლულად უნდა გამოცხადებულიყო, ფილიპე მახარაძით გამოძიება და სასამართლო საჯაროდ ვერ დაინტერესდებოდა. რჩებოდა გიგლა ბერბიჭაშვილი. გადაწყდა: **გიგლა ბერბიჭაშვილი უნდა გამოცხადებულიყო ოხრანკის აგენტების მიერ დაქირავებულ მკვლელად, რომლის გასროლილმა ტყვიამაც სიცოცხლე მოუსწრაფა ილიას.** რადგან მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ცოცხალი აღარავინ იყო, ანუ აღარ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ტერორისტთა ჯგუფი შეადგინეს და ილიას გზაზე ჩაუსაფრეს, ძიებასა და სასამართლოს არ გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ილიას მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები ოხრანკის აგენტები იყვნენ და ოხრანკის დავალებით მოქმედებდნენ. ძალზე გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად, ძალზე არადამაჯერებელი იქნებოდა, გიგლა ბერბიჭაშვილის ოხრანკის აგენტად გამოცხადება. გამოძიებასა და სასამართლოს ეს არც უცდია. სამაგიეროდ, აუცილებელი იყო იმისი „დადასტურება", რომ გიგლა ბერბიჭაშვილი 1907 წელს არც რსდმპ წევრი და არც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმის" წევრი და მეთაური ყოფილა, სოციალ-დემოკრატების დავალებით ტერორისტული აქტები არ განუხორციელებია, ხოლო 1921-1922 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მანდატი თალღითობით მიიღო და პენსიაც თალღითობით დაინიშნა. ყოველივე ამის „დამტკიცება" გამოძიებამ და სასამართლომ „შეძლო".

თუ გიგლა ბერბიჭაშვილი არც ოხრანკის

აგენტი ყოფილა და არც რსდმპ წევრი, მაშ, ვინ იყო იგი? ამ კითხვაზე გამოძიებას და სასამართლოს ასეთი პასუხი ჰქონდა მზად: გიგლა ბერბიჭაშვილი იყო უიდეო, უზნეო, გახრწნილი, გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ოხრანკის აგენტებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

ასე იქცა გიგლა ბერბიჭაშვილი გამოძიებისა და სასამართლოსათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა (მკვლელობის დამკვეთი);

2. მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ (მკვლელობის ორგანიზატორი);

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები);

4. ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს (მკვლელობის უშუალო მონაწილენი).

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკვლელობის დამკვეთი) – ოხრანკა (მკვლელობის ორგანიზატორი) – ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები) – ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილენი).

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად უწყოდნენ ჭეშმარიტება, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ნებით განხორციელდა (მკვლელობის დამკვეთი);

2. მკვლელობა მოამზადა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (ის ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით (მკვლელობის ორგანიზატორები);

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები);

4. მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელებმა შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელთაგან ორი რსდმპ წევრი და რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის უშუალო მონაწილენი).

5. გარდა ამისა, იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა გიგლა ბერბიჭაშვილმა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა ქილერმა, რომელიც ტერორისტთა ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს თავდასხმის ორგანიზატორებმა. ილიას მკვლელი ქილერის ვინაობის დადგენა ოხრანკის ვერსიის დადასტურებისათვის სულაც არ იყო საჭირო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება და სასამართლო დიდი დარტყმა იყო ფილიპე მახარაძისათვის. თუმცა ის ამჯერადაც გადარჩა: გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ოხრანკის ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებამ გამორიცხა ილიას მკვლელობის ორგანიზატორად ფილიპე მახარაძის მიჩნევა. სახელოვან ბოლშევიკს აშკარად ბედი სწყალობდა! თუმცა ილიას მკვლელობის ორგანიზატორი სხვაგვარად ფიქრობდა: არავინ უწყოდა, რას გადაწყვეტდა, რას მოიმოქმედებდა იოსებ სტალინი, რა გაგრძელება ექნებოდა იმ ფარსს, რომელიც 1941-1942 წლებში გათამაშდა. ფილიპე მახარაძე ორჯერ (1907 წელსა და 1941 წელს) გადაურჩა სასჯელს. მესამედ ბედს აღარ მიენდო და საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი: თავი ჩამოიხრჩო.

ოფიციალური ცნობით, სერგო ორჯონიკიძე გულის დაავადებით გარდაიცვალა. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია იმის თაობაზე, რომ ის აიძულეს, თავი მოეკლა. მესამე ვერსიით, სერგო ორჯონიკიძე საკუთარ ბინაში კეფაში ნასროლი ტყვიითაა მოკლული. ის მოსკოვში, ნოემბერ მოედანზე კრემლის კედელთან დაკრძალეს. ოფიციალური ცნობით, ფილიპე მახარაძე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მან თავი ჩამოიხრჩო.

იოსებ სტალინს არ უყვარდა არც ფილიპე მახარაძე და არც სერგო ორჯონიკიძე. რა იყო ამის მიზეზი, სამივემ კარგად უწყოდა. სამივემ ეს საიდუმლო თან წაიტანა სამარეში.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ორივე გამოძიებამ და ორივე სასამართლო პროცესმა (რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს) უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა. მათ შორისაა – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალები.

საყოველთაოდ გაერცელებული ვერსიის მიხედვით, ილია 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ ნიწამურთან მოკლა ტერორისტთა ჯგუფმა.

სოფელ წინამურთან დათქმულ ნიშანზე თედო ლაბაურმა ეტლი გააჩერა და ფეხზე ნამომდგარი ილია ერთ-ერთი ტერორისტის, კერძოდ, გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ ბერდანის თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ტყვია ილიას შუბლში მოხვდა. სულ სხვა დგინდება ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტიდან:

1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტი

31 აგვისტო, 1907 წ. აქტი. მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოცხადდი სოფ. გურამანთკარში, ქვემოთ აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის მეოხებით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

გარეგანი დათვალიერება

მიცვალებული (ცხედარი) ასვენია მაგიდაზე საკუთარ სახლში. აცვია რუხი ფერის ჟილეტი და შარვალი, ფერადი კვართი და თეთრი საცვალი, კისერზე გახამებული თეთრი საყელო, რომლის გარშემო დევს ბაფთა – გახსნილი ფერადი ბატისტის ყელ-სახვევი. მარცხენა ხელზე გახამებული მანუეტი მოხსნილია, მარჯვენაზე მანჟეტი მოძრობილია და ჩამოკიდებულია საკინძის კვართზე. ფეხზე აცვია წინდები და დაბალყელიანი ჩექმები. ჟილეტი, კვართი და მანჟეტი გასისხლიანებულია. სახეზე და შუბლზე სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულმკერდის ზედა ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევნები. მიცვალებული სწორი აგებულებისაა; მუცელი წინაა ნამონუული... სხეულის დანარჩენი ნაწილები სწორი აგებულებისაა.

გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხვრელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე – მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იღლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის. შუბლის მარცხენა ნახევარში აღინიშნება ოვალური ფორმის დაჟეჟილი ჭრილობა, დამავალი ძვლამდე, ოთხი სანტიმეტრის სიგრძის, ორი სანტიმეტრის სიგანის. აქ ძვალი ჩატეხილია და მარცხენა ნაწილით ჩაწეულია ქვეშოთ. ჩატეხილი ძვლის უდიდესი დიამეტრი ერთნახევარი გოჯია, მოტეხილობის ზედა, მარცხენა და ქვედა კიდეები მდებარეობს ქალას სარქველზე დაბლა, ხოლო მარჯვენა ნაწილი შეერთებულია ქალას სარქველთან, შეერთება არამტკიცეა, რის გამოც მოტეხილი ძვალი მოძრავია. კანის ჭრილობის კიდეები არასწორია, მოშავო ფერისაა და მშრალი. მის ქეშ ძვალზე აღინიშნება გამოყოფილი სისხლის თხელი ფენა. მარჯვენა წარბს ზემოთ მდებარეობს მეორე დაუეჟილი ჭრილობა, ისეთივე ხასიათის, როგორიც პირველი. ეს ჭრილობა აღწევს ძვლამდე, მაგრამ ძვალი დაზიანებული არ არის. ამ ჭრილობის სიგრძეა სამი, სიგანე ერთი სანტიმეტრი.

სხვა დაზიანება სხეულზე არ არის. გვამური ლაქები და სხვა ნაადრევი გახრწნის ნიშნები არ აღინიშნება. გაშეშების კვალი ჯერ კიდევ შერჩენილია ხელებში...

შინაგანი დათვალიერება

გულმკერდის ღრუ. გულმკერდზე ცეცხლსასროლი ჭრილობის უბანში კანქვეშა ქსოვილი მოშავო ფერისაა გამონადენი სისხლისაგან. მარჯვენა მეხუთე ნეკნის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილი დამსხვრეულია. შემდეგ ტყვიამ გაიარა გულის პერანგში, გულის პარკუჭების ზედა ნაწილებში და მარცხენა ფილტვის ქვედა წილის გავლით გამოვიდა გარეთ მარცხენა იღლიის მიდამოში. გულის ორივე პარკუჭის კედლების ზედა ნაწილები გარდაქმნილია ნაფლეთებად. გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხელებულია და გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილებად, მარჯვენა პარკუჭის კედლის სისქის სამ მეოთხედს ცხიმი შეადგენს, მარცხენა პარკუჭის წინა კედლს მწვერვალთან ახლოს აქვს ხარის გამხმარი ტყავის სისქე, ის მკერივია, მოთეთრო ფერისაა და წინ გამობერილია მცირედ. გულის კედლის ამ ნაწილზე თითის დაჭერით ეს უბანი ვარდება შიგნით და თითის აღებით გარეთ, როგორც რეზინის ბურთი. მიკროსკოპულად ანევრიზმული გამობერილობა მოგვაგონებს მკვრივ და დრეკად შემაერთქსოვილოვან წარმონაქმნს. მარჯვენა ფილტვის პლევრა შეხორცებულია გულმკერდის გვერდით კედელთან; მარცხენა მდებარეობს თავისუფლად. ორივე ფილტვის მოქნილობის და სიფაფუკის ხარისხი დაქვეითებულია, ჰაერით არ არიან გადავსებულნი. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილები სრულიად უპაეროა, რის გამოც მათმა ქვედა კიდეებმა კანის სიმკვრივის ბრტყელი დანამატის სახე მიიღეს. ფილტვები განაკვეთზე მოთეთრო-მორუხო ფერისაა. გულმკერდის ღრუ შეიცავს დიდი რაოდენობით შედედებულ და თხიერ სისხლს. მუცლის კედელი შეიცავს ცხიმის სქელ შრეს. თავისა და მუცლის ღრუები არ დათ-

ეალიერდა, რადგან სიკვდილის მიზეზი ნათელია.

დუშეთის მაზრის ექიმი იაშვილი.

გამომძიებელი ვ. ე. დილევსკი

მონმეები: სოფ. გურამიანთკარის მცხოვრებნი, გლეხები სიმონ ჩიხაშვილი და ვასილ ნარიმანიძე, ორივე წერა-კითხვის უცოდინარნი.

მოსაზრება: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლსასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვითარდა ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად. ორი ჭრილობა, მდებარე თავის ქალას უთმო ნაწილში, მიყენებულია ბლაგვი საგნით. ერთი ამ ჭრილობათაგანი, რომელიც გართულებულია თავის ქალას ძვლების დაზიანებით, მიკუთვნება მძიმე და სიცოცხლე-სათვის სახიფათო დაზიანებას; მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნოს მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს.

გარდაცვლილ ილია ჭავჭავაძეს გული და ფილტვები ჯან-მრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარხვენა პარკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევრიზმულად. აღწერილობით ნაწილში მე დამავიწყდა აღმენიშნა, რომ მარცხენა პარკუჭის ენდოკარდი გასქელებულია, მორუხო-მოთეთრო ფერისაა, მკვეთრად გამოირჩევა მარჯვენა პარკუჭის ენდოკარდისაგან, უკანასკნელს აქვს ხორცის ფერი შესახედაობა. მარცხენა პარკუჭის ენდოკარდის ზედაპირი, ნახევარმთვარისებური სარქველები და აორტის შიდა გარსი გლუვია, ხორკლების გარე-შე, ნახევარმთვარისებური სარქველების ფუძეები გასქელებულია და მკვრივი. დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენოდა სამოცდაათი წლის მხცოვან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეძგერა კიდევ რამდენიმე თვეს, ან წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის დანამდვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი. თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული იქნა მისი მსახური, რომლის სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, სიდიდით ჰგავს ტყვიას, როგორითაც იტენება კაეიანი თოფები. თავად ჭავჭავაძისა და მის მსახურისათვის ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებული ჭრილობების ხვრელები სიდიდით და ზოგიერთი სხვა თავისებურებებით დაახლოებით ერთნაირია. გვამების გაკვეთის პრაქტიკით ვიცით რა ბერდანით, ახალი ნიმუშის სამხა ზიანი შაშხანით და უბრალო არასწრაფმსროლელი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა თავისებურებანი, მე ვევარაუდობ, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია უკანასკნელი სახეობის იარაღით.

დუშეთის მაზრის ექიმი იაშვილი.

დავიწყოთ იმით, რომ ილია ჭავჭავაძის სხეულის ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ილიას მარცხენა ნეკნების არეში (იღლიის ქვეშ) აქვს მცირე დიამეტრის ხვრელი, მკერდის არეში (მარჯვენა ძუძუს დერილთან) – დიდი ხვრელი. ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს ნვრილ ხვრელს, სხეულიდან გამოსვლისას კი – გაცილებით დიდს. ამდენად, ექიმ იაშვილს უზუსტობა მოუვიდა. ილიასათვის წინიდან რომ ესროლათ, მაშინ მცირე ზომის ხვრელი მკერდის არეში ექნებოდა, დიდი ზომისა კი – იღლიის ქვეშ. გვამის გაკვეთის აქტში ყველაფერი პირიქითაა, ე. ი. ილიას ზურგიდან ესროლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ტყვია შუბლში არა აქვს მოხვედრილი. ეტლიდან გადმოვარდნის შემდეგ ილიას ერთ-ერთმა ტერორისტმა შუბლში ორჯერ ჩაარტყა შაშხანის ლულა, იმ მიზნით, რომ დარწმუნებულიყო, მკვდარი იყო თუ არა. შუბლის არეში მიყენებული არც ერთი დარტყმა სასიკვდილო არ იყო. ექსპერტიზით ასეც დადგინდა, რომ ილია მოკლულ იქნა ტყვიით, რომელიც სხეულში შეეიდა ზურგის მხრიდან (მარცხენა ნეკნებს შორის) და გამოვიდა მკერდში მარჯვენა მხარეს (ძუძუს დერილთან). ისმის კითხვა: ვინ ესროლა ილია ჭავჭავაძეს? აშკარაა, რომ გასროლა იმ ტერორისტთა მხრიდან არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომლებმაც ეტლი გააჩერეს და გასროლის მომენტში ეტლის წინ იდგნენ.

შეიძლება თუ არა დადგინდეს იმ ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ილიას ზურგიდან ესროლა? იმხანად ტერორისტულ პრაქტიკაში ასეთი წესები მოქმედებდა: ყველა ტერორისტს ჰქონდა თავისი „ხელწერა", ე. ი. ტერორისტი მსხვერპლს კლავდა მისთვის დამახასიათებელი გასროლით. ასეთი გასროლის ნიმუშები იყო: ერთი ტყვია კუფაში, ოთხი ტყვია ზურგში, ორი ტყვია მკერდის არეში, სამი ტყვია მუცლის არეში, ერთი ტყვია შუბლის არეში და ა. შ. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტერორისტი ერთი „ხელწერით" მოქმედებდა. მაგრამ იმგვარი გასროლით, როგორითაც ილია მოკლეს(სხეულში მარცხენა ნეკნებს შორის შესული ტყვია გამოვიდა მკერდის არეში მარჯვნივ, ძუძუს დერილთან), იმხანად (1905-1907 წწ.) მხოლოდ ორი ტერორისტი სარგებლობდა ასეთი „ხელწერით". ერთი მათგანი 1907 წლის აგვისტოსათვის ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა და საქართველოში გვიან დაბრუნდა.

მეორე 1907 წლის იანვრიდან აგვისტომდე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებული თბილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების აგენტურული სამსახურის მასალების მიხედვით, არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, ბათუმში, ბაქოში და ბათუმი-თბილისი-ბაქოს მარშრუტით გადაადგილებისას ხშირად იკარგებოდა ჟანდარმერიის თვალთახედვის არიდან. ეს ტერორისტი შედიოდა იმ 50-55 ტერორისტის რიცხვში, რომელთაც, პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკოსთა დასკვნით, შეეძლოთ ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერორისტი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ილია მოკლა, ჟანდარმერიის თვალთახედვიდან გაქრა 1907 წლის 17 აგვისტოს. ამ დღეს იგი ჟანდარმერიის აგენტმა ბათუმის ნავსადგურში ნახა. ჟანდარმერიის თვალთახედვის არეში ტერორისტი კვლავ მხოლოდ 1907 წლის 21 დეკემბერს მოხვდა, ე. ი. ილიას მკვლელობიდან სამი თვისა და ოცდაერთი დღის შემდეგ. სავარაუდოა, ტერორისტმა „ფსკერზე ჯდომა“ გადაწყვიტა, ე. ი. გადაადგილებისა და ტერორისტული საქმიანობისაგან განგებ იკავებდა თავს. ეს ტერორისტთა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. ჯერჯერობით ვერ მიეკვლიეთ ისეთ მასალას, რომელიც ამტკიცებდეს, რომ საქართველოში იმავე „ხელწერით“ სხვა ტერორისტიც მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, კატეგორიული დასკვნის გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ზემოხსენებულ ტერორისტს, პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ უმტკიცდება. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია საფუძველი გამოაცალოს ჩვენს ვერსიას, რადგან 1907 წლის 17 აგვისტოდან 21 დეკემბრამდე პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ცნობა ტერორისტის შესახებ არ მოეპოვება, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა კი სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა.

მართალია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ჟენევაში, პარიზში), მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ქართველ საზოგადოებას, რომელიც ნინ ვერ ალუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროებას – ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე. უფრო მეტიც, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიზლა – საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ ღმერთმა უწყის ჭეშმარიტება: **იქნებ ქართველთა განწყობილებამაც იქონია გარკვეული გაელენა ჟენევასა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის შესახებ გადანყვეტილებას იღებდნენ...**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაში სადღეისოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

პირველი. ილიას მკველობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) მყოფმა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ (იმხანად ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები ერთ პარტიად იყო გაერთიანებული);

მეორე. ილიას მოკვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა მისი არჩევა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად (1906 წ.), ასევე ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მზარდაჭერა ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი და საერთოდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას და მისი განხორციელების შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცეოდა, რასაც ვლადიმირ ლენინი და მისი თანამოაზრეები ვერ დაუშვებდნენ;

მესამე. რსდმპ ხელმძღვანელობამ მკვლელობის დამკვეთის ვინაობის უკეთ დაფარვის მიზნით ილიას მკვლელობის ორგანიზება არ დააკალა რსდმპ თბილისის კომიტეტს (კომიტეტში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მოღვაწეობდნენ), რომელსაც ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია გააჩნდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (იგი ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ილიას მკვლელობის ორგანიზება დააკალა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს (არც ერთი მათგანი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა), რომელთაც მიღებული ინსტრუქციის თანახმად, საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ რსდმპ თბილისის კომიტეტი;

მეოთხე. ტერორისტული აქტის განხორ-

ციელებისათვის აუცილებელი თანხა სოციალ-დემოკრატებს ექსპროპრიაციის გზით საქართველოში არ მოუპოვებიათ, იგი საზღვარგარეთიდან შემოიტანეს. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ტანდარმერიასა და ოხრანკას ეჭვი არ აეღო, ექსპროპრირებული ფულის კეალს არ გაჰყოლოდა და მკვლელობის ორგანიზატორები არ დაედგინა;

შეხუთე. ილიას მკვლელობის დამკვეთის დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტულ აქტამდე დაყარეს ხმები იმის თაობაზე, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, მკვლელობის დღიდანვე კი სოციალ-დემოკრატები ძალზე ოსტატურად ავრცელებდნენ სხვადასხვა ვერსიას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს: ა) ყაჩაღებმა ძარცვის მიზნით; ბ) ადგილობრივმა გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე; გ) სომეხმა ნაციონალისტებმა ეროვნული შუღლის გამო; დ) რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით. სოციალ-დემოკრატებმა მკვლელობის დამკვეთის ვინაობა საბოლოოდ მაინც ვერ დამალეს, მაგრამ ილიას მკვლელობის პირველ დღეებში ხელისუფლება, საზოგადოება და ძიება სერიოზულად დააბნიეს;

მეექვსე. სოციალ-დემოკრატებს ილია შეეძლოთ მოეკლათ საკუთარ სახლში (თბილისში, საგურამოში) ან გზაზე, ეტლით მიმავალი. ამისათვის საკმარისი იყო ჩასაფრებული პროფესიონალი ქილერის ერთი გასროლა. ამ გზით განხორციელებული ტერორისტული აქტი სოციალ-დემოკრატებს ხელს არ აძლევდათ. ილია უნდა მოეკლათ ადგილობრივ გლეხებს აშკარა ყაჩაღური თავდასხმით, ხოლო მოკლული უნდა გაეძარცვათ. ეს მკვლელობის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემდა, გაევრცელებინათ ხმები, რომ ილიას ფიზიკურად გაუსწორდნენ ან ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე;

მეშვიდე. დამკვეთისა და ორგანიზატორების დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტული აქტი შემდეგნაირად განახორციელეს: ადგილობრივმა გლეხებმა: გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა), გიგლა (ლომა) **ხიზანიშვილმა** 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ ნინწამურსა და სოფელ საგურამოს შორის (საგურამოდან ოთხ ვერსზე) თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის ეტლი გააჩერეს. ამაში ტერორისტებს დაეხმარა მათი თანამზრახველი, ილიას მეეტლე თედო ლაბაური. სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ უეჭველად დადასტურებული ფაქტი, რომ გლეხებმა ეტლი გააჩერეს (ეს ფაქტი ძიებას კიდეც დაუდასტურეს თედო ლაბაურმა და ილიას მეუღლემ). მკვლელობის ორგანიზატორებს აფიქრებდათ ერთი გარემოება – გლეხები, რომლებიც ეტლს გააჩერებდნენ, პროფესიონალი ქილერები არ იყვნენ. ისინი დემორალიზებული, გადაგვარებული ადამიანები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა (არაპროფესიონალმა ქილერებმა) ფული აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში მემამულის მკვლელობა გადაიფიქრეს და მხოლოდ ძარცვით დაკმაყოფილდნენ. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმისასაც. სწორედ ამიტომ ილიას ეტლის გაჩერების საჭარაუდო ადგილზე მკვლელობის ორგანიზატორებს მზად ჰყავდათ დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერი (იგი ეროვნებით ქართველი იყო). გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ეტლი გააჩერა, ფეხზე წამომდგარ ილიას კი ზურგის მხრიდან, სავარაუდოდ, გზის მარცხენა ნაპირიდან, ესროლა ჩასაფრებულმა ქილერმა. ქილერმა ერთადერთი ტყვია გაისროლა. ტყვია ილიას სხეულში შევიდა მარცხენა ნეკნების მხრიდან, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოღნავ შიგნით (მარცხენა ძუძუსაკენ). ცეცხლსასროლი იარაღით (ტყვიით) მიყენებული სხვა ჭრილობა ილიას სხეულზე არ აღმოჩნდა. ქილერის ჩასაფრების შესახებ არაფერი უწყოდა გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა, ქილერმა კი ზუსტად იცოდა, თუ სად გააჩერებდნენ გლეხები ეტლს. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნეველად გაეცალა იქაურობას, მისი არსებობა არ შეუტყვია არც ძიებას და არც სასამართლოს.

§3. ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა მისი მკვლელობის შემდეგ

1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე მოკლეს. დასრულდა ნმიდა ილია მართლის ამქვეყნიური ცხოვრება. ყველა სალად მოაზროვნე ადამიანი ვარაუდობდა, რომ შეწყდებოდა წლების განმავლობაში მიმდინარე ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა, ილიას გზის გმობა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

1. კარლო ჩხეიძე. ილიას სიკვდილის შემდეგ მისი ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი დაიწყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის გამოსვლით ილიას დაკრძალვაზე. გარდაცვლილის უდიერად მოხსენიება არ არის მიღებული, მით უფრო მიუღებელია აუგის თქმა კუბოს საფლავში ჩაშვებამდე ცოტა ხნით ადრე. „მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან – არაფერს"– რომაული ეპოქის ამ სიბრძნეს კაცობრიობა ანგარიშს

უწევს. კარლო ჩხეიძემ კი ეს მორალური ნორმაც დაივიწყა და 1907 წლის 9 სექტემბერს სამგლოვიარო მიტინგზე ასეთი სიტყვებით მიმართა ილიას: „ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო ჩვენ ყველანი ერთნაირათ უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნანილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა ნარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმნიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას.....“ კარლო ჩხეიძის ეს სიტყვები სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში.

2. ნოე ჟორდანია. 1907 წლის 28 სექტემბერს, ე.ი. ილიას მკვლელობიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, **ნოე ჟორდანია** წერს წერილს საათაურით **„ბნელი ძალები.“** ეს წერილი 1907 წლის 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთში **„ჩვენი გზა“**. წერილი ხელმოწერილია ინიციალებით **ნ. ჟ.** თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ბნელ ძალებში“ ნოე ჟორდანია გულისხმობს ყველა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ მიმდინარეობას, რომლებიც ილიას მკვლელობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ადანაშაულებდნენ. ნოე ჟორდანია, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფს ილიას მკვლელობაში ქართველი სოციალ-დემოკრატების რაიმე ფორმით მონანილეობას. მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოიხილავს თავის თანაგუნდელებისადმი წაყენებულ ბრალდებას, ნოე ჟორდანია აღნიშნავს: „როგორც ვხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატიას. ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოც.-დემოკრატიის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკი ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა.“

ნოე ჟორდანიას ფრაზა – „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“ – ასევე სამარცხვინო ლაქად რჩება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ამ სიტყვების ავტორმა შთამომაელობის წინაშე თავის მართლების უფლება დაკარგა.

ნოე ჟორდანიას წერილი „ბნელი ძალები“ სხვა მხრივაც არის საყურადღებო. წერილი 1907 წლის 28 სექტემბერს დაინერა და 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა. 1907 წლის 8 ნოემბერს ილიას დაბადებიდან 70 წელი უსრულდებოდა. ასე „დაიფასა“ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ილიას ღვაწლი მისი დაბადებიდან 70-ე წლისთავზე.

3. ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. 1908 წელს გამოიცა **კონსტანტინე გვარამაძის** მიერ შედგენილი კრებული – **„სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა: ანუ დახასიათება მოკლეთ და მარტივათ.“** იუმორისტული ჟურნალი **„ეშმაკის მათრახი“** ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში შეეცადა საკმაოდ აეგდო კონსტანტინე გვარამიძის ღვაწლი (თვით ავტორი და ნაშრომი), რაც, ცხადია, ილიას განქიქებას ისახავდა მიზნად. მართალია, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დაიბეჭდა ფსევდონიმით **„კენტი“**, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ თვით მასალა სოციალ-დემოკრატების მიერ იყო შეკვეთილი.

4. ჟურნალი „მათრახი“. ილიაზე შარჟების გამოქვეყნებას იუმორისტული (სახუმარო) პერიოდული გამოცემები მისი მკვლელობის შემდგომაც აგრძელებდნენ. 1908 წლის 31 აგვისტოს გაზეთ **„მათრახში“**, ფსევდონიმით **„მკით–“** დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მასალა სათაურით **„ილიას ჭირისუფლები.“** ავტორი ცდილობდა სოციალ-დემოკრატების გამართლებას და დასცინოდა მათ, ვინც ილიას მკვლელობას ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაწერდა.

5. ფილიპე მახარაძე. ილიას მკვლელობის შემდეგ ფილიპე მახარაძე ნაკლებად აქტიურობდა. როგორც ჩანს, იგი „მართალი“ და „უდანაშაულო“ კაცის პოზიციის დაჭერას ცდილობდა, თავი ისე მოეჭონდა, თითქოს საზოგადოების ბრალდებები, რომ ილიას იდეური და ფიზიკური მკვლელობები მის სინდისზე იყო, მას არ ეხებოდა. 1913 წელს ჟურნალ **„ჩვენი წყაროს“** 21 და 28 აპრილის ნომრებში დაბეჭდილი ვრცელი წერილით **„მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!“** ფილიპე მახარაძემ თავის მართლება სცადა. წერილში უდავო ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული ყველა ის სიცრუე, რაც სოციალ-დემოკრატებმა ილიას შესახებ მისი სახელის გატეხის მიზნით 1905 წელს შეთხზეს. კერძოდ, ფილიპე მახარაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1905 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ ვასილ ნაცვლიშვილისა და თვით მის, ფილიპე მახარაძის,

მიერ გამოქვეყნებული მასალა ცილისწამება არ ყოფილა. იმავეს იმეორებს ფილიპე მახარაძე ჟურნალ „ჩვენი წყაროს" 1913 წლის 5 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში – **„უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს".** ამჯერად ფილიპე მახარაძე „სახალხო გაზეთს" პასუხობს. პასუხი ზერელე და ცინიკურია. წერილის ბოლოს თავის ოპონენტებს ავტორი ასეთ რჩევას აძლევს: „ჩვენ ვურჩევთ „სახ. გაზეთის" ვაჟბატონებს, წაბრძანდნენ ჩვენ სოფლებში, გამოიკვლიონ იქაური ვითარება და მაშინ დაინახავენ, რომ იქ კიდევ უფრო ბევრათ იმაზე უარესი ამბები ხდება, რომლებიც ხსენებულ კორესპოდენციაში (იგულისხმება ვასილ ნაცვლიშვილის კორესპოდენცია ჟურნალ „მოგზაურში" – ე. გ.) იყო აღწერილი." იქვე ფილიპე მახარაძე „ბრძნულად" დაასკვნის, რომ ილია „ბატონყმობის ნაშთების" დამცველი იყო.

ფილიპე მახარაძე შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან და ყველგან ილიას განქიქებას ცდილობდა. ჟურნალ „ჩვენი წყაროს" 1913 წლის 12 მაისის ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი **„ივანე ჯაბადარის ხსოვნას".** ავტორმა ილიას და ივანე ჯაბადარის პოლემიკაც გაიხსენა: „ივ. ჯაბადარი შეუდრეკელი დარჩა: იგი ვერ მოურიგდა „ივერიას" და ჩქარა მას და ჯაბადარს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, მაგალითად ივ. ჯაბადარის „წერილები საქართველოზე" „სეკერნი ვესტნიკში" ერთი მხარით და „აი ისტორიის" ავტორის (ილია ჭავჭავაძის – ე. გ.) არა საკადრისი, ვიტყვით პირდაპირ, დემაგოგიური პოლემიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ მიმართული მეორე მხრით."

6. პეტრე გელეიშვილი. 1914 წელს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის, ილიას გზის გმობის მიზნით ახალი ლაშქრობა წამოიწყეს. ამჯერად ილიას ძველი უარმყოფელი პეტრე გელეიშვილი აქტიურობდა.

1914 წლის 19 აპრილის გაზეთ **„აზრში"** გამოქვეყნდა განცხადება. მასში აღნიშნული იყო, რომ 23 აპრილს ქიათურის თეატრში პეტრე გელეიშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავდა ლექციას – **„ი. ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი."** განცხადებასთან ერთად, გაზეთმა გამოაქვეყნა პეტრე გელეიშვილის ლექციის „პროგრამმა" (ძირითადი საკითხების ჩამონათვალი). ქიათურის გარდა, პეტრე გელეიშვილმა ლექცია ქუთაისშიც წაიკითხა (გარდა ამისა, ლექცია მოისმინეს კიდევ რამდენიმე ქალაქსა და სოფელში). სოციალ-დემოკრატები ოსტატურად უზრუნველყოფდნენ პეტრე გელეიშვილს მსმენელთა აუდიტორიით.

1914 წლის 27 აპრილს ქუთაისში ილიას შესახებ ლექციის კითხვა პატრიოტ ახალგაზრდათა ჯგუფმა ჩაშალა, ხოლო თვით გელეიშვილს სცემეს. ამ ინციდენტის შემდეგ ქუთაისის გუბერნატორმა პეტრე გელეიშვილს ქალაქ ქუთაისსა და გუბერნიაში ილია ჭავჭავაძის შესახებ ლექციის ნაკითხვა აუკრძალა.

1914 წელს ილიას შესახებ წაკითხული ლექცია პეტრე გელეიშვილმა თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით – **„ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი. ლექცია პეტრე გელეიშვილისა"** ეს ნაშრომი (ლექცია) არ იმსახურებს დაწვრილებით განხილვას. მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს ლექციიდან:

– „ილიაზე წერა და ლაპარაკი დღეს მონოპოლიად გამხდარა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც თავის თავს მის მონაფეთ და მის სულიერ მემკვიდრეთ აღიარებს;"

– „მართალია, ჩვენ ილიას ვებრძოდით; მართალია, ჩვენ დღესაც ვებრძვით და ვეწინააღმდეგებით მის საზოგადოებრივ იდეალებს, მაგრამ ჩვენ მას მაინც დიდ პატივსა ვცემთ, როგორც დიდ პოეტს, როგორც ქართული ლიტერატურის დამამშვენებელ მწერალს, როგორც ქართული კულტურის დიდ მუშაკს;"

– „ამნაირათ, ჭავჭავაძის საქართველოს სოციალური ფორმულა მარტივია: გუთანი და ხმალი და მათზე დაყენებული სამეფო გვირგვინი!"

– „ერი, მთელი ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა! ეს არის ილიას სათაყვანო საგანი, მისი პოეზიის, მწერლობის და სიცოცხლის მიზანი; ეს არის მისი სიმბოლო სარწმუნოებისა. მაგრამ ერი ხომ ერთი დიდი ჩარჩოა, რომელშიც მოთავსებულია მისი სხვადასხვა ნაწილები, უჯრედები, სხვადასხვა წოდება, თუ კლასები. როგორი განწყობილება არსებობს ამ სხვადასხვა ნაწილთა შორის? როგორ შეიძლება ყველა ამათი ერთ ჩარჩოში მოთავსება? ილიასათვის ეს კითხვები არ არსებობს, ის ყოველგან გვერდს უხვევს მათ. ის ფიქრობს მხოლოდ ქართველ ერზე და არა ამ ერის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებზე; "

– „ჩატეხილი ხიდის" გასამართლებლათ ილიას ერთ უდიდეს საშუალებათ მიაჩნდა უმაღლესი წოდების ისტორიული ნამსახურობის აღდგენა. ამიტომაც მას ისტორიისათვის უნდა მიემართა; მაგრამ რაკი მან იქ ხელსაყრელი მასალა ვერ იშოვნა თავისი ერთხელ და სამუდამოთ გამომუშავებული აზრის დასამტკიცებლათ, ძალა-უნებურად მიჰყო ხელი წარსულის იდეალიზაციას. მან ხელი მიჰყო ქართველი მეფეებისა და უმაღლესი წოდების ხალხისათვის თავ-დადების გამოხატვას;"

– „ქვეყანა ინგრეოდა (იგულისხმება 1905 წელს დანყებული რევოლუცია – ვ. გ.) და ილია ელლინურის სიმშვიდით და ალუშფოთველობით მოითხოვდა თავის ერთხელ შემოღებული ბულგალტერიის სისტემის დაცვას. გლეხები იბრძოდნენ ძველი ფეოდალური ვალდებულობის – ღალა-კულუხის მოსასპობლათ; ილია კი არა თუ ამ გადასახადების მოსპობასა და გლეხებისათვის ტვირთის შემსუბუქებას არ ფიქრობს, პირ-იქით ახალ ვალდებულებას აკისრებს – ბუღგალტერია კარგათ დამაყენებიეთ და მით შეძლება მომეცით ჩემი შემოსავლის რაოდენობა ვიცოდეო!"

– „ილია ისეთ დროსაც კი, როგორიც იყო წარსული ბრძოლა (1905 წლის რევოლუცია – ვ. გ.) გლეხებსა და მებატონეებს შორის, ვერ შერიგებოდა არა თუ ღალა-კულუხის მოსპობის აზრს, ის ვერ შერიგებოდა იმ აზრსაც კი, რომ მის ბუღგალტერიის კარგათ დაყენების სურვილის განხორციელებას, რომელიც გლეხებისთვის სულაც არ იყო სავალდებულო, ეს უკანასკნელები ხელს არ შეუწყობდნენ;"

– „ილიას ძველი საქართველო დამარცხდა... ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო.

ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგი ილიაც. ის ვერ შეურიგდა ამ დამარცხებას. ის, როგორც გმირი მეზღვაური, ბოლომდე დარჩა მის დასალუპავათ განნირულ გემზე, მაშინაც კი, როცა იგი ყველამ მიატოვა განრისხებული ტალღების კერძათ.

ილია დარჩა მარტოთ-მარტო, უმწეო, უამბანაგო, უკარისკაცო და მარტოთ-მარტო დაიღუპა!"

ასე შეაფასა პეტრე გელეიშვილმა ილიას ნააზრევი და ნაღვაწი, ასე გაიაზრა ილიას ადგილი საქართველოს ისტორიაში, მისი მნიშვნელობა მომავალი თაობებისათვის.

7. მალაქია ტოროშელიძე. ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, კარლო ჩხეიძის, პეტრე გელეიშვილის) ნაწერებისაგან აშკარად გაშორჩევა ცნობილი სოციალ-დემოკრატის (ბოლშევიკის), მალაქია ტოროშელიძის, ნაშრომი „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი." ეს ნიგნი ფსევდონიმით „მ. ტ–ძე" 1914 წელს დაიბეჭდა სამტრედიაში.

მალაქია ტოროშელიძეც სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ მისი კრიტიკა ზომიერია. ავტორი არ ცდილობს აბუჩად აიგდოს, განაქიქოს ილიას ნააზრევი და ნაღვაწი. ამასთან ერთად, მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძეს, საერთოდ, სამოციანელთა თაობას და მთელ ეპოქას XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან XX საუკუნის დამდეგამდე, სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით აფასებს.

მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის 60-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული (სამოციანელთა) თაობის შეფასებისას სვამს კითხვას: „როგორ მოხდა, რომ მაშინდელმა თაობამ ალღო ვერ აართვა ცხოვრებას და გლეხობის სიკეთის მსურველი, მისი მხურვალე მოამაგე სრულებით დაშორდა მას თავისი პროგრამით. აქ ორი კითხვაა: რატომ ვერ გახდა ის გლეხობის იდეოლოგი და რათ შეიქმნა ის უტოპისტური." ცხადია, ამგვარი პოზიციის გამოვლენის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა ველოდეთ ილიას ნააზრევისა და ნაღვანის ობიექტურად შეფასებას. ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა თაობის სოციალურ ორიენტაციას ზოგადად ასეთ შეფასებას აძლევს: „თ.-აზნაურობიდან გამოსული, ჩვენი რიცხვით-მცირე ინტელიგენცია, ეკონომიური კითხვების გადაწყვეტაში საესებით შეეთანხმა იმ კლასს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მისი, როგორც პროგრესული ძალის, მისია იყო." რა გამოდის? ილია და სამოციანელები მაშინ იქნებოდნენ პროგრესული მოღვაწეები, თუ თავადაზნაურობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლას ჩაუდგებოდნენ სათავეში? ესაა წმინდა სოციალ-დემოკრატიული დემაგოგია. მსოფლმხედველობრივად მცდარია ტოროშელიძის კიდევ ერთი დასკვნა. ავტორის აზრით, ილია და სამოციანელები თავიდანვე „ნაციონალისტურ ნიადაგზე" დადგნენ. ცხადია, ეს ტოროშელიძეს უარყოფით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ „ამ მომენტით (ნაციონალისტური ნიადაგით) თვალ საჩინოთ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ინტელიგენცია ვერ გახდა მებრძოლი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ."როგორც ვხედავთ, ავტორი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აცხადებს, რომ ილიასა და მისი თანამოაზრეების პოზიციის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ მოღვაწეთა ეს თაობა ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ხმალამოღებული არ ებრძოდა ბატონყმობას.

მალაქია ტოროშელიძე ცდილობს გაარკვიოს: „საიდან წარმოიშვა და რას წარმოადგენდა ნაციონალური ნიადაგი?" ამ მიზნით ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს საქართველოს ისტორიის ორ ეპოქას – XIX საუკუნის 30-40-იან წლებსა და XIX საუკუნის 60-იან წლებს. ნაშრომში ვკითხულობთ: „აიღეთ მეორე მხრით მაშინდელი პოეტების – ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერები: თქვენ იქ სანთლითაც ვერ იპოვით იმას, რაც შედაგენს მე-60 წლების ნაციონალისტების (მათ შორის ილია ჭავჭავაძის –

ე. გ.) სულსა და გულს. პირიქით, ნ. ბარათაშვილი მსოფლიო მოტივებით სულდგმულობს და არა ნაციონალისტურით. აშკარაა, მე-60 წლების ნაციონალიზმი, რომელიც შეიმუშავეს ამ ეპოქის მოღვაწეებმა და რომელიც ასე ძვალ-რბილში გაუჯდა ქართველობის ერთ ნაწილს, რომ უმისოდ ქართველობის არსებობა ვერც ახლა და ვერც უწინ ვერ წარმოუდგენიათ, ეს ნაციონალიზმი ქართველების თანდაყოლილი თვისება არ ყოფილა."ცხადია, სრულიად უადგილოა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ილიას შედარება, ამ ორი განსხვავებული ეპოქის მოღვაწეთა შეხედულებების დაპირისპირება. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო ის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც, ალექსანდრე ჭავჭავაძეც და ილია ჭავჭავაძეც სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ.

საბოლოოდ, მალაქია ტოროშელიძე ილიას შემდეგ ბრალდებებს უყენებს:

1. გლეხობის ინტერესების უგულებელყოფა;

2. თავადაზნაურობის ინტერესების დაცვა, ბატონყმობის გაიდეალება;

3. ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგობა;

4. ზოგადსაკაცობრიო იდეებზე („მსოფლიო მოტივებზე") უარიის თქმა.

ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა შეკვეთას წარმოადგენდა, ამიტომ იგი უწყვეტად გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო ახალი ძალით იფეთქა 1921 წლიდან.

თავი XV. ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

ტერორისტულ აქტებსა და პოლიტიკურ მკვლელობებს 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ ხანებში დიდი გასაქანი მიეცა. რუსეთში ყველაზე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციები გააჩნდათ სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ანარქისტებს. საქართველოში ძლიერი „საბრძოლო ორგანიზაცია“ (იგივე ტერორისტული ორგანიზაცია) შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა(ამ შემთხვევაში მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად მოქმედებდნენ). 1905-1906 წლებში, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მონაცემებით, მხოლოდ თბილისში სოციალ-დემოკრატების საბრძოლო ორგანიზაციას 50-55 ტერორისტი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობას ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება შეეძლო. ჟანდარმერიამ ტერორისტების უმრავლესობის ვინაობა (სახელი და გვარი) იცოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მათ შეპყრობას ვერ ახერხებდა. სოციალ-დემოკრატების საბრძოლო ორგანიზაციამ 1906 წლის 16 იანვარს თბილისში, ალექსანდრ ბარიატინსკის ქუჩაზე, ბომბის აფეთქების შედეგად მოკლა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ფიოდორ გრიაზნოვი (1855–1906). ცნობები არ არის იმის შესახებ, თუ რამდენი ტერორისტი ჰყავდა აღრიცხული ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე თბილისთან შედარებით გაცილებით ნაკლები ტერორისტი იქნებოდა, თუმცა ქუთაისსა და ბათუმში 1905-1906 წლებში რამდენიმე ცნობილი ტერორისტი მოღვაწეობდა. 1905 წელს ქუთაისში, ჯაჭვის ხიდთან, ტერორისტები თავს დაესხნენ დამსჯელი ექსპედიციის მეთაურს, გენერალ-მაიორ **მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის** (1846-1907), თუმცა ნარუმატებლად. ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე 1905-1907 წლებში განხორციელდა რამდენიმე ტერორისტული აქტი, რომელთა უმრავლესობა წარმატებით დასრულდა. სოციალ-დემოკრატების შემდეგ სიძლიერით მეორე ტერორისტული ორგანიზაცია ჰქონდათ ესერებს, რომელთაც რევოლუციის წლებში ნარმატებით განახორციელეს რამდენიმე ათეული ტერორისტული აქტი. ესერები ტერორს, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, აღიარებდნენ, რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, ისინი ოფიციალურად ტერორს ემიჯნებოდნენ, თუმცა პრაქტიკულად ტერორის ტაქტიკას უფრო მეტად იყენებდნენ, ვიდრე ესერები. ეს შეეხება როგორც მენშევიკ, ისე ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებს.

ტერორისტული აქტი და პოლიტიკური მკვლელობა საყოველთაოდ ცნობილი სქემით ხორციელდებოდა: **ტერორისტული აქტის დამკვეთი – ტერორისტული აქტის ორგანიზატორი – ტერორისტული აქტის უშუალო განმხორციელებელი(ტერორისტი).** ტერორისტული აქტის დამკვეთმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა როგორც ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა, ისე უშუალო შემსრულებელთა ვინაობა. ტერორისტები იცნობდნენ აქტის ორგანიზატორთაგან მათთან მიგზავნილ პირიქნებას (საქმის მიმცემს), მაგრამ არავითარ შემთხვევაში – არც ტერორისტული აქტის ორგანოზატორებს და არც ტერორისტული აქტის დამკვეთებს. ამიტომ იყო, რომ ტერორისტული აქტის განხორციელებისას ან შემდგომ ხანებში დაპატიმრებულმა ტერორისტებმა ვერასდროს დაასახელეს ვერც ტერორისტული აქტის ორგანიზატორები და ვერც ამ აქტის დამკვეთები. ძიება და სასამართლოც უძლური ხდებოდა. დაედგინა ჭეშმარიტება. ამ მიზეზებმა განაპირობა ის, რომ ბევრი ტერორისტული აქტისა და პოლიტიკური მკვლელობის მნიშვნელოვანი დეტალები დღესაც კი უცნობია.

§1. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა (1906 წლის 16 იანვარი)

1906 წლის 16 იანვარს, დილის 11 საათზე, თბილისში, ალექსანდრ ბარიატინსკის (შემდეგში არსენა ჯორჯიაშვილის, დღეს – გიორგი ქანტარიას – ვ. გ.) ქუჩაზე, ეგნატე გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის – ვ. გ.) პროსპექტის მიმართულებით მიმავალ ეტლს, რომელიც ეკუთვნოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვს, ტერორისტმა ბომბი ესროლა. ბომბი გაისროლეს მაშინ, როცა გენერლის ეტლი ბარიატინსკის ქუჩიდან ალექსანდრეს (დღევანდელი 9 აპრილის – ვ. გ.) ბაღში შესასვლელსა და საინჟინრო სამმართველოს შენობას შორის იმყოფებოდა (ეს შენობა ახლაც დგას გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმსა და სასტუმრო „თბილისი-მერიოტს“ შორის – ვ. გ.). გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი მძიმედ დაიჭრა და ბარიატინსკის ქუჩიდან მიხეილის საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. როგორც ოფი-



ფიოდორ გრიაზნოვი

ციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, ტერორისტი ადგილზეე (ბარიატინსკის ქუჩის მხრიდან ალექსანდრეს ბაღის გასწვრივე ტროტუარზე) შეიპყრეს. დამნაშაეის დაკითხვა ცხელ კვალზე ვერ მოხერხდა, რადგან ბომბის აფეთქების შედეგად მას კონტუზია ჰქონდა მიღებული და საუბარი არ შეეძლო. ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით მასალების მოკლეეასა და გამოძიებას ანარმოებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო (უფროსი პოდპოლკოენიკი ივან პასტრულინი) და თბილისის ოხრანკა (საზოგადოებრივი ნესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება). გენერლის მკვლელობის საქმეს იძიებდა კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურა (სამხედრო გამომძიებელი პოლკოენიკი მანტეიფელი).

გენერალ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა უაღრესად დაძაბულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა. 1905 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს თბილისში ჯარმა და პოლიციამ გაფიცულებსა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე მუშები დაარბია. დიდუბესა და ნაძალადევში მუშებმა ბარიკადები მოანყეს და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუნიეს ჯარსა და პოლიციას. ამის საპასუხოდ არტილერიის გამოყენებით იქნა დანგრეული ბარიკადები და მრავალი შენობა დიდუბესა და ნაძალადევში. ბევრი მუშა დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი დაპატიმრებული იქნა. შეტაკებისას დაიღუპნენ პოლიციელები და ჯარისკაცები. ხელისუფლებამ თბილისში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, ქალაქის ცენტრალური უბნების ქუჩები, მოედნები და ბაღები ჯარითა და პოლიციელებით იყო სავსე. ჯარი და პოლიცია იცავდა სახელმწიფო დანესებულებებს (კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციას, თბილისის გუბერნატორის რეზიდენციას, თბილისის საკრებულოს, ბანკს, ფოსტა-ტელეგრაფს, და სხვ.). ოცდაოთხი საათი მორიგეობდა ჯარი და პოლიცია თბილისის რკინიგზის სადგურში, მტკვარზე არსებულ ხიდებზე და დიდ ფაბრიკა-ქარხნებთან. რუსეთის რეგულარული ჯარის ერთი საარტილერიო ნაწილი მთაწმინდაზე განლაგდა, საიდანაც არტილერისტებმა ქვემეხები ქალაქს დაუმიზნეს.

გენერალ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა:

1. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ მოიპოვა შემთხვევის ადგილზე დაკავებული ტერორისტის პირადობის დამადასტურებელი ცნობა, რომლიდანაც დაგინდებოდა, რომ იგი იყო თბილისის გუბერნიის თბილისის მაზრის დიდი ენაგეთის სასოფლო თემის სოფელ ბოგვის მცხოვრები, თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა არსენა პავლეს ძე ჯოიაშვილი. დიდი ენაგეთის ნმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების წიგნში 1881 წლის 22 აპრილის №11 ჩანაწერი გვაუწყებდა: დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 22 აპრილს არსენა. მისი მშობლები არიან: სოფელ დიდი ენაგეთის მცხოვრებლები – სახელმწიფო გლეხი პავლე სიმონის ძე ჯოიაშვილი და მისი სკულიერი მეუღლე დარეჯან ივანეს ასული, ორიენი მართლმადიდებლური აღმსარებლობისა.

2. ძიებამ 1906 წლის 16 იანვარსვე დაკითხა პოლიციის ზედამხედველი ი. ო. სივაკი, რომელმაც ასეთი ჩვენება მისცა: თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩემთვის უცნობ ადამიანს, რომელიც დაკავებული იქნა, როგორც გენერალ გრიაზნოვის მკვლელი, ხშირად ეხედავდი ვაგზლის ქუჩაზე, აგრეთვე ვაგზლის მოედანზე, დუქანში და გადასასვლელ ხიდთან საბილიარდოში, მისი სახელი და გვარი არ ვიცი, გარეგნობის მიხედვით ვფიქრობდი, რომ იგი იმერული იყო. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოკლა მან გენერალი გრიაზნოვი, მე არაფერი ვიცი. ამ საქმესთან დაკავშირებით სხვას ვერაფერს გეტყვით.

3. 1906 წლის 17 იანვარს გამოძიებას ჩვენება მისცა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა (მოადგილემ) ა. ა. კარასევმა. ჩვენებაში ეკითხულობთ: გუშინ, 16 იანვარს, მეთორმეტე საათის დაწყებისას, მე საოლქო სასამართლოდან შინ ებრუნდებოდი, ემოძრაო-

ბდი ბარიატინსკის ქუჩის მარცხენა ტროტუარზე (დღევანდელი ლიტერატურის მუზეუმის მხარეს – ვ. გ.), დავინახე, რომ ქვემოდან გოლოვინის პროსპექტისაკენ მოემართებოდა ორცხენიანი ეკიპაჟი (ეტლი – ვ. გ.), რომლის კოფოზე იჯდა კაზაკი. ვინ იყო ეტლში, მე მაშინ არ ვიცოდი. მე ეტლს ყურადღებასაც არ მივაქცევდი, რომ არა ერთი შემთხვევა: დავინახე ქალი ორი პატარა ბავშვით, რომლებიც ალექსანდრეს ბაღის მხრიდან ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. შევშფოთდი, მეგონა, რომ ქალსა და ბავშვებს შეიძლება ეტლი დასჯახებოდა. ეტლი გამცდა, მე ქალისა და ბავშვებისაკენ ვიყურებოდი. ამ დროს გაისმა საშინელი აფეთქების ხმა, თითქოს ზარბაზნიდან გასროლესო. თავიდან ვერ გავიგე, რა მოხდა. აზრზე რომ მოვედი, მივხვდი, რომ ბომბი აფეთქდა. საინჟინრო სამმართველოს შენობის სადარბაზოსთან ჯარისკაცებმა მოიყვანეს შეპყრობილი კაცი, რომელმაც გენერალ გრიაზნოვის ეტლს ბომბი ესროლა და რომელიც მათ ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან შეიპყრეს.

4. ტერორისტული აქტის ადგილზე შეპყრობილ **არსენა ჯოიაშვილს** ბომბის აფეთქების შედეგად ისეთი ძლიერი კონტუზია ჰქონდა მიღებული, რომ საავადმყოფოში მოათავსეს და მისი დაკითხვა მხოლოდ 1906 წლის 27 იანვარს (ტერორისტული აქტიდან მე-11 დღეს) გახდა შესაძლებელი. არსენა ჯოიაშვილმა ასეთი ჩვენება მისცა: მე ვმუშაობ რკინიგზაზე (უნდა იყოს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში – ვ. გ.), 16 იანვარს მივდიოდი რკინიგზაზე, რათა გამებგო, გაფიცვაში მონაწილეობისათვის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ აღმადგინეს თუ არა. ალექსანდრეს ბაღს მივუახლოვდი გოლოვინის პროსპექტის მხრიდან, ბაღის შესასვლელთან (ეს შესასვლელი დღესაც არსებობს სამხატვრო გალერეის შენობასთან, რუსთაველის პროსპექტისა და ჭანტურიას ქუჩის კუთხეში – ვ. გ.) დავინახე ორი სამხედრო (ძიებამ დაადგინა, რომ ესენი იყვნენ კავკასიის მესანგრეთა პირველი ბატალიონის რიგითი, მებარაბნე **მოისეი კირინჩუკი** და სამუერის ქვეითთა 83-ე პოლკის უნტეროფიცერი, უფროსი თანრიგის მწერალი **მატვეი კოვალენკო** – ვ. გ.), რომლებიც საათს ყიდდნენ. გამყიდველი და მყიდველები ფასზე ვერ შეთანხმდნენ, მაშინ მე ჯარისკაცებს საათში 3 მანეთი შევთავაზე, მათ ფული გამომართვეს, მაგრამ საათი იმავე პირს მიჰყიდეს, ვისაც ეუაჭრებოდნენ და მიმალვა სცადეს. მე მათ დაეედევნე და ფულის დაბრუნება მოვთხოვე (ჯარისკაცები რუსთაველის პროსპექტსა და ჭანტურიას ქუჩის კუთხეში არსებული ბაღის შესასვლელიდან ჭანტურიას ქუჩით დაღმართს დაუყვნენ, მათ არსენა ჯოიაშვილი ბაღის მეორე შესასვლელთან დაეწია, რომელიც საინჟინრო სამმართველოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა –ვ. გ.). დავენიე თუ არა ჯარისკაცებს, ბომბის აფეთქების ხმა გაისმა. ორივე ჯარისკაცი მე მომვარდა და შემიპყრეს. ბაღის შესასვლელთან მოირბინეს სხვა ჯარისკაცებმაც, მინაზე დამადგეს და ცემა დამიწყეს. ამის შემდეგ არაფერი აღარ მახსოვს (როგორც ჩანს, მიღებული კონტუზიისა და ცემის გამო არსენა ჯოიაშვილმა გრძნობა დაკარგა –ვ. გ.).

5. 1906 წლის 17 იანვარს, მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით, თბილისის ოხრანკის უფროსმა ზემდგომი ინსტანციისათვის მოხსენება შეადგინა, რომელშიც ეკითხულობთ: გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა სოციალ-დემოკრატი მუშებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მკვლელობამ მუშებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, გენერალ გრიაზნოვს რსდმპ თბილისის კომიტეტმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მოგვიანებით ტერორის შენყვეტის შესახებ დადგენილება მიიღეს. ასეთი დადგენილების გამოტანის მიზეზი შემდეგი იყო: სოციალ-დემოკრატთა საბრძოლო ორგანიზაციის წევრი მუშების ნაწილი ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებიდან დათხოვნილი იყვნენ და სამსახურშიც აღარ აბრუნებდნენ. სამუშაოდან დათხოვნილმა მუშებმა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ადმინისტრაციას სამსახურში აღდგენის თაობაზე ულტიმატუმი წაუყენეს. მუშების გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა რსდმპ თბილისის კომიტეტი და მათ განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში(თბილისში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, მიმდინარეობდა გაფიცვებისა და რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება – ვ. გ.) ულტიმატუმის მხარდაჭერას რსდმპ თბილისის კომიტეტი შეუძლებლად მიიჩნევდა. გაბრაზებულმა მუშებმა თბილისის კომიტეტისაგან დამოუკიდებლად კრებების ჩატარება დაიწყეს და გენერალ გრიაზნოვისათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენის აღსრულება დროებით შეაჩერეს.

6. 1906 წლის 19 იანვარს თბილისის ოხრანკის უფროსმა, როგორც ჩანს, დამატებითი მასალები მოიპოვა და ზემდგომი ინსტანციისათვის ახალი მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში ეკითხულობთ: გენერალი გრიაზნოვი მოკლეს რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ტერორისტებმა. ტერორისტები აპირებენ გენერალ ევგენი **შირინკინისა**(კავკასიის პოლიციის გამგე – ვ. გ.) და თბილისის პოლიციმაისტერ **მარტინოვის** მოკვლას. საბრძოლო ორგანიზაციის წევრები დაჟინებით ავრცელებდნენ ხმებს, გენერალი იმიტომ მოკლეს, რომ თბილისში



არსენა ჯორჯიაშვილი (ზის მეორე რიგში მარცხნიდან მესამე)

ჯარმა ქალაქის მცხოვრებლებს სროლა აუტეხოს და უდანაშაულო ადამიანები დაიხოცონ. ჯარისა და პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილების მიზნით გენერლის მკვლელი სოციალ-დემოკრატებმა თვითონ გადასცეს ხელისუფლებას. მკვლელი საბრძოლო ორგანიზაციის რიგითი წევრია, მან თვითონ იკისრა გენერლის მოკვლა. გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა არ მომხდარა რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით. ტერორისტული აქტი განახორციელა სამსახურიდან დათხოვილმა, უსაქმურმა მუშამ.

7. 1906 წლის 23 იანვარს თბილისის ოხრანკის უფროსმა ზემდგომი ინსტანციისათვის უკვე მესამე მოხსენება შეადგინა, რომელშიც ეკითხულობთ: გენერალი გრიაზნოვი მოკლა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის (ჩუღურეთის რაიონის – ვ. გ.) ტერორისტულმა ორგანიზაციამ. ტერორისტები გენერალს დიდი ხნის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს. 16 იანვარს გენერლის მკვლელობა მოანყო ორმა ტერორისტმა. ერთ მათგანს ჰქონდა ბომბი, ხოლო მეორეს (პირველი ტერორისტის მცველს – ვ. გ.) – პისტოლეტი. მცველის მოვალობას შეადგენდა ბომბის მტყორცნელი ტერორისტის დაცვა ბომბის სროლის მომენტში, დაკაეების შემთხვეაში და გაქცეისას. ტერორისტი, რომელმაც გენერალს ბომბი ესროლა, გაიქცა და მიმალვა მოახერხა. შემთხვეის ადგილზე შეიპყრეს მისი მცველი არსენა ჯოიაშვილი. იმის გამო, რომ არსენა ჯოიაშვილმა მძიმე კონტუზია მიიღო, პისტოლეტიდან გასროლა ეელარ შეძლო და მხოლოდ ცდილობდა იარაღი ჩაერტყა დამკავებლებისათვის. მოხსენებაში არის ერთი მეტად საინტერესო ადგილი, თბილისის ოხრანკის უფროსი წერს: **ეს ცნობები და დეტალები არ უნდა გახმაურდეს!**

ზემოთ მოხმობილი დოკუმენტები ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაციას შეიცავს. ამ და კიდევ სხვა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე აუცილებელი იყო ჟანდარმერიას, ოხრანკასა და სამხედრო პროკურატურას რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გაერკვია და მათ ხელთ არსებულ მასალებში სიზუსტე შეეტანა. მოკლეევისა და ძიების პროცესში ყურადღება არ გამახვილებულა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე:

1. გენერალ ფიოდორ გრიაზნოვისათვის ნასროლმა ბომბმა დააზიანა ეტლი, სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი. იმავდროულად მძიმე კონტუზია მიიღო ბომბის მსროლელმა ტერორისტმა, რომელიც, გამოძიების ეერსიით, იყო არსენა

ჯოიაშვილი. გამოძიების ვერსიითვე, ტერორისტმა ეტლს ბომბი ბარიატინსკის ქუჩის მხრიდან ალექსანდრეს ბაღის შესასვლელის წინ ტროტუარზე მდგომმა ესროლა. ეს ვერსია არ შეეფერება სინამდვილეს. იმის გამო, რომ თბილისში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, ალექსანდრეს ბაღში უამრავი ოფიცერი, ჯარისკაცი და პოლიციელი იმყოფებოდა. ასე რომ, ბაღის შესასვლელიდან ბომბის გასროლა ტერორისტისათვის დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული: მას მაშინვე შეამჩნევდნენ და თუ ვერ შეიპყრობდნენ, მოკლავდნენ. ამ საფრთხეს კარგად გრძნობდა ტერორისტი. ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან დგინდება, რომ ტერორისტმა გენერალ გრიაზნოვის ეტლს ბომბი ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ბარიატინსკის ქუჩის მეორე მხარეს მდებარე საინჟინრო სამმართველოს შენობის ან მეორე სართულიდან, ან, უფრო სავარაუდოა, შენობის სახურავიდან ესროლა. ამიტომ იყო, რომ ბომბმა ვერ დააზიანა ტერორისტი, მაგრამ აფეთქების ტალღისაგან კონტუზია მიიღო არსენა ჯოიაშვილმა;

2. არსენა ჯოიაშვილი მხოლოდ 1906 წლის 27 იანვარს დაკითხეს. გამომძიებლის კითხვაზე, თუ რატომ მოკლა მან გენერალი გრიაზნოვი, არსენა ჯოიაშვილმა კითხვითვე მოუგო: ვინ არის გრიაზნოვი? სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ თუ არსენა ჯოიაშვილი მკვლელი იყო, თავის მართლებას მოჰყოლოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ მკვლელობასთან მას არაფერი საერთო არ ჰქონია. ამის სანაცვლოდ მან გულუბრყვილო კითხვა დასვა;

3. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ და თბილისის ოხრანკამ ვერ მოიპოვეს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ არსენა ჯოიაშვილი იმ ტერორიტთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ასეთ საპასუხისმგებლო დავალებას მისცემდნენ. მანამდე არსენა ჯოიაშვილს არც ერთ ტერორისტულ აქტში არ ჰქონია მონაწილეობა მიღებული, არ მონაწილეობდა 1905 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს დიდუბესა და ნაძალადევში პოლიციასა და ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოუცდელ ტერორისტს კი თბილისის ცენტრში, ისიც სამხედრო მდგომარეობის პირობებში, მაღალჩინოსანი გენერლის ბომბით მოკვლას არ დაავალებდნენ;

4. ძიებას ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ ორმა რუსმა სამხედრომ, მებარაბნემ და უნტეროფიცერმა, არსენა ჯოიაშვილი ბარიატინსკის ქუჩის ტროტუარზე, ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან შეიპყრეს, მაგრამ ბაღში მყოფ პოლიციელებსა და სამხედროებს კი არ გადასცეს, არამედ ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანეს და პოლიციას საინჟინრო სამმართველოს შენობის წინ ჩააბარეს. გამოძიება ვერ მიხვდა, თორემ რუსი სამხედროები საკმაოდ საზრიანად და წინდახედულად მოქმედებდნენ: მათ კარგად იცოდნენ, რომ ბომბი არსენა ჯოიაშვილს არ გაუსვრია, ტერორისტმა ბომბი საინჟინრო სამმართველოს შენობიდან ისროლა და სწრაფადვე მიიმალა. სწორედ ამიტომ გადაიყვანეს მათ არსენა ჯოიაშვილი საინჟინრო სამმართველოს შენობის წინ, საიდანაც ბომბი გაისროლეს. ამ გზით რუსები უფრო ადვილად დაამტკიცებდნენ, რომ ბომბი სწორედ მათ მიერ შეპყრობილმა ისროლა. რუსი ჯარისკაცი და უნტეროფიცერი ასე არ მოიქცეოდნენ, მათ რომ სცოდნოდათ ერთი რამ: გამოძიება ბომბის გასროლის Aადგილად ალექსანდრეს ბაღის შესასვლელს მიიჩნევდა;

5. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ ერთი მონმეც კი ვერ იპოვა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბომბი არსენა ჯოიაშვილმა ალექსანდრეს ბაღის შესასვლელიდან ისროლა. ამას, ზემოთ ხსენებული რუსი ჯარისკაცისა და უნტეროფიცრის გარდა, არავინ ადასტურებდა, მით უმეტეს, რომ ალექსანდრეს ბაღი, როგორც ვთქვით, სავსე იყო ჯარით, პოლიციითა და მოქალაქეებით და ბარიატინსკის ქუჩაზეც ხალხი მრავლად მოძრაობდა. ცხადია, ძიება ამ სუსტ მხარეს კარგად ხედავდა, ამიტომ ცრუმონმის გამოყენება სცადეს. უბნის ბოქაულმა დაკითხვისას აჩვენა, რომ მან დაინახა, თუ როგორ ესროლა ბომბი გენერლის ეტლს სწორედ არსენა ჯოიაშვილმა. სასამართლო პროცესზე ცრუმონმე ადვოკატებმა დააბნიეს და დაკითხვისას მას ნამოცდა: ბომბის აფეთქების ხმა ჩემს სამუშაო ადგილზე (კაბინეტში) გაიგონეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოქაული დანაშაული ადგილზე კი არ ყოფილა, იქ მოგვიანებით მისულა.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, თბილისის ოხრანკის უფროსი და კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურის სამხედრო გამომძიებელი დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალები იყვნენ საიმისოდ, რომ ადვილად მიმხვდარიყვნენ, არსენა ჯოიაშვილს გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი არ მოუკლავს. სამივე მოხელე სრულიად უძლური აღმოჩნდა ჭეშმარიტების დადგენაში. საქმე ის იყო, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მკვლელობამ უკიდურესად აღაშფოთა სამხედროები, რომლებიც ამ დროისათვის, ფაქტობრივად, ქალაქის ბატონ-პატრონები იყვნენ. სამხედროებმა ულტიმატუმი წამოაყენეს: თუ გენერლის მკვლელს დროულად არ იპოვიდნენ, ქა-

ლაქს საარტილერიო ცეცხლით გადაუვადნენ და მოსახლეობას დაარბევდნენ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა, თბილისის ოხრანკის უფროსმა, თბილისის პოლიცმაისტერმა და თვით სამხედროებმაც კარგად უწყოდნენ, რომ ტერორისტს ან საერთოდ ვერ იპოვიდნენ, ან მის დაპატიმრებას საკმაო დრო დასჭირდებოდა. ასე რომ, თბილისის დარბევა და ანიოკება თითქმის გარდაუვალი ჩანდა. გენერალ გრიაზნოვის მკვლელის პოვნა და შეპყრობა სამი უნყების: თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკისა და თბილისის პოლიცმაისტერის – მოვალეობას შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ტერორისტს ვერ შეიპყრობდნენ და სამხედროები ქალაქს დაარბევდნენ, ამაზეც პასუხისმგებელი ზემოთ ხსენებული სამი უწყება იქნებოდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და თბილისის ოხრანკის უფროსს ისღა დარჩენოდათ, რომ ძიებისათვის მასალები ისე მიეწოდებინათ, რომ გენერლის მკვლელობა არსენა ჯოიაშვილს დაბრალებოდა, ანუ არაფერი გაეთვალისწინებინათ, გარდა ორი თაღლითი რუსის – რიგით ჯარისკაც მოისეი კირიჩუკისა და უნტეროფიცერ მატვეი კოვალენკოს – მაქინაციისა.

არსენა ჯოიაშვილის გენერალ გრიაზნოვის მკვლელად გამოცხადებაში ჟანდარმერიასა და ოხრანკას უნებურად ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა იოსებ ჯუღაშვილმა. რსდმპ თბილისის კომიტეტს ტერორისტული აქტები დროებით აკრძალული ჰქონდა, ეს სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო იმით, რომ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში პოლიციისა და ჯარის მერ დატრიალებული ხოცვა-ჟლეტა მოსახლეობამ სოციალ-დემოკრატებს დააბრალა. იყო შემთხვევები, როდესაც აღელვებულმა ადამიანებმა პირდაპირ ქუჩაში სცემეს სოციალ-დემოკრატებს. შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე სოციალ-დემოკრატები ან ქალაქიდან გადაიხვეწნენ, ან ღრმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს. კიდევ ერთ ახალ ტერორისტულ აქტს ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრი რეპრესიები და დარბევები მოჰყვებოდა, რაშიც მოსახლეობა, ცხადია, სოციალ-დემოკრატებს დაადანაშაულებდა. სოციალ-დემოკრატების მიმართ სიძულვილი გაიზრდებოდა, რასაც ანგარიშსწორებაც მოჰყვებოდა. ამიტომ იყო, რომ ნოე ჟორდანიამ და სხვა მენშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს, რომ ტერორისტულ აქტთან არავითარი საერთო არ ჰქონიათ. უშველიდა თუ არა ეს განცხადება საქმეს, არავინ იცის. ნოე ჟორდანიასაგან განსხვავებით, სხვაგვარად მოიქცა იოსებ ჯუღაშვილი. მან სასწრაფოდ დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიცავდა უადგილო მოწოდებას: ვიხსნათ არსენა ჯორჯიაშვილი! ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: პირველი, ვის და როგორ უნდა ეხსნა გენერალ გრიაზნოვის მკვლელი და ისიც იმ დროს, როდესაც თბილისში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული; მეორე, ის, ვისაც გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა ედებოდა ბრალად, ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერის მიხედვით, იყო არსენა ჯოიაშვილი და არა არსენა ჯორჯიაშვილი. ეს უბრალო კორექტურული შეცდომა არ იყო, გეარი იოსებ ჯუღაშვილმა განგებ შეცვალა. ასეა თუ ისე, იოსებ ჯუღაშვილმა ძიებას ირიბად დაუდასტურა, რომ გენერალი ტერორისტმა არსენა ჯორჯიაშვილმა მოკლა, რომლის ხსნისაკენაც ამაოდ მოუწოდებდა იგი ამხანაგებს. რადგან მკვლელი დადგენილი იყო, სამხედროებიც დანყნარდნენ და თბილისიც დარბევას გადაურჩა. იყო თუ არა ეს იოსებ ჯუღაშვილისაგან მორალური საქციელი, სხვა საკითხია.

მთავარი მაინც სასამართლო იყო. არსენა ჯოიაშვილი იმავე წელს სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. ბრალდებულს ცნობილი ქართველი ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი და ასევე ცნობილი ებრაელი ადვოკატი კლანკი იცავდნენ. სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, წევრებმა, პროკურორმა იცოდნენ, რომ გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელად არსენა ჯოიაშვილისათვის უნდა ეცნოთ. ძიების მასალებიც სწორედ ამ პრინციპით იყო წარდგენილი სასამართლოზე. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ სასამართლოზე მიყვანილი ცრუმოწმე, უბნის ბოქაული, რომელიც პირველსავე დღეს გამოააშკარავეს იოსებ ბარათაშვილმა და კლანკმა. ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ სასამართლო პროცესზე მიეყვანათ და დაეკითხათ საქმის ორი მთავარი მოწმე: ჯარისკაცი მოისეი კირიჩუკი და უნტეროფიცერი მატვეი კოვალენკო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ორმა პიროვნებამ ბარიატინსკის ქუჩაზე ბომბის აფეთქების შემდეგ არსენა ჯოიაშვილი დააკავა, მათვე პოლიციელებს განუცხადეს, ბომბი ეტლს სწორედ ამან ესროლაო. ადვოკატთა შუამდგომლობის მოთხოვნა საკმაოდ კანონზომიერი იყო, რადგან მოისეი კირიჩუკი და მატვეი კოვალენკო ბრალდების მთავარი მონმენი იყვნენ, მათ ჩვენებას სხვა არავინ ადასტურებდა. ადვოკატების მოთხოვნას ასეთი პასუხი გაეცა: ჯარისკაცი კირიჩუკი და უნტეროფიცერი კოვალენკო თბილისში აღარ მსახურობენ, ისინი ელადიკავკაზში გადაიყვანეს და მათი თბილისში ჩამოყვანა და დაკითხვა სასამართლოს საჭიროდ არ

მიაჩნიაო. სინამდვილეში, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე შიშობდა, რომ არსენა ჯოიაშვილის ადვოკატები კირჩჩუკსა და კოვალენკოსაც ისევე დააბნევდნენ, როგორც დააბნიეს და სიმართლე ნამოაცდენინეს უბნის ბოქაულს.

სასამართლო პროცესი დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, არსენა ჯოიაშვილს გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა) მიესაჯა. არსენა ჯოიაშვილი 1907 წლის 1 მარტს ჩამოახრჩვეს თბილისის საგუბერნიო ციხეში. თბილისელმა ჟალათმა უარი თქვა სიკვდილმისჯილის ჩამოხრჩობაზე, რის ერთადერთ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ: მან, ისევე, როგორც უამრავმა თბილისელმა, კარგად იცოდა, რომ არსენა ჯოიაშვილს გენერალი გრიაზნოვი არ მოუკლავს, იგი სხვა ტერორისტის ნაცვლად ისჯებოდა. არსენა ჯოიაშვილი ქალაქ ოდესიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ჟალათმა ჩამოახრჩო. ასე დაიმალა სიმართლე, რომელიც კარგად უნდა სცოდნოდა კავკასიის მეფისნაცვალს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, თბილისის ოხრანკის უფროსს, კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორს, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და ბოლოს, იოსებ ჯუღაშვილს.

საბჭოთა საქართველოში არსენა ჯოიაშვილის სახელი ეწოდა ალექსანდრ ბარიატინსკის ქუჩას, ოლონდ შენობებზე მიკრულ ფირნიშზე გვარი ჯოიაშვილი კი არ იყო მითითებული, არამედ ჯორჯიაშვილი. ასე შევიდა საქართველოს ისტორიაში არსენა ჯოიაშვილი ჯორჯიაშვილის გვარით.

არსენა ჯოიაშვილის სახელი ძალზე პოპულარული გახდა 1921 წელს ივანე პერესტიანის მიერ გადაღებული ფილმის, „არსენა ჯორჯიაშვილის," შემდეგ. ამ ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებელი მიხეილ ჭიაურელი შეხვედრია იოსებ სტალინს. საუბრისას, სხვათა შორის, სტალინს უთქვამს: ფილმი კი გადაიღეთ, მაგრამ შენ იცი თუ არა, რომ გენერალი გრიაზნოვი არსენა ჯორჯიაშვილს არ მოუკლავსო. გაოცებულ მიხეილ ჭიაურელს სტალინისათვის უკითხავს: – მაშ, ვინ მოკლა? სტალინს ტერორისტის ვინაობა არ დაუსახელებია, ხოლო ამ საკითხზე საუბარიც ასე დაუსრულებია: ეხლა რა მნიშვნელობა აქვს, გრიაზნოვის მკვლელი ამჟამად დიდი კაციაო. ეს „დიდი კაცი" კი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სახალხო კომისარი (მინისტრი) იყო. მინისტრმა, პერსონალური პენსიის მიღება მოითხოვა და საგანგებო განცხადებაში რევოლუციის წინაშე თავისი დამსახურებები ჩამოთვალა. დამსახურებათა ვრცელ ნუსხაში ერთ-ერთი ასეთიცაა: გენერალი გრიაზნოვი მე მოვკალიო.

სიმართლე მაინც არ დაიმალა, თუმცა მავანისა და მავანის კარიერას შეეწირა სრულიად უდანაშაულო ადამიანის, არსენა ჯოიაშვილის, სიცოცხლე.

§2. თბილისში ერევანსკის მოედნიდან რუსეთის ხაზინის კუთვნილი ფულის გატაცება (1907 წლის 13 ივნისი)

1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნიდან, ტერორისტებმა გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი ფული – 250 ათასი მანეთი (ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები). საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ერევანსკის მოედანზე ექსპროპრიაცია განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა (რსდმპ თბილისის კომიტეტმა). ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო იოსებ ჯუღაშვილი, ხოლო უშუალო შემსრულებელი – სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო). საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებული ექსპროპრიაციის შესახებ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ინფორმაცია მიაწოდა ორმა აგენტმა. აგენტი „H" 1907 წლის 15 ივნისს წერდა: ამა წლის 13 ივნისს ფოსტაზე თავდასხმა განახორციელა 32 კაცმა, რომელთაგან 10 ბომბებით იყო შეიარაღებული, 12 – რევოლვერებით, ხოლო დანარჩენები შექმნილი არეულობის დროს ფულის გატაცებით იყვნენ დაკავებულნი. რომელ პარტიას ეკუთვნიან მძარცველები, ჯერჯერობით ჩემთვის ცნობილი არ არის. ფულის გატაცების გეგმა შეადგინა ვილაც სტუდენტმა, რომელიც ცხოვრობს სადღაც ვერაზე, მისი გვარი ჩემთვის ცნობილი არ არის, თუმცა სახეზე ვიცნობ. მისი ნიშნებია: მაღალი ტანის, შავგვრემანი, წვერს მოკლედ იკრეჭს, იცვამს ნაცრისფერ კოსტიუმს და ახურავს შავი შლაპა, ძარცვის მეორე მონაწილე დაბალი ტანისაა, შავგვრემანია, საკარაუდოა, სომეხი იყოს, ატარებს პენსნეს, მარცხენა ფეხით კოჭლობს, ფეხის ტერფი შებრუნებული აქვს მარცხნივ, საუბრობს ნელა, იგი დიდი ხანი არ არის, რაც გადასახლებიდან გაიქცა და იმალება თბილისში, მას სურს 16 ან 17 ივნისს გაემგზავროს ქალაქ ელისავეტპოლში მცხოვრებ ვილაც ამხანაგთან, სადაც ორი კვირა აპირებს დარჩენას და შემდეგ დაბრუნდება

თბილისში. მისი ნათესავები ცხოვრობენ გოგოლის ქუჩაზე №55 სახლში.

1907 წლის 2 ივლისით დათარიღებულ ინფორმაციაში თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მეორე აგენტი „Большая" აღნიშნავდა: 13 ივნისს ძარცვის შედეგად გატაცებული ფული ჯერ არ გაუნაწილებიათ, ფული აქვთ ბარშია კომიტეტის განკარგულებაში. გატაცებული ფულის განაწილებას ასე აპირებენ: ნაწილი გადაიდება რევოლუციის საჭიროებისათვის, დარჩენილ ნაწილს მიიღებენ ძარცვის მონაწილეები, თითოეული 2.000 მანეთს. მძარცველთა ჯგუფის ხელმძღვანელია „მამასახლისი"("Старшина") – ყოფილი კონდუქტორი სარქის ოთაროვი, რომელიც ცხოვრობს მალაკანების ქუჩაზე, აეჭალის კონკის პარკის პირდაპირ მდებარე სახლში. სახლი ახლოსაა სადგურთან, ბინა მეორე სართულზე აქვს, აივანი გამოდის მალაკანების ქუჩაზე, ესაა მესამე აივანი მალაკანების ქუჩის კუთხიდან. ოთაროვი ტანდაბალია, მსუქანი და ატარებს დიდ წვერს. „შავხალათიანები" ("Черноблузники") ყოველ ღამე, 12 საათზე, იკრიბებიან. შეკრებილები კარგად მოჩანან რკინიგზის ხაზიდან და რკინიგზის მოსამსახურეთა სახლის ეზოდან. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ვასილი ვასილის ძე პილეცკი ჩაირეული იქნა პარტიაში, რასაც ძალზე განიცდის, იგი ოთაროვის გაელენის ქვეშაა, რომელთანაც ატარებს სამსახურიდან თავისუფალ დროს. რკინიგზით მგზავრობის დროს მას მუდამ თან ახლავს კარგად ჩაცმული ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც პირველი კლასის ვაგონებით მგზავრობენ. ეს ახალგაზრდები და პილეცკი ემზადებოდნენ ფოსტის გასაძარცვად. ახალგაზრდები პილეცკის საყვედურობდნენ იმის გამო, რომ დააგვიანა იმ გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც ფოსტა უნდა გაეძარცვათ. 30 ივნისს, საღამოს, პილეცკი ახალგაზრდებთან ერთად მატარებლით ბაქოში გაემგზავრა, ეს უკვე მისი მეხუთე მგზავრობაა. დაბრუნდება 2 ივლისს 12 საათსა და 30 წუთზე საფოსტო მატარებლით.

ჟანდარმერიის აგენტს დასმენის ბოლოს სარქის ოთაროვისა და ვასილი პილეცკის შესახებ ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

ოთაროვი სარქის ალექსანდრეს ძე, მეშჩანი, 48 წლისა, სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა, ამიერკავკასიის დაზღვევის საზოგადოების აგენტი, ცხოვრობს მალაკანების ქუჩაზე №50 სახლში მეუღლე ნინა მარტინოვასთან ერთად, რომელიც 56 წლისაა.

პილეცკი ვასილი ვასილის ძე, აზნაური, 22 წლის, ამიერკავკასიის რკინიგზის ფოსტის გადატანის VIII განყოფილების მოხელის თანაშემწე, ცხოვრობს ვაგზლის ქუჩაზე, №12 სახლში.

1907 წლის 3 ივლისს აგენტი „Большая" უფრო ერცელ ინფორმაციას აწვდის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს: ერევანსკის მოედანზე ფული გაიტაცეს თბილისში ჩამოსულმა გურულებმა, იმერლებმა და მეგრელებმა. ფულის გატაცების მთელ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოთაროვი, რომელიც ესერთა პარტიას ეკუთვნის ("...который принадлежит к партии С.-Р.") და პარტიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ოთაროვი ამჟამად არაფრით არ არის დაკავებული, არსად არ მუშაობს. მისი ცოლი დროდადრო რაღაც სამუშაოებს იღებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას თავლის ასახვევად აკეთებს. ცხოვრებისათვის სახსარს ოთაროვს პარტია აძლევს, იგი მალაკანების ქუჩაზე ცხოვრობს, მისამართი ადრე გაცნობეთ. ეს ინფორმაცია სანდო პირისაგან მოვიპოვე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოხელე პილეცკი პარტიაში თითქმის 16 წლის ასაკიდანაა (ახლა იგი 22 წლისაა), ძალზე ნაღვლობს პარტიაში შესვლის გამო. პილეცკი რკინიგზის სადგურზე მუშაობს ფოსტის მოხელედ. ყველა მისი ამხანაგი ესერთა პარტიაშია("...состоят в партии С.- Р."), იგივე ითქმის ფოსტამტის სხვა მოხელეებზეც. პილეცკი სამუშაოდან თავისუფალ დროს ფოსტის მოხელის ტანსაცმელს არ ატარებს, იცვამს შავ ხალათს და იხურავს შლაპას. ოთაროვმა და სხვა ხელმძღვანელებმა ძარცვამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, რომ თბილისში პეტერბურგიდან უნდა ჩამოეტანათ 250.000 მანეთი. თავდაპირველად ბანდა აპირებდა თავს დასხმოდა საფოსტო მატარებელს სადმე ბაქოდან თბილისამდე. ბანდას სურდა, რომ ბაქოდან თბილისამდე საფოსტო ვაგონის გამყოლთა შორის პილეცკიც ყოფილიყო, ალბათ იქნებოდა კიდეც, მაგრამ პილეცკიმ უფროსებს სთხოვა და საფოსტო ვაგონის გაცილება თავიდან აირიდა. როგორ მოხდა ეს, შეიძლება შემოწმდეს ფოსტის გადაზიდვის უფროსთან. პარტიამ გადაწყვიტა ფულის გატაცების მიზნით მოეწყო თავდასხმა, მაგრამ არა თბილისში, არამედ თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზზე, სადაც ასევე მოძრაობდა ფულის გადამტანი საფოსტო ვაგონები. ფულის გატაცების მიზნით მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ოთაროვი. ძარცვის შემდეგ პილეცკი დაპატიმრების შიშით ორი-სამი კვირით და შეიძლება მეტითაც მიმალვას აპირებდა. პილეცკი აცხადებდა, რომ თავისი გაუჩინარება სამსახურის უფროსების წინაშე საპატიო მიზეზით უნდა აეხსნა, რათა მასზე ეჭვი არ მიეტანათ: "თუ მე არ მომკლავენ და ცოცხალი დავრჩები, ერთი თვით უნდა გავუჩინარდე". ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ფულის გატაცების შემდეგ პარტია გატა-

ცების ყველა მონაწილის, მათ შორის პილეცკის, გადამალვას აპირებდა. ძარცვაში მონაწილეობის ნინ ნილი ყარეს და კენჭი პილეცკის ერგო. ნილისყრა ავლაბარში, პარტიის კომიტეტში, შედგა. ბოლო დროს პილეცკის რწმენა იმდენად შეერყა, რომ, ჩემი აზრით, იგი მზადაა, უღალატოს პარტიას. ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ინახება ესერთა პარტიის კომიტეტში, რომელიც ავლაბარში, ერთ-ერთ სახლში, არის მოწყობილი. ცბიერი ოთაროვი მიხვდა პილეცკის სულიერ მდგომარეობას. ამიტომ მუდამ მის გვერდითაა, მარტო არ ტოვებს, მით უფრო, რომ პილეცკი მას კიდეც სჭირდება პარტიის მიერ დაგეგმილი რაღაც საქმისათვის. გატაცებული ფული ჯერჯერობით პარტიის კომიტეტში რჩება, მხოლოდ მის ნანილს მისცემენ ძარცვის მონაწილეებს.

ამრიგად, სანდო მასალით მტკიცდება, რომ თბილისში ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ძარცვის ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ესერთა პარტიის ნევრები სარქის ოთაროვი და ვასილი **პილეცკი**.

უფრო დანვრილებით, საარქივო მასალების მიხედვით, საქმის ვითარება შემდეგნაირად ნარმოგვიდგება:

1. ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის საქმის ძიების პროცესში 1907 წლის 13 ივნისიდან 9 ნოემბრამდე ძიებას ეჭვიც კი არ აღძერია ექსპროპრიაციაში **სიმონ ტერ-პეტროსიანის (კამოს)** მონაწილეობის თაობაზე. კამოს შესახებ ძიების მასალებში ცნობები ჩნდება 1907 წლის 9 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის პოლიციამ კამოს ორი ბრალდება ნაუყენა: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქე დიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება (ეს პასპორტი კამომ თბილისში აბანოში მოპარა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატ დიმიტრი მირსკის) და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა. რაც შეეხება ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას, კამოსათვის ეს ბრალდება არ ნაუყენებიათ. 1908 წლის მარტში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებული ექსპროპრიაციიდან ცხრა თვის შემდეგ, ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა – ტერორისტმა **არსენ ქარსიძემ** ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს ნერილობით აცნობა, რომ ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცა სიმონ ტერ-პეტროსიანმა (კამომ). ძიებამ არსენ ქარსიძის ჩვენება მაშინვე ჭეშმარიტებად მიიღო და 1908 წლის 20 მარტისათვის კამოს მონაწილეობა ექსპროპრიაციაში დამტკიცებულად მიიჩნია. ამავე დროს კამო ოპერაციის ხელმძღვანელადაც იქნა



სიმონ ტერ-პეტროსიანცი (კამო)

მიჩნეული. საიდან უნდა სცოდნოდა არსენ ქარსიძეს ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ? საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსენ ქასრიძე ან პროვოკატორი იყო, ან, უბრალოდ, რაღაცას ურევდა. თავის ჩვენებაში იგი აღნიშნავდა, რომ კამო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მკულელობაში მონაწილეობდაო. ცნობილია, რომ კამოს ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია;

2. ძიების მასალებში თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით იოსებ ჯუღაშვილის ხსენებაც კი არ არის – მასზე ეჭვიც არავის მიუტანია;

3. სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) დაკავშირება 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1908 წელს ვლადიმირ ლენინის უახლოესი თანამებრძოლი მეერ ვალახი (იგივე მაქსიმ ლიტვინოვი, შემდეგში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი) შვეიცარიაში დააპატიმრეს თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. ეს ფაქტი გახმაურდა მთელ ევროპაში. მაინც ვინ გაიტაცა ფული? – ამ კითხვას პასუხი თავისთავად გაეცა, რადგან ნაძარცვი ბოლშევიკების ლიდერ ვლადიმირ ლენინთან აღმოჩნდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას

კვლავ დააპატიმრეს ელადიმირ ლენინთან დაახლოებული პირები: **ნიკოლაი სემაშკო** (შემდეგში საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი), **სარა რავიჩი** (ბოლშევიკ გრიგორი ზინოვიევის მეუღლე) და სხვები, თუმცა ძიებას 1912 წელსაც კი არ ჰქონდა იმისი დამამტკიცებელი მასალა, რომ ექსპროპრიაცია თბილისში სოციალ-დემოკრატებმა – იოსებ ჯუღაშვილმა და სიმონ ტერ-პეტროსიანმა – განახორციელეს;

4. დოკუმენტური მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ შემდეგი: 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კამოს არავითარი კავშირი არ ჰქონია, თუმცა გატაცებული ფული კი მის ხელთ მართლაც მოხვედრილა. ესერებმა ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცოდა, მაგრამ სისხლისღერის თაეიდან აცილების მიზნით ტერორისტებს თავს არ ესხმოდა. სამაგიეროდ, თბილისიდან გამავალი ყველა გზა შეკრული იყო, აელაბარიც ალყაში ჰქონდათ მოქცეული. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ესერები მიხვდნენ, რომ ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანდნენ და დახმარებისათვის ყველაზე შესაფერის კაცს – კამოს მიმართეს. თუმცა საარქივო მასალებიდან არ ჩანს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კამომ ყველაფერი იოსებ ჯუღაშვილს აცნობა, რომელიც სწორედ იმხანად დაბრუნდა ბაქოდან თბილისში.

ამრიგად, 1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯუღაშვილს მონაწილეობა არ მიუღია.

სიმონ ტერ-პეტროსიანმა მოახერხა თბილისიდან უცხოეთში ფულის გატანა. ფულის გატანის გეგმა, ცხადია, ესერების მიერ იქნებოდა შემუშავებული, კამოს მხოლოდ მათი მითითებების შესრულება დაეკალებოდა. ფულის გატანის წინა ხანებში, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, კამომ თბილისის აბანოში პასპორტი მოპარა ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს თანამშრომელ დიმიტრი მირსკის. ესერებმა გაითამაშეს ქორნილი: „სიძე" სიმონ ტერ-პეტროსიანი იყო, რომელსაც სახელმწიფო საზღვარი (ბათუმის პორტის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი) დიმიტრი მირსკის პასპორტით უნდა გადაეკეთა. „დედოფლად" შეარჩიეს შოროპნის პრისტავის ქალიშვილი, რომელიც ესერთა პარტიის წევრი იყო (ცხადია, ქალის მამამ ეს არ იცოდა). გატაცებული ფული და საკრედიტო ბარათები მეფე-დედოფლის ბარგში იყო. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე „ნეფე-დედოფალი" პრისტავის თანდასწრებით მიეიდა და საბაჟოც უმტკივნეულოდ გაიარა. ესერებმა კამო მკაცრად გააფრთხილეს, რომ ევროპაში ჩასვლის შემდეგ დიმიტრი მირსკის პასპორტი გაენადგურებინა, რადგან გამორიცხული არ იყო, რომ პასპორტის კანონიერ მფლობელს ოფიციალურად განეცხადებინა დოკუმენტის დაკარგვის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გაფრთხილება. კამომ ეს მითითება არ შეასრულა. იგი სხვა საზრუნავით იყო დაკავებული: კამო „დედოფალს" ოსტატურად დაუძვრა ხელიდან და ფული ესერების ნაცვლად ელადიმირ ლენინს მიუტანა. როგორც ჩანს, ესერები და ბოლშევიკები შემდეგ შეთანხმდნენ და ფულის ნაწილი ლენინმა ესერებს მაინც გადასცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესერები ბოლშევიკებს ასე ადვილად არ შეარჩენდნენ ფულს, უკიდურეს ზომებსაც კი მიმართავდნენ.

ბერლინში სიმონ ტერ-პეტროსიანი თბილისში ფულის გატაცებისა და შემდეგ მისი უცხოეთში გატანის ბრალდებით არ დაუპატიმრებიათ. კამო სხვისი პასპორტით ცხოვრების გამო დააკავეს. მისი დანაშაული დამძიმდა იმით, რომ ჩხრეკისას დინამიტის კაფსულები უპოვეს. გარკვეული ხნის შემდეგ კამო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას გადაეცა და მალე თბილისში აღმოჩნდა. აქ კი წაუყენეს მას ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცების ბრალდება. სასამართლო პროცესი მალე შეწყდა, რადგან კამომ თავი მოიგიჟიანა და ექიმებიც დაარწმუნა, რომ ნამდვილად სულით ავადმყოფი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კამო სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებს არ ერწმუნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ივან პასტრულინი, რომელმაც იმავე დღეს პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: სიმონ ტერ-პეტროსიანი შეშლილი არ არის და საავადმყოფოდან გაიქცევაო. მართლაც, კამომ სულ მალე დაალწია თავი საავადმყოფოს.

იოსებ ჯუღაშვილს თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაცია მოგვიანებით, 1918 წელს, გაუხსენა ლეე ტროცკიმ (ბრონშტეინმა). მან სტალინს საჯაროდ დასდო ბრალი ტერორისტებთან კავშირში. ელადიმირ ლენინმა საქმე განსახილველად პარტიულ სასამართლოს გადასცა. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ლიდერმა თავი დაიზღვია და ობიექტურობის დაცვის მიზნით პარტიული სასამართლოს თავმჯდომარედ იმხანად ემიგრაციიდან დაბრუნებული მენშევიზმის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი **იული მარტოვი (ცედერბაუმი)** დაასახელა. იული მარტოვის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას კმაყო-

ფილებით შეხედა ლევ ტროცკი. პარტიულმა სასამართლომ გულმოდგინედ იმუშავა, მოუსმინა ლევ ტროცკისაც და იოსებ ჯუღაშვილსაც. განაჩენი ასეთი იყო: **იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კავშირი არ ჰქონია.** მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1907 წელს ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას დღემდე იოსებ ჯუღაშვილს მიაწერენ. მემუარული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკასა და ისტორიოგრაფიიდან ეს თემა მხატვრულ ფილმსა და მხატვრულ პროზაში გადავიდა. ადამიანთა ნანილისათვის ის ჭეშმარიტებაა, ნანილისათვის – სიცრუე.

§3. საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა (1908 წლის 28 მაისი)

1908 წლის 28 მაისს თბილისში ტერორისტმა მოკლა რუსი ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი **ნიკონი (სოფრონისკი).** ოფიციალური ვერსიით, მკვლელობის შემკვეთად იმთავითვე დასახელდა ქართველი სამღვდელება, კერძოდ, ქართველი ავტოკეფალისტები. ძიებაც სწორედ ამ ვერსიის დასაბუთებას ცდილობდა. სადღეისოდ სანდო დოკუმენტური მასალის საფუძველზე დადასტურებულია, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან ქართველ ავტოკეფალისტებს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ, მკვლელობა დაგეგმა და განახორციელა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა. მკვლელობის დამკვეთი ვარაუდობდა, რომ შეძლებდა ეგზარქოსის მკვლელობის ქართველი ავტოკეფალისტებისათვის გადაბრალებას. იმხანად სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ მიზანს ნანილობრივ მიაღწიეს, მაგრამ სიმართლე საბოლოოდ მაინც არ დაიმალა. სანდო დოკუმენტური მასალა ნათლად ადასტურებს, რომ ტერორისტული აქტი ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ორგანიზებული და განხორციელებული.

1908 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოდპოლკოვნიკი **ივან ერიომინი,** პეტერბურგში ჟანდარმთა შეფს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის მეთაურს ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

„დღეს, დილის 11 საათზე, სინოდალურ კანტორაში შესელისას კიბეზე მაუზერის ოთხი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს ეგზარქოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დაიჭრა ეგზარქოსის უკან მიმავალი მსახური. ორივე მკვლელი, ტუზემცები, მიიმალნენ. მათი ნიშნები დადგენილია. ძებნა და ძიება მიმდინარეობს" 28 მაისსვე პოდპოლკოვნიკი ერომინი იმავე ადრესატებს მეორე დეპეშასაც უგზავნის. ცნობა კვლავ საგანგაშო იყო: „დაახლოებით დღის ორ საათზე მძიმედ დაჭრეს თბილისის ოხრანკის უფროსი როტმისტრი კარაულოვი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებიდან (მკვლელობის ადგილიდან – ვ. გ.) ბრუნდებოდა ეტლით"

1908 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოდპოლკოვნიკი **ივან ერიომინი,** პეტერბურგში ჟანდარმთა შეფს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის მეთაურს ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

„დღეს, დილის 11 საათზე, სინოდალურ კანტორაში შესელისას კიბეზე მაუზერის ოთხი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს ეგზარქოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დაიჭრა ეგზარქოსის უკან მიმავალი მსახური. ორივე მკვლელი, ტუზემცები, მიიმალნენ. მათი ნიშნები დადგენილია. ძებნა და ძიება მიმდინარეობს". 28 მაისსვე პოდპოლკოვნიკი ერომინი იმავე ადრესატებს მეორე დეპეშასაც უგზავნის. ცნობა კვლავ საგანგაშო იყო: „დაახლოებით დღის ორ საათზე მძიმედ დაჭრეს თბილისის ოხრანკის უფროსი როტმისტრი კარაულოვი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებიდან (მკვლელობის ადგილიდან – ვ. გ.) ბრუნდებოდა ეტლით"

ნიკონის მკვლელობის შესახებ თბილისში გამოძიებას ერთი კვირის შემდეგაც კი სერიოზული ვერსია არ გააჩნდა. მოულოდნელად 1908 წლის 4 ივნისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისაგან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა მიიღო დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „პეტერბურგის სასულიერო წრეებში გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეგზარქოსის მკვლელობა მოხდა არქიელ გრიგოლის წაქეზებით, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შურისძიების საბაბად შეიძლება ქცეულიყო გარდაცვლილი ნიკონის ხელში ისეთი დოკუმენტების მოხვედრა, რომლებიც ძლიერ უტეხდა სახელს გრიგოლს. დოკუმენტების ნანილი ცოტა ხნის წინათ უნდა გამოგზავნილიყო და, ამდენად, შეიძლება აღმოჩნდეს ეგზარქოსის საქმეებში". პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს ავალებდა, ზემოთ მოყვანილი ვერსია „სიტყვიერად საიდუმლოდ ეცნობებინა" თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისათვის.



ეგზარქოსი ნიკონი (სოფიისკი)

ამრიგად, თბილისში ძიებას ნიკონის მკვლელობის შესახებ არაეითარი ვერსია არ გააჩნდა. ვერსია უკარნახეს პეტერბურგიდან.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ნიკონის მკვლელობის საქმის ძიება ისე წარმართეს, რომ მკვლელობაში ბრალი დასდებოდა ქართველი ავტოკეფალისტებს. პოდპოლკოვნიკი ივან ერიომინი სწრაფად მიხვდა, თუ რა მიმართულებით აპირებდა პეტერბურგი გამოძიებას. სწორედ ამიტომ მან ძიების მიერ მოპოვებული მასალის საწინააღმდეგოდ დაუყოვნებლივ უპასუხა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის დეპეშას. ერიომინი აღნიშნავს, რომ ეგზარქოსის მკვლელობა ორგანიზებული იყო საქართველოს უმაღლესი სამღვდელოების – ავტოკეფალისტების – მიერ, უშუალოდ მკვლელობა კი განხორციელდა დაქირავებული მკვლელების ხელით.

ძიების ყურადღების ცენტრში თავიდანვე მოექცა ეპისკოპოსი კირიონი (ერობაში გიორგი საძაგლიშვილი), რომელიც, იმხანად საქართველოდან განდევნილი, ხარკოვის ახლოს, კურიაჟის მონასტერში ცხოვრობდა. ეპისკოპოსი კირიონი ძიების მიერ მიჩნეული იქნა ნიკონის მკვლელობის „ინტელექტუალურ ორგანიზატორად". დაიწყო სამხილის ძიება. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო და თბილისის ოხრანკა ცდილობდნენ დაედგინათ, იყო თუ არა ეპისკოპოსი კირიონი ფარულად ჩამოსული საქართველოში ნიკონის მკვლელობის წინა ხანებში. გაიმართა მიმონერა ხარკოვის გუბერნატორსა და ოხრანკის უფროსთან, რომელთაც ვერ დაადასტურეს ეპისკოპოს კირიონის ხარკოვიდან საქართველოში გამომგზავრების ფაქტი. სამაგიეროდ, ჟანდარმერიამ ხელში ჩაიგდო ეპისკოპოსის მიერ თბილისში წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარ იოსებ ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილი ორი წერილი. ერთერთი წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1908 წ. 27 აპრილით, დგინდება, რომ ეპისკოპოსი კირიონი მართლაც ყოფილა თბილისში 1908 წლის აპრილში, თუმცა წერილიდან არ ჩანს, როდის ჩამოვიდა იგი. აღნიშნული ნერილის საფუძველზე ძიებამ დაადგინა, რომ ეპისკოპოსი კირიონი თბილისში იმყოფებოდა ალდგომამდე და სამი დღე ცხოვრობდა ავტოკეფალისტ იოსებ ჩიჯავაძის სახლში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა თავის მამულში, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში. ეს იყო და ეს. ძიებამ ეპისკოპოს კირიონის რაიმე კავშირი ნიკონის მკვლელობასთან ვერ დაადასტურა.

1908 წლის 7 ივლისამდე ძიების მასალებში არ იყო არც ერთი ყურადსაღები დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებდა ქართველი ავტოკეფალისტების კავშირს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან. 7 ივლისს ასეთი დოკუმენტიც გაჩნდა. ნინასწარ ვიტყვით, რომ ეს დოკუმენტი აშკარად შეთითხნილია ან თვით ჟანდარმერიის მიერ, ან ჟანდარმერია შეცდომაშია შეყვანილი დაინტერესებული პირის (პირების) მიერ. თუმცა ჟანდარმერია ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიდად არ დაზარალებულა, რადგან კარგა ხანია ძიება მიესნრაფოდა ისეთი მასალის ხელში ჩაგდებას, რომელიც დაადასტურებდა ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობას.

ახლა თვით დოკუმენტის შესახებ: 1908 წლის 7 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობებს შემდეგს: 2 ივნისს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, საუბრობდა სამი პიროვნება: სიონის ეკლესიის მღვდელი თოთიბაძე, კიდევ ერთი მღვდელი, რომლის ვინაობაც ჟანდარმერიისათვის უცნობი დარჩა და მუშა მიშა შადინოვი. საუბარი შეეხებოდა ნიკონის მკვლელობის გამომწვევ მიზეზებს. სამთა საუბრიდან დგინდება, რომ თოთიბაძე ძლიერ უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდი საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ აძლევდა. ამაში იგი

ადანაშაულებდა ყოფილ ეგზარქოს ნიკონსა და რუსული სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს. თოთიბაძეს საუბრისას ისიც გაუხსენებია, რომ 1907 წელს ავტოკეფალიის მომხრე ქართველი სამღვდელოების კრება ეგზარქოსმა ნიკონმა კაზაკებს დაარბევინა. ის აღშფოთებას ვერ მალავდა ავტოკეფალიის მომხრეთა (ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოს ლეონიდესა და სხვების) დასჯის გამო. საუბრის ბოლოს თოთიბაძეს უთქვამს: „ეხლა რუსები ქართველების უკმაყოფილონი არიან ეგზარქოსის მკვლელობის გამო, მაგრამ განა რუსებმა თვითონ არ მოჰკლეს დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, შიო ჩიტაძე და სხვები. რუსები ფიქრობენ, რომ ჩვენ, ქართველები, ამას ყურადღების გარეშე დავტოვებთ, არა, ჩვენც ასევე მოვკლავთ". ძიებას არ დაუდგენია არავითარი დეტალი: არ დაუკითხავს დეკანოზი ანტონ თოთიბაძე და მიშა შადინოული, არ დაინტერესებულა, ვინ იყო ის მეორე მღედელი, რომელიც საუბარში მონაწილეობდა. მასალებიდან არ ჩანს, როგორ იქნა მოპოვებული ეს ინფორმაცია, სანდო იყო თუ არა დამსმენი, ცნობა აგენტურული იყო თუ შემთხვევითი ხასიათისა და სხვ. რაც მთავარია, გაურკვეველია, 1908 წლის 2 ივნისს გამართული საუბრის შინაარსი ჟანდარმერიის ერთმა უნყებამ (ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიამ) რატომ გადასცა მეორეს (თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიას) ასე დაგვიანებით – 7 ივლისს. ძიებას ასეთი დეტალები არ აინტერესებდა. მთავარი აქ ის იყო, რომ დოკუმენტი ადასტურებდა ნიკონის მკვლელობის ოფიციალურ ვერსიას – მკვლელობის ორგანიზებას ქართველი ავტოკეფალისტების მიერ.

გარკვეული ხნის შემდეგეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ბრალი დაედო ორ პიროვნებას – მღვდელ გიორგი პარკაძესა და გორის მაზრის სოფელ ურბნისის დიაკონის, გიორგი ირემაშვილის, ვაჟს – იოსებ ირემაშვილს. თბილისის ოხრანკამ დაადგინა, რომ მღვდელი გიორგი ვიქტორის ძე პარკაძე და ასთამამყოფი იოსებ გიორგის ძე ირემაშვილი ცხოვრობდნენ თბილისში. გიორგი პარკაძე 1906 წლის დამდეგიდან იძებნებოდა, როგორც გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი. რაც შეეხება იოსებ ირემაშვილს, თბილისის ოხრანკას მის შესახებ ცნობები არ გააჩნდა. 1908 წლის 28 აგვისტოს პოლიცია მივიდა იოსებ ირემაშვილის ბინის გასაჩხრეკად. ამ უკანასკნელმა გაქცევა მოახერხა, მაგრამ 31 აგვისტოს იგი მაინც დააპატიმრეს.

ამრიგად, ძიების მიერ ნიკონის მკვლელებად მიჩნეული ორი პიროვნებიდან ერთი – მღვდელი გიორგი პარკაძე – რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, ხოლო მეორე – იოსებ ირემაშვილი – სოციალ-დემოკრატი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა ძიებას არ გააჩნდა, 1908 წლის აგვისტოში თბილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა მალინოვსკიმ წინასწარი ძიების მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე შეაჯამა შედეგები. თავისი მოცულობით უზარმაზარი დოკუმენტი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა 1908 წლის 19 აგვისტოს გადაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს. გამომძიებელი და პროკურორი ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ყოველგვარი ეჭვის გარეშე ბრალს სდებდნენ ავტოკეფალისტებს. მკვლელობის მოტივი დოკუმენტში ასეა განმარტებული: ეგზარქოსი ნიკონი წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, რის გამოც იგი თავიდან მოიცილეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა. პროკურორი ჟანდარმერიისაგან მოითხოვდა, რომ „დაედგინა უშუალო კავშირი ავტოკეფალურ მოძრაობასა და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას შორის". ე. ი. ასეთი კავშირი 1908 წლის 19 აგვისტოსათვის, პროკურორისავე აღიარებით, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. პროკურორი საჭიროდ თვლიდა, აგენტურის საშუალებითა და ფარული მეთვალყურეობის გზით ჟანდარმერიას ავტოკეფალისტთა შორის მოეპოვებინა ისეთი მასალა, რომელიც „საშუალებას მისცემდა, აღმოეჩინა ამ ბოროტმოქმედების როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური ჩამდენნი". დოკუმენტში ჩამოთვლილია 64 ავტოკეფალისტი, რომლებიც ძიების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ. ძიებისათვის საინტერესოდ მიჩნეულია ორი მონასტერი – გელათისა და ბერთუბნისა. ავტოკეფალისტთა სიაში პირველია ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), შემდეგ მოდიან: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე), გორის ეპისკოპოსი პეტრე (ყონჭოშვილი), იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), ალავერდის ეპისკოპოსი დავითი (ყაჭახიძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), მღვდლები: ქრისტეფორე ციცქიშვილი, ილარიონ ჯაში, კალისტრატე ცინცაძე, იოსებ ჩიჯავაძე, ვასილ კარბელაშვილი და სხვები.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერია დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის დაედო ბრალი, ძიების მიერ მოპოვებულ მასალებში სულ უფრო მეტი ოდენობით ჩნდება ცნობები, რომლებიც აშკარას ხდის, რომ

ეგზარქოსის მკვლელობა ორგანიზებული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ.

მაინც ვინ მოკლა ეგზარქოსი ნიკონი? რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ მკვლელობის შემკვეთები? ჩვენი ყურადღება მიიქცია ეგზარქოსის მკვლელობის საქმეში დაცულმა სამმა დოკუმენტმა. ეს დოკუმენტებია: ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის 1908 წლის 16 აპრილის, 10 მაისისა და 2 ივნისის დასმენები.

ანონიმი აგენტის პირველი დასმენა ეხება 1908 წლის 12 აპრილს თბილისის ერთ-ერთი მონასტრის მღვდელ-მონაზვნის, სამონასტრო ხაზინის გამგებელ გავრილის მკვლელობას. ანონიმი აგენტი უარყოფს ვერსიას იმის შესახებ, რომ გავრილი ფულის გამო მოკლეს. მისი მტკიცებით, გავრილის მკვლელობა ბრალად ედებოდა „დიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტს", რომელიც იმყოფებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტისგავლენის ქვეშ. აგენტის ცნობით, კომიტეტში შედიოდნენ: მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკონი **ტომოთე ბაკურაძე**, წმინდა თომას მისიონერთა ეკლესიის დიაკონი **ალექსანდრ დავიდოვი**, ანჩისხატის ეკლესიის დიაკონი **დავით ჩიკვაიძე**, იმავე ეკლესიის ყოფილი მეფსალმუნე **სიმონ გოგიაშვილი**. კომიტეტის თავმჯდომარე იყო **ტომოთე ბაკურაძე**, მდივანი – **ალექსანდრ დავიდოვი**. კომიტეტს ჰყავდა თავისი ტერორისტები: **დათა**, ალექსა და **ლადო**. კომიტეტის ბინა აელაბაშში მდებარეობდა, მისი ზუსტი მისამართი აგენტმა არ იცოდა. კომიტეტის მიზანი, აგენტის ცნობით, იყო სასულიერო და საერო წყობილების მოსპობა, კომიტეტის წევრთა ცხოვრების გაუმჯობესება. 1907 წელს „დიაკვნების და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტმა" ბრძოლა გამოუცხადა ანჩისხატის ეკლესიის მღვდელს, პოლიეევქტ კარბელოვს (კარბელაშვილს, ვ. გ.). კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა, მორჩილმა არსენ ლომიამ ამასთან დაკავშირებით ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში წერილებიც კი გამოაქვეყნა. 1907 წლის 5-7 აგვისტოს კომიტეტმა ორგზის სცადა პოლიეევქტ კარბელაშვილის მოკვლა. ის ორჯერვე გადარჩა, გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ტერორისტები – **რაჟდენი** და **ანტონი** – თავდასხმამდე დააპატიმრეს. კომიტეტსა და პოლიეევქტ კარბელაშვილს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა კარბელაშვილმა მეფსალმუნე სიმონ გოგიაშვილს სამუშაო აღარ მისცა და მისი საქციელის შესახებ აცნობა თბილისის გენერალ-გუბერნატორს. 1907 წლის შემოდგომაზე კომიტეტმა გაილაშქრა წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზის, ლაზარე ტურიევის (ტურიაშვილის – ვ. გ.) წინააღმდეგ. ტურიაშვილის მკვლელობა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ დეკანოზი ავადმყოფობდა და მის მაგივრად ღვთისმსახურებას სხვები ეწეოდნენ, უფრო ხშირად კი – მღვდელ-მონაზონი გავრილი. ამ უკანასკნელს ტომოთე ბაკურაძემ აუკრძალა ღვთისმსახურება იმ მოტივით, რომ ეკლესიას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. მღვდელ-მონაზონი გავრილი არ შეშინდა, პირიქით, ტიმოთე ბაკურაძეს დაემუქრა: ყველაფერს პოლიციას ვაცნობებო. ტიმოთე ბაკურაძეც თავის მხრივ დაემუქრა გავრილს და კიდეც აღასრულა მუქარა. 1908 წლის 12 აპრილს ტერორისტებმა **დათამ** და **ლადომ** მოკლეს მღვდელ-მონაზონი გავრილი. ამაღე დასმენაში ანონიმი აგენტი აღნიშნავდა, რომ კომიტეტის გეგმებში შედის პოლიეევქტ კარბელაშვილის, ლაზარე ტურიაშვილის და საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მოკვლა. აგენტი საჭიროდ თვლიდა კომიტეტის წევრებზე გაძლიერებული ფარული მეთვალყურეობის დანესებას. იქვე მიუთითებდა კვირაში ერთხელ მათი შეკრების სამი სავარაუდო ადგილის: ეგზარქოსის კანცელარიის, სინოდალური კანტორისა და წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოს – შესახებ.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა კონკრეტული ფაქტები: დანაშაულებრივი ორგანიზაცია მასში შემავალი წევრების ვინაობის ზუსტი მითითებით, ტერორის მცდელობის ორი შემთხვევა, სასულიერო პირის მკვლელობა, მოსალოდნელი ტერორის ობიექტების ვინაობის ზუსტი მითითება. მიუხედავად ამისა, ჟანდარმერიას არავითარი ზომისთვის არ მიუმართავს, მით უმეტეს, რომ აგენტის მიერ 1908 წლის 12 აპრილს შედგენილი დასმენა 19 აპრილს ჟანდარმერიას უკვე მიღებული ჰქონდა, ე. ი. ნიკონის მკვლელობამდე კიდევ რჩებოდა თვეზე მეტი. აგენტისადმი უნდობლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ძიების მასალებში არ მოიპოვება. რა თქმა უნდა, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, პროფესიული პრესტიჟის დაცვიდან გამომდინარე, ყოველნაირად შეეცდებოდა, ძიების მასალებისათვის არ დაერთო ანონიმი აგენტის 1908 წლის 12 აპრილის დასმენა. მით უმეტეს, რომ უკვე ძიების დასაწყისშივე (4 ივნისს) პეტროგრადიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი სრულიად არაორაზროვნად მიახვედრეს, რომ ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტონომისტები უნდა დაედანაშაულებინათ. ხსენებული დასმენა კი ხელისუფლებისათვის სრულიად მოულებელ ვერსიას უდებდა საფუძველს.

ანონიმი ავტორის მეორე დასმენაში (1908 წლის 30 მაისი) აღნიშნულია, რომ **ტომოთე ბაკურაძეს**, **ალექსანდრ დავიდოვსა** და **დავით ჩიკვაიძეს** ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა გან-

ზრახული პქონდათ 1907 წლის 6 მაისს. მაგრამ იმის გამო, რომ ტერორისტი ვასო სოციალ-დემოკრატებმა კახეთში მიაკლინეს, ეგზარქოსზე თავდასხმა გადაიდო. 20 მაისს სიმონ გოგიაშვილი დაბრუნდა კახეთიდან და თან ჩამოიყვანა ტერორისტი ვასოც. მკვლელობამდე ტერორისტს ორი ღამე ეძინა სიმონ გოგიაშვილისა და დავით ჩიკვაიძისას, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში – ტიმოთე ბაკურაძისას. აგენტის ცნობით, 1908 წლის 28 მაისს, 9 საათსა და 30 წუთზე, ტერორისტი ვასო სინოდალურ კანტორასთან ჩურჩულით ესაუბრებოდა ტიმოთე ბაკურაძეს, დავით ჩიკვაიძესა და ალექსანდრ დავიდოვს. მათ უჩვენეს ვასოს კანცელარიის ყველა შესასვლელი, ასევე აცნობეს ეგზარქოსის მოსვლის დრო. ისინი ერთმანეთს დასცილდნენ 10 საათსა და 25 წუთზე.

მესამე დასმენა (1908 წლის 2 ივნისი) აზუსტებს ეგზარქოსის მკვლელობის მნიშვნელოვან დეტალებს. კერძოდ, აგენტი აღნიშნავს, რომ 28 მაისს, დილით, ნიკონის მკვლელობამდე, სინოდალური კანტორის შესასვლელთან, მეორე დასმენაში მოხსენიებულთა გარდა, იმყოფებოდა კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც მეორე დასმენაში აგენტმა არ მოიხსენია იმიტომ, რომ მისი ვინაობა უცნობი იყო. აგენტს დაუდგენია, რომ ეს უცნობი იყო მღვდელი ობრაზცოვი, რომელიც 1906 წელს თანამშრომლობდა ი. ბრიხნევიჩის ჟურნალში „Встань спящий". დასმენიდან ჩანს, რომ ათეისტური და რევოლუციური განწყობილებით ცნობილი ობრაზცოვი იმხანად აგრძელებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. როცა ტიმოთე ბაკურაძე და დავით ჩიკვაიძე ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთ სახლებში წავიდნენ, ხოლო ტერორისტები (ოთხნი) სინოდალური კანტორის შესასვლელში შევიდნენ, სინოდალური კანტორის წინ დარჩა მღვდელი ობრაზცოვი, რომელიც თითქოს ეგზარქოსისათვის თხოვნის გადაცემას აპირებდა. ნიკონი მოსვლისას გაესაუბრა გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი დასცილდა ეგზარქოსს, ნიკონთან მივიდა ობრაზცოვი. სწორედ მაშინ, როცა იგი ნიკონს ესაუბრებოდა, გაისმა გასროლა. ორი გასროლის შემდეგ ობრაზცოვი გაიქცა და შევარდა ეგზარქატის ეზოში. დასმენიდან ჩანს, რომ აგენტი შესაძლებლად თვლიდა, რომ ობრაზცოვმა ტერორისტებთან შეთანხმებით ნიკონი განგებ შეაფერხა შესასვლელთან, ამიტომაც ითხოვდა მის დაპატიმრებას. აგენტის დასკვნით, სწორედ მღვდელი ობრაზცოვი, ტიმოთე ბაკურაძე, დავით ჩიკვაიძე და მათი კამპანია, სოციალ-დემოკრატები, „დიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტი" იყვნენ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზატორები. ძიებას არც ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის მესამე დასმენა მიუღია მხედველობაში.

კიდევ ერთი დეტალი: მესამე დასმენაში აგენტი ითხოვდა თანხას, რომელიც, მისივე სიტყვებით, აგენტურული ცნობების მოპოვებისათვის სჭირდებოდა (ტრანსპორტის ხარჯები). თუ აგენტისათვის ფულის მიცემა გადაწყდებოდა, ნდობით აღჭურვილი ჟანდარმი 3 ივნისს, საღამოს, 5-დან 6 საათამდე უნდა მისულიყო ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, №10-ში. ეტყობა, ჟანდარმერიამ აგენტი აღარ დააფინანსა, რადგან მის მიერ მინდებული ცნობები ხელს უშლიდა ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის ბრალის დადებას. ყოველ შემთხვევაში, ძიების მასალებში ანონიმი აგენტის შემდეგი დასმენები აღარ გვხვდება.

სოციალ-დემოკრატები, რომელთაც პოლიტიკური მკვლელობისა და კვალის დაფარვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, ახლაც დინჯად და დაბეჯითებით მიდიოდნენ დასახული მიზნისაკენ. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნაპერწკალი" ნიკონის მკვლელობის შემდეგ დღეებში (1908 წლის 30 მაისს, 5 ივნისს, 7 ივნისს) მხოლოდ ისეთ მასალას აქვეყნებდა, რომელიც ხან აშკარად, ხან კი ფარულად მიანიშნებდა ეგზარქოსის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტების მონაწილეობაზე. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკვე 31 მაისს გამორიცხეს ნიკონის მკვლელობაში არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ საერთოდ ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის მონაწილეობა და ეგზარქოსის მკვლელობა „უგუნურთა კერძო შურისძიებად" გამოაცხადეს. და ეს მაშინ, როცა მთელი შავრაზმელური რუსეთი, ოფიციოზები „Кавказ" და „Голос Кавказа" ნიკონის მკვლელობას სწორედ ავტოკეფალისტთა შურისძიებად თვლიდნენ.

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა, პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად, შექმნეს ვერსია, თითქოს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა. მიზანი ასეთი ვერსიისა ნათელი იყო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა დარბევა, ამ მოძრაობის მოსპობა;

2. ჟანდარმერიის ანონიმი აგენტი ჯერ კიდევ 1908 წლის 16 აპრილს აცნობებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, რომ ეგზარქოსის მოკვლას აპირებდა „დიაკონთა და

მეფსალმუნეთა კომიტეტი", რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. სოციალ-დემოკრატებმა, ცხადია, კარგად იცოდნენ, რომ ნიკონის მოკვლას ავტოკეფალისტთა დევნა მოჰყვებოდა, რაც უშუალოდ შედიოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გეგმებში. ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა სულიერ საზრდოს აძლევდა, მორალურად ამხნევებდა ეროვნულ ძალებს. ამას კი ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ დაუშვებდნენ. ცნობილია, რა დიდი რიხითა და შემართებით ებრძოდნენ ისინი საქართველოს ავტონომიის იდეასაც კი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებსა და შემდგომ ხანებში;

3. ავტოკეფალისტები ეგზარქოს ნიკონს არ მოკლავდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს არ იყო გზა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისა. არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ეს მკვლელობა მათთვის მიუღებელი (მკვლელობას ხომ ახალი რეპრესიები მოჰყვებოდა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, მორალური თვალსაზრისით. ეპისკოპოსი კირიონი და მისი თანამოაზრეები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში ურყევად იცავდნენ უფლის მცნებას: „არა კაც პკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა" (მათე, 5. 21). ის, ვინც ასე ხელაღებით სდებდა ბრალს ქართველ ავტოკეფალისტებს ნიკონის მკვლელობაში, პირველ რიგში, თავის მორალურ გადაგვარებას უსვამდა ხაზს.

ამრიგად, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ერთადერთი შესაძლო ორგანიზატორები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

დაბოლოს, მაინც ვისი ძალისხმევითაა შექმნილი ის დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია ალექსანდრეს ბაღში ანტონ თოთიბაძისა და მიშა შადინოვის შორის გამართული საუბარი? ეს ხომ ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მზრახველებისათვის გამოდგებოდა? მას, შესაძლოა, ორი ავტორი პყავდეს: ქართველი სოციალ-დემოკრატები და ფანდარმერია. არც ერთს და არც მეორეს ხელს არ აძლევდა ავტოკეფალისტთა მოძრაობის ალმავლობა, რომელიც უთუოდ გამოიწვევდა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა არ ყოფილა ქართველი ერისათვის ტრაგედია. შემზარავი მთელ ამ ისტორიაში ისაა, თუ რა მზაკვრული გზა აირჩიეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ავტოკეფალისტთა მოძრაობის დარბევა-განადგურებისათვის.

თავი XVI. რევოლუციის დამარცხება

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. დამარცხების რეალურ თარიღად 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მარცხი უნდა მივიჩნიოთ, თუმცა დამარცხების სიმბოლურ თარიღად არა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მარცხია მიჩნეული, არამედ – 1907 წლის 3 ივნისი. ამ დღეს ნიკოლაი II-მ რუსეთის იმპერიის მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და სათათბიროს საარჩევნო კანონი შეცვალა. იმპერატორის ეს გადაწყვეტილება იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, კონკრეტულად კი, შემდეგი მიზეზით იყო განპირობებული: **სახელმწიფო სათათბირო ვერ იქცა მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული ძალების კონსტრუქციული დიალოგის საკანონმდებლო ორგანოდ, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამოყვანისათვის.** განსაკუთრებულად დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნიმუშს იძლეოდნენ **მემარცხენე** სოციალისტური ძალები, პირველ რიგში – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორივე ფრაქციის (მენშევიკურისა და ბოლშევიკურის) დეპუტატები. არც **კონსერვატორულ-მონარქისტული** ძალები გამოირჩეოდნენ ორიგინალური პროგრამით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის დამშვიდებას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. კონსერვატორულ-მონარქისტული ძალების ნაწილი შავრაზმელური იდეებით, ძველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის თითქმის უცვლელად შენარჩუნების მოთხოვნით ნოყიერ ნიადაგს უმზადებდნენ სოციალისტურ ძალებს ხელისუფლების საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის, ხელს უწყობდნენ ამ ანტისახელმწიფოებრივი მოვლენის პოპულარიზაციას ხალხის ფართო მასებში. **ცენტრისტები** იმდენად სუსტნი და არაორგანიზებულნი აღმოჩნდნენ, რომ წინ ვერ ალუდგნენ მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პიოტრ სტოლიპინმა** ნიკოლაი II დაარწმუნა, რომ მეორე სახელმწიფო სათათბირო ქვეყნის სასიკეთოს ვერაფერს მოიმოქმედებდა. 1907 წლის 3 ივნისი, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის დამარცხების სიმბოლური თარიღია. რევოლუცია, ფაქტობრივად, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით დასრულდა. ცალკეული რევოლუციური გამოსვლა 3 ივნისის შემდეგაც, წლის ბოლომდე, გრძელდებოდა, თუმცა იგი ნელ-ნელა დაღმავლობის გზით მიდიოდა.

§1. რეპრესიები რევოლუციური მოძრაობის ლიკვიდაციის მიზნით

1906 წლის იანვრიდან გენერალ-მაიორ **შაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის** დამსჯელმა ექსპედიციამ ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ქალაქ ფოთში, ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში, რაჭა–ლეჩხუმში) რევოლუციური მოძრაობის კერების განადგურება დაიწყო. არაადამიანური სიმკაცრის პირობებშიც კი შეუძლებელი გახდა რევოლუციური გამოსვლების ერთბაშად ჩახშობა, რომელიც დამსჯელი ექსპედიციის რაზმების თარეშის პარალელურად მაინც გრძელდებოდა, თუმცა ნელ-ნელა სუსტდებოდა და დაღმავლობის გზით მიდიოდა. იგივე მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაში (ქართლ-კახეთში, სამცხე-საათაბაგოში). მუშათა გაფიცვები და საპროტესტო გამოსვლები არ ცხრებოდა თბილისში. აგრარული მოძრაობა გრძელდებოდა გორის, დუშეთის, თელავის, სილნაღის, თიანეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ცალკეული მღელვარება აღინიშნა ჯარშიც. მიუხედავად ამისა, სავსებით ცხადი იყო, რომ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ რევოლუციური ძალები ნელში ველარ გაიმართნენ და ახალი რევოლუციური აღმავლობაც ველარ მოხდებოდა. რევოლუციის ძირითადი ცენტრები განადგურებული იყო, დამსჯელი ექსპედიცია ცეცხლითა და მახვილით ახშობდა სოციალური პროტესტის ყოველგვარ გამოვლინებას.

1906 წლის თებერვლის ბოლოს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა შეაჯამა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგები და უქვეშევრდომილესი მოხსენება წარუდგინა იმპერატორ ნიკოლაი II-ს. მეფისნაცვალმა საჭიროდ ცნო ყურადღება გაემახვილებინა შემდეგ საკითხებზე:

1. 1906 წლის იანვარ-თებერვალში დამსჯელი ექსპედიციის რაზმების აქტიური მოქმედებების შედეგად დაძაბულობამ აშკარად იკლო. რევოლუციური გამოსვლები შემცირდა;

2. საზოგადოებრივი ცხოვრების დამშვიდების დაკვალად მაინც მოხდა რამდენიმე ტერორისტული აქტი, თუმცა მასშტაბური რევოლუციური ექსცესები აღარ განმეორებულა;

3. თბილისში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებამ, რეპრესიებმა, რაც ცალკეული რევოლუციონერისა და შეურიგებელი ჯგუფების წევრთა დაპატიმრებასა და რევოლუციური გამოსვლების მონაწილეთა სამსახურიდან დათხოვნაში გამოიხატა, დამთრგუნველი გავლენა მოახდინა რევოლუციონერთა განწყობილებაზე;

4. 1905 წლის დეკემბრის ბოლო დღეებსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს მხოლოდ თბილისში 280 პირი დააკავეს. ხელმძღვანელების გარეშე დარჩენილმა ორგანიზაციებმა იანვარში გამოსვლების ორგანიზება ვეღარ შეძლეს და ინტენსიური რევოლუციური მუშაობა შეწყვიტეს;

5. 1906 წლის 16 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა მოაწყო რომელიღაც რევოლუციურმა პარტიამ, ხოლო მუშათა საბრძოლო რაზმში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები შედიოდნენ. გენერალი გრიაზნოვი თბილისის საზოგადოებასა და, კონკრეტულად, რევოლუციონერთა შორის ცნობილი იყო, როგორც „სამხედრო მდგომარეობის სული და გული". არანაირ დაცვას არ შეეძლო გენერალზე თავდასხმის აღკვეთა;

6. 1906 წლის იანვარში განხორციელებული დაპატიმრებებიდან აღსანიშნავია 1 იანვარს ციციანოვის ალმართზე(დღევანდელი 6. ბარათაშვილის ალმართი – ვ. გ.) ტერორისტული ორგანიზაციის 2 წევრის დაპატიმრება, რომლებიც გრენადერთა დივიზიის მეთაურის, გენერალ რილსკის გაელას ელოდებოდნენ. დაპატიმრებულები გადაიყვანეს და დაკითხეს თბილისის ქვეითთა პოლკის შტაბში. ტერორისტების ციხეში გადაყვანის დროს, გზაში, უცნობმა პირებმა სროლა ატეხეს, რის გამოც პატიმრების გამცილებელმა რაზმმა ორივე ტერორისტი ადგილზე დახოცა;

7. რეპრესიების გაძლიერებამ და დაპატიმრებებმა თბილისში რევოლუციური პარტიები აიძულა იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და მკაცრი კონსპირაცია დაეცვათ. ამასთან ერთად, რევოლუციონერთა ნაწილმა თბილისი დატოვა და სოფლებში გააგრძელა მოღვაწეობა. სოფლებში რევოლუციური გამოსვლები ამ დროისათვის უკვე შესუსტებული იყო;

8. საქართველოში აგრარულ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩაბმული თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრის გლეხობა;

9. ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიისათვის რევოლუციონერთა კადრები ქუთაისის გუბერნიაში მზადდებოდა. გორისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ გენერალ-გუბერნატორ, გენერალ-მაიორ ალექსანდრ ბაუერის (1852–?) მიერ გატარებული რეპრესიული ღონისძიებების შედეგად ამ მაზრებში რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები გამოვლენილი და დაპატიმრებული იქნენ. სახალხო მილიცია განაიარაღეს და გაფანტეს. გორის მაზრის სოფელ მიხაილოვოში (დღევანდელ ხაშურში – ვ. გ.) 1906 წლის 14 იანვარს ასაფეთქებელი ნივთიერების დამამზადებელი სახელოსნო აღმოაჩინეს;

10. 1906 წლის იანვარში თანამდებობიდან დაითხოვეს ქუთაისის გუბერნატორი ვლადიმირ სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე ყიფშიძე, რომელთაც თავიანთი მოკლევადიანი მმართველობის პერიოდში რევოლუციური აგიტაციის მიმართ შეშფოთარებლური პოზიცია დაიკავეს;

11. ქუთაისის გუბერნიაში დროებითი გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის ჩასვლის შემდეგ მოსახლეობის წინააღმდეგობამ მნიშვნელოვნად იკლო;

12. 1906 წლის 26 იანვარს ტერორისტებმა მძიმედ დაჭრეს ზუგდიდის მაზრის უფროსი კეღამოვი, თუმცა ამ ტერორისტულ აქტს მოსახლეობის მყუდროება არ დაურღვევია;

13. ჯარს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გურიაში შეხვდა, სადაც 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოსახლეობის დასაწყნარებლად პოლკოვნიკ კრილოვის რაზმი გაგზავნეს;

14. ქალაქ ბათუმში საალყო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ბევრი რევოლუციონერი დააპატიმრეს. რევოლუციონერთა ნაწილმა გაქცევა მოახერხა, ნაწილი ჯართან შეტაკებისას დახოცეს. ამის შემდეგ ბათუმში რევოლუციონერებს თავი არაფრით გამოუჩენიათ გარდა იმისა, რომ 1906 წლის 7 იანვარს მოკლეს ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ივანოვი;

15. 1906 წლის 6 იანვარს ბათუმში დააპატიმრეს ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე ებრაელი სამუელ დინინი, რომელიც ცნობილი აგიტატორი იყო და ბათუმში გამართულ მიტინგებზე ხშირად გამოდიოდა. ბათუმში საალყო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ სამუელ დინინი ოდესაში გაიქცა, 6 იანვარს ბათუმში დაბრუნდა და იმავე დღეს დააპატიმრეს. ციხეში გადაყვანისას მან გაქცევა სცადა, მაგრამ კაზაკთა გამცილებელმა რაზმმა ადგილზე მოკლა.

მეფისნაცვლის მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ რევოლუციური მოძრაობა უკვე შესუსტებული იყო, თუმცა რევოლუციის საბოლოოდ დასამარცხებლად ხელისუფლებას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა დაჭირდებოდა.

1906 წლის 7 მარტს ქუთაისის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკიმ ბრძანება გამოსცა ქუთაისის გუბერნიასა და ქალაქ ფოთში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით დამსჯელი ექსპედიციის მფრინავი რაზმების დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში აღნიშნული იყო:

1. სენაკის მაზრაში წესრიგის საბოლოოდ აღდგენის მიზნით გაიგზავნოს პოლკოვნიკ გავრილო-

ვის რაზმი, რომლის შემადგენლობაში შევლენ: თბილისის მე-15 გრენადერთა პოლკის 5 ასეული, კავკასიის მესანგრეთა 1-ლი ბატალიონის მე-4 ასეული, კავკასიის გრენადერთა დივიზიის 2 ტყვიამფრქვევი, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 2 ქვემეხი და პოლტავის კაზაკთა მე-2 პოლკის მე-4 ასეული. ბრძანებაში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი, თუ როგორ უნდა ემოქმედა დამსჯელთა რაზმს: პოლკოვნიკ გაერილოვის რაზმი ქუთაისიდან გაიდეს 1906 წლის 8 მარტს; პოლკოვნიკმა გაერილოვმა მოსახლეობას ნაუყენოს ის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისადმი 1906 წლის 13 იანვარს გამოცემულ ჩემს მიმართვაში; გაბედული ღონისძიებებით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობისადმი წაყენებული მოთხოვნილებების დროულად შესრულება; ყოველგვარი წინააღმდეგობა და უწესრიგობა სასტიკი ზომებით აღიკვეთოს; ჯარმა თავი არ შეიკავოს არანაირი ძალადობრივი მოქმედებისაგან, თუმცა მშვიდობიან მოსახლეობას არანაირი ზიანი და წყენა არ მიაყენოს; პოლკოვნიკ გაერილოვის რაზმს თან გაჰყვნენ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი თავადი დადეშქელიანი და ადგილობრივი პოლიციის მოხელეები;

2. **რაჭა-ლეჩხუმში** 1906 წლის 12 მარტს გაემგზავროს ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ასეული, რათა სოფელ **ალპანასა** (ლეჩხუმის მაზრა) და **ონში** (რაჭის მაზრა) შეცვალოს იქ მდგარი თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკის ასეული. თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკის მე-4 ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ციციანოვი დაინიშნოს ქუთაისის გუბერნიის **ლეჩხუმისა** და **რაჭის** მაზრებში განლაგებული ჯარის მეთაურად და მასვე დაექვემდებაროს **ცაგერში** (ლეჩხუმი) განლაგებული ყუბანის პლასტუნთა მე-5 ბატალიონის ასეული;

ლეჩხუმის მაზრაში, როგორც ჩანს, დამსჯელი ექსპედიციის რაზმების იქ განლაგების მიუხედავად, რევოლუციური გამოსვლები კვლავ გრძელდებოდა. ამიტომ იყო, რომ 1906 წლის 8 ივნისს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ლეჩხუმის მაზრაში დამსჯელი ექსპედიციის დამატებითი ძალების გაგზავნის აუცილებლობის შესახებ მოახსენებდა. გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ლეჩხუმის მაზრისა და სვანეთის საპრისტაოს სოფლებში: **ცაგერში, ალპანაში, ჩოლურსა** და **ლაშხეთში** რევოლუციური გამოსვლები გრძელდებოდა. მოსახლეობა უარს ამბობდა იმ დაპირების შესრულებაზე, რომელიც 1906 წლის თებერვალში მაზრაში ჩასულ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის აღუთქვეს. უწესრიგობა სვანეთში დღითიდღე ძლიერდება, სოფლების **ბეჩოსა** და **ეცერის** მოსახლეობამ თავად დადეშქელიანის მიწები მიიტაცა. ქუთაისის გუბერნატორი ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში წესრიგის აღდგენას იქ არსებული ჯარითა და პოლიციით შეუძლებლად მიიჩნევდა და დამატებითი ძალების გაგზავნას ითხოვდა. 1906 წლის 5 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ლეონტიევი კავკასიის პოლიციის უფროსს, გენერალ-მაიორ ევგენი შირინკინს მოახსენებდა, რომ ლეჩხუმის მაზრაში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიციის რაზმი: ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი, დრაგუნთა 1 ესკადრონი, მეტყვიამფრქვევეთა ოცეული და 2 სამთო ქვემეხი.

1906 წლის 14 ივნისს გორის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს ცხინვალის უბნის სოფლებში გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობის მიზნით დამსჯელი ექსპედიციის დამატებითი ძალების გაგზავნას ითხოვდა. მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ სოფელ **მეჯვრისხევიდან** ცხინვალში უკვე გადაიყვანა კაზაკთა 0,5 ასეული, ხოლო მეჯვრისხევში წესრიგის დაცვა ეისკის კაზაკთა პოლკის მე-4 ასეულს ჩააბარა, რომელიც სოფელ **ქვემო ჭალაში** იყო განლაგებული.

დამსჯელთა თარეშს, გარდა რევოლუციონერთა რაზმებისა და ტერორისტებისა, ხშირად მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირებოდა. 1906 წლის 4 ივლისს ტერორისტებმა თბილისის პოლიციმაისტერი დაჭრეს. პოლიციამ და ჯარმა თავდასხმის ადგილის შემოგარენის გაჩხრეკა დაიწყო. ჯარისკაცები თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაშიც შეიჭრნენ და მოკლეს გიმნაზიის დირექტორი **შიო ჩიტაძე**. 5 ივლისს პოლიციელებმა შიო ჩიტაძის გვამი მიხაილის საავადმყოფოში გადაიტანეს. გიმნაზიის შენობიდან ჯარისა და პოლიციის გასვლის შემდეგ მასწავლებლები, მოსწავლეები და თბილისის საზოგადოების წარმომადგენლები შენობის დათვალიერებას შეუდგნენ. გიმნაზიის სამიეე სართული დარბეული იყო: დამსჯელებს როგორც საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში, ისე დირექტორისა და პედაგოგების საცხოვრებელ ბინებში მთელი ავეჯი დაემტვრიათ. შენობაში, ოთახებსა და დერეფნებში, სისხლის ნაკეცალევი შეინიშნებოდა, რაც იმას ადასტურებდა, რომ დამსჯელებმა მასწავლებლები დაჭრეს. შიო ჩიტაძე გიმნაზიის სატრაპეზოში იქნა მოკლული, სადაც ყველაფერი სისხლით იყო მორწყული, იატაკზე სისხლის გუბე იდგა, სისხლის წვეთები კედლებსა და ჭერსაც კი ემჩნეოდა. მაგიდაზე სისხლით მოსერილი დანა ეგდო, როგორც ჩანს, ტყვიით დაჭრილ შიო ჩიტაძეს შემდეგ დანით ყელი გამოჭრეს.

1906 წლის 21 დეკემბერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. 1907 წლის 19 ივნისს რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭომ იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რათა ქალაქი ბათუმი და კინტრიშის უბანი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ დაეტოვებინათ. 20 ივნისს ნიკოლაი II-მ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

რევოლუციური მოძრაობა მთელ საქართველოში დაღმავლობის გზით მიდიოდა და ბოლოს და ბოლოს სრულიად დაცხრა კიდეც.

§2. რევოლუციის დამარცხების მიზეზები

რევოლუციის დაწყებას მოუმზადებელი შეხვდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (საიმპერატორო კარი, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა კომიტეტი), შინაგან საქმეთა სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები (უანდარმთა კორპუსი, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება – ოხრანკა), სამხედრო სამინისტრო. რევოლუციას მოუმზადებელი შეხვდა საზოგადოების ყველა სოციალური ფენა (თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, მუშები, გლეხები, წვრილი ხელოსნები და სხვ.) და ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. გაურკვეველ მდგომარეობაში იყო სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოსული რუსეთის ინტელიგენცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი რევოლუციასა და ხელისუფლებას შორის მერყეობდა. ამ ფონზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მიუხედავად, ყველაზე უკეთ ორგანიზებული მაინც რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება (საიმპერატორო კარი, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა კომიტეტი – მინისტრთა საბჭო) აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არცთუ უნაკლო, მაგრამ სამოქალაქო ომში გამარჯვებისათვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება და მისი შესაფერი ტაქტიკის დასახვაც. სწორედ ეს გახლდათ რევოლუციის დამარცხების უმთავრესი მიზეზი: რევოლუციური ძალები ხელისუფლებაზე გაცილებით ცუდად ორგანიზებული აღმოჩნდნენ, და ყველა გადამწყვეტ ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში დამარცხდნენ. ჟანდარმერიისა და პოლიციის სუსტი, ხშირად უსუსური მოქმედების ფონზე, ხელისუფლების დასაყრდენის ფუნქცია კარგად შეასრულა რეგულარულმა ჯარმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, რევოლუციის შეიარაღებული ძალა როგორც ტაქტიკური, ისე სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით რეგულარულ ჯართან შედარებით ძალზე სუსტი აღმოჩნდა და დამარცხდა კიდეც.

ზემოთ ხსენებული მიზეზები ზოგადად დამახასიათებელი იყო როგორც რუსეთის, ისე საქართველოსათვის, თუმცა საქართველოში თავი იჩინა ზოგიერთმა თავისებურებამაც. რევოლუციის დამარცხებას რუსეთსა და საქართველოში მოჰყვა მომხდარის შეფასების, მარცხის მიზეზების გაანალიზების მცდელობა. ეს ხდებოდა როგორც ცხელ კვალზე, 1906–1907 წლებში, ისე მოგვიანებითაც. რევოლუციაზე ხელისუფლების გამარჯვების მიზეზების გარკვევას ცდილობდნენ პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, რევოლუციის მონაწილეები, სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და სხვ. ცხადია, ყველა სტატიის, ბროშურისა და წიგნის განხილვა შეუძლებელია. ჩვენ შევარჩიეთ ერთი ნაშრომი, რომელიც კარგად წარმოაჩენს საერთო ვითარებას. ესაა 1906 წელს თბილისში დაბეჭდილი ტიტე ართმელაძის ბროშურა „მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება". ბროშურა 1906 წლის 10 აპრილსაა დასრულებული, ანუ ავტორს საშუალება ჰქონდა გაეანალიზებინა 1905 წელსა და 1906 წლის დამდეგს მომხდარი მოვლენები. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორმა არ იცოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები 1906 წლის გაზაფხულიდან უახლოესი თვეების განმავლობაში, თუმცა ბევრი რამ სწორად ინინასწარმეტყველა.

ტიტე ართმელაძის ნაშრომი, ცხადია, მეცნიერული გამოკვლევა არ არის. ავტორის მიერ გამოტანილი დასკვნების ნაწილი ობიექტურია, ზოგიერთი – მცდარი, დანარჩენი – საპოლემიკო. ჩვენ ამ ნაშრომით იმიტომ დავინტერესდით, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა ცხელ კვალზე განცდილი მარცხის შეფასება, რა კითხვები უჩნდებოდა საზოგადოებას და როგორი იყო ამ კითხვებზე პასუხები. ტიტე ართმელაძის ნაშრომი მომხდარიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ იწერებოდა. ამის გამო ნაშრომს ემოციისა და სუბიექტური განწყობის დიდი კვალი ემჩნევა. გარდა ამისა, ნაშრომს გარკვეული დაღი დასცა პოლიტიკურ პარტიათა შორის მიმდინარე პოლემიკამ, ამ პოლემიკაში კი ტიტე ართმელაძე მხარეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამ ნაკლისა, ნაშრომი დიდ ინტერესს იწვევს და მასში მოცემული დასკვნები კარგად ასახავს იმდროინდელი საზოგადოების ნაწილის განწყობილებას.

ნაშრომისათვის, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილისათვის, დამახასიათებელია ზოგადი მსჯელობა და კონკრეტულ მასალას მოკლებული დასკვნები. ვინც 1905 წლის რევოლუციის ისტორიას ღრმად და საფუძვლიანად იცნობს, ად-

ვილად დარწმუნდება, რომ დასკვნებისა და განზოგადებებისათვის მასალა ქართული სინამდვილიდან არის აღებული და ყველა დასკვნის უკან ცხადად მოჩანს კონკრეტული პიროვნება, პოლიტიკური პარტია, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა. კონკრეტიზაციისაგან ავტორი თავს ალბათ იმის გამო იკავებს, რომ ბროშურა 1906 წელს, დამსჯელი ექსპედიციების თარეშის პერიოდში დაიბეჭდა და ისიც იძულებული იყო კონკრეტული ადამიანების მოხსენიებისაგან თავი შეეკავებინა. რაც შეეხება რევოლუციის განვითარებას საქართველოში, ტიტე ართმელაძე განზოგადებისათვის მასალას გურიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან იღებს, თუმცა დღეს გარკვეით შეიძლება ითქვას, ის საერთო ტენდენციები და შეფასებები, რაც გურიას ეხება, დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა რეგიონისათვის. ასე რომ, ბროშურაში მოტანილი დასკვნები და განზოგადებები მთელ საქართველოზე შეიძლება განვავრცოთ. მკითხველი რომ უკეთ გაერკვეს ბროშურაში წარმოდგენილ მასალაში, დავძენთ: რევოლუციაში დამარცხების მიზეზად ავტორი მიიჩნევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს (თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებს) და ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ("ჩვენებურ ნასწავლ-განათლებულ ხალხს," "ინტელიგენტ მოღვაწეებს", "ნასწავლ-წინამძღოლ მეთაურებს"). ავტორი კონკრეტული პიროვნებების ხსენებისაგან იმდენად იკავებს თავს, გურიის რევოლუციური მოძრაობის ხელმძრვანელს, სოციალ-დემოკრატ ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილსაც კი არ ახსენებს.

ტიტე ართმელაძე მიიჩნევდა, რომ ყოველგვარი მოვლენა კრიტიკულად უნდა შეფასდეს, რის აუცილებლობასაც იგი შემდეგში ხედავს: „კრიტიკა არის ისეთი რამ იარაღი, რომლის შემწეობითაც კრიტიკოსი სდევნის და ანადგურებს იმ არა სასურველ ნაკლულოვანებას, რომელიც თავისთავად ასუსტებს ამა თუ იმ მოქმედებამისწრაფების ნაყოფიერებას, მიმართულს ხალხთა საკეთილდღეოდ." ავტორი „ხალხთა საკეთილდღეოდ" მიმართულ მოვლენად რევოლუციას მიიჩნევს და ცდილობს ახსნას რევოლუციის დამარცხების მიზეზები. ეს რომ ადვილი საქმე არ არის, ტიტე ართმელაძეს კარგად ესმის. ისიც გარკვეით იცის, რომ ცალკეული პიროვნება ამ მისიას ვერ შეასრულებს, საჭიროა მთელი საზოგადოების გულისხმიერება და ერთობლივი მოქმედება.

ტიტე ართმელაძე ნაშრომში იხსენიებს „ჩვენებურ ნასწავლ-განათლებულებს", ანუ ინტელიგენციას. აქვე გარკვეით უნდა აღინიშნოს, რომ ინტელიგენციაში ავტორი ტრადიციულ შინაარსს არ დებს. იმხანად ინტელიგენციას უნოდებდნენ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს – პარტიულ ელიტას. დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორებიც იყო: „ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი", „მუშა სოციალ-დემოკრატი", „ინტელიგენტი პროპაგანდისტი", „მუშა პროპაგანდისტი" და სხვ. პრაქტიკულად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ისეე, როგორც სხვა სოციალისტური პარტიები, დაიყო ორ, ინტელიგენტურ და მუშურ, ნაწილად. ინტელიგენტურ ნაწილს ევალებოდა პოლიტიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა, პარტიის წევრთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე ზრუნვა, პროკლამაციისა და ფურცლების ტექსტის შემუშავება, წიგნებისა და ბროშურების გამოცემა, ჟურნალ-გაზეთებში სტატიების გამოქვეყნება და სხვ.. მუშური ნაწილი ძირითადად ორგანიზაციულ-პრაქტიკული საქმიანობით იყო დაკავებული. ტიტე ართმელაძის ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ ინტელიგენციაში ის სოციალისტური პარტიების, ძირითადად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტების (თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს) ხელმძღვანელობას და პროპაგანდისტ-აგიტატორებს გულისხმობს, სწორედ ისინი ედგნენ სათავეში რევოლუციას.

რევოლუციის დამარცხების მიზეზების ძიებისას ტიტე ართმელაძე უარყოფით კონტექსტში იხსენიებს ქართველ ინტელიგენციას, რომელიც „ბოდას" აჰყვა: „რომ სასიკეთო საქმის გაკეთება (იგულისხმება რევოლუციის გამარჯვება – ვ. გ.) ისე საადვილო ყოფილიყო, როგორადაც მისი ჩაშლა და წახდენა (იგულისხმება რევოლუციის დამარცხება – ვ. გ.), მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ პირველობაც (მთელ დედა-მიწაზედ) ჩვენებურ ნასწავლ-განათლებულთა უმეტესობას დარჩებოდა... და ამისდა მიხედვით, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ქვეყანაც ყველაზე წინ იდგომებოდა... მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე როდი ყოფილა! ამ ცოდვილ ქვეყანაზედ თურმე რომელიმე უკვე გამოწყებული, ანუ გაკეთებული, საქმის ჩაშლა და წახდენა ათი-ათასჯერ უფრო ადვილი ყოფილა, ვინემ ასეთსავე საქმის შექმნა და მოწესრიგება." როგორც ეხედავთ, ავტორი რევოლუციის დამარცხებაში ბრალს სდებს ქართველ ინტელიგენციას, რადგან ამ უკანასკნელმა თავისი ისტორიული მისია ვერ შეასრულა. ტიტე ართმელაძე ქვემოთ კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოადგენს ქართველი ინტელიგენციის შეცდომებს: „რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას ჰყავს თავ-თავიანთი მტერ-მოყვრები (შინაური). მაგრამ მტერ-

მოყვრებიც არის და მტერ-მოყვრებიც... ერთში შეიძლება ისინი მეტი იყოს და მეორეში ნაკლები... აი, ასეთ შინაურ მტერ-მოყვრებთა მეტ-ნაკლებობაზედ და იმათ მოქმედება-მიმართულების სიავკარგეზედ პკიდია თითეული ქვეყნის ბედ ილბალიც... ერთ უილბლო და დაჩაგრულ მხარეთაგანს, ამ შემთხვევაშიდ, ჩვენი ქვეყანაც ეკუთვნის: მის ჩვეულებრივ (შინაურ) მტრებს დღეს, სამწუხაროთ, არა ჩვეულებრივებიც მოემატნენ!.. ასეთ არა ჩვეულებრივ მტრებს შეადგენენ, დღეს ეგრედ წოდებულნი „მოდის“ ვითომცდა ინტელიგენტ-მოღვაწეები. მოგეხსენებათ, რომ იმისთანა საშიშო-საფათერაკო არა არის რა ქვეყნისთვინ, როგორც ამაეე ქვეყნის მტერ-მოყვრებთა ერთმანეთში არევ-დარევა. ასეთი მათი ერთმანეთში არევ-დარევა ხდება სწორედ მაშინ, როცა რომელიმე ხალხში უკვე იწყებს მრავლებას ისეთი ჯურის ინტელიგენტ-მოღვაწეები, რომლებიც (გულ უბრყვილო ხალხის თვალის ასახვევათ) სიტყვით, ვითომც და ქვეყნისათვის იღწვიან და საქმით-კი (თავიანთი მოქმედება-საქციელით) საშინლათ მტრობენ მას!... აი, სწორედ ასეთი ჯურის მოღვაწეები გამრავლდა დღეს ჩვენშიდ. თუ მართლა საწინააღმდეგოთ დღესვე არა ვილონეთ რაიმე, იმათი რიცხვი მალე ნამდვილ მოღვაწე და ქვეყნის გულშემატკივართა რიცხვს გადააჭარბებს და შემდეგ ხომ გვიანლა იქნება...“

ტიტე ართმელაძეს ძალზე აღიზიანებს ის, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები და სხვა სოციალისტები ხალხს რევოლუციის გამარჯვებისათვის თავის განწირვისაკენ მოუწოდებდნენ: „ასეთ ვაჟ ბატონებს ალბად ამოუკითხავთ სადმე, რომ უმსხვერპლოთ თავიანთ (ერთა) ხალხთა ცხოვრებაში – არც სხვა ქვეყნებს მოუხდენია რაიმე საგრძნობელი ცვლილებაო... და აი, ამ იმედით – ისინიც შესდგომიან მსხვერპლის გულუხვათ გაღებას!... და მერე ვისგან არ იკითხავთ? – უცოდინარ ხალხისაგან!!! აი, სად აღმოუჩენიათ სამსხვერპლო ზვარაკნი!!! და მერე აქეს კი ასეთ მათ უხვათ შემოწირულებას საქმესთან რაიმე დამოკიდებულება?! მართლა კეთდება ასეთი სიუხვით რაიმე საქმე?“ ავტორის აზრით, სოციალისტები ბოროტად იყენებენ ხალხის ნდობას და უაზრო სისხლისღერისაკენ მოუწოდებენ მათ: „ყოველი ერის განათლება-განვითარების საქმეში ერთი ისეთი დროც ურევია, რომლის განმავლობაშიც ხალხის გაქანება საითაც გნებავთ, იქით შეგიძლიანთ: გინდ დალუპვისაკენ, გინდ წარმატებისაკენ. ეს ის დროა, როცა რომელიმე ერის მდაბიო ხალხის უმეტესობა უკვე შეიგნებს სწავლა-განათლების (ცხოერებისათვის) მნიშვნელობას და უკვე თავის თავათ დაუწყებს მას ძებნას. მდაბიო ხალხის ეს ერთი (უდიდესი) ნაწილი ასეთ დროს ნდობით უყურებს ნასწავლს, დიპლომიანს და ყოველ-გვარ მის გაპირება-დარიგებას უშიშრად ღებულობს და კრძალვითაც ეპყრობა... აი, ამ მდაბიო ხალხის ეს ნაწილი გახლაეს მთელი ერის განათლება-განვითარების წინამორბედი და ამათ სწორ გზაზედ დაყენებაზედ პკიდია მთელი ერის დანარჩენ ნანილთა ცოდნა-განვითარების და აყვაეება-ნარმატების სვე-ბედი.“

ტიტე ართმელაძე მიიჩნევს, რომ ქართველი ერის „ნასწავლ – წინამძღოლ მეთაურებმა“ (სოციალისტურმა ინტელიგენციამ – ვ. გ.) მასზე დაკისრებული მისია ვერ შეასრულა, რაც ხალხს ძვირად დაუჯდა: „ აი, სწორედ ასეთი დრო დაუდგა ამ უკანასკნელ წლებში (საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს) გურიას. გურიამ უკვე განიცადა(ანუ განიცდის) ისეთი ხანა, როცა მდაბიო ხალხის ერთი ნანილი თვალებდახუჭული მისდევს უკან დიპლომიანებს და (ყველგან და ყველაფერში) მათი გაპირება-დარიგების ყურ-მოჭრილ მონათ ხდება...“ ავტორი მიიჩნევს, რომ როცა ხალხი უპირობოდ ემორჩილება „ნასწავლ-წინამძღოლ მეთაურებს“, ეს მათ პასუხისმგებლობას უნდა ზრდიდეს და ხალხის ნდობას სწორად იყენებდეს: „მონათ ხდება ის იმიტომ კი არა, რომ ვინმესი ეშინია, არამედ იმიტომ, რომ ის დღეს თვისი მდგომარეობის გამაუმჯობესელ ძალას თავისივე ცოდნა-განვითარებაში ხედავს... და ასეთი ცოდნა-განვითარების მომცემი კი ნასწავლი (დიპლომიანი) მიაჩნია.“

ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიაში არის მაგალითები, როცა „მეთაურებისადმი ასეთი ნდობა ხალხს საბოლოოთ სანანებლათ გაუხდა!...“ ტიტე ართმელაძე სინანულით აღნიშნავს: „ ასეთი ნდობით მოტყუებული ხალხი საუკუნოებით უკან იწევს და მისი ხელმეორეთ შემობრუნება-ამოძრავება, იმაზე ასჯერ მეტ მსხვერპლს და შრომას მოითხოვს მეთაურებისაგან, რამდენიც აქნობამდის იყო საჭირო...

აი, სწორედ ასეთ საფრთხეშია ჩავარდნილი დღეს გურიაც. „მოდის“ ნასწავლ-განათლებულმან სწორედ ისეთ დროს მოუსწრეს გურულებს, როცა იგი უკვე თავისთავად შეუდგა სწავლა-განათლების ძებნას...“ავტორის აზრით, ამ საბედისწერო მომენტში „ნასწავლ—წინამძღოლ მეთაურებმა“ გურიის მოსახლეობის მისწრაფებას სწორი მიმართულება ვერ მისცეს: „ ცოდნა-განვითარების მძებნელ ხალხის ნდობა უკულმართი მიმართულების ვაჟ-ბატონებმა უკულმართადვე გამოიყენეს.“ თავის ამ თამამ განცხადებას ავტორი ასე აკონკრეტებს: „მოგეხსენებათ, რომ განუვითარებელი ხალხის უმეტესობა თავიანთი გაჭირვების მიზეზებს ხშირათ იქ ხედავს, სადაც ის არ არის!..

თვალ-ახვეულივით აქეთ-იქით უმიზნოთ ეხეტება და ამიტომაც ავსაც და კარგსაც განურჩევლათ ებრძვის: ხან ერთს სვამს ბრალდებულთა სკამზე, ხან მეორეს!.. ხოლო ნამდვილ თავიანთ დამჩაგვრელთ კი ძალიან იშვიათათ!... ამგვარი ავის კარგისაგან გამოურჩეველობა, რა თქმა უნდა, თავისთავათ ამრავლებს ავ-სულთა დასს, ანუ მდაბალი მიმართულება-სურვილებით აღჭურვილ ვაჟ-ბატონებს, რომლებიც საბოლოოთ დანარჩენი გონიერი ნაწილის წინააღმდეგ იწყებენ მოქმედებას!!!" ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ საქართველოში რევოლუციის სადავეები სწორედ „მდაბალი მიმართულება-სურვილებით აღჭურვილმა ვაჟ-ბატონებმა" ჩაიგდეს ხელში, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ „ახლა ჩვენში ძალლი პატრონს ეელარ ცნობილობს!" შექმნილი მდგომარეობა ტიტე ართმელაძეს დამლუპველად მიაჩნია: „სულ სხვას ნარმოადგენს უცოდინარ-მოუმზადებელი ხალხი... ნამეტნავათ მაშინ, როცა ის ცხოვრებაში გამოუცდელ მეთაურებს უვარდება ხელში... ასეთ შემთხვევაში ის(ხალხი) თვალებდახუჭულივით მიექანება სადღაც... გზა და გზა მიარღვევს კლდეს, ღრეს... მიილტვის გადაჩემებით, მაგრამ საით?.. ეს კი(დანამდვილებით) თვითონაც არ იცის!.. უძლებს გზა და გზა ყოველგვარ გაჭირვება-დამცირებას მხოლოდ იმ იმედით, რომ მან ადრეევე მიახწიოს დანაპირებ (წარმონადგენ) ბედნიერებას. მიტომაც ასეთ ყალბ გზაზედ შემდგარი, უცოდინარი ხალხი მანამდის არ შედგება თავისთავად, სანამდის ფეხს არ მოიტეხს ანდა თვალ-უწედენელ ციცაბოში თვითონვე არ გადაიჩეხება!" უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადი დასკვნა ავტორს გურიაში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად გამოაქვს, თუმცა გასაკვირია მისი აზროვნების მასშტაბები და მოვლენისადმი ფილოსოფიური მიდგომა. ავტორი შენიშნავს, რომ გურიის მსგავსი ვითარება იყო საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც რევოლუციური მოძრაობის სადავეები „მდაბალი მიმართულება-სურვილებით აღჭურვილმა ვაჟ-ბატონებმა" იგდეს ხელთ, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, იმ ადამიანებისა, რომელთაც მხოლოდ ორი რამ ჰქონდათ გაცნობიერებული: კონკრეტული მიზანი (მაგალითად, მემამულის მინის დასაკუთრება) და მეთაურის ბრმად ნდობა. საბოლოოდ კი ყველაფერი დიდი მსხვერპლით დამთავრდა. ჩვენში ყველგან გამოჩნდნენ „ ცრუ მეთაურები" და უგუნური მასა გამოიყენეს. ტიტე ართმელაძეს კვლავ გურიის მაგალითი მოჰყავს: „ ასეთ გასაჭირ დროს სოფლელ გურულს დამბნევი პატრონი გაცილებით შეტი აღმოუჩნდა, ვინემ გონივრულად დამრიგებელნი და ჭკუმარიტი გზის მაჩვენებელნი". ამის შედეგი იყო ის, რომ გურიაში მასობრივი ხასიათი მიიღო საყოველთაოდ ცნობილმა მოვლენებმა, რომლებიც ცრუ-მეთაურების მიერ იყო ინსპირირებული. ავტორი წერს: „სოფლათ (ჯერ კიდევ განუვითარებელ და მოუმზადებელ ხალხში) ისეთი შემთხვევების ხშირათ განმეორება, როგორიც არის მაგ., ეკლესიების ცარცვა-ტეხა და სასოფლო კანცელარიების გადაწვა-გადაბუგვა, ჩვენ არა სასურველ მოვლენათ მიგვაჩნია... ასეთ მოუფიქრებელ მოქმედებას ყოველ შემთხვევაში ადვილათ შეუძლია საერთო მისწრაფებათა სამარეთ გადაქცევა." ავტორს ერთ-ერთ უარყოფით მოვლენად გურიის თავად-აზნაურობასა და გლეხებს შორის მდგომარეობის დაძაბვა და თავადაზნაურობაზე გლეხების წაქეზება მიაჩნია: „თავადაზნაურობის ოჯახებში გლეხებისაგან კეტებით მიხდომა, მათი სახლ-კარის გადაწვა-აოხრება და იმათი კუთვნილების ძალმომრეობით მითვისება (ნამეტნავათ ჩვენში და ისიც დღევანდელ პირობებში) დიდ შეცდომათ მიგვაჩნია... ძალ-მომრეობის წინააღმდეგ ამხედრებულმა ხალხმა, ნუ თუ იგივე ძალ-მომრეობა უნდა გააბატონოს თავიანთ მეზობლებში!? უსამართლობის მოწინააღმდეგე ძალამ ნუ თუ იმავე უსამართლობის შექმნასვე უნდა შეუწყოს ხელი?!" – ძნელია, არ დაეთანხმო ავტორის ლოგიკურ და სამართლიან მსჯელობას.

ძალზე კატეგორიული და შეიძლება გადაჭარბებული პესიმიზმითაც კი იყო განპირობებული ავტორის შემდეგი დასკვნა: „ერთის მხრით, დაუდევრობა-სიზარმაცეზედ აღმოცენებული უზნეობა (უმეტესი ნაწილისაგან თავიანთ მოვალეობის უკუგდება), მეორე მხრით, აზრთა (ერთმანეთში) არევ-დარევა და გონებრივი სიჩლუნგე, ჰქმნის მთელ ქვეყანას ყოველ გვარ უკუღმართობის, მელა-კუდობის, ცბიერების და ჯაშუშობა-გარყვნილების ასპარეზად. ხალხის გონიერი ნაწილი მანამდის უმკლავდება ასეთ უკუღმართობას, სანამდის ის შედარებით უფრო ძლიერია, ხოლო რაკი ამათი ძალა(რიცხვი) უგუნურთა რიცხვს გაუსწორდება, შემდეგ მას ასეთ მდგომარეობაში გაძლება დიდხანს აღარ შეუძლია..." ავტორის ეს დასკვნა ასე თუ ისე გასაგებია და ობიექტურობასაც არ არის მოკლებული. მაგრამ რასაც შემდეგ გვთავაზობს ავტორი, შეიძლება ძნელად დასაჯერებელი სიმართლე იყოს, მაგრამ ეს სიმართლე შემდგომ ეპოქაში მრავალგზის დადასტურდა: „გამარჯვების სასწორი ადრე თუ გვიან, უთუოდ უგუნურ უკუღმართობისაკენ (გულისხმობს უმეცარ მეთაურებს და შეუგნებელ მასას – ვ. გ.) გადაიხრება... აქედან მოკიდებული უკუღმართთა რიცხვი დღითი დღე მრავლდება და გონიერთა რიცხვი კი (თან და თან) კლებულობს. და ბოლოს, ხალხის გონ-

იერი ნაწილი იმდენად სუსტდება, რომ ფაკტიურად უგუნურებასთან შებრძოლებასაც კი ველარ ბედავს." ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი საბოლოოდ იბნევა და სრულიად გარკვევით ახალ თვისებას იძენს: ხალხს „ახალი (მიმართულება) და ძველი ერთნაირად აშინებს!... და აშინებს იმიტომ, რომ თუ ახალ მიმართულებას დაუჭირა მხარი, იმ შემთხვევაში ძველ მიმართულებათა მიმდევრების ეშინია და თუ ძველს მიმართულებას, მაშინ კი – ახლების!... ამიტომ ასეთები მარად იმას უთვალთვალებენ, თუ საითკენ არის გამარჯვების სასწორი გადახრილი". ტიტე ართმელაძის აზრით, ასეთი ვითარება რევოლუციის დამარცხების მომასწავებელი იყო.

რევოლუციის დამარცხების მიზეზებზე ამ მახვილგონივრული, მაგრამ ზოგადი მსჯელობის შემდეგ ტიტე ართმელაძე უკვე რევოლუციის მესვეურთა მიერ დაშვებულ კონკრეტულ შეცდომებზე გადადის:

1. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც XX საუკუნის დამდეგის რევოლუციურ მოძრაობაში, განსაკუთრებით გურიაში მიმდინარე აგრარულ მოძრაობაში, ისეთი მოთხოვნები ნამოაყენეს, რომელთა შესახებაც რუსეთში საუბარიც კი არ დაეწყოთ. ამის შედეგად ხელისუფლება გაფრთხილდა, რადგან მისთვის უკვე ცხადი იყო, თუ როგორ მოთხოვნებს წამოაყენებდა 1902-1904 წლებში დამარცხებული გურიის გლეხობა. ავტორის აზრით, ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუსეთის გლეხობისათვის არ უნდა დაესწოროთ და უნდა გაეთვალისწინებინათ ის, რომ რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას ჯერ კიდევ ეძინა, რაც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას გაუადვილებდა. ნაშრომში ვკითხულობთ: „მეთაურთა(იგულისხმება ქართველი სოციალ-დემოკრატები – რსდმპ ბათუმის კომიტეტი – ვ. გ.) მოქმედების პირველი შეცდომა იმაში გამოიხატა, რომ იმათ გურიაში ისეთ დროს ახადეს ფარდა განმანთავისუფლებელ მოძრაობას (გამოამჟღავნეს 1903 წ.), რომ როცა რუსეთის ძლევა-მოსილ ბიუროკრატიას (იგულისხმება რუსეთის იმპერიის ხელისუფლება – ვ. გ.) აზრადაც კი არ მოსდიოდა იაპონიასთან ომში ჩაბმა.... და აგრეთვე რუსეთის მრავალ რიცხოვან სოფლელ ხალხში ამგვარი მოძრაობის ბაი-ბურიც კი არსად ისმოდა!... ამიტომ ცხადია, რუსეთი რომ ამ დროს შემთხვევით ომში არ ჩაბმულიყო, ჩვენ ხალხს (ერს) იგივე ბედი ეწეოდა რუსეთის ბიუროკრატიისაგან, რაც უკვე ეწვია თავისუფლებისათვის მედგრათ მებრძოლ ბურებს ინგლისელებისაგან, ე.ი. შეუბრალებლად მოსრესა-განადგურება. მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადა, რუსეთის მდაბიო ხალხს ამ ომმა გადაუშალა თვალ-წინ არსებული ბიუროკრატიული წეს-წყობილების სიყალბე და თანაც დასცა, გაათახსირა თვითმყრობელობის აბრუ("პრესტიჟი")". ტიტე ართმელაძე საუბებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1904 წლის იანვარში დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა იმპერიის ხელისუფლებას საშუალება არ მისცა გასწორებოდა საქართველოში დაწყებულ აგრარულ მოძრაობას, რომელმაც ძალზე რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა.

2. ავტორი ნაჩქარევად მიიჩნევდა, რუსეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინების გარეშე 1903 წელს რადიკალური მოთხოვნებით აგრარული მოძრაობის დაწყებას, რადგან რუსი გლეხობის გამოღვიძება არათუ მანამდე, მყისიერად ვერც 1904 წლის იანვარში იაპონიასთან დაწყებულმა ომმა შეძლო. ნაშრომში ვკითხულობთ: „ამ გარემოებამ (რუსეთის ხელისუფლების პრესტიჟის დაცემამ – ვ. გ.) შეძლება მისცა პროპაგანდისტ-აგიტატორებს (რუს სოციალ-დემოკრატებს – ვ. გ.) გადაეტანათ თავიანთი მოქმედება სოფლელ მშრომელებშიაც. მაგრამ ასე მოკლე დროში ას ორმოც მილიონიან (აქნობამდის მძინარე) ხალხის გამოღვიძება ძნელი საქმე შეიქმნა, მით უფრო შეუძლებელი გახდა იმათი რაიმე საერთო იდეისთვინ შეგნებულ, მებრძოლ ლაშქრად გარდაქმნა (ხალხს რა უნდა გაუმტყუნოთ, როცა მათი მეთაურებიც შეუგნებლად მოქმედებდნენ!). ამიტომაც შეგნებული ძალის მაგიერად შეუგნებელი, „სტიქიური" ძალა შერჩად ხელშიდ(...), რომელიც თავის მუცლის და კუჭის დროებით გამოძღომისთვის იბრძოდა და ამ მიზნით ყველაფერს განურჩევლად ანადგურებდა, რაც კი შეეჩეხებოდა წინ. ასეთ სტიქიურ ძალას, რა თქმა უნდა, რომ საერთო მისწრაფებაზედ არავითარი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თავის თავათ... მაშასადამე, ასეთ შეუგნებელ ძალაზედ იმედის დამყარება და იგიც რუსეთის იაპონიასთან ომში ჩაბმამდის, დიდი შეცდომა იყო." იგივე ითქმის საქართველოზეც: 1903 წელს ყოველგვარი მომზადების გარეშე რადიკალური მოთხოვნებით აგრარული მოძრაობის დაწყება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული.

3. საქართველოში რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, ტიტე ართმელაძის აზრით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არასწორი ეროვნული პოლიტიკა იყო. ნაშრომში ვკითხულობთ: „ხოლო როცა ძალა ძალას დაუპირდაპირდა, შემდეგ კი იკადრეს (რუსმა სოციალ-დემოკრატებმა – ვ. გ.)სოფლელებისაკენ

პირის ბრუნება, მაგრამ გვიანლა გამოდგა... არამცთუ რუსეთის მოუმზადებელ-შეუგნებელი სოფლელნი ხალხი, არამედ თვით მათი ბრწყინვალე სოციალ-დემოკრატებიც კი ვერ მისულან (ჯერ-ჯერობით მაინც) იმდენ ზნეობრივ მართლ-შეგნებამდის, რომ (მათთან ერთათ საერთო „იდეისათვის" მებრძოლ) დამონებულ ერების თავისთან გათანასწორება მოეთხოვათ უფლებრივის მხრით!... (სწორედ ამ ეროვნულ უსწორ-მასწორობის შემნეობით მოახვია ჩვენ ხალხს „სეპარატიზმი" თავზედ ბიუროკრატიამ და თვით მთელმა რუსეთის ხალხმაც...). აღარ ეყოთ მათ მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ, უწინარეს ყოვლისა, ისეთი უსამართლოების წინააღმდეგ აღემაღლებინათ ხმა, როგორიც არის ჩვენს მდგომარეობამდის მისულ ხალხებისათვის ეროვნული მონობა!!! და აი, ამგვარ (კაცთ მოყვარეობის უკუმგდებელ) ამხანაგების იმედით ოცნებობდნენ გამარჯვებას ჩვენი ხალხის წინამძღოლები რუსეთის ბიუროკრატიის იაპონიასთან ომში ჩაბმამდინაც კი!.."ტიტე ართმელაძე არაფერს აჭარბებს. ასეთი დასკვნისათვის მას მთელი მასალა რსდმპ II ყრილობაზე(1903 წ.) პარტიის პროგრამის მიღებისას მიმდინარე პოლემიკიდან და თვით პროგრამის ტექსტიდან გამოაქვს: რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ელეიკოდერჟავული აზროვნება ვერ დაძლიეს, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს „ეროვნული მონობის" მოსპობის რეალური პროგრამა ვერ შესთავაზეს.

4. ავტორს შეცდომად მიიჩნევდა იმას, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გლეხობას აგრარული მოძრაობის დაწყებისაკენ ისე მოუწოდეს, რომ არ იცნობდნენ რუსი გლეხების განწყობილებას, არ ჰქონდათ გააზრებული, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება საქართველოს დასჯას გადაწყვეტდა: „ს.-დემოკრატებს მოძრაობის დაწყებამდის წარმოდგენაც-კი არ ჰქონიათ რუსეთის სოფლელ გლეხების(ჯერ კიდევ ასეთი საქმისათვის) შეუგნებლობა-მოუმზადებლობაზედ!!! წარმოდგენაც არ ჰქონიათ დღეანდელ ტეხნიკაზედ, გაუმჯობესებულ საბრძოლველ იარაღზედ!... ბიუროკრატიის ძლიერებაზედ და მისი ე.ი. ბიუროკრატიის სურვილების(ჯერ კიდევ ფანატიკურად) აღმასრულებელ ძლევა-მოსილ ჯარებზედ!... იმ თავიდგან-ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარებზედ, რომლებსაც უნდა შეტაკებოდა ხელ-და-ხელ უაირალო ხალხი!.. და თვით ისიც კი არ სჯეროდათ, რომ რუსეთის ხალხი ჩვენ ხალხს აქნობამდის ძალიან ნაკლებად იცნობდა და თუ ყველა არა, მისი სამი მეოთხედი ნანილი მაინც ველურებად გვსახავდა... აი, ასეთმა უცოდინარობა-მოუფიქრებლობამ გააბედვინა გურულების წინამძღოლებს, ს.-დემოკრატებს, მოძრაობის ცხადად დაწყება ომიანობის გამოცხადებამდის"(1902-1903 წლებში – ვ. გ.).

5. ტიტე ართმელაძე შეცდომად მიიჩნეულა 1905 წლის ოქტომბერში ნასაკირალის ბრძოლას, რუსულ ჯართან შეჯახებას, რასაც სისხლისღერა მოჰყვა: „ როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი შემთხვევით გათამამებულმა ვაჟ-ბატონებმა, გურიაში მეორე შეცდომაც ჩაიდინეს, რომელიც გამოიხატა მათგან იარალით კაზაკებთან შეტაკებაში ნასაკირალზედ. ასეთი მათი საქციელი ხომ პირ-და-პირ რუსეთის ძლევა-მოსილ „ბიუროკრატიის დუელში" გამოწვევას მოასწავებდა?! მაგრამ დახე იღბალს! მოსალოდნელი უბედურება აქაც ასცილდა ხალხს საზოგადოების და ნამეტნავათ ბ.სტაროსელსკის მეცადინეობით (იმ დროს გუბერნატორ სტაროსელსკის გულკეთილობას ჩვენი გაკადნიერებული ს.-დემოკრატები თავიანთ ძლევა-მოსილების ზედ-გაელენას აწერდნენ!)." ტიტე ართმელაძემ შეიძლება არ იცოდა, რომ ნასაკირალზე ბრძოლის გამართვის წინააღმდეგი იყო გურიის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც დაემორჩილა რსდმპ გურიის კომიტეტის გადაწყვეტილებას. ნასაკირალის ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე იგონებს, რომ რსდმპ გურიის კომიტეტის საბედისწერო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილს თურმე თვალზე ცრემლი მოადგა...

6. ავტორი ასევე შეცდომად მიიჩნევს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებს, რომლებიც თითქმის უწყვეტად გრძელდებოდა: „ გურულების ამ მეორე კერძო შეცდომას, მესამე საზოგადო შეცდომაც ზედ დაერთო მალე, რომელიც გამოიხატა გაფიცვების გადაჭარბებაში და თვით გაფიცვების დროს მისი გამგეების უგუნურ მოქმედება-საქციელში, რამაც უკვე იმსხვერპლა ჩვენი სოფლელნი ხალხნიც." როგორც ჩანს, ტიტე ართმელაძე იმას გულისხმობს, რომ გურიაში, სადაც არც ხელისუფლების ოფიციალური ორგანოები, გარდა ოზურგეთის მაზრის უფროსის აპარატისა, აღარ მოქმედებდნენ, აღარ მოქმედება სასამართლო, ოზურგეთში იყო ჩაეტილი ჯარი და პოლიცია, გაფიცვების დაწყებას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან შედეგი უკვე მიღნეული იყო – გურიას ხალხი განაგებდა.

7. ტიტე ართმელაძე აღნიშნავს, რომ 1905 წლის დეკემბერში ხელისუფლებასთან ბრძოლაში მოსკოვის პროლეტარიატიც დამარცხდა, მაგრამ გურიის გლეხობის დამარცხებასა და მოსკოვის პროლეტარიატის დამარცხებას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ხედავს: ეს რომელიმე

პარტიის დამარცხება და შეიარაღებული პროლეტარიატის ბარიკადებისაგან განდევნა კი არ არის, როგორც ეს მოხდა მოსკოვში, არამედ მთელი ერის აწიოკებაა!... აკლება უიარაღო ხალხისა ყოვლად უმიზნოთ და უდროოთ, რაც გამოწვეული იყო მეთაურებთა უტაქტობა-უცოდინარობისაგან. რა თქმა უნდა, როცა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მტერი ერთმანეთს შეეტაკება, ერთი მათგანის დამარცხება ყოველთვის მოსალოდნელია... მაგრამ აქ სამწუხაროც ის არის, რომ ეს ჩვენი უდროული, მტერთან ხელ-და-ხელ შეტაკება უდროო დროს დამარცხება სრულიადაც არ იყო საჭიროებისაგან გამოწვეული..." ტიტე ართმელაძის ეს დასკვნა უკვე სადაოდაც აღარ ჩაითვლება, იგი აშკარად არაობიექტურია, სწორად არ ასახავს მოვლენათა განვითარებას. თუ როდის დაარბევდა გურიას ხელისუფლება, არავინ იცოდა. დამსჯელი ექსპედიციის ამოქმედება რუსეთში შექმნილ ვითარებაზე იყო დამოკიდებული: პირველად გურიის დასჯა 1905 წლის თებერვალში გადაწყვიტეს, მაგრამ შემდეგ ჩანაფიქრი შეცვალეს და ჯარი უკან გამოიწვიეს. მეორედ გურიაზე შეტევა 1905 წლის ზაფხულში იგეგმებოდა, მაგრამ აგვისტოში სოფელ ნატანებში მდგარი დამსჯელი ექსპედიცია კვლავ გამოიხმეს. 1905 წლის ოქტომბერში ნასაკირალზე მომხდარი ბრძოლის შემდეგ დამსჯელი ექსპედიცია არც დაგეგმილა. პეტერბურგში ფრთხილობდნენ, აანალიზებდნენ რუსეთსა და საქართველოში შექმნილ ვითარებას. და მხოლოდ 1905 წლის დეკემბერში მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ხელისუფლებამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში დამსჯელი ექსპედიციების ამოქმედება გადაწყვიტა. 1906 წლის იანვრიდან დაიწყო დიდი დარბევები იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. ასე რომ, „უდროო დროს დამარცხება" სრულიადაც არ იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრალი.

ტიტე ართმელაძე რევოლუციის დამარცხების შემდეგ დანერილებით აღწერს იმ ნერილმან ტაქტიკურ შეცდომებს, რომლებიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაუშვეს. მართალია, ამ შეცდომებს რევოლუციის ბედი არ გადაუწყვეტია, მაგრამ უმნიშვნელოდ მაინც ვერ ჩაითვლებოდა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ტიტე ართმელაძის ნაშრომი მეცნიერულად ვერ ხსნის რევოლუციის დამარცხების მიზეზებს. ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ღრმად და საფუძვლიანად ჩახედულმა ავტორმა ერთი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, ვერ გაითვალისწინა უმთავრესი: რევოლუცია დამარცხდა რუსეთის იმპერიაში და დამარცხდა საქართველოშიც; სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომები საერთოდ რომ არ დაეშვათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მოსკოვში 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებას და ამის შემდგომ რევოლუციური კერების განადგურებას მოჰყვებოდა რევოლუციურ ძალთა განადგურება საქართველოში.

§3. რუსული კოლონიზაციის ახალი ეტაპი და მისი პერსპექტივები

1905 წლის რევოლუციამ კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის თვალწინ გაიარა (1905 წლის 26 თებერვალს მეფისნაცვლად დანიშნული, იგი თბილისში 5 მაისს ჩამოვიდა). 1907 წლის 10 თებერვლის უქეშეერდომილეს მოხსენებაში მეფისნაცვალი, პრაქტიკულად უკვე დამარცხებული რევოლუციის ფონზე, საქართველოში მოსალოდნელ საშიშროებებზეც ამახვილებს ყურადღებას. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი საფრთხედ მიიჩნევს:

1. ქართველი საზოგადოების მისწრაფებას საქართველოს ავტონომიის მოპოვებისაკენ, რაც საფუძველი ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობის თხოვნამ დაუდო;

2. ქართველი სამღვდელოების ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის;

3. დროებით ვალდებულ გლეხთა მიწის გამოსყიდვის პროცესის გაჭიანურებას;

4. მცირემიწიანობას, რომელსაც ერთნაირად განიცდიდა როგორც მესაკუთრე, ისე დროებით ვალდებული გლეხობა;

5. არათანაზომიერი გადასახადების არსებობას;

6. სახალხო განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობას;

7. ადგილობრივი მმართველობის გაუმართაობას;

8. სასამართლო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს;

9. სასოფლო მმართველობის დაუხვეწაობას;

10 ერობის არარსებობას;

11. კავკასიისათვის ადმინისტრაციისა და პოლიციის მოხელეთა შერჩევისას დაშვებულ შეცდომებს;

12. შეფერხებას კავკასიის უმაღლესი მმართველობის გარდაქმნაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ისეთ პრობლემათა რიცხვს არ განეკუთვნებოდა, რომლებიც კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას ან რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ერთბაშად გადაეჭრა. ამ პრობლემების მოგვარებისათვის ღონისძიებები, ცხადია, გატარდებოდა, მაგრამ,

ამასთან ერთად, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნევდა კავკასიის, მათ შორის საქართველოს, მასშტაბით რუსული კოლონიზაციის გაძლიერებას, საქართველოში რუსეთის პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას. ეს აუცილებელი იყო მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა თავისი უქვეშევრდომილესი მოხსენების მეოთხე თავს ასე უწოდა: **„მხარის რუსული კოლონიზაცია"**. მასში გამოყოფილია შემდეგი საკითხები:

1. **კავკასიის რუსული კოლონიზაციის შეფერხების მიზეზები.** კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორს მოახსენებდა: „ყოველგვარი კოლონიზაცია, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რეალურად არსებულ მიწის ფონდს გულისხმობს, რომელიც მხარის კოლონიზაციისათვის არის განკუთვნილი. რაც შეეხება კავკასიას, სამწუხაროდ, მისი ფართომასშტაბიანი კოლონიზაციის შესაძლებლობა ხელიდანაა გაშვებული. მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზეა დარჩენილი უკაცრიელი, სხვადასხვა კულტურისათვის (გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს – ვ. გ.) ხელსაყრელი სივრცეები. ამიერკავკასიის სხვა ადგილები, კულტურებისათვის ხელსაყრელი, ძალზედ მჭიდროდაა დასახლებული და სახელმწიფო მიწების არსებული რეზერვი, სავარაუდოა, რომ მეტწილად ადგილობრივ მკვიდრთა მინით დაკმაყოფილებისათვის იქნება გამოყენებული. ასე რომ, კავკასიის კოლონიზაციას, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა თავისუფალი მიწები, მცირე ყურადღება ეთმობოდა, რის გამოც აუცილებელია ახლა მაინც დაიძაბოს ძალისხმევა". როგორც ვხედავთ, კავკასიის მეფისნაცვალი თამამად მიანიშნებს, რომ კავკასიის კოლონიზაციის პროცესში სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მიიჩნევს, რომ კავკასიის კოლონიზაციას დიდი ღვაწლი დასდო მეფისნაცვალმა მიხაილ ვორონცოვმა (1844-1854), რომლის დროსაც განვითარდა და აყვავდა წინა პერიოდში დაარსებული კოლონიები. მიხაილ ვორონცოვი გეგმაუდა კავკასიაში რუსი მოსახლეობის მიზიდვას, მაგრამ იმ დროს შექმნილი ვითარების გამო რუსები კავკასიაში მხოლოდ სასჯელის მოხდის მიზნით იგზავნებოდნენ, ან აქ სექტანტები მკვიდრდებოდნენ. მიხაილ ვორონცოვის დროსაც აშკარად იგრძნობოდა რუსი კოლონისტებისათვის გამოსაყოფი მიწების სიმცირე, რადგან ჯერ კიდევ კავკასიის მთავარსარდალმა ივან პასკევიჩმა (1827-1831) სარეზერვო მინის ფონდიდან 200.000 დესეტინაზე მეტი დაუნანილა სომხებს, – სპარსეთიდან შემოყვანილ 40.000 და ოსმალეთიდან – 84.000 სულს. შექმნილ ვითარებაში მიხაილ ვორონცოვმა სახელმწიფო სახსრებით კერძო მფლობელებისაგან მიწების გამოსყიდვა დაიწყო და სარეზერვო ფონდიც შექმნა.

კავკასიის მეფისნაცვალი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მიხაილ ვორონცოვის შემდეგ რუსული კოლონიზაციის საქმე შეფერხდა. კოლონიზაციის დაჩქარების მიზნით გატარებული ღონისძიებები ერთიანი გეგმის ნანილს არ წარმოადგენდა და ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა აფხაზეთში შავი ზღვის სანაპიროდან მთიელთა განდევნის შემდეგ იქ რუსი კოლონისტების ჩასახლება. შავი ზღვისპირეთში რუსი კოლონისტების ჩასახლება მოუმზადებლად დაიწყო, რუსეთიდან ჩამოსაყვანი კოლონისტები საგანგებოდ არ შეურჩევიათ, რის გამოც ისინი პირველი წარუმატებლობისთანავე უკან გაბრუნდნენ. რუსების მიერ მიტოვებული მიწები სომხებმა, ბერძნებმა და ჩეხებმა დაიკავეს. 1880 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხაილ რომანოვმა 400.000 მანეთი ითხოვა, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ყარსის ოლქში კოლონისტების ჩასახლებას უნდა მოხმარებოდა. მიხაილ რომანოვის შეუმდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რის გამოც ყარსის ოლქის მინებზე სხვადასხვა ეროვნების ხალხები დასახლდნენ. ყარსის ოლქის პირველმა გუბერნატორმა თავისუფალი მიწები სომხებსა და ბერძნებს დაურიგა. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის აზრით, კიდევ უფრო სამწუხარო იყო ის, რომ კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმების (1882 წ.) შემდეგ საუკუნის დასასრულამდე რუსული კოლონიზაცია კიდევ უფრო შეფერხდა და საბოლოოდ შეჩერდა კიდეც. უფრო მეტიც, კავკასიიდან ამერიკაში გადასახლეს 8.000 სული რუსი კოლონისტი (დუხობორები). ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში ოსმალეთიდან სომხების ჩამოსახლება დაიწყო. 1897-1904 წლებში მიღებული იქნა ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, რომელთა წყალობითაც 1897 წელს დაიწყო იმ რაიონების შესწავლა, სადაც თავისუფალი მინები ჯერ კიდევ არსებობდა. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა კოლონისტებისათვის მინის ნაკვეთების გამოყოფა. ეს სამუშაოები მთელ კავკასიაში წარმოებდა, გარდა ქუთაისის გუბერნიისა და თბილისის გუბერნიის ზაქათალის ოკრუგისა.

2. **კავკასიის რუსული კოლონიზაციისათვის მიწის ფონდის შექმნის მიზნით განეული მუშაობის შედეგები.** 1906 წლის ჩათვლით გატარებული მუშაობის შედეგად დადგენილი იქნა, რომ კავკასიის

სამეფისნაცველოში (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში) რუსული კოლონიზაციისათვის 1.700.000 დესეტინა მინის გამოყოფა შეიძლებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ რაოდენობის მიწიდან გადმოსახლებული რუსებისათვის მხოლოდ 8.35.000 დესეტინა გამოდგებოდა. ამ მიწაზე 150 რუსული დასახლება უნდა შექმნილიყო, რომლებშიც, საერთო ჯამში, 28.000 მამრობითი სქესის ადამიანის ჩასახლება შეიძლებოდა(ცხადია, იგულისხმებოდა, რომ რუსი მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობა მეუღლესა და შვილებთან ერთად ჩამოვიდოდა). 1906 წლის დასასრულისათვის ზემოთ ხსენებული 28.000 სულიდან 13.500 სული უკვე ჩჩასახლებული იყო, მინის ნაწილი უნდა მიეღო კიდევ დაახლოებით 2.500 მამაკაცს, რომლებიც ჩასახლების ადგილის ძებნით იყვნენ დაკავებული. ასე რომ, კავკასიაში კიდევ 12.000 რუსი მამაკაცის მიღება შეეძლოთ.

კავკასიაში ჩასასახლებელი რუსებისათვის გამოყოფილი მინა გუბერნიების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

1. ბაქოს გუბერნია– 266.000 დესატინა;

2. შავი ზღვის გუბერნია –60.000 დესეტინა;

3. ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგი: 33.500 დესეტინა;

4. ჩრდილო კავკასია (ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქები)– 40.000 დესეტინა;

5 ელისავეტპოლის გუბერნია –71.000 დესეტინა;

6. ერევნის გუბერნია – 40.000 დესეტინა;

7. ყარსის ოლქი – 31.000 დესეტინა;

8. ბათუმის ოლქი – 3.500 დესეტინა (რუსულ დასახლება „სმეკალოვკის“ ახლოს);

9. თბილისის გუბერნია – 29.000 დესეტინა.

თბილისის გუბერნიაში 29.000 დესეტინა მიწაზე 8 დასახლება უნდა შექმნილიყო, სადაც ჩასახლდებოდა 2.700 სული. ეს დასახლება ვაკეზე მდებარეობდა, დანარჩენი კი – მაღალმთიან ზონაში და მინათმოქმედებაზე მეტად მესაქონლეობისათვის იყო ხელსაყრელი. მაღალმთიან ზონაში არსებული დასახლებებიდან რამდენიმე სექტანტებისათვის (დუხობორებისა და მალაკანებისათვის) იყო გამიზნული. ყარსის ოლქში – 31.000 დესეტინა მინაზე 16 დასახლება უნდა შექმნილიყო, სადაც ჩასახლებდნენ 1.700 სულს. 16-დან რუსები მხოლოდ 6 დასახლებას დაიკავებდნენ, მეშვიდეს ტერიტორია ყარისის ოლქში ადრე ჩასახლებულ რუსების სოფლებს – „ხოროშევოსა“ და „გრენადერსკოეს“ – უნდა გადასცემოდა, რომლებიც მინის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. დანარჩენი 9 დასახლება მაღალმთიან ზონაში უნდა შექმნილიყო, ისინი მხოლოდ მესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი. ამ დასახლებებში კოლონისტები ადგილობრივი კლიმატური და სხვა პირობების გაცნობის შემდეგ დაიწყებდნენ ცხოვრებას.

კავკასიის მეფისნაცვალი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რუსი კოლონისტების რაოდენობა ბუნებრივი ნამატის გამო გაიზრდებოდა, რაც თავისთავად წარმოშობდა ახალმოსახლეთათვის დამატებითი მიწების გამოყოფის საჭიროებას.

3. რუსი კოლონისტებისათვის გამოყოფილი მიწების აუთვისებლობის მიზეზები. 1907 წლის დამდეგისათვის კავკასიის სამეფისნაცველოს ტერიტორიაზე კოლონისტთა 89 დასახლება იყო აღრიცხული, რომელთაგან მოსახლეობის მხრივ მთლიანად მხოლოდ 46 იყო შევსებული. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის აზრით, ეს ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია:

1. რუსეთის გუბერნიებში კავკასიაში ჩასასახლებელი კოლონისტების შერჩევას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, წინასწარ არ არკვევდნენ, ჩასასახლებლად გამიზნული გლეხი როგორი მეურნე იყო, გაუძლებდა თუ არა ცხოვრების ახალ პირობებს, შეძლებდა თუ არა მეურნეობის იმ დარგების გაძღოლას, რომლებიც კავკასიის რეგიონში იყო განვითარებული, ხორბლის მოყვანის გარდა, კიდევ რა შეეძლო და სხვ. რუსეთიდან კავკასიაში უპირატესად ისეთი გლეხთა კომლები გადმოჰყავდათ, რომელთაც გამართული მეურნეობა რუსეთშიაც არ ჰქონიათ, გარდა ხორბლის მოყვანისა, არაფერი შეეძლოთ. ამის გამო იყო, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, XX საუკუნის დამდეგის ჩათვლით, კავკასიაში გადმოსახლებული რუსი კოლონისტების უმრავლესობა ადგილობრივ პირობებს ვერ შეეგუა და ვერც მეურნეობა გამართა. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, ხეტიალში ილეოდა წლები, რაც იმით მთავრდებოდა, რომ ამ კატეგორიის კოლონისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ძველ საცხოვრებელს, რუსეთის შიდა გუბერნიებს, უბრუნდებოდა;

2. კავკასიაში რუსი კოლონისტების ჩასასახლებლად ადგილების გამოყოფისას არ განსაზღვრულა, თუ როგორი სამართლებრივი და სამეურნეო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ახლად ჩასახლებულ კოლონისტებს ადგილობრივ, ძირძველ მოსახლეობასთან და ადრე ჩასახლებულ რუს კოლონისტებთან. ხშირი იყო შემთხვევები, როცა მხოლოდ კოლონისტთა ახალი ნაკადის ჩასახლების პროცესში გაირკვა, რომ მათთვის გამოყოფილი მიწა ადგილობრივ მოსახლეობას და ადრე ჩასახლებულ რუს კოლონისტებს სჭირდებოდათ. ამან თავისთავად წარმოშვა ახლად ჩასახლებული კოლონისტების დაპირისპირება არა მარტო ძირძ-

ველ მოსახლეობასთან, არამედ ადრე ჩასახლებულ რუს კოლონისტებთანაც. ჩასახლების პროცესში გაირკვა მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც: კოლონისტებისათვის გამოყოფილი ადგილები არ გამოდგებოდა სახნავ-სათესად, ბაღების გასაშენებლად და სხვ.;

3. კოლონიზაციის მთელი პროცესის განმავლობაში, XX საუკუნის დამდეგსაც კი, რუსების გამოყოფილ ადგილზე ჩასახლება დაკისრებული ჰქონდა პოლიციას, რომელსაც ისეც ბევრი საქმე ავალია და, ცხადია, სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა კოლონისტებს. ასეთ ვითარებაში კოლონიზაცია უსათუოდ შეფერხდებოდა, პირველ რიგში, ბრკოლდებოდა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი: რუსი კოლონისტებისათვის საცხოვრებელი სახლების აგება;

4. კოლონიზაციას დიდად აფერხებდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კოლონისტების ქრონიკული ძარცვები, ცხენის ქურდობა, ჯოგის დატაცება, დარბევა და მკვლელობები. ყოველივე ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა რუსებს, რომელთაც ამის გარეშეც უჭირდათ ადგილობრივ პირობებთან შეგუება;

5. კოლონისტების მიერ მეურნეობის გამართვას ხელს უშლიდა წყლით მომარაგება, ასევე – სარწყავი წყლის არარსებობა. რუსი კოლონისტების უკან დაბრუნების უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი იყო;

6. შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან (აფხაზეთიდან – ვ. გ.) რუსი კოლონისტები გარბოდნენ იმის გამოც, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის გადაადგილებისათვის საჭირო გზები აქ არ არსებობდა. გზების უქონლობის გამო კოლონისტები ვერ უკავშირდებოდნენ არა მარტო ადგილობრივ სოფლებს, არამედ – რუსი კოლონისტების დასახლებებსაც კი;

7. ყოველივე ამას ემატებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის უჩვეულო კლიმატური პირობები, ბევრ ადგილას გაერცელებული მალარია, რომელიც ხოცავდა არა მარტო ადამიანებს, არამედ შინაურ ცხოველებსაც.

ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო XX საუკუნის დამდეგის ჩათვლით კავკასიაში ჩასახლებული კოლონისტები ისევ რუსეთის შიდა გუბერნიებში ბრუნდებოდნენ. კოლონისტებმა დატოვეს ელისავეტპოლის, ბაქოს, თბილისისა და შავი ზღვის გუბერნიები, დაღესტნის ოლქი. თბილისის გუბერნიიდან კოლონისტები გარბოდნენ თათრების მხრიდან მუდმივი მტრობისა და მალარიის გამო, თუმცა აქ მიწა ნაყოფიერი და სარწყავითაც უზრუნველყოფილი იყო. ხოლო თბილისის გუბერნიის მიხაილოვსკოესა და ალექსეევკას კოლონიებიდან კოლონისტები მალარიით დაავადების შიშითა და მეურნეობის გამართვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო გაიქცნენ.

4. კოლონიზაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები. კოლონიზაციის პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით 1907 წელს გარდაიქმნა კოლონისტებისათვის ადგილების გამოყოფის პროცესის ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობა. გატარებული ღონისძიების შედეგად, ისე, რომ ხარჯები და მოხელეთა შტატები არ გაზრდილა, კოლონისტთა ჩასახლების პროცესის გაუმჯობესებისათვის მრავალი ღონისძიება გატარდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კოლონიზაციის პროცესს ჩამოაშორეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და პოლიცია. მიწის სიმცირის გამო ადგილობრივ მოსახლეობასა და კოლონისტებს, ახალჩასახლებულ და ძველ კოლონისტებს შორის დაწყებულ დაპირისპირებებს ადმინისტრაცია და პოლიცია კი აღარ წყვეტდა, არამედ ის სპეციალური სამსახური, რომელსაც ჩასახლების მთელი პროცესი დაექვემდებარა. გატარებულმა ღონისძიებებმა პირველი შედეგები გამოიღო. თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში ჭიაურის ტყის მიდამოებში ახლად ჩასახლებულ კოლონისტებს მიწა ადრე შექმნილი რუსული კოლონიების – „ნოვო მიხაილოვკისა" და „ლაგოდეხის"– რუსულ მოსახლეობასთან შეთანხმებით გამოუყვეს. ასევე გაითვალისწინეს ადგილობრივი უმინო 80 კომლის ინტერესები.

5. კოლონიზაციის პროცესის კრედიტით უზრუნველყოფა. რუსი კოლონისტებისათვის მხოლოდ მიწის გამოყოფა ვერ უზრუნველყოფდა კავკასიის კოლონიზაციის წარმატებას. კოლონისტთა კომლები რომ გამოყოფილ მიწაზე დამკვიდრებულიყვნენ, ამისათვის სერიოზული ფულადი დახმარება იყო საჭირო. კავკასიის მეფისნაცვალი აღნიშნავს, რომ მხოლოდ გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, 1907 წლისათვის აუცილებელი იყო 1.115.000 მანეთის გამოყოფა. თუ ისიც იქნებოდა გათვალისწინებული, რომ, გარდა გადაუდებელი საჭიროებისა, კიდევ სხვა სახსრების მოძიება იყო აუცილებელი, მაშინ მთლიანი თანხა დაახლოებით სამჯერ უნდა გაზრდილიყო.

გადაუდებელი საჭიროებისათვის გამიზნული თანხა უნდა დახარჯულიყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად, როგორებიც იყო: კოლონისტთა ჩასახლების ადგილებამდე გზების მიყვანა, სარწყავი და ჭაობების დასაშრობი სისტემის გამართვა, სანიტარული ღონისძიებების გატარება და სხვ. საქმეს ართულებდა ის, რომ ზემოთ აღნიშნული ყველა პრობლემა ერთდროულად

უნდა გადაჭრილიყო. მაგალითად: კოლონისტებისათვის ბარაკების აგებას, რომლებშიაც მათ სახლების აშენებამდე უნდა ეცხოვრათ, აზრი არ ჰქონდა, თუ გაყვანილი არ იქნებოდა გზები, თუ არ იქნებოდა სასმელად ვარგისი წყალი, სარწყავი და ჭაობების დასაშრობი სისტემა, სანიტარული სამსახურის ორგანიზება და სხვ. თუ ყოველივე ეს არ მოგვარდებოდა, მაშინ კოლონისტებისათვის სახლების აგებასაც აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი, სულ ერთია, ადგილზე ვერ დამაგრდებოდნენ და გამოყოფილ მიწასაც და აგებულ საცხოვრებელ სახლებსაც მიატოვებდნენ. გზების გაყვანის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ტყის მასივების გაჭრა და აუცილებელი მასალის გამოტანა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ჩასახლებული რუსი კოლონისტები. აქ უგზოობის გამო წარმოუდგენელი იყო დაჭაობებული ადგილების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად მომზადება, შეუძლებელი გახდა ხილის ბაღების გაშენებაც კი. არადა, სახსრების სიმცირის გამო გზების მშენებლობა ფერხდებოდა წინათაც და ფერხდება დღესაც. უგზოობის გამო კოლონისტებმა მათთვის გამოყოფილი მიწები მიატოვეს და ახალი ადგილების ძებნას შეუდგნენ. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს: უგზოობამ ისე სერიოზულად შეაფერხა კოლონიზაციის პროცესი, რომ იძულებული გავხდი გზების ასაგებად 274.000 მანეთი მომეთხოვაო. ამ თანხიდან 242.000 მანეთი (89%) შავი ზღვის სანაპირო ზოლში გზების მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო. რუსეთის მთავრობამ მეფისნაცვლის თხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მის მიერ მოთხოვნილი 274.000 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 90.000 მანეთი გამოუყო. კავკასიის მეფისნაცვალი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში გზების მშენებლობას კოლონიზაციის პროცესისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე გზების მშენებლობას სტეპის ან ტყის ზონაში. დიდ სირთულეებსა და თანხასთან იყო დაკავშირებული გზების გაყვანა სამხრეთ კავკასიონის ზეგანზე (ყარსის ოლქში).

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ კავკასიაში კოლონიზაციის პროცესის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იყო შავი ზღვის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში (აფხაზეთში) კოლონისტებისათვის გამოყოფილი 94.000 დესეტინის ათვისებაზე. შავი ზღვის სანაპირო ზოლში კოლონიზაციისათვის განკუთვნილი ამ ტერიტორიიდან 1907 წლის დამდეგისათვის რუსი კოლონისტების მიერ მთლიანად იყო ათვისებული 32,5%, ნახევრად – 21%, ტერიტორიის 18%-ის ათვისება გზების უქონლობის გამო შეფერხდა და საწყის სტადიაზე იყო, ხოლო ტერიტორიის 28%-ის ათვისება გზების უქონლობის გამო არც კი დაწყებულიყო. არსებობდა იმის საჭიროება, რომ კოლონისტების მიერ აუთვისებელ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა ან უცხო სახელმწიფოებიდან (პირველ რიგში, იგულისხმებოდა ოსმალეთი – ვ. გ.) მოსულები დაიკავებდნენ.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ნიკოლაი II-ის ნინაშე პირდაპირ აყენებდა საკითხს: შავი ზღვის სანაპირო ზოლში რუსი კოლონისტების ჩასახლება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა, ხოლო ამ ტერიტორიის ათვისება პირდაპირაა დაკავშირებული გზების მშენებლობასთან. მეფისნაცვალი წერდა, რომ 1907 წელს გზების მშენებლობისათვის საჭირო იყო 206.000 მანეთი. აღნიშნული თანხიდან 50% უნდა მოხმარებოდა კოლონისტებისათვის გამოყოფილი მიწის საცხოვრებლად და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მომზადებას, პირველ რიგში, ჭაობების დაშრობას და სასმელი წყლით უზრუნველყოფას. სასმელი წყლის უქონლობა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა კოლონისტებს. მაგალითად: ბაქოს გუბერნიაში არსებულ რუსი კოლონისტების დასახლებებში სასმელ წყალს კასრებით 20 ვერსის სიშორიდან ეზიდებოდნენ. კოლონისტები ხშირად წყალს ჭაობის დასაშრობი თხრილებიდან იღებდნენ, რაც მალარიით დაავადების იწვევდა. სასმელი წყლის პრობლემა, ბაქოს გუბერნიის გარდა, მწვავედ იდგა ელისავეტოპოლისა და თბილისის გუბერნიებში, ასევე ყარსის ოლქში. 1907 წლისათვის მოთხოვნილი 206.000 მანეთიდან სასმელი წყლის მომარაგების გაუმჯობესების საქმეს 55.000 მანეთი უნდა მოხმარებოდა, თუმცა ამით პრობლემა მაინც სანახევროდ გადაიჭრებოდა.

დიდ ფულად სახსრებს ითხოვდა დაჭაობებული ადგილების საცხოვრებლად და სასოფლო-სამეურნეოდ მომზადება. ასეთი ადგილები იყო: თბილისის გუბერნიაში (მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მდინარე ალაზნის შესართავიდან აღმოსავლეთით), ელისავეტპოლის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში და ბაქოს გუბერნიის ერთ მაზრაში. ამ ტერიტორიაზე ჭაობების დასაშრობად 250.000 მანეთი იყო საჭირო. კოლონისტებისათვის გამოყოფილი დაჭაობებული მიწები შეიძლებოდა ზამთრის საძოვრებად გამოყენებულიყო, თუმცა ეკონომიკური ეფექტი ძალზე დაბალი იქნებოდა: 1 კვადრატული დესეტინა მიწა 1 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. თუ ჭაობები დაშრე-

ბოდა და ამ ტერიტორიას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად გამოიყენებდნენ, 1 კვადრატულ დესეტინაზე მიღებული შემოსავალი 50 მანეთს მიაღწევდა.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში რუსეთის ბატონობის განმტკიცებისათვის კოლონიზაციის პროცესის წარმატებით განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა კიდევ რამდენიმე საკითხს:

1. საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. კავკასიის მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ სამართლიანი იქნებოდა, მიწის ბეგარა მიწისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით განსაზღვრულიყო. 1901 წლამდე მიწის ბეგარას მხოლოდ გლეხობა იხდიდა, ამასთან ერთად, იხდიდა კიდევ სხვა გადასახადებსაც. კავკასიაში მიწის ბეგარა და გლეხობისაგან აღებული სხვა გადასახადები წელინადში 2.730.000 მანეთ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს. ამის გარდა, 2.840.000 მანეთი საერობო გადასახადებიდან შემოდიოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გლეხობა სხვადასხვა კატეგორიის 10.000.000 დესეტინა მიწით სარგებლობისათვის სახელმწიფოს, საერთო ჯამში, 5.570.000 მანეთს უხდიდა. მემამულეები და მიწის სხვა კერძო მესაკუთრეები (ძირითადად ვაჭრები), რომლებიც დაახლოებით 5.000.000 დესეტინა მიწას ფლობდნენ, სახელმწიფოს მიწის ბეგარას საერთოდ არ უხდიდნენ. ამრიგად, გლეხობა, რომელიც მემამულეებზე 2-ჯერ ნაკლებ მიწას ფლობდა, მიწის ბეგარის სახით 20-ჯერ მეტ გადასახადს იხდიდა. ამას ემატებოდა კიდევ სხვა გადასახადები როგორც ნატურით, ისე ფულით.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს, რომ 1900 წლამდე რუსეთის იმპერიის მთავრობის პოლიტიკა კავკასიის პრივილეგირებული სოციალური ფენების, პირველ რიგში, ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების დაცვაზე იყო ორიენტირებული. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში თავადაზნაურობისათვის ხელსაყრელ, ხოლო გლეხობისათვის წამგებიან პირობებში მოხდა. მთავრობამ დაარღვია რუსეთში დაკანონებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი და ყოფილი საბატონო გლეხების ყმობისაგან განთავისუფლებისათვის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობას 1 სულ გლეხზე 25-დან 50 მანეთამდე გადაუხადა, რაც ცენტრალურ ხელისუფლებას 7.000.000 მანეთი დაუჯდა. ხელისუფლების მხარდაჭერით საქართველოში დროებით ვალდებული გლეხებს მემამულეების მიმართ იმაზე უფრო მეტად მძიმე ვალდებულებების შესრულება უხდებოდათ, ვიდრე ყმა გლეხებს. 1901 წელს კავკასიაში მიწის დაბეგვრის რეფორმა გატარდა, რომლის მიზანს მართლზომიერი საგადასახადო სისტემის შემოღება წარმოადგენდა. დაბეგვრის ძველი წესი გაუქმდა და სხვადასხვა ნორმის ნაცვლად დაწესდა ორი ნორმა: 1. გლეხებისათვის, რომლებიც მუდმივად სარგებლობდნენ სახელმწიფო (სახაზინო) მიწით; 2. გლეხებისათვის, რომლებიც მუდმივად სარგებლობდნენ ყველა სხვა კატეგორიის მიწით. გარდა ამისა, საერობო გადასახადით უკვე მარტო გლეხობის მიწა კი არ იბეგრებოდა, არამედ – მემამულეებისა და სხვა კერძო მფლობელებისაც. რეფორმის შემდეგ კავკასიის გლეხობა სახელმწიფო მიწით სარგებლობისათვის ყოველწლიურად იხდიდა 3.426.000 მანეთს, ყველა სხვა კატეგორიის მიწის სარგებლობისათვის – 83.000 მანეთს, საერობო გადასახადის სახით 1.970.000 მანეთს. ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხობა 10.000.000 კვადრატული დესეტინა მიწით სარგებლობისათვის და საერობო გადასახადის სახით სახელმწიფოს ყოველწლიურად 5.479.000 მანეთს უხდიდა. მემამულეები და სხვა კერძო მესაკუთრეები მიწის სარგებლობისათვის 228.000 მანეთს, ხოლო საერობო გადასახადის სახით 769.000 მანეთს იხდიდნენ, ანუ გადასახადის საერთო წლიური რაოდენობა 5.000.000 კვადრატული დესეტინა მიწისათვის 997.000 მანეთს უდრიდა. მოხმობილი სტატისტიკური მასალა მოწმობს, რომ მიწის სარგებლობისათვის გლეხობის ყოველწლიური გადასახადი 779.000 მანეთით გაიზარდა, ხოლო საერობო გადასახადი 870.000 მანეთით შემცირდა, ანუ, საერთო ჯამში, გლეხობის ყოველწლიური გადასახადი დაახლოებით 100.000 მანეთით შემცირდა. სამაგიეროდ, თავადაზნაურობის მიწის დაბეგვრით სახელმწიფოს 723.000 მანეთი უნდა მიეღო. მიუხედავად თავადაზნაურობის მფლობელობაში არსებული მიწის დაბეგვრისა, თბილისსა და ქუთაისის თავადაზნაურობის მიმართ რუსეთის იმპერიის მთავრობა კვლავ დათმობაზე წავიდა და საგადასახადო რეფორმის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ქართველი თავადაზნაურობა მიწის დაბეგვრისაგან გაათავისუფლა. შემდეგ სამწლიანი ვადა კიდევ 3 წლით გაგრძელდა, გარდა ამისა, თავადაზნაურობას წლების განმავლობაში დაგროვილი საერო გადასახადი საერთოდ ჩამოაწერეს. ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელე საგადასახადო სისტემის რეფორმას პროგრესულად მიიჩნევს, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობის მიმართ გაწეულ შეღავათებს არ მიესალმება.

გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კავკასიის მეფისნაცვალი საჭიროდ მიიჩ-

ნევდა, ის სახელმწიფო მინები, რომლებითაც სახელმწიფო გლეხები სარგებლობდნენ, გლეხობისათვის საკუთრებაში დაემტკიცებინათ. 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტის ძალით, რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის გუბერნიების სახელმწიფო გლეხები კერძო მესაკუთრეებად იქცნენ. გამოიცა თუ არა მანიფესტი, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რათა მანიფესტი კავკასიის სახელმწიფო გლეხებზეც გავრცელებულიყო. ვორონცოვ-დაშკოვის შუამდგომლობა მიუღებლად მიიჩნია რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ და მინათმოწყობისა და მიწათმფლობელობის სამმართველომ. მათ თავიანთი პოზიცია იმით დაასაბუთეს, რომ კავკასიის სახელმწიფო გლეხების მინათმფლობელობის საკითხი 1900 წლის 1 მაისის კანონმა გადაჭრა. ვორონცოვ-დაშკოვი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა და 1900 წლის 1 მაისის კანონის დამოწმება გაუმართლებლად მიიჩნია. მეფისნაცვალი იმპერატორს მოახსენებდა, რომ ალექსანდრ II-ის მიერ ხელმოწერილი 1861 წლის 5 მარტის დებულება საკუთრების ფლობის უფლებას სახაზინო მინებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებსაც აძლევდა, რაც კავკასიაზეც უნდა გავრცელებულიყო. მეფისნაცვალი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ საკითხის გადაჭრა ძალზე გაჭიანურდა.

კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი გლეხობის იდეოლოგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მას მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებდა, უსამართლო საგადასახადო სისტემას შეიძლებოდა გლეხობის უკმაყოფილება და სოციალური ამბოხი გამოეწვია. ამის მაგალითი 1905 წლის რევოლუციამ სულ ცოტა ხნის წინ მისცა რუსეთის ხელისუფლებას.

2. სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესება. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში სახალხო სკოლების დანიშნულებას მოსახლეობის გონებრივი განვითარება წარმოადგენდა. მეფისნაცვლის აზრით, სახალხო სკოლებს იგივე ფუნქცია ჰქონდათ კავკასიაში, თუმცა აქ მას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება გააჩნდა: ადგილობრივ მოსახლეობის მიერ რუსული ენის შესწავლა, რომელიც სხვადასხვა ხალხის გაერთიანების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა. ვორონცოვ-დაშკოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიის სახალხო განათლების სისტემა არ შეიძლებოდა დამაკმაყოფილებლად შეფასებულიყო. უმთავრეს ნაკლად მეფისნაცვალი იმას მიიჩნევდა, რომ სახალხო სკოლების უმრავლესობაში რუსული ენა სწავლების ძირითად ენად არ იყო აღიარებული. კერძოდ, თბილისის გუბერნიის 157 სახალხო სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო რუსულ ენას შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეთმობოდა. მეფისნაცვალი უარყოფით მოვლენად მიიჩნევდა იმას, რომ სოფლის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა რუსული, ხოლო სოფლელი ბავშვები საერთოდ ვერ ფლობდნენ მას. სოფლებში რუსული ენის მასწავლებლები ძირითადად ქართველები იყვნენ, ხოლო სასწავლო პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ ორკლასიან და მით უმეტეს, ერთკლასიან სკოლებში რუსული ენის შესწავლა წარმოუდგენელი იყო. ბავშვები რუსულ წერა-კითხვას ვერ სწავლობდნენ, ხოლო რუსული ენის უცოდინარობა ხელს უშლიდა პროგრამით გათვალისწინებული სხვა საგნების შესწავლას. მეფისნაცვალი დასკვნიდა: კავკასიის სახალხო სკოლებში ბავშვები სათანადოდ ვერც გონებრივად ვითარდებოდნენ და ვერც რუსულ ენას სწავლობდნენ. ვორონცოვ-დაშკოვი კიდევ უფრო ულრმავდებოდა პრობლემას და აღნიშნავდა, რომ სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების მეთოდი უეარგისი იყო. კავკასიის სახალხო განათლების სისტემის კრიტიკის შემდეგ მეფისნაცვალი დაასკვნიდა: მშობლიურ ენაზე სწავლება და წიგნების მშობლიურ ენაზე გამოცემა კიდევ უფრო აძლიერებდა ეროვნულ ცნობიერებას და სეპარატიზმს. ამასთან ერთად, იგი მიუღებლად მიიჩნევდა კავკასიის ხალხების ასიმილაციის პოლიტიკას, რადგან იგი ძლიერ უკუქმედებას იწვევდა: რუსული ენის ძალდატანებითი დამკვიდრება არა მარტო მოწაფეებში, არამედ მათ მშობლებშიც კი უკმაყოფილებას ბადებდა, რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ მშობლიური ენის დევნა ეროვნების შეურაცხყოფას ნიშნავდა.

რუსულ და მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხის მნიშვნელობას რომ არკვევდა, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ კავკასიის სამეფისნაცვლოში 1844-1882 წლებში მშობლიურ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით სწორი პოლიტიკა ტარდებოდა. მეფისნაცვლობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, პოლიტიკა შეიცვალა და დაიწყო ბრძოლა მშობლიური ენის სწავლების წინააღმდეგ, რამაც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: თუ წინათ ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური ენის შესწავლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ამიერიდან მისი ცოდნა ეროვნული ღირსების საქმედ იქცა. თუ ადრე მშობლიური ენის არცოდნა დამამცირებლად არ ითვლებოდა, ამიერიდან მისი არცოდნა მშობელი ხალხისაგან განდგომად აღიქმებოდა. მამა, რომელმაც მშობლიური ენა არ იცოდა, ცდილობდა შვილებისათვის მაინც როგორმე ესწავლებინა იგი. კავკასიის მეფისნაცვალი ერთ დამახასი-

ათებელ მოვლენაზეც ამახვილებდა ყურადღებას: ნინათ „ძე"-ზე და „შვილ"-ზე დამთავრებული ქართული გვარები „ოვ" დაბოლოებით ინერებოდა, ხოლო ქართული ენის სწავლების შეზღუდვითა და აკრძალვით გაღიზიანებულმა ქართველებმა „ოვ"-ზე დაბოლოებული გვარები ისევ „ძე" და „შვილი" დაბოლოებებით შეცვალეს. მშობლიური ენის სწავლებას არა მარტო დაბალ კლასებში, არამედ ზედა საფეხურზეც ითხოვდნენ. მათი სურვილი იყო ასევე მშობლიურ ენაზე ლიტერატურული და ისტორიული წიგნების გამოცემა. ყოველივე ამას კავკასიის მეფისნაცვალი რუსული საგანმანათლებლო სისტემის მარცხად მიიჩნევდა. სახალხო განათლების ნაკლად თვლიდა ვორონცოვ-დაშკოვი იმასაც, რომ 1905 წელს კავკასიის სხვადასხვა დონის საერო სასწავლებლების 438 კურსდამთავრებულის ეროვნული კუთვნილება ასეთ სურათს იძლეოდა: რუსი – 235, ქართველი – 79, თათარი (აზერბაიჯანელი) – 43, სომეხი – 28, სხვადასხვა ეროვნებისა – 56. ამრიგად, 438 კურსდამთავრებულიდან კავკასიაში მცხოვრები 3 მთავარი ერის (ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების) წარმომადგენლები მხოლოდ 25%-ს შეადგენდნენ.

ნათლად იკვეთება ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მისწრაფება: იგი მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას იმიტომ უჭერდა მხარს, რომ კავკასიის სხვადასხვა ხალხის ეროვნული ღირსების შელახვა ამ ხალხებში ანტირუსულ განწყობილებას და სეპარატიზმისაკენ მისწრაფებას ბადებდა, რაც ხელს უშლიდა რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას კავკასიის ხალხებში. რუსული მოქალაქეობის დამკვიდრების გარეშე ვერც ასიმილაციის პროცესი განვითარდებოდა და ვერც კავკასია გადაიქცეოდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად.

3. ადგილობრივი მმართველობის გარდაქმნის აუცილებლობა. XX საუკუნის დამდეგისათვის კავკასიის გუბერნიებში მმართველობის 2 ფორმა არსებობდა: **სამოქალაქო** და **სამხედრო-სახალხო**. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს სწერდა: სამხედრო-სახალხო მმართველობა იმ დროს ჩამოყალიბდა, როდესაც რუსეთის ჯარები კავკასიაში ადგილობრივ მთიელებს ებრძოდნენ. სამხედრო-სახალხო მმართველობა გულისხმობდა: 1. ადმინისტრაციული ძალაუფლების თავმოყრას ცალკეული რუსი ოფიცრის ხელში, რომელთა სათავეში კავკასიის უმაღლესი მთავარსარდალი იდგა; 2. მოსახლეობისათვის იმის უფლების მიცემას, რომ შინაური საქმეები არა რუსული კანონების, არამედ წეს-ჩვეულებებისა და ადათების მიხედვით განეგოთ. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ მმართველობის ეს ფორმა იმხანად გამართლებული იყო, მაგრამ XX საუკუნის დამდეგისათვის მისი არსებობა მიუღებელი გახდა. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს სწერდა, რომ სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების საკითხი ჯერ კიდევ 1883 წელს დააყენა კავკასიის მთავარმართებელმა ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვმა. სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების წინააღმდეგი გამოვიდა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ საჭიროდ მიიჩნია სამხედრო-სახალხო მმართველობის რეფორმის შემუშავება. კანონში, რომელიც 1885 წლისათვის უნდა მიეღოთ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო: 1. სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო. უნდა გაუქმებულიყო თბილისში არსებული ცენტრალური სამხედრო-სახალხო მმართველობაც; 2. იმ ოლქებისა და ოკრუგების მართვა-გამგეობა, სადაც წინათ სამხედრო-სახალხო მმართველობა არსებობდა, კავკასიის მთავარმართებელს უნდა დამორჩილებოდა, ხოლო უშუალო მმართველობა უნდა განეხორციელებინა კავკასიის მთავარმართებლის სამხედრო-სახალხო კანცელარიას დირექტორით სათაოში. კანონის პროექტს სხვადასხვა უწყებაში წინააღმდეგობები შეხვდა, რის გამოც კავკასიის მთავარმართებელმა ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვმა კანონის პროექტი უკან გამოითხოვა. მასზე მუშაობა გაგრძელდა, თუმცა რაიმე კონკრეტული შედეგი ამას არ მოჰყოლია. პოლიტიკოსებისა და სამხედროების უმრავლესობა სამხედრო-სახალხო მმართველობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმების საკითხი 1907 წლის 10 თებერვლის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ხელახლა დააყენა. მეფისნაცვლის აზრით: 1. სოხუმის ოკრუგში სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო და ოკრუგის ტერიტორია შავი ზღვის გუბერნიას შეეერთებოდა; 2. ზაქათალის ოკრუგშიც სამხედრო-სახალხო მმართველობა უნდა გაუქმებულიყო და იგი თბილისის გუბერნიას მიერთებოდა. მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ უკეთესი იქნებოდა ზაქათალის ოკრუგი დაღესტნის ოლქისათვის მიეკუთვნებინათ.

4. სასამართლო სისტემის რეფორმა. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში სამხედრო-სახალხო მმართველობის პირობებში დაშვებული იქნა **სახალხო** სასამართლოს არსებობა. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ სახალხო სასამართლოს არსებობა სამხედრო-სახალხო მმართველობის პირობებში გამართლებული იყო, რადგან იქ სასამართლო წარმოება ხალხის წეს-

ჩვეულებებსა და ადათებს ემყარებოდა. მომდევნო ხანებში სახალხო სასამართლოების მუშაობაში უხეშად ერეოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც ბოლო ხანებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში გადაიზარდა: ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ადათებს ადმინისტრაციული მოხელის ნება უპირისპირდებოდა. სასამართლოს მხოლოდ სახელიღა შერჩა „სახალხო", რადგან იქ ყველა მნიშვნელოვან საკითხს ადმინისტრაციული მოხელე წყვეტდა. კავკასიის მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ 1907 წლისათვის სახალხო სასამართლოები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათთვის არანაირი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმის მინდობა არ შეიძლებოდა. კერძოდ, ვორონცოვ-დაშკოვი გულისხმობდა მინაზე საკუთრების უფლების გარკვევას. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, კავკასიის მეფისნაცვალი აუცილებლად მიიჩნევდა სახალხო სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, გაუქმებას და მისი ფუნქციების მომრიგებელი მოსამართლისათვის გადაცემას.

კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორის წინაშე სოფლის სასამართლოების რეფორმის საკითხსაც აყენებდა და საჭიროდ მიიჩნევდა ამ უკანასკნელთა უფლებამოსილების გაზრდას. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა მოსახლეობის უკმაყოფილება მომრიგებელი სასამართლოების მიმართ. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მეფისნაცვალი მომრიგებელ სასამართლოში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების შეყვანას თელიდა.

5. სასოფლო მმართველობის რეფორმა. კავკასიის მეფისნაცვალმა სასოფლო მართველობის რეფორმის საკითხიც დააყენა. მისი აზრით, სასოფლო მმართველობაში თანამდებობის პირებს მოსახლეობა ირჩევდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს არჩევნები პოლიციის ხელში იმ იარაღად იქცა, რომელმაც ჩანასახის პროცესში მყოფი სოფლის საზოგადოებრივი და სამეურნეო დამოუკიდებლობის პარალიზება მოახდინა. ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს, რომ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მუსლიმებით დასახლებულ პროვინციებში. იქაურ სოფლებში არც სოფლის მწერლის თანამდებობა არსებობდა და არც – საქმის მწარმოებლისა, სასოფლო მართველობას შენობაც კი არ ჰქონდა, სადაც შეიძლებოდა კრების ჩატარება და სოფლის საჭირბოროტო საკითხების განხილვა. სასოფლო მართველობის სერიოზულ ნაკლად კავკასიის მეფისნაცვალი იმას მიიჩნევდა, რომ სოფლის ადმინისტრაციის არჩეული მოხელეები (მამასახლისი, მწერალი და სხვ.) ხალხის ნდობას ხშირად პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო: სოფლის საქმეები მოუგვარებელია, დამკვიდრებულია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რაც ძირითადად ფულადი და ნატურალური გადასახადების არასწორად განაწილებაში გამოიხატება. სოფლის ადმინისტრაცია სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით შეძლებულ ადამიანებს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ ფულადი და ნატურალური გადასახადის გადახდას. ამ უსამართლობის თაობაზე მოსახლეობა პოლიციაში ჩივის, მაგრამ საჩივრები თითქმის რეაგირების გარეშე რჩება. პოლიცია მომჩივანი გლეხების წინააღმდეგ აქტიურად იყენებს თავის აგენტებს, ძირითადად, ქურდებს, ყაჩაღებს და სხვა საეჭვო პირებს. ვორონცოვ-დაშკოვი სენატის მიერ ჩატარებული ოფიციალური რევიზიის დასკვნებს ეყრდნობოდა, როცა აღნიშნავდა, რომ სასოფლო მმართველობის არჩევნები პოლიციისათვის შემოსაელის ერთ-ერთ წყაროდ იქცა. სასოფლო მმართველობის ნაკლოვანებებზე, იქ დამკვიდრებულ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და პოლიციის თვითნებობასა და კორუმპირებულობაზე როცა ლაპარაკობდა, კავკასიის მეფისნაცვალი ყოველივე ამას საშიშ მოელენებად მიიჩნევდა. მოხსენებაში ვკითხულობთ: „ასეთი თვითნებობა შეურაცხყოფილებში ინვევს გაბოროტებას და შურისძიების გრძნობას, რაც ძარცვაში, გადაწვასა და მკვლელობებში გამოიხატება." ამის უამრავი მაგალითი რუსეთის ხელისუფლებას 1905 წლის რევოლუციამ და მისმა შემდგომმა პერიოდმა მისცა, როცა მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხების მიერ სასოფლო მმართველობის მოხელეთა სოფლიდან გაძევებამ, სოფლის კანცელარიების დარბევამ და იქ დაცული დოკუმენტების განადგურებამ. ვორონცოვ-დაშკოვს საგანგაშოდ მიაჩნდა ისიც, რომ გაბოროტებული და შეურაცხყოფილი გლეხობა ადვილად ექცეოდა სოციალ-დემოკრატების პროპაგანდის ქვეშ. გაბორტებული გლეხებისაგან შექმნილ ბანდებში მრავლად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძიებას ან სასამართლოს ემალებოდნენ. მათ მიზანს უმატესწილად პირადი შეურაცხყოფისათვის შურისძიება წარმოადგენდა. ბანდების სათავეში ხშირად ისეთი ადამიანები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, რომლებიც გადასახლებიდან ან კატორღიდან იყვნენ გაქცეული.

ამრიგად, კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ყოველგვარი შელამაზების გარეშე მოახსენებდა რუსეთის ხელისუფლებისათვის არასასურველ სიმართლეს: სასოფლო მმართველობაში დამკვიდრებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, პოლი-

ციის მიერ სოფლის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების მფარველობა, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფა სოფლად ახალი სოციალური ამბოხის საშიშროებას ქმნიდა. ცხადია, მეფისნაცვალი იმას ვერ იტყოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ მსგავსი ბოროტმოქმედებისაგან, ძალმომრეობისა და უსამართლობისაგან მომდინარე საფრთხე ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა, რამაც რუსეთის იმპერია საშინელ სოციალურ კატასტროფამდე მიიყვანა.

კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორს აფრთხილებდა, რომ ქურდობის, ძარცვის, დარბევებისა და სოციალური კონფლიქტების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობების აღკვეთის მიზნით არსებული პოლიციის სტრაჟნიკების სამსახური, რომლის შენახვა ხალხს ძალზე ძვირად უჯდებოდა, დაკისრებული მოვალეობის შესრულების ნაცვლად კიდევ უფრო აბოროტებდა მოსახლეობას. პოლიციის სტრაჟნიკების არაეფექტური მოქმედება და ხშირად ბოროტმოქმედთა ბანდებთან მათი პირდაპირი გარიგება შეიძლებოდა ახალი სოციალური აფეთქების მიზეზად ქცეულიყო. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს სოფლის მმართველობის გარდაქმნის თავისი გეგმა ჰქონდა:

1. მოქმედი კანონმდებლობით, სასოფლო ყრილობაში მონაწილეობას მხოლოდ გლეხები იღებდნენ. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ ყრილობაში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონოდა სოფლის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად სოციალური ნოდებისა (გლეხს, თავადს, აზნაურს, ვაჭარს და სხვ.). იგი თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებდა: საქართველოს ბევრ სოფელში, რუსეთის სოფლებისაგან განსხვავებით, ცხოვრობს ბევრი ნვრილი მემამულე, რომელთა მინები გლეხობის მინებს ესაზღვრება (ყარსის ოლქში, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში, სადაც სამხედრო-სახალხო მმართველობაა, გლეხობის გარდა, მრავლად მოსახლეობენ სხვა სოციალური წრის ნარმომადგენლები). სოფლის ყრილობებში, გლეხობის გარდა, სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მონაწილეობა გაზრდიდა მის ავტორიტეტს და ყრილობის გადაწყვეტილებას სავალდებულოს გახდიდა სოფლის ყველა მცხოვრებისათვის, ხოლო სოფლის მმართველობას ვალდებულს გახდიდა, ეზრუნა არა მხოლოდ გლეხობის, არამედ ყველა სოციალური ფენის ინტერესების დაცვისათვის.

2. სოფლის სასამართლოები და სოფლის მოსამართლის თანამდებობა უნდა გაუქმებულიყო და მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო მომრიგებელი სასამართლოები მომრიგებელი მოსამართლის თავმჯდომარეობით.

3. მაზრა უნდა დაყოფილიყო უბნებად, მაზრაში უბნების რაოდენობა ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობით უნდა განსაზღვრულიყო. უბანში განმკარგულებელ-აღმასრულებელი ხელისუფლება მოსახლეობისაგან არჩეულ წარმომადგენლობით კრებას უნდა ჰქონოდა. წარმომადგენლობითი კრება აირჩევდა უშუალოდ და მუდმივად მოქმედ ორგანოს – გამგეობას უბნის მამასახლისით სათავეში. უბნის გამგეობა მაზრის ხელისუფლების დაქვემდებარებაში რჩებოდა, თუმცა მას უნდა გადასცემოდა იმ ადმინისტრაციულ-საპოლიციო ფუნქციების ნაწილი, რომლებსაც მაზრის მმართველობა ფლობდა. ამასთან ერთად, მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო გუბერნიის, მაზრისა და უბნის ადმინისტრაციულ-პოლიტიური და სამეურნეო კომპეტენციები. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ურჩევდა, რომ გუბერნიის, მაზრისა და უბნის ადმინისტრაციულ-პოლიციური და სამეურნეო ფუნქციების განსაზღვრისას რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიას შორის დიდი განსხვავება არ დაეშვა, სამაგიეროდ, განსხვავებები მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიის ერობებს შორის, თუკი სამეფისნაცვლოში ერობების შემოღება გადაწყდებოდა.

6. საერობო დაწესებულებები და მათი სტრუქტურა და ფუნქციები. რუსეთის კანონმდებლობით, ერობის ორი საფეხური იყო განსაზღვრული: 1. სამაზრო ერობა, 2. საგუბერნიო ერობა. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ კავკასიის ტოპოგრაფიული, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული თავისებურებები, მოსახლეობის ცხოვრების წესი განაპირობებდა აქ ერობის მცირე ერთეულის შექმნის აუცილებლობას. ეს მცირე ერთეული უნდა ყოფილიყო სასოფლო ერობა. თავის მოსაზრებას ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმით ასაბუთებდა, რომ საქართველოს სოფლებში გლეხობის გვერდით ცხოვრობდნენ წერილი მემამულეები, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით გლეხებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდნენ და, პრაქტიკულად, გლეხის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მუსლიმებით დასახლებული პროვინციების სოფლებში, მართალია, მდიდარი ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ ისინი ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორითაც – სოფლის მთელი მოსახლეობა. იგივე მდგომარეობა იყო სომხეთში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე თავადურ საგვარეულოს. ამიტომ იყო, რომ, რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, სადაც კანონმდებლობით სასოფლო ერობა არ იყო გათვალისწინებული, კავკასიაში ერობის ყველაზე მცირე ერთეული სასოფლო

ერობა უნდა ყოფილიყო. ერობის მეორე საფეხური, მეფისნაცვლის აზრით, ისევე, როგორც რუსეთში, კავკასიაშიც სამაზრო ერობა იქნებოდა, მესამე საფეხური – საგუბერნიო ერობა.

7. კავკასიის რუსი მოხელეებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცება და კოლონიური პოლიტიკის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული რეგიონის რუსი მოხელეებით უზრუნველყოფაზე. მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ დაბალი ხელფასი, ცხოვრების სიძვირე და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარების სირთულე კავკასიაში სამუშაოდ რუსი კომპეტენტური მოხელეების ჩამოსვლას აფერხებდა. იგი იმპერატორს მოახსენებდა: „სანამ იმპერიის განაპირა მხარეებში სამსახურის ანაზღაურება შიდა გუბერნიებთან შედარებით არ გაუმჯობესდება, მანამ განაპირა მხარეებში ყოველთვის მოხვდებიან უარესი მოხელეები, ისეთები, რომლებიც შიდა გუბერნიებში სამსახურეობრივ წინსვლას არ ელოდებიან." ამიტომ იყო, რომ მეფისნაცვალი კავკასიის რუსი მოხელეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას „განსაკუთრებულად მნიშვნელოვან" საკითხად მიიჩნევდა. საგანგაშოდ მიიჩნდა ვორონცოვ-დაშკოეს ის, რომ პოლიციის დაბალი რანგის მოხელეების ხელფასი უმნიშვნელო იყო: თბილისში, ბათუმსა და კავკასიის სხვა საგუბერნიო ქალაქებში პოლიციელის ანაზღაურება თვეში 10-12 მანეთს უდრიდა, ხოლო სამაზრო ქალაქებში – 7-8 მანეთს. ასეთი ხელფასით არსებობა წარმოუდგენელი იყო, რის გამოც პოლიციაში სამსახურს მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები იწყებდნენ.

8. კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თვლიდა, რომ 1882 წელს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმება და მხარის უმაღლეს პირად მთავარმართებლის დადგენა, რომელსაც გენერალ-გუბერნატორზე ოდნავ მეტი უფლებები გააჩნდა, შეცდომა იყო. აქედან გამომდინარე, 1905 წლის თებერვალში მეფისნაცვლის თანამდებობის აღდგენა სწორ გადაწყვეტილებად შეფასდა. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოკრძალებით მოახსენებდა: ვერაფერს ვიტყვი კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის შენარჩუნების აუცილებლობაზე, რადგან თვითონ ვარ მეფისნაცვალიო. თუმცა იმავდროულად მოქმედი მეფისნაცვალი წერდა: „მე ვერ დავუშვებ იმის შესაძლებლობას, რომ კავკასიის ცენტრიდან მართვა საერთო ფორმულით მოხდეს. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნებს, ადმინისტრაციის სიჭრელეს, განსხვავებულ რელიგიურ შეხედულებებსა და წეს-ჩვეულებებს, ეთნიკურ შემადგენლობას და პოლიტიკურ წარსულს."

კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის 1907 წლის 10 თებერვლის უკვე შეერთდომილესი მოხსენება ვითარების ღრმა და ობიექტურ ანალიზს ემყარებოდა. მეფისნაცვლის მიზანი საუბით ცხადი იყო: კავკასიაში არსებული სოციალური და ადმინისტრაციული პრობლემების გამოვლენა მიზნად ისახავდა არა მარტო ამ პრობლემათა გადაჭრას, არამედ იმას, რომ რუსეთის იმპერიის ბატონობას კავკასიაში ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამო საფრთხე არ შექმნოდა; ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ ჯერ კიდევ ჩანასახში არსებული პრობლემა დროულად აღეკვეთა. ამ იმპერიული ზრახვების მიუხედავად, დადებითად შეიძლება შეფასდეს ის, რომ მეფისნაცვლმა ის ანტიქარხული პოლიტიკა გამოიტანა საჯაროზე, რომლის სულისჩამდგმელები და გამტარებლები კავკასიის უმაღლესი რანგის მოხელეები იყვნენ. მოხსენებამ ნათლად აჩვენა, რომ თავისი ანტიეროვნული პოლიტიკით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ანტირუსული განწყობილების დამკვიდრებას მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში და ძლიერი ბიძგი მისცა სოციალურ და ეროვნულ პროტესტს.

დანართები

დანართი № 1

ტექსტში გამოყენებული ზომა-წონის ერთეულები:

არშინი = 71, 12 სანტიმეტრს;

ბათმანი = 1 ქართული ბათმანი – 8 კილოგრამს, 1 ირანული ბათმანი – 3 კილოგრამს, 1 ოსმალური ბათმანი – 7,3 კილოგრამს.

დესეტინა = 2.400 კვადრატულ საჟენს = 1,09 ჰექტარს;

ვერშოკი = 4,45 სანტიმეტრს;

ვერსი = 500 საჟენს = 1,06 კილომეტრს;

ლიტრა (მასისა და სითხის სანყაო) = 1000 გრამ სითხეს. XIX საუკუნეში თბილისის მაზრაში 1 ლიტრა უდრიდა 3,2 კილოგრამს, თელავის მაზრაში – 4,5-5 კილოგრამს;

მილი (საზღვაო) = 1,8 კილომეტრს;

საჟენი = 2,13 მეტრს;

ფუნტი = 0,45 კილოგრამს;

ქცევა = 3.600 კვადრატულ მეტრს;

ჩარექი = 1 ოყას, 960 გრამს;

ჩეტვერტი = 209,91 ლიტრს მარცვლეულისათვის; სითხისათვის – 3,08 ლიტრს.

დანართი №2

რუსეთის იმპერიის ჯარში არსებული სამხედრო წოდებები:

გენერალიტეტი:

გენერალ-ფელდმარშალი;

გენერალ-ანშეფი;

ინფანტერიის გენერალი, კავალერიის გენერალი, არტილერიის გენერალი;

გენერალ-ლეიტენანტი;

გენერალ-მაიორი.

შტაბს-ოფიცრები:

პოლკოვნიკი;

პოდპოლკოვნიკი;

მაიორი.

უფროსი ოფიცრები:

კაპიტანი (=როტმისტრს, ესაულს);

შტაბს - კაპიტანი (= შტაბს-როტმისტრს, პოდესაულს);

პორუჩიკი;

პოდპორუჩიკი (= კორნეტს, ხორუნჟის);

პრაპორშჩიკი.

დაბალჩინოსნები:

პოდპრაპორშჩიკი;

ფელდფებელი (=ვახმისტერს);

უფროსი უნტერ-ოფიცერი (= უფროს ურიადნიკს);

უმცროსი უნტერ-ოფიცერი (= უმცროს ურიადნიკს);

ეფრეიტორი;

რიგითი.

დანართი №3

რუსეთის იმპერიის სამხედრო შენაერთები:

არმია – რამდენიმე დივიზია ან რამდენიმე კორპუსი და დივიზია;

კორპუსი – რამდენიმე დივიზია ან რამდენიმე დივიზია და ბრიგადა;

დივიზია – რამდენიმე პოლკი ან რამდენიმე პოლკი და ბრიგადა;

ბრიგადა – რამდენიმე პოლკი ან რამდენიმე პოლკი და ბატალიონი;

პოლკი – რამდენიმე ბატალიონი;

ბატალიონი – რამდენიმე ასეული;

ასეული – რამდენიმე ოცეული.

გრენადერთა პოლკი (ბატალიონი, ასეული) – რჩეულ ქვეითთა პოლკი(ბატალიონი, ასეული);

გრენადერი – რჩეული ქვეითი;

პლატუნთა პოლკი (ბატალიონი, ასეული) – შაი ზღვის გუბერნიისა და ყუბანის ოლქის კაზაკებისაგან შემდგარი ქვეითი პოლკი (ბატალიონი, ასეული).

პლასტუნი – პლასტუნთა პოლკის (ბატალიონის, ასეულის) ქვეითი ჯარისკაცი.

დრაგუნთა პოლკი (ესკადრონი) – რჩეულ კავალერისტთა პოლკი (ესკადრონი);

დრაგუნი – რჩეული კავალერისტი;

ეგერთა პოლკი (ბატალიონი, ასეული) ქვეითთა პოლკი (ბატალიონი, ასეული);

ეგერი – ქვეითი;

ესკადრონი საკავალერიო ნაწილი, რომელიც რამდენიმე ოცეულისაგან შედგება;

კავალერია – ცხენოსანი ჯარი;

კავალერისტი – ცხენოსანი მებრძოლი;

კარაბინერთა პოლკი (ბატალიონი, ასეული) – მსროლელთა პოლკი (ბატალიონი, ასეული);

კარაბინერი – მსროლელი.

სახაზო ბატალიონი – საზღვრის დაცვის ბატალიონი, სასაზღვრო ბატალიონი;

საგარნიზონო ბატალიონი – ქალაქში, ციხესიმაგრეში ჩაყენებული ბატალიონი.

ქართული კორპუსი (ცალკეული ქართული კორპუსი) –საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის იმპერიის ჯარი;

კავკასიის კორპუსი (კავკასიის ცალკეული კორპუსი) – ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის იმპერიის ჯარი.

დანართი №4

საქართველოსა და კავკასიის მთავარსარდლები, მთავარმართებლები და მეფისნაცვლები:

1. **კარლ ნორინგი** (1801-1802) – გენერალ-ლეიტენანტი (1798 წ.), კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდალი, საქართველოს სამხედრო გუბერნატორი, საქართველოს მთავარსარდალი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე;

2. **პაველ ციციანოვი** (1802-1806) – გენერალ-ლეიტენანტი (1801 წ.), ინფანტერიის გენერალი (1804 წ.), კავკასიის ხაზის ინსპექტორი, ასტარახანის გენერალ-გუბერნატორი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი);

3. **ივან გუდოვიჩი** (1806-1809) – ინფანტერიის გენერალი (1797 წ.), გენერალ-ფელდმარშალი (1807 წ.), კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი);

4. **ალექსანდრ ტორმასოვი** (1809-1811) კავალერიის გენერალ-ლეიტენანტი (1798 წ.), კავალერიის გენერალი (1802 წ.), კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი);

5. **ფილიპ პაულუჩი** (1811-1812) – გენერალ-ლეიტენანტი (1810 წ.), გენერალ-ადიუტანტი (1812 წ.), ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი);

6. **ნიკოლაი რტიშჩევი** (1812-1816) – გენერალ-ლეიტენანტი (1798 წ.), ინფანტერიის გენერალი (1813 წ.), კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი);

7. **ალექსეი ერმოლოვი** (1816-1827) – გენერალ-ლეიტენანტი (1812 წ.), ინფანტერიის გენერალი(1818 წ.), კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (საქართველოს მთავარსარდალი), რეორგანიზაციის შემდეგ, 1820 წლიდან: კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (კავკასიის მთავარსარდალი), ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), რუსეთის იმპერიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში;

8. **ივან პასკევიჩი** (1827-1831) – ინფანტერიის გენერალი(1826 წ.), გენერალ-ფელდმარშალი(1829 წ.), კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი(კავკასიის მთავარსარდალი), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი);

9. **გრიგორი როზენი**(1831-1837) – გენერალ-ადიუტანტი (1818 წ.), ინფანტერიის გენერალი (1826 წ.), კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (კავკასიის მთავარსარდალი), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), საქართველოს საზღვრების საქმეთა მთავარმართებელი, სომხეთის ოლქის მთავარმართებელი, ასტრახანის გუბერნიის მთავარმართებელი;

10. **ევგენი გოლოვინი** (1837-1842) –გენერალ-ლეიტენანტი (1826 წ.), გენერალ-ადიუტანტი (1830 წ.), ინფანტერიის გენერალი (1839წ.), კავკასიის ცალკე კორუსის მთავარსარდალი (კავკასიის მთავარსარდალი), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), საქართველოს საზღვრების საქმეთა მთავარმართებელი, სომხეთის ოლქის მთავარმართებელი, ასტრახანის გუბერნიის მთავარმართებელი;

11. **ალექსანდრ ნეიდგარდტი** (1842[1844-]) – გენერალ-ადიუტანტი (1825 წ.), გენერალ-ლეიტენანტი (1829 წ.), ინფანტერიის გენერალი (1841 წ.), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართე-

ბელი (კავკასიის მთავარმართებელი), კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (კავკასიის მთავარსარდალი);

12. **მიხაილ ვორონცოვი** (1844–1854) გენერალ-ადიუტანტი(1815წ.), ინფანტერიის გენერალი(1825წ.), გენერალ-ფელდმარშალი (1856წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი;

13. **ნიკოლაი მურავიოვი** (1854-1856) – გენერალ-ადიუტანტი (1854 წ.), ინფანტერიის გენერალი (1853წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი;

14. **ალექსანდრ ბარიატინსკი** (1856-1862) – გენერალ-ადიუტანტი (1853 წ.), ინფანტერიის გენერალი (1856წ.), გენერალ-ფელდმარშალი (1859წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი, 1857 წლიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდალი;

15. **მიხაილ რომანოვი** (1862-1881) – დიდი მთავარი, გენერალ-ფელდცეხმეისტერი (1852 წ.), გენერალ-ფელდმარშალი (1878 წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის არმიის მთავარსარდალი, 1865 წლიდან – კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი;

16. **ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი** (1882-1890) – გენერალ-ადიუტანტი (1867 წ.), კავალერიის გენერალი (1878 წ.), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი;

17. **სერგეი შერემეტიევი** (1890-1896) – გენერალ-ადიუტანტი (1879 წ.), გენერალ-ლეიტენანტი (1878 წ.), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი;

18. **გრიგორი გოლიცინი** (1896-1905) – გენერალ-ადიუტანტი (1897 წ.), ინფანტერიის გენერალი (1896 წ.), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი (კავკასიის მთავარმართებელი), კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი;

19. **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი** (1905-1915) – გენერალ-ადიუტანტი (1890 წ.), კავალერიის გენერალი (1890 წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი;

20. **ნიკოლაი რომანოვი** (1915-1917) – დიდი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი (1896 წ.), კავალერიის გენერალი (1900 წ.), კავკასიის მეფისნაცვალი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი.

დანართი №5

საქართველოს მმართველები:

საქართველოს მმართველის თანამდებობა დაწესდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ძალით და 1811 წლამდე არსებობდა. საქართველოს მმართველის ძალაუფლება ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. საქართველოს მმართველები იყვნენ:

1. **პიოტრ კოვალევსკი** (1802-1804) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

2. **დიმიტრი ვოლკონსკი** (1804-1805) – გენერალ-ლეიტენანტი;

3. **პიოტრ ლიტვინოვი** (1806-1807) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

4. **ფიოდორ ახვერდოვი** (1807-1811) – გენერალ-მაიორი.

დანართი №6

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორები:

1811 წლიდან საქართველოს მმართველის თანამდებობა გაუქმდა და მის ნაცვლად დაწესდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორები იყვნენ:

1. **მარკ მალინსკი** (1811-1813) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

2. **ფიოდორ სიმონოვიჩი** (1813-1815) – გენერალ-მაიორი;

3. **კარლ სტალი** (1815-1818) – გენერალ-მაიორი (გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი სამხედრო გუბერნატორის უფლებამოსილებით);

4. **რომან ხოვენი** (1818-1829) – გენერალ-მაიორი;

5. **პიოტრ ზავილეისკი** (1829-1832) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

6. **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი** (1832-1837) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი (სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი);

7. **მიხაილ ბრაიკო** (1837-1838) – გენერალ-ლეიტენანტი (იმავდროულად ასრულებდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის და საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მმართველის მოვალეობას);

8. **დიმიტრი ახლესტიშევი** (1838-1840) – გენერალ-მაიორი.

დანართი №7

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორები:

1841 წლის 10 მაისის იმპერატორ ნიკოლაი I-ის ბრძანებულებით დაარსდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელმაც 1847 წლის 28 თებერვლამდე იარსება. საქართველო-იმერეთის გუბერნიას განაგებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორები იყვნენ:

1. ალექსანდრ სკალონი (1841-1843) – გენერალ-მაიორი;

2. ვასილი სოტნიკოვი (1843-1845) – გენერალ-მაიორი;

3. მიხაილ ჟერებცოვი (1845-1846) – გენერალ-მაიორი (საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი);

4. სერგეი ერმოლოვი (1846-1849) – გენერალ-მაიორი.

დანრთი №8

თბილისის სამხედრო გუბერნატორები და გუბერნატორები:

1847 წლის 28 თებერვალს დაარსდა თბილისის გუბერნია, რომელსაც ჯერ სამხედრო გუბერნატორები, ხოლო შემდეგ გუბერნატორები განაგებდნენ.

თბილისის სამხედრო გუბერნატორები

1. ივანე ანდრონიკაშვილი (1849-1855) – გენერალ-მაიორი;

2. ნიკოლაი ლუკაში (1855-1857) – გენერალ-მაიორი (თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი);

3. ალექსანდრ კაპგერი (1858-1860) – გენერალ-მაიორი.

თბილისის გუბერნატორები

1. კონსტანტინ ორლოვსკი (1860-1876) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

2. მაქსიმ ფონ დერ ოსტენ-საკენი (1876-1877) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

3. კონსტანტინ გაგარინი (1878-1883) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

4. ალექსანდრ გროსმანი (18883-1887) – გენერალ-მაიორი;

5. კარლ ზისსერმანი (1887-1888) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

6. გიორგი შერვაშიძე (1888-1897) – სახელმწიფო მრჩეველი (ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი);

7. ფიოდორ ბიკოვი (1897-1899) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

8. ივან სვეჩინი (1899-1905) – პოლკოვნიკი (გენერალ-მაიორი);

9. პაველ რიუშ ფონ ტრაუბენსბერგი (1905-1907) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

10. მიხაილ ლიუბიჩ-იარმოლოვიჩ-ლოზინა-ლოზინსკი (1907-1911) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

11. ანდრეი ჩერნიავსკი (1911-1914) – კოლეგიის მრჩეველი (სახელმწიფო მრჩეველი);

12. ივან სტრახოვსკი (1914-1916) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

13. ალექსანდრ მანდრიკა (1916-1917) პოლკოვნიკი.

დანართი №9

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორები, გენერალ-გუბერნატორები და გუბერნატორები:

იმპერატორ ნიკოლაი I-ის 1846 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებით დაარსდა ქუთაისის გუბერნია, რომლის ადმინისტრაციამაც ფუნქციონირება 1847 წლის 17 აპრილიდან დაიწყო. ქუთაისის გუბერნიას განაგებდნენ სამხედრო გუბერნატორები, გენერალ-გუბერნატორები და გუბერნატორები:

1. კონსტანტინ ბელიავსკი (1847-1851) სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

2. ალექსანდრ გაგარინი (1851-1853) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

3. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1853-1856) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

4. გიორგი ერისთავი (1856-1860) – გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

5. ნიკოლაი კოლიუბაკინი (1860-1863) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

6. დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი (1863-1866) გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

7. ვლადიმირ ლევაშოვი (1867-1878) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

8. ნიკოლაი მალაფეევი (1878-1883) – გუბერნატორი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;

9. ვლადიმირ იაცკევიჩი (1905) – გენერალ-ლეიტენანტი

10. ალექსეი სმეკალოვი (1883-1887) – სამხ-

ედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი (გენერალ-ლეიტენანტი);

11. **ალექსანდრ გროსმანი** (1887-1890) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

12. **მიხეილ შალიკაშვილი** (1890-1898) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

13. **ფიოდორ გერშელმანი** (1898-1901) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

14. **ალექსეი სმაგინი** (1901-1905) – სამხედრო გუბერნატორი (1901-1903), გუბერნატორი (1903-1905) პოლკოვნიკი (გენერალ-მაიორი).

15. **ვლადიმირ სტაროსელსკი** (1905-1906) – გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი, კოლეგიის მრჩეველი;

16. **მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკი** (1906-1907) – დროებითი სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი (გენერალ-ლეიტენანტი);

17. **ადამ სლავაჩინსკი** (1907-1914) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

18. **ლევ პოტულოვი** (1914-1916) – გუბერნატორი, სახელმწიფო მრჩეველი (ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი);

19. **ალექსანდრ გუდოვიჩი** (1916-1917) – გუბერნატორი, სახელმწიფო მრჩეველი.

დანართი №10

ყარსის ოლქის უფროსები, სამხედრო გუბერნატორები და გუბერნატორები:

ყარსის ოლქი კავკასიის მეფისნაცვლის მიხაილ რომანოვის 1877 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით დაარსდა. ოლქის ტერიტორიას შეადგენდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესული ის ტერიტორია, რომელიც ოსმალეთმა საქართველოსაგან მიიტაცა და ომში დამარცხების შემდეგ რუსეთს დაუთმო. ყარსის ოლქს განაგებდა ოლქის უფროსი, ოლქის სამხედრო გუბერნატორი და გუბერნატორი. ამ თანამდებობებზე მოღვაწეობდნენ:

1. **ივან პოპკო** (1877-1878) – ოლქის უფროსი, გენერალ-მაიორი;

2. **ვიქტორ ფრანკინი** (1878-1881) – გენერალ-ლეიტენანტი, 1878 წლის 8 ივნისიდან 27 ოქტომბრამდე ოლქის უფროსი, 1878 წლის 27 ოქტომბრიდან 1881 წლის 1 აპრილამდე – სამხედრო გუბერნატორი;

3. **ალექსანდრ გროსმანი** (1881-1883) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

4. **პიოტრ ტომიჩი** (1883-1898) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

5. **დიმიტრი ოდინცოვი** (1898-1899) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

6. **ალექსეი სამოილოვი** (1900-1908) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

7. **პიოტრ-ემმანუილ ფონ პარკაუ** (1908-1912) – გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი;

8. **ალექსეი პოდგურსკი** (1912-1915) – გუბერნატორი, პოლკოვნიკი;

9. **ალექსანდრ სუშჩინსკი** (1915-1917) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი.

დანართი №11

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორები და გუბერნატორები:

ბათუმის ოლქი შეიქმნა 1878 წელს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არსებობდა 1883 წლამდე, 1883 წელს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იგი ოკრუგების სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა. 1903 წელს ბათუმის ოლქი კვლავ აღდგა, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. ბათუმის ოლქის უფროსები, სამხედრო გუბერნატორები და გუბერნატორები იყვნენ:

1. **კონსტანტინ კომაროვი** (1878-1881) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

2. **ალექსეი სშეკალოვი** (1881-1883) – სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

3. **მიხაილ დრიაგინი** (1903-1905) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

4. **პიოტრ-ემმანუილ ფონ პარკაუ** (1905-1908) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი;

5. **ბორის რომანოვსკი-რომანკო** (1909-1917) – გუბერნატორი, გენერალ-მაიორი.

დანართი №12

საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლები:

1801 წლის 12 სექტემბრის იმპერატორ ალექსანდრ I-ის ბრძანების საფუძველზე ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიას, რომელსაც ოფიციალურად **საქართველოს გუბერნია** ეწოდებოდა, განაგებდა **საქართველოს უზენაესი მთავრობა** თავმჯდომარით სათავეში. იერარქიულად შემდეგ მოდიოდა **საქართველოს მმართველი**. 1841 წლის 10 მაისს საქართველოს გუბერნიის ნაცვლად დაარსდა საქართველო-იმერეთის გუბერნია,

რომელიც 1847 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო. საქართველოს გუბერნია, საქართველო-იმერეთის გუბერნია, თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია ირჩევდა თავადაზნაურობის წინამძღოლს. თავადაზნაურობის წინამძღოლები იყვნენ:

საქართველოს გუბერნია

1. კონსტანტინე მუხრან-ბატონი (1812-1838) – გენერალ-მაიორი;
2. დიმიტრი ორბელიანი (1839-1841) – გენერალ-მაიორი.

საქართველო-იმერეთის გუბერნია

1. დიმიტრი ორბელიანი (1841-1847) – გენერალ-მაიორი.

თბილისის გუბერნია

1. დიმიტრი ორბელიანი (1847-1855) – გენერალ-მაიორი;
2. ივანე ჯამბაკურ-ორბელიანი (1855-1856) – გენერალ-მაიორი;
3. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1856-1864) – ფლიგელ-ადიუტანტი, როტმისტრი;
4. დიმიტრი ყიფიანი (1864-1870) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;
5. რევაზ ანდრონიკაშვილი (1870-1879) – გენერალ-ადიუტანტი (გენერალ-ლეიტენანტი);
6. დავით სუმბათაშვილი (1879-1885) – გენერალ-მაიორი;
7. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1885-1891) – გენერალ-ლეიტენანტი;
8. ლუარსაბ მაღალაშვილი (1891-1894) – კამერგერი, სახელმწიფო მრჩეველი;
9. კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1894-1900) – ეგერმეისტერი;
10. დავით მელიქიშვილი (1900-1906) ეგერმეისტერი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;
11. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი (1906-1913);
12. კონსტანტინე აფხაზი (1913-1917) – გადამდგარი პოლკოვნიკი.

ქუთაისის გუბერნია

1. ნესტორ წერეთელი (1878-1885) – გენერალ-მაიორი;
2. დიმიტრი ყიფიანი (1885-1886) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;
3. ალმასხან ნიჟარაძე (1886-1888) – პოდპოლკოვნიკი;
4. კონსტანტინე წულუკიძე (1888-1889) პოდპორუჩიკი;
5. სიმონ წერეთელი (1889-1901) – კამერგერი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი;
6. სიმონ ლორთქიფანიძე (1901-1904) – კამერგერი;
7. სიმონ წერეთელი (1904-1912) – პრაპორშჩიკი.
8. ფარსადან მიქელაძე (1912-1915) – გადამდგარი პოლკოვნიკი;
9. დავით ნიჟარაძე (1915-1917). – თავადი.

დანართი №13

საქართველოს ეგზარქოსები:

1. ვარლამ ერისთავი (1811-1817) – მიტროპოლიტი;
2. ფეოფილაქტ რუსანოვი (1817-1821) – მიტროპოლიტი;
3. იონა ვასილევსკი (1821-1832) მიტროპოლიტი;
4. მოისეი ბოგდანოვ-პლატონოვი (1832-1834) – არქიეპისკოპოსი;
5. ევგენი ბაქანოვი (1834-1844) – არქიეპისკოპოსი;
6. ისიდორ ნიკოლსკი (1844-1858) – არქიეპისკოპოსი;
7. ევსევი ილინსკი (1858-1877) – არქიეპისკოპოსი;
8. იოანე რუდნევი (1877-1882) – არქიეპისკოპოსი;
9. პაველ ლებედევი (1882–1887) – არქიეპისკოპოსი;
10. პალადი რაევი (1887-1892) – არქიეპისკოპოსი;
11. ვლადიმირ ბოგოიაველენსკი (1892-1898) – არქიეპისკოპოსი;
12. ფლავიან გოროდეცკი (1898-1901) – არქიეპისკოპოსი;
13. ალექსი ოპოცკი (1901-1905) – არქიეპისკოპოსი;
14. ნიკოლაი ნალიმოვი (1905-1906) – არქიეპისკოპოსი;
15. ნიკონ სოფიისკი (1906-1908), არქიეპისკოპოსი;
16. ინოკენტი ბელიაევი (1909-1913) – არქიეპისკოპოსი;
17. ალექსი მოლჩანოვი (1913-1914) – არქიეპისკოპოსი;

18. პიტირიმ ოკნოვი (1914-1915) – არქიეპისკოპოსი;

19. პლატონ როჟდესტვენსკი (1915-1917) არქიეპისკოპოსი.

დანართი №14

თბილისის ქალაქის თავები (1849-1917 წწ.):

1. თომა ფრიდონოვი (1849-1850);
2. ზაქარია ამირაგოვი (1851);
3. იოსებ მირიმანოვი (1852-1853);
4. ავეტიკ სვეჩნიკოვი (1854);
5. ანდრო მანანოვი (1855-1858);
6. ვართან არშაკუნი (1859-1861);
7. სოლომონ მირიმანოვი (1862-1867);
8. ერემია არზრუნი (1868-1869);
9. ნიკოლოზ ალადატოვი (1870);
10. ნიკოლოზ თუმანოვი (1871-1875);
11. დიმიტრი ყიფიანი (1875-1879);
12. ა.ს. ყორლანოვი (1879)
13. ნიკოლოზ არლუთინსკი-დოლგორუკოვი (1891-1893);
14. პაველ იზმაილოვი (1893-1895);
15. ნიკოლოზ არლუთინსკი-დოლგორუკოვი (1895-1896);
16. ივანენკო – ქალაქის თავის მოვალეობას ასრულებდა 1896-1897 წლებში.
17. გიორგი ევანგულოვი (1897-1902);
18. მიხაილ შესტაკოვი (1902-1903);
19. ნიკოლოზ არლუთინსკი-დოლგორუკოვი (1903-1904);
20. ქრისტეფორე ვერმიშევი (1904-1905);
21. ვასილ ჩერქეზიშვილი (1905);
22. ტიგრან ენკიციანცი (1906);
23. ვასილ ჩერქეზიშვილი(1907-1910);
24. ალექსანდრე ხატისოვი(1910-1917).

დანართი №15

კავკასიის ხაზი:

კავკასიის ხაზი (კავკასიის გამაგრებული ხაზი, კავკასიის საკორდონო ხაზი) XVIII-XIX საუკუნეებში წარმოადგენდა რუსეთის ჯარების სასაზღვრო სიმაგრეების ჯაჭვს ჩრდილო კავკასიაში. ხაზის დანიშნულებას შეადგენდა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრის დაცვა ჩრდილო კავკასიის მთიელთა თავდასხმებისაგან, სამხრეთ კავკასიისაკენ (საქართველოსაკენ) მიმავალი გზის დაცვა და კავკასიის დიდი ომების (1817-1864 წწ.) პერიოდში რუსეთის არმიისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიაში რამდენიმე გამაგრებული ხაზი არსებობდა: ყიზლარის, მოზდოკის, ყუბან-შავი ზღვისა და სხვა. 1785 წელს ამ გამაგრებული ხაზების გაერთიანების შედეგად შეიქმნა კავკასიის ხაზი. თავდაპირველად კავკასიის გამაგრებული ხაზი გადიოდა მდინარეებზე: ყუბანზე, მალკაზე, თერგზე, ლაბასა და სუნჯაზე. კავკასიის ხაზის წარმოშობა დაკავშირებულია XVI-XVII საუკუნეებში მდინარეებს: თერგსა და ყუბანზე – კაზაკთა დასახლებების აღმოცენებასთან. კავკასიის ხაზი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში იმამ შამილის (1834-1859) წინააღმდეგ რუსეთის ჯარების ბრძოლის პერიოდში. მოგვიანებით კავკასიის ხაზი 4 ნაწილად გაიყო: მარცხენა ფლანგი, მარჯვენა ფლანგი, ცენტრი და შავი ზღვის საკორდონო ხაზი. კავკასიის ხაზზე ძლიერი სიმაგრეები იყო: გროზნაია, ვნეზაპნაია, ვლადიკავკაზსკაია და სხვ. სიმაგრეების გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფორტები და რედუტები. კავკასიის ხაზზე სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ ჩრდილოკავკასიელი და შავი ზღვის კაზაკთა ჯარები. კავკასიის დიდი ომების ბოლო ეტაპზე, რუსეთის ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვებების ფონზე, კავკასიის ხაზმა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და 1860 წელს გაუქმდა.

დანართი №16

ცალკეული ქართული კორპუსი, კავკასიის ცალკეული კორპუსი:

1777 წელს რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვართან, რომელიც მდინარე თერგს გასდევდა, განალაგეს ჯარი – **„ასტრახანის კორპუსი“**, რომელიც ასტრახანის გუბერნატორს ექვემდებარებოდა. ასტრახანის კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა: ყაბარდოს ეგერთა, მთიელ ეგერთა, მოზდოკის საველე, სეიაჟსკის საველე, ყიზლარის 2 საგარნიზონო და მოზდოკის 1 საგარნიზონო ბატალიონები. 1779-1782 წლებში ასტრახანის კორპუსი მნიშვნელოვნად გაძლიერდა და 1782 წელს **„კავკასიის კორპუსად“** გარდაიქმნა. კავკასიის კორპუსში შედიოდა: ქვეითთა 22 ბატალიონი, დრაგუნთა 20 ესკადრონი და 4 საარტილერიო ასეული. 1796 წელს, ირანთან მომდინარე ომის პერიოდში, კავკასიის კორპუსი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. 1796 წელს კავკასიის კორპუსი **„კავკასიის ინსპექციად“** გადაკეთდა. 1801 წლისათვის კავკასიის ინსპექციაში შედიოდა: ქვეითთა 25 ბატალიონი, დრაგუნთა 20 ესკადრონი, 5 საარტილერიო ასეული. იმპერატორ ალექსანდრ I-ის 1815 წლის 21

დეკემბრის ბრძანებით, კავკასიის ხაზზე განლაგებული ქვეითთა მე-19 და მე-20 დივიზიების, ასევე საქართველოში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ბაზაზე შეიქმნა „ცალკეული ქართული კორპუსი". კორპუსის პირველი მთავარსარდალი იყო ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი რტიშჩევი, რომელიც 1816 წელს გენერალ-ლეიტენანტმა ალექსეი ერმოლოვმა შეცვალა. იმპერატორ ალექსანდრ I-ის 1819 წლის 19 აპრილის ბრძანების საფუძველზე, ცალკეულ ქართულ კორპუსს ქვეითთა 10 პოლკი დაემატა. გატარებული რეორგანიზაციის შემდეგ იმპერატორი ალექსანდრ I-ის ბრძანებით, 1820 წლის აგვისტოში „ცალკეულ ქართულ კორპუსს" ეწოდა „კავკასიის ცალკეული კორპუსი". კავკასიის კორპუსის მთავარსარდლები იყვნენ: ინფანტერიის გენერალი ალექსეი ერმოლოვი (1816-1827), ინფანტერიის გენერალი ივან პასკევიჩი (1827-1831), ინფანტერიის გენერალი გრიგორი როზენი (1831-1837), ინფანტერიის გენერალი ევგენი გოლოვინი (1837-1842), ინფანტერიის გენერალი ალექსანდრ ნეიდგარდტი (1842-1844), ინფანტერიის გენერალი მიხაილ ვორონცოვი (1844-1854), ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი მურავიოვი (1854-1856). 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად დაინიშნა ინფანტერიის გენერალი ალექსანდრ ბარიატინსკი (1856-1862). 1857 წელს კავკასიის ცალკეული კორპუსის „კავკასიის არმიად" გარდაქმნის გამო ალექსანდრ ბარიატინსკი კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა.

დანართი №17

კავკასიის არმია:

1857 წელს კავკასიის ცალკეული კორპუსი „კავკასიის არმიად" გარდაიქმნა. კავკასიის არმიის პირველი მთავარსარდალი იყო კავკასიის მეფისნაცვალი, ინფანტერიის გენერალი ალექსანდრ ბარიატინსკი, ხოლო 1862 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვალი, გენერალ-ფელდცეხმეისტერი, დიდი მთავარი მიხაილ რომანოვი. 1865 წელს კავკასიის არმია „კავკასიის სამხედრო ოლქის" ჯარებად გარდაიქმნა და მიხაილ რომანოვი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ 1865 წელს გატარებული რეფორმის შემდეგ კავკასიის არმია კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებად გარდაიქმნა, 1881 წლამდე ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი „კავკასიის არმია" მაინც იხსენიება. ამის მიზეზი ის იყო, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში კავკასიის არმია იყო ყველაზე დიდი სამხედრო შენაერთი, რომელსაც პყავდა სარდალი და ფუნქციონირებდა არმიის შტაბი. კავკასიის არმიამ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შემადგენლობაში 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, იარსება. 1914 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ბაზაზე შეიქმნა კავკასიის ფრონტი, რომლის მთავარსარდალიც იყო კავკასიის მეფისნაცვალი ნიკოლაი რომანოვი. კავკასიის არმია ამჯერად კავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში ყველაზე დიდი სამხედრო შენაერთი იყო თავისი სარდლითა და შტაბით.

დანართი №18

კავკასიის სამხედრო ოლქი:

კავკასიის სამხედრო ოლქი შეიქმნა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის სამხედრო რეფორმის პროცესში, 1865 წელს. 1881-1905 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლები იყვნენ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლები (კავკასიის მთავარმართებლები): ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890), სერგეი შერემეტევი (1890-1896), გრიგორი გოლიცინი (1896-1905). 1865-1881 წლებსა და 1905-1917 წლებში კავკასიის მეფისნაცვლები მიხაილ რომანოვი (1862-1881), ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915), ნიკოლაი რომანოვი (1914-1917). 1862 წელს მიხაილ რომანოვი კავკასიის მეფისნაცვლად და იმავდროულად კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. 1865 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის შექმნასთან დაკავშირებით იგი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალი გახდა. კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უკანასკნელი მთავარსარდალი ნიკოლაი რომანოვი იყო, იგი ამ თანამდებობაზე 1915 წლის 23 აგვისტოს დაინიშნა და მოვალეობას 1917 წლის 2 მარტამდე, რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე, ასრულებდა. კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორია და იქ განლაგებული ჯარების რაოდენობა 1866–1899 წლებში 7-ჯერ შეიცვალა. 1914 წლისათვის სამხედრო ოლქში 7 გუბერნია (სტავროპოლის, თბილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ბაქოს, ერევნისა და შავი ზღვის) და 5 ოლქი (ყუბანის, თერგის, დაღესტნის, ყარსის, ბათუმის) შედიოდა. 1914 წლისათვის კავკასიის სამხედრო ოლქში შედიოდა: კავკასიის 1-ლი საარმიო კორპუსი, კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსი, კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსი, ალექსანდროპოლის სიმაგრე, ყარსის სიმაგრე, ბათუმის გამაგრებული

რაიონი. 1865-1917 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლები იყვნენ: გენერალ-ფელდმარშალი მიხაილ რომანოვი (1865-1881), კავალერიის გენერალი ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890), გენერალ-ლეიტენანტი სერგეი შერემეტიევი (1890-1896), ინფანტერიის გენერალი გრიგორი გოლიცინი (1896-1905), გენერალ-ლეიტენანტი იაკოვ მალამა (მოვალეობას ასრულებდა მცირე ხნით 1905 წელს), კავალერიის გენერალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1914), კავალერიის გენერალი ნიკოლაი რომანოვი (1914-1917). პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ნიკოლაი რომანოვი კავკასიის ფრონტის მთავარსარდლად დაინიშნა. ამ დროიდან უკვე აღარ არსებობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა, არსებობდა კავკასიის არმიის სარდლის თანამდებობა, რომელიც კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ექვემდებარებოდა.

სახელთა საძიებელი

საძიებელში პირები წარმოდგენილია გვარის პირველი ასოს მიხედვით, სახელის პირველი ასოს მიხედვით. შავი სამღვდელოება (მღვდელმონაზონი, ილუმენი, არქიმანდრიტი, ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი), ასევე ის პირები, რომელთა გვარები ცნობილი არ არის.

საძიებელი შეადგინა *ირინე ტაბატაძემ*.

ა

აბაშვილი ალექსანდრე – 252.

აბაშვილი გრიგოლ – 252.

აბაშვილი იოსებ – 252.

აბაშიძე ზია ბეი – 358.

აბაშიძე ივანე (კიტა) – 116, 199, 207.

აბესაძე იასონ – 92.

აბესაძე ივლიანე – 92.

აბულაძე – 149.

აგალეევი – 369.

აგიაშვილი ნიოლინა – 115.

ადამაშვილი (ჯავახიშვილი) მიხეილ –207, 208.

ადელხანოვი გ. – 119.

ავალიშვილი – 243, 311.

ავალიშვილი ესტატე – 207.

ავალიშვილი ზურაბ – 356.

აზეფი ევნო – 72.

აივაზოვი არტიომ – 378.

აკაში კორნელიუ – 356.

აკიმოვი მიხაილ – 374.

აკოპოვი გიგო –76.

აკოფოვი –126,

ალაჯაროვა ნინო (ნინა) – 169,

ალებოვი პაველ – 93,

ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი –93, 94.

ალექსანდრ I – 411, 418, 424, 428.

ალექსანდრ III – 65, 71.

ალექსეევი – 116.

ალექსეევი ევგენი – 75.

ალექსეი (მოლჩანოვი) არქიეპისკოპოსი – 101.

ალექსი (ილუმენი) –91.

ალექსი (ოპოცკი), არქიეპისკოპოსი –91, 101, 102, 103, 104, 105, 452, 469, 470 485.

ალილუევი სერგო – 76, 77.

ალიშევსკი ვლადიმირ – 232, 309, 310, 313.

ალიშევსკი ვლადიმირ (ცისსი) –234, 253.

ალიხანოვ-ავარსკი ალექსანდრ (მაქსუდ ალიხანავარსკი) – 230, 271, 275, 285, 286, 287, 288, 294, 315, 318, 333, 334, 341, 383, 556, 557.

ალფტანი ელადიმირ (კარლ იოჰან ვოლდემარ) – 229, 243, 271, 272, 311, 312, 313, 315, 333, 370.

ალშევსკი რომან – 77.

ალშიბაია ნესტორ – 93.

ამატუნი – 311.

ამბროსი (ხელაია), არქიმანდრიტი – 568.

ამილახვარი დ. 243.

ამირეჯიბი კ. 251.

ანანიევი სემიონ – 97.

ანანოვი – 127.

ანასტასიენკო – 287.

ანატოლი (მღვდელმონაზონი) –93.

ანგილეევი – 370.

ანდრეევი ვიქტორ – 97.

ანდრონიკაშვილი იოსებ – 363.

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე – 187.

ანდღულაძე სოლომონ – 93.

ანვინი – 201.

ანთელავა ნესტორ –78.

ანტონი – 569.

ანტონი (ვადკოვსკი), მიტროპოლიტი – 97, 470, 493.

ანტონი (ხრაპოვეცკი), არქიეპისკოპოსი – 494.

ანტონ I (ბაგრატიონი), კათოლიკოს-პატრიარქი – 510, 521.

ანტონ II (ბაგრატიონი), კათოლიკოს, პატრიარქი – 501.

ანტონი (ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი) – 515, 517.

ანუპირი – 287.

არეშიშვილი ელადმერ – 251.

ართმელაძე ტიტე – 575, 582.
არობელიძე გიორგი – 160, 162.
არსენი (არქიმანდრიტი) –93.
არსენი (იზოტოვი), ეპისკოპოსი – 93, 453.
არსენი (სტადნიცკი), ეპისკოპოსი – 494.
არსენიშვილი – 331.
არსენიძე რაჟდენ (რ. ა.) –143, 194.
არტემიევი – 541.
არუშანოვი ავაქ – 242, 244.
არღუთინსკი-დოლგორუკოვი ა.მ. – 227, 228, 234, 238, 246, 247, 248, 253.
არხიმანდრიტოვი დავით –76.
არჯევანიძე ნიკოლოზ – 469.
აუფერმანი – 126.
აფანასია (იღუმენია) – 93.
აფსავა იოსებ – 359.
აქსელროდი პაველ – 148, 151, 165, 170, 175, 186, 197, 449.
აღდგომელაშვილი დათა – 76.
აღსაბაძე დავით მიხეილის ძე – 251.
ახობაძე ვიქტორ – 257.
ახნაზაროვი მნაცაკან – 76.
ახუნდოვი – 228.

ბ

ბაბოვი არშაკ – 228, 234, 235.
ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე – 115.
ბაგრატიონ-მუხრანსკი ქეთევან – 115.
ბადალოვი პაველ – 75.
ბაკურაძე ტიმოთე – 569.
ბაჟანოვი ვასილ – 76.
ბარათაშვილი – 228, 248.
ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო) – 207, 363, 364, 378, 379, 380, 561.
ბარსკი პაველ – 93, 363.
ბარსოვი ტ. ვ. – 96.
ბარსუკაძე ს.(ტოკარევი) –449.
ბასილაშვილი – 542.
ბატირევი ვალენტინ – 153.
ბაუერი ალექსანდრ – 573.
ბაუმანი(სოროკინი) ნიკოლაი – 178.
ბაქრაძე დიმიტრი 160.
ბაქრაძე ვიქტორ – 160.
ბაღდასაროვი – 228.
ბაჩიძე – 443.
ბახსაროვი – 496.
ბახტამიანცი – 126.
ბებურიშვილი ლ.ს. – 251.
ბეგიაშვილი სვიმონ – 91.
ბეზობრაზოვი ალექსანდრ – 66.
ბენედიქტე (იღუმენი) – 91.
ბენიამინი (არქიმანდრიტი) –93.
ბენიამინი (ეპისკოპოსი) – 452.
ბერია ლავრენტი – 544, 546.
ბერბიჭაშვილი გიგლა – 539, 541, 542, 546, 547.
ბერდნიკოვი ილია – 495, 499, 506, 508, 510, 514, 515, 517, 522, 528.
ბერეზოვსკი ა.ი. – 225.
ბერიძე გიორგი – 93.
ბერიძე კონსტანტინე – 93.
ბერნშტაინი ედუარდ – 145.
ბერძენიშვილი ალისტრო – 196.
ბერძენიშვილი ნიკო –9.
ბესარიონი(არქიმანდრიტი) – 91, 92.
ბესარიონი (კათოლიკოს-პატრიარქი) –520.
ბექირ ოღლი აჰმედ – 363.
ბიბილაშვილი სანდრო – 241.
ბიბინეიშვილი ბართლომე (ბარონი)– 162, 187.
ბილანიშვილი დიმიტრი – 149, 160, 162.
ბილფელდი ლეოპოლდ – 91.
ბიულოვი ფონ ბერნგარდ –73.
ბლოკი დიმიტრი – 170.
ბლოკი ვიტალი – 194.
ბო ეგგენი – 357.
ბობოხიძე იოანე – 93, 105.
ბობროვსკი ვ. – 169.
ბობლიაშვილი იასონ –357, 358, 359.
ბოგდანოვი (მაქსიმოვი) ალექსანდრ – 263.
ბოგდანოვი ალექსეი – 93.
ბოგოიავლენსკი ალექსანდრ – 95.
ბოგოლეპოვი ნიკოლაი – 102.
ბოგოროდსკი – 362, 363.
ბოგუნოვი – 356.
ბოზარჯიანცი ნ. – 75, 76, 118.

ბოკერია ა. – 359.
ბონდარენკო ანნა – 256.
ბორისოვა მარია – 153.
ბოჭორიძე მიხეილ –77, 153, 169.
ბრილიანტოვი ალექსანდრ – 96, 495, 499, 506, 510, 514, 515, 517, 522, 528.
ბრიუკერი (მახნოვეცი) ლიდია – 185.
ბრიხნეიჩი ი. – 570.
ბრონშტეინი ლეიბა (ტროცკი ლევ) – 175, 177, 184, 450, 465, 466.
ბუკია ლატავრა –10.
ბუკია მელიტონ – 359, 360.
ბულიგინი ალექსანდრ – 66, 68, 274, 332, 371.
ბუნგე ნიკოლაი –65.
ბურდული გვანცა –2, 10.
ბუტკევიჩი ტიმოფეი – 495, 497, 499, 506, 507, 508, 509, 510, 514, 515, 517, 518, 522, 528 529.

გ

გაბაშვილი რევაზ – 201.
გაბედავა ონისიმე – 78.
გაბუნია ალექსანდრე – 356.
გაბუნია ალექსანდრე (სანდრო)(ვერმიცანიძე) – 200, 201, 202.
გაბუნია მ. – 78.
გაგუა სილიბისტრო – 196.
გავრილი (Мძღვდელ-მონაზონი) –569.
გავრილოვი – 285, 352.
გაიდუკოვი ი. – 225.
გალბერშტადტი (ფიშერი) როზალია – 186.
გალკინი (გორინი) ვ. – 179, 185.
გალლერი კარლ – 369.
გამყრელიძე – 287.
გამყრელიძე სამსონ – 225.
განგია დ. – 359.
განჯუნცოვი მ. – 116.
გარანინი – 370.
გაპონი გეორგ – 223, 224, 258.
გაწერელია კაპიტონ – 93.
გეგეჭკორი ევგენი – 187, 250, 449.
გედევანიშვილი მიხეილ – 403, 438.
გედევანიშვილი პანტელეიმონ – 91.
გელაძე ივანე – 241.
გელეიშვილი პეტრე – 553, 554.
გელიუსი აფანასი – 256.
გერასიმე (არქიმანდრიტი) – 93.
გერმოგენი (არქიმანდრიტი) – 91, 93.
გერსამია ალექსანდრე –92.
გერშელმანი ფიოდორ – 222.
გვაზავა ნესტორ – 257.
გვარამაძე კონსტანტინე – 552.
გველესიანი ზურაბ – 356, 357.
გველესიანი იაკობ –92.
გიგიბერია იოსებ – 363.
გიზო – 144.
გიორგი (ალადაშვილი), ეპისკოპოსი – 484, 485, 502, 568.
გიორგი XII – 424.
გინზბურგი (კოლცოვი) ბორის – 186.
გიორგაშვილი ეგორ – 76.
გიორგი (არქიმანდრიტი) –93, 94.
გიორგობიანი ალექსი – 92.
გიორგობიანი ევსევი – 160.
გლაზოვი ელადიმირ – 102.
გლოვაჩევსკი – 256.
გლუბოკოვსკი ნიკოლაი – 495, 499, 506, 514, 515, 517, 522, 528, 529.
გოგელია კომანდო (ორგენიანი) – 200, 201, 202.
გოგრიშიძე ელადიმერ – 363.
გოგუა კალისტრატე(დავიდოვი) – 443.
გოლუბცოვი გეორგ – 93.
გობეჩია ელადიმერ – 212.
გობეჩია იოსებ – 212.
გოგიბერიძე ლევან – 77.
გოგიჩაიშვილი იონა – 160.
გოგიჩაიშვილი ფილიპე – 534.
გოგლიძე მიხეილ – 151, 152, 187.
გოგუა კალისტრატე –77, 153, 156, 158, 159, 162, 533.
გოლდმანი (ლიბერი) მიხაილ – 175, 177.
გოლიცინი გრიგორი –81, 85, 89, 127.
გოლიცინი ნიკოლაი – 374.
გოლოვინი ფიოდორ – 382.

გოლოვჩენკო ევგენია – 170.
გოლუბევი ივან – 374.
გომართელი ივანე – 144, 146, 147, 378, 380, 449.
გორგაძე იოაკიმე – 91.
გორგოძე სერგი – 469, 476, 477, 484, 485.
გორდეზიანი მათე – 92.
გორემიკინი ივან – 374, 379.
გოროდცევი სერგეი – 91.
გორტინსკი ივან –93.
გორშკოვა მარია – 95.
გორჩაკოვი – 127,
გრამატიკოპულო – 114.
გრეკოვი ალექსანდრ – 542.
გრიაზნოვი ფიოდორ – 556, 557, 558, 559, 560, 561.
გრიგოლი (ილუმენი) – 92.
გრიგორევსკი ს. პ. – 517, 522.
გრიგორიევი – 449.
გრინბერგი (მედემი) ე. –177.
გრიუნერი მარია – 95.
გრიშაშვილი იოსებ – 482.
გრძელიძე ვლადიმერ – 91.
გუგუშვილი პაატა – 544.
გულაბაშვილი – 251.
გულაბაშვილი გ. –252.
გულბანი რომან – 92.
გუმელი –127.
გურგენიძე ირაოდიონ –91.
გურეშიძე მიხეილ – 77, 156, 162.
გურული ვახტანგ –9, 10.
გურული კონსტანტინე –2.
გ. ქ. – 260.

დ

დავიდოვი ალექსანდრე – 569.
დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსი – 568.
დავითაშვილი მიხეილ – 169, 449.
დათა – 569.
დათიკაშვილი გიორგი – 257.
დანგიყელაშვილი გიორგი – 257.
დანიელი (არქიმანდრიტი) –92.
დარახველიძე ი. –78.
დარახველიძე ხარიტონ – 241.
დარჩია ბენიამინ – 363.
დარჩიაშვილი ვლადიმერ (ძ) – 141, 143, 149, 187, 259.
დედაბრიშვილი (არაგეისპირელი) შიო –207.
დეედარიანი სეით – 443.
დეეიძე ლავრენტი – 92.
დეეიძე მიხეილ – 91.
დეკანოზიშვილი ანდრია – 200, 201, 203.
დეკანოზიშვილი გიორგი (ქართლელი) –61, 200, 201, 207, 356, 359.
დელიანოვი ივან – 100.
დვოეგლაზოვი – 369.
დიასამიძე ალექსანდრე – 356.
დიასამიძე დავით – 356.
დიასამიძე თამარ – 356.
დიასამიძე მიხეილ – 356.
დილეესკი ე. ე. –549.
დიმიტრი (ეპისკოპოსი) – 452.
დიმიტრი (კოვალნიცკი), არქიეპისკოპოსი– 494.
დიმიტრიევი ნიკოლაი – 91.
დინინი სამუელ – 573.
დობროვოლსკი კონსტანტინ – 94.
დობრონრავოვი მიხაილ – 94.
დოლგორუკები – 71.
დოლიძე არჩილ – 170.
დოლიძე კალისტრატე – 542.
დოლიძე კონსტანტინე – 160.
დოლიძე ერმილე – 542.
დომოსტროევი ნიკოლაი –151, 152,
დონდუა ვარლამ –9.
დოსითეოზი(არქიმანდრიტი) –91.
დრაგომიროვი მიხაილ –65,
დრიაგინი მიხაილ – 79.
დრუჟევაცსკი –126.
დუბროვინი ალექსანდრ –249.
დუმბაძე მამია – 9.
დურგლიშვილი ივანე – 170.
დურნოვო ივან – 66.
დურნოვო ნიკოლაი – 507.

დურნოვო პიოტრ –68.

ე

ებანოიძე ლევან – 8.
ებრალიძე იოსებ – 82.
ეგოროვი ივან – 151, 153.
ედილაშვილი გიორგი – 91.
ეედოშვილი (ხოსიტაშვილი) იროდიონ – 149, 194.
ევსევი(ილინსკი) არქიეპისკოპოსი – 496.
ეკატერინა II – 424, 428.
ეკსელბირტი –126.
ელენე (მონაზონი) – 93.
ელიავა ვლადიმერ – 93.
ელიავა ნიკოლოზ (ნიკო) – 149, 187, 237, 238.
ელიაშვილი ესტატე (დეკანოზი)–91.
ელმუტი ენრიხ – 252.
ენგელსი ფრიდრიხ – 7, 76, 144, 148.
ენუქიძე აბელ – 149, 160, 162, 171.
ენფინჯიანცი ა. – 75, 76, 118.
ეპიტაშვილი იოანე – 93.
ერაძე გიორგი (ბრადინი) – 443, 449.
ერეკლე I ნაზარალიხანი – 517.
ერიკოვი ნიკოლაი –77.
ერიომინი ივან – 566, 567.
ერისთავი ანდრია – 438.
ერისთავი კონსტანტინე – 311.
ერისთავი კონია – 80.
ერისთავი ნიკოლოზ – 243, 312.
ერისთავი რაფიელ – 30, 84.
ერისთავი ტიტიკო – 80.
ერმოლაევი ნიკოლაი – 157.
ერმოლოვი ალექსეი – 86.
ესაკია მიხეილ – 359, 360.
ესაკია სოლომონ –77.
ეფრემიძე – 201.
ექვთიმე(ელიაშვილი) ეპისკოპოსი, ქორეპისკოპოსი – 452, 485, 496, 499, 500, 502.

ვ

ვადაჭკორია იუსტინე – 156, 194.
ვადაჭკორია სოლომონ –77, 153, 194.
ვალახი მეერ (ლიტვინოვი მაქსიმ) –564.
ვანდერველდე ემილ – 148.
ვანოვსკი პიოტრ – 102.
ვარდოიანცი გიორგი –77, 159.
ვარდოსანიძე სერგო –2, 10.
ვართანოვი ბაგრატ –76.
ვარლამი(ერისთავი), მიტროპოლიტი – 510.
ვარსკი ა. (ადოლფი) – 449.
ვასილიევა ანასტასია –95.
ვასილიევი ვასილი – 94.
ვასნეცოვი ვიქტორ – 250.
ვაშაკიძე მიხეილ –77.
ვაჩეიშვილი ისიდორე – 91.
ვაჩნაძე – 323.
ვაჩნაძე გიორგი ალექსანდრეს ძე – 251, 253.
ვაჩნაძე ეკატერინე – 251, 253.
ვაჩნაძე მერაბ – 9, 10.
ვახანია ანდრო – 93.
ვახტანგ VI – 517.
ველიჩკო ვასილი –84–89, 91.
ვერბისტკი ალექსანდრ – 93.
ვერმიშევი ქრისტეფორე – 227, 228, 235, 236, 237, 240, 241, 242, 248.
ვესელოვსკი ალექსანდრ – 84.
ვეფხვაძე ერმალოზ – 92.
ვიბორგინი ნიკოლაი – 76.
ვილენსკი (ლენსკი) ლ. – 178.
ვილჰელმ II (გერმანიის იმპერატორი) –73.
ვიტტე სერგეი – 65, 66, 71, 74, 373, 374, 384.
ვლადიმირი (ბოგოიავლენსკი), მთავარეპისკოპოსი –100.
ვოროვსკი (ორლოვსკი, შვარცი) ვაცლავ – 265.
ვორონცოვი მიხაილ –86, 582.
ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ – 6, 121, 123, 217, 218, 219, 223, 231, 232, 233, 244, 249, 273, 279, 310, 325, 341, 474, 581–591.
ვოსკრესენსკი ვასილი – 94.
ვოსტორგოვი იოან (ივან) – 102, 104, 452, 471, 481, 500, 501, 502, 503, 505, 506, 507, 508, 510, 514, 515, 522, 528, 529.

ჳ

ვადაჭკორია იუსტინე – 156, 194.

ზ

ზავადსკი ვლადიმირ – 232.

ზავადსკი მიხაილ – 97, 100, 102.

ზავიტნევიჩი ვლადიმირ – 495, 499, 500.

ზაკომოლდინი ალექსეი – 159.

ზალკინდი (ზემლიაჩკა) როზალია – 178.

ზაოზერსკი ნიკოლაი – 506, 510, 514, 522.

ზასულიჩი ვერა – 170, 186.

ზდანოვიჩი(მაიაშვილი) გიორგი – 116, 147, 199, 207, 359.

ზეზემანი – 120.

ზენგერი გრიგორი – 102.

ზიმინი (კრასინი) ლევ – 263.

ზოლოტორევი ლეონტი – 155, 159.

ზუბალაშვილი – 357.

ზუბატოვი სერგეი –68, 69, 154.

ზუბიაშვილი დარჩო – 241.

ზურაბოვი არშაკ – 166, 169, 173, 174, 175, 184, 187, 188, 382, 449.

თ

თავდგირიძე ნიკოლოზ (ნიკო) – 363, 419, 422.

თალაკვაძე პანტელეიმონ – 241.

თალაქვაძე ნიკიტა –469.

თაქთაქიშვილი ალექსი – 241.

თაყაიშვილი – 287.

თაყაიშვილი ექვთიმე – 469.

თელია გიორგი – 153, 443.

თირქია თ. –359.

თოდრია სილიბისტრო —78, 163.

თოთიბაძე ანტონ – 469, 484, 567.

თოლორაია ნიკოლოზ – 93.

თორმალიძე პაველ – 241.

თოფურიძე დიომიდე (ყოლხიდელი, კარსკი)– 141, 142, 147, 169, 172, 173, 174, 175, 176, 184, 186, 187.

თოხაძე არსენ – 93.

თუთბერიძე ერასტი – 91.

თუმანიშვილი ბარბარე – 115.

თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია – 132.

თუმანოვი (თუმანიშვილი) ი. ი. –152.

თურმანიძე (ბაჟანოვი) – 443.

თურქია ივანე – 359.

თხელიძე გიორგი –76, 159, 162.

თხელიძე იროდიონ –79.

თხელიძე მარკოზ – 77.

ი

იანოვსკი კირილ – 86, 97, 100, 101.

იანუშკოვსკი – 287.

იარალოვი –76, 154.

იასტრებოვი ვასილი – 93.

იაშვილი – 549.

იაშვილი ალექსანდრე (სანდრო) – 193.

იაშვილი ვლადიმერ – 160, 162.

იაცკევიჩი ვლადიმირ – 235, 240, 241, 242, 253, 256.

იგნატიევი პაველ – 102.

იერონი (არქიმანდრიტი) –93.

ივანოვი – 443.

ივანოვი ავრაამ – 93.

ივანოვი ვლადიმირ –93.

ივანოვი ილია – 170.

ივანოვი რომან –79.

ივანოვსკი ნიკოლაი – 510, 517, 522.

იზრაელოვიჩი – 149.

ილიაშენკო – 540.

იმერელი მღვდელი – 92.

იმნაიშვილი სამსონ – 91.

ინალიფა ალექსანდრე – 359, 362.

ინაშვილი ივანე(ვანო) – 541, 542.

ინოკენტი (ბელიაევი) არქიეპისკოპოსი – 101.

იოანიკე(რუდნევი), არქიეპისკოპოსი –496, 510.

იონა(ვასილევსკი), მიტროპოლიტი – 510.

იოვიძე ა. – 10.

იორდანოვი – 443.

იპოლიტოვი – 95.

ირემაშვილი გიორგი – 568.

ირემაშვილი იოსებ – 568.

ისაკაძე ალ. –252.

ისარლიშვილი ალექსანდრე – 115.

ისარლიშვილი ელენე – 115.

ისარლიშვილი მარიამ – 115,

ისარლიშვილი მიხეილ – 115.

ისარლიშვილი ნინო – 115.
ისიდორი (ნიკოლსკი), არქიეპისკოპოსი –496, 498.
იუვენალია (იღუმენია)–91, 96.
იუნგი ეილპელმ – 257.

კ

კავკასიძე დავით –91.
კაზანსკი – 320.
კაზარიანცი არშაკ – 151, 152.
კაკაბაძე იოსებ – 79.
კაკალაშვილი ბაბილო – 257.
კალანდარიშვილი არისტარხ – 93.
კალანდარიშვილი დიმიტრი – 153, 170.
კალანდაძე ანტონ – 196.
კალანდაძე ბესარიონ – 151, 152.
კალანდაძე იესე – 82.
კალანდაძე მიხეილ –79.
კალანდაძე ნესტორ – 534.
კალანდაძე პავლე – 149, 151, 152, 163, 187.
კალანდაძე პოლიევქტ – 151, 152, 153, 187.
კალანდაძე ცეცილია –9.
კალანტაროვი კ. –78.
კალაჩევი ალექსეი – 81.
კალაძე ნესტორ – 151, 152, 187.
კალაძე რაჟდენი – 187.
კანდელაკი ამბროსი – 92.
კანდელაკი ბესარიონ – 115.
კანდელაკი ერმალოზ – 92.
კანდელაკი კონსტანტინე – 163, 449, 450.
კანდელაკი ნიკიფორე – 92.
კაპანაძე გ. – 170.
კაპანაძე დავით – 160, 162, 170.
კაპანაძე იოანე – 91.
კაპანაძე მანასე – 91.
კარალიძე ჯემალ –10.
კარამზინი ნიკოლაი –84.
კარაპეტიანი – 76, 154.
კარასევი ა. ა. – 557.
კარახიშვილი – 323.
კარბელაშვილი ვასილ – 568.
კარბელაშვილი პოლიევქტ – 568.
კარნიეცკი ანდრეი – 159.
კასსო ლევ – 102.
კატკოვი მიხაილ – 84.
კაუფმანი პიოტრ – 102.
კაუცკი კარლ – 148.
კაშია ბესარიონ – 196.
კაცი ლეოპოლდ – 150.
კაციაშვილი ნიკოლოზ – 382, 449.
კაჭარავა იური –8, 9.
კაჭახიძე გერასიმე – 192.
კახეთელიძე კირილე – 160, 241.
კახოიანი ა. (ბორჩალინსკი) – 450.
კეზელი იოანე –91.
კეკელია ანტონ – 93.
კეკელიძე კორნელი – 469.
კეკენაძე ვალერი –2.
კენჭაშვილი ლევან – 252.
კერესელიძე დავით – 192.
კერვალიძე ლევან – 257.
კესარიოსი (არქიმანდრიტი) – 91.
კესერი – 126.
კელაშოვი – 322.
კეცხოველი ვლადიმერ(ლადო) –76, 148, 149, 150, 160, 162, 166, 171, 187.
კვარაცხელია ალექსი – 93.
კვარაცხელია პეტრე – 363.
კვაშალი –82.
კვაშალი –331.
კიასოვი ივან – 153.
კიკვიძე აბელ –9.
კიკვიძე თევდორე (ჭალარა) – 449.
კილასონია პავლე –78.
კილასონია ტაგუ – 78.
კირილე (არქიმანდრიტი) – 92.
კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი –90, 91, 95, 485, 494, 495, 496, 498, 499, 500, 502, 503, 504, 512, 513, 515, 517, 518, 567, 568.
კირიუჩკი მოისეი – 558, 561.
კოუი ცეზარ – 65.
კოუჩარიანცი – 234.

კლანკი –561.
კლაუსი მაგდალინა – 95.
კლდიაშვილი ალექსანდრე(საბა)–279, 280.
კლდიაშვილი სიმონ –93.
კლენოვი აფანასი – 93.
კლიმიაშვილი – 149.
კლიუჩევსკი ვასილი –65.
კნორინგი კარლ –83.
კნუნიანცი ბოგდან – 166, 169, 186, 187, 188.
კობახიძე ბედია – 80.
კობახიძე ბექა – 10.
კოგანი ოსიპ – 75.
კოვალენკო მატვეი – 558, 561.
კოვალიოვი – 234.
კოზლოვსკი ე. – 514, 522.
კოიალოვიჩი ი. ი. – 506, 510, 514, 515, 517, 522, 528.
კოკიაშვილი იესე –241.
კოკოცევი ვლადიმირ – 374.
კოკოშვილი გიორგი – 160, 162.
კოლიაკოვსკი ალექსანდრ – 95.
კომარი ნიკოლაი –91.
კომახიძე ივანე – 192.
კონოვალოვი –314.
კონტრიძე ბენიამინ – 469.
კონჩუევი პიოტრ – 91.
კონჯარია ვასილ – 363.
კოპალეიშვილი ილარიონ –77.
კორინთელი თინათინ – 115.
კორნელისენი –356.
კორეუხოვი ნიკოლაი – 97.
კოსტავა –331, 341.
კოშორიძე იოსებ – 91.
კოჩეტკოვი იაკოვ – 155, 159, 160, 162.
კოჩურინი – 320, 321.
კრასნოვა ანნა – 151, 152, 159.
კრასნოვი – 331.
კრატი ფონ ალექსანდრა – 95.
კრეისბერგი ფრიდრიხ – 95.
კრივოშეინი ალექსანდრ – 66, 386.
კრილოვი – 352, 353.
კრილოვი კუზმა – 151, 153.
კრიმ-გირეი სულთან ნიკოლაი – 230, 232, 242, 272, 334 – 341.
კროხმალი ე. (ზაგორსკი) – 449.
კრუპეინიკოვი ივან – 95.
კრუპი გუსტავ გეორგ ფრიდრიხ – 116.
კულომზინი ანატოლი – 374.
კულჩიცკი ნიკოლაი – 102.
კურნატოვსკი ვიქტორ – 75, 151, 152, 153.
კუტნევიჩი – 282.

ლ

ლაბაძე იოსებ – 93.
ლაბაური თედო – 539, 551.
ლადიჟენსკი ალექსანდრ – 84.
ლადო – 569.
ლავროვი – 165.
ლავროვი ზინოვი – 160.
ლაზარევსკი ნ.ი. – 6.
ლაზარენკო ი. – 287, 342, 347, 348, 349, 350, 351.
ლანგე-პოზდეევი ალექსანდრ – 75, 194.
ლაპატინსკი ლეე – 97.
ლასალი ფერდინანდ – 76.
ლასხიშვილი გიორგი – 199, 200, 202, 207.
ლაფარგი პოლ – 148,
ლებედევი დიმიტრი – 94.
ლევაშოვი – 287.
ლევინი (ეგოროვი) ე. – 178.
ლელაშვილი გიორგი – 159.
ლემანი (ნევსკი) მ. – 263.
ლენინი (ულიანოვი) ვლადიმირ –7, 144, 148, 151, 165, 170, 177, 178, 179, 183, 186, 197, 265, 268, 564.
ლეონიდი(ლონგინოზ ოქროპირიძე), ეპისკოპოსი – 90, 91, 452, 494, 495, 498, 499, 500, 503, 506, 507, 508, 509, 510, 513, 514, 515, 517, 521, 522, 568.
ლეონტი (არქიმანდრიტი) –91.
ლეჟავა – 257.
ლეჟავა კონსტანტინე – 160, 162.
ლესკოვი ნიკოლაი –84.
ლიახველი – 201.

ლითანოვი არტემ – 76.
ლიპარტელიანი მიხეილ – 241.
ლინევიჩი ნ. – 153.
ლ. ნ. – 143, 145.
ლიუბიჩ-იარმოლოვიჩ-ლოზინსკი მიხაილ – 541, 542.
ლობჟანიძე – 241.
ლოიკი ლიდია – 170.
ლოლუა ვარლამ – 359.
ლოლუა ი. – 359.
ლომთათიძე ბიკენტი(ჭოლა)(პასანი) – 329, 330, 381, 382, 383, 443, 449.
ლომთათიძე მიხაკო – 196.
ლომია არსენ – 569.
ლომია გრიგოლ – 359.
ლომჯარია პ.–78.
ლომჯარია ს.–78.
ლორთქიფანიძე გრიგოლ (სპირიდონოვი) – 449, 450.
ლორთქიფანიძე დავით – 160, 403, 404.
ლორთქიფანიძე ვლადიმერ – 199, 207.
ლორთქიფანიძე ხახული – 115.
ლუბჩენკო ოლიმპიადა – 95.
ლუზინი ივან – 75, 163.
ლუკიანენკო – 356.
ლუნეეესკი იგნატ – 170.

მ

მალამა იაკოვ – 227, 230, 231, 232, 256, 271, 278, 289, 314, 332, 334, 341
მალინოვსკი – 287.
მალინოვსკი – 568.
მალინოვსკი აგუსტ –77.
მალცევი ა. პ. – 506, 510, 514, 515, 517.
მამასახლისოვი ბაგრატ – 76.
მამულაიშვილი ირაკლი – 153.
მამულაშვილი ვანო – 76.
მამფორია დიომიდე – 79.
მამფორია იუსტინე –92.
მანდელშტამი(ლიადოვი) მარტინი –178, 265.
მანთაშევი –78, 114.
მანსუროვი პაველ – 495, 499, 517.
მანტეიფელი – 557.
მანჯავიძე ვანო –76.
მარია(რუსეთის დედოფალი მარია-სოფია-ფრედერიკა-დაგმარი)–72.
მარი ნიკო – 494, 506, 507, 509, 510, 511, 514, 515, 517, 519.
მარკოვი ნიკოლაი – 249.
მარტინოვი – 558.
მარტინოვი ალექსანდრ (პიკერი საულ)–175.
მარქსი კარლ –7, 76, 144, 148.
მასლოვი პიოტრ – 328.
მატახერია იოსებ – 363.
მაღლაკელიძე ს. –10.
მაღრაძე ჩგაბრიელ – 257.
მაღრაძე კორნელი – 94.
მაყაშვილი მარიამ – 95.
მაჩაბელი აპოლონ – 243, 311.
მაჩაბელი გიორგი – 356.
მაჩაბელი იუანე –138, 139.
მაჩაბელი მიხეილ – 403.
მაჩაიძე გაბო – 257.
მაჭავარიანი დავით –93.
მაჭარაძე გაბო – 257.
მაჭარაძე გრიგოლ –93.
მაჭარაძე ერასტი –92.
მაჭარაძე პოლიკარპე – 156, 157, 159, 160.
მაჭარაძე ფარსადან – 257.
მაჭუტაძე – 79.
მახათაძე ნიკოლოზ – 93.
მახარაძე გერასიმე – 382, 449, 450.
მახარაძე ვარლამ – 93.
მახარაძე ნიკოლოზ –9.
მახარაძე ფილიპე (მ. იესეშვილი) – 8, 137, 142, 143, 144, 147, 149, 150, 151, 152, 153, 154, 168, 187, 197, 259, 260, 262, 268, 389, 390, 391, 401, 402, 449, 533, 534, 535, 543, 544, 547, 550, 551, 552, 553.
მახნოვეცი ვლადიმირ (აკიმოვი) – 445.
მაპმუდბეგოვები – 118.
მგალობლიშვილი სოფრომ – 91.
მგელაძე ვლასა (ტრია, ტრიაძე) –77, 153, 443, 445.
მგელაძე ლ. – 359.

მდივანი ალექსანდრე – 115, 207.
მეგრელიძე იასონ – 149, 162.
მეგრელიძე იოსებ – 159.
მედვედი იაკოვ – 232.
მელია – 321.
მელიქიშვილი გიორგი – 9.
მელლერი პაველ – 94.
მელქაძე ი. – 8.
მემარნიშვილი მოსე – 535.
მენდელეევი დიმიტრი – 250.
მერაბიშვილი ალექსანდრე – 159.
მესხი კონსტანტინე – 212.
მესხი სერგეი –64.
მესხია შოთა –9.
მეტრეველი დიმიტრი –91.
მეტრეველი რიონ – 10.
მეუნარგია მიხეილ – 93.
მეფერტი გეორგი – 151, 152.
მეშჩერინი ვლადიმირ – 151, 152.
მეშჩერსკი ვლადიმირ –66.
მთიელი – 201.
მინიე – 144.
მირზოევი გ.მ. – 116, 117.
მირზოევი ი. – 116.
მირიანაშვილი გიორგი სტეფანეს ძე – 251.
მირსკი დიმიტრი – 564, 565.
მირცხულავა ი. –8.
მიქელაძე ა. – 470, 520.
მიქელაძე ვლადიმერ – 228, 238, 246, 247, 248, 253, 438.
მიცკევიჩი იუსტინ – 91, 232, 287.
მკრტიჩ I – 89.
მონტინი პიოტრ – 159, 443.
მორბელაძე – 201.
მორდოვცევი Dანიელ – 84.
მოშინსკი(ლვოვი) ი. – 178.
მოძღვრიშვილი გიგოლა –539, 541, 542.
მრუკი – 320.
მურავიოვი ნიკოლაი – 71.
მურახოვსკი სტეპანი – 93.
მურომცევი სერგეი – 378.
მუსხელიშვილი ვ. – 403.
მღებრიშვილი დიმიტრი – 91.
მჭედლიშვილი ივანე – 207.
მჭედლიძე ზაქარია – 92.
მჭედლიძე მიხეილ – 92.
მხეიძე – 319.

ნ

H – 562.
ნაბიბეკოვი – 471, 472.
ნაზარაშვილი ვლადიმერ – 357, 358.
ნაზაროვი – 331.
ნაზაროვი იოან – 91.
ნათაძე გრიგოლ – 212.
ნათმელაძე მაყვალა –9.
ნაკაშიძე – 331, 341.
ნაკაშიძე ივანე – 470.
ნანეიშვილი ალექსანდრე – 199.
ნანეიშვილი ვიქტორ – 268, 449.
ნარიმანაშვილი ვასილ – 549.
ნასიძე მიხეილ – 137.
ნასყიდაშვილი შაქრო – 76.
ნაცვლიშვილი ვასილ (ვ. ნ.) – 534, 535.
ნეიძე – 201.
ნემსიწვერიძე ზოსიმე – 92.
ნიკანდრი (მღვდელმონაზონი) – 93.
ნიკანდრი (ფენომენოვი ნიკოლაი), არქიმანდრიტი, არქიეპისკოპოსი – 452, 471 — 476, 494, 499, 505, 506, 510, 511, 513, 514, 515, 517, 522, 528.
ნიკიტინი ალექსანდრ – 75.
ნიკიფორე (არქიმანდრიტი) – 91. 93.
ნიკოლაევი – 243, 316, 342.
ნიკოლაევი – 449.
ნიკოლაევი ნიკოლაი – 97.
ნიკოლაევსკი ბ.(გოლოსოვი) – 449.
ნიკოლაი II – 65, 66, 68, 71, 72, 73, 79, 89, 216, 217, 223, 224, 233, 249, 371, 372, 373, 374, 378, 468.
ნიკოლაი (ნალიმოვი), არქიეპისკოპოსი – 101,
ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) –64, 93, 105, 469.
ნიკოლოზი (არქიმანდრიტი) –93.
ნიკოლსკი ნ. კ. – 96.

ნიკონი (სოფიისკი), არქიეპისკოპოსი – 101, 566, 567, 568, 569.
ნიკონოროვი ალექსეი – 151, 153, 155.
ნიკულიშჩევი დიმიტრი – 94.
ნინიძე მ. (ლეონიდე) – 449.
ნინო (ილუმენია) –91.
ნინუა გიორგი –76, 156, 159.
ნიჟარაძე ბესარიონ –92.
ნიჟარაძე ნოე – 115.
H. M. – 222.
ნოვოსელსკი ნიკოლაი –114.
ნორაკიძე სპირიდონ – 359, 360.
ნოსარი ნინა – 77.
ნოსკოვი(გლებოვი) ნ.პ. – 263.
ნოსოვი ივან – 77.
ნუკრაძე გიორგი – 252.

ო

ობოლენსკები – 71.
ობოლენსკი ალექსეი – 493.
ობრაზცოვი – 570.
ოგანეზოვი მ. ა. – 225.
ოვსეენკო –285.
ოთაროვი სარქის – 563, 564.
ოკუჯავა ესტატე – 170.
ოლდენბურგი – 127.
ოლშევსკი რომან – 151, 153.
ონიანი ლ. – 362, 363.
ორბელიანი ალექსანდრე –482.
ორბელიანი ვახტანგ –482.
ორლოვსკი ლ. – 362, 363.
ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო) –363, 546, 550.
ოსეფაშვილი კონსტანტინე(კოსტა) – 78.
ოსიცკი ვლადიმირ – 91.
ოსტროუმოვი მიხაილ – 495, 499, 503, 506, 514, 515, 517, 522.
ოქრომჭედლიშვილი – 120.
ოქროპირიძე ირონდიონ – 91.
ოქუაშვილი არაქელა –77, 160, 162.

პ

პაველ I — 424.
პაველი(ლებედევი), არქიეპისკოპოსი – 496.
პაიჭაძე ს.(კრეპკი) – 449.
პალადი(რაევი), არქიეპისკოპოსი –496.
პალმოვი ივან – 506, 514, 515, 517, 522, 526, 527, 528, 529.
პარკაუ ფონ პიოტრ (ედმუნდ) – 290, 291, 293, 297, 298, 351.
პარკაძე გიორგი – 568.
პასკევიჩი ივან – 582.
პასკევიჩი ივან – 86.
პასტრულინი ივან – 557.
პაშკოვი სამოილ – 94.
პერესი ბორის – 151, 152.
პერტაია ისიდორე – 91.
პეტერბურგსკი ოსიპ – 450.
პეტერსონი ნიკოლაი – 232.
პეტრე (კონჭოშვილი), ეპისკოპოსი –485, 568.
პეტრიაშვილი ვასილ – 115.
პეტროპავლოვსკი ვასილი – 91.
პეშკოვი ალექსეი (გორკი) –450.
პეჩერსკი – 244.
პივოვაროვი –126.
პიკერი საულ (მარტინოვი ალექსანდრ) – 445.
პილეცკი ვასილი ვასილის ძე – 563, 564.
პიტირიმ (ოკნოვი), არქიეპისკოპოსი – 101.
პლატონი(როჟდესტვენსკი), არქიეპისკოპოსი – 101.
პლეევე ვიაჩესლავ – 66, 68, 71.
პლემიანიკოვი – 127.
პლეხანოვი გეორგი – 144, 151, 165, 170, 177, 178, 179, 197, 449.
პობედონოსცევი კონსტანტინ– 65, 84, 100, 101.
პოკროვსკი ნ.ვ. – 96, 97.
პოპოვა ანნა – 94.
პოპოვი კ. დ. – 510, 514, 515.
პოპოვი მიხაილ – 76.
პოპოვი(როზანოვი) ვლადიმირ – 175.
პოჟიდაევი ნიკოლაი – 368, 370.
პოსტოლოვსკი დიმიტრი – 169.
პოტრესოვი ალექსანდრ (სტაროვერი) – 148, 151, 165, 170, 175, 186, 449.

პროზოროვსკი ალექსეი – 93.
პროკოფიევი –244.
პროსტოსერდოვი ნიკოლაი – 160.
პულავსკი ვაცლავ – 159.
პურიშკევიჩი ვლადიმირ – 249, 383.
პუშკარევი პაველ 151, 152.

ჟ

ჟაკოვი – 443,
ჟვანია გრიგოლ – 8.
ჟილიაი (ჟილიაევი) ვიქტორ – 246.
ჟორდანია გიორგი – 432, 433, 434, 511.
ჟორდანია თეოდორე (თედო) – 93, 103, 104, 105, 201.
ჟორდანია ნოე (გ.მარმალაძე, კოსტროვი, დევიანი, მიხაელიდისი) – 8, 30 – 37, 48, 60, 61, 62, 132–144, 147, 149, 150, 151, 166–179, 183 –192, 197, 259, 260, 261, 262, 266–270, 329, 378, 379, 380, 389, 390, 391, 401, 437, 438, 443, 444, 445, 448, 449, 450, 451, 539, 552, 561.
ჟურული გიორგი – 403.
ჟღენტი ნოე – 358, 359.

რ

რაბინოვიჩი სამუელ –76.
რავიჩი სარა – 565.
რამიშვილი ანთიმოზ –79.
რამიშვილი ისიდორე (ბერიევი) – 78, 149, 150, 171, 187, 254, 259, 268, 269, 270, 329, 378, 379, 380, 441, 443, 444, 449, 450.
რამიშვილი ნიკოლოზ – 93.
რამიშვილი ნოე (ბორცოვი) – 170, 196, 262, 270, 443, 448, 449, 459.
რაჟდენი – 569.
რატიანი პროკოფი –9.
რაშაძე – 201.
რევია ანტონ – 93.
რენკვისტი რ. ო. – 113.
რეპინი ილია – 84.
რეშეტინი ნიკოლაი – 298.
რიაბინინი ანატოლი – 153.
რიბკინი (ლეტუჩი) – 264.
რილსკი – 255.
რიჟამაძე მელენტი – 92.
რიშარი ი. – 118.
რიხლოვსკი პეტერ-მარიან – 75.
რიპნერი – 114.
როგოვიჩი ა. პ. – 522.
როზანოვი ვასილი – 250.
როზენფელდი ლევ (კამენეევი) – 264, 451.
რომანოვი დიმიტრი – 159.
რომანოვი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე – 224.
რომანოვი მიხაილ – 65, 120, 217.
რომანოვი პაველ – 65.
რომანოვი სერგეი – 69, 72.
როჟანოვი – 292, 293.
როჟდესტვენსკი ალექსანდრ – 94.
როტშილდი –-77, 114, 163.
როძევიჩი მიხაილ – 93.
როძევიჩ-ბელევიჩი ვლადიმირ – 77.
რუმიანცევი ივან – 93.
რუსაკი – 154.
რუსსო ვალერიან –251.
რუტენბერგი პიოტრ (პინხას)–223, 224.
რუხაძე სიმონ – 115.
რუქსი – 112.
რუშინსკი ლევ – 91.
რცხილაძე გრიგოლ – 202, 207.
რცხილაძე ვასილ – 207.

ს

საბა – 201.
სადი ოღლი ნადი – 255.
სავა(ილუმენი) –93.
საითიძე გელა – 10.
სამჭკუაშვილი ლავრენტი –76, 160.
სანაია ერასტი – 363.
სანაძე ვლადიმერ – 193.
საფაროვი – 75, 76.
საყვარელიძე – 243.
საყვარელიძე პაველ (საქარელოვი) – 443.

სახოკია თევდორე(თედო) –61, 105, 356, 358, 361, 364.
სემაშკო ნიკოლაი –565.
სემიონოვი ნიკიფორ – 155.
სერაპიონი(არქიმანდრიტი) – 91.
სერგაჩი მიხაილ – 170.
სერგი (სტრაგოროდსკი), არქიეპისკოპოსი – 494.
სვანიძე სამსონ – 93.
სვეშნიკოვი – 228.
სვეშინი ივან – 309, 310, 323.
სვიატოპოლკ-მირსკი პიოტრ – 66, 68, 70, 71, 72, 371.
სვიმონი(იღუმენი) –91.
სიდერისი – 114.
სიდოროვი გოერგ – 93, 95.
სივაკი ი.ო. – 557.
სიმეონი(არქიმანდრიტი) –93.
სიმონიანცი სიმონ – 75.
სიპიაგინი დიმიტრი – 66.
სიპიაგინი ვიაჩესლავ – 207.
სირბილაძე დავით – 92.
სისაური იროდიონ – 91.
სიხარულიძე გიორგი – 357, 360.
სკაბალანოვიჩი ნ. ა. – 96.
სკვორნიაკოვი ლეონიდ – 153.
სკოროპოგატკო პიოტრ – 155, 156, 159.
სლოვინსკი ალექსანდრ – 97.
სმაგინი ალექსეი –78, 80, 81, 82, 314, 316, 319, 332, 336, 341.
სოგინი პაველ – 94.
სოკოლოვი ივან – 495, 497, 499, 506, 507, 508, 510, 514, 515, 517, 518, 519, 522, 526.
სოკოლოვი პ. ი. – 510, 514, 517, 528.
სოკოლოვსკაია ანნა – 95.
სოკოლოვსკი ნიკოლაი – 151, 152.
სოლოვიოვი ვლადიმირ – 84.
სოლომონოვი – 443.
სოლოლაშვილი დავით – 356.
სოლორაშვილი გიორგი – 160.
სოხაძე (ლეონოვი) –450, 451.
სპანდარიანი სურენ – 449.
სტაროსელსკი ვლადიმირ – 219, 220, 221, 242, 273 –288, 342.
სტაროსტენკო სერგეი – 155, 156, 157, 158, 159.
სტასი ერასტ – 97.
სტახოვიჩი ალექსეი – 472.
სტეპანი (არქიმანდრიტი) –91.
სტეპანი (არხანგელსკი), ეპისკოპოსი – 494, 495, 497, 498, 499, 504, 506, 510, 511, 514, 515, 522, 528.
სტეპანიანც-ზარგარიანცი აკოფ – 151, 152.
სტეპანოვიჩი კონსტანტინ – 91.
სტეფანე (არქიმანდრიტი) –93.
სტიშინსკი ალექსანდრ –70.
სტოიანოვი ალექსანდრ – 95.
სტოლიპინი პიოტრ – 66, 373, 374, 377, 378, 382, 384, 385, 386, 387, 572.
სტრუვე ვილპელმინა – 95.
სტრუვე პიოტრ –71, 148, 258.
სტურუა ნიკოლოზ – 9.
სტურუა ივანე (ვანო)–160.
სტურუა რაჟდენ –77, 255.
სუვორინი ალექსანდრ – 88, 89.
სულიმოვი ნიკოლაი – 318..
სულხანიშვილი ნიკოლოზ – 311.
სულხანოვი(სულხანიშვილი) ივანე – 252.
სურგულაძე – 149.
სურგულაძე აკაკი – 8, 9.
სურგულაძე პეტრე – 207.
სხირტლაძე მიხეილ – 92.

ტ

ტაბატაძე ვასილი–91.
ტაბატაძე ირინე –2.
ტაბიძე ვ. – 257.
ტარიელაშვილი აბრაამ –9.
ტატარინოვი – 76.
ტატიშვილი დიმიტრი –91.
ტატიშვილი ნიკოლოზ –91.
ტატულაშვილი თანდილა – 257.
ტაუბე ფიოდორ – 231.
ტერმინი – 272, 316.
ტერ-პეტროსიანცი(კამო) – 562, 564.
ტერპილო ლუკა – 77, 153.
ტეტუნაშვილი – 311.

ტიბლენი ნადეჟდა – 95.
ტიერი – 144.
ტიტოვი ფიოდორ – 495, 499, 506, 515, 517, 522, 528.
ტოლპიგა ნ.ი. – 284.
ტოლსტოი ივან – 102.
ტორმასოვი ალექსანდრ – 501, 519.
ტორონჯაძე ათანასე – 160.
ტოროშელიძე მალაქია – 554, 555.
ტოროშელიძე სიმონ – 170.
ტრაუბენბერგი ფონ ეგგენი ალექსანდრ-ერნესტ რაუში – 254.
ტრელინი ვლადიმირ – 93, 452, 472, 510, 513, 528, 541.
ტრეპოვი ალექსანდრ – 374.
ტრეპოვი დიმიტრი – 66, 69, 72, 371, 373.
ტროინიცკი ნ. ა. – 6.
ტროიცკი ალექსანდრ – 93.
ტროიცკი ი. გ. – 96.
ტროიცკი სემიონ – 93.
ტროფიმოვა ნადეჟდა – 95.
ტრუბეცკოები – 71.
ტრუბეცკოი ეგგენი – 71.
ტრუსევიჩი მაქსიმილიან – 231.
ტუგან-ბარანოვსკი მიხაილ – 148, 259.
ტუმანი გეორგი – 75.
ტურიევი (ტურიაშვილი) ლაზარე – 569.
ტურსკაია ელიზავეტა – 95.
ტფილისელი მ. – 58.
ტყემალაძე აბესალომ – 92.
ტყემალაძე გიორგი – 92.
ტყემალაძე მარკოზ –91, 469.
ტყეშელაშვილი ანტონ – 241.

უ

ულემანი ფრიდრიხ – 363.
უნ ამი(უნ ამი, Amи) –143, 144.
უნანოვი ოვანეს – 156, 160.
უორდროპი ოლივერ – 434.
ურატაძე გრიგოლ (გრისსინი, შაითანოვი, ვანო) – 268, 443, 450.
ურუსოვები – 71.
ურუშაძე – 332.
უსპენსკაია ეგგენია – 153.

ფ

ფალავანდიშვილი თამარ – 356.
ფალავანდიშვილი ი. ი. –251.
ფალიანი – 201.
ფანცხავა იაკობ – 93, 103, 358, 359.
ფარჯანაძე – 162.
ფალავა პამფი – 359.
ფალავა ყარამან – 540, 541.
ფაჩულია იონა – 359.
ფეოდოსია (იღუმენი) –92.
ფეოფილაქტი (რუსანოვი), მიტროპოლიტი – 496, 510.
ფერაძე ილია –93.
ფიდაროვი – 349.
ფილია გიორგი – 196.
ფილიპოვი ფიოდორ – 93.
ფილკენშტაინი სარა – 77.
ფიოდოროვი – 292, 293.
ფირცხალავა არტემ – 77.
ფირცხალავა სამსონ – 202, 207.
ფიშერი – 95.
ფლავიანი (გოროდეცკი), არქიეპისკოპოსი – 90, 101.
ფლეგენტოვი ნიკოლაი –77.
ფორერი –127.
ფოცხიშვილი – 82.
ფრანკი (გალბერშტადტი) მ. – 175.
ფრანჩესკი გეორგ – 163.
ფრანჩესკი იპოლიტ – 151, 152, 153, 154.
ფრანჩესკი კლავდია – 153, 170.
ფრიში ედუარდ – 374, 441.
ფრუიძე ე. – 359.
ფრუიძე ნიკიფორე – 92.
ფშავლიშვილი (აფციაური) პაველ – 539, 541.
ფხაკაძე – 243.

ქ

ქავთარაძე – 331.

ქავთარაძე ნესტორ –78.
ქავთარაძე სიმონ – 93.
ქავთარაძე ქაიხოსრო – 207.
ქავჟარაძე იოანე – 93.
ქართველიშვილი – 120.
ქართველიშვილი ილია ბართლომეს ძე – 251.
ქარსიძე არსენ – 564.
ქვლივიძე იოსებ – 257.
ქიქოძე დიმიტრი – 93.
ქორქაშვილი – 368, 369.
ქოჩიაშვილი მირონ –9.
ქუთათელაძე დათიკო –76.

ღ

ღამბაშიძე დავით –92, 274, 472, 473, 479, 480, 481, 485.
ღამბაშიძე დ.(სიმონოვი) – 443
ღვითისაყარიშვილი კირიონი – 91,
ღოღობერიძე ნიკოლოზ – 116,
ღულაძე იაკობ – 207,
ღულაძე – 227,
ღურჭუა ვასილ – 363.

ყ

ყაზბეგი ანდრია – 243.
ყაზბეგი გიორგი – 570.
ყაზბეგი ზაქარია –243.
ყანჩელი ალექსანდრე – 207, 403.
ყარაჯევი(ყარაჯიანი) გიორგი – 76, 77, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 162.
ყიფიანი – 331.
ყიფიანი ალფეზ – 170.
ყიფიანი ვასილ – 403.
ყიფიანი პალიკო – 357, 358.
ყიფიანი პეტრე – 201, 202.
ყიფშიძე ალექსანდრე – 277, 278, 286, 287, 469.
ყორშია კირილე –362, 364.
ყუბანეიშვილი ნესტორ – 93.

შ

შადინოვი – 126.
შადინოვი მიშა – 567.
შაითანოვი – 443.
შაკოლი ალექსანდრ – 77.
შამათავა ექვთიმე – 359, 360.
შანიძე ალექსანდრე – 92.
შარაბიძე მიხეილ – 93.
შარაძე გურამ –10.
შარაძე მაქსიმე – 93.
შარაშიძე შალვა – 533.
შატილოვი ალექსანდრ – 149.
შატილოვი ნიკოლაი – 232.
შაუმიანი სტეფანე (სურენინი) – 169, 187, 268, 449, 450.
შახაბაზოვი ი. – 251.
შახბუდაღოვი გ. გ. –237.
შახოვსკაია ანნა – 95.
შახოვსკები – 71.
შახოვსკი მიხაილ – 249.
შევარდნაძე ივანე – 196.
შეინი პ. – 505, 510, 514.
შენგელაია ევგენი – 93.
შენგელია ლეო – 212.
შენგელია მოსე – 155.
შენგელია სარდიონ –77.
შენგერი რუდოლფ – 97.
შერემეტიევი სერგეი – 83, 126.
შერვაშიძე პროკოფი – 378.
შვანგირაძე ნესტორ –92.
შვარცი ალექსანდრ – 102.
შველიძე დიმიტრი –10.
შიდლოვსკი ნიკოლაი –371.
შირინკინი ევგენი – 231, 232, 237, 243, 244, 287, 294, 299, 316, 322, 325, 326, 342, 344, 365, 367, 368, 370, 558.
შირინსკი-შახმატოვი ანდრეი – 72.
შიშკევიჩი მ. ი. – 281, 283, 287.
შიშკოვსკი ნიკოლაი – 278, 280, 286, 294.
შიშნიაშვილი იოსებ – 91.
შმიდტი პოტრ – 258.
შმიკოვი ფიოდორ – 77, 151, 153, 159.

შოშიაშვილი სოლომონ – 91.
შტაინი (ალექსანდროვი) ევგენი – 186.
შტიურმერი ბორის – 70, 374.
შტუსე – 112.
შულგინი კონსტანტინ – 95.
შუშკოვი ვლადიმირ – 97.
შჩეგლოვიტოვი ივან – 374, 378.
შჩერბინა – 287.

ჩ

ჩანტლაძე ერასტი –7..
ჩარტია ელიზბარ – 362, 364.
ჩაჩავა აპოლონ – 358.
ჩაჩავა კონსტანტინე (კოლხიდელი) – 82, 449.
ჩაჩავა იასონ – 358, 359.
ჩაჩანიძე იასონ – 93.
ჩაჩანიძე ლეონტი –93.
ჩაჩიბაია კონდრატე – 93.
ჩერნოვი ვიქტორ – 207.
ჩერქეზიშვილი ვარლამ – 356.
ჩერქეზიშვილი ვასილ –239, 244, 246, 248, 253, 254.
ჩერქეზიშვილი – 243.
ჩიგოგიძე იაგორ – 349.
ჩითახოვი ი. ა. – 118.
ჩიკვაიძე ვასილ(ვასო) –141.
ჩიკვაიძე ნიკოლოზ – 241.
ჩილაჩავა მიხეილ (მიხო) – 78.
ჩინჩალაძე ე. ტ. – 251.
ჩიტაძე იოანე –91.
ჩიტაძე სოლომონ – 91.
ჩიტაძე შიო – 574.
ჩიჩკინი – 126.
ჩიჩუა – 163.
ჩიჩუა ზაქარია – 262.
ჩიჩუა ს. – 359.
ჩიხაშვილი სიმონ – 549.
ჩიხლაძე რაფიელ (ალექსიძე) – 443, 449.
ჩიკავაიძე იოსებ – 480, 567, 568.
ჩიჯავაძე ოლღა – 115.
ჩოგოვაძე მელიტონ – 94.
ჩოდრიშვილი ზაქარია – 76, 155, 156, 157, 158, 159, 160, 162, 163, 449.
ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი, ჩუბინიძე) გიორგი –75.
ჩხაიძე ამონ – 160.
ჩხაიძე დიომიდე – 93.
ჩხარტიშვილი სანდრო –9.
ჩხეიძე გიორგი -77, 151, 153, 156.
ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) –78, 147, 149, 150, 171, 173, 187, 193, 259, 268, 448, 551, 552.
ჩხენკელი აკაკი – 141, 187, 259, 431, 448.
ჩხენკელი ალექსანდრე – 196.
ჩხენკელი მიხეილ(მიხაკო)– 359.
ჩხეტია შალვა –10.
ჩხიკვიშვილი ბენიამინ(ბენია) – 268, 345, 349 350, 362.

ც

ცაბაძე ვასილ(ვასო) – 77, 151, 153, 155, 156, 157, 158, 162.
ცაბაძე ნიკოლოზ – 153.
ცაგარეიშვილი გაბრიელ – 91.
ცაგარეიშვილი შ. – 10.
ცაგარელი ალექსანდრე – 494, 506, 508, 509, 510, 511, 514, 515, 517.
ცანგალა – 201.
ცედერბაუმი იული (მარტოვი ლევ) – 148, 151, 175, 176, 177, 178, 183, 186, 197, 565.
ცეიტლინი ლევ (ბელოვი) – 185.
ცერცვაძე მიხეილ – 9.
ცერცვაძე ნესტორ –77.
ცილიაკუსი ჯონ – 356.
ცინცაძე – 127.
ცინცაძე კალისტრატე – 469, 470, 477, 484, 511, 568.
ცინცაძე ტარასი – 257.
ცინცაძე ხარიტონ – 93.
ციციანოვი პაველ – 501, 519.
ციციშვილი – 243, 311.
ციცქიშვილი ქრისტეფორე –91, 469, 470, 471, 472, 568.
ციხისთავი ლუკა – 9.
ცოვიანოვი – 114.

ცხაკაია მიხა (ბარსოვი) – 150, 166, 169, 187, 263, 265, 266, 450.
ცხრარჯულაძე – 201.

ძ

ძირკველიშვილი იასონ – 256.
ძნელაძე მიხეილ – 94.

წ

წერეთელი აკაკი – 84, 469, 482.
წერეთელი გიორგი –64, 139, 382.
წერეთელი იოსებ – 92.
წერეთელი ირაკლი (ყეირილელი) – 144, 145, 147, 193, 194, 196, 259, 381., 382, 383, 391, 401, 436, 437, 449.
წერეთელი მიხეილ(მიხაკო)(თერგელი) – 200, 201, 202, 362, 431.
წერეთელი სერგო – 115.
წერეთელი სიმონ – 378, 380, 449.
წერეთელი სოლომონ – 116.
წითლიძე არსენ (შუბინი) –449.
წიკლაური – 316.
წინამძღვრიშვილი ქეთევან – 95.
წულაია პ.(დეპო) –449.
წულაძე ირაკლი – 159, 162.
წულუკიძე ალექსანდრე –48, 59, 60, 137, 141, 142, 143, 144, 147, 150, 169, 196, 260, 389.
წულუკიძე გრიგოლ – 149.
წულუკიძე პეტრე – 116.

ჭ

ჭავჭავაძე – 324.
ჭავჭავაძე ზაქარია – 233.
ჭავჭავაძე ილია (ახალ-მოსული) – 38, 52, 58, 59, 64, 84, 88, 136, 137, 138, 139, 140, 141, 144, 146, 147, 304, 389– 394, 399, 403, 428, 438 – 442, 469, 533–555.
ჭანტურია კლიმენტი – 93.
ჭანუყვაძე ს. ი. –251.
ჭანჭალეიშვილი ივანე –79.
ჭანჭალეიშვილი კონსტანტინე –79.
ჭეიშვილი იოსებ –92.
ჭელიძე პროკოფი – 77.
ჭელიძე სარდიონ – 77.
ჭიაბრიშვილი ანდრია (ჭრელი) – 192, 449.
ჭიპაშვილი ლუკა – 92.
ჭიჭინაძე ვარლამ – 149.
ჭიჭინაძე ნიკოლოზ(ქართველოვი) –443, 444, 446.
ჭოხონელიძე(ჭოხნელიძე) – 241.
ჭრელაშვილი სტეფანე – 199, 238, 246.
ჭუმბურიძე სიმონ – 92.

ხ

ხაიამი ომარ – 84.
ხართიშვილი დავით – 77, 153, 159.
ხატისოვი ალექსანდრე – 228, 234, 247.
ხაჩატრიანცი –78, 114.
ხაჭაპურიძე გიორგი–8.
ხახანაშვილი ალექსანდრე – 494, 511, 516.
ხახუტაიშვილი დიმიტრი – 91.
ხახუტაიშვილი ილარიონ – 93.
ხელაძე მიხეილ – 91.
ხელიძე ე. – 257.
ხერხეულიძე – 234.
ხეიჩია ლუკა – 115.
ხიზანიშვილი გიორგი (ლომა) – 539, 542.
ხიზანიშვილი ნიკო (ურბნელი, პლებსი) – 58.
ხიმშიაშვილი – 120.
ხმელევსკი ნიკოლაი – 93.
ხომერიკი კონსტანტინე – 154, 187.
ხომერიკი ნოე –187.
ხოშტარია თევდორე – 93.
ხუდადოვი ნიკოლოზ – 235, 238, 253.
ხუნდაძე ი.(ალექსეი) – 450.
ხუნდაძე ლუკა – 93.
ხუნდაძე რაჟდენ – 94.
ხუნდაძე სილიბისტრო – 91.
ხუროშვილი პლატონ – 91.
ხუციშვილი დავით – 93.
ხუციშვილი ვასილ – 256, 257.
ხუციშვილი იასონ – 8.

ხუციშვილი ნიკოლოზ – 91.

ჯ

ჯაბადარი ალექსანდრე – 207.

ჯაბადარი ივ. ს. – 403.

ჯავახიშვილი ივანე –2.

ჯავრიშვილი – 251.

ჯაიანი ე. – 362.

ჯამბაკურ-ორბელიანი ა.ი. – 472.

ჯანდიერი –127.

ჯანელიძე ლუარსაბ – 160, 162.

ჯანელიძე ოთარ – 10.

ჯაფარიძე – 336.

ჯაფარიძე ანანია – 10.

ჯაფარიძე არჩილ – 187, 268, 270, 382, 383, 391, 399, 449, 450, 451.

ჯაფარიძე პავლე – 449.

ჯაფარიძე (გოლუბინი) პროკოფი(ალიოშა)–77, 169, 263, 265.

ჯაფარიძე სერგო – 378, 379, 380, 449.

ჯაფარიძე სიმონ – 170.

ჯაყელი – 370.

ჯაში დიმიტრი – 194.

ჯაში ილარიონ – 469, 470, 477, 485, 568.

ჯაჯანაშვილი ტ. – 251.

ჯიბლაძე ვლადიმერ (პეტროვი) – 151, 153, 187, 443.

ჯიბლაძე სილიბისტრო –77, 147, 149, 151, 152, 153, 154, 168, 170, 171, 187, 259, 448.

ჯიბუტი ვ.(ვარდენი) –449.

ჯიოევი ზურაბ – 91.

ჯიქია კონია – 359.

ჯიქია ლევან – 2.

ჯოიაშვილი (ჯორჯიაშვილი) არსენა პავლეს ძე – 557, 558, 559, 560, 561, 562.

ჯონსი სტივენ –10.

ჯორჯაძე არჩილ (საბუელი) – 8, 30, 37– 60, 64, 105, 142, 144, 146, 147, 190, 199–203, 207, 213, 326, 327, 356, 389, 390, 429, 430, 431, 432, 452.

ჯორჯაძე დავით – 403.

ჯორჯაძე ევგენი სოლომონის ძე – 323, 324.

ჯორჯაძე ნინო გიორგის ასული – 323.

ჯუნკოვსკი ნიკოლაი – 232.

ჯუღაშვილი იოსებ (კობა, ივანოვიჩი, სტალინი) – 48, 62, 63, 64, 78, 147–158, 162–166, 169, 171, 172 173, 187, 191, 192, 196, 259, 260, 262, 266, 268, 328, 389, 390, 432, 443, 447, 450, 539, 544, 561, 562, 564, 566.

ჯუღელი პროკოფი – 170.

ჯუღელი სევერიან – 76, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 162, 170, 187, 268, 383, 449, 450.

ჯუღელი სიმონ – 155, 156, 160, 162, 170.

ჰ

ჰეიდმანი ადოლფ – 257.

ჰელზენკირჰენი – 116.

სარჩევი

წინასიტყვა 5

შესავალი (წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასება) 6

პირველი განყოფილება

საქართველო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს

თავი I. საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა (1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით) .. 11

§1. თბილისის გუბერნიის ტერიტორია და მოსახლეობა 13

§2. ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია და მოსახლეობა 18

§ 3. ყარსის ოლქის ტერიტორია და მოსახლეობა 22

§4. საქართველოს (თბილისის გუბერნიის, ქუთაისის გუბერნიის, ყარსის ოლქის) მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის შედარება აზერბაიჯანის (ბაქოს გუბერნიის, ელისავეტპოლის გუბერნიის) და სომხეთის (ერევნის გუბერნიის) მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობასთან 26

თავი II. პარტიებად დაშლილი საქართველო და ხსნის გზის ძიება (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი) 30

§1. ნოე ჟორდანია (1869-1953) 30

§2. არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) 37

§3. ბრძოლა „საერთო მოქმედების ნიადაგის“ იდეის წინააღმდეგ 48

თავი III. პოლიტიკური და სოციალური ვითარება რუსეთსა და საქართველოში (XIX საუკუნის დასასრული - XX საუკუნის დამდეგი) 65

§1. რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკა 65

§2. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა 72

§3. პოლიტიკური და სოციალური ვითარება საქართველოში 75

§4. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში. ვასილი ველიჩკო (XIX საუკუნის 90-იანი წლები – XX საუკუნის დამდეგი) 83

თავი IV. საქართველოს საეგზარქოსო 1901-1904 წლებში 90

§1. საქართველოს საეგზარქოსოსა და ეპარქიების მმართველობა 90

§2. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების საკითხი 95

§3. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა 97

თავი V. საქართველოს ეკონომიკური განვითარება(XIX საუკუნის დასასრული - 1917 წელი) 107
§1. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში 107
§2. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება და ამქრული წარმოების დეგრადაციის დაჩქარება საქართველოში 108
§3. მრეწველობის განვითარება 111
§4. სოფლის მეურნეობა 120

თავი VI. პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების აღმოცენება საქართველოში 132
§1. ქართული სოციალ-დემოკრატია 1898-1904 წლებში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა 132
§2. რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მოღვაწეობა (1903 წ.) 165
§ 3. ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე 170
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, მიღებული რსდმპ მეორე ყრილობაზე (1903 წ.) 179
§ 4. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ II ყრილობის შემდეგ (1903-1904 წწ.) 186
§ 5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნა 199
§6. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის ორგანიზაციების შექმნა საქართველოში 207
§7. ქართველი ნაციონალ-დემოკრატები 212

მეორე განყოფილება

საქართველო 1905-1907 წლებში

თავი I. 1905 წლის რევოლუცია საქართველოში 214
§1. რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩო. რევოლუციის ხასიათის განმარტებისათვის .. 214
§2. რევოლუციის მიზეზები 216
§3. რევოლუციის პირველი ეტაპი (1905 წლის იანვარი–აპრილი) 223
§4. რევოლუციის მეორე ეტაპი (1905 წლის მაისი – სექტემბერი) 232
§5. რევოლუციის მესამე ეტაპი. რევოლუციის დამარცხება (1905 წლის ოქტომბერი – დეკემბერი) 243

თავი II. ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1906 წლებში 258
§1. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის საწყის ეტაპზე 258
§2. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის აღმავლობის პერიოდში 266

თავი III. ქუთაისი 1905 წელს 271
§1. ვლადიმირ სტაროსელსკის დანიშვნა ქუთაისის გუბერნატორად 271
§2. ვლადიმირ სტაროსელსკის მოღვაწეობა ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობაზე .. 274
§3. ვლადიმირ სტაროსელსკის გადაყენება გუბერნატორის თანამდებობიდან 286

თავი IV. ბათუმი 1905-1906 წლებში 289
§1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი ბათუმში 289
§2. ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებები და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება ბათუმში 290
§3. შეიარაღებული აჯანყება ბათუმსა და ბათუმის ოლქში 295

თავი V. აგრარული მოძრაობა საქართველოში 300
§1. აგრარული მოძრაობის მიზეზები 300
§2. აგრარული საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში 302
§3. აგრარული მოძრაობის დასაწყისი 305
§4. აგრარული მოძრაობა საქართველოში 1905-1906 წლებში 308
§5. არჩილ ჯორჯაძის აგრარული პროგრამა 326
§6. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა 328

თავი VI. გურიის რესპუბლიკა 331
§1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი გურიაში 331
§2. ხელისუფლების ღონისძიებანი გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით .. 333
§3. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობა ოზურგეთის მაზრის შემოქმედისა და ბახვის სასოფლო საზოგადოებებში (წინასწარი ანგარიში) 334
§4. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის შეხვედრები გურიის სოფლების მოსახლეობასთან (სრული ანგარიში) 337
§5. რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გურიაში 341
§6. გურიის რესპუბლიკის თვითმმართველობა 344
§7. ნასაკირალის ბრძოლა 347
§8. გურიის რესპუბლიკის დაცემა 352

თავი VII. იარალის შემოტანა საქართველოში 1905 წელს 356
§1. იარალის შესყიდვა და საქართველოში გამოგზავნა. მგზავრობა ამსტერდამიდან ფოთამდე 356
§2. იარალის გადმოტვირთვა 358
§3. „სირიუსიდან“ გადმოტვირთული იარალის ბედი 360
§4. იარალის შემოტანის საქმის ძიება და განაჩენი 362

თავი VIII. რევოლუციური გამოსვლები ჯარში 365
§1. ჯარისკაცთა მღელვარებები 365
§2. მღელვარება ბათუმის გარნიზონში (მიხაილის სიმაგრეში) 367

თავი IX. აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ (პარლამენტარიზმის დასაწყისი რუსეთში – სახელმწიფო სათათბირო) 371
§1. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი 371
§2. რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა 1905-1906 წლებში 373
§3. პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება დაწყებული რეფორმების მიმართ 374
§4. რუსეთის იმპერიის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 376
§5. ქართველები პირველ სახელმწიფო სათათბიროში 378
§6. რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 381
§7. ქართველები მეორე სახელმწიფო სათათბიროში 382

თავი X. პიოტრ სტოლიპინის აგრარული რეფორმა 384
§1. აგრარული რეფორმის მომზადება 384
§2. აგრარული რეფორმის გატარება 385

თავი XI. ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში 388
§1. ეროვნული საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში 388
§2. ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მოძრაობა 389
§3. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად 392
§4. საქართველოს ავტონომიის იდეა და ქართველი ავტონომისტები 399
§5. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში 438

თავი XII. ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.) 443
§1. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე 443
§2. ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ 446
§3. ქართველი სოციალ-დემოკრატები რსდმპ V ყრილობაზე 449

თავი XIII. ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში 452
§1. საქართველოს საეგზარქოსო 1905 წელს 452
§2. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიმართვა მართლმადიდებელი მრევლისადმი რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით 453
§3. ქართველი სამღვდელოება რევოლუციის საწყის ეტაპზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით პეტიციის შემუშავება 468
§4. ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დარბევა 1905 წლის 31 მაისს 471
§5. ვითარება 1905 წლის 31 მაისის დარბევის შემდეგ 472

თავი XIV. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა 533
§1. მზადება ილია ჭავჭავაძის იდეური და ფიზიკური მკვლელობისათვის 533
§2. მკვლელობა და საქმის გამოძიება 535
§3. ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა მისი მკვლელობის შემდეგ 551

თავი XV. ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში 556
§1. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა (1906 წლის 16 იანვარი) 556
§2. თბილისში ერევანსკის მოედნიდან რუსეთის ხაზინის კუთვნილი ფულის გატაცება (1907 წლის 13 ივნისი) 562
§3. საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა (1908 წლის 28 მაისი) 566

თავი XVI. რევოლუციის დამარცხება 572
§1. რეპრესიები რევოლუციური მოძრაობის ლიკვიდაციის მიზნით 572
§2. რევოლუციის დამარცხების მიზეზები 575
§3. რუსული კოლონიზაციის ახალი ეტაპი და მისი პერსპექტივები 581

დანართები 592

სახელთა საძიებელი 601

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამარ სტეფნაძე**

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი",
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47.
№239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com